BGB

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

მეორე რედაქტირებული გამოცემა

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
(BGB)

BGB

გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

მეორე რედაქტირებული გამოცემა

თბილისი, 2019

წინამდებარე გამოცემა შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

გერმანიის თანამშრომლობა
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

მთარგმნელი:
ზურაბ ჭეჭელაშვილი

რედაქტორები:
ეთერ ჩაჩანიძე
თორნიკე დარჯანია

სტილისტური რედაქტორი:
თამარ გაბელაია

ტექნიკური უზრუნველყოფა:
გვანცა მახათაძე

© GIZ

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე lawlibrary.info/ge

თბილისი, 2019
ISBN 978-9941-8-1890-5

სარჩევი

წიგნი 1. ზოგადი ნაწილი 11

ნაწილი 1. პირები 11
კარი 1. ფიზიკური პირები, მომხმარებლები, მეწარმეები 11
ქვეკარი 1. კავშირები 12
თავი 1. ზოგადი დებულებები 12
თავი 2. რეგისტრირებული კავშირები 18
ქვეკარი 2. ფონდები 23
ქვეკარი 3. საჯარო სამართლის იურიდიული პირები 25

ნაწილი 2. ნივთები და ცხოველები 26

ნაწილი 3. გარიგებები 28
კარი 1. ქმედუნარიანობა 28
კარი 2. ნების გამოვლენა 30
კარი 3. ხელშეკრულება 36
კარი 4. პირობა. ვადის განსაზღვრა 38
კარი 5. წარმომადგენლობა. მინდობილობა 39
კარი 6. თანხმობა და მოწონება 42

ნაწილი 4. ვადები, თარიღები 43

ნაწილი 5. ხანდაზმულობა 44
კარი 1. ხანდაზმულობის საგანი და ხანგრძლივობა 44
კარი 2. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და ხელახალი დენა 46
კარი 3. ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგები 50

ნაწილი 6. უფლების განხორციელება, თავდაცვა, თვითდახმარება 51

ნაწილი 7. უზრუნველყოფის წარდგენა 52

წიგნი 2. ვალდებულებითი სამართალი 54

ნაწილი 1. ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსი 54
კარი 1. ქმედების განხორციელების ვალდებულება 54
კარი 2. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება 65

ნაწილი 2. სახელშეკრულებო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების განსაზღვრა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მეშვეობით 66

ნაწილი 3. ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობები 74
კარი 1. წარმოშობა, შინაარსი და დასრულება 74
ქვეკარი 1. წარმოშობა 74
ქვეკარი 2. გასაღების განსაკუთრებული ფორმები 76
ქვეკარი 3. ხელშეკრულებების მისადაგება და დასრულება 81
ქვეკარი 4. ვალდებულების შესრულების ცალმხრივად განსაზღვრის უფლებები 82
კარი 2. ორმხრივი ხელშეკრულება 83
კარი 3. ვალდებულების შეპირება მესამე პირის სასარგებლოდ 86
კარი 4. ბე, პირგასამტეხლო 87
კარი 5. ხელშეკრულებიდან გასვლა; ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან ნივთის უკან დაბრუნების უფლებები სამომხმარებლო ხელშეკრულებებში 89
ქვეკარი 1. ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარის თქმა) 89

ქვეკარი 2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის და შესრულების უკან დაბრუნების უფლებები სამომხმარებლო ხელშეკრულებებში 91
ნაწილი 4. ვალდებულებითი ურთიერთობების შეწყვეტა 96
კარი 1. შესრულება 96
კარი 2. დეპონირება 98
კარი 3. გაქვითვა 100
კარი 4. ვალის პატიება 102
ნაწილი 5. მოთხოვნის დათმობა 102
ნაწილი 6. ვალის გადაკისრება 105
ნაწილი 7. კრედიტორთა და მოვალეთა სიმრავლე 106
ნაწილი 8. ცალკეული ვალდებულებები 108
კარი 1. ნასყიდობა, გაცვლა 108
ქვეკარი 1. ზოგადი დებულებები 108
ქვეკარი 2. ნასყიდობის სპეციალური სახეები 114
თავი 1. ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით 114
თავი 2. გამოსყიდვა 114
თავი 3. უპირატესი შესყიდვის უფლება 115
ქვეკარი 3. მეწარმესა და მომხმარებელს შორის მოძრავ ნივთთან დაკავშირებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობა) 117
ქვეკარი 4. გაცვლა 119
კარი 2. ტაიმშერის ხელშეკრულებები 119
კარი 3. სესხის ხელშეკრულება; ფინანსური დახმარებისა და განვადებით საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები მეწარმესა და მომხმარებელს შორის 123
ქვეკარი 1. სესხის ხელშეკრულება 123
თავი 1. ზოგადი ნორმები 123
თავი 2. სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების განსაკუთრებული რეგულირებები 125
ქვეკარი 1. სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება 125
ქვეკარი 2. ფინანსური დახმარება მეწარმესა და მომხმარებელს შორის 133
ქვეკარი 3. საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულება მეწარმესა და მომხმარებელს შორის 136
ქვეკარი 4. ხელშეკრულების პირობების შეცვლის დაუშვებლობა, ნორმების მოქმედების სფერო დამწყები მეწარმის მიმართ 136
კარი 4. ჩუქება 137
კარი 5. ქირავნობის ხელშეკრულება, საიჯარო ხელშეკრულება 140
ქვეკარი 1. ქირავნობის ურთიერთობებთან დაკავშირებული ზოგადი ნორმები 140
ქვეკარი 2. საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა 145
თავი 1. ზოგადი დებულებები 145
თავი 2. ქირა 148
ქვეთავი 1. შეთანხმებები ქირის შესახებ 148
ქვეთავი 2. ქირის თანხის გაზრდის რეგულირება 149
თავი 3. გამქირავებლის გირავნობის უფლება 155
თავი 4. ხელშეკრულების მხარეთა შეცვლა 156
თავი 5. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულება 160
ქვეთავი 1. ზოგადი დებულებები 160

ქვეთავი 2. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა განუსაზღვრელი ვადით 162
ქვეთავი 3. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა განსაზღვრული ვადით 166
ქვეთავი 4. დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართები 167
თავი 6. გაქირავებულ საცხოვრებელ ბინებზე საკუთრების უფლების დადგენის თავისებურებანი 168
ქვეკარი 3. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა სხვა ნივთებზე 169
ქვეკარი 4. იჯარის ხელშეკრულება 170
ქვეკარი 5. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება 172
კარი 6. თხოვება 182
კარი 7. ნივთის სესხის ხელშეკრულება 183
კარი 8. მომსახურების ხელშეკრულება 184
კარი 9. ნარდობა და მსგავსი ხელშეკრულებები 190
ქვეკარი 1. ნარდობის ხელშეკრულება 190
ქვეკარი 2. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება 198
კარი 10. სამაკლერო ხელშეკრულება 204
ქვეკარი 1. ზოგადი ნორმები 204
ქვეკარი 2. სესხის მიღებაზე მეწარმესა და მომხმარებელს შორის შუამავლობის ხელშეკრულება 204
ქვეკარი 3. დაქორწინების მიზნით შუამავლობის ხელშეკრულება 205
კარი 11. ჯილდოს საჯაროდ დაპირება 206
კარი 12. დავალება და სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულება 207
ქვეკარი 1. დავალება 207
ქვეკარი 2. სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულება 209
თავი 1. ზოგადი მიმოხილვა 209
ქვეკარი 3. ანგარიშსწორება 210
თავი 1. ზოგადი დებულებები 210
თავი 2. ანგარიშსწორების ხელშეკრულება 211
თავი 3. ანგარიშსწორების მომსახურების გაწევა და მომსახურებით სარგებლობა 214
ქვეთავი 1. საანგარიშსწორებო ოპერაციების ავტორიზაცია; ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტები 214
ქვეთავი 2. საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელება 216
ქვეთავი 3. პასუხისმგებლობა 219
კარი 13. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება 224
კარი 14. მიბარება (შენახვა) 226
კარი 15. ნივთების შეტანა სასტუმროში 228
კარი 16. ამხანაგობა 230
კარი 17. საზიარო უფლება 236
კარი 18. სამისდღეშიო რჩენა 239
კარი 19. არასრულყოფილი ვალდებულებები 239
კარი 20. თავდებობა 240
კარი 21. მორიგება 243
კარი 22. ვალის შეპირება, ვალის აღიარება 243
კარი 23. ორდერი 244
კარი 24. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი 245
კარი 25. ნივთების წარდგენა 249
კარი 26. უსაფუძვლო გამდიდრება 249
კარი 27. დელიქტები 251

წიგნი 3. სანივთო სამართალი ... 258

ნაწილი 1. მფლობელობა ... 258

ნაწილი 2. მიწის ნაკვეთებზე არსებული უფლებების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები ... 261

ნაწილი 3. საკუთრების უფლება ... 267
კარი 1. საკუთრების უფლების შინაარსი ... 267
კარი 2. საკუთრების უფლების შეძენა და დაკარგვა მიწის ნაკვეთებზე ... 271
კარი 3. საკუთრების უფლების შეძენა და დაკარგვა მოძრავ ნივთებზე ... 273
ქვეკარი 1. საკუთრების უფლების გადაცემა ... 273
ქვეკარი 2. შეძენითი ხანდაზმულობა ... 274
ქვეკარი 3. შეერთება, შერევა, გადამუშავება ... 276
ქვეკარი 4. ნაყოფისა და ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილების შეძენა ... 277
ქვეკარი 5. მისაკუთრება ... 278
ქვეკარი 6. ნაპოვარი ... 279
კარი 4. საკუთრების უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები ... 284
კარი 5. საერთო საკუთრება ... 288

ნაწილი 4. სერვიტუტები ... 289
კარი 1. მიწის სერვიტუტები ... 289
კარი 2. უზუფრუქტი ... 291
ქვეკარი 1. უზუფრუქტი ნივთებზე ... 291
ქვეკარი 2. უზუფრუქტი უფლებებზე ... 298
ქვეკარი 3. უზუფრუქტი ქონებაზე ... 301
კარი 3. შეზღუდული პირადი სერვიტუტი ... 302

ნაწილი 5. უპირატესი შესყიდვის უფლება ... 303

ნაწილი 6. სანივთო ტვირთი ... 305

ნაწილი 7. იპოთეკა, მიწის ვალი, სარენტო ვალი ... 306
კარი 1. იპოთეკა ... 306
კარი 2. მიწის ვალი, სარენტო ვალი ... 322
ქვეკარი 1. მიწის ვალი ... 322
ქვეკარი 2. სარენტო ვალი ... 324

ნაწილი 8. გირავნობის უფლება მოძრავ ნივთებსა და უფლებებზე ... 325
კარი 1. გირავნობის უფლება მოძრავ ნივთებზე ... 325
კარი 2. გირავნობის უფლება უფლებებზე ... 333

წიგნი 4. საოჯახო სამართალი ... 338

ნაწილი 1. სამოქალაქო ქორწინება ... 338
კარი 1. ნიშნობა ... 338
კარი 2. დაქორწინება ... 339
ქვეკარი 1. დაქორწინებაუნარიანობა (Ehefähigkeit) ... 339
ქვეკარი 2. დაქორწინების აკრძალვები ... 339
ქვეკარი 3. დაქორწინებაუნარიანობის ცნობა ... 340
ქვეკარი 4. დაქორწინება ... 340
კარი 3. ქორწინების გაუქმება ... 341
კარი 4. განმეორებითი ქორწინება მეუღლის გარდაცვლილად აღიარების შემდეგ ... 344
კარი 5. ქორწინების სამართლებრივი შედეგები ზოგადად ... 345
კარი 6. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი ... 349
ქვეკარი 1. კანონისმიერი ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი ... 349
ქვეკარი 2. სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი ... 357

თავი 1. ზოგადი დებულებები 357
თავი 2. გაყოფილი ქონების რეჟიმი 358
თავი 3. მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი 359
ქვეთავი 1. ზოგადი დებულებები 359
ქვეთავი 2. მეუღლეთა საერთო ქონების მართვა ქმრის ან ცოლის მიერ 360
ქვეთავი 3. მეუღლეთა მიერ საერთო ქონების ერთობლივი მართვა 366
ქვეთავი 4. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა 371
ქვეთავი 5. მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმი 374
ქვეკარი 3. მეუღლეთა საერთო ქონების რეესტრი 383
კარი 7. განქორწინება 384
ქვეკარი 1. განქორწინების საფუძვლები 384
ქვეკარი 1ა. განქორწინების გამო მეუღლეთა საცხოვრებელი სახლისა და საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთების მიკუთვნება 385
ქვეკარი 2. განქორწინებული მეუღლის რჩენა 386
თავი 1. პრინციპი 386
თავი 2. რჩენის მიღების უფლება 387
თავი 3. სარჩოს გადახდის უნარი და უფლებათა რიგითობა 390
თავი 4. რჩენის მოთხოვნის უფლების რეალიზაციის წესი 391
თავი 5. რჩენის მოთხოვნის უფლების გაუქმება 392
ქვეკარი 3. წილების გათანაბრება სოციალური უზრუნველყოფის მიზნით 393
კარი 8. საეკლესიო ვალდებულებები 393

ნაწილი 2. ნათესაობა 393
კარი 1. ზოგადი დებულებები 393
კარი 2. წარმომავლობა 394
კარი 3. რჩენის ვალდებულება 399
ქვეკარი 1. ზოგადი ვალდებულებები 399
ქვეკარი 2. შვილისა და მისი იმ მშობლების შესახებ სპეციალური ნორმები, რომლებიც არ იმყოფებიან ერთმანეთთან ქორწინებაში 404
კარი 4. სამართლებრივი ურთიერთობა მშობლებსა და შვილს შორის ზოგადად 405
კარი 4. მშობლის ზრუნვა 408
კარი 6. პატრონაჟი 423
კარი 7. შვილად აყვანა 424
ქვეკარი 1. არასრულწლოვანის შვილად აყვანა 424
ქვეკარი 2. სრულწლოვანი პირის შვილად აყვანა 433

ნაწილი 3. მეურვეობა, იურიდიული მზრუნველობა (Rechtliche Betreuung), სპეციალური მზრუნველობა 435
კარი 1. მეურვეობა 435
ქვეკარი 1. მეურვეობის დადგენა 435
ქვეკარი 2. მეურვეობის განხორციელება 439
ქვეკარი 3 ზრუნვისა და ზედამხედველობის მოვალეობათა განხორციელება საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ 452
ქვეკარი 4. ახალგაზრდობის საქმეთა უწყების ხელშეწყობა 454
ქვეკარი 5. გათავისუფლებული მეურვეობა (Befreite Vormundschaft) 454
ქვეკარი 6. მეურვეობის შეწყვეტა 455
კარი 2. იურიდიული მზრუნველობა 458
კარი 3. სპეციალური მზრუნველობა 468

წიგნი 5. მემკვიდრეობის სამართალი 471

ნაწილი 1. მემკვიდრეობის მიღების წესი 471

ნაწილი 2. მემკვიდრის სამართლებრივი მდგომარეობა 475

კარი 1. სამკვიდროს მიღება და მასზე უარი; სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს მიერ სამკვიდროზე ზრუნვის განხორციელება 475
კარი 2. სამკვიდრო ქონების ვალებისათვის მემკვიდრის პასუხისმგებლობა 479
ქვეკარი 1. სამკვიდრო ქონების ვალები 479
ქვეკარი 2. სამკვიდრო ქონების კრედიტორების მოწვევა 480
ქვეკარი 3. მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვა 481
ქვეკარი 4. საინვენტარიზაციო აღწერის შედგენა, მემკვიდრის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა 485
ქვეკარი 5. შესაგებელი, რომელსაც შედეგად მოყვება ვალის დაფარვის გადავადება (Aufschiebende Einreden) 489
კარი 3. სამკვიდროსთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლება (Erbschaftsanspruch) 490
კარი 4. მემკვიდრეთა სიმრავლე 493
ქვეკარი 1. სამართლებრივი ურთიერთობა მემკვიდრეებს შორის 493
ქვეკარი 2. სამართლებრივი ურთიერთობა მემკვიდრეებსა და სამკვიდრო ქონების კრედიტორებს შორის 498
ნაწილი 3. ანდერძი 500
კარი 1. ზოგადი დებულებები 500
კარი 2. მემკვიდრის დანიშვნა 504
კარი 3. სუბსტიტუტის დანიშვნა 506
კარი 4. საანდერძო დანაკისრი 515
კარი 5. დაკისრებული ვალდებულება 524
კარი 6. ანდერძის აღმსრულებელი 525
კარი 7. ანდერძის შედგენა და გაუქმება 531
კარი 8. ერთობლივი ანდერძი 535
ნაწილი 4. მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება 537
ნაწილი 5. სავალდებულო წილი 543
ნაწილი 6. უღირსი მემკვიდრე 551
ნაწილი 7. მემკვიდრეობაზე უარი 553
ნაწილი 8. სამკვიდრო მოწმობა 554
ნაწილი 9. სამკვიდროს ნასყიდობის ხელშეკრულება 558

ანბანურ-საგნობრივი საძიებელი 561

წიგნი 1. ზოგადი ნაწილი

ნაწილი 1. პირები

კარი 1. ფიზიკური პირები, მომხმარებლები, მეწარმეები

§ 1. უფლებაუნარიანობის წარმოშობა
ადამიანის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადებისთანავე.

§ 2. სრულწლოვანების დადგომა
სრულწლოვანება დგება 18 წლის ასაკის მიღწევისას.

§§ 3–6. *(გაუქმებულია)*

§ 7. საცხოვრებელი ადგილი; დაფუძნება და გაუქმება
(1) პირი, რომელიც განსაზღვრულ ადგილზე მუდმივად ცხოვრობს, აფუძნებს ამ ადგილზე თავის საცხოვრებელ ადგილს.
(2) დასაშვებია ერთდროულად რამდენიმე ადგილზე საცხოვრებელი ადგილის არსებობა.
(3) საცხოვრებელი ადგილი უქმდება, როდესაც პირი ტოვებს საცხოვრებელ ადგილს და მასზე უარს განაცხადებს.

§ 8. ქმედუუნარო პირის საცხოვრებელი ადგილი
(1) ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიან პირს, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, არ შეუძლია არც საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება და არც მისი გაუქმება.
(2) დაქორწინებულ არასრულწლოვანს ან არასრულწლოვანს, რომელიც ადრე დაქორწინებული იყო, შეუძლია დამოუკიდებლად საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება ან გაუქმება.

§ 9. ჯარისკაცის საცხოვრებელი ადგილი
(1) ჯარისკაცს საცხოვრებელი ადგილი აქვს სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილზე. იმ ჯარისკაცის საცხოვრებელ ადგილად, რომელსაც არა აქვს დისლოკაციის ადგილი ქვეყანაში, მიიჩნევა ქვეყანაში განლაგებული სამხედრო ნაწილის დისლოკაციის უკანასკნელი ადგილი.
(2) ეს დებულებები არ გამოიყენება იმ ჯარისკაცების მიმართ, რომლებიც მსახურობენ მხოლოდ სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ან რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება.

§ 10. *(გაუქმებულია)*

§ 11. ბავშვის საცხოვრებელი ადგილი
არასრულწლოვანი ბავშვი იზიარებს თავისი მშობლის საცხოვრებელ ადგილს; იგი არ იზიარებს იმ ერთ-ერთი მშობლის საცხოვრებელ ადგილს, რომელსაც არა აქვს ბავშვის მოვლის უფლება. თუ არც ერთ მშობელს არა აქვს ბავშვის მოვლის უფლე-

ბა, ბავშვი იზიარებს იმ პირის საცხოვრებელ ადგილს, რომელსაც აქვს ეს უფლება. ბავშვი ინარჩუნებს საცხოვრებელ ადგილს მანამდე, სანამ იგი მას კანონიერად არ გააუქმებს.

§ 12. სახელის უფლება
თუ პირს სახელის ტარების უფლებას შეეცილება სხვა პირი, ან თუ უფლებამოსილი პირის ინტერესებიც ილახება სხვა პირის მიერ იმავე სახელით უნებართვო სარგებლობით, უფლებამოსილ პირს შეუძლია, მას მოსთხოვოს ამ დარღვევის შეწყვეტა; თუ გაგრძელდება შემდგომი დარღვევები, მაშინ მას შეუძლია, სასამართლო წესით მოითხოვოს ასეთი ქმედებისაგან თავის შეკავება.

§ 13. მომხმარებელი
მომხმარებელი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დებს ისეთ გარიგებას, რომელიც არ განეკუთვნება მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობას.

§ 14. მეწარმე
(1) მეწარმე არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა უფლებაუნარიანი ამხანაგობა, რომელიც გარიგების დადებისას მოქმედებს სამეწარმეო ან დამოუკიდებელი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.
(2) უფლებაუნარიანია ამხანაგობა, რომელსაც მინიჭებული აქვს უნარი, შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები.

§§ 15-20. *(გაუქმებულია)*

ქვეკარი 1. კავშირები

თავი 1. ზოგადი დებულებები

§ 21. არასამეწარმეო კავშირი
კავშირი, რომლის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობა, უფლებაუნარიანობას იძენს განსჯადი რაიონული სასამართლოს მიერ წარმოებულ კავშირების რეესტრში რეგისტრაციის შედეგად.

§ 22. სამეწარმეო კავშირი
კავშირი, რომლის მიზანია სამეწარმეო საქმიანობა, თუ სპეციალური კანონით სხვა რაიმე არ არის დადგენილი, უფლებაუნარიანობას იძენს სახელმწიფო ნებართვის საფუძველზე. ნებართვა გაიცემა იმ ფედერაციული მხარის მიერ, რომლის ტერიტორიაზეც კავშირს აქვს თავისი ადგილსამყოფელი.

§ 23. *(გაუქმებულია)*

§ 24. ადგილსამყოფელი
თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, კავშირის ადგილსამყოფლად მიიჩნევა ადგილი, სადაც ხორციელდება კავშირის მართვა.

§ 25. შინაგანი სტრუქტურა
უფლებაუნარიანი კავშირის შინაგანი სტრუქტურა იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი ქვემოთ მოცემულ ნორმებს არ ეფუძნება, განისაზღვრება კავშირის წესდებით.

§ 26. გამგეობა და წარმომადგენლობა
(1) კავშირს უნდა ჰქონდეს გამგეობა. გამგეობა წარადგენს კავშირს სასამართლოს წინაშე და სასამართლოსგარეთა ურთიერთობებში; მას აქვს კანონიერი წარმომადგენლის სტატუსი. მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები შეიძლება შეიზღუდოს მესამე პირების მიმართ.
(2) თუ გამგეობა შედგება რამდენიმე პირისაგან, მაშინ კავშირის წარმომადგენლობა ხორციელდება გამგეობის წევრთა უმრავლესობით. თუ ნების გამოვლენა უნდა გაკეთდეს კავშირის მიმართ, მაშინ საკმარისია ნების გამოვლენა გამგეობის ერთი წევრის მიმართ.

§ 27. გამგეობის დანიშვნა და მართვა
(1) გამგეობის დანიშვნა ხორციელდება წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.
(2) დანიშვნაზე უარის თქმა შეიძლება ნებისმიერ დროს, სახელშეკრულებო საზღაურის მოთხოვნის უფლების შეზღუდვის გარეშე. უარის თქმა შეიძლება წესდებაში იმ შემთხვევით შეიზღუდოს, როდესაც მას აქვს მნიშვნელოვანი საფუძველი. ასეთი საფუძველია, კერძოდ, მოვალეობების უხეში დარღვევა ან საქმის სათანადოდ წარმართვის უუნარობა.
(3) გამგეობის მიერ საქმეთა გაძღოლის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება დავალების შესახებ §§ 664-670-ის ნორმები.

§ 28. გამგეობის მიერ გადაწყვეტილებების მიღება
გადაწყვეტილებებს იღებს რამდენიმე პირისაგან შემდგარი გამგეობა §§ 32, 34-ის ნორმების მიხედვით, რომლებიც აწესრიგებს კავშირის წევრთა მიერ გადაწყვეტილებების მიღებას.

§ 29. დანიშვნა გადაუდებელი აუცილებლობისას რაიონული სასამართლოს მიერ
თუ გამგეობას აკლია აუცილებელი წევრები, ისინი გადაუდებელი აუცილებლობისას ხარვეზის აღმოფხვრამდე პერიოდისათვის დაინტერესებული პირის განცხადებით ინიშნებიან რაიონული სასამართლოს მიერ, რომელიც აწარმოებს კავშირების რეგისტრაციას იმ რაიონში, სადაც კავშირს აქვს ადგილსამყოფელი.

§ 30. სპეციალური წარმომადგენლები
წესდებით შეიძლება დადგინდეს, რომ განსაზღვრული გარიგებების დასადებად, გამგეობის გარდა, დაინიშნონ სპეციალური წარმომადგენლები. საეჭვოობისას აღნიშნული წარმომადგენლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ვრცელდება ყველა იმ გარიგებაზე, რომლებსაც მისთვის განსაზღვრული საქმიანობის სფერო ჩვეულებრივ მოიცავს.

§ 31. კავშირის პასუხისმგებლობა ორგანოებისათვის
კავშირი პასუხისმგებელია მესამე მხარის წინაშე ზიანისათვის, რომელიც მიყენებულ იქნა გამგეობის, გამგეობის წევრის ან კავშირის შინაგანი სტრუქტურის მი-

ხედვით დანიშნული წარმომადგენლის მოქმედების შედეგად მისთვის დაკისრებული საქმიანობის განხორციელების დროს.

§ 31ა. გამგეობის წევრთა პასუხისმგებლობა

(1) გამგეობა, რომელიც საქმიანობს უსასყიდლოდ ან თავისი საქმიანობისათვის იღებს საზღაურს, რომლის ოდენობაც წელიწადში არ აღემატება 500 ევროს, თავისი მოვალეობების განხორციელებისას დამდგარი ზიანისათვის კავშირის წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის. პირველი წინადადება მოქმედებს ასევე კავშირის წევრების წინაშე პასუხისმგებლობის მიმართ.

(2) თუ გამგეობა, პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სხვა პირის წინაშე ვალდებულია, აანაზღაუროს თავისი მოვალეობების განხორციელებისას დამდგარი ზიანი, მაშინ მას შეუძლია, კავშირისაგან მოითხოვოს ვალდებულებისაგან გათავისუფლება. პირველი წინადადება არ მოქმედებს, თუ ზიანი მიყენებულ იქნა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.

§ 32. კავშირის წევრთა საერთო კრება; გადაწყვეტილებების მიღება

(1) იმდენად, რამდენადაც კავშირის საქმეები არ მიეკუთვნება გამგეობის ან კავშირის სხვა ორგანოს კომპეტენციას, ისინი ექვემდებარებიან წევრთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტას. გადაწყვეტილების ნამდვილობისათვის საჭიროა კრების მოწვევისას დღის წესრიგის მითითება. გადაწყვეტილება მიიღება მიცემულ ხმათა უმრავლესობით.

(2) გადაწყვეტილება ნამდვილია ასევე წევრთა კრების გარეშეც, როდესაც ყველა წევრი წერილობით განაცხადებს თავის თანხმობას.

§ 33. ცვლილებები წესდებაში

(1) იმ გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ეხება წესდებაში ცვლილებებს, საჭიროა დამსწრე წევრთა უმრავლესობა სამი მეოთხედის ოდენობით. კავშირის მიზნის შესაცვლელად საჭიროა ყველა წევრის თანხმობა; იმ წევრთა თანხმობა, რომლებიც კრებას არ ესწრებიან, უნდა გაცხადდეს წერილობით.

(2) თუ კავშირის უფლებაუნარიანობა გამომდინარეობს ნებართვიდან, მაშინ წესდებაში ნებისმიერი ცვლილებებისათვის საჭიროა კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა.

§ 34. ხმის მიცემის შეზღუდვა

წევრს არა აქვს ხმის უფლება, როდესაც გადაწყვეტილება ეხება მასთან გარიგების დადებას ან მასსა და კავშირს შორის დავის დაწყებასა თუ მოგვარებას.

§ 35. განსაკუთრებული უფლებები

წევრის განსაკუთრებული უფლებები მისი თანხმობის გარეშე წევრთა საერთო კრებით არ შეიძლება შეიბღალოს.

§ 36. წევრთა საერთო კრების მოწვევა

წევრთა საერთო კრების მოწვევა ხდება წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ისევე როგორც იმ შემთხვევებში, როდესაც კავშირის ინტერესები ამას მოითხოვს.

§ 37. მოწვევა უმრავლესობის მოთხოვნით

(1) წევრთა საერთო კრება უნდა იქნეს მოწვეული, თუ წესდებით გათვალისწინებული წევრთა ოდენობა ან, შესაბამისი ნორმის არარსებობისას, წევრთა ერთი მეათედი მოწვევის მიზნისა და საფუძვლების მითითებით წერილობით ითხოვს ამას.

(2) თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მაშინ რაიონულ სასამართლოს შეუძლია, კრების მოწვევის უფლებამოსილება მიანიჭოს იმ წევრს, რომელიც ითხოვდა მოწვევას; მას შეუძლია მიიღოს განკარგულებები კრების გაძღოლის შესახებ. კომპეტენტურია ის რაიონული სასამართლო, რომელიც აწარმოებს კავშირების რეგისტრაციას იმ რაიონში, სადაც კავშირს აქვს ადგილსამყოფელი. უფლებამოსილების თაობაზე უნდა იყოს მითითებული კრების მოწვევის შეტყობინებაში.

§ 38. წევრობა

წევრობა არ ექვემდებარება გასხვისებას და მემკვიდრეობით გადაცემას. წევრობის უფლებების რეალიზაცია არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს.

§ 39. კავშირიდან გასვლა

(1) წევრი უფლებამოსილია, გავიდეს კავშირიდან.

(2) წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ გასვლა დასაშვები იყოს მხოლოდ სამეურნეო წლის ბოლოს ან შეტყობინების ვადის გასვლის შემდეგ; შეტყობინების მაქსიმალური ვადა შეადგენს ორ წელიწადს.

§ 40. დისპოზიციური ნორმები

§ 26-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების, § 27-ის პირველი და მე-3 ნაწილების, § 28-ის, § 31ა-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, ასევე §§ 32, 33 და 38-ის ნორმები არ გამოიყენება იმ ფარგლებში, რომლებშიც წესდება სხვაგვარად ადგენს.

§ 41. კავშირის დაშლა

კავშირი შეიძლება დაიშალოს წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე წევრთა უმრავლესობა სამი მეოთხედის ოდენობით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

§ 42. გაკოტრება

(1) კავშირი იშლება გაკოტრების საქმისწარმოების გახსნით ან იმ გადაწყვეტილების ძალაში შესვლით, რომლითაც გაკოტრების საქმისწარმოების გახსნაზე ითქვა უარი გაკოტრების მასის არარსებობის გამო. თუ საქმისწარმოება შეჩერდა მოვალის განცხადებით, ან შეწყდა იმ გაკოტრების გეგმის დამტკიცების შემდეგ, რომელიც ითვალისწინებს კავშირის არსებობის გაგრძელებას, მაშინ წევრთა საერთო კრებას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება კავშირის არსებობის გაგრძელების თაობაზე. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ კავშირი გაკოტრების საქმისწარმოების დაწყების შემთხვევაში არსებობას გააგრძელებს როგორც უფლებაუნარიანი კავშირი; ასევე ამ შემთხვევაშიც, თუ მე-2 წინადადების მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, გადაწყვეტილება შეიძლება იქნეს მიღებული როგორც უფლებაუნარიანი კავშირის არსებობის გაგრძელებაზე.

(2) გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების შემთხვევაში გამგეობამ უნდა განაცხადოს გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის შესახებ. თუ განცხადება დაგვიანებით იქნება წარდგენილი, ბრალეულად მოქმედი გამგეობის წევრები ვალდებულნი

არიან, აუნაზღაურონ კრედიტორებს ამის შედეგად მიყენებული ზიანი; ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 43. უფლებაუნარიანობის ჩამორთმევა
კავშირს, რომლის უფლებაუნარიანობა ეფუძნება ნებართვას, შეიძლება ჩამოერთვას უფლებაუნარიანობა, თუ მას სხვა მიზანი ექნება, ვიდრე ეს გათვალისწინებულია წესდებით.

§ 44. განსჯადობა და საქმის წარმოება
გათვალისწინებულ შემთხვევებში განსჯადობა და საქმისწარმოება განისაზღვრება იმ ფედერაციული მხარის სამართლით, სადაც კავშირს აქვს ადგილსამყოფელი.

§ 45. კავშირის ქონების გადაცემა
(1) კავშირის დაშლით ან უფლებაუნარიანობის ჩამორთმევით ქონება გადადის წესდებაში მითითებულ პირებზე.
(2) წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს, რომ ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები განისაზღვრონ წევრთა საერთო კრების ან კავშირის სხვა ორგანოს გადაწყვეტილებით. თუ კავშირის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობა, მაშინ წევრთა საერთო კრებას შეუძლია, თუნდაც აღნიშნული ნორმის გარეშეც, გადასცეს ქონება საჯარო ფონდს ან დაწესებულებას.
(3) თუ ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირები არ არიან განსაზღვრულნი, და თუ წესდების მიხედვით კავშირი ემსახურება მხოლოდ მისი წევრების ინტერესებს, ქონება თანაბარწილად გადადის კავშირის დაშლის ან მისთვის უფლებაუნარიანობის ჩამორთმევის მომენტისათვის არსებულ წევრებზე; სხვა შემთხვევაში – ფედერაციული მხარის ხაზინაზე, რომლის ტერიტორიაზეც კავშირს აქვს თავისი ადგილსამყოფელი.

§ 46. კავშირის ქონების გადასვლა ხაზინაზე
თუ კავშირის ქონება გადადის ხაზინაზე, მაშინ შესაბამისად გამოიყენება ხაზინაზე, როგორც კანონისმიერ მემკვიდრეზე, მემკვიდრეობის გადაცემის მომწესრიგებელი ნორმები. ხაზინამ შეძლებისდაგვარად ქონება უნდა გამოიყენოს კავშირის მიზნის შესაბამისად.

§ 47. ლიკვიდაცია
თუ კავშირის ქონება არ გადადის ხაზინაზე, მაშინ უნდა განხორციელდეს ლიკვიდაცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კავშირის ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმისწარმოება.

§ 48. ლიკვიდატორები
(1) ლიკვიდაცია ხორციელდება გამგეობის მიერ. ლიკვიდატორებად შეიძლება დაინიშნონ ასევე სხვა პირებიც; დანიშვნისათვის გამოიყენება გამგეობის დანიშვნის მიმართ მოქმედი ნორმები.
(2) ლიკვიდატორებს მინიჭებული აქვთ გამგეობის უფლებრივი მდგომარეობა, თუ ლიკვიდაციის მიზნიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.
(3) თუ სახეზეა რამდენიმე ლიკვიდატორი, მაშინ ისინი წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ მხოლოდ ერთობლივად და გადაწყვეტილებები შეიძ-

ლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ერთხმად, თუ განსხვავებული წესი არ არის დადგენილი.

§ 49. ლიკვიდატორთა ამოცანები

(1) ლიკვიდატორებმა უნდა დაასრულონ მიმდინარე საქმეები, მოითხოვონ ვალების დაბრუნება, დარჩენილი ქონება გადაიყვანონ ფულში, დააკმაყოფილონ კრედიტორები და ზედმეტობა გადასცენ ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს. მიმდინარე საქმეების დასრულებისათვის ლიკვიდატორებს შეუძლიათ დადონ, აგრეთვე, ახალი გარიგებები. ვალების დაბრუნების მოთხოვნა, ასევე დარჩენილი ქონების გადაყვანა ფულში შეიძლება არ განხორციელდეს იმდენად, რამდენადაც ეს ზომები საჭირო არ არის კრედიტორების დაკმაყოფილებისა თუ ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს შორის ზედმეტობის განაწილებისათვის.

(2) კავშირი ლიკვიდაციის დასრულებამდე აგრძელებს არსებობას იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია ლიკვიდაციის მიზნისათვის.

§ 50. ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კავშირის შესახებ გამოქვეყნება

(1) კავშირის დაშლა ან მისთვის უფლებაუნარიანობის ჩამორთმევა ლიკვიდატორების მიერ უნდა გამოქვეყნდეს. გამოქვეყნებულ განცხადებაში კრედიტორებს უნდა შესთავაზონ მათ მიერ თავიანთი მოთხოვნების შესახებ განცხადების წარდგენა. გამოქვეყნება ხორციელდება წესდებით განსაზღვრულ გაზეთში. გამოქვეყნება ითვლება განხორციელებულად გამოქვეყნების ან პირველი გამოქვეყნების შემდეგ მეორე დღის გასვლისთანავე.

(2) ცნობილ კრედიტორებს თავიანთი მოთხოვნების განცხადების შესახებ უნდა შესთავაზონ სპეციალური შეტყობინებით.

§ 50ა. გაზეთი, რომელშიც უნდა მოხდეს გამოქვეყნება

თუ კავშირმა წესდებაში არ განსაზღვრა გაზეთი, რომელშიც უნდა მოხდეს გამოქვეყნება, ან ამ გაზეთის ბეჭდვა შეწყდა, კავშირის შესახებ განცხადებების გამოქვეყნება უნდა განხორციელდეს იმ რაიონული სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც კავშირს აქვს თავისი ადგილსამყოფელი.

§ 51. ერთწლიანი ლოდინის ვადა

ქონების გადაცემა ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებზე არ შეიძლება განხორციელდეს ერთწლიანი ვადის გასვლამდე კავშირის დაშლისა თუ უფლებაუნარიანობის ჩამორთმევის გამოქვეყნების შემდეგ.

§ 52. უზრუნველყოფა კრედიტორებისათვის

(1) თუ ცნობილი კრედიტორი არ განაცხადებს თავისი მოთხოვნის შესახებ, მაშინ დავალიანების თანხა შეიძლება დეპონირებულ იქნეს კრედიტორისთვის, თუკი დეპონირების განხორციელება გამართლებულია.

(2) თუ მოცემულ მომენტში ვალდებულების შესრულება შეუძლებელია, ან თუ ვალდებულება სადავოა, მაშინ ქონება შეიძლება გადაეცეს ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კრედიტორს წარედგინება უზრუნველყოფა.

§ 53. ლიკვიდატორების პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურებაზე
ლიკვიდატორები, რომლებიც მათზე § 42-ის მე-2 ნაწილისა და §§ 50, 51 და 52-ით დაკისრებულ ვალდებულებებს არღვევენ, ან კრედიტორების დაკმაყოფილებამდე ქონებას გადასცემენ ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს, ბრალეული მოქმედების შემთხვევაში, ვალდებულნი არიან, კრედიტორებს აუნაზღაურონ აღნიშნულის შედეგად დამდგარი ზიანი; ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 54. არაუფლებაუნარიანი კავშირები
არაუფლებაუნარიანი კავშირების მიმართ გამოიყენება ამხანაგობის მიმართ დადგენილი ნორმები. იმ გარიგებიდან გამომდინარე, რომელიც ასეთი კავშირის სახელით იდება მესამე პირთან, პასუხს აგებს მოქმედების განმახორციელებელი; თუ მოქმედებს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

თავი 2. რეგისტრირებული კავშირები

§ 55. განსჯადობა რეგისტრაციის განხორციელებისათვის
§ 21-ში მითითებული სახის კავშირის რეგისტრაცია ხორციელდება იმ რაიონული სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც კავშირს აქვს თავისი ადგილსამყოფელი.

§ 55ა. კავშირის ელექტრონული რეესტრი
(1) ფედერაციული მხარის მთავრობებს სახელისუფლო განკარგულებით შეუძლიათ განსაზღვრონ, – შესაბამის ფარგლებში, – რომ კავშირების ელექტრონული რეგისტრაცია განხორციელდეს კომპიუტერულ მონაცემთა სახით. ამასთან, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:
1. დაცულია მონაცემთა გადამუშავების სათანადო პრინციპები, კერძოდ, მიღებულია ზომები მონაცემთა დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, ასევე სათანადოდაა დაცული მონაცემთა ბაზის საჭირო ასლები, სულ ცოტა, დღიურ საწყისებზე, ორიგინალური მონაცემთა ბაზა და მათი ასლები;
2. განსახორციელებელი ჩანაწერები დაუყოვნებლივ იქნა შეტანილი მეხსიერებაში და შესაძლებელია მათი შინაარსის პერიოდულად შეუცვლელად გამოტანა წაკითხვადი ფორმით;
3. მიღებულ იქნა „საადგილმამულო რეესტრის წარმოების შესახებ“ კანონის § 126-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება, №3-ის დანართით მოთხოვნილი ზომები. ფედერაციული მხარის მმართველობის ორგანოებს სახელისუფლო განკარგულებით შეუძლიათ, პირველი წინადადებით გათვალისწინებული უფლებამოსილება გადასცენ ფედერაციული მხარის იუსტიციის მმართველობის ორგანოებს.

(2) კავშირების ელექტრონული რეესტრი იკავებს წინა რეესტრის ერთი გვერდის ადგილს, როგორც კი ჩანაწერები ამ გვერდზე განხორციელდა მეხსიერებაში შესატანი კავშირების შესახებ მონაცემთა ჩანაწერებისათვის და ხელმისაწვდომი გახდა როგორც კავშირების რეესტრი. კავშირების წინა რეესტრის შესაბამისი გვერდები უნდა აღინიშნოს ნიშნით „დახურულია“.

(3) ჩანაწერი ძალაშია იმ მომენტიდან, როდესაც იგი შეტანილია კავშირების შესახებ მონაცემთა ჩანაწერების მეხსიერებაში და შესაძლებელია მისი შინაარსის პერიოდულად შეუცვლელად წაკითხვადი ფორმით გამოტანა. დამადასტურებელი ცნობით ან სხვა სათანადო გზით უნდა დადასტურდეს, რომ ეს წინაპირობები შეტანილია. ნებისმიერი ჩანაწერი უნდა უთითებდეს თარიღს, როდესაც იგი შევიდა ძალაში.

§ 56. კავშირის წევრთა მინიმალური რაოდენობა
რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წევრთა რაოდენობა, სულ ცოტა, შვიდს შეადგენს.

§ 57. კავშირის წესდების მიმართ მინიმალური მოთხოვნები
(1) წესდება უნდა შეიცავდეს საქმიანობის მიზანს, კავშირის სახელწოდებასა და ადგილსამყოფელს და უნდა უთითებდეს, რომ კავშირი ექვემდებარება რეგისტრაციას.
(2) სახელწოდება გარკვევით უნდა განსხვავდებოდეს იმავე ტერიტორიაზე ან იმავე მუნიციპალიტეტში სხვა კავშირების სახელწოდებებისაგან.

§ 58. კავშირის წესდების სავალდებულო შინაარსი
წესდება უნდა შეიცავდეს დებულებებს:
1. წევრთა მიღებისა და კავშირიდან წევრთა გასვლის წესის შესახებ;
2. იმის თაობაზე, ახორციელებენ თუ არა წევრები – და თუ ახორციელებენ, რა ოდენობით – შენატანებს;
3. გამგეობის შემადგენლობის ფორმირების შესახებ;
4. იმ წინაპირობების შესახებ, რომელთა თანახმადაც უნდა იქნეს მოწვეული წევრთა საერთო კრება, მოწვევის ფორმისა და გადაწყვეტილების დამოწმების წესის შესახებ.

§ 59. განცხადების რეგისტრაცია
(1) გამგეობამ უნდა წარადგინოს განცხადება კავშირის სარეგისტრაციოდ;
(2) განცხადებას უნდა დაერთოს წესდებისა და გამგეობის დანიშვნის შესახებ დოკუმენტების ასლები;
(3) წესდება უნდა იქნეს ხელმოწერილი, სულ ცოტა, შვიდი წევრის მიერ და უნდა შეიცავდეს მითითებას მიღების თარიღის შესახებ.

§ 60. განცხადების მიღებაზე უარის თქმა
თუ §§ 56-59-ით გათვალისწინებული მოთხოვნები არ არის შესრულებული, განცხადების მიღებაზე უარი უნდა იქნეს განცხადებული რაიონული სასამართლოს მიერ უარის საფუძვლების მითითებით.

§§ 61-63 *(გაუქმებულია)*

§ 64. კავშირის რეგისტრაციის ჩანაწერის შინაარსი
ჩანაწერის გაკეთებისას უნდა მიეთითოს კავშირის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, წესდების მიღების თარიღი, გამგეობის წევრები და მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

§ 65. სახელწოდების დამატება
ჩანაწერის გაკეთებისას კავშირის სახელწოდებას დაერთვის დამატება „რეგისტრირებული კავშირი“.

§ 66. სარეგისტრაციო ჩანაწერის გამოქვეყნება და დოკუმენტების შენახვა
(1) რაიონულმა სასამართლომ კავშირის შესახებ ჩანაწერი უნდა გამოაქვეყნოს კავშირების რეესტრში ფედერაციული მხარის იუსტიციის მმართველობის ორგანოს მიერ განსაზღვრულ ელექტრონულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემაში.
(2) განცხადებასთან ერთად წარდგენილი დოკუმენტები უნდა შეინახოს რაიონულმა სასამართლომ.

§ 67. ცვლილება გამგეობის შემადგენლობაში
(1) გამგეობის შემადგენლობაში ნებისმიერი ცვლილება გამგეობის მიერ განცხადებულ უნდა იქნეს რეგისტრაციისათვის. განცხადებას უნდა დაერთოს ცვლილების შესახებ დოკუმენტის ასლი.
(2) სასამართლოს მიერ დანიშნულ გამგეობის წევრებს რეესტრში აღრიცხავს სასამართლო საკუთარი ინიციატივით.

§ 68. ნდობის დაცვა კავშირის რეგისტრაციისას
თუ გარიგება დაიდო გამგეობის ყოფილ წევრებსა და მესამე პირებს შორის, მაშინ გამგეობის შემადგენლობაში ცვლილება მესამე პირის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუ გარიგების დადების მომენტში ცვლილება რეგისტრირებული იყო კავშირების რეესტრში, ან ცნობილი იყო მესამე პირისათვის. როცა ცვლილება რეგისტრირებულია, მესამე პირს არ შეუძლია მისი შინაარსის საწინააღმდეგოდ მითითება, თუ მან მის შესახებ არაფერი იცის, და თუ მისი უცოდინარობა ასევე არ არის გამოწვეული დაუდევრობით.

§ 69. კავშირის გამგეობის შემადგენლობის მტკიცება
იმ მტკიცებულების სახით, რომ გამგეობა შედგება რეგისტრირებული პირებისაგან, ადმინისტრაციულ ორგანოებს წარედგინება რეგისტრაციის შესახებ რაიონული სასამართლოს მოწმობა.

§ 70. ნდობის დაცვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების რეგისტრაციისას
§ 68-ის რეგულირება გამოიყენება ასევე იმ ნორმების მიმართ, რომლებითაც იზღუდება გამგეობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები, ან დგინდება გამგეობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების § 26-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებისაგან განსხვავებული წესი.

§ 71. ცვლილებები წესდებაში
(1) წესდებაში ცვლილებები მათი ნამდვილობისათვის რეგისტრირებულ უნდა იქნეს კავშირების რეესტრში. ცვლილების განცხადებას სარეგისტრაციოდ წარადგენს გამგეობა. განცხადებას უნდა დაერთოს ცვლილების შემცველი გადაწყვეტილების ასლი და წესდების ტექსტი. წესდების ტექსტში შეცვლილი დებულებები უნდა შეესაბამებოდეს წესდების ცვლილების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, შეუცვლელ დებულებებს წესდების წარდგენილ ბოლო სრულ ვერსიასთან ერთად, ხოლო თუ

წესდება შეიცვალა ისე, რომ არ იქნა წარდგენილი წესდების სრული ვერსია, – ასევე თავდაპირველად რეგისტრირებულ ცვლილებებს.
(2) შესაბამისად, გამოიყენება §§ 60, 64 და § 66-ის მე-2 ნაწილის ნორმები.

§ 72. წევრთა რაოდენობის დადასტურება
გამგეობამ რაიონული სასამართლოს მოთხოვნით ნებისმიერ დროს უნდა წარუდგინოს მას მის მიერ შედგენილი კავშირის წევრთა რაოდენობის შესახებ წერილობითი ცნობა.

§ 73. წევრთა რაოდენობის მინიმალურ რაოდენობაზე ქვემოთ ჩამოსვლა
თუ წევრთა რაოდენობა სამზე ქვემოთ ჩამოვიდა, მაშინ რაიონულმა სასამართლომ გამგეობის განცხადების საფუძველზე, – ხოლო თუ განცხადება არ იქნა წარდგენილი სამი თვის განმავლობაში, საკუთარი ინიციატივით – გამგეობის მოსმენის შემდეგ კავშირს უნდა ჩამოართვას უფლებაუნარიანობა.

§ 74. კავშირის დაშლა
(1) კავშირის დაშლა, ისევე როგორც უფლებაუნარიანობის ჩამორთმევა, ექვემდებარება რეესტრში რეგისტრაციას.
(2) თუ კავშირი იშლება წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ან იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც იგი იყო შექმნილი, მაშინ დაშლის შესახებ განცხადება სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს გამგეობამ. პირველ შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს დაშლის შესახებ გადაწყვეტილების ასლი.

§ 75. სარეგისტრაციო ჩანაწერები გაკოტრების საქმის წარმოებისას
(1) გაკოტრების საქმის წარმოების აღძვრა და გადაწყვეტილება, რომლითაც გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე ითქვა უარი გაკოტრების მასის არარსებობის გამო, ასევე § 42-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, კავშირის გაუქმება ექვემდებარება რეგისტრაციას სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით. საკუთარი ინიციატივით ასევე ექვემდებარება რეგისტრაციას:
1. გაკოტრების საქმისწარმოების აღძვრის გადაწყვეტილების გაუქმება;
2. დროებითი გაკოტრების მმართველის დანიშვნა, თუ დამატებით მოვალეს ზოგადად აეკრძალა ქონების გასხვისება, ან დადგინდა, რომ მოვალის მიერ განხორციელებული განკარგვები ძალმოსილია მხოლოდ დროებითი გაკოტრების მმართველის თანხმობით და, ასეთი უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება;
3. მოვალის მიერ ქონების მართვის განკარგულება და ამ უკანასკნელის გაუქმება, ასევე ის განკარგულება, რომლითაც მოვალის მიერ განსაზღვრული გარიგების დადებისათვის მოითხოვება თანხმობა;
4. საქმისწარმოების შეჩერება და შეწყვეტა;
5. გაკოტრების გეგმის შესრულებაზე ზედამხედველობა და ამ უკანასკნელის შეწყვეტა.

(2) თუ წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით კავშირის არსებობა გაგრძელდება § 42-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, მაშინ არსებობის გაგრძელების შესახებ განცხადება სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს გამგეობამ. განცხადებას თან უნდა დაერთოს გადაწყვეტილების ასლი.

§ 76. ლიკვიდატორების რეგისტრაციაში გატარება

(1) კავშირის ლიკვიდაციისას ლიკვიდატორები და მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ექვემდებარება კავშირის რეესტრში რეგისტრაციას. ანალოგიური წესი მოქმედებს ლიკვიდაციის შემდეგ კავშირის გაუქმებისას.

(2) განცხადება სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს გამგეობამ. სარეგისტრაციოდ წარდგენისას უნდა მიეთითოს ლიკვიდატორთა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები. ლიკვიდატორების ან მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ცვლილებები, ასევე კავშირის გაუქმება სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინონ ლიკვიდატორებმა. წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით დანიშნული ლიკვიდატორების მიერ წარდგენილ განცხადებას უნდა დაერთოს გადაწყვეტილების ასლი, ხოლო § 48-ის მე-3 ნაწილისაგან განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადგენისას განცხადებას უნდა დაერთოს ამ წესის შემცველი დოკუმენტის ასლი.

(3) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორების რეგისტრაცია ხორციელდება სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით.

§ 77. განცხადების წარდგენაზე ვალდებული პირები და განცხადების წარდგენის ფორმა

კავშირის რეგისტრაციის განცხადებები წარდგენილ უნდა იქნეს ოფიციალურად დამოწმებული განცხადების მეშვეობით გამგეობის წევრების, ისევე როგორც ლიკვიდატორების მიერ, რამდენადაც ეს უკანასკნელნი უფლებამოსილნი არიან, წარმოადგინონ კავშირი. განცხადება შეიძლება სასამართლოს წარედგინოს ორიგინალის ან ოფიციალურად დამოწმებული ასლის სახით.

§ 78. ჯარიმის ოდენობის დადგენა

(1) რაიონულ სასამართლოს შეუძლია გამგეობის წევრების მიერ § 67-ის პირველი ნაწილით, § 71-ის პირველი ნაწილით, § 72-ით, § 74-ის მე-2 ნაწილით, § 75-ის მე-2 ნაწილითა და § 76-ით დადგენილი ნორმების შესრულების იძულება ჯარიმების დადგენით.

(2) ანალოგიური წესით ლიკვიდატორებს შეუძლიათ § 76-ით დადგენილი ნორმების შესრულების იძულება.

§ 79. კავშირების რეესტრის გაცნობა

(1) კავშირების რეესტრის გაცნობა, ისევე როგორც კავშირის მიერ რაიონული სასამართლოსათვის წარდგენილი დოკუმენტების გაცნობა ნებადართულია ნებისმიერი პირისათვის. ჩანაწერებიდან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ასლი; მოთხოვნის შემთხვევაში ასლი უნდა დამოწმდეს. თუ კავშირების რეესტრის წარმოება ხდება ელექტრონულად, ასლის ადგილს იკავებს ამონაბეჭდი, დამოწმებული ასლის შემთხვევაში კი ოფიციალური ამონაბეჭდი.

(2) კომპიუტერიზებული წარმოების დანერგვა, რომლითაც შესაძლებელია გამოძახების გზით ელექტრონულად წარმოებული კავშირების რეესტრიდან მონაცემების გადაგზავნა, დასაშვებია, თუ:

1. მონაცემების გამოძახება არ აღემატება პირველი ნაწილის თანახმად დასაშვებ გაცნობას, და
2. გამოძახებების დასაშვებობა შემოწმდება ოქმის საფუძველზე.

ფედერაციულ მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ ფედერაციული მხარეების საუწყე-

ბათაშორისო ელექტრონული საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემის წარმოების პროცედურა.
(3) მომხმარებელს უნდა შეატყობინონ, რომ მას შეუძლია გადაცემული მონაცემების გამოყენება მხოლოდ საინფორმაციო მიზნით. კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ (მაგ., შერჩევითი შემოწმების შედეგად) უნდა დაამტკიცოს, არის თუ არა სახეზე მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ პირველი წინადადების თანახმად დასაშვები გაცნობა გადაჭარბებულ იქნა ან მიწოდებული მონაცემები არასათანადოდ გამოიყენება.
(4) კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია გამორიცხოს კომპიუტერიზებულ მონაცემთა გამოძახების პროცედურაში მონაწილეობისაგან ის მომხმარებელი, რომელიც საფრთხეს უქმნის მონაცემთა გამოძახების ფუნქციონირების საიმედოობას, აჭარბებს მე-3 ნაწილის პირველი წინადადებით დაშვებულ გაცნობის კვოტას ან მიწოდებულ მონაცემებს არასათანადოდ იყენებს.
(5) კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოა ფედერაციული მხარის იუსტიციის მმართველობის ორგანო. ადგილობრივი კომპეტენციის მქონე ორგანოა ადმინისტრაციული ორგანო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს განსჯადი რაიონული სასამართლო. განსჯადობა შეიძლება განსხვავებულად მოწესრიგდეს ფედერაციული მხარის მთავრობის სახელისუფლო განკარგულებით. ფედერაციული მხარის მთავრობას შეუძლია, აღნიშნული უფლებამოსილება სახელისუფლო განკარგულებით გადასცეს ფედერაციული მხარის იუსტიციის მმართველობის ორგანოს. ფედერაციულ მხარეებს შეუძლიათ, აგრეთვე, შეთანხმდნენ განსჯადობის სხვა ფედერაციული მხარის კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოსათვის გადაცემაზე.

ქვეკარი 2. ფონდები

§ 80. უფლებაუნარიანი ფონდის დაფუძნება

(1) უფლებაუნარიანი ფონდის დაფუძნებისათვის საჭიროა დაფუძნების გარიგება და იმ ფედერაციული მხარის კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვა, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ფონდს უნდა ჰქონდეს ადგილსამყოფელი.
(2) ფონდი უფლებაუნარიანად აღიარებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როდესაც დაფუძნების გარიგება აკმაყოფილებს § 81-ის პირველი ნაწილის მოთხოვნებს, ასევე თუ ჩანს, რომ იგი გრძელვადიანი პერსპექტივითა და მყარად უზრუნველყოფს ფონდის მიზნის განხორციელებას და ეს უკანასკნელი საფრთხეს არ უქმნის საზოგადო სიკეთეს.
(3) ფედერაციული მხარის საკანონმდებლო ნორმები საეკლესიო ფონდების შესახებ უცვლელი რჩება. ანალოგიური წესი გამოიყენება შესაბამისად იმ ფონდების მიმართ, რომლებსაც ფედერაციული მხარის კანონმდებლობა უთანაბრებს საეკლესიო ფონდებს.

§ 81. დაფუძნების გარიგება

(1) ცოცხალ პირთა შორის დაფუძნების გარიგება საჭიროებს მისი წერილობითი ფორმით დადებას. იგი უნდა შეიცავდეს დამფუძნებლის დამავალდებულებელ განცხადებას, რომ ქონება გადაეცემა მის მიერ დასახული მიზნისათვის. დაფუძნების გარიგებით უნდა იქნეს მიღებული ფონდის წესდება შემდეგი დებულებებით:

1. ფონდის სახელწოდება,
2. ფონდის ადგილსამყოფელი,
3. ფონდის მიზანი,
4. ფონდის ქონება,
5. ფონდის გამგეობის შემადგენლობა.

თუ ფონდის დაფუძნების გარიგება მე-3 წინადადების მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს და დამფუძნებელი გარდაცვლილია, შესაბამისად, გამოიყენება § 83-ის მე-2-მე-4 წინადადებები.

(2) ფონდის უფლებაუნარიანად აღიარებამდე დამფუძნებელი უფლებამოსილია, უარი თქვას დაფუძნების გარიგებაზე. თუ აღიარების თაობაზე განცხადება წარდგენილია კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოში, უარის განცხადებაც უნდა მოხდეს მხოლოდ ამ უკანასკნელის წინაშე. დამფუძნებლის მემკვიდრე არ არის უფლებამოსილი, უარი თქვას დაფუძნების გარიგებაზე, თუ დამფუძნებელი განცხადებას წარადგენს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოში, ან თუ დაფუძნების გარიგება დამოწმდა სანოტარო წესით, დამფუძნებელმა დამოწმებისას ან დამოწმების შემდეგ ნოტარიუსს დაავალა განცხადების წარდგენა.

§ 82. დამფუძნებლის ვალდებულება ქონების გადაცემაზე

თუ ფონდი აღიარებულ იქნა უფლებაუნარიანად, მაშინ დამფუძნებელი ვალდებულია, გადასცეს ფონდს დაფუძნების გარიგებით შეპირებული ქონება. ის უფლებები, რომელთა გადაცემა ხდება მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებით, ფონდზე გადადის ამ უკანასკნელის აღიარების მომენტიდან, თუ დაფუძნების გარიგებიდან დამფუძნებლის სხვა განზრახვა არ გამომდინარეობს.

§ 83. ფონდი ანდერძით

თუ დაფუძნების გარიგება არის საანდერძო განკარგულება, სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ აღნიშნულის შესახებ უნდა შეატყობინოს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს აღიარებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განცხადება წარდგენილია მემკვიდრის ან ანდერძის აღმსრულებლის მიერ. თუ დაფუძნების გარიგება არ აკმაყოფილებს § 81-ის პირველი ნაწილის მე-3 წინადადების მოთხოვნებს, მაშინ ფონდს კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ აღიარებამდე უნდა გადასცეს წესდება, ან შეიტანოს დამატებები არასრულ წესდებაში; ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს დამფუძნებლის ნება. თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, ფონდის ადგილსამყოფლად მიიჩნევა ადგილი, სადაც ხორციელდება მისი მართვა. საეჭვოობისას ადგილსამყოფლად მიიჩნევა ქვეყნის ტერიტორიაზე დამფუძნებლის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი.

§ 84. აღიარება დამფუძნებლის გარდაცვალების შემდეგ

თუ ფონდი უფლებაუნარიანად აღიარებულ იქნა დამფუძნებლის გარდაცვალების შემდეგ, მაშინ მის მიერ განხორციელებული შენატანების მიზნისათვის მიიჩნევა, რომ ფონდი შეიქმნა ჯერ კიდევ დამფუძნებლის გარდაცვალებამდე.

§ 85. ფონდის შინაგანი სტრუქტურა

ფონდის შინაგანი სტრუქტურა – იმდენად, რამდენადაც იგი არ ეფუძნება ფედერაციის ან ფედერაციული მხარის კანონმდებლობას, – განისაზღვრება დაფუძნების გარიგებით.

§ 86. კავშირების მომწესრიგებელი სამართლის გამოყენება
§§ 26-ისა და 27-ის მე-3 ნაწილის, §§ 28-31ა-ს, 42-ის ნორმები, შესაბამისად, გამოიყენება ფონდების მიმართ; § 26-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების და § 27-ის მე-3 ნაწილისა და § 28-ის ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ფონდის შინაგანი სტრუქტურიდან – კერძოდ კი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მართვიდან – განსხვავებული წესი არ გამომდინარეობს. § 26-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება და § 29 არ გამოიყენება იმ ფონდების მიმართ, რომელთა მართვას ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანო.

§ 87. ფონდის მიზნის შეცვლა; გაუქმება
(1) თუ ფონდის მიზნის შესრულება შეუძლებელი გახდა, ან მისი განხორციელება საფრთხეს უქმნის საზოგადო სიკეთეს, მაშინ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია, ფონდს განუსაზღვროს სხვა მიზანი, ან გააუქმოს იგი.
(2) მიზნის შეცვლისას დამფუძნებლის ნება უნდა იქნეს გათვალისწინებული, განსაკუთრებით, უნდა იზრუნონ იმაზე, რომ შემოსავლები ფონდის ქონებიდან გადაეცეს პირთა იმ წრეს, რომლისთვისაც ისინი იყო განკუთვნილი დამფუძნებლის ნების შესაბამისად. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია შეცვალოს ფონდის შინაგანი სტრუქტურა იმ ფარგლებში, რომლებშიც ცვლილება ამას ითხოვს.
(3) მიზნისა და ფონდის შინაგანი სტრუქტურის ცვლილებამდე უნდა მოუსმინონ ფონდის გამგეობას.

§ 88. ქონების გადაცემა
ფონდის რეესტრიდან ამოშლით ქონება გადადის შინაგანი სტრუქტურით განსაზღვრულ პირებზე. თუ ასეთი პირები განსაზღვრულნი არ არიან, მაშინ ქონება გადადის იმ ფედერაციული მხარის ხაზინაზე, რომლის ტერიტორიაზეც ფონდს ჰქონდა ადგილსამყოფელი, ან სხვა პირზე, რომელიც ფედერაციული მხარის კანონმდებლობით უფლებამოსილი იყო ქონების მიღებაზე. შესაბამისად, გამოიყენება §§ 46-53-ის ნორმები.

ქვეკარი 3. საჯარო სამართლის იურიდიული პირები

§ 89. პასუხისმგებლობა ორგანოთა მოქმედებებისათვის; გაკოტრების საქმისწარმოება
(1) § 31-ის ნორმა შესაბამისად გამოიყენება ხაზინის მიმართ, ისევე როგორც საჯარო სამართლის კორპორაციების, ფონდებისა და დაწესებულებების მიმართ.
(2) ანალოგიური წესია დადგენილი § 42-ის მე-2 ნაწილის ნორმის მიმართ, იმ ფარგლებში, რომლებშიც გაკოტრების საქმისწარმოება დაშვებულია საჯარო სამართლის კორპორაციების, ფონდებისა და დაწესებულებების მიმართ.

ნაწილი 2. ნივთები და ცხოველები

§ 90. ნივთის ცნება
კანონის გაგებით, ნივთებად მიიჩნევა მხოლოდ სხეულებრივი საგნები.

§ 90ა. ცხოველები
ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს. ისინი დაცულები არიან სპეციალური კანონებით. მათ მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს ნივთების მიმართ დადგენილი ნორმები, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

§ 91. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები
გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთებად, კანონის გაგებით, მიიჩნევა მოძრავი ნივთები, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვაში განისაზღვრება რიცხვით, ზომით ან წონით.

§ 92. მოხმარებადი ნივთები
(1) მოხმარებად ნივთებად, კანონის გაგებით, მიიჩნევა მოძრავი ნივთები, რომელთა დანიშნულებისამებრ გამოყენება გამოიხატება მათი მოხმარებითა თუ გასხვისებით.
(2) მოხმარებად ნივთებად მიიჩნევა ასევე მოძრავი ნივთები, თუ ისინი სასაქონლო საწყობის ან ნივთების სხვა ერთობლიობის შემადგენელი ნაწილებია, რომელთა დანიშნულებისამებრ გამოყენება გამოიხატება ცალკეული ნივთების გასხვისებით.

§ 93. ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილები
ნივთის შემადგენელი ნაწილები, რომელთა ერთმანეთისაგან გამოცალკევებაც შეუძლებელია ერთ-ერთის განადგურების ან მისი არსებითი შეცვლის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილები), არ შეიძლება იყოს სპეციალური უფლებების ობიექტი.

§ 94. მიწის ნაკვეთის ან შენობის არსებითი შემადგენელი ნაწილები
(1) მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებს განეკუთვნება მიწასთან მყარად დაკავშირებული ნივთები, კერძოდ: შენობა-ნაგებობები, ასევე მიწის ნაკვეთის მოსავალი მანამდე, სანამ იგი მიწასთან არის დაკავშირებული. თესლი ხდება მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი დათესვის მომენტიდან, ხოლო მცენარე მისი დარგვის მომენტიდან.
(2) შენობა-ნაგებობის არსებით შემადგენელ ნაწილებს მიეკუთვნება შენობა-ნაგებობის აღმართვისათვის მასზე მიერთებული ნივთები.

§ 95. მხოლოდ დროებითი მიზნით მიერთება
(1) მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებს არ მიეკუთვნება ის ნივთები, რომლებიც მიწასთან დაკავშირებულია მხოლოდ დროებითი მიზნით. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შენობის ან სხვა ნაგებობის მიმართ, რომელიც დაკავშირებულ იქნა სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთთან ამ უკანასკნელზე უფლებამოსილი პირის მიერ თავისი უფლების რეალიზაციისას.
(2) ნივთები, რომლებიც მიერთებულია შენობა-ნაგებობასთან მხოლოდ დროებით, არ არის შენობა-ნაგებობის არსებითი შემადგენელი ნაწილები.

§ 96. უფლებები როგორც მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილები
უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია მიწის ნაკვეთზე არსებულ საკუთრების უფლებასთან, ჩაითვლება მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილებად.

§ 97. საკუთვნებელი
(1) საკუთვნებელია მოძრავი ნივთები, რომლებიც, მართალია, არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, თუმცა, განკუთვნილია მთავარი ნივთის სამეურნეო მიზნისთვის და ამ დანიშნულებით სივრცობრივ კავშირშია მასთან. ნივთი არ არის საკუთვნებელი, თუ იგი სამოქალაქო ბრუნვაში არ მიიჩნევა ასეთად.
(2) ნივთის დროებითი გამოყენება სხვა ნივთის სამეურნეო მიზნისთვის არ ანიჭებს მას საკუთვნებლის თვისებას. საკუთვნებლის მთავარი ნივთისაგან დროებითი გამოყოფა არ აუქმებს მის საკუთვნებლის თვისებას.

§ 98. სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი
მთავარი ნივთის სამეურნეო მიზნისათვის განკუთვნილია:
1. იმ შენობა-ნაგებობის შემთხვევაში, რომელიც აღჭურვილია ხანგრძლივი ვადით წარმოებისათვის, კერძოდ: წისქვილისათვის, სამჭედლოსათვის, ლუდსახარშისათვის, ფაბრიკისათვის, – წარმოებისათვის განკუთვნილი მანქანა-დანადგარები და სხვა აღჭურვილობა,
2. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შემთხვევაში – მიწის დასამუშავებლად საჭირო წარმოებისათვის განკუთვნილი ხელსაწყოები და საქონელი, სასოფლო-სამეურნეო მოსავალი იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა მეურნეობის წარმოებისათვის იმავე ან მსგავსი მოსავლის აღებამდე, ასევე ფერმაში მიღებული ნაკელი.

§ 99. ნაყოფი
(1) ნივთის ნაყოფი არის ის პროდუქტი ან სხვა ნამატი, რომელიც მიიღება ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შედეგად.
(2) უფლების ნაყოფი არის ის შემოსავლები, რომელთა მიღებასაც უზრუნველყოფს უფლება თავისი დანიშნულების მიხედვით, კერძოდ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლების ნაყოფად მიიჩნევა მოპოვებული წიაღისეული.
(3) ნაყოფი არის ასევე შემოსავლები, რომლებსაც ნივთი ან უფლება იძლევა სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით.

§ 100. სარგებელი გამოყენების შედეგად
გამოყენების შედეგად სარგებელი არის ნივთი ან უფლების ნაყოფი, ასევე სარგებელი, რომელიც მიიღება ნივთით ან უფლებით სარგებლობის დროს.

§ 101. ნაყოფის განაწილება
თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, თუ პირი უფლებამოსილია, დროის განსაზღვრულ მომენტამდე ან განსაზღვრული მომენტის შემდეგ მიიღოს ნივთის ან უფლების ნაყოფი, მას ეკუთვნის:
1. § 99-ის პირველ ნაწილში მითითებული პროდუქტი და შემადგენელი ნაწილები, ასევე მან ისინი ნაყოფის სახით უნდა მიიღოს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც გამოყოფილია ნივთისაგან უფლებამოსილების პერიოდში;
2. სხვა ნაყოფი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც იგი უნდა გადაეცეს მას უფლებამოსილების პერიოდში; თუმცა, თუ ნაყოფი არის საზღაური ნივთით ან ნა-

ყოფით სარგებლობისათვის, პროცენტი, მოგებაში წილი ან სხვა პერიოდულად გადასახდელი შემოსავლები, მაშინ უფლებამოსილ პირს ეკუთვნის თავისი უფლებამოსილების შესაბამისი წილი.

§ 102. ნაყოფის განაწილება
ნაყოფის გადაცემაზე ვალდებულ პირს შეუძლია მოითხოვოს ნაყოფის მიღებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ხარჯები შეესაბამება მეურნეობის სათანადოდ წარმართვას და ნაყოფის ღირებულებას არ აღემატება.

§ 103. ვალების განაწილება
თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, პირმა, რომელიც ვალდებულია, განსაზღვრულ მომენტამდე ან განსაზღვრული მომენტის შემდეგ იკისროს ნივთის ან უფლების ვალები, უნდა იკისროს რეგულარულად გადასახდელი ვალები თავისი ვალდებულების ხანგრძლივობის პროპორციულად; სხვა ვალები მას ეკისრება იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი უნდა დაიფაროს იმ ვადის განმავლობაში, როდესაც პირს ეკისრება ვალდებულება.

ნაწილი 3. გარიგებები

კარი 1. ქმედუნარიანობა

§ 104. ქმედუუნარობა
ქმედუუნაროა ის:
1. ვისაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის;
2. ვინც იმყოფება ისეთი პათოლოგიური გონებრივი აშლილობის მდგომარეობაში, რომელიც გამორიცხავს ნების თავისუფლად განსაზღვრას, თუ მდგომარეობა თავისი ბუნებით არ არის დროებითი.

§ 105. ნების გამოვლენის ბათილობა
(1) ქმედუუნარო პირის ნების გამოვლენა ბათილია;
(2) ბათილია ასევე ნების გამოვლენა, რომელიც განხორციელდა დაკარგული ცნობიერების ან დროებითი ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში.

§ 105ა. ყოველდღიური გარიგებები
თუ სრულწლოვანი ქმედუუნარო პირი დადებს ყოველდღიურ გარიგებას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს მცირე თანხით, მაშინ მის მიერ დადებული ხელშეკრულება განიხილება ძალმოსილად შესრულების მიმართ, ხოლო შეთანხმების შემთხვევაში, – საპირისპირო შესრულების მიმართაც, როგორც კი განხორციელდება შესრულება და საპირისპირო შესრულება. პირველი წინადადება არ გამოიყენება პირის ან ქმედუუნარო პირის ქონების მიმართ მომეტებული საფრთხის შემთხვევაში.

§ 106. არასრულწლოვნის შეზღუდული ქმედუნარიანობა
არასრულწლოვანს, რომელმაც მიაღწია შვიდი წლის ასაკს, აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა, §§ 107-113-ის შესაბამისად.

§ 107. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა
არასრულწლოვნის იმ ნების გამოვლენისთვის, რომელიც არ გამოიხატება მხოლოდ სამართლებრივი სარგებლის მიღებით, საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.

§ 108. ხელშეკრულების დადება თანხმობის გარეშე
(1) თუ არასრულწლოვანი დებს ხელშეკრულებას კანონიერი წარმომადგენლის სავალდებულო თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების სამართლებრივი ძალა დამოკიდებულია წარმომადგენლის მოწონებაზე.
(2) თუ ხელშეკრულების მეორე მხარე ითხოვს წარმომადგენლისაგან თანხმობის განცხადებას, მაშინ ეს განცხადება უნდა გაკეთდეს მხოლოდ ამ მხარის მიმართ; მოთხოვნის წარდგენამდე არასრულწლოვნის მიმართ განცხადებული თანხმობა ან უარი სამართლებრივი ძალის არმქონეა. მოწონება შეიძლება განცხადებულ იქნეს მოთხოვნის მიღებიდან მხოლოდ ორი კვირის ვადის გასვლამდე; თუ იგი არ იქნება განცხადებული, ითვლება, რომ მასზე უარი ითქვა.
(3) თუ არასრულწლოვანი შეუზღუდავად ქმედუნარიანი გახდა, მაშინ მისი მოწონება იკავებს წარმომადგენლის თანხმობის ადგილს.

§ 109. მეორე მხარის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება
(1) ხელშეკრულების მოწონებამდე მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას მასზე. უარი შეიძლება განცხადებულ იქნეს არასრულწლოვნის მიმართაც.
(2) თუ ხელშეკრულების მეორე მხარემ იცოდა პირის არასრულწლოვნების შესახებ, მაშინ მას უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი ცრუობდა წარმომადგენლის თანხმობის არსებობის თაობაზე; მას ასევე არ შეუძლია უარის თქმა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულების დადების დროს მან იცოდა თანხმობის არარსებობის შესახებ.

§ 110. არასრულწლოვნის მიერ გადახდა საკუთარი ფულადი სახსრებით
ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვნის მიერ, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება სამართლებრივი ძალის მქონედ დადების მომენტიდან, თუ არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება განახორციელა იმ ფულადი სახსრებით, რომლებიც მას ამ მიზნით, ანდა თავისუფალი განკარგვისათვის გადასცა წარმომადგენელმა ან, ამ უკანასკნელის თანხმობით, მესამე პირმა.

§ 111. ცალმხრივი გარიგება
სამართლებრივი ძალის არმქონეა ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის სავალდებულო თანხმობის გარეშე. თუ ასეთ გარიგებას არასრულწლოვანი თანხმობით დებს სხვა პირთან, გარიგება სამართლებრივი ძალის არმქონეა მაშინაც, როდესაც არასრულწლოვანი არ წარადგენს თანხმობას წერილობითი ფორმით, ხოლო გარიგების მეორე მხარე დაუყოვნებლივ უარს აცხადებს მასზე. უარი დაუშვებელია, თუ წარმომადგენელმა შეატყობინა მეორე მხარეს თანხმობის შესახებ.

§ 112. სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვა
(1) თუ კანონიერი წარმომადგენელი საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით არასრულწლოვანს ანიჭებს სამეწარმეო საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის

უფლებამოსილებას, მაშინ ამ წარმოებასთან დაკავშირებული გარიგებებისათვის იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანია. გამონაკლისია ის გარიგებები, რომელთა დადებისათვის წარმომადგენელს ესაჭიროება საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა.
(2) წარმომადგენელს შეუძლია გააუქმოს უფლებამოსილება მხოლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით.

§ 113. სასამსახურო ან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები
(1) თუ კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვანს ანიჭებს სამსახურის ან მუშაობის დაწყების უფლებამოსილებას, მაშინ იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანია იმ გარიგებებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია დაშვებული სახის სამსახურის ან მუშაობის დაწყებასთან ან მიტოვებასთან, ანდა აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულებასთან. გამონაკლისია ის ხელშეკრულებები, რომელთა დადებისათვის წარმომადგენელს ესაჭიროება საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა.
(2) უფლებამოსილება შეიძლება გაუქმდეს, ან შეიზღუდოს წარმომადგენლის მიერ.
(3) თუ კანონიერი წარმომადგენელი არის მეურვე, უფლებამოსილება, თუკი ამ უკანასკნელის მინიჭებაზე უარს აცხადებს წარმომადგენელი, შეიძლება მიენიჭოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ არასრულწლოვნის განცხადების საფუძველზე. საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა მიანიჭოს უფლებამოსილება, თუ ეს სამეურვეო პირის ინტერესებშია.
(4) ცალკეული შემთხვევისათვის მინიჭებული უფლებამოსილება საეჭვოობისას მიიჩნევა ზოგად უფლებამოსილებად მსგავსი სახის ურთიერთობებში შესვლისთვის.

§§ 114-115 *(გაუქმებულია)*

კარი 2. ნების გამოვლენა

§ 116. ფარული დათქმა
ნების გამოვლენა არ იქნება ბათილი, თუ ნების გამომვლენმა პირმა დამალა ის, რომ მას სინამდვილეში არ სურს გამოვლენილი ნება. ნების გამოვლენა ბათილია, თუ იგი უნდა გაკეთდეს სხვა პირის მიმართ, რომელმაც იცის ფარული დათქმის შესახებ.

§ 117. მოჩვენებითი გარიგება
(1) თუ ნების გამოვლენა, რომელიც მიმართული უნდა იყოს მეორე მხარისკენ, ამ უკანასკნელის თანხმობით გაკეთებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, მაშინ იგი ბათილია.
(2) თუ მოჩვენებითი გარიგებით იფარება სხვა გარიგება, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 118. სერიოზულობის არარსებობა
ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად, იმ ვარაუდით, რომ სერიოზულობის არარსებობა გამოცნობილი იქნებოდა, ბათილია.

§ 119. შეცილება შეცდომის გამო

(1) პირს, რომელმაც ნების გამოვლენის დროს დაუშვა შეცდომა ნების გამოვლენის შინაარსთან დაკავშირებით, ან მას საერთოდ არ ჰქონია განზრახვა ასეთი შინაარსით ნების გამოვლენისა, შეუძლია, საცილო გახადოს ნების გამოვლენა, თუ ივარაუდება, რომ იგი არ გააკეთებდა ნების გამოვლენას საქმის ვითარების ცოდნისას ან მისი გონივრული შეფასებისას.

(2) ნების გამოვლენის შინაარსში შეცდომად მიიჩნევა შეცდომა პირის ან ნივთის თვისებებში, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვაში მიიჩნევა არსებითად.

§ 120. შეცილების შესაძლებლობა ნების გამოვლენის შეტყობინებაში შეცდომის გამო

ნების გამოვლენა, რომელიც არასწორად იქნა გადაცემული პირის მიერ ან ამისათვის გამოყენებული საშუალებით, შეიძლება შეცილებულ იქნეს იმავე წინაპირობის არსებობისას, როგორც შეცდომით გაკეთებული ნების გამოვლენა, § 119-ის მიხედვით.

§ 121. შეცილების ვადა

(1) §§ 119, 120-ში მითითებულ შემთხვევებში შეცილება უნდა განხორციელდეს ბრალეული გაჭიანურების გარეშე (დაუყოვნებლივ) მას შემდეგ, რაც შეცილებაზე უფლებამოსილი პირისათვის ცნობილი გახდა შეცილების საფუძვლის შესახებ. არათანმყოფი პირის მიმართ გაკეთებული შეცილება ითვლება დროულად განხორციელებულად, თუ შეცილების განცხადება დაუყოვნებლივ იქნა გაგზავნილი.

(2) შეცილება გამორიცხულია, თუ ნების გამოვლენის მომენტიდან გავიდა ათი წელი.

§ 122. შეცილების განმახორციელებელი პირის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

(1) თუ ნების გამოვლენა § 118-ის თანახმად ბათილია, ან §§ 199, 120-ის საფუძველზე საცილოა მაშინ, თუ განცხადება უნდა გაკეთებულიყო სხვა პირის მიმართ, ნების გამომვლენმა პირმა უნდა აუნაზღაუროს ამ პირს, ან სხვა შემთხვევაში ნებისმიერ მესამე პირს ის ზიანი, რომელსაც განიცდის მეორე მხარე ან მესამე პირი ნების გამოვლენის ნამდვილობის ნდობის შედეგად, თუმცა, ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს იმ ინტერესის მთლიან თანხას, რომელიც მეორე მხარეს ან მესამე პირს აქვთ ნების გამოვლენის ნამდვილობაში.

(2) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, როდესაც დაზარალებულმა იცოდა ბათილობისა თუ საცილოობის საფუძვლის შესახებ, ან აღნიშნულის შესახებ არ იცოდა გაუფრთხილებლობის შედეგად (უნდა სცოდნოდა).

§ 123. შეცილების შესაძლებლობა მოტყუების ან მუქარის გამო

(1) თუ პირი ნების გამოვლენაზე დაიყოლიეს მოტყუების გზით ან მართლსაწინააღმდეგო მუქარით, მას შეუძლია ეს ნების გამოვლენა გახადოს საცილო.

(2) თუ მოტყუება ჩადენილ იქნა მესამე პირის მიერ, მაშინ ნების გამოვლენა, რომელიც უნდა გაკეთებულიყო მეორე მხარის მიმართ, შეიძლება გახდეს საცილო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელმა მოტყუების შესახებ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა ამის თაობაზე.

§ 124. შეცილების ვადა

(1) § 123-ის თანახმად საცილო ნების გამოვლენის შეცილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.

(2) შეცდომის შემთხვევაში ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი აღმოაჩენს შეცდომას, ხოლო იძულების შემთხვევაში, იძულების შეწყვეტის მომენტიდან. ვადის დენის მიმართ გამოიყენება ხანდაზმულობის მიმართ დადგენილი §§ 205, 206 და 211-ის ნორმები.

(3) შეცილება გამორიცხულია, თუ ნების გამოვლენის მომენტიდან გავიდა ათი წელი.

§ 125. ბათილობა გარიგების ფორმის დაუცველობის გამო

ბათილია კანონით დადგენილი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. საეჭვოობისას გარიგებით დადგენილი ფორმის დაუცველობა ასევე შედეგად იწვევს გარიგების ბათილობას.

§ 126. წერილობითი ფორმა

(1) თუ კანონით დადგენილია წერილობითი ფორმა, მაშინ დოკუმენტი საკუთარი ხელით უნდა იქნეს ხელმოწერილი შემდგენლის მიერ ან მასზე უნდა გაკეთდეს მისი სანოტარო წესით დამოწმებული ინიციალები.

(2) ხელშეკრულების შემთხვევაში მხარეთა ხელმოწერები უნდა გაკეთდეს ერთსა და იმავე დოკუმენტზე. თუ ფორმდება ერთზე მეტი იდენტური ეგზემპლარი, მაშინ საკმარისია, თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს მეორე მხარისათვის განკუთვნილ დოკუმენტს.

(3) წერილობითი ფორმა შეიძლება შეიცვალოს ელექტრონული ფორმით, თუ კანონიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

(4) სანოტარო ფორმა ცვლის წერილობით ფორმას.

§ 126ა. ელექტრონული ფორმა

(1) თუ კანონით დადგენილი წერილობითი ფორმა უნდა შეიცვალოს ელექტრონული ფორმით, მაშინ დოკუმენტის შემდგენმა ამ ფორმას უნდა დაურთოს საკუთარი სახელი, ხოლო ელექტრონულ დოკუმენტს კი დაუსვას კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ კანონის მიხედვით.

(2) ხელშეკრულების შემთხვევაში თითოეულმა მხარემ ელექტრონულად უნდა მოაწეროს ხელი იდენტურ ეგზემპლარს პირველ ნაწილში აღწერილი სახით.

§ 126ბ. ტექსტური ფორმა

თუ კანონით დადგენილია ტექსტური ფორმა, მაშინ ნების გამოვლენა უნდა გაკეთდეს დოკუმენტში, ან ისეთი სახით, რომლითაც შესაძლებელია მუდმივად მისი წერილობითი რეპროდუქცია, ნების გამომვლენი პირი უნდა იქნეს დასახელებული, ხოლო ნების გამოვლენის დადება ნათელი უნდა იყოს ხელმოწერის რეპროდუქციით ან სხვაგვარად.

§ 127. შეთანხმებული ფორმა

(1) § 126-ის, § 126ა-ს ან § 126ბ-ს ნორმები საეჭვოობისას გამოიყენება ასევე გარიგებით დადგენილი ფორმის მიმართაც.

(2) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა ნებაა ნავარაუდევი, გარიგებით დადგენილი წერილობითი ფორმის დასაცავად საკმარისია შეტყობინების გადაცემა კავ-

შირგაბმულობის საშუალებით, ხოლო ხელშეკრულების შემთხვევაში, – წერილების გაცვლით. თუ ასეთი ფორმა იქნება არჩეული, მაშინ დამატებით § 126-ის შესაბამისი დამოწმება შეიძლება იქნეს მოთხოვნილი.
(3) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა ნებაა ნავარაუდევი, გარიგებით დადგენილი წერილობითი ფორმის დასაცავად საკმარისია ასევე § 126ა-თი დადგენილი ელექტრონული ხელმოწერა, ხოლო ხელშეკრულების შემთხვევაში, – ოფერტისა და აქცეპტის განცხადებების გაცვლა, რომლებსაც, თითოეულს, დართული აქვს ელექტრონული ხელმოწერა. თუ ეს ფორმა იქნება არჩეული, მაშინ დამატებით § 126ა-ს შესაბამისი ხელმოწერა შეიძლება იქნეს მოთხოვნილი, ან, თუ ეს შეუძლებელია ერთერთი მხარისათვის, – § 126-ის შესაბამისი დამოწმება.

§ 127ა. სასამართლო წესით დამტკიცებული მორიგება
სასამართლო წესით დამტკიცებული მორიგების შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების მიხედვით განცხადებების მიღების შედეგად შედგენილი ოქმი ცვლის სანოტარო წესით დამოწმებას.

§ 128. სანოტარო წესით დამოწმება
თუ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმება გათვალისწინებულია კანონით, მაშინ საკმარისია, ნოტარიუსის მიერ დამოწმდეს ჯერ ოფერტი, ხოლო შემდეგ – აქცეპტი.

§ 129. საჯარო დამოწმება
(1) თუ განცხადების საჯარო დამოწმება გათვალისწინებულია კანონით, მაშინ განცხადება წერილობით უნდა შედგეს და განმცხადებლის ხელმოწერა დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ. თუ განცხადება შემდგენლის მიერ ხელმოწერილ იქნა საკუთარი ნიშნის დადებით, მაშინ საჭირო და საკმარისია § 126-ის პირველ ნაწილში გათვალისწინებული ინიციალების დამოწმება.
(2) განცხადების სანოტარო წესით დამოწმება ცვლის საჯარო დამოწმებას.

§ 130. არათანმყოფი პირის მიმართ ნების გამოვლენის ძალაში შესვლა
(1) ნების გამოვლენა, რომელიც უნდა გაკეთდეს სხვა პირის მიმართ ამ უკანასკნელის არყოფნის შემთხვევაში, სამართლებრივი ძალის მქონე ხდება იმ მომენტში, როდესაც იგი მას მიუვა. ნების გამოვლენა არ გახდება სამართლებრივი ძალის მქონე, თუ უარი გარიგებაზე მეორე მხარეს უფრო ადრე ან ერთდროულად მიუვა.
(2) ნების გამოვლენის ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს განმცხადებლის გარდაცვალება ან ქმედუნარიანობის დაკარგვა, თუ ეს მოვლენები დგება ნების გამოვლენის შემდეგ.
(3) აღნიშნული ნორმები გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნების გამოვლენა გაკეთდა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ.

§ 131. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების მიმართ ნების გამოვლენის ძალაში შესვლა
(1) თუ ნების გამოვლენა გაკეთდა ქმედუუნარო პირის მიმართ, მაშინ იგი არ იქნება სამართლებრივი ძალის მქონე მანამდე, სანამ ის კანონიერ წარმომადგენელს არ მიუვა.
(2) ანალოგიური წესი გამოიყენება, თუ ნების გამოვლენა გაკეთდა შეზღუდული ქმედუნარიანი პირის მიმართ. თუმცა, თუ განცხადება შეზღუდულქმედუნარიან პირს

მხოლოდ სარგებელს ანიჭებს, ან თუ კანონიერი წარმომადგენელი იძლევა თანხმობას, მაშინ განცხადება სამართლებრივი ძალის მქონე ხდება იმ მომენტში, როდესაც იგი შეზღუდულქმედუნარიან პირს მიუვა.

§ 132. ნების გამოვლენის მისვლის შეცვლა ჩაბარებით

(1) ნების გამოვლენა მაშინაც ითვლება მიღებულად, თუ იგი ჩაბარდა სასამართლო აღმასრულებლის მეშვეობით. ჩაბარება ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით დადგენილი წესის მიხედვით.

(2) იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელმა პირმა, რომელსაც არ გამოუჩენია გაუფრთხილებლობა, არ იცის განცხადების ადრესატი პირის პიროვნების შესახებ, ან, თუ ამ პირის ადგილსამყოფელი უცნობია, ჩაბარება შეიძლება განხორციელდეს საჯარო ჩაბარების მომწესრიგებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით დადგენილი წესის მიხედვით. პირველ შემთხვევაში ნებართვის გაცემაზე განსჯადია ის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განმცხადებელს აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი, ან, ქვეყნის ტერიტორიაზე საცხოვრებელი ადგილის არარსებობის შემთხვევაში, – მისი ადგილსამყოფელი; ხოლო მეორე შემთხვევაში – ის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იმ პირს, რომელსაც უნდა ჩაბარებოდა განცხადება, ჰქონდა თავისი ბოლო საცხოვრებელი ადგილი, ან, ქვეყნის ტერიტორიაზე საცხოვრებელი ადგილის არარსებობის შემთხვევაში, – მისი ადგილსამყოფელი.

§ 133. ნების გამოვლენის განმარტება

ნების გამოვლენის განმარტებისას უნდა დადგინდეს ნამდვილი ნება, გამოთქმის სიტყვასიტყვით მნიშვნელობაზე შეჩერების გარეშე.

§ 134. კანონით დადგენილი აკრძალვა

გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ აკრძალვას, ბათილია, თუ კანონიდან სხვა სამართლებრივი შედეგი არ გამომდინარეობს.

§ 135. განკარგვის კანონისმიერი აკრძალვა

(1) თუ გარიგება არღვევს განკარგვის კანონისმიერ აკრძალვას, რომლის მიზანია მხოლოდ განსაზღვრული პირების ინტერესების დაცვა, მაშინ განკარგვა სამართლებრივი ძალის არმქონეა მხოლოდ ამ პირების მიმართ. გარიგებით განკარგვას უთანაბრდება განკარგვა, რომელიც ხორციელდება იძულებითი აღსრულების ან ყადაღის დადების პროცესში.

(2) შესაბამისად, გამოიყენება ნორმები იმ პირთა სასარგებლოდ, რომლებიც იძენენ უფლებებს არაუფლებამოსილი პირისგან.

§ 136. განკარგვის საჯარო-სამართლებრივი აკრძალვა

განკარგვის აკრძალვა, რომელიც დგინდება სასამართლოს ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უთანაბრდება § 135-ით გათვალისწინებულ განკარგვის კანონისმიერ აკრძალვას.

§ 137. გარიგებით დადგენილი განკარგვის აკრძალვა

გასხვისებადი უფლების განკარგვის უფლებამოსილება არ შეიძლება გარიგებით გამოირიცხოს ან შეიზღუდოს. ეს ნორმა არ ეხება იმ ვალდებულების სამართლებ-

რივ ძალას, რომლითაც პირი კისრულობს ვალდებულებას, არ განკარგოს უფლება.

§ 138. ამორალური გარიგება; მევახშეობა

(1) გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს, ბათილია.

(2) კერძოდ, ბათილია გარიგება, რომლითაც პირი სხვა პირის მძიმე მდგომარეობით, გამოუცდელობით, გონივრული განსჯის უუნარობით ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტით აიძულებს ამ უკანასკნელს ვალდებულების შესრულების მოქმედების სანაცვლოდ მისადმი ან მესამე პირისადმი ქონებრივი სარგებლის შეპირებას ან შესრულებას, რომელიც აშკარად არაპროპორციულია ვალდებულების შესრულებისა.

§ 139. ნაწილობრივი ბათილობა

თუ ბათილია გარიგების ნაწილი, და თუ შეუძლებელია იმის დაშვება, რომ იგი დაიდებოდა ამ ბათილი ნაწილის გარეშეც, მაშინ მთლიანად გარიგებაც ბათილია.

§ 140. გარიგების კონვერსია

თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, და თუ სავარაუდოა, რომ გარიგების ბათილობის შეტყობისას მისი ნამდვილობა მხარეთა სურვილი იქნებოდა, მაშინ მოქმედებს ამ სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებული მოთხოვნები.

§ 141. ბათილი გარიგების დადასტურება

(1) თუ პირი, რომელიც დებს ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი დადასტურება განიხილება როგორც გარიგების ხელახლა დადება.

(2) თუ ბათილი ხელშეკრულება დასტურდება მხარეთა მიერ, მაშინ საეჭვოობისას ისინი ვალდებულნი არიან, გადასცენ ერთმანეთს ის, რასაც იქონიებდნენ, ხელშეკრულება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო.

§ 142. შეცილების სამართლებრივი შედეგი

(1) თუ საცილო გარიგება შეცილებულ იქნება, მაშინ იგი მიიჩნევა როგორც თავიდანვე ბათილი.

(2) პირი, რომელმაც იცოდა, ან რომელსაც უნდა სცოდნოდა საცილოობის შესახებ, შეცილების შემთხვევაში განიხილება ისეთ პირად, რომელმაც იცოდა, ან რომელსაც უნდა სცოდნოდა გარიგების ბათილობის შესახებ.

§ 143. შეცილების განცხადება

(1) შეცილება ხორციელდება მოწინააღმდეგე მხარის მიმართ წარდგენილი განცხადებით.

(2) ხელშეკრულების შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარეა ხელშეკრულების მეორე მხარე, ხოლო § 123-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების შემთხვევაში – პირი, რომელმაც ხელშეკრულებით უშუალოდ მიიღო უფლება.

(3) ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში, რომელიც დაიდო სხვა პირის მიმართ, მოწინააღმდეგე მხარეა ეს სხვა პირი. ანალოგიური წესი მოქმედებს ისეთი გარიგების დროსაც, რომელიც უნდა დადებულიყო სხვა პირის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ მაშინაც კი, როდესაც გარიგება ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ უკვე დაიდო.

(4) სხვა სახის ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში, მოწინააღმდეგე მხარედ მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ მიიღო უფლებრივი სარგებელი გარიგების საფუძველზე. თუმცა, თუ ნების გამოვლენა უნდა გაკეთებულიყო ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, შეცილება შეიძლება გაკეთდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ გაკეთებული განცხადებით; ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა შეატყობინოს შეცილების შესახებ იმ პირს, რომლის ინტერესებსაც უშუალოდ შეეხნენ გარიგებით.

§ 144. საცილო გარიგების დადასტურება
(1) შეცილება გამორიცხულია, თუ საცილო გარიგება დადასტურდება შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ.
(2) დადასტურება არ საჭიროებს გარიგებისთვის დადგენილი ფორმის დაცვას.

კარი 3. ხელშეკრულება

§ 145. ბოჭვა ოფერტით
პირი, რომელიც სხვა პირს სთავაზობს ხელშეკრულების დადებას, შებოჭილია ოფერტით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან ბოჭვა გამორიცხა.

§ 146. ოფერტის გაუქმება
ოფერტი უქმდება, თუ მასზე უარი ცხადდება ოფერენტის მიმართ, ან თუ იგი არ იქნა მიღებული დროულად, §§ 147-149-ის მიხედვით.

§ 147. აქცეპტის ვადა
(1) თანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი მხოლოდ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული. ანალოგიური წესი მოქმედებს, აგრეთვე, ერთი პირის მიერ მეორისთვის ტელეფონით ან სხვა ტექნიკური საშუალებით გაკეთებული ოფერტის მიმართაც.
(2) არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ მომენტამდე იქნეს მიღებული, როდესაც ოფერენტს ჩვეულებრივი გარემოებების არსებობისას შეუძლია დაელოდოს პასუხს.

§ 148. აქცეპტისათვის ვადის განსაზღვრა
თუ ოფერენტმა აქცეპტისათვის განსაზღვრა ვადა, მაშინ აქცეპტი შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ამ ვადის განმავლობაში.

§ 149. დაგვიანებით მიღებული აქცეპტი
თუ ოფერენტისთვის დაგვიანებით მისული აქცეპტი იმგვარად იქნა გაგზავნილი, რომ იგი ჩვეულებრივი მიწოდების შემთხვევაში დროულად იქნებოდა მისული და ოფერენტისთვის ეს ფაქტი უნდა ყოფილიყო ცნობილი, მაშინ ოფერენტმა განცხადების მიღების შემდეგ აქცეპტანტს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დაგვიანების შესახებ, თუ ეს მანამდე არ გაკეთებულა. და თუ იგი დააყოვნებს შეტყობინების გაგზავნას, აქცეპტი არ ჩაითვლება დაგვიანებულად.

§ 150. დაგვიანებული და შეცვლილი აქცეპტი
(1) ოფერტის დაგვიანებული აქცეპტი განიხილება როგორც ახალი ოფერტი.

(2) აქცეპტის გაკეთება დამატებებით, შემცირებებით ან სხვა ცვლილებებით ჩაითვლება უარად და, ამავე დროს, ახალ ოფერტად.

§ 151. აქცეპტი ოფერენტის მიმართ წარდგენილი განცხადების გარეშე
ხელშეკრულება დადებულად ითვლება ოფერტზე აქცეპტის გაკეთებით ისე, რომ აუცილებელი არ არის, ოფერენტს შეატყობინონ აქცეპტის შესახებ, თუ ასეთი განცხადება არ არის მოსალოდნელი, სამოქალაქო ბრუნვის პრაქტიკიდან გამომდინარე, ან ოფერენტმა უარი თქვა მასზე. მომენტი, როდესაც ოფერტი უქმდება, განისაზღვრება ოფერენტის ოფერტიდან ან გარემოებებიდან ნაგულისხმევი განზრახვის მიხედვით.

§ 152. აქცეპტი სანოტარო წესით დამოწმებისას
თუ ხელშეკრულება სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს ორივე მხარის ერთდროული თანდასწრების გარეშე, მაშინ ხელშეკრულება დადებულად ითვლება § 128-ის თანახმად გაკეთებული აქცეპტის დამოწმების მომენტიდან, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი. გამოიყენება § 151-ის მე-2 წინადადების ნორმა.

§ 153. ოფერენტის გარდაცვალება ან ქმედუუნაროდ გახდომა
ხელშეკრულების დადებას ხელს არ უშლის აქცეპტამდე ოფერენტის გარდაცვალება ან ქმედუუნაროდ გახდომა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სავარაუდოა ოფერენტის სხვაგვარი განზრახვა.

§ 154. შეთანხმების ნაკლი; დაუმოწმებელი ხელშეკრულება
(1) მანამდე, სანამ მხარეები ხელშეკრულების ყველა იმ პირობაზე არ შეთანხმებულან, რომლებზეც, თუნდაც ერთი მხარის განცხადებით, უნდა იქნეს მიღწეული შეთანხმება, საეჭვოობისას ხელშეკრულება არ არის დადებული. ცალკეულ პირობებზე შეთანხმება მაშინაც არ არის მბოჭავი, როდესაც ისინი წერილობით იქნა დაფიქსირებული.
(2) თუ შეთანხმებულ იქნა განზრახული ხელშეკრულების დამოწმება სანოტარო წესით, მაშინ საეჭვოობისას დამოწმებამდე ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულად.

§ 155. ფარული შეუთანხმებლობა
თუ მხარეები იმ ხელშეკრულებით, რომელსაც ისინი დადებულად მიიჩნევენ, სინამდვილეში ვერ შეთანხმდნენ ხელშეკრულების ისეთ პირობაზე, რომელზეც შეთანხმება საჭირო იყო, და თუ შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა ამ პირობის გარეშეც, მაშინ მოქმედებს შეთანხმებული პირობები.

§ 156. ხელშეკრულების დადება აუქციონზე ვაჭრობისას
აუქციონზე ვაჭრობისას ხელშეკრულება იდება ჩაქუჩის ბოლო დარტყმით. ფასის შეთავაზება ძალას კარგავს, თუ შეთავაზებულია უფრო მაღალი ფასი ან აუქციონი მთავრდება ჩაქუჩის ბოლო დარტყმის გარეშე.

§ 157. ხელშეკრულებების განმარტება
ხელშეკრულებები განმარტებულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებების გათვალისწინებით.

კარი 4. პირობა. ვადის განსაზღვრა

§ 158. გადადებისა და გაუქმების პირობა

(1) თუ გარიგება იდება გადადების პირობით, მაშინ ამ პირობაზე დამოკიდებული გარიგება ძალაში შედის ამ პირობის დადგომისთანავე.

(2) თუ გარიგება იდება გაუქმების პირობით, მაშინ გარიგების მოქმედება წყდება პირობის დადგომისთანავე; ამ მომენტიდან აღდგება წინა სამართლებრივი მდგომარეობა.

§ 159. უკუქმედების ძალა

თუ გარიგების შინაარსის მიხედვით, პირობის დადგომასთან დაკავშირებული შედეგები უნდა დადგეს უფრო ადრე, მაშინ, პირობის დადგომის შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან, გადასცენ ერთმანეთს ის, რასაც ისინი მიიღებდნენ, შედეგები უფრო ადრე რომ დამდგარიყო.

§ 160. პასუხისმგებლობა მერყევი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში

(1) გადადების პირობით უფლებამოსილ პირს, პირობის დადგომის შემთხვევაში, შეუძლია მეორე მხარისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუ მერყევი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში ეს უკანასკნელი ბრალეულად ხელს უშლის პირობაზე დამოკიდებული უფლების წარმოშობას, ან უარყოფითად ზემოქმედებს მასზე.

(2) გაუქმების პირობით დადებული გარიგების შემთხვევაში, ანალოგიური მოთხოვნები იმავე პირობებით აქვს იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც იქნა აღდგენილი თავდაპირველი უფლებრივი მდგომარეობა.

§ 161. მერყევი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში სამართლებრივი ძალის არმქონე განკარგვები

(1) თუ პირმა გადადების პირობით განკარგა საგანი, მაშინ ნებისმიერი შემდგომი, მერყევი მდგომარეობის არსებობის განმავლობაში გაკეთებული განკარგვა, პირობის დადგომის შემთხვევაში, სამართლებრივი ძალის არმქონეა იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი ხელს შეუშლიდა პირობაზე დამოკიდებული შედეგების წარმოშობას ან უარყოფითად იმოქმედებდა მასზე. ასეთ განკარგვას უთანაბრდება განკარგვა, რომელიც განხორციელდა იძულებითი აღსრულების ან ყადაღის დადების პროცესში, ანდა – გაკოტრების მმართველის მიერ.

(2) გაუქმების პირობის შემთხვევაში ანალოგიური წესი მოქმედებს იმ პირის მიერ განხორციელებულ განკარგვებზე, რომლის უფლება უქმდება პირობის დადგომით.

(3) შესაბამისად, გამოიყენება ნორმები იმ პირების სასარგებლოდ, რომლებიც იძენენ უფლებებს არაუფლებამოსილი პირისაგან.

§ 162. პირობის დადგომის ხელის შეშლა ან ხელის შეწყობა

(1) თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად ხელი შეუშალა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა არახელსაყრელი იქნებოდა, მაშინ პირობა დამდგარად ჩაითვლება.

(2) თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად ხელი შეუწყო მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, მაშინ პირობა დამდგარად არ ჩაითვლება.

§ 163. ვადის განსაზღვრა
თუ გარიგების დადების დროს მისი სამართლებრივი ძალისათვის განისაზღვრა საწყისი ან საბოლოო ვადა, მაშინ პირველ შემთხვევაში, შესაბამისად, გამოიყენება §§ 158-ის, 160-ისა და 161-ის გადადების პირობის მიმართ მოქმედი, ხოლო მეორე შემთხვევაში – გაუქმების პირობის მიმართ მოქმედი ნორმები.

კარი 5. წარმომადგენლობა. მინდობილობა

§ 164. წარმომადგენლის მიერ გაკეთებული განცხადების სამართლებრივი ძალა
(1) ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია პირის მიერ მისთვის მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში მარწმუნებლის სახელით, მოქმედებს უშუალოდ მარწმუნებლის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. მნიშვნელობა არა აქვს, გაკეთდა თუ არა განცხადება აშკარად მარწმუნებლის სახელით ან გარემოებებიდან იკვეთება, რომ იგი ამ უკანასკნელის სახელით გაკეთდებოდა.
(2) თუ სხვა პირის სახელით მოქმედების ნება არ არის ნათლად გამოხატული, მაშინ საკუთარი სახელით მოქმედების ნების არარსებობა მხედველობაში არ მიიღება.
(3) პირველი ნაწილის ნორმები, შესაბამისად, გამოიყენება, თუ სხვა პირისაკენ მიმართული ნების გამოვლენა ხორციელდება ამ პირის წარმომადგენლის მიმართ.

§ 165. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე წარმომადგენელი
წარმომადგენლის მიერ ან მის მიმართ გაკეთებული ნების გამოვლენის სამართლებრივ ძალას არ ბღალავს ის ფაქტი, რომ წარმომადგენელი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

§ 166. ნების ნაკლი; სავარაუდო ცოდნა
(1) თუ ნების გამოვლენის სამართლებრივ შედეგებზე გავლენას ახდენს ნების ნაკლი ან განსაზღვრული გარემოებების ცოდნა, ან სავარაუდო ცოდნა, მხედველობაში მიიღება არა მარწმუნებლის, არამედ წარმომადგენლის პიროვნება.
(2) თუ გარიგებით მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების (მინდობილობა) შემთხვევაში, წარმომადგენელი მოქმედებდა მარწმუნებლის მიერ მიცემული მითითებების მიხედვით, მაშინ ამ უკანასკნელს არ შეუძლია მიუთითოს წარმომადგენლის მიერ ისეთი გარემოებების არცოდნაზე, რომელთა შესახებაც მან თავად იცოდა. ანალოგიური წესი გამოიყენება იმ გარემოებების მიმართ, რომელთა შესახებაც მარწმუნებელს უნდა სცოდნოდა იმდენად, რამდენადაც სავარაუდო ცოდნა უთანაბრდება თავად ცოდნას.

§ 167. მინდობილობის გაცემა
(1) მინდობილობის გაცემა ხდება უფლებამოსილი პირის ან იმ მესამე პირის მიმართ განცხადებით, რომლის მიმართაც უნდა განხორციელდეს წარმომადგენლობა.
(2) განცხადება არ მოითხოვს იმ ფორმას, რომელიც არის დადგენილი იმ გარიგებისათვის, რომელსაც ეხება მინდობილობა.

§ 168. მინდობილობის გაუქმება
მინდობილობის გაუქმება დამოკიდებულია იმ სამართლებრივ ურთიერთობაზე, რომელთან დაკავშირებითაც იგი გაიცა. მინდობილობაზე ასევე შეიძლება უარი სა-

მართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების შემთხვევაშიც, თუ ამ უკანასკნელიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს. მინდობილობაზე უარის განცხადების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება § 167-ის პირველი ნაწილის ნორმა.

§ 169. რწმუნებულისა და მმართველი პარტნიორის მინდობილობა
იმდენად, რამდენადაც რწმუნებულის ან მმართველი პარტნიორის მინდობილობის მოქმედება ითვლება გაგრძელებულად, §§ 674, 729-ის მიხედვით, იგი არ მოქმედებს იმ მესამე პირის სასარგებლოდ, რომელმაც გარიგების დადებისას იცის ან იცოდა შეწყვეტის შესახებ.

§ 170. მინდობილობის მოქმედების ვადა
თუ მინდობილობა გაიცემა მესამე პირის მიმართ გაკეთებული განცხადებით, მაშინ იგი ინარჩუნებს ძალას მის მიმართ მანამდე, სანამ შეწყვეტის შესახებ მას არ შეატყობინებს მარწმუნებელი.

§ 171. მოქმედების ვადა საჯაროდ გამოცხადების შემთხვევაში
(1) თუ პირმა სპეციალური შეტყობინებით განუცხადა მესამე პირს ან საჯაროდ განაცხადა, რომ იგი წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ანიჭებს სხვა პირს, მაშინ ამ უკანასკნელს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება აქვს საჯარო განცხადების საფუძველზე, პირველ შემთხვევაში, მესამე პირის წინაშე, ხოლო უკანასკნელ შემთხვევაში – ნებისმიერი მესამე პირის წინაშე.
(2) წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შენარჩუნდება მასზე უარის განცხადებამდე, რომელიც უნდა გაკეთდეს იმავე წესით, რომლითაც მოხდა მისი მინიჭება.

§ 172. მინდობილობის დოკუმენტი
(1) მარწმუნებლის მხრიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების სპეციალურ შეტყობინებას უთანაბრდება, როდესაც მარწმუნებელმა წარმომადგენელს მინდობილობის დოკუმენტი გადასცა, ეს უკანასკნელი კი წარმომადგენელს წარუდგენს მესამე პირს.
(2) წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შენარჩუნდება მანამდე, სანამ მინდობილობის დოკუმენტი მარწმუნებელს არ დაუბრუნდება, ან არ გამოცხადდება ძალადაკარგულად.

§ 173. მოქმედების ვადა, როდესაც პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა მინდობილობის გაუქმების შესახებ
§ 170, § 171-ის მე-2 ნაწილი და § 172-ის მე-2 ნაწილი არ გამოიყენება, როდესაც მესამე პირმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმების შესახებ.

§ 174. უფლებამოსილი პირის ცალმხრივი გარიგება
ცალმხრივი გარიგება, რომელსაც უფლებამოსილი პირი სხვა პირის მიმართ დებს, სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ უფლებამოსილი პირი არ წარადგენს მინდობილობის დოკუმენტს, ხოლო მეორე მხარე ამ საფუძვლით დაუყოვნებლივ უარს იტყვის გარიგებაზე. უარი გამორიცხულია, თუ მარწმუნებელმა ამ უკანასკნელს შეატყობინა უფლებამოსილების შესახებ.

§ 175. მინდობილობის დოკუმენტის დაბრუნება
მინდობილობის გაუქმების შემდეგ უფლებამოსილმა პირმა მინდობილობის დოკუმენტი უნდა დაუბრუნოს მარწმუნებელს; მას არა აქვს მინდობილობის დოკუმენტის დაბრუნებაზე უარის უფლება.

§ 176. მინდობილობის დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადება
(1) მარწმუნებელს შეუძლია, მინდობილობის დოკუმენტი საჯარო გამოქვეყნებით ძალადაკარგულად გამოაცხადოს; ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა გამოქვეყნდეს სასამართლო უწყების საჯარო გამოქვეყნების მომწესრიგებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების მიხედვით. ძალადაკარგულად გამოცხადება ძალაშია ოფიციალურ გაზეთებში მისი ბოლო გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადის გასვლისთანავე.
(2) ის რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მარწმუნებელს აქვს თავისი საერთო განსჯადობა და რაიონული სასამართლო, რომელიც განსჯადი იქნებოდა მინდობილობის დოკუმენტის დაბრუნებაზე სარჩელის მიმართ, თანაბრად განსჯადია გამოსაქვეყნებლად თანხმობის მიცემაზე, სადავო საგნის ღირებულების მიუხედავად.
(3) ძალადაკარგულად გამოცხადება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ მარწმუნებელს არ შეუძლია მინდობილობის გაუქმება.

§ 177. ხელშეკრულების დადება არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით
(1) თუ პირი სხვა პირთან დებს ხელშეკრულებას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, მაშინ ხელშეკრულების სამართლებრივი ძალა როგორც მარწმუნებლის სასარგებლოდ, ისე საწინააღმდეგოდ დამოკიდებულია ამ უკანასკნელის მოწონებაზე.
(2) თუ მეორე მხარე მარწმუნებლისაგან ითხოვს მოწონების შესახებ განცხადებას, მაშინ განცხადება მხოლოდ მის მიმართ შეიძლება გაკეთდეს; მოთხოვნამდე წარმომადგენლის მიმართ განცხადებული თანხმობა ან უარი თანხმობაზე სამართლებრივი ძალის არმქონეა. მოწონება შეიძლება გაცხადდეს მხოლოდ მოთხოვნის მიღებიდან ორი კვირის ვადის გასვლის შემდეგ; თუ იგი არ იქნება განცხადებული, მაშინ ითვლება, რომ მასზე უარი იქნა ნათქვამი.

§ 178. მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებაზე უარის უფლება
ხელშეკრულების მოწონებამდე მეორე მხარე უფლებამოსილია, უარი თქვას მასზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან ხელშეკრულების დადებისას იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. უარი შეიძლება გაცხადდეს ასევე წარმომადგენლის მიმართაც.

§ 179. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არმქონე წარმომადგენლის პასუხისმგებლობა
(1) პირი, რომელმაც დადო ხელშეკრულება როგორც წარმომადგენელმა, იმ შემთხვევაში, თუ ვერ დაამტკიცებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, ვალდებულია, მეორე მხარეს ამ უკანასკნელის არჩევანით შეუსრულოს ხელშეკრულება, ან აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ მარწმუნებელი უარს განაცხადებს ხელშეკრულების მოწონებაზე.

(2) თუ წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მიყენებულ იქნა მეორე მხარისათვის იმის შედეგად, რომ ეს უკანასკნელი ენდობა წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, მაგრამ არა უმეტეს ინტერესის იმ მოცულობისა, რომელიც ხელშეკრულების სამართლებრივი ძალისადმი აქვს მეორე მხარეს.
(3) წარმომადგენელი არ არის პასუხისმგებელი, თუ მეორე მხარემ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ იცოდა, ან მას უნდა სცოდნოდა ამის შესახებ. წარმომადგენელი არ არის პასუხისმგებელი, აგრეთვე, მაშინაც, როდესაც იგი შეზღუდულქმედუნარიანი იყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოქმედება თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

§ 180. ცალმხრივი გარიგება
ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში წარმომადგენლობა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, დაუშვებელია. თუმცა, თუ პირმა, რომლის მიმართაც ასეთი გარიგება უნდა დადებულიყო, გარიგების დადების დროს წარმომადგენლის მიერ მითითებული უფლებამოსილების მიმართ არ გამოთქვა ეჭვი, ან თუ იგი თანახმაა, რომ წარმომადგენელმა იმოქმედოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება ნორმები ხელშეკრულებების შესახებ. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ცალმხრივი გარიგება იდება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის მიმართ, ამ უკანასკნელის თანხმობით.

§ 181. თავის თავთან დადებული გარიგება
წარმომადგენელს, თუ მას პირდაპირ არ ეძლევა ნებართვა, არ შეუძლია გარიგების დადება მარწმუნებლის სახელით თავის თავთან არც საკუთარი სახელით და არც როგორც მესამე პირის წარმომადგენელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგება მხოლოდ ვალდებულების შესრულებაა.

კარი 6. თანხმობა და მოწონება

§ 182. თანხმობა
(1) თუ ხელშეკრულების ან იმ ცალმხრივი გარიგების სამართლებრივი ძალა, რომელიც იდება სხვა პირის მიმართ, დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, მაშინ თანხმობის მიცემა, ისევე როგორც მასზე უარი, შეუძლია როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.
(2) თანხმობა არ საჭიროებს გარიგებისთვის დადგენილი ფორმის დაცვას.
(3) თუ ცალმხრივი გარიგება, რომლის სამართლებრივი ძალისათვის საჭიროა მესამე პირის თანხმობა, დაიდო მესამე პირის თანხმობით, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 111-ის მე-2 და მე-3 წინადადებათა ნორმები.

§ 183. თანხმობაზე უარი
წინასწარ თანხმობაზე (ნებართვაზე) გარიგების დადებამდე შეიძლება უარის განცხადება, თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომელსაც ეს თანხმობა ეფუძნება, სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 184. მოწონების უკუქცევითი ძალა
(1) შემდგომი თანხმობა (მოწონება) მოქმედებს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი.
(2) უკუქცევითი ძალის შედეგად სამართლებრივ ძალას არ კარგავს ის განკარგვები, რომლებიც განხორციელდა გარიგების საგნის მიმართ თანხმობის მიმცემი პირის მიერ მოწონებამდე, ან იძულებითი აღსრულების, ან ყადაღის დადების პროცესში, ანდა გაკოტრების მმართველის მიერ გაკოტრების საქმისწარმოებისას.

§ 185. არაუფლებამოსილი პირის განკარგვა
(1) არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვა სამართლებრივი ძალის მქონეა, თუ იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის თანხმობით.
(2) განკარგვა ხდება სამართლებრივი ძალის მქონე, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს, ან, თუ განმკარგავი პირი იძენს საგანს, ანდა იღებს მას მემკვიდრეობით უფლებამოსილი პირისაგან და იგი სამკვიდრო ქონების ვალებისათვის შეუზღუდავად აგებს პასუხს. ორივე უკანასკნელ შემთხვევაში, თუ საგანზე განხორციელდა ერთზე მეტი შეუთავსებელი განკარგვა, მაშინ ძალაშია მხოლოდ უფრო ადრე გაკეთებული განკარგვა.

ნაწილი 4. ვადები, თარიღები

§ 186. გამოყენების სფერო
კანონებში, სასამართლო აქტებსა და გარიგებებში მოცემული ვადებისა და თარიღებისადმი გამოიყენება §§ 187-193 ნორმათა განმარტების წესები.

§ 187. ვადის ათვლის დაწყება
(1) თუ ვადის ათვლის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დროის ის მომენტი, რომელიც დგება დღის განმავლობაში, მაშინ ვადის ათვლისას არ მიითვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დროის მომენტი.
(2) თუ ვადის ათვლის დასაწყის მომენტად აღებულია დღის დასაწყისი, მაშინ ეს დღე ვადის ათვლისას არ მიითვლება. ანალოგიური წესი მოქმედებს ასაკის ათვლისას დაბადების დღის მიმართაც.

§ 188. ვადის დასრულება
(1) დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.
(2) ვადა, რომელიც განისაზღვრება კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტლით – § 187-ის პირველ ნაწილში მითითებულ შემთხვევაში მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც თავისი დასახელებით ან რაოდენობით შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დროის მომენტს, ხოლო § 187-ის მე-2 ნაწილის შემთხვევაში – ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც წინ უსწრებს იმ დღეს, რომელიც თავისი დასახელებით ან რაოდენობით შეესაბამება ვადის საწყის დღეს.
(3) თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

§ 189. ცალკეული ვადების გამოთვლა
(1) ნახევარ წელში იგულისხმება ექვსთვიანი ვადა, კვარტალში – სამთვიანი ვადა, ხოლო ნახევარ თვეში – თხუთმეტდღიანი ვადა.
(2) თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, თხუთმეტი დღე უნდა გამოითვალოს ვადის ბოლოს.

§ 190. ვადის გაგრძელება
ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.

§ 191. ვადის ათვლა დროის მონაკვეთების მიხედვით
თუ დროის მონაკვეთი განისაზღვრება თვეების ან წლების მიხედვით იმ მნიშვნელობით, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი – 365 დღით.

§ 192. თვის დაწყება, შუა თვე, თვის დასასრული
თვის დასაწყისად ჩაითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ – თვის მე-15 დღე, ხოლო თვის დასასრულად – თვის ბოლო დღე.

§ 193. კვირა და უქმე დღეები; შაბათი
თუ ნების გამოვლენა უნდა განხორციელდეს, ან ვალდებულება შესრულდეს განსაზღვრულ დღეს, ან განსაზღვრული ვადის განმავლობაში და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა კვირას, განცხადების გაკეთების, ან ვალდებულების შესრულების ადგილზე ოფიციალურად აღიარებულ უქმე დღეს, ანდა შაბათს, მაშინ ამ დღის ადგილს იკავებს მომდევნო სამუშაო დღე.

ნაწილი 5. ხანდაზმულობა

კარი 1. ხანდაზმულობის საგანი და ხანგრძლივობა

§ 194. ხანდაზმულობის საგანი
(1) სხვა პირისაგან მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების უფლება (მოთხოვნის უფლება) ექვემდებარება ხანდაზმულობას.
(2) საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები არ ექვემდებარება ხანდაზმულობას, თუ ისინი მიმართულია მომავალში ურთიერთობის შესაბამისი მდგომარეობის აღდგენისაკენ ან ბიოლოგიური წარმომავლობის დადგენის მიზნით გენეტიკური კვლევის ჩატარებაზე თანხმობის მიღებისაკენ.

§ 195. ხანდაზმულობის სტანდარტული ვადა
ხანდაზმულობის სტანდარტული ვადა შეადგენს სამ წელს.

§ 196. მიწის ნაკვეთებზე უფლებების ხანდაზმულობის ვადა
მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემაზე, ასევე მიწის ნაკვეთზე უფლების დადგენის, გადაცემისა თუ გაუქმებისათვის მოთხოვნის უფლებების, ასევე ასე-

თი უფლების შინაარსის შეცვლისათვის, ანდა საპირისპირო შესრულების მოთხოვნის უფლებათა ხანდაზმულობა შეადგენს ათ წელს.

§ 197. ოცდაათწლიანი ხანდაზმულობის ვადა

(1) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა წესია დადგენილი, შემდეგი მოთხოვნის უფლებები არის ხანდაზმული ოცდაათი წლის შემდეგ:

1. ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლებები საკუთრების უფლებიდან და სხვა სანივთო უფლებებიდან, §§ 2018, 2130 და 2362-იდან გამომდინარე, ასევე მოთხოვნის უფლებები, რომლებიც ემსახურება ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების რეალიზაციას;
2. *(გაუქმებულია)*
3. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის უფლებები;
4. მოთხოვნის უფლებები აღსრულებას დაქვემდებარებული მორიგების აქტებიდან ან სხვა დოკუმენტებიდან გამომდინარე;
5. მოთხოვნის უფლებები, რომლებიც დაექვემდებარა აღსრულებას გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში დადგენისას; და
6. მოთხოვნის უფლებები იძულებითი აღსრულების პროცესში გაწეული ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

(2) იმ ფარგლებში, რომლებშიც პირველი ნაწილის №2-ის მიხედვით, მოთხოვნის უფლებები არის პერიოდულად შესასრულებელი მოქმედებები, ან რჩენის ვალდებულების შესასრულებლად პერიოდული გადახდები და იმ ფარგლებში, რომლებშიც მოთხოვნის უფლებები პირველი ნაწილის №3-5-ის მიხედვით ეხება პერიოდულად შესასრულებელ მოქმედებებს, რომლებიც ვადამოსული იქნება მომავალში, ხანდაზმულობის სტანდარტული ვადის ადგილს იკავებს 30-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

§ 198. ხანდაზმულობა უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში

თუ ნივთი, რომელზეც არსებობს სანივთო მოთხოვნის უფლება, უფლებამონაცვლეობის შედეგად გადადის მესამე პირის მფლობელობაში,ხანდაზმულობის ვადა, რომელიც გავიდა წინამორბედის მიერ მფლობელობის განხორციელების დროს, მიითვლება უფლებამონაცვლის სასარგებლოდ.

§ 199. ხანდაზმულობის სტანდარტული ვადისა და მაქსიმალური ვადის ათვლა

(1) ხანდაზმულობის სტანდარტული ვადის დენა იწყება იმ წლის დამთავრებისას, რომელშიც:

1. წარმოიშვა მოთხოვნის უფლება და
2. კრედიტორმა შეიტყო მოთხოვნის უფლების საფუძვლად არსებული გარემოებებისა და მოვალის პიროვნების შესახებ, ან მას ამის შესახებ უნდა შეეტყო, რომ უხეში გაუფრთხილებლობა არ გამოეჩინა.

(2) ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლებები, რომლებიც ეფუძნება სიცოცხლის, სხეულის, ჯანმრთელობის ან თავისუფლების ხელყოფას, მიუხედავად მათი წარმოშობის ხერხისა და ხელყოფის ფაქტის ცნობისა თუ უხეში გაუფრთხილებლობით ფაქტის შესახებ ინფორმაციის არქონისა, ექვემდებარება 30-წლიან ხანდაზმულობის ვადას მოქმედების განხორციელების, ვალდებულების დარღვევის ან სხვა იმ გარემოების დადგომის მომენტიდან, რომელმაც გამოიწვია ზიანის მიყენება.

(3) ზიანის ანაზღაურებაზე სხვა მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია,

1. მიუხედავად ფაქტის შესახებ ცნობისა ან უხეში გაუფრთხილებლობით ფაქტის შესახებ ინფორმაციის არქონისა მათი წარმოშობიდან ათი წლის შემდეგ, და
2. მიუხედავად წარმოშობისა და ფაქტის შესახებ ცნობისა ან უხეში გაუფრთხილებლობით ფაქტის შესახებ ინფორმაციის არქონისა ოცდაათი წლის შემდეგ მოქმედების განხორციელების, ვალდებულების დარღვევის ან სხვა გარემოების დადგომის მომენტიდან, რომელმაც გამოიწვია ზიანის მიყენება.

გამოიყენება ის ვადა, რომელიც უფრო ადრე დასრულდა.

(3ა) მოთხოვნის უფლებები, რომლებიც დამოკიდებულია სამკვიდროს გახსნაზე, ან მათი რეალიზაციის წინაპირობაა საანდერძო განკარგულების შესახებ ცოდნა, ხანდაზმულია, მიუხედავად ფაქტის შესახებ ცნობისა ან უხეში გაუფრთხილებლობით ფაქტის შესახებ ინფორმაციის არქონისა მათი წარმოშობიდან ათი წლის შემდეგ.

(4) მიუხედავად ფაქტის შესახებ ცნობისა ან უხეში გაუფრთხილებლობით ფაქტის შესახებ ინფორმაციის არქონისა, სხვა, გარდა 2-3ა-თი გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებებისა, ხანდაზმულია მათი წარმოშობიდან ათი წლის შემდეგ.

(5) თუ მოთხოვნის უფლება გულისხმობს მოქმედებისაგან თავის შეკავებას, მაშინ ამ ვალდებულების დარღვევა იკავებს მოთხოვნის უფლების წარმოშობის თარიღის ადგილს.

§ 200. ხანდაზმულობის სხვა ვადების ათვლა

იმ მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადა, რომლებიც არ ექვემდებარება სტანდარტულ ხანდაზმულობის ვადას, აითვლება მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტიდან, თუ ხანდაზმულობის ვადის ათვლისათვის სხვა თარიღი არ არის განსაზღვრული.

შესაბამისად, გამოიყენება § 199-ის მე-5 ნაწილი.

§ 201. ხანდაზმულობის ვადის ათვლა დადასტურებული მოთხოვნის უფლებების მიმართ

§ 197-ის პირველი ნაწილის №3-6-ში მითითებული სახის მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გადაწყვეტილების ძალაში შესვლის, სააღსრულებო ფურცლის შედგენის ან მოთხოვნის უფლების გაკოტრების საქმისწარმოების პროცესში დადასტურების მომენტიდან, თუმცა, არა მანამდე, ვიდრე მოთხოვნის უფლება წარმოიშობა. შესაბამისად, გამოიყენება § 199-ის მე-5 ნაწილი.

§ 202. ხანდაზმულობის ვადის შესახებ შეთანხმებების დაუშვებლობა

(1) განზრახვისათვის პასუხისმგებლობის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენის წესები არ შეიძლება წინასწარ გარიგებით შემსუბუქდეს.

(2) გარიგებით ხანდაზმულობის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 30-წლიან ვადას კანონისმიერი ხანდაზმულობის ვადის დასაწყისიდან.

კარი 2. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და ხელახალი დენა

§ 203. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება მოლაპარაკებების წარმოებისას

თუ მოვალესა და კრედიტორს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები მოთხოვნის უფლების ან მის საფუძვლად არსებული გარემოებების თაობაზე, ხანდაზმულობის

ვადის დენა შეჩერდება მანამდე, სანამ ერთი ან მეორე მხარე უარს არ იტყვის მოლაპარაკებების გაგრძელებაზე. მოთხოვნის უფლება არ არის ხანდაზმული შეჩერების შემდეგ, სულ ცოტა, სამი თვის ვადის გასვლამდე.

§ 204. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება სასამართლოში საქმისწარმოებით

(1) ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება:

1. ვალდებულების შესრულების ან მოთხოვნის უფლების დადასტურების, სააღსრულებო წარწერის გაკეთებისა თუ სააღსრულებო განკარგულების გაცემის მოთხოვნით სარჩელის შეტანით;
2. არასრულწლოვანი პირის რჩენის შესახებ გამარტივებულ საქმისწარმოებაში განცხადების წარდგენით;
3. დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წესით საქმისწარმოების პროცესში ვადაგადაცილებული დავალიანების გადახდის შესახებ სასამართლოს ბრძანების ჩაბარებით ან ევროპული გადახდის ბრძანების ჩაბარებით დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წესით ევროპული საქმისწარმოების პროცესში ევროპული პარლამენტისა და დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წესით ევროპული საქმისწარმოების მიღების შესახებ საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის №1896/2006 დადგენილების (ევროკავშირი) თანახმად (ABl. EU Nr. L 399, გვ. 1);
4. სამომრიგებლო წარმოებაში ქონებრივი სარჩელის შესახებ შეტყობინებით, რომელიც წარდგენილ იქნა ფედერაციული მხარის იუსტიციის მმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული ან აღიარებული სამომრიგებლო ორგანოს მიერ, ან, თუ მხარეები მორიგებას ცდილობენ შეთანხმების დადებით, ნებისმიერი სხვა სამომრიგებლო ორგანოს მიერ, რომელიც აგვარებს დავას; თუ შეტყობინება გაკეთდა განცხადების წარდგენიდან უმოკლეს ვადაში, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება დაუყოვნებლივ განცხადების წარდგენისთანავე;
5. სასამართლო დავის განხილვისას გაქვითვის მოთხოვნის უფლების წარდგენით;
6. სასამართლო დავაში მესამე პირის ჩართვის შესახებ განცხადების წარდგენით;
7. დამოუკიდებელი მტკიცების პროცესის ჩატარების მოთხოვნაზე განცხადების წარდგენით;
8. შეთანხმებული ექსპერტიზის დაწყებით;
9. ყადაღის დადების შესახებ, დროებითი აკრძალვის ან დროებითი განკარგულების განცხადების წარდგენით, ანდა, თუ განცხადება არ წარედგინება, – მისი გადაცემით, თუ ყადაღის დადების შესახებ ბრძანება, დროებითი აკრძალვა ან დროებითი განკარგულება მოვალისათვის წარდგენილ იქნა მისი გამოცხადებიდან ან კრედიტორისთვის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
10. გაკოტრების საქმისწარმოების ან საზღვაო სამართლის თანახმად, კრედიტორებს შორის ქონების განაწილების პროცესის დროს მოთხოვნის უფლების წარდგენით;
11. საარბიტრაჟო განხილვის დაწყებით;
12. განცხადების ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენით, თუ სარჩელის დასაშვებობა დამოკიდებულია ამ ადმინისტრაციული ორგანოს წინასწარ გადაწყვეტილებაზე და სარჩელი შეიტანება განცხადების წარდგენიდან სამი თვის განმავლობაში; ანალოგიური წესი, შესაბამისად, გამოიყენება იმ განცხადებების მიმართ, რომლებიც უნდა წარედგინოს სასამართლოს, ან ზემოთ, №4-ში მითითებულ სამომრიგებლო ორგანოს, რომელთა დასაშვებობა დამოკიდებულია ადმინისტრაციული ორგანოს წინასწარ გადაწყვეტილებაზე;

13. ზემდგომი სასამართლოსთვის განცხადების წარდგენით, თუ ამ უკანასკნელმა უნდა იიღოს გადაწყვეტილება განსჯადი სასამართლოს თაობაზე და განცხადების წარდგენიდან სამი თვის განმავლობაში სარჩელი შეიტანება, ანდა წარედგინება განცხადება, რომლითაც უნდა გადაწყდეს განსჯადობის საკითხი; და
14. სასამართლოში საქმისწარმოებისათვის იურიდიული დახმარების გაწევაზე პირველი განცხადების შეტყობინებით; თუ შეტყობინება გაკეთდა განცხადების წარდგენიდან უმოკლეს ვადაში, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება დაუყოვნებლივ განცხადების წარდგენისთანავე.

(2) პირველი ნაწილის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება მთავრდება საქმისწარმოებაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ან საქმის სხვაგვარად დასრულებიდან ექვს თვეში. თუ საქმის განხილვა ჩერდება იმის გამო, რომ მას მხარეები აღარ აწარმოებენ, მაშინ მხარეთა, სასამართლოს ან სხვა საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ საქმისწარმოებისას განხორციელებული ბოლო მოქმედება იკავებს საქმისწარმოების თარიღის ადგილს. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება განახლდება, თუ ერთ-ერთი მხარე გააგრძელებს საქმისწარმოებას.

(3) პირველი ნაწილის №9, 12 და 13-ის ვადის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 206, 210 და 211.

§ 205. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების შემთხვევაში

ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ ვადით, რა ვადითაც მოვალე კრედიტორთან შეთანხმების საფუძველზე დროებით უფლებამოსილია, უარის თქვას ვალდებულების შესრულებაზე.

§ 206. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება დაუძლეველი ძალის შემთხვევაში

ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ ვადით, რა ვადითაც კრედიტორი ხანდაზმულობის ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მოკლებულია საკუთარი უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობას დაუძლეველი ძალის შედეგად.

§ 207. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ოჯახური და სხვა მსგავსი გარემოებებით

(1) მეუღლეებს შორის მოთხოვნის უფლებებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება იმ ვადით, რა ვადითაც არსებობს ქორწინება. ანალოგიური წესი მოქმედებს:

1. თანაცხოვრებაში პარტნიორებს შორის თანაცხოვრების ვადის განმავლობაში;
2. მშობლებსა და შვილებს, ერთ-ერთი მშობლის მეუღლესა და ამ მეუღლის შვილებს შორის ამ უკანასკნელთა არასრულწლოვანების განმავლობაში;
3. მეურვესა და სამეურვეო პირს შორის მეურვეობის სამართლებრივი ურთიერთობის განმავლობაში;
4. სამზრუნველო პირსა და მზრუნველს შორის სამზრუნველო ურთიერთობის განმავლობაში;
5. სამზრუნველო პირსა და მზრუნველს შორის სპეციალური მზრუნველობის განმავლობაში არსებული მოთხოვნის უფლებების მიმართ.

პატრონაჟის განმახორციელებელი პირის მიმართ ბავშვის მოთხოვნის უფლებებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება პატრონაჟის ვადის განმავლობაში.

(2) § 208 უცვლელი რჩება.

§ 208. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება სექსუალური თვითგამორკვევის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის უფლებების შემთხვევაში

სექსუალური თვითგამორკვევის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება კრედიტორის მიერ 21 წლის ასაკის მიღწევამდე. თუ სექსუალური თვითგამორკვევის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის უფლებების კრედიტორი ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისისათვის მოვალესთან ერთად საერთო სახლში ცხოვრობს, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება ასევე თანაცხოვრების დასრულებამდე.

§ 209. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების სამართლებრივი შედეგი

დროის ის მონაკვეთი, როდესაც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება.

§ 210. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი პირების შემთხვევაში

(1) თუ ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიან პირს არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, მაშინ მის სასარგებლოდ ან საზიანოდ დენადი ხანდაზმულობის ვადა არ მთავრდება ექვსი თვის გასვლამდე იმ მომენტის დადგომიდან, როდესაც პირი იძენს შეუზღუდავ ქმედუნარიანობას ან არ გამოსწორდება წარმომადგენლობის ნაკლი. თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე მცირეა, მაშინ ხანდაზმულობისათვის დადგენილი ვადა იკავებს ექვსი თვის ვადის ადგილს.

(2) პირველი ნაწილი არ გამოიყენება იმ ფარგლებში, რომლებშიც შეზღუდულქმედუნარიანი პირი პროცესუნარიანია.

§ 211. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სამემკვიდრეო საქმეებში

მოთხოვნის უფლება, რომელიც შედის სამკვიდრო ქონებაში, ან მიმართულია მის წინააღმდეგ, არ არის ხანდაზმული ექვსი თვის ვადის გასვლამდე იმ მომენტიდან, როდესაც სამკვიდრო მიღებულ იქნა მემკვიდრის მიერ, ან სამკვიდრო ქონების მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმისწარმოება, ანდა მოთხოვნის უფლება წარდგენილ იქნა წარმომადგენლის მიერ ან მის მიმართ. თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე მცირეა, მაშინ ხანდაზმულობისათვის დადგენილი ვადა იკავებს ექვსი თვის ვადის ადგილს.

§ 212. ხანდაზმულობის ვადის ხელახალი დენა

(1) ხანდაზმულობის ვადის დენა ხელახლა იწყება, თუ

1. მოვალე კრედიტორის მიმართ ნაწილობრივი გადახდით, პროცენტის გადახდით, უზრუნველყოფის წარდგენით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის უფლებას, ან
2. სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელდება სააღსრულებო მოქმედება ან ამ მოქმედების მოთხოვნით შეტანილ იქნება განცხადება.

(2) სააღსრულებო მოქმედების შედეგად ხანდაზმულობის ვადის განახლება არ ითვლება მომხდარად, თუ სააღსრულებო მოქმედება გაუქმდა კრედიტორის განცხადებით ან კანონისმიერი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო.

(3) სააღსრულებო მოქმედების განხორციელების შედეგად ხანდაზმულობის ვადის ხელახლა დენა არ ითვლება მომხდარად, თუ განცხადება არ იქნა მიღებული, ან იგი

უკან იქნა გამოთხოვილი სააღსრულებო მოქმედების განხორციელებამდე, ანდა განხორციელებული სააღსრულებო მოქმედება, მე-2 ნაწილის თანახმად, გაუქმებულ იქნა.

§ 213. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და ხელახალი დენა სხვა მოთხოვნის უფლებების შემთხვევაში
ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და ხელახალი დენა მოქმედებს ასევე იმ მოთხოვნის უფლების მიმართ, რომლებიც იმავე საფუძვლით წარედგინება დამატებით მოთხოვნის უფლებასთან ერთად ან მის ნაცვლად.

კარი 3. ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგები

§ 214. ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგები
(1) ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალე უფლებამოსილია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე.
(2) ხანდაზმული მოთხოვნის უფლების დასაკმაყოფილებლად განხორციელებული შესრულება არ შეიძლება უკან იქნეს მოთხოვნილი მაშინაც კი, როდესაც შესრულება ხორციელდება ხანდაზმულობის ფაქტის არცოდნის შემთხვევაში. ანალოგიური წესი მოქმედებს როგორც ხელშეკრულების შესაბამისად აღიარების, ისე მოვალის მიერ წარდგენილი უზრუნველყოფის მიმართ.

§ 215. გაქვითვა და დაკავების უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ
ხანდაზმულობა არ გამორიცხავს გაქვითვასა და ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლებას, თუ მოთხოვნის უფლება ჯერ არ იყო ხანდაზმული იმ მომენტისათვის, როდესაც გაქვითვა ან ვალდებულების შესრულებაზე უარი ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო.

§ 216. ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგები უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლებების შემთხვევაში
(1) იმ მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობა, რომლისთვისაც არსებობს იპოთეკა, საზღვაო ხომალდის იპოთეკა ან გირავნობა ხელს არ უშლის კრედიტორს, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა დატვირთული საგნიდან.
(2) თუ მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა უფლება, მაშინ ხანდაზმულობის საფუძვლით უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია. პირობადებული საკუთრების შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლა შესაძლებელია ასევე მაშინაც, როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია.
(3) პირველი და მე-2 ნაწილები არ გამოიყენება პროცენტებისა და სხვა პერიოდულად განსახორციელებელი გადახდებისაგან შემდგარი მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობისადმი.

§ 217. დამატებითი ვალდებულებების ხანდაზმულობა
მთავარი მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმული ხდება დამატებითი ვალდებულებებიც მაშინაც კი, როდესაც ამ დამატებითი ვალდებულებების მიმართ სპეციალური ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა.

§ 218. სამართლებრივი ძალის არმქონე ხელშეკრულებიდან გასვლა
(1) ვალდებულების შეუსრულებლობისა თუ ხელშეკრულების შეუსაბამოდ განხორციელებული შესრულებისათვის ხელშეკრულებიდან გასვლა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ვალდებულების შესრულების ან შესრულებისშემდგომი მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია და მოვალე ამაზე მიუთითებს.ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, მაშინაც, როდესაც მოვალეს, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების, § 439-ის მე-3 ნაწილის ან § 635-ის მე-3 ნაწილის მიხედვით, ვერ მოეთხოვება ვალდებულების შესრულება და ვალდებულების შეუსრულებლობისა თუ ხელშეკრულების შეუსაბამოდ განხორციელებული შესრულებისათვის მოთხოვნის უფლებები ხანდაზმული იქნებოდა. § 216-ის მე-2 წინადადება უცვლელი რჩება.
(2) შესაბამისად, გამოიყენება § 214-ის მე-2 ნაწილი.

§§ 219-225 *(გაუქმებულია)*

ნაწილი 6. უფლების განხორციელება, თავდაცვა, თვითდახმარება

§ 226. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა
დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

§ 227. აუცილებელი მოგერიება
(1) აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო.
(2) აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვა პირებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად.

§ 228. უკიდურესი აუცილებლობა
პირი, რომელიც აზიანებს ან ანადგურებს სხვა პირის კუთვნილ ნივთს ამ უკანასკნელისაგან საკუთარი თავის ან სხვა პირებისაკენ მიმართული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ დაზიანება ან განადგურება აუცილებელია საფრთხისაგან დასაცავად და ზიანი საფრთხის არაპროპორციული არ არის. თუ საფრთხის გამომწვევი პირი მოქმედებდა ბრალეულად, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს ზარალი.

§ 229. თვითდახმარება
პირი, რომელიც თვითდახმარების მიზნით წაართმევს, გაანადგურებს ან დააზიანებს ნივთს, ან თვითდახმარების მიზნით შეიპყრობს ვალდებულ პირს, რომელიც შეიძლება მიიმალოს, ანდა აღკვეთს ვალდებული პირის წინააღმდეგობას იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა, არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ, თუ სახელისუფლო ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და არსებობს საფრთხე, რომ სწრაფი ჩარევის გარეშე უფლება ვერ განხორციელდება, ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება.

§ 230. თვითდახმარების ფარგლები
(1) თვითდახმარება არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.
(2) ნივთების წართმევის შემთხვევაში, თუ არ ხორციელდება იძულებითი აღსრულება, წარდგენილ უნდა იქნეს ნივთზე ყადაღის დადების შესახებ განცხადება.
(3) ვალდებული პირის შეპყრობის შემთხვევაში – გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი შემდგომში გათავისუფლდება – მოვალის დაკავების შესახებ განცხადება უნდა წარედგინოს იმ რაიონულ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ხორციელდება დაკავება; ვალდებული პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სასამართლოს.
(4) თუ ყადაღის დადების შესახებ განცხადების შეტანა ყოვნდება, ან მასზე უარი იქნება განცხადებული, მაშინ ჩამორთმეული ნივთები დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნებულ იქნეს, ხოლო დაკავებული პირი გათავისუფლდეს.

§ 231. თვითდახმარება შეცდომით
პირი, რომელიც § 229 მუხლში მითითებულ მოქმედებებს ახორციელებს მცდარი ვარაუდით, რომ სახეზე იქნებოდა მართლზომიერების გამომრიცხავი საფუძვლები, ვალდებულია, მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამ დროს წარმოშობილი ზიანი მაშინაც კი, როდესაც შეცდომა არ იყო გაუფრთხილებლობის შედეგი.

ნაწილი 7. უზრუნველყოფის წარდგენა

§ 232. სახეები
(1) პირი, რომელმაც უნდა წარადგინოს უზრუნველყოფა, შეუძლია ამის განხორციელება ფულის ან ფასიანი ქაღალდების დეპოზიტზე შეტანით, მოთხოვნების დაგირავებით, რომლებიც რეგისტრირებულია ვალების ფედერალურ რეესტრში, ან ფედერაციული მხარის ვალების რეესტრში, მოძრავი ნივთების დაგირავებით, საზღვაო ხომალდზე ან მშენებარე საზღვაო ხომალდზე იპოთეკის დადგენით, რომლებიც რეგისტრირებულია გერმანიის საზღვაო ხომალდების ან მშენებარე საზღვაო ხომალდების რეესტრში, ქვეყნის შიგნით მიწის ნაკვეთებზე იპოთეკის დადგენით, მოთხოვნების დაგირავებით, რომელთა უზრუნველსაყოფადაც ქვეყნის შიგნით მიწის ნაკვეთებზე არსებობს იპოთეკა, ან ქვეყნის შიგნით მიწის ნაკვეთებზე მიწის ვალების, ანდა სარენტო ვალების დაგირავება.
(2) თუ აღნიშნული სახით უზრუნველყოფა არ შეიძლება წარდგენილ იქნეს, დასაშვებია სათანადო თავდებობის წარდგენა.

§ 233. დეპოზიტზე შეტანის სამართლებრივი შედეგები
დეპოზიტზე შეტანით უფლებამოსილი პირი დეპონირებულ ფულსა თუ ფასიან ქაღალდებზე იძენს გირავნობის უფლებას, ხოლო თუ ფული ან ფასიანი ქაღალდები გადადის ხაზინის ანდა სადეპოზიტოდ გათვალისწინებული დაწესებულების საკუთრებაში, – გირავნობის უფლებას ანაზღაურების მოთხოვნაზე.

§ 234. უზრუნველსაყოფად ვარგისი ფასიანი ქაღალდები
(1) ფასიანი ქაღალდები უზრუნველსაყოფად ვარგისია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაცემულია წარმომდგენზე, აქვს საბაზრო ღირებულება და განეკუთვნება

ისეთი სახის ფასიან ქაღალდებს, რომლებშიც შეიძლება ინვესტირებულ იქნეს სამეურვეო პირის კაპიტალი. საწარმდგენლო ფასიან ქაღალდებს უთანაბრდება საორდერო და საბლანკო ინდოსირებადი ფასიანი ქაღალდები.
(2) ფასიან ქაღალდებთან ერთად დეპონირებას ექვემდებარება პროცენტული, სარენტო და განახლებადი კუპონები.
(3) ფასიანი ქაღალდები შეიძლება წარდგენილ იქნეს უზრუნველსაყოფად მხოლოდ მათი საბაზრო ღირებულების სამ მეოთხედამდე.

§ 235. გაცვლის უფლება
პირი, რომელიც წარადგენს უზრუნველყოფას ფულის ან ფასიანი ქაღალდების დეპოზიტზე შეტანით, უფლებამოსილია, გაცვალოს დეპონირებული ფული უზრუნველსაყოფად ვარგის ფასიან ქაღალდებზე, ხოლო დეპონირებული ფასიანი ქაღალდები – სხვა უზრუნველსაყოფად ვარგის ფასიან ქაღალდებზე ან ფულზე.

§ 236. რეგისტრირებული მოთხოვნები
ფედერაციის ან ფედერაციული მხარის მიმართ ვალდებულებით-სამართლებრივი მოთხოვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უზრუნველსაყოფად მხოლოდ იმ ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების სამ მეოთხედამდე, რომელთა გადაცემის მოთხოვნა შეუძლია კრედიტორს თავისი მოთხოვნის დაფარვის სანაცვლოდ.

§ 237. მოძრავი ნივთები
მოძრავი ნივთები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უზრუნველსაყოფად მხოლოდ მათი შეფასებითი ღირებულების ორ მესამედამდე. მალფუჭებადი ნივთების ან იმ ნივთების მიღებაზე, რომელთა შენახვა დაკავშირებულია განსაკუთრებულ სირთულეებთან, შეიძლება უარი იქნეს განცხადებული.

§ 238. იპოთეკები, მიწის ვალი და სარენტო ვალი
(1) იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მიწის ვალი და სარენტო ვალი ვარგისია უზრუნველსაყოფად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეესაბამება იმ პირობებს, რომელთა საფუძველზეც უზრუნველყოფის წარდგენის ადგილზე ნებადართულია სამეურვეო პირის კაპიტალის ინვესტირება იპოთეკურ მოთხოვნებში, მიწის ვალებსა თუ სარენტო ვალებში.
(2) იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა არ არის ვარგისი უზრუნველყოფის მიზნებისათვის.

§ 239. თავდები პირი
(1) თავდები პირი ჩაითვლება სათანადოდ, თუ იგი ფლობს წარსადგენი უზრუნველყოფის შესაბამის ქონებას და ექვემდებარება ქვეყნის შიგნით სასამართლო განსჯადობას.
(2) თავდებობის განცხადება უნდა შეიცავდეს თავდები პირის უარს შესაგებელზე, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.

§ 240. უზრუნველყოფის დამატების ვალდებულება
თუ წარდგენილი უზრუნველყოფა არასაკმარისი გახდა კრედიტორის ბრალის გარეშე, მას უნდა დაემატოს სხვა უზრუნველყოფა, ან იგი უნდა შეიცვალოს ამ უკანასკნელით.

წიგნი 2. ვალდებულებითი სამართალი

ნაწილი 1. ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსი

კარი 1. ქმედების განხორციელების ვალდებულება

§ 241. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები

(1) ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. ვალდებულების შესრულება შეიძლება, ასევე, გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებითაც.

(2) თავისი შინაარსის მიხედვით, ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებების, ქონებრივი სიკეთისა და ინტერესების პატივისცემას.

§ 241ა. ვალდებულების შესრულება შეკვეთის გარეშე

(1) მეწარმის მიერ მომხმარებლისათვის შეუკვეთავი ნივთების მიწოდება ან შეკვეთის გარეშე სხვა შესრულების განხორციელება არ წარმოშობს ამ უკანასკნელის მიმართ მოთხოვნის უფლებას.

(2) კანონისმიერი მოთხოვნის უფლებები არ არის გამორიცხული, თუ ვალდებულების შესრულება მიმღებისათვის არ იყო განკუთვნილი ან იყო იმ მცდარი წარმოდგენის შედეგი, რომ თითქოს განხორციელდა შეკვეთა და მიმღებმა იცოდა ამის შესახებ, ან მას შეეძლო სცოდნოდა, სამოქალაქო ბრუნვაში სათანადო მზრუნველობა რომ გამოეჩინა.

(3) შეკვეთის შეუსაბამო შესრულება არ ხდება, თუ მომხმარებელს შეკვეთილი შესრულების ნაცვლად სთავაზობენ ხარისხისა და ფასის მიხედვით ეკვივალენტური ღირებულების შესრულებას და მას მიეთითა, რომ იგი ვალდებული არ არის შეთავაზების მიღებაზე და მას არ ეკისრება უკან გაგზავნის ხარჯების ანაზღაურება.

§ 242. ვალდებულების შესრულება კეთილსინდისიერად

მოვალე ვალდებულია, შესრულება განახორციელოს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად, ჩვეულების ნორმების გათვალისწინებით.

§ 243. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულება

(1) თუ პირი ვალდებულია მხოლოდ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემაზე, მაშინ მან უნდა გადასცეს საშუალო სახისა და ხარისხის ნივთი.

(2) თუ მოვალემ გააკეთა ყველაფერი, რაც მისი მხრიდან აუცილებელია ასეთი ნივთის მიწოდებისათვის, მაშინ ვალდებულება შემოიფარგლება მიწოდებული ნივთით.

§ 244. ვალდებულება უცხოურ ვალუტაში

(1) თუ ევროსაგან განსხვავებული ვალუტით გამოხატული ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ქვეყნის შიგნით, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს ევროთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა ვალუტით გადახდა სპეციალურად არის შეთანხმებული.

(2) გადაცვლა ხორციელდება იმ კურსით, რომელიც გადახდის მომენტისათვის დადგენილია გადახდის ადგილზე.

§ 245. განსაზღვრული ფულადი ნიშნებით შესასრულებელი ვალდებულება
თუ ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს განსაზღვრული ფულადი ნიშნებით, რომლებიც გადახდის მომენტისათვის ხმარებაში აღარ არის, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს ისე, თითქოს განსაზღვრული ფულადი ნიშნები არ ყოფილიყო განსაზღვრული.

§ 246. კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთი
თუ ვალს კანონის ან გარიგების მიხედვით უნდა დაერიცხოს პროცენტი, მაშინ საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ ოთხ პროცენტს, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი.

§ 247. ბაზისური საპროცენტო განაკვეთი
(1) ბაზისური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 3,62 პროცენტს. იგი იცვლება ყოველი წლის პირველ იანვარს და პირველ ივლისს იმ ნიშნულით, რომლითაც საწყისი სიდიდე გაიზარდა ან შემცირდა პროცენტის ბაზისური განაკვეთის ბოლო ცვლილების შემდეგ. საწყისი სიდიდე შეადგენს ევროპის ცენტრალური ბანკის რეფინანსირების უკანასკნელი ძირითადი ოპერაციის საპროცენტო განაკვეთს პირველ კალენდარულ დღემდე შესაბამისი ნახევარწლიანი პერიოდისთვის.
(2) გერმანიის ფედერალური ბანკი დაუყოვნებლივ აცხადებს მოქმედ ბაზისურ საპროცენტო განაკვეთს ფედერალურ გაზეთში პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში მითითებული თარიღის შემდეგ.

§ 248. პროცენტის პროცენტი
(1) ბათილია წინასწარ დადებული შეთანხმება, რომლითაც გადასახდელ პროცენტებს დამატებით კიდევ უნდა დაერიცხოს პროცენტები.
(2) შემნახველ სალაროებს, საკრედიტო დაწესებულებებსა და საბანკო ბიზნესის მფლობელებს შეუძლიათ, წინასწარ შეთანხმდნენ, რომ ანაბრებზე მიუღებელი პროცენტები განიხილება როგორც ახალი პროცენტული ანაბრები. საკრედიტო დაწესებულებებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, მათ მიერ გაცემულ კრედიტებზე გამოუშვან პროცენტიანი სავალო დოკუმენტები წარმომდგენზე, შეუძლიათ, ამ სესხებისათვის წინასწარ პირობად დათქვან ვადაგადაცილებულ პროცენტებზე პროცენტის გადახდა.

§ 249. ზიანის ანაზღაურების ფორმა და ფარგლები
(1) პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.
(2) თუ ანაზღაურებას ექვემდებარება პირის ან ნივთის მიმართ მიყენებული ზიანი, მაშინ კრედიტორს შეუძლია, თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ნაცვლად მოითხოვოს ფულადი თანხის გადახდა. ნივთის დაზიანების შემთხვევაში, პირველი წინადადების მიხედვით მოთხოვნილი ფულადი თანხა მოიცავს გადასახადს ბრუნვიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ფაქტობრივად დაერიცხა და შესაბამისი ოდენობით.

§ 250. ფულადი სახით ზიანის ანაზღაურება ვადის განსაზღვრის შემდეგ
კრედიტორს შეუძლია, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს განუსაზღვროს თავდაპირველი მდგომარეობის აღსადგენად საჭირო ვადა იმ პირობით, რომ იგი

ვადის გასვლის შემდეგ უარს იტყვის თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენაზე. ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ფულადი საზღაური, თუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა დროულად არ ხორციელდება; თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლება გამორიცხულია.

§ 251. ფულადი სახით ზიანის ანაზღაურება ვადის განსაზღვრის გარეშე
(1) თუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია, ან იგი კრედიტორის ზიანის ასანაზღაურებლად საკმარისი არ არის, მაშინ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა კრედიტორს ზიანი უნდა აუნაზღაუროს ფულადი სახით.
(2) ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს შეუძლია, კრედიტორს ზიანი აუნაზღაუროს ფულადი სახით, თუ თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ შეუსაბამო დანახარჯებით. დაზარალებული ცხოველის მკურნალობის შედეგად დამდგარი დანახარჯები არ ითვლება შეუსაბამოდ მაშინაც კი, როდესაც ისინი ცხოველის ღირებულებას მნიშვნელოვნად აღემატება.

§ 252. მიუღებელი შემოსავალი
ასანაზღაურებელი ზიანი მოიცავს, ასევე, მიუღებელ შემოსავალს. მიუღებელ შემოსავალში იგულისხმება შემოსავალი, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში ან განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, კერძოდ კი ღონისძიებების გატარებისა და უსაფრთხოების ზომების მიღებისას, სავარაუდოდ, იქნებოდა მოსალოდნელი.

§ 253. არაქონებრივი ზიანი
(1) არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი საზღაური შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
(2) თუ ანაზღაურებას ექვემდებარება სხეულისათვის, ჯანმრთელობისათვის, თავისუფლებისათვის ან სქესობრივი თვითგამორკვევისათვის მიყენებული ზიანი, მაშინ არაქონებრივი ზიანისათვისაც შესაძლებელია გონივრული ფულადი საზღაური იქნეს მოთხოვნილი.

§ 254. თანაბრალეულობა
(1) თუ ზიანის დადგომას ხელი შეუწყო დაზარალებულის ბრალეულმა ქმედებამ, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, ისევე როგორც ანაზღაურების მოცულობა, დამოკიდებულია იმაზე, ზიანი უფრო მეტი ოდენობით თუ რომელი მხარის ბრალით არის გამოწვეული.
(2) ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულის ბრალი გამოიხატება უმოქმედობით, მიექცია მოვალის ყურადღება იმ უჩვეულოდ დიდი ზიანის საფრთხეზე, რომლის შესახებაც მოვალემ არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა, ანდა დაზარალებულმა არ მიიღო ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. § 278 შესაბამისად გამოიყენება.

§ 255. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დათმობა
პირი, რომელმაც უნდა აანაზღაუროს ნივთის ან უფლების დაკარგვით მიყენებული ზიანი, ვალდებულია, ზიანი აანაზღაუროს მხოლოდ იმ მოთხოვნის უფლებათა დათმობის სანაცვლოდ, რომლებიც ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილ პირს ეკუთვნის მესამე პირების მიმართ ნივთზე ან უფლებაზე საკუთრების უფლების საფუძველზე.

§ 256. დანახარჯებზე პროცენტის დარიცხვა
პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს გაწეული ხარჯები, ხარჯების გაწევის მომენტიდან დახარჯულ თანხაზე ან ფულის ნაცვლად დახარჯული სხვა საგნების ღირებულების სანაცვლოდ მიღებულ თანხაზე უნდა გადაიხადოს პროცენტები. თუ ხარჯები გაწეულ იქნა იმ საგნის მიმართ, რომელიც უნდა დაუბრუნდეს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს, პროცენტები არ ექვემდებარება გადახდას დროის იმ მონაკვეთისათვის, როდესაც ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირი უსასყიდლოდ სარგებლობდა საგნით ან მისი ნაყოფით.

§ 257. ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება
პირს, რომელიც უფლებამოსილია, მოითხოვოს იმ დანახარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გასწია განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლება, თუ იგი ამ მიზნის მისაღწევად კისრულობს სხვა ვალდებულებას. თუ ვალდებულება ჯერ არ არის ვადამოსული, მაშინ ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს შეუძლია, ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების ნაცვლად მას წარუდგინოს უზრუნველყოფა.

§ 258. ნივთის თან წაღების უფლება
პირმა, რომელიც უფლებამოსილია სხვა პირისათვის გადასაცემი ნივთის ცალკეული ნაწილის გამოცალკევებაზე, გამოცალკევების შემთხვევაში საკუთარი ხარჯით უნდა აღადგინოს ნივთის თავდაპირველი მდგომარეობა. თუ ნივთზე მფლობელობა მიიღო სხვა პირმა, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებულია, დართოს ნება ცალკეული ნაწილის გამოცალკევებაზე; მას შეუძლია უარი განაცხადოს ნებართვის მიცემაზე გამოცალკევებასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის წარდგენამდე.

§ 259. ანგარიშგების ფარგლები
(1) პირი, რომელიც უფლებამოსილია, წარადგინოს შემოსავლებისა თუ ხარჯების მართვის შესახებ ანგარიშგება, უფლებამოსილ პირს უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელიც შეიცავს შემოსავლებისა თუ ხარჯების დალაგებულ ჩამონათვალსა და ასევე ქვითრებს, როდესაც მათი გაცემა, ჩვეულებრივ, სავალდებულოა.
(2) თუ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ შემოსავლების შესახებ ანგარიშში ასახული მონაცემები არ იქნება შეტანილი საჭირო გულისყურით, ვალდებულმა პირმა, მოთხოვნის შემთხვევაში, ფიცის ტოლფასი განცხადებით ოქმში შეტანით უნდა დაადასტუროს, რომ მან შემოსავლების შესახებ კეთილსინდისიერად მიუთითა იმდენად სრულყოფილად, რამდენადაც მას ეს შეეძლო.
(3) მცირე მნიშვნელობის საქმეებში ფიცის ტოლფასი დადასტურების ვალდებულება არ არსებობს.

§ 260. საგნების ერთობლიობის დაბრუნებისა და მათ შესახებ მონაცემების წარდგენის ვალდებულება
(1) პირმა, რომელიც ვალდებულია, დააბრუნოს საგნების ერთობლიობა ან შეატყობინოს ამ ერთობლიობის შემადგენლობის შესახებ მონაცემები, უფლებამოსილ პირს უნდა გადასცეს შემადგენლობის ჩამონათვალი.
(2) თუ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ ჩამონათვალი არ იქნება შედგენილი სათანადო გულისყურით, მაშინ ვალდებულმა პირმა, მოთხოვნის შემთხვევაში,

ფიცის ტოლფას ოქმში შეტანით უნდა დაადასტუროს, რომ მან შემადგენლობის ჩამონათვალი კეთილსინდისიერად იმდენად სრულყოფილად მიუთითა, რამდენადაც მას ეს შეეძლო.
(3) გამოიყენება § 259-ის მე-2 ნაწილის ნორმა.

§ 261. ფიცის ტოლფასი დადასტურების შეცვლა; ხარჯები
(1) სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ფიცის ტოლფასი დადასტურების გარემოებების შესაბამისი შეცვლის შესახებ.
(2) ფიცის ტოლფასი დადასტურების მიღების ხარჯები ეკისრება იმ პირს, რომელიც ითხოვს დადასტურებას.

§ 262. ალტერნატიული ვალდებულება; არჩევის უფლება
თუ ხდება რამდენიმე ვალდებულების შესრულების კისრება იმგვარად, რომ უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი ან მეორე, მაშინ, დავის შემთხვევაში, არჩევის უფლება ეკუთვნის მოვალეს.

§ 263. არჩევის უფლების განხორციელება; სამართლებრივი შედეგები
(1) არჩევა ხორციელდება მეორე მხარისათვის გაკეთებული განცხადებით.
(2) არჩეული ვალდებულება მიიჩნევა დასაწყისიდანვე ერთადერთ შესასრულებელ ვალდებულებად.

§ 264. არჩევის უფლების მქონე პირის მიერ უფლების განხორციელების დაყოვნება
(1) თუ არჩევის უფლების მქონე მოვალე არ ახორციელებს ამ უფლებას იძულებითი აღსრულების დაწყებამდე, კრედიტორს შეუძლია, თავისი არჩევანით მიმართოს იძულებითი აღსრულებას ერთი ან მეორე შესრულების მიმართ; თუმცა, მოვალეს მანამ, სანამ კრედიტორს არ მიუღია არჩეული შესრულება სრულად ან ნაწილობრივ, შეუძლია, გათავისუფლდეს ვალდებულებისაგან ერთ-ერთი დარჩენილი შესრულების განხორციელებით.
(2) თუ არჩევის უფლების მქონე კრედიტორი აყოვნებს ამ უფლების განხორციელებას, მოვალეს შეუძლია, მისგან მოითხოვოს ამ უფლების განხორციელება ამისათვის გონივრული ვადის განსაზღვრით. ვადის გასვლით არჩევის უფლება გადადის მოვალეზე, თუ კრედიტორი დროულად არ განახორციელებს არჩევის უფლებას.

§ 265. ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ალტერნატიული ვალდებულების შემთხვევაში
თუ ერთ-ერთი შესრულება თავიდანვე შეუძლებელი იყო, ან ის შემდგომში გახდა შეუძლებელი, მაშინ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა შემოიფარგლება დანარჩენი შესრულებით. ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა არ იზღუდება, როდესაც შესრულება შეუძლებელი ხდება იმ გარემოების შედეგად, რომლისთვისაც პასუხისმგებელია არჩევის უფლების არმქონე მხარე.

§ 266. ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება
მოვალე არ არის უფლებამოსილი ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებაზე.

§ 267. ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ

(1) თუ მოვალე არ არის ვალდებული, პირადად შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. მოვალის თანხმობა აუცილებელი არ არის.

(2) კრედიტორს შეუძლია უარი თქვას შესრულების მიღებაზე, თუ მოვალე ამას არ ეთანხმება.

§ 268. მესამე პირის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების უფლება

(1) თუ კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულების შედეგად შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე, უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი. ანალოგიური უფლება ეკუთვნის ნივთის მფლობელს, თუ მას ემუქრება მფლობელობის დაკარგვის საფრთხე იძულებითი აღსრულების შედეგად.

(2) დაკმაყოფილება შეიძლება განხორციელდეს, აგრეთვე, დეპონირებით ან გაქვითვით.

(3) იმდენად, რამდენადაც მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მოთხოვნა გადადის მასზე. მოთხოვნის გადასვლა არ შეიძლება კრედიტორის საზიანოდ იყოს გამოყენებული.

§ 269. ვალდებულების განხორციელების ადგილი

(1) თუ ვალდებულების განხორციელების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც გარემოებებიდან, კერძოდ კი, ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსიდან არ გამომდინარეობს, მაშინ ვალდებულება უნდა შესრულდეს იმ ადგილზე, რომელზეც მოვალეს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტისათვის ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი.

(2) თუ ვალდებულება წარმოიშვა მოვალის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით, და თუ მოვალეს თავისი საწარმოო ერთეული სხვა ადგილზე ჰქონდა, მაშინ საცხოვრებელ ადგილს ცვლის საწარმოო ერთეულის ადგილი.

(3) მარტო იმ გარემოებიდან, რომ მოვალემ იკისრა გაგზავნის ხარჯები, არ შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ დანიშნულების ადგილი ვალდებულების განხორციელების ადგილად უნდა ჩაითვალოს.

§ 270. გადახდის ადგილი

(1) დავის შემთხვევაში, მოვალემ კრედიტორის მიმართ გადახდა უნდა განახორციელოს საკუთარი რისკითა და ხარჯით, ამ უკანასკნელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

(2) თუ მოთხოვნა წარმოიშვა კრედიტორის სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით, და თუ კრედიტორს თავისი საწარმოო ერთეული სხვა ადგილზე ჰქონდა, მაშინ საცხოვრებელ ადგილს ცვლის საწარმოო ერთეულის ადგილი,

(3) თუ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის შემდეგ იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი და ამის გამო იზრდება ხარჯები, ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ კრედიტორს ეკისრება როგორც გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება, ასევე, საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკიც.

(4) ნორმები ვალდებულების განხორციელების ადგილის შესახებ უცვლელი რჩება.

§ 271. ვალდებულების შესრულების დრო

(1) თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული ვადა და იგი გარემოებებიდანაც არ გამომდინარეობს, მაშინ კრედიტორს შეუძლია შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნა, ხოლო მოვალეს შეუძლია მისი დაუყოვნებლივ შესრულება.

(2) თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე.

§ 272. შუალედური პროცენტები

თუ მოვალე ვადაზე ადრე იხდის უპროცენტო ვალს, მაშინ მას არა აქვს შუალედური პროცენტების გამოქვითვის უფლება.

§ 273. ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება (ვალდებულების დაკავება)

(1) თუ მოვალეს იმავე სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, რომელსაც ეფუძნება მისი ვალდებულება, აქვს კრედიტორის მიმართ ვადამოსული მოთხოვნის უფლება, მაშინ მას, თუ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე მისთვის განკუთვნილი შესრულების განხორციელებამდე (ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება).

(2) ანალოგიური უფლება აქვს საგნის უკან დაბრუნებაზე ვალდებულ პირს, თუ მას ეკუთვნის საგანზე გაწეული ხარჯების ან ამ საგნით მისთვის მიყენებული ზიანისათვის ვადამოსული მოთხოვნის უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან საგანი ხელში ჩაიგდო განზრახ ჩადენილი დელიქტით.

(3) კრედიტორს შეუძლია, თავიდან აიცილოს ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების განხორციელება უზრუნველყოფის წარდგენით. უზრუნველყოფის წარდგენა თავდები პირის მიერ დაუშვებელია.

§ 274. ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების სამართლებრივი შედეგები

(1) კრედიტორის სარჩელის წინააღმდეგ ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლების გამოყენების შედეგია მხოლოდ ის, რომ მოვალეს ეკისრება ვალდებულების შესრულება მისთვის განკუთვნილი შესრულების მიღების სანაცვლოდ (ვალდებულებების ერთდროულად შესრულება).

(2) სასამართლოს ასეთი გადაწყვეტილების საფუძველზე კრედიტორს შეუძლია თავისი მოთხოვნის უფლების განხორციელება იძულებითი აღსრულების პროცესში, თავისი მხრიდან ნაკისრი ვალდებულების შესრულების გარეშე, თუ მოვალემ გადაიცილა შესრულების მიღება.

§ 275. ვალდებულების შესრულების გამორიცხვა

(1) შესრულების მოთხოვნის უფლება გამოირიცხება, რამდენადაც იგი მოვალისათვის ან ნებისმიერი პირისათვის შეუძლებელია.

(2) მოვალეს შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე იმდენად, რამდენადაც შესრულება მოითხოვს ხარჯებს, რომლებიც ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით მნიშვნელოვნად შეუსაბამოა კრედიტორის ინტერესთან ვალდებულების შეს-

რულების მიმართ. იმის განსაზღვრისას, თუ რა გონივრული ძალისხმევა შეიძლება მოეთხოვოს მოვალეს, მხედველობაშია, ასევე, მისაღები მოვალის ბრალეულობა შესრულების ხელშეშლაში.
(3) გარდა ამისა, მოვალეს შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მან ვალდებულება უნდა შეასრულოს პირადად და შესრულება მას არ შეიძლება მოეთხოვოს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ხელშეშლის ხარისხისა და შესრულებისადმი კრედიტორის ინტერესის ურთიერთშეწონის შედეგად.
(4) კრედიტორის უფლებები განისაზღვრება §§ 280-ის, 283-285-ის, 311ა-სა და 326-ის მიხედვით.

§ 276. მოვალის პასუხისმგებლობა
(1) მოვალე პასუხს აგებს განზრახვისა და გაუფრთხილებლობისას, თუ დადგენილი არ არის უფრო მკაცრი ან მსუბუქი პასუხისმგებლობა, ან იგი არ გამომდინარეობს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან, კერძოდ კი, გარანტიის ან მიწოდების რისკის კისრებით. §§ 827 და 828 შესაბამისად გამოიყენება.
(2) გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ წინდახედულებას.
(3) მოვალე არ შეიძლება წინასწარ გათავისუფლდეს განზრახვისათვის პასუხისმგებლობისაგან.

§ 277. წინდახედულება საკუთარი საქმიანობის სფეროში
ის, ვინც მხოლოდ ისეთი წინდახედულებისთვის აგებს პასუხს, რომელსაც საკუთარი საქმიანობის სფეროში იყენებს, არ თავისუფლდება უხეშ გაუფრთხილებლობაზე პასუხისმგებლობისაგან.

§ 278. მოვალის პასუხისმგებლობა მესამე პირის ქმედებაზე
მოვალე პასუხს აგებს თავისი კანონიერი წარმომადგენლისა და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, იმავე მოცულობით, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს. § 276-ის მე-3 ნაწილი არ გამოიყენება.

§ 279. *(გაუქმებულია)*

§ 280. ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევისას
(1) თუ მოვალე არღვევს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.
(2) ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ § 286-ის დამატებითი პირობის გათვალისწინებით.
(3) ვალდებულების შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ § 281-ის, § 282-ის ან § 283-ის დამატებითი პირობების გათვალისწინებით.

§ 281. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას

(1) იმდენად, რამდენადაც მოვალე არ ასრულებს ვადამოსულ ვალდებულებას ან არაჯეროვნად ასრულებს მას, კრედიტორს შეუძლია, § 280-ის პირველი ნაწილის წინაპირობების გათვალისწინებით, შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, თუ მან უშედეგოდ განუსაზღვრა მოვალეს ვალდებულების შესრულების ან ჯეროვანი შესრულებისათვის გონივრული ვადა. თუ მოვალემ ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ნაწილობრივი შესრულების მიმართ ინტერესი არა აქვს. თუ მოვალე არაჯეროვნად ასრულებს ვალდებულებას, და თუ დარღვევა უმნიშვნელოა, კრედიტორს არ შეუძლია მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება.

(2) ვადის დანიშვნა ზედმეტია, თუ მოვალე შესრულებაზე გადამჭრელად და საბოლოოდ უარს ამბობს, ან თუ სახეზეა განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინების შედეგად ამართლებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დაუყოვნებლივ რეალიზაციას.

(3) თუ ვალდებულების შესრულების დარღვევის ხასიათის გამო ვადის დანიშვნა გამორიცხულია, მაშინ მის ნაცვლად წარედგინება გაფრთხილება.

(4) ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, როგორც კი კრედიტორი მოითხოვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას.

(5) თუ კრედიტორი ითხოვს შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურებას, მაშინ მოვალე უფლებამოსილია, §§ 346-348-ის მიხედვით, შესრულებული უკან დაიბრუნოს.

§ 282. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება § 241-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისას

თუ მოვალე არღვევს § 241-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებას, კრედიტორს შეუძლია, § 280-ის პირველი ნაწილის პირობების შესრულების გათვალისწინებით, შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუ მას აღარ შეიძლება მოეთხოვოს მოვალის შესრულების მიღება.

§ 283. შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შესრულების გამორიცხვის შემთხვევებში

თუ მოვალე არ არის ვალდებული, შეასრულოს ვალდებულება, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, მაშინ კრედიტორს შეუძლია, § 280-ის პირველი ნაწილის პირობების გათვალისწინებით, შესრულების ნაცვლად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. § 281-ის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები და მე-5 ნაწილი გამოიყენება შესაბამისად.

§ 284. უშედეგო დანახარჯების ანაზღაურება

შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს დანახარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან გასწია და სამართლიანობის მიხედვით შეეძლო გაეწია ვალდებულების შესრულების მიღების ნდობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დანახარჯების მიზანი მაინც ვერ მიიღწეოდა, მოვალეს რომც არ დაერღვია თავისი ვალდებულება.

§ 285. ანაზღაურების გადაცემა

(1) თუ მოვალე იმ გარემოების შედეგად, რომლის გამოც მას, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, არ ეკისრება ვალდებულების შესრულება, ვალდებულების საგნის სანაცვლოდ იძენს ანაზღაურებას ან ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლებას, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურების სახით მიღებულის გადაცემა ან ანაზღაურების მოთხოვნის უფლების დათმობა.

(2) თუ კრედიტორს შესრულების ნაცვლად შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, მაშინ პირველ ნაწილში განსაზღვრული უფლების განხორციელების შემთხვევაში ზიანის ოდენობა მცირდება მიღებული ანაზღაურების ან ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლების ღირებულებით.

§ 286. მოვალის მიერ ვადის გადაცილება

(1) თუ მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას და კრედიტორი მას გაფრთხილებას წარუდგენს ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის შემდეგ, მაშინ ეს ვალდებულება, გაფრთხილების შედეგად, ითვლება ვადაგადაცილებულად. გაფრთხილებას უთანაბრდება ვალდებულების შესრულების მოთხოვნით სარჩელის წარდგენა, ასევე გადახდის ბრძანების ჩაბარება დავალიანების გადახდევინების შესახებ გამარტივებული წესით საქმისწარმოების პროცესში.

(2) გაფრთხილება საჭირო არ არის, თუ:

1. ვალდებულების შესრულებისათვის კალენდარული ვადა არის დადგენილი;
2. ვალდებულების შესრულებას წინ უძღოდა მოვლენა და შესრულებისათვის სათანადო ვადა განისაზღვრა იმგვარად, რომ იგი კალენდარულად შეიძლება გამოითვალოს ამ მოვლენის დადგომის მომენტიდან;
3. მოვალე გადამჭრელად და საბოლოოდ უარს ამბობს შესრულებაზე;
4. განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ვადაგადაცილების დაუყოვნებლივ დადგომა.

(3) გადახდის მოთხოვნის მოვალე ვადაგადაცილებულად ითვლება იმ ყველაზე ბოლო მომენტიდან, როდესაც იგი შესრულების ვადამოსულობის თაობაზე და ანგარიშის ან ანგარიშთან გათანაბრებული სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტების მიღებიდან 30 დღის ვადაში არ ასრულებს ვალდებულებას; ეს წესი მოქმედებს მომხმარებელი მოვალის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შედეგები სპეციალურად იყო მითითებული ანგარიშში ან მასთან გათანაბრებულ დოკუმენტში. თუ მოვალის მიერ ანგარიშის ან საანგარიშსწორებო დოკუმენტის მიღების მომენტი გაურკვეველია, არამომხმარებელი მოვალე ვადაგადაცილებულია ვადამოსულობის დადგომისა და საპასუხო შესრულების მიღებიდან უგვიანეს 30 დღის ვადაში.

(4) მოვალე არ ითვლება ვადაგადაცილებულად მანამდე, სანამ შესრულება ვერ ხორციელდება იმ გარემოების შედეგად, რომლისთვისაც იგი პასუხს არ აგებს.

§ 287. პასუხისმგებლობა ვადის გადაცილების დროს

მოვალე ვადის გადაცილების დროს პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისთვის. იგი პასუხს აგებს შემთხვევითობისთვისაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი ვალდებულების დროული შესრულებისას მაინც დადგებოდა.

§ 288. ვადის გადაცილების პროცენტები
(1) ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას ფულად ვალდებულებას ერიცხება პროცენტი. ვადის გადაცილების პროცენტი შეადგენს საბაზისო განაკვეთს დამატებულ წლიურ ხუთ პროცენტს.
(2) იმ გარიგებების შემთხვევაში, რომლებშიც არ მონაწილეობს მომხმარებელი, საპროცენტო განაკვეთი ფულადი მოთხოვნებისათვის შეადგენს ბაზისურ საპროცენტო განაკვეთზე დამატებულ რვა პროცენტს.
(3) კრედიტორს შეუძლია, სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, მოითხოვოს უფრო მაღალი პროცენტი.
(4) ზიანის ანაზღაურების დამატებითი მოთხოვნა არ არის გამორიცხული.

§ 289. რთული პროცენტების დაუშვებლობა (პროცენტის პროცენტი)
პროცენტებზე ვადის გადაცილების პროცენტები არ გადაიხდევინება. უცვლელი რჩება კრედიტორის უფლება ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე.

§ 290. პროცენტების დარიცხვა ანაზღაურების სახით გადასახდელ თანხაზე
თუ მოვალე ვალდებულია, აანაზღაუროს იმ საგნის ღირებულება, რომელიც განადგურდა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების დროს ან ვადის გადაცილების პერიოდში დამდგარი საფუძვლის გამო, ვერ დაბრუნდება, მაშინ კრედიტორს შეუძლია, ანაზღაურების სახით მოითხოვოს გადასახდელ თანხაზე პროცენტების დარიცხვა იმ მომენტიდან, როდიდანაც განისაზღვრა ღირებულება. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მოვალე ვალდებულია, აანაზღაუროს ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების დროს გაუარესებული საგნის ღირებულების შემცირების შედეგად მიყენებული ზარალი.

§ 291. პროცენტები სასამართლოში საქმის განხილვის დროს
მოვალემ უნდა იხადოს ფულადი ვალდებულების პროცენტი სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების მომენტიდან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი არ აცილებს ვალდებულების შესრულების ვადას; თუ ვალის გადახდის ვადა მოგვიანებით დადგა, მაშინ მას დაერიცხება პროცენტი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან. შესაბამისად, გამოიყენება § 288-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების, მე-2 ნაწილის, მე-3 ნაწილისა და § 289-ის პირველი წინადადების ნორმები.

§ 292. პასუხისმგებლობა საგნის დაბრუნების შემთხვევაში
(1) თუ მოვალემ უნდა დააბრუნოს განსაზღვრული საგანი, მაშინ სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების მომენტიდან კრედიტორის მოთხოვნის უფლება იმ ზარალის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც გამოწვეულია საგნის გაუარესებით, განადგურებით ან სხვა მიზეზით გამოწვეული საგნის დაბრუნების შეუძლებლობით, წესრიგდება მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმებით სასამართლოში სავიდიკაციო სარჩელით აღძრული საქმის განხილვის დაწყების თარიღიდან, თუკი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან კრედიტორის სასარგებლოდ სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს ნივთის უკან დაბრუნების ან ნივთით სარგებლობის შედეგად მიღებული სარგებლის ანაზღაურების თაობაზე კრედიტორის მოთ-

ხოვნის უფლებისა და გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მოვალის მოთხოვნის უფლების მიმართაც.

კარი 2. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

§ 293. შესრულების მიღების ვადის გადაცილება
კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას.

§ 294. ფაქტობრივი შეთავაზება
შესრულება კრედიტორისადმი, ფაქტობრივად, შეთავაზებულ უნდა იქნეს ისეთი სახით, როგორშიც იგი უნდა განხორციელდეს.

§ 295. სიტყვიერი შეთავაზება
მოვალის სიტყვიერი შეთავაზება საკმარისია, თუ კრედიტორმა მას განუცხადა, რომ იგი შესრულებას არ მიიღებს, ან, თუ შესრულების განხორციელება საჭიროებს კრედიტორის მოქმედებას, კერძოდ კი, თუ კრედიტორმა თავად უნდა წამოიღოს გადასაცემი ნივთი. შესრულების შეთავაზებას უთანაბრდება კრედიტორისადმი მოწოდება, განახორციელოს საჭირო მოქმედება.

§ 296. შეთავაზების ზედმეტობა
თუ კრედიტორის მიერ განსახორციელებელი მოქმედებისათვის დადგენილია კალენდარული ვადა, მაშინ შეთავაზება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი მოქმედებას დროულად ახორციელებს; ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მოქმედებას წინ უნდა უძღოდეს შემთხვევა და სათანადო ვადა არის დადგენილი იმგვარად, რომ იგი შეიძლება გამოითვალოს შემთხვევის დადგომიდან კალენდარული დღეების მიხედვით.

§ 297. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების უუნარობა
კრედიტორი არ ითვლება ვადაგადაცილებულად, თუ მოვალე უუნაროა, შეასრულოს ვალდებულება შეთავაზების მომენტში, ან § 296-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში იმ ვადაში, რომელიც დადგენილია კრედიტორის მიერ მოქმედების შესრულებისათვის.

§ 298. ვალდებულებების ერთდროული შესრულება
თუ მოვალე ვალდებულია, შეასრულოს ვალდებულება მხოლოდ კრედიტორის შესრულების სანაცვლოდ, კრედიტორი ითვლება ვადაგადაცილებულად, როცა იგი, მართალია, მზად არის, მიიღოს შეთავაზებული შესრულება, თუმცა, თავად არ სთავაზობს მოთხოვნილ საპასუხო დაკმაყოფილებას.

§ 299. ვალდებულების შესრულების მიღების დროებითი შეუძლებლობა
თუ ვალდებულების შესრულების ვადა არ არის განსაზღვრული, ან მოვალე უფლებამოსილია, განახორციელოს შესრულება განსაზღვრულ ვადამდე, მაშინ კრედიტორი არ ითვლება ვადაგადაცილებულად მარტო იმით, რომ მას ხელი დროებით ეშლება შეთავაზებული შესრულების მიღებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალემ წინასწარ, სათანადო ვადით ადრე შეატყობინა მას შესრულების თაობაზე.

§ 300. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგები
(1) კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალე პასუხისმგებელია მხოლოდ განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის.
(2) თუ ვალდებულების საგანია გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მაშინ მისი შემთხვევით დაღუპვის რისკი კრედიტორზე გადადის იმ მომენტიდან, როდესაც იგი ვადაგადაცილებულად მიიჩნევა შეთავაზებული ნივთის მიუღებლობის გამო.

§ 301. პროცენტების დარიცხვის შეწყვეტა
კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების პერიოდში მოვალეს არ ეკისრება პროცენტიან ფულად ვალდებულებაზე პროცენტის გადახდა.

§ 302. სარგებელი გამოყენების შედეგად
თუ მოვალემ უნდა გადასცეს ან აანაზღაუროს საგნის გამოყენების შედეგად მიღებული სარგებელი, მაშინ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების პერიოდში მოვალის ვალდებულება შეზღუდულია იმ სარგებლით, რომელსაც იგი იღებს.

§ 303. მფლობელობის მიტოვების უფლება
თუ მოვალე ვალდებულია, გადასცეს მიწის ნაკვეთი ან რეგისტრირებული საზღვაო ხომალდი, ან მშენებარე საზღვაო ხომალდი, მაშინ მას კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების მომენტის დადგომიდან შეუძლია მიატოვოს მფლობელობა. მფლობელობის მიტოვების შესახებ კრედიტორი წინასწარ გაფრთხილებულ უნდა იქნეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გაფრთხილება განუხორციელებადია.

§ 304. დამატებითი ხარჯების ანაზღაურება
კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მოვალეს შეუძლია დამატებითი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომლებიც მას უნდა გაეწია უშედეგო შეთავაზებისათვის ისევე, როგორც გადასაცემი საგნის შენახვისა და მოვლისათვის.

ნაწილი 2. სახელშეკრულებო ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების განსაზღვრა ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მეშვეობით

§ 305. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ჩართვა ხელშეკრულებაში
(1) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალი ხელშეკრულებისათვის გამიზნული პირობები, რომლებსაც ხელშეკრულების ერთი მხარე (შემთავაზებელი) წარუდგენს მეორე მხარეს ხელშეკრულების დადებისას. მნიშვნელობა არა აქვს იმას, ქმნის თუ არა პირობები გარეგნულად ხელშეკრულების გამოცალკევებულ შემადგენელ ნაწილს, ან შეტანილია თუ არა თავად ხელშეკრულების დოკუმენტში, რა მოცულობა აქვს მათ, როგორი შრიფტითაა შედგენილი და ხელშეკრულებას რა ფორმა აქვს. ხელშეკრულების პირობები არ მიიჩნევა ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობად იმდენად, რამდენადაც ისინი მხარეთა შორის დეტალურადაა შეთანხმებული.

(2) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მხოლოდ მაშინ იქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, როდესაც შემთავაზებელი ხელშეკრულების დადების დროს:

1. ხელშეკრულების მეორე მხარეს მიუთითებს მათზე ნათლად ან, თუ ნათლად მითითება ხელშეკრულების დადების ხერხის გამო შესაძლებელია მხოლოდ შეუსაბამო სირთულეებით, ხელშეკრულების დადების ადგილას თვალსაჩინო წარწერით;
2. ხელშეკრულების მეორე მხარეს მისაღები ხერხით აძლევს შესაძლებლობას, გაეცნოს მათ შინაარსს შემთავაზებლისთვის ცნობილი ხელშეკრულების მეორე მხარის ფიზიკური ნაკლის გათვალისწინებით, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე ეთანხმება მათ გამოყენებას.

(3) ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, მე-2 ნაწილში მოცემული მოთხოვნების დაცვისას წინასწარ შეთანხმდნენ, რომ კონკრეტული ხელშეკრულების სტანდარტული პირობები გამოიყენება კონკრეტული სახის გარიგებებისათვის.

§ 305ა. ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ჩართვა სპეციალურ შემთხვევებში

თუნდაც § 305-ის მე-2 ნაწილის №№ 2 და 3 მოთხოვნების დაცვის გარეშე, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე თანახმაა მათ გამოყენებაზე, ჩართულად ითვლება:

1. რკინიგზის ტარიფები და დებულებები, რომლებიც გამოცემულია კომპეტენტური ტრანსპორტის მარეგულირებელი ორგანოს თანხმობით ან საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე და „მოქალაქეთა გადაყვანის შესახებ“ კანონის მიხედვით დამტკიცებული ტრამვაების, ტროლეიბუსებისა და სამარშრუტო საქალაქო ტრანსპორტს მიკუთვნებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ გადაზიდვა- გადაყვანის პირობები;
2. ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების მარეგულირებელი ორგანოს ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებული და შემთავაზებლის ოფისებში ხელმისაწვდომი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები,
   ა) გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებებში, რომლებიც დადებულია ოფისების გარეთ საფოსტო გზავნილის საფოსტო ყუთებში ჩაგდებით.
   ბ) ტელეკომუნიკაციების, საინფორმაციო და სხვა მომსახურების გაწევის ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება უშუალოდ საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით და ერთჯერადად და სატელეკომუნიკაციო მომსახურების გაწევისას შეფერხების გარეშე, თუ ხელშეკრულების დადებამდე ხელშეკრულების მეორე მხარისათვის ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ხელმისაწვდომობა შეუსაბამოდ რთულია.

§ 305ბ. უშუალოდ მხარეთა შორის შეთანხმებული პირობების უპირატესობა

უშუალოდ მხარეთა შორის შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან შედარებით.

§ 305გ. მოულოდნელი და ორაზროვანი პირობები

(1) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ის დებულებანი, რომლებიც გარეგნულად, კერძოდ კი, ხელშეკრულების გარეგნული სახის მხრივ, იმდენად უჩვეულოა, რომ მეორე მხარეს არ შეეძლო მათი გათვალისწინება, არ იქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად.

(2) ხელშეკრულების სტანდარტული პირობების განმარტებისას ბუნდოვანება განიმარტება შემთავაზებლის საწინააღმდეგოდ.

§ 306. სამართლებრივი შედეგები პირობების შეუტანლობისას და სამართლებრივი ძალის არარსებობისას

(1) თუ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მთლიანად ან ნაწილობრივ არ გახდა ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, ან სამართლებრივი ძალის არმქონეა, მაშინ ხელშეკრულება დარჩენილ ნაწილში სამართლებრივი ძალის მქონეა.

(2) იმდენად, რამდენადაც პირობები არ გახდა ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი ან სამართლებრივი ძალის არმქონეა, ხელშეკრულების შინაარსი განისაზღვრება კანონის ნორმებით.

(3) ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ მისი შენარჩუნება, თუნდაც მე-2 ნაწილში გათვალისწინებული ცვლილების გათვალისწინებით, დაუშვებლად მძიმე იქნებოდა ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის.

§ 306ა. კანონის ნორმის გვერდის ავლის აკრძალვა

წინამდებარე კარის ნორმები გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ გვერდს უვლიან სხვაგვარი გაფორმებით.

§ 307. შინაარსის გონივრულობის შემოწმება

(1) ხელშეკრულების სტანდარტული პირობები სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ კეთილსინდისიერების პრინციპის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ ისინი შეუსაბამოდ საზიანოა შემთავაზებლის ხელშემკვრელი მხარისათვის. შეუსაბამო ზიანი შეიძლება ასევე წარმოიშვას იქიდან, რომ პირობა არ არის ნათელი და გასაგები.

(2) დავის შემთხვევაში მხარის მდგომარეობის შეუსაბამოდ გაუარესება ივარაუდება, თუ პირობა:

1. არ შეესაბამება კანონისმიერი დანაწესის ძირითად პრინციპებს, რომელთაგანაც იგი უხვევს, ან
2. ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარე არსებით უფლებებსა თუ ვალდებულებებს ზღუდავს იმგვარად, რომ საფრთხე ექმნება ხელშეკრულების მიზნის მიღწევას.

(3) პირველი და მე-2 ნაწილები, ისევე როგორც §§ 308 და 309 მოქმედებს მხოლოდ იმ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიმართ, რომელთა საფუძველზეც შეთანხმებულია საკანონმდებლო ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემვსები მოწესრიგება. პირველი ნაწილის მე-2 წინადადებისა და პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სხვა პირობები შეიძლება იყოს სამართლებრივი ძალის არმქონე.

§ 308. აკრძალული დათქმები, რომელთა სამართლებრივი ძალა დამოკიდებულია შეფასებაზე

ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში სამართლებრივი ძალის არმქონეა:

1. (წინადადების მიღებისა და შესრულების ვადა)
   პირობა, რომლითაც შემთავაზებელი იტოვებს უფლებას, მიიღოს შეთავაზება ან უარყოს ოფერტი, ანდა განახორციელოს შესრულება შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან არასაკმარისად განსაზღვრულ ვადაში; ზემოაღნიშნული არ მოიცავს დათქმას, არ განახორციელოს შესრულება უარის თქმის ან ნივთის უკან დაბრუ-

ნების ვადის დასრულებამდე, § 355-ის პირველი და მე-2 ნაწილებისა და § 356-ის თანახმად;

2. (დამატებითი ვადა)
პირობა, რომლითაც შემთავაზებელი იტოვებს უფლებას მის მიერ განსახორციელებელი შესრულებისათვის კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებულ, შეუსაბამოდ ხანგრძლივ ან არასაკმარისად განსაზღვრულ დამატებით ვადაზე;

3. (ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა)
პირობა, რომლითაც შემთავაზებელს აქვს უფლება, გაითავისუფლოს თავი ვალდებულებისაგან ობიექტურად გამართლებული და ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლის გარეშე; ეს წესი არ მოქმედებს გრძელვადიან ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებზე;

4. (ხელშეკრულების ცვლილების პირობა)
შეთანხმება შემთავაზებლისთვის შეპირებული შესრულების ცვლილების ან განსხვავებული შესრულების უფლების მინიჭების თაობაზე, თუ ცვლილების ან განსხვავებული შესრულების შეთანხმება, შემთავაზებლის ინტერესების გათვალისწინებით, ხელშეკრულების მეორე მხარისაგან არ შეიძლება იყოს მოთხოვნილი;

5. (ნავარაუდევი განცხადებები)
პირობა, რომლითაც შემთავაზებელთან დადებული ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ განსაზღვრული მოქმედების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების დროს გაკეთებული განცხადება ითვლება წარდგენილად, ან არ ითვლება წარდგენილად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:
   ა) ხელშეკრულების მეორე მხარეს მიეცა სათანადო ვადა პირდაპირი განცხადებისათვის, და
   ბ) შემთავაზებელი კისრულობს, მიაქციოს ხელშეკრულების მეორე მხარის განსაკუთრებული ყურადღება მისი ქმედების ნაგულისხმევ მნიშვნელობაზე ვადის დაწყების მომენტისათვის;

6. (მიღების ვარაუდი)
პირობა, რომლითაც შემთავაზებლის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე განცხადება ითვლება ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ მიღებულად;

7. (ხელშეკრულებების პირობების განხორციელება)
პირობა, რომლის თანახმადაც შემთავაზებელს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების მხარე უარს აცხადებს ხელშეკრულებაზე, ან წყვეტს მას, შეუძლია, მოითხოვოს:
   ა) შეუსაბამოდ მაღალი საზღაური ნივთით ან უფლებით სარგებლობისათვის, ან გაწეული მომსახურებისათვის, ან
   ბ) შეუსაბამოდ მაღალი ანაზღაურება გაწეული ხარჯებისათვის;

8. (ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა)
№ 3-ის შესაბამისად, დასაშვები შეთანხმება შემთავაზებლისთვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულებისაგან გათავისუფლების უფლების მინიჭების თაობაზე, თუ შემთავაზებელი არ კისრულობს ვალდებულებას:
   ა) დაუყოვნებლივ შეატყობინოს ხელშეკრულების მეორე მხარეს ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ, და
   ბ) დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს ხელშეკრულების მეორე მხარეს საპასუხო დაკმაყოფილება.

§ 309. აკრძალული დათქმები, რომლებიც არ ექვემდებარება შეფასებას

თუნდაც იმ ფარგლებში, რომლებშიც დასაშვებია საკანონმდებლო დანაწესებისაგან გადახვევა, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში სამართლებრივი ძალის არმქონეა:

1. (ფასების მოკლევადიანი მომატება)
   პირობა, რომელიც ითვალისწინებს ფასის მომატებას საქონლისა თუ მომსახურებისათვის, რომლებიც მიწოდებულ ან გაწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების დადებიდან ოთხი თვის განმავლობაში; ეს წესი არ მოქმედებს გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების ფარგლებში საქონლის მიწოდებისა თუ მომსახურების გაწევის მიმართ;
2. (ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება)
   პირობა, რომლითაც გამოირიცხება ან იზღუდება:
   ა) შესრულებაზე უარის უფლება, რომელიც ხელშეკრულების მხარეს, § 320-ის თანახმად, ეკუთვნის, ან
   ბ) შემთავაზებელთან დადებული ხელშეკრულების მხარის კუთვნილი ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება იმდენად, რამდენადაც იგი ეფუძნება იმავე სახელშეკრულებო ურთიერთობას, კერძოდ კი, ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება დამოკიდებულია შემთავაზებლის მიერ განსაზღვრული ხარვეზების აღიარებაზე;
3. (ურთიერთმოთხოვნათა ჩათვლის აკრძალვა)
   პირობა, რომლითაც შემთავაზებელთან დადებული ხელშეკრულების მხარეს ერთმევა უფლება, გაქვითოს უდავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნა;
4. (ვალდებულების შესრულების შესახებ გაფრთხილება, ვადის დანიშვნა)
   პირობა, რომლითაც შემთავაზებელი თავისუფლდება კანონით გათვალისწინებული იმ მოვალეობისაგან, გააფრთხილოს ხელშეკრულების მხარე ან დაუნიშნოს მას ვადა ვალდებულების შესასრულებლად;
5. (ზიანის ანაზღაურებაზე ერთიანი თანხის მოთხოვნის უფლებები)
   შემთავაზებლის მიერ ზიანის ანაზღაურებაზე ან ღირებულების შემცირებისათვის ერთიანი თანხის მოთხოვნის უფლების შესახებ შეთანხმება, თუ
   ა) რეგულირებულ შემთხვევებში ერთიანი თანხა აჭარბებს ზიანს ან ღირებულების შემცირებას, რომლებიც მოსალოდნელია ჩვეულებრივ გარემოებებში, ან
   ბ) ხელშეკრულების მეორე მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა, დამტკიცოს, რომ ზიანი ან ღირებულების შემცირება არ მომხდარა, ან ისინი ერთიან თანხაზე არსებითად ნაკლებია;
6. (პირგასამტეხლო)
   პირობა, რომელიც შემთავაზებელს ჰპირდება პირგასამტეხლოს გადახდას ვალდებულების შესრულების მიუღებლობის ან დაგვიანებული მიღების, გადახდის დაგვიანებისა თუ ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში;
7. (პასუხისმგებლობის გამორიცხვა სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში და უხეში გაუფრთხილებლობის დროს):
   ა) (სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება)
   სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა, რომლებიც გამოწვეულია

შემთავაზებლის მხრიდან ვალდებულების გაუფრთხილებელი ბრალით დარღვევით ან შემთავაზებლის კანონიერი წარმომადგენლის ან დამხმარე პირის განზრახი ან გაუფრთხილებელი ბრალით;

ბ) (დამძიმებული ბრალი)
სხვა სახის ზიანისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა, რომლებიც გამოწვეულია შემთავაზებლის მხრიდან ვალდებულების გაუფრთხილებელი ბრალით დარღვევით ან შემთავაზებლის კანონიერი წარმომადგენლის ან დამხმარე პირის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ბრალით;

პუნქტები „ა“ და „ბ“ არ მოქმედებს „მოქალაქეთა გადაყვანის შესახებ“ კანონის მიხედვით დამტკიცებული ტრამვაების, ტროლეიბუსებისა და სამარშრუტო საქალაქო ტრანსპორტს მიკუთვნებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ გადაზიდვა-გადაყვანის წესებისა და ტარიფების თანახმად, პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიმართ იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი მგზავრების საზიანოდ არ ადგენს „ტრამვაებით, ტროლეიბუსებითა და სამარშრუტო საქალაქო ტრანსპორტს მიკუთვნებული სატრანსპორტო საშუალებებით გადაზიდვა-გადაყვანის სტანდარტული წესების შესახებ“ 1970 წლის 27 თებერვლის ბრძანებით დადგენილი წესებისაგან განსხვავებულ წესებს; პუნქტი „ბ“ არ მოქმედებს სახელმწიფოს მიერ ნებადართული ლატარიისა და თამაშის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის შეზღუდვის მიმართ;

8. (ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გამორიცხვის სხვა შემთხვევები)

ა) (სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან გათავისუფლების უფლების გამორიცხვა) პირობა, რომელიც იმ შემთხვევაში, როდესაც შემთავაზებლის მხრიდან ვალდებულება ბრალეულად ირღვევა და არა ნასყიდობის ან ნარდობის საგნის ხარვეზით, გამორიცხავს ან ზღუდავს მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებისაგან გათავისუფლების უფლებას; ეს არ მოქმედებს № 7-ში მითითებულ გადაზიდვა-გადაყვანის წესებისა და ტარიფების მიმართ, იქვე დადგენილი წინაპირობების გათვალისწინებით;

ბ) (ნაკლოვანებები)
პირობა, რომლითაც ახალწარმოებული ნივთების მიწოდებასა და შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებში:

აა) (მესამე პირების გამორიცხვა და მასზე მითითება)
ნაკლოვანებების გამო შემთავაზებლის მიმართ მოთხოვნის უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხულია, შეზღუდულია მესამე პირების მიმართ მოთხოვნის უფლებების მიღებით ან დამოკიდებულია მესამე პირების წინააღმდეგ სასამართლოში საქმის აღძვრაზე;

ბბ) (დამატებითი შესრულების შეზღუდვა)
მთლიანად ან ნაწილობრივ იზღუდება შემთავაზებლის მიმართ დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებები იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების მეორე მხარისათვის პირდაპირ არ არის შენარჩუნებული ნასყიდობის ფასის შემცირების უფლება დამატებითი შესრულების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ან თუ ნაკლოვანებებისათვის პასუხისმგებლობის ობიექტია სამშენებლო სამუშაოები, თავისი არჩევანით ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება;

გგ) (ხარჯები დამატებითი შესრულებისას)

გამორიცხული ან შეზღუდულია შემთავაზებლის ვალდებულება, დამატებითი შესრულების მიზნით გასწიოს აუცილებელი ხარჯები, კერძოდ, გასწიოს გადაზიდვის, გადაყვანის, სამუშაოსა და მასალების ხარჯები;

დდ) (დამატებითი შესრულების უფლების წართმევა)
შემთავაზებელი დამატებით შესრულებას დამოკიდებულს ხდის მთლიანი საზღაურის ან, ნაკლის გათვალისწინებით, მისი შეუსაბამოდ დიდი ნაწილის წინასწარ გადახდაზე;

ეე) (ნაკლის გამო პრეტენზიის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა)
შემთავაზებელი ხელშეკრულების მეორე მხარეს დაფარული ნაკლისათვის უდგენს ხანდაზმულობის ვადას, რომელიც „ვვ“ პუნქტის მიხედვით დაშვებულ ვადაზე ნაკლებია;

ვვ) (ხანდაზმულობის შემსუბუქება)
შემთავაზებლის მიმართ ნაკლის გამო § 438-ის პირველი ნაწილის № 1-სა და § 634-ის პირველი ნაწილის № 2-ში აღნიშნულ შემთხვევებში მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა შემცირდება ან სხვა შემთხვევებში მიიღწევა ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადა, რომელიც აითვლება კანონით დადგენილი ხანდაზმულობის დაწყების მომენტიდან;

9. (გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების მოქმედების ვადა)
იმ სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევაში, რომლის საგანია შემთავაზებლის მიერ საქონლის პერიოდული მიწოდება ან მომსახურების პერიოდული გაწევა,

ა) ხელშეკრულების მეორე მხარის ორ წელზე მეტი ვადით მბოჭავი ხელშეკრულების მოქმედების ვადა,

ბ) სახელშეკრულებო ურთიერთობის უსიტყვო გახანგრძლივება, რომელიც ბოჭავს ხელშეკრულების მეორე მხარეს ერთ წელზე მეტი ვადით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ან

გ) ხელშეკრულების მეორე მხარის საზიანოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვადა, რომელიც აღემატება სამ თვეს თავდაპირველად გათვალისწინებული ან უსიტყვოდ გახანგრძლივებული სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე;

აღნიშნული არ მოქმედებს იმ ნივთების მიწოდების ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც იყიდება ერთად, დაზღვევის ხელშეკრულებებს ან ხელშეკრულებებს საავტორო უფლებებისა და მოთხოვნების მფლობელსა და საავტორო უფლებების რეალიზატორ საზოგადოებებს შორის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის შესახებ“ კანონის არსით;

10. (ხელშეკრულების მხარის შეცვლა)
პირობა, რომლის თანახმადაც ნასყიდობის ან მომსახურების გაწევის, ანდა ნარდობის ხელშეკრულებების შემთხვევაში შემთავაზებლის უფლებები და ვალდებულებები გადადის, ან შეიძლება გადავიდეს მესამე მხარეზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირობაში:

ა) მითითებული იქნება მესამე პირის სახელი;

ბ) ხელშეკრულების მეორე მხარეს მინიჭებული აქვს უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე;

11. (ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირის (აგენტის) პასუხისმგებლობა)

პირობა, რომლითაც შემთავაზებელი ხელშეკრულების მეორე მხარესთან ხელშეკრულების დამდებ აგენტს აკისრებს:

ა) საკუთარ პასუხისმგებლობას ან სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებას აღნიშნულთან დაკავშირებით, მისგან სპეციალური და ცალკე განცხადების გაკეთების გარეშე, ან

ბ) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის შემთხვევაში, პასუხისმგებლობას, რომელიც აღემატება § 179-ით დადგენილ პასუხისმგებლობის ფარგლებს;

12. (მტკიცების ტვირთი)

პირობა, რომლითაც შემთავაზებელი ცვლის მტკიცების ტვირთს ხელშეკრულების მეორე მხარის საზიანოდ, კერძოდ, იგი:

ა) ხელშეკრულების მეორე მხარეს აკისრებს მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებას, რომლებიც განეკუთვნება შემთავაზებლის პასუხისმგებლობის სფეროს, ან

ბ) ხელშეკრულების მეორე მხარეს უტოვებს განსაზღვრული ფაქტების დადასტურებას.

პუნქტი „ბ“ არ მოქმედებს მიღების აღიარებებისადმი, რომლებიც ხელმოწერილია ცალკე, ან რომლებსაც ახლავს განცალკევებული ელექტრონული ხელმოწერა.

13. (შეტყობინებები და განცხადებები)

პირობა, რომლითაც შემთავაზებლის ან მესამე პირის მიმართ წარსადგენი შეტყობინებები და განცხადებები უნდა გაკეთდეს უფრო მკაცრი ფორმით, ვიდრე წერილობითი ფორმა, ან დამოკიდებულია ჩაბარების სპეციალურ მოთხოვნებზე.

§ 310. მოქმედების სფერო

(1) § 305-ის მე-2 და მე-3 ნაწილები და §§ 308 და 309 არ მოქმედებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიმართ, რომლებიც გამოიყენება მეწარმესთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან ან საჯარო სამართლის სპეციალურ ფონდთან ხელშეკრულებებში. თუმცა, § 307-ის პირველი და მე-2 ნაწილები მოქმედებს პირველ წინადადებაში მითითებული შემთხვევების მიმართ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს შედეგად იწვევს §§ 308-სა და 309-ში მითითებული სახელშეკრულებო პირობების სამართლებრივი ძალის არქონას; სათანადო ყურადღება უნდა გამახვილდეს სავაჭრო ურთიერთობებში გამოსაყენებელი ჩვეულებებისა და წესების მიმართ. პირველი წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევებში § 307-ის პირველი და მე-2 ნაწილები ცალკეული პირობის შინაარსის კონტროლთან დაკავშირებით არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებშიც სამშენებლო სამუშაოებისათვის დადგენილი ნარდობის სახელშეკრულებო წესების ბ ნაწილი (VOB/B), შინაარსობრივი ცვლილებების გარეშე, ხელშეკრულების დადების მომენტში მოქმედი შესაბამისი რედაქციით მთლიანად არის შეტანილი.

(2) §§ 308 და 309 არ მოქმედებს ელექტროენერგიის, გაზის, ცენტრალური გათბობისა და წყლის მიწოდების საწარმოთა ხელშეკრულებების მიმართ ცალკეული მომხმარებლისათვის საკომუნიკაციო ქსელით ელექტროენერგიის, გაზის, ცენტრალური გათბობისა და წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით იმ ფარგლებში, რომლებშიც მიწოდების პირობები მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ მომხმარებლებისათვის ტარიფებით ელექტროენერგიის, გაზის, ცენტრალური გათბობისა და წყლის მიწოდების ზოგადი პირობებისაგან განსხვავებულად აწესრიგებს. პირველი წინადადება,

შესაბამისად, გამოიყენება საკანალიზაციო წყლების მოშორების ხელშეკრულებების მიმართაც.

(3) მეწარმესა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულებების (სამომხმარებლო ხელშეკრულებები) შემთხვევაში წინამდებარე განყოფილების ნორმები გამოიყენება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

1. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ივარაუდება მეწარმისაგან წარდგენილად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი შეტანილია ხელშეკრულებაში მომხმარებლის მიერ;
2. ამ კოდექსის § 305 გ-ს მე-2 ნაწილი და §§ 306 და 307-309, ისევე, როგორც „საოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 29ა მუხლი, გამოიყენება წინასწარ ჩამოყალიბებული სახელშეკრულებო პირობების მიმართ მაშინაც კი, თუ ეს უკანასკნელები დადგენილია მხოლოდ ერთჯერადი გამოყენებისათვის და იმ ფარგლებში, რომლებშიც მომხმარებელს წინასწარი ჩამოყალიბების საფუძველზე არ შეეძლო მათ შინაარსზე ზემოქმედება;
3. § 307-ის პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით, შეუსაბამო ზარალის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ასევე ხელშეკრულების დადებისას არსებული გარემოებები.

(4) წინამდებარე ნაწილი არ მოქმედებს მემკვიდრეობის, საოჯახო და კორპორაციული სამართლის სფეროში დადებული ხელშეკრულებების მიმართ ისევე, როგორც კოლექტიური ხელშეკრულებებისა და კერძო და საჯარო სექტორში შრომითი ხელშეკრულებების მიმართ. შრომითი ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებისას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს შრომის სამართალში მოქმედ თავისებურებებს; § 305-ის მე-2 და მე-3 ნაწილები არ მოქმედებს. კოლექტიური ხელშეკრულებები და კერძო და საჯარო სექტორში შრომითი ხელშეკრულებები უთანაბრდება საკანონმდებლო დანაწესებს, § 307-ის მე-3 ნაწილის გაგებით.

ნაწილი 3. ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობები

კარი 1. წარმოშობა, შინაარსი და დასრულება

ქვეკარი 1. წარმოშობა

§ 311. გარიგების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები და მსგავსი ვალდებულებები

(1) გარიგების საფუძველზე ვალდებულების წარმოშობისთვის, ისევე როგორც ვალდებულების შინაარსის შეცვლისათვის, საჭიროა მხარეთა შორის ხელშეკრულების დადება, თუ კანონი სხვა წესს არ ითვალისწინებს.

(2) ვალდებულებითი ურთიერთობა § 241-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დებულებებით ასევე წარმოიშობა:

1. ხელშეკრულების დადებაზე მოლაპარაკების დაწყებით;
2. ხელშეკრულების მომზადებით, რომლითაც, შესაძლოა, სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის მხედველობაში მიღებით, ერთი მხარე მეორე მხარეს აძლევს თავის უფლებებზე, ქონებრივ სიკეთესა და ინტერესებზე ზემოქმედების შესაძლებლობას ან ანდობს მათ ამ მხარეს; ან

3. მსგავსი საქმიანი კონტაქტებით.
(3) ვალდებულებითი ურთიერთობა, § 241-ის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე დებულებებით, შეიძლება, ასევე, წარმოიშვას იმ პირების მიმართ, რომლებიც თავად არ უნდა გახდნენ ხელშეკრულების მხარეები. ასეთი ვალდებულება წარმოიშობა, კერძოდ, თუ მესამე პირი სარგებლობს განსაკუთრებით მაღალი ნდობით და ამით მოლაპარაკებასა თუ ხელშეკრულების დადებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს.

§ 311ა. ვალდებულების შესრულების ხელის შემშლელი გარემოების არსებობა ხელშეკრულების დადებისას
(1) ხელშეკრულების სამართლებრივი ძალა არ იბღალება იმ ფაქტით, რომ მოვალეს, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, შეუძლია, არ შეასრულოს ვალდებულება და ვალდებულების შესრულების ხელის შემშლელი გარემოება სახეზეა უკვე ხელშეკრულების დადების მომენტში.
(2) კრედიტორს შეუძლია, თავისი არჩევანით მოითხოვოს შესრულების ნაცვლად ზიანის ან თავისი ხარჯების ანაზღაურება § 284-ით დადგენილ ფარგლებში. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მოვალემ ვალდებულების შესრულებაზე ხელის შემშლელი გარემოების შესახებ ხელშეკრულების დადებისას არ იცოდა, ხოლო უცოდინრობისათვის იგი არ იყო პასუხისმგებელი. § 281-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება და მე-5 ნაწილი შესაბამისად გამოიყენება.

§ 311ბ. ხელშეკრულებები მიწის ნაკვეთების, ქონებისა და მემკვიდრეობის შესახებ
(1) ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება, ან შეიძინოს იგი, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. ამ ფორმის დაუცველად დადებული ხელშეკრულება მთლიანობაში გახდება ნამდვილი, თუ ხორციელდება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემა და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.
(2) ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, მთელი თავისი მომავალი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას, ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი.
(3) ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, მთელი თავისი ამჟამინდელი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას, ანდა უზუფრუქტით დატვირთოს იგი, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.
(4) მესამე პირის სიცოცხლეში მის სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება ბათილია. ანალოგიური წესი მოქმედებს მესამე პირის სიცოცხლეში მისი სამკვიდრო ქონებიდან გამომდინარე სავალდებულო წილის ან საანდერძო დანაკისრის შესახებ ხელშეკრულებათა მიმართ.
(5) მე-4 ნაწილი არ გამოიყენება იმ ხელშეკრულების მიმართ, რომელიც იდება მომავალ კანონით მემკვიდრეებს შორის ერთ-ერთი მათგანის კანონით სამემკვიდრეო წილისა და სავალდებულო წილის თაობაზე. ასეთი ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

§ 311გ. ვალდებულების საკუთვნებელზე გავრცელება
თუ პირი კისრულობს ვალდებულებას, გაასხვისოს ან უფლებრივად დატვირთოს ნივთი, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ეს ვალდებულება ვრცელდება ნივთის საკუთვნებელზეც.

ქვეკარი 2. გასაღების განსაკუთრებული ფორმები

§ 312. ხელშეკრულებაზე უარის თქმა უცაბედად დადებული ხელშეკრულებების დროს

(1) მეწარმესა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, რომლის საგანია სასყიდლიანი შესრულება და რომლის დადებაზე მომხმარებელი დაყოლიებულ იქნა:

1. მის სამუშაო ადგილსა თუ საცხოვრებელ ზონაში ზეპირი მოლაპარაკებით;
2. მეწარმის ან მესამე პირის მიერ მეწარმის ინტერესით ორგანიზებული გასართობი ღონისძიების ფარგლებში;
3. სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობისას უეცარი გასაუბრების შედეგად ან ღია საჯარო ადგილას.

მომხმარებელს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, § 355-ის თანახმად. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ნაცვლად მომხმარებელს შეიძლება მიენიჭოს მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლება, § 356-ის თანახმად, თუ ამ ან მოგვიანებით დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით მომხმარებელსა და მეწარმეს შორის უნდა შენარჩუნდეს მუდმივი კავშირი.

(2) მეწარმე ვალდებულია, მომხმარებელს მიუთითოს § 360-ით განსაზღვრულ, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებების შესახებ. სავალდებულო განმარტება უნდა უთითებდეს § 357-ის პირველ და მე-3 ნაწილების სამართლებრივ შედეგებზე. მითითება არ არის საჭირო, როდესაც ამ სამართლებრივი შედეგების დადგომა ფაქტობრივად შეუძლებელია.

(3) სხვა ნორმებით დადგენილი წესების დარღვევის გარეშე, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებები არ არსებობს დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში ან მაშინ, როდესაც:

1. ამ ნორმის პირველი ნაწილის № 1 შემთხვევაში, ზეპირი მოლაპარაკებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების დადებასთან, წარიმართა მომხმარებლის მიერ გაკეთებული წინასწარი შეკვეთის გამო, ან
2. ვალდებულების შესრულება და გადახდა განხორციელდა დაუყოვნებლივ მოლაპარაკების დასრულებისთანავე და გადახდილი საზღაური არ აღემატება 40 ევროს, ანდა
3. მომხმარებლის ნების გამოვლენა დამოწმებულ იქნა სანოტარო წესით.

§ 312ა. ურთიერთმიმართება სხვა ნორმებთან

თუ მომხმარებელს, სხვა ნორმების თანახმად, ერთდროულად აქვს წინამდებარე კანონის § 355-ის, § 356-ის, ან „საინვესტიციო კანონის“ § 126-ის საფუძველზე ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებები, მაშინ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებები § 312-ის თანახმად გამორიცხულია.

§ 312ბ. დისტანციური ხელშეკრულებები

(1) დისტანციური ხელშეკრულებებია საქონლის მიწოდების ან მომსახურების, მათ შორის, ფინანსური მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებები, რომლებიც იდება მეწარმესა და მომხმარებელს შორის მხოლოდ და მხოლოდ დისტანციური კავშირგაბმულობის საშუალების გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების დადება ხდება სხვაგვარად, ვიდრე იგი ხორციელდება

დისტანციურად ორგანიზებული ნასყიდობისა თუ მომსახურების გაწევის სისტემის ფარგლებში. პირველ წინადადებაში მოხსენიებული ფინანსურ მომსახურების ხელშეკრულებას მიეკუთვნება საბანკო მომსახურება, ასევე, კრედიტის გაცემასთან, დაზღვევასთან, ცალკეული პირებისათვის საპენსიო უზრუნველყოფასთან, ფულადი თანხების განთავსებასა თუ გადახდასთან დაკავშირებული მომსახურება.

(2) დისტანციურ საკომუნიკაციო საშუალებებს მიეკუთვნება საკომუნიკაციო საშუალებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომხმარებელსა და მეწარმეს შორის, ხელშეკრულების მომზადებისა თუ დადებისათვის ხელშეკრულების მხარეთა ერთდროული ფიზიკური დასწრების გარეშე, კერძოდ, ასეთებია: წერილები, კატალოგები, სატელეფონო ზარები, ფაქსები, ელექტრონული ფოსტა, ასევე ტელე- და მედიასერვისი.

(3) დისტანციური ხელშეკრულებების მომწესრიგებელი ნორმები არ გამოიყენება:

1. დისტანციური სწავლების შესახებ ხელშეკრულებების მიმართ („დისტანციური სწავლების მონაწილეთა დაცვის შესახებ“ კანონის § 1);
2. საცხოვრებელი სახლებით დროებითი სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებების, გრძელვადიანი შვებულების მიმართ (§ 481);
3. დაზღვევის ხელშეკრულებების, ასევე, მათი შუამავლობის ხელშეკრულებების მიმართ;
4. მიწის ნაკვეთებისა და მიწის ნაკვეთების მსგავსი უფლებების გასხვისების, მიწის ნაკვეთებსა და მიწის ნაკვეთების მსგავს უფლებებზე სანივთო უფლებების წარმოშობის, გასხვისებისა და გაუქმების, ასევე, შენობა-ნაგებობის აღმართვის შესახებ ხელშეკრულებების მიმართ;
5. საკვები პროდუქტების, სასმელების ან ყოველდღიური მოხმარების სხვა საყოფაცხოვრებო საგნების მიწოდების ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა მიწოდებაც ხდება მეწარმის მიერ მომხმარებლის საცხოვრებელ, სამუშაო ან ფაქტობრივი ყოფნის ადგილას ხშირი და რეგულარული ციკლით;
6. ისეთი მომსახურებების გაწევისას, როგორებიცაა: განთავსება, გადაზიდვა, საკვები პროდუქტებისა და სასმელების მიწოდება, ასევე გასართობი ღონისძიებების ორგანიზება, თუ მეწარმე ხელშეკრულების დადებისას კისრულობს მომსახურების გაწევას განსაზღვრული დროის მომენტში ან ზუსტად მითითებული დროის მონაკვეთში;
7. იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც დაიდო:
   ა) სავაჭრო ავტომატების ან ავტომატიზებული სავაჭრო ფართის გამოყენებით, ან
   ბ) სატელეკომუნიკაციო საშუალებების ოპერატორებთან საზოგადოებრივი ტელეფონებით სარგებლობის მეშვეობით, და რამდენადაც ხელშეკრულების საგანი სატელეკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობაა.

(4) იმ სახელშეკრულებო ურთიერთობათა შემთხვევებში, რომლებიც მოიცავს საწყის შეთანხმებას, რომელსაც მოჰყვება საბანკო ოპერაციები ან ერთი და იმავე სახის დამოუკიდებელ დროში დაკავშირებული საბანკო ოპერაციების რიგი, დისტანციური ხელშეკრულებების მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენება მხოლოდ პირველი შეთანხმების მიმართ. თუ ასეთი საბანკო ოპერაციები ერთმანეთს მიჰყვება ამ შეთანხმების გარეშე, ინფორმაციის მიწოდების შესახებ მეწარმის ვალდებულებების დამდგენი ნორმები გამოიყენება მხოლოდ პირველი შეთანხმების მიმართ. თუმცა, თუ ერთი და იმავე სახის საბანკო ოპერაცია არ ხდება ერთ წელზე მეტი ვადით,

შემდეგი საბანკო ოპერაცია განიხილება ახალი რიგის პირველ საბანკო ოპერაციად მე-2 წინადადების არსით.
(5) მომხმარებლის დამცავი სხვა ნორმები უცვლელი რჩება.

§ 312გ. მომხმარებლის ინფორმირება დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევაში
(1) დისტანციური ხელშეკრულებების დროს მეწარმემ მომხმარებელს უნდა მიაწოდოს „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 246-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მოცემული ინფორმაცია.
(2) მეწარმე ვალდებულია, მის მიერ განხორციელებულ სატელეფონო ზარებში საუბრის დასაწყისში პირდაპირ დაასახელოს თავისი ვინაობა და კონტაქტის საქმიანი მიზანი.
(3) ფინანსური მომსახურების დროს მომხმარებელს შეუძლია, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ნებისმიერ დროს, მეწარმისგან მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების, მათ შორის სტანდარტული პირობების, დოკუმენტური სახით ხელმისაწვდომობა.
(4) დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებისას დამატებითი შეზღუდვები და სხვა ნორმებიდან გამომდინარე დამატებითი ინფორმაციის ვალდებულებები ხელუხლებელი რჩება.

§ 312დ. ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებები დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში
(1) მომხმარებელს აქვს დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, § 355-ის თანახმად. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ნაცვლად, მომხმარებელს, § 356-ის თანახმად, შეიძლება მიენიჭოს მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლება.
(2) § 355-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადებისაგან განსხვავებით, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დენა არ იწყება, სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 246-ე მუხლის § 2-ისა და ამავე კანონის § 1-ის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებების შესრულებამდე, საქონლის მიწოდების შემთხვევაში – მიმღებთან მათ მისვლადე, ერთი და იმავე სახის საქონლის პერიოდული მიწოდების შემთხვევაში – მიმღებთან პირველი ნაწილის მისვლამდე, ხოლო მომსახურების შემთხვევაში – ხელშეკრულების დადებამდე.
(3) მომსახურების შემთხვევაში ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება უქმდება, ასევე, იმ შემთხვევებშიც, თუ ხელშეკრულება შესრულდა ორივე მხარის მიერ მომხმარებლის პირდაპირ გამოხატული სურვილით, ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების რეალიზაციამდე.
(4) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რაიმე არის დადგენილი, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ არსებობს:
1. მომხმარებლის შეკვეთის მიხედვით წარმოებული ან აშკარად პირადი საჭიროების შესაბამისად შეკერილი საქონლის მიწოდების დისტანციურ ხელშეკრულებებში, ანდა იმ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებებში, რომლებიც თავიანთი თვისებრიობის გამო არ გამოდგება დაბრუნებისათვის, ან შეიძლება სწრაფად გაფუჭდეს, ანდა რომლის ვარგისიანობის ვადა გასული იქნებოდა;
2. აუდიო-, ვიდეო- ან პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდების დისტანციურ ხელშეკრულებებში, რომლებშიც მონაცემთა მატარებლის ბეჭედი მოხსნილ იქნა მომხმარებლის მიერ;

3. გაზეთების, ჟურნალებისა და ილუსტრირებული ჟურნალების მიწოდების დისტანციურ ხელშეკრულებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომხმარებელმა ნების გამოვლენა სატელეფონო კომუნიკაციით განახორციელა;
4. სანაძლეოსა და ლატარიის მომსახურების გაწევის დისტანციურ ხელშეკრულებებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომხმარებელმა ნების გამოვლენა სატელეფონო კომუნიკაციით განახორციელა;
5. აუქციონის წესით დადებულ (§ 156) დისტანციურ ხელშეკრულებებში;
6. დისტანციურ ხელშეკრულებებში, რომელთა საგანია საქონლის მიწოდება ან ფინანსური მომსახურების გაწევა, რომლის ფასიც საფინანსო ბაზარზე მერყეობს, რაზეც მეწარმეს არ შეუძლია გავლენის მოხდენა და რომელიც შეიძლება დადგეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადაში, კერძოდ კი, საინვესტიციო კომპანიის ან უცხოური საინვესტიციო კომპანიის მიერ გამოშვებულ აქციებთან, წილებთან, სხვა გადაცემად ფასიან ქაღალდებთან, უცხოურ ვალუტასთან, ანაბარზე დამატებით დარიცხულ პროცენტებთან თუ ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მომსახურების შემთხვევაში;
7. ტელეკომუნიკაციაზე დამყარებული მომსახურების გაწევის ხელშეკრულებებში, რომლებიც მომხმარებლის ინიციატივით ერთჯერადად ხორციელდება უშუალოდ ტელეფონის ან ტელეფაქსის საშუალებით, თუ საქმე არ ეხება ფინანსურ მომსახურებას.

(5) გარდა აღნიშნულისა, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ არსებობს დისტანციურ ხელშეკრულებებში, თუ მომხმარებელს, §§ 495-ის, 506-512-ის თანახმად, უკვე აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებები, § 355-ის ან § 356-ის მიხედვით. ამ ნორმის მე-2 ნაწილი შესაბამისად გამოიყენება ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულებებისთვის.

(6) მომსახურების გაწევის შესახებ დისტანციურ ხელშეკრულებებში მომხმარებელს, § 357-ის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, ეკისრება მხოლოდ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება კანონისმიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების მომწესრიგებელი ნორმების მიხედვით, თუ იგი ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენამდე მიუთითებდა ამ სამართლებრივ შედეგზე და პირდაპირ დაეთანხმა მეწარმეს მომსახურების გაწევის დაწყებაზე ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის გასვლამდე.

§ 312ე. ღირებულების ანაზღაურება დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში

(1) დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში, რომელთა საგანიცაა საქონლის მიწოდება, მომხმარებელმა, § 357-ის პირველი ნაწილის რეგულირებისგან განსხვავებით, უნდა აანაზღაუროს მიღებული სარგებლის ღირებულება კანონისმიერი ხელშეკრულებიდან გასვლის ნორმების მიხედვით, თუ:

1. მან საქონელი ისეთი სახით და მეთოდით გამოიყენა, რომელიც თვისებრიობის შემოწმებასა და ფუნქციონირების დადგენას სცდება; და
2. მეწარმემ მას წინასწარ მიუთითა ამ სამართლებრივ შედეგზე და § 360-ის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად მიაწოდა ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების უფლებაზე, ან მომხმარებელმა ამ ორივეს შესახებ სხვაგვარად შეიტყო.

§ 347-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადება არ გამოიყენება.

(2) ფინანსური მომსახურების დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში, მომხმარებელმა, § 357-ის პირველი ნაწილის რეგულირებისგან განსხვავებით, უნდა აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება კანონისმიერი ხელშეკრულებიდან გასვლის ნორმების მიხედვით მხოლოდ მაშინ, როდესაც:

1. ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენამდე მას ამ სამართლებრივი შედეგის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა; და
2. მან ცხადად განაცხადა თანხმობა, რომ მეწარმე ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დამთავრებამდე მომსახურების განხორციელებას დაიწყებდა.

§ 312ვ. დისტანციურად დადებული საფინანსო მომსახურების ხელშეკრულებებში ჩამატებული ხელშეკრულებები

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა თავისი ნება, რომელიც გამოავლინა დისტანციური საფინანსო მომსახურების ხელშეკრულების დასადებად, ჯეროვნად გამოითხოვა, მაშინ იგი აღარ არის შებოჭილი ჩამატებული დისტანციური ხელშეკრულების მიმართ გამოვლენილი ნებით, რომლის საგანიც არის მეწარმის ან მესამე პირის დამატებითი მომსახურება. § 357 გამოიყენება შესაბამისად ჩამატებული ხელშეკრულებისათვის; § 312ე გამოიყენება შესაბამისად მაშინ, როდესაც ჩამატებული ხელშეკრულების მიმართ უარის თქმის უფლება არსებობს ან არსებობდა.

§ 312ზ. ვალდებულებები ელექტრონული ფორმით გარიგებების დადებისას

(1) თუ მეწარმე საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების დასადებად იყენებს ტელე- ან მედიასერვისს (ელექტრონული ხელშეკრულება), მან კლიენტს უნდა:

1. წარუდგინოს სათანადო, ეფექტური და ხელმისაწვდომი ტექნიკური საშუალებები, რომელთა დახმარებითაც კლიენტს შეუძლია მონაცემების შეყვანისას დაშვებული შეცდომების შემჩნევა და შესწორება შეკვეთის გაკეთებამდე;
2. შეკვეთის გაგზავნამდე ნათლად, გასაგებად და დროულად შეატყობინოს „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 246-ე მუხლის § 3-ში განსაზღვრული ინფორმაცია;
3. დაუყოვნებლივ ელექტრონულად დაუდასტუროს შეკვეთის მიღება; და
4. შეუქმნას შესაძლებლობა, ხელშეკრულების დადებისას გამოითხოვოს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და შეინახოს ისინი გადმოცემაუნარიანი ფორმით.

შეკვეთა და მიღების დასტური მიიჩნევა პირველი წინადადების № 3-ის შესაბამისად გაკეთებულად, თუ მხარეებს, რომელთათვისაც ისინი არის განკუთვნილი, ჩვეულებრივ გარემოებებში შეუძლიათ მათი გამოთხოვა.

(2) მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 1-3 არ გამოიყენება, თუ ხელშეკრულება დაიდო მხოლოდ და მხოლოდ პირადი კომუნიკაციის გზით. პირველი ნაწილის № 1-3 და მე-2 წინადადება არ გამოიყენება, თუ ხელშეკრულების იმ მხარეთა შორის, რომლებიც არ არიან მომხმარებლები, სხვა რაიმე არის შეთანხმებული.

(3) სხვა ნორმების საფუძველზე ინფორმაციის მიწოდების სხვა ვალდებულებები უცვლელი რჩება. თუ კლიენტს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება აქვს, § 355-ის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დენა, § 355-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადებისაგან განსხვავებით, არ დაიწყება პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში მოცემული ვალდებულებების შესრულებამდე.

§ 312თ. ხელშეკრულების შეწყვეტა და ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ მინდობილობა

თუ, წინამდებარე ქვეკარის თანახმად, მეწარმესა და მომხმარებელს შორის დადგენილია ისეთი გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს მომხმარებელსა და სხვა მეწარმეს შორის არსებული გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა, ხოლო ასეთი ურთიერთობის დადგენის გამო მომხმარებლის მხრიდან:

1. განცხადებულ იქნა არსებული გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ და ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე განცხადების მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების თავდაპირველი მხარისათვის წარდგენა დაევალა მეწარმეს ან მის მიერ უფლებამოსილ მესამე პირს, ან
2. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების თავდაპირველი მხარის წინაშე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილება მიენიჭა მეწარმეს ან მის მიერ უფლებამოსილ მესამე პირს,

ხელშეკრულების შეწყვეტა ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ მინდობილობა ექვემდებარება ტექსტუალურ ფორმას.

§ 312ი. განსხვავებული შეთანხმებები

თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, დაუშვებელია მომხმარებლის ან კლიენტის ინტერესების საზიანოდ წინამდებარე ქვეთავის ნორმებისაგან განსხვავებული რეგულირება; თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, ამ ქვეთავის ნორმები მოქმედებს ასევე იმ შემთხვევებშიც, როდესაც მათ გვერდს უვლიან სხვაგვარი გაფორმებით.

ქვეკარი 3. ხელშეკრულებების მისადაგება და დასრულება

§ 313. გარიგების საფუძვლის ცვლილება

(1) თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ არსებითად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას, ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი იმ ფარგლებში, რომლებშიც ცალკეული შემთხვევის გარემოებათა, კერძოდ კი, სახელშეკრულებო ან კანონისმიერი რისკის განაწილების გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების დაცვა.

(2) გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როდესაც წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

(3) თუ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი შეუძლებელია, ან მეორე მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების დაცვა, მაშინ დაზარალებულ მხარეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლის ნაცვლად გამოიყენება ხელშეკრულების შეწყვეტა.

§ 314. მნიშვნელოვანი საფუძვლით გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების შეწყვეტა

(1) ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე, შეწყვიტოს გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დაწესებული ვადის დაუცველად. მნიშვნელოვანია საფუძველი, როდესაც ხელშეკრულების შემწყვეტ მხარეს ცალკეული შემთხვევის გარემოებათა გათვალისწინებით და ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინების შედეგად, არ შეიძლება მოეთხოვოს სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება შეთანხმებული ვადის ან ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის გასვლამდე.

(2) თუ მნიშვნელოვანი საფუძველი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაა, ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დადგენილი ვადის უშედეგოდ გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ. შესაბამისად, გამოიყენება § 323-ის მე-2 ნაწილი.

(3) უფლებამოსილ პირს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება მხოლოდ სათანადო ვადაში, მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის შესახებ.

(4) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების შეწყვეტით არ გამოირიცხება.

ქვეკარი 4. ვალდებულების შესრულების ცალმხრივად განსაზღვრის უფლებები

§ 315. ვალდებულების შესრულების განსაზღვრა ერთი მხარის მიერ

(1) თუ ვალდებულების შესრულება უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანი შეფასებით.

(2) განსაზღვრა ხორციელდება მეორე მხარის მიმართ გაკეთებული განცხადებით.

(3) თუ განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანი შეფასებით, მაშინ გაკეთებული განსაზღვრა მეორე მხარისათვის მბოჭავია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სამართლიანია; თუ იგი სამართლიანი არ არის, მაშინ განსაზღვრა ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილებით; ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც განსაზღვრა ჭიანურდება.

§ 316. საპასუხო დაკმაყოფილების განსაზღვრა

თუ ვალდებულების შესრულებისათვის შეპირებული საპასუხო დაკმაყოფილების მოცულობა განსაზღვრული არ არის, მაშინ დავის შემთხვევაში განსაზღვრაზე უფლებამოსილად მიიჩნევა ხელშეკრულების ის მხარე, რომელსაც აქვს საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლება.

§ 317. ვალდებულების შესრულების განსაზღვრა მესამე პირის მიერ

(1) თუ ვალდებულების შესრულება უნდა განისაზღვროს მესამე პირის მიერ, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანი შეფასებით.

(2) თუ განსაზღვრა უნდა მოხდეს რამდენიმე მესამე პირის მიერ, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ აუცილებელია ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება; თუ

უნდა განისაზღვროს თანხის ოდენობა და მოცემულია სხვადასხვა თანხის ოდენობა, დავის შემთხვევაში გამოიყენება საშუალო ოდენობა.

§ 318. ვალდებულების შესრულების განსაზღვრის საცილოობა

(1) მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების განსაზღვრა ხორციელდება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიმართ გაკეთებული განცხადებით.

(2) შეცდომის, მოტყუებისა თუ იძულების გამო განხორციელებული განსაზღვრის საცილოობაზე უფლებამოსილნი არიან მხოლოდ ხელშეკრულების მხარეები; შეცილებაში მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს ხელშეკრულების მეორე მხარე. შეცილება უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ, მას შემდეგ, რაც შეცილებაზე უფლებამოსილი მხარისათვის ცნობილი გახდა შეცილების საფუძვლის შესახებ. შეცილება გამორიცხულია, თუ განსაზღვრის განხორციელებიდან გავიდა 30 წელი.

§ 319. განსაზღვრის არანამდვილობა; შეცვლა

(1) თუ მესამე პირმა ვალდებულების შესრულება უნდა განსაზღვროს სამართლიანი შეფასებით, და თუ იგი აშკარად არასამართლიანია, მაშინ განსაზღვრა ხელშეკრულების მხარეებისათვის მბოჭავი არ იქნება. ამ შემთხვევაში განსაზღვრა ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილებით; ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მესამე პირს განსაზღვრა არ შეუძლია, ან იგი ამას აჭიანურებს.

(2) თუ მესამე პირმა ვალდებულების შესრულება უნდა განსაზღვროს თავისუფალი შეხედულებით, და თუ მას არ შეუძლია, ან არ სურს განსაზღვრა, ანდა იგი ამას აჭიანურებს, მაშინ ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

კარი 2. ორმხრივი ხელშეკრულება

§ 320. შეუსრულებელი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი

(1) პირს, რომელსაც ეკისრება ვალდებულება ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო დაკმაყოფილების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ვალდებულია, თავისი ვალდებულება უფრო ადრე შეასრულოს; თუ შესრულება უნდა განხორციელდეს რამდენიმე პირის მიმართ, ცალკეულ პირს შეუძლია, უარი თქვას მისთვის განკუთვნილი შესრულების ნაწილზე მთლიანი საპასუხო დაკმაყოფილების განხორციელებამდე. § 273-ის მე-3 ნაწილი არ გამოიყენება.

(2) თუ ერთ-ერთი მხარე ვალდებულებას ასრულებს ნაწილობრივ, მაშინ საპასუხო დაკმაყოფილებაზე არ შეიძლება ითქვას უარი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, კერძოდ კი, შეუსრულებელი ვალდებულების ნაწილის შედარებით მცირე მნიშვნელობის გამო, უარი კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო იქნებოდა.

§ 321. შეუსრულებლობის საფრთხის გამო შესაგებელი

(1) იმ პირს, რომელსაც, ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ეკისრება წინმსწრები შესრულების ვალდებულება, შეუძლია, უარი თქვას შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარაა, რომ მისი საპასუხო ვალდებულების შესრულებას საფრთხე ექმნება მეორე მხარის უუნარობის გამო. ვალდებულების

შესრულებაზე უარის თქმის უფლება გამორიცხულია, თუ საპასუხო დაკმაყოფილება სრულდება, ან მისთვის ხდება უზრუნველყოფის წარდგენა.
(2) წინმსწრებ შესრულებაზე ვალდებულ პირს შეუძლია გონივრული ვადის დადგენა, რომელშიც მეორე მხარემ, საკუთარი არჩევანით, თანადროული შესრულების სანაცვლოდ ან უნდა განახორციელოს საპასუხო შესრულება, ან წარადგინოს უზრუნველყოფა. ვადის უშედეგოდ გასვლის შემდგომ წინმსწრებ შესრულებაზე ვალდებულ პირს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. § 323 გამოიყენება შესაბამისად.

§ 322. ერთდროულად შესრულების დაკისრება სასამართლოს გადაწყვეტილებით
(1) თუ, ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარე წარადგენს სარჩელს მისთვის განკუთვნილი შესრულების მოთხოვნით, მეორე მხარის მიერ საპასუხო დაკმაყოფილებამდე შესრულებაზე უარის უფლების რეალიზაცია შედეგად იწვევს მხოლოდ სასამართლოს მიერ ამ უკანასკნელისათვის პირველ შესრულებასთან ერთად ერთდროულად შესრულების დაკისრებას.
(2) თუ სარჩელის წარმდგენმა მხარემ თავისი ვალდებულება პირველმა უნდა შეასრულოს, მეორე მხარე კი აცილებს ვალდებულების მიღების ვადას, მაშინ მას შეუძლია, წარადგინოს სარჩელი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით, საპასუხო დაკმაყოფილების მიღების შემდეგ.
(3) იძულებითი აღსრულების მიმართ გამოიყენება § 274-ის მე-2 ნაწილი.

§ 323. ხელშეკრულებაზე უარის თქმა ვალდებულების შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო
(1) თუ ორმხრივი ხელშეკრულების მოვალე არ ასრულებს ვადამოსულ ვალდებულებას, ან ასრულებს მას ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ, მაშინ კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულების ან დამატებითი შესრულებისათვის მის მიერ უშედეგოდ განსაზღვრული დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ.
(2) დამატებითი ვადის დადგენა ზედმეტია, თუ:
1. მოვალე შესრულებაზე გადამჭრელად და საბოლოოდ ამბობს უარს;
2. მოვალე ვალდებულებას არ ასრულებს ხელშეკრულებაში მითითებულ თარიღამდე ან განსაზღვრულ ვადაში, ხოლო კრედიტორმა ხელშეკრულებაში შესრულებისადმი მისი ინტერესი დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას; ან
3. არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, ამართლებს ხელშეკრულებაზე დაუყოვნებლივ უარის თქმას.

(3) თუ ვალდებულების დარღვევის ბუნების გამო ვადის დადგენა მიზანშეწონილი არ არის, მაშინ მის ადგილს იკავებს გაფრთხილება.
(4) კრედიტორს შეუძლია, შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინაპირობები.
(5) თუ მოვალემ განახორციელა ნაწილობრივი შესრულება, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას მთლიან ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ნაწილობრივი შესრულებისადმი ინტერესი აღარ აქვს. თუ მოვალემ შესრულება განახორციელა ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ, მაშინ კრედიტორს არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა.

(6) ხელშეკრულებაზე უარის თქმა გამორიცხულია, თუ მხოლოდ კრედიტორი ან უმეტესწილად იგი არის პასუხისმგებელი იმ გარემოებისათვის, რომელიც მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას მიანიჭებდა, ან/და, თუ ის გარემოება, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, შეიქმნა კრედიტორის მიერ მიღების ვადის გადაცილების დროს.

§ 324. ხელშეკრულებაზე უარის თქმა § 241-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო

თუ ორმხრივი ხელშეკრულების მოვალე არღვევს § 241-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მაშინ კრედიტორს შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ მას აღარ შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების შენარჩუნება.

§ 325. ზიანის ანაზღაურება და ხელშეკრულებაზე უარის თქმა

ორმხრივი ხელშეკრულების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას არ გამორიცხავს ხელშეკრულებაზე უარის თქმას.

§ 326. საპასუხო დაკმაყოფილებისაგან გათავისუფლება და ხელშეკრულებაზე უარის თქმა

ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში

(1) თუ მოვალეს, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, შეუძლია, უარი თქვას შესრულებაზე, მაშინ გამოირიცხება საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებაც; ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება § 441-ის მე-3 ნაწილი. პირველი წინადადება არ მოქმედებს, თუ მოვალეს, ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, შეუძლია, უარი თქვას დამატებით შესრულებაზე.

(2) თუ კრედიტორი იმ გარემოებისათვის, რომლის საფუძველზეც მოვალეს, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მხოლოდ ის ან უმეტესწილად თავად არის პასუხისმგებელი, ან/და თუ ის გარემოება, რომლისათვისაც მოვალე პასუხისმგებელი არ არის, შეიქმნა კრედიტორის მიერ შესრულების მიღების ვადის გადაცილების დროს, მაშინ მოვალე ინარჩუნებს საპასუხო დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლებას. თუმცა, მან უნდა დაუშვას იმ თანხის თავის ანგარიშში ჩათვლა, რომელსაც იგი ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების შედეგად ზოგავს, ან საკუთარი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენების შედეგად იძენს, ან/და ბოროტი განზრახვით არ იძენს.

(3) თუ კრედიტორი, § 285-ის თანახმად, ითხოვს ვალდებულების საგნისათვის მიღებული საზღაურის გადაცემას, ან საზღაურის მოთხოვნის დათმობას, მაშინ იგი რჩება ვალდებული საპასუხო დაკმაყოფილებაზე. თუმცა, ეს უკანასკნელი მცირდება იმდენად, რამდენადაც საზღაურის ღირებულება ან საზღაურის მოთხოვნის უფლება, § 441-ის მე-3 ნაწილის თანახმად, რჩება ნაკისრი ვალდებულების შესრულების ღირებულებაზე ნაკლები.

(4) იმდენად, რამდენადაც, წინამდებარე ნორმის თანახმად, სრულდება ისეთი საპასუხო დაკმაყოფილება, რომელიც არ ყოფილა ნაკისრი, რაც შესრულებულ იქნა, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უკან, §§ 346-348-ის მიხედვით.

(5) თუ მოვალეს, § 275-ის პირველი-მე-3 ნაწილების თანახმად, შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე; ხელ-

შეკრულებიდან გასვლასთან მიმართებით შესაბამისად გამოიყენება § 323, იმ პირობით, რომ ვადის განსაზღვრა ზედმეტია.

§ 327. *(გაუქმებულია)*

კარი 3. ვალდებულების შეპირება მესამე პირის სასარგებლოდ

§ 328. მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება

(1) ხელშეკრულებით შესაძლებელია, შეთანხმებულ იქნეს ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ ისე, რომ მესამე პირი უშუალოდ იძენს შესრულების მოთხოვნის უფლებას.

(2) სპეციალური დათქმის არარსებობისას, საქმის გარემოებებიდან, კერძოდ, ხელშეკრულების მიზნიდან, უნდა დადგინდეს: უფლება მესამე პირმა უნდა შეიძინოს, მესამე პირის უფლება დაუყოვნებლივ წარმოიშობა, თუ მხოლოდ განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას; ამავე დროს, ხელშეკრულების მხარეები ინარჩუნებენ თუ არა უფლებას, გააუქმონ ან შეცვალონ მესამე პირის უფლება ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე.

§ 329. განმარტების წესი ვალდებულების შესრულების კისრებისას

თუ ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს მეორე მხარის კრედიტორი ისე, რომ არ იკისროს ვალი, მაშინ, დავის შემთხვევაში, არ უნდა ჩაითვალოს, რომ კრედიტორმა უშუალოდ მისგან უნდა შეიძინოს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება.

§ 330. განმარტების წესი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შემთხვევაში

თუ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში სარჩოს გადახდა შეთანხმებულია მესამე პირის მიმართ, დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ მესამე პირმა უშუალოდ უნდა შეიძინოს ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება. ანალოგიური წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც უსასყიდლო შესრულების შემთხვევაში შესრულების მიმღებს ეკისრება მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების ვალდებულება, ან, ქონების მიღების შემთხვევაში, მიმღები პირის მიერ ხდება მესამე პირის წინაშე ვალდებულების შესრულების კისრება კომპენსაციის მიზნით.

§ 331. ვალდებულების შესრულება გარდაცვალების შემდეგ

(1) თუ ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ უნდა განხორციელდეს იმ პირის გარდაცვალების შემდეგ, ვის მიმართაც იგი იქნა შეპირებული, დავის შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ მესამე პირი იძენს უფლებას ვალდებულების შესრულებაზე შესრულების შეპირების მიმღების გარდაცვალებისას.

(2) თუ შესრულების შეპირების მიმღები გარდაიცვლება მესამე პირის დაბადებამდე, მესამე პირის სასარგებლოდ შესრულების ვალდებულება შეიძლება გაუქმდეს, ან შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამის განხორციელების უფლებამოსილება სპეციალურად იქნა დათქმული.

§ 332. საანდერძო განკარგულების მეშვეობით განხორციელებული შეცვლა უფლების შენარჩუნების შემთხვევაში
თუ შეპირების მიმღები იტოვებს უფლებას, შემპირებლის თანხმობის გარეშე შეცვალოს ხელშეკრულებაში მითითებული მესამე პირი სხვა პირით, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ აღნიშნული შეიძლება მოხდეს ასევე საანდერძო განკარგულებითაც.

§ 333. მესამე პირის მიერ უფლებაზე უარი
თუ მესამე პირი შემპირებლის წინაშე უარს აცხადებს ხელშეკრულებით შეძენილი უფლების მიღებაზე, მაშინ მიიჩნევა, რომ ეს უფლება არ ყოფილა შეძენილი.

§ 334. მოვალის შესაგებელი მესამე პირის მიმართ
ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებლის წარდგენის უფლება შემპირებელს გააჩნია, ასევე, მესამე პირის მიმართ.

§ 335. შეპირების მიმღების მოთხოვნის უფლება
თუ ხელშეკრულების მხარეთა ნებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, შეპირების მიმღებს შეუძლია, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ უკანასკნელს თავად ეკუთვნის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება.

კარი 4. ბე, პირგასამტეხლო

§ 336. ბეს განმარტება
(1) თუ ხელშეკრულების დადებისას რაიმე საგანი გადაეცემა როგორც ბე, მაშინ იგი განიხილება როგორც ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი ნიშანი.
(2) დავის შემთხვევაში ბე არ განიხილება როგორც საჯარიმო თანხა.

§ 337. ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში ან მისი დაბრუნება
(1) დავის შემთხვევაში ბე ჩაითვლება ბეს მიმცემის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ანგარიშში, ხოლო თუ მისი ჩათვლა ვერ მოხდება, ხელშეკრულების შესრულების შემდეგ იგი უკან უნდა დაბრუნდეს.
(2) თუ ხელშეკრულება უქმდება, ბე უკან უნდა დაბრუნდეს.

§ 338. ბე ვალდებულების შესრულების ისეთი შეუძლებლობის შემთხვევაში, რომლისთვისაც პასუხისმგებელია ბეს მიმცემი
თუ ბეს მიმცემის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება ისეთი გარემოების შედეგად, რომლისთვისაც იგი თავად არის პასუხისმგებელი, ან თუ ბეს მიმცემი პასუხისმგებელია ხელშეკრულების გაუქმებისათვის, ბეს მიმღებს შეუძლია დაიტოვოს ბე. თუ მიმღები, ვალდებულების შესრულების ნაცვლად, ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, მაშინ დავის შემთხვევაში ბე ჩაითვლება ვალდებულების შესრულების ანგარიშში, ხოლო თუ მისი ჩათვლა შეუძლებელი იქნება, იგი უკან უნდა დაბრუნდეს ზიანის ანაზღაურებისას.

§ 339. პირგასამტეხლოს გადახდა

თუ მოვალე პირდება კრედიტორს ფულადი თანხის პირგასამტეხლოს სახით გადახდას მის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მაშინ პირგასამტეხლო ექვემდებარება გადახდას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას. თუ ნაკისრი ვალდებულების შესრულება მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში, პირგასამტეხლო ექვემდებარება გადახდას ამ ვალდებულების საწინააღმდეგოდ მოქმედების განხორციელებისას.

§ 340. პირგასამტეხლოს გადახდის შეპირება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის

(1) თუ მოვალემ იკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ნაცვლად. თუ კრედიტორი უცხადებს მოვალეს, რომ იგი ითხოვს პირგასამტეხლოს, მაშინ მოთხოვნის უფლება ვალდებულების შესრულებაზე გამორიცხულია.

(2) თუ კრედიტორს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ეკუთვნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს პირგასამტეხლოს როგორც ზიანის მინიმალური ოდენობის ანაზღაურების გადახდა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სხვა უფლების რეალიზაცია გამორიცხული არ არის.

§ 341. პირგასამტეხლოს გადახდის შეპირება ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის

(1) თუ მოვალემ იკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის, განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობისათვის, მაშინ კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულებასთან ერთად.

(2) თუ კრედიტორს ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის ეკუთვნის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, მაშინ გამოიყენება § 340-ის მე-2 ნაწილი.

(3) თუ კრედიტორი იღებს შესრულებას, მაშინ მას პირგასამტეხლოს მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან მიღებისას დაიტოვა აღნიშნულზე უფლება.

§ 342. ფულადი პირგასამტეხლოს ალტერნატივა

თუ პირგასამტეხლოს სახით ადგილი აქვს ფულადი თანხის გადახდის ნაცვლად სხვა ვალდებულების შესრულების შეპირებას, მაშინ გამოიყენება §§ 339-341-ის ნორმები; ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ კრედიტორი ითხოვს პირგასამტეხლოს გადახდას.

§ 343. პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება

(1) თუ გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, მაშინ იგი მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება შემცირდეს სათანადო თანხამდე. სათანადოობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კრედიტორის ნებისმიერი ლეგიტიმური და არა მარტო მისი უბ-

რალოდ ქონებრივი ინტერესი. პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ მისი ოდენობის შემცირება გამორიცხულია.
(2) ანალოგიური წესი გამოიყენება, აგრეთვე, თუ ვინმე კისრულობს პირგასამტეხლოს გადახდას მოქმედების შესრულების ან შეუსრულებლობისას გარდა §§ 339, 342-ში მოცემული შემთხვევებისა.

§ 344. სამართლებრივი ძალის არმქონე პირგასამტეხლოს გადახდის შეპირება
თუ კანონი სამართლებრივი ძალის არმქონედ აცხადებს ვალდებულების შესრულების შეპირებას, მაშინ სამართლებრივი ძალის არმქონეა, ასევე, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევისათვის დადებული პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ შეთანხმება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარეებმა იცოდნენ შეპირების სამართლებრივი ძალის არარსებობის შესახებ.

§ 345. მტკიცების ტვირთი
თუ მოვალე სადაოდ ხდის პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებას იმის მტკიცებით, რომ მან შეასრულა თავისი ვალდებულება, მაშინ მან უნდა დაამტკიცოს ვალდებულების შესრულება, თუ ნაკისრი შესრულება არ მდგომარეობს მოქმედებისაგან თავის შეკავებაში.

კარი 5. ხელშეკრულებიდან გასვლა; ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან ნივთის უკან დაბრუნების უფლებები სამომხმარებლო ხელშეკრულებებში

ქვეკარი 1. ხელშეკრულებიდან გასვლა (ხელშეკრულებაზე უარის თქმა)

§ 346. ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგები
(1) თუ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ხელშეკრულებით დათქვა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ან თუ მას აქვს ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლება, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მიღებული შესრულება და სარგებელი ექვემდებარება დაბრუნებას.
(2) შესრულების უკან დაბრუნების ნაცვლად, მოვალემ უნდა აანაზღაუროს ღირებულება, თუ
1. დაბრუნება გამორიცხულია მიღებულის ბუნების გამო,
2. მან მიღებული საგანი გამოიყენა, გაასხვისა, უფლებრივად დატვირთა, გადაამუშავა ან გადააკეთა,
3. მიღებული საგანი გაუარესდა ან განადგურდა; თუმცა, სათანადო გამოყენებით გამოწვეული გაუარესება მხედველობაში არ მიიღება.

თუ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია საპასუხო შესრულება, მაშინ ეს უკანასკნელი გამოიყენება საზღაურის თანხის გამოანგარიშების საფუძვლად; თუ გადახდილ უნდა იქნეს საზღაური სესხით სარგებლობისათვის, შეიძლება დადასტურებულ იქნეს, რომ სარგებლობის ღირებულება მცირე იყო.
(3) საზღაურის გადახდის ვალდებულება არ არსებობს, თუ
1. ის ნაკლი, რომელიც ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას იძლევა, გამოაშკარავდა მხოლოდ ამ საგნის გადამუშავების ან გარდაქმნის დროს;

2. საგნის მდგომარეობის გაუარესებისა თუ განადგურებისათვის პასუხისმგებელია კრედიტორი ან ზარალი მაინც დადგებოდა, საგანი რომც დარჩენილიყო კრედიტორთან;
3. ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შემთხვევაში, საგნის მდომარეობის გაუარესებას ან განადგურებას ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებიდან გასვლაზე უფლებამოსილ პირთან, მიუხედავად იმისა, რომ მან გამოიჩინა ისეთი მზრუნველობა, რომელსაც იგი ყოველდღიურობაში ჩვეულებრივ იჩენს ხოლმე.

დარჩენილი ზედმეტობა ექვემდებარება დაბრუნებას.

(4) პირველი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის გამო კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს §§ 280-283-ის მიხედვით ზიანის ანაზღაურება.

§ 347. საგნის გამოყენების შედეგად მიღებული სარგებლისა და საგანზე გაწეული ხარჯების ბედი ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ

(1) თუ საქმის სათანადოდ გაძღოლის წესების საწინააღმდეგოდ მოვალე არ იღებს საგნიდან სარგებელს, თუმცა, მას ამის შესაძლებლობა ექნებოდა, მაშინ იგი ვალდებულია, კრედიტორს აუნაზღაუროს სარგებლის მიუღებლობით გამოწვეული ზიანი. ხელშეკრულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების შემთხვევაში, გასვლაზე უფლებამოსილი პირი სარგებლის მიღებასთან დაკავშირებით პასუხისმგებელია მხოლოდ ისეთი მზრუნველობისათვის, რომელსაც იგი, ჩვეულებრივ, იჩენს თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

(2) თუ მოვალე საგანს უკან აბრუნებს, ან ანაზღაურებს ღირებულებას, ანდა თუ, § 346-ის მე-3 ნაწილის №№ 1 ან 2-ის მიხედვით, ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხულია, მაშინ მას უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ გაწეული აუცილებელი დანახარჯები. სხვა დანახარჯები უნდა ანაზღაურდეს იმდენად, რამდენადაც კრედიტორი მათ შედეგად გამდიდრდა.

§ 348. ვალდებულებების ერთდროულად შესრულება

ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი მხარეთა ვალდებულებები უნდა შესრულდეს ერთდროულად. §§ 320, 322 გამოიყენება შესაბამისად.

§ 349. ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ შეტყობინება

ხელშეკრულებიდან გასვლა ხდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის გაკეთებული შეტყობინებით.

§ 350. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების გაუქმება ვადის დადგენის შემდეგ

თუ ხელშეკრულებიდან გასვლის სახელშეკრულებო უფლების რეალიზაციის ვადა არ არის დადგენილი, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია, გასვლაზე უფლებამოსილ პირს უფლების რეალიზაციისათვის განუსაზღვროს სათანადო ვადა. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება უქმდება, თუ ხელშეკრულებიდან გასვლის განცხადება ვადის გასვლამდე არ იქნება გაკეთებული.

§ 351. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების ერთიანობა

თუ ხელშეკრულების ერთ ან მეორე მხარეს მონაწილეობს რამდენიმე პირი, მაშინ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ყველა პირის მიერ და ყველა პირის მიმართ. თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება უქმ-

დება ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ ეს უფლება უქმდება დანარჩენი პირებისთვისაც.

§ 352. გაქვითვა ვალდებულების შეუსრულებლობის შემდეგ
ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულებიდან გასვლა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ მოვალეს გაქვითვის გზით შეეძლო გათავისუფლებულიყო ვალდებულებისაგან და ის ხელშეკრულებიდან გასვლის შემდეგ დაუყოვნებლივ აცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ.

§ 353. ხელშეკრულებიდან გასვლა საჯარიმო თანხის სანაცვლოდ
თუ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება შეთანხმებულია საჯარიმო თანხის სანაცვლოდ, ხელშეკრულებიდან გასვლა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუკი საჯარიმო თანხა არ იქნა გადახდილი ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ განცხადების წარდგენამდე ან განცხადების წარდგენისას და ხელშეკრულების მეორე მხარე აღნიშნული საფუძვლით დაუყოვნებლივ უარს ამბობს განცხადებაზე. თუმცა, განცხადება სამართლებრივი ძალის მქონეა, თუ საჯარიმო თანხა უარის შემდეგ დაუყოვნებლივ გადაიხდება.

§ 354. ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებების დაკარგვის შესახებ დათქმა
თუ ხელშეკრულება დადებულია იმ დათქმით, რომ მოვალემ ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი უფლებები უნდა დაკარგოს, თუკი იგი თავის ვალდებულებებს არ ასრულებს, მაშინ კრედიტორი ამ შემთხვევის დადგომისას უფლებამოსილია, გავიდეს ხელშეკრულებიდან.

ქვეკარი 2. ხელშეკრულებაზე უარის თქმის და შესრულების უკან დაბრუნების უფლებები სამომხმარებლო ხელშეკრულებებში

§ 355. ხელშეკრულებაზე უარის თქმა სამომხმარებლო ხელშეკრულებებში
(1) თუ მომხმარებელს კანონით მინიჭებული აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება წინამდებარე ნორმების მიხედვით, მაშინ ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილ მის ნებას მისთვის აღარ ექნება მბოჭავი ძალა, თუ მან სათანადო ვადაში განაცხადა უარი. არ არის აუცილებელი, რომ უარის შესახებ განცხადება შეიცავდეს რაიმე დასაბუთებას და მისი წარდგენა უნდა მოხდეს მეწარმის წინაშე წერილობითი ფორმით, ან ნივთის უკან დაბრუნებით, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადაში; უარი ჩაითვლება ვადაში განცხადებულად, თუ იგი დროულად იქნა გაგზავნილი.
(2) ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა შეადგენს 14 დღეს მაშინ, როდესაც მომხმარებელს, § 360-ის პირველი ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება განემარტება წერილობითი ფორმით, არა უგვიანეს ხელშეკრულების დადებისა. დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში, ხელშეკრულების დადებისთანავე, მეწარმის მიერ მომხმარებლისთვის უარის თქმის უფლების შესახებ დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით განსახორციელებელ განმარტებას უთანაბრდება ხელშეკრულების დადებისას განხორციელებული განმარტება, თუ ამ განმარტებით მეწარმემ მომხმარებელს „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 246-ე მუხლის § 1-ის პირველი ნაწილის № 10-ში მოცემული ინფორმაცია მიაწოდა. თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ ინფორმაცია მომხმარებელს

პირველი და მე-2 წინადადებებით გათვალისწინებულ ვადაში მიეწოდება, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა შეადგენს ერთ თვეს. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევებშიც, როდესაც მეწარმეს უფლება აქვს, მომხმარებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ განმარტება მიაწოდოს „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 246-ე მუხლის § 2-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების № 2-ის შესაბამისად, პირველი და მე-2 წინადადებებით განსაზღვრულ დროზე გვიან.

(3) ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დენა იწყება მაშინ, როდესაც მომხმარებელს, § 360-ის პირველი ნაწილის შესაბამისად, წერილობითი ფორმით განემარტება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება. მაშინ, როდესაც ხელშეკრულება წერილობითი ფორმით იდება, ვადის დენა არ იწყება მანამ, სანამ მომხმარებელს ხელშეკრულების დოკუმენტი, მომხმარებლის წერილობითი განცხადება, ან ხელშეკრულების დოკუმენტისა თუ განცხადების ასლი არ მიეწოდება. თუ ვადის დენის დაწყება სადავოა, მტკიცების ტვირთი ეკისრება მეწარმეს.

(4) ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება უქმდება ხელშეკრულების დადებიდან ექვსი თვის შემდგომ. საქონლის მიწოდების შემთხვევაში, ვადის დენა არ იწყება მიმღებთან საქონლის მისვლამდე. პირველი წინადადებისგან განსხვავებით, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ უქმდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარის თქმის თავისი უფლების შესახებ § 360-ის პირველი ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად, წერილობითი ფორმით არ იქნა ინფორმირებული; ფინანსური მომსახურების გაწევის შესახებ დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევებში, ეს უფლება არ უქმდება მაშინ, როდესაც მეწარმემ, „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 246-ე მუხლის § 2-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების № 1-ისა და მე-2 წინადადების № 1-3-ის თანახმად, შეტყობინების ვალდებულებები სათანადოდ არ შეასრულა.

§ 356. მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლება სამომხმარებლო ხელშეკრულებებში

(1) ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, § 355-ის მიხედვით, ნასყიდობის ბროშურის საფუძველზე ხელშეკრულების დადებისას შეიძლება შეიცვალოს მიღებული შესრულების უკან დაბრუნების შეუზღუდავი უფლებით, თუ ეს პირდაპირ არის დაშვებული კანონით. წინაპირობაა ის, რომ:

1. შესრულების უკან დაბრუნების უფლების განმარტება, § 360-ის მე-2 ნაწილის წესების დაცვით, შეტანილია ნასყიდობის ბროშურაში;
2. მომხმარებელს შეეძლო, მიეღო დეტალური ინფორმაცია ნასყიდობის ბროშურის შესახებ მეწარმის არყოფნისას.

(2) მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლების განხორციელება შეიძლება ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადაში და მხოლოდ ნივთის უკან დაბრუნებით, ან, თუ შეუძლებელია მისი გზავნილის სახით გაგზავნა უკან დაბრუნების მოთხოვნით; ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადა არ იწყება ნივთის მიღებამდე. უარის თქმის უფლების შესახებ ნორმები შესაბამისად გამოიყენება. § 360-ის პირველი ნაწილის ადგილს იკავებს § 360-ის მე-2 ნაწილი.

§ 357. ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან შესრულების უკან დაბრუნების სამართლებრივი შედეგები

(1) თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან შესრულების უკან დაბრუნების უფლებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ხელშეკ-

რულებიდან გასვლის კანონისმიერი უფლების მომწესრიგებელი ნორმები. § 286-ის მე-3 ნაწილი შესაბამისად მოქმედებს, წინამდებარე ნორმის მიხედვით, საზღაურის გადახდის ვალდებულების მიმართ; მასში განსაზღვრული ვადის დენა იწყება მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან შესრულების უკან დაბრუნების ნების გამოვლენის მომენტიდან. ამასთან ერთად, მომხმარებლისათვის საზღაურის გადახდის ვალდებულებასთან დაკავშირებული ვადის დენა იწყება აღნიშნული განცხადების წარდგენის მომენტიდან, ხოლო მეწარმისთვის საზღაურის გადახდის ვალდებულებასთან დაკავშირებული ვადის დენა – განცხადების მიღების მომენტიდან.
(2) მომხმარებელს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელებისას ეკისრება შესრულების უკან დაბრუნების ვალდებულება, თუ ამ უკანასკნელის გაგზავნა შესაძლებელია გზავნილის სახით. ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან შესრულების უკან დაბრუნების შემთხვევებში შესრულების უკან დაბრუნების ხარჯები და რისკი ეკისრება მეწარმეს. მაშინ, როდესაც სახეზეა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, § 312დ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, მომხმარებელს ხელშეკრულებით შეიძლება დაეკისროს ნივთის უკან დაბრუნების ჩვეულებრივი ხარჯები, თუ დასაბრუნებელი ნივთის ფასი არ აღემატება ორმოც ევროს, ან, იმ შემთხვევაში, თუ ნივთის უფრო მაღალი ფასია მოცემული, ზემოაღნიშნული წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც მომხმარებელს, ხელშეკრულებაზე უარის თქმამდე, არ განუხორციელებია საპასუხო შესრულება ან ნაწილობრივი გადახდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიწოდებული საქონელი არ შეესაბამება შეკვეთილს.
(3) § 346-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 3-ის რეგულირებისგან განსხვავებით, მომხმარებელმა უნდა აანაზღაუროს ნივთის გაუარესების ღირებულება, თუ:

1. ნივთის გაუარესება გამოიწვია ნივთის ისეთმა გამოყენებამ, რომელიც ნივთის თვისებრიობის შემოწმებასა და ფუნქციონირების დადგენას სცდება;
2. არაუგვიანეს ხელშეკრულების დადებისა, იგი წერილობითი ფორმით გაფრთხილებულ იქნა აღნიშნულის სამართლებრივი შედეგების შესახებ.

დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შემთხვევებში, ხელშეკრულების დადების შემდგომ, წერილობით სახით დაუყოვნებლივ განსახორციელებელ გაფრთხილებას უთანაბრდება ხელშეკრულების დადებისას განხორციელებული ასეთი გაფრთხილება, თუ მეწარმე მომხმარებელს დროულად, ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულებაზე ნების გამოვლენამდე, მათ შორის უკვე აპრობირებული დისტანციური კომუნიკაციის საშუალებით, მიაწვდის ინფორმაციას ღირებულების ანაზღაურების ვალდებულებაზე. § 346-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების № 3 არ გამოიყენება, თუ მომხმარებელს სათანადოდ განემარტა ხელშეკრულებაზე უარის თქმის კუთვნილი უფლების შესახებ, ან თუ მან აღნიშნულის თაობაზე სხვაგვარად შეიტყო.
(4) მოთხოვნის სხვა უფლებები არ არსებობს.

§ 358. ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებები

(1) თუ მომხმარებელმა შედეგიანად (სამართლებრივად ნამდვილად) თქვა უარი საქონლის მიწოდების ან სხვა სახის შესრულებასთან დაკავშირებულ ნებაზე, მაშინ იგი აღარ არის შებოჭილი აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სესხის ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნებით.
(2) თუ მომხმარებელმა, § 495-ის პირველი ნაწილის თანახმად, შედეგიანად (სამართლებრივად ნამდვილად) თქვა უარი სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გამოვლენილ ნებაზე, მაშინ იგი აღარ არის შებოჭილი აღნიშ-

ნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნებით.
(3) ამ ნორმის პირველი და მე-2 ნაწილების ფარგლებში საქონლის მიწოდების ან ვალდებულების სხვაგვარი შესრულების შესახებ ხელშეკრულება და სესხის ხელშეკრულება მიიჩნევა ურთიერთდაკავშირებულად, თუ სესხი მთლიანად ან ნაწილობრივ ემსახურება მეორე ხელშეკრულების დაფინანსებას და ორივე ხელშეკრულება ქმნის ეკონომიკურ ერთიანობას. ეკონომიკურ ერთიანობად ჩაითვლება, განსაკუთრებით, ის შემთხვევა, როდესაც მეწარმე თავად აფინანსებს მომხმარებლის საპასუხო შესრულებას, ან, მესამე პირის მიერ დაფინანსების შემთხვევაში, მესამე პირი, გამსესხებელი, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების მომზადების ან დადების დროს მეწარმის თანამონაწილეობას იყენებს. მიწის ნაკვეთის ან მიწის ნაკვეთის მსგავსი უფლების დაფინანსებული შეძენის შემთხვევაში მოცემულია ეკონომიკური ერთიანობა, თუ გამსესხებელი თავად გადასცემს მიწის ნაკვეთს ან მიწის ნაკვეთის მსგავს უფლებას, ანდა, როდესაც იგი ხელს უწყობს მიწის ნაკვეთის ან მიწის ნაკვეთის მსგავსი უფლების შეძენას მეწარმის თანამონაწილეობით, სესხის სანაცვლოდ იმ დროს, როდესაც მას მეწარმის მიერ განხორციელებულ გასხვისებაში, მთლიანად ან ნაწილობრივ, საკუთარი ინტერესი აქვს, იგი იღებს გამსხვისებლის ფუნქციებს პროექტების დაგეგმვაში, რეკლამასა თუ განხორციელებაში ან გამსხვისებელს ცალმხრივად ანიჭებს უპირატესობას.
(4) § 357 შესაბამისად გამოიყენება დაკავშირებული ხელშეკრულების მიმართ; § 312ე გამოიყენება შესაბამისად, თუ დაკავშირებულ ხელშეკრულებასთან მიმართებით უარის თქმის უფლება, § 312დ-ს მიხედვით, არსებობს ან არსებობდა. პირველი ნაწილის შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულების გაუქმებიდან გამომდინარე პროცენტისა და ხარჯების გადახდაზე მოთხოვნის უფლებები გამორიცხულია მომხმარებლის მიმართ. ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით, გამსესხებელი იკავებს მეწარმის ადგილს მომხმარებელთან ურთიერთობაში, იმ უფლებებითა და ვალდებულებებით, რაც გამომდინარეობს მასთან დაკავშირებული ხელშეკრულებიდან, იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეს სესხი უკვე მიღებული აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების ძალაში შესვლისას.
(5) ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან მიღებული შესრულების უკან დაბრუნების უფლებების შესახებ აუცილებელი განმარტება უნდა უთითებდეს სამართლებრივ შედეგებზე, პირველი და მე-2 ნაწილების მიხედვით.

§ 359. შესაგებელი ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების დროს
მომხმარებელს შეუძლია, უარი თქვას სესხის დაბრუნებაზე იმდენად, რამდენადაც ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესაგებელი მიანიჭებდა მას უფლებას, უარი ეთქვა ვალდებულების შესრულებაზე იმ მეწარმის მიმართ, ვისთანაც მან დადო ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულება. ეს წესი არ მოქმედებს იმ შესაგებლებთან მიმართებით, რომლებიც დაკავშირებულია სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების შემდეგ მეწარმესა და მომხმარებელს შორის შეთანხმებულ ხელშეკრულების ცვლილებასთან. თუ მომხმარებელს შეუძლია დამატებითი შესრულების მოთხოვნა, მაშინ მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია უარის თქმა სესხის დაბრუნებაზე, თუ დამატებითი შესრულება წარუმატებელი აღმოჩნდა.

§ 359ა. მოქმედების სფერო

(1) იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის მოცემული ურთიერთდაკავშირებული გარიგების წინაპირობები, § 358-ის პირველი და მე-4 ნაწილები გამოიყენება შესაბამისად, თუკი გამოხმობადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე მეწარმის საქონელი ან სხვა შესრულება მომხმარებელთან დადებულ სესხის ხელშეკრულებაში ზუსტად არის განსაზღვრული.

(2) იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის მოცემული ურთიერთდაკავშირებული გარიგების წინაპირობები, § 358-ის მე-2 და მე-4 ნაწილები გამოიყენება შესაბამისად იმ დამატებითი შესრულების განმსაზღვრელ ხელშეკრულებებზე, რომლებიც მომხმარებელმა სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებასთან პირდაპირ კავშირში გააფორმა.

(3) § 358-ის მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილები, ასევე § 359 არ გამოიყენება ისეთი სესხის ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ფინანსური ინსტრუმენტების შეძენას ემსახურებიან.

(4) § 359 არ გამოიყენება, როდესაც დაფინანსებული საზღაური 200 ევროს არ აღემატება.

§ 360. ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულების უკან დაბრუნების განმარტება

(1) ხელშეკრულებაზე უარის თქმის განმარტება უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული და მომხმარებელს, აპრობირებული საკომუნიკაციო საშუალების მოთხოვნათა შესაბამისად, ნათლად უნდა განუმარტოს საკუთარი მნიშვნელოვანი უფლებები. იგი უნდა შეიცავდეს შემდეგს:

1. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებაზე მითითებას;
2. მითითებას მასზე, რომ ხელშეკრულებაზე უარის თქმას დასაბუთება არ სჭირდება და რომ მეწარმისთვის მისი განცხადება შესაძლებელია ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადაში, წერილობითი ფორმით ან ნივთის უკან გაგზავნით;
3. იმ პირის სახელსა და მოქმედ (ფაქტობრივ) მისამართს, რომლის წინაშეც უნდა იქნეს განცხადებული ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნება; და
4. მითითებას ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადის დენის დაწყებასა და მის ხანგრძლივობაზე, ასევე მასზე, რომ ვადის დასაცავად საკმარისია ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნების გამოვლენის დროული შეტყობინება, ან ნივთის უკან გაგზავნა.

(2) შესრულების უკან დაბრუნების განმარტებისთვის ნორმის პირველი ნაწილის პირველი წინადადება შესაბამისად გამოიყენება. იგი უნდა შეიცავდეს შემდეგს:

1. შესრულების უკან დაბრუნების უფლებაზე მითითებას;
2. მითითებას მასზე, რომ შესრულების უკან დაბრუნების განხორციელებას დასაბუთება არ სჭირდება;
3. მითითებას იმის შესახებ, რომ შესრულების უკან დაბრუნების უფლება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ ნივთის უკან დაბრუნებით, ან, როდესაც ნივთის პაკეტის სახით გაგზავნა შეუძლებელია ხელშეკრულებაზე უარის თქმის ვადაში მეწარმისადმი უკან დაბრუნების წერილობითი მოთხოვნით;
4. იმ პირის სახელსა და მოქმედ (ფაქტობრივ) მისამართს, რომლის წინაშეც უნდა მოხდეს შესრულების უკან დაბრუნება, ან უნდა იქნეს დაბრუნების მოთხოვნა გამოხატული; და
5. მითითებას შესრულების უკან დაბრუნების ვადის დენის დაწყებასა და მის ხანგრძლივობაზე, ასევე მასზე, რომ ვადის დასაცავად ნივთის ან უკან დაბრუნების მოთხოვნის დროული გაგზავნა საკმარისია.

(3) § 355-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად მომხმარებლისადმი შესატყობინებელ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განმარტებისათვის საკმარისია ამ ნორმის პირველი ნაწილის მოთხოვნები და ამ კანონის ეს განვრცობილი რეგულირებები, თუ წერილობითი ფორმით გამოიყენება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის პირველი დანართი შაბლონი. § 356-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებისა და § 355-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, მომხმარებლისადმი შესატყობინებელი შესრულების უკან დაბრუნების განმარტებისთვის საკმარისია ამ ნორმის მე-2 ნაწილის მოთხოვნები და ამ კანონის ეს განვრცობილი რეგულირებები, თუ წერილობითი ფორმით გამოიყენება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის დანართი 2-ის შაბლონი. მეწარმეს უფლება აქვს, პირველი ნაწილის პირველი წინადადების რეგულირების დაცვით შეცვალოს შაბლონების ფორმატი და შრიფტის ზომა, და მასში დამატებები შეიტანოს, როგორიცაა ფირმის სახელი ან მეწარმის რეკვიზიტები.

§ 361 *(ამოღებულია)*

ნაწილი 4. ვალდებულებითი ურთიერთობების შეწყვეტა

კარი 1. შესრულება

§ 362. ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით
(1) ვალდებულება წყდება, როდესაც კრედიტორის მიმართ სრულდება ნაკისრი ვალდებულება.
(2) თუ ხელშეკრულების შესრულების მიზნით ვალდებულება სრულდება მესამე პირის მიმართ, მაშინ გამოიყენება §185.

§ 363. მტკიცების ტვირთი შესრულების სახით მიღების შემთხვევაში
კრედიტორს ეკისრება მტკიცების ტვირთი, თუ მან მიიღო მისთვის შესრულების სახით შეთავაზებული შესრულება, თუმცა, არ სურს მიღებულის ვალდებულების შესრულებად ცნობა იმის გამო, რომ იგი ნაკისრი ვალდებულებისაგან განსხვავებული იყო ან არასრული.

§ 364. ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად სხვა შესრულების მიღება
(1) ვალდებულება წყდება, თუ კრედიტორი ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად იღებს სხვა შესრულებას.
(2) თუ მოვალე, კრედიტორის დაკმაყოფილების მიზნით, ამ უკანასკნელის წინაშე კისრულობს ახალ ვალდებულებას, მაშინ, დავის შემთხვევაში, ეს არ მიიჩნევა მის მიერ თავდაპირველი ვალდებულების ნაცვლად სხვა ვალდებულების კისრებად.

§ 365. ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაცვლად სხვა შესრულების განხორციელების შემთხვევაში ნაკლის გამო პასუხისმგებლობა
თუ ხდება ნივთის, მესამე პირის მიმართ მოთხოვნის ან სხვა უფლების გადაცემა ნაკისრი ვალდებულების ნაცვლად, მოვალე, გამყიდველის მსგავსად, აგებს პასუხს უფლებრივი თუ ნივთობრივი ნაკლისათვის.

§ 366. რამდენიმე მოთხოვნისას ვალდებულების შესრულების ანგარიშში ჩათვლა
(1) თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის რამდენიმე ვალდებულებიდან გამომდინარე ერთგვაროვანი შესრულება და მის მიერ განხორციელებული შესრულება არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულებისას განსაზღვრავს.
(2) თუ მოვალე არ განსაზღვრავს დასაფარ ვალდებულებას, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის შესრულების ვადაც პირველად დადგა; რამდენიმე ვადამოსული ვალის შემთხვევაში იფარება ის ვალი, რომელიც კრედიტორს ყველაზე ნაკლებ უზრუნველყოფას სთავაზობს; თუ სახეზეა თანაბრად უზრუნველყოფილი რამდენიმე ვალი, იფარება ის ვალი, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა; თუ სახეზეა რამდენიმე თანაბრად მძიმე ვალი, მაშინ იფარება ყველაზე ადრე წარმოშობილი ვალი, ხოლო თუ ყველა ვალი ერთდროულად არის წარმოშობილი, ყველა პროპორციულად იფარება.

§ 367. პროცენტებისა და ხარჯების ვალდებულების შესრულების ანგარიშში ჩათვლა
(1) თუ მოვალემ ძირითად ვალდებულებასთან ერთად უნდა გადაიხადოს პროცენტები და ხარჯები, მაშინ ვალის დასაფარავად არასაკმარისი შესრულება პირველ რიგში ჩაითვლება ხარჯების, შემდეგ პროცენტებისა და ბოლოს კი ძირითადი ვალდებულების შესრულების ანგარიშში.
(2) თუ მოვალე განსაზღვრავს ანგარიშში ჩათვლის სხვა წესს, მაშინ კრედიტორს შეუძლია, უარი თქვას შესრულების მიღებაზე.

§ 368. ქვითარი
კრედიტორმა, მოთხოვნის შემთხვევაში, შესრულების მიღების სანაცვლოდ უნდა გასცეს მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი). თუ მოვალეს აქვს ქვითრის სხვა ფორმით გაცემის კანონიერი ინტერესი, მაშინ მას შეუძლია ამ ფორმით გაცემის მოთხოვნა.

§ 369. ქვითრის გაცემის ხარჯები
(1) მოვალეს ეკისრება ქვითრის გაცემის ხარჯები, რომლებიც მან უნდა გაიღოს წინასწარ, თუ მასა და კრედიტორს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.
(2) თუ მოთხოვნის გადაცემის ან მემკვიდრეობით გადასვლის შედეგად თავდაპირველი კრედიტორის ადგილს იკავებს რამდენიმე კრედიტორი, მაშინ დამატებითი ხარჯები ეკისრებათ ამ კრედიტორებს.

§ 370. ვალდებულების შესრულება ქვითრის წარმომდგენის მიმართ
ქვითრის წარმომდგენი ითვლება ვალდებულების შესრულების მიღებაზე უფლებამოსილად, თუ შემსრულებელი მხარისთვის ცნობილი გარემოებები არ ეწინააღმდეგება აღნიშნული უფლებამოსილების არსებობის დაშვებას.

§ 371. სავალო დოკუმენტის დაბრუნება
თუ მოთხოვნის დასტურად გაცემულია სავალო დოკუმენტი, მაშინ მოვალეს, ქვითართან ერთად, შეუძლია მოითხოვოს ამ დოკუმენტის დაბრუნებაც; თუ კრედიტორი ადასტურებს, რომ მას არ შეუძლია მისი დაბრუნება, მაშინ მოვალეს შეუძლია

მოითხოვოს ოფიციალურად დამოწმებული აღიარება იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია.

კარი 2. დეპონირება

§ 372. წინაპირობები
მაშინ, როდესაც კრედიტორი აცილებს შესრულების მიღების ვადას, მოვალეს შეუძლია, ფული, ფასიანი ქაღალდები და სხვა დოკუმენტები, ასევე ძვირფასეულობა, კრედიტორისათვის შესანახად შეიტანოს საამისოდ განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებაში. ანალოგიური წესი მოქმედებს მაშინ, როდესაც მოვალეს არ შეუძლია თავისი ვალდებულების შესრულება ან ვალდებულების საიმედოდ შესრულება კრედიტორის პიროვნებასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ან კრედიტორის ვინაობის არცოდნის გამო და ეს არცოდნა არ არის გამოწვეული მისი გაუფრთხილებლობით.

§ 373. ერთდროულად განსახორციელებელი შესრულებები
თუ მოვალე ვალდებულია, შეასრულოს ვალდებულება მხოლოდ კრედიტორის მხრიდან შესრულების სანაცვლოდ, მაშინ მას შეუძლია, დეპონირებული ნივთის მიღებაზე კრედიტორის უფლება დამოკიდებული გახადოს საპასუხო დაკმაყოფილების განხორციელებაზე.

§ 374. დეპონირების ადგილი; შეტყობინების ვალდებულება
(1) დეპონირება უნდა მოხდეს შემნახველ დაწესებულებაში შესრულების ადგილის მიხედვით; თუ მოვალე დეპონირებას აკეთებს სხვა ადგილას, მაშინ მან უნდა აუნაზღაუროს კრედიტორს ამით გამოწვეული ზიანი.
(2) მოვალემ დეპონირების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს კრედიტორს; ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი. შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ იგი მიზანშეუწონელია.

§ 375. უკუქმედების ძალა ფოსტით გაგზავნისას
თუ დეპონირებული ნივთი შემნახველ დაწესებულებას გაეგზავნა ფოსტით, მაშინ ნივთი დეპონირებულად ითვლება მისი ფოსტისთვის ჩაბარების მომენტიდან.

§ 376. ნივთის უკან გამოთხოვის უფლება
(1) მოვალეს აქვს დეპონირებული ნივთის უკან გამოთხოვის უფლება.
(2) ნივთის უკან გამოხმობა გამორიცხულია:
1. თუ მოვალე შემნახველ დაწესებულებას უცხადებს, რომ იგი უარს ამბობს ნივთის უკან გამოთხოვის უფლებაზე;
2. თუ კრედიტორი შემნახველ დაწესებულებას უცხადებს ნივთის მიღების შესახებ;
3. შემნახველ დაწესებულებას წარედგინება კრედიტორსა და მოვალეს შორის წარმოებულ დავაზე მიღებული კანონიერი ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც დეპონირებას აღიარებს კანონიერად.

§ 377. ნივთის უკან გამოხმობის უფლების დაყადაღების დაუშვებლობა
(1) მოვალის მიერ ნივთის უკან გამოთხოვის უფლება არ ექვემდებარება დაყადაღებას.

(2) იმ შემთხვევაში, თუ მოვალის ქონებაზე გაიხსნა გაკოტრების საქმისწარმოება, გაკოტრების საქმისწარმოების განმავლობაში მოვალეც ვერ განახორციელებს ნივთის უკან გამოთხოვის უფლებას.

§ 378. დეპონირების სამართლებრივი შედეგი ნივთის უკან გამოთხოვის უფლების გამორიცხვის შემთხვევაში

თუ დეპონირებული ნივთის უკან გამოთხოვა გამორიცხულია, მაშინ მოვალე დეპონირების შედეგად თავისი ვალდებულებისაგან თავისუფლდება ისეთი სახით, როგორც გათავისუფლდებოდა კრედიტორის მიმართ ვალდებულების დეპონირების მომენტში შესრულების შემთხვევაში.

§ 379. დეპონირების სამართლებრივი შედეგი, როდესაც ნივთის უკან გამოთხოვის უფლება არ არის გამორიცხული

(1) თუ დეპონირებული ნივთის უკან გამოხმობა გამორიცხული არ არის, მაშინ მოვალეს შეუძლია მიუთითოს კრედიტორს დეპონირებულ ნივთზე.

(2) მანამ, სანამ ნივთი დეპონირებულია, რისკი ეკისრება კრედიტორს და მოვალე არ არის ვალდებული, გადაიხადოს პროცენტები ან საზღაური მიუღებელი შემოსავლისათვის.

(3) თუ მოვალე იბრუნებს დეპონირებულ ნივთს, მაშინ დეპონირება არ ითვლება განხორციელებულად.

§ 380. მიღებაზე უფლებამოსილების დადასტურება

იმდენად, რამდენადაც, შემნახველ დაწესებულებაში მოქმედი წესების თანახმად, კრედიტორის მიერ მიღებაზე უფლებამოსილების დადასტურებისათვის აუცილებელია ან საკმარისი მოვალის მიერ ამ უფლებამოსილების მაღიარებელი განცხადება, კრედიტორს შეუძლია, მოსთხოვოს მოვალეს განცხადების გაკეთება იმავე პირობებით, რომელთა არსებობის შემთხვევაში იგი უფლებამოსილი იქნებოდა ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე, დეპონირება რომ არ განხორციელებულიყო.

§ 381. დეპონირების ხარჯები

დეპონირების ხარჯები ეკისრება კრედიტორს, თუ მოვალე დეპონირებულ ნივთს არ იბრუნებს.

§ 382. კრედიტორის უფლების გაუქმება

კრედიტორის უფლება დეპონირებულ თანხაზე უქმდება დეპონირების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 წლის გასვლის შემდეგ, თუ კრედიტორი შემნახველ დაწესებულებას უფრო ადრე არ წარუდგენს შეტყობინებას; მოვალე უფლებამოსილია ნივთის უკან გამოთხოვაზე იმ შემთხვევაშიც, თუ მან ნივთის უკან გამოთხოვის უფლებაზე უარი თქვა.

§ 383. დეპონირებაუუნარო ნივთების აუქციონზე გაყიდვა

(1) თუ გადასაცემი მოძრავი ნივთი უვარგისია დეპონირებისათვის, მაშინ მოვალეს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას შეუძლია, გაყიდოს იგი აუქციონზე ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით და ამონაგები თანხა შეიტანოს დეპოზიტზე. ანალოგიური წესი მოქმედებს § 372-ის მე-2 ნაწილში მითითებულ შემთხ-

ვევებში, თუ არსებობს ნივთის გაფუჭების საფრთხე ან შენახვა დაკავშირებულია შეუსაბამო ხარჯებთან.
(2) თუ ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით, აუქციონზე გაყიდვისაგან სათანადო შედეგი არ არის მოსალოდნელი, ნივთი უნდა გაიყიდოს აუქციონზე სხვა უფრო მისაღებ ადგილას.
(3) აუქციონი უნდა ჩატარდეს საჯაროდ, აუქციონის ადგილმდებარეობის მიხედვით დანიშნული სასამართლო აღმასრულებლის ან სხვა აუქციონის ჩატარებაზე უფლებამოსილი მოხელის, ანდა საჯაროდ დანიშნული აუქციონის ჩამტარებლის მიერ (საჯარო აუქციონი). აუქციონის დრო და ადგილი ნივთის ზოგად აღწერილობასთან ერთად საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს.
(4) ამ ნორმის პირველი-მე-3 ნაწილები არ მოქმედებს რეგისტრირებული ან მშენებარე საზღვაო ხომალდების მიმართ.

§ 384. გაფრთხილება აუქციონზე გაყიდვის თაობაზე
(1) აუქციონი დასაშვებია მხოლოდ ამის თაობაზე კრედიტორის გაფრთხილების შემდეგ; შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ ნივთს ემუქრება განადგურების საფრთხე და აუქციონის გადადება დაკავშირებულია საფრთხესთან.
(2) მოვალემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს კრედიტორს აუქციონის შესახებ; ამ მოქმედების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი ვალდებულია ზიანის ანაზღაურებაზე.
(3) გაფრთხილება და შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ ისინი მიზანშეუწონელია.

§ 385. გაყიდვა საკუთარი შეხედულებით
თუ ნივთს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მაშინ მოვალეს შეუძლია გაყიდოს ნივთი საკუთარი შეხედულებით, მიმდინარე ფასად, ასეთ ნასყიდობებზე ოფიციალურად უფლებამოსილი სავაჭრო მაკლერის ან საჯარო აუქციონის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

§ 386. აუქციონის ხარჯები
აუქციონის ან § 385-ის მიხედვით განხორციელებული გაყიდვის ხარჯები ეკისრება კრედიტორს, თუ მოვალე არ იბრუნებს დეპონირებულ ამონაგებ თანხას.

კარი 3. გაქვითვა

§ 387. წინაპირობები
თუ ორ პირს ერთმანეთის მიმართ ეკისრება ერთგვაროვანი საგნის მქონე ვალდებულებების შესრულება, მაშინ ყოველ მხარეს შეუძლია გაქვითოს თავისი მოთხოვნა მეორე მხარის მოთხოვნის სანაცვლოდ, როგორც კი მას შეეძლება მის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების განხორციელება.

§ 388. გაქვითვის განცხადება
გაქვითვა ხორციელდება მეორე მხარისადმი შეტყობინებით. შეტყობინება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ იგი წარედგინება პირობით ან ვადის დადგენით.

§ 389. გაქვითვის სამართლებრივი შედეგი
იმ ფარგლებში, რომლებშიც მოთხოვნები ერთმანეთს ფარავს, გაქვითვა შედეგად იწვევს მათ შეწყვეტას მაშინ, როდესაც ხდება მათი ერთმანეთის მიმართ გაქვითვის მიზნით დაპირისპირება.

§ 390. გაქვითვის დაუშვებლობა იმ მოთხოვნის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც წარდგენილია შესაგებელი
დაუშვებელია იმ მოთხოვნის გაქვითვა, რომლის მიმართაც წარდგენილია შესაგებელი.

§ 391. გაქვითვა ვალდებულების შესრულების სხვადასხვა ადგილის შემთხვევაში
(1) გაქვითვა არ გამოირიცხება იმით, რომ მოთხოვნებისათვის არსებობს შესრულებისა და მიწოდების სხვადასხვა ადგილი. თუმცა, გაქვითვის განმახორციელებელმა მხარემ უნდა აანაზღაუროს მეორე მხარის მიერ იმ გარემოების შედეგად განცდილი ზიანი, რომლითაც ეს უკანასკნელი გაქვითვის შედეგად განსაზღვრულ ადგილზე არ იღებს შესრულებას, ან ვერ ახორციელებს მას.
(2) თუ არსებობს შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ვალდებულება უნდა შესრულდეს
განსაზღვრულ დროსა და ადგილზე, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ გამორიცხულია იმ მოთხოვნის გაქვითვა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია შესრულების სხვა ადგილი.

§ 392. ყადაღადადებული მოთხოვნის გაქვითვა
მოთხოვნაზე ყადაღის დადებისას კრედიტორის მიმართ მოვალის კუთვნილი მოთხოვნის გაქვითვა გამორიცხულია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მოვალემ თავისი მოთხოვნა შეიძინა ყადაღის დადების შემდეგ, ან, როდესაც მისი მოთხოვნის შესრულების ვადა დადგა მხოლოდ ყადაღის დადების შემდეგ და უფრო გვიან, ვიდრე ყადაღადადებული მოთხოვნა.

§ 393. ზიანის მიყენებიდან გამომდინარე მოთხოვნის გაქვითვის დაუშვებლობა
განზრახ ჩადენილი დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის გაქვითვა დაუშვებელია.

§ 394. იმ მოთხოვნის გაქვითვის დაუშვებლობა, რომელიც არ ექვემდებარება დაყადაღებას
იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა არ ექვემდებარება დაყადაღებას, დაუშვებელია მისი გაქვითვა. თუმცა, ჯანმრთელობის, სოციალური დახმარების ან გარდაცვალების შემთხვევისათვის არსებული ფონდებიდან, განსაკუთრებით კი, სამთო მუშაკებისა და სამთო მუშაკების კავშირების ფონდებიდან განსახორციელებელი გადახდების ანგარიშში შეიძლება გაიქვითოს ამ ფონდებისთვის განკუთვნილი გადახდები.

§ 395. საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოთხოვნების გაქვითვა
ფედერაციის ან ფედერალური მიწის, მუნიციპალიტეტის ან მუნიციპალიტეტების გაერთიანების მოთხოვნის გაქვითვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულება უნდა განხორციელდეს იმ სალაროს მიმართ, რომლიდანაც გაქვითვის განმახორციელებელი მხარის მოთხოვნა უნდა დაიფაროს.

§ 396. რამდენიმე მოთხოვნა
(1) თუ ერთ ან მეორე მხარეს აქვს რამდენიმე გაქვითვისათვის ვარგისი მოთხოვნა, მაშინ გაქვითვის განმახორციელებელ მხარეს შეუძლია განსაზღვროს ის მოთხოვნები, რომლებიც უნდა იქნეს ერთმანეთის მიმართ გაქვითული. თუ გაქვითვის შესახებ განცხადება გაკეთებულ იქნა ამ განსაზღვრის გარეშე, ან თუ მეორე მხარე დაუყოვნებლივ წარადგენს თავის პროტესტს, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 366-ის მე-2 ნაწილის რეგულირება.
(2) თუ გაქვითვის განმახორციელებელ მხარეს, ძირითად ვალდებულებასთან ერთად, ეკისრება პროცენტებისა და ხარჯების გადახდა, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 367-ის რეგულირება.

კარი 4. ვალის პატიება

§ 397. ხელშეკრულება ვალის პატიების შესახებ; ვალის არარსებობის აღიარება
(1) ვალდებულება წყდება, როდესაც ხელშეკრულებით კრედიტორი მოვალეს პატიობს ვალს.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც კრედიტორი მოვალესთან დადებული ხელშეკრულებით აღიარებს, რომ ვალდებულება არ არსებობს.

ნაწილი 5. მოთხოვნის დათმობა

§ 398. მოთხოვნის დათმობა
მოთხოვნა შეიძლება გადაცემულ იქნეს კრედიტორის მიერ სხვა პირისათვის ამ უკანასკნელთან დადებული ხელშეკრულებით (მოთხოვნის დათმობა). ხელშეკრულების დადების მომენტიდან ახალი კრედიტორი იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს.

§ 399. მოთხოვნის დათმობის დაუშვებლობა შინაარსის შეცვლის ან შეთანხმების შემთხვევაში
მოთხოვნის დათმობა არ დაიშვება, თუ თავდაპირველი კრედიტორის ნაცვლად სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულება ვალდებულების შინაარსის შეუცვლელად ვერ ხორციელდება, ან, თუ მოვალესთან შეთანხმებით მოთხოვნის დათმობა გამორიცხულია.

§ 400. დაუყადაღებელი მოთხოვნის დათმობის გამორიცხვა
მოთხოვნა არ შეიძლება დათმობილ იქნეს, თუ იგი არ ექვემდებარება დაყადაღებას.

§401. აქცესორული და უპირატესი უფლებების გადასვლა
(1) დათმობილ მოთხოვნასთან ერთად ახალ კრედიტორზე გადადის მის უზრუნველსაყოფად არსებული იპოთეკები, საზღვაო ხომალდის იპოთეკები ან გირავნობის უფლებები, ასევე, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადგენილი თავდებობიდან გამომდინარე უფლებები.

(2) იძულებითი აღსრულების ან გაკოტრების საქმისწარმოების შემთხვევაში, დათმობილ მოთხოვნასთან დაკავშირებული უპირატესი უფლების რეალიზაცია შეუძლია, ასევე, ახალ კრედიტორს.

§ 402. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება; დოკუმენტების გადაცემა
თავდაპირველი კრედიტორი ვალდებულია, მიაწოდოს ახალ კრედიტორს მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის აუცილებელი ინფორმაცია და გადასცეს მოთხოვნის დასადასტურებლად საჭირო დოკუმენტები, თუ ისინი მის მფლობელობაშია.

§ 403. დამოწმების ვალდებულება
ახალი კრედიტორის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, თავდაპირველმა კრედიტორმა მას უნდა გადასცეს ოფიციალურად დამოწმებული დოკუმენტი მოთხოვნის დათმობის შესახებ. ახალ კრედიტორს ეკისრება ხარჯები, რომლებიც მან უნდა გადაიხადოს წინასწარ.

§ 404. მოვალის შესაგებელი
მოვალეს შეუძლია, ახალ კრედიტორს დაუპირისპიროს ის შესაგებელი, რომლის წარდგენაზეც იგი უფლებამოსილი იყო თავდაპირველი კრედიტორის მიმართ მოთხოვნის დათმობის მომენტისათვის.

§ 405. მოთხოვნის დათმობა დოკუმენტის წარდგენით
თუ მოვალემ გასცა სავალო დოკუმენტი და მოთხოვნა დათმობილ იქნა დოკუმენტის გადაცემით, მოვალეს არ შეუძლია, ახალი კრედიტორის მიმართ მიუთითოს იმ ფაქტზე, რომ ვალდებულება დადგენილი ან აღიარებული იყო მხოლოდ მოსაჩვენებლად, ანდა იმაზე, რომ დათმობა გამორიცხული იყო თავდაპირველ კრედიტორთან შეთანხმებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ახალმა კრედიტორმა მოთხოვნის დათმობის მომენტისათვის იცოდა, ან მას უნდა სცოდნოდა საქმის ვითარების შესახებ.

§ 406. გაქვითვა ახალი კრედიტორის მიმართ
მოვალეს შეუძლია, თავისი მოთხოვნა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ გაქვითოს, ასევე, ახალი კრედიტორის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან მოთხოვნის შეძენის მომენტში იცოდა მოთხოვნის დათმობის შესახებ, ან, როდესაც მოთხოვნის შესრულების ვადა დადგა მხოლოდ მოვალის მიერ აღნიშნული ფაქტის შესახებ შეტყობისა და დათმობილი მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომის შემდეგ.

§ 407. სამართლებრივი მოქმედებები თავდაპირველი კრედიტორის მიმართ
(1) ახალმა კრედიტორმა უნდა დაუშვას მოვალის მიერ მოთხოვნის დათმობის შემდეგ თავდაპირველი კრედიტორის სასარგებლოდ განხორციელებული შესრულება, ისევე, როგორც ნებისმიერი გარიგება, რომელიც დადებულია მოთხოვნის დათმობის შემდეგ მოვალესა და თავდაპირველ კრედიტორს შორის მოთხოვნასთან დაკავშირებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალემ იცოდა მოთხოვნის დათმობის შესახებ ვალდებულების შესრულების ან გარიგების დადების დროს.

(2) თუ მოთხოვნის დათმობის შემდეგ მოვალესა და თავდაპირველ კრედიტორს შორის მიმდინარე დავაში მოთხოვნის თაობაზე მიღებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, მაშინ ახალი კრედიტორი ვალდებულია, დაუშვას გადაწყვეტილების მის მიმართ მოქმედება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოვალემ იცოდა მოთხოვნის დათმობის შესახებ სასამართლო დავის დაწყებისას.

§ 408. მოთხოვნის მრავალჯერადი დათმობა

(1) თუ დათმობილი მოთხოვნა თავდაპირველი კრედიტორის მიერ კიდევ ერთხელ იქნება დათმობილი მესამე პირის მიმართ, ხოლო მოვალე შეასრულებს ვალდებულებას ამ მესამე პირის მიმართ, ან მასა და მესამე პირს შორის დაიდება გარიგება, ანდა, თუ მათ შირის წარიმართება სასამართლო დავა, მაშინ მოთხოვნის თავდაპირველ შემძენთან მიმართებით მოვალის სასარგებლოდ, შესაბამისად, გამოიყენება § 407-ის რეგულირება.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ უკვე დათმობილი მოთხოვნა, სასამართლოს გადაწყვეტილების ძალით, მესამე პირზე გადადის, ან, როდესაც თავდაპირველი კრედიტორი მესამე პირის მიმართ აღიარებს, რომ უკვე დათმობილი მოთხოვნა კანონის ძალით გადავიდა მესამე პირზე.

§ 409. მოთხოვნის დათმობის შესახებ შეტყობინება

(1) თუ კრედიტორი ატყობინებს მოვალეს, რომ მან დათმო თავისი მოთხოვნა, მაშინ მან უნდა დაუშვას მოვალის მიმართ შეტყობინებული მოთხოვნის დათმობის საკუთარი თავის მიმართ მოქმედება იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არ განხორციელდა, ან სამართლებრივი ძალის არმქონეა. შეტყობინებას უთანაბრდება, თუ კრედიტორმა მოთხოვნის დათმობის დოკუმენტი გასცა მასში მითითებულ ახალ კრედიტორზე და ეს უკანასკნელი წარუდგენს მას მოვალეს.

(2) შეტყობინება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს იმ პირის თანხმობით, რომელიც მითითებული იყო როგორც ახალი კრედიტორი.

§ 410. მოთხოვნის დათმობის დოკუმენტის გადაცემა

(1) მოვალე ვალდებულია, ახალი კრედიტორის მიმართ შეასრულოს ვალდებულება მხოლოდ თავდაპირველი კრედიტორის მიერ გაცემული მოთხოვნის დათმობის დოკუმენტის მისთვის გადაცემის სანაცვლოდ. ახალი კრედიტორის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტა ან გაფრთხილება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ისინი ხორციელდება აღნიშნული დოკუმენტის წარდგენის გარეშე, მოვალე კი ამ საფუძვლით მასზე დაუყოვნებლივ აცხადებს უარს.

2) ზემოაღნიშნული ნორმები არ გამოიყენება, თუ თავდაპირველმა კრედიტორმა მოთხოვნის დათმობის შესახებ მოვალეს წერილობით შეატყობინა.

§ 411. სახელფასო მოთხოვნის დათმობა

თუ სამხედრო მოსამსახურე, სახელმწიფო მოხელე, სასულიერო პირი ან საჯარო სასწავლო დაწესებულებების მასწავლებელი თმობს თავისი ხელფასის, განაცდურის ან პენსიის გადასაცემი თანხის ნაწილს, მაშინ თანხების გამცემ სალაროს უნდა შეატყობინონ მოთხოვნის დათმობის შესახებ თავდაპირველი კრედიტორის მიერ გაცემული ოფიციალურად ან შესაბამისი უწყების მიერ დამოწმებული მოთხოვნის დათმობის დოკუმენტის წარდგენით. შეტყობინების მიღებამდე ითვლება, რომ მოთხოვნის დათმობა სალაროსათვის უცნობია.

§ 412. მოთხოვნის კანონისმიერი გადაცემა
კანონის ძალით მოთხოვნის გადაცემის მიმართ შესაბამისად გამოიყენება §§ 399-404-სა და 406-410-ის რეგულირებები.

§ 413. სხვა უფლებების გადაცემა
მოთხოვნების გადაცემის შესახებ ნორმები შესაბამისად გამოიყენება სხვა უფლებების გადაცემის მიმართ, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ნაწილი 6. ვალის გადაკისრება

§ 414. ხელშეკრულება კრედიტორსა და ვალის მკისრებელს შორის
მესამე პირს, კრედიტორთან დადებული ხელშეკრულებით, შეუძლია, იმგვარად იკისროს ვალდებულება, რომ მან დაიკავოს თავდაპირველი მოვალის ადგილი.

§ 415. ხელშეკრულება მოვალესა და ვალის მკისრებელს შორის
(1) თუ მესამე პირი მოვალესთან თანხმდება ვალის კისრების შესახებ, მაშინ ვალის გადაკისრების სამართლებრივი ძალა დამოკიდებულია კრედიტორის მოწონებაზე. მოწონება შედგება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალე ან მესამე პირი შეატყობინებს კრედიტორს ვალის გადაკისრების შესახებ. მოწონებამდე მხარეებს შეუძლიათ, შეცვალონ ხელშეკრულება, ან გააუქმონ იგი.
(2) თუ კრედიტორი უარს იტყვის მოწონებაზე, მაშინ ვალის გადაკისრება ჩაითვლება არშემდგარად. თუ მოვალე ან მესამე პირი მოსთხოვს კრედიტორს, რომ მან განაცხადოს თავისი მოწონება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ მოწონება შეიძლება გაცხადებულ იქნეს მხოლოდ ამ ვადის გასვლამდე; თუ იგი არ იქნა გაცხადებული, მაშინ მიიჩნევა, რომ მასზე უარი ითქვა.
(3) მანამ, სანამ კრედიტორი არ განაცხადებს მოწონებას, მიიჩნევა, რომ ვალის მკისრებელი არის ვალდებული მოვალის წინაშე, დროულად დააკმაყოფილოს კრედიტორი. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ კრედიტორი უარს აცხადებს მოწონებაზე.

§ 416. იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალის კისრება
(1) თუ მიწის ნაკვეთის შემძენი გამსხვისებელთან დადებული ხელშეკრულებით თავის თავზე იღებს ამ უკანასკნელის ვალს, რომლის უზრუნველსაყოფადაც ამ მიწის ნაკვეთზე დადგენილია იპოთეკა, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოიწონოს ვალის გადაკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამსხვისებელი მას ატყობინებს ამის შესახებ. თუ შეტყობინების მიღებიდან გასულია ექვსი თვე და თუ კრედიტორმა გამსხვისებლის წინაშე მასზე უარი უფრო ადრე არ განაცხადა, თანხმობა მიცემულად ჩაითვლება; § 415-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება არ გამოიყენება.
(2) გამსხვისებლის შეტყობინება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც შემძენი საჯარო რეესტრში რეგისტრირდება როგორც მესაკუთრე. შეტყობინება უნდა გაკეთდეს წერილობით და უნდა შეიცავდეს მითითებას, რომ ვალის მიმღები იკავებს ძველი მოვალის ადგილს, თუ კრედიტორი თავის უარს არ განაცხადებს ექვსი თვის განმავლობაში.
(3) გამსხვისებელი ვალდებულია, შემძენის მოთხოვნით შეატყობინოს კრედიტორს

ვალის გადაკისრების შესახებ. როგორც კი მოწონება ან მასზე უარი ცხადი ხდება, გამსხვისებელმა ამის შესახებ უნდა შეატყობინოს შემძენს.

§ 417. ვალის მკისრებლის შესაგებელი
(1) ვალის მიმღებს შეუძლია, კრედიტორს წაუყენოს შესაგებელი, რომელიც გამომდინარეობს კრედიტორსა და თავდაპირველ მოვალეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან. მას არ შეუძლია, გაქვითოს თავდაპირველი მოვალის კუთვნილი მოთხოვნა.
(2) ვალის მიმღებს არ შეუძლია, კრედიტორის მიმართ წამოაყენოს შესაგებელი მასა და თავდაპირველ მოვალეს შორის არსებული ისეთი სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომელიც საფუძვლად უდევს ვალის გადაკისრებას.

§ 418. უზრუნველყოფისა და უპირატესი უფლებების გაუქმება
(1) ვალის გადაკისრების შედეგად წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დადგენილი თავდებობა და გირავნობა. თუ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად არსებობს იპოთეკა ან საზღვაო ხომალდის იპოთეკა, მაშინ მოქმედებს წესი, თითქოს კრედიტორმა უარი თქვა იპოთეკაზე ან საზღვაო ხომალდის იპოთეკაზე. ეს ნორმები არ გამოიყენება, თუ თავდები ან ის, ვისაც ვალის გადაკისრების მომენტისათვის ეკუთვნის დატვირთული ნივთი, ეთანხმება ვალის გადაკისრებას.
(2) გაკოტრების საქმისწარმოების შემთხვევისათვის მოთხოვნასთან დაკავშირებული უპირატესი უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვალის მკისრებლის ქონებაზე გაკოტრების საქმისწარმოებაში.

§ 419. *(ამოღებულია)*

ნაწილი 7. კრედიტორთა და მოვალეთა სიმრავლე

§ 420. დაყოფადი შესრულება
თუ რამდენიმე პირს ეკისრება დაყოფადი შესრულება, ან, თუ რამდენიმე პირს შეუძლია დაყოფადი შესრულების მოთხოვნა, მაშინ დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ყოველი მოვალე ვალდებულია მხოლოდ თანაბარ წილზე, ხოლო ყოველი კრედიტორი უფლებამოსილია მხოლოდ თანაბარ წილზე.

§ 421. სოლიდარული მოვალეები
თუ რამდენიმე პირს ეკისრება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიან შესრულებაში, კრედიტორი კი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესრულება მხოლოდ ერთჯერადად (სოლიდარული მოვალეები), მაშინ კრედიტორს შეუძლია, თავისი სურვილით ნებისმიერი მოვალისაგან მოითხოვოს მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულება. მთლიანი შესრულების განხორციელებამდე ყველა მოვალე რჩება ვალდებული.

§ 422. ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგები
(1) ერთ-ერთი მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება მოქმედებს ასევე დანარჩენი მოვალეების მიმართაც. ანალოგიური წესი მოქმედებს ნაკისრი

ვალდებულების ნაცვლად სხვა შესრულების მიღების, დეპონირებისა და გაქვითვის მიმართ.
(2) მოთხოვნა, რომელიც ეკუთვნის ერთ-ერთ სოლიდარულ მოვალეს, არ შეიძლება გაიქვითოს დანარჩენი მოვალეების მიერ.

§ 423. ვალის პატიების სამართლებრივი შედეგები
კრედიტორსა და სოლიდარულ მოვალეს შორის შეთანხმებული ვალის პატიება მოქმედებს ასევე დანარჩენი მოვალეების მიმართაც, თუ ხელშეკრულების მხარეებს სურდათ მთლიანი ვალდებულების შეწყვეტა.

§ 424. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგები
კრედიტორის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიმართ ვადის გადაცილება მოქმედებს ასევე დანარჩენი მოვალეების მიმართაც.

§ 425. სხვა ფაქტორების მოქმედება
(1) თუ ვალდებულებითი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, ის ფაქტორები, რომლებიც §§ 422-424-ში არ არის მითითებული, მოქმედებს მხოლოდ იმ სოლიდარული მოვალის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რომელთანაც არიან ისინი დაკავშირებულნი.
(2) ზემოაღნიშნული წესები მოქმედებს, განსაკუთრებით, ხელშეკრულების შეწყვეტის, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების, ბრალის, სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის, ხანდაზმულობის, ხანდაზმულობის ვადის ხელახალი დენის, დენის შეჩერებისა და შეწყვეტის, მოთხოვნისა და ვალის ერთი პირის ხელში აღმოჩენისა და კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილების მიმართ.

§ 426. წილთა გათანაბრების ვალდებულება, მოთხოვნის გადასვლა
(1) თუ სხვა რაიმე არ არის განსაზღვრული, სოლიდარული მოვალეები ერთმანეთის მიმართ ვალდებულნი არიან თანაბარწილად. თუ ერთ-ერთი მოვალისაგან მისი წილი თანხის მიღება შეუძლებელია, მაშინ გადაუხდელი ნაწილის შევსების ვალდებულება ეკისრებათ დანარჩენ მოვალეებს წილების გათანაბრების გზით.
(2) მას შემდეგ, რაც სოლიდარული მოვალე აკმაყოფილებს კრედიტორს და შეუძლია დანარჩენი მოვალეებისაგან წილების გათანაბრების მოთხოვნა, კრედიტორის მოთხოვნა დანარჩენი მოვალეების მიმართ გადადის მასზე. მოთხოვნის სოლიდარულ მოვალეზე გადასვლა არ შეიძლება განხორციელდეს კრედიტორის ინტერესების საზიანოდ.

§ 427. ერთობლივი სახელშეკრულებო ვალდებულება
თუ რამდენიმე პირი ხელშეკრულებით ერთობლივად კისრულობს დაყოფად ვალდებულებას, მაშინ, დავის შემთხვევაში, ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 428. სოლიდარული კრედიტორები
თუ რამდენიმე პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ისე, რომ ყოველ მათგანს შეეძლოს მთლიანი შესრულების მოთხოვნა, ხოლო მოვალე ვალდებულია, მხოლოდ ერთჯერადად შეასრულოს (სოლიდარული კრედიტორები),

მაშინ მოვალეს შეუძლია ვალდებულების თავისი სურვილით ნებისმიერი კრედიტორის მიმართ შესრულება. ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთ-ერთმა კრედიტორმა უკვე წარადგინა სარჩელი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

§ 429. ცვლილებების სამართლებრივი შედეგები
(1) სოლიდარული კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება მოქმედებს, ასევე, დანარჩენი კრედიტორების მიმართაც.
(2) თუ მოთხოვნა და ვალი ერთი სოლიდარული კრედიტორის ხელში აღმოჩნდება, დანარჩენი კრედიტორების უფლებები მოვალის მიმართ უქმდება.
(3) გარდა აღნიშნულისა, შესაბამისად გამოიყენება §§ 422-ის, 423-ისა და 425-ის რეგულირებები. კერძოდ, ხელშეუხებელი რჩება დანარჩენი კრედიტორების უფლებები, თუ სოლიდარული კრედიტორი თავის მოთხოვნას გადასცემს სხვა პირს.

§ 430. სოლიდარული კრედიტორების მიერ წილთა გათანაბრების ვალდებულება
თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, სოლიდარულ კრედიტორებს ერთმანეთთან ურთიერთობაში აქვთ თანაბარი წილების მიღების უფლება.

§ 431. რამდენიმე მოვალე დაუყოფადი ვალდებულების შემთხვევაში
თუ რამდენიმე პირი კისრულობს დაუყოფად ვალდებულებას, მაშინ ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 432. რამდენიმე კრედიტორი დაუყოფადი ვალდებულების შემთხვევაში
(1) თუ რამდენიმე პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს დაუყოფადი ვალდებულება, მაშინ მოვალეს, იმ შემთხვევაში, თუკი ეს პირები არ არიან სოლიდარული კრედიტორები, შეუძლია შეასრულოს ვალდებულება მხოლოდ ყველა პირის მიმართ ერთობლივად, ხოლო ყოველ კრედიტორს შეუძლია ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ყველას მიმართ. ყოველ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს, რომ მოვალემ ვალდებულების საგანი ყველა კრედიტორის სასარგებლოდ შეიტანოს დეპოზიტზე, ან, თუ ნივთი არ არის დეპონირებაუნარიანი, ჩააბაროს იგი სასამართლოს მიერ დანიშნულ შემნახველს.
(2) გარდა აღნიშნულისა, ერთ-ერთი კრედიტორის პიროვნებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოება არ მოქმედებს დანარჩენი კრედიტორების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

ნაწილი 8. ცალკეული ვალდებულებები

კარი 1. ნასყიდობა, გაცვლა

ქვეკარი 1. ზოგადი დებულებები

§ 433. ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ტიპიური ვალდებულებები
(1) ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ვალდებულია, მიაწოდოს მყიდველს ნივთი და გადასცეს მას საკუთრების უფლება. გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.

(2) მყიდველი ვალდებულია, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ნივთი.

§ 434. ნივთობრივი ნაკლი

(1) ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი რისკის გადასვლის მომენტისათვის შეთანხმებული თვისებების მქონეა. თუ თვისებები არ არის შეთანხმებული, მაშინ ნივთი ნივთობრივად უნაკლოდ ჩაითვლება,

1. თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის, ან,
2. თუ იგი ვარგისია ჩვეულებრივი სარგებლობისათვის და ხასიათდება თვისებებით, რომლებიც ჩვეულებრივია ანალოგიური ნივთებისთვის და მოსალოდნელია მყიდველისათვის ნივთის სახეობის გათვალისწინებით.

მე-2 წინადადების № 2-ის მიხედვით, თვისებები მოიცავს, ასევე, ისეთ მახასიათებლებს, რომელსაც მყიდველი შეიძლება ელოდოს გამყიდველის, მწარმოებლის („უხარისხო პროდუქციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ კანონის § 4-ის პირველი და მე-2 ნაწილები) ან მისი დამხმარის მიერ ნივთის ცალკეული თვისებების თაობაზე საჯაროდ გამოთქმული შეხედულებებიდან გამომდინარე, მათ შორის, განსაკუთრებით, ნივთის რეკლამაში ან ნივთის დამახასიათებელი ნიშნების აღწერისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამყიდველმა არ იცოდა და აგრეთვე არც შეეძლო სცოდნოდა გამოთქმული შეხედულებების შესახებ, ან ხელშეკრულების დადების მომენტში გამოთქმული შეხედულება იმავე სახით შეცვლილ იქნა, ანდა მას არ შეეძლო ყიდვის გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების მოხდენა.

(2) ნივთობრივი ნაკლი სახეზეა მაშინაც, როდესაც გამყიდველის ან ამ უკანასკნელის დამხმარის მიერ შეთანხმებული მონტაჟი არაჯეროვნად ჩატარდა. ასევე, მონტაჟისათვის გათვალისწინებულ ნივთთან დაკავშირებით ნივთობრივი ნაკლი სახეზეა მაშინაც, თუ სამონტაჟო ინსტრუქცია ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთი დამონტაჟებულ იქნა უშეცდომოდ.

(3) ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება შემთხვევა, თუ გამყიდველი გადასცემს სხვა ნივთს ან ნივთს მცირე რაოდენობით.

§ 435. უფლებრივი ნაკლი

ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია მყიდველის მიმართ ნივთთან დაკავშირებით თავისი უფლების გამო პრეტენზიის განცხადება, ან შეუძლია ასეთი განცხადება მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებების გამო. უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება შემთხვევა, თუ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება.

§ 436. მიწის ნაკვეთზე არსებული საჯარო ვალდებულებები

(1) თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მიწის ნაკვეთის გამყიდველს ეკისრება კომუნიკაციების მიყვანისა და მსგავსი ღონისძიებების შედეგად წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურება, რომელთა განხორციელება დაიწყო ხელშეკრულების დადებამდე, მიუხედავად გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტისა.

(2) მიწის ნაკვეთის გამყიდველი პასუხს არ აგებს მიწის ნაკვეთის სხვა საჯარო გადასახდელებისა და ვალდებულებებისათვის, რომლებიც არ რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

§ 437. მყიდველის უფლებები ნაკლის არსებობისას

თუ ნივთი ნაკლის მქონეა, სახეზეა ქვემოთ მოცემულ ნორმათა წინაპირობები და სხვა რაიმე არ არის დადგენილი, მყიდველს შეუძლია, მოითხოვოს:

1. დამატებითი შესრულება, § 439-ის მიხედვით;
2. ხელშეკრულებიდან გასვლა, §§ 440-ის, 323-ის და 326-ის მე-5 ნაწილის მიხედვით, ან ნასყიდობის ფასის შემცირება, § 441-ის მიხედვით; და
3. ზიანის ანაზღაურება, §§ 440-ის, 280-ის, 281-ის, 283-ისა და 331ა-ს მიხედვით, ანდა უშედეგოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, § 284-ის თანახმად.

§ 438. ნაკლის გამო მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა

(1) § 437-ის № 1-სა და №3-ში მითითებული მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია –

1. 30 წელიწადში, თუ ნაკლი არსებობს:
   ა) მესამე პირის სანივთო უფლებაში, რომლის საფუძველზეც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს გაყიდული ნივთის დაბრუნება, ან
   ბ) სხვა უფლებაში, რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში;
2. ხუთ წელიწადში:
   ა) შენობა-ნაგებობსა და
   ბ) იმ ნივთთან დაკავშირებით, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება შენობა-ნაგებობისათვის და რომელმაც გამოიწვია ამ უკანასკნელის ნაკლოვანება; და
3. დანარჩენი მოთხოვნის უფლებები ორ წელიწადში.

(2) მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ნივთზე მფლობელობის მინიჭებით, სხვა შემთხვევებში, ნივთის მიწოდების მომენტიდან.

(3) პირველი ნაწილის № 2-ის, №3-ისა და მე-2 ნაწილისაგან განსხვავებით, მოთხოვნის უფლებებისთვის მოქმედებს ხანდაზმულობის ზოგადი ნორმები, თუ გამყიდველმა ნაკლი განზრახ დამალა, თუმცა, პირველი ნაწილის № 2-ის შემთხვევაში ხანდაზმულობა არ დგება მასში განსაზღვრული ვადის გასვლამდე.

(4) § 437-ში მითითებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების მიმართ მოქმედებს § 218. მიუხედავად § 218-ის პირველი ნაწილის მიხედვით ხელშეკრულებაზე უარის თქმის სამართლებრივი ძალის არარსებობისა, მყიდველს შეუძლია, უარი თქვას ნასყიდობის ფასის გადახდაზე, თუ იგი ამაზე უფლებამოსილი იქნებოდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველზე. თუკი იგი იყენებს ამ უფლებას, მაშინ გამყიდველს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

(5) § 437-ში მითითებული ფასის შემცირების უფლების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება § 218 და ამ ნორმის მე-4 ნაწილის მე-2 წინადადება.

§ 439. დამატებითი შესრულება

(1) მყიდველს, დამატებითი შესრულების სახით, შეუძლია, თავისი არჩევანით მოითხოვოს ნაკლის აღმოფხვრა ან უნაკლო ნივთის მიწოდება.

(2) გამყიდველს ეკისრება დამატებითი შესრულების მიზნით გაწეული აუცილებელი ხარჯები, კერძოდ: გადაზიდვის, გადაყვანის, შრომისა და მასალების ხარჯები.

(3) გამყიდველს შეუძლია, უარი თქვას მყიდველის მიერ არჩეულ დამატებითი შესრულების სახეზე, § 275-ის მე-2 და მე-3 ნაწილებიდან გამომდინარე უფლებების შეზღუდვის გარეშე, თუ დამატებითი შესრულება შესაძლებელია მხოლოდ არათანაზომიერი ხარჯებით. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით, გასათვალისწინებელია უნაკლო მდგომარეობაში ნივთის ღირებულება, ნაკლის მნიშვნელობა და ის, იქნე-

ბოდა თუ არა შესაძლებელი, დამატებითი შესრულების ალტერნატიული სახის გამოყენება მყიდველისათვის არსებითი ზიანის მიყენების გარეშე. მყიდველის მოთხოვნის უფლება, ამ შემთხვევაში შეზღუდულია ალტერნატიული დამატებითი შესრულების სახით; გამყიდველის უფლება, უარი თქვას ალტერნატიულ დამატებით შესრულებაზე, პირველი წინადადების წინაპირობის გათვალისწინებით, უცვლელი რჩება.

(4) თუ გამყიდველი, დამატებითი შესრულების მიზნით, აწვდის უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია, მყიდველისგან მოითხოვოს ნაკლის მქონე ნივთი, §§ 346-348-ის მიხედვით.

§ 440. ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და ზიანის ანაზღაურების სპეციალური წესები

გარდა § 281-ის მე-2 ნაწილსა და § 323-ის მე-2 ნაწილში მითითებული შემთხვევებისა, არ არის აუცილებელი ასევე ვადის განსაზღვრა, თუ გამყიდველმა უარი თქვა ორივე სახის დამატებითი შესრულების განხორციელებაზე, § 439-ის მე-3 ნაწილის თანახმად, ან, თუ მყიდველისადმი მინიჭებული დამატებითი შესრულება წარუმატებელი აღმოჩნდა, ანდა იგი მისთვის მიუღებელია. ნაკლის აღმოფხვრა მიიჩნევა წარუმატებლად მეორე უშედეგო მცდელობის შემდეგ, თუ ნივთის ან ნაკლის განსაკუთრებული ბუნების, ანდა სხვა გარემოებებიდან განსხვავებული დასკვნა არ გამომდინარეობს.

§ 441. ფასის შემცირება

(1) ხელშეკრულებაზე უარის თქმის ნაცვლად, მყიდველს შეუძლია, გამყიდველისადმი წარდგენილი განცხადებით შეამციროს ნასყიდობის ფასი. § 323-ის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული გამორიცხვის საფუძველი არ გამოიყენება.

(2) თუ მყიდველის ან გამყიდველის მხრიდან მონაწილეობს რამდენიმე პირი, ფასის შემცირების შესახებ უნდა გაცხადდეს მხოლოდ ყველა პირის მიერ ან ყველა პირის მიმართ.

(3) ფასის შემცირების შემთხვევაში, ნასყიდობის ფასი უნდა შემცირდეს იმ პროპორციით, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის უნაკლო ნივთის ღირებულებას რეალურ ღირებულებასთან შედარებით ექნებოდა. იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია, ფასის შემცირება უნდა დადგინდეს შეფასებით.

(4) თუ მყიდველმა უკვე გადაიხადა შემცირებულ ფასზე მეტი, მაშინ ზედმეტობა უნდა ანაზღაურდეს გამყიდველის მიერ. შესაბამისად, გამოიყენება § 346-ის პირველი ნაწილი და § 347-ის პირველი ნაწილი.

§ 442. მყიდველის მიერ ნაკლის შესახებ ინფორმაციის ქონა

(1) ნაკლის გამო მყიდველის უფლებები გამორიცხულია, თუ მან ხელშეკრულების დადების დროს იცის ნაკლის შესახებ. თუ მყიდველმა ნაკლის შესახებ არაფერი იცის უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მყიდველს შეუძლია ამ ნაკლის გამო უფლებების რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველმა განზრახ დამალა ნაკლი ან ნივთის თვისებებზე იკისრა გარანტია.

(2) გამყიდველმა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლება უნდა ამოშალოს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მყიდველმა იცის მის შესახებ.

§ 443. ნივთის თვისებებისა და სამსახურის გარანტია

(1) თუ გამყიდველი ან მესამე მხარე იძლევა ნივთის თვისებების შესახებ გარანტიას, ან გარანტიას იმის თაობაზე, რომ ნივთი შეინარჩუნებს განსაზღვრულ თვისებებს განსაზღვრული ვადის განმავლობაში (ნივთის სამსახურის გარანტია), მაშინ, კანონისმიერი მოთხოვნის უფლებების გარდა, საგარანტიო პირობის დადგომისას მოთხოვნის უფლების შემთხვევაში მყიდველს ენიჭება გარანტიიდან გამომდინარე უფლებები გარანტიის განცხადებასა და იმ პირთან დაკავშირებულ შესაბამის რეკლამაში მოცემული პირობების თანახმად, რომელმაც იკისრა გარანტია.

(2) თუ ხდება ნივთის სამსახურის გარანტიის კისრება, ივარაუდება, რომ მისი ვარგისიანობის პერიოდის განმავლობაში წარმოშობილი ნივთობრივი ნაკლი ქმნის გარანტიიდან გამომდინარე უფლებებს.

§ 444. პასუხისმგებლობის გამორიცხვა

იმ შეთანხმებაზე, რომლითაც ნაკლის გამო მყიდველის უფლებები გამორიცხული ან შეზღუდულია, გამყიდველს არ შეუძლია მითითება, რამდენადაც ამ უკანასკნელმა ნაკლი განზრახ დამალა, ან ნივთის თვისებებზე იკისრა გარანტია.

§ 445. პასუხისმგებლობის შეზღუდვა საჯარო აუქციონების შემთხვევაში

თუ გირავნობის უფლების საფუძველზე ნივთი გაიყიდა საჯარო აუქციონზე როგორც გირავნობის საგანი, მაშინ მყიდველს ეკუთვნის გარანტიიდან გამომდინარე უფლებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველმა ნაკლი განზრახ დამალა ან ნივთის თვისებებზე იკისრა გარანტია.

§ 446. რისკისა და ვალდებულებების გადასვლა

გაყიდული ნივთის გადაცემით მყიდველზე გადადის მისი შემთხვევით განადგურებისა და შემთხვევით გაუარესების რისკი. გადაცემის მომენტიდან მყიდველს ეკუთვნის ნივთის სარგებელი და მას ეკისრება ნივთის უფლებრივი ტვირთი. გადაცემას უთანაბრდება შემთხვევა, როცა მყიდველი აცილებს ნივთის მიღების ვადას.

§ 447. რისკის გადასვლა ნივთის გაგზავნით ნასყიდობის შემთხვევაში (Versendungskauf)

(1) თუ გამყიდველი მყიდველის მოთხოვნით გაყიდულ ნივთს აგზავნის სხვა ადგილას, ნაცვლად შესრულების ადგილისა, მაშინ რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველმა ნივთი ჩააბარა ექსპედიტორს, გადამზიდავს ან გადაზიდვისათვის განსაზღვრულ სხვა პირსა თუ ორგანიზაციას.

(2) თუ მყიდველმა გასცა სპეციალური მითითება გაგზავნის ხერხის შესახებ და გამყიდველმა არსებითი მიზეზის გარეშე არ შეასრულა ეს მითითება, მაშინ გამყიდველი პასუხისმგებელია მყიდველის წინაშე ამის შედეგად წარმოშობილი ზიანის გამო.

§ 448. გადაცემის ხარჯები და შეფარდებითი ხარჯები

(1) გამყიდველს ეკისრება ნივთის გადაცემის ხარჯები, მყიდველს, – ნივთის მიღებისა და შესრულების ადგილის ნაცვლად, ნივთის სხვა ადგილზე გაგზავნის ხარჯები.

(2) მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის მყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულებისა და უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და რეგისტრაციისათვის საჭირო განცხადებების წარდგენის ხარჯები.

§ 449. პირობადებული საკუთრება

(1) თუ გამყიდველმა პირობად დათქვა მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შენარჩუნება ნასყიდობის ფასის გადახდამდე, დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ საკუთრების უფლება გადადის ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის გადადების პირობით (დათქმა გამყიდველის მიერ საკუთრების უფლების შენარჩუნების შესახებ).

(2) გამყიდველის მიერ საკუთრების უფლების შენარჩუნების შესახებ დათქმის საფუძველზე მას შეუძლია ნივთის დაბრუნების მოთხოვნა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხელშეკრულებიდან გასულია.

(3) შეთანხმება გამყიდველის მიერ საკუთრების უფლების შენარჩუნების შესახებ დათქმის თაობაზე ბათილია იმდენად, რამდენადაც საკუთრების უფლების გადაცემა დამოკიდებულია მყიდველის მიერ მესამე პირის მოთხოვნების, მათ შორის, გამყიდველთან დაკავშირებული საწარმოს დაკმაყოფილებაზე.

§ 450. გამორიცხული მყიდველები განსაზღვრული ნასყიდობების შემთხვევებში

(1) იძულებითი აღსრულების პროცესში ნივთის გაყიდვის შემთხვევაში, გაყიდვის პროცედურის წარმოებასა თუ მართვაზე უფლებამოსილ პირსა და მის მიერ დანიშნულ დამხმარე პირებს, მდივნის ჩათვლით, არ შეუძლიათ გასაყიდი საგნის ყიდვა პირადად თავისთვის ან სხვა პირის მეშვეობით, ანდა სხვა პირის წარმომადგენლის სახით.

(2) პირველი ნაწილი მოქმედებს, აგრეთვე, ნასყიდობის შემთხვევაში იძულებითი აღსრულების მიღმაც, თუ გაყიდვის დავალება მიცემულ იქნა კანონის იმ ნორმის საფუძველზე, რომელიც მარწმუნებელს ანიჭებს უფლებამოსილებას, დაუშვას ნივთის გაყიდვა სხვა პირის ანგარიშში, კერძოდ, გირავნობის საგნის გაყიდვის, §§ 383-სა და 385-ში დაშვებული ნასყიდობის, ასევე გაკოტრების მასიდან გაყიდვების შემთხვევებში.

§ 451. ნასყიდობა გამორიცხული მყიდველის შემთხვევაში

(1) § 450-ის დარღვევით დადებული ნასყიდობის სამართლებრივი ძალა და გაყიდულ საგანზე საკუთრების უფლების გადაცემა დამოკიდებულია იმ პირის თანხმობაზე, რომელიც ნასყიდობაში მონაწილეობს როგორც მოვალე, მესაკუთრე ან კრედიტორი. თუ მყიდველი მონაწილე პირისაგან ითხოვს მოწონების განცხადებას, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 177-ის მე-2 ნაწილი.

(2) თუ მოწონებაზე უარის თქმის შედეგად დაიდო ახალი ნასყიდობის ხელშეკრულება, მაშინ წინა მყიდველმა უნდა აანაზღაუროს ახალი ნასყიდობისა და მინიმალური ამონაგების ხარჯები.

§ 452. საზღვაო ხომალდის ნასყიდობა

წინამდებარე ქვეკარის ნორმები მიწის ნაკვეთის ნასყიდობის შესახებ შესაბამისად გამოიყენება რეგისტრირებული საზღვაო ხომალდებისა და მშენებარე საზღვაო ხომალდების მიმართ.

§ 453. უფლების ნასყიდობა

(1) ნივთის ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები შესაბამისად გამოიყენება უფლების ან სხვა საგნების ნასყიდობის მიმართაც.

(2) გამყიდველს ეკისრება უფლების დასაბუთებისა და გადაცემის ხარჯები.

(3) თუ გაყიდულია უფლება, რომელიც იძლევა ნივთის ფლობის უფლებამოსილებას, მაშინ გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

ქვეკარი 2. ნასყიდობის სპეციალური სახეები

თავი 1. ნასყიდობა ნივთის მოწონების პირობით

§ 454. ნასყიდობის ხელშეკრულების დადება
(1) ნივთის მოწონების ან შემოწმების პირობით ნასყიდობის შემთხვევაში, გაყიდული საგნის მოწონების არჩევანს მყიდველი აკეთებს თავისი სურვილით. დავის შემთხვევაში, ნასყიდობის ხელშეკრულება მიიჩნევა მოწონების გადადების პირობით დადებულად.
(2) გამყიდველი ვალდებულია, დართოს მყიდველს საგნის შემოწმების ნება.

§ 455. მოწონების ვადა
მოწონების ან შემოწმების პირობით გაყიდული საგნის მოწონების შესახებ განცხადება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ შეთანხმებულ ვადაში, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას – მხოლოდ გამყიდველის მიერ მყიდველისათვის განსაზღვრული გონივრული ვადის განმავლობაში. თუ ნივთი მყიდველს გადაეცა მოწონების ან შემოწმების მიზნით, მისი დუმილი ჩაითვლება მოწონებად.

თავი 2. გამოსყიდვა

§ 456. გამოსყიდვის ხელშეკრულების დადება
(1) თუ გამყიდველმა ნასყიდობის ხელშეკრულებაში დაიტოვა გამოსყიდვის უფლება, მაშინ გამოსყიდვის ხელშეკრულება იდება გამყიდველის მიერ გამოსყიდვის უფლების რეალიზაციის თაობაზე მყიდველის მიმართ გაკეთებული განცხადებით. განცხადება არ საჭიროებს ნასყიდობის ხელშეკრულებისადმი დადგენილი სავალდებულო ფორმის დაცვას.
(2) დავის შემთხვევაში გამოსყიდვის ფასად მიიჩნევა ნივთის გაყიდვის ფასი.

§ 457. ახალი გამყიდველის პასუხისმგებლობა
(1) ახალი გამყიდველი ვალდებულია, გამომსყიდველს გაყიდული ნივთი გადასცეს საკუთვნებელთან ერთად.
(2) თუ ახალმა გამყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაყიდული ნივთი ბრალეულად გააუარესა ან გაანადგურა, ან მისი ბრალით სხვა მიზეზით ნივთის დაბრუნება შეუძლებელი გახდა, ანდა, თუ მან ნივთი არსებითად შეცვალა, მაშინ იგი პასუხისმგებელია ამით გამოწვეული ზიანისათვის. თუ ნივთი გაუარესდა ახალი გამყიდველის ბრალის გარეშე, ან თუ იგი მხოლოდ უმნიშვნელოდ შეიცვალა, მაშინ გამომსყიდველს არ შეუძლია მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება.

§ 458. ნივთის მესამე პირების უფლებებისაგან გათავისუფლება
თუ ახალმა გამყიდველმა გამოსყიდვის უფლების რეალიზაციამდე განკარგა გაყიდული ნივთი, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს ნივთის გათავისუფლება მასზე დად-

გენილი მესამე პირების უფლებებისაგან. ახალი გამყიდველის განკარგვას უთანაბრდება იძულებითი აღსრულების პროცესში ან ყადაღის დადებისას, ანდა გაკოტრების მმართველის მიერ განხორციელებული განკარგვა.

§ 459. ხარჯების ანაზღაურება
ახალ გამყიდველს შეუძლია, მოითხოვოს გამოსყიდვამდე გაყიდულ ნივთზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება იმ ფარგლებში, რომლებშიც გაიზარდა ნივთის ღირებულება ხარჯების შედეგად. მას შეუძლია, მოაცილოს ის მოწყობილობები, რომლითაც მან დასაბრუნებელი ნივთი აღჭურვა.

§ 460. გამოსყიდვა შეფასებითი ღირებულებით
თუ გამოსყიდვის ფასის სახით შეთანხმებულია გამოსყიდვის მომენტისათვის გაყიდული ნივთის შეფასებითი ღირებულება, მაშინ ახალი გამყიდველი პასუხს არ აგებს გაყიდული ნივთის გაუარესებისა თუ განადგურებისათვის, ანდა იმისათვის, რომ მისი ბრალით ნივთის დაბრუნება სხვა მიზეზით შეუძლებელი გახდა, ხოლო გამომსყიდველი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ნივთზე გაწეული ხარჯები.

§ 461. გამოსყიდვაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი
თუ გამოსყიდვის უფლება ერთობლივად ეკუთვნის რამდენიმე პირს, მაშინ იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთობლივად. თუ უფლება უქმდება ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის, ან ერთ-ერთი მათგანი არ ახორციელებს თავის უფლებას, მაშინ დანარჩენი პირები უფლებამოსილნი არიან, ერთობლივად განახორციელონ გამოსყიდვის უფლება.

§ 462. ხანდაზმულობის ვადა
გამოსყიდვის უფლება შეიძლება განხორციელდეს მიწის ნაკვეთების შემთხვევაში, დათქმის გაკეთებიდან მხოლოდ 30 წლის, ხოლო სხვა საგნების შემთხვევაში = 3 წლის ვადის გასვლამდე. თუ უფლების განხორციელებისათვის დადგენილია ვადა, მაშინ ეს უკანასკნელი ცვლის კანონისმიერ ვადას.

თავი 3. უპირატესი შესყიდვის უფლება

§ 463. უფლების განხორციელების წინაპირობები
პირი, რომელიც უფლებამოსილია ნივთის უპირატეს შესყიდვაზე, შეუძლია უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება მაშინ, როდესაც ვალდებული პირი მესამე პირთან დადებს ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას.

§ 464. უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება
(1) უპირატესი შესყიდვის უფლება ხორციელდება ვალდებული პირის მიმართ გაკეთებული განცხადებით. განცხადება არ საჭიროებს ნასყიდობის ხელშეკრულებისადმი დადგენილი სავალდებულო ფორმის დაცვას.
(2) უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელებით უფლებამოსილ პირსა და ვალდებულ პირს შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობებით, რომლებიც ვალდებულმა პირმა შეათანხმა მესამე პირთან.

§ 465. სამართლებრივი ძალის არმქონე შეთანხმებები
ვალდებული პირის შეთანხმება მესამე პირთან, რომლითაც ნასყიდობის ხელშეკრულება დამოკიდებული ხდება უპირატესი შესყიდვის უფლების განუხორციელებლობაზე, ან რომლითაც ვალდებულ პირს უნარჩუდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების შემთხვევაში, სამართლებრივი ძალის არმქონეა უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირის მიმართ.

§ 466. დამატებითი შესრულებები
თუ მესამე პირმა ხელშეკრულებით იკისრა დამატებითი შესრულება, რომლის განხორციელების შესაძლებლობაც უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს არა აქვს, მაშინ მან დამატებითი შესრულების ნაცვლად უნდა გადაიხადოს მისი ღირებულება. თუ დამატებითი შესრულების ფულადი შეფასება შეუძლებელია, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება დაუშვებელია; თუმცა, დამატებითი შესრულების თაობაზე შეთანხმება მხედველობაში არ მიიღება, თუ მესამე პირთან ხელშეკრულება დაიდებოდა ასეთი შეთანხმების გარეშეც.

§ 467. საერთო ფასი
თუ მესამე პირმა სხვა საგნებთან ერთად საერთო ფასად შეიძინა საგანი, რომელზეც ვრცელდება უპირატესი შესყიდვის უფლება, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირმა უნდა გადაიხადოს საერთო ფასის შესაბამისი წილი. ვალდებულ პირს შეუძლია მოითხოვოს უპირატესი შესყიდვის გავრცელება ყველა იმ ნივთზე, რომლებიც არ შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს მათთვის ზიანის მიყენების გარეშე.

§ 468. ნასყიდობის ფასის გადახდის გადავადება
(1) თუ მესამე პირს ხელშეკრულებაში გადაევადა ნასყიდობის ფასის გადახდა, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია გადავადებაზე მიუთითოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გადავადებული თანხისათვის წარადგენს უზრუნველყოფას.
(2) თუ უპირატესი შესყიდვის უფლების საგანია მიწის ნაკვეთი, მაშინ უზრუნველყოფის წარდგენა საჭირო არ არის იმდენად, რამდენადაც შეთანხმებულია გადავადებული თანხისათვის მიწის ნაკვეთზე იპოთეკის დადგენა ან ხდება იმ ვალის ნასყიდობის ფასის ანგარიშში ჩათვლა, რომლისთვისაც მიწის ნაკვეთზე არსებობს იპოთეკა. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც უპირატესი შესყიდვის უფლების საგანია რეგისტრირებული საზღვაო ხომალდი ან მშენებარე საზღვაო ხომალდი.

§ 469. შეტყობინების ვალდებულება; უფლების განხორციელების ვადა
(1) ვალდებულმა პირმა უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მესამე პირთან დადებული ხელშეკრულების შინაარსი. ვალდებული პირის მიერ შეტყობინება შეიძლება შეიცვალოს მესამე პირის მიერ შეტყობინებით.
(2) უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწის ნაკვეთების შემთხვევაში შეტყობინების მიღებიდან მხოლოდ ორი თვის ვადის გასვლამდე, ხოლო სხვა საგნების შემთხვევაში, შეტყობინების მიღებიდან მხოლოდ ერთი კვირის ვადის გასვლამდე. თუ უფლების განხორციელებისათვის დადგენილია ვადა, მაშინ ეს უკანასკნელი ცვლის კანონისმიერ ვადას.

§ 470. კანონისმიერი მემკვიდრისათვის ნივთის მიყიდვა
დავის შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლება არ ვრცელდება ნივთის კანონისმიერი მემკვიდრისათვის მიყიდვაზე, რაც ხორციელდება მომავალი მემკვიდრეობის უფლების გათვალისწინებით.

§ 471. ნივთის მიყიდვა იძულებითი აღსრულების პროცესში ან გაკოტრებისას
უპირატესი შესყიდვის უფლება გამორიცხულია, თუ ნივთის მიყიდვა ხდება იძულებითი აღსრულების პროცესში ან გაკოტრების მასიდან.

§ 472. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე რამდენიმე პირი
თუ უპირატესი შესყიდვის უფლება ეკუთვნის რამდენიმე პირს ერთობლივად, მაშინ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ერთობლივად. თუ უფლება უქმდება ერთ-ერთი უფლებამოსილი პირისათვის ან ერთ-ერთი მათგანი არ ახორციელებს თავის უფლებას, მაშინ დანარჩენი პირები უფლებამოსილნი არიან, ერთობლივად განახორციელონ გამოსყიდვის უფლება.

§ 473. უპირატესი შესყიდვის უფლების გადაცემის დაუშვებლობა
უპირატესი შესყიდვის უფლება არ ექვემდებარება გადაცემას და ასევე არ გადადის უფლებამოსილი პირის მემკვიდრეებზე, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი. თუ უფლება შეზღუდულია განსაზღვრული ვადით, მაშინ დავის შემთხვევაში იგი ექვემდებარება მემკვიდრეობით გადაცემას.

ქვეკარი 3. მეწარმესა და მომხმარებელს შორის მოძრავ ნივთთან დაკავშირებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება (სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობა)

§ 474. სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ცნება
(1) თუ მომხმარებელი მეწარმისგან ყიდულობს მოძრავ ნივთს (სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობა), დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული ნორმები. ეს არ მოქმედებს მეორადი ნივთების მიმართ, რომლებიც იყიდება საჯარო აუქციონზე, მასში პირადად მონაწილეობა შეუძლია მომხმარებელს.
(2) წინამდებარე თავში მოწესრიგებული ნასყიდობის ხელშეკრულებების მიმართ გამოიყენება § 439-ის მე-4 ნაწილი იმ პირობით, რომ სარგებელი არ ექვემდებარება გადაცემას ან ღირებულებით ანაზღაურებას. §§ 445 და 447 არ გამოიყენება.

§ 475. კანონის ნორმებისაგან განსხვავებული შეთანხმებები
(1) მეწარმეს არ შეუძლია მიუთითოს მისთვის ნაკლის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე დადებულ შეთანხმებაზე, რომელიც მომხმარებლის საზიანოდ, §§ 433-435-ის, 437-ის, 439-443-ისა და წინამდებარე თავში მოცემული ნორმებისაგან განსხვავებულად აწესრიგებს. პირველ წინადადებაში მითითებული ნორმები გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ გვერდს უვლიან სხვაგვარი გაფორმებით.
(2) § 437-ში მითითებული მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა მეწარმისთვის ნაკლის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე არ შეიძლება გარიგებით შემცირდეს, თუ შეთახმებას მივყავართ ორ წელზე ნაკლებ ხანდაზმულობის ვადამდე კანონისმიერი

ხანდაზმულობის ვადის დაწყებიდან, ან მეორადი ნივთების მიმართ, ერთ წელზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადამდე.
(3) მიუხედავად §§ 307-309-ისა, ამ ნორმის პირველი და მე-2 ნაწილები არ მოქმედებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების გამორიცხვისა თუ შეზღუდვისათვის.

§ 476. მტკიცების ტვირთის გადასვლა
თუ რისკის გადასვლის მომენტიდან ექვსი თვის განმავლობაში ნივთობრივი ნაკლი თავად გამოვლინდა, მაშინ ივარაუდება, რომ ნივთი უკვე რისკის გადასვლისას იყო ნაკლის მქონე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ვარაუდი არ შეესაბამება ნივთის ან ნაკლის ბუნებას.

§ 477. სპეციალური დებულებები გარანტიისათვის
(1) გარანტიის კისრება (§ 443) განცხადებულ უნდა იქნეს მარტივად და გასაგებად. იგი უნდა შეიცავდეს:
1. მითითებას მომხმარებლის კანონით დადგენილ უფლებებზე, ასევე იმაზე, რომ ეს უფლებები გარანტიით არ არის შეზღუდული; და
2. გარანტიის შინაარსსა და ყველა არსებით მონაცემს, რომლებიც საჭიროა გარანტიიდან გამომდინარე უფლების რეალიზაციისათვის, განსაკუთრებით, საგარანტიო დაცვის ხანგრძლივობასა და მოქმედებას სივრცეში, ისევე როგორც გარანტიის მიმცემის სახელსა და მისამართს.

(2) მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს გარანტიის განცხადების მისთვის ტექსტუალური ფორმით მოწოდება.
(3) გარანტიიდან გამომდინარე ვალდებულების კისრების სამართლებრივი ძალა არ იზღუდება იმით, რომ ერთ-ერთი ზემოთ აღნიშნული მოთხოვნათაგანი არ არის შესრულებული.

§ 478. მეწარმის რეგრესის უფლება
(1) თუ მეწარმეს უკან უნდა მიეღო ახალწარმოებული გაყიდული ნივთი ამ უკანასკნელის ნაკლის გამო, ან, თუ მომხმარებელმა შეამცირა ნასყიდობის თანხა, არ არის აუცილებელი, მეწარმისათვის დადგინდეს ვადა, რომელიც სხვა შემთხვევაში საჭირო იქნებოდა § 437-ის საფუძველზე ნივთის გამყიდველი მეწარმის (მიმწოდებლის) მიმართ ნაკლთან დაკავშირებით მომხმარებლის კუთვნილი უფლების რეალიზაციისათვის.
(2) ახალწარმოებული ნივთის ნასყიდობისას მეწარმეს შეუძლია, თავისი მიმწოდებლისაგან მოითხოვოს იმ დანახარჯების ანაზღაურება, რომლებიც მეწარმეს უნდა გაეწია მომხმარებელთან მიმართებით, § 439-ის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ უკანასკნელის მიერ ნაკლთან დაკავშირებული უფლება უკვე არსებობდა რისკის მეწარმეზე გადასვლის მომენტში.
(3) პირველ და მე-2 ნაწილებში მოცემულ შემთხვევებში გამოიყენება § 476 იმ პირობით, რომ ვადის დენა იწყება მომხმარებელზე რისკის გადასვლის მომენტიდან.
(4) თუ რეგრესის კრედიტორს არ მიეცემა ეკვივალენტური საზღაური, მიმწოდებელს არ შეუძლია მიუთითოს მისთვის ნაკლის შესახებ შეტყობინების წარდგენამდე დადებულ შეთანხმებაზე, რომელიც მეწარმის საზიანოდ §§ 433-435-ის, 437-ის, 439-443-ის, ან ნორმის პირველი-მე-3 ნაწილების და § 479-ის რეგულირებებისგან

განსხვავებულად აწესრიგებს. მიუხედავად § 307-ის რეგულირებისა, ამ ნაწილის პირველი წინადადება არ მოქმედებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გამორიცხვისა თუ შეზღუდვის მიმართ. პირველ წინადადებაში მითითებული ნორმები გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ გვერდს უვლიან სხვაგვარი გაფორმებით.
(5) ამ ნორმის პირველი-მე-4 ნაწილები შესაბამისად გამოიყენება მიმწოდებლისა და მიწოდების ჯაჭვის სხვა დანარჩენი მყიდველების გამყიდველებისადმი არსებული მოთხოვნების მიმართ, თუ მოვალეები მეწარმე სუბიექტები არიან.
(6) სავაჭრო კოდექსის § 377 უცვლელი რჩება.

§ 479. რეგრესული მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა
(1) § 478-ის მე-2 ნაწილში განსაზღვრული დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია 2 წლის ვადაში ნივთის მიწოდების მომენტიდან.
(2) §§ 437-სა და 438-ის მე-2 ნაწილში განსაზღვრული მეწარმის მოთხოვნები მისი მიმწოდებლის მიმართ მომხმარებლისათვის მიყიდული ახალწარმოებული ნივთის ნაკლისათვის ხანდაზმულია არა უადრეს ორი თვისა იმ მომენტიდან, როდესაც მეწარმემ დააკმაყოფილა მომხმარებლის მოთხოვნები. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა მთავრდება არა უგვიანეს ხუთი წლისა იმ მომენტიდან, როდესაც მიმწოდებელმა მეწარმეს მიაწოდა ნივთი.
(3) ზემოაღნიშნული ნაწილები შესაბამისად გამოიყენება მიმწოდებლისა და მიწოდების ჯაჭვის სხვა დანარჩენი მყიდველების გამყიდველებისადმი არსებული მოთხოვნების მიმართ, თუ მოვალეები მეწარმე სუბიექტები არიან.

ქვეკარი 4. გაცვლა

§ 480. გაცვლა
გაცვლის მიმართ შესაბამისად გამოიყენება ნასყიდობის შესახებ ნორმები.

კარი 2. ტაიმშერის ხელშეკრულებები

§ 481. ტაიმშერის ხელშეკრულების ცნება
(1) ტაიმშერის ხელშეკრულებით მეწარმე მომხმარებელს, ერთიანი თანხის გადახდის სანაცვლოდ, უფლებას ანიჭებს ან ჰპირდება უფლების მინიჭებას, რომ ერთ წელზე მეტი ხნის ვადაში მრავალჯერადად გადასცემს საცხოვრებელ ფართს ღამის გასათევად განსაზღვრულ ან განსაზღვრად დროის მონაკვეთში. ხელშეკრულების ხანგძლივობის გამოთვლისას გასათვალისწინებელია არსებულ ხელშეკრულებაში დათქმული ხელშეკრულების გაგრძელების შესაძლებლობები.
(2) უფლება შეიძლება იყოს სანივთო ან სხვა სახის და იგი ასევე შეიძლება მიენიჭოს კავშირის წევრობითა თუ საზოგადოებაში წილით. უფლება შეიძლება ასევე გამოიხატოს არსებული საცხოვრებელი სახლებიდან ყოველ ჯერზე ერთ-ერთით სარგებლობის არჩევით.
(3) საცხოვრებელ სახლს უთანაბრდება საცხოვრებელი სახლის ნაწილი, ასევე მოძრავი ნივთი, ან მისი ნაწილი, რომელიც განკუთვნილია ღამის გასათევად.

§ 481ა ხელშეკრულება შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ
ხელშეკრულება შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ არის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა აღემატება ერთ წელს და რომლის თანახმადაც, მეწარმე მომხმარებელს, ერთიანი თანხის გადახდის სანაცვლოდ, უფლებას ანიჭებს ან ჰპირდება უფლების მინიჭებას, რომ მომხმარებელი მიიღებს საცხოვრებელ ფართს ხელსაყრელ ფასად ან სხვა რაიმე შეღავათით. § 481-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება გამოიყენება შესაბამისად.

§ 481ბ შუამავლობის ხელშეკრულება; გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულება
(1) შუამავლობის ხელშეკრულების მიხედვით, მეწარმე, მომხმარებლისგან საზღაურის შეპირების სანაცვლოდ, მომხმარებელს მიუთითებს ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას ან შუამავლობს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მომხმარებელი ტაიმშერის ან შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ ხელშეკრულებიდან იძენს უფლებებს ან ასხვისებს მათ.
(2) გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულების მიხედვით, მეწარმე, მომხმარებლისგან საზღაურის შეპირების სანაცვლოდ, მომხმარებელს მიუთითებს ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას ან შუამავლობს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც მომხმარებელი ტაიმშერის ან გრძელვადიანი შვებულების პაკეტის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ცალკეულ უფლებებს გაცვლის ან სხვაგვარად იძენს ან ასხვისებს.

§ 482. წინასახელშეკრულებო ინფორმაცია, რეკლამა და ფულად კაპიტლად გაყიდვის აკრძალვა
(1) ტაიმშერის, შვებულების გრძელვადიანი პაკეტის, შუამავლობის და გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულების შემთხვევებში, მეწარმე ვალდებულია, მომხმარებელს, ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენამდე, მიაწოდოს სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 242-ე მუხლის § 1-ით განსაზღვრული წინასახელშეკრულებო ინფორმაცია ტექსტუალური ფორმით. მიწოდებული ტექსტი უნდა იყოს ნათელი და გასაგები.
(2) აღნიშნული ხელშეკრულებების სარეკლამო განცხადებებში უნდა მიეთითოს, რომ წინასახელშეკრულებო ინფორმაცია ხელმისაწვდომია და ასევე უნდა მიეთითოს, თუ სად შეიძლება მისი გამოთხოვა. მეწარმემ მომხმარებლის სარეკლამო ან გასაყიდ ღონისძიებაზე მიპატიჟებისას ნათლად უნდა მიუთითოს ღონისძიების კომერციულ ხასიათზე. მსგავს ღონისძიებებზე მომხმარებელს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოს წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიღება.
(3) ტაიმშერის ან შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლების ფულად კაპიტლად ქცევა ან მისი გაყიდვა დაუშვებელია.

§ 483. ხელშეკრულების ენა და წინასახელშეკრულებო ინფორმაცია
(1) ტაიმშერის, შვებულების გრძელვადიანი პაკეტის, შუამავლობის და გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულება უნდა შედგეს ოფიციალურ ენაზე, ან, როდესაც სახეზეა რამდენიმე ოფიციალური ენა, მომხმარებლის მიერ არჩეული ევროპული გაერთიანების წევრი სახელმწიფოს ან იმ სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, რომელიც წარმოადგენს შეთანხმების ხელისშემკვრელ მხარეს ევროპული ეკონომიკური სივრციდან, სადაც მომხმარებელს აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი. თუ მომხმარებელი სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა, მაშინ მას იმ სახელმწიფოს ენის ნაცვლად, სადაც

მას აქვს თავისი საცხოვრებელი ადგილი, შეუძლია აირჩიოს იმ სახელმწიფოს ოფიციალური ენა ან ერთ-ერთი ოფიციალური ენა, რომლის მოქალაქეც ის არის. პირველი და მე-2 წინადადებები მოქმედებს, აგრეთვე წინასახელშეკრულებო ინფორმაციისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასთან მიმართებით.
(2) თუ ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით გერმანელი ნოტარიუსის წინაშე, მაშინ „სანოტარო აქტების შესრულების შესახებ“ კანონის §§ 5 და 16 მოქმედებს იმ პირობით, რომ მომხმარებელს მიეწოდება მის მიერ პირველი ნაწილის შესაბამისად არჩეულ ენაზე ხელშეკრულების დამოწმებული თარგმანი.
(3) ხელშეკრულება, რომელიც არ შეესაბამება პირველი ნაწილის პირველ და მე-2 წინადადებებსა და მე-2 ნაწილს, ბათილია.

§ 484. ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი
(1) ტაიმშერის, შვებულების გრძელვადიანი პაკეტის, შუამავლობის და გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულებები უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, თუ სხვა ნორმა უფრო მკაცრ ფორმას არ ადგენს.
(2) § 482-ის 1-ლი ნაწილის მიხედვით მომხმარებლისადმი წარდგენილი წინასახელშეკრულებო ინფორმაცია გახდება ხელშეკრულების შინაარსი, თუ ის ორმხრივად ან ცალმხრივად არ შეიცვალა მეწარმის მიერ. მეწარმე უფლებამოსილია მხოლოდ მაშინ შეცვალოს წინასახელშეკრულებო ინფორმაცია ცალმხრივად, თუ ისინი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, რათა მიუსადაგოს ისინი ცვლილებებს. ცვლილებები პირველი წინადადების თანახმად მეწარმემ მომხმარებელს უნდა შეატყობინოს ტექსტუალური ფორმით ხელშეკრულების დადებამდე. ისინი ჩაითვლება ნამდვილად მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელშეკრულების დოკუმენტში მათზე გაკეთდება მითითება, რომ ისინი განსხვავდებიან § 482-ის პირველი ნაწილის მიხედვით მომხმარებლისადმი წარდგენილი წინასახელშეკრულებო ინფორმაციისგან. ხელშეკრულების დოკუმენტში შეტანილ უნდა იქნეს:
1. § 482-ის პირველი ნაწილით განსაზღვრული წინასახელშეკრულებო ინფორმაცია, განურჩევლად მათი 1-ლი წინადადების მიხედვით მოქმედებისა,
2. ორივე მხარის სახელები და აქტიური მისამართები
3. ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ორივე მხარის ნების თარიღი და ადგილი

(3) მეწარმემ მომხმარებელს უნდა გადასცეს ხელშეკრულების დოკუმენტი ან მისი ასლი. თუ ტაიმშერის ხელშეკრულების ენა განსხვავდება ევროპული გაერთიანების წევრი სახელმწიფოს ან იმ სახელმწიფოს ოფიციალური ენისგან, რომელიც წარმოადგენს შეთანხმების ხელისშემკვრელ მხარეს ევროპული ეკონომიკური სივრციდან და სადაც განთავსებულია საცხოვრებელი ფართი, მეწარმე ვალდებულია მომხმარებელს გადასცეს იმ სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე გადათარგმნილი და დამოწმებული ხელშეკრულება, სადაც განთავსებულია საცხოვრებელი ფართი. ვალდებულება თარგმანის დამოწმებასა და გადაცემაზე არ არსებობს, თუ ტაიმშერის ხელშეკრულების საგანია ისეთი საცხოვრებელი შენობები, რომლებიც განთავსებულია სხვადასხვა ქვეყანაში.

§ 485. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება
(1) ტაიმშერის, შვებულების გრძელვადიანი პაკეტის, შუამავლობის და გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულების შემთხვევებში მომხმარებელს უფლება აქვს § 355-ის მიხედვით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

(2) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მომხმარებელს არ ეკისრება რაიმე ხარჯი. მეწარმემ მომხმარებელს უნდა აუნაზღაუროს ხელშეკრულების, მისი განხორციელების და უკუქცევის ხარჯი. § 357-ის პირველი და მე-3 ნაწილისგან განსხვავებით, გამორიცხულია ანაზღაურების მოთხოვნა განხორციელებული მომსახურებისთვის, ასევე გადაცემული საცხოვრებელი ფართის გამოყენებისთვის.
(3) იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა ტაიმშერის ან შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ ხელშეკრულება შეწყვიტა და ეს შეწყვეტა ნამდვილია, მაშინ იგი აღარ არის გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულების დადებისთვის გამოვლენილი ნებით შებოჭილი. ამ ნაწილის პირველი წინადადება მოქმედებს შესაბამისად მომხმარებლის მიერ იმ ხელშეკრულებებისთვის გამოვლენილ ნებასთან მიმართებით, რომელთა საგანიც არის ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მომხმარებელთან დადებულ ტაიმშერის და შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ ხელშეკრულებებთან და რომლებიც ხორციელდება მეწარმის მიერ ან მეწარმის ხელშეკრულებით მესამე პირის მიერ. § 357 გამოიყენება შესაბამისად. მომხმარებელს არ ეკისრება რაიმე დამატებითი ხარჯები მის მიერ გამოხატული ნების ბოჭვის არარსებობის გამო.

§ 485ა. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა
(1) § 355-ის მე-3 ნაწილის რეგულირებისგან განსხვავებით, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დენა იწყება ხელშეკრულების დადების მომენტიდან ან წინარე ხელშეკრულების გაფორმებიდან. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ხელშეკრულების დოკუმენტს ან მის ასლს მიიღებს ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დენა დაიწყება მიღების მომენტიდან.
(2) იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი § 482-ის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ წინასახელშეკრულებო ინფორმაციას ან სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 242-ე მუხლის § 1-ით განსაზღვრულ ფორმულარს არ მიიღებს ხელშეკრულების დადებამდე ან მიიღებს არასრულად ან არ მიიღებს § 483-ის პირველ ნაწილით განსაზღვრული ენით, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა, ამ ნორმის პირველი ნაწილისგან განსხვავებით, დაიწყება წინასახელშეკრულებო ინფორმაციის და ფორმულარის სრულყოფილი სახით დადგენილ ენაზე მიღების მომენტიდან. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება, § 355-ის მე-4 ნაწილის რეგულირებისგან განსხვავებით, წყდება არაუგვიანეს 3 თვისა და ორი კვირისა პირველ ნაწილში დასახელებული მომენტიდან.
(3) იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს § 482ა-ში გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების თაობაზე ინფორმაცია არ მიეწოდა ხელშეკრულების დადებამდე, ან მიეწოდა არასრულად, ან არ მიეწოდა § 483-ის პირველ ნაწილში განსაზღვრული ენაზე, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა, ამ ნორმის პირველი ნაწილისგან განსხვავებით, დაიწყება ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების თაობაზე ინფორმაცის სრულყოფილად და სათანადო ენაზე მიღების მომენტიდან. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება, § 355-ის მე-4 ნაწილის რეგულირებისგან განსხვავებით, ასევე განსაზღვრულ შემთხვევებში მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების რეგულირებისგან განსხვავებითაც, წყდება არაუგვიანეს ერთი წლისა და ორი კვირისა პირველ ნაწილში დასახელებული მომენტიდან.
(4) იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა გააფორმა ტაიმშერის და გაცვლის შუამავლობის ხელშეკრულება და თუ ორივე ხელშეკრულება მას ერთდროულად შესთავაზეს, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა ორივე ხელშეკრულებისთვის დაიწყება

ამ ნორმის პირველი ნაწილით ტაიმშერის ხელშეკრულებისთვის მოქმედი დროის მომენტიდან. ამ ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილები გამოიყენება შესაბამისად.

§ 486. ავანსის გადახდის აკრძალვა

(1) მეწარმეს უფლება არ აქვს მომხმარებლის გადახდები მიიღოს ან მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის გასვლამდე.

(2) დაუშვებელია მომხმარებლისგან მოთხოვნილ ან მიღებულ იქნეს შუამავლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადახდები მანამ, სანამ მეწარმე შუამავლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავის ვალდებულებებს არ შეასრულებს ან სახელშეკრულებო ურთიერთობა დასრულდება.

§ 486ა. შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ ხელშეკრულების განსაკუთრებული რეგულირებები

(1) შვებულების გრძელვადიანი პაკეტის შესახებ ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 242-ე მუხლის § 1-ის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ ფორმულარს განვადებით გადასახდელი თანხის გრაფიკის შესახებ. მეწარმეს არ აქვს უფლება გადაუხვიოს ფორმულარში განსაზღვრულ გადახდის პირობებს. მას უფლება აქვს ფორმულარის მიხედვით ვადამოსული წლიური თანხის ნაწილი მოითხოვოს მომხმარებლისგან, თუ მან მომხმარებელს წინასწარ ტექსტუალური ფორმით მოუწოდა თანხის აღნიშნული ნაწილის გადახდაზე. მოწოდება თანხის გადახდაზე მომხმარებელს უნდა მიუვიდეს სულ ცოტა ორი კვირით ადრე წლიური თანხის ნაწილის ვადამოსულობის დადგომიდან.

(2) იმ მომენტიდან, რომელიც ან ნორმის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია მეორე ნაწილის გადახდისთვის, მომხმარებელს შეუძლია, ორი კვირის ვადაში გადახდაზე მოწოდების მისვლიდან ვადამოსულობის დადგომამდე, ხელშეკრულება შეწყვიტოს 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

§ 487. განსხვავებული შეთანხმებები

დაუშვებელია წინამდებარე კარის ნორმების დანაწესისაგან გადახვევა მომხმარებლის საზიანოდ. თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, წინამდებარე კარის ნორმები გამოიყენება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მათ გვერდს უვლიან სხვაგვარი გაფორმებით.

კარი 3. სესხის ხელშეკრულება; ფინანსური დახმარებისა და განვადებით საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები მეწარმესა და მომხმარებელს შორის

ქვეკარი 1. სესხის ხელშეკრულება

თავი 1. ზოგადი ნორმები

§ 488. სესხის ხელშეკრულების ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები

(1) სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია, გადასცეს მსესხებელს ფულადი თანხა შეთანხმებული ოდენობით. მსესხებელი ვალდებულია, გადაიხადოს ნაკისრი პროცენტი და ვადამოსულობისას დააბრუნოს მიღებული სესხის თანხა.

(2) თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, შეთანხმებული პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის ბოლოს, ხოლო თუ სესხი დაბრუნებულ უნდა იქნეს წლის ბოლომდე, მაშინ – სესხის თანხის დაბრუნებისთანავე.
(3) თუ სესხის თანხის დაბრუნებისათვის ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ მისი გადახდის ვადა დამოკიდებულია გამსესხებლის ან მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების წარდგენაზე. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. თუ სესხის თანხას არ ერიცხება პროცენტი, მაშინ მსესხებელი უფლებამოსილია თანხის დაბრუნებაზე ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადების გარეშეც.

§ 489. მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის სტანდარტული უფლება
(1) მსესხებელს შეუძლია, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის (gebundener Sollzinssatz) მქონე სესხის ხელშეკრულება მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს:
1. ხელშეკრულების შეწყვეტის ერთთვიანი ვადის დაცვით, თუმცა, არა უადრეს იმ დღისა, როდესაც ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი მთავრდება, თუ შეთანხმებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი მთავრდება სესხის თანხის დაბრუნებისთვის შეთანხმებულ მომენტამდე, ხოლო ახალი შეთანხმება საპროცენტო განაკვეთის თაობაზე არ არის დადებული; თუ საპროცენტო განაკვეთის მისადაგება შეთანხმებულია დროის წინასწარ დადგენილი მონაკვეთებით, მაგრამ არა უმეტეს ერთწლიანი პერიოდისა, მსესხებელს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება მხოლოდ იმ დღის გასვლიდან, როდესაც მთავრდება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი;
2. ყველა შემთხვევაში, სესხის თანხის სრულად მიღებიდან ათი წლის ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების შეწყვეტის ექვსთვიანი ვადის დაცვით; თუ სესხის თანხის მიღების შემდეგ დაიდო ახალი შეთანხმება სესხის თანხის დაბრუნების ან საპროცენტო განაკვეთის ვადის შესახებ, მაშინ ამ შეთანხმების თარიღი ცვლის სესხის მიღების თარიღს.

(2) მსესხებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით, შეწყვეტოს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის (veränderlicher Sollzinssatz) მქონე სესხის ხელშეკრულება.
(3) მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა, პირველი ან მე-2 ნაწილის მიხედვით, არ მიიჩნევა განხორციელებულად, თუ მსესხებელი არ აბრუნებს ნაკისრ თანხას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განცხადების ძალაში შესვლის მომენტიდან ორი კვირის განმავლობაში.
(4) პირველი ან მე-2 ნაწილის თანახმად, მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ შეიძლება გამოირიცხოს ან გართულდეს ხელშეკრულებით. ეს წესი არ მოქმედებს ფედერალურ მთავრობაზე, ფედერალური მთავრობის სპეციალურ ფონდზე, მიწაზე, მუნიციპალიტეტზე, მუნიციპალიტეტების კავშირზე, ევროპულ გაერთიანებებზე ან უცხოურ რეგიონალურ თუ ადგილობრივ ორგანიზაციებზე გასაცემი სესხების შემთხვევაში.
(5) სესხის საპროცენტო განაკვეთი (Sollzinssatz) არის სავალდებულოდ ფიქსირებული ან ცვალებადი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ყოველწლიურად ერიცხება სარგებლობაში მიღებულ სასესხო თანხას. საპროცენტო განაკვეთი არის სავალდებულოდ ფიქსირებული, თუ ხელშეკრულების მოქმედების მთლიანი ვადისთვის შეთანხმებულია ერთი ან რამდენიმე საპროცენტო განაკვეთი, რაც გამოხატუ-

ლია ფიქსირებული პროცენტის სახით. თუ ხელშეკრულების მოქმედების მთლიანი ვადისათვის საპროცენტო განაკვეთი შეთანხმებული არ არის, საპროცენტო განაკვეთი, როგორც სავალდებულოდ ფიქსირებული, მოქმედებს ხელშეკრულების მხოლოდ იმ პერიოდისათვის, რომლისთვისაც განსაზღვრულია ფიქსირებული საპროცენტო სარგებელი.

§ 490. ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლება

(1) თუ სახეზეა მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესება, ან სესხისათვის დადგენილი უზრუნველყოფის ღირებულების არსებითი შემცირება, ან ასეთი გაუარესებისა თუ შემცირების საფრთხე, რის შედეგადაც საფრთხე ექმნება სესხის თანხის დაბრუნებას, თუნდაც უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად, გამსესხებელს შეუძლია, ვადის დაცვის გარეშე შეწყვიტოს სესხის ხელშეკრულება სესხის თანხის მიცემამდე, სესხის თანხის გადახდის შემდეგ კი მხოლოდ ზოგადი წესის საფუძველზე.

(2) მსესხებელს შეუძლია, ვადამდე შეწყვიტოს სესხის ხელშეკრულება, როდესაც შეთანხმებულია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი და სესხი უზრუნველყოფილია მიწის ნაკვეთსა თუ საზღვაო ხომალდზე დადგენილი უზრუნველმყოფი უფლებით, § 488-ის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებით გათვალისწინებული ვადების დაცვით, თუ ამას ითხოვს მისი კანონიერი ინტერესები და სასესხო თანხის სრულად მიღების შემდგომ გასულია 6 თვე. ასეთი ინტერესი არსებობს, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც მსესხებელს ესაჭიროება სესხის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ნივთის სხვაგვარი რეალიზაცია. მსესხებელმა უნდა აუნაზღაუროს გამსესხებელს ზიანი, რომელიც ამ უკანასკნელს მიადგა ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტით (საზღაური ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის).

(3) §§ 313-ისა და 314-ის ნორმები არ იცვლება.

თავი 2. სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების განსაკუთრებული რეგულირებები

ქვეკარი 1. სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება

§ 491. სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება

(1) ამ თავის ნორმები მოქმედებს მეწარმეს, როგორც გამსესხებელსა, და მომხმარებელს, როგორც მსესხებელს, შორის სასყიდლიანი სესხის ხელშეკრულების (სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება) მიმართ, რამდენადაც ამ ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებსა ან §§ 503-505-ში სხვა რამ არ არის დადგენილი.

(2) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებად არ ითვლება ისეთი ხელშეკრულებები,

1. რომელთა შემთხვევაშიც ნეტო სესხის თანხა (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 3-ის მე-2 ნაწილი) არ აღემატება 200 ევროს;
2. რომელთა შემთხვევაშიც მსესხებლის პასუხისმგებლობა შეზღუდულია გამსესხებლისადმი გადაცემული დაგირავებული საგნით;
3. რომელთა მიხედვით მსესხებელმა სესხი 3 თვის ვადაში უნდა დააბრუნოს და შეთანხმებულია მხოლოდ მცირე ხარჯები;

4. რომლებიც დამსაქმებლების მიერ იდება თავიანთ დასაქმებულებთან, როგორც შრომითი ხელშეკრულების პარალელურად არსებული დამატებითი ვალდებულება, საბაზრო საპროცენტო განაკვეთებთან შედარებით ნაკლები ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთით და რომელთა შეთავაზებაც სხვა პირების მიმართ არ ხდება;
5. რომლებიც მხოლოდ შეზღუდულ პირთა წრესთან იდება სამართლებრივი ნორმების საფუძველზე საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, როდესაც ხელშეკრულებაში მსესხებლისთვის შეთანხმებულ იქნა საბაზრო პირობებთან შედარებით უფრო პრივილეგირებადი პირობები და არა უმეტეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთი.

(3) § 358-ის მე-2, მე-4 და მე-5 ნაწილები და §§ 491ა-495 არ გამოიყენება იმ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების მიხედვით, შეტანილია სასამართლოს ოქმში, ან დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილებით მხარეთა შორის გაფორმებული მორიგების ფარგლებში, თუ საპროცენტო განაკვეთის შესახებ გადაწყვეტილებაში ან ოქმში ხელშეკრულების დადებისას სესხის მოსალოდნელი ხარჯები და ის წინაპირობები იქნა გათვალისწინებული, რომელთა თანახმადაც შესაძლებელია საპროცენტო განაკვეთის ან ხარჯების მისადაგება.

§ 491ა. ინფორმაციის მიწოდების წინასახელშეკრულებო ვალდებულებანი სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებების შემთხვევებში

(1) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების შემთხვევებში გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს მიაწოდოს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლიდან გამომდინარე ცალკეული რეგულირებები ამავე მუხლში დადგენილი ფორმით.

(2) მსესხებელს უფლება აქვს, მოითხოვოს გამსესხებლისგან სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების პროექტი. ეს წესი არ მოქმედებს მანამ, სანამ გამსესხებელი ხელშეკრულების დადებისათვის მზად არაა.

(3) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადებამდე გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს მისცეს შესაბამისი ახსნა-განმარტება, რათა მსესხებელმა შეძლოს იმის განსჯა, თუ რამდენად შეესაბამება ხელშეკრულება მის დასახულ მიზანს და რამდენად მართებულია მისი გაფორმება მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. ასეთი მოცემულობის შემთხვევაში, მომხმარებელს, ამ ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად, უნდა მიეწოდოს წინასახელშეკრულებო ინფორმაციები, განემარტოს გამსესხებლის მიერ შეთავაზებული ხელშეკრულების ძირითადი ასპექტები, ასევე, მათი ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი მოსალოდნელი შედეგები მსესხებლისთვის, გადახდის ვადის გადაცილების შედეგების ჩათვლით.

§ 492. წერილობითი ფორმა, ხელშეკრულების შინაარსი

(1) თუ უფრო მკაცრი ფორმა არ არის დადგენილი, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებები უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. წერილობითი ფორმის მოთხოვნა დაცულია, თუ ოფერტი და აქცეპტი მხარეთა მიერ ცალ-ცალკე წერილობით იქნება განცხადებული. გამსესხებლის განცხადება არ საჭიროებს ხელმოწერას, თუ იგი კეთდება ავტომატიზებული მოწყობილობის დახმარებით.

(2) ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი

კანონის 247-ე მუხლის §§ 6-13-ში სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებისთვის განსაზღვრულ მონაცემებს.
(3) ხელშეკრულების დადების შემდგომ გამსესხებელი მსესხებელს აწვდის ხელშეკრულების ასლს. იმ შემთხვევაში, როდესაც სესხის დაბრუნების დროა განსაზღვრული, მსესხებელს, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 14-ის მიხედვით, უფლება აქვს, გამსესხებლისგან ნებისმიერ დროს მოითხოვოს გადახდის გეგმა.
(4) ამ ნორმის პირველი და მე-2 ნაწილები მოქმედებს ასევე მინდობილობისთვის, რომელსაც მსესხებელი სამომხმარებლო ხელშეკრულების დასადებად გასცემს. პირველი წინადადება არ მოქმედებს საპროცესო უფლებამოსილებების მინიჭებისა და იმ მინდობილობისათვის, რომელიც ნოტარიულადაა დამოწმებული.
(5) გამსესხებლის მიერ მსესხებლისადმი გაკეთებული შეტყობინებები, რომლებიც მიეწოდება მსესხებელს ხელშეკრულების დადების შემდგომ, მოითხოვენ ტექსტუალური ფორმის დაცვას.
(6) იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება არ შეიცავს ამ ნორმის მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ მონაცემებს, ან არასრულად შეიცავს, ამის გამოსწორება შესაძლებელია მონაცემების მოგვიანებით მიწოდებით, ნამდვილი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, ან § 494-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების შემთხვევებში ტექსტუალური ფორმით ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან. თუ ამ ნორმის მე-2 ნაწილში განსაზღვრული მონაცემების მიუთითებლობამ გამოიწვია ხელშეკრულების პირობების ცვლილება, § 494-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილების შესაბამისად, მიუთითებლობის გამოსწორება შესაძლებელია, თუკი მსესხებელს, § 494-ის მე-7 ნაწილის მიხედვით, მიეწოდება ხელშეკრულების ასლი. სხვა დანარჩენ შემთხვევაში მსესხებელმა უნდა მიიღოს § 355-ის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადებაში განსაზღვრული რომელიმე დოკუმენტი არა უგვიანეს მიუთითებლობის გამოსწორების მომენტისა. მაშინ, როდესაც მონაცემების მიუთითებლობა გამოსწორდება ნორმის ამ ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა, § 495-ისგან განსხვავებით, შეადგენს ერთ თვეს. ნორმის მე-2 ნაწილში განსაზღვრული მონაცემების მიუთითებლობის გამოსწორებასთან ერთად, მსესხებელს ტექსტუალური ფორმით უნდა ეცნობოს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა იწყება მონაცემების მიღებიდან ერთი თვის შემდგომ.

§ 492ა. *(გაუქმებულია)*

§ 493. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებანი სახელშეკრულებო ურთიერთობებში
(1) თუ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებაში შეთანხმებულია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი (Sollzinsatz) და ფიქსირებული განაკვეთის შესახებ შეთანხმება მთავრდება სესხის უკან დაბრუნებისთვის განსაზღვრული ვადის დადგომამდე, გამსესხებელმა, ფიქსირებული განაკვეთის შესახებ შეთანხმების დასრულებამდე არა უგვიანეს 3 თვისა, მსესხებელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, თუ რამდენადაა იგი მზად ახალი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შეთავაზებისათვის. თუ გამსესხებელი აცხადებს, რომ იგი მზადაა, მაშინ გამსესხებლის მიერ მსესხებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს მონაცემებს მისი მიწოდების მომენტში შეთავაზებული საპროცენტო განაკვეთის შესახებ.
(2) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დამთავრებამდე არა უგვიანეს სამი თვით ადრე გამსესხებელმა მსესხებელს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესა-

ხებ, თუ რამდენად არის მზად სასესხო ურთიერთობების გასაგრძელებლად. თუ გამსესხებელი აცხადებს, რომ იგი მზადაა, მაშინ გამსესხებლის მიერ მსესხებლისთვის მიწოდებული ინფორმაცია მიწოდების მომენტში უნდა შეიცავდეს სავალდებულო მონაცემებს, § 491ა-ს პირველი ნაწილის მიხედვით.
(3) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების საპროცენტო განაკვეთის მისადაგება ცვლად საპროცენტო განაკვეთთან ნამდვილია იმ მომენტიდან, რა მომენტიდანაც გამსესხებელმა მსესხებელს იმ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია, რომლებიც გამომდინარეობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 15-იდან. ნამდვილობასთან დაკავშირებული განსხვავებული შეთანხმებები დაშვებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 15-ის მე-2 ნაწილის ფარგლებში.
(4) იმ შემთხვევაში, თუ სესხის ხელშეკრულებიდან ხდება მოთხოვნების დათმობა, ნორმის პირველი-მე-3 ნაწილებიდან გამომდინარე ვალდებულებები ახალ კრედიტორსაც ეხება, თუკი თავდაპირველი გამსესხებელი ახალ კრედიტორს არ შეუთანხმდა, რომ მსესხებელთან ურთიერთობაში ისევ თავდაპირველი გამსესხებელი წარსდგება.

§ 494. ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგები
(1) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება და ამ ხელშეკრულების დადებისათვის მომხმარებლის მიერ გაცემული მინდობილობა ბათილია, თუ წერილობითი ფორმა მთლიანობაში არ იქნა დაცული, ან თუ მას აკლია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის §§ 6-სა და 9-13-ში სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული მონაცემებიდან ერთ-ერთი.
(2) მიუხედავად პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნაკლისა, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება ნამდვილია, თუ მსესხებელი იღებს სესხს ან წარადგენს მასზე მოთხოვნას. თუმცა, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების საფუძვლად არსებული საპროცენტო განაკვეთი მცირდება კანონისმიერ საპროცენტო განაკვეთამდე, თუ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული მონაცემები საპროცენტო განაკვეთის ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთის (effektiver Jahreszinsatz) ან საერთო თანხის შესახებ.
(3) თუ მოცემულია მეტისმეტად მცირე ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი, მაშინ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებისთვის საფუძვლად განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი მცირდება იმ საპროცენტო განაკვეთამდე, სანამდეც ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი იყო შემცირებული.
(4) მსესხებელი არ არის ვალდებული, გადაიხადოს ხარჯები, რომლებიც არ არის მითითებული ხელშეკრულებაში. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არაა მოცემული, რა წინაპირობების არსებობისას არის შესაძლებელი ხარჯების ან პროცენტების მისადაგება, მაშინ შესაძლებლობა იმისა, რომ მისადაგება მოხდეს მსესხებლის საზიანოდ, გამოირიცხება.
(5) თუ შეთანხმებულ იქნა განვადების პირობით გადახდა, მაშინ უნდა მოხდეს მათი ოდენობის გამსესხებლის მიერ ხელახლა დაანგარიშება შემცირებული საპროცენტო განაკვეთების ან ხარჯების გათვალისწინებით.
(6) იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არაა მოცემული ხელშეკრულების მოქმედების ვადის ან მისი შეწყვეტის შესახებ მონაცემები, მსესხებელი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება. თუ არაა მოცემული უზრუნველყოფათა შესახებ ინფორმაცია, ვერ მოითხოვება ისინი. მეორე წინადადება არ მოქმედებს მაშინ, როდესაც სესხის ნეტო თანხა 75 000 ევროს აჭარბებს.

(7) გამსესხებელმა უნდა წარუდგინოს მსესხებელს ხელშეკრულების ასლი, სადაც შეტანილ იქნება ხელშეკრულების ცვლილებები, რომლებიც ამ ნორმის მე-2-მე-6 ნაწილებიდან გამომდინარეობს. § 495-ის რეგულირებისაგან განსხვავებით, ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა ამ შემთხვევაში იწყება მაშინ, როდესაც მსესხებელი ხელშეკრულების ასლს მიიღებს.

§ 495. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება

(1) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დროს მსესხებელს აქვს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება, § 355-ის შესაბამისად.

(2) §§ 355-359ა მოქმედებენ იმ ფარგლებში, რომ:

1. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ადგილს იკავებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 6-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სავალდებულო მონაცემები;
2. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა ასევე არ იწყება

ა) ხელშეკრულების დადებამდე და

ბ) მანამ, სანამ მსესხებელი არ მიიღებს სავალდებულო მონაცემებს, § 492-ის მე-2 ნაწილის მიხედვით;

3. მსესხებელი, § 346-ის პირველი ნაწილის დანაწესისგან განსხვავებით, გამსესხებლის წინაშე ვალდებულია აანაზღაუროს დანახარჯები, რომლებიც გამსესხებელმა საჯარო დაწესებულებებში გასწია და არ შეუძლია უკან მოითხოვოს; § 346-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც სესხი უძრავ ქონებაზე გირავნობის უფლებით არის უზრუნველყოფილი.

§ 355-ის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადება და მე-4 ნაწილი არ გამოიყენება.

(3) ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ არსებობს სესხის ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც:

1. სესხის ხელშეკრულებას, რომლის შეწყვეტაზეც გამსესხებელი მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილების გამოა უფლებამოსილი, ავრცობენ ან ანაცვლებენ სესხის დაბრუნების შეთანხმებებით, რათა ამით აცილებულ იქნეს სასამართლო წარმოება და როდესაც მთლიანი დასაბრუნებელი თანხა (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 3) უფრო მცირეა, ვიდრე თავდაპირველი ხელშეკრულების დარჩენილი ვალდებულება;
2. უნდა დამოწმდეს ნოტარიულად, რომ მსესხებლის §§ 491ა-დან და 492-იდან გამომდინარე უფლებები დაცულია, ან
3. შეესაბამებიან § 504-ის მე-2 ნაწილს, ან § 505-ს.

§ 496. უარი შესაგებლის წარდგენაზე, თამასუქისა და ჩეკის აკრძალვა

(1) სამართლებრივი ძალის არმქონეა შეთანხმება, რომლითაც მსესხებელი, მოთხოვნის დათმობის შემთხვევაში, უარს ამბობს ახალი კრედიტორის მიმართ, § 404-ის მიხედვით, შესაგებლის უფლებაზე, რომელიც მას გამსესხებლის მიმართ აქვს, ან უფლებაზე, § 406-ის მიხედვით, განახორციელოს ახალი კრედიტორის მიმართ იმ მოთხოვნის გაქვითვა, რომელიც მას აქვს გამსესხებლის მიმართ.

(2) თუ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამსესხებლის მოთხოვნა დათმობილ იქნა მესამე პირის მიმართ, ან ხდება ცვლილება გამსესხებლის პიროვნებაში, მაშინ გამსესხებელმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მსესხებელს, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 246-ე მუხლის § 1-ის № 1-ის პირველი-მე-3-ის შესაბამისად და მიაწოდოს მას ახალი კრედიტორის საკონტაქტო

ინფორმაცია. მოთხოვნის დათმობისას შეტყობინება ზედმეტია, თუ თავდაპირველი გამსესხებელი და ახალი კრედიტორი შეთანხმდნენ, რომ მსესხებელთან ურთიერთობაში ისევ მხოლოდ გამსესხებელი წარსდგება. თუ მე-2 წინადადების წინაპირობები აღარ არსებობს, შეტყობინება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დამატებით წარდგენილი.

(3) მსესხებელს არ შეიძლება დაეკისროს ვალდებულება, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამსესხებლის მოთხოვნის უფლებებთან დაკავშირებით, შევიდეს თამასუქის სამართლებრივ ურთიერთობაში. გამსესხებელს არ შეუძლია მიიღოს ჩეკი მსესხებლისაგან სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების უზრუნველსაყოფად. მსესხებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს გამსესხებლისაგან თამასუქის ან ჩეკის დაბრუნება, რომელიც გაიცა პირველი ან მე-2 წინადადების დარღვევით. გამსესხებელი პასუხისმგებელია ნებისმიერი ზიანისათვის, რომელიც წარმოექმნება მსესხებელს ასეთი თამასუქის ან ჩეკის გაცემის შედეგად.

§ 497. მსესხებლის მიერ ვადის გადაცილება

(1) იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი აცილებს სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი გადახდების ვადას, მან დავალიანების თანხისათვის უნდა იხადოს პროცენტი, § 288-ის პირველი ნაწილის მიხედვით. ცალკეულ შემთხვევაში, გამსესხებელს შეუძლია, დაადასტუროს უფრო მეტი ზიანის არსებობა, ხოლო მსესხებელს უფრო ნაკლების.

(2) ვადის გადაცილების დადგომის შემდგომ დარიცხული პროცენტი უნდა აღირიცხოს განცალკევებულ ანგარიშზე და იგი არ ექვემდებარება შეტანას კონტოკორენტზე ნაკისრ თანხებსა ან გამსესხებლის სხვა მოთხოვნებთან ერთად. ასეთი პროცენტების მიმართ მოქმედებს § 289-ის მე-2 წინადადება იმ პირობით, რომ გამსესხებელს შეუძლია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთის (§ 246) თანხის ოდენობამდე.

ბიც საკმარისი არ არის მთლიანი ვად (3) მიუხედავად § 367-ის პირველი ნაწილისა, მსესხებლის გადახდები, რომლე ამოსული ვალის დასაფარავად, ჯერ ჩაითვლება საქმისწარმოების ხარჯების ანგარიშში, შემდეგ დარჩენილი ნაკისრი თანხისა (პირველი ნაწილი) და, ბოლოს, პროცენტის (მე-2 ნაწილი) ანგარიშში. გამსესხებელს არა აქვს უფლება, უარი თქვას განვადების პირობით (ნაწილ-ნაწილ) გადახდებზე. სესხის ძირითადი თანხის დაბრუნებისა და პროცენტების გადახდის მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება პირველი ნაწილის მიხედვით, ვადის გადაცილების დაწყების მომენტიდან მათი 197-ე მუხლის პირველი ნაწილის №№ 3-5-ში აღწერილი სახით დადგენის მომენტამდე, მაგრამ არა უმეტეს ათი წლისა მათი წარმოშობის დღიდან. პროცენტების მოთხოვნის უფლებების მიმართ 197-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ გამოიყენება. პირველი-მე-4 წინადადებები არ გამოიყენება იმდენად, რამდენადაც გადახდები ხორციელდება სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, რომელიც, ძირითადად, ეხება პროცენტებზე მოთხოვნას.

§ 498. სესხის მთლიანი თანხის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ გადასახდელი სესხის ხელშეკრულებების შემთხვევაში

(1) ნაწილ-ნაწილ გადასახდელი სესხის ხელშეკრულებების შემთხვევაში, მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილების გამო გამსესხებელს შეუძლია, შეწყვიტოს სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. მსესხებელმა სესხის ნორმირებული თანხიდან (Nennbetrag) ან ნაწილ-ნაწილ გადასახდელი ფასიდან მთლიანად ან ნაწილობრივ ზედიზედ გადააცილა, სულ ცოტა, ორ გადახდას და, სულ ცოტა, 10 პროცენტით, ხოლო სამ წელზე მეტი ვადით დადებული სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში, სულ ცოტა ხუთი პროცენტით; და
2. გამსესხებელმა უშედეგოდ მისცა ორკვირიანი ვადა დარჩენილი თანხის გადახდისათვის და განუცხადა, რომ ამ ვადის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში იგი მოითხოვდა მთლიან დარჩენილ თანხას.

გამსესხებელმა მის მიერ განსაზღვრული ვადის გასვლამდე მსესხებელს უნდა შესთავაზოს მოლაპარაკების წარმოება დავის მორიგებით გადაწყვეტის თაობაზე.

§ 499 გამსესხებლის უფლება ხელშეკრულების შეწყვეტაზე; შესრულებაზე უარის თქმის უფლება

(1) სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებაში გამსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებაზე შეთანხმება ბათილია, თუ შეთანხმებულია ხელშეკრულების მოქმედების განსაზღვრული ვადა, ან ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა ორ თვეზე ნაკლებია.

(2) თუ არ არის სესხის უკან დაბრუნების დრო განსაზღვრული, შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, გამსესხებელი უფლებამოსილია, ობიექტური საფუძვლით უარი თქვას სესხის მიცემაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც გამსესხებელს გამიზნული აქვს ამ უფლების გამოყენება, მან ეს მსესხებელს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს და უარის საფუძველი კი, რაც შეიძლება ადრე, არა უგვიანეს უფლების გამოყენების შემდგომ, დაუყოვნებლივ შეატყობინოს. საფუძვლის შეტყობინება შეიძლება არ განხორციელდეს, თუ ამით საფრთხე ექმნება საჯარო უსაფრთხოებას ან წესრიგს.

§ 500. მსესხებლის უფლება ხელშეკრულების შეწყვეტაზე, სესხის დაბრუნება ვადამდე

(1) მსესხებელს შეუძლია, ვადის დაუცველად მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ის სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება, რომლის დროსაც სესხის დაბრუნების ვადა არ არის განსაზღვრული. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადაზე შეთანხმება, რომელიც შეწყვეტისთვის ითვალისწინებს ერთ თვეზე მეტ დროს, ბათილია.

(2) მომხმარებელს შეუძლია, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავისი ვალდებულება მთლიანად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე შეასრულოს.

§ 501. ხარჯების შემცირება

რამდენადაც მსესხებელი თავის ვალდებულებას განსაზღვრულ ვადაზე ადრე ასრულებს ან ვალდებულების დარჩენილი ნაწილის დაბრუნება შეთანხმებულ დრომდე ხელშეკრულების შეწყვეტით ვადამოსული ხდება, მთლიანი ხარჯები მცირდება (ფასების მონაცემთა შესახებ დადგენილების § 6-ის მე-3 ნაწილი) იმ პროცენტებით და სხვა მიმდინარე ხარჯებით, რომლებიც წარმოიშობა დროის მიხედვით გადანაწილებული დათვლისას ვადამოსულობის დადგომის ან შესრულების შემდგომ.

§ 502. სესხის ვადამოსულობამდე დაფარვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება

(1) სესხის ვადამოსულობამდე დაბრუნების შემთხვევაში გამსესხებელს შეუძლია, ამით უშუალოდ გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, როდესაც გამსეს-

ხებელი სესხის უკან დაბრუნების მომენტში ხელშეკრულების დადებისას შეთანხმებულ ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთის გადახდაზეა ვალდებული. ვადამოსულობამდე სესხის დაფარვით წარმოშობილმა ზიანის ანაზღაურების თანხამ არ უნდა გადააჭარბოს:

1. ვადამდე დაბრუნებული თანხის 1%-ს ან 0,5 %-ს მაშინ, როდესაც ვადამდელ დაბრუნების დროსა და დაბრუნების შეთანხმებულ დროს შორის 1 წელზე მეტი არ არის გასული;
2. საპროცენტო განაკვეთების თანხის ოდენობას, რომელიც მსესხებელს უნდა ეხადა ვადამდე დაბრუნებისა და დაბრუნებისთვის შეთანხმებულ დროთა შორის პერიოდში.

(2) მოთხოვნა სესხის ვადამოსულობამდე დაფარვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე გამორიცხულია მაშინ, როდესაც:

1. სესხის დაბრუნება იმ დაზღვევიდან მოხდა, რომელიც სესხის ხელშეკრულებაში გაფორმებულ იქნა შესაბამისი ვალდებულებითი ბოჭვის ფარგლებში სესხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უზრუნველსაყოფად; ან
2. ხელშეკრულებაში არასაკმარისადაა განსაზღვრული მონაცემები ხელშეკრულების მოქმედების ვადის, მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შესახებ ან მოთხოვნა სესხის ვადამოსულობამდე დაფარვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების დაანგარიშების შესახებ.

§ 503. უძრავი ქონების სესხის ხელშეკრულებები

(1) § 497-ის მე-2 ნაწილი და მე-3 ნაწილის პირველი, მე-2, მე-4, მე-5 წინადადებები და ასევე §§ 499, 500 და 502 არ მოქმედებს იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა დროსაც სესხის გაცემა დამოკიდებულია უძრავი ქონებაზე დადგენილ უზრუნველყოფის უფლებაზე და იმ პირობებით ხორციელდება, რომლებიც ჩვეულია უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ხელშეკრულებებისთვის და მათი შუალედური დაფინანსებისთვის (Zwischenfinanzierung); უძრავი ქონებით უზრუნველყოფას უთანაბრდება, როდესაც ასეთი გათვალისწინებულია გერმანიის სამშენებლო საფონდო ინსტიტუტების შესახებ კანონის § 7-ის მე-3-მე-5 ნაწილების მიხედვით (Bausparkassengesetz).

(2) § 497-ის პირველი ნაწილის რეგულირებისგან განსხვავებით, ვადის გადაცილების საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ ბაზისურ საპროცენტო განაკვეთს დამატებული 2,5%.

(3) § 498-ის პირველი წინადადების № 1 მოქმედებს იმ ფარგლებში, რომ მსესხებელი ვადის გადაცილებაში უნდა იმყოფებოდეს ერთმანეთის მიყოლებით, სულ ცოტა, ორი სრულად ან ნაწილობრივ გადაუხდელი სესხის ნაწილების გამო და სესხის ნომინალური თანხის, სულ ცოტა, 2,5%-ით.

§ 504. ოვერდრაფტის უფლების მინიჭება

(1) თუ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება ისეთი სახითაა გაფორმებული, რომ გამსესხებელი ხელშეკრულების ურთიერთობის ფარგლებში მსესხებელს უფლებას ანიჭებს, განსაზღვრული თანხით გადააჭარბოს თავის მიმდინარე ანგარიშზე არსებულ სალდოს (ოვერდრაფტის უფლება), გამსესხებელმა პერიოდულობით უნდა განუმარტოს მსესხებელს ის მონაცემები, რომლებიც გამომდინარეობს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 16-იდან. § 502-იდან გამომდინარე სესხის ვადამოსულობამდე დაფარვით წარმოშობილი ზიანის ანაზღა-

ურება გამოირიცხება. § 493-ის მე-3 ნაწილი გამოიყენება მხოლოდ საპროცენტო განაკვეთის გაზრდისას და შესაბამისად მოქმედებს შეთანხმებული სხვა დანარჩენი ხარჯების გაზრდის მიმართ. § 499-ის პირველი ნაწილი არ გამოიყენება.
(2) თუ ოვერდრაფტის უფლების ფარგლებში შეთანხმებულია, რომ ჩარიცხვის შემდგომ მოქმედების ვადა მაქსიმუმ 3 თვეს შეადგენს, ან გამსესხებელს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება აქვს ვადის დათქმის გარეშე, § 491ა-ს მე-3 ნაწილი, §§ 495, 499-ის მე-2 ნაწილი და § 500-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება არ გამოიყენება. § 492-ის პირველი ნაწილი არ გამოიყენება მაშინ, როდესაც, საპროცენტო განაკვეთის გარდა, სხვა მიმდინარე ხარჯები არაა შეთანხმებული, საპროცენტო განაკვეთი სამ თვეზე ნაკლებ ვადაში არ ხდება ვადამოსული და გამსესხებელმა მსესხებელს ხელშეკრულების შინაარსი შეატყობინა დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს ხელშეკრულების დადების შემდგომ ტექსტუალური ფორმით.

§ 505. ოვერდრაფტის თმენა
(1) იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე მომხმარებელთან ხელშეკრულებაში შეათანხმებს, რომ მიმდინარე ანგარიშისთვის, რომელზეც დაშვებული არაა ოვერდრაფტის შესაძლებლობა, ანაზღაურების სანაცვლოდ მოითმენს ამ ანგარიშზე არსებული სალდოს გადაჭარბებას, ასეთი ხელშეკრულება ტექსტუალური ფორმით უნდა მოიცავდეს მონაცემებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 17-ის პირველი ნაწილის მიხედვით და ტექსტუალური ფორმით შეტყობინებულ უნდა იქნეს მომხმარებლისთვის დროის გარკვეული პერიოდულობით. პირველი წინადადება მოქმედებს შესაბამისად იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამსესხებელი მსესხებელთან ხელშეკრულებაში შეათანხმებს, რომ მიმდინარე ანგარიშისთვის, რომელზეც დაშვებულია ოვერდრაფტის შესაძლებლობა, ანაზღაურების სანაცვლოდ მოითმენს ამ ანგარიშზე არსებული, ხელშეკრულებით შეთანხმებული, სალდოს ოდენობის გადაჭარბებას.
(2) თუ პირველი ნაწილის შემთხვევაში საქმე ეხება მნიშვნელოვან გადაჭარბებას ერთ თვეზე მეტი ხნის ვადით, გამსესხებელმა ტექსტუალური ფორმით უნდა განუმარტოს მსესხებელს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის § 17-ის მე-2 ნაწილში დარეგულირებული მონაცემები.
(3) თუ მეწარმე ნორმის პირველ და მე-2 ნაწილებში მითითებულ ვალდებულებებს დაარღვევს, იგი ვეღარ მოითხოვს სესხის დაბრუნებისას ხარჯებს და პროცენტებს.
(4) §§ 491ა – 496 და 499 – 502 არ მოქმედებს იმ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც ამ ნორმის პირველ ნაწილში მოხსენიებული წინაპირობებით იდება.

ქვეკარი 2. ფინანსური დახმარება მეწარმესა და მომხმარებელს შორის

§ 506. გადახდის გადავადება, ფინანსური დახმარება
(1) §§ 358–359ა-სა და 491ა–502-ის რეგულირებები, § 492-ის მე-4 ნაწილის გამონაკლისის და მე-3 და მე-4 ნაწილების პირობათა გათვალისწინებით, შესაბამისად, გამოიყენებიან იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა თანახმადაც, მეწარმე სასყიდლიანად უვადებს მომხმარებელს გადახდას, ან სხვა სახის სასყიდლიან ფინანსურ დახმარებას უწევს მას.

(2) მეწარმესა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულებები საგანთა სასყიდლიანი გამოყენების თაობაზე ჩაითვლება სასყიდლიან ფინანსურ დახმარებად, როდესაც შეთანხმებულია, რომ:

1. მომხმარებელი ვალდებულია, შეიძინოს საგანი;
2. მეწარმეს შეუძლია, მომხმარებლისგან მოითხოვოს საგნის შეძენა; ან
3. მომხმარებელი ხელშეკრულების დასრულებისას საგნის გარკვეული ღირებულების არსებობაზე პასუხისმგებლობას იღებს.

ამ ნორმის პირველი წინადადების № 3-ში გათვალისწინებული ხელშეკრულებების მიმართ § 500-ის მე-2 ნაწილი და § 502 არ გამოიყენება.

(3) იმ ხელშეკრულებებისთვის, რომელთა საგანია განსაზღვრული ნივთის მიწოდება ან სხვა რაიმე ვალდებულების შესრულება განვადებით გადახდის პირობით (განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებები), მე-4 ნაწილის პირობების გათვალისწინებით, დამატებით მოქმედებს §§ 507-სა და 508-ში დარეგულირებული სპეციალური რეგულირებები.

(4) ამ ქვეკარის ნორმები არ გამოიყენება § 491-ის მე-2 და მე-3 ნაწილებში განსაზღვრული მოცულობით. რამდენადაც ხელშეკრულების ტიპის გამო სესხის ნეტო თანხა (§ 491-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება) არაა განსაზღვრული, მის ადგილს იკავებს ნაღდი ანგარიშსწორებით გადასახდელი ფასი, ხოლო თუ მეწარმემ საგანი მომხმარებლისთვის შეიძინა, – ამ შეძენისას გადახდილი ფასი.

§ 507. განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებები

(1) § 494-ის პირველი-მე-3 ნაწილები და მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება არ გამოიყენება განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებების მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ხელშეკრულების დადებაზე თავის შეთავაზებას აკეთებს სარეკლამო კატალოგის ან მსგავსი ელექტრონული საშუალების საფუძველზე, რომლიდანაც ცხადად ჩანს ერთჯერადად გადასახდელი ფასი, საპროცენტო განაკვეთი, ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი, გადახდის გეგმა სრული თანხის მაგალითზე, ასევე, წარსადგენი უზრუნველყოფები და დაზღვევები, § 492-ის პირველი ნაწილი არ გამოიყენება, თუკი მეწარმე მომხმარებელს ხელშეკრულების შინაარსს შეატყობინებს ტექსტუალური ფორმით, დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს ხელშეკრულების დადების შემდგომ.

(2) განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგება ბათილია მაშინ, როდესაც § 492-ით დადგენილი წერილობითი ფორმა არ იქნება დაცული, ან ხელშეკრულებას აკლია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის §§ 6-ში, 12-სა და 13-ში განსაზღვრული მონაცემები. პირველ წინადადებაში გათვალისწინებული ხარვეზის მიუხედავად, განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგება ნამდვილია მაშინ, როდესაც მომხმარებელს ნივთი გადაეცემა, ან მის მიმართ ვალდებულება შესრულდება. ამასთანავე, ერთჯერადად გადასახდელ თანხას უნდა დაერიცხოს, მაქსიმუმ, კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთი მაშინ, როდესაც ხელშეკრულებაში არაა მოცემული ჯამური თანხა ან ეფექტური წლიური პროცენტი. იმ შემთხვევაში, თუ ერთჯერადად გადასახდელი თანხა არაა მოცემული, დავის შემთხვევაში, ასეთად მიიჩნევა საბაზრო ფასი. თუ მოცემულია მეტისმეტად მცირე ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი, მაშინ მთლიანი თანხა მცირდება იმ საპროცენტო განაკვეთამდე, სანამდეც ეფექტური წლიური საპროცენტო განაკვეთი იყო შემცირებული.

(3) ამ კანონის §§ 491ა-ს, 492-ის მე-2 ნაწილისა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 247-ე მუხლის §§ 3-ის, 6-ისა, 12-ის რეგულირებების მიუხედავად,

არ არის საჭირო წინასახელშეკრულებო სტადიაზე მიწოდებულ ინფორმაციასა და თვით ხელშეკრულებაში ერთჯერადად გადასახდელი ფასისა და ეფექტური წლიური განაკვეთის მითითება მაშინ, როდესაც მეწარმე ნივთის მიწოდებას და ვალდებულების შესრულებას ახორციელებს მხოლოდ განვადებით გადახდის პირობით. § 501-ის შემთხვევაში ხარჯების შემსუბუქების დათვლას საფუძვლად უნდა დაედოს კანონისმიერი საპროცენტო განაკვეთი (§ 246). ვადამოსულობამდე თანხის დაფარვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა გამოირიცხება.

§ 508. ნივთის უკან დაბრუნების უფლება; განვადებით გადახდის პირობით დადებული ხელშეკრულებიდან გასვლა

(1) § 495-ის პირველი ნაწილით დადგენილი მომხმარებლის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ნაცვლად, შესაძლებელია, მომხმარებელს მიენიჭოს § 356-ის შესაბამისად ნივთის უკან დაბრუნების უფლება ისეთი ხელშეკრულებების დროს, რომელთა საგანია რაიმე განსაზღვრული ნივთის მიწოდება. § 495-ის მე-2 ნაწილი უკან დაბრუნების უფლების მიმართ მოქმედებს შესაბამისად.

(2) მომხმარებლის მიერ გადახდის დაგვიანებისას მეწარმეს უფლება აქვს, განვადებით გადახდის პირობით დადებული ხელშეკრულებიდან გავიდეს მხოლოდ § 498-ის პირველი ნაწილში დადგენილი წინაპირობების დაცვით. ნომინალურ თანხას (Nennbetrag) შეესაბამება ჯამური თანხა (Gesamtbetrag). მომხმარებელმა მეწარმეს უნდა აუნაზღაუროს ასევე ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული დანახარჯები. უკან დაბრუნებული ნივთით მიღებული სარგებლის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნივთის ფასის შემცირება. თუ მეწარმე განვადებით გადახდის პირობით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ნივთს უკან იღებს, ეს ჩაითვლება როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეწარმე უთანხმდება მომხმარებელს, რომ იგი ამ უკანასკნელს აუნაზღაურებს ნივთის უკან აღების დროს არსებულ ნივთის საბაზრო ფასს. მე-5 წინადადება მოქმედებს შესაბამისად, როდესაც ხელშეკრულება ნივთის მიწოდებაზე სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულებასთან არის დაკავშირებული (§ 358) და როდესაც გამსესხებელი ნივთს იღებს; ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში გამსესხებელსა და მომხმარებელს შორის სამართლებრივი ურთიერთობა განისაზღვრება მე-3 და მე-4 წინადადებების მიხედვით.

§ 509. კრედიტუნარიანობის შემოწმება

სასყიდლიანი ფინანსური დახმარების ხელშეკრულების დადებამდე მეწარმემ უნდა შეაფასოს მომხმარებლის კრედიტუნარიანობა. შეფასების საფუძველი შესაძლოა იყოს მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია და საჭიროების შემთხვევაში იმ დაწესებულებების ინფორმაცია, რომლებიც პიროვნების საქმიანობასთან დაკავშირებულ მონაცემებს და რომელთა გამოყენებაც დაშვებულია მომხმარებელთა კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, აგროვებენ მათი გადაცემის მიზნით, ინახავენ ან ცვლიან. პიროვნებასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის რეგულირებები ხელუხლებელი რჩება.

ქვეკარი 3. საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულება მეწარმესა და მომხმარებელს შორის

§ 510. საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულება

(1) მე-2 წინადადების გათვალისწინებით, მეწარმესთან ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებშიც მომხმარებლის ნების გამოვლენა მიმართულია იმ ხელშეკრულების დადებისაკენ, რომელიც:

1. ეხება სხვადასხვა ერთმანეთთან დაკავშირებული გაყიდული ნივთის ნაწილ-ნაწილ მიწოდებას და რომელთა საზღაურიც გადახდილ უნდა იქნეს ნაწილ-ნაწილ ნივთების ერთობლიობისათვის; ან
2. ეხება ერთი და იმავე სახეობის ნივთების პერიოდულ მიწოდებას; ან
3. ეხება ნივთების პერიოდულად შეძენისა თუ შესყიდვის ვალდებულებას და მომხმარებელს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება § 355-ის მიხედვით. ეს წესი არ მოქმედებს § 491-ის მე-2 და მე-3 ნაწილებში განსაზღვრულ ფარგლებში. § 491-ის მე-2 ნაწილის № 1-ში მითითებული სესხის ნეტო თანხა უთანაბრდება მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე შეძლებისდაგვარად ყველაზე ადრე გადასახდელი ნაწილ-ნაწილ გადახდის ყველა თანხას.

(2) პირველი ნაწილის მიხედვით, ფასის გადახდის განვადებით საქონლის მიწოდების ხელშეკრულება საჭიროებს წერილობითი ფორმით დადებას. პირველი წინადადება არ მოქმედებს, თუ მომხმარებელს ეძლევა შესაძლებლობა, ხელშეკრულების დადებისას გამოითხოვოს ხელშეკრულების პირობები, მათ შორის, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და შეინახოს ისინი რეპროდუქციაუნარიანი ფორმით. მეწარმემ უნდა შეატყობინოს მომხმარებელს ხელშეკრულების შინაარსი ტექსტუალური ფორმით.

ქვეკარი 4. ხელშეკრულების პირობების შეცვლის დაუშვებლობა, ნორმების მოქმედების სფერო დამწყები მეწარმის მიმართ

§ 511. განსხვავებული შეთანხმებები

თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დაუშვებელია §§ 491-510-ის ნორმებისაგან განსხვავებული რეგულირება მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ. ეს ნორმები მოქმედებს ასევე იმ შემთხვევებშიც, როდესაც მათ უვლიან გვერდს სხვაგვარი გაფორმებით.

§ 512. ნორმათა მოქმედების სფერო დამწყები მეწარმის მიმართ

§§ 491-511 მოქმედებს ასევე იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებსაც მიეცათ სესხი, გადახდის განვადება ან სხვა ფინანსური დახმარება სამეწარმეო ან საკუთარი პროფესიული საქმიანობის დაწყებისათვის, ან, რომლებიც ამ მიზნით დებენ საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სესხის ნეტო თანხა ან ერთჯერადად გადასახდელი თანხა აღემატება 75 000 ევროს.

§§ 513-515 *(გაუქმებულია)*

კარი 4. ჩუქება

§ 516. ჩუქების ცნება

(1) ქონების გადაცემა, რომლითაც ერთი პირი საკუთარი ქონების ხარჯზე ამდიდრებს სხვა პირს, არის ჩუქება, თუ ორივე მხარე თანახმაა, ქონების გადაცემა მოხდეს უსასყიდლოდ.

(2) თუ ქონების გადაცემა ხორციელდება მეორე მხარის თანხმობის გარეშე, მაშინ ქონების გადამცემს შეუძლია, ამ უკანასკნელს მოსთხოვოს მიღების შესახებ განცხადების გაკეთება სათანადო ვადის დადგენით. ვადის გასვლის შემდეგ საჩუქარი ითვლება მიღებულად, თუ მეორე მხარე წინასწარ უარს არ განაცხადებს მასზე. უარის თქმის შემთხვევაში, გადაცემული ქონების უკან დაბრუნება შეიძლება იქნეს მოთხოვნილი უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად.

§ 517. ქონების შეძენისაგან თავის შეკავება

ჩუქება არ არის, თუ ვინმე სხვა პირის სასარგებლოდ თავს იკავებს ქონების შეძენისაგან ან უარს ამბობს შესაძლო, თუმცა, ჯერ კიდევ საბოლოოდ მიუღებელ უფლებაზე, ან უარს აცხადებს სამკვიდროსა თუ საანდერძო დანაკისრზე.

§ 518. ჩუქების შეპირების ფორმა

(1) იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც ჩუქების სახით ხდება ვალდებულების შესრულების შეპირება, საჭიროა შეპირების სანოტარო წესით დამოწმება. ანალოგიური წესი მოქმედებს შეპირების ან აღიარების შესახებ განცხადების მიმართ, როდესაც ვალის შეპირება ან ვალის აღიარება ხორციელდება ჩუქების სახით, §§ 780-სა და 781-ში მოცემული სახით.

(2) ფორმის ნაკლი სწორდება შეპირებული ვალდებულების შესრულების განხორციელებით.

§ 519. შესაგებელი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის გამო

(1) მჩუქებელი უფლებამოსილია, უარი თქვას ჩუქების შეპირების შესრულებაზე, თუ იგი, მისი სხვა ვალდებულებების გათვალისწინებით, უუნაროა, შეასრულოს შეპირება ისე, რომ არ შეუქმნას საფრთხე საკუთარ სათანადო დონეზე არსებობას ან მასზე კანონით დაკისრებული რჩენის ვალდებულებების შესრულებას.

(2) თუ რამდენიმე დასაჩუქრებულის მოთხოვნის უფლებები უპირისპირდება ერთმანეთს, მაშინ უპირატესობა ენიჭება უფრო ადრე წარმოშობილ მოთხოვნის უფლებას.

§ 520. რჩენის ვალდებულების შეწყვეტა

თუ მჩუქებელი ჰპირდება რჩენას, რომელიც გამოიხატება პერიოდული გადახდებით, მაშინ ვალდებულება წყდება მისი გარდაცვალებით, თუკი შეპირებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 521. მჩუქებლის პასუხისმგებლობა

მჩუქებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

§ 522. ვადის გადაცილების პროცენტები

მჩუქებელი არ არის ვალდებული, გადაიხადოს ვადის გადაცილების პროცენტები.

§ 523. პასუხისმგებლობა უფლებრივი ნაკლისათვის

(1) თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით მალავს უფლებრივ ნაკლს, იგი ვალდებულია, დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

(2) თუ მჩუქებელმა იკისრა იმ ნივთის გადაცემა, რომელიც მან ჯერ უნდა შეიძინოს, მაშინ დასაჩუქრებულს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება უფლებრივი ნაკლის გამო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ ნაკლი ცნობილი იყო მჩუქებლისათვის ნივთის შეძენისას ან მან ამის შესახებ არ იცოდა უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად. შესაბამისად გამოიყენება § 433-ის პირველი ნაწილის და §§ 435-ის, 436-ის, 444-ის, 452-ის, 453-ის ნორმები უფლებრივი ნაკლისათვის გამყიდველის პასუხისმგებლობის შესახებ.

§ 524. პასუხისმგებლობა ნივთობრივი ნაკლისათვის

(1) თუ მჩუქებელი ბოროტი განზრახვით მალავს გაჩუქებული ნივთის ნაკლს, იგი ვალდებულია, დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

(2) თუ მჩუქებელმა იკისრა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემა, რომელიც მან ჯერ უნდა შეიძინოს, მაშინ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცემული ნივთი ნაკლის მქონეა და მჩუქებელმა ნივთის შეძენისას იცოდა ნაკლის შესახებ, ან მან ამის შესახებ არ იცოდა უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად, დასაჩუქრებულს შეუძლია მოითხოვოს ნაკლის მქონე ნივთის ნაცვლად მისთვის უნაკლო ნივთის მიწოდება; თუ მჩუქებელმა ნაკლი ბოროტი განზრახვით დამალა, მაშინ დასაჩუქრებულს უნაკლო ნივთის გადაცემის ნაცვლად შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურება. ამ მოთხოვნის უფლებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება გაყიდული ნივთის ნაკლისათვის გარანტიის შესახებ ნორმები.

§ 525. ჩუქება ვალდებულების დაკისრებით

(1) პირს, რომელიც ახორციელებს ჩუქებას ვალდებულების დაკისრებით, შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, თუ მან, თავის მხრივ, უკვე განახორციელა შესრულება.

(2) თუ ვალდებულების შესრულება საჯარო ინტერესშია, მაშინ მჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა შეუძლია ასევე კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოსაც.

§ 526. დაკისრებული ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა

რამდენადაც უფლებრივი ნაკლის ან გაჩუქებული ნივთის ნივთობრივი ნაკლის შედეგად გადაცემული ქონების ღირებულება ვერ აღწევს ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო ხარჯების ოდენობას, დასაჩუქრებული უფლებამოსილია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე ნაკლის შედეგად წარმოშობილი ნაკლული თანხის კომპენსაციამდე; თუ დასაჩუქრებული ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას ისე, რომ არ იცის ნაკლის შესახებ, მაშინ მას შეუძლია, მჩუქებლისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულების შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი ნაკლის გამო აღემატება გადაცემული ქონების ღირებულებას.

§ 527. დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა

(1) თუ ვალდებულება არ სრულდება, მაშინ მჩუქებელს შეუძლია მოითხოვოს საჩუქრის უკან დაბრუნება ორმხრივი ხელშეკრულებებისას ხელშეკრულებიდან გასვლის

უფლებისათვის დადგენილი პირობების მიხედვით უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად იმ ფარგლებში, რომლებშიც საჩუქარი უნდა ყოფილიყო გამოყენებული ვალდებულების შესრულებისათვის.
(2) მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ მესამე პირი უფლებამოსილია, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება.

§ 528. საჩუქრის გამოთხოვის მოთხოვნა მჩუქებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების გამო
(1) რამდენადაც მჩუქებელი ჩუქების განხორციელების შემდეგ უუნაროა, ღირსეულ დონეზე ირჩინოს თავი, ან განახორციელოს მასზე კანონით დაკისრებული რჩენის მოვალეობა თავისი ნათესავების, მეუღლის, თანაცხოვრების პარტნიორისა თუ ყოფილი მეუღლის ან ყოფილი თანაცხოვრების პარტნიორის მიმართ, მაშინ მას შეუძლია, დასაჩუქრებულისაგან მოითხოვოს საჩუქრის დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად. დასაჩუქრებულს შეუძლია, თავიდან აიცილოს საჩუქრის დაბრუნება რჩენისათვის საჭირო თანხის გადახდით. დასაჩუქრებულის ვალდებულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება § 760, ისევე როგორც ნათესავის რჩენის ვალდებულების მიმართ მოქმედი § 1613-ით რეგულირება, ხოლო მჩუქებლის გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე §1615.
(2) რამდენიმე დასაჩუქრებულიდან ყველაზე ადრე დასაჩუქრებული პასუხს აგებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც უფრო გვიან დასაჩუქრებული არ არის ვალდებული.

§ 529. საჩუქრის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების გამორიცხვა
(1) საჩუქრის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ მჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ხელი შეუწყო თავისი თავის მძიმე მდგომარეობაში ჩაგდებას, ან, თუ მისი მძიმე მდგომარეობის დადგომის მომენტისათვის ნაჩუქარი ნივთის გადაცემის შემდეგ გავიდა ათი წელი.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს იმდენად, რამდენადაც დასაჩუქრებული მისი, სხვა ვალების გათვალისწინებით, უუნაროა, დააბრუნოს ნაჩუქარი ნივთი ისე, რომ არ შეუქმნას საფრთხე თავისი თავის ღირსეულ დონეზე არსებობას ან მასზე კანონით დაკისრებული რჩენის მოვალეობის განხორციელებას.

§ 530. ჩუქების გაუქმება
(1) ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მძიმე გადაცდომის ჩადენით იჩენს დიდ უმადურობას.
(2) მჩუქებლის მემკვიდრეს ეკუთვნის ჩუქების გაუქმების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებულმა განზრახ და მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მოუსპო სიცოცხლე მჩუქებელს ან ხელი შეუშალა ჩუქების გაუქმების განხორციელებას.

§ 531. ჩუქების გაუქმების განცხადება
(1) ჩუქების გაუქმება ხორციელდება დასაჩუქრებულის მიმართ გაკეთებული განცხადებით.
(2) თუ ჩუქება გაუქმდა, მაშინ საჩუქრის დაბრუნება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად.

§ 532. ჩუქების გაუქმების გამორიცხვა
ჩუქების გაუქმება გამორიცხულია, თუ მჩუქებელმა აპატია დასაჩუქრებულს ან გავიდა ერთი წელი იმ მომენტიდან, როდესაც ჩუქების გაუქმებაზე უფლებამოსილმა პირმა შეიტყო თავისი უფლების რეალიზაციის წინაპირობების დადგომის შესახებ. დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემდეგ ჩუქების გაუქმება აღარ არის დასაშვები.

§ 533. ჩუქების გაუქმების უფლებაზე უარი
ჩუქების გაუქმების უფლებაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც უმადურობა ცნობილი გახდა ჩუქების გაუქმებაზე უფლებამოსილი პირისათვის.

§ 534. მორალური ვალდებულების გამო გაკეთებული ნაჩუქრობები და ნაჩუქრობები ზრდილობისათვის
ნაჩუქრობები, რომლებიც შეესაბამება მორალურ ვალდებულებას, ან გაკეთდა ზრდილობისათვის, არ ექვემდებარება გამოთხოვასა და გაუქმებას.

კარი 5. ქირავნობის ხელშეკრულება, საიჯარო ხელშეკრულება

ქვეკარი 1. ქირავნობის ურთიერთობებთან დაკავშირებული ზოგადი ნორმები

§ 535. ქირავნობის ხელშეკრულების შინაარსი და ძირითადი ვალდებულებები
(1) ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი ვალდებულია, ქირავნობის ვადის განმავლობაში უზრუნველყოს დამქირავებლის მიერ ქირავნობის ნივთის გამოყენება. გამქირავებელმა ქირავნობის ობიექტი უნდა გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში და შეინარჩუნოს იგი ამ სახით ქირავნობის ვადის განმავლობაში. მას ეკისრება ქირავნობის ობიექტის მიმართ არსებული ყველა გადასახდელი.
(2) დამქირავებელი ვალდებულია, გამქირავებელს გადაუხადოს შეთანხმებული ქირა.

§ 536. ქირის შემცირება ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლის გამო
(1) თუ ქირავნობის ობიექტს დამქირავებლისათვის მისი გადაცემისას აქვს ნაკლი, რომელიც გამორიცხავს მის ვარგისიანობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის, ან თუ ასეთი ნაკლი წარმოიშობა ქირავნობის ვადის განმავლობაში, მაშინ დამქირავებელი თავისუფლდება ქირის გადახდისაგან იმ ვადის განმავლობაში, როდესაც გამორიცხულია ვარგისიანობა. იმ ვადის განმავლობაში, როდესაც ვარგისიანობა მცირდება, გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ შესაბამისად შემცირებული ქირა. ვარგისიანობის უმნიშვნელო შემცირება მხედველობაში არ მიიღება.
(2) პირველი ნაწილის პირველი და მე-2 წინადადებები მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს გარანტირებული თვისებები, ან ისინი მოგვიანებით ქრება.
(3) თუ დამქირავებელს მესამე პირის უფლების შედეგად სრულად ან ნაწილობრივ შეეშლება ხელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სარგებლობაში, მაშინ, შესაბამისად, მოქმედებს პირველი და მე-2 ნაწილები.

(4) საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შემთხვევაში, დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 536ა. ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი ზიანისა და დანახარჯების ანაზღაურება
(1) თუ § 536-ით განსაზღვრული ნაკლი სახეზეა ხელშეკრულების დადების მომენტში, ან, თუ ასეთი ნაკლი მოგვიანებით წარმოიშობა იმ გარემოებების შედეგად, რომელთათვისაც პასუხისმგებელია გამქირავებელი, ან ეს უკანასკნელი აყოვნებს ნაკლის აღმოფხვრას, მაშინ დამქირავებელს შეუძლია, § 536-იდან გამომდინარე უფლებების შეზღუდვის გარეშე, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.
(2) დამქირავებელს შეუძლია, თავად აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება, თუ:
1. გამქირავებელი აყოვნებს ნაკლის აღმოფხვრას, ან
2. ნაკლის დაუყოვნებელი აღმოფხვრა აუცილებელია ქირავნობის ობიექტის მდგომარეობის შენარჩუნებისა თუ აღდგენისათვის.

§ 536ბ. დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტში ან აქცეპტის გაკეთებისას ნაკლის შესახებ ინფორმაციის ქონა
თუ დამქირავებელმა ხელშეკრულების დადების მომენტში იცის ქირავნობის ობიექტის ნაკლის შესახებ, მაშინ მას არ ენიჭება §§ 536-იდან და 536ა-დან გამომდინარე უფლებები. თუ მან ნაკლის შესახებ არ იცის უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად, მაშინ ეს უფლებები მას ეკუთვნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამქირავებელმა ნაკლი განზრახ დამალა. თუ დამქირავებელი ნაკლის მქონე ნივთს იღებს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილია ნივთის ნაკლი, მაშინ მას შეუძლია, §§ 536-იდან და 536ა-დან გამომდინარე უფლებების რეალიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიღებისას თავისი უფლებების შენარჩუნების შესახებ აკეთებს დათქმას.

§ 536გ. ქირავნობის ვადის განმავლობაში წარმოშობილი ნაკლი; დამქირავებლის მიერ ნაკლის შესახებ შეტყობინება
(1) თუ ქირავნობის ობიექტის ნაკლი გამოვლინდება ქირავნობის ვადის განმავლობაში, ან, თუ აუცილებელი ხდება ზომების მიღება არაპროგნოზირებადი საფრთხისაგან ქირავნობის ობიექტის დასაცავად, მაშინ ამის შესახებ დამქირავებელმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს გამქირავებელს. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მესამე მხარე განაცხადებს თავის უფლებას ნივთზე.
(2) თუ დამქირავებელი არ ატყობინებს გამქირავებელს აღნიშნულის შესახებ, მაშინ მას ეკისრება ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ გამქირავებელს შეუტყობინებლობის შედეგად არ შეუძლია ნაკლის აღმოფხვრა, დამქირავებელს არა აქვს უფლება:
1. მოახდინოს § 536-ში დადგენილი უფლებების რეალიზაცია;
2. მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, § 536ა-ს თანახმად; ან
3. ნაკლის აღმოსაფხვრელად მისაცემი სათანადო ვადის დადგენის გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება, § 543-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად.

§ 536დ. ნაკლის გამო ხელშეკრულებით დამქირავებლის უფლებების გამორიცხვა
გამქირავებელს არ შეუძლია, მიუთითოს შეთანხმებაზე, რომლითაც ქირავნობის ნივთის ნაკლის გამო დამქირავებლის უფლებები გამორიცხული ან შეზღუდულია, თუ მან ნაკლი განზრახ დამალა.

§ 537. ქირის გადახდა პირადი მიზეზით სარგებლობის ხელშეშლის შემთხვევაში
(1) დამქირავებელი არ თავისუფლდება ქირის გადახდის ვალდებულებისაგან იმის გამო, რომ მას პირადი მიზეზით ხელი ეშლება საკუთარი სარგებლობის უფლების რეალიზაციაში. თუმცა, გამქირავებელმა უნდა დაუშვას დაზოგილი ხარჯების ღირებულებისა და იმ სარგებლის ანგარიშში ჩათვლა, რომლებსაც იგი ნივთის სხვაგვარი გამოყენების შედეგად იღებს.
(2) იმ ვადის განმავლობაში, რომელშიც გამქირავებელს არ შეუძლია დამქირავებლისათვის ქირავნობის ობიექტით სარგებლობის უზრუნველყოფა მესამე პირისათვის მისი გადაცემის გამო, დამქირავებელი არ არის ვალდებული, იხადოს ქირა.

§ 538. ქირავნობის ობიექტის ცვეთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის შედეგად
ქირავნობის ობიექტის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის, რომლებიც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობით, დამქირავებელი პასუხს არ აგებს.

§ 539. სხვა ხარჯების ანაზღაურება და დამქირავებლის მიერ ნივთის გამოცალკევების უფლება
(1) დამქირავებელს შეუძლია, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების თანახმად, გამქირავებელს მოსთხოვოს ქირავნობის ობიექტზე გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც მას გამქირავებლის მიერ არ აუნაზღაურდება, § 536ა-ს მე-2 ნაწილის თანახმად.
(2) დამქირავებელი უფლებამოსილია, გამოაცალკევოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან ქირავნობის ობიექტი აღჭურვა.

§ 540. მესამე პირისათვის სარგებლობის უფლების მინიჭება
(1) გამქირავებლის ნებართვის გარეშე დამქირავებელი არ არის უფლებამოსილი, ქირავნობის ობიექტით სარგებლობის უფლება მიანიჭოს მესამე პირს, კერძოდ კი, გადასცეს იგი ქვექირავნობით. თუ გამქირავებელი უარს აცხადებს ნებართვის მიცემაზე, მაშინ დამქირავებელს შეუძლია, შეწყვიტოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით, თუ არ არსებობს მესამე პირის პიროვნებასთან დაკავშირებული უფრო მნიშვნელოვანი საფუძველი.
(2) თუ დამქირავებელი მესამე პირს ანიჭებს ქირავნობის ობიექტით სარგებლობის უფლებას, მაშინ იგი პასუხისმგებელია სარგებლობის დროს მესამე პირის მხრიდან ბრალეული ქმედებისათვის იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამქირავებელმა დართო ნება ქირავნობის ობიექტის გადაცემაზე.

§ 541. ხელშეკრულების დარღვევით სარგებლობის შემთხვევაში მოქმედების განხორციელებისგან თავის შეკავების შესახებ სარჩელი
თუ დამქირავებელი, გამქირავებლის გაფრთხილების მიუხედავად, ხელშეკრულების დარღვევით აგრძელებს ქირავნობის ობიექტით სარგებლობას, მაშინ გამქირავებელს შეუძლია წარადგინოს სარჩელი არამართლთზომიერი მოქმედებისგან თავის შეკავების შესახებ.

§ 542. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულება

(1) თუ ქირავნობის ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ საკანონმდებლო ნორმების მიხედვით.

(2) განსაზღვრული ვადით დადებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა წყდება ამ ვადის გასვლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

1. იგი შეწყდა კანონით დაშვებულ შემთხვევებში ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, ან
2. მას გაუგრძელდა ვადა.

§ 543. მნიშვნელოვანი საფუძვლის გამო ვადის დაცვის გარეშე ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლება

(1) ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია, ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, ვადის დაცვის გარეშე, ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მნიშვნელოვანი საფუძვლით შეწყვეტა. მნიშვნელოვანი საფუძველია სახეზე, თუ ხელშეკრულების შემწყვეტ მხარეს, კონკრეტული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, კერძოდ კი, ხელშეკრულების მხარის ბრალისა და ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით, არ შეიძლება მოეთხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დასრულებამდე ან ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის სხვა გზით შეწყვეტამდე.

(2) მნიშვნელოვანი საფუძველი, განსაკუთრებით, სახეზეა მაშინ, როდესაც:

1. დამქირავებელს ქირავნობის ობიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის დროულად არ გადაეცემა, ან შემდგომში სარგებლობის შესაძლებლობა წაერთმევა;
2. დამქირავებელი არსებითად არღვევს გამქირავებლის უფლებებს, რაც გამოიხატება მასზე დაკისრებული ზრუნვის ვალდებულების უგულებელყოფის შედეგად ქირავნობის ობიექტისათვის არსებითი საფრთხის შექმნით; ან
3. დამქირავებელმა:
   ა) ზედიზედ გადააცილა ქირის სრული თანხის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდის ორ ვადას, ან
   ბ) დროის იმ მონაკვეთში, რომელიც მოიცავს ორზე მეტ ვადას, გადააცილა ქირის გადახდას ორი თვის ქირის თანხის ოდენობით.

პირველი წინადადების № 3-ის შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა გამორიცხულია, თუ გამქირავებელი უფრო ადრე დაკმაყოფილდება. ხელშეკრულების შეწყვეტა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ დამქირავებელს გაქვითვის გზით შეეძლო მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან გათავისუფლება და ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ დაუყოვნებლივ განაცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ.

(3) თუ მნიშვნელოვანი საფუძველი ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაა, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ნაკლის აღმოსაფხვრელად დადგენილი სათანადო ვადის უშედეგო გასვლის ან უშედეგო გაფრთხილების შემდეგ. ეს წესი არ მოქმედებს, თუ:

1. ვადა ან შეტყობინება აშკარად არანაირ შედეგს არ გამოიღებს;
2. გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორივე მხარის ინტერესების ურთიერთშეწონით;

3. დამქირავებელმა გადააცილა ქირის თანხის გადახდის ვადას მე-2 ნაწილის № 3-ის მიხედვით.

(4) მე-2 ნაწილის № 1-ში განსაზღვრული დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 536ბ და 536დ. თუ სადავოა ის ფაქტი, დროულად გადასცა თუ არა გამქირავებელმა ქირავნობის ობიექტი სარგებლობაში დამქირავებელს, ან აღმოიფხვრა თუ არა ნაკლი ამისათვის დადგენილი სათანადო ვადის გასვლამდე, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება გამქირავებელს.

§ 544. 30 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება

თუ ქირავნობის ხელშეკრულება იდება ოცდაათ წელზე მეტი ვადით, მაშინ ქირავნობის ობიექტის გადაცემიდან ოცდაათი წლის ვადის გასვლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია, ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, კანონისმიერი ვადის დაცვით, შეწყვიტოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა. ხელშეკრულების შეწყვეტა დაუშვებელია მაშინ, როდესაც იგი დადებულია გამქირავებლის ან დამქირავებლის სიცოცხლის ვადით.

§ 545. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის უსიტყვო გახანგრძლივება

თუ დამქირავებელი ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ აგრძელებს ქირავნობის ობიექტით სარგებლობას, მაშინ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა გაგრძელდება განუსაზღვრელი ვადით, თუკი ხელშეკრულების არც ერთი მხარე თავის საწინააღმდეგო ნებას არ განუცხადებს მეორე მხარეს ორი კვირის ვადაში. ვადის დენა იწყება:

1. დამქირავებლისათვის ნივთით სარგებლობის გაგრძელებით,
2. გამქირავებლისათვის იმ მომენტიდან, როდესაც მისთვის ცნობილი ხდება ნივთით სარგებლობის გაგრძელების შესახებ.

§ 546. დამქირავებლის მიერ ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება

(1) დამქირავებელი ვალდებულია, ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ უკან დააბრუნოს ქირავნობის ობიექტი.

(2) თუ დამქირავებელმა ქირავნობის ობიექტი სარგებლობაში გადასცა მესამე პირს, მაშინ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ გამქირავებელს შეუძლია, ნივთი მოითხოვოს ასევე მესამე პირისაგანაც.

§ 546ა. გამქირავებლისათვის ზიანის ანაზღაურება ნივთის უკან დაბრუნების დაგვიანების შემთხვევაში

(1) თუ დამქირავებელი არ აბრუნებს ქირავნობის ობიექტს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, მაშინ გამქირავებელს დაყოვნების ვადის განმავლობაში შეუძლია, ანაზღაურების სახით მოითხოვოს შეთანხმებული ქირის ან იმ ქირის გადახდა, რომელიც ჩვეულებრივ ექვემდებარება გადახდას განსაზღვრულ ადგილას ანალოგიური ნივთებისათვის.

(2) სხვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამორიცხული არ არის.

§ 547. წინასწარ გადახდილი ქირის ანაზღაურება

(1) თუ ქირა გადახდილ იქნა წინასწარ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე, მაშინ გამქირავებელმა იგი უნდა აანაზღაუროს მიღების მომენტიდან დარიცხული პროცენტით. თუ გამქირავებელს არ ეკისრება პასუხისმგებლო-

ბა ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისათვის, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მის მიერ მიღებული შემოსავალი, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად.
(2) საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შემთხვევაში, სამართლებრივი ძალის არმქონეა დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება.

§ 548. ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებისა და დამქირავებლის მიერ ქირავნობის ნივთს მიმატებული ნივთის წამოღების უფლების ხანდაზმულობა
(1) ქირავნობის ობიექტის ცვლილებებისა თუ გაუარესების გამო გამქირავებლის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ექვსი თვის ვადაში. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც იგი იბრუნებს ქირავნობის ობიექტს. გამქირავებლის ქირავნობის ობიექტის უკან დაბრუნებაზე მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობასთან ერთად ხანდაზმულია ასევე მისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები.
(2) დამქირავებლის ხარჯების ანაზღაურებისა თუ მის მიერ ქირავნობის ნივთს მიმატებული ნივთის წამოღების მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ექვსი თვის ვადაში ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ.

ქვეკარი 2. საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა

თავი 1. ზოგადი დებულებები

§ 549. საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმები
(1) საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ მოქმედებს §§ 535-548 იმდენად, რამდენადაც §§ 549-577ა-დან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.
(2) ქირის ოდენობის გაზრდისა (§§ 557-561) და ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში, ისევე როგორც მრავალბინიან სახლში საკუთრების უფლების დადგენის დროს (§ 568-ის მე-2 ნაწილი, §§ 573-ის, 573ა-სა და 573დ-ს პირველი ნაწილი, §§ 574-575-ის, 575ა-ს პირველი ნაწილი და §§ 577, 577ა) დამქირავებლის ინტერესების დაცვის შესახებ ნორმები არ გამოიყენება:
1. მხოლოდ დროებითი გამოყენებისათვის გაქირავებული საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ;
2. საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, რომელიც არის თავად გამქირავებლის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის ნაწილი და, უმეტესწილად, გამქირავებლის მიერ იქნა ინტერიერის საგნებით აღჭურვილი იმდენად, რამდენადაც საცხოვრებელი ფართი დამქირავებელს არ გადაეცემა გრძელვადიანი სარგებლობის უფლებით თავის ოჯახთან ან იმ პირებთან ერთად, რომლებთანაც იგი ხანგრძლივი ვადით უძღვება საერთო მეურნეობას;
3. იმ საცხოვრებელი ფართის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, რომელიც ქირავნობითაა გადაცემული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა თუ საზოგადო ზრუნვის განმახორციელებელი აღიარებული კერძო ორ-

განიზაციისათვის, რათა ამ უკანასკნელმა საცხოვრებელი ფართი გადასცეს იმ პირებს, რომლებსაც ყველაზე მეტად ესაჭიროებათ იგი, თუ ხელშეკრულების დადებისას დამქირავებლმა მუთითა საცხოვრებელი ფართის დანიშნულება და დასახელებული ნორმების მოქმედებისაგან მისი გამორიცხვა.

(3) §§ 557-561, 573, 573ა, 573დ-ს პირველი ნაწილი, 575, 575ა-ს პირველი ნაწილი, 577, 577ა არ მოქმედებს სტუდენტურ თუ ახალგაზრდების საერთო საცხოვრებელში არსებული საცხოვრებელი ფართის მიმართ.

§ 550. ქირავნობის ხელშეკრულების ფორმა

თუ ერთ წელზე მეტი ვადით ქირავნობის ხელშეკრულება არ იდება წერილობითი ფორმით, მაშინ იგი ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულად. თუმცა, ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ საცხოვრებელი ფართის გადაცემის მომენტიდან არა უადრეს ერთი წლის ვადის გასვლისა.

§ 551. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის უზრუნველყოფის საშუალებების შეზღუდვა და ფულადი თანხების განთავსება

(1) თუ დამქირავებელმა გამქირავებელს თავისი ვალდებულებების უზრუნველსაყოფად უნდა წარუდგინოს უზრუნველყოფა, მაშინ, მე-3 ნაწილის მე-4 წინადადების გათვალისწინებით, უზრუნველყოფის თანხა შეიძლება შეადგენდეს ერთი თვის ქირის სამმაგ ოდენობას საექსპლუატაციო ხარჯების ერთჯერადად ან ავანსის სახით გადახდილი თანხის გამოკლებით.

(2) თუ უზრუნველყოფის სახით წარდგენილ უნდა იქნეს ფულადი თანხა, მაშინ დამქირავებელი უფლებამოსილია, გადაიხადოს იგი ყოველთვიურად თანაბარ ნაწილებად სამი თვის განმავლობაში. პირველი თანხა ექვემდებარება გადახდას ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.

(3) გამქირავებელმა მისთვის გადაცემული ფულადი თანხა უნდა განათავსოს ანაბარზე საბანკო ინსტიტუტში იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც, ჩვეულებრივ, ერიცხება ხელშეკრულების შეწყვეტის სამთვიანი ვადის მქონე შემნახველ ანაბრებს. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ ფულადი თანხების განთავსების სხვა ფორმაზე. ორივე შემთხვევაში ფულადი თანხების განთავსება უნდა განხორციელდეს გამქირავებლის დანარჩენი ქონებისაგან განცალკევებულად და დამქირავებელს ეკუთვნის შემოსავალი. ისინი ზრდიან უზრუნველყოფას. სტუდენტური თუ ახალგაზრდების საერთო საცხოვრებლის შემთხვევაში, გამქირავებელს არ ეკისრება საუზრუნველყოფო ფულად თანხაზე პროცენტის დარიცხვის ვალდებულება.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 552. დამქირავებლის მიერ ქირავნობის ნივთს მიმატებული ნივთის წამოღების უფლების გამოყენება

(1) გამქირავებელს შეუძლია, დამქირავებლის მიერ ნივთის წამოღების უფლების (§ 539-ის მე-2 ნაწილი) განხორციელება თავიდან აიცილოს სათანადო საზღაურის გადახდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დამქირავებელს აქვს ნივთის წამოღების გამართლებული ინტერესი.

(2) შეთანხმება, რომლითაც ნივთის წამოღების უფლება გამორიცხულია, სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გათვალისწინებულია სათანადო კომპენსაცია.

§ 553. მესამე პირის მიერ ნივთით სარგებლობის დაშვება

(1) თუ ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემდეგ დამქირავებელს წარმოეშობა მესამე პირის მიერ საცხოვრებელი ფართის ნაწილით სარგებლობისთვის დაშვების გამართლებული ინტერესი, მაშინ მას შეუძლია, ამ ნებართვის გაცემა მოითხოვოს გამქირავებლისაგან. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მესამე პირის პიროვნების მიმართ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი, რომ საცხოვრებელი ფართი გადაიტვირთება, ან გამქირავებელს სხვა საფუძვლების მიხედვით არ შეიძლება მოეთხოვოს ნივთის გადაცემა.

(2) თუ გამქირავებელს მოეთხოვება ნივთის გადაცემა მხოლოდ ქირის თანხის სათანადოდ გაზრდით, მაშინ მას შეუძლია, ნებართვის გაცემა დამოკიდებული გახადოს დამქირავებლის თანხმობის განცხადებაზე ქირის თანხის ასეთი გაზრდის შესახებ.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 554. ქირავნობის ობიექტის მოვლისა და განახლების ღონისძიებების თმენა

(1) დამქირავებელმა უნდა ითმინოს ქირავნობის ობიექტის მოვლისათვის საჭირო ღონისძიებები.

(2) დამქირავებელმა უნდა ითმინოს ქირავნობის ობიექტის გაუმჯობესების, ენერგიისა თუ წყლის დაზოგვის ან ახალი საცხოვრებელი ფართის შექმნისათვის საჭირო ღონისძიებები. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ღონისძიების განხორციელება გართულებული და მიუღებელი იქნება მისთვის, მისი ოჯახისა თუ სხვა მის ოჯახს მიკუთვნებული ნათესავებისათვის, თუნდაც გამქირავებლის გამართლებული ინტერესების გათვალისწინებით. ამ მხრივ მხედველობაშია მისაღები, კერძოდ, ჩასატარებელი სამუშაოები, სამშენებლო-კონსტრუქციული შედეგები, დამქირავებლის წინასწარი ხარჯები და ქირის თანხის შესაძლო გაზრდა. ქირის თანხის შესაძლო გაზრდა არ უნდა იქნეს განიხილული სირთულედ, თუ ქირავნობის ობიექტი, უბრალოდ, აღდგენილ იქნა, ზოგადად, მისაღებ მდგომარეობამდე.

(3) მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, ღონისძიებების შემთხვევაში, გამქირავებელმა ღონისძიების დაწყებამდე, სულ ცოტა, სამი თვით ადრე ტექსტუალური ფორმით უნდა შეატყობინოს დამქირავებელს ღონისძიების ხასიათის, ასევე მისი სავარაუდო მოცულობისა და დასაწყისის, სავარაუდო ხანგრძლივობისა და ქირის თანხის შესაძლო გაზრდის შესახებ. დამქირავებელი უფლებამოსილია, შეტყობინების მიღების მომენტიდან მომდევნო თვის გასვლამდე ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით შეწყვიტოს ხელშეკრულება. ეს ნორმები არ მოქმედებს იმ ღონისძიებების მიმართ, რომლებიც მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენენ გაქირავებულ ფართზე და შედეგად ქირის თანხის მხოლოდ უმნიშვნელო გაზრდას იწვევენ.

(4) ხარჯები, რომლებიც დამქირავებელს უნდა გაეწია პირველი ნაწილის ან მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გამქირავებელმა უნდა აანაზღაუროს სათანადო ოდენობით. მოთხოვნის საფუძველზე მან უნდა განახორციელოს საავანსო გადახდა.

(5) დამქირავებლისთვის საზიანო მე-2-მე-4 ნაწილებისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 554ა. ხელმისაწვდომობა (Barrierefreiheit)

(1) დამქირავებელს შეუძლია, გამქირავებლისაგან მოითხოვოს სამშენებლო კონსტრუქციული ცვლილებები ან სხვა მოწყობილობები, რომლებიც საჭიროა ქირავნობის

ობიექტის გამოსაყენებლად ან მისი ინვალიდების საჭიროებათა ხელმისაწვდომობისათვის, თუ მას აქვს ამის გამართლებული ინტერესი. გამქირავებელს შეუძლია, უარი განაცხადოს თანხმობის მიცემაზე, თუ მისი ქირავნობის ობიექტის ან შენობა-ნაგებობის ხელშეუხებლად ექსპლუატაციის ინტერესი გადაწონის დამქირავებლის ინტერესს, გამოიყენოს ქირავნობის ობიექტი ინვალიდების საჭიროებისათვის. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, აგრეთვე, შენობა-ნაგებობის მიმართ სხვა დამქირავებელთა გამართლებული ინტერესები.
(2) გამქირავებელს შეუძლია, თავისი თანხმობა დამოკიდებული გახადოს თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენისათვის სათანადო დამატებითი უზრუნველყოფის წარდგენაზე. შესაბამისად მოქმედებს § 551-ის მე-3 და მე-4 ნაწილები.
(3) დამქირავებლისთვის საზიანო პირველი ნაწილისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 555. პირგასამტეხლოს შესახებ შეთანხმების სამართლებრივი ძალის არქონა
შეთანხმება, რომლითაც გამქირავებელი დამქირავებელს შეიპირებს პირგასამტეხლოს გადახდაზე, სამართლებრივი ძალის არმქონეა.

თავი 2. ქირა

ქვეთავი 1. შეთანხმებები ქირის შესახებ

§ 556. შეთანხმებები საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ
(1) ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ საექსპლუატაციო ხარჯები ეკისრება დამქირავებელს. საექსპლუატაციოა ხარჯები, რომლებიც ყოველდღიურად წარმოიშობა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ან აღნაგობის უფლების, ანდა შენობა-ნაგებობის, დამხმარე ნაგებობების, კეთილმოწყობის საგნების, მოწყობილობებისა და მიწის ნაკვეთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შედეგად. საექსპლუატაციო ხარჯების დადგენის რეგულირება გრძელდება 2003 წლის 25 ნოემბრის კანონით „საექსპლუატაციო ხარჯების შესახებ“ (Betriebskostenverordnung; BGBl. I, გვ. 2346, 2347). ფედერალური მთავრობა უფლებამოსილია, სახელისუფლო განკარგულებით, ბუნდესრატის თანხმობის გარეშე, მიიღოს ნორმები საექსპლუატაციო ხარჯების დადგენის შესახებ.
(2) სხვა ნორმების გათვალისწინებით ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ საექსპლუატაციო ხარჯები აისახება ერთიანი თანხის ან საავანსო გადახდის სახით. საექსპლუატაციო ხარჯების საავანსო გადახდები შეიძლება შეთანხმებულ იქნეს მხოლოდ სათანადო ოდენობით.
(3) საექსპლუატაციო ხარჯებისათვის საავანსო გადახდები უნდა ხორციელდებოდეს წელიწადში ერთხელ; ამასთან, დაცული უნდა იყოს რენტაბელურობის პრინციპი. გადახდის შესახებ დამქირავებელს უნდა შეატყობინონ არა უგვიანეს მეთორმეტე თვისა ანგარიშგების პერიოდის შემდეგ. ამ ვადის გასვლის შემდეგ გამქირავებლის მიერ დამატებითი მოთხოვნის წარდგენა გამორიცხულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნის დაგვიანებით წარდგენა არ ხდება გამქირავებლის ბრალით. გამქირავებელი არ არის ვალდებული ნაწილობრივი გადახდის მოთხოვნაზე. დამქირავებელმა გადახდის მოთხოვნის წინააღმდეგ შესაგებელი გამქირავებელს უნდა წარუდგინოს გადახდის მოთხოვნის მიღების მომენტიდან არა უგვიანეს მეთორმეტე

თვის ვადის გასვლისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ დამქირავებელს აღარ შეუძლია შესაგებლის წარდგენა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაგებლის წარდგენა არ ხდება დამქირავებლის ბრალით.
(4) დამქირავებლისთვის საზიანო პირველი ნაწილისაგან, მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ან მე-3 ნაწილისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 556ა. საექსპლუატაციო ხარჯების გაანგარიშების კრიტერიუმები
(1) თუ ხელშეკრულების მხარეები სხვა რაიმეზე არ შეთანხმდნენ, მაშინ, სხვა ნორმების გათვალისწინებით, საექსპლუატაციო ხარჯები უნდა განაწილდეს საცხოვრებელი ფართის ფართობის პროპორციულად. საექსპლუატაციო ხარჯები, რომლებიც დამოკიდებულია აღრიცხულ მოხმარებასა თუ დამქირავებლების მიერ აღრიცხულ დაზიანებებზე, უნდა განაწილდეს იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებს განსხვავებულ მოხმარებასა თუ დაზიანებებს.
(2) თუ ხელშეკრულების მხარეები განსხვავებულ წესზე შეთანხმდნენ, დამქირავებელს შეუძლია, ტექსტური ფორმით გაკეთებული განცხადებით განსაზღვროს, რომ დადებული შეთანხმებისაგან განსხვავებული საექსპლუატაციო ხარჯები მომავლისათვის შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ განაწილდეს იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც ითვალისწინებს განსხვავებულ მოხმარებასა თუ დაზიანებებს. განცხადება დასაშვებია მხოლოდ ანგარიშგების პერიოდის დაწყებამდე. თუ ხარჯები მანამდე იქნა შეტანილი ქირის თანხაში, მაშინ იგი შესაბამისად უნდა შემცირდეს.
(3) დამქირავებლისთვის საზიანო მე-2 ნაწილისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 556ბ. ქირის თანხის გადახდის დრო, გაქვითვისა და დაკავების უფლებები
(1) ქირის თანხა გადახდილ უნდა იქნეს არა უგვიანეს მესამე სამუშაო დღისა დროის იმ ცალკეული მონაკვეთების დასაწყისში, რომლის მიხედვითაც ხდება მისი დაანგარიშება.
(2) სახელშეკრულებო დანაწესის მიუხედავად, დამქირავებელს შეუძლია, ქირის თანხის მოთხოვნა გაქვითოს §§ 536ა-დან და 539-იდან გამომდინარე მოთხოვნით, ან, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად, ზედმეტად გადახდილი თანხიდან გამომდინარე მოთხოვნით, ანდა განახორციელოს დაკავების უფლება ამ მოთხოვნის გამო, თუ მან თავისი განზრახვის შესახებ გამქირავებელს შეატყობინა ტექსტური ფორმით, სულ ცოტა, ერთი თვით ადრე ქირის თანხის გადახდის ვადის დადგომამდე. დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

ქვეთავი 2. ქირის თანხის გაზრდის რეგულირება

§ 557. ქირის თანხის გაზრდა შეთანხმებით ან კანონის ძალით
(1) ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის განმავლობაში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ ქირის თანხის გაზრდის თაობაზე.
(2) ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, ქირის თანხის მომავალი ცვლილებები შეათანხმონ დიფერენცირებული ქირის (Staffelmiete) სახით, § 557ა-ს მიხედვით, ან ინდექსირებული ქირის (Indexmiete) სახით, § 557ბ-ს მიხედვით.

(3) გამქირავებელს შეუძლია, დამატებით მოითხოვოს ქირის თანხის გაზრდა მხოლოდ §§ 558-560-ის ნორმების თანახმად, თუ თანხის გაზრდა შეთანხმებით არ არის გამორიცხული, ან გამონაკლისი არ გამომდინარეობს გარემოებებიდან.
(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 557ა. დიფერენცირებული ქირა
(1) ქირის თანხა შეიძლება შეთანხმებულ იქნეს წერილობით განსაზღვრული დროის პერიოდებისათვის სხვადასხვა ოდენობით; შეთანხმებაში ასახული ქირის თანხა ან თანხის შესაბამისი ზრდა უნდა მიეთითოს ფულადი სახით (დიფერენცირებული ქირა).
(2) ქირის თანხა დროის ყოველ მონაკვეთში უნდა დარჩეს უცვლელი, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში. დიფერენცირებული ქირის განმავლობაში თანხის გაზრდა, §§ 558-559ბ-ს მიხედვით, გამორიცხულია.
(3) დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება შეიძლება გამოირიცხოს დიფერენცირებულ ქირაზე შეთანხმების დადებიდან მაქსიმუმ ოთხი წლის ვადით. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია არა უადრეს ამ პერიოდის გასვლისა.
(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 557ბ. ინდექსირებული ქირა
(1) ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ, წერილობით შეთანხმდნენ, რომ ქირის თანხა განისაზღვრება ფედერალური სტატისტიკური უწყების მიერ ყველა კერძო საოჯახო მეურნეობის ცხოვრების ხარჯებისათვის დადგენილი ფასების ინდექსაციის შესაბამისად (ინდექსირებული ქირა).
(2) ინდექსირებული ქირის მოქმედების დროს ქირის თანხა, გარდა §§ 559-560-ის მიხედვით თანხის გაზრდისა, დროის ყოველ მონაკვეთში უნდა დარჩეს უცვლელი, სულ ცოტა, ერთი წლის განმავლობაში. ქირის გაზრდა, § 559-ის თანახმად, შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც გამქირავებელმა განახორციელა სამშენებლო კონსტრუქციული ღონისძიებები იმ გარემოებათა მიხედვით, რომელთათვისაც იგი პასუხს არ აგებს. თანხის გაზრდა § 558-ის მიხედვით გამორიცხულია.
(3) პირველი ნაწილის მიხედვით, ქირის თანხის ცვლილება უნდა განხორციელდეს ტექსტური ფორმით განცხადების საფუძველზე. ამასთან, ფასების ინდექსის განხორციელებული ცვლილება, ისევე როგორც ქირა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ან მისი ოდენობის გაზრდა, უნდა მიეთითოს ფულადი სახით. შეცვლილი ქირის თანხა გადახდილ უნდა იქნეს მეორე თვის დასაწყისში, განცხადების მიღების მომენტიდან.
(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 558. ქირის თანხის გაზრდა განსაზღვრულ ადგილზე მიღებულ ოდენობამდე (Vergleichsmiete)
(1) გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს განსაზღვრულ ადგილზე მიღებულ ოდენობამდე ქირის თანხის გაზრდაზე თანხმობა, თუ იმ დროს, როდესაც უნდა მოხდეს ქირის ოდენობის გაზრდა, ეს უკანასკნელი უცვლელი რჩება თხუთმეტი თვის განმავლობაში. ქირის თანხის გაზრდის მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ქირის

თანხის ბოლო გაზრდიდან არა უადრეს ერთი წლის ვადის გასვლისა. §§ 559-560-ის მიხედვით, ქირის თანხის გაზრდა მხედველობაში არ მიიღება.
(2) განსაზღვრულ ადგილზე მიღებულ ოდენობამდე ქირის თანხა შედგება ჩვეულებრივი გადახდებისაგან, რომლებიც მოცემულ ან ანალოგიურ მუნიციპალიტეტში უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში საცხოვრებელი ფართისათვის დგინდებოდა სახეობის, ფართის რაოდენობის, მოწყობის, თვისებისა და მდებარეობის მიხედვით ან იცვლებოდა § 560-ის მიხედვით, თანხის გაზრდის მიუხედავად. გამონაკლისია საცხოვრებელი ფართი, რომლის დროსაც ქირის ოდენობა დადგენილ იქნა კანონით ან დახმარების გაწევის შეპირებით (Förderzusage).
(3) პირველი ნაწილის თანახმად, ქირის ოდენობის გაზრდის შემთხვევაში, ქირის თანხა, გარდა §§ 559-560-ის მიხედვით თანხის გაზრდისა, სამი წლის განმავლობაში არ შეიძლება გაიზარდოს 20 %-ზე მეტი ოდენობით (შეზღუდვები; Kappungsgrenze).
(4) შეზღუდვები არ მოქმედებს:
1. თუ დამქირავებლის ვალდებულება, გადაიხადოს კომპენსაცია კომუნალურ სფეროში შეცდომით განხორციელებული სუბსიდირების შემცირების შესახებ ნორმების თანახმად, შეწყდა საჯარო სექტორთან კავშირის გაწყვეტის გამო; და
2. თუ ქირის თანხის ზრდა არ აჭარბებს უკანასკნელ საკომპენსაციო თანხას. დამქირავებელს შეუძლია, საჯარო სექტორთან კავშირის გაწყვეტამდე არა უადრეს ოთხი თვისა მოითხოვოს მისთვის ერთი თვის ვადაში კომპენსაციის გადახდის ვალდებულებისა და მისი ოდენობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. პირველი წინადადება შესაბამისად მოქმედებს, თუ დამქირავებლის ვალდებულება, გადაიხადოს კომპენსაცია „საცხოვრებელი ფართის სუბსიდირების შესახებ“ კანონის §§ 34-37-ისა და მასთან ერთად მიღებული ფედერაციული მხარის საკანონმდებლო ნორმების თანახმად, შეწყდა ქირის ოდენობის კონტროლის გაუქმების გამო.

(5) წლიური თანხიდან, რომელიც მიღებულ იქნებოდა განსაზღვრულ ადგილზე მიღებულ ოდენობამდე გაზრდის შემთხვევაში, მესამე პირის სახსრები, §559ა-ს გაგებით, ექვემდებარება გამოქვითვას, § 559ა-ს პირველი ნაწილის შემთხვევაში, 11%-ის ოდენობით სუბსიდირების თანხიდან.
(6) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 558ა. ქირის თანხის გაზრდის ფორმა და დასაბუთება

(1) § 558-ის მიხედვით, ქირის თანხის დამქირავებლისათვის გაზრდა ტექსტური ფორმით უნდა იქნეს განცხადებული და დასაბუთებული.
(2) დასაბუთებაში, კერძოდ, შეიძლება მიეთითოს:
1. ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულაზე (§§ 558გ, 558დ);
2. ცნობებზე ქირის ოდენობის შესახებ მონაცემთა ბაზიდან (§ 558ე);
3. ოფიციალურად დანიშნული და ფიცდადებული ექსპერტის მოტივირებულ დასკვნაზე;
4. ცალკეული მსგავსი საცხოვრებელი ბინებისათვის შესაბამის საზღაურზე; ამავე დროს, საკმარისია სამი საცხოვრებელი ბინის მითითება.

(3) თუ კვალიფიციური ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულა (§ 558დ-ს პირველი ნაწილი), რომელიც შეესაბამება § 558დ-ს მე-2 ნაწილის დანაწესს, შეიცავს საცხოვ-

რებელი ბინის შესახებ მონაცემებს, მაშინ გამქირავებელმა ქირის თანხის გაზრდის თავისი მოთხოვნის შემთხვევაში ეს მონაცემები უნდა აცნობოს მაშინაც კი, როდესაც იგი ქირის თანხის გაზრდას, მე-2 ნაწილის მიხედვით, ასაბუთებს დასაბუთების სხვა საშულებით.

(4) ქირის ოდენობის ინდექსების იმ ტაბულაზე მითითების შემთხვევაში, რომელიც შეიცავს ფასთა დიაპაზონს, საკმარისია, თუ მოთხოვნილი ქირის ოდენობა რჩება დიაპაზონის ფარგლებში. თუ იმ ვადის განმავლობაში, როდესაც გამქირავებელი აკეთებს განცხადებას, სახეზე არ არის ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულა, რომელიც შეესაბამება § 558გ-ს მე-3 ნაწილს ან § 558დ-ს მე-2 ნაწილს, მაშინ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე სხვა, მათ შორის, ძველი ან ანალოგიური მუნიციპალიტეტის ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულა.

(5) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 558ბ. თანხმობა ქირის თანხის გაზრდაზე

(1) რამდენადაც დამქირავებელი თანახმაა ქირის თანხის გაზრდაზე, იგი ვალდებულია, იხადოს გაზრდილი ქირა გაზრდის მოთხოვნის მიღებიდან მესამე კალენდარული თვის დასაწყისიდან.

(2) რამდენადაც დამქირავებელი არ აცხადებს თანხმობას ქირის თანხის გაზრდაზე მოთხოვნის მიღებიდან მეორე კალენდარული თვის დასრულებამდე, გამქირავებელს შეუძლია წარადგინოს სარჩელი თანხმობის მიღების მოთხოვნით. სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს შემდგომი სამი თვის ვადაში.

(3) თუ სარჩელს წინ უსწრებს ქირის თანხის გაზრდის მოთხოვნა, რომელიც შეესაბამება § 558ა-ს მოთხოვნებს, მაშინ გამქირავებელს შეუძლია დავის განხილვის დროს მისი კორექტირება ან ქირის თანხის გაზრდის მოთხოვნის ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნულ შემთხვევაშიც დამქირავებელს აქვს თანხმობის მიცემაზე ვადა, მე-2 ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 558გ. ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულა

(1) ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულა— ესაა მონაცემთა ტაბულა განსაზღვრულ ადგილზე მიღებულ ოდენობამდე ქირის თანხის შესახებ იმდენად, რამდენადაც ტაბულა შემუშავდა ან აღიარებულ იქნა ერთობლივად მუნიციპალიტეტისა თუ გამქირავებლისა და დამქირავებლის წარმომადგენლების მიერ.

(2) ქირის ოდენობის ინდექსების ტაბულები შეიძლება შემუშავდეს ერთი მუნიციპალიტეტის ან რამდენიმე მუნიციპალიტეტის ტერიტორიისათვის, ანდა მუნიციპალიტეტთა ნაწილებისათვის.

(3) ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულები უნდა იქნეს მისადაგებული ბაზრის განვითარების კონიუნქტურას ყოველ ორ წელიწადში.

(4) მუნიციპალიტეტებმა უნდა შეიმუშაონ ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულები, თუ არსებობს ამის საჭიროება და ეს შესაძლებელია გამართლებული ხარჯით. ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულები და მათი ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს.

(5) ფედერალური მთავრობა უფლებამოსილია, სახელისუფლო განკარგულებით, ფედერალური საბჭოს თანხმობით გამოსცეს უფრო დეტალური შინაარსის მქონე ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულების შემუშავებისა და მისადაგების წესები.

§ 558დ. კვალიფიციური ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულა

(1) კვალიფიციური ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულა – ესაა ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულა, რომელიც შემუშავებულია აღიარებული მეცნიერული პრინციპების მიხედვით და აღიარებულია მუნიციპალიტეტისა თუ გამქირავებლისა და დამქირავებლის წარმომადგენლების მიერ.

(2) კვალიფიციური ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულა უნდა იქნეს მისადაგებული ბაზრის განვითარების კონიუნქტურას ყოველ ორ წელიწადში. ამისათვის ბაზისად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფედერალური სტატისტიკური უწყების მიერ გერმანიაში ყველა კერძო საოჯახო მეურნეობის ცხოვრების ხარჯებისათვის დადგენილი ფასების ინდექსაციის შერჩევითი შემოწმება ან ტენდენცია. ოთხი წლის შემდეგ უნდა შემუშავდეს ახალი კვალიფიციური ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულა.

(3) მე-2 ნაწილის ნორმის დაცვის შემთხვევაში, ივარაუდება, რომ კვალიფიციური ქირის ოდენობის ინდექსთა ტაბულაში მითითებული გადახდები ასახავს განსაზღვრულ ადგილზე მიღებულ ქირის ოდენობას.

§ 558ე. ქირის ოდენობის შესახებ მონაცემთა ბაზა

ქირის ოდენობის შესახებ მონაცემთა ბაზა არის უწყვეტი რეჟიმით წარმოებული ქირის ოდენობის შესახებ მონაცემთა კრებული განსაზღვრულ ადგილზე მიღებული ქირის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, რომელიც ერთობლივად იწარმოება ან აღიარებულია მუნიციპალიტეტისა თუ გამქირავებლისა და დამქირავებლის წარმომადგენლების მიერ, ხოლო მისგან მიღებული ინფორმაცია იძლევა საშუალებას, გაკეთდეს დასკვნა ცალკეული საცხოვრებელი ბინის თაობაზე განსაზღვრულ ადგილზე მიღებული ქირის ოდენობის ფარგლებში.

§ 559. ქირის ოდენობის გაზრდა განახლების შემთხვევაში

(1) თუ გამქირავებელმა განახორციელა სამშენებლო-კონსტრუქციული ღონისძიებები, რომლებიც ქმედითად ზრდის ქირავნობის ობიექტის საექსპლუატაციო მონაცემებს, ხანგრძლივი ვადით აუმჯობესებს ზოგად საცხოვრებელ პირობებს ან იწვევს ელექტროენერგიისა თუ წყლის ქმედით დაზოგვას (განახლება), ანდა, თუ მან განახორციელა სხვა სამშენებლო-კონსტრუქციული ღონისძიებები იმ გარემოებების გამო, რომელთა დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის, მაშინ მას შეუძლია, გაზარდოს ყოველწლიური ქირის თანხა საცხოვრებელ ბინაზე გაწეული ხარჯების 11%-ით.

(2) თუ სამშენებლო-კონსტრუქციული ღონისძიებები განხორციელდა რამდენიმე საცხოვრებელი ბინისათვის, მაშინ ხარჯები შესაბამისად უნდა განაწილდეს თითოეულ საცხოვრებელ ბინაზე.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 559ა. მესამე პირთა ფულადი სახსრების ჩათვლა

(1) დამქირავებლის მიერ ნაკისრი ან დამქირავებლის სასარგებლოდ მესამე პირის მიერ ნაკისრი, ანდა საჯარო ბიუჯეტებიდან დაფინანსებული სუბსიდიების (Zuschüsse) ხარჯები არ მიეკუთვნება გაწეულ ხარჯებს, § 559 გაგებით.

(2) თუ სამშენებლო-კონსტრუქციულ ღონისძიებათა ხარჯები სრული ოდენობით ან ნაწილობრივ იფარება საჯარო ბიუჯეტთა მცირეპროცენტიანი ან უპროცენტო სესხებით, მაშინ, § 559-ის მიხედვით, ქირის გაზრდილი თანხა მცირდება იმ თანხით,

რომელიც წარმოიშობა წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთის შემცირების შედეგად. ეს უკანასკნელი გამოითვლება შემცირებულ საპროცენტო განაკვეთსა და თავდაპირველი სესხის თანხისთვის ჩვეულებრივ საბაზრო საპროცენტო განაკვეთს შორის სხვაობით. გადამწყვეტია ღონისძიებათა დასრულების მომენტში არსებული პირველი რიგის იპოთეკებისათვის დადგენილი ჩვეულებრივი საბაზრო საპროცენტო განაკვეთი. თუ სუბსიდიები ან სესხები გამოიყენება მიმდინარე ხარჯების დასაფარავად, მაშინ ქირის გაზრდილი თანხა მცირდება წლის განმავლობაში წარმოშობილი სუბსიდიებისა თუ სესხების თანხით.

(3) დამქირავებლის სესხი, ავანსის სახით გადასახდელი ქირის თანხა ან დამქირავებლის სასარგებლოდ მესამე პირის მიერ გაწეული მომსახურება უთანაბრდება სესხს საჯარო ბიუჯეტებიდან. ფედერალური ან ფედერაციული მხარის საფინანსო ინსტიტუტების სახსრები მიიჩნევა სახსრებად საჯარო ბიუჯეტებიდან.

(4) თუ შეუძლებელია იმის დადგენა, რა ოდენობით მოხდა სუბსიდიების ან სესხების გაცემა, მაშინ ისინი ნაწილდება თითოეულ საცხოვრებელ ბინაზე გაწეული ხარჯების პროპორციულად.

(5) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 559ბ. ქირის თანხის გაზრდის რეალიზაცია, თანხის გაზრდის განცხადების სამართლებრივი ძალა

(1) § 559-ის მიხედვით, ქირის თანხის გაზრდა დამქირავებელს უნდა განეცხადოს ტექსტური ფორმით. განცხადება სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში თანხის გაზრდა დაანგარიშებულია წარმოშობილი ხარჯების საფუძველზე და განმარტებულია §§ 559-ისა და 559ა-ს მოთხოვნების შესაბამისად.

(2) დამქირავებელი ვალდებულია, იხადოს გაზრდილი ქირა განცხადების მიღებიდან მესამე კალენდარული თვის დასაწყისიდან. ვადა გრძელდება ექვს თვემდე, თუ გამქირავებელმა დამქირავებელს არ შეატყობინა ქირის მოსალოდნელი გაზრდის შესახებ, § 554-ის მე-3 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ან ქირის ფაქტობრივი ზრდა გადააჭარბებს შეტყობინებულზე 10%-ზე მეტად.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 560. ექსპლუატაციის ხარჯთა ცვლილებები

(1) ექსპლუატაციის ხარჯების ერთიანი თანხის შემთხვევაში, გამქირავებელი უფლებამოსილია, ექსპლუატაციის ხარჯების გაზრდილი თანხები გაანაწილოს პროპორციულად ტექსტური ფორმით გაკეთებული განცხადებით იმდენად, რამდენადაც ეს შეთანხმებულია ქირავნობის ხელშეკრულებაში. განცხადება სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მითითებულია განაწილების საფუძველი და იგი განმარტებულია.

(2) დამქირავებელი ვალდებულია, იხადოს მისი წილი თანხა განცხადების გაკეთების შემდეგ მომდევნო თვის დასაწყისში. იმდენად, რამდენადაც განცხადება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ექსპლუატაციის ხარჯები გაიზარდა უკუქცევითი ძალით, იგი მოქმედებს უკუქცევითი ძალით ექსპლუატაციის ხარჯების გაზრდის დღიდან, მაგრამ არა უგვიანეს გასული კალენდარული წლის დასაწყისისა, თუ გამქირავებელი განცხადებას აკეთებს სამი თვის ვადაში იმის შემდეგ, რაც მან შეიტყო თანხის გაზრდის თაობაზე.

(3) თუ ექსპლუატაციის ხარჯები მცირდება, მაშინ მათი ერთიანი თანხაც ექვემდებარება დაკლებას ხარჯების შემცირების მომენტიდან. ექსპლუატაციის ხარჯების შემცირების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დამქირავებელს.
(4) თუ მხარეთა მიერ შეთანხმებულია ექსპლუატაციის ხარჯების საავანსო გადახდები, მაშინ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს ხარჯების დაანგარიშების შემდეგ შეუძლია, ტექსტური ფორმით გაკეთებული განცხადებით საავანსო გადახდები შესაბამისობაში მოიყვანოს.
(5) ექსპლუატაციის ხარჯების ცვლილების შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს რენტაბელურობის პრინციპი.
(6) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 561. დამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის სპეციალური უფლება ქირის თანხის გაზრდის შემდეგ

(1) თუ გამქირავებელი § 558-ის ან § 559-ის მიხედვით ზრდის ქირის ოდენობას, მაშინ დამქირავებელს შეუძლია, გამქირავებლის განცხადების მიღებიდან მეორე თვის გასვლამდე შეწყვიტოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, მომდევნო მეორე თვის ბოლომდე. თუ დამქირავებელი წყვეტს ხელშეკრულებას, მაშინ ქირა აღარ იზრდება.
(2) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

თავი 3. გამქირავებლის გირავნობის უფლება

§ 562. გამქირავებლის გირავნობის უფლების ფარგლები

(1) გამქირავებელს, ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად აქვს გირავნობის უფლება დამქირავებლის მიერ შეტანილ ნივთებზე. ეს უფლება არ ვრცელდება ნივთებზე, რომლებიც არ ექვემდებარება დაყადაღებას.
(2) გირავნობის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანაზღაურების სამომავლო მოთხოვნებისა და ასევე უფრო გვიანი, ვიდრე მიმდინარე და მომდევნო წლის ქირის, მოთხოვნათა მიმართ.

§ 562ა. გამქირავებლის გირავნობის უფლების გაუქმება

გამქირავებლის გირავნობის უფლება უქმდება მიწის ნაკვეთიდან ნივთების მოცილებასთან ერთად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ხდება გამქირავებლის მიერ ამ ფაქტის არცოდნის შემთხვევაში ან მისი პროტესტის მიუხედავად. გამქირავებელს არ შეუძლია ამის გაპროტესტება, თუ ნივთების მოცილება შეესაბამება ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო პირობებს, ან, თუ დატოვებული ნივთები აშკარად საკმარისია გამქირავებლის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

§ 562ბ. თვითდახმარების უფლება, უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება

(1) გამქირავებელს შეუძლია, ხელი შეუშალოს იმ ნივთების მოცილებას, რომლებზეც ვრცელდება გირავნობის უფლება, სასამართლოსათვის მიმართვის გარეშეც, თუ იგი უფლებამოსილია, გააპროტესტოს მოცილება. თუ დამქირავებელი ტოვებს

ქირავნობის ობიექტს, გამქირავებელს შეუძლია ამ ნივთების თავის მფლობელობაში მიღება.
(2) თუ ნივთები მოცილებულ იქნა გამქირავებლის მიერ ამ ფაქტის არცოდნის შემთხვევაში ან პროტესტის მიუხედავად, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს მათი გადაცემა მიწის ნაკვეთზე დაბრუნების მიზნით, ხოლო თუ დამქირავებელმა ქირავნობის ობიექტი დატოვა, – მათზე მფლობელობის გადაცემა. გირავნობის უფლება უქმდება ერთი თვის თავზე, მას შემდეგ, როცა გამქირავებელი შეიტყობს ნივთების მოცილების შესახებ, თუ იგი მანამდე ამ მოთხოვნის უფლებას არ წარადგენს სასამართლოში.

§ 562გ. გირავნობის უფლების თავიდან აცილება უზრუნველყოფის წარდგენით
დამქირავებელს შეუძლია გამქირავებლის გირავნობის უფლების თავიდან აცილება უზრუნველყოფის წარდგენით. მას ამით შეუძლია ყოველი ცალკეული ნივთის გირავნობის უფლებისაგან გათავისუფლება ნივთის ღირებულების შესაბამისი უზრუნველყოფის წარდგენით.

§ 562დ. მესამე პირის მიერ განხორციელებული იძულებითი აღსრულება
თუ იმ ნივთის მიმართ, რომელზეც ვრცელდება გამქირავებლის გირავნობის უფლება, იძულებით აღსრულებას ახორციელებს სხვა კრედიტორი, მაშინ ამ უკანასკნელის მიმართ გირავნობის უფლება არ შეიძლება განხორციელდეს იძულებით აღსრულებამდე უკანასკნელი ერთი წლის დროის პერიოდისათვის, ქირის გამო.

თავი 4. ხელშეკრულების მხარეთა შეცვლა

§ 563. ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში
(1) მეუღლე, რომელთანაც დამქირავებელი უძღვება საერთო მეურნეობას, შემოდის ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში. ანალოგიური წესი მოქმედებს თანაცხოვრების პარტნიორის მიმართ.
(2) თუ დამქირავებლის შვილები ცხოვრობენ საერთო ოჯახში, ისინი შემოდიან ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში, თუკი ურთიერთობაში არ შემოდის მეუღლე. თანაცხოვრების პარტნიორის ურთიერთობაში შესვლა არ ეხება დამქირავებლის შვილების ურთიერთობაში შესვლას. ოჯახის სხვა წევრები, რომლებიც დამქირავებელთან ერთად უძღვებიან საერთო მეურნეობას, შემოდიან ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ ურთიერთობაში არ შემოდის ან მეუღლე, ან თანაცხოვრების პარტნიორი. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ პირების მიმართ, რომლებიც დამქირავებელთან ერთად უძღვებიან გრძელვადიან საერთო მეურნეობას.
(3) თუ, პირველი ან მე-2 ნაწილის გაგებით, ურთიერთობაში შემოსული პირები იმის შემდეგ, როცა ისინი შეიტყობენ დამქირავებლის გარდაცვალების შესახებ, ერთი თვის განმავლობაში განუცხადებენ გამქირავებელს, რომ მათ არ სურთ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება, ურთიერთობაში შემოსვლა არ ითვლება შემდგარად. ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებისათვის, შესაბამისად, მოქმედებს § 210. თუ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერ-

თობაში შემოდის რამდენიმე პირი, მაშინ თითოეულს შეუძლია განცხადების თავის სასარგებლოდ გაკეთება.
(4) გამქირავებელს შეუძლია, ერთი თვის განმავლობაში, იმის შემდეგ, როცა იგი შეიტყობს პირების ქირავნობის ხელშეკრულებაში საბოლოო შემოსვლის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, კანონისმიერი ვადის დაცვით, შეწყვიტოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა, თუ ურთიერთობაში შემოსული პირის პიროვნებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს.
(5) დამქირავებლისა თუ, პირველი ან მე-2 ნაწილების მიხედვით, ქირავნობის ხელშეკრულებაში შესვლაზე უფლებამოსილი პირებისათვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 563ა. ურთიერთობის გაგრძელება ცოცხლად დარჩენილ დამქირავებლებთან
(1) თუ დამქირავებელი რამდენიმე პირია, §563-ის გაგებით, მაშინ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა გაგრძელდება დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში ცოცხლად დარჩენილ დამქირავებლებთან.
(2) ცოცხლად დარჩენილ დამქირავებლებს შეუძლიათ, ერთი თვის განმავლობაში იმის შემდეგ, როცა ისინი შეიტყობენ დამქირავებლის გარდაცვალების თაობაზე, ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით შეწყვიტონ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა.
(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 563ბ. პასუხისმგებლობა ურთიერთობაში შემოსვლის ან მისი გაგრძელების შემთხვევაში
(1) პირები, რომლებიც შემოვიდნენ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში §563-ის თანხმად, ან რომელთანაც ურთიერთობა გაგრძელდა §563ა-ს თანხმად, მემკვიდრესთან ერთად სოლიდარულად პასუხს აგებენ დამქირავებლის გარდაცვალებამდე წარმოშობილი ვალდებულებებისათვის. ამ პირებთან ურთიერთობაში მემკვიდრე პაუხს აგებს დამოუკიდებლად, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი.
(2) თუ დამქირავებელმა ქირის თანხა წინასწარ მისი გარდაცვალების შემდგომი დროის პერიოდისათვის გადაიხადა, პირები, რომლებიც შემოვიდნენ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში § 563-ის თანხმად ან რომლებთანაც ურთიერთობა გაგრძელდა § 563ა-ს თანხმად, ვალდებულნი არიან, მემკვიდრეს დაუბრუნონ ის თანხა, რომელიც მათ წინასწარი გადახდის შედეგად დაზოგეს ან მიიღეს.
(3) იმ შემთხვევაში, როდესაც გარდაცვლილმა დამქირავებელმა არ წარადგინა უზრუნველყოფა, გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა იმ პირებისაგან, რომლებიც შემოვიდნენ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში §563-ის თანხმად, ან რომლებთანაც ურთიერთობა გაგრძელდა §563ა-ს თანხმად.

§ 564. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება მემკვიდრესთან, ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით
თუ დამქირავებლის გარდაცვალებისას არც ერთი პირი, § 563-ის გაგებით, არ შემოდის ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში, ან არც ერთ პირთან არ გაგრძელდა ურთიერთობა, § 563ა-ს თანხმად, მაშინ ეს უკანასკნელი გრძელდება მემკვიდრესთან. ამ შემთხვევაში როგორც მემკვიდრე, ისე გამქირავებელი უფლებამოსილნი

არიან, ერთი თვის განმავლობაში შეწყვიტონ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით იმის შემდეგ, რაც ისინი შეიტყობენ დამქირავებლის გარდაცვალებისა და იმის თაობაზე, რომ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში შემოსვლა ან მისი გაგრძელება არ მომხდარა.

§ 565. სამეწარმეო ქვექირავნობა

(1) თუ, ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, დამქირავებელმა საცხოვრებელი ფართი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქვექირავნობით უნდა გადასცეს მესამე პირს საცხოვრებლად, მაშინ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ გამქირავებელი იძენს დამქირავებელსა და მესამე პირს შორის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს. თუ გამქირავებელი დებს ახალ ქირავნობის ხელშეკრულებას საცხოვრებელი ფართის სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ქვექირავნობით გადაცემისათვის, მაშინ დამქირავებელი ხელშეკრულების თავდაპირველი მხარის ნაცვლად იძენს მესამე პირთან არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს.

(2) შესაბამისად მოქმედებს §§ 566ა-566ე.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 566. ნასყიდობა არ იწვევს ქირავნობის შეწყვეტას

(1) თუ გაქირავებული საცხოვრებელი ფართი გამქირავებლის მიერ დამქირავებლისათვის გადაცემის შემდეგ გასხვისდება მესამე პირზე, მაშინ შემძენი თავისი საკუთრების უფლების ვადის განმავლობაში გამქირავებლის ნაცვლად იძენს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებს.

(2) თუ შემძენი არ ასრულებს ვალდებულებებს, მაშინ გამქირავებელი შემძენის მიერ ასანაზღაურებელი ზიანისთვის პასუხს აგებს როგორც თავდები, რომელმაც უარი განაცხადა შესაგებელზე, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. თუ დამქირავებელი შეიტყობს საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ გამქირავებლის შეტყობინების მეშვეობით, მაშინ ეს უკანასკნელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუკი დამქირავებელი არ წყვეტს ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობას ხელშეკრულების შეწყვეტის პირველსავე შესაძლო ვადაში.

§ 566ა. ქირავნობის უზრუნველყოფა

თუ გასხვისებული საცხოვრებელი ფართის დამქირავებელმა გამქირავებელს თავისი ვალდებულებების შესრულებისათვის წარუდგინა უზრუნველყოფა, მაშინ შემძენი იძენს ამის შედეგად წარმოშობილ უფლებებსა და ვალდებულებებს. თუ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისას დამქირავებელს არ შეუძლია შემძენისაგან უზრუნველყოფის მიღება, მაშინ გამქირავებელი შემდგომშიც ვალდებული რჩება მის დაბრუნებაზე.

§ 566ბ. ქირავნობის უფლების წინასწარი განკარგვა

(1) თუ გამქირავებელი საკუთრების უფლების გადასვლამდე განკარგავს ქირავნობის უფლებას, რომელიც შეესაბამება შემძენის უფლებამოსილების დროის მონაკ-

ვეთს, განკარგვა სამართლებრივი ძალის მქონეა, თუკი იგი ეხება ქირავნობას იმ კალენდარული თვისათვის, როდესაც გადადის საკუთრების უფლება. თუ საკუთრების უფლება გადადის თვის მეთხუთმეტე დღის შემდეგ, მაშინ განკარგვა ასევე სამართლებრივი ძალის მქონეა, თუკი იგი ეხება ქირავნობას მომდევნო კალენდარული თვისათვის.
(2) შემძენმა უნდა დაუშვას მის მიმართ ქირავნობის უფლების განკარგვა უფრო გვიანი პერიოდისათვის, თუ მან მის შესახებ იცის საკუთრების უფლების გადასვლის დროისათვის.

§ 566გ. ქირავნობის უფლების შესახებ გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის შეთანხმება
გარიგება, რომელიც დადებულია გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის ქირის თანხის მოთხოვნის შესახებ, კერძოდ, ქირის თანხის გადახდა შემძენის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა, თუ იგი არ ეხება ქირავნობას იმ მომდევნო კალენდარული თვისათვის, როდესაც დამქირავებელი შეიტყობს საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ. თუ დამქირავებელი შეიტყობს აღნიშნულის შესახებ თვის მეთხუთმეტე დღის შემდეგ, მაშინ გარიგება ასევე სამართლებრივი ძალის მქონეა, თუკი იგი ეხება ქირავნობას მომდევნო კალენდარული თვისათვის. თუმცა, საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ დადებული გარიგება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ დამქირავებელმა შეიტყო საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ გარიგების დადების მომენტში.

§ 566დ. დამქირავებლის მიერ განხორციელებული გაქვითვა
იმდენად, რამდენადაც გამქირავებლისათვის ქირის თანხის გადახდა § 566გ-ს მიხედვით შემძენის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა, დამქირავებელს შეუძლია, შემძენის მიერ ქირის თანხის გადახდის მოთხოვნა გაქვითოს გამქირავებლის მიმართ კუთვნილი მოთხოვნით. გაქვითვა გამორიცხულია, თუ დამქირავებელმა შეიძინა საპირისპირო მოთხოვნა იმის შემდეგ, რაც შეიტყო საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ, ან, როდესაც საპირისპირო მოთხოვნა ვადამოსული გახდა მხოლოდ დამქირავებლის მიერ საკუთრების უფლების გადასვლის ფაქტის შეტყობისა და ქირის თანხის გადახდის ვადის დადგომის შემდეგ.

§ 566ე. გამქირავებლის მიერ საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ შეტყობინება
(1) თუ გამქირავებელი ატყობინებს დამქირავებელს იმის თაობაზე, რომ საკუთრების უფლება გაქირავებულ საცხოვრებელ ფართზე გადავიდა მესამე პირზე, მაშინ მან ქირის თანხის გადახდის მოთხოვნასთან დაკავშირებით უნდა დაუშვას მის მიმართ დამქირავებლის მიერ შეტყობინებული საკუთრების უფლების გადასვლა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს უკანასკნელი არ ხორციელდება ან სამართლებრივი ძალის არმქონეა.
(2) შეტყობინებაზე უარი დასაშვებია მხოლოდ იმ პირის თანხმობით, რომელიც დასახელებულია როგორც ახალი მესაკუთრე.

§ 567. გამქირავებლის მიერ საცხოვრებელი ფართის უფლებრივი დატვირთვა
თუ გაქირავებული საცხოვრებელი ფართი დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდეგ გამქირავებლის მიერ მესამე პირის სასარგებლოდ იტვირთება უფლებით,

მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 566-566ე, თუკი უფლების რეალიზაციის შედეგად დამქირავებელს ჩამოერთმევა ხელშეკრულების შესაბამისი სარგებლობის უფლება; თუ დამქირავებელს უფლების რეალიზაციის შედეგად შეეზღუდება ხელშეკრულების შესაბამისი სარგებლობის უფლება, მაშინ მესამე პირი დამქირავებლის მიმართ ვალდებულია, თავი შეიკავოს უფლების რეალიზაციისაგან იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი ხელშეკრულების შესაბამისი სარგებლობის უფლებისათვის ხელისშემშლელი იქნებოდა.

§ 567ა. გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა საცხოვრებელი ფართის დამქირავებლისათვის გადაცემამდე

თუ გამქირავებელმა გაქირავებული საცხოვრებელი ფართი დამქირავებლისათვის გადაცემამდე გაასხვისა მესამე პირზე, ან დატვირთა ისეთი უფლებით, რომლის რეალიზაციის შედეგად დამქირავებელს ჩამოერთმევა ან შეეზღუდება ხელშეკრულების შესაბამისი სარგებლობის უფლება, მაშინ ანალოგიური წესი მოქმედებს § 556-ის პირველი ნაწილისა და § 567-ის შემთხვევებში, თუკი შემძენმა გამქირავებლის წინაშე იკისრა ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებები.

§ 567ბ. შემძენის მიერ გაქირავებული საცხოვრებელი ფართის შემდგომი გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა

თუ გაქირავებული საცხოვრებელი ფართი შემძენის მხრიდან შემდგომში იქნება გასხვისებული ან უფლებრივად დატვირთული, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 556-ის პირველი ნაწილი და §§ 566ა-567ა. თუ ახალი შემძენი არ ასრულებს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ გამქირავებელი პასუხისმგებელია დამქირავებლის წინაშე §566-ის მე-2 ნაწილის თანახმად.

თავი 5. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დასრულება

ქვეთავი 1. ზოგადი დებულებები

§ 568. ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმა და შინაარსი

(1) ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა საჭიროებს წერილობით ფორმას.

(2) გამქირავებელმა დროულად უნდა მიუთითოს დამქირავებელს შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობაზე, შესაგებლის ფორმასა და ვადაზე, §§ 574-574ბ-ს მიხედვით.

§ 569. ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, ვადის დაცვის გარეშე, მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე

(1) მნიშვნელოვანი საფუძველი, § 543-ის პირველი ნაწილის გაგებით, დამქირავებლისთვის არსებობს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც გაქირავებული საცხოვრებელი ფართი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი გამოყენება დაკავშირებულია ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან საფრთხესთან. ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, თუ დამქირავებელმა ხელშეკრულების დადების დროს იცოდა საფრთხის გამომწვევი

თვისებების შესახებ, ან ამ თვისებების გამო უარი თქვა თავისი უფლებების რეალიზაციაზე.

(2) მნიშვნელოვანი საფუძველი, § 543 პირველი ნაწილის გაგებით, არსებობს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხელშეკრულების ერთი მხარე მუდმივად არღვევს ცხოვრების მყურდოებას ისე, რომ ცალკეული შემთხვევის ყველა გარემოების, მათ შორის, ხელშეკრულების მხარეთა ბრალისა და ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულების შეწყვეტისათვის დადგენილი ვადის გასვლამდე ან ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის სხვა შემთხვევებამდე ხელშეკრულების შემწყვეტი მხარისათვის შეუძლებელია.

(3) § 543-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 3-ის დამატებით მოქმედებს შემდეგი წესები:

1. § 543-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების № 3-ის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ქირის თანხის გადაუხდელი ნაწილი უნდა იქნეს განხილული როგორც უმნიშვნელო, თუ იგი აღემატება ერთი თვის ქირის თანხას. ეს არ მოქმედებს, თუ საცხოვრებელი ფართი გაქირავებულია მხოლოდ დროებითი გამოყენებისათვის.
2. ხელშეკრულების შეწყვეტა სამართლებრივი ძალის არმქონეა მაშინაც, თუ გამოსახლების თაობაზე სასამართლო დავის დაწყებიდან ორი თვის ვადის გასვლამდე გამქირავებელი დაკმაყოფილდება ვადამოსული ქირის თანხისა და §546ა-ს პირველი ნაწილით გათვალისწინებული ანაზღაურების თანხის მიღებით, ან გადახდის ვალდებულებას კისრულობს საჯარო ორგანო. ეს წესი არ გამოიყენება, თუ, პირველი წინადადების მიხედვით, სამართლებრივი ძალის არმქონე ხელშეკრულების შეწყვეტის განცხადება ხელშეკრულების შეწყვეტას უკვე უსწრებს არა უმეტეს ორი წლის ვადისა.
3. თუ დამქირავებელს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა გაზრდილი ქირის თანხის გადახდა, §§ 558-560 თანახმად, მაშინ გამქირავებელს არ შეუძლია დამქირავებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილების გამო ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ორი თვის ვადის გასვლამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უკვე შესრულდა ქირის წინა დავალიანების გამო ვადის დაცვის გარეშე შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები.

(4) ხელშეკრულების შეწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა მიეთითოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში.

(5) დამქირავებლისთვის საზიანო წინამდებარე პარაგრაფის პირველი-მე-3 ნაწილებისაგან ან § 543-ისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა. გარდა ამისა, სამართლებრივი ძალის არმქონეა შეთანხმება, რომლითაც გამქირავებელი უნდა იყოს უფლებამოსილი, ვადის დაცვის გარეშე შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით შეწყვეტოს ხელშეკრულება სხვა, ვიდრე კანონით დაშვებული, საფუძვლებიდან გამომდინარე.

§ 570. დაკავების უფლების გამორიცხვა

დამქირავებელს არა აქვს გამქირავებლის კუთვნილი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების საწინააღმდეგოდ დაკავების უფლება.

§ 571. სხვა ზარალის ანაზღაურება საცხოვრებელი ფართის დაგვიანებული დაბრუნებისას

(1) თუ დამქირავებელი არ აბრუნებს გაქირავებულ საცხოვრებელ ფართს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, მაშინ გამქირავებელს შეუძლია მხოლოდ სხვა ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის წარდგენა § 546ა-ს მე-2 ნაწილის გაგებით, თუკი უკან დაბრუნება არ შედგა იმ გარემოებების შედეგად, რომელთათვის პასუხს აგებს დამქირავებელი. ზარალი უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ამას ითხოვს სამართლიანობა. ეს წესი არ მოქმედებს, თუ დამქირავებელმა შეწყვიტა ხელშეკრულება.

(2) თუ დამქირავებელს მიეცემა ვადა ფართის გათავისუფლებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 721-ის ან § 794ა-ს თანახმად, მაშინ იგი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს სხვა ზარალი ფართის გათავისუფლების ვადის გასვლამდე.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 572. შეთანხმებით დადგენილი ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება; ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა გაუქმების პირობით

(1) გამქირავებელს არ შეუძლია მითითება იმ შეთანხმებაზე, რომლის თანხმადაც იგი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე დამქირავებლისათვის საცხოვრებელი ფართის გადაცემის შემდეგ.

(2) გარდა ამისა, გამქირავებელს არ შეუძლია მიუთითოს შეთანხმებაზე, რომლის თანხმადაც ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა დამქირავებლისთვის საზიანოდ დადებულია გაუქმების პირობით.

ქვეთავი 2. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა განუსაზღვრელი ვადით

§ 573. გამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის სტანდარტული უფლება

(1) გამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის გამართლებული ინტერესი. ხელშეკრულების შეწყვეტა ქირის თანხის გაზრდის მიზნით გამორიცხულია.

(2) ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის გამქირავებლის გამართლებული ინტერესი არსებობს, კერძოდ, როდესაც:

1. დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად მნიშვნელოვნად დაარღვია;
2. გამქირავებელს საცხოვრებელი ფართი საცხოვრებელ ბინად სჭირდება თავისთვის, თავისი ოჯახის წევრებისა თუ საერთო მეურნეობაში მონაწილე სხვა ნათესავებისათვის; ან
3. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების შედეგად გამქირავებელს ხელი შეეშლებოდა მიწის ნაკვეთის სამეურნეო მიზნით სათანადოდ გამოყენებაში და ამის შედეგად მიიღებდა მნიშვნელოვან ზარალს; საცხოვრებელი ფართის სხვა პირზე გაქირავებით მომატებული ქირის თანხის მიღების შესაძლებლობა მხედველობაში არ მიიღება; გამქირავებელს არ შეუძლია ასევე იმ ფაქტზე მითითება, რომ მას სურს, გაასხვისოს გაქირავებული ფართი ბინაზე

საკუთრების უფლების დაგეგმილ ან დამქირავებლისათვის მისი გადაცემის შემდგომ განხორციელებულ დადგენასთან დაკავშირებით.

(3) გამქირავებლის მხრიდან გამართლებული ინტერესის დასაბუთება უნდა მიეთითოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში. სხვა საფუძვლები გათვალისწინებულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შემდგომში წარმოიშვა.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 573ა. გამქირავებლის მიერ ხელშეკრულების გამარტივებული შეწყვეტა

(1) გამქირავებელს შეუძლია ასევე იმ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, რომელშიც ცხოვრობს თავად გამქირავებელი არა უმეტეს ორი საცხოვრებელი ბინით ისე, რომ საჭირო აღარ არის გამართლებული ინტერესის არსებობა, § 573-ის გაგებით. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა ამ შემთხვევაში გრძელდება სამი თვით.

(2) პირველი ნაწილი შესაბამისად მოქმედებს იმ შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ფართის მიმართ, რომელშიც ცხოვრობს თავად გამქირავებელი, თუ საცხოვრებელი ფართზე, § 549-ის მე-2 ნაწილის № 2-ის თანახმად, არ ვრცელდება დამქირავებლის დაცვის წესები.

(3) ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში უნდა მიეთითოს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა ეფუძნება პირველი ან მე-2 ნაწილების წინაპირობებს.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 573ბ. გამქირავებლის მიერ ხელშეკრულების ნაწილობრივი შეწყვეტა

(1) გამქირავებელს § 573-ის გაგებით გამართლებული ინტერესის გარეშე შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა არასაცხოვრებელი მიზნებისათვის განკუთვნილი დამხმარე ფართების ან მიწის ნაკვეთის ნაწილების მიმართ, თუ იგი ხელშეკრულების შეწყვეტას ზღუდავს ამ ფართებითა თუ მიწის ნაკვეთის ნაწილებით და მას მათი გამოყენება სურს:

1. საცხოვრებელი ფართის მოსაწყობად შემდგომი გაქირავების მიზნით; ან
2. ახლად მოსაწყობი ან არსებული საცხოვრებელი ფართის დამხმარე ფართებისა ან მიწის ნაკვეთის ნაწილების მიმატებით.

(2) ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო თვის გასვლამდე.

(3) თუ სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგვიანდა, მაშინ დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გახანგრძლივება შესაბამისი ვადით.

(4) დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირის შესაბამისი შემცირება.

(5) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 573გ. ხელშეკრულების სტანდარტული უფლებით შეწყვეტის ვადები

(1) ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო თვის გასვლამდე. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა გამქირავებელისათვის იზრდება შესაბამისად სამი თვით, საცხოვრებელი ფართის დამქირავებლისათვის გადაცემის მომენტიდან ხუთი და რვა წლის გასვლის შემდეგ.

(2) იმ საცხოვრებელი ფართის შემთხვევაში, რომელიც გადაეცემა ქირავნობით მხოლოდ დროებითი სარგებლობისათვის, შეიძლება შეთანხმებულ იქნეს ხელშეკრულების შეწყვეტის უფრო მოკლე ვადა.
(3) § 549-ის მე-2 ნაწილის № 2-ის მიხედვით, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია არა უგვიანეს თვის მე-15 რიცხვიდან ამ თვის დასრულებამდე.
(4) დამქირავებლისთვის საზიანო პირველი ან მე-2 ნაწილებისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 573დ. ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით
(1) თუ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით, მაშინ, შესაბამისად, მოქმედებს §§ 573 და 573ა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება § 564-ის თანახმად დამქირავებლის მემკვიდრეების მიმართ.
(2) ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო თვის გასვლამდე, ხოლო § 549-ის მე-2 ნაწილის № 2-ის მიხედვით, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შემთხვევაში, არა უგვიანეს თვის მე-15 რიცხვიდან ამ თვის დასრულებამდე. § 573ა-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადება არ გამოიყენება.
(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 574. ხელშეკრულების შეწყვეტის წინააღმდეგ დამქირავებლის შესაგებელი
(1) დამქირავებელს შეუძლია, გამქირავებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის წინააღმდეგ წარადგინოს შესაგებელი და მისგან მოითხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება, თუ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა დამქირავებლის, მისი ოჯახისა თუ საერთო მეურნეობაში მონაწილე სხვა ნათესავებისათვის იქნებოდა მძიმე, რაც არ არის გამართლებული თუნდაც გამქირავებლის პატივსადები ინტერესების აღიარებით. ეს წესი არ მოქმედებს, თუ არსებობს საფუძველი, რომელიც გამქირავებელს ანიჭებს შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვის გარეშე ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებამოსილებას.
(2) სირთულე არსებობს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ საცხოვრებელი ფართის სათანადო შეცვლა მისაღები პირობებით ვერ ხორციელდება.
(3) გამქირავებლის პატივსადები ინტერესების აღიარების შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შეტყობინებაში § 573-ის მე-3 ნაწილის თანხმად მოცემული საფუძვლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საფუძვლები შემდგომში წარმოიშვა.
(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 574ა. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება შესაგებლის წარდგენის შემდეგ
(1) § 574-ის შემთხვევაში დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება სათანადო ვადით ყველა გარემოების გათ-

ვალისწინებით. თუ გამქირავებლისათვის ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება თავდაპირველი სახელშეკრულებო პირობებით მიუღებელია, მაშინ დამქირავებელს შეუძლია ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირობებში შეტანილ იქნება შესაბამისი ცვლილებები.
(2) თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, მაშინ გადაწყვეტილებები ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების, მისი ხანგრძლივობის, ასევე იმ პირობების შესახებ, რომელთა მიხედვითაც ურთიერთობა გრძელდება, მიიღება სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუ გაურკვეველია, სავარაუდოდ, როდის აღმოიფხვრება ის გარემოებები, რომელთა გამოც ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა იქნებოდა მძიმე, მაშინ შეიძლება გადაწყდეს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით.
(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 574ბ. შესაგებლის ფორმა და წარდგენის ვადა
(1) ხელშეკრულების შეწყვეტის წინააღმდეგ დამქირავებლის შესაგებელი განცხადებულ უნდა იქნეს წერილობით. გამქირავებლის მოთხოვნით დამქირავებელმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია შესაგებლის საფუძვლების შესახებ.
(2) გამქირავებელს შეუძლია, უარი თქვას ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელებაზე, თუ დამქირავებელმა არ წარადგინა შესაგებელი ორი თვის ვადაში ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტამდე. თუ გამქირავებელმა დროულად, შესაგებლის წარდგენის ვადის გასვლამდე, არ მიუთითა შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობის შესახებ, ისევე როგორც მისი ფორმისა და ვადის შესახებ, მაშინ დამქირავებელს შესაგებლის წარდგენა შეუძლია გამოსახლების თაობაზე სასამართლო დავის პირველ სხდომაზე.
(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 574გ. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შემდგომი გაგრძელება გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში
(1) თუ §§ 574-574ბ-ს საფუძველზე შეთანხმებით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გაგრძელდეს განსაზღვრული ვადით, მაშინ დამქირავებელს შეუძლია ურთიერთობის შემდგომი გაგრძელების მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამართლებულია გარემოებათა არსებითი ცვლილების გამო, ან თუ არ დადგა ის გარემოებები, რომელთა სავარაუდო დადგომაც გადამწყვეტი იყო შემდგომი ვადისათვის.
(2) თუ გამქირავებელი წყვეტს ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით დადგინდა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მაშინ დამქირავებელს შეუძლია, შეწყვეტის წინააღმდეგ წარადგინოს შესაგებელი და გამქირავებელს მოსთხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით. თუ შეიცვალა გარემოებები, რომლებიც გადამწყვეტი იყო ურთიერთობის გასაგრძელებლად, მაშინ დამქირავებელს შეუძლია ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელება მხოლოდ § 574-ის მიხედვით; უმნიშვნელო ცვლილებები მხედველობაში არ მიიღება.
(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

ქვეთავი 3. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა განსაზღვრული ვადით

§ 575. ვადიანი ქირავნობის ხელშეკრულება

(1) ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება დადგინდეს განსაზღვრული ვადით, თუ გამქირავებელს ქირავნობის ვადის გასვლის შემდეგ:

1. სურს ფართების გამოყენება საცხოვრებლად თავისთვის, თავისი ოჯახის წევრებისა თუ საერთო მეურნეობაში მონაწილე სხვა ნათესავებისათვის;
2. დასაშვებ ფარგლებში სურს ფართების დანგრევა ან იმდენად არსებითად შეცვლა ან გარემონტება, რომ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების შედეგად ამ ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად გართულდებოდა; ან
3. სურს ფართების გაქირავება სამსახურის გაწევაზე ვალდებულ პირზე და იგი ხელშეკრულების დადებისას წერილობით ატყობინებს დამქირავებელს ვადით შეზღუდვის მიზეზს. სხვა შემთხვევაში ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულად.

(2) ვადის გასვლამდე არა უადრეს ოთხი თვისა დამქირავებელს შეუძლია, გამქირავებლისაგან მოითხოვოს ერთი თვის ვადაში მისთვის შეტყობინება იმის შესახებ, არსებობს თუ არა კიდევ ვადით შეზღუდვის საფუძველი. თუ შეტყობინება კეთდება მოგვიანებით, მაშინ დამქირავებელს შეუძლია ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გახანგრძლივების მოთხოვნა დაგვიანების ვადით.

(3) თუ ვადით შეზღუდვის მიზეზი დგება მოგვიანებით, მაშინ დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გახანგრძლივება შესაბამისი ვადით. თუ მიზეზი ისპობა, მაშინ დამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს გახანგრძლივება განუსაზღვრელი ვადით. ვადით შეზღუდვის მიზეზის დადგომასა და გახანგრძლივების ვადასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთი ეკისრება გამქირავებელს.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 575ა. ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით

(1) თუ განსაზღვრული ვადით დადგენილი ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით, მაშინ შესაბამისად მოქმედებს §§ 573 და 573ა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება, § 564-ის თანახმად, დამქირავებლის მემკვიდრეების მიმართ.

(2) §§ 574-574გ მოქმედებს შესაბამისად, იმ პირობით, რომ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის გახანგრძლივება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ხელშეკრულებაში განსაზღვრულ შეწყვეტის დრომდე.

(3) ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო თვის გასვლამდე, ხოლო § 549-ის მე-2 ნაწილის № 2-ის მიხედვით, საცხოვრებელი ფართის ქირავნობის შემთხვევაში, არა უგვიანეს თვის მე-15 რიცხვიდან ამ თვის დასრულებამდე. § 573ა-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადება არ გამოიყენება.

(4) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

ქვეთავი 4. დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფართები

§ 576. ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით შეწყვეტის ვადები დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი გაქირავებული საცხოვრებელი ფართების შემთხვევაში

(1) თუ საცხოვრებელი ფართი გაქირავებულია სასამსახურო ურთიერთობის გათვალისწინებით, მაშინ გამქირავებელს, მიუხედავად § 573გ-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადებისა, სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ შეუძლია შეწყვიტოს ქირავნობის ხელშეკრულება შემდეგი ვადების დაცვით:

1. იმ საცხოვრებელი ფართის შემთხვევაში, რომელიც გადაცემულ იქნა დამქირავებლისათვის ათ წელზე ნაკლები ვადით, არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე დღიდან მოდევნო თვის გასვლამდე, თუ საცხოვრებელი ფართი ესაჭიროება სხვა სამსახურის გაწევაზე ვალდებულ პირს;
2. არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე დღიდან ამ თვის გასვლამდე, თუ სასამსახურო ურთიერთობა თავისი ბუნებით ითხოვდა იმ საცხოვრებელი ფართის სარგებლობაში გადაცემას, რომელიც განთავსებულია სამუშაო ადგილთან უშუალო კავშირსა ან მის სიახლოვეში და იგი ანალოგიური მიზეზით ესაჭიროება სხვა სამსახურის გაწევაზე ვალდებულ პირს.

(2) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 576ა. შესაგებლის მოთხოვნის უფლების თავისებურებანი დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი გაქირავებული საცხოვრებელი ფართების შემთხვევაში

(1) §§ 574-574გ-ს დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი გაქირავებული საცხოვრებელი ფართების მიმართ გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ასევე სამსახურის მიღებაზე უფლებამოსილი პირის ინტერესებიც.

(2) §§ 574-574გ არ მოქმედებს, თუ:

1. გამქირავებელმა ხელშეკრულება შეწყვიტა § 576-ის პირველი ნაწილის № 2-ის თანახმად;
2. დამქირავებელმა შეწყვიტა სასამსახურო ურთიერთობა სამსახურის მიღებაზე უფლებამოსილი პირისაგან ამისათვის კანონიერი საფუძვლის მინიჭების გარეშე, ან თავისი მოქმედებით ამ უკანასკნელს მისცა კანონიერი საფუძველი სასამსახურო ურთიერთობის შესაწყვეტად.

(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 576ბ. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლის შესაბამისი მოქმედება დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი გაქირავებული საცხოვრებელი ფართების შემთხვევაში

(1) თუ საცხოვრებელი ფართი ქირავნობით გადაეცემა სასამსახურო ურთიერთობის ფარგლებში, მაშინ საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებული ურთიერთობის მიმართ შესაბამისად მოქმედებს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები, თუკი სამსახურის გაწევაზე ვალდებულმა პირმა საცხოვრებელი ფართი აღჭურვა უმეტესწილად ინტერიერის საგნებით, ან იგი მასში ცხოვრობს

თავის ოჯახთან ან იმ პირებთან ერთად, რომლებთანაც იგი ხანგრძლივი ვადით უძღვება საერთო მეურნეობას.
(2) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

თავი 6. გაქირავებულ საცხოვრებელ ბინებზე საკუთრების უფლების დადგენის თავისებურებანი

§ 577. დამქირავებლის უპირატესი შესყიდვის უფლება

(1) თუ გაქირავებული საცხოვრებელი ფართები, რომლებზეც დამქირავებლისათვის მათი გადაცემის შემდეგ დადგინდა ან უნდა დადგინდეს საცხოვრებელ ბინებზე საკუთრების უფლება, გაიყიდება მესამე პირზე, მაშინ დამქირავებელი უფლებამოსილია უპირატეს შესყიდვაზე. ეს წესი არ მოქმედებს, თუ გამქირავებელი საცხოვრებელ ფართებს ყიდის ოჯახის წევრებსა თუ საერთო მეურნეობაში მონაწილე სხვა ნათესავებზე. იმდენად, რამდენადაც ქვემოთ მოცემული ნაწილებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, უპირატესი შესყიდვის უფლების მიმართ გამოიყენება უპირატესი შესყიდვის მომწესრიგებელი ნორმები.
(2) ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსის შესახებ გამყიდველის ან მესამე პირის შეტყობინებას უნდა დაემატოს განმარტება დამქირავებლისათვის მისი უპირატესი შესყიდვის უფლების თაობაზე.
(3) უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაცია ხორციელდება გამქირავებლის მიმართ დამქირავებლის მიერ წარდგენილი წერილობითი განცხადებით.
(4) თუ დამქირავებელი გარდაიცვლება, მაშინ უპირატესი შესყიდვის უფლება გადადის იმ პირებზე, რომლებიც შემოდიან ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში § 563-ის პირველი ან მე-2 ნაწილის თანახმად.
(5) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 577ა. ხელშეკრულების შეწყვეტის შესაძლებლობის შეზღუდვა საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლების გადასვლის შემთხვევაში

(1) თუ დამქირავებლისათვის გაქირავებული საცხოვრებელი ფართების გადაცემის შემდეგ მათზე დგინდება საკუთრების უფლება და ეს უკანასკნელი გასხვისდა, მაშინ შემძენს შეუძლია მიუთითოს გამართლებულ ინტერესზე, § 573-ის მე-2 ნაწილის №№ 2 ან 3-ის გაგებით, გასხვისებიდან სამი წლის გასვლის შემდეგ.
(2) პირველი ნაწილის მიხედვით, ვადა შეადგენს ათ წელს, თუ სათანადო პირობებით გასაქირავებელი საცხოვრებელი ბინებით მუნიციპალიტეტში ან მუნიციპალიტეტის ნაწილში მოსახლეობის საკმარის მომარაგებას განსაკუთრებული საფრთხე ემუქრება და ეს ტერიტორიები დადგენილია მე-2 წინადადების მიხედვით. ფედერაციული მხარეების მთავრობები უფლებამოსილნი არიან, პირველი წინადადების მიხედვით, სახელისუფლო განკარგულების საფუძველზე განსაზღვრონ ეს ტერიტორიები და ვადა თითოეულ შემთხვევაში ათ წლამდე ვადით.
(3) დამქირავებლისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

ქვეკარი 3. ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა სხვა ნივთებზე

§ 578. მიწის ნაკვეთებსა და სათავსოებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა

(1) მიწის ნაკვეთებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 550-ის, 562-562დ-ს, 566-567ბ-ს, ასევე § 570-ის ნორმები.

(2) სათავსოებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება პირველ ნაწილში დასახელებული ნორმები, ასევე § 662-ის პირველი ნაწილი, § 554 1-4-ის ნაწილები და § 569-ის მე-2 ნაწილი. თუ სათავსოები განკუთვნილია მათში ადამიანების ყოფნისათვის, მაშინ, გარდა აღნიშნულისა, შესაბამისად მოქმედებს § 569-ის პირველი ნაწილი.

§ 578ა. რეგისტრირებულ საზღვაო ხომალდებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა

(1) §§ 566-ის, 566ა-ს, 566ე-567ბ-ს ნორმები, შესაბამისად, მოქმედებს რეგისტრირებულ საზღვაო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებული საზღვაო ხომალდების გასხვისებისა თუ უფლებრივი დატვირთვის შემთხვევაში.

(2) გამქირავებლის მიერ საკუთრების უფლების გადაცემამდე განხორციელებული იმ ქირის თანხის განკარგვა, რომელიც შეესაბამება შემძენის უფლებამოსილების პერიოდს, ამ უკანასკნელის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ გარიგების მიმართ, რომელიც იდება დამქირავებელსა და გამქირავებელს შორის ქირის თანხის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მათ შორის, ქირის თანხის გადახდასთან დაკავშირებით; თუმცა, გარიგება, რომელიც იდება საკუთრების უფლების გადაცემის შემდეგ, სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ დამქირავებელმა გარიგების დადების მომენტში იცოდა საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. შესაბამისად მოქმედებს § 566დ.

§ 579. ქირის თანხის გადახდის მომენტი

(1) მიწის ნაკვეთის, საზღვაო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებული საზღვაო ხომალდისა და მოძრავი ნივთისათვის ქირის თანხა გადახდილ უნდა იქნეს ქირავნობის ვადის დასრულებისას. თუ ქირის თანხა იანგარიშება დროის მონაკვეთებით, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნეს ცალკეული დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ. მიწის ნაკვეთისათვის ქირის თანხა ექვემდებარება გადახდას ყოველი კვარტლის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ სამუშაო დღეს, თუ იგი არ იანგარიშება დროის უფრო მცირე მონაკვეთებით.

(2) სათავსოებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ შესაბამისად მოქმედებს § 566ბ-ს პირველი ნაწილი.

§ 580. ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით დამქირავებლის გარდაცვალების შემთხვევაში

თუ დამქირავებელი გარდაიცვალება, მაშინ როგორც მისი მემკვიდრე, ისე გამქირავებელი უფლებამოსილნი არიან, ერთი თვის ვადაში იმის შემდეგ, რაც ისინი შეიტყობენ დამქირავებლის გარდაცვალების შესახებ, შეწყვიტონ ქირავნობის სამართ-

ლებრივი ურთიერთობა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით.

§ 580ა. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადები

(1) მიწის ნაკვეთებზე, არასამსახურებრივი მიზნებისათვის გათვალისწინებულ სათავსოებზე ან საზღვაო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებულ საზღვაო ხომალდებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა დასაშვებია:

1. ნებისმიერ დღეს მომდევნო დღის გასვლისას, თუ ქირის თანხა იანგარიშება დღეებით;
2. არა უგვიანეს კვირის პირველი სამუშაო დღიდან მომდევნო შაბათის გასვლამდე, თუ ქირის თანხა იანგარიშება კვირებით;
3. არა უგვიანეს კალენდარული თვის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო თვის გასვლამდე, თუ ქირის თანხა იანგარიშება თვეებით ან დროის უფრო ხანგრძლივი პერიოდებით, თუმცა, სამეწარმეო მიზნით გამოყენებულ დაუსახლებელ მიწის ნაკვეთებზე ან საზღვაო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებულ საზღვაო ხომალდებზე არსებული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში, მხოლოდ ერთი კვარტლის გასვლის შემდეგ.

(2) სამსახურებრივი მიზნებისათვის გათვალისწინებულ სათავსოებზე ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის სტანდარტული უფლების გამოყენებით დასაშვებია არა უგვიანეს კვარტლის მესამე სამუშაო დღიდან მომდევნო კვარტლის გასვლამდე.

(3) მოძრავ ნივთებზე ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის სტანდარტული უფლების გამოყენებით დასაშვებია:

1. ნებისმიერ დღეს მომდევნო დღის გასვლამდე, თუ ქირის თანხა იანგარიშება დღეებით;
2. არა უგვიანეს მესამე დღიდან იმ თარიღამდე, რომლის გასვლისას უნდა შეწყდეს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა, თუ ქირის თანხა იანგარიშება დროის უფრო ხანგრძლივი პერიოდებით.

(4) ასევე გამოიყენება პირველი ნაწილის № 3, მე-2 ნაწილი და მე-3 ნაწილის № 2, თუ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით.

ქვეკარი 4. იჯარის ხელშეკრულება

§ 581. ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში

(1) იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე ვალდებულია, იჯარის ვადის განმავლობაში გადასცეს მოიჯარეს იჯარის საგანი სარგებლობაში და უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ ეს უკანასკნელი, მეურნეობის სათანადო გაძღოლის წესების შესაბამისად, განიხილება როგორც შემოსავალი. მოიჯარე ვალდებულია, გადაუხადოს მეიჯარეს შეთანხმებული საიჯარო ქირა.

(2) იჯარის ხელშეკრულების მიმართ, გარდა მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულებისა, შესაბამისად, გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების შესახებ ნორმები, თუ §§ 582-584ბ-დან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 582. ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში

(1) თუ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა ინვენტართან ერთად, მაშინ მოიჯარე პასუხს აგებს ინვენტარის ცალკეული ნაწილების მოვლა-პატრონობისათვის.

(2) მეიჯარე ვალდებულია, შეცვალოს ინვენტარის ის ნაწილები, რომლებიც დაიკარგა იმ გარემოებების შედეგად, რომელთა დადგომისათვისაც მოიჯარე პასუხს არ აგებს. თუმცა, მოიჯარე ვალდებულია, შეავსოს ინვენტარს მიკუთვნებული ცხოველების დანაკარგი იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება მეურნეობის სათანადო გაძღოლას.

§ 582ა. ინვენტარის მიღება შეფასებითი ღირებულებით

(1) თუ მიწის ნაკვეთის მოიჯარე ინვენტარს მიიღებს შეფასებითი ღირებულებით იმ ვალდებულების კისრებით, რომ საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას შეფასებითვე უკან დააბრუნებს მას, მაშინ შემთხვევით დაღუპვისა და შემთხვევით გაუარესების რისკი ეკისრება მას. მეურნეობის სათანადო გაძღოლის ფარგლებში მოიჯარეს შეუძლია ინვენტარის ცალკეული ნაწილების განკარგვა.

(2) მოიჯარემ ინვენტარი უნდა შეინახოს ისეთ მდგომარეობაში და იჯარის დროის განმავლობაში იმ მოცულობით შეცვალოს, რომელიც შეესაბამება მეურნეობის სათანადო გაძღოლის წესებს. მის მიერ შეძენილი ცალკეული ნაწილები ინვენტარის შემადგენლობაში შეტანით ხდება მეიჯარის საკუთრება.

(3) საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას მოიჯარემ მეიჯარეს უნდა დაუბრუნოს სახეზე არსებული ინვენტარი. მეიჯარეს შეუძლია უარი თქვას მოიჯარის მიერ შეძენილი ინვენტარის ნაწილების მიღებაზე, თუ იგი მიწის ნაკვეთზე მეურნეობის სათანადო გაძღოლისათვის ზედმეტია ან მეტად ძვირადღირებულია; უარის თქმასთან ერთად მიუღებელი ინვენტარის ნაწილებზე საკუთრების უფლება გადადის მოიჯარეზე. თუ არსებობს სხვაობა მიღებული და დაბრუნებული ინვენტარის საერთო შეფასებით ღირებულებებს შორის, მაშინ იგი უნდა ანაზღაურდეს ფულით. შეფასებით ღირებულებებს საფუძვლად უნდა დაედოს ის ფასები, რომლებიც მოქმედებს საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის მომენტში.

§ 583. მოიჯარის გირავნობის უფლება ინვენტარზე

(1) მეიჯარის მიმართ წაყენებული იმ მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, რომლებიც შეეხება მიწის ნაკვეთთან ერთად იჯარით გადაცემულ ინვენტარს, მიწის ნაკვეთის მოიჯარეს აქვს გირავნობის უფლება მის მფლობელობაში არსებულ ინვენტარის ნაწილებზე.

(2) მეიჯარეს შეუძლია, თავიდან აიცილოს მოიჯარის მიერ გირავნობის უფლების რეალიზაცია უზრუნველყოფის წარდგენით. მას შეუძლია, ინვენტარის თითოეული ცალკეული ნაწილი გაათავისუფლოს გირავნობის უფლებისაგან მისი ღირებულების შესაბამისი უზრუნველყოფის წარდგენით.

§ 583ა. ინვენტარის განკარგვის შეზღუდვა

ხელშეკრულების პირობები, რომლებიც საწარმოს მოიჯარეს აკისრებს ვალდებულებას, არ განკარგოს ინვენტარის ნაწილები, ან განკარგოს მხოლოდ მეიჯარის თანხმობით, ანდა გაასხვისოს ინვენტარი მეიჯარეზე, სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას შეისყიდოს ინვენტარი შეფასებითი ღირებულებით.

§ 584. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა
(1) თუ მიწის ნაკვეთის ან უფლების იჯარისას იჯარის ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის ბოლოს; შეწყვეტა უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს ნახევარი წლის შემდეგ მესამე სამუშაო დღისა, რომლის გასვლისას წყდება იჯარა.
(2) ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, თუ საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით.

§ 584ა. განსაზღვრული ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებების გამორიცხვა
(1) მოიჯარეს არა აქვს § 540-ის პირველ ნაწილში გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება.
(2) მეიჯარე არ არის უფლებამოსილი, საიჯარო ურთიერთობა შეწყვიტოს § 580-ის მიხედვით.

§ 583ბ. დაგვიანებული დაბრუნება
თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ აბრუნებს იჯარით გადაცემულ საგანს, მაშინ მეიჯარეს დაყოვნების ვადისათვის საზღაურის სახით შეუძლია შეთანხმებული საიჯარო ქირის გადახდის მოთხოვნა იმ ოდენობით, რომელიც დგინდება ამ ვადის განმავლობაში მოიჯარის მიერ მიღებული სარგებლის ან იმ სარგებლის, რომლის მიღებაც მას შეეძლო, მთელი წლის სარგებელთან შეფარდებით. სხვა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარდგენა გამორიცხული არ არის.

ქვეკარი 5. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება

§ 585. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების ცნება
(1) სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულებით მიწის ნაკვეთი უპირატესად სასოფლო-სამეურნეო მიზნით გადაეცემა მისი დამუშავებისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ან სამეურნეო ნაგებობებთან (საწარმოსთან) ერთად ან მიწის ნაკვეთი ასეთი ნაგებობების გარეშე. სოფლის მეურნეობას მიეკუთვნება მიწის დამუშავება და მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული პირუტყვის მოშენება მცენარეული თუ ცხოველური ნაწარმის მიღების მიზნით, ასევე მებაღეობა.
(2) სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს § 581-ის პირველი ნაწილი და §§ 582-583ა, ასევე ქვემოთ მოცემული სპეციალური ნორმები.
(3) სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები მოქმედებს, აგრეთვე, სატყეო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების საიჯარო ურთიერთობების მიმართ, თუ მიწის ნაკვეთები გადაცემულია იჯარით უპირატესად სასოფლო-სამეურნეო მიზნით წარმოებისათვის.

§ 585ა. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების ფორმა
თუ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულება ორ წელზე მეტი ვადით არ არის დადებული წერილობითი ფორმით, მაშინ იგი ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულად.

§ 585ბ. საიჯარო ქონების აღწერა

(1) მეიჯარემ და მოიჯარემ საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას ერთობლივად უნდა აღწერონ საიჯარო ქონება, რომელშიც აღინიშნება მისი ოდენობა და მდგომარეობა იჯარით გადაცემის მომენტისათვის. ანალოგიური წესი შესაბამისად მოქმედებს საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას. აღწერაში უნდა მიეთითოს მისი შედგენის თარიღი და იგი ხელმოწერილ უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ.

(2) თუ ხელშეკრულების მხარე უარს აცხადებს საიჯარო ქონების აღწერის შედგენაში მონაწილეობის მიღებაზე, ან, თუ შედგენის დროს ვლინდება ფაქტობრივი ხასიათის განსხვავებული შეხედულებები, მაშინ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ აღწერა გაკეთდეს ექსპერტის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საიჯარო ქონების გადაცემის შემდეგ გავიდა ცხრა თვეზე მეტი ვადა, ან სამ თვეზე მეტი ვადა საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ; ექსპერტი ინიშნება სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლოს (Landwirtschaftsgericht) მიერ განცხადების საფუძველზე. ამის შედეგად წარმოშობილი ხარჯები სანახევროდ ეკისრება ხელშეკრულების თითოეულ მხარეს.

(3) თუ შედგენილ იქნა აღნიშნული სახის აღწერა, მაშინ ხელშეკრულების მხარეთა შორის ურთიერთობაში ივარაუდება, რომ იგი სწორია.

§ 586. ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში

(1) მეიჯარემ საიჯარო ქონება მოიჯარეს უნდა გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამოყენებისათვის ვარგის მდგომარეობაში და შეინარჩუნოს იგი ამ მდგომარეობაში იჯარის მთელი ვადის განმავლობაში. თუმცა, მოიჯარემ საკუთარი ხარჯებით უნდა განახორციელოს ქონების მიმდინარე რემონტი, კერძოდ: შეაკეთოს საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები, გზები, თხრილები, დრენაჟები და ღობეები. მას ევალება საიჯარო ქონების სათანადო მართვა.

(2) საიჯარო ქონების ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისათვის მეიჯარის პასუხისმგებლობის, ისევე როგორც ამ ნაკლის გამო მოიჯარის უფლებებისა და ვალდებულებების, მიმართ შესაბამისად მოქმედებს § 536 1-3 ნაწილები და §§ 536ა-536დ.

§ 586ა. ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში

მეიჯარეს ეკისრება საიჯარო ქონების მიმართ არსებული ყველა გადასახდელი.

§ 587. საიჯარო ქირის თანხის გადახდის მომენტი; საიჯარო ქირის გადახდა პირადი მიზეზით სარგებლობაში ხელის შეშლის შემთხვევაში

(1) საიჯარო ქირის თანხა გადახდილ უნდა იქნეს იჯარის ვადის დასრულებისას. თუ საიჯარო ქირის თანხა იანგარიშება დროის მონაკვეთებით, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნეს პირველ სამუშაო დღეს ცალკეული დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ.

(2) მოიჯარე არ თავისუფლდება საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისაგან იმის გამო, რომ მას პირადი მიზეზით ხელი ეშლება საკუთარი სარგებლობის უფლების რეალიზაციაში. შესაბამისად მოქმედებს § 537-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება და მე-2 ნაწილი.

§ 588. საიჯარო ქონების მოვლისა და განახლების ღონისძიებების თმენა

(1) მოიჯარემ უნდა ითმინოს საიჯარო ქონების მოვლისათვის საჭირო ღონისძიებები.

(2) მოიჯარემ უნდა ითმინოს საიჯარო ქონების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ღონისძიება რთული იქნებოდა მისთვის ისე, მისი გამართლება შეუძლებელი გახდებოდა თუნდაც მეიჯარის პატივსადები ინტერესების გათვალისწინებით. მეიჯარემ უნდა აუნაზღაუროს მოიჯარეს გატარებული ღონისძიების შედეგად წარმოშობილი ხარჯები და მიუღებელი შემოსავალი გარემოებების შესაბამისი ოდენობით. მოთხოვნის საფუძველზე მეიჯარემ უნდა განახორციელოს საავანსო გადახდა.

(3) იმდენად, რამდენადაც მოიჯარე მე-2 ნაწილის პირველ წინადადებაში მითითებული ღონისძიებების შედეგად მეტ შემოსავალს იღებს, ან მას შეეძლო მეტი შემოსავლის მიღება საიჯარო ქონების სათანადო მართვის შემთხვევაში, მაშინ მეიჯარეს შეუძლია, მოიჯარისაგან მოითხოვოს საიჯარო ქირის შესაბამის გაზრდაზე თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას არ შეიძლება მოეთხოვოს საიჯარო ქირის გაზრდაზე თანხმობა წარმოების მდგომარეობის გათვალისწინებით.

(4) პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებულ სასამართლო დავებზე გადაწყვეტილებას წარდგენილი განცხადების საფუძველზე იღებს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო. თუ მოიჯარე მე-3 ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევებში უარს აცხადებს თანხმობის მიცემაზე, მაშინ თანხმობა მეიჯარის განცხადების საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით მიცემული თანხმობით.

§ 589. საიჯარო ქონების მესამე პირის სარგებლობაში გადაცემა

(1) მეიჯარის თანხმობის გარეშე მოიჯარე არ არის უფლებამოსილი:

1. გადასცეს საიჯარო ქონება სარგებლობაში მესამე პირს, მათ შორის, საიჯარო ქონება გადასცეს ქვეიჯარით;
2. გადასცეს საიჯარო ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებას საერთო სარგებლობის მიზნით.

(2) თუ მოიჯარე საიჯარო ქონებას სარგებლობაში გადასცემს მესამე პირს, მაშინ იგი პასუხისმგებელია მესამე პირის ბრალეული მოქმედებისთვის ამ უკანასკნელის მიერ საიჯარო ქონებით სარგებლობისას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მეიჯარემ ნება დართო ასეთ გადაცემაზე.

§ 590. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ან თავდაპირველი სარგებლობის ხასიათის შეცვლა

(1) მოიჯარეს შეუძლია საიჯარო ქონების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შეცვლა მხოლოდ მეიჯარის წინასწარი თანხმობით.

(2) თავდაპირველი სარგებლობის ხასიათის შესაცვლელად მეიჯარის წინასწარი თანხმობა საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს სარგებლობის ხასიათზე იჯარის ვადის გასვლის შემდეგ. მოიჯარეს შეუძლია შენობების აღმართვა მხოლოდ მეიჯარის წინასწარი თანხმობით. თუ მეიჯარე უარს ამბობს თანხმობის მიცემაზე, მაშინ თანხმობა მეიჯარის განცხადების საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით მიცემული თანხმობით იმდენად, რამდენადაც ცვლილება ივარა-

უდება აუცილებლად წარმოების რენტაბელურობის შენარჩუნებისა თუ მდგრადი გაუმჯობესებისათვის და მეიჯარეს შეიძლება მოეთხოვოს მასზე თანხმობის მიცემა თავისი გამართლებული ინტერესის გათვალისწინებით. ეს წესი არ მოქმედებს, თუ იჯარის ხელშეკრულება შეწყდა ან საიჯარო ურთიერთობა წყდება სამ წელზე ნაკლებ ვადაში. სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს თანხმობა პირობების დადგენით და ვალდებულების დაკისრებით, მათ შორის, დაადგინოს უზრუნველყოფის წარდგენა, ისევე როგორც განსაზღვროს მისი სახე და მოცულობა. თუ უზრუნველყოფის წარდგენის მიზეზი აღარ არსებობს, მაშინ განცხადების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას უზრუნველყოფის დაბრუნების თაობაზე; შესაბამისად მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 109.

(3) თუ საიჯარო ქონების სარგებლობის ხასიათის ცვლილების შედეგად მოიჯარემ არსებითად შეამცირა § 582ა-ს მიხედვით შეფასებითი ღირებულებით მიღებული ინვენტარი, მაშინ მეიჯარეს უკვე იჯარის პერიოდში შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის გადახდა § 582ა-ს მე-3 ნაწილის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გასხვისებული ინვენტარის ნაწილების ამონაგები თანხა, § 591-ის თანახმად, დაიხარჯა სათანადო ღირებულების მქონე საიჯარო ქონების გაუმჯობესებაზე.

§ 590ა. ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგო სარგებლობა

თუ მოიჯარე საიჯარო ქონებას იყენებს ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგოდ და იგი აგრძელებს ასეთ სარგებლობას, მიუხედავად მეიჯარის გაფრთხილებისა, მაშინ მეიჯარეს შეუძლია, სასამართლო წესით მოითხოვოს მოქმედებისაგან თავის შეკავება.

§ 590ბ. აუცილებელი ხარჯები

მეიჯარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მოიჯარეს საიჯარო ქონებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები.

§ 591. ხარჯები, რომლებიც ზრდის საიჯარო ქონების ღირებულებას

(1) საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას მეიჯარემ, გარდა აუცილებელი ხარჯებისა, მოიჯარეს უნდა აუნაზღაუროს სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულ იქნა მეიჯარის თანხმობით იმდენად, რამდენადაც ხარჯები ზრდის საიჯარო ქონების ღირებულებას იჯარის ვადის დასრულების შემდეგაც (ნამეტი ღირებულება).

(2) თუ მეიჯარე ხარჯების გაწევაზე თანხმობის მიცემაზე აცხადებს უარს, მაშინ თანხმობა მოიჯარის განცხადების საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით მიცემული თანხმობით იმდენად, რამდენადაც ცვლილება ივარაუდება აუცილებლად წარმოების რენტაბელურობის შენარჩუნებისა თუ მდგრადი გაუმჯობესებისათვის და მეიჯარეს შეიძლება მოეთხოვოს მასზე თანხმობის მიცემა თავისი გამართლებული ინტერესის გათვალისწინებით. ეს წესი არ მოქმედებს, თუ იჯარის ხელშეკრულება შეწყდა ან საიჯარო ურთიერთობა წყდება სამ წელზე ნაკლებ ვადაში. სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს შეუძლია შეცვალოს თანხმობა პირობების დადგენით და ვალდებულების დაკისრებით.

(3) სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს განცხადების საფუძველზე შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, აგრეთვე, ნამეტ ღირებულებასთან დაკავშირებით და მისი ოდენობის განსაზღვრაც. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს,

მეიჯარემ გადაიხადოს ნამეტი ღირებულება მხოლოდ ნაწილ-ნაწილ და განსაზღვროს პირობები ასეთ ნაწილ-ნაწილ გადახდებზე თანხმობის მისაცემად. თუ მეიჯარეს საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას ნამეტი ღირებულების გადახდა ნაწილ-ნაწილაც არ შეუძლია, მაშინ მოიჯარეს შეუძლია მხოლოდ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება თავდაპირველი პირობებით მანამდე, სანამ არ დაიფარება საიჯარო ქონების ნამეტი ღირებულება. თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, მაშინ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილებას განცხადების საფუძველზე იღებს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო.

§ 591ა. მოწყობილობათა წამოღების უფლება

მოიჯარე უფლებამოსილია, წამოიღოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან ნივთი აღჭურვა. მეიჯარეს შეუძლია, ნივთის წამოღების უფლების განხორციელება თავიდან აიცილოს სათანადო საზღაურის გადახდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოიჯარეს აქვს ნივთის წამოღების გამართლებული ინტერესი. შეთანხმება, რომლითაც მოიჯარის ნივთის წამოღების უფლება გამორიცხულია, სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გათვალისწინებულია სათანადო კომპენსაცია.

§ 591ბ. ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა

(1) საიჯარო ქონების ცვლილებებისა თუ გაუარესების გამო მეიჯარის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, ისევე როგორც მოიჯარის მოთხოვნის უფლებები ხარჯების ანაზღაურებასა თუ მოწყობილობების წამოღების ნებართვაზე, ხანდაზმულია ექვსი თვის ვადაში.

(2) ზიანის ანაზღაურებაზე მეიჯარის მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც იგი იბრუნებს საიჯარო ქონებას. მოიჯარის მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის მომენტიდან.

(3) მეიჯარის საიჯარო ქონების უკან დაბრუნებაზე მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობასთან ერთად ხანდაზმულია ასევე მისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები.

§ 592. მეიჯარის გირავნობის უფლება

მეიჯარეს საიჯარო ურთიერთობებიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად აქვს გირავნობის უფლება მოიჯარის მიერ შემატებულ ნივთებსა და საიჯარო ქონებიდან მიღებულ ნაყოფზე. გირავნობის უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზარალის ანაზღაურების თაობაზე სამომავლო მოთხოვნების მიმართ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 811-ის პირველი ნაწილის № 4-ში დასახელებული ნივთების გარდა, გირავნობის უფლება არ ვრცელდება იმ ნივთებზე, რომლებიც არ ექვემდებარება იძულებით აღსრულებას. შესაბამისად გამოიყენება §§ 562-562გ-ს ნორმები.

§ 593. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების პირობების შეცვლა

(1) თუ იჯარის ხელშეკრულების დადების შემდეგ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დასადგენად გადამწყვეტი გარემოებები იმდენად მყარად იცვლება, რომ ორმხრივი ვალდებულებები აღმოჩნდა აშკარად შეუსაბამო ერთმანეთთან, მაშინ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელ-

შეკრულების პირობების შეცვლა, გარდა იჯარის ვადის პირობისა. თუ მოიჯარის მიერ განხორციელებული საიჯარო ქონების სამეურნეო გამოყენების შედეგად გაიზარდა ან შემცირდა მოიჯარის შემოსავალი, მაშინ ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, თუ შეთანხმებით სხვა რაიმე არ არის დადგენილი.
(2) პირობების შეცვლა შეიძლება მოთხოვნილ იქნეს საიჯარო ურთიერთობის დაწყებიდან არა უადრეს ორი წლისა ან სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების პირობების ბოლო ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ბუნების დამანგრეველმა მოვლენებმა, რომელთა წინააღმდეგაც დაზღვევა, როგორც წესი, არ ხორციელდება, ძირფესვიანად და მყარად შეცვალა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების თანაფარდობა.
(3) ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს იჯარის ვადამდე არსებული დროის პერიოდისათვის, რომელშიც გაცხადდა პირობების შეცვლის მოთხოვნა.
(4) თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს ხელშეკრულების შეცვლაზე, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია მიმართოს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით.
(5) პირველი-მე-4 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულების შეცვლის მოთხოვნის უფლებაზე უარი დაუშვებელია. შეთანხმება, რომლითაც ხელშეკრულების შეცვლა ერთ-ერთი მხარისათვის განსაკუთრებით საზიანო ან სასარგებლოა იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ახორციელებს ან არ ახორციელებს პირველი-მე-4 ნაწილებით გათვალისწინებულ უფლებებს, სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 593ა. საწარმოს გადაცემა
თუ სამომავლო მემკვიდრეობის გზით საწარმოს გადაცემისას დამატებით გადაეცემა იჯარით გადასაცემი სასოფლო-სამეურნეო მიზნისათვის გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი, მაშინ საწარმოს მიმღები იჯარის ხელშეკრულებაში იკავებს მოიჯარის ადგილს, თუმცა, მეიჯარეს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ საწარმოს გადაცემის შესახებ. თუ საწარმოს მიმღების მიერ არ იქნება უზრუნველყოფილი საიჯარო ქონების სათანადოდ მართვა, მაშინ მოიჯარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით.

§ 593ბ. იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთის გასხვისება ან უფლებრივი დატვირთვა
თუ იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთი გასხვისდება ან იტვირთება მესამე პირის უფლებით, მაშინ შესაბამისად მოქმედებს §§ 566-567ბ.

§ 594. საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა და გახანგრძლივება
საიჯარო ურთიერთობა წყდება იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც იგი დაიდო. იჯარის ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებიც დადებულია, სულ ცოტა, სამი წლის ვადით, ურთიერთობა გრძელდება განუსაზღვრელი დროით, თუ ერთ-ერთი მხარის შეკითხვაზე, არის თუ არა მეორე მხარე საიჯარო ურთიერთობის გასაგრძელებლად მზად, ეს უკანასკნელი აღნიშნულზე უარს არ განაცხადებს სამი თვის ვადის განმავლობაში. მიმართვა და უარი უნდა განხორციელდეს წერილობით. მიმართვა არ ჩაითვლება სამართლებრივი ძალის მქონედ, თუ მასში ნათლად არ არის მითითე-

ბული უარის შედეგებზე და თუ იგი არ კეთდება სამწლიანი იჯარის ბოლო წლის განმავლობაში.

§ 594ა. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადები

(1) თუ იჯარის ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვეტოს საიჯარო ურთიერთობა არა უგვიანეს საიჯარო წლის მესამე სამუშაო დღიდან შემდეგი საიჯარო წლის გასვლამდე. საეჭვოობისას კალენდარული წელი ჩაითვლება საიჯარო წლად. შეთანხმება უფრო მოკლე ვადაზე უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.

(2) იმ შემთხვევებში, როდესაც საიჯარო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით, ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ საიჯარო წლის გასვლისას; შეწყვეტა უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს ნახევარი წლის შემდეგ მესამე სამუშაო დღისა, რომლის გასვლისას იჯარა წყდება.

§ 594ბ. 30 წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულება

თუ იჯარის ხელშეკრულება დაიდო 30 წელზე მეტი ვადით, მაშინ 30 წლის შემდეგ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვეტოს საიჯარო ურთიერთობა არა უგვიანეს საიჯარო წლის მესამე სამუშაო დღიდან შემდეგი საიჯარო წლის გასვლამდე. ხელშეკრულების შეწყვეტა დაუშვებელია, როდესაც ხელშეკრულება დადებულია მეიჯარის ან მოიჯარის სიცოცხლის ვადით.

§ 594გ. ხელშეკრულების შეწყვეტა მოიჯარის პროფესიული შრომისუუნარობის შემთხვევაში

თუ მოიჯარემ დაკარგა პროფესიული შრომისუნარიანობა კანონისმიერი საპენსიო დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმების გაგებით, მაშინ მას შეუძლია შეწყვიტოს საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით, თუ მეიჯარე ეწინააღმდეგება საიჯარო ქონების მესამე პირისათვის გადაცემას, რომელიც უზრუნველყოფს საიჯარო ქონების სათანადოდ მართვას. საწინააღმდეგო შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 594დ. მოიჯარის გარდაცვალება

(1) მოიჯარის გარდაცვალების შემთხვევაში, როგორც მის მემკვიდრეებს, ისე მეიჯარეს იმის შემდეგ, რაც ისინი შეიტყობენ მოიჯარის გარდაცვალების შესახებ, შეუძლიათ ერთი თვის ვადაში შეწყვიტონ საიჯარო ურთიერთობა კალენდარული წლის დამთავრებიდან ექვსი თვის ვადაში.

(2) მემკვიდრეებს შეუძლიათ, არ დაეთანხმონ მეიჯარის მიერ ხელშეკრულების შეწყვიტას და მოითხოვონ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება, თუ სავარაუდოა, რომ საიჯარო ქონების სათანადოდ მართვა უზრუნველყოფილი იქნება მათ მიერ ან მათ მიერ დანიშნული თანამემკვიდრისა თუ მესამე პირის მიერ. მეიჯარეს შეუძლია, უარი თქვას საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებაზე, თუ მემკვიდრეები საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე არა უგვიანეს სამი თვისა არ წარადგენენ თავიანთ შესაგებელს და არ ატყობინებენ იმ გარემოებებს, რომელთა გამოც საიჯარო ქონების შემდგომი სათანადო მართვა, სავარაუდოდ, უზრუნველყოფილი იქნება. შესაგებელი და შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობით. თუ შეთანხმება ვერ იქნება

მიღწეული, მაშინ გადაწყვეტილებას განცხადების საფუძველზე იღებს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო.
(3) პირველი ნაწილის საფუძველზე მეიჯარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით მემკვიდრის მიერ საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნა, §595-ის თანახმად, გამორიცხულია.

§ 594ე. ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით ვადის დაუცველად შეწყვეტა მნიშვნელოვანი საფუძვლით
(1) ხელშეკრულების შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით საიჯარო ურთიერთობის ვადის დაუცველად შეწყვეტა დასაშვებია §§ 543-ის, 569-ის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისი გამოყენებით.
(2) მიუხედავად § 543-ის მე-2 ნაწილის № 3-ის „ა“ და „ბ“ პუნქტებისა, მნიშვნელოვანი საფუძველი, კერძოდ, არსებობს, თუ მოიჯარემ გადააცილა საიჯარო ქირის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდის ვადას სამ თვეზე მეტი ვადით. თუ საიჯარო ქირის თანხა იანგარიშება დროის ერთ წელზე ნაკლები მონაკვეთებით, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოიჯარე ზედიზედ აცილებს საიჯარო ქირის ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდის ორ ვადას.

§ 594ვ. ხელშეკრულების შეწყვეტის წერილობითი ფორმა
ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით.

§ 595. საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება
(1) მოიჯარეს შეუძლია, მეიჯარისაგან მოითხოვოს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება, თუ:
1. სამეწარმეო მიზნით დადგენილი იჯარის შემთხვევაში, წარმოება ქმნის მოიჯარის არსებობის ეკონომიკურ საფუძველს;
2. მიწის ნაკვეთის საიჯარო ურთიერთობის შემთხვევაში, მოიჯარეს სჭირდება ეს მიწის ნაკვეთი საკუთარი საწარმოს შესანარჩუნებლად, რომელიც ქმნის მისი არსებობის ეკონომიკურ საფუძველს და, ხელშეკრულების თანახმად, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტა შეუქმნიდა მოიჯარეს ან მის ოჯახს ისეთ სირთულეებს, რომლებიც არ არის გამართლებული თუნდაც მეიჯარის პატივსადები ინტერესების გათვალისწინებით. ამ წინაპირობების არსებობისას ურთიერთობის გაგრძელება შეიძლება განმეორებით იქნეს მოთხოვნილი.

(2) პირველი ნაწილის შემთხვევაში, მოიჯარეს შეუძლია, მოითხოვოს საიჯარო ურთიერთობის იმ ვადით გაგრძელება, რომელიც სათანადოა ყველა გარემოების გათვალისწინებით. თუ მეიჯარეს არ შეიძლება მოეთხოვოს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება თავდაპირველად მოქმედი ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მაშინ მოიჯარეს შეუძლია მოითხოვოს ურთიერთობის გაგრძელება მხოლოდ პირობების სათანადოდ შეცვლით.
(3) მოიჯარეს არ შეუძლია მოითხოვოს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელება, თუ:
1. მან შეწყვიტა საიჯარო ურთიერთობა;
2. მეიჯარე უფლებამოსილია, ვადის დაცვის გარეშე შეწყვიტოს საიჯარო ურთიერთობა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით, ან § 593ა-ს შემთხვევაში კანონისმიერი ვადის დაცვით შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით;

3. საწარმოს, მიწის ნაკვეთების როგორც წარმოების საფუძვლის დამატებითი იჯარის ან მოიჯარის მიერ ათვისებული დაჭაობებული და დაცარიელებული მიწის საიჯარო ურთიერთობების შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ვადა შედგენს, სულ ცოტა, 18 წელს, ხოლო სხვა მიწის ნაკვეთების იჯარის შემთხვევაში, სულ ცოტა, 12 წელს;
4. მეიჯარეს სურს მიიღოს საკუთარი სარგებლობისათვის მხოლოდ დროებით იჯარით გადაცემული ქონება, ან გამოიყენოს იგი კანონით დადგენილი ან სხვა საჯარო ამოცანების განსახორციელებლად.

(4) მოიჯარის განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებას, საჭიროებს წერილობით ფორმას. მეიჯარის მოთხოვნით მოიჯარემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნის საფუძვლების შესახებ.

(5) მეიჯარეს შეუძლია უარი თქვას საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებაზე, თუ მოიჯარემ მეიჯარისაგან ურთიერთობის გაგრძელება არ მოითხოვა, სულ ცოტა, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე ერთი წლით ადრე, ან უარი თქვა ურთიერთობის გაგრძელებაზე, § 594-ის მიხედვით, მეიჯარის მიმართვის საფუძველზე. თუ მხარეები შეთანხმდნენ შეწყვეტის თორმეტთვიან ან უფრო მოკლე ვადაზე, მაშინ საკმარისია, მოთხოვნა განცხადებული იყოს შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

(6) თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, მაშინ გადაწყვეტილებას საიჯარო ურთიერთობის გაგრძელებისა და ურთიერთობის ვადის შესახებ, ისევე როგორც მათი პირობების თაობაზე განცხადების საფუძველზე იღებს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო. თუმცა, სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საიჯარო ურთიერთობის მხოლოდ იმ მომენტამდე გაგრძელების შესახებ, რომელიც არ აღემატება მე-3 ნაწილის № 3-ში მითითებულ ვადებს, რაც დაითვლება მიმდინარე საიჯარო ურთიერთობის დასაწყისიდან. ურთიერთობის გაგრძელება შეიძლება შეიზღუდოს საიჯარო ქონების ნაწილით.

(7) გადაწყვეტილების მისაღებად მოიჯარემ სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს განცხადებით უნდა მიმართოს არა უგვიანეს ცხრა თვისა საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე, ხოლო შეწყვეტის თორმეტთვიანი ან უფრო მოკლე ვადის შემთხვევაში, არა უგვიანეს ორი თვისა შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან. სასამართლოს შეუძლია დაუშვას განცხადების მოგვიანებით წარდგენა, თუ, სავარაუდოდ, ეს აუცილებელია დაუშვებელი სირთულის თავიდან ასაცილებლად და იჯარის ხელშეკრულების ვადა ჯერ გასული არ არის.

(8) პირველი-მე-7 ნაწილების თანახმად, საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების მოთხოვნის უფლებაზე უარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარი საიჯარო დავის მოგვარების მიზნით ცხადდება სასამართლოში, ან საიჯარო დავების მომწესრიგებელ პროფესიულ-წოდებრივ ორგანოში (berufsständische Pachtschlichtungsstelle). შეთანხმებას, რომელიც ხელშეკრულების ერთი მხარისათვის განსაკუთრებით საზიანოა ან განსაკუთრებული უპირატესობის მიმცემი, და ეს მხარე იყენებს ან არ იყენებს პირველი-მე-7 ნაწილებით გათვალისწინებულ უფლებებს, სამართლებრივი ძალა არ აქვს.

§ 595ა. მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულებების ვადამდე შეწყვეტა

(1) იმდენად, რამდენადაც ხელშეკრულების მხარეებს აქვთ მიწის ნაკვეთის იჯარის ურთიერთობის შეწყვეტის არასტანდარტული უფლება კანონით დადგენილი ვადის

დაცვით, მათ ეკუთვნით ეს უფლება, აგრეთვე, მიწის ნაკვეთის იჯარის ურთიერთობის გახანგრძლივების ან მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების შეცვლის შემდეგ.
(2) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს შეუძლია მიიღოს განკარგულებები ვადამდე ან ნაწილობრივ შეწყვეტილი მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. თუ მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულების გახანგრძლივება შეზღუდულია საიჯარო ქონების ნაწილით, სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს შეუძლია დაადგინოს საიჯარო ქირა ამ ნაწილისათვის.
(3) სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლოს განკარგულებების შინაარსი ხელშეკრულების მხარეთა შორის ჩაითვლება ხელშეკრულების შინაარსად. გადაწყვეტილებებს იმ დავების შესახებ, რომლებიც ეხება ხელშეკრულების შინაარსს, განცხადების საფუძველზე იღებს სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო.

§ 596. საიჯარო ქონების უკან დაბრუნება

(1) მოიჯარე ვალდებულია, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ საიჯარო ქონება უკან დააბრუნოს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება დაბრუნების მომენტამდე მის სათანადოდ მართვას.
(2) მოიჯარეს არა აქვს მიწის ნაკვეთის დაკავების უფლება მეიჯარის მიმართ თავისი მოთხოვნის უფლებების უზრუნველსაყოფად.
(3) თუ მოიჯარემ საიჯარო ქონებით სარგებლობა გადასცა მესამე პირს, მაშინ მეიჯარეს შეუძლია, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ საიჯარო ქონების დაბრუნება მოითხოვოს ასევე მესამე პირისაგანაც.

§ 596ა. ზარალის ანაზღაურების ვალდებულება იჯარის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში

(1) თუ საიჯარო ურთიერთობა წყდება იჯარის წლის განმავლობაში, მეიჯარემ უნდა აუნაზღაუროს მოიჯარეს ჯერ კიდევ მოუცილებელი ნაყოფის ღირებულება, რომელიც ექვემდებარება მოცილებას საიჯარო წლის დასრულებამდე საიჯარო ქონების სათანადოდ მართვის წესების თანახმად. ამავე დროს, სათანადოდ გასათვალისწინებელია მოსავლის მიღებასთან დაკავშირებული რისკი.
(2) თუ პირველ ნაწილში მითითებული ღირებულება ვერ დგინდება წელიწადის დროებით გამოწვეული მიზეზებით, მაშინ მეიჯარემ მოიჯარეს უნდა აუნაზღაუროს ნაყოფის მიღებაზე გაწეული ხარჯები იმ მოცულობით, რომელიც შეესაბამება საიჯარო ქონების სათანადოდ მართვას.
(3) პირველი ნაწილი მოქმედებს ასევე მოსაჭრელად გამზადებული, მაგრამ ჯერ კიდევ მოუჭრელი ხე-ტყის მიმართ. თუ მოიჯარემ მოჭრა იმაზე მეტი ხე-ტყე, ვიდრე ეს დასაშვები იყო საიჯარო ქონების სათანადოდ მართვისას, მაშინ მან მეიჯარეს უნდა აუნაზღაუროს ხე-ტყის ღირებულება, რომელიც აღემატება ნორმალურ სარგებლობას. სხვა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარდგენა გამორიცხული არ არის.

§ 596ბ. პროდუქტების დატოვების ვალდებულება (Rücklassungspflicht)

(1) საწარმოს მოიჯარემ საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ უნდა დატოვოს სახეზე არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები იმ ოდენობით, რაც საჭიროა

შემდგომ მოსავლამდე მეურნეობის წარმართვისათვის, თუნდაც მას საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას ასეთი პროდუქტები არ ჰქონოდა მიღებული.
(2) თუ მოიჯარე, პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულია, დატოვოს პროდუქტები დიდი რაოდენობით ან უფრო კარგი ხარისხისა, ვიდრე ის პროდუქტები, რომლებიც მან მიიღო საიჯარო ურთიერთობის დაწყებისას, მაშინ მას შეუძლია მეიჯარისაგან ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნა.

§ 597. საიჯარო ქონების დაგვიანებული დაბრუნება
თუ მოიჯარე არ აბრუნებს საიჯარო ქონებას საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია, დაყოვნების ვადის განმავლობაში ანაზღაურების სახით მოითხოვოს შეთანხმებული საიჯარო ქირის გადახდა. სხვა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წარდგენა გამორიცხული არ არის.

კარი 6. თხოვება

§ 598. თხოვების ხელშეკრულების ტიპიური ვალდებულებები
თხოვების ხელშეკრულებით გამნათხოვრებელი ვალდებულია, გადასცეს მონათხოვრეს ნივთი უსასყიდლო სარგებლობისათვის.

§ 599. გამნათხოვრებლის პასუხისმგებლობა
გამნათხოვრებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

§ 600. პასუხისმგებლობა ნაკლისათვის
თუ გამნათხოვრებელი განზრახ არ უმხელს მონათხოვრეს უფლების ხარვეზს ან ნათხოვარი ნივთის ნაკლს, მაშინ იგი ვალდებულია, მონათხოვრეს აუნაზღაუროს ამის შედეგად დამდგარი ზიანი.

§ 601. ხარჯების ანაზღაურება
(1) მონათხოვრემ უნდა გასწიოს ნათხოვარი ნივთის მოვლისათვის საჭირო ჩვეულებრივი ხარჯები; მათ შორის, ცხოველის თხოვებისას კვების ხარჯები.
(2) გამნათხოვრებლის მიერ სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებით. მონათხოვრე უფლებამოსილია, გამოაცალკევოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან ქონება აღჭურვა.

§ 602. ნივთის ცვეთა
მონათხოვრე პასუხს არ აგებს ნათხოვარი ნივთის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის, რომლებიც გამოწვეულია ხელშეკრულების პირობების შესაბამისი სარგებლობით.

§ 603. ხელშეკრულების პირობების შესაბამისი სარგებლობა
მონათხოვრეს არ შეუძლია, ნათხოვარი ნივთით სხვაგვარად ისარგებლოს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. იგი არ არის უფლებამოსილი, გამნათხოვრებლის თანხმობის გარეშე ნივთით სარგებლობა გადასცეს მესამე პირს.

§ 604. უკან დაბრუნების ვალდებულება

(1) მონათხოვრე ვალდებულია, თხოვებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნათხოვარი ნივთი უკან დააბრუნოს.

(2) თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ნივთი უნდა დაბრუნდეს მონათხოვრის მიერ თხოვების მიზნების შესაბამისი სარგებლობის დასრულების შემდეგ. მონათხოვრეს შეუძლია მოითხოვოს ნივთის ვადამდე დაბრუნება, თუ იმდენი ხანი გავიდა, რომ მონათხოვრე უკვე შეძლებდა ნივთით სარგებლობას.

(3) თუ თხოვების ვადა არ არის განსაზღვრული და იგი ვერც მიზნიდან გამომდინარე ვერ დგინდება, მაშინ გამნათხოვრებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

(4) თუ მონათხოვრე ნივთს სარგებლობისათვის გადასცემს მესამე პირს, მაშინ თხოვების შეწყვეტის შემდეგ გამნათხოვრებელს შეუძლია მისი მოთხოვნა ასევე მესამე პირისაგანაც.

(5) ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება თხოვების შეწყვეტის მომენტიდან.

§ 605. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება

გამნათხოვრებელს შეუძლია თხოვების შეწყვეტა:

1. თუ გაუთვალისწინებელი გარემოების შედეგად ნივთი მას სჭირდება;
2. თუ მონათხოვრე ნივთს იყენებს ხელშეკრულების პირობების დარღვევით, კერძოდ კი, ნივთით სარგებლობის უფლებას მესამე პირს გადასცემს ნებართვის გარეშე ან მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ნივთს მასზე დაკისრებული სათანადო ზრუნვის ვალდებულების უგულებელყოფის შედეგად;
3. თუ მონათხოვრე გარდაიცვლება.

§ 606. ხანდაზმულობის მოკლე ვადა

ნათხოვარი ნივთის ცვლილებებისა თუ გაუარესების გამო გამნათხოვრებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, ისევე როგორც მონათხოვრის მოთხოვნის უფლებები ხარჯების ანაზღაურებასა თუ მოწყობილობის გამოცალკევებაზე ხანდაზმულია ექვსი თვის ვადაში. შესაბამისად, გამოიყენება § 548-ის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების და ამავე პარაგრაფის მე-2 ნაწილის ნორმები.

კარი 7. ნივთის სესხის ხელშეკრულება

§ 607. ნივთის სესხის ხელშეკრულების ტიპიური ვალდებულებები

(1) ნივთის სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი ვალდებულია, მსესხებელს გადასცეს შეთანხმებული გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი. მსესხებელი ვალდებულია, გადაიხადოს სესხის საზღაური და სესხის გადახდის ვადის დადგომისას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

(2) წინამდებარე კარის ნორმები არ გამოიყენება ფულის გადაცემის მიმართ.

§ 608. ხელშეკრულების შეწყვეტა

(1) თუ გადაცემული ნივთის ანაზღაურების ვადა არ არის დადგენილი, ვალდებულების შესრულების ვადა დამოკიდებულია გამსესხებლის ან მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტაზე.

(2) თუ სხვა რაიმე არ არის შეთანხმებული, განუსაზღვრელი ვადით დადებული ნივთების სესხის ხელშეკრულება შეიძლება გამსესხებლის ან მსესხებლის მიერ მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტილ იქნეს ნებისმიერ დროს.

§ 609. საზღაური
მსესხებელმა საზღაური უნდა გადაიხადოს არა უგვიანეს ნივთის დაბრუნების მომენტისა.

§ 610. *(გაუქმებულია)*

კარი 8. მომსახურების ხელშეკრულება

§ 611. მომსახურების ხელშეკრულების ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები
(1) მომსახურების (შრომითი) ხელშეკრულებით პირი, რომელიც ჰპირდება მომსახურების გაწევას, ვალდებულია, შეასრულოს ეს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე ვალდებულია, გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.
(2) მომსახურების (შრომითი) ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის მომსახურება.

§§ 611ა, 611ბ *(გაუქმებულია)*

§ 612. საზღაური
(1) საზღაური ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ მომსახურება გარემოებათა მიხედვით მხოლოდ საზღაურით არის მოსალოდნელი.
(2) თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო საზღაური, ხოლო ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი საზღაური.

§ 612ა. დისციპლინური დასჯის აკრძალვა
დამქირავებელს არა აქვს უფლება, შეთანხმების დადებისას ან რაიმე ღონისძიების გატარებისას შეზღუდოს დაქირავებულის უფლები იმის გამო, რომ დაქირავებული დასაშვები სახით ახორციელებს თავის უფლებებს.

§ 613. მოთხოვნის გადაცემის დაუშვებლობა
ჩვეულებრივ, ივარაუდება, რომ მომსახურების გაწევაზე ვალდებულმა დაქირავებულმა მომსახურება პირადად უნდა გასწიოს. ჩვეულებრივ, ივარაუდება, რომ მომსახურების გაწევაზე მოთხოვნა არ ექვემდებარება გადაცემას.

§ 613ა. უფლებები და ვალდებულებები საწარმოს გადაცემისას
(1) თუ საწარმო ან საწარმოს ნაწილი გარიგების საფუძველზე გადაეცემა სხვა მფლობელს, მაშინ ეს უკანასკნელი შემოდის გადაცემის მომენტისათვის არსებული შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალდებულებებში. თუ ეს უფლებები და ვალდებულებები მოწესრიგებულია სატარიფო შეთანხმების დებულებებით ან საწარმოს საბჭოსა და დამქირავებელს შორის შეთანხმებით (Betriebsvereinbarung), მაშინ ისინი შეადგენს საწარმოს ახალ მფლობელსა და დაქირა-

ვებულს შორის შრომითი ურთიერთობების შინაარსს და არ შეიძლება შეიცვალოს დაქირავებულის საზიანოდ გადაცემის მომენტიდან ერთი წლის ვადის გასვლამდე. მე-2 წინადადება არ მოქმედებს, თუ უფლებები და ვალდებულებები საწარმოს ახალი მფლობელის დროს მოწესრიგებულია სხვა სატარიფო შეთანხმების დანაწესებით ან საწარმოს საბჭოსა და დამქირავებელს შორის სხვა შეთანხმებით. მე-2 წინადადებაში მითითებული ვადის გასვლამდე უფლებები და ვალდებულებები შეიძლება შეიცვალოს, თუ სატარიფო შეთანხმება ან საწარმოს საბჭოსა და დამქირავებელს შორის შეთანხმება აღარ მოქმედებს, ან, თუ სხვა სატარიფო შეთანხმების ფარგლებში არსებული ორმხრივი სტარიფო ბოჭვის არარსებობისას საწარმოს ახალ მფლობელსა და დაქირავებულს შორის შეთანხმებულია ახალი სატარიფო შეთანხმების მოქმედება.

(2) თავდაპირველი დამქირავებელი საწარმოს ახალ მფლობელთან ერთად პასუხს აგებს როგორც სოლიდარული მოვალე პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულებებისათვის იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელები წარმოიშვა საწარმოს გადაცემამდე და რომელთა შესრულების ვადაც დადგა ამ მომენტიდან ერთი წლის ვადის გასვლამდე. თუ ასეთი ვალდებულებების შესრულების ვადა დადგა საწარმოს გადაცემის შემდეგ, მაშინ თავდაპირველი დამქირავებელი მაინც პასუხს აგებს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც შეესაბამება ვალდებულებების შეფასების პერიოდის იმ ნაწილს, რომელიც გავიდა საწარმოს გადაცემის მომენტისათვის.

(3) მე-2 ნაწილი არ მოქმედებს, თუ რეორგანიზაციის შედეგად იურიდიული პირი ან სავაჭრო ამხანაგობა უქმდება.

(4) თავდაპირველი დამქირავებლის ან საწარმოს ახალი მფლობელის მიერ საწარმოს ან საწარმოს ნაწილის გადაცემის გამო დაქირავებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა სამართლებრივი ძალის არმქონეა. სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა უცვლელი რჩება.

(5) თავდაპირველმა დამქირავებელმა ან საწარმოს ახალმა მფლობელმა საწარმოს გადაცემამდე ტექსტური ფორმით უნდა შეატყობინონ იმ დაქირავებულებს, რომლებსაც ეხება საწარმოს გადაცემა:

1. საწარმოს გადაცემის თარიღის ან დაგეგმილი თარიღის შესახებ;
2. საწარმოს გადაცემის მიზეზების შესახებ;
3. დაქირავებულებისათვის საწარმოს გადაცემის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური შედეგების შესახებ; და
4. დაქირავებულებთან დაკავშირებით გეგმაში არსებული ღონისძიებების შესახებ.

(6) დაქირავებულს შეუძლია, წერილობით გააპროტესტოს შრომითი ურთიერთობის გადასვლა ერთი თვის განმავლობაში მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შეტყობინების მიღების მომენტიდან. პროტესტი შეიძლება განცხადებულ იქნეს თავდაპირველი დამქირავებლის ან საწარმოს ახალი მფლობელის მიმართ.

§ 614. საზღაურის გადახდის ვადა

საზღაური გადახდილ უნდა იქნეს მომსახურების გაწევის შემდეგ. თუ საზღაური იანგარიშება დროის მონაკვეთებით, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნეს ცალკეული დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ.

§ 615. საზღაურის გადახდა კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისა და საწარმოო რისკის შემთხვევებში

თუ მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი გადააცილებს მომსახურების მიღების ვადას, მაშინ ვალდებულ პირს შეუძლია მოითხოვოს შეთანხმებული საზღა-

ური ვადის გადაცილების შედეგად გაუწეველი მომსახურებისათვის ისე, რომ იგი არ არის ვალდებული დამატებით შესრულებაზე. თუმცა, მან უნდა დაუშვას იმ ღირებულების გაქვითვა, რასაც იგი მომსახურების გაუწევლობის შედეგად ზოგავს, ან მისი მომსახურების სხვაგვარი გამოყენების შედეგად იძენს, ან ბოროტი განზრახვით არ იძენს. პირველი და მე-2 წინადადებები შესაბამისად მოქმედებს იმ შემთხვევებში, რომლებშიც დამქირავებელს ეკისრება სამსახურებრივი მოცდენის რისკი.

§ 616. დროებითი შეფერხება

მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი არ კარგავს საზღაურის მიღებაზე მოთხოვნის უფლებას იმის გამო, რომ იგი შედარებით უმნიშვნელო ვადით პირადული ხასიათის მიზეზით, მაგრამ ბრალის გარეშე, მოკლებულია მომსახურების გაწევის შესაძლებლობას. თუმცა, მან უნდა დაუშვას იმ თანხის გაქვითვა, რომელსაც იგი შეფერხების დროისათვის იღებს ავადმყოფობისა თუ უბედური შემთხვევის კანონისმიერი სავალდებულო დაზღვევისაგან.

§ 617. დისპანსერული მკურნალობის ვალდებულება

(1) თუ გრძელვადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის განხორციელება სრულად ან ძირითადად იკავებს საოჯახო მეურნეობაში მიღებული ვალდებული პირის სამუშაო დროს, მაშინ ავადმყოფობის შემთხვევაში მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა იგი უნდა უზრუნველყოს აუცილებელი კვებითა და სამედიცინო დახმარებით ექვს კვირამდე ვადით, თუმცა, არა უმეტეს სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტამდე პერიოდისა, თუკი ავადმყოფობა არ იყო გამოწვეული ვალდებული პირის მხრიდან განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შედეგად. კვება და სამედიცინო დახმარება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სამედიცინო დაწესებულებაში ვალდებული პირის განთავსებით. ხარჯები შეიძლება გაიქვითოს ავადმყოფობის დროს გადასახდელი საზღაურის ანგარიშში. თუ სასამსახურო ურთიერთობა ავადმყოფობის გამო წყდება მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან, § 626 თანახმად, მაშინ ამით გამოწვეული სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტა მხედველობაში არ მიიღება.

(2) მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ კვება და სამედიცინო დახმარება უზრუნველყოფილ იქნა დაზღვევით ან საჯარო სამედიცინო დახმარების სამსახურის მიერ.

§ 618. უსაფრთხოების ღონისძიებათა უზრუნველყოფის ვალდებულება

(1) მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა ისე უნდა აღჭურვოს და იქონიოს სათავსოები, მოწყობილობები ან დანადგარები, რომლებიც მან უნდა შეიძინოს მომსახურების გასაწევად, და ისე უნდა მართოს მომსახურების გაწევის პროცესი, რომელიც ხორციელდება მისი ხელმძღვანელობით ან ზედამხედველობით, რათა ვალდებული პირი დაცული იყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის არსებული საფრთხისაგან, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა მომსახურების ბუნება.

(2) თუ ვალდებული პირი მიღებულ იქნა საოჯახო მეურნეობაში, მაშინ მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა უზრუნველყოს მოწყობილობების განთავსება და საცხოვრებელ და საძინებელ სათავსოსთან, კვებასთან, ასევე სამუშაო და დასვენების დროსთან დაკავშირებით ისეთი განკარგულებების გაცემა, რომლებიც მოითხოვება ვალდებული პირის ჯანმრთელობის, ზნეობისა და სარწმუნოების გათვალისწინებით.

(3) თუ მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი არ ასრულებს ვალდებული პირის ჯანმრთელობასთან, ზნეობასა და სარწმუნოებასთან დაკავშირებით თავის ვალდებულებებს, მაშინ ზიანის ანაზღაურებაზე მისი ვალდებულებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება დელიქტების შესახებ §§ 842-846-ის ნორმები.

§ 619. დაქირავებულთა ინტერესების დაცვის ვალდებულების უპირობო ხასიათი
§§ 617-ის, 618-ის თანახმად, მომსახურების მიღებისათვის უფლებამოსილ პირზე დაკისრებული ვალდებულებები არ შეიძლება წინასწარ ხელშეკრულებით გაუქმდეს ან შეიზღუდოს.

§619ა. მტკიცების ტვირთი დაქირავებულის პასუხისმგებლობის შემთხვევაში
მიუხედავად § 280-ის პირველი ნაწილისა, დაქირავებულმა დამქირავებელს უნდა აუნაზღაუროს შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ვალდებულება ბრალეულად დაარღვია.

§ 620. სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტა
(1) სასამსახურო ურთიერთობა წყდება იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც იგი დაიდო.
(2) თუ სასამსახურო ურთიერთობის ვადა არ არის განსაზღვრული და იგი ვერც მომსახურების თვისების ან მიზნის მიხედვით ვერ დგინდება, მაშინ სასამსახურო ურთიერთობის თითოეულ მხარეს შეუძლია ურთიერთობის შეწყვეტა, §§ 621-623-ის მიხედვით.
(3) იმ შრომითი ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც დადებულია განსაზღვრული ვადით, მოქმედებს კანონი „არასრული დასაქმებისა და ვადების დადგენის შესახებ“ (Teilzeit- und Befristungsgesetz).

§ 621. შეწყვეტის ვადები სასამსახურო ურთიერთობებში
სასამსახურო ურთიერთობათა შემთხვევაში, რომელიც არ არის შრომითი ურთიერთობა § 622-ის გაგებით, შეწყვეტა დასაშვებია:
1. ნებისმიერ დღეს მომდევნო დღის გასვლამდე, თუ საზღაური იანგარიშება დღეებით;
2. არა უგვიანეს კვირის პირველი სამუშაო დღიდან მომდევნო შაბათის გასვლამდე პერიოდისა, თუ საზღაური იანგარიშება კვირებით;
3. არა უგვიანეს თვის მეთხუთმეტე დღიდან კალენდარული თვის ბოლომდე პერიოდისა,, თუ საზღაური იანგარიშება თვეებით;
4. შეწყვეტის ექვსკვირიანი ვადის დაცვით კალენდარული კვარტლის ბოლომდე, თუ საზღაური იანგარიშება კვარტლებით ან დროის უფრო მეტი პერიოდებით;
5. ნებისმიერ დროს, თუ საზღაური არ იანგარიშება დროის მონაკვეთებით; თუმცა, იმ სასამსახურო ურთიერთობის შემთხვევაში, რომელიც სრულად ან ძირითადად იკავებს ვალდებული პირის სამუშაო დროს, დაცულ უნდა იქნეს შეწყვეტის ორკვირიანი ვადა.

§ 622. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ვადები
(1) დასაქმებულის ან მოსამსახურის (დაქირავებულის) შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს შეწყვეტის ოთხკვირიანი ვადის დაცვით კალენდარული თვის მეთხუთმეტე დღეს ან თვის ბოლოს.

(2) დამსაქმებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისათვის შეწყვეტის ვადა, როდესაც შრომითი ურთიერთობა წარმოებასა თუ საწარმოში:
1. არსებობდა ორი წელი, შეადგენს ერთ თვეს კალენდარული თვის ბოლომდე;
2. არსებობდა ხუთი წელი, შეადგენს ორ თვეს კალენდარული თვის ბოლომდე;
3. არსებობდა რვა წელი, შეადგენს სამ თვეს კალენდარული თვის ბოლომდე;
4. არსებობდა ათი წელი, შეადგენს ოთხ თვეს კალენდარული თვის ბოლომდე;
5. არსებობდა თორმეტი წელი, შეადგენს ხუთ თვეს კალენდარული თვის ბოლომდე;
6. არსებობდა 15 წელი, შეადგენს ექვს თვეს კალენდარული თვის ბოლომდე;
7. არსებობდა 20 წელი, შეადგენს შვიდ თვეს კალენდარული თვის ბოლომდე.

შრომითი სტაჟის გამოანგარიშებისათვის მხედველობაში არ მიიღება პერიოდი 25-ე წლის ასაკის მიღწევამდე.

(3) შეთანხმებული გამოსაცდელი ვადის განმავლობაში, რომელმაც შეიძლება შეადგინოს მაქსიმუმ ექვსი თვე, შრომითი ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს ორკვირიანი ვადის დაცვით.

(4) პირველი-მე-3 ნაწილებისაგან განსხვავებული პირობები შეიძლება დადგინდეს სატარიფო შეთანხმებით. ასეთი სატარიფო შეთანხმებების გამოყენების სფეროში მოქმედებს განსხვავებული სატარიფო შეთანხმებით დადგენილი დებულებები დასაქმებულებსა და დამსაქმებლებს შორის, რომელთათვისაც ტარიფები სავალდებულო არ არის, თუ სატარიფო შეთანხმებების გამოყენება შეთანხმებულია მათ შორის.

(5) ცალკეულ ხელშეკრულებაში შეიძლება შეთანხმებულ იქნეს პირველ ნაწილში მითითებულზე უფრო მცირე ვადა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:
1. დასაქმებული აყვანილია დროებით დახმარების გაწევის მიზნით; ეს წესი არ მოქმედებს, თუ შრომითი ურთიერთობა გრძელდება სამ თვეზე მეტი ვადით;
2. დამსაქმებელი, როგორც წესი, სამუშაოდ არ იყვანს 20-ზე მეტ ადამიანს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც გადიან პროფესიულ სტაჟირებას და შეწყვეტის ვადა არ აღემატება ოთხ კვირას. დასაქმებული პირების რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღებიან შეთავსებით მომუშავე დასაქმებულები, რომელთა ჩვეულებრივი სამუშაო დრო კვირაში არ აღემატება 20 საათს 0,5 კოეფიციენტით და 30 საათს 0,75 კოეფიციენტით. ცალკეულ ხელშეკრულებებში შეთანხმებული შეწყვეტის ვადები, რომლებიც აღემატება პირველ-მე-3 ნაწილებში მითითებულ ვადებს, მხედველობაში არ მიიღება.

(6) დაქირავებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შესაწყვეტად არ შეიძლება იმაზე მეტი ვადის შეთანხმება, ვიდრე დამქირავებლის მხრიდან შრომითი ურთიერთობის შესაწყვეტად.

§ 623. შეწყვეტის წერილობითი ფორმა

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა შეწყვეტის შესახებ განცხადებით ან გაუქმების შესახებ ხელშეკრულებით თავისი სამართლებრივი ძალისათვის საჭიროებს წერილობითი ფორმის დაცვას; ელექტრონული ფორმა გამორიცხულია.

§ 624. შეწყვეტის ვადები ხუთ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში

თუ სასამსახურო ურთიერთობა იდება პირის სიცოცხლის ან ხუთ წელზე მეტი ვადით, მაშინ იგი შეიძლება შეწყდეს ვალდებული პირის მიერ ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ. შეწყვეტის ვადა შეადგენს ექვს თვეს.

§ 625. უსიტყვო გახანგრძლივება
თუ მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ სასამსახურო ურთიერთობა ვალდებული პირის მიერ გაგრძელდება ისე, რომ ხელშეკრულების მეორე მხარემ იცის ამის შესახებ, მაშინ იგი ითვლება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულად, თუ მეორე მხარე ამას დაუყოვნებლივ არ გააპროტესტებს.

§ 626. ხელშეკრულების შეწყვეტა მნიშვნელოვანი საფუძვლით ვადის დაცვის გარეშე
(1) სასამსახურო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის მიერ ვადის დაცვის გარეშე მნიშვნელოვანი საფუძვლიდან გამომდინარე, თუ სახეზეა ფაქტები, რომელთა საფუძველზეც ცალკეული შემთხვევის ყველა გარემოების გათვალისწინებითა და ხელშეკრულების ორივე მხარის ინტერესების ურთიერთშეწონით სასამსახურო ურთიერთობის გაგრძელება შეწყვეტის ვადის გასვლამდე ან სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტის შეთანხმებულ მომენტამდე შემწყვეტ მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს.
(2) შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ორი კვირის ვადაში. ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შეწყვეტაზე უფლებამოსილი პირი შეიტყობს შეწყვეტის განმსაზღვრელი ფაქტების შესახებ. შემწყვეტმა მხარემ მოთხოვნისას დაუყოვნებლივ წერილობით უნდა შეატყობინოს ხელშეკრულების მეორე მხარეს შეწყვეტის საფუძვლის შესახებ.

§ 627. ხელშეკრულების შეწყვეტა ვადის დაცვის გარეშე საპასუხისმგებლო თანამდებობის შემთხვევაში
(1) სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტა, რომელიც არ არის შრომითი ურთიერთობა § 622-ის გაგებით, დასაშვებია § 626-ში მითითებული საფუძვლის გარეშეც, თუ მომსახურების გაწევაზე ვალდებულმა პირმა ისე, რომ არ იმყოფება გრძელვადიან სასამსახურო ურთიერთობაში ფიქსირებული ანაზღაურებით, უნდა გასწიოს კვალიფიციური მომსახურება, რომელსაც, ჩვეულებრივ, აკისრებენ განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე.
(2) ვალდებულ პირს სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტა შეუძლია მხოლოდ იმგვარად, რომ მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა სხვაგვარად შეძლოს მომსახურების მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაუთვალისწინებელი შეწყვეტისათვის არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. თუ იგი ამ საფუძვლის გარეშე გაუთვალისწინებლად წყვეტს ურთიერთობას, მაშინ მან მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილ პირს უნდა აუნაზღაუროს ამით გამოწვეული ზარალი.

§ 628. ნაწილობრივი ანაზღაურება და ზიანის ანაზღაურება ვადის დაცვის გარეშე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში
(1) თუ მომსახურების გაწევის დაწყების შემდეგ სასამსახურო ურთიერთობა წყდება §626-ში ან § 627-ში მითითებული საფუძვლით, მაშინ მომსახურების გაწევაზე ვალდებულ პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი თავდაპირველი მომსახურების შესაბამისი საზღაურის ნაწილი. თუ იგი წყვეტს ხელშეკრულებას ისე, რომ მას არ ჰქონია შეწყვეტის საბაბი მეორე მხარის ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგო მოქმედებით, ან, თუ იგი თავისი ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგო მოქმედებით მისცემს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის საბაბს, მაშინ მას არა აქვს საზღაურის მიღების მოთხოვნის უფლება იმ ფარგლებში, რომლებშიც თავისი

თავდაპირველი მომსახურება ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად აღარ აინტერესებს მეორე მხარეს. თუ მომავალი დროისათვის საზღაური წინასწარ არის გადახდილი, მაშინ ვალდებულმა პირმა იგი უნდა აანაზღუროს, § 346-ის მიხედვით, ან, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა ხორციელდება იმ გარემოების გამო, რომლისთვისაც იგი პასუხს არ აგებს, უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით.
(2) თუ ხელშეკრულების შეწყვეტა გამოწვეულია მეორე მხარის ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგო მოქმედებით, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტით გამოწვეული ზარალი.

§ 629. თავისუფალი დრო ახალი სამსახურის მოსაძებნად
გრძელვადიანი სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა მოთხოვნის საფუძველზე ვალდებულ პირს უნდა მისცეს სათანადო დრო სხვა სასამსახურო ურთიერთობის მოსაძებნად.

§ 630. ცნობის გაცემის ვალდებულება
გრძელვადიანი სასამსახურო ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში ვალდებულ პირს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარისაგან წერილობითი ცნობა სასამსახურო ურთიერთობისა და მისი ხანგრძლივობის თაობაზე. მოთხოვნის საფუძველზე ცნობაში უნდა მიეთითოს გაწეული მომსახურებისა და სამსახურებრივი ყოფა-ქცევის შესახებ. ცნობის გაცემა ელექტრონული ფორმით გამორიცხულია. თუ ვალდებული პირი დასაქმებულია, გამოიყენება „სამეწარმეო განაწესის“ (Gewerbeordnung) §109.

კარი 9. ნარდობა და მსგავსი ხელშეკრულებები

ქვეკარი 1. ნარდობის ხელშეკრულება

§ 631. ნარდობის ხელშეკრულების ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები
(1) ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს ვალდებულებას, დაამზადოს შეპირებული ნაკეთობა, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაიხადოს შეთანხმებული საზღაური.
(2) ნარდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც ნივთის დამზადება ან
შეცვლა, ისე სხვა შედეგი, რომელიც მიიღწევა სამუშაოს ან მომსახურების გაწევის გზით.

§ 632. საზღაური
(1) საზღაური უსიტყვოდაც ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით სამუშაო შესრულება მხოლოდ საზღაურის სანაცვლოდაა მოსალოდნელი.
(2) თუ საზღაურის ოდენობა არ არის განსაზღვრული, მაშინ ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო საზღაური, ხოლო ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი საზღაური.
(3) დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხარჯთაღრიცხვისათვის საზღაური არ გადაიხდება.

§ 632ა. საავანსო გადახდები

(1) მენარდეს შეუძლია, შემკვეთისაგან მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად განხორციელებული სამუშაოს საავანსო გადახდა იმ ოდენობით, რითაც შემკვეთმა შესრულების შედეგად მიიღო ნამეტი ღირებულება. უმნიშვნელო ნაკლის გამო საავანსო გადახდაზე უარის თქმა დაუშვებელია. შესაბამისად, მოქმედებს § 641-ის მე-3 ნაწილი. სამუშაოები უნდა დადასტურდეს ხართჯაღრიცხვის მეშვეობით, რომელიც იძლევა სამუშაოთა სწრაფი და საიმედო შეფასების საშუალებას. პირველი-მე-4 წინადადებები მოქმედებს, აგრეთვე, საჭირო მასალებისა თუ სამშენებლო დეტალების მიმართ, რომლებიც სპეციალურად დამზადდა ან მიწოდებულ იქნა, თუ შემკვეთს გადაეცემა საკუთრების უფლება სამუშაოს ნაწილებზე, მასალებსა თუ სამშენებლო დეტალებზე, ან ამისათვის მიეცემა უზრუნველყოფა.

(2) თუ ხელშეკრულების საგანი სახლის ან ანალოგიური შენობა-ნაგებობის აშენება ან რეკონსტრუქციაა და, ამავე დროს, იგი შეიცავს მეწარმის ვალდებულებას, გადასცეს შემკვეთს საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე, ან დაადგინოს, ან გადასცეს აღნაგობა, საავანსო გადახდები შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეთანხმებულია „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 244-ე მუხლის საფუძველზე მიღებული განკარგულების თანახმად.

(3) თუ შემკვეთი მომხმარებელია და ხელშეკრულების საგანი სახლის ან ანალოგიური შენობა-ნაგებობის აშენება ან რეკონსტრუქცია, პირველი საავანსო გადახდისას შემკვეთს უნდა წარედგინოს უზრუნველყოფა არსებითი ხარვეზების გარეშე სამუშაოთა დროულ ჩატარებაზე საზღაურის მოთხოვნის უფლების 5%-ის ოდენობით. თუ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების ან დამატებების შედეგად საზღაურის მოთხოვნის უფლება იზრდება 10%-ზე მეტი ოდენობით, მაშინ შემკვეთს მომდევნო საავანსო გადახდისას უნდა წარედგინოს დამატებითი უზრუნველყოფა დამატებული საზღაურის მოთხოვნის უფლების 5%-ის ოდენობით. მეწარმის მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფის წარდგენა შეძლება მოხდეს თანხების დაკავების გზით იმგვარად, რომ შემკვეთი საავანსო გადახდებს აკავებს ნაკისრი უზრუნველყოფის საერთო თანხამდე.

(4) წინამდებარე ნორმის თანახმად, უზრუნველყოფები შეიძლება ასევე წარდგენილ იქნეს გარანტიის ან წინამდებარე კანონის სამოქმედო სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დაკავებული საკრედიტო ინსტიტუტის ან საკრედიტო მზღვეველის მიერ სხვაგვარი გადახდის შეპირების სახით.

§ 633. ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლი

(1) მენარდემ შემკვეთს უნდა წარუდგინოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნაკეთობა.

(2) ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ მას აქვს შეთანხმებული თვისებები. თუ თვისებები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა:

1. თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან
2. ჩვეულებრივი გამოყენებისათვის და აქვს ისეთი თვისებრიობა, როგორიც, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია მსგავსი ნაკეთობებისათვის და რომელსაც ნაკეთობის სახეობის მიხედვით შეიძლება მოელოდეს შემკვეთი.

ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება, თუ მენარდე ამზადებს შეკვეთილისაგან განსხვავებულ ან მცირე რაოდენობის ნაკეთობას.

(3) ნაკეთობა უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია წარადგინოს რა-

იმე უფლებები შემკვეთის მიმართ, ან შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები.

§ 634. შემკვეთის უფლებები ნაკლის არსებობისას

თუ ნაკეთობა ნაკლის მქონეა და სახეზეა ქვემოთ მოყვანილი ნორმების წინაპირობები, და თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, შემკვეთს შეუძლია:

1. მოითხოვოს დამატებითი შესრულება, § 635-ის მიხედვით;
2. § 637-ის მიხედვით, თავად აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება;
3. §§ 636-ის, 323-ისა და 326-ის მე-5 ნაწილის მიხედვით, გავიდეს ხელშეკრულებიდან, ან შეამციროს საზღაური, § 638-ის შესაბამისად; და
4. მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, §§ 636-ის, 280-ის, 281-ის, 283-ისა და 311ა-ს მიხედვით, ან უშედეგოდ გაწეული ხარჯების ანაზღაურება, § 284-ის მიხედვით.

§ 634ა. ნაკლთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა

(1) § 634-ის №№ 1-ში, 2-სა და 4-ში მოცემული მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია:

1. № 2-ის რეგულირების გათვალისწინებით, ორი წლის ვადაში იმ ნაკეთობის შემთხვევაში, რომლის შედეგი გამოიხატება ნივთის დამზადებით, მოვლითა თუ შეცვლით, ანდა ამ მიზნით სამუშაოთა შესრულების დაგეგმვითა თუ მათ შესრულებაზე ზედამხედველობით,
2. ხუთი წლის ვადაში იმ შენობა-ნაგებობისა და ნაკეთობის შემთხვევაში, რომლის შედეგი გამოიხატება ამ მიზნით სამუშაოთა შესრულების დაგეგმვითა თუ მათ შესრულებაზე ზედამხედველობით;
3. დანარჩენ შემთხვევებში ხანდაზმულობის საერთო ვადაში.

(2) პირველი ნაწილის №№ 1 და 2 შემთხვევებში ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება შესრულების მიღების მომენტიდან.

(3) პირველი ნაწილის №№ 1-ის, 2-ისა და მე-2 ნაწილისგან განსხვავებით, მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ხანდაზმულობის საერთო ვადის გასვლისას, თუ მენარდემ ბოროტი განზრახვით დამალა ნაკლი. თუმცა, პირველი ნაწილის № 2-ის შემთხვევაში მოთხოვნის უფლებები არ არის ხანდაზმული მასში მითითებული ვადის გასვლამდე.

(4) § 634-ში მითითებული ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების მიმართ მოქმედებს § 218. § 218-ის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ძალის არარსებობის მიუხედავად, შემკვეთს შეუძლია, უარი თქვას საზღაურის გადახდაზე იმდენად, რამდენადაც იგი ამაზე უფლებამოსილი იქნებოდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების საფუძველზე. თუ იგი იყენებს ამ უფლებას, მენარდეს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

(5) § 634-ში გათვალისწინებული საზღაურის შემცირების უფლების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება § 218 და მე-4 ნაწილის მე-2 წინადადება.

§ 635. დამატებითი შესრულება

(1) თუ შემკვეთი ითხოვს დამატებით შესრულებას, მაშინ მენარდეს თავისი არჩევანით შეუძლია, აღმოფხვრას ნაკლი, ან დაამზადოს ახალი ნაკეთობა.

(2) მენარდე, დამატებითი შესრულების მიზნით, ვალდებულია, გასწიოს აუცილებელი ხარჯები, მათ შორის: გადაზიდვის, გადაყვანის, დასაქმებულებზე გასაწევი და მასალების ხარჯები.

(3) მენარდეს შეუძლია, § 275-ის მე-2 და მე-3 ნაწილების გათვალისწინებით, უარი თქვას დამატებით შესრულებაზე, თუ იგი შესაძლებელია მხოლოდ არათანაზომიერი ხარჯით.
(4) თუ მენარდე დაამზადებს ახალ ნაკეთობას, მაშინ მას, §§ 346-348-ის თანახმად, შეუძლია, შემკვეთისაგან მოითხოვოს ნაკლის მქონე ნაკეთობის უკან დაბრუნება.

§ 636. სპეციალური დანაწესები ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურებისთვის
§ 281-ის მე-2 ნაწილსა და § 323-ის მე-3 ნაწილში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, ვადის დადგენა აუცილებელი არ არის იმ შემთხვევაშიც, როდესაც მენარდე უარს ამბობს დამატებით შესრულებაზე, § 635-ის მე-3 ნაწილის თანახმად, ან, როდესაც დამატებითი შესრულება წარუმატებელი აღმოჩნდა, ანდა იგი მიუღებელია შემკვეთისათვის.

§ 637. ნაკეთობის ნაკლის აღმოფხვრა შემკვეთის მიერ
(1) შემკვეთს შეუძლია, თავად აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს გაწეული აუცილებელი დანახარჯების ანაზღაურება დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული სათანადო ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, თუ მენარდე დამატებით შესრულებაზე კანონიერად არ ამბობს უარს.
(2) § 323-ის მე-2 ნაწილი გამოიყენება შესაბამისად. ვადის დადგენა აუცილებელი არ არის იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამატებითი შესრულება წარუმატებელი აღმოჩნდა, ან იგი მიუღებელია შემკვეთისათვის.
(3) შემკვეთს შეუძლია, მენარდისაგან მოითხოვოს ნაკლის აღმოსაფხვრელად აუცილებელი ხარჯებისათვის საავანსო გადახდა.

§ 638. საზღაურის შემცირება
(1) ხელშეკრულებიდან გასვლის ნაცვლად, შემკვეთს შეუძლია, შეამციროს საზღაურის ოდენობა მენარდისადმი წარდგენილი განცხადებით. § 323-ის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადებაში მითითებული გამორიცხვის საფუძველი არ გამოიყენება.
(2) თუ შემკვეთის ან მენარდის მხარეს მონაწილეობს რამდენიმე პირი, მაშინ საზღაურის შემცირება შეიძლება განცხადებულ იქნეს აუცილებლად ყველა პირის მიერ ან ყველა პირის მიმართ.
(3) საზღაური უნდა შემცირდეს იმ პროპორციით, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის უნაკლო ნაკეთობის ღირებულებას ექნებოდა რეალურ ღირებულებასთან შედარებით. საზღაურის შემცირების ოდენობა, რამდენადაც ეს აუცილებელია, უნდა დადგინდეს შეფასებით.
(4) თუ შემკვეთმა გადაიხადა შემცირებულ საზღაურზე მეტი თანხა, მაშინ ზედმეტი თანხა უნდა ანაზღაურდეს. შესაბამისად, გამოიყენება § 346-ის პირველი ნაწილი და § 347-ის პირველი ნაწილი.

§ 639. პასუხისმგებლობის გამორიცხვა
მენარდეს არ შეუძლია მიუთითოს შეთანხმებაზე, რომლითაც ნაკლის გამო შემკვეთის უფლებები გამორიცხული ან შეზღუდულია, თუ მან ბოროტი განზრახვით დამალა ნაკლი, ან იკისრა ნაკეთობის თვისებრიობის გარანტია.

§ 640. სამუშაოს მიღება

(1) შემკვეთი ვალდებულია, მიიღოს ხელშეკრულების თანახმად დამზადებული ნაკეთობა, თუ ნაკეთობის თვისებრიობის მიხედვით მიღება გამორიცხული არ არის. უმნიშვნელო ნაკლის გამო მიღებაზე უარის თქმა დაუშვებელია. მიღებას უთანაბრდება შემთხვევა, როდესაც შემკვეთი ნაკეთობას არ იღებს მენარდის მიერ მისთვის განსაზღვრულ სათანადო ვადაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ვალდებულია მიღებაზე.

(2) თუ შემკვეთი იღებს ნაკლის მქონე ნაკეთობას, პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ისე, რომ იცის ნაკლის არსებობის შესახებ, მაშინ მას აქვს § 634-ის №№ 1-3-ში გათვალისწინებული უფლებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მიღებისას გააკეთებს დათქმას ნაკლის გამო არსებული უფლების შენარჩუნების შესახებ.

§ 641. საზღაურის გადახდის ვადა

(1) საზღაური გადახდილ უნდა იქნეს ნაკეთობის მიღებისას. თუ ნაკეთობა მიღებულ უნდა იქნეს ნაწილ-ნაწილ და საზღაური დადგენილია ცალკეული ნაწილებისათვის, მაშინ საზღაური გადახდილ უნდა იქნეს ამ უკანასკნელთა მიღებისას.

(2) იმ ნაკეთობისათვის მენარდის კუთვნილი საზღაურის გადახდის ვადა, რომლის დამზადებასაც შემკვეთი შეჰპირდა მესამე პირს, დგება არა უგვიანეს იმ მომენტისა;

1. როდესაც შემკვეთმა მესამე პირისაგან მიიღო თავისი საზღაური ან მისი ნაწილები შეპირებული ნაკეთობის დამზადებისათვის;
2. როდესაც შემკვეთის ნაკეთობა მესამე პირის მიერ მიღებულ იქნა, ან იგი მიღებულად ითვლება; ან,
3. როდესაც მენარდემ შემკვეთს უშედეგოდ დაუდგინა სათანადო ვადა №№ 1-სა და 2-ში მითითებული გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისათვის.

თუ შემკვეთმა მესამე პირს ნაკეთობის შესაძლო ნაკლისათვის წარუდგინა უზრუნველყოფა, მაშინ პირველი წინადადება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მენარდე წარადგენს შესაბამისი ოდენობის უზრუნველყოფას.

(3) თუ შემკვეთს შეუძლია ნაკლის აღმოფხვრის მოთხოვნა, მაშინ მას საზღაურის გადახდის ვადის დადგომის შემდეგ შეუძლია უარი განაცხადოს საზღაურის შესაბამისი ნაწილის გადახდაზე; შესაბამის ნაწილად, როგორც წესი, ჩაითვლება ნაკლის აღმოფხვრისათვის საჭირო ხარჯების ორმაგი ოდენობა.

(4) ფულადი თანხით გამოხატულ საზღაურს ნაკეთობის მიღების მომენტიდან შემკვეთმა უნდა დაარიცხოს პროცენტები, თუ საზღაურის გადახდა არ იქნა გადავადებული.

§ 641ა. *(გაუქმებულია)*

§ 642. შემკვეთის თანამონაწილეობა

(1) თუ ნაკეთობის დამზადებისას საჭიროა შეკვეთის მხრიდან მოქმედების განხორციელება, მაშინ მენარდეს შეუძლია მოითხოვოს სათანადო ანაზღაურება, თუ შემკვეთი მოქმედების შეუსრულებლობით აცილებს შესრულების მიღების ვადას.

(2) ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება, ერთი მხრივ, ვადის გადაცილების ხანგრძლივობითა და შეთანხმებული საზღაურის ოდენობით და, მეორე მხრივ, იმით, თუ რა ხარჯების დაზოგვას ან სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენებით რის შეძენას შეძლებს მენარდე ვადის გადაცილების შედეგად.

§ 643. ხელშეკრულების შეწყვეტა შემკვეთის მხრიდან თანამონაწილეობის არარსებობისას

§ 642-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში მენარდე უფლებამოსილია, დაუდგინოს შემკვეთს სათანადო ვადა ვადაგადაცილებული მოქმედების განხორციელებისათვის იმის განცხადებით, რომ იგი შეწყვეტს ხელშეკრულებას, თუ მოქმედება არ განხორციელდება ვადის გასვლამდე. ხელშეკრულება ითვლება გაუქმებულად, თუ მოქმედება ვადის გასვლამდე არ ხორციელდება.

§ 644. რისკის კისრება

(1) მენარდე ნივთთან დაკავშირებული რისკის მატარებელია ნაკეთობის მიღებამდე. თუ შემკვეთი აგვიანებს მიღებას, მაშინ რისკი გადადის მასზე. მენარდე პასუხს არ აგებს შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალის შემთხვევით განადგურებისა და გაუარესებისათვის.

(2) თუ მოთხოვნის საფუძველზე მენარდე ნაკეთობას აგზავნის სხვა ადგილზე, ნაცვლად შესრულების ადგილისა, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება ნასყიდობის მიმართ მოქმედი § 447-ის რეგულირება.

§ 645. შემკვეთის პასუხისმგებლობა

(1) თუ მიღებამდე ნაკეთობა შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალის ნაკლის ან სამუშაოს შესრულების თაობაზე შემკვეთის ინსტრუქციის შედეგად განადგურდა, გაუარესდა ან მისი შესრულება შეუძლებელი გახდა და მასზე არ მოუხდენია გავლენა იმ გარემოებას, რომლისათვისაც პასუხს აგებს მენარდე, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია, მოითხოვოს შესრულებული სამუშაოს შესაბამისი საზღაური და იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც არ შედის საზღაურში. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ ხელშეკრულება უქმდება, § 643-ის მიხედვით.

(2) ბრალის არსებობისას უცვლელი რჩება შემკვეთის უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა.

§ 646. სამუშაოს დასრულება მიღების ნაცვლად

თუ ნაკეთობის თვისების შედეგად მიღება გამორიცხულია, მაშინ § 643ა-ს მე-2 ნაწილის და §§ 641-ის, 644-ისა და 645-ის შემთხვევებში მიღებას ცვლის სამუშაოს დასრულება.

§ 647. მენარდის გირავნობის უფლება

მენარდეს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად აქვს გირავნობის უფლება მის მიერ დამზადებულ ან შეკეთებულ მოძრავ ნივთზე, თუ ეს ნივთი დამზადების ან შეკეთების მიზნით მენარდის მფლობელობაში იმყოფება.

§ 648. მშენებლის კუთვნილი უზრუნველსაყოფი იპოთეკა

(1) ხელშეკრულებიდან გამომდინარე კუთვნილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მენარდეს შეუძლია, მოითხოვოს შემკვეთის სამშენებლო მიწის ნაკვეთზე უზრუნველსაყოფი იპოთეკის დადგენა. თუ სამუშაო ჯერ არ არის დასრულებული, მაშინ მას შეუძლია, მოითხოვოს უზრუნველსაყოფი იპოთეკის დადგენა იმ საზღაურის ნაწილისათვის, რომელიც შეესაბამება შესრულებულ სამუშაოს, და საზღაურში გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის.

(2) ნავსაშენის მფლობელს საზღვაო ხომალდის მშენებლობიდან ან სარემონტო სამუშაოებიდან გამომდინარე თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად შეუძლია, მოითხოვოს მშენებარე საზღვაო ხომალდზე ან შემკვეთის საზღვაო ხომალდზე იპოთეკის დადგენა; აზრობრივად მოქმედებს პირველი ნაწილის მე-2 წინადადება. § 647 არ გამოიყენება.

§ 648ა. სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა

(1) სამშენებლო სამუშაოების, გარე სამუშაოების ან მათი ნაწილის მშენებელს შეუძლია, შემკვეთისაგან მოითხოვოს უზრუნველყოფა ასევე დამატებითი შეკვეთებისათვის შეთანხმებული, თუმცა, ჯერ კიდევ გადაუხდელი საზღაურისათვის მათთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნების ჩათვლით, რომლებიც უნდა განისაზღვროს უზრუნველსაყოფი საზღაურის მოთხოვნის უფლების 10%-ით. პირველი წინადადება იმავე მოცულობით მოქმედებს ასევე იმ მოთხოვნის უფლებების მიმართ, რომლებიც იკავებს საზღაურის ადგილს. მეწარმის მიერ უზრუნველყოფის მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხება იმით, რომ შემკვეთს შეუძლია ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ან ნაკეთობის მიღება. საზღაურის გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება ის მოთხოვნის უფლებები, რომელთა მიმართაც შემკვეთს შეუძლია საზღაურის მიღებაზე მეწარმის მოთხოვნის უფლების გაქვითვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი უდავოა ან დადგენილია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესრული გადაწყვეტილებით. უზრუნველყოფა საკმარისად მიიჩნევა მაშინაც, თუ უზრუნველყოფის მიმცემი იტოვებს უფლებას, უარი თქვას თავის ვალდებულებაზე შემკვეთის ქონებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესების შემთხვევაში საზღაურის მოთხოვნის უფლების მიმართ იმ სამშენებლო ვალდებულებების შეწყვეტის სამართლებრივი შედეგით, რომლებიც მენარდემ ჯერ არ შეასრულა უარის თქმის განცხადების მიღების მომენტში.

(2) უზრუნველყოფა შეიძლება ასევე წარდგენილ იქნეს გარანტიის ან თანხის გადახდის სხვა ვალდებულების კისრების სახით საბანკო ინსტიტუტის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, განახორციელონ სამეწარმეო საქმიანობა წინამდებარე კანონის სამოქმედო ტერიტორიაზე. საბანკო ინსტიტუტს ან სადაზღვევო კომპანიას შეუძლია მენარდის მიმართ გადახდის განხორციელება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც შემკვეთი აღიარებს მენარდის მოთხოვნის უფლებას საზღაურზე, ან მას დაუყოვნებლივ აღსასრულებელი სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრება საზღაურის გადახდა და სახეზეა წინაპირობები, რომელთა არსებობისას შესაძლებელია იძულებითი აღსრულების დაწყება.

(3) მენარდემ შემკვეთს უნდა აუნაზღაუროს უზრუნველყოფის წარდგენაზე გაწეული ჩვეულებრივი ხარჯები მაქსიმუმ წლიური 2%-ის ოდენობით. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მენარდის საზღაურის მოთხოვნის უფლების მიმართ შემკვეთის შესაგებლის გამო უზრუნველყოფა უნდა შენარჩუნდეს და შესაგებელი უსაფუძვლო აღმოჩნდება.

(4) იმდენად, რამდენადაც მენარდემ თავისი საზღაურის მოთხოვნის უფლებისათვის მიიღო უზრუნველყოფა პირველი ან მე-2 ნაწილების მიხედვით, § 648-ის პირველი ნაწილის თანახმად, უზრუნველსაყოფი იპოთეკის დადგენის შესახებ მოთხოვნის უფლება გამორიცხულია.

(5) თუ მეწარმემ შემკვეთს, პირველი ნაწილის თანახმად, უზრუნველყოფის წარსადგენად სათანადო ვადა უშედეგოდ დაუდგინა, მაშინ მეწარმეს შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, ან შეწყვიტოს ხელშეკრულება. თუ მეწარმე

წყვეტს ხელშეკრულებას, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს შეთანხმებული საზღაური; თუმცა, მან ანგარიშში უნდა ჩათვალოს ის ხარჯები, რომელთაც იგი ხელშეკრულების გაუქმების შედეგად ხარჯებთან მიმართებით ზოგავს, ან თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენების შედეგად იძენს, ანდა ბოროტი განზრახვით არ იძენს. ივარაუდება, რომ მეწარმეს ეკუთვნის სამუშოს ჯერ კიდევ შეუსრულებელ ნაწილზე მოსული შეთანხმებული საზღაურის 5%.

(6) პირველი-მე-5 ნაწილების ნორმები არ გამოიყენება, თუ შემკვეთი:

1. არის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი ან წარმოადგენს საჯარო სამართლის სპეციალურ ფონდს, რომლის ქონებაზეც გაკოტრების საქმის წარმოება დაუშვებელია; ან
2. არის ფიზიკური პირი და ავალებს სამშენებლო სამუშაოთა წარმოებას ერთ ოჯახზე გათვლილი სახლის აშენებისა თუ რემონტისათვის მდგმურის სადგომთან ერთად ან მის გარეშე. პირველი წინადადების № 2 არ მოქმედებს, თუ სამშენებლო ობიექტს კურირებას უწევს შემკვეთის ფინანსური საშუალებების განკარგვაზე უფლებამოსილი სამშენებლო რწმუნებული.

(7) პირველი-მე-5 ნაწილების დანაწესებისაგან განსხვავებული შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 649. შემკვეთის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება

შემკვეთს შეუძლია, სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება. თუ შემკვეთი წყვეტს ხელშეკრულებას, მაშინ მენარდე უფლებამოსილია, მოითხოვოს შეთანხმებული საზღაური; თუმცა, მან ანგარიშში უნდა ჩათვალოს ის ხარჯები, რომელთაც იგი ხელშეკრულების გაუქმების შედეგად ხარჯებთან მიმართებით ზოგავს ან თავისი სამუშაო ძალის სხვაგვარი გამოყენების შედეგად იძენს, ანდა ბოროტი განზრახვით არ იძენს. ივარაუდება, რომ მენარდეს ეკუთვნის სამუშოს ჯერ კიდევ შეუსრულებელ ნაწილზე მოსული შეთანხმებული საზღაურის 5%.

§ 650. ხარჯთაღრიცხვა

(1) თუ ხელშეკრულებას საფუძვლად ედო ხარჯთაღრიცხვა ისე, რომ მენარდეს არ უკისრია მისი სისწორის გარანტია და ირკვევა, რომ სამუშაო ვერ შესრულდება ხარჯთაღრიცხვის არსებითი გადაჭარბების გარეშე, მაშინ შემკვეთის მიერ ამ საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მენარდეს აქვს მხოლოდ § 645-ის პირველი ნაწილით დადგენილი მოთხოვნის უფლება.

(2) თუ ასეთი ხარჯთაღრიცხვის გადაჭარბება მოსალოდნელია, მაშინ მენარდემ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს.

§ 651. ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება

იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლის საგანია დასამზადებელი ან წარმოებული მოძრავი ნივთების მიწოდება, გამოიყენება ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები. ამ ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ა წინადადება, თუ ნაკლი გამოწვეულია შემკვეთის მიერ მიწოდებული მასალით. იმ სევე § 442-ის პირველი ნაწილის პირველი დენად, რამდენადაც დასამზადებელი ან წარმოებული მოძრავი ნივთები არ არიან ჩანაცვლებადი, §§ 642, 643, 645, 649 და 650 გამოიყენებიან იმ პირობით, რომ მიღების ნაცვლად განმსაზღვრელია §§ 446-სა და 447-ში მითითებული დროის მომენტი.

ქვეკარი 2. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება

§ 651ა. ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები

(1) ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებით მოგზაურობის ორგანიზატორი ვალდებულია, ტურისტს გაუწიოს ტურისტული მომსახურების პაკეტით გათვალისწინებული მომსახურება); ტურისტი ვალდებულია, მოგზაურობის ორგანიზატორს ტურისტული მომსახურებისათვის გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური.

(2) განცხადება მხოლოდ იმ პირებთან ხელშეკრულებების დადებისათვის შუამავლობის თაობაზე, რომლებმაც უნდა შეასრულონ ცალკეული ტურისტული მომსახურებები, მხედველობაში არ მიიღება, თუ სხვა გარემოებების მიხედვით დგინდება, რომ განმცხადებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტურისტულ მომსახურებას ახორციელებს საკუთარი პასუხისმგებლობით.

(3) მოგზაურობის ორგანიზატორმა ხელშეკრულების დადებისთანავე ან დაუყოვნებლივ ხელშეკრულების დადების შემდეგ ტურისტს უნდა გადასცეს ტურისტული მომსახურების ხელშეკრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (ტურისტული მოგზაურობის დამადასტურებელი დოკუმენტი). მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ გადაცემული დამადასტურებელი დოკუმენტი და პროსპექტი უნდა შეიცავდეს „სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის“ 238-ე მუხლის თანახმად მიღებულ სახელისუფლო განკარგულებით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

(4) მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლია გაზარდოს ტურისტული მომსახურების ფასი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში ზუსტი ციფრებით არის გათვალისწინებული ახალი ფასის გაანგარიშება და თუ ამით იგი ითვალისწინებს: სატრანსპორტო ხარჯებს, განსაზღვრული მომსახურების ხარჯებს, პორტისა და აეროპორტის მოსაკრებელს, ვალუტის კურსის ცვლილებას, რომელიც მოქმედებს შესაბამისი ტურისტული მოგზაურობისათვის. ფასის გაზრდა, რომელიც მოთხოვნილ იქნა შეთანხმებულ გამგზავრების თარიღამდე, სულ ცოტა, 20 დღით ადრე, სამართლებრივი ძალის არმქონეა. § 309-ის № 1 არ იცვლება.

(5) მოგზაურობის ორგანიზატორმა დაუყოვნებლივ უნდა განუცხადოს ტურისტს, მე-4 ნაწილის მიხედვით, ტურისტული მომსახურების ფასის ცვლილების, ძირითადი ტურისტული მომსახურების დასაშვები ცვლილებისა თუ ტურისტული მომსახურების დასაშვები გაუქმების შესახებ იმის შემდეგ, რაც იგი შეიტყობს ცვლილებისა თუ გაუქმების მიზეზის თაობაზე. ტურისტული მომსახურების ფასის 5%-ზე მეტი ოდენობით გაზრდის ან ძირითადი ტურისტული მომსახურების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ტურისტს შეუძლია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამის ნაცვლად მას შეუძლია, ისევე როგორც მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ ტურისტული მომსახურების გაუქმების შემთხვევაში, მოითხოვოს სხვა, სულ ცოტა, იმავე ღირებულების მქონე ტურისტულ მომსახურებაში მონაწილეობის მიღება, თუ მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლია საკუთარი ასორტიმენტიდან ასეთი ტურისტული მომსახურების შეთავაზება ფასის გაზრდის გარეშე. ტურისტმა ეს უფლებები მოგზაურობის ორგანიზატორის მიმართ უნდა განახორციელოს დაუყოვნებლივ, ამ უკანასკნელის მიერ განცხადების გაკეთების შემდეგ.

§ 651ბ. ხელშეკრულების გადაცემა

(1) მოგზაურობის დაწყებამდე ტურისტს შეუძლია მოითხოვოს, რომ მისი ადგილი ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებსა და ვალ-

დებულებებში დაიკავოს მესამე პირმა. მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლია გააპროტესტოს მესამე პირის შემოსვლა, თუ იგი არ აკმაყოფილებს მოგზაურობის სპეციალურ მოთხოვნებს, ან მისი მონაწილეობა ეწინააღმდეგება საკანონმდებლო ნორმებს ან საჯარო განკარგულებებს.
(2) თუ მესამე პირი შემოდის ხელშეკრულებაში, მაშინ ის და ტურისტი ტურისტული მომსახურების ფასისა და მესამე პირის შემოსვლით გამოწვეული დამატებითი ხარჯებისათვის მოგზაურობის ორგანიზატორის წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 651გ. ხარვეზების აღმოფხვრა
(1) მოგზაურობის ორგანიზატორი ვალდებულია, წარმართოს მოგზაურობა ისე, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს გარანტირებული ხასიათი და იყოს თავისუფალი ისეთი ხარვეზებისგან, რომლებიც აუფასურებს ან ამცირებს მის ღირებულებას, ან მის ვარგისიანობას, დააკმაყოფილოს ჩვეულებრივი ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულება.
(2) თუ მოგზაურობა არ არის ასეთი ხარისხის, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს ხარვეზების აღმოფხვრა. მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლია, უარი თქვას ხარვეზების აღმოფხვრაზე, თუ მათ სჭირდებათ შეუსაბამოდ მაღალი ხარჯები.
(3) თუ მოგზაურობის ორგანიზატორი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ ამისათვის განსაზღვრულ სათანადო ვადაში, მაშინ ტურისტს შეუძლია, თავად აღმოფხვრას ხარვეზები და მოითხოვოს გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. ვადის განსაზღვრა საჭირო არ არის, თუ მოგზაურობის ორგანიზატორი უარს ამბობს ხარვეზების აღმოფხვრაზე, ან თუ ხარვეზების დაუყოვნებელი აღმოფხვრა მოითხოვება ტურისტის განსაკუთრებული ინტერესიდან გამომდინარე.

§ 651დ. ფასის შემცირება
(1) თუ მოგზაურობა ხარვეზიანია §651გ-ს გაგებით, მაშინ ხარვეზის პერიოდში ტურისტული მომსახურების ფასი მცირდება §638-ის მე-3 ნაწილის მიხედვით. შესაბამისად, გამოიყენება § 638-ის მე-4 ნაწილი.
(2) ფასის შემცირება არ ხდება, თუ ტურისტი ბრალეულად არ მიუთითებს ხარვეზის შესახებ.

§ 651ე. ხარვეზის გამო ხელშეკრულების შეწყვეტა
(1) თუ მოგზაურობას § 651გ-ში მითითებული ხარვეზის გამო მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა, მაშინ ტურისტს შეუძლია, შეწყვიტოს ხელშეკრულება. ანალოგიური წესი მოქმედებს მაშინაც, თუ მოგზაურობა მისთვის ასეთი ხარვეზის შედეგად მიუღებელია მნიშვნელოვანი, მოგზაურობის ორგანიზატორისთვის ცნობილი, მიზეზით.
(2) ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც მოგზაურობის ორგანიზატორი გაუშვებს ტურისტის მიერ განსაზღვრულ სათანადო ვადას და არ აღმოფხვრის ხარვეზებს. ვადის განსაზღვრა არ არის აუცილებელი, თუ ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია, ან მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ განცხადებული იქნება უარი მათ აღმოფხვრაზე, ანდა ხელშეკრულების დაუყოვნებელი შეწყვეტა გამართლებულია ტურისტის განსაკუთრებული ინტერესით.
(3) თუ ხელშეკრულება წყდება, მოგზაურობის ორგანიზატორი კარგავს შეთანხმებული საზღაურის მიღების მოთხოვნის უფლებას. თუმცა, მას შეუძლია მოითხოვოს

ანაზღაურება, რომელიც გამოითვლება, § 638-ის მე-3 ნაწილის თანახმად, უკვე გაწეული მომსახურებისათვის ან, მოგზაურობის დასრულებამდე, ჯერ კიდევ გასაწევი მომსახურებისათვის. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ამ მომსახურებით, ხელშეკრულების გაუქმების გამო, ტურისტი დაინტერესებული აღარ არის.
(4) მოგზაურობის ორგანიზატორი ვალდებულია, მიიღოს ზომები, რომლებიც აუცილებელია ხელშეკრულების გაუქმების გამო, მათ შორის, დააბრუნოს ტურისტი, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებდა მის უკან დაბრუნებას. დამატებითი ხარჯები ეკისრება მოგზაურობის ორგანიზატორს.

§ 651ვ. ზიანის ანაზღაურება

(1) ტურისტს შეუძლია, ფასის შემცირების ან ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებების შეუზღუდავად, მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოგზაურობის ხარვეზები გამოწვეულია ისეთი გარემოებით, რომლისთვისაც მოგზაურობის ორგანიზატორი პასუხს არ აგებს.
(2) თუ მოგზაურობა ჩაიშალა, ან იგი მნიშვნელოვნად ირღვევა, მაშინ ტურისტს შეუძლია მოითხოვოს ასევე შვებულების უსარგებლოდ დაკარგვით გამოწვეული სათანადო ფულადი ანაზღაურება.

§ 651ზ. ხანდაზმულობის ვადა; ხანდაზმულობის ვადის გასვლა

(1) §§ 651გ-662ვ-თი გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებები ტურისტის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს მოგზაურობის ორგანიზატორისათვის ხელშეკრულებაში მითითებული მოგზაურობის ვადის გასვლის შემდეგ ერთი თვის ვადაში. § 174 არ გამოიყენება. ვადის გასვლის შემდეგ ტურისტს შეუძლია წარადგინოს თავისი მოთხოვნის უფლებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ვადის დაუცველობაში ბრალი არ მიუძღვის.
(2) §§ 651გ-662ვ-ში გათვალისწინებული ტურისტის მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ორ წელს. ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც ხელშეკრულებით მოგზაურობა უნდა დამთავრებულიყო.

§ 651თ. პასუხისმგებლობის დასაშვები შეზღუდვა

(1) მოგზაურობის ორგანიზატორს ტურისტთან შეთანხმებით შეუძლია შეზღუდოს თავისი პასუხისმგებლობა, გარდა სხეულის დაზიანებისათვის პასუხისმგებლობისა, ტურისტული მომსახურების საზღაურის სამმაგი ოდენობით იმდენად:
1. რამდენადაც ტურისტისათვის მიყენებული ზიანი არ იყო გამოწვეული განზრახი მოქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით; ან,
2. რამდენადაც მოგზაურობის ორგანიზატორი ერთპიროვნულად აგებს პასუხს ტურისტისთვის მიყენებული იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა ცალკეული მომსახურების განმახორციელებელი პირის ბრალით.

(2) თუ მომსახურების განმახორციელებელი პირის მიერ გაწეული ტურისტული მომსახურება ექცევა საერთაშორისო ხელშეკრულებების ან მათზე დაფუძნებული საკანონმდებლო ნორმების მოქმედების ქვეშ, რომელთა თანახმადაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა ან წარედგინება მხოლოდ განსაზღვრული წინაპირობების ან შეზღუდვების არსებობისას, ანდა განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას იგი გამოირცხულია, მაშინ მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლია ტურისტის მიმართ აღნიშნულზე მითითება.

§ 651ი. უარი ხელშეკრულებაზე მოგზაურობის დაწყებამდე

(1) ტურისტს მოგზაურობის დაწყებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

(2) თუ ტურისტი უარს ამბობს ხელშეკრულებაზე, მოგზაურობის ორგანიზატორი კარგავს შეთანხმებული ტურისტული მომსახურების საზღაურის მიღების მოთხოვნის უფლებას, თუმცა, მას შეუძლია, მოითხოვოს სათანადო ანაზღაურება. ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება ტურისტული მომსახურების საზღაურის მიხედვით მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ დაზოგილი ხარჯების ღირებულების გამოკლებით, ისევე როგორც იმ ხარჯების გამოკლებით, რომლებიც მას შეუძლია მიიღოს თავისი ტურისტული მომსახურების სხვაგვარად გამოყენების შედეგად.

(3) ხელშეკრულებაში მოგზაურობის ყოველი სახეობის მიხედვით ანაზღაურების სახით შეიძლება განისაზღვროს ტურისტული მომსახურების საზღაურის საპროცენტო შეფარდება, ჩვეულებრივ, დაზოგილი ხარჯებისა და ტურისტული მომსახურების სხვაგვარად გამოყენების შედეგად შესაძლო ჩვეულებრივი შენაძენის გათვალისწინებით.

§ 651კ. ხელშეკრულების შეწყვეტა დაუძლეველი ძალის გამო

(1) თუ მოგზაურობა არსებითად გაძნელდება, მას შეექმნება საფრთხე, ან იგი დაირღვევა ხელშეკრულების დადებისას გაუთვალისწინებელი დაუძლეველი ძალის დადგომის შედეგად, მაშინ როგორც ტურისტს, ისე მოგზაურობის ორგანიზატორს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება მხოლოდ წინამდებარე ნორმის საფუძველზე.

(2) თუ ხელშეკრულება წყდება პირველი ნაწილის თანახმად, მაშინ გამოიყენება § 651ე-ს მე-3 ნაწილის პირველი და მე-2 წინადადებები და მე-4 ნაწილის პირველი წინადადება. დაბრუნების დამატებითი ხარჯები მხარეებს ეკისრებათ სანახევროდ. სხვა შემთხვევაში დამატებითი ხარჯები ეკისრება ტურისტს.

§ 651ლ. უზრუნველყოფის წარდგენა, გადახდა

(1) მოგზაურობის ორგანიზატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ტურისტს აუნაზღაურდება:

1. გადახდილი ტურისტული მომსახურების საზღაური, თუ ტურისტული მომსახურება მოგზაურობის ორგანიზატორის გადახდისუუნარობის ან მის ქონებაზე გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის შედეგად ვერ სრულდება; და
2. აუცილებელი ხარჯები, რომლებიც უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით წარმოეშვა ტურისტს მოგზაურობის ორგანიზატორის გადახდისუუნარობის ან მის ქონებაზე გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის შედეგად.

პირველი წინადადებით გათვალისწინებული ვალდებულებები მოგზაურობის ორგანიზატორმა შეიძლება შეასრულოს მხოლოდ:

1. დაზღვევის მეშვეობით იმ სადაზღვევო კომპანიაში, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა წინამდებარე კანონის მოქმედების სფეროში; ან
2. იმ საკრედიტო დაწესებულების გადახდის შეპირების მეშვეობით, რომელიც უფლებამოსილია, განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა წინამდებარე კანონის მოქმედების სფეროში.

(2) მზღვეველს ან საკრედიტო დაწესებულებას (კლიენტების თანხების გარანტორი) შეუძლია შეზღუდოს თავიანთი პასუხისმგებლობა იმ თანხებში, რომლებიც მთლიანობაში ექვემდებარება ანაზღაურებას ერთი წლის განმავლობაში, წინამდებარე

კანონის თანახმად, 110 მილიონ ევრომდე. თუ წინამდებარე კანონის თანახმად, კლიენტების თანხების გარანტორის მხრიდან ერთი წლის განმავლობაში ასანაზღაურებელი თანხები მთლიანობაში აღემატება პირველ წინადადებაში მითითებულ მაქსიმალურ თანხას, მაშინ ანაზღაურების ცალკეული მოთხოვნები შემცირდება მათი მთლიანი თანხის მაქსიმალურ თანხასთან შეფარდების მიხედვით.

(3) პირველი ნაწილის მიხედვით, თავისი ვალდებულების შესრულებისათვის მოგზაურობის ორგანიზატორმა უნდა გადასცეს ტურისტს უშუალო მოთხოვნის უფლება კლიენტების თანხების გარანტორის მიმართ და დაადასტუროს იგი დასტურის (საგარანტიო დოკუმენტის) გადაცემით, რომელიც გაცემულია კლიენტების თანხების გარანტორის მიერ, ან გაცემულია ამ უკანასკნელის განკარგულებით. კლიენტების თანხების გარანტორს არ შეუძლია, იმ ტურისტის მიმართ, რომელსაც გადაეცა საგარანტიო დოკუმენტი, მიუთითოს არც კლიენტის თანხების გარანტიის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელზე და არც იმ ფაქტზე, რომ საგარანტიო დოკუმენტი გაიცა მხოლოდ კლიენტის თანხების გარანტიის შესახებ ხელშეკრულების დადების შემდეგ. მე-2 წინადადებაში გათვალისწინებულ შემთხვევებში ტურისტის მოთხოვნის უფლება მოგზაურობის ორგანიზატორის მიმართ გადადის კლიენტების თანხების გარანტორზე იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ეს უკანასკნელი აკმაყოფილებს ტურისტს. ტურისტული სააგენტო ვალდებულია ტურისტის წინაშე, შეამოწმოს საგარანტიო დოკუმენტის ნამდვილობა ამ უკანასკნელისათვის მისი გადაცემის მომენტში.

(4) მოგზაურობის ორგანიზატორსა და ტურისტულ სააგენტოს შეუძლიათ ტურისტული მომსახურების საზღაურის დასაფარავად ტურისტის გადახდების მოთხოვნა და მიღება ტურისტული მომსახურების დასრულებამდე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ტურისტს გადაეცა საგარანტიო დოკუმენტი. ტურისტული სააგენტო მიიჩნევა უფლებამოსილად, მიიღოს მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ ტურისტული მომსახურების საზღაურის დასაფარად ტურისტის გადახდები, თუ იგი მას გადასცემს საგარანტიო დოკუმენტს, ან, თუ მოგზაურობის ორგანიზატორთან დაკავშირებული სხვა გარემოებები ცხადყოფს, რომ ტურისტულ სააგენტოს მოგზაურობის ორგანიზატორისაგან დაევალა ტურისტული მომსახურების ხელშეკრულებების დადებაზე შუამავლობა მის ინტერესებში. ეს წესი არ მოქმედებს, თუ ტურისტული სააგენტოს მიერ ტურისტისაგან გადახდების მიღება ნათელი ფორმით გამორიცხულია.

(5) თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მოგზაურობის ორგანიზატორის სათავო ოფისი მდებარეობს ევროპული გაერთიანების სხვა წევრ სახელმწიფოში ან ევროპული ეკონომიკური სივრცის შეთანხმების ხელისშემკვრელ სხვა სახელმწიფოში, მაშინ პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოგზაურობის ორგანიზატორის ვალდებულება ითვლება შესრულებულად მაშინაც კი, როდესაც იგი ტურისტს წარუდგენს უზრუნველყოფას სხვა სახელმწიფოში მოქმედი ნორმების თანახმად და ეს ნორმები შეესაბამება პირველი ნაწილის პირველი წინადადების მოთხოვნებს. მე-4 ნაწილი მოქმედებს იმ პირობით, რომ ტურისტმა უნდა მიიღოს უზრუნველყოფის წარდგენის დამადასტურებელი მტკიცებულება.

(6) პირველი-მე-5 ნაწილები არ მოქმედებს, თუ:

1. მოგზაურობის ორგანიზატორი მოგზაურობის მოწყობით დაკავებულია მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე და თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებს მიღმა;
2. მოგზაურობა გრძელდება არა უმეტეს 24 საათისა, არ მოიცავს ღამის გათენებას და მოგზაურობის ფასი არ აღემატება 75 ევროს;

3. მოგზაურობის ორგანიზატორი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის ქონების მიმართ გაკოტრების საქმისწარმოება დაუშვებელია.

§ 651მ. მასპინძელ ქვეყანაში სასწავლო მიზნით ყოფნა (Gastschulaufenthalte)

(1) იმ ტურისტული ხელშეკრულების მიმართ, რომელიც გრძელდება, სულ ცოტა, სამ თვეს და რომლის საგანია გაცვლითი მოსწავლის მასპინძელ ოჯახში ცხოვრება სხვა სახელმწიფოში (მიმღები ქვეყანა) და დაკავშირებულია სკოლაში გაკვეთილებზე რეგულარულ დასწრებასთან, მოქმედებს ქვემოთ მოცემული ნორმები. იმ ტურისტული ხელშეკრულების მიმართ, რომლის საგანია სასწავლო მიზნით მცირე ხნით ცხოვრება (პირველი წინადადება) ან დაკავშირებულია მიმღები ქვეყნის მასპინძელ ოჯახში პრაქტიკული მეცადინეობებზე რეგულარულ დასწრებასთან, ეს ნორმები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეთანხმებულია.

(2) მოგზაურობის ორგანიზატორი ვალდებულია:

1. გაცვლითი მოსწავლის თანამონაწილეობითა და მიმღები ქვეყნის პირობების მიხედვით იზრუნოს მოსწავლის განთავსებაზე, ზედამხედველობასა და მოვლაზე მასპინძელ ოჯახში; და
2. შექმნას პირობები მიმღებ ქვეყნაში გაცვლითი მოსწავლის სკოლაში რეგულარული დასწრებისათვის.

(3) თუ მოგზაურობის დაწყებამდე ტურისტი უარს ამბობს ხელშეკრულებაზე, მაშინ § 651ი-ს მე-2 ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები და მე-2 ნაწილი არ გამოიყენება, თუ მოგზაურობის ორგანიზატორი ყველა შემთხვევაში მოგზაურობის დაწყებამდე, სულ ცოტა, ორი კვირით ადრე არ შეატყობინებს მას:

1. გაცვლითი მოსწავლის ჩამოსვლისას მიმღებად განწესებული მასპინძელი ოჯახის გვარსა და მისამართს;
2. მიმღებ ქვეყანაში საკონტაქტო პირის გვარსა და დაკავშირების საშუალებას, რომლისგანაც შეიძლება ასევე დახმარების გაწევის თხოვნა, და სათანადოდ მოამზადებს მას საცხოვრებლად.

(4) ტურისტს შეუძლია ნებისმიერ დროს, მოგზაურობის დასრულებამდე, შეწყვიტოს ხელშეკრულება. თუ ტურისტი წყვეტს ხელშეკრულებას, მაშინ მოგზაურობის ორგანიზატორი უფლებამოსილია, მოითხოვოს შეთანხმებული ტურისტული მომსახურების საზღაური დაზოგილი ხარჯების გამოკლებით. მოგზაურობის ორგანიზატორი ვალდებულია, მიიღოს ზომები, რომლებიც აუცილებელია ხელშეკრულების შეწყვიტის გამო, მათ შორის, გაცვლითი მოსწავლის უკან დაბრუნება, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებდა მის უკან დაბრუნებას. დამატებითი ხარჯები ეკისრება ტურისტს. ზემოთ მითითებული წინადადებები არ მოქმედებს, თუ ტურისტს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა § 651ე-ს ან § 651კ-ს თანახმად.

§ 651ნ. განსხვავებული შეთანხმებები

მე-2 წინადადების გათვალისწინებით, §§ 651ა-651მ-ს ტურისტისთვის საზიანო განსხვავებული შეთანხმება დაუშვებელია. § 651ზ-ს მე-2 ნაწილში განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის მოქმედება შეიძლება შემსუბუქდეს, თუმცა, არა უადრეს მოგზაურობის ორგანიზატორის მიერ მოგზაურობის ხარვეზის შესახებ შეტყობინების მიღების მომენტისა, თუ შეთანხმების შედეგად ხანდაზმულობის ვადა მცირდება ერთ წელზე ნაკლებ ვადამდე § 651ზ-ს მე-2 ნაწილში განსაზღვრული მომენტიდან.

კარი 10. სამაკლერო ხელშეკრულება

ქვეკარი 1. ზოგადი ნორმები

§ 652. გასამრჯელოს მოთხოვნის წარმოშობა

(1) პირი, რომელიც კისრულობს საშუამავლო გასამრჯელოს გადახდას ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის მითითების ან ხელშეკრულების დასადებად გაწეული შუამავლობისათვის, ვალდებულია, გადაიხადოს გასამრჯელო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება იდება მითითების ან მაკლერის შუამავლობის შედეგად. თუ ხელშეკრულება იდება გადადების პირობით, მაშინ საშუამავლო გასამრჯელო შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგ.

(2) ხარჯები მაკლერს აუნაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეთანხმებულია. ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება არ იდება.

§ 653. საშუამავლო გასამრჯელო

(1) საშუამავლო გასამრჯელო ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ მაკლერზე დაკისრებული მომსახურება გარემოებათა მიხედვით მხოლოდ გასამრჯელოთი არის მოსალოდნელი.

(2) თუ გასამრჯელოს ოდენობა განსაზღვრული არ არის, მაშინ ნიხრის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სანიხრო გასამრჯელო, ხოლო ნიხრის არარსებობისას – ჩვეულებრივი გასამრჯელო.

§ 654. საშუამავლო გასამრჯელოს მოთხოვნის უფლების დაკარგვა

საშუამავლო გასამრჯელოსა და ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ მაკლერი ხელშეკრულების პირობების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა ასევე მეორე მხარის სასარგებლოდ.

§ 655. საშუამავლო გასამრჯელოს შემცირება

თუ მომსახურების ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის მითითების ან ამ ხელშეკრულების დასადებად გაწეული შუამავლობისათვის შეთანხმებულია შეუსაბამოდ მაღალი გასამრჯელო, მაშინ იგი მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება შემცირდეს სათანადო თანხამდე. გასამრჯელოს გადახდის შემდეგ თანხის შემცირება გამორიცულია.

ქვეკარი 2. სესხის მიღებაზე მეწარმესა და მომხმარებელს შორის შუამავლობის ხელშეკრულება

§ 655ა. სესხის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულება

იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლითაც მეწარმე საზღაურის სანაცვლოდ თანხმდება მომხმარებლისათვის სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების შუამავლობას ან მისთვის სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის მითითებას, მე-2 წინადადების გათვალისწინებით მოქმედებს ქვემოთ მოცემული ნორმები. ეს წესი არ მოქმედებს § 491-ის მე-2 ნაწილში განსაზღვრულ ფარგლებში.

§ 655ბ. წერილობითი ფორმა

(1) **სესხ**ის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების პირობით, ხელშეკრულებაში, კერძოდ, უნდა მიეთითოს სასესხო მაკლერის გასამრჯელო სესხის თანხასთან პროცენტული შეფარდებით; თუ სასესხო მაკლერმა გასამრჯელო შეათანხმა, აგრეთვე, მეწარმესთან, მაშინ ეს გასამრჯელოც უნდა იქნეს მითითებული. ხელშეკრულება არ შეიძლება იყოს სესხის გაცემაზე შეთავაზებასთან კავშირში. სასესხო მაკლერმა ტექსტური ფორმით უნდა შეატყობინოს მომხმარებელს ხელშეკრულების შინაარსი.
(2) სესხის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულება, რომელიც არ აკმაყოფილებს პირველი ნაწილის პირველი-მე-3 წინადადებების მოთხოვნებს, ბათილია.

§ 655გ. გასამრჯელო

მომხმარებელი ვალდებულია, გადაიხადოს გასამრჯელო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შუამავლობის ან სასესხო მაკლერის მიერ სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის მითითების შედეგად მომხმარებელზე სესხი გაიცა და ამ უკანასკნელის მიერ, § 355-ის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმა აღარ არის შესაძლებელი. თუ იმდენად, რამდენადაც ეს სასესხო მაკლერისთვის ცნობილი იყო, სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება განკუთვნილია სხვა სესხის ვადამდე დასაფარავად (ვალის რესტრუქტურიზაცია), გასამრჯელოს მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეფექტური ან საწყისი ეფექტური წლიური პროცენტი არ იზრდება; დასაფარავი სესხის ეფექტური ან საწყისი ეფექტური წლიური პროცენტის გაანგარიშებისას შესაძლო შუამავლობის ხარჯები მხედველობაში არ მიიღება.

§ 655დ. დამატებითი გასამრჯელო

გარდა § 655გ-ს პირველი წინადადებით გათვალისწინებული გასამრჯელოსი, სასესხო მაკლერს არ შეუძლია იმ მომსახურებისათვის საზღაურის შეთანხმება, რომელიც დაკავშირებულია სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების შუამავლობასთან ან სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის მითითებასთან, თუმცა, შეიძლება შეთანხმებულ იქნეს სასესხო მაკლერის მიერ გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება.

§ 655ე. განსხვავებული შეთანხმებები, გამოყენება დამწყები მეწარმის მიმართ

(1) დაუშვებელია წინამდებარე ქვეკარის ნორმებისაგან განსხვავებული რეგულირება მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ. წინამდებარე ქვეკარის ნორმები მოქმედებს ასევე იმ შემთხვევებშიც, როდესაც მათ უვლიან გვერდს სხვაგვარი გაფორმებით.
(2) წინამდებარე ქვეკარი მოქმედებს ასევე სესხის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულების მიმართ მეწარმესა და, § 507-ის გაგებით, დამწყებ მეწარმეს შორის.

ქვეკარი 3. დაქორწინების მიზნით შუამავლობის ხელშეკრულება

§ 656. დაქორწინების მიზნით შუამავლობის ხელშეკრულება

(1) დაქორწინების შესაძლებლობის მითითების ან დაქორწინების მიზნით გაწეული შუამავლობისათვის გასამრჯელოს გადახდის შეპირება ვალდებულებას არ წარმო-

შობს. შეპირების საფუძველზე შესრულება არ შეიძლება უკან იქნეს მოთხოვნილი იმის გამო, რომ არ არსებობდა ვალდებულება.
(2) აღნიშნული ნორმები მოქმედებს, აგრეთვე, იმ შეთანხმების მიმართ, რომლითაც ხელშეკრულების მეორე მხარემ, შეპირების შესრულების მიზნით, მაკლერის წინაშე იკისრა ვალდებულება, მათ შორის, ვალი აღიარა.

კარი 11. ჯილდოს საჯაროდ დაპირება

§ 657. მბოჭავი შეპირება

პირი, რომელიც საჯარო განცხადებით აწესებს ჯილდოს გარკვეული მოქმედების შესრულებისათვის, მათ შორის, შედეგის მისაღწევად, ვალდებულია, გადაუხადოს ჯილდო იმ პირს, რომელმაც შეასრულა მოქმედება მაშინაც კი, როდესაც ეს პირი არ მოქმედებდა ჯილდოს დაპირების გამო.

§ 658. ჯილდოს საჯაროდ დაპირების გაუქმება

(1) ჯილდოს საჯაროდ დაპირება შეიძლება გაუქმდეს მოქმედების შესრულებამდე. გაუქმება სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ცნობილი გახდება იმავე საშუალებით, რითაც მოხდა ჯილდოს საჯაროდ დაპირება, ან თუ იგი ხორციელდება სპეციალური შეტყობინებით.
(2) ჯილდოს საჯაროდ დაპირებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გაუქმებაზე უარი; დავის შემთხვევაში უარად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოქმედების განხორციელებისათვის ვადის დადგენა.

§ 659. მოქმედების რამდენჯერმე შესრულება

(1) თუ მოქმედება, რომლისთვისაც შეპირებულია ჯილდო, შესრულდა რამდენჯერმე, მაშინ ჯილდო ეკუთვნის იმას, ვინც პირველმა შეასრულა ეს მოქმედება.
(2) თუ მოქმედება ერთდროულად შესრულდა რამდენიმე პირის მიერ, მაშინ თითოეული შემსრულებელი დაჯილდოვდება თანაბარწილად. თუ ჯილდო თავისი თვისებების გამო არ შეიძლება გაიყოს, ან, საჯარო დაპირების შინაარსის მიხედვით, იგი მხოლოდ ერთმა უნდა მიიღოს, მაშინ საკითხი წყდება წილისყრით.

§ 660. რამდენიმე პირის თანამონაწილეობა

(1) თუ რამდენიმე პირი იღვწოდა იმ შედეგის მისაღწევად, რომლისთვისაც დაწესებულია ჯილდო, მაშინ ჯილდოს შემპირებელმა მათ შორის ჯილდო უნდა გაანაწილოს სამართლიანი შეფასებით შედეგის მიღწევაში თითოეულის მონაწილეობის გათვალისწინებით. განაწილება სავალდებულო არ არის, თუ იგი აშკარად უსამართლოა; ასეთ შემთხვევაში იგი წყდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.
(2) თუ ჯილდოს შემპირებლის განაწილება ერთ-ერთი მონაწილის მიერ არ იქნება აღიარებული როგორც მბოჭავი, მაშინ ჯილდოს შემპირებელი უფლებამოსილია, უარი თქვას შესრულებაზე მანამდე, სანამ მონაწილეები არ გადაწყვეტენ ერთმანეთს შორის დავას უფლებამოსილებათა შესახებ; თითოეულს მათ შორის შეუძლია მოითხოვოს ჯილდოს ყველასთვის დეპოზიტზე შეტანა.
(3) გამოიყენება § 659-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა.

§ 661. კონკურსი
(1) ჯილდოს საჯაროდ დაპირება, რომლის საგანია კონკურსი პრიზის მოსაპოვებლად, ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჯარო განცხადებაში მითითებულია განაცხადის წარდგენის ვადა.
(2) გადაწყვეტილება იმის თაობაზე, შეესაბამება თუ არა ვადაში წარდგენილი განაცხადი ჯილდოს საჯაროდ დაპირების მოთხოვნებს, ან რამდენიმე განაცხადიდან რომელს ენიჭება უპირატესობა, მიიღება ჯილდოს საჯაროდ დაპირების განცხადებაში მითითებული პირის მიერ, ხოლო ამ უკანასკნელის არარსებობისას – ჯილდოს საჯაროდ დამპირებლის მიერ. გადაწყვეტილება მონაწილეთათვის სავალდებულოა.
(3) თანაბარი ღირებულების მქონე განაცხადების შემთხვევაში, პრიზის გადაცემის მიმართ გამოიყენება § 659-ის მე-2 ნაწილის ნორმები.
(4) ნაკეთობაზე საკუთრების უფლების გადაცემა ჯილდოს საჯაროდ დამპირებლის მიერ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ჯილდოს საჯაროდ დაპირებაში განსაზღვრა, რომ საკუთრების უფლების გადაცემა უნდა განხორციელდეს.

§ 661ა. მოგების დაპირებები (Gewinnzusagen)
მეწარმემ, რომელიც მომხმარებელს უგზავნის მოგების დაპირებებს ან თანაბარმნიშვნელოვან შეტყობინებას და ამ დაპირებებით ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მომხმარებელმა მოიგო პრიზი, უნდა გადასცეს პრიზი მომხმარებელს.

კარი 12. დავალება და სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულება

ქვეკარი 1. დავალება

§ 662. დავალების ხელშეკრულების ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები
დავალების მიღებით რწმუნებული კისრულობს ვალდებულებას, აწარმოოს უსასყიდლოდ მარწმუნებლის მიერ მისთვის მიცემული საქმე.

§ 663. დავალების მიღებაზე უარის შემთხვევაში შეტყობინების ვალდებულება
პირი, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად, ან რომელმაც საჯაროდ გამოხატა მზადყოფნა ამისათვის, თუ იგი ამ საქმიანობის განსახორციელებლად არ იღებს დავალებას, ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მარწმუნებელს უარის თაობაზე. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ მარწმუნებლის წინაშე გამოხატა განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისათვის მზადყოფნა.

§ 664. დავალების შესრულების მოთხოვნის უფლების გადაცემის დაუშვებლობა; პასუხისმგებლობა დამხმარე პირის მოქმედებისათვის
(1) დავის შემთხვევაში რწმუნებულს არ შეუძლია გადასცეს დავალების შესრულება მესამე პირს. თუ გადაცემა ნებადართულია, მაშინ იგი პასუხს აგებს მხოლოდ გადაცემასთან დაკავშირებული ბრალისათვის. დამხმარე პირის ბრალისათვის იგი პასუხისმგებელია § 278-ის თანახმად.

(2) დავის შემთხვევაში მიიჩნევა, რომ დავალების შესრულების მოთხოვნის უფლება არ ექვემდებარება გადაცემას.

§ 665. მარწმუნებლის მითითებიდან გადახვევა
რწმუნებული უფლებამოსილია, გადაუხვიოს მარწმუნებლის მითითებებს, თუ, გარემოებებიდან გამომდინარე, მას შეუძლია ივარაუდოს, რომ მარწმუნებელი საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში მოიწონებდა ასეთ გადახვევას. რწმუნებულმა მითითებებისაგან გადახვევამდე უნდა შეატყობინოს მარწმუნებელს და დაელოდოს მის გადაწყვეტილებას, თუ დაყოვნება არ არის დაკავშირებული საფრთხესთან.

§ 666. ინფორმაციის მიწოდებისა და ანგარიშის წარდგენის ვალდებულება
რწმუნებული ვალდებულია, მიაწოდოს მარწმუნებელს აუცილებელი ინფორმაცია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს ინფორმაცია საქმის ვითარების შესახებ და დავალების შესრულების შემდეგ წარუდგინოს მას ანგარიში.

§ 667. მიღებულის დაბრუნების ვალდებულება
რწმუნებული ვალდებულია, დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი ის, რასაც იგი იღებს დავალების შესასრულებლად და რასაც იგი შეიძენს საქმის წარმოებიდან გამომდინარე.

§ 668. პროცენტი გამოყენებული ფულადი სახსრებისათვის
თუ რწმუნებული იყენებს ფულად სახსრებს თავისთვის, რომლებიც მას უნდა დაებრუნებინა მარწმუნებლისათვის, ან გამოეყენებინა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, რწმუნებული ვალდებულია, ფულადი სახსრების გამოყენების დროისათვის იხადოს პროცენტი.

§ 669. წინასწარ გადახდის ვალდებულება
დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯებისათვის მოთხოვნის შემთხვევაში მარწმუნებელმა რწმუნებულს უნდა მისცეს ავანსი.

§ 670. ხარჯების ანაზღაურება
თუ რწმუნებული, დავალების შესრულების მიზნით, სწევს ისეთ ხარჯებს, რომლებსაც, გარემოებებიდან გამომდინარე, იგი აუცილებლად მიიჩნევს, მაშინ მარწმუნებელი ვალდებულია, აანაზღაუროს ასეთი ხარჯები.

§ 671. დავალების გაუქმება; ხელშეკრულების შეწყვეტა
(1) დავალება შეიძლება გაუქმდეს მარწმუნებლის მიერ ნებისმიერ დროს და ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს რწმუნებულის მიერ ნებისმიერ დროს.
(2) რწმუნებულს შეუძლია ხელშეკრულების მხოლოდ ისე შეწყვეტა, რომ მარწმუნებელს შეეძლოს სხვაგვარი ზომების მიღება დავალების შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ვადამდე შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძველი. თუ იგი ვადამდე წყვეტს ხელშეკრულებას ასეთი საფუძვლის გარეშე, მაშინ მან უნდა აუნაზღაუროს მარწმუნებელს ამით მიყენებული ზიანი.
(3) თუ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი, მაშინ რწმუნებული უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტაზე მაშინაც კი, როდესაც მან უარი თქვა ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებაზე.

§ 672. მარწმუნებლის გარდაცვალება ან ქმედუუნარობა
დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ დავალება არ უქმდება მარწმუნებლის გარდაცვალების ან ქმედუუნარობის დადგომის გამო. თუ დავალება უქმდება, მაშინ, როცა დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხესთან, რწმუნებულმა უნდა გააგრძელოს მისთვის გადაცემული დავალების შესრულება მანამდე, სანამ მემკვიდრე ან მარწმუნებლის კანონიერი წარმომადგენელი არ შეძლებს სხვაგვარი აუცილებელი ზომების მიღებას; ამ ფარგლებში დავალება ითვლება გაგრძელებულად.

§ 673. რწმუნებულის გარდაცვალება
დავის შემთხვევაში ივარაუდება, რომ დავალება უქმდება რწმუნებულის გარდაცვალებით. თუ დავალება უქმდება, მაშინ რწმუნებულის მემკვიდრემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მარწმუნებელს გარდაცვალების შესახებ და თუ დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხესთან, უნდა გააგრძელოს მისთვის გადაცემული დავალების შესრულება მანამდე, სანამ მარწმუნებელი არ შეძლებს სხვაგვარი აუცილებელი ზომების მიღებას; ამ ფარგლებში დავალება ითვლება გაგრძელებულად.

§ 674. დავალების არსებობის გაგრძელების ფიქცია
თუ დავალება უქმდება სხვაგვარად, ვიდრე მასზე უარის თქმით, მაშინ რწმუნებულის სასარგებლოდ იგი მაინც ითვლება გაგრძელებულად მანამ, სანამ რწმუნებული არ შეიტყობს გაუქმების შესახებ, ან სანამ მას უნდა შეეტყო ამის თაობაზე.

ქვეკარი 2. სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულება

თავი 1. ზოგადი მიმოხილვა

§ 675. სხვისი საქმეების სასყიდლიანი შესრულება
(1) მომსახურების ან ნარდობის ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა საგანია სხვისი საქმეების სასყიდლიანი შესრულება, შესაბამისად გამოიყენება §§ 663, 665-670, 672-674, თუ წინამდებარე ქვეკარში სხვა რამე არ არის დადგენილი და თუ ვალდებულ პირს აქვს უფლება, შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშე შეწყვიტოს ხელშეკრულება, შესაბამისად გამოიყენება, აგრეთვე, § 671-ის მე-2 ნაწილი.
(2) სახელშეკრულებო ურთიერთობიდან, დელიქტიდან ან სხვა საკანონმდებლო დანაწესიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის შეუზღუდავად პირი, რომელიც სხვა პირს აძლევს რჩევას ან რეკომენდაციას, არ არის ვალდებული, აანაზღაუროს რჩევის ან რეკომენდაციის გათვალისწინების შედეგად წარმოშობილი ზიანი.

§ 675ა. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებები
პირი, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული სხვისი საქმეების შესასრულებლად ან რომელმაც საჯაროდ გამოხატა ამისთვის მზადყოფნა, უსასყიდლოდ წარადგენს ინფორმაციას საზღაურისა და ხარჯების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია საქმის შესრულებასთან სტანდარტული ბიზნესოპერაციების (სტანდარტული ბიზნესოპერაციები) მეშვეობით, როგორ წესი, წერილობითი ფორმით, ხოლო სათანადო შემთხვევებში, ელექტრონული ფორმით, თუ ფასი არ განისაზღვრება § 315-ის მიხედვით ან საზღაური და ხარჯები წესრიგდება კანონის იმპერატიული ნორმებით.

§ 675ბ. ფასიანი ქაღალდების გადაცემის შესახებ დავალება
ფასიანი ქაღალდების გადაცემისა და ანგარიშსწორების სისტემის მონაწილე პირს სისტემის წესებით განსაზღვრული მომენტიდან აღარ შეუძლია იმ დავალების გამოხმობა, რომელიც მიზნად ისახავს ფასიანი ქაღალდების გადაცემას ან მათი გადმოცემის მოთხოვნას, ანგარიშის გატარებით ან სხვა საშუალებით.

ქვეკარი 3. ანგარიშსწორება

თავი 1. ზოგადი დებულებები

§ 675გ. ანგარიშსწორება და ელექტრონული ფული
(1) სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულების მიმართ, რომლის საგანია საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოება, შესაბამისად, გამოიყენება §§ 663, 665-670 და 672-674, რამდენადაც წინამდებარე ქვეკარი სხვაგვარად არ ადგენს.
(2) წინამდებარე ქვეკარის ნორმები გამოიყენება ასევე ელექტრონული ფულის გაცემისა და გამოყენების შესახებ ხელშეკრულების მიმართ.
(3) გამოიყენება საკრედიტო სისტემის შესახებ კანონითა და საანგარიშსწორებო ოპერაციების კონტროლის შესახებ კანონით დადგენილი ცნებები.

§ 675დ. ინფორმირება ანგარიშსწორებისას
(1) გადახდის განმახორციელებლებმა ანგარიშსწორებისას უნდა შეატყობინონ გადახდის მომხმარებელს სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის §§ 1-16-ში მითითებული გარემოებების შესახებ ამავე პარაგრაფებში გათვალისწინებული ფორმით. ეს წესი არ მოქმედებს ევროპული ეკონომიკური სივრცის ფარგლებს გარეთ მყოფი სახელმწიფოს ვალუტაში საანგარიშსწორებო ოპერაციების მიმართ ან იმ საანგარიშსწორებო ოპერაციების მიმართ, რომელთა შემთხვევაშიც გადამხდელის ან გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელი მომსახურების გაწევა ხდება ევროპული ეკონომიკური სივრცის ფარგლებს გარეთაც.
(2) თუ სათანადო ინფორმირების საკითხი სადავოა, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება გადახდის განმახორციელებელს.
(3) ინფორმირებისათვის საზღაურზე გადახდის განმახორციელებელს შეუძლია შეუთანხმდეს გადახდის მომხმარებელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაციის მიწოდება ხდება გადახდის მომხმარებელის მოთხოვნით, ხოლო გადახდის განმახორციელებელი:
1. ახდენს ამ ინფორმაციის მიწოდებას უფრო ხშირად, ვიდრე ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის §§ 1-16-ში;
2. ახდენს ისეთი ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის §§ 1-16-ში; ან
3. ამ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება ანგარიშსწორების ჩარჩო ხელშეკრულებაში შეთანხმებულისაგან განსხვავებული საკომუნიკაციო საშუალებებით.

საზღაური უნდა იყოს სათანადო და გადახდის განმახორციელებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისი.
(4) გადახდის მიმღები და მესამე პირები ინფორმირებას ახდენენ სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის §§ 17-სა და 18-ში განსაზღვრული გარემოებების შესახებ.

§ 675ე. განსხვავებული შეთანხმებები

(1) თუ სხვაგავარად არ არის დადგენილი, წინამდებარე ქვეკარის ნორმებით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული რეგულირება დაუშვებელია გადახდის მომხმარებლის საზიანოდ.

(2) § 675დ-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადების გაგებით, ანგარიშსწორებისათვის § 675რ-ს პირველი და მე-3 ნაწილები, § 675ტ-ს პირველი ნაწილი, § 675უ-ს მე-2 ნაწილი, § 675ყ-ს პირველი ნაწილი და § 675შ-ს პირველი და მე-2 ნაწილები, ისევე როგორც § 675ჩ-ს მე-3 წინადადება არ გამოიყენება; რამდენადაც საანგარიშსწორებო ოპერაციები ხორციელდება ევროპული ეკონომიკური სივრცის ფარგლებს გარეთ მყოფი სახელმწიფოს ვალუტაში, არ გამოიყენება ასევე § 675უ-ს პირველი ნაწილი. თუმცა, § 675დ-ს პირველი ნაწილის მე-2 წინადადების გაგებით, ანგარიშსწორებისათვის წინამდებარე ქვეკარის ნორმებით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული რეგულირება დაშვებულია გადახდის მომხმარებლის საზიანოდ; რამდენადაც ასეთი საანგარიშსწორებო ოპერაციები ხორციელდება ევროში ან ევროპული გაერთიანების წევრის სახელმწიფოს, ანდა ევროპული ეკონომიკური სივრცის შესახებ შეთანხმებით მონაწილე სხვა ხელმომწერი სახელმწიფოს ვალუტაში, ეს წესი არ მოქმედებს § 675უ-ს პირველი ნაწილის პირველი და მე-2 წინადებების, ასევე მე-3 ნაწილის მიმართ.

(3) იმ საანგარიშსწორებო ოპერაციების მიმართ, რომლებიც არ ხორციელდება ევროში, გადახდის მომხმარებელსა და მის გადახდის განმახორციელებელს შეუძლიათ შეთანხმებდენენ, რომ § 675უ-ს პირველი ნაწილის მე-3 წინადადება და მე-3 ნაწილი მთლიანად ან ნაწილობრივ არ იქნეს გამოყენებული.

(4) თუ გადამხდელის შემთხვევაში საქმე არ ეხება მომხმარებელს, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ § 675დ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადება, მე-2-მე-4 ნაწილები, § 675ვ-ს მე-4 ნაწილის მე-2 წინადადება, §§ 675ზ, 675თ, 675კ-ს მე-2 ნაწილი და § 675ჟ, ისევე როგორც §§ 675ქ-676 მთლიანად ან ნაწილობრივ არ იქნეს გამოყენებული; მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ასევე § 675ბ-ში გათვალისწინებულისაგან განსხვავებულ ვადაზე.

თავი 2. ანგარიშსწორების ხელშეკრულება

§ 675ვ. ანგარიშსწორების ხელშეკრულება

(1) ცალკეული გადახდის ხელშეკრულებით გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, განახორციელოს საანგარიშსწორებო ოპერაცია იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც გადახდის განმახორციელებელი მიმართავს როგორც გადამხდელს, გადახდის მიმღებს ან ორივე ამ ნიშან-თვისების მქონეს (გადახდის მომხმარებელი).

(2) გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებით გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, გადახდის მომხმარებლის სასარგებლოდ განახორციელოს ცალკეული და ერთმანეთის მიმდევარი საანგარიშსწორებო ოპერაციები, ასევე შესაბამის შემთხვევებში გადახდის მომხმარებლის სახელით ან რამდენიმე გადახდის მომხმარებლის სახელით მართოს საბანკო ანგარიში. გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულება შეიძლება ასევე იყოს სხვაგვარი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი ან სხვა ხელშეკრულებასთან დაკავშირებული.

(3) საანგარიშსწორებო ოპერაცია არის ფულადი თანხის ნებისმიერი ასიგნაცია, გადარიცხვა ან ანგარიშიდან მოხსნა, მის საფუძვლად არსებულ გადამხდელსა და გა-

დახდის მიმღებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად. გადახდის დავალება არის ნებისმიერი დავალება, რომელსაც გადამხდელი აძლევს გადახდის განმახორციელებელს საანგარიშსწორებო ოპერაციის შესრულების მიზნით უშუალოდ ან გადახდის მიმღების მეშვეობით.
(4) გადახდის მომხმარებელი ვალდებულია, გადახდის მომსახურების გაწევისათვის გადახდის განმახორციელებელს გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური. წინამდებარე ქვეკარის თანახმად, დამატებითი ვალდებულებების შესრულებისათვის გადახდის განმახორციელებელს აქვს საზღაურის მიღების მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დაშვებულია და შეთანხმებულია გადახდის განმახორციელებელსა და გადახდის მომხმარებელს შორის; ეს საზღაური უნდა იყოს სათანადო და გადახდის განმახორციელებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისი.
(5) გადახდის მიმღებსა და მის გადახდის განმახორციელებელს შორის დადებულ გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში არ გამოირიცხება გადახდის მიმღების უფლება, ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის განსაზღვრული ინსტრუმენტის გამოყენებისათვის შესთავაზოს ფასდაკლება.

§ 675ზ. ცვლილება გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში
(1) გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში გადახდის განმახორციელებლის ინიციატივით ცვლილების განხორციელების წინაპირობაა, რომ ამ უკანასკნელმა განზრახული ცვლილება შესთავაზოს გადახდის მომხმარებელს სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის §§ 2-სა და 3-ში გათვალისწინებული ფორმით არაუგვიანეს ორი თვისა შეთავაზების ძალაში შესვლის მომენტამდე.
(2) გადახდის განმხორციელებელსა და გადახდის მომხმარებელს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ, პირველი ნაწილის თანახმად შეთავზებულ ცვლილებაზე თანხმობა ჩაითვალოს მიცემულად, როდესაც ეს უკანასკნელი შეთავაზებული ცვლილების ძალაში შესვლის მომენტამდე არ ატყობინებს გადახდის განმახორციელებელს თავისი უარის შესახებ. ასეთი შეთანხმების შემთხვევაში, გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ შეთავაზებისას გადახდის მომხმარებელს მიუთითოს პასუხის გაუცემლობის შედეგებზე და ხელშეკრულების დამატებითი ხარჯისა და ვადის დადგენის გარეშე შეწყვეტის უფლებაზე.
(3) საპროცენტო განაკვეთებისა თუ ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები პირდაპირ ძალმოსილია წინასწარი შეტყობინების გარეშე, რამდენადაც იგი შეთანხმებულ იქნა გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში და ცვლილებები ეფუძნება მასში შეთანხმებულ ბაზისურ საპროცენტო განაკვეთსა თუ ვალუტის ბაზისურ გაცვლით კურსს. ბაზისური საპროცენტო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც საფუძვლად უდევს საპროცენტო სარგებლის გაანგარიშებას და მომდინარეობს საჯაროდ ხელმისაწვდომი და გადახდების განხორციელების შესახებ ხელშეკრულების ორივე მხარისათვის ხელმისაწვდომი წყაროდან. ვალუტის ბაზისური გაცვლითი კურსი – ვალუტის გაცვლით კურსი, რომელიც საფუძვლად უდევს ვალუტის ნებისმიერ გაცვლას და ხელმისაწვდომი ხდება გადახდის განმახორციელებლისაგან, ან მომდინარეობს საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროდან.
(4) შეთანხმებების საფუძველზე გადახდის მომხმარებლის საზიანოდ, მე-3 ნაწილის თანხმად, გაანგარიშება დაუშვებელია.

§ 675თ. გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულების სტარდატული შეწყვეტა

(1) გადახდის მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულების შეწვეტის ვადის დაცვის გარეშე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს ხელშეკრულება განსაზღვრული ვადითაა დადებული, თუ მხარეები არ შეთანხმებულან ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის დაცვის შესახებ. ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ თვეზე მეტი ვადის დაცვის შესახებ შეთანხმება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

(2) გადახდის განმახორციელებელს შეუძლია გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადითაა დადებული და მხარეთა შორის შეთანხმებულია ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა არ უნდა იყოს ორ თვეზე ნაკლები. ხელშეკრულების შეწყვეტა განცხადებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის §§ 2-სა და 3-ში გათვალისწინებული ფორმით.

(3) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, საზღაური გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ პროპორციულად ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტამდე. ავანსის სახით გადახდილი საზღაური, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ პერიოდს, გადახდილ უნდა იქნეს პროპორციულად.

§ 675ი. მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტებისა და ელექტრონული ფულის მიმართ არსებული გამონაკლისები

(1) გადახდების განხორციელების შესახებ ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტის გადაცემა. მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტია:

1. რომლითაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ცალკეული საანგარიშსწორებო ოპერაციები 30 ევრომდე ზღვრული თანხის ფარგლებში;
2. რომლის გასავლის ზღვრული თანხა შეადგენს 150 ევროს;
3. რომლითაც ხდება ისეთი ფულადი თანხების შენახვა, რომლებიც არც ერთ შემთხვევაში არ აღემატება 150 ევროს.

№№ 2-სა და 3-ში გათვალისწინებულ შემთხვევებში ზღვრული თანხა იზრდება 200 ევრომდე, თუ მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული საანგარიშსწორებო ოპერაციების მიმართ.

(2) პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ:

1. გადახდის განმახორციელებელმა არ უნდა მოახდინოს § 675ზ-ს პირველი ნაწილით გათვალისწინებული ფორმით ხელშეკრულების პირობების ცვლილებების შესახებ შეთავზების წარდგენა;
2. § 675ი-ს მე-2 წინადადებით, § 675ნ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადების 1№№ 3, 4, მე-2 წინადადება და § 675ქ მე-3 ნაწილი არ გამოიყენება, როდესაც დაუშვებელია მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტის ბლოკირება ან შემდგომი გამოყენების ხელშეშლა.
3. §§ 675ფ, 675ქ-ს პირველი და მე-2 ნაწილები, 675ღ და 676 არ გამოიყენება, როდესაც დაუშვებელია მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტის მიკუთვნება გადახდის მომხმარებლისთვის ან გადახდის განმახორციელებელს იმ საფუძვ-

ლებიდან გამომდინარე, რომლებიც დაკავშირებულია თავად მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტთან, არ შეუძლია იმის მტკიცება, რომ საანგარიშსწორებო ოპერაცია ავტორიზებული იყო;

4. § 675პ-საგან განსხვავებით გადახდის განმახორციელებელი არ არის ვალდებული, გადახდის მომხმარებელს შეატყობინოს გადახდის დავალებაზე უარის შესახებ, როდესაც გადახდის განუხორციელებლობა გამომდინარეობს შესაბამისი გარემოებებიდან;
5. § 675ჟ-საგან განსხვავებით გადამხდელს არ შეუძლია გადახდის დავალებაზე უარის თქმა დავალების მიცემის შემდეგ ან იმის შემდეგ, როდესაც მან გადახდის მიმღებს შეატყობინა გადახდის დავალებაზე თავისი თანხმობის შესახებ; ანდა
6. მოქმედებს სხვა ვადები, ვიდრე § 675ტ-შია განსაზღვრული დავალების შესასრულებლად.

(3) §§ 675ფ და 675ქ არ გამოიყენება ელექტრონული ფულის მიმართ, როდესაც გადახდის განმახორციელებელს არა აქვს შესაძლებლობა, დაბლოკოს საანგარიშსწორებო ანგარიში ან მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტი. პირველი წინადადება მოქმედებს მხოლოდ მაქსიმუმ 200 ევრომდე თანხით საანგარიშსწორებო ანგარიშისა თუ მცირე თანხების გადახდის ინსტრუმენტების მიმართ.

თავი 3. ანგარიშსწორების მომსახურების გაწევა და მომსახურებით სარგებლობა

ქვეთავი 1. საანგარიშსწორებო ოპერაციების ავტორიზაცია; ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტები

§ 675კ. თანხმობის მიცემა და მისი გამოთხოვა

(1) საანგარიშსწორებო ოპერაცია გადამხდელის მიმართ ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი მას დაეთანხმება (ავტორიზაცია). თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს წინასწარი თანხმობის სახით, ან თუ მანამდე მოხდა შეთანხმება გადამხდელსა და მის გადახდის განმახორციელებელს შორის, მოწონების სახით. თანხმობის სახე და ხერხი უნდა შეთანხმდეს გადამხდელსა და მის გადახდის განმახორციელებელს შორის. კერძოდ, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ თანხმობა მიცემულ იქნეს განსაზღვრული ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის მეშვეობით.

(2) თანხმობა შეიძლება გამოთხოვილ იქნეს გადახდის განმახორციელებლის წინაშე გაკეთებული განცხადებით იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია გადახდის დავალების გაუქმება (§ 675ჟ). ასევე შესაძლებელია რამდენიმე საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის გამოთხოვა იმ შედეგით, რომ ნებისმიერი შემდგომი საანგარიშსწორებო ოპერაცია ავტორიზებული აღარ იქნება.

§ 675ლ. ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტების გამოყენების შეზღუდვა

(1) იმ შემთხვევებში, რომლებშიც თანხმობის მიცემა ხდება ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის მეშვეობით, გადამხდელსა და გადახდის

განმახორციელებელს შეუძლიათ ამ ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის გამოყენებისათვის შეთანხმდნენ თანხის ზედა ზღვარზე.
(2) გადამხდელსა და გადახდის განმახორციელებელს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის ბლოკირების უფლება, როდესაც:
1. აღნიშნულს ამართლებს ობიექტური საფუძვლები ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის სანდოობასთან დაკავშირებით;
2. არსებობს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის არაავტორიზებული ან თაღლითური გამოყენების ეჭვი; ან
3. ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის შემთხვევაში, კრედიტის გაცემასთან დაკავშირებულია მნიშვნელოვანი რისკი იმისა, რომ გადამხდელი ვერ შეძლებს ნაკისრი გადახდის ვალდებულების შესრულებას.

ამ შემთხვევაში გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, შეძლებისთანავე, – თუმცა, ყველაზე გვიან დაუყოვნებლივ ბლოკირების შემდეგ, – ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის ბლოკირების შესახებ შეატყობინოს გადამხდელს. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ბლოკირების საფუძვლები. საფუძვლები შეიძლება არ მიეთითოს, თუ გადახდის განმახორციელებელი ამით დაარღვევდა კანონით დადგენილ ვალდებულებებს. გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, მოხსნას ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის ბლოკირება, ან ეს უკანასკნელი შეცვალოს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ახალი ინსტრუმენტით, როდესაც ბლოკირების საფუძვლები აღარ არსებობს. განხორციელებული გადახდის მომხმარებელს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ბლოკირების მოხსნის შესახებ.

§ 675მ. გადამხდელის ვალდებულებები ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით

გადამხდელი ვალდებულია, ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის მიღებისთანავე უშუალოდ მიიღოს უსაფრთხოების ყველა სათანადო ზომა, რათა დაიცვას პერსონალიზებული უსაფრთხოების ნიშნები არასანქცირებული წვდომისაგან. მან გადახდის განმახორციელებელს – ან ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ ერთ-ერთ ადგილზე – დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო გამოყენების ან სხვა არაავტორიზებული გამოყენების შესახებ მას შემდეგ, როცა იგი შეიტყობს ამ ფაქტების შესახებ.

§ 675ნ. გადახდის განმახორციელებლის ვალდებულებები ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტებთან დაკავშირებით; გაგზავნის რისკი.

(1) გადახდის განმახორციელებელი, რომელიც გასცემს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტს, ვალდებულია:
1. § 675მ-ის შესაბამისად გადახდის მომხმარებლის ვალდებულებების მიუხედავად, უზრუნველყოს, რომ ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის პერსონალიზებული უსაფრთხოების ნიშნები ხელმისაწვდომი იყოს გამოსაყენებლად მხოლოდ უფლებამოსილი პირისათვის;
2. თავი შეიკავოს გადახდის მომხმარებლისათვის ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტების საკუთარი ინიციატივით გაგზავნისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უნდა შეიცვალოს გადახდის მომხმარებლი-

სათვის უკვე გაცემული ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტი;

3. უზრუნველყოს, რომ გადახდის მომხმარებელს ნებისმიერ დროს ჰქონდეს შესაძლებლობა, სათადო საშუალებებით წარადგინოს § 675მ-ს მე-2 წინადადებით გათვალისწინებული შეტყობინება, ან მოითხოვოს ბლოკირების გაუქმება § 675ლ-ს მე-2 ნაწილის მე-5 წინადადების შესაბამისად; და
4. თავიდან აიცილოს ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტით ნებისმიერი ფორმით სარგებლობა, როგორც კი მოხდება § 675მ-ს მე-2 წინადადებით გათვალისწინებული შეტყობინების წარდგენა.

თუ გადახდის მომხმარებელმა წარადგინა ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო გამოყენების ან სხვა არაავტორიზებული გამოყენების შესახებ შეტყობინება, გადახდის განმახორციელებელი ამ შეტყობინების წარდგენის შემდეგ, სულ ცოტა, 18 თვით ადრე გაკეთებული მომართვის საფუძველზე აძლევს მას ისეთ საშუალებებს, რომლებითაც გადახდის მომხმარებელს შეუძლია შეტყობინების წარდგენის ფაქტის მტკიცება.

(2) გადამხდელისათვის ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტისა და ამ ინსტრუმენტის პერსონალიზებული უსაფრთხოების ნიშნების გაგზავნის რისკი ეკისრება გადახდის განმახორციელებელს.

ქვეთავი 2. საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელება

§ 675ო. გადახდის დავალებების ჩაბარება

(1) გადახდის დავალება ძალმოსილია, როდესაც ის გადამხდელისაგან გადახდის განმახორციელებელს მიუვა. თუ ჩაბარების მომენტი არ ემთხვევა გადამხდელის გადახდის განმახორციელებლის სამუშაო დღეს, მაშინ გადახდის დავალება მიღებულად ითვლება მომდევნო სამუშაო დღეს. გადახდის განმახორციელებელს შეუძლია განსაზღვროს, რომ ის გადახდის დავალებები, რომლებიც განსაზღვრული მომენტის შემდეგ ბარდება სამუშაო დღის ბოლოსათვის, § 675ტ-ს პირველი ნაწილის მიზნებისათვის მიღებულად ითვლება მომდევნო სამუშაო დღეს. სამუშაო დღე არის ყოველი დღე, რომელშიც საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელებაში მონაწილე გადახდის განმახორციელებელი უზრუნველყოფს საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელებისათვის აუცილებელი პროცედურის დაცვას.

(2) თუ გადახდის მომხმარებელი, რომელიც იწყებს საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელებას, ან ვის გამოც ხდება საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელების დაწყება, და მომხმარებლის გადახდის განმახორციელებელი თანხმდებიან იმაზე, რომ გადახდის დავალების შესრულება უნდა დაიწყოს განსაზღვრულ დღეს ან განსაზღვრული დროის პერიოდის დასრულებისთანავე, ანდა იმ დღეს, როდესაც გადამხდელმა გადახდის განმახორციელებელს გადასცა გადახდის დავალების შესრულებისათვის აუცილებელი ფულადი თანხა, მაშინ მოქმედებს შეთანხმებული ვადა, რომელიც § 675ტ-ს პირველი ნაწილის მიზნებისათვის ჩაითვლება გადახდის დავალების ჩაბარების მომენტად. თუ შეთანხმებული ვადა არ ემთხვევა გადამხდელის გადახდის განმახორციელებლის სამუშაო დღეს, მაშინ § 675ტ-ს პირველი ნაწილის მიზნებისათვის გადახდის დავალება მიღებულად ითვლება მომდევნო სამუშაო დღეს.

§ 675პ. გადახდის დავალებების გაუქმება

(1) თუ გადახდის განმახორციელებელი აუქმებს გადახდის დავალებას, მაშინ ის ვალდებულია, დაუყოვნებლივ, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში არაუგვიანეს § 675ტ-ს პირველ ნაწილში გათვალისწინებული ვადებისა, ამის შესახებ შეატყობინოს გადახდის მომხმარებელს. რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეტყობინებაში უნდა მიეთითოს გაუქმების საფუძვლები, ისევე როგორც ის შესაძლო ვარიანტები, თუ როგორ შეიძლება გამოსწორდეს გადახდის დავალების გაუქმების გამომწვევი შეცდომები. საფუძვლების მითითება აუცილებელი არ არის, რამდენადაც ეს დაარღვევდა სხვა სამართლებრივ ნორმებს. გადახდის განმახორციელებელს გადახდის მომხმარებელთან დადებული გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში შეუძლია გადახდის დავალების მართლზომიერი გაუქმების შესახებ შეტყობინებისათვის შეთანხმდეს სასყიდლის თაობაზე.

(2) გადამხდელის გადახდის განმახორციელებელი არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს ავტორიზებული გადახდის დავალება, როდესაც სრულდება გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებით დადგენილი გადახდის დავალების შესრულების პირობები და გადახდის დავალების შესრულება არ არღვევს სხვა სამართლებრივ ნორმებს.

(3) §§ 675ტ, 675შ, და 675-ის მიზნებისათვის ჩაბარებულად არ ითვლება გადახდის დავალება, რომლის შესრულებაზეც მართლზომიერად ითქვა უარი.

§ 675ჟ. გადახდის დავალების გამოთხოვის დაუშვებლობა

(1) მე-2-მე-4 ნაწილებში მოცემული პირობების გათვალისწინებით გადახდის მომხმარებელს აღარ შეუძლია გადახდის დავალების გამოთხოვა ამ უკანასკნელის გადამხდელის გადახდის განმახორციელებლის მიერ მიღების შემდეგ.

(2) თუ საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელება იწყება გადახდის მიმღებისაგან ან ამ უკანასკნელის გამო, მაშინ გადამხდელს აღარ შეუძლია დავალების გამოთხოვა იმის შემდეგ, რაც ის გადახდის დავალების ან საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ შეატყობინებს გადახდის მიმღებს. თუმცა, ანგარიშის დებეტში ჩანაწერის შემთხვევაში, გადამხდელს შეუძლია, § 675ყ-ით გათვალისწინებული კუთვნილი უფლებების დარღვევის გარეშე, გააუქმოს გადახდის დავალება შეთანხმებული ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე სამუშაო დღის ბოლომდე.

(3) თუ გადახდის მომხმარებელსა და გადახდის განმახორციელებელს შორის გადახდის დავალების შესრულებისათვის შეთანხმებულია განსაზღვრული ვადა (§ 675ო-ს მე-2 ნაწილი), მაშინ გადახდის მომხმარებელს შეუძლია გააუქმოს გადახდის დავალება შეთანხმებულ დღემდე სამუშაო დღის ბოლომდე.

(4) პირველ-მე-3 ნაწილებში მითითებული თარიღების შემდეგ გადახდის დავალება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადახდის მომხმარებელი და გადახდის განმახორციელებელი ამაზე შეთანხმდებიან. მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადახდის დავალების გაუქმებისათვის დამატებით საჭიროა გადახდის მიმღების თანხმობა. გადახდის განმახორციელებელს გადახდის მომხმარებელთან დადებულ გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში ამ გაუქმების დამუშავებისათვის შეუძლია შეთანხმდეს სასყიდლის თაობაზე.

(5) გადახდების სისტემის მონაწილეს აღარ შეუძლია დავალების გაუქმება სხვა მონაწილის სასარგებლოდ გადახდების სისტემის წესებით გათვალისწინებული თარიღის შემდეგ.

§ 675რ. საზღაურის გადახდა საანგარიშსწორებო ოპერაციების შემთხვევაში

(1) გადამხდელის გადახდის განმახორციელებელი, ასევე საანგარიშსწორებო ოპერაციის სხვა შუალედური რგოლები ვალდებული არიან, ის თანხა, რომელიც საანგარიშსწორებო ოპერაციის საგანია (გადასახდელი თანხა), სრულად გადასცენ გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელს.

(2) გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელს შეუძლია თანხის კრედიტში ასახვამდე დააკავოს გადასარიცხი თანხიდან მისთვის კუთვნილი საზღაურის თანხა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შეთანხმებულია გადახდის მიმღებთან. ამ შემთხვევაში საანგარიშსწორებო ოპერაციის სრული თანხა და საზღაური გადახდის მიმღებისათვის უნდა აღირიცხოს განცალკევებულად, სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის §§ 8-ისა და 15-ის შესაბამისად.

(3) იმ საანგარიშსწორებო ოპერაციის შემთხვევაში, რომელიც არ არის დაკავშირებული სავალუტო გადაანგარიშებასთან, გადახდის მიმღებსა და გადამხდელს შესაბამისად ეკისრებათ მათი გადახდის განმახორციელებლის მიერ ინიცირებული საზღაური.

§ 675ს. საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელება კლიენტის იდენტიფიცირების მეშვეობით

(1) გადახდის განმახორციელებლები უფლებამოსილნი არიან, განახორციელონ საანგარიშსწორებო ოპერაცია მხოლოდ გადახდის მომხმარებლის მიერ მითითებული კლიენტის იდენტიფიცირების მეშვეობით. თუ გადახდის დავალება შესრულდება კლიენტის ასეთი იდენტიფიცირების შესაბამისად, მაშინ ის მიიჩნევა სათანადოდ შესრულებულად, გადახდის მიმღების მიერ მითითებული კლიენტის იდენტიფიცირების გათვალისწინებით.

(2) კლიენტის იდენტიფიცირება, წარმოდგენილი ასოების, ციფრებისა თუ სიმბოლოების მიმდევრობით, გადახდის განმახორციელებლისაგან მიეწოდება გადახდის მომხმარებელს – იგი უნდა უთითებდეს გადახდის მომხმარებელს, რათა შესაძლებელი იყოს საანგარიშსწორებო ოპერაციის მონაწილე სხვა გადახდის მომხმარებლის ან მისი საბანკო ანგარიშის ზუსტად დადგენა.

(3) თუ გადამხდელის მიერ მითითებული კლიენტის იდენტიფიცირება გადამხდელის გადახდის განმახორციელებლისათვის არ საჭიროებს გადახდის მიმღებისათვის ან საბანკო ანგარიშისათვის მიბმას, მაშინ გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ გადამხდელს და აუცილებლობის შემთხვევაში გასცეს მასზე ანგარიშსწორების თანხა.

§ 675ტ. საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელების ვადა

(1) გადამხდელის გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ანგარიშსწორების თანხა გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელს მიუვიდეს არაუგვიანეს გადახდის დავალებით გათვალისწინებული მიღების მომენტის შემდეგი სამუშაო დღისა; 2012 წლის პირველი იანვრისათვის გადამხდელსა და მის გადახდის განმახორციელებელს შეუძლიათ შეთანხმდნენ ვადაზე სამ სამუშაო დღემდე. ევროპის ეკონომიკური სივრცის ფარგლებში იმ საანგარიშსწორებო ოპერაციებისათვის, რომლებიც არ ხორციელდება ევროში, გადამხდელსა და მის გადახდის განმახორციელებელს შეუძლიათ შეთანხმდნენ მაქსიმუმ ოთხდღიან სამუშაო დღის ვადაზე. დოკუმენტურად გაფორმებული საანგარიშსწორებო ოპერაციებისათვის, პირველი წინადადების თანახმად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ვადის, დამატებით, ერთი სამუშაო დღით გაგრძელებაზე.

(2) გადახდის მიმღებისაგან ან ამ უკანასკნელის მეშვეობით განხორციელებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შემთხვევაში, გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, გადახდის დავალება გადასცეს გადამხდელის გადახდის განმახორციელებელს გადახდის მიმღებსა და მის გადახდის განმახორციელებელს შორის შეთანხმებულ ვადებში. ანგარიშის დებეტში ჩანაწერის შემთხვევაში, გადახდის დავალება იმდენად დროულად უნდა იქნეს გადაცემული, რომ შესაძლებელი იყოს გადახდის მიმღების მიერ შეტყობინებული გადახდის ვადის გაანგარიშება.

§ 675უ. ფულადი თანხების საბანკო ანგარიშზე ასახვის თარიღი და მათი ხელმისაწვდომობა

(1) გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, ანგარიშსწორების თანხა გადახდის მიმღებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც ეს თანხა აისახება გადახდის განმახორციელებლის საბანკო ანგარიშზე. თუ ანგარიშსწორების თანხა უნდა აისახოს კრედიტში გადახდის მიმღების საბანკო ანგარიშზე, მაშინ თანხა უნდა აისახოს კრედიტში – თუნდაც ეს ხორციელდებოდეს მოგვიანებით – იმგვარად, რომ დროის მომენტი, რასაც გადახდის განმახორციელებელი საფუძვლად იღებს პროცენტების გასაანგარიშებლად ან თანხის საბანკო ანგარიშზე დებეტირებისათვის (ფულადი თანხის საბანკო ანგარიშზე ასახვის თარიღი), განისაზღვრება არა უგვიანეს იმ სამუშაო დღისა, რომელშიც ანგარიშსწორების თანხა აისახა გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებლის საბანკო ანგარიშზე. პირველი წინადადება მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც გადახდის მიმღებს არა აქვს საბანკო ანგარიში.

(2) თუ მომხმარებელს შეაქვს ნაღდი ფული გადახდის განმახორციელებლის საბანკო ანგარიშზე ამ უკანასკნელის შესაბამის ვალუტაში, მაშინ გადახდის განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ თანხა მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი გახდეს და აისახოს საბანკო ანგარიშზე; თუ გადახდის მომხმარებელი არ არის მომხმარებელი, მაშინ გადახდის მიმღებმა ფულადი თანხა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მიღებიდან არა უგვიანეს შემდეგი სამუშაო დღისა და ასახოს საბანკო ანგარიშზე.

(3) თანხის გადამხდელის საბანკო ანგარიშზე დებეტირება უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ფულადი თანხა საბანკო ანგარიშზე აისახოს არა უადრეს იმ თარიღისა, როდესაც ამ საბანკო ანგარიშზე მოხდება ანგარიშსწორების თანხის დებეტირება.

ქვეთავი 3. პასუხისმგებლობა

§ 675ფ. გადახდის განმახორციელებლის პასუხისმგებლობა არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციებისათვის

არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შემთხვევაში გადამხდელის გადახდის განმახორციელებელს არა აქვს გადამხდელის მიმართ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ის ვალდებულია, დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს გადამხდელს გადასახდელი თანხა და, რამდენადაც ამ თანხით მოხდა საბანკო ანგარიშის დებეტირება, უზრუნველყოს აღნიშნული საბანკო ანგარიშის ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, როგორიც იქნებოდა, ანგარიშის დებეტირების გარეშე, არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შედეგად.

§ 675ქ. გადამხდელის პასუხისმგებლობა ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის უკანონო გამოყენების შემთხვევაში

(1) თუ არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციები არ ეფუძნება დაკარგული, მოპარული ან მესაკუთრის მფლობელობიდან სხვაგვარად გასული ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის გამოყენებას, მაშინ გადამხდელის გადახდის განმახორციელებელს შეუძლია გადამხდელისაგან ზემოაღნიშნულის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურება 150 ევრომდე თანხის ფარგლებში. ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანი წარმოიშვა ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის სხვაგვარი გამოყენების შედეგად და გადამხდელს პერსონალიზებული უსაფრთხოების ნიშნები არ ჰქონდა უსაფრთხოდ შენახული.

(2) გადამხდელს თავისი გადახდის განმახორციელებლის წინაშე ეკისრება ზიანის სრული მოცულობით ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც წარმოიშვა არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შედეგად, თუ ზიანის დადგომა შესაძლებელი გახდა მისი თაღლითური განზრახვის შედეგად ან ეს ზიანი გამოწვეულ იქნა:

1. § 675მ-ს შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე ვალდებულების, ან
2. ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის გაცემისა და გამოყენების შესახებ ერთი ან რამდენიმე შეთანხმებული პირობის განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევის შედეგად.

(3) პირველი და მე-2 ნაწილებისაგან განსხვავებით, გადამხდელი არ არის ვალდებული იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც წარმოიშვა § 675მ-ს მე-2 წინადადების შესაბამისად, წარდგენილი შეტყობინების შემდეგ გამოყენებული ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტით სარგებლობიდან გამომდინარე. გადამხდელი არ არის ვალდებული, ასევე პირველი ნაწილის გაგებით, ზიანის ანაზღაურებაზე, როდესაც გადახდის განმახორციელებელი ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებს, § 675ნ-ს პირველი ნაწილის №3-ის შესაბამისად. პირველი და მე-2 წინადადებები არ გამოიყენება, როდესაც გადამხდელი მოქმედებდა თაღლითური განზრახვით.

§ 675ღ. ავთენტიკურობის მტკიცება

თუ განხორციელებული საანგარიშსწორებო ოპერაციის ავტორიზაცია სადავოა, მაშინ გადახდის განმახორციელებელმა უნდა ამტკიცოს, რომ ავთენტიკურობის დადგენა განხორციელდა და საანგარიშსწორებო ოპერაცია სათანადოდ იქნა დოკუმენტურად ასახული, ბუღალტრულად გატარებული და, აგრეთვე, არ მომხდარა საანგარიშსწორებო ოპერაციის დარღვევა. ავთენტიკურობის დადგენა ხორციელდება, როდესაც გადახდის განმახორციელებელმა პროცესუალურად შეამოწმა განსაზღვრული ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტით სარგებლობა, ამ ინსტრუმენტის პერსონალიზებული უსაფრთხოების ნიშნების შემოწმების ჩათვლით. თუ საანგარიშსწორებო ოპერაცია ხორციელდებოდა ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის მეშვეობით, მაშინ გადახდის განმახორციელებლის მხრიდან, ავთენტიკურობის დადგენის ჩათვლით, მხოლოდ ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტით სარგებლობის დოკუმენტური ასახვა საკმარისი არ არის იმის დასადასტურებლად, რომ:

1. გადამხდელი ახდენს საანგარიშსწორებო ოპერაციის ავტორიზაციას;
2. იგი მოქმედებს თაღლითური განზრახვით;

3. გადამხდელი არღვევს ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას, § 675მ-ის შესაბამისად; ან
4. გადამხდელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია ანგარიშსწორების ავთენტიკურობის დადგენის ინსტრუმენტის გაცემისა და გამოყენების ერთი ან რამდენიმე პირობა.

§ 675ყ. გადახდის მიმღების მხრიდან საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელების დაწყებისას ან ამ უკანასკნელის გამო ანაზღაურების მიღების მოთხოვნის უფლება

(1) გადამხდელს გადახდის განმახორციელებლის მიმართ აქვს მოთხოვნის უფლება იმ დებეტირებული გადასახდელი თანხის ანაზღაურების შესახებ, რომელიც ეფუძნება ავტორიზირებულ, გადახდის მიმღების მხრიდან – ან ამ უკანასკნელის გამო – დაწყებულ საანგარიშსწორებო ოპერაციას, როდესაც:

1. ავტორიზაციისას ზუსტი თანხა არ იყო მითითებული, და
2. გადასახდელი თანხა აღემატება იმ თანხას, რომლის მიღებასაც გადამხდელი ელოდებოდა თავისი თავდაპირველი დოკუმენტის გაცემის პროცესის, გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებისა და ცალკეული შემთხვევის გარემოებათა შესაბამისად; შესაძლო ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული საფუძვლები მხედველობაში არ მიიღება, როდესაც საფუძვლად აიღება მხარეთა შორის შეთანხმებული ბაზისური გაცვლითი კურსი.

გადამხდელი თავისი გადახდის განმახორციელებლის მოთხოვნის საფუძველზე ვალდებულია, იმგვარად წარმოადგინოს ფაქტობრივი გარემოებები, რომ მათგან გამომდინარეობდეს მისი ანაზღაურების მიღების მოთხოვნის უფლება.

(2) საბანკო ანგარიშის დებეტირების შემთხვევაში გადამხდელსა და მის გადახდის განმახორციელებელს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ გადამხდელს იმ შემთხვევაშიც ექნება გადახდის განმახორციელებლის მიმართ თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, როდესაც, პირველი ნაწილის თანახმად, ანაზღაურების წინაპირობები არ სრულდება.

(3) გადამხდელს შეუძლია შეუთანხმდეს თავის გადახდის განმახორციელებელს იმაზე, რომ მას არ ჰქონდეს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, როდესაც იგი საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობას განუცხადებს უშუალოდ გადახდის განმახორციელებელს და – შესაბამისი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში – სამომავლო საანგარიშსწორებო ოპერაციის შესახებ მას შეატყობინებს გადახდის განმახორციელებელი ან გადახდის მიმღები ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე ოთხი კვირით ადრე.

(4) გადამხდელის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, როდესაც ის ამ მოთხოვნის უფლებას არ განახორციელებს გადახდის განმახორციელებლის მიმართ რვა კვირის განმავლობაში, შესაბამისი გადასახდელი თანხის დებეტირების მომენტიდან.

(5) გადახდის განმახორციელებელი ვალდებულია, ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის მიღებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში აანაზღაუროს საანგარიშსწორებო ოპერაციის სრული თანხა, ან შეატყობინოს გადამხდელს ანაზღაურებაზე უარის თქმის მიზეზები. ანაზღაურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გადახდის განმახორციელებელმა უნდა მიუთითოს პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობაზე საანგარიშსწორებო ოპერაციის ზედამხედველობის შესახებ, კანონის § 28-ის შესაბამისად, და ასევე – გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებების შესახებ,

კანონის § 14-ის შესაბამისად, მომრიგებელი ორგანოსათვის მიმართვის შესაძლებლობაზე. გადახდის განმახორციელებლის უფლება, უარი თქვას მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში მოთხოვნილ ანაზღაურებაზე, არ ვრცელდება მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაზე.
(6) პირველი ნაწილი არ გამოიყენება საბანკო ანგარიშის დებეტირების ოპერაციების მიმართ, როგორც კი ისინი ავტორიზებულ იქნა გადამხდელის მოწონებით უშუალოდ თავისი გადახდის განმახორციელებლის მიმართ.

§ 675შ. გადახდის განმახორციელებლის პასუხისმგებლობა გადახდის დავალების შეუსრულებლობის ან მათი ხარვეზით შესრულების შემთხვევაში; გამოძიების ვალდებულება
(1) თუ საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელება იწყება გადამხდელის მიერ, მაშინ ამ უკანასკნელს თავისი გადახდის განმახორციელებლისაგან შეუძლია მოითხოვოს დაუყოვნებლივი და სრული ანაზღაურება გადასახდელი თანხის შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული გადახდის დავალების შემთხვევაში. თუ გადასახდელი თანხით მოხდა გადამხდელის საბანკო ანგარიშის დებეტირება, მაშინ ეს საბანკო ანგარიში მოყვანილ უნდა იქნეს ისეთ მდგომარეობაში, როგორიც იქნებოდა უხარვეზოდ შესრულებული საანგარიშსწორებო ოპერაციის დროს. რამდენადაც § 675რ-ს პირველი ნაწილის საწინააღმდეგოდ გადასახდელი თანხიდან მოხდა საზღაურის თანხის დაკავება, გადამხდელის გადახდის განმახორციელებელმა დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს დაკავებული თანხა გადახდის მიმღებს. თუ გადამხდელის გადახდის განმახორციელებელი ადასტურებს, რომ გადასახდელი თანხა დროულად და სრულად მიუვიდა გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელს, წინამდებარე ნაწილის თანახმად, პასუხისმგებლობა აღარ დგება.
(2) თუ საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელება იწყება გადახდის მიმღების მხრიდან ან ამ უკანასკნელის გამო, მაშინ გადახდის მიმღებს შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული გადახდის დავალების შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს, რომ მისმა გადახდის განმახორციელებელმა ამ გადახდის დავალება, – აუცილებლობის შემთხვევაში, განახლებული გადახდის დავალება, – დაუყოვნებლივ გადასცეს გადამხდელის გადახდის განმახორციელებელს. თუ გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელი ადასტურებს, რომ მან შეასრულა მის მიერ საანგარიშსწორებო ოპერაციის განხორციელების დროს ნაკისრი ვალდებულებები, მაშინ გადამხდელის გადახდის განმახორციელებელმა გადამხდელს, აუცილებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ სრულად უნდა აუნაზღაუროს გადასახდელი თანხა, პირველი ნაწილის პირველი და მე-2 წინადადებების შესაბამისად. რამდენადაც § 675რ-ს პირველი და მე-2 ნაწილების საწინააღმდეგოდ გადასახდელი თანხიდან მოხდა საზღაურის თანხის დაკავება, გადახდის მიმღების გადახდის განმახორციელებელმა დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს დაკავებული თანხა გადახდის მიმღებს.
(3) გადახდის განმახორციელებლის მიმართ გადახდის მომხმარებლის მოთხოვნის უფლებები პირველი ნაწილის პირველი და მე-2 წინადადებებისა და მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, არ არსებობს, თუ გადახდის დავალება ხორციელდებოდა გადახდის მომხმარებლის მიერ მიწოდებული კლიენტის არასწორი იდენტიფიცირების საფუძველზე. თუმცა, აღნიშნულ შემთხვევაში, გადამხდელს შეუძლია, თავის გადახდის განმახორციელებელს მოსთხოვოს, რომ ამ უკანასკნელმა საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში სცადოს გადასახდელი თანხის უკან დაბრუნება. გადახდის განმახორციელებელს შეუძლია, გადახდის განმახორციელებელს

გადახდის მომხმარებელთან დადებულ გადახდების განხორციელების შესახებ ჩარჩო ხელშეკრულებაში შეუთანხმდეს სასყიდლის თაობაზე თანხის დაბრუნებისათვის.
(4) გადახდის მომხმარებელს შეუძლია თავისი გადახდის განმახორციელებლისაგან, პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, მოთხოვნის უფლებებისათვის საზღაურისა და პროცენტის მოთხოვნა, რომლებსაც გადახდის განმახორციელებელი მას უთვლის შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული გადახდის დავალების ანგარიშში, ან, რომლებიც გადახდის განმახორციელებელმა ჩამოწერა გადახდის მომხმარებლის კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან.
(5) თუ გადახდის დავალება არ სრულდება ან სრულდება ხარვეზით, მაშინ გადახდის განმახორციელებელმა თავისი გადახდის მომხმარებლის მოთხოვნით უნდა თავიდან შეასრულოს საანგარიშსწორებო ოპერაცია იმ გადახდის მომხმარებლის მიმართ, რომელმაც განახორციელა საანგარიშსწორებო ოპერაცია, ან რომლის გამოც განხორციელდა საანგარიშსწორებო ოპერაცია, და შედეგის შესახებ შეატყობინოს თავის გადახდის მომხმარებელს.

§ 675ჩ. სხვა მოთხოვნის უფლებები შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული გადახდის დავალების ან არაავტორიზებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შემთხვევაში

§§ 675ფ და 675შ გადამწყვეტია მათში მოწესრიგებული გადახდის მომხმარებლის კუთვნილ მოთხოვნის უფლებებთან დაკავშირებით. გადახდის განმახორციელებლის პასუხისმგებლობა მისი გადახდის მომხმარებლის წინაშე შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული გადახდის დავალების შედეგად დამდგარი ზიანისათვის, რასაც არ მოიცავს § 675შ, შეიძლება შეიზღუდოს 12 500 ევრომდე; ეს წესი არ მოქმედებს განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის, პროცენტის დაკარგვისა და რისკებისათვის, რომლებიც სპეციალურად იკისრა გადახდის განმახორციელებელმა. ამავე დროს, გადახდის განმახორციელებლები მოქმედებენ ბრალით, რომელიც შეერაცხება შუალედურ რგოლებს, როგორც საკუთარი ბრალი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადახდის მომხმარებლის ბრალით გამოწვეული არსებითი ხასიათის მიზეზი არსებობს შუალედურ რგოლებში. მე-3 წინადადების მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევებში, გადახდის მომხმარებლის გადახდის განმახორციელებლის ნაცვლად პასუხს აგებს გადახდის მომხმარებლის მიერ დამატებული შუალედური რგოლი. § 675შ-ს მე-3 ნაწილის პირველი წინადადება გამოიყენება, მე-2-მე-4 წინადადებების შესაბამისად, გადახდის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის მიმართაც.

§ 676. საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელების ფაქტის მტკიცება

თუ გადახდის მომხმარებლისა და მის გადახდის განმახორციელებელს შორის სადავოა, განხორციელდა თუ არა სათანადოდ საანგარიშსწორებო ოპერაცია, გადახდის განმახორციელებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ საანგარიშსწორებო ოპერაცია სათანადოდ იქნა დოკუმენტურად ასახული, ბუღალტრულად გატარებული და, აგრეთვე, არ დარღვეულა საანგარიშსწორებო ოპერაცია.

§ 676ა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება

თუ, §§ 675შ-სა და 675ჩ-ს შესაბამისად, გადახდის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის მიზეზი სხვა გადახდის განმახორციელებლის ან შუალედური რგოლის

პასუხისმგებლობაა, მაშინ პირველს შეუძლია, სხვა გადახდის განმახორციელებლისაგან ან შუალედური რგოლისაგან მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც მან §§ 675შ-სა და 675ჩ-ს შესაბამისად განიცადა, გადახდის მომხმარებლის მოთხოვნის უფლებების რეალიზაციის შედეგად.

§ 676ბ. არაავტორიზებული ან ხარვეზით შესრულებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შესახებ შეტყობინება

(1) გადახდის მომხმარებელმა არაავტორიზებული ან ხარვეზით შესრულებული საანგარიშსწორებო ოპერაციის გამოვლენის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს თავის გადახდის განმახორციელებელს.

(2) წინამდებარე ქვეთავის თანახმად, გადახდის განმახორციელებლის მიმართ გადახდის მომხმარებლის მოთხოვნის უფლებები და შესაგებლები გამორიცხულია, როდესაც გადახდის მომხმარებელმა თავის გადახდის განმახორციელებელს არაავტორიზებული ან ხარვეზით შესრულებული საანგარიშსწორებო ოპერაციის შესახებ შეატყობინა არა უგვიანეს 13 თვისა, ანგარიშის დებეტირების თარიღის შემდეგ. ვადის დენა იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადახდის განმახორციელებელმა გადახდის მომხმარებელს მიაწოდა საანგარიშსწორებო ოპერაციის შესახებ ინფორმაცია სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 248-ე მუხლის §§ 7, 10 ან და § 14-ის შესაბამისად; სხვა შემთხვევაში, ვადის დენის დაწყების მომენტად აიღება შეტყობინების წარდგენის დღე.

(3) სხვა მოთხოვნის უფლებების, – ნაცვლად § 675ჩ-ს პირველ წინადადებაში მითითებული შეუსრულებელი ან ხარვეზით შესრულებული საანგარიშსწორებო ოპერაციის გამო გადახდის განმახორციელებლის მიმართ გადახდის მომხმარებლის კუთვნილი მოთხოვნის უფლებებისა, – მიმართ მე-2 ნაწილი მოქმედებს იმ პირობით, რომ გადახდის მომხმარებელს შეუძლია ამ მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია ასევე შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგაც, როდესაც მან ვადაში მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ვერ მოახდინა.

§ 676გ. პასუხისმგებლობის გამორიცხვა

წინამდებარე თავით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებების რეალიზაცია გამორიცხულია, როდესაც მოთხოვნის უფლების მიმნიჭებელი გარემოებები:

1. ემყარება უჩვეულო და გაუთვალისწინებელ შედეგს, რაზეც ის მხარე, რომელიც მიუთითებს ამ შედეგზე, ვერ ახდენს გავლენას, მისი შედეგები კი, გამოჩენილი სათანადო ზრუნვის მიუხედავად, ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული, ან
2. გამოწვეული იყო გადახდის განმახორციელებლის მოქმედებით კანონისმიერი ვალდებულების საფუძველზე.

კარი 13. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება

§ 677. შემსრულებლის ვალდებულებები

პირი, რომელიც ასრულებს სხვა პირის საქმეებს, მისგან დავალების მიღებისა ან სხვაგვარად უფლებამოსილების მინიჭების გარეშე, ვალდებულია, ისე შეასრულოს საქმე, როგორც ამას მოითხოვს ამ პირის ინტერესები, მისი ნამდვილი ან სავარაუდო ნების გათვალისწინებით.

§ 678. საქმის შესრულება დაინტერესებული პირის ნების საწინააღმდეგოდ
თუ საქმის შესრულების კისრება ეწინააღმდეგება დაინტერესებული პირის ნამდვილ ან სავარაუდო ნებას და შემსრულებელს უნდა სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ შემსრულებელი პასუხისმგებელია საქმისწარმოების შედეგად წარმოშობილი ზიანისათვის, მაშინაც კი, როდესაც სხვა მხრივ მას ბრალი არ მიუძღვის.

§ 679. დაინტერესებული პირის საწინააღმდეგო ნების მხედველობაში მიუღებლობა
საქმის შესრულების მიმართ დაინტერესებული პირის საწინააღმდეგო ნება მხედველობაში არ მიიღება, თუ საქმისწარმოების გარეშე დაინტერესებული პირის ვალდებულება, რომლის შესრულებაც საჯარო ინტერესებშია, ან მისი კანონისმიერი რჩენის ვალდებულება დროულად ვერ შესრულდებოდა.

§ 680. საქმის შესრულება საფრთხის თავიდან ასაცილებლად
თუ საქმის შესრულება გამიზნულია იმ საფრთხის თავიდან აცილებისაკენ, რომელიც ემუქრება დაინტერესებულ პირს, მაშინ შემსრულებელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

§ 681. შემსრულებლის დამატებითი ვალდებულებები
შემსრულებელმა უნდა პირველივე შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს დაინტერესებულ პირს საქმის შესრულების კისრების შესახებ და, თუ დახანება დაკავშირებული არ არის საფრთხესთან, დაელოდოს მის გადაწყვეტილებას. სხვა შემთხვევებში შემსრულებლის ვალდებულებების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 666-668-ის ნორმები.

§ 682. შემსრულებლის ქმედუუნარობა
თუ შემსრულებელი ქმედუუნაროა ან მას შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, მაშინ იგი პასუხისმგებელია მხოლოდ დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და უსაფუძვლოდ მიღებულის (გამდიდრების) უკან დაბრუნების შესახებ ნორმების თანახმად.

§ 683. ხარჯების ანაზღაურება
თუ სამუშაოს შესრულების კისრება შეესაბამება დაინტერესებული პირის ინტერესსა და ნამდვილ ან სავარაუდო ნებას, მაშინ შემსრულებელს, როგორც რწმუნებულს, შეუძლია მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება. § 679-ის შემთხვევებში ამ მოთხოვნის უფლება შემსრულებელს აქვს მაშინაც, როდესაც საქმის შესრულების კისრება ეწინააღმდეგება დაინტერესებული პირის ნებას.

§ 684. უსაფუძვლოდ გამდიდრებულის (მიღებულის) უკან დაბრუნება
თუ სახეზე არ არის § 683-ის წინაპირობები, მაშინ დაინტერესებული პირი ვალდებულია, უსაფუძვლოდ გამდიდრებულის (მიღებულის) უკან დაბრუნების შესახებ წესების თანახმად, დაუბრუნოს შემსრულებელს ყველაფერი ის, რაც მან საქმეების შესრულების დროს მიიღო. თუ დაინტერესებული პირი იწონებს საქმეების შესრულებას, მაშინ შემსრულებელს აქვს § 683-ში დადგენილი მოთხოვნის უფლება.

§ 685. ჩუქების განზრახვა
(1) შემსრულებელს არა აქვს მოთხოვნის უფლება, თუ მას არ ჰქონდა დაინტერესებული პირისაგან ანაზღაურების მოთხოვნის განზრახვა.
(2) თუ მშობლები ან აღმავალი ხაზით ნათესავები უზრუნველყოფენ თავიანთი შთამომავლების, ან ეს უკანასკნელები – მშობლებისა თუ აღმავალი ხაზით ნათესავების რჩენას, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ მიმღებისაგან ანაზღაურების მოთხოვნის განზრახვა არ არსებობს.

§ 686. შეცდომა დაინტერესებული პირის პიროვნებაში
თუ შემსრულებელს ეშლება დაინტერესებული პირის პიროვნებასთან დაკავშირებით, მაშინ საქმის შესრულების შედეგად უფლებამოსილი და ვალდებულია სინამდვილეში დაინტერესებული პირი.

§ 687. შემთხვევები, როდესაც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება არ ხდება
(1) §§ 677-686 ნორმები არ გამოიყენება, თუ პირი სხვის საქმეს ასრულებს იმ რწმენით, რომ იგი საკუთარია.
(2) თუ პირი სხვის საქმეს ასრულებს როგორც საკუთარს, თუმცა, მან იცის, რომ იგი მასზე უფლებამოსილი არ არის, მაშინ დაინტერესებულ პირს შეუძლია წარადგინოს §§ 677, 678, 681, 682-იდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები. თუ იგი წარადგენს ამ მოთხოვნის უფლებებს, მაშინ ვალდებულია შემსრულებლის წინაშე § 684-ის პირველი წინადადების მიხედვით.

კარი 14. მიბარება (შენახვა)

§ 688. ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები მიბარების (შენახვის) შემთხვევაში
მიბარების (შენახვის) ხელშეკრულებით შემნახველი ვალდებულია, შეინახოს მიმბარებლის მიერ მისთვის გადაცემული მოძრავი ნივთი.

§ 689. საზღაური
საზღაური ჩაითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად, თუ შენახვა, გარემოებათა მიხედვით, მხოლოდ საზღაურის სანაცვლოდ არის მოსალოდნელი.

§ 690. პასუხისმგებლობა უსასყიდლო მიბარებისას
თუ მიბარება უსასყიდლოა, მაშინ შემნახველი პასუხისმგებელია მხოლოდ ისეთი ზრუნვისათვის, რომელსაც იგი საკუთარი საქმეებისადმი იჩენს.

§ 691. მიბარება მესამე პირთან
შემნახველი საეჭვოობისას არ არის უფლებამოსილი, მიბარებული ნივთი შესანახად გადასცეს მესამე პირს. თუ მესამე პირისთვის შესანახად გადაცემა ნებადართულია, მაშინ შემნახველი პასუხს აგებს მხოლოდ მიბარებასთან დაკავშირებული ბრალისათვის. დამხმარე პირის ბრალისათვის იგი პასუხისმგებელია, § 278-ის თანახმად.

§ 692. მიბარების სახის შეცვლა
შემნახველი უფლებამოსილია, შეცვალოს მიბარების შეთანხმებული სახე, თუ მას, გარემოებების მიხედვით, შეუძლია დაუშვას, რომ შემნახველი საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში ამას დაეთანხმებოდა. შემნახველმა მიბარების სახის შეცვლამდე უნდა შეატყობინოს მიმბარებელს და დაელოდოს მის გადაწყვეტილებას, თუ დაყოვნება არ არის დაკავშირებული საფრთხესთან.

§ 693. ხარჯების ანაზღაურება
თუ შემნახველმა შენახვის მიზნით გასწია ხარჯები, რომლებიც გარემოებების მიხედვით უნდა იქნეს მიჩნეული აუცილებელ ხარჯებად, მიმბარებელი ვალდებულია, ზარალი აანაზღაუროს.

§ 694. მიმბარებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება
მიმბარებელმა უნდა აუნაზღაუროს შემნახველს მიბარებული ნივთის თვისების გამო მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან ამ ნივთის საფრთხის შემცველი თვისებების შესახებ არ იცის და არც უნდა იცოდეს, ან მან თვისების შესახებ შემნახველს შეატყობინა, ანდა ამ უკანასკნელმა შეტყობინების გარეშეც იცოდა ამის შესახებ.

§ 695. ნივთის უკან დაბრუნებაზე მიმბარებლის მოთხოვნის უფლება
მიმბარებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიბარებული ნივთის უკან დაბრუნება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შენახვის ვადა განსაზღვრულია. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის წაყენების მომენტიდან.

§ 696. მიბარებული ნივთის უკან წაღების შემნახველის მოთხოვნის უფლება
თუ შენახვის ვადა განსაზღვრული არ არის, შემნახველს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიბარებული ნივთის უკან წაღება. თუ ვადა განსაზღვრულია, მაშინ ვადაზე ადრე ნივთის უკან წაღების მოთხოვნა მას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება ნივთის უკან წაღების მოთხოვნის წაყენების მომენტიდან.

§ 697. მიბარებული ნივთის უკან დაბრუნების ადგილი
მიბარებული ნივთის უკან დაბრუნება უნდა მოხდეს იმ ადგილზე, სადაც ნივთი შესანახად უნდა გადაცემულიყო; შემნახველი არ არის ვალდებული, მიუტანოს ნივთი მიმბარებელს.

§ 698. გამოყენებულ ფულად თანხაზე პროცენტის დარიცხვა
თუ შემნახველი თავისთვის იყენებს შენახულ ფულად თანხას, მაშინ იგი ვალდებულია, სარგებლობის დროისათვის იხადოს პროცენტი.

§ 699. საზღაურის გადახდის მომენტი
(1) მიმბარებელმა შეთანხმებული საზღაური უნდა გადაიხადოს მიბარების შეწყვეტისას. თუ საზღაური იანგარიშება დროის მონაკვეთებით, მაშინ იგი გადახდილ უნდა იქნეს ცალკეული დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ.

(2) თუ მიბარება წყდება მისთვის განსაზღვრული ვადის გასვლამდე, მაშინ შემნახველს შეუძლია მოითხოვოს საზღაურის ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება მის მიერ შეწყვეტამდე გაწეულ მომსახურებას, თუ საზღაურის შესახებ შეთანხმებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 700. არასტანდატული მიბარების ხელშეკრულება

(1) თუ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები შესანახად გადაეცემა ისე, რომ საკუთრების უფლება უნდა გადავიდეს შემნახველზე და ეს უკანასკნელი უნდა იყოს ვალდებული, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთები, მაშინ ფულის შემთხვევაში გამოიყენება სესხის ხელშეკრულების შესახებ ნორმები, ხოლო სხვა სახის ნივთების მიმართ – ნივთების სესხის ხელშეკრულების შესახებ ნორმები. თუ მიმბარებელი ნებას რთავს შემნახველს, მოიხმაროს მიბარებული გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მაშინ ფულის შემთხვევაში გამოიყენება სესხის ხელშეკრულების შესახებ ნორმები, ხოლო სხვა ნივთების შემთხვევაში – ნივთების სესხის ხელშეკრულების შესახებ ნორმები იმ მომენტიდან, როდესაც შემნახველი ნივთებს ისაკუთრებს. თუმცა, ორივე შემთხვევაში, საეჭვოობისას ნივთის უკან დაბრუნების დრო და ადგილი განისაზღვრება მიბარების ხელშეკრულების ნორმებით.

(2) ფასიანი ქაღალდების მიბარებისას პირველ ნაწილში მითითებული სახის შეთანხმება ნამდვილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პირდაპირ დაიდო.

კარი 15. ნივთების შეტანა სასტუმროში

§ 701. სასტუმროს მფლობელის პასუხისმგებლობა

(1) სასტუმროს მფლობელმა, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს სტუმრების მიღებას სასტუმროში, უნდა აანაზღაუროს იმ ნივთების დაკარგვით, განადგურებით ან დაზიანებით მიყენებული ზარალი, რომლებიც შეტანილ იქნა ამ სამეწარმეო საქმიანობის გაწევისას მიღებული სტუმრის მიერ.

(2) სასტუმროში შეტანილად მიიჩნევა:

1. ნივთები, რომლებიც სტუმრის სასტუმროში ცხოვრების განმავლობაში შეტანილ იქნა სასტუმროში ან სასტუმროს მფლობელის, ან სასტუმროს პერსონალის მიერ მითითებულ ადგილზე, ან სასტუმროს გარეთ იმ ადგილზე, რომელიც სასტუმროს მფლობელის მიერ ამისათვის საზოგადოდ არის განსაზღვრული, ანდა სხვა ადგილზე, სასტუმროს გარეთ,რომელიც იმყოფება სასტუმროს მფლობელის ან სასტუმროს პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ;
2. ნივთები, რომლებიც სათანადო ვადაში სტუმრის სასტუმროში ცხოვრების პერიოდამდე ან ამ პერიოდის შემდეგ იმყოფება სასტუმროს მფლობელის ან სასტუმროს პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ. თუმცა, სასტუმროს პერსონალის მხრიდან დავალების ან მეთვალყურეობის ქვეშ ნივთის მიღების შემთხვევაში, ეს წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ სასტუმროს პერსონალს იგი დაევალა, ან ამ გარემოებების მიხედვით განხილულ უნდა იქნეს როგორც დავალებული.

(3) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ ნივთის დაკარგვა, განადგურება ან დაზიანება გამოწვეულია სტუმრის, მისი თანხმლები პირის, ან იმ პირის მიერ, ვინც სტუმარმა თავისთან მიიღო, ან ნივთების თვისებებით, ანდა დაუძლეველი ძალის შედეგად.

(4) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ ვრცელდება სატრანსპორტო საშუალებებზე, სატრანსპორტო საშუალებაში დატოვებულ ნივთებსა და ცოცხალ ცხოველებზე.

§ 702. პასუხისმგებლობის შეზღუდვა; ძვირადღირებული ნივთები

(1) სასტუმროს მფლობელი პასუხს აგებს § 701-ის საფუძველზე მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რომელიც შეესაბამება ერთი დღის სასტუმროში ცხოვრების ასმაგ ოდენობას, თუმცა, მინიმუმ 600 ევროსა და მაქსიმუმ 3500 ევროს ფარგლებში; ასანაზღაურებელი თანხა ფულისთვის, ფასიანი ქაღალდებისა და ძვირფასეულობისათვის, ნაცვლად 3500 ევროსი, შეადგენს 800 ევროს.

(2) სასტუმროს მფლობელის პასუხისმგებლობა შეუზღუდავია:

1. თუ ნივთის დაკარგვა, განადგურება ან დაზიანება მოხდა მისი ან სასტუმროს პერსონალის ბრალით;
2. თუ მოხდა სასტუმროში ისეთი ნივთების შეტანა, რომლებიც სასტუმროს მფლობელმა ჩაიბარა შესანახად, ან, რომელთა შესანახად მიღებაზე მან უარი განაცხადა, მე-3 ნაწილის ნორმის საწინააღმდეგოდ.

(3) სასტუმროს მფლობელი ვალდებულია, შესანახად ჩაიბაროს ფული, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასეულობა და სხვა ძვირადღირებული ნივთები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასტუმროს სიდიდესა თუ კლასთან შედარებით მათ აქვთ ძალიან მაღალი ფასი ან დიდი მოცულობა, ან, თუ ისინი შესანახად სახიფათოა. მას შეუძლია მოითხოვოს ნივთების გადაცემა დახურული ან დაბეჭდილი შეფუთვით.

§ 702ა. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

(1) სასტუმროს მფლობელი შეიძლება წინასწარ გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს უკანასკნელი აღემატება, § 702-ის პირველი ნაწილის თანახმად, გამოსაყენებელ მაქსიმალურ თანხას. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ დაიშვება ასევე იმდენად, რამდენადაც ნივთის დაკარგვა, განადგურება ან დაზიანება გამოწვეულია სასტუმროს მფლობელის ან სასტუმროს პერსონალის განზრახვით, ან უხეში გაუფრთხილებლობით, ანდა საქმე ეხება ისეთ ნივთებს, რომელთა შესანახად მიღებაზე სასტუმროს მფლობელმა უარი განაცხადა, მე-3 ნაწილის ნორმის საწინააღმდეგოდ.

(2) პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტუმრის განცხადება კეთდება წერილობით და თუ იგი სხვა დებულებებს არ შეიცავს.

§ 703. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გაუქმება

§§ 701, 702-ის საფუძველზე სტუმრის კუთვნილი მოთხოვნის უფლება უქმდება, თუ სტუმარი იმის შემდეგ, რაც შეიტყობს ნივთის დაკარგვის, განადგურების ან დაზიანების შესახებ, დაუყოვნებლივ არ შეატყობინებს ამის თაობაზე სასტუმროს მფლობელს. ეს წესი არ გამოიყენება, თუ ნივთები შესანახად იქნა მიღებული სასტუმროს მფლობელის მიერ, ან თუ ნივთის დაკარგვა, განადგურება ან დაზიანება მოხდა მისი ან სასტუმროს პერსონალის ბრალით.

§ 704. სასტუმროს მფლობელის გირავნობის უფლება

სასტუმროს მფლობელს, ცხოვრებისა და ყველა ხარჯის ჩათვლით, სტუმრის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად გაწეული მომსახურების უზრუნველსაყოფად აქვს

გირავნობის უფლება სტუმრის მიერ შეტანილ ნივთებზე. შესაბამისად, გამოიყენება დამქირავებლის გირავნობის უფლების მიმართ მოქმედი § 562-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებისა და §§ 562ა-562დ-ის ნორმები.

კარი 16. ამხანაგობა

§ 705. ამხანაგობის ხელშეკრულების შინაარსი

ამხანაგობის ხელშეკრულებით მონაწილეები ერთმანეთის მიმართ კისრულობენ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ საერთო მიზნის მიღწევას ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებით, კერძოდ, განახორციელონ შეთანხმებული შენატანები.

§ 706. მონაწილეთა შენატანები

(1) სხვა შეთანხმების არარსებობისას მონაწილეებმა შენატანები უნდა განახორციელონ თანაბარწილად.

(2) თუ შეტანილ უნდა იქნეს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ან მოხმარებადი ნივთები, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ისინი ხდება მონაწილეთა საერთო საკუთრება. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ ნივთების მიმართ, რომლებიც გვაროვნული ნიშნით არ განისაზღვრება და მოუხმარებადი ნივთების მიმართ, თუ ისინი შეტანილ უნდა იქნეს შეფასებით, რომელიც დგინდება არა მხოლოდ მოგების განაწილებისათვის.

(3) მონაწილის შენატანი შეიძლება გამოიხატებოდეს, აგრეთვე, მომსახურების გაწევაში.

§ 707. შეთანხმებული შენატანის ოდენობის გაზრდა

მონაწილე ვალდებული არ არის შეთანხმებული შენატანის ოდენობის გაზრდასა თუ ზარალის შედეგად შემცირებული შენატანის შევსებაზე.

§ 708. მონაწილის პასუხისმგებლობა

მონაწილე მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისას პასუხისმგებელია მხოლოდ ისეთი ზრუნვისათვის, რომელსაც იგი საკუთარი საქმეებისადმი იჩენს.

§ 709. საქმის ერთობლივი მართვა

(1) მონაწილეები უფლებამოსილნი არიან საქმის ერთობლივად მართვაზე; თითოეული გარიგებისათვის საჭიროა ყველა მონაწილის თანხმობა.

(2) თუ ამხანაგობის ხელშეკრულების თანახმად, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, მაშინ საეჭვოობისას უმრავლესობა დგინდება მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით.

§ 710. საქმეთა მართვის გადაცემა

თუ ამხანაგობის ხელშეკრულებაში საქმეთა მართვა დაკისრებული აქვს ერთ ან რამდენიმე მონაწილეს, მაშინ დანარჩენი მონაწილეები საქმეთა მართვაში მონაწილეობას არ იღებენ. თუ საქმეთა მართვა დაკისრებული აქვს რამდენიმე მონაწილეს, მაშინ გამოიყენება § 709-ის ნორმები.

§ 711. პროტესტის უფლება
თუ ამხანაგობის ხელშეკრულების თანახმად საქმეთა მართვაზე უფლებამოსილი არის ყველა ან რამდენიმე მონაწილე იმგვარად, რომ თითოეული უფლებამოსილია, იმოქმედოს დამოუკიდებლად, მაშინ თითოეულს შეუძლია განაცხადოს პროტესტი სხვა მონაწილის მიერ საქმისწარმოების მიმართ. პროტესტის შემთხვევაში გარიგება არ შედგება.

§ 712. საქმეთა მართვის უფლების ჩამორთმევა და საქმეთა მართვაზე უარი
(1) ამხანაგობის ხელშეკრულებით მონაწილისათვის მინიჭებული საქმეთა მართვის უფლებამოსილება შეიძლება მას ჩამოერთვას ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, ან, თუ, ამხანაგობის ხელშეკრულების თანახმად, გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, დანარჩენი მონაწილეების ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას; ასეთი საფუძველია, კერძოდ, მოვალეობების უხეში დარღვევა ან საქმის სათანადოდ წარმართვის უუნარობა.
(2) მონაწილეს ასევე შეუძლია, თავის მხრივ, უარი თქვას საქმეთა მართვაზე, თუ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი; შესაბამისად გამოიყენება დავალების მიმართ მოქმედი § 671-ის მე-2 და მე-3 ნაწილების ნორმები.

§ 713. საქმისმწარმოებელი მონაწილის უფლებები და ვალდებულებები
საქმისმწარმოებელი მონაწილის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება დავალების მიმართ მოქმედი §§ 664-670-ის ნორმებით, თუ ამხანაგობის სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 714. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება
იმდენად, რამდენადაც ამხანაგობის ხელშეკრულებით მონაწილეს მინიჭებული აქვს საქმეთა მართვის უფლებამოსილება, საეჭვოობისას იგი ასევე უფლებამოსილია, წარმოადგინოს სხვა მონაწილეები მესამე პირების წინაშე.

§ 715. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ჩამორთმევა
თუ ამხანაგობის ხელშეკრულებით მონაწილე უფლებამოსილია, წარმოადგინოს სხვა მონაწილეები მესამე პირების წინაშე, მაშინ მას შეიძლება ჩამოერთვას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მხოლოდ § 712-ის პირველი ნაწილის თანახმად, ხოლო თუ ეს უკანასკნელი მინიჭებულ იქნა საქმეთა მართვის უფლებამოსილებასთან ერთად, მაშინ იგი შეიძლება ჩამოერთვას მხოლოდ ამ უფლებამოსილებასთან ერთად.

§ 716. მონაწილის კონტროლის უფლება
(1) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მონაწილე საქმეთა მართვაში მონაწილეობას არ იღებს, მას შეუძლია, პირადად გაეცნოს ამხანაგობის საქმეებს, შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები და დოკუმენტები და მათ საფუძველზე შეიქმნას წარმოდგენა ამხანაგობის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.
(2) ამ უფლების გამომრიცხავი ან შემზღუდველი შეთანხმება ხელს არ უშლის უფლების გამოყენებას, თუ არსებობს საქმეთა არაკეთილსინდისიერად მართვის ვარაუდის საფუძველი.

§ 717. მონაწილეთა უფლებების გადაცემის დაუშვებლობა
ამხანაგობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მონაწილეთა კუთვნილი მოთხოვნის უფლებები არ ექვემდებარება გადაცემას. გამონაკლისია მონაწილის კუთვნილი საქმეთა მართვიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები, თუ მათი დაკმაყოფილება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ამხანაგობის ქონების განაწილებამდე, ისევე როგორც მოთხოვნის უფლებები მოგებაში წილზე, ანდა იმ ქონების მიმართ, რასაც იღებს მონაწილე ამხანაგობის ქონების განაწილებისას.

§ 718. ამხანაგობის ქონება
(1) მონაწილეების შენატანები და ამხანაგობის საქმეთა მართვის შედეგად ამხანაგობისათვის შეძენილი საგნები ხდება მონაწილეთა საერთო ქონება (ამხანაგობის ქონება).
(2) ამხანაგობის ქონებას მიეკუთვნება, აგრეთვე, ის, რაც შეძენილ იქნა ამხანაგობის ქონებას მიკუთვნებული უფლების საფუძველზე ან ამხანაგობის ქონებას მიკუთვნებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევისათვის საზღაურის სახით.

§ 719. საერთო თანაზიარი ვალდებულებით-სამართლებრივი ბოჭვა
(1) მონაწილეს არ შეუძლია განკარგოს თავისი წილი ამხანაგობის ქონებაში და მას მიკუთვნებული ცალკეული საგნები; იგი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს გაყოფა.
(2) მოვალეს არ შეუძლია გაქვითოს ცალკეული მონაწილის მიმართ არსებული კუთვნილი მოთხოვნა იმ მოთხოვნის მიმართ, რომელიც მიეკუთვნება ამხანაგობის ქონებას.

§ 720. კეთილსინდისიერი მოვალის დაცვა
§ 718-ის პირველი ნაწილის თანახმად, შეძენილი ამხანაგობის ქონებაში შემავალი მოთხოვნის მოვალის მიმართ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელი შეიტყობს ამხანაგობის ქონებისადმი მიკუთვნების შესახებ; შესაბამისად, გამოიყენება §§ 406-408 ნორმები.

§ 721. მოგებისა და ზარალის განაწილება
(1) მონაწილეს შეუძლია მოითხოვოს დასკვნითი ბალანსი და მოგებისა და ზარალის განაწილება მხოლოდ ამხანაგობის გაუქმების შემდეგ.
(2) თუ ამხანაგობა დაფუძნებულია ხანგრძლივი ვადით, მაშინ, საეჭვოობისას, დასკვნითი ბალანსი უნდა შედგეს და მოგების განაწილება უნდა განხორციელდეს ყოველი სამეურნეო წლის დასრულებისას.

§ 722. წილები მოგებასა და ზარალში
(1) თუ მოგებასა და ზარალში მონაწილის წილები არ არის განსაზღვრული, მაშინ თითოეულ მონაწილეს მოგებასა და ზარალში აქვს თანაბარი წილი, მიუხედავად მისი შენატანის სახისა და სიდიდისა.
(2) თუ წილი განსაზღვრულია მხოლოდ მოგებაში ან ზარალში, მაშინ საეჭვოობისას მოქმედებს განსაზღვრება მოგებასა და ზარალისათვის.

§ 723. ხელშეკრულების შეწყვეტა მონაწილის მიერ
(1) თუ ამხანაგობა არ არის დაფუძნებული განსაზღვრული ვადით, მაშინ თითოეულ მონაწილეს შეუძლია მისი ნებისმიერ დროს შეწყვეტა. თუ ხელშეკრულების ვადა

განსაზღვრულია, მაშინ მის გასვლამდე ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია, თუკი არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი, კერძოდ:

1. თუ სხვა მონაწილემ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია მასზე დაკისრებული არსებითი ხასიათის ვალდებულება, ან თუ ასეთი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება;
2. თუ მონაწილეს შეუსრულდა თვრამეტი წელი.

მონაწილეს, რომელმაც მიაღწია სრულწლოვანებას, შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა №2-ის მიხედვით მხოლოდ სამი თვის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც მან შეიტყო, ან მას უნდა შეეტყო თავისი, როგორც მონაწილის, სტატუსის შესახებ. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება არ არსებობს, თუ მონაწილე, § 112-ის მიხედვით, უფლებამოსილი იყო, ამხანაგობის საქმიანობის საგანთან დაკავშირებით დამოუკიდებლად განეხორციელებინა მოგებაზე ორიენტირებული სამეწარმეო საქმიანობა, ან ამხანაგობის მიზანი იყო მხოლოდ მისი პირადი საჭიროებების დაკმაყოფილება. ანალოგიური წინაპირობების დაცვისას ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშე, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია.

(2) ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ვადამდე შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძველი. თუ მონაწილე წყვეტს ვადამდე ხელშეკრულებას ასეთი საფუძვლის გარეშე, მაშინ მან დანარჩენ მონაწილეებს უნდა აუნაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი.

(3) ბათილია შეთანხმება, რომლითაც ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება გამორიცხულია, ან აღნიშნული ნორმების საწინააღმდეგოდ შეზღუდულია.

§ 724. ხელშეკრულების შეწყვეტა სიცოცხლის ვადით დადებული ან გახანგრძლივებული ამხანაგობის ხელშეკრულების შემთხვევაში

თუ ამხანაგობა დაფუძნებულია მონაწილის სიცოცხლის ვადით, მაშინ იგი შეიძლება შეწყდეს იმავე წესით, როგორც განუსაზღვრელი ვადით დაფუძნებული ამხანაგობა. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ ამხანაგობა განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ უსიტყვოდ გრძელდება.

§ 725. ხელშეკრულების შეწყვეტა იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის მიერ

(1) თუ მონაწილის კრედიტორმა განახორციელა იძულებითი აღსრულება ამხანაგობის ქონებაში მონაწილის წილზე, მაშინ მას შეუძლია, შეწყვიტოს ამხანაგობის ხელშეკრულება, შეწყვეტის ვადის დაცვის გარეშე, თუ სააღსრულებო ფურცელი არ არის განკუთვნილი მხოლოდ დროებითი აღსრულებისათვის.

(2) მანამდე, სანამ ამხანაგობა არსებობს, კრედიტორს არ შეუძლია, ამხანაგობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მონაწილის უფლებების რეალიზაცია, გარდა მოგების განაწილებაზე მოთხოვნის უფლებისა.

§ 726. ამხანაგობის გაუქმება მიზნის მიღწევისა თუ მისი მიუღწევლობის გამო

ამხანაგობა წყდება, თუ შეთანხმებული მიზანი მიიღწევა, ან მისი მიღწევა შეუძლებელი ხდება.

§ 727. ამხანაგობის გაუქმება მონაწილის გარდაცვალების შედეგად

(1) ამხანაგობა უქმდება მონაწილის გარდაცვალების შედეგად, თუ ამხანაგობის ხელშეკრულებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

(2) ამხანაგობის გაუქმების შემთხვევაში გარდაცვლილი მონაწილის მემკვიდრემ გარდაცვალების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დანარჩენ მონაწილეებს და თუ დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხესთან, გააგრძელოს ამხანაგობის ხელშეკრულებით მისი მამკვიდრებლისთვის დაკისრებული საქმეები მანამდე, სანამ დანარჩენი მონაწილეები მასთან ერთად არ შეძლებენ სხვაგვარი აუცილებელი ზომების მიღებას. დანარჩენი მონაწილეები ვალდებულნი არიან, ანალოგიურად გააგრძელონ მათთვის დროებით დაკისრებული საქმეები. ამ ფარგლებში ამხანაგობა ითვლება გაგრძელებულად.

§ 728. ამხანაგობის გაუქმება ამხანაგობის ან მონაწილის გაკოტრების შედეგად

(1) ამხანაგობა უქმდება ამხანაგობის ქონებაზე გაკოტრების საქმისწარმოების გახსნით. თუ საქმისწარმოება წყდება მოვალის განცხადების საფუძველზე, ან უქმდება გაკოტრების გეგმის დამტკიცების შემდეგ, რომელიც ითვალისწინებს ამხანაგობის არსებობის გაგრძელებას, მაშინ მონაწილეებს შეუძლიათ, მიიღონ გადაწყვეტილება ამხანაგობის არსებობის გაგრძელების შესახებ.

(2) ამხანაგობა უქმდება მონაწილის ქონებაზე გაკოტრების საქმისწარმოების გახსნით. გამოიყენება § 727-ის მე-2 ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების ნორმა.

§ 729. საქმეთა მართვის უფლებამოსილების გაგრძელება

თუ ამხანაგობა უქმდება, მაშინ მონაწილის საქმეთა მართვის უფლებამოსილება მის სასარგებლოდ მაინც ითვლება გაგრძელებულად მანამდე, სანამ იგი შეიტყობს გაუქმების შესახებ, ან მას ამის შესახებ უნდა შეეტყო. ანალოგიური წესი მოქმედებს ამხანაგობიდან გამსვლელი მონაწილის საქმეთა მართვის უფლებამოსილების მიმართ, როდესაც ამხანაგობის არსებობა გრძელდება, ან მის მიერ უფლებამოსილების სხვაგვარად დაკარგვის შემთხვევაში.

§ 730. ამხანაგობის ქონების განაწილება, საქმეთა მართვა

(1) ამხანაგობის გაუქმების შემდეგ მონაწილეებს შორის ხორციელდება ამხანაგობის ქონების განაწილება, თუ ამხანაგობის ქონებაზე არ არის გახსნილი გაკოტრების საქმისწარმოება.

(2) მიმდინარე საქმეების შეწყვეტის, ამ მიზნისათვის აუცილებელი ახალი საქმეების დასაწყებად, ასევე ამხანაგობის ქონების მართვის უზრუნველსაყოფად ამხანაგობა ითვლება გახანგრძლივებულად იმდენად, რამდენადაც ამას ითხოვოს ამხანაგობის ქონების განაწილების მიზანი. თუმცა, საქმეთა მართვის უფლებამოსილება, რომელიც ამხანაგობის ხელშეკრულებით მინიჭებული აქვს მონაწილეს, ამხანაგობის გაუქმებით წყდება, თუ ხელშეკრულებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს; გაუქმების შემდეგ საქმეთა მართვის უფლებამოსილება ერთობლივად ეკუთვნის ყველა მონაწილეს.

§ 731. ამხანაგობის ქონების განაწილების პროცედურა

სხვა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ამხანაგობის ქონების განაწილება ხორციელდება §§ 732-735-ის მიხედვით. დანარჩენ ნაწილში გაყოფის მიმართ მოქმედებს საზიარო უფლებების შესახებ ნორმები.

§ 732. ნივთების დაბრუნება

ნივთები, რომლებიც მონაწილემ სარგებლობაში გადასცა ამხანაგობას, მას უნდა დაუბრუნდეს. მას არ შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია შემთხვევით დაკარგული ან გაუარესებული ნივთებისათვის.

§ 733. ამხანაგობის ვალების დაფარვა, შენატანის კომპენსაცია

(1) ამხანაგობის ქონებიდან, პირველ რიგში, უნდა დაიფაროს საერთო ვალები, მათ შორის, ის ვალები, რომლებიც კრედიტორების მიმართ მონაწილეთა შორის დაყოფილია ან რომელთათვისაც მონაწილის წინაშე დარჩენილი მონაწილეები პასუხს აგებენ როგორც მოვალეები. თუ ვალის გადახდის ვადა ჯერ არ არის დამდგარი, ან იგი სადავოა, მაშინ ვალის დასაფარად აუცილებელი თანხა უნდა დაკავდეს.

(2) ვალების დაფარვის შემდეგ დარჩენილი ამხანაგობის ქონებიდან უნდა ანაზღაურდეს შენატანები. იმ შენატანებისათვის, რომლებიც არ გამოიხატება ფულში, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ღირებულება, რომელიც ამ შენატანებს ჰქონდა მათი განხორციელების მომენტში. იმ შენატანებისათვის, რომლებიც გამოიხატება მომსახურების გაწევითა თუ ნივთის სარგებლობაში გადაცემით, კომპენსაცია არ შეიძლება იქნეს მოთხოვნილი.

(3) რამდენადაც ეს საჭიროა, ვალების დაფარვისა და შენატანების კომპენსაციისათვის ამხანაგობის ქონება ექვემდებარება ფულადი თანხით გამოხატვას.

§ 734. დარჩენილი ქონების განაწილება

თუ საერთო ვალების დაფარვისა და შენატანების კომპენსაციის შემდეგ რჩება ქონება, მაშინ იგი ეკუთვნის მონაწილეებს მოგებაში მათი წილების პროპორციულად.

§ 735. ზარალის შემთხვევაში დამატებითი შენატანის განხორციელების ვალდებულება

თუ ამხანაგობის ქონება საკმარისი არ არის საერთო ვალების დაფარვისა და შენატანების კომპენსაციისათვის, მაშინ მონაწილეებმა უნდა აანაზღაურონ ნაკლული თანხა ზარალში მათი წილების პროპორციულად. თუ ერთ-ერთი მონაწილისაგან შეუძლებელია მისგან კუთვნილი თანხის მიღება, მაშინ დარჩენილმა მონაწილეებმა დანაკარგი უნდა აანაზღაურონ იმავე პროპორციით.

§ 736. მონაწილის გასვლა ამხანაგობიდან, შემდგომი პასუხისმგებლობა

(1) თუ ამხანაგობის ხელშეკრულებაში დადგენილია, რომ მონაწილის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მონაწილის გარდაცვალების, ანდა მონაწილის ქონებაზე გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის შემთხვევაში ამხანაგობა დანარჩენი მონაწილეების მიერ უნდა გაგრძელდეს, მაშინ ამ მოვლენის დადგომისას ამხანაგობიდან გადის ის მონაწილე, რომელსაც ეს ეხება.

(2) აზრობრივად მოქმედებს პერსონალური საზოგადოებების მიმართ მოქმედი შემდგომი პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ წესები.

§ 737. მონაწილის გარიცხვა

თუ ამხანაგობის ხელშეკრულებაში დადგენილია, რომ მონაწილის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში ამხანაგობა დანარჩენი მონაწილეების მიერ უნდა გაგრძელდეს, მაშინ ის მონაწილე, რომელთანაც დაკავშირებულია გარემოება, რომელიც დანარჩენ მონაწილეებს ანიჭებს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას § 723-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების მიხედვით, შეიძლება გაირიცხოს ამხანაგობიდან. გარიცხვის უფლება ერთობლივად ეკუთვნის ყველა დანარჩენ მონაწილეს. გარიცხვა ხორციელდება გასარიცხი მონაწილის მიმართ გაკეთებული განცხადებით.

§ 738. ქონების განაწილება მონაწილის ამხანაგობიდან გასვლისას

(1) თუ მონაწილე გადის ამხანაგობიდან, მაშინ მისი წილი ამხანაგობის ქონებაში გადადის დანარჩენ მონაწილეებზე. ეს უკანასკნელები ვალდებულნი არიან, გამსვ-

ლელ მონაწილეს დაუბრუნონ ის ნივთები, რომლებიც მან ამხანაგობას, § 732-ის თანახმად, სარგებლობაში გადასცა, გაათავისუფლონ იგი საერთო ვალებისაგან და გადაუხადონ ის, რაც მას ერგებოდა ამხანაგობის ქონების განაწილების შემთხვევაში, ამხანაგობა რომ გაუქმებულიყო მისი გასვლის მომენტში. თუ საერთო ვალების გადახდის ვადა ჯერ არ არის დამდგარი, მაშინ დარჩენილ მონაწილეებს შეუძლიათ, გამსვლელ მონაწილეს ვალებისაგან გათავისუფლების ნაცვლად წარუდგინონ უზრუნველყოფა.
(2) ამხანაგობის ქონების ღირებულება, რამდენადაც ეს საჭიროა, უნდა დადგინდეს შეფასების გზით.

§ 739. პასუხისმგებლობა ნაკლული თანხისათვის
თუ ამხანაგობის ქონების ღირებულება საკმარისი არ არის საერთო ვალების დაფარვისა და შენატანების კომპენსაციისათვის, მაშინ გამსვლელმა მონაწილემ დანარჩენ მონაწილეებს უნდა აუნაზღაუროს ნაკლული თანხა ზარალში თავისი წილის პროპორციულად.

§ 740. მიმდინარე გარიგებების შედეგების განაწილება
(1) ამხანაგობიდან გასული მონაწილე მონაწილეობს მოგებასა და ზარალში, რომლებიც წარმოიშობა მისი ამხანაგობიდან გასვლის მომენტში მიმდინარე გარიგებებიდან. დანარჩენი მონაწილეები უფლებამოსილნი არიან, შეწყვიტონ ეს გარიგებები მათთვის მაქსიმალურად სარგებლიანად.
(2) ამხანაგობიდან გასულ მონაწილეს შეუძლია, ყოველი სამეურნეო წლის დასრულებისას მოითხოვოს ანგარიში ამ პერიოდში დასრულებული გარიგებების, მისთვის კუთვნილი თანხების გადახდისა და ინფორმაცია ჯერ კიდევ მიმდინარე გარიგებების მდგომარეობის შესახებ.

კარი 17. საზიარო უფლება

§ 741. წილადი საზიარო უფლება
თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება §§ 742-758-ის ნორმები, თუ კანონიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს (წილადი საზიარო უფლება).

§ 742. თანაბარი წილები
საეჭვოობისას ივარაუდება, რომ მოწილეებს აქვთ თანაბარი წილები.

§ 743. წილები ნაყოფზე. სარგებლობის უფლება
(1) თითოეულ მოწილეს აქვს თავისი წილის შესაბამისი ნაყოფის ნაწილი.
(2) თითოეულ მოწილეს აქვს უფლება, ისარგებლოს საზიარო საგნით იმდენად, რამდენადაც არ ადგება ზიანი დანარჩენ მოწილეთა თანასარგებლობას.

§ 744. ერთობლივი მართვა
(1) საზიარო საგნის მართვის უფლებამოსილება ერთობლივად ეკუთვნის მოწილეებს.
(2) თითოეული მოწილე უფლებამოსილია, საგნის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო ღონისძიებები განახორციელოს სხვა მოწილეთა თანხმობის გარეშე; მას შეუძ-

ლია მოითხოვოს, რომ სხვა მოწილეებმა ასეთ ღონისძიებებზე თავიანთი თანხმობა განაცხადონ წინასწარ.

§ 745. მართვა და სარგებლობა გადაწყვეტილებით

(1) ხმათა უმრავლესობით შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საზიარო საგნის თვისებების შესაბამისი სათანადო მართვისა და სარგებლობის შესახებ. ხმათა უმრავლესობა გამოითვლება წილების სიდიდის მიხედვით.

(2) თუ მართვა და სარგებლობა შეთანხმებით ან ხმათა უმრავლესობის გადაწყვეტილებით არ არის მოწესრიგებული, თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს მართვა და სარგებლობა სამართლიანი შეხედულების მიხედვით ყველა მოწილის ინტერესის გათვალისწინებით.

(3) დაუშვებელია საგნის არსებითი შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ან მისი მოთხოვნა. გამოყენების შედეგად სარგებელზე ცალკეული მოწილის უფლება, რომელიც შეესაბამება მის წილს, მოწილის თანხმობის გარეშე არ შეიძლება დაირღვეს.

§ 746. სამართლებრივი ძალა სინგულარული სამართალმემკვიდრეების მიმართ

თუ მოწილეებმა განსაზღვრეს საზიარო საგნის მართვისა და სარგებლობის წესი, მაშინ დადგენილი წესი მოქმედებს, აგრეთვე, სინგულარული სამართალმემკვიდრეების სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ.

§ 747. წილებისა და საზიარო საგნის განკარგვა

თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი. მთლიანად საზიარო საგნის განკარგვა მოწილეებს შეუძლიათ მხოლოდ ერთობლივად.

§ 748. ვალდებულებებისა და ხარჯების კისრების ტვირთი

თითოეული მოწილე სხვა მოწილეთა მიმართ ვალდებულია, თავისი წილის პროპორციულად იკისროს საზიარო საგანთან დაკავშირებული ვალდებულებები, ისევე როგორც შენახვის, მართვისა და საერთო სარგებლობის ხარჯები.

§ 749. მოთხოვნის უფლება საზიარო უფლების გაუქმების შესახებ

(1) თითოეულ მოწილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება.

(2) თუ შეთანხმებით გაუქმების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით, მაშინ გაუქმება მაინც შეიძლება იქნეს მოთხოვნილი, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი. ანალოგიური მოთხოვნის გათვალისწინებით, თუ განსაზღვრულია შეწყვეტის ვადა, გაუქმება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ვადის დაცვის გარეშე.

(3) ბათილია შეთანხმება, რომლითაც გაუქმების მოთხოვნის უფლება ამ წესების საწინააღმდეგოდ გამოირიცხება ან იზღუდება.

§ 750. გაუქმების გამორიცხვა გარდაცვალების შემთხვევაში

თუ მოწილეებმა საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება დროებით გამორიცხეს, მაშინ საეჭვოობისას შეთანხმება ძალას კარგავს მოწილის გარდაცვალებით.

§ 751. გაუქმების გამორიცხვა და სინგულარული სამართალმემკვიდრეები
თუ მოწილეებმა საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება სამუდამოდ ან დროებით გამორიცხეს, ანდა განსაზღვრეს შეწყვეტის ვადა, მაშინ შეთანხმება მოქმედებს, აგრეთვე, სინგულარული სამართალმემკვიდრეების სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ. თუ კრედიტორმა განახორციელა მოწილის წილზე იძულებითი აღსრულება, მაშინ მას შეუძლია საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა, შეთანხმების მიუხედავად, თუ სააღსრულებო ფურცელი არ არის განკუთვნილი მხოლოდ დროებითი აღსრულებისათვის.

§ 752. გაყოფა ნატურით
საზიარო უფლების გაუქმება ხორციელდება ნატურით გაყოფით, თუ საზიარო საგანი – ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა რამდენიმე საზიარო საგანი, ეს უკანასკნელები – შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე მოწილეთა წილების შესაბამისად. თანაბარი ნაწილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით.

§ 753. განაწილება გაყიდვით
(1) თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია, მაშინ საზიარო უფლების გაუქმება ხორციელდება საზიარო საგნის გაყიდვით, გირავნობის საგნის გაყიდვის შესახებ ნორმების თანახმად, ან მიწის ნაკვეთების შემთხვევაში – იძულებითი აუქციონის გზითა და ამონაგების განაწილებით. თუ საზიარო საგნის გასხვისება მესამე პირზე დაუშვებელია, მაშინ საგანი აუქციონზე უნდა გაიყიდოს მოწილეებს შორის.
(2) თუ გაყიდვის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, მაშინ თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს განმეორებითი გაყიდვა; თუმცა, მას ეკისრება ხარჯები, თუკი განმეორებითი ცდა წარუმატებელი აღმოჩნდება.

§ 754. საზიარო მოთხოვნების გაყიდვა
საზიარო მოთხოვნის გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი რეალიზაცია ჯერ არ შეიძლება. თუ რეალიზაცია შესაძლებელია, მაშინ ნებისმიერ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს საზიარო მოთხოვნის ერთობლივი რეალიზაცია.

§ 755. სოლიდარული ვალდებულების შესრულება
(1) თუ მოწილეები, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ იმ ვალდებულებისათვის, რომელიც მათ, § 748-ის თანახმად, უნდა შეასრულონ თავიანთი წილების პროპორციულად, ან რომელიც მათ იკისრეს ასეთი ვალდებულების შესრულების მიზნით, მაშინ საზიარო უფლების გაუქმებისას თითოეულ მოწილეს შეუძლია მოითხოვოს ვალის დაფარვა საზიარო საგნიდან.
(2) მოთხოვნის უფლება შეიძლება, აგრეთვე, გამოყენებულ იქნეს სინგულარული სამართალმემკვიდრეების მიმართ.
(3) თუ ვალის დაფარვის მიზნით აუცილებელია საზიარო საგნის გაყიდვა, ეს უკანასკნელი უნდა განხორციელდეს § 753-ის თანახმად.

§ 756. მოწილის ვალის დაფარვა
თუ მოწილეს სხვა მოწილის მიმართ აქვს მოთხოვნა, რომელიც ეფუძნება საზიარო უფლებას, მაშინ საზიარო უფლების გაუქმებისას მას შეუძლია მოითხოვოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება საზიარო საგნის იმ ნაწილიდან, რომელიც ერგება მოვალეს. გამოიყენება § 755-ის მე-2 და მე-3 ნაწილების ნორმები.

§ 757. გარანტია საზიარო საგნის ერთ-ერთი მოწილისათვის მიკუთვნებისას
თუ საზიარო უფლების გაუქმებისას საზიარო საგანი მიეკუთვნება ერთ-ერთ მოწილეს, მაშინ უფლებრივი ან ნივთობრივი ნაკლისათვის თავისი წილის შესაბამისად თითოეულმა დარჩენილმა მოწილემ გამყიდველის მსგავსად უნდა იკისროს გარანტია.

§ 758. საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლებისადმი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების დაუშვებლობა
საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

კარი 18. სამისდღეშიო რჩენა

§ 759. სარჩოს ვადა და თანხა
(1) პირმა, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას, საეჭვოობისას სარჩო უნდა იხადოს კრედიტორის სიცოცხლის ვადისათვის.
(2) სამისდღეშიო სარჩოსათვის განსაზღვრული თანხა საეჭვოობისას არის სარჩოს ყოველწლიური თანხა.

§ 760. წინასწარი გადახდა
(1) სამისდღეშიო სარჩო გადახდილ უნდა იქნეს წინასწარ.
(2) სამი თვის ფულადი სარჩო გადახდილ უნდა იქნეს წინასწარ; სხვა სახის სარჩოს შემთხვევაში დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც სარჩო წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი, განისაზღვრება მისი თვისებისა და მიზნის მიხედვით.
(3) თუ კრედიტორი ცოცხალია დროის იმ მონაკვეთის დასაწყისში, რომლის განმავლობაშიც სარჩო წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი, მაშინ მას ერგება დროის მონაკვეთისათვის გათვალისწინებული მთლიანი თანხა.

§ 761. სამისდღეშიო რჩენის შეპირების ფორმა
იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც ხდება სამისდღეშიო რჩენის შეპირება, საჭიროა წერილობითი ფორმის დაცვა, რამდენადაც სხვა ფორმა არ არის გათვალისწინებული. სამისდღეშიო რჩენის შეპირება ელექტრონული ფორმით გამორიცხულია, რამდენადაც შეპირება ემსახურება საოჯახოსამართლებრივი რჩენის უზრუნველყოფას.

კარი 19. არასრულყოფილი ვალდებულებები

§ 762. თამაში, სანაძლეო
(1) თამაშით ან სანაძლეოთი ვალდებულება არ წარმოიშობა. თამაშის ან სანაძლეოს საფუძველზე შესრულებული არ შეიძლება იქნეს უკან მოთხოვნილი იმის გამო, რომ ვალდებულება არ არსებობდა.
(2) ეს ნორმები მოქმედებს, აგრეთვე, იმ შეთანხმების მიმართ, რომლითაც დამარცხებული მხარე თამაშისა თუ სანაძლეოს ვალის შესრულების მიზნით კისრულობს ვალდებულებას მოგებული მხარის წინაშე, მათ შორის, ვალის აღიარების მიმართ.

§ 763. ლატარიისა და გათამაშების ხელშეკრულებები
ლატარიის ხელშეკრულება ან გათამაშების ხელშეკრულება მავალდებულებელია, თუ ლატარია ან გათამაშება ნებადართულია სახელმწიფოს მიერ. საწინააღმდეგო შემთხვევაში გამოიყენება § 762-ის ნორმები.

§ 764. *(გაუქმებულია)*

კარი 20. თავდებობა

§ 765. ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები თავდებობის შემთხვევაში
(1) თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს მესამე პირის კრედიტორს მესამე პირის ვალდებულების შესასრულებლად.
(2) თავდებობა შეიძლება მიცემულ იქნეს, აგრეთვე, სამომავლო და პირობითი ვალდებულებისათვის.

§ 766. თავდებობის განცხადების წერილობითი ფორმა
თავდებობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა თავდებობის განცხადების წერილობითი ფორმით წარდგენა. თავდებობის განცხადების ელექტრონული ფორმით წარდგენა გამორიცხულია. იმდენად, რამდენადაც თავდები ასრულებს ძირითად ვალდებულებას, ფორმის ნაკლი სწორდება.

§ 767. თავდებობის ვალდებულების ფარგლები
(1) თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. ეს წესი მოქმედებს, კერძოდ, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ძირითადი ვალდებულება შეიცვლება ძირითადი მოვალის ბრალის ან ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შედეგად. გარიგებით, რომელსაც ძირითადი მოვალე დადებს თავდებობის კისრების შემდეგ, თავდების ვალდებულება არ გაიზრდება.
(2) თავდები პასუხისმგებელია კრედიტორისათვის ძირითადი მოვალის მიერ ასანაზღაურებელი ხელშეკრულების შეწყვეტისა და სასამართლოში საქმის განხილვის ხარჯებისათვის.

§ 768. თავდების შესაგებელი
(1) თავდებს შეუძლია წამოაყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებელი. თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს იმ ფაქტზე, რომ მემკვიდრე ვალდებულებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ შეზღუდულად.
(2) თავდები არ კარგავს შესაგებლის უფლებას იმის გამო, რომ ძირითადი მოვალე უარს ამბობს მასზე.

§ 769. ერთობლივი თავდებობა
თუ ერთი და იმავე ვალდებულებისათვის თავდებობას კისრულობს რამდენიმე პირი, მაშინ ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები მაშინაც კი, როდესაც მათ თავდებობა ერთობლივად არ უკისრიათ.

§ 770. შესაგებელი გარიგების საცილოობასა და ვალდებულების გაქვითვაზე მითითებით

(1) თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ძირითად მოვალეს უფლება აქვს, საცილო გახადოს თავისი ვალდებულების საფუძვლად არსებული გარიგება.

(2) ანალოგიური უფლება აქვს თავდებს, ვიდრე კრედიტორს შეუძლია ძირითადი მოვალის ვადამოსული მოთხოვნის დაკმაყოფილება გაქვითვის გზით.

§ 771. თავდები პირის შესაგებლის უფლება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას (Einrede der Vorausklage)

თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი უშედეგოდ არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას (თავდები პირის შესაგებლის უფლება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას). თუ თავდები წარადგენს შესაგებელს, რომლითაც უარს აცხადებს კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას, თავდების მიმართ კრედიტორის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება მანამდე, სანამ კრედიტორი უშედეგოდ არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.

§ 772. კრედიტორის ვალდებულება იძულებით აღსრულებასა და რეალიზაციაზე

(1) თუ თავდებობა ნაკისრია ფულადი ვალდებულებისათვის, მაშინ იძულებითი აღსრულება ძირითადი მოვალის მოძრავი ნივთების მიმართ უნდა განხორციელდეს მის საცხოვრებელ ადგილზე, ხოლო თუ ძირითად მოვალეს აქვს საწარმოო ერთეული სხვა ადგილზე, ასევე ამ უკანასკნელზე, ანდა საცხოვრებელი ადგილისა და საწარმოო ერთეულის არარსებობისას – მის ადგილსამყოფელზე.

(2) თუ კრედიტორს აქვს გირავნობის უფლება ან დაკავების უფლება ძირითადი მოვალის მოძრავ ნივთზე, მაშინ იგი ასევე უნდა ეცადოს დაკმაყოფილების მიღებას ამ ნივთიდან; თუ კრედიტორს აქვს ანალოგიური უფლება ნივთზე ასევე სხვა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, მაშინ ეს წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნივთის ღირებულებიდან იფარება ორივე მოთხოვნა.

§ 773. თავდები პირის შესაგებლის უფლების, – უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას, – გამორიცხვა

(1) თავდების შესაგებლის უფლება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას, გამორიცხულია:

1. თუ თავდები უარს ამბობს შესაგებელზე, კერძოდ კი, თუ მან იკისრა თავდებობა როგორც დამოუკიდებელმა მოვალემ;
2. თუ ძირითადი მოვალის წინააღმდეგ სასამართლოში საქმისწარმოება არსებითად გაძნელდა თავდებობის კისრების შემდეგ მომხდარი ძირითადი მოვალის საცხოვრებელი ადგილის, საწარმოო ერთეულის ან ადგილსამყოფელის ცვლილების გამო;

3. თუ ძირითადი მოვალის ქონებაზე გაიხსნა გაკოტრების საქმისწარმოება;
4. თუ სავარაუდოა, რომ ძირითადი მოვალის ქონებაზე იძულებით აღსრულებას შედეგად არ მოჰყვება კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

(2) №№3, 4 შემთხვევებში შესაგებელი დასაშვებია იმდენად, რამდენადაც კრედიტორს შეუძლია მოთხოვნის დაკმაყოფილების მიღება ძირითადი მოვალის კუთვნილი მოძრავი ნივთიდან, რომელზეც მას აქვს გირავნობის უფლება ან დაკავების უფლება; გამოიყენება § 772-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა.

§ 774. მოთხოვნის კანონისმიერი გადასვლა

(1) იმდენად, რამდენადაც თავდები აკმაყოფილებს კრედიტორს, მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა ძირითადი მოვალის მიმართ. მოთხოვნის გადასვლა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრედიტორის ინტერესების საზიანოდ. ძირითადი მოვალის შესაგებელი, რომელიც ეფუძნება მასა და თავდებს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, უცვლელი რჩება.

(2) თანათავდებები ერთმანეთის მიმართ პასუხს აგებენ მხოლოდ § 426-ის მიხედვით.

§ 775. თავდების თავდებობისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება

(1) თუ თავდები იკისრებს თავდებობას ძირითადი მოვალის დავალებით, ან, თუ, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების მიხედვით, თავდებობის კისრების გამო აქვს რწმუნებულის უფლებები ძირითადი მოვალის მიმართ, მაშინ მას შეუძლია, ამ უკანასკნელისაგან მოითხოვოს თავდებობისაგან გათავისუფლება:

1. თუ ძირითადი მოვალის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა;
2. თუ ძირითადი მოვალის წინააღმდეგ სასამართლოში საქმისწარმოება არსებითად გაძნელდა თავდებობის კისრების შემდეგ მომხდარი ძირითადი მოვალის საცხოვრებელი ადგილის, საწარმოო ერთეულის ან ადგილსამყოფელის ცვლილების გამო;
3. თუ ძირითადი მოვალე გადააცილებს თავისი ვალდებულების შესრულების ვადას;
4. თუ კრედიტორმა თავდების წინააღმდეგ მიიღო სასამართლოს გადაწყვეტილება ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც ექვემდებარება აღსრულებას.

(2) თუ ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მოვალეს შეუძლია, ვალდებულებისაგან გათავისუფლების ნაცვლად თავდებს წარუდგინოს უზრუნველყოფა.

§ 776. უარი უზრუნველყოფაზე

თუ კრედიტორი უარს ამბობს მოთხოვნასთან დაკავშირებულ უპირატეს უფლებაზე, მის უზრუნველსაყოფად არსებულ იპოთეკასა თუ საზღვაო ხომალდზე დადგენილ იპოთეკაზე, მის უზრუნველსაყოფად არსებულ გირავნობის უფლებასა თუ თანათავდების მიმართ არსებულ უფლებაზე, მაშინ თავდები თავისუფლდება ვალდებულებისაგან იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი, § 774 მიხედვით, შეძლებდა ანაზღაურების მიღებას იმ უფლებიდან, რომელზეც მან უარი თქვა. ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევაშიც, თუ უფლება, რომელზეც კრედიტორმა უარი თქვა, წარმოიშვა მხოლოდ თავდებობის კისრების შემდეგ.

§ 777. ვადიანი თავდებობა
(1) თუ თავდებმა არსებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად თავდებობა იკისრა განსაზღვრული ვადით, მაშინ ამ ვადის გასვლის შემდეგ იგი თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ კრედიტორი, § 772 მიხედვით, დაუყოვნებლივ არ ახორციელებს მოთხოვნის რეალიზაციას, აგრძელებს საქმისწარმოებას არსებითი დაყოვნების გარეშე და დაუყოვნებლივ საქმისწარმოების დასრულების შემდეგ ატყობინებს თავდებს, რომ იგი მას წარუდგენს გადახდის მოთხოვნას. თუ თავდებს არა აქვს შესაგებლის უფლება, უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას, მაშინ იგი განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ კრედიტორი დაუყოვნებლივ არ წარუდგენს აღნიშნულ შეტყობინებას.
(2) თუ შეტყობინება კეთდება დროულად, მაშინ თავდების პასუხისმგებლობა, პირველი ნაწილის პირველი წინადადების შემთხვევაში, იზღუდება იმ მოცულობით, რომელიც ძირითად ვალდებულებას აქვს საქმისწარმოების დასრულების მომენტისათვის, ხოლო პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შემთხვევაში, – იმ მოცულობით, რომელიც ძირითად ვალდებულებას აქვს განსაზღვრული ვადის გასვლისას.

§ 778. კრედიტის გაცემის დავალება
პირი, რომელიც აძლევს დავალებას სხვა პირს, საკუთარი სახელითა და ხარჯით მესამე პირზე გასცეს სესხი ან ფინანსური დახმარება, სესხის ან ფინანსური დახმარებიდან გამომდინარე, მესამე პირის ვალდებულებისათვის მარწმუნებლის წინაშე პასუხს აგებს როგორც თავდები.

კარი 21. მორიგება

§ 779. მორიგების ცნება, შეცდომა მორიგების საფუძველში
(1) ხელშეკრულება, რომლითაც მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა ან გაურკვევლობა აღმოიფხვრება ურთიერთდათმობის გზით (მორიგება), სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე საფუძვლად გამოყენებული ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება სინამდვილეს და დავა ან გაურკვევლობა არ წარმოიშობოდა, მხარეებს რომ საქმის ნამდვილი მდგომარეობა სცოდნოდათ.
(2) სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით გაურკვევლობას უთანაბრდება ისეთი შემთხვევა, როდესაც მოთხოვნის უფლების განხორციელება საეჭვოა.

კარი 22. ვალის შეპირება, ვალის აღიარება

§ 780. ვალის შეპირება
იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც ხდება ვალდებულების შესრულების შეპირება ისე, რომ შეპირება თავისთავად უნდა წარმოშობდეს ვალდებულებას (ვალის შეპირება), საჭიროა შეპირების წერილობით გაცემა, თუ სხვა ფორმა არ არის დადგენილი. შეპირების ელექტრონული ფორმით გაცემა გამორიცხულია.

§ 781. ვალის აღიარება
იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც ხდება არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის აღიარება (ვალის აღიარება), საჭიროა აღიარების განცხადების წერილობით გაცემა. აღიარების განცხადების ელექტრონული ფორმით გაცემა გამორიცხულია. თუ იმ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის დასადგენად, რომლის არსებობის აღიარება ხდება, დადგენილია სხვა ფორმა, მაშინ ვალის აღიარების ხელშეკრულება საჭიროებს ამ ფორმას.

§ 782. ფორმის თავისუფლება მორიგების შემთხვევაში
თუ ვალის შეპირება ან ვალის აღიარება ხორციელდება გადახდისა თუ მორიგების გზით, მაშინ §§ 780, 781-ით გათვალისწინებული წერილობითი ფორმის დაცვა სავალდებულო არ არის.

კარი 23. ორდერი

§ 783. ორდერიდან გამომდინარე უფლებები
თუ პირი მესამე პირს გადასცემს დოკუმენტს, რომელშიც იგი აძლევს განკარგულებას სხვა პირს ფულის, ფასიანი ქაღალდების ან სხვა მოძრავი ნივთების მესამე პირისათვის გაცემაზე, მაშინ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, საკუთარი სახელით მოითხოვოს გადამხდელის მიერ ვალდებულების შესრულება; გადამხდელი უფლებამოსილია დააკმაყოფილოს შესრულების მიმღები ორდერის გამცემის ხარჯზე.

§ 784. განკარგულების მიღება
(1) თუ გადამხდელი იღებს ორდერს, მაშინ იგი ვალდებულია, განახორციელოს შესრულება შესრულების მიმღების მიმართ; მას შეუძლია, ამ უკანასკნელს დაუპირისპიროს მხოლოდ ისეთი შესაგებელი, რომელიც ეხება მიღების ნამდვილობას ან გამომდინარეობს ორდერის ან მიღების შინაარსიდან, ანდა შესრულების მიმღების მიმართ უშუალოდ ეკუთვნის გადამხდელს.
(2) მიღება ხორციელდება ორდერზე წერილობითი აღნიშვნით. თუ ორდერზე აღნიშვნა კეთდება ორდერის შესრულების მიმღებისათვის გადაცემამდე, მაშინ მიღება ამ უკანასკნელის მიმართ ძალაშია მხოლოდ გადაცემის მომენტიდან.

§ 785. ორდერის გადაცემა
გადამხდელი ვალდებულია შესრულებაზე მხოლოდ ორდერის გადმოცემის სანაცვლოდ.

§ 786. *(გაუქმებულია)*

§ 787. ორდერი ვალის კისრებაზე
(1) ვალის კისრებაზე ორდერის შემთხვევაში, გადამხდელი თავისუფლდება ვალდებულებისაგან ამ ვალის ოდენობის შესრულებით.
(2) ორდერის მიღებასა თუ შესრულების მიმღების მიმართ შესრულებაზე გადამხდელი ორდერის გამცემის წინაშე არ არის ვალდებული მარტო იმის გამო, რომ იგი ორდერის გამცემის მოვალეა.

§ 788. სავალუტო ურთიერთობა
თუ ორდერის გამცემი ორდერს გასცემს შესრულების მიმღების წინაშე თავისი ვალდებულების შესრულების მიზნით, მაშინ გადამხდელის ვალდებულების შესრულება ხორციელდება მხოლოდ გადამხდელის მხრიდან შესრულების მიმღების მიმართ შესრულებით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გადამხდელი ორდერს იღებს.

§ 789. შესრულების მიმღების შეტყობინების ვალდებულება
თუ გადამხდელი უარს ამბობს ორდერის მიღებაზე ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე, ან თუ იგი უარს ამბობს ვალდებულების შესრულებაზე, მაშინ შესრულების მიმღებმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს ორდერის გამცემს. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ შესრულების მიმღებს არ შეუძლია, ან არ სურს ორდერის რეალიზაცია.

§ 790. ორდერის გამოთხოვა
ორდერის გამცემს შეუძლია ორდერი გამოითხოვოს გადამხდელისაგან მანამდე, სანამ ეს უკანასკნელი არ მიიღებს მას შესრულების მიმღების მიმართ, ან არ განახორციელებს შესრულებას. ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ ორდერის გამცემი ორდერის გამოთხოვით არღვევს შესრულების მიმღების მიმართ მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.

§ 791. მონაწილის გარდაცვალება ან ქმედუუნარობა
ორდერი არ უქმდება ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალების ან მისი ქმედუუნარობის დადგომის გამო.

§ 792. ორდერის გადაცემა
(1) შესრულების მიმღებს მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებით შეუძლია ორდერი გადასცეს ამ უკანასკნელს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი ჯერ კიდევ არ არის მიღებული. გადაცემის განცხადება მოითხოვს წერილობით ფორმას. გადაცემისათვის საჭიროა ორდერის მესამე პირისათვის ფაქტობრივი გადაცემა.
(2) ორდერის გამცემს შეუძლია გადაცემის გამორიცხვა. გამორიცხვა გადამხდელის მიმართ ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამომდინარეობს ორდერიდან ან თუ იგი ორდერის გამცემის მიერ გადამხდელისათვის შეტყობინებულია მანამდე, სანამ ეს უკანასკნელი მიიღებს ორდერს, ან განახორციელებს შესრულებას.
(3) თუ გადამხდელი იღებს ორდერს შემძენის მიმართ, მაშინ მას არ შეუძლია წარადგინოს შესაგებელი მასა და შესრულების მიმღებს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. დანარჩენ ნაწილში ორდერის გადაცემის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება მოთხოვნის დათმობის მიმართ მოქმედი ნორმები.

კარი 24. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი

§ 793. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე უფლებები
(1) თუ პირმა გასცა დოკუმენტი, რომელშიც იგი დოკუმენტის მფლობელს ჰპირდება ვალდებულების შესრულებას (საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი), მაშინ მფლობელს შეუძლია მოსთხოვოს მას შესრულება შეპირების მიხედვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი არ არის უფლებამოსილი დოკუმენტის განკარგვაზე. თუმ-

ცა, დოკუმენტის გამცემი თავისუფლდება ვალდებულებისაგან ისეთი მფლობელის მიმართ შესრულების განხორციელებითაც, რომელიც არ არის უფლებამოსილი დოკუმენტის განკარგვაზე.
(2) ხელმოწერის ნამდვილობა შეიძლება დამოკიდებული გახდეს დოკუმენტში გათვლისწინებული სპეციალური ფორმის დაცვაზე. ხელმოწერისთვის საკმარისია მისი მექანიკური რეპროდუქციული საშუალებით გაკეთება.

§ 794. დოკუმენტის გამცემის პასუხისმგებლობა
(1) საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე, დოკუმენტის გამცემი ვალდებულია მაშინაც კი, თუ იგი მას მოჰპარეს, ან დოკუმენტი დაიკარგა, ანდა მისი ნების საწინააღმდეგოდ სხვაგვარად აღმოჩნდა მიმოქცევაში.
(2) საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის სამართლებრივ ძალაზე არ მოქმედებს ის ფაქტი, რომ დოკუმენტი გაიცა იმის შემდეგ, როდესაც დოკუმენტის გამცემი გარდაიცვალა, ან ქმეუდუუნარო გახდა.

§ 795. *(გაუქმებულია)*

§ 796. დოკუმენტის გამცემის შესაგებელი
დოკუმენტის გამცემს შეუძლია, საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის მფლობელს წაუყენოს მხოლოდ ისეთი შესაგებელი, რომელიც ეხება გაცემის ნამდვილობას ან გამომდინარეობს დოკუმენტიდან, ანდა მფლობელის მიმართ უშუალოდ ეკუთვნის გამცემს.

§ 797. შესრულების ვალდებულება მხოლოდ გადმოცემის სანაცვლოდ
დოკუმენტის გამცემი ვალდებულია შესრულებაზე მხოლოდ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის გადმოცემის სანაცვლოდ. გადმოცემის მომენტიდან იგი იძენს საკუთრების უფლებას დოკუმენტზე მაშინაც კი, თუ მფლობელი დოკუმენტის განკარგვაზე უფლებამოსილი არ არის.

§ 798. შემცვლელი დოკუმენტი
თუ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი დაზიანების ან დამახინჯების შედეგად აღარ არის ვარგისი მიმოქცევისთვის, მაშინ იმდენად, რამდენადაც დოკუმენტის არსებითი შინაარსი და განმასხვავებელი ნიშნები ჯერ კიდევ აშკარად შესამჩნევია, მფლობელს შეუძლია დაზიანებული ან დამახინჯებული საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის სანაცვლოდ გამცემისაგან ახალი საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის გაცემის მოთხოვნა. ხარჯები ეკისრება მფლობელს, რომლებიც მან უნდა გაიღოს წინასწარ.

§ 799. დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადება
(1) დაკარგული ან განადგურებული საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი შეიძლება, გამოწვევითი წარმოების წესების მიხედვით, გამოცხადდეს ძალადაკარგულად, თუ დოკუმენტში საწინააღმდეგო წესი არ არის გათვალისწინებული. გამონაკლისია პროცენტული, სარენტო და დივიდენდების კუპონები, ისევე როგორც წარმოდგენისას გადასახდელი უპროცენტო ფასიანი ქაღალდები.
(2) დოკუმენტის გამცემი ვალდებულია, თავდაპირველ მფლობელს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია გამოწვევითი წარმოებისა თუ გადახდის აკრძალვისათვის და გასცეს საჭირო მოწმობები. მოწმობების

ხარჯები ეკისრება თავდაპირველ მფლობელს, რომლებიც მან უნდა გაიღოს წინასწარ.

§ 800. დოკუმენტის ძალადაკარგულად გამოცხადების სამართლებრივი შედეგი
თუ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი გამოცხადდა ძალადაკარგულად, მაშინ პირს, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული სასამართლოს განჩინება გამოწვევით წარმოებაში პრეტენზიების წარდგენის გამორიცხვის შესახებ, – დოკუმენტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების განხორციელების უფლებამოსილების შეზღუდვის გარეშე, – შეუძლია, ძალადაკარგული საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის ნაცვლად, მოითხოვოს ახალი ფასიანი ქაღალდის გაცემა. ამ პირს ეკისრება ხარჯები, რომლებიც მან უნდა გაიღოს წინასწარ.

§ 801. მოთხოვნის უფლების გაუქმება; ხანდაზმულობა
(1) საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება უქმდება 30 წლის ვადის გასვლისას ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის დადგომის შემდეგ, თუ დოკუმენტი არ იქნა წარდგენილი გამცემისათვის გადასახდევინებლად 30 წლის ვადის გასვლამდე. თუ დოკუმენტი წარედგინება გადასახდევინებლად, მაშინ მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია წარდგენის ვადის გასვლიდან ორი წლის ვადაში. წარდგენას უთანაბრდება დოკუმენტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების სასამართლო წესით განხორციელება.
(2) პროცენტული, სარენტო და დივიდენდების კუპონების შემთხვევაში, წარდგენის ვადა შეადგენს ოთხ წელს. ვადის დენა იწყება იმ წლის გასვლის მომენტიდან, რომელშიც დგება ვალდებულების შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა.
(3) წარდგენის ვადის ხანგრძლივობა და საწყისი მომენტი შეიძლება დოკუმენტის გამცემის მიერ დოკუმენტში განსხვავებულად განისაზღვროს.

§ 802. გადახდის აკრძალვა
წარდგენის ვადის ხანგრძლივობა და საწყისი მომენტი, ასევე ხანდაზმულობის ვადის დენა განმცხადებლის სასარგებლოდ ჩერდება გადახდის აკრძალვით. შეჩერება იწყება გადახდის აკრძალვის შესახებ განცხადების წარდგენის მომენტიდან. იგი წყდება გამოწვევითი წარმოების დასრულებით და თუ გადახდის აკრძალვის განკარგვა გაკეთდა წარმოების დაწყებამდე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წარმოების დაწყების ხელისშემშლელი გარემოების აღმოფხვრიდან გავიდა ექვსი თვე და დაწყებამდე არ იქნა წარდგენილი განცხადება. ამ ვადის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 206, 210, 211-ის ნორმები.

§ 803. პროცენტიანი კუპონები
(1) თუ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდისათვის გაიცემა პროცენტიანი კუპონები, მაშინ კუპონები ძალაში რჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ძირითადი მოთხოვნა უქმდება ან პროცენტის გადახდის ვალდებულება წყდება, ან იცვლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი შეიცავს საწინააღმდეგო დებულებას.
(2) თუ აღნიშნული პროცენტიანი კუპონები ძირითადი საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის გადახდისას არ ბრუნდება, მაშინ დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილია, დააკავოს ის თანხა, რომლის კუპონისათვის გადახდაც მას ევალება, პირველი ნაწილის თანახმად.

§ 804. პროცენტიანი ან მსგავსი კუპონების დაკარგვა
(1) თუ პროცენტული, სარენტო ან დივიდენდების კუპონი დაიკარგა ან განადგურდა და თავდაპირველმა მფლობელმა დანაკარგის შესახებ დოკუმენტის გამცემს შეატყობინა დოკუმენტის წარდგენის ვადის დაწყებამდე, მაშინ თავდაპირველ მფლობელს შეუძლია, ვადის გასვლის შემდეგ დოკუმენტის გამცემისაგან მოითხოვოს ვალდებულების შესრულება. მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ დაკარგული კუპონი წარედგინება დოკუმენტის გამცემს გადასახდელად, ან კუპონიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების რეალიზაცია ხდება სასამართლო წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დოკუმენტის წარდგენა ან სასამართლო წესით რეალიზაცია ხორციელდება ვადის გასვლის შემდეგ. მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოთხ წელს.
(2) პირველ ნაწილში გათვალისწინებული პროცენტული, სარენტო ან დივიდენდების კუპონში მოთხოვნის უფლება შეიძლება გამოირიცხოს.

§ 805. ახალი პროცენტული და სარენტო კუპონები
საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდისათვის დაუშვებელია, ახალი პროცენტული და სარენტო კუპონები გაიცეს მათ მიღებაზე უფლებამოსილ დოკუმენტის მფლობელზე (განახლებული კუპონი), თუ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის მფლობელმა გააპროტესტა გაცემა. კუპონები ამ შემთხვევაში უნდა გადაეცეს საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის მფლობელს, თუ ეს უკანასკნელი წარადგენს საწარმდგენლო ფასიან ქაღალდს.

§ 806. ხელახალი სახელობითი რეგისტრაცია
საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის ხელახალი რეგისტრაცია განსაზღვრული უფლებამოსილი პირის სახელზე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დოკუმენტის გამცემის მიერ. დოკუმენტის გამცემი არ არის ვალდებული გადაწერაზე.

§ 807. საწარმდგენლო ბილეთები და ტალონები
თუ საწარმდგენლო ბილეთები, ტალონები ან მსგავსი დოკუმენტები, რომლებშიც კრედიტორი მითითებული არ არის, გაიცემა დოკუმენტების გამცემის მიერ იმ გარემოებების არსებობისას, რომელთაგანაც ნათელია, რომ ამ უკანასკნელს სურს ვალდებულების შესრულების კისრება მფლობელის წინაშე. მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 793-ის პირველი ნაწილისა და §§ 794, 796, 797-ის ნორმები.

§ 808. სახელობითი ფასიანი ქაღალდები წარმომდგენზე გადახდის დათქმით
(1) თუ დოკუმენტი, რომელშიც დასახელებულია კრედიტორი, გაცემულია იმ დათქმით, რომ დოკუმენტში შეპირებული ვალდებულების შესრულება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი მფლობელის მიმართ, მაშინ მოვალე თავისუფლდება ვალდებულებისაგან დოკუმენტის მფლობელის მიმართ შესრულებით. მფლობელი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება.
(2) მოვალე ვალდებულია შესრულებაზე მხოლოდ დოკუმენტის გადმოცემის სანაცვლოდ. თუ დოკუმენტი დაიკარგა ან განადგურდა, მაშინ იგი შეიძლება, გამოწვევითი წარმოების წესების მიხედვით, გამოცხადდეს ძალადაკარგულად, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი. ᲮᲮანდაზმულობისათვის გამოიყენება § 802-ში მოცემული ნორმები.

კარი 25. ნივთების წარდგენა

§ 809. ნივთის შემოწმება
პირს, რომელსაც ნივთის მფლობელის მიმართ ნივთთან დაკავშირებით აქვს მოთხოვნის უფლება, ან სურს, დარწმუნდეს, ეკუთვნის თუ არა მას ასეთი მოთხოვნის უფლება, და თუ ამ მიზეზით მას აინტერესებს ნივთის შემოწმება, შეუძლია, მოითხოვოს ნივთის მფლობელის მიერ მისთვის ნივთის შესამოწმებლად წარდგენა ან შესამოწმებლად ნებართვის მიცემა.

§ 810. დოკუმენტის გაცნობა
პირს, რომელსაც აქვს სხვა პირის მფლობელობაში არსებული დოკუმენტის გაცნობის კანონიერი ინტერესი, შეუძლია, მფლობელისაგან მოითხოვოს გასაცნობად ნებართვის მიცემა, თუ დოკუმენტი შედგენილია მის ინტერესში, ან თუ დოკუმენტში დადასტურებულია მასა და სხვა პირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, ანდა, თუ დოკუმენტი შეიცავს გარიგების შესახებ მოლაპარაკებებს, რომლებიც წარმოებულ იქნა მასა და სხვა პირს შორის, ანდა ერთ-ერთ მათგანსა და საერთო შუამავალს შორის.

§ 811. წარდგენის ადგილი, რისკი და ხარჯები
(1) §§ 809, 810-ში მოცემულ შემთხვევებში წარდგენა უნდა განხორციელდეს იმ ადგილზე, სადაც მდებარეობს წარსადგენი ნივთი. ყოველ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ნივთის წარდგენა სხვა ადგილზე, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი.
(2) რისკი და ხარჯები ეკისრება იმ პირს, რომელიც ითხოვს წარდგენას. მფლობელს შეუძლია, უარი თქვას წარდგენაზე მანამდე, სანამ მეორე მხარე წინასწარ არ დაფარავს ხარჯებს და არ წარადგენს რისკის უზრუნველყოფას.

კარი 26. უსაფუძვლო გამდიდრება

§ 812. ქონების გადმოცემის მოთხოვნის უფლება
(1) პირი, რომელიც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულების ან სხვაგვარად ამ უკანასკნელის ხარჯზე რაიმეს იძენს, ვალდებულია, მიღებული გადასცეს მას. ეს ვალდებულება არსებობს მაშინაც, როდესაც სამართლებრივი საფუძველი მოგვიანებით გაუქმდა ან გარიგების შინაარსის მიხედვით ვალდებულების შესრულებით დასახული შედეგი არ დგება.
(2) შესრულებად მიიჩნევა, აგრეთვე, ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის აღიარება.

§ 813. ვალდებულების შესრულება შესაგებლის მიუხედავად
(1) ვალდებულების შესრულების მიზნით განხორციელებული შესრულება შეიძლება ასევე იქნეს უკან მოთხოვნილი, თუ მოთხოვნის უფლებას დაუპირისპირეს ისეთი შესაგებელი, რომლითაც მოთხოვნის უფლების განხორციელება გამორიცხული იყო ხანგრძლივი დროის განმავლობაში. § 214-ის მე-2 ნაწილის ნორმა უცვლელი რჩება.
(2) თუ ვადიანი ვალდებულება სრულდება ვადის გასვლამდე, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია; შუალედური პროცენტების ანაზღაურების მოთხოვნა დაუშვებელია.

§ 814. ვალის არარსებობის შესახებ ცოდნა
დაუშვებელია ვალდებულების შესრულების მიზნით განხორციელებული შესრულების უკან მოთხოვნა, თუ შემსრულებელმა იცოდა, რომ იგი არ იყო ვალდებული შესრულებაზე ან, თუ შესრულება შეესაბამებოდა ზნეობრივ მოვალეობას, ან მხედველობაში მისაღებ ზრდილობის ნორმებს.

§ 815. შედეგის მიუღწევლობა
ვალდებულების შესრულებით დასახული შედეგის მიუღწევლობის გამო უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ შედეგის დადგომა თავიდანვე შეუძლებელი იყო და ვალდებულების შემსრულებელმა ამის შესახებ იცოდა, ან თუ ამ უკანასკნელმა შედეგის დადგომას კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ შეუშალა ხელი.

§ 816. განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ
(1) თუ არაუფლებამოსილი პირი განკარგავს ნივთს და ასეთი განკარგვა უფლებამოსილი პირის მიმართ ძალმოსილია, მაშინ იგი ვალდებულია, უფლებამოსილ პირს დაუბრუნოს განკარგვის შედეგად მიღებული. თუ განკარგვა ხორციელდება უსასყიდლოდ, მაშინ ანალოგიური ვალდებულება ეკისრება იმ პირს, რომელიც განკარგვის შედეგად უშუალოდ იღებს სამართლებრივ სარგებელს.
(2) თუ ვალდებულების შესრულება ხორციელდება არაუფლებამოსილი პირის მიმართ და ასეთი განკარგვა უფლებამოსილი პირის მიმართ ძალმოსილია, მაშინ არაუფლებამოსილი პირი ვალდებულია, უფლებამოსილ პირს დაუბრუნოს შესრულების შედეგად მიღებული.

§ 817. კანონისა თუ ზნეობის ნორმების დარღვევა
თუ ვალდებულების შესრულების მიზანი გამოიხატა იმით, რომ შესრულების მიმღებმა მისი მიღებით დაარღვია კანონის ან ზნეობის ნორმები, მაშინ მიმღები ვალდებულია, დააბრუნოს მიღებული. უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ ასეთ დარღვევაში ბრალი ასევე მიუძღვის შემსრულებელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესრულება გამოიხატებოდა ვალდებულების კისრებაში; ასეთი ვალდებულების შესრულების მიზნით შესრულებულის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია.

§ 818. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლების მოცულობა
(1) უკან დაბრუნების ვალდებულება ვრცელდება მიღებულ სარგებელზე, ისევე როგორც იმაზე, რასაც მიმღები იძენს მიღებული უფლების საფუძველზე ან საზღაურის სახით შეძენილი საგნის განადგურების, დაზიანებისა თუ ჩამორთმევისათვის.
(2) თუ უკან დაბრუნება შეუძლებელია მიღებული ქონების თვისების გამო, ან, თუ მიმღები სხვა საფუძვლიდან გამომდინარე უუნაროა, დააბრუნოს იგი, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს ქონების ღირებულება.
(3) უკან დაბრუნების ან ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება გამორიცხულია იმდენად, რამდენადაც მიმღები აღარ გამდიდრებულა.
(4) სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების მომენტიდან მიმღები პასუხისმგებელია ზოგადი ნორმების თანახმად.

§ 819. გამკაცრებული პასუხისმგებლობა კანონისა თუ ზნეობის ნორმების დარღვევის შესახებ ცნობის შემთხვევაში

(1) თუ შესრულების მიმღებმა მიღების მომენტში იცის სამართლებრივი საფუძვლის ხარვეზის შესახებ, ან მის შესახებ მოგვიანებით შეიტყობს, მაშინ იგი ვალდებულია უკან დაბრუნებაზე მიღების ან ხარვეზის შესახებ შეტყობის მომენტიდან, ისე, თითქოს უკან დაბრუნებაზე მოთხოვნის უფლება ამ მომენტისთვის იხილებოდა სასამართლო წესით.

(2) თუ მიმღები შესრულების მიღებით არღვევს საკანონმდებლო აკრძალვასა თუ ზნეობის ნორმებს, მაშინ იგი ასევე არის ვალდებული უკან დაბრუნებაზე შესრულების მიღების მომენტიდან.

§ 820. გამკაცრებული პასუხისმგებლობა შედეგის დადგომის საეჭვოობის შემთხვევაში

(1) თუ ვალდებულების შესრულების მიზანი იყო შედეგის მიღწევა, რომლის დადგომა გარიგების შინაარსის მიხედვით საეჭვოდ ჩანდა, მაშინ, შედეგის დაუდგომლობის შემთხვევაში, შესრულების მიმღები ვალდებულია უკან დაბრუნებაზე, ისე, თითქოს უკან დაბრუნებაზე მოთხოვნის უფლება მიღების მომენტისთვის იხილებოდა სასამართლო წესით. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ ვალდებულების შესრულება განხორციელდა იმ სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, რომლის გაუქმებაც გარიგების შინაარსის მიხედვით შესაძლებლად მიიჩნეოდა და სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს.

(2) შესრულების მიმღებმა უნდა გადაიხადოს პროცენტი მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც იგი შეიტყობს, რომ შედეგი არ დადგა, ან სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს; იგი ვალდებული არ არის სარგებლის უკან დაბრუნებაზე იმდენად, რამდენადაც ამ მომენტისათვის აღარ გამდიდრებულა.

§ 821. უსაფუძვლო გამდიდრების მიმართ შესაგებელი

პირს, რომელიც სამართლებრივი საფუძვლის გარეშე კისრულობს ვალდებულებას, შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე მაშინაც კი, როდესაც ვალდებულებისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია.

§ 822. მესამე პირის მიერ უკან დაბრუნების ვალდებულება

თუ შესრულების მიმღები მიღებულ ქონებას უსასყიდლოდ გადასცემს მესამე პირს და ამის შედეგად მიმღების მიერ უსაფუძვლოდ გამდიდრების შედეგად მიღებულის უკან დაბრუნების ვალდებულების შესრულება გამორიცხულია, მაშინ მესამე პირი ვალდებულია უკან დაბრუნებაზე ისე, თითქოს მან მიიღო იგი კრედიტორისაგან სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

კარი 27. დელიქტები

§ 823. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

(1) პირი, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით აყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს, სხეულს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, საკუთრების უფლებას ან სხვა უფლებას, ვალდებულია, აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამოწვეული ზიანი.

(2) ანალოგიური ვალდებულება ეკისრება იმ პირს, რომელიც არღვევს,სხვა პირის ინტერესების დაცვისაკენ მიმართულ კანონს; თუ, კანონის შინაარსის თანახმად,

მისი დარღვევა შესაძლებელია ასევე ბრალის გარეშეც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება მხოლოდ ბრალის არსებობისას.

§ 824. პირის კრედიტუნარიანობისადმი ნდობისათვის საფრთხის შექმნა

(1) პირი, რომელიც აცხადებს ან ავრცელებს სინამდვილესთან შეუსაბამო ფაქტს, რომლითაც საფრთხე ექმნება სხვა პირის კრედიტუნარიანობისადმი ნდობას, ან რომლითაც ამ უკანასკნელის სამეწარმეო საქმიანობასა თუ არსებობისათვის აუცილებელ სახსრებს ადგება სხვაგვარი ზიანი, ვალდებულია, აუნაზღაუროს ამ პირს ამით გამოწვეული ზარალი მაშინაც კი, როცა, შესაძლებელია, არ იცოდა ფაქტის სინამდვილესთან შეუსაბამობის შესახებ, თუმცა, უნდა სცოდნოდა.

(2) პირს, რომელიც ავრცელებს ცნობას ისე, რომ არ იცის მისი სინამდვილესთან შეუსაბამობის შესახებ, არ ეკისრება ზიანის ანაზღაურება, თუ მას ან ცნობის მიმღებს აქვთ ცნობის მიღების გამართლებული ინტერესი.

§ 825. სქესობრივი ხასიათის მოქმედებებზე დაყოლიება

პირი, რომელიც მოტყუებით, მუქარითა თუ დამოკიდებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით დაიყოლიებს სხვა პირს სქესობრივი ხასიათის მოქმედებების განხორციელებასა თუ თმენაზე, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ამით მიყენებული ზიანი.

§ 826. ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ განზრახ ზიანის მიყენება

პირი, რომელიც ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ განზრახ აყენებს ზიანს სხვა პირს, ვალდებულია, ამ უკანასკნელს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

§ 827. პასუხისმგებლობის გამორიცხვა და შემცირება

პირი, რომელიც დაკარგული ცნობიერების ან ისეთი ავადმყოფური ფსიქიკური აშლილობის მდგომარეობაში, რომელიც გამორიცხავს ნების თავისუფალ დადგენას, ზიანს აყენებს სხვა პირს, პასუხს არ აგებს ამ ზიანისათვის. თუ მან თავად დროებით ჩაიყენა თავისი თავი ასეთ მდგომარეობაში, ალკოჰოლური სასმელებისა თუ მსგავსი საშუალებების გამოყენებით, მაშინ იგი ამ მდგომარეობაში კანონსაწინააღმდეგოდ მიყენებული ზიანისათვის ისე აგებს პასუხს, თითქოს გაუფრთხილებელი ბრალი მიუძღვის; პასუხისმგებლობის საკითხი არ დგება, თუ იგი ბრალის გარეშე აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში.

§ 828. არასრულწლოვნები

(1) პირი, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის, პასუხს არ აგებს მის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის გამო.

(2) პირი, რომელსაც შეუსრულდა შვიდი წელი, თუმცა, არ მიუღწევია ათი წლის ასაკისათვის, პასუხს არ აგებს იმ ზიანის გამო, რომელსაც იგი აყენებს სხვა პირს ავტო-, სარკინიგზო ან საფუნიკულიორო სატრანსპორტო საშუალებით ჩადენილი შემთხვევისას. ეს წესი არ მოქმედებს, თუ მან ზიანი განზრახ მიაყენა.

(3) პირი, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის, იმდენად, რამდენადაც მისი პასუხისმგებლობა პირველი ან მე-2 ნაწილების მიხედვით გამორიცხული არ არის, პასუხს არ აგებს მის მიერ სხვა პირისათვის მიყენებული ზიანის გამო, თუ ზიანის მიმყენებელი მოქმედების ჩადენისას მას არა აქვს პასუხისმგებლობის აღიარებისათვის საკმარისი შეგნება.

§ 829. სამართლიანობიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულება
პირმა, რომელიც §§ 827-ისა და 828-ის საფუძველზე პასუხს არ აგებს §§ 823-826-ში აღნიშნულ შემთხვევებში მიყენებული ზიანისათვის, ხოლო ზიანის ანაზღაურება არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ზედამხედველობის განხორციელებაზე ვალდებული მესამე პირისაგან, მაინც უნდა აანაზღაუროს ეს ზიანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, გარემოებებიდან გამომდინარე, მათ შორის, მონაწილეთა შორის ურთიერთობების გათვალისწინებით, ამას ითხოვს სამართლიანობა, მაგრამ მას არ წაერთმევა სახსრები, რომლებიც საჭიროა სათანადო დონეზე არსებობისთვის, ასევე მასზე კანონის ძალით დაკისრებული რჩენის მოვალეობის შესასრულებლად.

§ 830. დელიქტში თანამონაწილეები და ჩართული პირები
(1) თუ ზიანს აყენებს რამდენიმე პირი ერთობლივად ჩადენილი დელიქტის შედეგად, მაშინ ნებისმიერი მათგანი პასუხისმგებელია ზიანისათვის. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ შეუძლებელია დადგინდეს, რამდენიმე მონაწილეთაგან რომელმა მიაყენა ზიანი თავისი მოქმედების შედეგად.
(2) წამქეზებლები და დამხმარე პირები უთანაბრდებიან დელიქტში თანამონაწილეებს.

§ 831. დავალების შემსრულებლის პასუხისმგებლობა
(1) პირი, რომელიც სხვა პირს ავალებს დავალების შესრულებას, პასუხისმგებელია, აანაზღაუროს ის ზიანი, რომელსაც ეს უკანასკნელი დავალების შესრულებისას აყენებს მესამე პირს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ მარწმუნებელი იჩენს დაქირავებული პირის არჩევისას სამოქალაქო ბრუნვაში მიღებულ აუცილებელ ზრუნვას; ხოლო თუ მან უნდა შეიძინოს მოწყობილობები ან ხელსაწყოები, ან უხელმძღვანელოს დავალების შესრულებას, აუცილებელ ზრუნვას იჩენს შეძენისა თუ ხელმძღვანელობისას, ანდა თუ ზიანი მაინც დადგებოდა ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც.
(2) ანალოგიური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, რომელიც ხელშეკრულებით კისრულობს პირველი ნაწილის მე-2 წინადადებაში აღნიშნულ ერთ-ერთი საქმის შესრულებას.

§ 832. იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელსაც ევალება ზედამხედველობის განხორციელება
(1) პირი, რომელიც კანონის ძალით ვალდებულია, განახორციელოს ზედამხედველობა იმ პირზე, რომელიც არასრულწლოვნების ან თავისი გონებრივი თუ ფიზიკური მდგომარეობის გამო საჭიროებს ამას, პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელსაც ეს უკანასკნელი უკანონოდ აყენებს მესამე პირს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ იგი აკმაყოფილებს მასზე დაკისრებული ზედამხედველობის ვალდებულების მოთხოვნებს, ან თუ ზიანი მაინც დადგებოდა სათანადო ზედამხედველობის შემთხვევაშიც კი.
(2) ანალოგიური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პირს, რომელიც ხელშეკრულებით კისრულობს ზედამხედველობის განხორციელებას.

§ 833. ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა
თუ ცხოველმა ადამიანი მოკლა, ან მის სხეულს, ან ჯანმრთელობას, ანდა ნივთს ზიანი მიაყენა, მაშინ ცხოველის მფლობელი ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ

იგი მიყენებულ იქნა შინაური ცხოველის მიერ, რომელიც განკუთვნილია ცხოველის მფლობელის პროფესიული, სამეწარმეო საქმიანობისა თუ რჩენისათვის, და/ან ეს უკანასკნელი იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში მიღებულ აუცილებელ ზრუნვას, ანდა ზიანი მაინც დადგებოდა ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც კი.

§ 834. ცხოველის ზედამხედველის პასუხისმგებლობა
თუ პირი ცხოველის მფლობელის მიმართ ხელშეკრულებით კისრულობს ცხოველზე ზედამხედველობის განხორციელებას, პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელსაც ცხოველი § 833-ით აღნიშნული ფორმით აყენებს მესამე პირს. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ იგი ზედამხედველობის განხორციელებისას იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ ზრუნვას, ან ზიანი მაინც დადგებოდა ასეთი ზრუნვის გამოჩენის შემთხვევაშიც კი.

§ 835. *(გაუქმებულია)*

§ 836. მიწის ნაკვეთის მფლობელის პასუხისმგებლობა
(1) თუ შენობის ან მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული სხვა ნაგებობის ან შენობის, ან ნაგებობის ნაწილების ჩამოშლის შედეგად დაიღუპა ადამიანი, ან, თუ ადამიანის სხეულსა თუ ჯანმრთელობას, ანდა ნივთს მიადგა ზიანი, და თუ ეს ჩამონგრევა ან ჩამოშლა მოხდა ხარვეზიანი მშენებლობის ან არასწორი ექსპლოატაციის შედეგად, მაშინ მიწის ნაკვეთის მფლობელი ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი; ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ მფლობელმა საფრთხის თავიდან ასაცილებლად გამოიჩინა სამოქალაქო ბრუნვაში მიღებული აუცილებელი ზრუნვა.
(2) მიწის ნაკვეთის ადრინდელი მფლობელი პასუხისმგებელია ზიანის ანაზღაურებაზე, თუ ჩამონგრევა ან ჩამოშლა მოხდა მისი მფლობელობის შეწყვეტიდან ერთი წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან მისი მფლობელობის განმავლობაში გამოიჩინა სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელი ზრუნვა ან შემდგომ მფლობელს შეეძლო საფრთხის თავიდან აცილება ასეთი ზრუნვის გამოჩენის შედეგად.
(3) მფლობელად ამ ნორმების გაგებით მიიჩნევა მფლობელი თავისთვის.

§ 837. შენობის მფლობელის პასუხისმგებლობა
თუ ვინმე თავისი უფლების განხორციელებისას სხვა პირის მიწის ნაკვეთზე ფლობს შენობას ან სხვა ნაგებობას, მაშინ § 836-ით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა გამოიყენება მის მიმართ მიწის ნაკვეთის მფლობელის ნაცვლად.

§ 838. შენობის ექსპლოატაციის განმახორციელებელი პირის პასუხისმგებლობა
პირი, რომელიც მფლობელის წინაშე კისრულობს შენობის ან მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული ნაგებობის ექსპლოატაციას, ანდა ვალდებულია, შეინარჩუნოს შენობა ან ნაგებობა გამართულ მდგომარეობაში კუთვნილი სარგებლობის უფლების ძალით, პასუხისმგებელია ჩამონგრევითა თუ ნაწილობრივი ჩამოშლით გამოწვეული ზიანისათვის, როგორც მფლობელი.

§ 839. პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევისათვის
(1) თუ მოსამსახურე განზრახ ან გაუფრთხილებლობით არღვევს მასზე მესამე პირის მიმართ დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს, მაშინ მან მესამე პირს

უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი; თუ მოსამსახურე მოქმედებდა მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალით, მაშინ მას შეიძლება მოეთხოვოს ზიანის ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულს არ შეუძლია, სხვაგვარად მოითხოვოს ანაზღაურების მიღება.
(2) თუ მოსამსახურე არღვევს მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობებს სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების დროს, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოვალეობების დარღვევა დანაშაულია. ეს ნორმა არ გამოიყენება სამსახურებრივი მოვალეობების საწინააღმდეგოდ მათ შესრულებაზე უარის თქმის ან დაგვიანების მიმართ.
(3) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ დგება, თუ დაზარალებულმა განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ აიცილა ზიანი გასაჩივრების საშუალების გამოყენებით.

§ 839ა. სასამართლოს ექსპერტის პასუხისმგებლობა
(1) თუ სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტი განზრახ ან გაუფრთხილებლობით წარადგენს არასწორ დასკვნას, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, რაც ადგება პროცესის მხარეს იმ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა ამ დასკვნას.
(2) შესაბამისად გამოიყენება § 839-ის მე-3 ნაწილი.

§ 840. რამდენიმე პირის პასუხისმგებლობა
(1) თუ რამდენიმე პირი ერთდროულად არის ვალდებული დელიქტიდან გამომდინარე ზიანისათვის, მაშინ ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.
(2) თუ იმ პირთან ერთად, რომელიც § 831, 832-ის თანახმად, ვალდებულია, აანაზღაუროს სხვა პირის მიერ მიყენებული ზიანი, პასუხისმგებელია სხვა პირიც, მაშინ ერთმანეთს შორის ურთიერთობაში ვალდებულია მხოლოდ ეს უკანასკნელი, ხოლო § 829-ის შემთხვევაში მხოლოდ ის პირი, რომელსაც ევალება ზედამხედველობის განხორციელება.
(3) თუ იმ პირთან ერთად, რომელიც, §§ 833-838-ის თანახმად, ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, პასუხისმგებელია მესამე პირი, მაშინ ერთმანეთს შორის ურთიერთობაში ვალდებულია მხოლოდ მესამე პირი.

§ 841. კომპენსაცია მოსამსახურეთა პასუხისმგებლობისას
თუ მოსამსახურე, რომელიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობების ძალით ვალდებულია, სხვა პირს დაავალოს მესამე პირისათვის საქმეების შესრულება ან ასეთი საქმეების შესრულებაზე ზედამხედველობა, ანდა მიიღოს მასში მონაწილეობა გარიგებების მოწონების გზით, და ამ მოვალეობათა დარღვევის გამო, სხვა პირთან ერთად პასუხისმგებელია ამ სხვა პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის, მაშინ ერთმანეთს შორის ურთიერთობაში ვალდებულია მხოლოდ სხვა პირი.

§ 842. პირის უფლებების დარღვევისას ზიანის ანაზღაურების მოცულობა
პირის უფლებების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება იმ ზიანზე, რომელსაც დელიქტური მოქმედება შედეგად აყენებს დაზარალებულის სამეწარმეო საქმიანობასა თუ არსებობისათვის აუცილებელ სახსრებს.

§ 843. ფულადი სარჩო ან ერთჯერადად გადასახდელი კომპენსაცია

(1) თუ სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგად დაზარალებულმა დაკარგა შრომისუნარიანობა, ან მისი შრომისუნარიანობა შემცირდა, ანდა თუ იზრდება მისი მოთხოვნები, მაშინ დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ფულადი სარჩოს გადახდით.

(2) სარჩოს მიმართ გამოიყენება § 760-ის ნორმები. ვალდებულია თუ არა ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი, წარადგინოს უზრუნველყოფა, ამასთან, რა სახითა და მოცულობით, განისაზღვრება გარემოებების მიხედვით.

(3) სარჩოს ნაცვლად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის ერთჯერადად გადახდა, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი.

(4) მოთხოვნის უფლება არ გამოირიცხება იმით, რომ სხვა პირი ვალდებულია, არჩინოს დაზარალებული.

§ 844. მესამე პირთა ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლებები მკვლელობის შემთხვევაში

(1) მკვლელობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა დასაფლავების ხარჯები უნდა აუნაზღაუროს იმ პირს, რომელსაც ეკისრება ეს ხარჯები.

(2) თუ მოკლული პირი ზიანის მიყენების მომენტში მესამე პირთან იმყოფებოდა ისეთ ურთიერთობაში, რომლის საფუძველზეც მოკლული პირი კანონის ძალით ვალდებული იყო ამ უკანასკნელის რჩენაზე, ან შეიძლებოდა ყოფილიყო ვალდებული რჩენაზე და თუ მესამე პირს მკვლელობის შედეგად წაერთვა რჩენის შესაძლებლობა, მაშინ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა მესამე პირს უნდა უხადოს ფულადი სარჩო იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მოკლული ვალდებული იქნებოდა, თავისი სავარაუდო სიცოცხლის განმავლობაში ერჩინა მესამე პირი; შესაბამისად, გამოიყენება § 843-ის მე-2-მე-4 ნაწილების ნორმები. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მაშინაც კი, როდესაც მესამე პირი ზიანის მიყენების მომენტში იყო ჩასახული, თუმცა, ჯერ კიდევ არ იყო დაბადებული.

§ 845. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მიუღებელი მომსახურებისათვის

მკვლელობის, სხეულის ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, ისევე როგორც თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა მესამე პირს უნდა აუნაზღაუროს ზარალი მიუღებელი მომსახურებისათვის ფულადი სარჩოს გადახდით, თუ დაზარალებული კანონის ძალით ვალდებული იყო, გაეწია მომსახურება მესამე პირისათვის ამ უკანასკნელის საოჯახო მეურნეობასა თუ სამეწარმეო საქმიანობაში. შესაბამისად, გამოიყენება § 843-ის მე-2-მე-4 ნაწილების ნორმა.

§ 846. დაზარალებულის თანაბრალეულობა

თუ §§ 844, 845-ის შემთხვევებში მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის დადგომაში ბრალი მიუძღვის დაზარალებულს, მაშინ მესამე პირის მოთხოვნის უფლების მიმართ გამოიყენება § 254-ის ნორმები.

§ 847. *(გაუქმებულია)*

§ 848. პასუხისმგებლობა შემთხვევისათვის ნივთის ჩამორთმევისას
პირი, რომელიც ვალდებულია დააბრუნოს მის მიერ სხვა პირისათვის დელიქტის შედეგად ჩამორთმეული ნივთი, პასუხისმგებელია ასევე ნივთის შემთხვევითი განადგურებისთვის, სხვა მიზეზით დამდგარი ნივთის უკან დაბრუნების შემთხვევითი შეუძლებლობის ან ნივთის შემთხვევითი გაუარესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნივთის უკან სხვაგვარად დაბრუნება შეუძლებელი გახდებოდა, ან მისი განადგურება თუ გაუარესება მოხდებოდა ნივთის ჩამორთმევის გარეშეც.

§ 849. საზღაურის თანხაზე პროცენტის დარიცხვა
თუ ნივთის ჩამორთმევის გამო უნდა ანაზღაურდეს მისი ღირებულება, ან თუ ნივთის დაზიანების გამო ანაზღაურებას ექვემდებარება ის თანხა, რომლითაც შემცირდა ღირებულება, მაშინ დაზარალებულს შეუძლია ასანაზღაურებელ თანხაზე მოითხოვოს პროცენტის დარიცხვა იმ მომენტიდან, როდესაც განისაზღვრა ნივთის ღირებულება.

§ 850. ხარჯების ანაზღაურება
თუ ჩამორთმეული ნივთის დაბრუნებაზე ვალდებული პირი ნივთზე სწევს ხარჯებს, მაშინ მას დაზარალებულის მიმართ ეკუთვნის ის უფლებები, რომლებიც ხარჯებთან დაკავშირებით მესაკუთრის მიმართ აქვს მფლობელს.

§ 851. ანაზღაურების თანხის გადახდა არაუფლებამოსილი პირისათვის
თუ მოძრავი ნივთის ჩამორთმევის ან დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანისათვის ვალდებული პირი კომპენსაციას უხდის იმ პირს, რომლის მფლობელობაშიც იმყოფებოდა ნივთი ჩამორთმევისა თუ დაზიანების მომენტისათვის, მაშინ იგი კომპენსაციის გადახდით თავისუფლდება ვალდებულებისაგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ მესამე პირი იყო ნივთის მესაკუთრე, ან ჰქონდა სხვა უფლება ნივთზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მისთვის ცნობილია მესამე პირის უფლების შესახებ, ან მან ამის შესახებ არ იცის უხეში გაუფრთხილებლობის გამო.

§ 852. უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ
თუ დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულმა პირმა დაზარალებულის ხარჯზე რაიმე მიიღო, მაშინ იგი დელიქტის მიხედვით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც ვალდებულია უკან დაბრუნებაზე, უსაფუძვლო გამდიდრების წესების თანახმად. ამ მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია მისი წარმოშობიდან ათი წლის ვადის გასვლისთანავე, ან, მიუხედავად მისი წარმოშობის თარიღისა, 30 წლის შემდეგ ზიანის მიმყენებელი მოქმედების ჩადენიდან, ან ზიანის გამომწვევი სხვა მოვლენიდან.

§ 853. არაკეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული შესაგებელი
თუ პირი დაზარალებულის მიმართ მოთხოვნას იძენს მის მიერ ჩადენილი დელიქტის შედეგად, მაშინ დაზარალებულს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე მაშინაც კი, თუ მოთხოვნის გაუქმების მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია.

წიგნი 3. სანივთო სამართალი

ნაწილი 1. მფლობელობა

§ 854. მფლობელობის შეძენა
(1) ნივთზე მფლობელობის შეძენა ხდება ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვებით.
(2) შეთანხმება თავდაპირველ მფლობელსა და შემძენს შორის საკმარისია შესაძენად, თუ შემძენს შეუძლია ნივთზე ბატონობის განხორციელება.

§ 855. მპყრობელი
თუ პირი ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე სხვა პირისათვის ამ უკანასკნელის
საოჯახო მეურნეობასა თუ სამეწარმეო საქმიანობაში ან სხვა ურთიერთობაში, რომლის ძალითაც მან ნივთთან დაკავშირებით უნდა შეასრულოს სხვა პირის მითითებები, მაშინ მფლობელია მხოლოდ სხვა პირი.

§ 856. მფლობელობის შეწყვეტა
(1) მფლობელობა წყდება, თუ მფლობელი უარს ამბობს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობაზე ან სხვაგვარად კარგავს მას.
(2) თავისი ბუნებით ბატონობის განხორციელების დროებითი შეფერხება არ წყვეტს მფლობელობას.

§ 857. მფლობელობის გადასვლა მემკვიდრეობით
მფლობელობა გადადის მემკვიდრეებზე.

§ 858. აკრძალული თვითნებობა
(1) პირი, რომელიც მფლობელს ამ უკანასკნელის ნების გარეშე ართმევს მფლობელობას ან ხელს უშლის მფლობელობის განხორციელებაში, მოქმედებს უკანონოდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი უშვებს ნივთის ჩამორთმევას ან ხელის შეშლას (აკრძალული თვითნებობა).
(2) აკრძალული თვითნებობის შედეგად შეძენილი მფლობელობა ხარვეზიანია. მფლობელის უფლებამონაცვლემ უნდა დაუშვას მის მიმართ მფლობელობის ხარვეზიანობის გამო პრეტენზიის წარდგენა, თუ იგი არის მფლობელის მემკვიდრე ან მფლობელობის შეძენისას მან იცის მისი წინამორბედის მფლობელობის ხარვეზიანობის შესახებ.

§ 859. მფლობელის თვითდახმარების უფლება
(1) მფლობელს შეუძლია ძალით დაიცვას თავი აკრძალული თვითნებობისაგან.
(2) თუ მოძრავი ნივთი ჩამოერთვა მფლობელს აკრძალული თვითნებობის გზით, მაშინ მას შეუძლია მისი ძალით დაბრუნება დამრღვევისაგან, რომელსაც წაასწრეს ადგილზე ან აღმოაჩინეს ცხელ კვალზე დადევნების შედეგად.
(3) თუ მიწის ნაკვეთის მფლობელს ჩამოერთვა მფლობელობა აკრძალული თვითნებობის გზით, მაშინ მას შეუძლია, მფლობელობის ჩამორთმევის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიბრუნოს მფლობელობა დამრღვევის გაძევებით.

(4) ანალოგიური უფლებები ეკუთვნის მფლობელს იმ პირის მიმართ, რომელმაც, § 858-ის მე-2 ნაწილის თანახმად, უნდა დაუშვას მის მიმართ მფლობელობის ხარვეზიანობის გამო პრეტენზიის წარდგენა.

§ 860. მპყრობელის თვითდახმარების უფლება
§ 859-ის თანახმად, მფლობელის კუთვნილი უფლებების განხორციელებაზე უფლებამოსილია ასევე ის პირი, რომელიც, § 855-ის მიხედვით, მფლობელისათვის ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას.

§ 861. მოთხოვნის უფლება მფლობელობის ჩამორთმევის გამო
(1) თუ მფლობელს აკრძალული თვითნებობის მეშვეობით ჩამოერთვა მფლობელობა, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს მფლობელობის აღდგენა იმ პირისაგან, რომელიც ნივთს მასთან მიმართებით ხარვეზით ფლობს.
(2) მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ ჩამორთმეული მფლობელობა არსებული მფლობელის ან მისი წინამორბედის მიმართ იყო ხარვეზიანი და მოპოვებულ იქნა მფლობელობის ჩამორთმევამდე ბოლო წლის განმავლობაში.

§ 862. მოთხოვნის უფლება მფლობელობის განხორციელებისათვის ხელის შეშლის გამო
(1) თუ მფლობელს აკრძალული თვითნებობის მეშვეობით ხელი ეშლება მფლობელობის განხორციელებაში, მაშინ მას შეუძლია, დამრღვევისაგან მოითხოვოს ხელის შეშლის აღკვეთა. თუ არსებობს შემდგომი ხელის შეშლის საფრთხე, მაშინ მფლობელს შეუძლია წარადგინოს ნეგატორული სარჩელი.
(2) მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ მფლობელის ფლობა დამრღვევის ან მისი წინამორბედის მიმართ ხარვეზიანია და მფლობელობა მოპოვებულ იქნა მფლობელობის ხელის შეშლამდე ბოლო წლის განმავლობაში.

§ 863. მფლობელობის ჩამომრთმევის ან მფლობელობის დამრღვევის შესაგებელი
მფლობელობის უფლება ან მფლობელობის დამრღვევი მოქმედების განხორციელება შეიძლება გამოყენებულ იქნეს §§ 861, 862-ით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებების საპირისპიროდ, მხოლოდ იმის მტკიცების დასადასტურებლად, რომ მფლობელობის ჩამორთმევა ან მფლობელობის ხელის შეშლა არ არის აკრძალული თვითნებობა.

§ 864. მფლობელობის მოთხოვნის უფლებების გაუქმება
(1) §§ 861, 862-იდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება უქმდება აკრძალული თვითნებობის ჩადენიდან ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ, თუ მოთხოვნის უფლების რეალიზაცია სარჩელის წარდგენით უფრო ადრე არ მოხდა.
(2) მოთხოვნის უფლება არ უქმდება, აგრეთვე, იმ შემთხვევაშიც, თუ აკრძალული თვითნებობის ჩადენის შემდეგ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდება, რომ აკრძალული თვითნებობის ჩამდენს აქვს ნივთზე ისეთი უფლება, რომლის ძალითაც მას შეუძლია თავისი მოქმედების შესაბამისი მფლობელობითი მდგომარეობის დადგენა.

§ 865. ნაწილობრივი მფლობელობა
§§ 858-864-ის ნორმები მოქმედებს, აგრეთვე, იმ პირის სასარგებლოდაც, რომელიც ფლობს მხოლოდ ნივთის ნაწილს, კერძოდ კი, განცალკევებულ საცხოვრებელ ფართს ან სხვა ფართებს.

§ 866. თანამფლობელობა
თუ რამდენიმე პირი ნივთს ერთობლივად ფლობს, და თუ საქმე ეხება ცალკეული მათგანის კუთვნილ სარგებლობის ფარგლებს, მაშინ ერთმანეთს შორის ურთიერთობაში მფლობელობის დაცვა არ ხდება.

§ 867. მფლობელის მიერ დევნის განხორციელების უფლება
როცა ნივთი გადის მფლობელის ბატონობიდან და აღმოჩნდება სხვა პირის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მაშინ მიწის ნაკვეთის მფლობელმა უნდა დართოს მას ნივთის ძებნისა და დაბრუნების ნება, თუ ნივთი ამ დროს არ იყო მფლობელობაში მიღებული. მიწის ნაკვეთის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს ძებნისა და ნივთის დაბრუნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თუ არსებობს ზიანის მიყენების საფრთხე, მაშინ მას შეუძლია, უარი თქვას მიწის ნაკვეთზე დაშვებაზე მანამდე, სანამ მას არ წარედგინება უზრუნველყოფა; უარის თქმა დაუშვებელია, თუ დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხესთან.

§ 868. არაპირდაპირი მფლობელობა
თუ პირი ნივთს ფლობს როგორც უზუფრუქტუარი, მოგირავნე, მოიჯარე, დამქირავებელი, შემნახველი ან მსგავსი სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომლის ძალითაც იგი სხვა პირის მიმართ განსაზღვრული ვადით არის უფლებამოსილი ან ვალდებული ფლობაზე, მაშინ სხვა პირი ასევე არის მფლობელი (არაპირდაპირი მფლობელობა).

§ 869. არაპირდაპირი მფლობელის მოთხოვნის უფლებები
თუ მფლობელის მიმართ ჩადენილ იქნა აკრძალული თავნებობა, მაშინ §§ 861-862-ით განსაზღვრული მოთხოვნის უფლებები ეკუთვნის ასევე არაპირდაპირ მფლობელსაც. მფლობელობის ჩამორთმევის შემთხვევაში არაპირდაპირი მფლობელი უფლებამოსილია, მოითხოვოს თავდაპირველი მფლობელის მფლობელობის აღდგენა; თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია, ან არ სურს მფლობელობის დაბრუნება, მაშინ არაპირდაპირ მფლობელს შეუძლია მოითხოვოს, რომ მფლობელობა გადაეცეს თავად მას. ანალოგიური წინაპირობების არსებობისას არაპირდაპირ მფლობელს § 867-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს, რომ მას დაერთოს ნივთის ძებნისა და დაბრუნების ნება.

§ 870. არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა
არაპირდაპირი მფლობელობა შეიძლება გადაეცეს სხვა პირს ამ უკანასკნელისათვის ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების დათმობის გზით.

§ 871. მრავალსაფეხურიანი არაპირდაპირი მფლობელობა
თუ არაპირდაპირ მფლობელი მესამე პირთან იმყოფება § 868-ში აღნიშნული სახის ურთიერთობაში, მაშინ მესამე პირი ასევე არის არაპირდაპირი მფლობელი.

§ 872. მფლობელობა თავისთვის
პირი, რომელიც ნივთს ფლობს როგორც საკუთარს, არის მფლობელი თავისთვის.

ნაწილი 2. მიწის ნაკვეთებზე არსებული უფლებების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები

§ 873. შეძენა შეთანხმებითა და რეგისტრაციით

(1) მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადასაცემად, მისი უფლებით დასატვირთავად, ასევე ასეთი უფლების გადასაცემად თუ უფლებრივად დასატვირთავად საჭიროა უფლებამოსილი პირისა და მეორე მხარის შეთანხმება უფლებრივი ცვლილების შესახებ და მისი რეგისტრაცია საადგილმამულო რეესტრში, თუ კანონი სხვა წესს არ ითვალისწინებს.

(2) რეგისტრაციამდე მხარეები შებოჭილნი არიან შეთანხმებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადებები დამოწმებულია სანოტარო წესით, ან ისინი გაკეთდა საადგილმამულო რეესტრის სამსახურის წინაშე, ან წარედგინა ამ უკანასკნელს, ანდა თუ უფლებამოსილმა პირმა მეორე მხარეს მისცა „საადგილმამულო რეესტრის წარმოების შესახებ“ კანონის ნორმების შესაბამისი თანხმობა რეგისტრაციის განხორციელებაზე.

§ 874. მითითება რეგისტრაციის განხორციელების თანხმობაზე

იმ უფლების რეგისტრაციისას, რომლითაც იტვირთება მიწის ნაკვეთი, უფლების შინაარსის უფრო დეტალური აღწერისათვის შეიძლება გაკეთდეს მითითება რეგისტრაციის განხორციელების თანხმობაზე, თუ კანონი სხვა წესს არ ითვალისწინებს.

§ 875. უფლების გაუქმება

(1) თუ კანონი სხვა წესს არ ითვალისწინებს, მიწის ნაკვეთზე უფლების გასაუქმებლად საჭიროა უფლებამოსილი პირის განცხადება უფლების გაუქმების შესახებ და უფლების შესახებ ჩანაწერის ამოშლის რეგისტრაცია საადგილმამულო რეესტრში. განცხადება უნდა გაკეთდეს საადგილმამულო რეესტრის სამსახურის ან იმ პირის წინაშე, რომლის სასარგებლოდაც იგი კეთდება.

(2) ჩანაწერის ამოშლამდე უფლებამოსილი პირი შებოჭილია განცხადებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაკეთდა საადგილმამულო რეესტრის სამსახურის წინაშე, ან თუ იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც იგი კეთდება, მიეცა „საადგილმამულო რეესტრის წარმოების შესახებ“ კანონის ნორმების შესაბამისი თანხმობა ჩანაწერის ამოშლაზე.

§ 876. დატვირთული უფლების გაუქმება

თუ მიწის ნაკვეთზე უფლება დატვირთულია მესამე პირის უფლებით, მაშინ დატვირთული უფლების გასაუქმებლად საჭიროა მესამე პირის თანხმობა. თუ გასაუქმებელი უფლება ეკუთვნის სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამის მესაკუთრეს, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ ეს მიწის ნაკვეთი დატვირთულია მესამე პირის უფლებით, საჭიროა მესამე პირის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გაუქმება მის უფლებას არ ეხება. თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს საადგილმამულო რეესტრის სამსახურის ან იმ პირის წინაშე, რომლის სასარგებლოდაც იგი კეთდება; მისი გამოთხოვა დაუშვებელია.

§ 877. უფლებრივი ცვლილებები

§§ 873, 874, 876-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება, აგრეთვე, მიწის ნაკვეთზე უფლების შინაარსის ცვლილებების მიმართ.

§ 878. შემდგომში დამდგარი განკარგვითი შეზღუდვები
§§ 873, 875, 877-ის მიხედვით, უფლებამოსილი პირის მიერ გაკეთებული განცხადება ძალას არ კარგავს იმით, რომ იგი შეზღუდულია განკარგვაში, თუ ეს შეზღუდვა დგება მას შემდეგ, როდესაც განცხადება მისთვის გახდა მბოჭავი და რეგისტრაციის განცხადება წარედგინა საადგილმამულო რეესტრის სამსახურს.

§ 879. რამდენიმე უფლების რიგითობა
(1) რამდენიმე უფლების არსებობისას, რომლითაც დატვირთულია მიწის ნაკვეთი, რიგითობა განისაზღვრება რეგისტრაციის მიმდევრობის მიხედვით, თუ უფლებები რეგისტრირებულია საადგილმამულო რეესტრის სამსახურის ერთსა და იმავე განყოფილებაში. თუ უფლებები რეგისტრირებულია სხვადასხვა განყოფილებაში, მაშინ უპირატესობა ენიჭება იმ უფლებას, რომელიც რეგისტრირებულია უფრო ადრინდელი თარიღით; ერთსა და იმავე დღეს რეგისტრირებულ უფლებებს აქვს თანაბარი რიგი.
(2) რეგისტრაცია რიგითობისათვის გადამწყვეტია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც, § 873-ის მიხედვით, უფლების შეძენისათვის საჭირო შეთანხმება დაიდო მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ.
(3) რიგითობის დადგენის განსხვავებული წესი ექვემდებარება საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციას.

§ 880. რიგითობის შეცვლა
(1) რიგითობა შემდგომში შეიძლება შეიცვალოს.
(2) რიგითობის შეცვლისათვის საჭიროა შეთანხმება რიგის დამთმობ და უპირატესი რიგის დამკავებელ უფლებამოსილ პირებს შორის და ცვლილების რეგისტრაცია საადგილმამულო რეესტრში; გამოიყენება § 873-ის მე-2 ნაწილისა და § 878-ის ნორმები. თუ ხდება იპოთეკის, მიწის ან სარენტო ვალის დათმობა, მაშინ დამატებით საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს საადგილმამულო რეესტრის სამსახურის ან ერთ-ერთი მონაწილის წინაშე; მისი გამოთხოვა დაუშვებელია.
(3) თუ რიგითობის დამთმობი უფლება დატვირთულია მესამე პირის უფლებით, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 876-ის ნორმა.
(4) რიგითობის შეცვლის შედეგად უპირატესი რიგის შემძენი უფლება არ კარგავს რიგს იმით, რომ რიგის დამთმობი უფლება გარიგებით უქმდება.
(5) რიგითობის შეცვლა არ ეხება უფლებებს, რომლებსაც დაკავებული აქვთ რიგი რიგის დამთმობ და უპირატესი რიგის დამკავებელ უფლებებს შორის.

§ 881. დათქმა რიგითობის შესახებ
(1) მესაკუთრეს მიწის ნაკვეთის უფლებით დატვირთვისას შეუძლია პირობად დათქვას უფლებამოსილება, იქონიოს რეგისტრირებული მოცულობის მიხედვით განსაზღვრული სხვა უფლება, რომელსაც ექნება უპირატესი რიგი ამ უფლებასთან შედარებით.
(2) პირობა ექვემდებარება საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციას; რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს იმ უფლებასთან ერთად, რომელიც თმობს თავის რიგს.
(3) თუ მიწის ნაკვეთი გასხვისდა, მაშინ პირობად დათქმული უფლებამოსილება გადადის შემძენზე.

(4) თუ მიწის ნაკვეთი იმ უფლების რეგისტრაციამდე, რომელსაც ენიჭება უპირატესობა, დატვირთულია უფლებით შესაბამისი დათქმის გარეშე, მაშინ უპირატესობას არა აქვს სამართლებრივი ძალა იმდენად, რამდენადაც დათქმით რეგისტრირებულ უფლებას დროის შუალედში დამდგარი უფლებრივი დატვირთვის შედეგად მიადგებოდა ზიანი, რომელიც სცილდება დათქმის ფარგლებს.

§ 882. ღირებულების ანაზღაურების მაქსიმალური თანხა

თუ მიწის ნაკვეთი დატვირთულია იმ უფლებით, რომლისათვისაც გაუქმების შემთხვევაში, იძულებითი აუქციონის მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად, უფლებამოსილ პირს უნდა მიეცეს ანაზღაურება აუქციონზე გაყიდული ნივთის ამონაგები თანხიდან, მაშინ შეიძლება განისაზღვროს ანაზღაურების მაქსიმალური თანხა. მაქსიმალური თანხის განსაზღვრა ექვემდებარება საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციას.

§ 883. წინასწარი ჩანაწერის წინაპირობები და სამართლებრივი ძალა

(1) მიწის ნაკვეთზე უფლების მინიჭების ან გაუქმების, ან მიწის ნაკვეთის მტვირთავი უფლების, ანდა ასეთი უფლების შინაარსის ან რიგითობის შეცვლის მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად საადგილმამულო რეესტრში შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს წინასწარი ჩანაწერი. წინასწარის ჩანაწერის რეგისტრაცია დაიშვება ასევე სამომავლო ან პირობითი მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად.

(2) განკარგვა, რომელიც მიწის ნაკვეთის ან უფლების მიმართ გაკეთდა, სამართლებრივი ძალის არმქონეა იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი ხელს შეუშლიდა მოთხოვნის უფლების განხორციელებას, ან უარყოფითად იმოქმედებდა მასზე. ეს წესი მოქმედებს, აგრეთვე, თუ განკარგვა ხორციელდება იძულებითი აღსრულების ან ყადაღის დადების გზით, ანდა გაკოტრების მმართველის მიერ.

(3) იმ უფლების რიგი, რომლის მინიჭებისკენაც არის მიმართული მოთხოვნის უფლება, განისაზღვრება წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაციის მიხედვით.

§ 884. სამართლებრივი ძალა მემკვიდრეების მიმართ

იმდენად, რამდენადაც მოთხოვნის უფლება უზრუნველყოფილია წინასწარი ჩანაწერით, ვალდებული პირის მემკვიდრეს არ შეუძლია მიუთითოს თავისი პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე.

§ 885. წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაციის წინაპირობები

(1) წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაცია ხორციელდება მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ან იმ პირის თანხმობით, რომლის მიწის ნაკვეთს ან უფლებას ეხება წინასწარი ჩანაწერი. მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების მისაღებად არ არის აუცილებელი უზრუნველსაყოფი მოთხოვნის უფლების მიმართ საფრთხის არსებობის დასაბუთება.

(2) რეგისტრაციისას უზრუნველსაყოფი მოთხოვნის უფლების უფრო დეტალური აღწერისათვის შეიძლება გაკეთდეს მითითება მოთხოვნის უფლების უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე ან რეგისტრაციის განხორციელების თანხმობაზე.

§ 886. წინასწარი ჩანაწერის ამოშლის მოთხოვნის უფლება
თუ პირს, რომლის მიწის ნაკვეთს ან უფლებას ეხება წინასწარი ჩანაწერი, აქვს შესაგებელი, რომლითაც წინასწარი ჩანაწერით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლების რეალიზაცია ხანგრძლივი ვადით არის გამორიცხული, მაშინ მას შეუძლია, კრედიტორისაგან მოითხოვოს წინასწარი ჩანაწერის ამოშლა.

§ 887. წინასწარი ჩანაწერის კრედიტორის საჯარო გამოძახება
როცა კრედიტორი, რომლის მოთხოვნის უფლებაც უზრუნველყოფილია წინასწარი ჩანაწერით, უცნობია, მაშინ იგი თავისი უფლებით შეიძლება გამოირიცხოს გამოწვევითი წარმოების წესების მიხედვით, თუ სახეზეა, § 1170-ის მიხედვით, იპოთეკური კრედიტორის გამორიცხვის მიმართ დადგენილი წინაპირობები. გამოწვევითი წარმოების საქმეზე მიღებული განჩინების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე წყდება წინასწარი ჩანაწერის მოქმედება.

§ 888. წინასწარი ჩანაწერის გაკეთებაზე უფლებამოსილი პირის თანხმობის მიღებაზე მოთხოვნის უფლება
(1) იმდენად, რამდენადაც რეგისტრირებული უფლების ან ასეთ უფლებაზე იმ პირის უფლების შეძენა, რომლის სასარგებლოდაც არსებობს წინასწარი ჩანაწერი, სამართლებრივი ძალის არმქონეა, ამ უკანასკნელს შეუძლია, შემძენისაგან მოითხოვოს თანხმობა რეგისტრაციაზე ან ამოშლაზე, რაც საჭიროა წინასწარი ჩანაწერით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლების რეალიზაციისათვის.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მოთხოვნის უფლება უზრუნველყოფილია გასხვისების აკრძალვით.

§ 889. კონსოლიდაციის გამორიცხვა სანივთო უფლებების შემთხვევაში
სხვა პირის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული უფლება არ უქმდება იმით, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე იძენს მიწის ნაკვეთზე არსებულ ამ უფლებას, ან უფლებამოსილი პირი მიწის ნაკვეთზე იძენს საკუთრების უფლებას.

§ 890. მიწის ნაკვეთების გაერთიანება; მიმატება
(1) რამდენიმე მიწის ნაკვეთი შეიძლება გაერთიანდეს ერთ მიწის ნაკვეთად ისე, რომ ისინი მესაკუთრის მიერ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციაში გატარდეს როგორც ერთი მიწის ნაკვეთი.
(2) მიწის ნაკვეთი შეიძლება გახდეს სხვა მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილი ისე, რომ იგი მესაკუთრის მიერ მიემატება სხვა მიწის ნაკვეთს საადგილმამულო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

§ 891. კანონისმიერი პრეზუმფცია
(1) თუ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია პირის უფლება, მაშინ ივარაუდება, რომ ეს უფლება მას ეკუთვნის.
(2) თუ საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული უფლების შესახებ ჩანაწერი ამოშლილია, ივარაუდება, რომ ეს უფლება არ არსებობს.

§ 892. საჯარო რეესტრის საჯარო ნდობა
(1) იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც გარიგებით იძენს უფლებას მიწის ნაკვეთზე ან უფლებას ასეთ უფლებაზე, საადგილმამულო რეესტრის შინაარსი მიიჩნევა

სწორად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისწორის საწინააღმდეგოდ რეგისტრირებულია პროტესტი ან უსწორობის შესახებ შემძენისათვის ცნობილია. თუ უფლებამოსილი პირი განსაზღვრული პირის სასარგებლოდ შეზღუდულია საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული უფლების განკარგვაში, მაშინ შემძენის მიმართ შეზღუდვა სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნათელია საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერიდან ან ცნობილია შემძენისათვის.
(2) თუ უფლების შეძენისათვის საჭიროა რეგისტრაცია, მაშინ შემძენის მიერ უსწორობის შესახებ ცნობის მიმართ გადამწყვეტია რეგისტრაციის განაცხადის შეტანის დრო, ან, თუ, § 873-ის თანახმად, საჭირო შეთანხმება მოგვიანებით იდება, – შეთანხმების დრო.

§ 893. გარიგება რეგისტრირებულ პირთან
§ 892-ის ნორმები შესაბამისად გამოიყენება, თუ იმ პირის მიმართ, რომლისთვისაც უფლება რეგისტრირებულია საადგილმამულო რეესტრში, ამ უფლების საფუძველზე შესრულდა ვალდებულება, ან თუ მასა და სხვა პირს შორის ამ უფლებასთან დაკავშირებით დაიდო § 892-ის ნორმებით გაუთვალისწინებული გარიგება, რომელიც შეიცავს ამ უფლების განკარგვას.

§ 894. საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორება
თუ მიწის ნაკვეთზე არსებულ უფლებასთან, ასეთ უფლებაზე არსებულ უფლებასთან, ან § 892-ის პირველ ნაწილში მითითებული სახის განკარგვით შეზღუდვასთან დაკავშირებით საადგილმამულო რეესტრის შინაარსი არ შეესაბამება რეალურ უფლებრივ მდგომარეობას, მაშინ იმ პირს, ვისი უფლებაც არ არის, ან არ არის სწორად რეგისტრირებული, ანდა დარღვეულია არარსებული უფლებრივი დატვირთვით ან შეზღუდვით, შეუძლია მოითხოვოს თანხმობა საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორებაზე იმ პირისაგან, ვის უფლებასაც ეხება ასეთი შესწორება.

§ 895. ვალდებული პირის წინასწარი რეგისტრაცია
თუ საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც, § 894-ის თანახმად, რეგისტრირებულია ვალდებული პირის უფლება, მაშინ ამ უკანასკნელმა მოთხოვნის საფუძველზე უნდა დაუშვას თავისი უფლების რეგისტრაცია.

§ 896. სერტიფიკატის წარდგენა
თუ საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორებისათვის საჭიროა იპოთეკის, მიწის ვალისა თუ სარენტო ვალის სერტიფიკატის წარდგენა, მაშინ იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც უნდა გაკეთდეს შესწორება, შეუძლია, სერტიფიკატის მფლობელისაგან მოითხოვოს მისი საადგილმამულო რეესტრის სამსახურისათვის წარდგენა.

§ 897. ჩანაწერის შესწორების ხარჯები
საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორებისა და ამისათვის საჭირო განცხადებების წარდგენის ხარჯები ეკისრება იმ პირს, რომელიც ითხოვს შესწორებას, თუ მასა და ვალდებულ პირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 898. ჩანაწერის შესწორების მოთხოვნის უფლებებისადმი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების დაუშვებლობა
§§ 894-896 დადგენილი მოთხოვნის უფლებები არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

§ 899. პროტესტის რეგისტრაცია
(1) § 894-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში საადგილმამულო რეესტრის სისწორის საწინააღმდეგოდ შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს პროტესტი.
(2) რეგისტრაცია ხორციელდება მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ან იმ პირის თანხმობით, რომლის უფლებასაც ეხება საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორება. მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების მისაღებად არ არის აუცილებელი პროტესტის წარმდგენი პირის უფლების მიმართ საფრთხის არსებობის დასაბუთება.

§ 899ა. პირობები სამოქალაქო სამართლის ამხანაგობისათვის
თუ სამოქალაქო სამართლის ამხანაგობა რეგისტრირებულია საადგილმამულო რეესტრში, მაშინ რეგისტრირებული უფლების მიმართ ასევე ივარაუდება, რომ ამხანაგობის მონაწილეები არიან ის პირები, რომლებიც, „საადგილმამულო რეესტრის წარმოების შესახებ“ კანონის § 47-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, რეგისტრირებულნი არიან საადგილმამულო რეესტრში. ამხანაგობის მონაწილეთა რეგისტრაციასთან დაკავშირებით, შესაბამისად, მოქმედებს §§ 892-899.

§ 900. შეძენითი ხანდაზმულობა
(1) პირი, რომელიც საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც მესაკუთრე ისე, რომ მას არ შეუძენია საკუთრების უფლება, იძენს საკუთრების უფლებას, თუ რეგისტრაცია არსებობდა 30 წლის განმავლობაში და იგი ამ ვადის განმავლობაში მიწის ნაკვეთს ფლობდა როგორც საკუთარს. ოცდაათწლიანი ვადა გამოითვლება იმავე წესით, როგორც მოძრავ ნივთზე შეძენითი ხანდაზმულობის ვადა. ვადის დენა ჩერდება მანამდე, სანამ საადგილმამულო რეესტრში სისწორის წინააღმდეგ რეგისტრირებულია პროტესტი.
(2) ეს ნორმები, შესაბამისად, გამოიყენება, თუ რომელიმე პირისათვის საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებულია უფლება, რომელიც მას არ ეკუთვნის და რომელიც ანიჭებს მას მიწის ნაკვეთის ფლობის უფლებას, ან ამ უფლების რეალიზაცია დაცულია მფლობელობის მიმართ დადგენილი ნორმების მიხედვით. უფლების რიგისათვის განმსაზღვრელია რეგისტრაციის მომენტი.

§ 901. არარეგისტრირებული უფლებების გაუქმება
თუ სხვა პირის მიწის ნაკვეთზე არსებული უფლების შესახებ ჩანაწერი არამართლზომიერად ამოიშალა, და თუ გადის მესაკუთრის მიმართ უფლებამოსილი პირის მოთხოვნის უფლების წარდგენის ხანდაზმულობის ვადა, მაშინ უფლება უქმდება. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ კანონის ძალით სხვა პირის მიწის ნაკვეთზე წარმოშობილი უფლება არ იქნა რეგისტრირებული საადგილმამულო რეესტრში.

§ 902. რეგისტრირებული უფლებებისადმი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების დაუშვებლობა
(1) რეგისტრირებული უფლებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები არ ექვემდებარება ხანდაზმულობას. ეს წესი არ მოქმედებს იმ მოთხოვნის უფლებების

მიმართ, რომლებიც ეხება დავალიანების თანხების პერიოდულ გადახდებს ან ზიანის ანაზღაურებას.
(2) უფლება, რომლის გამოც შეტანილია პროტესტი საადგილმამულო რეესტრის უსწორობის მიმართ, უთანაბრდება რეგისტრირებულ უფლებას.

ნაწილი 3. საკუთრების უფლება

კარი 1. საკუთრების უფლების შინაარსი

§ 903. მესაკუთრის უფლებამოსილებები
ნივთის მესაკუთრეს შეუძლია, თუ ამას არ ეწინააღმდეგება კანონი ან მესამე პირის უფლებები, საკუთარი შეხედულებით ისარგებლოს ნივთით და გამორიცხოს სხვა პირები ნებისმიერი ზემოქმედებისაგან. ცხოველის მესაკუთრემ თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისას უნდა გაითვალისწინოს ცხოველების დაცვის შესახებ სპეციალური ნორმები.

§ 904. უკიდურესი აუცილებლობა
ნივთის მესაკუთრე არ არის უფლებამოსილი, აკრძალოს სხვა პირის ნივთზე ზემოქმედება, თუ ეს უკანასკნელი აუცილებელია არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ზემოქმედების შედეგად მესაკუთრისათვის მიყენებული ზიანი მოსალოდნელ ზიანთან შედარებით შეუსაბამოდ დიდია. მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მის მიერ განცდილი ზარალის ანაზღაურება.

§ 905. საკუთრების უფლების ფარგლები
მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება ვრცელდება მიწის ზედაპირის ზედა სივრცეზე და მიწის მასაზე ზედაპირის ქვემოთ. თუმცა, მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს ისეთი ზემოქმედება, რომელიც ხორციელდება ისეთ სიმაღლესა თუ სიღრმეზე, რომ მას ასეთი ზემოქმედების გამორიცხვის ინტერესი არა აქვს.

§ 906. მსუბუქი ნივთიერებების შეღწევა
(1) მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არ შეუძლია აკრძალოს სხვა მიწის ნაკვეთიდან გაზის, ორთქლის, სუნის, კვამლის, ჭვარტლის, სითბოს, ხმაურის, რყევების და სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუ ისინი ხელს არ უშლიან მესაკუთრეს თავისი მიწის ნაკვეთით სარგებლობაში ან მხოლოდ უმნიშვნელოდ უშლიან ხელს. უმნიშვნელო ხელის შეშლა, როგორც წესი, სახეზეა, თუ არ ხდება კანონებსა თუ სახელისუფლო განკარგულებებში დადგენილი ზღვრული ან საორიენტაციო მაჩვენებლების გადაჭარბება იმ ზემოქმედებებით, რომლებიც დგინდება და ფასდება ამ ნორმების მიხედვით. ანალოგიური წესი მოქმედებს ზოგად ადმინისტრაციულ ნორმებში არსებული მაჩვენებლების მიმართ, რომლებიც მიღებულ იქნა „გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის შესახებ“ ფედერალური კანონის § 48-ის მიხედვით და აჩვენებს ტექნოლოგიის არსებულ მდგომარეობას.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს იმ ფარგლებში, რომლებშიც არსებითი ზემოქმედება გამოწვეულია მოცემულ ადგილას სხვა მიწის ნაკვეთით ჩვეულებრივი სარგებლობით და მისი აღკვეთა არ შეიძლება ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ეკონომიკურად მისაღებია. თუ მესაკუთრემ, აქედან გამომდი-

ნარე, უნდა ითმინოს ზემოქმედება, მაშინ მას შეუძლია, სხვა მიწის ნაკვეთით მოსარგებლეს მოსთხოვოს სათანადო ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, თუ ზემოქმედება აუარესებს ამ ადგილას მისი მიწის ნაკვეთით ჩვეულებრივ სარგებლობას ან დასაშვებ ფარგლებში მიწის ნაკვეთის შემოსავალს.
(3) სპეციალური საკომუნიკაციო საშუალებით შეღწევა დაუშვებელია.

§ 907. საფრთხის შემცველი ნაგებობები
(1) მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია, მოითხოვოს მეზობელ მიწის ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აღმართვის ან ექსპლოატაციის აკრძალვა, რომელთა მიმართაც დარწმუნებით შეიძლება ვარაუდი, რომ მათ არსებობას ან გამოყენებას შედეგად მოჰყვება დაუშვებელი ზემოქმედება მის მიწის ნაკვეთზე. თუ ნაგებობა აკმაყოფილებს ფედერაციული მხარის საკანონმდებლო ნორმებს, რომლებიც აწესებს განსაზღვრულ მანძილს საზღვრებიდან ან დაცვის სხვა ღონისძიებებს, მაშინ ნაგებობის მოცილება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაუშვებელი ზემოქმედება რეალურად დგება.
(2) ხეები და ბუჩქები არ მიეკუთვნება ნაგებობებს, ამ ნორმების გაგებით.

§ 908. შენობის ჩამოქცევის საფრთხე
თუ მიწის ნაკვეთს ემუქრება დაზიანების საფრთხე იმ შენობის ან სხვა ნაგებობის ჩამოქცევის შედეგად, რომელიც დაკავშირებულია მეზობელ მიწის ნაკვეთთან, ანდა შენობისა თუ ნაგებობის ნაწილის ჩამონგრევის შედეგად, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, § 836-ის პირველი ნაწილის, ან §§ 837, 838 თანახმად, პასუხისმგებელი პირისგან მოითხოვოს მოსალოდნელი ზიანისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ღონისძიებების მიღება.

§ 909. ჩაღრმავება
მიწის ნაკვეთის ჩაღრმავება არ შეიძლება იმგვარად, რომ მეზობელი მიწის ნაკვეთის ნიადაგმა დაკარგოს აუცილებელი საყრდენი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიღებულია საკმარისი ზომები სხვაგვარი გამაგრებისათვის.

§ 910. ფესვების ან ტოტების გადმოსვლა
(1) მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოჭრას და დაიტოვოს ხის ან ბუჩქის ფესვები, რომლებმაც შემოაღწია მეზობელი მიწის ნაკვეთიდან. ანალოგიური წესი მოქმედებს გადმოკიდებული ტოტების მიმართ, თუ მესაკუთრემ მეზობელი მიწის ნაკვეთის მფლობელს დაუდგინა სათანადო ვადა მათი მოცილებისათვის და ეს უკანასკნელი არ განხორციელდა ამ ვადის განმავლობაში.
(2) მესაკუთრეს არა აქვს ეს უფლება, თუ ფესვები ან ტოტები ხელს არ უშლის მიწის ნაკვეთით სარგებლობას.

§ 911. გადმოვარდნილი ნაყოფი
ხეებიდან ან ბუჩქებიდან მეზობელ მიწის ნაკვეთზე გადმოვარდნილი ნაყოფი ჩაითვლება ამ მიწის ნაკვეთის ნაყოფად. ეს ნორმები არ გამოიყენება, თუ მეზობელი მიწის ნაკვეთი განკუთვნილია საჯარო სარგებლობისათვის.

§ 912. საზღვრის გადაცდენა შენობის აღმართვისას; თმენის ვალდებულება
(1) თუ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე შენობის აღმართვისას მისი მხრიდან განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე გადასცდა საზღვარს, მაშინ მეზობელ-

მა საზღვრის გადაცდენა უნდა ითმინოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მან პროტესტი განაცხადა საზღვრის გადაცდენამდე ან დაუყოვნებლივ გადაცდენის შემდეგ.
(2) მეზობელს უნდა მიეცეს კომპენსაცია პერიოდული ფულადი გადახდების სახით. პერიოდული ფულადი გადახდების ოდენობისათვის განმსაზღვრელია საზღვრის გადაცდენის დრო.

§ 913. საზღვრის გადაცდენისათვის პერიოდული ფულადი გადახდების განხორციელება
(1) მეზობელი მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრისათვის საზღვრის გადაცდენისათვის პერიოდული ფულადი გადახდები უნდა განხორციელდეს სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის მიერ.
(2) პერიოდული ფულადი გადახდები უნდა განხორციელდეს ყოველწლიურად წინასწარ.

§ 914. პერიოდული ფულადი გადახდების რიგითობა, რეგისტრაცია და გაუქმება
(1) პერიოდული ფულადი გადახდების უფლებას ენიჭება უპირატესობა დატვირთულ მიწის ნაკვეთზე ყველა უფლებასთან, მათ შორის, უფრო ადრე დადგენილ უფლებასთან შედარებით. იგი უქმდება საზღვრის გადაცდენის თავიდან აცილებისთანავე.
(2) უფლება არ ტარდება რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში. უფლებაზე უარის, ასევე ხელშეკრულების საფუძველზე ფულადი გადახდების ოდენობის დასადგენად საჭიროა რეგისტრაცია.
(3) დანარჩენ შემთხვევებში გამოიყენება ნორმები, რომლებიც მოქმედებს მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ არსებული სანივთო ტვირთის მიმართ.

§ 915. შესყიდვა
(1) ფულადი გადახდების მიღებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია, ნებისმიერ დროს მოითხოვოს, რომ ფულადი გადახდების განხორციელებაზე ვალდებულმა პირმა საზღვარს გადმოცილებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე საკუთრების უფლების გადაცემის სანაცვლოდ აუნაზღაუროს მას ის ღირებულება, რომელიც ამ ნაწილს ჰქონდა საზღვრის გადაცდენის მომენტისათვის. თუ იგი სარგებლობს ამ უფლებამოსილებით, მაშინ ორივე მხარის უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება ნასყიდობის შესახებ ნორმების თანახმად.
(2) საკუთრების უფლების გადაცემამდე დროის მონაკვეთისათვის ფულადი გადახდების განხორციელება უნდა გაგრძელდეს.

§ 916. აღნაგობის ან სერვიტუტის დარღვევა
თუ საზღვრის გადაცდენის შედეგად ირღვევა მეზობელ მიწის ნაკვეთზე აღნაგობა ან სერვიტუტი, მაშინ უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ შესაბამისად გამოიყენება §§ 912-914-ის ნორმები.

§ 917. აუცილებელი გზა
(1) თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს სათანადო გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზასთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, მეზობლებისაგან მოითხოვოს, რომ მათ ნაკლის აღმოფხვრამდე ითმინონ მათი მიწის ნაკვეთების გამოყენება აუცილებელი კავშირის დასადგენად. აუცილებელი გზის მიმართულება და სარგებლობის

უფლების მოცულობა საჭიროების შემთხვევაში დგინდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.
(2) მეზობლებს, რომელთა მიწის ნაკვეთებზეც გადის აუცილებელი გზა, უნდა მიეცეთ კომპენსაცია პერიოდული ფულადი გადახდების სახით. შესაბამისად, გამოიყენება § 912-ის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება და §§ 913, 916-ის ნორმები.

§ 918. აუცილებელი გზის უფლების გამორიცხვა
(1) აუცილებელი გზის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ საჯარო გზასთან მიწის ნაკვეთის თავდაპირველი კავშირი გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით.
(2) თუ მიწის ნაკვეთის ნაწილის გასხვისების შედეგად გასხვისებული ან დარჩენილი ნაწილი საჯარო გზისაგან მოწყვეტილი რჩება, მაშინ იმ ნაწილის მესაკუთრე, რომელზეც თავდაპირველად ხორციელდებოდა კავშირი, ვალდებულია აუცილებელი გზის თმენაზე. ნაწილის გასხვისებას უთანაბრდება ერთი და იმავე მესაკუთრის კუთვნილი რამდენიმე მიწის ნაკვეთიდან ერთ-ერთის გასხვისება.

§ 919. სასაზღვრო ნიშნულების დასმა
(1) მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია მოსთხოვოს მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს მონაწილეობა მყარი სასაზღვრო ნიშნულის დასმაში,ხოლო თუ სასაზღვრო ნიშნული გადაწეული ან ძნელად გასარჩევია, – მის აღდგენაში.
(2) ნიშნულების დასმის ხერხი და წესი განისაზღვრება ფედერაციული მხარის კანონების თანახმად; თუ ამ კანონებით არ დგინდება შესაბამისი ნორმები, მაშინ გადამწყვეტია ადგილზე მიღებული წესები.
(3) ნიშნულების დასმის ხარჯები მონაწილეთა შორის ნაწილდება თანაბრად, თუ მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობით სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 920. საზღვრის არევა
(1) თუ საზღვრების არევის შემთხვევაში ნამდვილი საზღვრის დადგენა შეუძლებელია, მაშინ გასამიჯნავად გადამწყვეტია ფაქტობრივი მფლობელობა. თუ ფაქტობრივი მფლობელობა ვერ დგინდება, მაშინ თითოეულ მიწის ნაკვეთს უნდა მიემატოს სადავო ფართის თანაბარი წილი.
(2) თუ ამ ნორმების მიხედვით საზღვრის დადგენას მივყავართ იმ შედეგამდე, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ კი, მიწის ნაკვეთების დადგენილ ფართობს, მაშინ საზღვარი აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით უნდა გაივლოს სამართლიანი შეხედულებით.

§ 921. სასაზღვრო ნაგებობით ერთობლივი სარგებლობა
თუ ორი მიწის ნაკვეთი ერთმანეთისაგან გამიჯნულია შუალედური სივრცით, მიჯნით, კუთხით, თხრილით, კედლით, ცოცხალი ღობით, ღობით ან სხვა მოწყობილობით, რომელიც განკუთვნილია ორივე მიწის ნაკვეთის სარგებლისათვის, მაშინ ივარაუდება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეები თანაბრად არიან უფლებამოსილნი, ისარგებლონ ამ მოწყობილობით, თუ გარეგნული ნიშნები არ მიუთითებს, რომ მოწყობილობა ერთ-ერთ მეზობელს ეკუთვნის.

§ 922. სარგებლობისა და შენახვის ხერხი
თუ მეზობლები უფლებამოსილნი არიან § 921-ში მითითებული მოწყობილობების ერთობლივ სარგებლობაზე, მაშინ თითოეულ მათგანს შეუძლია მათი გამოყენება მოწყობილობების თვისებიდან გამომდინარე მიზნით, რამდენადაც ეს ხელს არ უშლის სხვა პირის თანასარგებლობას. შენახვის ხარჯები მეზობლებს თანაბრად ეკისრებათ. მანამდე, სანამ ერთ-ერთ მეზობელს აქვს მოწყობილობის შენარჩუნების ინტერესი, ამ უკანასკნელის მოცილება ან შეცვლა მისი თანხმობის გარეშე დაუშვებელია. დანარჩენ შემთხვევებში მეზობლებს შორის სამართლებრივი ურთიერთობები განისაზღვრება საზიარო უფლების შესახებ ნორმების მიხედვით.

§ 923. საზღვარზე მდგარი ხე
(1) თუ საზღვარზე დგას ხე, მაშინ ნაყოფი და, თუ ხე მოიჭრება, ეს უკანასკნელიც ეკუთვნის მეზობლებს თანაბარწილად.
(2) ყოველ მეზობელს შეუძლია მოითხოვოს ხის მოშორება. ხის მოშორების ხარჯები მეზობლებს თანაბარწილად ეკისრებათ. თუმცა, მხოლოდ იმ მეზობელს, რომელიც ითხოვს ხის მოცილებას, ეკისრება ხარჯები, თუ სხვა მეზობელი უარს იტყვის ხეზე თავის უფლებაზე; ამ შემთხვევაში პირველი იძენს ერთპიროვნულ საკუთრების უფლებას ხის მოცილების მომენტში. მოცილების მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ ხე გამოიყენება როგორც სასაზღვრო ნიშნული და გარემოებების მიხედვით იგი ვერ შეიცვლება სხვა მიზანშეწონილი სასაზღვრო ნიშნულით.
(3) ეს ნორმები მოქმედებს, აგრეთვე, საზღვარზე მდგარი ბუჩქის მიმართ.

§ 924. სამეზობლო-სამართლებრივი მოთხოვნის უფლებებისადმი ხანდაზმულობის ვადის გამოყენების დაუშვებლობა
§§ 907-909, 915, § 917-ის პირველი ნაწილიდან, § 918-ის მე-2 ნაწილიდან, §§ 919, 920-ისა და § 923-ის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები არ ექვემდებარება ხანდაზმულობას.

კარი 2. საკუთრების უფლების შეძენა და დაკარგვა მიწის ნაკვეთებზე

§ 925. შეთანხმება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ
(1) § 873-ის თანახმად, საჭიროა გამსხვისებლისა და შემძენის შეთანხმება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის (შეთანხმება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ) განცხადებულ უნდა იქნეს ორივე მხარის ერთდროული თანდასწრებით კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. სხვა ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციის შეზღუდვის გარეშე, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების დასამოწმებლად კომპეტენტურია ნებისმიერი ნოტარიუსი. შეთანხმება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეიძლება ასევე განცხადებულ იქნეს სასამართლოს მორიგების აქტში ან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული გაკოტრების გეგმით.
(2) შეთანხმება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ პირობით ან ვადის დადგენით სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 925ა. უძრავ ქონებაზე გარიგების დოკუმენტი
უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმების განცხადება მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარედგინება ან ერთდროულად მომზადდება, § 311ბ-ს პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საჭირო ხელშეკრულების დოკუმენტი.

§ 926. მიწის ნაკვეთის საკუთვნებელი
(1) თუ გამსხვისებელი და შემძენი შეთანხმდნენ იმაზე, რომ გასხვისება უნდა გავრცელდეს მიწის ნაკვეთის საკუთვნებელზე, მაშინ შემძენი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებასთან ერთად ასევე იძენს საკუთრების უფლებას შეძენის მომენტისათვის არსებულ საკუთვნებელზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი ეკუთვნის გამსხვისებელს. საეჭვოობისას ივარაუდება, რომ გასხვისება უნდა გავრცელდეს საკუთვნებელზე.
(2) თუ გასხვისების საფუძველზე შემძენი იძენს მფლობელობას საკუთვნებელზე, რომელიც გამსხვისებელს არ ეკუთვნის, ან დატვირთულია მესამე პირების უფლებებით, მაშინ გამოიყენება §§ 932-936-ის ნორმები; შემძენის კეთილსინდისიერებისათვის განმსაზღვრელია მფლობელობის მიღების მომენტი.

§ 927. გამოწვევითი წარმოება
(1) მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეიძლება წაერთვას თავისი უფლება გამოწვევითი წარმოების წესით, თუ სხვა პირი მიწის ნაკვეთს 30 წლის განმავლობაში ფლობს როგორც საკუთარს. ფლობის ვადა გამოითვლება იმავე წესით, როგორც მოძრავი ნივთის ხანდაზმულობით შეძენისას. თუ მესაკუთრე რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, მაშინ გამოწვევითი წარმოება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გარდაიცვალა ან აღიარებულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად და 30 წლის განმავლობაში საჯარო რეესტრში არ განხორციელებულა რეგისტრაცია, რისთვისაც საჭირო იყო მესაკუთრის თანხმობა.
(2) პირი, ვის სასარგებლოდაც გამოწვევით წარმოებაში მიღებულია სასამართლოს განჩინება, იძენს საკუთრების უფლებას მისი მესაკუთრის სახით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.
(3) თუ გამოწვევით წარმოებაში მიღებული სასამართლოს განჩინების გამოტანამდე მესამე პირი რეგისტრირებულია როგორც მესაკუთრე ან მესამე პირის საკუთრების უფლების გამო საჯარო რეესტრის უსწორობის მიმართ შეტანილია პროტესტი, მაშინ გამოწვევით წარმოებაში მიღებული სასამართლოს განჩინება არ მოქმედებს მესამე პირის მიმართ.

§ 928. საკუთრების უფლების მიტოვება, მისაკუთრება ხაზინის მიერ
(1) მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება შეიძლება მიტოვებულ იქნეს მესაკუთრის მიერ საჯარო რეესტრის სამსახურის წინაშე გაკეთებული უარის შესახებ განცხადებით და უარის საჯარო რეესტრში რეგისტრაციით.
(2) მიტოვებულ მიწის ნაკვეთზე მისაკუთრების უფლება ეკუთვნის იმ ფედერაციული მხარის ხაზინას, რომელზეც განთავსებულია მიწის ნაკვეთი. ხაზინა იძენს საკუთრების უფლებას მისი მესაკუთრის სახით საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

კარი 3. საკუთრების უფლების შეძენა და დაკარგვა მოძრავ ნივთებზე

ქვეკარი 1. საკუთრების უფლების გადაცემა

§ 929. შეთანხმება და გადაცემა

მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა, მესაკუთრემ გადასცეს ნივთი შემძენს და ორივე მხარე შეთანხმდეს საკუთრების უფლების გადასვლაზე. თუ ნივთს ფლობს შემძენი, მაშინ საკმარისია საკუთრების უფლების გადასვლაზე შეთანხმება.

§ 929ა. შეთანხმება არარეგისტრირებული საზღვაო ხომალდის შემთხვევაში

(1) იმ საზღვაო ხომალდზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის, რომელიც არ არის რეგისტრირებული საზღვაო ხომალდების რეესტრში, ან ასეთი საზღვაო ხომალდის ნაწილზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის მფლობელობაში გადაცემა აუცილებელი არ არის, თუ მესაკუთრე და შემძენი შეთანხმდნენ საკუთრების უფლების დაუყოვნებლივ გადასვლაზე.
(2) ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მას თავისი ხარჯით გადაეცეს გასხვისების თაობაზე ოფიციალურად დამოწმებული დოკუმენტი.

§ 930. შეთანხმება არაპირდაპირი მფლობელობის დადგენისას

თუ ნივთს ფლობს მესაკუთრე, ნივთის გადაცემა შეიძლება შეიცვალოს იმით, რომ მასა და შემძენს შორის შეთანხმებულ იქნეს სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც შემძენი იძენს არაპირდაპირ მფლობელობას.

§ 931. ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების დათმობა

თუ ნივთს ფლობს მესამე პირი, მაშინ გადაცემა შეიძლება შეიცვალოს იმით, რომ მესაკუთრე შემძენს დაუთმობს მოთხოვნის უფლებას ნივთის გამოთხოვაზე.

§ 932. კეთილსინდისიერი შეძენა არაუფლებამოსილი პირისაგან

(1) § 929-ის თანახმად, განხორციელებული გასხვისების შედეგად შემძენი ხდება მესაკუთრე მაშინაც კი, თუ ნივთი გამსხვისებელს არ ეკუთვნის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი იმ დროისათვის, როდესაც მას, ამ ნორმების თანახმად, უნდა შეეძინა საკუთრების უფლება, კეთილსინდისიერი არ არის. თუმცა, § 929-ის მე-2 ნაწილის მიხედვით, ეს წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემძენმა გამსხვისებლისაგან მიიღო მფლობელობა.
(2) შემძენი არ არის კეთილსინდისიერი, თუ მან იცის, ან უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ იცის, რომ ნივთი გამსხვისებელს არ ეკუთვნის.

§ 932ა. არარეგისტრირებული საზღვაო ხომალდის კეთილსინდისიერი შეძენა

§ 929ა-ს თანახმად, თუ გასხვისებული საზღვაო ხომალდი გამსხვისებელს არ ეკუთვნის, მაშინ შემძენი ხდება მესაკუთრე: თუ საზღვაო ხომალდი მას გადაეცა მფლობელობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემძენი ამ მომენტისათვის არ არის კეთილსინდისიერი; და თუ გასხვისების საგანია საზღვაო ხომალდის ნაწილი, მაშინ გადაცემას ცვლის საზღვაო ხომალდზე თანამფლობელობის მინიჭება.

§ 933. კეთილსინდისიერი შეძენა არაპირდაპირი მფლობელობის დადგენის შესახებ შეთანხმების შემთხვევაში
§ 930-ის თანახმად, თუ გასხვისებული ნივთი გამსხვისებელს არ ეკუთვნის, მაშინ შემძენი ხდება მესაკუთრე, თუკი ნივთი მას გადაეცა მფლობელობაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ამ მომენტისათვის არ არის კეთილსინდისიერი.

§ 934 კეთილსინდისიერი შეძენა ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების დათმობის შემთხვევაში
§ 931-ის თანახმად, თუ გასხვისებული ნივთი გამსხვისებელს არ ეკუთვნის, მაშინ შემძენი ხდება მესაკუთრე, როდესაც გამსხვისებელი არაპირდაპირი მფლობელია – მოთხოვნის უფლების დათმობით ან სხვა შემთხვევაში, – და როდესაც იგი მესამე პირისაგან მიიღებს ნივთზე მფლობელობას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუკი მოთხოვნის უფლების დათმობის ან ნივთზე მფლობელობის მიღების მომენტისათვის იგი არ არის კეთილსინდისიერი.

§ 935. დაკარგული ნივთების კეთილსინდისიერი შეძენის დაუშვებლობა
(1) §§ 932-934-ის საფუძველზე საკუთრების უფლების შეძენა არ ხდება, თუ ნივთი მესაკუთრეს მოჰპარეს, მან ნივთი დაკარგა ან ეს უკანასკნელი სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე მხოლოდ არაპირდაპირი მფლობელი იყო, ანალოგიური წესი მოქმედებს, როდესაც ნივთი გავიდა მფლობელის მფლობელობიდან.
(2) ეს ნორმები არ გამოიყენება ფულის ან საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების მიმართ, ისევე როგორც იმ ნივთების მიმართ, რომელთა გასხვისება ხდება საჯარო აუქციონის ან § 979-ის 1ა ნაწილის თანახმად ჩატარებული აუქციონის გზით.

§ 936. მესამე პირთა უფლებების გაუქმება
(1) თუ გასხვისებული ნივთი დატვირთულია მესამე პირის უფლებით, მაშინ ეს უფლება საკუთრების უფლების შეძენით უქმდება. თუმცა, § 929-ის მე-2 ნაწილის შემთხვევაში ეს წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც შემძენმა გამსხვისებლისაგან მიიღო მფლობელობა. თუ გასხვისება ხორციელდება § 929ა-ს ან § 930-ის თანახმად, ან, თუ, § 931-ის თანახმად, გასხვისებული ნივთი არ იყო გამსხვისებლის არაპირდაპირ მფლობელობაში, მაშინ მესამე პირის უფლება უქმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემძენი გასხვისების შედეგად იღებს მფლობელობას.
(2) მესამე პირის უფლება არ უქმდება, თუ შემძენი იმ მომენტისათვის, რომელიც პირველი ნაწილის თანახმად არის განმსაზღვრელი, უფლების მიმართ არ არის კეთილსინდისიერი.
(3) თუ § 931-ში მითითებულ შემთხვევაში უფლება ეკუთვნის მფლობელ მესამე პირს, მაშინ უფლება არ უქმდება ასევე კეთილსინდისიერი შემძენის მიმართაც.

ქვეკარი 2. შეძენითი ხანდაზმულობა

§ 937. წინაპირობები, გამორიცხვა ცნობის შემთხვევაში
(1) პირი, რომელიც მოძრავ ნივთს ათი წლის განმავლობაში ფლობს როგორც საკუთარს, იძენს ნივთზე საკუთრების უფლებას (შეძენითი ხანდაზმულობა).

(2) შეძენითი ხანდაზმულობა გამორიცხულია, თუ შემძენი თავისთვის მფლობელობის შეძენისას არ არის კეთილსინდისიერი, ან თუ იგი მოგვიანებით შეიტყობს, რომ მას საკუთრების უფლება არ ეკუთვნის.

§ 938. თავისთვის მფლობელობის პრეზუმფცია
თუ პირი ფლობდა ნივთს, როგორც საკუთარს, დროის მონაკვეთის დასაწყისსა და დასასრულს, ივარაუდება, რომ მისი მფლობელობა არსებობდა ასევე შუალედშიც.

§ 939. შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება
(1) შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ წარდგენილია ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლება თავისთვის მფლობელის მიმართ ან თავისთვის არაპირდაპირი მფლობელობის შემთხვევაში იმ მფლობელის მიმართ, ვისი მფლობელობის უფლებაც გამომდინარეობს თავისთვის მფლობელობიდან, §§ 203-ისა და 204-ის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მიმართ დადგენილი წესით. თუმცა, ვადის დენის შეჩერება არ ხდება მხოლოდ იმ პირის სასარგებლოდ, რომელიც ვინც მას ახორციელებს.
(2) შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენა ასევე ჩერდება მანამდე, სანამ შეჩერებულია ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადის დენა, §§ 205-207-ის, ან მისი დასრულება, §§ 210-ისა და 211-ის თანახმად.

§ 940. შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა მფლობელობის დაკარგვის შედეგად
(1) შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება თავისთვის მფლობელობის დაკარგვის შედეგად.
(2) შეწყვეტა არ ითვლება დამდგარად, თუ თავისთვის მფლობელმა თავისთვის მფლობელობა დაკარგა თავისი ნების საწინააღმდეგოდ და დაიბრუნა იგი ერთი წლის განმავლობაში ან ამ ვადის განმავლობაში წარდგენილი სარჩელის მეშვეობით.

§ 941. შეწყვეტა სააღსრულებო მოქმედების შედეგად
შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სააღსრულებო მოქმედებით ან ამ მოქმედების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანით. შესაბამისად, მოქმედებს § 212 მე-2 და მე-3 ნაწილები.

§ 942. შეწყვეტის სამართლებრივი შედეგი
თუ შეძენითი ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, მაშინ ვადის დენის შეწყვეტამდე გასული დრო მხედველობაში არ მიიღება; შეძენითი ხანდაზმულობის ახალი ვადის დენა შეიძლება დაიწყოს მხოლოდ შეწყვეტის დასრულების შემდეგ.

§ 943. შეძენითი ხანდაზმულობა სამართალმემკვიდრის შემთხვევაში
თუ სამართალმემკვიდრეობის შედეგად ნივთზე მფლობელობას თავისთვის იძენს მესამე პირი, მაშინ შეძენითი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც გავიდა წინამორბედის მიერ მფლობელობის განხორციელების დროს, მიითვლება მესამე პირის სასარგებლოდ.

§ 944. მემკვიდრეობის მფლობელი
შეძენითი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც გავიდა მემკვიდრეობის მფლობელის სასარგებლოდ, ჩაითვლება მემკვიდრის სასარგებლოდ.

§ 945. მესამე პირთა უფლებების გაუქმება
შეძენითი ხანდაზმულობის მეშვეობით საკუთრების უფლების შეძენით უქმდება თავისთვის მფლობელობის შეძენამდე დადგენილი მესამე პირების უფლებები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თავისთვის მფლობელი თავისთვის მფლობელობის შეძენისას ამ უფლებების მიმართ კეთილსინდისიერია ან მათი არსებობის შესახებ იგი მოგვიანებით შეიტყობს. შეძენითი ხანდაზმულობის ვადა გადის ასევე მესამე პირთა უფლებების მიმართაც. შესაბამისად, გამოიყენება §§ 939-944 ნორმები.

ქვეკარი 3. შეერთება, შერევა, გადამუშავება

§ 946. შეერთება მიწის ნაკვეთთან
თუ მოძრავი ნივთი შეუერთდება მიწის ნაკვეთს იმგვარად, რომ იგი მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი გახდება, მაშინ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება ვრცელდება ამ ნივთზეც.

§ 947. შეერთება მოძრავ ნივთთან
(1) თუ მოძრავი ნივთები ერთმანეთს შეუერთდებიან იმგვარად, რომ ისინი გახდებიან ერთიანი ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილები, მაშინ თავდაპირველი მესაკუთრეები ხდებიან ამ ნივთის თანამესაკუთრეები; წილები განისაზღვრება იმ ღირებულების შეფარდებით, რომელიც ნივთებს შეერთების მომენტისათვის აქვს.
(2) თუ ერთ-ერთი ნივთი განხილულ უნდა იქნეს ძირითად ნივთად, მაშინ მისი მესაკუთრე იძენს ერთპიროვნულ საკუთრების უფლებას.

§ 948. შერევა
(1) თუ მოძრავი ნივთები ერთმანეთს შეერევა ან შეერწყმება იმგვარად, რომ მათი გაყოფა შეუძლებელი გახდება, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 947-ის ნორმები.
(2) გაყოფის შეუძლებლობას უთანაბრდება, თუ შერეული ან შერწყმული ნივთების გაყოფა დაკავშირებული იქნებოდა შეუსაბამო ხარჯებთან.

§ 949. მესამე პირთა უფლებების გაუქმება
§§ 946-948-ის თანახმად, თუ ნივთზე საკუთრების უფლება უქმდება, მაშინ უქმდება ასევე ნივთზე არსებული სხვა უფლებებიც; თუ დატვირთული ნივთის მესაკუთრე იძენს თანასაკუთრებას, მაშინ უფლებები აგრძელებს არსებობობას იმ ნაწილზე, რომელიც ამ ნივთის შემადგენელი ნაწილი ხდება; თუ დატვირთული ნივთის მესაკუთრე ხდება ერთპიროვნული მესაკუთრე, მაშინ უფლებები ვრცელდება მიმატებულ ნივთზე.

§ 950. გადამუშავება
(1) პირი, რომელიც ერთი ან რამდენიმე მასალის გადამუშავების ან გადაკეთების შედეგად ქმნის ახალ მოძრავ ნივთს, იძენს საკუთრების უფლებას ამ ნივთზე იმდენად, რამდენადაც გადამუშავების ან გადაკეთების ღირებულება არ არის არსებითად

უფრო მცირე, ვიდრე მასალის ღირებულება. გადამუშავებად მიიჩნევა ასევე წერა, ხაზვა, ხატვა, ბეჭდვა, გრავირება ან ზედაპირის სხვა მსგავსი დამუშავება.
(2) ახალ ნივთზე საკუთრების უფლების შეძენით უქმდება მასალის მიმართ არსებული უფლებები.

§ 951. ზიანის ანაზღაურება უფლების დაკარგვის გამო
(1) პირს, რომელიც §§ 946-950-ის ნორმების შედეგად კარგავს უფლებას, შეუძლია მოითხოვოს ფულადი ანაზღაურება, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად, იმ პირისაგან, რომლის სასარგებლოდაც განხორციელდა უფლებრივი ცვლილებები. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნა დაუშვებელია.
(2) დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების შესახებ ნორმები, ისევე როგორც გაწეული ხარჯების ანაზღაურებისა და მოწყობილობის თან წაღების უფლების შესახებ ნორმები უცვლელი რჩება. §§ 946, 947-ის შემთხვევებში, მესაკუთრის მიმართ მფლობელის კუთვნილი თან წაღების უფლების მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად, თან წაღების უფლება დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, თუ შეერთება განხორციელდა იმ პირის მიერ, რომელიც არ არის ძირითადი ნივთის მფლობელი.

§ 952. საკუთრების უფლება სავალო დოკუმენტებზე
(1) საკუთრების უფლება მოთხოვნის დამადასტურებელ სავალო დოკუმენტზე ეკუთვნის კრედიტორს. მოთხოვნაზე მესამე პირის უფლება ვრცელდება სავალო დოკუმენტზე.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს სხვა უფლებების დამადასტურებელ დოკუმენტებზე, რომელთა ძალითაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ვალდებულების შესრულება, კერძოდ კი, იპოთეკის, მიწის ვალისა და სარენტო ვალის სერტიფიკატები.

ქვეკარი 4. ნაყოფისა და ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილების შეძენა

§ 953. საკუთრების უფლება გამოცალკევებულ ნაყოფსა და ნივთის სხვა შემადგენელ ნაწილებზე
ნაყოფი და ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილები ეკუთვნის ნივთის მესაკუთრეს მათი გამოცალკევების შემდეგაც, თუ §§ 954-957-იდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 954. შეძენა სანივთო უფლების მქონე პირის მიერ
პირი, რომელიც სხვა პირის ნივთზე არსებული უფლების საფუძველზე უფლებამოსილია, მიისაკუთროს ნაყოფი ან ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილები, §§ 955-957-ის ნორმების დარღვევის გარეშე, ამ უკანასკნელებზე საკუთრების უფლებას იძენს გამოცალკევების მომენტიდან.

§ 955. შეძენა კეთილსინდისიერი თავისთვის მფლობელის მეშვეობით
(1) პირი, რომელიც ნივთს თავისთვის ფლობს, §§ 955-957-ის ნორმების დარღვევის გარეშე, იძენს საკუთრების უფლებას ნაყოფზე ან ნივთის სხვა შემადგენელ ნაწილებს მიკუთვნებულ ნაყოფზე გამოცალკევების მომენტიდან. შეძენა გამორიცხულია, თუ მფლობელი თავისთვის არ არის უფლებამოსილი თავისთვის მფლობელობაზე ან სხვა პირი ნივთზე უფლების ძალით უფლებამოსილია ნაყოფის მიღებაზე

და მფლობელი თავისთვის მფლობელობის შეძენისას არ არის კეთილსინდისიერი ან გამოცალკევებამდე მან იცის უფლებრივი ნაკლის შესახებ.
(2) თავისთვის მფლობელს უთანაბრდება პირი, რომელიც ნივთს ფლობს მასზე სარგებლობის უფლების რეალიზაციის მიზნით.
(3) თავისთვის მფლობელობისა და მასთან გათანაბრებული მფლობელობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება § 940-ის მე-2 ნაწილის ნორმა.

§ 956. შეძენა პირადი უფლების მქონე პირის მიერ
(1) თუ მესაკუთრე სხვა პირს რთავს ნაყოფის ან ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილების მისაკუთრების ნებას, მაშინ ეს უკანასკნელი იძენს მათზე საკუთრების უფლებას გამოცალკევების მომენტიდან იმ პირობით, რომ მას გადაეცემა ნივთზე მფლობელობა, სხვა შემთხვევაში კი – ფაქტობრივი დაუფლების მომენტიდან. თუ მესაკუთრე ვალდებულია ნებართვის მიცემაზე, მაშინ მას არ შეუძლია მისი უკან წაღება მანამდე, სანამ სხვა პირი ნივთზე ახორციელებს მისთვის მინიჭებულ მფლობელობას.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ ნებართვის მიცემა ხდება არა მესაკუთრის, არამედ სხვა პირის მხრიდან, რომელსაც გამოცალკევების შემდეგ ეკუთვნის ნაყოფი ან ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილები.

§ 957. არაუფლებამოსილი პირის მიერ მიცემული ნებართვა
§ 956-ის ნორმა გამოიყენება ასევე მაშინაც, თუ პირი, რომელიც სხვა პირს რთავს მისაკუთრების ნებას, არ არის ამაზე უფლებამოსილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა პირი იმ შემთხვევაში, თუ მას გადაეცა ნივთზე მფლობელობა, ამ გადაცემისას, სხვა შემთხვევაში კი, – ნაყოფის ან ნივთის სხვა შემადგენელი ნაწილების ფაქტიური დაუფლებისას, არ არის კეთილსინდისიერი ან გამოცალკევებამდე მან იცის უფლებრივი ნაკლის შესახებ.

ქვეკარი 5. მისაკუთრება

§ 958. საკუთრების უფლება შეძენა უპატრონო მოძრავ ნივთებზე
(1) პირი, რომელიც უპატრონო მოძრავ ნივთს იღებს თავისთვის მფლობელობაში, იძენს მასზე საკუთრების უფლებას.
(2) საკუთრების უფლების შეძენა არ ხდება, თუ მისაკუთრება კანონით აკრძალულია ან თუ ფაქტიური დაუფლებით ირღვევა სხვა პირის მისაკუთრების უფლება.

§ 959. საკუთრების უფლების მიტოვება
მოძრავი ნივთი ხდება უპატრონო, თუ მესაკუთრე მასზე საკუთრების უფლებაზე უარის მიზნით ტოვებს ნივთის მფლობელობას.

§ 960. გარეული ცხოველები
(1) გარეული ცხოველები უპატრონოდ მიიჩნევიან მანამდე, სანამ ისინი თავისუფლები არიან. ზოოპარკში მყოფი გარეული ცხოველები ან თევზები საგუბრებში ან სხვა დახურულ კერძო წყალსატევებში არ მიიჩნევიან უპატრონოდ.
(2) თუ დაჭერილი გარეული ცხოველი დაიბრუნებს თავისუფლებას, მაშინ იგი ხდება უპატრონო, თუ მესაკუთრე ცხოველს დაუყოვნებლივ არ დაედევნება ან თუ დევნაზე იტყვის უარს.

(3) გაწვრთნილი ცხოველი ხდება უპატრონო, თუ იგი დაკარგავს მისთვის განსაზღვრულ ადგილზე დაბრუნების ჩვევას.

§ 961. საკუთრების უფლების დაკარგვა ფუტკრების გუნდის შემთხვევაში
თუ ფუტკრების გუნდი გაფრინდება, იგი ხდება უპატრონო, თუ მესაკუთრე მას დაუყოვნებლივ არ დაედევნება ან თუ დევნაზე იტყვის უარს.

§ 962. მესაკუთრის დადევნების უფლება
დადევნებისას ფუტკრების გუნდის მესაკუთრეს შეუძლია შევიდეს უცხო მიწის ნაკვეთზე. თუ ფუტკრების გუნდი შევიდა სხვა პირის კუთვნილ დაუკავებელ სკაში, მაშინ ფუტკრების გუნდის მესაკუთრეს მისი დაჭერის მიზნით შეუძლია სკის გასხნა და ფიჭების ამოღება ან ამოტეხვა. მან უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

§ 963. ფუტკრების გუნდების არევა
თუ რამდენიმე მესაკუთრის კუთვნილი ფუტკრების გუნდები ერთმანეთს შეერევა, მაშინ ის მესაკუთრეები, რომლებიც დაედევნენ თავიანთ გუნდებს, ხდებიან დაჭერილი საერთო გუნდის თანამესაკუთრეები; წილები განისაზღვრება დადევნებული გუნდების რაოდენობის მიხედვით.

§ 964. ფუტკრების გუნდების შერევა
თუ ფუტკრების გუნდი შევა სხვა პირის კუთვნილ დაკავებულ სკაში, მაშინ საკუთრების უფლება და სხვა უფლებები იმ ფუტკრებზე, რომლებიც იმყოფებიან სკაში, ვრცელდება სკაში შემსვლელ გუნდზე. საკუთრების უფლება და სხვა უფლებები შემსვლელ გუნდზე უქმდება.

ქვეკარი 6. ნაპოვარი

§ 965. მპოვნელის მიერ ნაპოვარის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება
(1) პირი,რომელიც პოულობს დაკარგულ ნივთს და იღებს მას, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს იმ პირს, რომელმაც ნივთი დაკარგა, ან მესაკუთრეს ანდა მიღებაზე უფლებამოსილ სხვა პირს.
(2) თუ მპოვნელი მიღებაზე უფლებამოსილ პირებს არ იცნობს ან მისთვის უცნობია მათი ადგილსამყოფელი, მაშინ იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს ნაპოვარისა და იმ გარემოებების შესახებ, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა მიღებაზე უფლებამოსილი პირის დასადგენად. თუ ნივთის ღირებულება არ აღემატება ათ ევროს, მაშინ შეტყობინება აუცილებელი არ არის.

§ 966. შენახვის ვალდებულება
(1) მპოვნელს ეკისრება ნივთის შენახვის ვალდებულება.
(2) თუ არსებობს ნივთის გაფუჭების საფრთხე ან თუ შენახვა დაკავშირებულია შეუსაბამო ხარჯებთან, მაშინ ნაპოვარი ექვემდებარება საჯარო აუქციონზე გაყიდვას. აუქციონამდე შეტყობინება უნდა გაკეთდეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის. ამონაგები თანხა იკავებს ნივთის ადგილს.

§ 967. ნივთის გადაცემის ვალდებულება
მპოვნელი უფლებამოსილია, ხოლო კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს განკარგულებით ვალდებულია, ნივთი ან აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხა გადასცეს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს.

§ 968. პასუხისმგებლობის ფარგლები
მპოვნელი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვისა და უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

§ 969. იმ პირისათვის ნივთის გადაცემა, რომელმაც ეს ნივთი დაკარგა
იმ პირისათვის ნივთის გადაცემით, რომელმაც ეს ნივთი დაკარგა, მპოვნელი თავისუფლდება ვალდებულებისაგან მიღებაზე უფლებამოსილი სხვა პირების წინაშეც.

§ 970. ხარჯების ანაზღაურება
თუ მპოვნელი ნივთის შენახვისა თუ მოვლის მიზნით ანდა მიღებაზე უფლებამოსილი პირის დადგენის მიზნით სწევს ხარჯებს, რომლებიც გარემოებებიდან გამომდინარე მიიჩნევა აუცილებლად, მაშინ მას შეუძლია მიღებაზე უფლებამოსილი პირისაგან მოითხოვოს ანაზღაურება.

§ 971. ჯილდო პოვნისათვის
(1) მპოვნელს შეუძლია ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირისაგან მოითხოვოს პოვნისათვის ჯილდო. პოვნისათვის ჯილდო შეადგენს: 500 ევრომდე ღირებულების მქონე ნივთისათვის – ხუთ პროცენტს, უფრო მეტი ღირებულების მქონე ნივთისათვის – სამ პროცენტს, ხოლო ცხოველების შემთხვევაში – სამ პროცენტს. თუ ნივთი წარმოადგენს ღირებულებას მხოლოდ მიღებაზე უფლებამოსილი პირისათვის, მაშინ პოვნისათვის ჯილდო დგინდება სამართლიანი შეფასებით.
(2) მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ მპოვნელი არღვევს შეტყობინების ვალდებულებას ან ნივთის მოკითხვისას მალავს ნაპოვარს.

§ 972. მპოვნელის მიერ ნივთის დაკავების უფლება
§§ 970, 971-ით განსაზღვრული მოთხოვნის უფლებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება მესაკუთრის მიმართ ხარჯების ანაზღაურების შესახებ მფლობელის კუთვნილი მოთხოვნის უფლებების მომწესრიგებელი §§ 1000-1002-ის ნორმები.

§ 973. მპოვნელის მიერ ნაპოვარზე საკუთრების უფლების შეძენა
(1) მპოვნელის მიერ კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის შეტყობინების გაგზავნის მომენტიდან ექვსი თვის ვადის გასვლისთანავე მპოვნელი იძენს ნივთზე საკუთრების უფლებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მანამდე ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირი მისთვის ცნობილი გახდება ან ამ უკანასკნელმა თავისი უფლების შესახებ შეატყობინა კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს. საკუთრების უფლების შეძენით ნივთზე სხვა უფლებები უქმდება.
(2) თუ ნივთის ღირებულება არ აღემატება ათ ევროს, მაშინ ექვსთვიანი ვადის დენა იწყება ნივთის პოვნის მომენტიდან. მპოვნელი არ იძენს საკუთრების უფლებას, თუ იგი ნივთის მოკითხვისას მალავს ნაპოვარს. კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის უფლების შესახებ შეტყობინება ხელს არ უშლის საკუთრების უფლების შეძენას.

§ 974. საკუთრების უფლების შეძენა ნაპოვარის დამალვის შემდეგ
თუ ექვსთვიანი ვადის გასვლამდე მპოვნელისათვის ცნობილი გახდება ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირები ან ეს უკანასკნელები დროულად შეატყობინებენ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს იმ ნივთზე თავიანთი უფლებების შესახებ, რომლის ღირებულება არ აღემატება ათ ევროს, მაშინ მპოვნელს შეუძლია § 1003-ის თანახმად ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს მოსთხოვოს განმარტება §§ 970-972-ის მიხედვით მპოვნელის კუთვნილი მოთხოვნის უფლებების თაობაზე. განმარტებისათვის დადგენილი ვადის გასვლისთანავე მპოვნელი იძენს ნაპოვარზე საკუთრების უფლებას და უქმდება მასზე არსებული სხვა უფლებები, თუ ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირები დროულად არ განაცხადებენ მოთხოვნის უფლებების დაკმაყოფილების მზადყოფნის თაობაზე.

§ 975. მპოვნელის უფლებები ნივთის გადაცემის შემდეგ
ნივთის ან აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხის კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაცემით მპოვნელის უფლებები არ იცვლება. თუ კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანო ყიდის ნივთს აუქციონზე, მაშინ ამონაგები თანხა იკავებს ნივთის ადგილს. კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ნივთი ან ამონაგები თანხა გადასცეს ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილ პირს მხოლოდ მპოვნელის თანხმობით.

§ 976. საკუთრების უფლების შეძენა მუნიციპალიტეტის მიერ
(1) თუ მპოვნელი კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე გაკეთებული განცხადებით უარს ამბობს ნივთზე საკუთრების უფლების შეძენაზე, მაშინ მისი უფლება გადადის მუნიციპალიტეტზე ნაპოვარის აღმოჩენის ადგილის მიხედვით.
(2) თუ მპოვნელმა ნივთის ან აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხის კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაცემის შემდეგ §§ 973, 974-ის ნორმების საფუძველზე შეიძინა საკუთრების უფლება, მაშინ ეს უფლება გადადის მუნიციპალიტეტზე ნაპოვარის აღმოჩენის ადგილის მიხედვით, თუ მპოვნელი კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არ ითხოვს ნივთის გადმოცემას.

§ 977. უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება
პირს, რომელიც §§ 973, 974, 976-ის ნორმების თანახმად კარგავს უფლებებს, შეუძლია §§ 973, 974-ის შემთხვევებში მპოვნელისაგან, ხოლო § 976-ის შემთხვევაში – ნაპოვარის აღმოჩენის ადგილის მიხედვით მუნიციპალიტეტისაგან, მოითხოვოს უფლებრივი ცვლილების შედეგად მიღებულის მისთვის გადაცემა უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად. მოთხოვნის უფლება უქმდება სამი წლის ვადის გასვლისთანავე მპოვნელზე ან მუნიციპალიტეტზე საკუთრების უფლების გადასვლის შემდეგ, თუ მოთხოვნის უფლების სასამართლო წესით რეალიზაცია უფრო ადრე არ ხორციელდება.

§ 978. ნაპოვარი საჯარო ორგანოს ან სატრანსპორტო დაწესებულების ტერიტორიაზე
(1) პირი, რომელიც ნივთს პოულობს საჯარო ორგანოს ან საჯარო სამსახურისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო დაწესებულების საოფისე ფართის ტერიტორიაზე ან სატრანსპორტო საშუალებებში და იღებს მას, ვალდებულია, დაუყოვ-

ნებლივ გადასცეს იგი ორგანოს ან სატრანსპორტო დაწესებულებას, ან მათ მოსამსახურეებს. §§ 965-967-ისა და §§ 969-977-ის ნორმები არ გამოიყენება.
(2) თუ ნივთის ღირებულება არ არის 50 ევროზე ნაკლები, მპოვნელს შეუძლია, ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირისაგან მოითხოვოს პოვნისათვის ჯილდო. ჯილდო შეადგენს იმ თანხის ნახევარს, რომელიც გაიცემოდა § 971-ის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების გამოყენების შემთხვევაში. მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ მპოვნელი ორგანოს ან სატრანსპორტო დაწესებულების მოსამსახურეა, ან არღვევს ნივთის გადაცემის ვალდებულებას. მესაკუთრის მიმართ ხარჯების ანაზღაურების შესახებ მფლობელის კუთვნილი მოთხოვნის უფლებების მომწესრიგებელი § 1001-ის ნორმა, შესაბამისად, გამოიყენება პოვნისათვის ჯილდოს მოთხოვნის უფლების მიმართაც. თუ არსებობს პოვნისათვის ჯილდოს მოთხოვნის უფლება, მაშინ ორგანო ან სატრანსპორტო დაწესებულება ვალდებულია, შეატყობინოს მპოვნელს ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირისათვის დაბრუნების შესახებ.
(3) თუ აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხა ან ნაპოვნი ფული, § 981-ის პირველი ნაწილის თანახმად, გადაეცემა უფლებამოსილ პირს, მაშინ მე-2 ნაწილის მე-2-მე-3 წინადადებების თანახმად, პოვნისათვის ჯილდოს მოთხოვნის უფლება წარედგინება ამ უკანასკნელის მიმართ. პირველ წინადადებაში მითითებული უფლებამოსილი პირის მიმართ მოთხოვნის უფლება უქმდება მისი წარმოშობიდან სამი წლის ვადის გასვლისთანავე.

§ 979. ნივთის რეალიზაცია; სახელისუფლო განკარგულების მიღების უფლებამოსილება

(1) ორგანოს ან სატრანსპორტო დაწესებულებას შეუძლია მისთვის გადმოცემული ნივთის აუქციონზე გაყიდვა. ფედერაციას, ფედერაციის წევრებსა და მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ ჩაატარონ აუქციონი მათი ერთ-ერთი სახელმწიფო მოხელის მეშვეობით.
(1ა) აუქციონი შეიძლება ჩატარდეს ქვემოთ მოცემული ნორმების თანახმად, ასევე საყოველთაოდ ხელმისაწვდომი აუქციონი ინტერნეტის მეშვეობით.
(1ბ) ფედერალური მთავრობა უფლებამოსილია, ფედერალური საბჭოს თანხმობის გარეშე თავისი მოქმედების სფეროში სახელისუფლო განკარგულებით დაადგინოს ნაპოვარი ნივთების აუქციონზე გაყიდვის საპროგრამო მოქმედებები; მას შეუძლია, ეს უფლებამოსილება სახელისუფლო განკარგულებით გადასცეს სპეციალური კომპეტენციის მქონე ფედერაციის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებს. ფედერაციული მხარეების მთავრობები უფლებამოსილნი არიან, თავიანთი მოქმედების სფეროში სახელისუფლო განკარგულებით მიიღონ შესაბამისი წესები; მათ შეუძლიათ, უფლებამოსილება გადასცენ სპეციალური კომპეტენციის მქონე ფედერაციული მხარის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებს. ფედერაციულ მხარეებს შეუძლიათ, დაადგინონ ნაპოვარი ნივთების აუქციონზე გაყიდვის საპროგრამო მოქმედებები, რომლებსაც ისინი იყენებენ უწყებათშორის ურთიერთობებში. მათ შეუძლიათ, შეთანხმდნენ სხვა ფედერაციული მხარის კომპეტენტური დაწესებულებისათვის დავალებული მოქმედებების გადაცემის შესახებ.
(2) ამონაგები თანხა იკავებს ნივთის ადგილს.

§ 980. ნაპოვარის შესახებ საჯარო შეტყობინება

(1) აუქციონი დასაშვებია მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს ნაპოვარის შესახებ საჯარო შეტყობინებაში ვადის დადგე-

ნით შესთავაზეს თავიანთი უფლებების შესახებ განცხადების გაკეთება და მიცემული ვადა გავიდა; აუქციონი დაუშვებელია, თუ განცხადება დროულად წარედგინება.
(2) საჯარო შეტყობინება აუცილებელი არ არის, თუ არსებობს ნივთის გაფუჭების საფრთხე, ან თუ შენახვა დაკავშირებულია შეუსაბამო ხარჯებთან.

§ 981. აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხის მიღება
(1) თუ საჯარო შეტყობინებაში განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ გასულია სამი წელი, ხოლო ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა არ განაცხადა თავისი უფლების შესახებ, მაშინ: ფედერაციის ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ ჩატარებულ აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხა გადადის ფედერაციის ხაზინაში; ფედერაციული მხარის ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ ჩატარებულ აუქციონზე ნივთის გაყიდვიდან ამონაგები თანხა – ფედერაციის წევრის ხაზინაში; მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ ჩატარებული აუქციონიდან – მუნიციპალიტეტის ხაზინაში; ხოლო იმ სატრანსპორტო დაწესებულების შემთხვევაში, რომელთაც ფლობს კერძო პირი, თანხა გადაეცემა ამ პირს.
(2) თუ აუქციონი ტარდება საჯარო შეტყობინების გარეშე, მაშინ სამწლიანი ვადის დენა იწყება მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილ პირებს ნაპოვარის შესახებ საჯარო შეტყობინებაში შესთავაზეს თავიანთი უფლებების თაობაზე განცხადების გაკეთება. ანალოგიური წესი მოქმედებს ნაპოვნი ფულის გადაცემის შემთხვევაში.
(3) ხარჯები დაკავდება გადასაცემი თანხიდან.

§ 982. რეალიზაციის ნორმები
§§ 980, 981-ით გათვალისწინებული საჯარო შეტყობინება ხორციელდება ფედერალური ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ ფედერალური საბჭოს მიერ, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში – ფედერაციის წევრის ცენტრალური ორგანოს მიერ მიღებული ნორმების მიხედვით.

§ 983. ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში არსებული ნივთები, რომლებიც არ გადაცემულა
თუ ადმინისტრაციული ორგანოს მფლობელობაში იმყოფება ნივთი, რომლის გადაცემაზეც ეს ორგანო ვალდებულია ისე, რომ გადაცემის ვალდებულება არ ეფუძნება ხელშეკრულებას, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 979-982-ის ნორმები, თუ ორგანოსთვის უცნობია ნაპოვარის მიღებაზე უფლებამოსილი პირი ან მისი ადგილსამყოფელი.

§ 984. განძის აღმოჩენა
თუ აღმოჩენილია ნივთი, რომელიც ისე დიდხანს იყო დამალული, რომ მისი მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია (განძი) და აღმოჩენის შედეგად ნივთი მიღებულ იქნება მფლობელობაში, მაშინ საკუთრების უფლებას სანახევროდ იძენენ აღმომჩენი და იმ ნივთის მესაკუთრე, რომელშიც განძი იყო დამალული.

კარი 4. საკუთრების უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები

§ 985. ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება
მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

§ 986. მფლობელის შესაგებელი
(1) მფლობელს შეუძლია, უარი თქვას ნივთის უკან დაბრუნებაზე, თუ იგი ან არაპირდაპირი მფლობელი, რომლისგანაც გამომდინარეობს მისი მფლობელობის უფლება, მესაკუთრის მიმართ უფლებამოსილია ნივთის ფლობაზე. თუ არაპირდაპირი მფლობელი მესაკუთრის მიმართ არ არის უფლებამოსილი მფლობელისთვის ნივთზე მფლობელობის გადაცემაზე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, მფლობელისაგან მოითხოვოს ნივთის არაპირდაპირი მფლობელისათვის გადაცემა, ან, თუ ამ უკანასკნელს არ შეუძლია, ან არ სურს ნივთზე მფლობელობის დაბრუნება, – ნივთის უშუალოდ მისთვის გადაცემა.
(2) იმ ნივთის მფლობელს, რომელიც, § 931 თანახმად, გასხვისებულ იქნა ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის დათმობით, შეუძლია ახალ მესაკუთრეს დაუპირისპიროს ის შესაგებელი, რომელიც მას დათმობილი მოთხოვნის უფლების წინააღმდეგ აქვს.

§ 987. სარგებელი სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემდეგ
(1) მფლობელმა მესაკუთრეს უნდა დაუბრუნოს ის სარგებელი, რომელსაც იგი იღებს სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემდეგ.
(2) თუ მფლობელი სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემდეგ არ იღებს სარგებელს, რომლის მიღება მას შეეძლო მეურნეობის სათანადო გაძღოლის წესების მიხედვით, მაშინ იგი მესაკუთრის წინაშე პასუხისმგებელია ზიანის ანაზღაურებაზე იმდენად, რამდენადაც მას ამაში მიუძღვის ბრალი.

§ 988. უსასყიდლო მფლობელის სარგებელი
თუ მფლობელმა, რომელიც ნივთს ფლობს როგორც საკუთარს, ან ნივთზე არსებული სარგებლობის იმ უფლების რეალიზაციის მიზნით, რომელიც სინამდვილეში მას არ ეკუთვნის, მფლობელობა უსასყიდლოდ შეიძინა, მაშინ იგი, უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად, მესაკუთრის წინაშე პასუხისმგებელია იმ სარგებლის დაბრუნებაზე, რომელსაც იღებს სასამართლოში საქმის განხილვის დაწყებამდე.

§ 989. ზიანის ანაზღაურება სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემდეგ
მფლობელი სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების შემდეგ მესაკუთრის წინაშე პასუხისმგებელია იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც წარმოიშობა იმის შედეგად, რომ მისი ბრალით ნივთი გაუარესდა, განადგურდა, ან სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, მის მიერ ნივთის დაბრუნება შეუძლებელია.

§ 990. მფლობელის პასუხისმგებლობა არაუფლებამოსილების ფაქტის ცოდნის შემთხვევაში
(1) თუ მფლობელი მფლობელობის შეძენისას არ იყო კეთილსინდისიერი, მაშინ იგი მესაკუთრის წინაშე პასუხს აგებს შეძენის მომენტიდან, §§ 987, 989-ის თანახმად. თუ მფლობელი მოგვიანებით აღმოაჩენს, რომ იგი უფლებამოსილი არ არის ფლო-

ბაზე, მაშინ იგი ანალოგიურად პასუხს აგებს იმ მომენტიდან, როდესაც მან ამის შესახებ შეიტყო.
(2) ვადის გადაცილების გამო მფლობელის უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა უცვლელი რჩება.

§ 991. შუალობითი მფლობელის პასუხისმგებლობა
(1) თუ მფლობელის მფლობელობის უფლება გამომდინარეობს არაპირდაპირი მფლობელისაგან, მაშინ სარგებლის მიმართ გამოიყენება § 990, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც § 990-ის წინაპირობები სახეზეა ასევე არაპირდაპირი მფლობელის მიმართაც, ან ამ უკანასკნელის მიმართ სასამართლოში დაიწყო საქმისწარმოება.
(2) თუ მფლობელი მფლობელობის შეძენისას კეთილსინდისიერი იყო, მაშინ იგი მაინც ვალდებულია მესაკუთრის წინაშე შეძენის მომენტიდან, § 989-ის მიხედვით, ზარალისათვის იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი პასუხისმგებელია არაპირდაპირი მფლობელის წინაშე.

§ 992. დელიქტის ჩამდენი მფლობელის პასუხისმგებლობა
თუ მფლობელმა მფლობელობა მოიპოვა აკრძალული თვითნებობის ან დანაშაულის ჩადენის გზით, მაშინ იგი პასუხს აგებს მესაკუთრის წინაშე დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ ნორმების თანახმად.

§ 993. კეთილსინდისიერი მფლობელის პასუხისმგებლობა
(1) თუ სახეზე არ არის §§ 987-992-ით მითითებული წინაპირობები, მაშინ მფლობელმა მიღებული ნაყოფი, – რამდენადაც,მეურნეობის სათანადო გაძღოლის წესების მიხედვით, ეს უკანასკნელი არ უნდა იქნეს განხილული როგორც ნივთისაგან მიღებული შემოსავალი, – უნდა დააბრუნოს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად; დანარჩენ შემთხვევებში იგი არ არის ვალდებული არც სარგებლის გადაცემაზე და არც ზარალის ანაზღაურებაზე.
(2) დროის იმ მონაკვეთისათვის, რომლის განმავლობაშიც სარგებელი რჩება მფლობელს, ამ უკანასკნელის მიმართ გამოიყენება § 101-ის ნორმა.

§ 994. აუცილებელი ხარჯები
(1) მფლობელს შეუძლია, მესაკუთრისაგან მოითხოვოს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება. თუმცა, ნივთის მოვლა-პატრონობის ჩვეულებრივი ხარჯები არ ექვემდებარება ანაზღაურებას დროის იმ მონაკვეთისათვის, რომლის განმავლობაშიც სარგებელი რჩება მფლობელს.
(2) თუ მფლობელი სწევს აუცილებელ ხარჯებს სასამართლოში საქმის დაწყების ან § 990-ით დადგენილი პასუხისმგებლობის შემდეგ, მაშინ მესაკუთრის ვალდებულება, აანაზღაუროს ზიანი, განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების თანახმად.

§ 995. ვალები
§ 994-ის გაგებით, აუცილებელ ხარჯებს მიეკუთვნება, აგრეთვე, ხარჯები, რომლებსაც მფლობელი სწევს ნივთის ვალების დასაფარავად. დროის იმ მონაკვეთისათვის, რომლის განმავლობაშიც სარგებელი რჩება მფლობელს, მას აუნაზღაურდება გაუთვალისწინებელი ხარჯები მხოლოდ ისეთი დამატებითი ვალებისათვის, რომლებიც განიხილება ნივთის ძირითადი ღირებულების მტვირთავად.

§ 996. სარგებლის მომტანი ხარჯები
სხვა ხარჯების, გარდა აუცილებელისა, ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ისინი გაწეულ იქნა სასამართლოში საქმის დაწყებამდე და § 990-ით დადგენილი პასუხისმგებლობის დადგომამდე, ხოლო ნივთის ღირებულება ამ ხარჯების გაწევის შედეგად ჯერ კიდევ იზრდება იმ მომენტისათვის, როდესაც მესაკუთრე ნივთს უკან იღებს.

§ 997. ნივთის თან წაღების უფლება
(1) თუ მფლობელმა ნივთს არსებითი შემადგენელი ნაწილის სახით მიუერთა სხვა ნივთი, მაშინ მას შეუძლია ამ ნივთის გამოცალკევება და მისაკუთრება. გამოიყენება § 258-ის ნორმა.
(2) გამოცალკევების უფლება გამორიცხულია, თუ მფლობელს არ შეუძლია, § 995-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, ან გამოცალკევება მისთვის უსარგებლოა, ანდა მას, სულ ცოტა, აუნაზღაურდება ის ღირებულება, რომელიც მისთვის შემადგენელ ნაწილს ექნებოდა გამოცალკევების შემდეგ.

§ 998. მიწის დამუშავების ხარჯები სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის შემთხვევაში
თუ გადასაცემია სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი, მაშინ მესაკუთრემ უნდა აანაზღაუროს ის ხარჯები, რომლებიც მფლობელმა გასწია ჯერ კიდევ გამოუცალკევებელ ნაყოფზე, რომლებიც მეურნეობის სათანადო გაძღოლის წესების მიხედვით უნდა იქნეს გამოცალკევებული სამეურნეო წლის დასრულებამდე, იმ ოდენობით, რაც შეესაბამება მეურნეობის სათანადო გაძღოლას და არ აღემატება ნაყოფის ღირებულებას.

§ 999. წინამორბედის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება
(1) მფლობელს შეუძლია მოითხოვოს იმ წინა მფლობელის მიერ, რომლის უფლებამონაცვლეც იგი გახდა, გაწეული ხარჯების ანაზღაურება იმავე მოცულობით, რა მოცულობითაც წინა მფლობელს შეეძლო ანაზღაურების მოთხოვნა, ვალდებული რომ ყოფილიყო ნივთის დაბრუნებაზე.
(2) მესაკუთრის მიერ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება ვრცელდება ასევე იმ ხარჯებზე, რომლებიც გაწეულ იქნა მანამდე, სანამ იგი შეიძენდა საკუთრების უფლებას.

§ 1000. მფლობელის მიერ ნივთის დაკავების უფლება
მფლობელს შეუძლია უარი თქვას ნივთის დაბრუნებაზე მანამდე, სანამ მას არ აუნაზღაურდება გაწეული ხარჯები. ნივთის დაკავების უფლება მას არა აქვს, თუ მან ნივთი შეიძინა განზრახ ჩადენილი დელიქტით.

§ 1001. სარჩელი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნით
მფლობელს შეუძლია წარადგინოს მოთხოვნის უფლება ხარჯების ანაზღაურებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე იბრუნებს ნივთს ან იწონებს ხარჯებს. ხარჯების მოწონებამდე მესაკუთრეს შეუძლია გათავისუფლდეს მოთხოვნის უფლებისაგან უკან მიღებული ნივთის დაბრუნებით. მოწონება ითვლება განხორციელებულად, თუ მესაკუთრე მფლობელისაგან იღებს შეთავაზებულ ნივთს მოთხოვნის უფლების შენარჩუნების პირობით.

§ 1002. ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების გაუქმება
(1) თუ მფლობელი ნივთს უბრუნებს მესაკუთრეს, მაშინ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა უქმდება ერთი თვის ვადის გასვლისთანავე; მიწის ნაკვეთების შემთხვევაში – ექვსი თვის ვადის გასვლისთანავე ნივთის უკან დაბრუნების შემდეგ, თუ უფრო ადრე არ ხდება სასამართლო წესით მოთხოვნის უფლების რეალიზაცია, ან მესაკუთრე არ იწონებს ხარჯებს.
(2) ამ ვადების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ხანდაზმულობის მიმართ მოქმედი §§ 206-ის, 210-ის, 211-ის ნორმები.

§ 1003. მფლობელის მოთხოვნების დაკმაყოფილების უფლება
(1) მფლობელს შეუძლია, საზღაურის სახით მოთხოვნილი თანხის ოდენობის მითითებით მოსთხოვოს მესაკუთრეს, რომ ამ უკანასკნელმა მფლობელის მიერ განსაზღვრული სათანადო ვადის განმავლობაში განაცხადოს ხარჯების მოწონების შესახებ. ვადის გასვლის შემდეგ მფლობელი უფლებამოსილია, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ნივთის ღირებულებიდან გირავნობის საგნის რეალიზაციის წესების მიხედვით, ხოლო მიწის ნაკვეთის შემთხვევაში – უძრავ ქონებაზე იძულებითი აღსრულების წესების მიხედვით, თუ მოწონება დროულად არ ხორციელდება.
(2) თუ მესაკუთრე მოთხოვნის უფლებას ვადის გასვლამდე ხდის სადავოდ, მაშინ მფლობელს შეუძლია დაიკმაყოფილოს მოთხოვნა ნივთის ღირებულებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხარჯების თანხების დადგენის შემდეგ, მესაკუთრეს სათანადო ვადის დადგენით შესთავაზა მოწონების შესახებ განცხადების გაკეთება და მიცემული ვადა გავიდა; ნივთის ღირებულებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება გამორიცხულია, თუ მოწონება დროულად ხორციელდება.

§ 1004. დარღვევის აღმოფხვრისა და გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება
(1) თუ საკუთრების უფლების ხელყოფა ხდება სხვაგვარად, ვიდრე ნივთის ჩამორთმევა ან მისი დაკავებაა, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია, დამრღვევს მოსთხოვოს დარღვევის აღკვეთა. თუ არსებობს შემდგომი ხელყოფის საფრთხე, მესაკუთრეს შეუძლია წარადგინოს ნეგატორული სარჩელი გარკვეული მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებით.
(2) მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ მესაკუთრე ვალდებულია, ითმინოს ხელყოფა.

§ 1005. დადევნების უფლება
თუ ნივთი განთავსებულია იმ მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ფლობს სხვა პირი და არა ნივთის მესაკუთრე, მაშინ ამ უკანასკნელს აქვს § 867-ით დადგენილი მოთხოვნის უფლება მიწის ნაკვეთის მფლობელის მიმართ.

§ 1006. საკუთრების უფლების პრეზუმფცია მფლობელისათვის
(1) მოძრავი ნივთის მფლობელის სასარგებლოდ ივარაუდება, რომ იგი არის ნივთის მესაკუთრე. თუმცა, ეს წესი არ მოქმედებს იმ წინა მფლობელის მიმართ, რომელსაც ნივთი მოჰპარეს, მან ნივთი დაკარგა, ან ეს უკანასკნელი სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე ეხება ფულს ან საწარმდგენლო ფასიან ქაღალდებს.

(2) წინა მფლობელის სასარგებლოდ ივარაუდება, რომ იგი თავისი მფლობელობის განმავლობაში იყო მესაკუთრე.
(3) არაპირდაპირი მფლობელობის შემთხვევაში პრეზუმფცია მოქმედებს არაპირდაპირი მფლობელის მიმართ.

§ 1007. თავდაპირველი მფლობელის მოთხოვნის უფლებები, გამორიცხვა არაუფლებამოსილების ფაქტის ცოდნის შემთხვევაში
(1) პირს, რომელსაც ნივთი ჰქონდა მფლობელობაში, შეუძლია მფლობელისაგან მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, თუ ეს უკანასკნელი მფლობელობის შეძენისას არ იყო კეთილსინდისიერი.
(2) თუ ნივთი თავდაპირველ მფლობელს მოჰპარეს, მან ნივთი დაკარგა, ან ეს უკანასკნელი სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, მაშინ მას შეუძლია ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა ასევე კეთილსინდისიერი მფლობელისგანაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი ნივთის მესაკუთრეა ან ნივთი გავიდა მისი მფლობელობიდან მანამდე, სანამ ფლობდა თავდაპირველი მფლობელი. ეს ნორმა არ გამოიყენება ფულისა და საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების მიმართ.
(3) მოთხოვნის უფლება გამორიცხულია, თუ თავდაპირველი მფლობელი მფლობელობის შეძენისას არ იყო კეთილსინდისიერი, ან მან მიატოვა მფლობელობა. დანარჩენ შემთხვევებში, შესაბამისად, გამოიყენება §§ 986-1003-ის ნორმები.

კარი 5. საერთო საკუთრება

§ 1008. საერთო წილადი საკუთრება
თუ ნივთზე წილადი საკუთრების უფლება ეკუთვნის რამდენიმე პირს, მაშინ მოქმედებს §§ 1009-1011-ის ნორმები.

§ 1009. უფლებრივი დატვირთვა თანამესაკუთრის სასარგებლოდ
(1) საერთო ნივთი შეიძლება უფლებრივად დაიტვირთოს ასევე თანამესაკუთრის სასარგებლოდ.
(2) საერთო მიწის ნაკვეთის უფლებრივი დატვირთვა სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ, ასევე სხვა მიწის ნაკვეთის უფლებრივი დატვირთვა საერთო მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრეების სასარგებლოდ არ გამოირიცხება იმით, რომ სხვა მიწის ნაკვეთი ეკუთვნის საერთო მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეს.

§ 1010. თანამესაკუთრის სინგულარული სამართალმემკვიდრე
(1) თუ მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრეებმა დაადგინეს მართვისა და სარგებლობის წესი, ან სამუდამოდ ან განსაზღვრული ვადით გამორიცხეს საერთო საკუთრების გაუქმების მოთხოვნის უფლება, ანდა დაადგინეს შეწყვეტის ვადა, მაშინ მიღებული დანაწესი მოქმედებს თანამესაკუთრის სინგულარული სამართალმემკვიდრის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში როგორც წილის უფლებრივი ტვირთი.
(2) §§ 755, 756-ით დადგენილი მოთხოვნის უფლებები შეიძლება წარდგენილ იქნეს თანამესაკუთრის სინგულარული სამართალმემკვიდრის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

§ 1011. საერთო საკუთრებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები
ნებისმიერ თანამესაკუთრეს შეუძლია, საკუთრების უფლებიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლებების მესამე პირებისადმი წარდგენა მთელ ნივთთან დაკავშირებით, თუმცა, მოთხოვნის უფლება ნივთის უკან გამოთხოვაზე – მხოლოდ § 432-ის თანახმად.

§§ 1012-1017. *(გაუქმებულია)*

ნაწილი 4. სერვიტუტები

კარი 1. მიწის სერვიტუტები

§ 1018. მიწის სერვიტუტის კანონისმიერი შინაარსი
მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ დაიტვირთოს ისე, რომ ამ უკანასკნელს შეეძლოს, გარკვეულწილად ისარგებლოს ამ მიწის ნაკვეთით, ან არ შეეძლოს მასზე განსაზღვრული მოქმედებების განხორციელება, ანდა გამოირიცხოს იმ უფლების განხორციელება, რომელიც გამომდინარეობს დატვირთულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებიდან სხვა მიწის ნაკვეთის მიმართ (მიწის სერვიტუტი).

§ 1019. გაბატონებული მიწის ნაკვეთისათვის უპირატესობა
მიწის სერვიტუტი შეიძლება გამოიხატებოდეს მხოლოდ ისეთი უფლებრივი დატვირთვით, რომელიც იძლევა უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთით სარგებლობის უპირატესობას. სერვიტუტის შინაარსი არ შეიძლება სცილდებოდეს აღნიშნულის შედეგად დადგენილ ზღვარს.

§ 1020. ფრთხილი გამოყენება
მიწის სერვიტუტის გამოყენებისას უფლებამოსილი პირი შეძლებისდაგვარად უნდა გაუფრთხილდეს დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინტერესს. თუ სერვიტუტის გამოყენებისათვის უფლებამოსილ პირს დატვირთულ მიწის ნაკვეთზე აქვს მოწყობილობა, მაშინ მან ეს მოწყობილობა უნდა შეინარჩუნოს სათანადო მდგომარეობაში, რამდენადაც ამას ითხოვს მესაკუთრის ინტერესი.

§ 1021. შეთანხმებული მოვლა-პატრონობის ვალდებულება
(1) თუ მიწის სერვიტუტის გამოყენებისათვის დატვირთულ მიწის ნაკვეთს აქვს მოწყობილობა, მაშინ შეიძლება დადგინდეს, რომ ამ მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ მოუაროს მას, რამდენადაც ამას ითხოვს უფლებამოსილი პირის ინტერესი; თუ მესაკუთრეს აქვს მოწყობილობის თანასარგებლობის უფლება, მაშინ შეიძლება დადგინდეს, რომ უფლებამოსილმა პირმა მოუაროს მას, რამდენადაც ამას ითხოვს მესაკუთრის ინტერესი.
(2) ამ მოვლა-პატრონობის ვალდებულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ნორმები სანივთო ტვირთის შესახებ.

§ 1022. სამშენებლო ნაგებობებზე არსებული მოწყობილობები
თუ მიწის სერვიტუტი გამოიხატება უფლებამოსილი პირის უფლებით, იქონიოს სამშენებლო ნაგებობა დატვირთულ მიწის ნაკვეთზე არსებულ სამშენებლო ნაგებობა-

ზე, და თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, მაშინ დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ უნდა მოუაროს თავის ნაგებობას, რამდენადაც ამას ითხოვს უფლებამოსილი პირის ინტერესი. ამ მოვლა-პატრონობის ვალდებულების მიმართ მოქმედებს ასევე § 1021-ის მე-2 ნაწილი.

§ 1023. გამოყენების გადატანა

(1) თუ მიწის სერვიტუტის შესაბამისი გამოყენება შემოიფარგლება დატვირთული მიწის ნაკვეთის ნაწილით, და თუ მისი გამოყენება ამ ადგილზე განსაკუთრებით რთულია, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს გამოყენების გადატანა სხვა, უფლებამოსილი პირისათვის თანაბრად ვარგის, ადგილზე. გადატანის ხარჯები ეკისრება მესაკუთრეს, რაც მან უნდა გაიღოს წინასწარ. ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომლითაც შემოფარგლულია გამოყენება, განისაზღვრება გარიგებით.

(2) გამოყენების გადატანის უფლება არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს გარიგებით.

§ 1024. სარგებლობის რამდენიმე უფლების თანხვედრა

თუ ხდება მიწის სერვიტუტის სხვა მიწის სერვიტუტთან ან მიწის ნაკვეთზე არსებულ სარგებლობის სხვა უფლებასთან იმგვარად თანხვედრა, რომ უფლებები ერთდროულად ვერ განხორციელდება, ან სრულად ვერ განხორციელდება და მათ თანაბარი რიგი აქვთ, მაშინ ნებისმიერ უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს ყველა უფლებამოსილი პირის ინტერესების შესაბამისი გამოყენების წესის სამართლიანი შეხედულებით დადგენა.

§ 1025. გაბატონებული მიწის ნაკვეთის გაყოფა

თუ უფლებამოსილი პირის მიწის ნაკვეთი გაიყოფა, მაშინ მიწის სერვიტუტი გრძელდება ცალკეულ ნაწილებზე; თუმცა, საეჭვოობისას გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმგვარად, რომ მან არ გააუარესოს დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მდგომარეობა. თუ სერვიტუტი სარგებელს ანიჭებს მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილს, მაშინ დანარჩენი ნაწილების მიმართ იგი უქმდება.

§ 1026. მომსახურე მიწის ნაკვეთის გაყოფა

თუ გაიყოფა დატვირთული მიწის ნაკვეთი, და თუ მიწის სერვიტუტის გამოყენება შეზღუდულია დატვირთული მიწის ნაკვეთის განსაზღვრული ნაწილით, ის ნაწილები, რომლებიც რჩება გამოყენების ფარგლებს მიღმა, თავისუფლდება სერვიტუტისაგან.

§ 1027. მიწის სერვიტუტის დარღვევა

მიწის სერვიტუტის დარღვევის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს ეკუთვნის § 1004-ით გათვალისწინებული უფლებები.

§ 1028. ხანდაზმულობა

(1) თუ დატვირთულ მიწის ნაკვეთზე აღიმართა მოწყობილობა, რომლითაც ირღვევა სერვიტუტი, მაშინ უფლებამოსილი პირის ნეგატორული სარჩელის წარდგენის მოთხოვნის უფლება ექვემდებარება ხანდაზმულობას მაშინაც კი, როდესაც სერვიტუტი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობით

სერვიტუტი უქმდება იმდენად, რამდენადაც მოწყობილობის არსებობა მას ხელს უშლის.
(2) § 892-ის ნორმა არ გამოიყენება.

§ 1029. მართლზომიერი მფლობელის მფლობელობითი დაცვა
თუ მიწის ნაკვეთის მფლობელს ხელი შეეშლება მესაკუთრის სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მიწის სერვიტუტის გამოყენებაში, და თუ სერვიტუტი გამოყენებულ იქნა ხელის შეშლამდე ერთი წლის განმავლობაში, თუნდაც მხოლოდ ერთხელ, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება მფლობელობითი დაცვის მიმართ მოქმედი ნორმები.

კარი 2. უზუფრუქტი

ქვეკარი 1. უზუფრუქტი ნივთებზე

§ 1030. ნივთებზე უზუფრუქტის კანონისმიერი შინაარსი
(1) ნივთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება უფლებრივი დატვირთვა, უფლებამოსილია, მიიღოს ნივთისაგან სარგებელი (უზუფრუქტი).
(2) უზუფრუქტი შეიძლება შემოიფარგლებოდეს ცალკეული სახის სარგებლობის გამორიცხვით.

§ 1031. გავრცელება საკუთვნებელზე
მიწის ნაკვეთზე უზუფრუქტთან ერთად უზუფრუქტუარი იძენს უზუფრუქტს საკუთვნებელზე საკუთრების უფლების შეძენის მიმართ მოქმედი § 926-ის ნორმების თანახმად.

§ 1032. დადგენა მოძრავ ნივთებზე
მოძრავ ნივთებზე უზუფრუქტის დასადგენად საჭიროა, მესაკუთრემ გადასცეს ნივთი შემძენს და ორივე მხარე შეთანხმდეს იმაზე, რომ შემძენს გადაეცემა უზუფრუქტი. შესაბამისად, გამოიყენება § 929-ის მე-2 წინადადების, §§ 930-932 და §§ 933-936-ის ნორმები; § 936-ის შემთხვევებში ერთადერთი სამართლებრივი შედეგი ისაა, რომ უზუფრუქტს ენიჭება უპირატესობა მესამე პირის უფლებასთან შედარებით.

§ 1033. შეძენა შეძენითი ხანდაზმულობით
მოძრავ ნივთებზე უზუფრუქტი შეიძლება შეძენილ იქნეს შეძენითი ხანდაზმულობით. შესაბამისად, გამოიყენება შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრების უფლების შეძენის მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 1034. ნივთის არსებული მდგომარეობის დაფიქსირება
უზუფრუქტუარს შეუძლია, საკუთარი ხარჯით ექსპერტის მეშვეობით ნივთის არსებული მდგომარეობის დაფიქსირება. ანალოგიური უფლება ეკუთვნის მესაკუთრეს.

§ 1035. უზუფრუქტი ნივთების ერთობლიობაზე; ჩამონათვალი
ნივთების ერთობლიობაზე უზუფრუქტის შემთხვევაში უზუფრუქტუარსა და მესაკუთრეს ეკისრებათ ორმხრივი ვალდებულება, ხელი შეუწყონ ერთმანეთს ნივთების ჩამონათვალის შედგენაში. ჩამონათვალში უნდა მიეთითოს შედგენის თარიღი და იგი ხელმოწერილ უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ; ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ ხელმოწერა დამოწმდეს ოფიციალურად. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ასევე მოითხოვოს, რომ ჩამონათვალი შედგენილ იქნეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს ან კომპეტენტური თანამდებობის პირის, ანდა ნოტარიუსის მიერ. ხარჯები ეკისრება იმ მხარეს, რომელიც ითხოვს შედგენას ან დამოწმებას და რომელმაც ეს ხარჯები უნდა გაიღოს წინასწარ.

§ 1036. მფლობელობის უფლება; უზუფრუქტის უფლების გამოყენება
(1) უზუფრუქტუარი უფლებამოსილია ნივთის ფლობაზე.
(2) უზუფრუქტის უფლებით სარგებლობისას მან უნდა შეინარჩუნოს ნივთის თავდაპირველი სამეურნეო დანიშნულება და გამოიყენოს ნივთი მეურნეობის სათანადო გაძღოლის წესების მიხედვით.

§ 1037. გადაკეთება
(1) უზუფრუქტუარი არ არის უფლებამოსილი, გადააკეთოს ან არსებითად შეცვალოს ნივთი.
(2) მიწის ნაკვეთის უზუფრუქტუარს შეუძლია ქვისგან, ხრეშისგან, ქვიშისგან, თიხისგან, ცხიმოვანი თიხისგან, მერგელისგან, ტორფისა და ნიადაგის სხვა შემადგენელი ნაწილებისგან აღმართოს ახალი ნაგებობა, თუ ამით არსებითად არ დაირღვევა მიწის ნაკვეთის სამეურნეო დანიშნულება.

§ 1038. ტყისა და საბადოს სამეურნეო გეგმა
(1) თუ უზუფრუქტის საგანია ტყე, მაშინ როგორც მესაკუთრეს, ისე უზუფრუქტუარს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ სარგებლობის მოცულობა და სამეურნეო ექსპლოატაციის სახე დადგინდეს სამეურნეო გეგმით. თუ ხდება გარემოებათა მნიშვნელოვანი ცვლილება, მაშინ თითოეულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს სამეურნეო გეგმის შესაბამისი ცვლილება. ხარჯები მხარეებს ეკისრებათ თანაბარწილად.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ უზუფრუქტის საგანია საბადო ან ნიადაგის შემადგენელი ნაწილების მოპოვებისათვის გათვალისწინებული სხვა ნაგებობები.

§ 1039. ნაყოფის გადამეტებით მიღება
(1) უზუფრუქტუარი იძენს ასევე საკუთრების უფლებას ისეთ ნაყოფზე, რომელსაც იგი მეურნეობის სათანადო გაძღოლის წესების საწინააღმდეგოდ ან გადამეტებით იღებს, რამდენადაც ეს აუცილებელი გახდა განსაკუთრებული გარემოების შედეგად. თუმცა, იგი, მიუხედავად მისი ბრალისათვის პასუხისმგებლობისა, ვალდებულია, აუნაზღაუროს მესაკუთრეს ნაყოფის ღირებულება უზუფრუქტის შეწყვეტის შემდეგ და წარადგინოს ამ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა. როგორც მესაკუთრეს, ისე უზუფრუქტუარს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ ასანაზღაურებელი თანხა გამოყენებულ იქნეს ნივთის აღსადგენად იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება მეურნეობის სათანადოდ გაძღოლას.

(2) თუ ნივთის აღსადგენად ხარჯი არ მოითხოვება, და თუ ნაყოფის არასათანადო ან გადამეტებით მიღება ამცირებს უზუფრუქტუარისათვის განკუთვნილ სარგებელს, მაშინ ანაზღაურების გადახდის ვალდებულება წყდება.

§ 1040. განძი

უზუფრუქტუარის უფლება არ ვრცელდება მესაკუთრის კუთვნილ წილზე განძში, რომელიც იპოვეს ნივთში.

§ 1041. ნივთის მოვლა

უზუფრუქტუარმა უნდა იზრუნოს ნივთის მოვლაზე ამ უკანასკნელის სამეურნეო მდგომარეობის შენარჩუნებით. მას ეკისრება ნივთის რემონტი და განახლება მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც საჭიროა, ჩვეულებრივ, ნივთის მოვლა-პატრონობისათვის.

§ 1042. უზუფრუქტუარის მიერ შეტყობინების წარდგენის ვალდებულება

თუ ნივთი განადგურდება ან დაზიანდება, ანდა საჭირო ხდება ნივთის სასწრაფო რემონტი და განახლება ან გაუთვალისწინებელი საფრთხისაგან ნივთის დაცვის ღონისძიებების მიღება, მაშინ უზუფრუქტუარმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მესაკუთრეს. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მესამე პირი ითვისებს ნივთზე უფლებას.

§ 1043. რემონტი ან განახლება

თუ მიწის ნაკვეთის უზუფრუქტუარი თავად ახორციელებს აუცილებელ სასწრაფო რემონტს ან განახლებას, მაშინ მას შეუძლია ამ მიზნით სათანადო მეურნეობის წესების ფარგლებში გამოიყენოს ასევე მიწის ნაკვეთის ის შემადგენელი ნაწილები, რომლებიც არ იძლევიან მისთვის განკუთვნილ ნაყოფს.

§ 1044. რემონტის ჩატარების თმენა

თუ მიწის ნაკვეთის უზუფრუქტუარი თავად არ ახორციელებს აუცილებელ სასწრაფო რემონტს ან განახლებას, მაშინ მან მესაკუთრეს უნდა დართოს ამის განხორციელების და, თუ უზუფრუქტის ობიექტია მიწის ნაკვეთი, § 1043 მითითებული მიწის ნაკვეთის შემადგენელი ნაწილების გამოყენების ნება.

§ 1045. უზუფრუქტუარის მიერ ნივთის დაზღვევის ვალდებულება

(1) უზუფრუქტუარმა ნივთი საკუთარი ხარჯით უზუფრუქტის ვადისათვის უნდა დააზღვიოს ხანძრის და სხვა უბედური შემთხვევებისაგან, თუ დაზღვევა შეესაბამება სათანადო მეურნეობის წესებს. დაზღვევა უნდა გაკეთდეს ისე, რომ მზღვეველის მიმართ მოთხოვნა ეკუთვნოდეს მესაკუთრეს.

(2) თუ ნივთი უკვე დაზღვეულია, მაშინ უზუფრუქტის ვადისათვის დაზღვევის გადახდების განხორციელება ეკისრება უზუფრუქტუარს იმდენად, რამდენადაც იგი ვალდებული იქნებოდა დაზღვევაზე.

§ 1046. უზუფრუქტი სადაზღვევო თანხაზე

(1) უზუფრუქტუარს აქვს მზღვეველის მიმართ მოთხოვნაზე უზუფრუქტის უფლება იმ ნორმების თანახმად, რომლებიც მოქმედებს გადაუხდელ მოთხოვნაზე უზუფრუქტის მიმართ, რომელსაც ერიცხება პროცენტი.

(2) თუ წარმოიშობა დაზღვევით დაფარული ზიანი, მაშინ როგორც მესაკუთრეს, ისე უზუფრუქტუარს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ სადაზღვევო თანხა გამოყენებულ იქნეს ნივთის აღდგენის ან ნივთის შეცვლისათვის იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება სათანადო მეურნეობის წესებს. მესაკუთრეს შეუძლია, თავად გამოიყენოს სადაზღვევო თანხა ან გადასცეს იგი უზუფრუქტუარს.

§ 1047. ვალების კისრების ვალდებულება
უზუფრუქტუარი მესაკუთრის წინაშე ვალდებულია, უზუფრუქტის ვადისათვის იკისროს ნივთზე არსებული საჯარო ვალები სპეციალური ვალების გამოკლებით, რომლებიც განიხილება როგორც ნივთის ძირითადი ღირებულების მტვირთავი, ისევე როგორც ისეთი კერძოსამართლებრივი ვალები, რომლებიც არსებობდა ნივთზე უკვე უზუფრუქტის დადგენის მომენტში, მათ შორის: იპოთეკურ მოთხოვნებსა და მიწის ვალებზე პროცენტები და სარენტო ვალების საფუძველზე განსახორციელებელი გადახდები.

§ 1048. უზუფრუქტი მიწის ნაკვეთზე ინვენტართან ერთად
(1) თუ უზუფრუქტის საგანია მიწის ნაკვეთი ინვენტართან ერთად, მაშინ უზუფრუქტუარს შეუძლია სათანადო მეურნეობის წესების ფარგლებში განკარგოს ინვენტარის ცალკეული ნაწილები. მან უნდა აანაზღაუროს ჩვეულებრივი დანაკარგი და სათანადო მეურნეობის წესების შესაბამისად შეცვალოს ინვენტარიდან ამოღებული ნაწილები; მის მიერ შეძენილი ნაწილები ინვენტარში მათი შეტანით ხდება იმ პირის საკუთრება, ვისაც ეკუთვნის ინვენტარი.
(2) თუ უზუფრუქტუარი ინვენტარს იღებს შეფასებითი ღირებულებით იმ ვალდებულებით, რომ უზუფრუქტის შეწყვეტის შემდეგ დააბრუნებს მას შეფასებითი ღირებულებით, მაშინ შესაბამისად გამოიყენება § 582ა-ს ნორმები.

§ 1049. ხარჯების ანაზღაურება
(1) თუ უზუფრუქტუარი ნივთზე სწევს ისეთ ხარჯებს, რომელზეც იგი არ არის ვალდებული, მაშინ მესაკუთრის მიერ მათი ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების თანახმად.
(2) უზუფრუქტუარი უფლებამოსილია, თან წაიღოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან ნივთი აღჭურვა.

§ 1050. ცვეთა
უზუფრუქტუარი პასუხს არ აგებს ნივთის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის, რომლებიც გამოწვეულ იქნა უზუფრუქტის სათანადო გამოყენების შედეგად.

§ 1051. უზრუნველყოფის წარდგენა
თუ უზუფრუქტუარის მოქმედება იძლევა მესაკუთრის უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევის საფრთხის საფუძველს, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა.

§ 1052. უზრუნველყოფის არარსებობისას სასამართლოს განკარგულებით დადგენილი წესით მართვა
(1) თუ უზუფრუქტუარს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა უზრუნველყოფის წარდგენა, მაშინ მესაკუთრეს, უზრუნველყოფის

წარდგენის ნაცვლად, შეუძლია მოითხოვოს, რომ უზუფრუქტუარის სასარგებლოდ უზუფრუქტის გამოყენება გადაეცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ მმართველს. მართვის შესახებ სასამართლოს განკარგულება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრის განცხადების საფუძველზე უზუფრუქტუარს სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის წარსადგენად განესაზღვრა ვადა და იგი გავიდა; განკარგულება დაუშვებელია, თუ უზრუნველყოფა წარდგენილ იქნა ვადის გასვლამდე.
(2) მმართველი იმყოფება სასამართლოს მეთვალყურეობის ქვეშ, მსგავსად მიწის ნაკვეთის იძულებითი მართვისათვის დანიშნული მმართველისა.
(3) მართვა უნდა გაუქმდეს, თუ მოგვიანებით წარდგენილ იქნება უზრუნველყოფა.

§ 1053. ნეგატორული სარჩელი უფლებამოსილების გადაჭარბებით გამოყენებისას
თუ უზუფრუქტუარი იყენებს ნივთს უფლებამოსილების გადაჭარბებით და აგრძელებს სარგებლობას მესაკუთრის გაფრთხილების მიუხედავად, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია წარადგინოს ნეგატორული სარჩელი.

§ 1054. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი წესით მართვა ვალდებულების დარღვევისას
თუ უზუფრუქტუარი არსებითად არღვევს მესაკუთრის უფლებებს და აგრძელებს დამრღვევ ქმედებას მესაკუთრის გაფრთხილების მიუხედავად, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მართვის შესახებ სასამართლოს განკარგულების მიღება, § 1052-ის თანახმად.

§ 1055. უზუფრუქტუარის მიერ ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება
(1) უზუფრუქტუარი ვალდებულია, უზუფრუქტის შეწყვეტის შემდეგ დაუბრუნოს ნივთი მესაკუთრეს.
(2) სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე უზუფრუქტის შემთხვევაში, შესაბამისად გამოიყენება § 596-ის პირველი ნაწილისა და § 596ა-ს, ხოლო მამულზე უზუფრუქტის შემთხვევაში – § 596-ის პირველი ნაწილისა და §§ 596ა-ს, 596ბ-ს ნორმები.

§ 1056. ქირავნობისა და იჯარის ურთიერთობები უზუფრუქტის შეწყვეტისას
(1) თუ მიწის ნაკვეთის უზუფრუქტუარმა გააქირავა ან იჯარით გასცა მიწის ნაკვეთი იმ ვადით, რომელიც აღემატება უზუფრუქტის ვადას, მაშინ უზუფრუქტის შეწყვეტის შემდეგ, შესაბამისად, გამოიყენება გაქირავებული საცხოვრებელი ფართის გასხვისების შემთხვევაში მოქმედი §§ 566-ის, 566ა-ს, 566ბ-ს პირველი ნაწილისა და §§ 566გ-566ე-ს ნორმები.
(2) მესაკუთრე უფლებამოსილია, შეწყვიტოს ქირავნობის ან იჯარის ურთიერთობა ხელშეკრულების შეწყვეტის კანონისმიერი ვადის დაცვით. თუ უზუფრუქტუარი უარს ამბობს უზუფრუქტზე, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც უზუფრუქტი უზუფრუქტუარის უარის გარეშეც გაუქმდებოდა.
(3) დამქირავებელი ან მოიჯარე უფლებამოსილია, განცხადების წარდგენისათვის სათანადო ვადის განსაზღვრით მესაკუთრეს მოსთხოვოს განცხადების გაკეთება იმის შესახებ, ისარგებლებს თუ არა ეს უკანასკნელი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებით. ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ვადის გასვლამდე.

§ 1057. ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა
ნივთის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, ასევე ხარჯების ანაზღაურებისა თუ მოწყობილობის თან წაღების ნებართვის მიცემაზე მესაკუთრის მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ექვსი თვის ვადაში. შესაბამისად, გამოიყენება § 548-ის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების, მე-2 ნაწილის ნორმები.

§ 1058. უფლების დამდგენი როგორც მესაკუთრე
უზუფრუქტუარსა და მესაკუთრეს შორის ურთიერთობაში უზუფრუქტუარის სასარგებლოდ უფლების დამდგენი მიიჩნევა მესაკუთრედ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უზუფრუქტუარმა იცის, რომ უფლების დამდგენი არ არის მესაკუთრე.

§ 1059. უზუფრუქტის გადაცემის დაუშვებლობა; გამოყენების გადაცემა
უზუფრუქტი არ ექვემდებარება გადაცემას. უზუფრუქტის გამოყენება შეიძლება გადაეცეს სხვა პირს.

§ 1059ა. უზუფრუქტის გადაცემის შესაძლებლობა იურიდიული პირის ან უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობის შემთხვევაში
(1) თუ უზუფრუქტი ეკუთვნის იურიდიულ პირს, მაშინ იგი ექვემდებარება გადაცემას ქვემოთ მოცემული ნორმების მიხედვით:
1. თუ იურიდიული პირის ქონება სხვა პირს გადაეცემა უნივერსალური სამართალმემკვიდრეობით, მაშინ სამართალმემკვიდრეზე გადადის ასევე უზუფრუქტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადაცემა პირდაპირ არის გამორიცხული.
2. თუ სხვა პირს გადაეცემა იურიდიული პირის მფლობელობაში არსებული საწარმო ან ასეთი საწარმოს ნაწილი, მაშინ მესაკუთრეზე გადადის ასევე უზუფრუქტიც, რამდენადაც იგი ვარგისია საწარმოს ან მისი ნაწილის მიზნებისათვის. სახეზეა თუ არა ეს წინაპირობები, დგინდება ფედერაციული მხარის კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოების განმარტებით. განმარტება ავალდებულებს სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს. ფედერაციული მხარის მთავრობები კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოებს ადგენენ სახელისუფლო განკარგულებით. ფედერაციული მხარის მთავრობებს შეუძლიათ, სახელისუფლო განკარგულებით ეს უფლებამოსილება გადასცენ ფედერაციული მხარის იუსტიციის ორგანოებს.

(2) იურიდიულ პირს უთანაბრდება უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობა.

§ 1059ბ. უზუფრუქტის დაგირავების დაუშვებლობა
§ 1059ა-ს ნორმის საფუძველზე უზუფრუქტის დაყადაღება, დაგირავება ან უზუფრუქტით დატვირთვა დაუშვებელია.

§ 1059გ. უზუფრუქტის გადასვლა ან გადაცემა
(1) უზუფრუქტის გადასვლის ან გადაცემის შემთხვევაში, შემძენი თავდაპირველი უფლებამოსილი პირის ნაცვლად შემოდის მესაკუთრის მიმართ არსებულ უზუფრუქტთან დაკავშირებულ უფლებებსა და ვალდებულებებში. თუ ამ უფლებებისა და ვალდებულებების მიმართ მესაკუთრესა და უფლებამოსილ პირს შორის დაიდო შეთანხმებები, მაშინ ისინი მოქმედებენ ასევე შემძენის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

(2) უზუფრუქტის გადასვლით ან გადაცემით ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა არც მესაკუთრისათვის და არც სხვა სანივთო უფლებების მქონე პირებისათვის.

§ 1059დ. ქირავნობისა და იჯარის ურთიერთობები უზუფრუქტის გადაცემისას
თუ უფლებამოსილმა პირმა უზუფრუქტით დატვირთული მიწის ნაკვეთი გააქირავა ან იჯარით გასცა იმ ვადით, რომელიც აღემატება უზუფრუქტის ვადას, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება გაქირავებული საცხოვრებელი ფართის გასხვისების შემთხვევაში მოქმედი §§ 566-566ე-ს, 567ა-სა და 567ბ-ს ნორმები.

§ 1059ე. უზუფრუქტის უფლების მინიჭების მოთხოვნის უფლება
თუ უზუფრუქტის უფლების მინიჭების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის იურიდიულ პირს ან უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას, მაშინ, შესაბამისად, მოქმედებს §§ 1059ა-1059დ-ს ნორმები.

§ 1060. სარგებლობის რამდენიმე უფლების თანხვედრა
თუ ხდება უზუფრუქტის სხვა უზუფრუქტთან ან ნივთზე არსებულ სარგებლობის სხვა უფლებასთან იმგვარად თანხვედრა, რომ უფლებები ერთდროულად ვერ განხორციელდება, ან სრულად ვერ განხორციელდება და მათ თანაბარი რიგი აქვთ, მაშინ გამოიყენება § 1024-ის ნორმა.

§ 1061. უზუფრუქტუარის გარდაცვალება
უზუფრუქტი უქმდება უზუფრუქტუარის გარდაცვალებით. თუ უზუფრუქტი ეკუთვნის იურიდიულ პირს ან უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას, მაშინ უზუფრუქტი უქმდება ამ უკანასკნელის გაუქმებით.

§ 1062. გაუქმების გავრცელება საკუთვნებელზე
თუ მიწის ნაკვეთზე დადგენილი უზუფრუქტი გარიგებით გაუქმდა, მაშინ საეჭვოობისას უზუფრუქტის გაუქმება ვრცელდება საკუთვნებელზე არსებულ უზუფრუქტზე.

§ 1063. საკუთრების უფლებასთან თანხვედრა
(1) მოძრავ ნივთზე დადგენილი უზუფრუქტი უქმდება, თუ იგი საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება.
(2) უზუფრუქტი არ ითვლება გაუქმებულად, თუ მესაკუთრეს აქვს უზუფრუქტის არსებობის
გაგრძელების გამართლებული ინტერესი.

§ 1064. მოძრავ ნივთზე დადგენილი უზუფრუქტის გაუქმება
მოძრავ ნივთზე დადგენილი უზუფრუქტის გარიგებით გაუქმებისათვის საკმარისია მესაკუთრის ან უზუფრუქტის დამდგენის წინაშე უზუფრუქტუარის განცხადება უზუფრუქტის გაუქმების თაობაზე.

§ 1065. უზუფრუქტის უფლების დარღვევა
თუ უზუფრუქტის უფლება დაირღვევა, მაშინ უზუფრუქტუარის მოთხოვნის უფლებების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება საკუთრების უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 1066. უზუფრუქტი თანამესაკუთრის წილზე
(1) თუ უზუფრუქტი არსებობს თანამესაკუთრის წილზე, მაშინ უზუფრუქტუარი ახორციელებს იმ უფლებებს, რომლებიც წარმოიშობა თანამესაკუთრეთა საზიარო უფლებიდან ნივთის მართვასა და მისი სარგებლობის ხასიათთან დაკავშირებით.
(2) საზიარო უფლების გაუქმება შეიძლება თანამესაკუთრისა და უზუფრუქტუარის მიერ მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ერთობლივად.
(3) თუ საზიარო უფლება უქმდება, მაშინ უზუფრუქტუარს ეკუთვნის უზუფრუქტი იმ საგნებზე, რომლებიც იკავებს წილის ადგილს.

§ 1067. უზუფრუქტი მოხმარებად ნივთებზე
(1) თუ უზუფრუქტის საგანია მოხმარებადი ნივთები, მაშინ უზუფრუქტუარი ხდება ნივთის მესაკუთრე; უზუფრუქტის შეწყვეტის შემდეგ მან უზუფრუქტის დამდგენს უნდა აუნაზღაუროს ის ღირებულება, რომელიც ნივთებს ჰქონდა უზუფრუქტის დადგენის მომენტში. როგორც უზუფრუქტის დამდგენს, ისე უზუფრუქტუარს ღირებულების დადგენა შეუძლიათ საკუთარი ხარჯით ექსპერტის მეშვეობით.
(2) უზუფრუქტის დამდგენს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა, თუ საფრთხე ექმნება ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

ქვეკარი 2. უზუფრუქტი უფლებებზე

§ 1068. უფლებებზე უზუფრუქტის კანონისმიერი შინაარსი
(1) უზუფრუქტის საგანი შეიძლება იყოს, აგრეთვე, უფლება.
(2) უფლებებზე უზუფრუქტის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება ნივთებზე დადგენილი უზუფრუქტის მიმართ მოქმედი ნორმები, თუ §§ 1069-1084-იდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 1069. უფლების დადგენა
(1) უფლებაზე უზუფრუქტის დადგენა ხორციელდება უფლების გადაცემის მიმართ მოქმედი ნორმების მიხედვით.
(2) დაუშვებელია უზუფრუქტის დადგენა იმ უფლებაზე, რომელიც არ ექვემდებარება გადაცემას.

§ 1070. უზუფრუქტი ვალდებულების შესრულების უფლებაზე
(1) თუ უზუფრუქტის საგანია უფლება, რომლის ძალითაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ვალდებულების შესრულება, მაშინ უზუფრუქტუარსა და ვალდებულ პირს შორის ურთიერთობის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება ნორმები, რომლებიც უფლების გადაცემის შემთხვევაში მოქმედებს მესაკუთრესა და ვალდებულ პირს შორის ურთიერთობის მიმართ.
(2) თუ უზუფრუქტის გამოყენება, § 1052-ის თანახმად, გადაეცემა მმართველს, მაშინ გადაცემა ვალდებული პირის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც იგი შეიტყობს მიღებული სასამართლოს განკარგულების შესახებ, ან, როდესაც მას ჩაბარდება სასამართლოს განკარგულების შესახებ შეტყობინება. ანალოგიური წესი მოქმედებს მართვის გაუქმების მიმართ.

§ 1071. დატვირთული უფლების გაუქმება ან შეცვლა
(1) უზუფრუქტით დატვირთული უფლება შეიძლება გარიგებით გაუქმდეს მხოლოდ უზუფრუქტუარის თანხმობით. თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს იმ პირის წინაშე, რომლის სასარგებლოდაც იგი მიეცემა; მისი გამოთხოვა დაუშვებელია. § 876-ის მე-3 წინადადება უცვლელი რჩება.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს უფლების შეცვლის შემთხვევაში იმდენად, რამდენადაც იგი არღვევს უზუფრუქტის უფლებას.

§ 1072. უზუფრუქტის შეწყვეტა
უზუფრუქტი წყდება §§ 1063, 1064-ის ნორმების მიხედვით, ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ უზუფრუქტით დატვირთული უფლება არ არის მოძრავ ნივთზე უფლება.

§ 1073. უზუფრუქტი სამისდღეშიო რჩენაზე
სამისდღეშიო რჩენის, ოჯახიდან გასვლის სარჩოს ან მსგავსი უფლებების უზუფრუქტუარს ეკუთვნის ცალკეული შესრულებები, რომლებიც შეიძლება უფლების საფუძველზე იქნეს მოთხოვნილი.

§ 1074. უზუფრუქტი მოთხოვნაზე; ხელშეკრულების შეწყვეტა და მოთხოვნის რეალიზაცია
მოთხოვნის უზუფრუქტუარი უფლებამოსილია მოთხოვნის რეალიზაციაზე, ხოლო თუ ვალდებულების შესრულების ვადის დადგომა დამოკიდებულია კრედიტორის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტაზე, – ხელშეკრულების შეწყვეტაზე. იგი ვალდებულია, განახორციელოს მოთხოვნის რეალიზაცია სათანადო წესით. ის არ არის უფლებამოსილი მოთხოვნის სხვაგვარად განკარგვაზე.

§ 1075. ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგი
(1) მოვალის მიერ უზუფრუქტუარის მიმართ ვალდებულების შესრულებით კრედიტორი იძენს შესრულების საგანს, ხოლო უზუფრუქტუარი – უზუფრუქტს ამ საგანზე.
(2) თუ ხდება მოხმარებადი ნივთების გადაცემა, მაშინ უზუფრუქტუარი იძენს საკუთრების უფლებას; შესაბამისად გამოიყენება § 1067-ის ნორმა.

§ 1076. უზუფრუქტი მოთხოვნაზე, რომელსაც ერიცხება პროცენტი
თუ უზუფრუქტის საგანი არის შესასრულებელი მოთხოვნა, რომელსაც ერიცხება პროცენტი, მაშინ მოქმედებს §§ 1077-1079-ის ნორმები.

§ 1077. ხელშეკრულების შეწყვეტა და გადახდა
(1) მოვალეს შეუძლია ძირითადი თანხის გადახდა უზუფრუქტუარისა და კრედიტორის მიმართ მხოლოდ ერთობლივად. ნებისმიერი ამ უკანასკნელთაგანი უფლებამოსილია მოითხოვოს, რომ მათ მიმართ გადახდები განხორციელდეს ერთობლივად; ნებისმიერს შეუძლია, გადახდის ნაცვლად მოითხოვოს ორივეს სასარგებლოდ თანხის დეპოზიტზე შეტანა.
(2) უზუფრუქტუარსა და კრედიტორს შეუძლიათ ხელშეკრულების შეწყვეტა მხოლოდ ერთობლივად. მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი განცხადებული იქნება უზუფრუქტუარისა და კრედიტორის მიმართ.

§ 1078. ხელშეწყობა მოთხოვნის რეალიზაციაში
თუ დგება მოთხოვნის შესრულების ვადა, მაშინ უზუფრუქტუარი და კრედიტორი ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ ერთმანეთს მოთხოვნის რეალიზაციისას. თუ მოთხოვნის შესრულების ვადა დამოკიდებულია ხელშეკრულების შეწყვეტაზე, და თუ მოთხოვნის რეალიზაცია ქონების სათანადო მართვის წესების თანახმად აკრძალულია მისი შეუსრულებლობის რისკის გამო, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარისაგან ხელშეწყობა ხელშეკრულების შეწყვეტისას.

§ 1079. თანხების განთავსება
უზუფრუქტუარი და კრედიტორი ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ ერთმანეთს იმაში, რომ ამოღებული თანხები განთავსდეს პროცენტის დარიცხვის პირობით სამეურვეო პირის კაპიტალის განთავსების მიმართ მოქმედი წესების თანახმად და ერთდროულად უზუფრუქტუარისათვის დადგენილ იქნეს უზუფრუქტი. თანხების განთავსების ხერხს განსაზღვრავს უზუფრუქტუარი.

§ 1080. უზუფრუქტი მიწის ან სარენტო ვალზე
მოთხოვნაზე უზუფრუქტის მომწესრიგებელი ნორმები მოქმედებს, აგრეთვე, მიწის და სარენტო ვალზე უზუფრუქტის მიმართ.

§ 1081. უზუფრუქტი საწარმდგენლო ან საორდერო ფასიან ქაღალდებზე
(1) თუ უზუფრუქტის საგანია საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი ან საორდერო ფასიანი ქაღალდი საბლანკო ინდოსამენტით, მაშინ უზუფრუქტუარსა და მესაკუთრეს ერთობლივად ეკუთვნით ფასიანი ქაღალდის მფლობელობა და ფასიან ქაღალდს მიკუთვნებული განახლებული კუპონი. პროცენტული, სარენტო ან დივიდენდების კუპონების მფლობელობა ეკუთვნის უზუფრუქტუარს.
(2) ფასიანი ქაღალდის გადაცემის ნაცვლად უზუფრუქტის დადგენისათვის საკმარისია თანამფლობელობის მინიჭება.

§ 1082. დეპონირება
უზუფრუქტუარისა თუ მესაკუთრის მოთხოვნის საფუძველზე ფასიანი ქაღალდი განახლებულ კუპონთან ერთად შენახულ უნდა იქნეს შემნახველ დაწესებულებაში იმ პირობით, რომ მისი უკან დაბრუნება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს უზუფრუქტუარისა და მესაკუთრის მიერ მხოლოდ ერთობლივად. უზუფრუქტუარს შეუძლია ასევე მოითხოვოს დეპონირება გერმანიის ფედერალურ ბანკში, გერმანიის ცენტრალურ კოოპერაციულ სალაროში ან გერმანიის საანგარიშსწორებო პალატაში (გერმანიის კომუნალურ ბანკში).

§ 1083. ხელშეწყობა მოთხოვნის რეალიზაციაში
(1) ფასიანი ქაღალდის უზუფრუქტუარი და მესაკუთრე ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ ერთმანეთს ვადამოსული თანხების რეალიზაციაში, ახალი პროცენტული, სარენტო ან დივიდენდების კუპონების შეძენაში, ისევე როგორც სხვა ღონისძიებების განხორციელებაში, რომლებიც საჭიროა ქონების სათანადო მართვისათვის.
(2) ფასიანი ქაღალდის განაღდების შემთხვევაში გამოიყენება § 1079-ის ნორმები. განაღდებისას გადახდილი პრემია ითვლება კაპიტალის ნაწილად.

§ 1084. მოხმარებადი ნივთები
თუ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი ან საორდერო ფასიანი ქაღალდი საბლანკო ინდოსამენტით, § 92-ის თანახმად, განეკუთვნება მოხმარებად ნივთებს, მაშინ გამოიყენება § 1067-ის ნორმები.

ქვეკარი 3. უზუფრუქტი ქონებაზე

§ 1085. უზუფრუქტის დადგენა ქონებაზე
უზუფრუქტი პირის ქონებაზე შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ იმგვარად, რომ უზუფრუქტუარი იძენს უზუფრუქტს ქონებაში შემავალ ცალკეულ საგანზე. რამდენადაც უზუფრუქტი დადგენილია, მოქმედებს §§ 1086-1088-ის ნორმები.

§ 1086. უზუფრუქტის დამდგენის კრედიტორთა უფლებები
უზუფრუქტის დამდგენთა კრედიტორებს შეუძლიათ, – რამდენადაც მათი მოთხოვნები წარმოიშვა უზუფრუქტის დადგენამდე, – მოითხოვონ მოთხოვნების დაკმაყოფილება უზუფრუქტით დატვირთული საგნებიდან, უზუფრუქტის მიუხედავად. თუ უზუფრუქტუარმა შეიძინა საკუთრების უფლება მოხმარებად ნივთებზე, მაშინ ნივთების ადგილს იკავებს უზუფრუქტის დამდგენის მოთხოვნის უფლება ღირებულების ანაზღაურებაზე; უზუფრუქტუარი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს კრედიტორებს ნივთების ღირებულება.

§ 1087. ურთიერთობა უზუფრუქტუარსა და უზუფრუქტის დამდგენს შორის
(1) თუ დადგა უზუფრუქტის დადგენამდე წარმოშობილი მოთხოვნის შესრულების ვადა, უზუფრუქტის დამდგენს შეუძლია, უზუფრუქტუარისაგან მოითხოვოს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის საჭირო საგნების დაბრუნება. არჩევანის უფლება ეკუთვნის მას; თუმცა, უზუფრუქტის დამდგენს შეუძლია აირჩიოს მხოლოდ უპირატესად ამ მიზნისათვის გამოსადეგი საგნები. იმდენად, რამდენადაც დაბრუნებული საგნები საკმარისია, უზუფრუქტის დამდგენი ვალდებულია უზუფრუქტუარის წინაშე, დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა.
(2) უზუფრუქტუარს შეუძლია შეასრულოს ვალდებულება ნაკისრი ვალდებულების საგნის გადაცემით. თუ ნაკისრი ვალდებულების საგანი არ მიეკუთვნება იმ ქონებას, რომელზეც არსებობს უზუფრუქტი, და თუ უზუფრუქტის დამდგენის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილების ლოდინი რისკის გარეშე შეუძლებელია, მაშინ უზუფრუქტუარი უფლებამოსილია, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით გაასხვისოს ქონებაში შემავალი საგნები. მას შეუძლია აირჩიოს მხოლოდ უპირატესად ამ მიზნისათვის გამოსადეგი საგნები. თუ იგი ვალდებულია მოხმარებადი ნივთების ღირებულების ანაზღაურებაზე, მას გასხვისების უფლება არა აქვს.

§ 1088. უზუფრუქტუარის პასუხისმგებლობა
(1) უზუფრუქტის დამდგენის კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნებს უკვე უზუფრუქტის დადგენის მომენტისათვის ერიცხებოდა პროცენტი, უზუფრუქტის ვადის განმავლობაში შეუძლიათ უზუფრუქტუარისაგან ასევე მოითხოვონ პროცენტების გადახდა. ანალოგიური წესი მოქმედებს სხვა პერიოდული გადახდების მიმართ, რომლებიც სათანადო მართვის შემთხვევაში ხორციელდება ქონების შემოსავლებიდან, თუ მოთხოვნა წარმოიშვა უზუფრუქტის დადგენამდე.

(2) უზუფრუქტუარის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს მასა და უზუფრუქტის დამდგენს შორის შეთანხმებით.
(3) უზუფრუქტუარი ვალდებულია უზუფრუქტის დამდგენის წინაშე, დააკმაყოფილოს კრედიტორების პირველ ნაწილში მითითებული მოთხოვნის უფლებები. უზუფრუქტის დამდგენს შეუძლია მოითხოვოს, მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, საგნების დაბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზუფრუქტუარი აცილებს აღნიშნული ვალდებულების შესრულების ვადას.

§ 1089. უზუფრუქტი სამკვიდროზე
§§ 1085-1088-ის ნორმები, შესაბამისად, გამოიყენება სამკვიდროზე დადგენილი უზუფრუქტის მიმართ.

კარი 3. შეზღუდული პირადი სერვიტუტი

§ 1090. შეზღუდული პირადი სერვიტუტის კანონისმიერი შინაარსი
(1) მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ პირი, ვის სასარგებლოდაც ხორციელდება უფლებრივი დატვირთვა, უფლებამოსილია, ცალკეულ შემთხვევებში გარკვეულწილად ისარგებლოს ამ მიწის ნაკვეთით, ან მას ეკუთვნის სხვა უფლებამოსილება, რომელსაც შეუძლია შეადგინოს მიწის ნაკვეთზე დადგენილი სერვიტუტის შინაარსი (შეზღუდული პირადი სერვიტუტი).
(2) შესაბამისად, გამოიყენება §§ 1020-1024-ის, 1026-1029-ის, 1061-ის ნორმები.

§ 1091. მოცულობა
საეჭვოობისას შეზღუდული პირადი სერვიტუტის მოცულობა განისაზღვრება უფლებამოსილი პირის პირადი საჭიროების მიხედვით.

§ 1092. გადაცემის დაუშვებლობა; გამოყენების გადაცემა
(1) შეზღუდული პირადი სერვიტუტი არ ექვემდებარება გადაცემას. სერვიტუტის გამოყენება შეიძლება გადაეცეს სხვა პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა ნებადართულია.
(2) თუ შეზღუდული პირადი სერვიტუტი ან შეზღუდული პირადი სერვიტუტის მინიჭების მოთხოვნის უფლება ეკუთვნის იურიდიულ პირს ან უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას, მაშინ, შესაბამისად, მოქმედებს §§ 1059ა-1059დ-ს ნორმები.
(3) შეზღუდული პირადი სერვიტუტი ექვემდებარება გადაცემას, თუ იგი ეკუთვნის იურიდიულ პირს ან უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას და იძლევა უფლებამოსილებას, მიწის ნაკვეთი გამოყენებულ იქნეს ელექტროენერგიის, გაზის, ცენტრალური გათბობის, წყლის, კანალიზაციის, ნავთობისა თუ ნედლი მასალების გადაცემის მოწყობილობებისათვის, ყველა იმ დამხმარე მოწყობილობის ჩათვლით, რომლებიც უშუალოდ გათვალისწინებულია გადასაცემად, სატელეკომუნიკაციო მოწყობილობებისათვის, ერთი ან რამდენიმე კერძო ან საჯარო საწარმოს საწარმოო დანაყოფებს შორის პროდუქციის ტრანსპორტირებისას გამოყენებული მოწყობილობებისათვის ან ტრამვაისა თუ რკინიგზის მოწყობილობებისათვის. გადაცემა არ მოიცავს სერვიტუტის დაყოფის უფლებას მისი უფლებამოსილებების მიხედვით. თუ ასეთი შეზღუდული პირადი სერვიტუტის მინიჭების მოთ-

ხოვნის უფლება ეკუთვნის პირველ წინადადებაში მითითებულ ერთ-ერთ პირს, მაშინ მოთხოვნის უფლება ექვემდებარება გადაცემას. შესაბამისად, მოქმედებს §§ 1059ბ-1059დ-ს ნორმები.

§ 1093. ცხოვრების უფლება

(1) შეზღუდული პირადი სერვიტუტის სახით შეიძლება დადგენილ იქნეს ასევე შენობა-ნაგებობის ან შენობა-ნაგებობის ნაწილის საცხოვრებლად გამოყენების უფლება მესაკუთრის გამორიცხვით. ამ უფლების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება უზუფრუქტის მიმართ მოქმედი §§ 1031, 1034, 1036, § 1037-ის პირველი ნაწილისა და §§ 1041, 1042, 1044, 1049, 1050, 1057, 1062-ის ნორმები.

(2) უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია, საცხოვრებელ ბინაში მოიყვანოს თავისი ოჯახი და ასევე ის პირები, რომლებიც აუცილებლად საჭირონი არიან მისი მდგომარეობის შესაბამისი მომსახურებისა და მოვლისათვის.

(3) თუ უფლება შემოიფარგლება შენობა-ნაგებობის ნაწილით, მაშინ უფლებამოსილ პირს შეუძლია ისარგებლოს იმ ნაგებობებითა და მოწყობილობებით, რომლებიც განკუთვნილია მაცხოვრებლების ერთობლივი სარგებლობისათვის.

ნაწილი 5. უპირატესი შესყიდვის უფლება

§ 1094. უპირატესი შესყიდვის სანივთო უფლების კანონისმიერი შინაარსი

(1) მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება უფლებრივი დატვირთვა, მესაკუთრის მიმართ უფლებამოსილი იყოს უპირატეს შესყიდვაზე.

(2) უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება დადგენილ იქნეს, აგრეთვე, სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ.

§ 1095. ნაწილის დატვირთვა

მიწის ნაკვეთის ნაწილი შეიძლება დაიტვირთოს უპირატესი შესყიდვის უფლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეადგენს თანამესაკუთრის წილს.

§ 1096. გავრცელება საკუთვნებელზე

უპირატესი შესყიდვის უფლება შეიძლება გავრცელდეს საკუთვნებელზე, რომელიც იყიდება მიწის ნაკვეთთან ერთად. საეჭვოობისას ივარაუდება, რომ უპირატესი შესყიდვის უფლება უნდა გავრცელდეს ასეთ საკუთვნებელზე.

§ 1097. უფლების დადგენა ერთი ან რამდენიმე გაყიდვის შემთხვევისათვის

უპირატესი შესყიდვის უფლება შემოიფარგლება იმ მესაკუთრის ან მისი მემკვიდრეების მიერ გაყიდვის შემთხვევით, რომელსაც მიწის ნაკვეთი ეკუთვნის უფლების დადგენის მომენტისათვის, თუმცა, იგი შეიძლება დადგენილ იქნეს, აგრეთვე, გაყიდვის რამდენიმე ან ყველა შემთხვევისათვის.

§ 1098. უპირატესი შესყიდვის უფლების მოქმედება

(1) სამართლებრივი ურთიერთობა უფლებამოსილ პირსა და ვალდებულ პირს შორის განისაზღვრება §§ 463-473-ის ნორმების მიხედვით. უპირატესი შესყიდვის უფლება

შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ მიწის ნაკვეთი იყიდება გაკოტრების მმართველის მიერ საკუთარი შეხედულებით.
(2) მესამე პირის მიმართ უპირატესი შესყიდვის უფლებას აქვს წინასწარი ჩანაწერის სამართლებრივი ძალა უფლების გამოყენების შედეგად წარმოშობილი საკუთრების უფლების გადაცემაზე მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად.
(3) თუ § 1094-ის პირველი ნაწილის თანახმად, დადგენილი უპირატესი შესყიდვის უფლება ეკუთვნის იურიდიულ პირს ან უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობას, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაცემის შესაძლებლობა არ არის შეთანხმებული, უფლების გადაცემის მიმართ, შესაბამისად, მოქმედებს §§ 1059ა-1059დ-ს ნორმები.

§ 1099. შეტყობინებები
(1) თუ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას იძენს მესამე პირი, მაშინ ამ უკანასკნელს, მსგავსად ვალდებული პირისა, შეუძლია შეატყობინოს უფლებამოსილ პირს ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსი § 469-ის მე-2 ნაწილის სამართლებრივი შედეგით.
(2) ვალდებულმა პირმა უნდა შეატყობინოს ახალ მესაკუთრეს მაშინვე, როგორც კი ხდება ან გამოირიცხება უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაცია.

§ 1100. მყიდველის უფლებები
თუ ახალი მესაკუთრე არის მყიდველი ან მყიდველის სამართალმემკვიდრე, მას შეუძლია, უარი თქვას მესაკუთრის სახით უფლებამოსილი პირის რეგისტრაციაზე თანხმობის მიცემასა და მიწის ნაკვეთის გადაცემაზე მანამდე, სანამ მას არ აუნაზღაურდება ვალდებულ პირსა და მყიდველს შორის შეთანხმებული ნასყიდობის ფასი, თუ ეს უკანასკნელი გადახდილია. თუ უფლებამოსილი პირი რეგისტრაციაში ტარდება როგორც მესაკუთრე, მაშინ თავდაპირველ მესაკუთრეს შეუძლია მისგან მოითხოვოს გადახდილი ნასყიდობის ფასის ანაზღაურება, ნაცვლად მიწის ნაკვეთის გადაცემისა.

§ 1101. უფლებამოსილი პირის გათავისუფლება
თუ უფლებამოსილმა პირმა მყიდველს ან მყიდველის სამართალმემკვიდრეს, § 1100-ის თანახმად, უნდა აუნაზღაუროს ნასყიდობის ფასი, მაშინ იგი თავისუფლდება უპირატესი შესყიდვის უფლებიდან გამომდინარე ნასყიდობის ფასის გადახდის ვალდებულებისაგან.

§ 1102. მყიდველის გათავისუფლება
თუ მყიდველი მყიდველის უპირატესი შესყიდვის უფლების რეალიზაციის შედეგად კარგავს საკუთრების უფლებას, იგი თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან, თუკი მის მიერ ნაკისრი ნასყიდობის ფასი ჯერ კიდევ არ არის გადახდილი; მას არ შეუძლია მოითხოვოს გადახდილი ნასყიდობის ფასის თანხის უკან დაბრუნება.

§ 1103. სანივთო- და ვალდებულებით-სამართლებრივი უპირატესი შესყიდვის უფლება
(1) მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ არსებული უპირატესი შესყიდვის უფლება არ შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისაგან.
(2) განსაზღვრული პირის სასარგებლოდ არსებული უპირატესი შესყიდვის უფლება არ შეიძლება იყოს დაკავშირებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებასთან.

§ 1104. უცნობი უფლებამოსილი პირის გამორიცხვა
(1) თუ უფლებამოსილი პირი უცნობია და სახეზეა, § 1170-ის თანახმად, იპოთეკური კრედიტორის გამორიცხვის მიმართ დადგენილი წინაპირობები, მაშინ იგი თავისი უფლებით შეიძლება გამოირიცხოს გამოწვევითი წარმოების წესების მიხედვით. გამოწვევითი წარმოების საქმეზე მიღებული განჩინების მიღებისთანავე უქმდება უპირატესი შესყიდვის უფლება.
(2) იმ უპირატესი შესყიდვის უფლების მიმართ, რომელიც არსებობს მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ, ეს ნორმები არ გამოიყენება.

ნაწილი 6. სანივთო ტვირთი

§ 1105. სანივთო ტვირთის კანონისმიერი შინაარსი
(1) მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ იმ პირის მიმართ, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება უფლებრივი დატვირთვა, უნდა განხორციელდეს მიწის ნაკვეთიდან პერიოდული გადახდები (სანივთო ტვირთი). სანივთო ტვირთის შინაარსის სახით შეიძლება ასევე შეთანხმებულ იქნეს ის, რომ განსახორციელებელი გადახდები მიესადაგებოდეს შეცვლილ ურთიერთობებს, დამატებითი შეთანხმებების გარეშე, თუ მიწის ნაკვეთის დატვირთვის სახე და მოცულობა შეიძლება განისაზღვროს შეთანხმებაში გათვალისწინებული წინაპირობების მეშვეობით.
(2) სანივთო ტვირთი შეიძლება ასევე დადგენილ იქნეს სხვა მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ.

§ 1106. ნაწილის დატვირთვა
მიწის ნაკვეთის ნაწილი შეიძლება დაიტვირთოს სანივთო ტვირთით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეადგენს თანამესაკუთრის წილს.

§ 1107. ცალკეული შესრულებები
ცალკეული გადახდებისთვის, შესაბამისად, გამოიყენება იპოთეკური მოთხოვნის პროცენტების მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 1108. მესაკუთრის პერსონალური პასუხისმგებლობა
(1) მესაკუთრე მისი საკუთრების უფლების პერიოდში ვადამოსული გადახდებისათვის ასევე პირადად აგებს პასუხს, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი.
(2) თუ მიწის ნაკვეთი იყოფა, მაშინ ცალკეული ნაწილების მესაკუთრეები პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 1109. გაბატონებული მიწის ნაკვეთის გაყოფა
(1) თუ იყოფა გაბატონებული მიწის ნაკვეთი, მაშინ სანივთო ტვირთი გრძელდება ცალკეულ ნაწილებზე; თუ გადახდები დაყოფადია, მაშინ მესაკუთრეთა წილები განისაზღვრება წილების სიდიდის პროპორციულად; თუ ისინი დაყოფადი არ არის, მაშინ გამოიყენება § 432-ის ნორმები. საეჭვოობისას უფლების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმგვარად, რომ ის დატვირთული მიწის ნაკვეთის მესაკუთრისათვის უფრო გართულებული არ იქნება.

(2) უფლებამოსილ პირს შეუძლია დაადგინოს, დაკავშირებულია თუ არა უფლება მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილთან. განსაზღვრა უნდა განხორციელდეს საჯარო რეესტრის სამსახურის წინაშე და იგი ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას; შესაბამისად, გამოიყენება §§ 876, 878-ის ნორმები. თუ უფლებამოსილი პირი გაასხვისებს მიწის ნაკვეთის ნაწილს ასეთი დადგენის გარეშე, მაშინ უფლება რჩება დაკავშირებული იმ ნაწილთან, რომელსაც ეს პირი ინარჩუნებს.
(3) თუ სანივთო ტვირთი ანიჭებს უპირატესობას მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილს, მაშინ იგი რჩება დაკავშირებული მხოლოდ ამ ნაწილთან.

§ 1110. სანივთოსამართლებრივი სანივთო ტვირთი
მიწის ნაკვეთის შესაბამისი მესაკუთრის სასარგებლოდ არსებული სანივთო ტვირთი არ შეიძლება გამოცალკევებულ იქნეს ამ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებისაგან.

§ 1111. ვალდებულებით-სამართლებრივი სანივთო ტვირთი
(1) განსაზღვრული პირის სასარგებლოდ არსებული სანივთო ტვირთი არ შეიძლება იყოს დაკავშირებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებასთან.
(2) თუ ცალკეულ შესრულებაზე მოთხოვნის უფლება არ ექვემდებარება გადაცემას, მაშინ უფლების გასხვისება ან დატვირთვა დაუშვებელია.

§ 1112. უცნობი უფლებამოსილი პირის გამორიცხვა
თუ უფლებამოსილი პირი უცნობია, მაშინ მისი უფლების გამორიცხვის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება § 1104-ის ნორმები.

ნაწილი 7. იპოთეკა, მიწის ვალი, სარენტო ვალი

კარი 1. იპოთეკა

§ 1113. იპოთეკის კანონისმიერი შინაარსი
(1) მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ იმ პირს, ვის სასარგებლოდაც ხორციელდება უფლებრივი დატვირთვა, მიწის ნაკვეთიდან მიეცეს განსაზღვრული ფულადი თანხა კუთვნილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (იპოთეკა).
(2) იპოთეკა შეიძლება დადგენილ იქნეს ასევე მომავალი ან პირობითი მოთხოვნისათვის.

§ 1114. ნაწილის დატვირთვა
გარდა „საჯარო რეესტრის წარმოების შესახებ“ კანონის § 3-ის მე-6 ნაწილში მითითებული შემთხვევებისა, მიწის ნაკვეთის ნაწილი შეიძლება დაიტვირთოს იპოთეკით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შეადგენს თანამესაკუთრის წილს.

§ 1115. იპოთეკის რეგისტრაცია
(1) იპოთეკის რეგისტრაციისას საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს კრედიტორი, მოთხოვნის ფულადი გამოტახულება და, თუ მოთხოვნას ერიცხება პროცენტი, – საპროცენტო განაკვეთი, ასევე, თუ უნდა განხორციელდეს სხვა დამატებითი გადახდები, – მათი ფულადი გამოტახულება; დანარჩენ შემთხვევებში მოთხოვნის აღ-

წერისთვის შეიძლება გაკეთდეს მითითება რეგისტრაციის განხორციელების თანხმობაზე.
(2) იმ საკრედიტო დაწესებულების სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკის რეგისტრაციისას, რომლის წესდება გამოქვეყნდა კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, წესდების შესაბამისად განსახორციელებელი დამატებითი გადახდების, პროცენტების გარდა, აღწერისათვის საკმარისია წესდებაზე მითითება.

§ 1116. საბარათე იპოთეკა და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკა
(1) იპოთეკაზე გაიცემა იპოთეკის სერტიფიკატი.
(2) სერტიფიკატის გაცემა შეიძლება გამოირიცხოს. გამორიცხვა შეიძლება მოხდეს შემდგომშიც. გამორიცხვისათვის საჭიროა კრედიტორსა და მესაკუთრეს შორის შეთანხმება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია; შესაბამისად, გამოიყენება § 873-ის მე-2 ნაწილისა და §§ 876, 878-ის ნორმები.
(3) სერტიფიკატის გაცემის გამორიცხვა შეიძლება გაუქმდეს; გაუქმება ხორციელდება იმავე წესით, როგორც გამორიცხვა.

§ 1117. საბარათე იპოთეკის შეძენა
(1) კრედიტორი იძენს იპოთეკას მხოლოდ მისთვის მიწის ნაკვეთის მესაკუთრისაგან სერტიფიკატის გადაცემისთანავე, თუ იპოთეკის სერტიფიკატის გაცემა გამორიცხული არ არის. გადაცემის მიმართ გამოიყენება § 929-ის მე-2 წინადადებისა და §§ 930, 931-ის ნორმები.
(2) სერტიფიკატის გადაცემა შეიძლება შეიცვალოს შეთანხმებით, რომლითაც კრედიტორი უფლებამოსილი იქნება საჯარო რეესტრის სამსახურისაგან სერტიფიკატის მიღებაზე.
(3) თუ კრედიტორი ფლობს სერტიფიკატს, მაშინ ივარაუდება, რომ გადაცემა განხორციელდა.

§ 1118. პასუხისმგებლობა დამატებითი მოთხოვნებისათვის
იპოთეკის ძალით მიწის ნაკვეთიდან გადახდილ უნდა იქნეს, აგრეთვე, მოთხოვნის კანონისმიერი პროცენტები, ისევე როგორც ხელშეკრულების შეწყვეტისა და მიწის ნაკვეთიდან დაკმაყოფილების მიღების მიზნით სასამართლოში საქმისწარმოების ხარჯები.

§ 1119. პასუხისმგებლობის გაზრდა პროცენტებისათვის
(1) თუ მოთხოვნას არ ერიცხება პროცენტი ან საპროცენტო განაკვეთი ხუთ პროცენტზე ნაკლებია, მაშინ იპოთეკა თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლებამოსილ პირთა თანხმობის გარეშე შეიძლება გაიზარდოს იმგვარად, რომ პროცენტებისათვის მიწის ნაკვეთიდან დაკმაყოფილება მოხდეს ხუთ პროცენტამდე ოდენობით.
(2) გადახდის ვადის და ადგილის ცვლილებისათვის ამ უფლებამოსილი პირების თანხმობა ასევე სავალდებულო არ არის.

§ 1120. გავრცელება ნაყოფზე, შემადგენელ ნაწილებსა და საკუთვნებელზე
იპოთეკა ვრცელდება მიწის ნაკვეთისაგან გამოცალკევებულ ნაყოფსა და სხვა შემადგენელ ნაწილებზე, თუ ისინი, §§ 954-957-ის თანახმად, გამოცალკევებისას არ გადავიდა იმ სხვა პირის საკუთრებაში, რომელიც არ არის მიწის ნაკვეთის მესაკუთ-

რე ან მფლობელი თავისთვის; იპოთეკა ასევე ვრცელდება მიწის ნაკვეთის საკუთვნებელზე, იმ ნაწილების გამოკლებით, რომლებიც არ გადავიდა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის საკუთრებაში.

§ 1121. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება საგნის გასხვისებით და მისი მოცილებით

(1) მიწის ნაკვეთის ნაყოფსა და სხვა შემადგენელ ნაწილებზე, ასევე საკუთვნებლის ნაწილებზე გადახდევინების მიქცევა დაუშვებელია, თუ ისინი გასხვისდება და მიწის ნაკვეთს მოსცილდება მანამდე, სანამ მოხდება მათზე კრედიტორის სასარგებლოდ გადახდევინების მიქცევა.

(2) თუ გასხვისება ხორციელდება გამოცალკევებამდე, მაშინ შემძენს არ შეუძლია, კრედიტორს მიუთითოს იმაზე, რომ იგი იპოთეკის მიმართ კეთილსინდისიერი იყო. თუ შემძენი მიწის ნაკვეთიდან ნივთს გამოაცალკევებს, მაშინ გამოცალკევებამდე განხორციელებული გადახდევინების მიქცევა მის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამოცალკევების მომენტში გადახდევინების მიქცევის მიმართ არ არის კეთილსინდისიერი.

§ 1122. გადახდევინების მიქცევისაგან გათავისუფლება გასხვისების გარეშე

(1) თუ ნაყოფი და შემადგენელი ნაწილები მიწის ნაკვეთისაგან გამოცალკევებულ იქნა მეურნეობის სათანადოდ წარმოების წესების ფარგლებში, და თუ ისინი მიწის ნაკვეთისაგან გამოცალკევებულ იქნა გადახდევინების მიქცევამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გამოცალკევება ხორციელდება დროებითი მიზნით, მაშინ გადახდევინების მიქცევა მათზე დაუშვებელია ასევე გასხვისების გარეშეც.

(2) საკუთვნებლის ნაწილებზე გადახდევინების მიქცევა დაუშვებელია გასხვისების გარეშეც, თუ საკუთვნებლის თვისება უქმდება მეურნეობის სათანადოდ წარმოების წესების ფარგლებში გადახდევინების მიქცევამდე.

§ 1123. გავრცელება ქირისა თუ საიჯარო ქირის მოთხოვნაზე

(1) თუ მიწის ნაკვეთი გაქირავებულია ან გადაცემულია იჯარით, მაშინ იპოთეკა ვრცელდება ქირისა თუ საიჯარო ქირის მოთხოვნაზე.

(2) იმდენად, რამდენადაც მოთხოვნა ვადამოსულია, მასზე გადახდევინების მიქცევა დაუშვებელია შესრულების ვადის დადგომიდან ერთი წლის ვადის განმავლობაში, თუ გადახდევინების მიქცევა იპოთეკური კრედიტორის სასარგებლოდ უფრო ადრე არ ხორციელდება; თუ ქირა ან საიჯარო ქირა გადახდილ უნდა იქნეს ავანსის სახით, მაშინ გადახდევინების მიქცევა დაშვებულია ქირის ან საიჯარო ქირის მიმართ უფრო გვიანი, გადახდევინების მიქცევის დროისათვის კალენდარული თვის პერიოდისათვის; თუ გადახდევინების მიქცევა ხორციელდება თვის მე-15 დღის შემდეგ, მაშინ გადახდევინების მიქცევა დაუშვებელია ასევე შემდეგი კალენდარული თვის ქირის ან საიჯარო ქირისათვის.

§ 1124. ქირისა თუ საიჯარო ქირის წინასწარი განკარგვა

(1) თუ ქირა ან საიჯარო ქირა მიღებულ იქნა მანამდე, სანამ მასზე მიექცეოდა გადახდევინება იპოთეკური კრედიტორის სასარგებლოდ ან გადახდევინების მიქცევამდე იგი სხვაგვარად იქნა განკარგული, მაშინ განკარგვა იპოთეკური კრედიტორის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა. თუ განკარგვა გამოიხატება მოთხოვნის მესამე პირისათვის გადაცემით, მაშინ გადახდევინების მიქცევა მოთხოვნაზე

დაუშვებელია; თუ მესამე პირი იძენს მოთხოვნაზე უფლებას, მაშინ ამ უფლებას იპოთეკასთან შედარებით უპირატესი რიგი ენიჭება.
(2) განკარგვა იპოთეკური კრედიტორის მიმართ სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ იგი ეხება ქირას ან საიჯარო ქირას უფრო გვიან, გადახდევინების მიქცევის დროისათვის კალენდარული თვის პერიოდს; თუ გადახდევინების მიქცევა ხორციელდება თვის მეთხუთმეტე დღის შემდეგ, მაშინ განკარგვა სამართლებრივი ძალის მქონეა იმდენად, რამდენადაც იგი ეხება შემდეგი კალენდარული თვის ქირას ან საიჯარო ქირას.
(3) მესამე პირისათვის მოთხოვნის გადაცემას უთანაბრდება მიწის ნაკვეთის გასხვისება მოთხოვნის გარეშე.

§ 1125. გაქვითვა ქირისა თუ საიჯარო ქირის მიმართ
რამდენადაც ქირისა თუ საიჯარო ქირის გადახდევიდება იპოთეკური კრედიტორის მიმართ სამართლებრივი ძალის არმქონეა, დამქირავებელსა თუ მოიჯარეს არ შეუძლიათ, გაქვითონ გამქირავებლისა თუ მეიჯარისადმი კუთვნილი მოთხოვნა იპოთეკური კრედიტორის მოთხოვნის მიმართ.

§ 1126. გავრცელება პერიოდულ გადახდებზე
თუ მიწის ნაკვეთის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულია უფლება პერიოდულ გადახდებზე, მაშინ იპოთეკა ვრცელდება ამ პერიოდული შესრულებების მოთხოვნის უფლებებზე. შესაბამისად, გამოიყენება § 1123-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების, § 1124-ის პირველი, მე-2 ნაწილებისა და § 1125-ის ნორმები. გადახდევინების მიქცევამდე განხორციელებულ იმ შესრულებაზე მოთხოვნის უფლების განკარგვა, რომლის ვადა დგება გადახდევინების მიქცევიდან მხოლოდ სამი თვის შემდეგ, იპოთეკური კრედიტორის მიმართ სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 1127. გავრცელება სადაზღვევო მოთხოვნაზე
(1) თუ ის საგნები, რომლებზეც ვრცელდება იპოთეკა, დაზღვეულია მესაკუთრის ან თავისთვის მფლობელის სასარგებლოდ, მაშინ იპოთეკა ვრცლდება მზღვეველის მიმართ მოთხოვნაზე.
(2) მზღვეველის მიმართ მოთხოვნისათვის პასუხისმგებლობა წყდება, თუ დაზღვეული საგანი აღდგენილია ან ანაზღაურებულია მისი ღირებულება.

§ 1128. შენობა-ნაგებობის დაზღვევა
(1) თუ დაზღვეულია შენობა-ნაგებობა, მაშინ მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო თანხის გადახდა იპოთეკური კრედიტორის მიმართ გადახდის სამართლებრივი შედეგით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან ან მზღვეველმა იპოთეკურ კრედიტორს შეატყობინა ზიანის დადგომის შესახებ და შეტყობინების მიღების მომენტიდან გასულია ერთი თვე. იპოთეკურ კრედიტორს შეუძლია ვადის გასვლამდე მზღვეველის მიმართ გადახდის წინააღმდეგ წარადგინოს პროტესტი. შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ იგი მიზანშეუწონელია; ამ შემთხვევაში თვე აითვლება სადაზღვევო თანხის გადახდის ვადის დადგომის მომენტიდან.
(2) თუ იპოთეკურმა კრედიტორმა მზღვეველს შეატყობინა თავისი იპოთეკის შესახებ, მაშინ მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო თანხის გადახდა იპოთეკური კრედიტორის მიმართ გადახდის სამართლებრივი შედეგით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკურმა კრედიტორმა გადახდაზე წერილობით განაცხადა თანხმობა.

(3) დანარჩენ შემთხვევებში გამოიყენება დაგირავებული მოთხოვნის მიმართ მოქმედი ნორმები; თუმცა, მზღვეველს არ შეუძლია მითითება იმაზე, რომ მან არ იცოდა იპოთეკის შესახებ, რომლის არსებობაც ნათელია საჯარო რეესტრის ჩანაწერიდან.

§ 1129. სხვა ზიანის დაზღვევა
თუ დაზღვეულია სხვა საგანი და არა შენობა-ნაგებობა, მაშინ მზღვეველის მიმართ მოთხოვნისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება § 1123-ის მე-2 ნაწილის პირველი წინადადებისა და § 1124-ის პირველი, მე-3 ნაწილების ნორმების თანახმად.

§ 1130. დათქმა ნივთის აღდგენის შესახებ
თუ დაზღვევის პირობების თანახმად, მზღვეველი ვალდებულია, გადაიხადოს სადაზღვევო თანხა მხოლოდ დაზღვეული საგნის აღსადგენად, მაშინ, ამ პირობების შესაბამისად, დაზღვეულის სასარგებლოდ გადახდა სამართლებრივი ძალის მქონეა იპოთეკური კრედიტორის მიმართ.

§ 1131. მიწის ნაკვეთის მიმატება
თუ § 890-ის მე-2 ნაწილის თანახმად, მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში მიემატება სხვა მიწის ნაკვეთს, მაშინ ამ მიწის ნაკვეთზე არსებული იპოთეკები ვრცელდება მიმატებულ მიწის ნაკვეთზე. იმ უფლებებს, რომლებითაც დატვირთულია მიმატებული მიწის ნაკვეთი, ენიჭება უპირატესი რიგი ამ იპოთეკებთან შედარებით.

§ 1132. საერთო იპოთეკა
(1) თუ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკა არსებობს რამდენიმე მიწის ნაკვეთზე (საერთო იპოთეკა), მაშინ მთლიანი მოთხოვნისათვის გადახდევინების მიქცევა ხდება თითოეულ მიწის ნაკვეთზე. კრედიტორს შეუძლია, თავისი შეხედულებით მოითხოვოს დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი მიწის ნაკვეთიდან.
(2) კრედიტორი უფლებამოსილია, მოთხოვნის თანხა დაყოს ცალკეული მიწის ნაკვეთების მიხედვით იმგვარად, რომ თითოეულ მიწის ნაკვეთზე გადახდევინების მიქცევა მოხდეს მხოლოდ ცალკეული მიწის ნაკვეთის შესაბამისი თანხისათვის. თანხების განაწილების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 875, 876, 878-ის ნორმები.

§ 1133. იპოთეკის საიმედოობისათვის საფრთხის შექმნა
თუ მიწის ნაკვეთის გაუარესების შედეგად საფრთხე ექმნება იპოთეკის საიმედოობას, მაშინ კრედიტორს შეუძლია, მესაკუთრეს მოსთხოვოს სათანადო ვადა საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ მოითხოვოს მიწის ნაკვეთზე გადახდევინების მიქცევა, თუ საფრთხე არ იქნა თავიდან აცილებული მიწის ნაკვეთის გაუმჯობესებით ან სხვა იპოთეკის დადგენით. თუ მოთხოვნას არ ერიცხება პროცენტი და მისი შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაშინ კრედიტორს მიეცემა მხოლოდ ის თანხა, რომელიც შეესაბამება მოთხოვნის თანხას გადახდის მომენტიდან შესრულების ვადის დადგომამდე პერიოდისათვის კანონისმიერი პროცენტების დამატებით.

§ 1134. ნეგატორული სარჩელი
(1) თუ მესაკუთრე ან მესამე პირი მიწის ნაკვეთის მიმართ ზემოქმედებს იმგვარად, რომ მიწის ნაკვეთის გაუარესების შედეგად საფრთხე ექმნება იპოთეკის საიმედოობას, მაშინ კრედიტორს შეუძლია, წარადგინოს ნეგატორული სარჩელი.

(2) თუ ზემოქმედება მომდინარეობს მესაკუთრისაგან, მაშინ სასამართლოს, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, შეუძლია მიიღოს განკარგულება საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ზომების შესახებ. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მიწის ნაკვეთის გაუარესება მოსალოდნელია იმის გამო, რომ მესაკუთრე არ იღებს უსაფრთხოების სათანადო ზომებს მესამე პირის ზემოქმედების ან სხვა დარღვევების საწინააღმდეგოდ.

§ 1135. საკუთვნებლის გაუარესება
§§ 1133, 1134-ის გაგებით, მიწის ნაკვეთის გაუარესებას უთანაბრდება საკუთვნებლის ნაწილების გაუარესება, რომლებზეც ვრცელდება იპოთეკა, ან სათანადო მეურნეობის წესების დარღვევით მათი მიწის ნაკვეთისაგან გამოცალკევება.

§ 1136. განკარგვის უფლების შეზღუდვა გარიგებით
შეთანხმება, რომლითაც მესაკუთრე კრედიტორის წინაშე კისრულობს ვალდებულებას, არ გაასხვისოს ან შემდგომში არ დატვირთოს მიწის ნაკვეთი, ბათილია.

§ 1137. მესაკუთრის შესაგებელი
(1) მესაკუთრეს შეუძლია, იპოთეკის მიმართ წამოაყენოს მოთხოვნისადმი პირადი მოვალის კუთვნილი შესაგებელი, ასევე, § 770-ის თანახმად, თავდების კუთვნილი შესაგებელი. თუ პირადი მოვალე გარდაიცვლება, მაშინ მესაკუთრეს არ შეუძლია მიუთითოს იმაზე, რომ მემკვიდრე ვალისთვის პასუხს აგებს მხოლოდ შეზღუდულად.
(2) თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მაშინ იგი არ კარგავს შესაგებელს იმით, რომ პირადი მოვალე მასზე უარს აცხადებს.

§ 1138. საჯარო რეესტრის საჯარო ნდობა
§§ 891-899-ის ნორმები მოქმედებს ასევე იპოთეკის მიმართაც მოთხოვნასა და, § 1137-ის თანახმად, მესაკუთრის კუთვნილ შესაგებელთან დაკავშირებით.

§ 1139. პროტესტი სესხის უზრუნველსაყოფად დადგენილი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკის შემთხვევაში
თუ სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკის დადგენისას იპოთეკის სერტიფიკატის გაცემა გამორიცხულია, მაშინ იმის თაობაზე პროტესტის წარსადგენად, რომ სესხის გაცემა არ მომხდარა, საკმარისია საჯარო რეესტრის სამსახურის წინაშე მესაკუთრის მიერ წარდგენილი განცხადება იმ პირობით, რომ ეს უკანასკნელი წარდგენილ იქნა იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ ერთი თვის ვადის გასვლამდე. თუ პროტესტი რეგისტრირებულია ერთი თვის ვადაში, მაშინ რეგისტრაციას აქვს ისეთივე სამართლებრივი ძალა, როგორიც მას ექნებოდა იპოთეკასთან ერთად რეგისტრაციის შემთხვევაში.

§ 1140. იპოთეკის სერტიფიკატი და საჯარო რეესტრის უსწორობა
იმდენად, რამდენადაც საჯარო რეესტრის უსწორობა გამომდინარეობს იპოთეკის სერტიფიკატიდან ან სერტიფიკატზე გაკეთებული აღნიშვნიდან, §§ 892, 893 ნორმებზე მითითება გამორიცხულია. საჯარო რეესტრის სისწორის წინააღმდეგ საჩივარი, რომელიც გამომდინარეობს სერტიფიკატიდან ან აღნიშვნიდან, უთანაბრდება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ საჩივარს.

§ 1141. იპოთეკის შეწყვეტა
(1) თუ მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომა დამოკიდებულია ხელშეკრულების შეწყვეტაზე, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტა იპოთეკის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გაცხადებულ იქნება კრედიტორის მიერ მესაკუთრისათვის ან მესაკუთრის მიერ კრედიტორისათვის. კრედიტორის სასარგებლოდ მესაკუთრედ ითვლება ის პირი, რომელიც ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.
(2) თუ მესაკუთრეს ქვეყნის შიგნით არა აქვს საცხოვრებელი ადგილი ან სახეზეა § 132 მე-2 ნაწილის წინაპირობები, მაშინ კრედიტორის განცხადების საფუძველზე რაიონული სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს მიწის ნაკვეთი, მესაკუთრეს უნიშნავს წარმომადგენელს, რომლის მიმართაც კრედიტორის მიერ შეიძლება გაკეთდეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ განცხადება.

§ 1142. მესაკუთრის მიერ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება
(1) მესაკუთრე უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს კრედიტორი, თუ მისთვის დადგა მოთხოვნის შესრულების ვადა ან პირადი მოვალე უფლებამოსილია ვალდებულების შესრულებაზე.
(2) დაკმაყოფილება შეიძლება განხორციელდეს ასევე დეპონირებით ან გაქვითვით.

§ 1143. მოთხოვნის გადასვლა
(1) თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მაშინ რამდენადაც იგი აკმაყოფილებს კრედიტორს, მოთხოვნა გადადის მასზე. შესაბამისად, გამოიყენება თავდების მიმართ მოქმედი § 774-ის პირველი ნაწილის ნორმები.
(2) თუ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად არსებობს საერთო იპოთეკა, მაშინ ამ უკანასკნელის მიმართ მოქმედებს § 1173-ის ნორმები.

§ 1144. დოკუმენტების გადაცემა
მესაკუთრეს შეუძლია, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების სანაცვლოდ მოითხოვოს იპოთეკის სერტიფიკატისა და სხვა იმ დოკუმენტების გადაცემა, რომლებიც საჭიროა საჯარო რეესტრის შესწორებისა თუ იპოთეკის გაუქმებისათვის.

§ 1145. ნაწილობრივი დაკმაყოფილება
(1) თუ მესაკუთრე აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას მხოლოდ ნაწილობრივ, მაშინ მას იპოთეკის სერტიფიკატის გადაცემის მოთხოვნა არ შეუძლია. კრედიტორი ვალდებულია, სერტიფიკატზე აღნიშნოს ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესახებ და საჯარო რეესტრის ჩანაწერის შესწორების ან გაუქმების მიზნით წარუდგინოს იგი საჯარო რეესტრის სამსახურს, ანდა მესაკუთრისათვის ნაწილობრივი იპოთეკის სერტიფიკატის გაცემის მიზნით, – კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს ან კომპეტენტურ ნოტარიუსს.
(2) პირველი ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა მოქმედებს პროცენტებისა და სხვა დამატებითი გადახდების მიმართ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი შესრულების ვადა დადგება უფრო გვიან, ვიდრე კალენდარული კვარტლის განმავლობაში, რომლის დროსაც ან მომდევნო კალენდარული კვარტლის განმავლობაში კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილდება. ეს ნორმა არ გამოიყენება იმ ხარჯების მიმართ, რომლებიც, § 1118-ის თანახმად, ანაზღაურდება მიწის ნაკვეთის ღირებულებიდან.

§ 1146. ვადის გადაცილების პროცენტები
თუ მესაკუთრის მიმართ სახეზეა პირობები, რომელთა მიხედვითაც მიიჩნევა, რომ მოვალემ გადააცილა ვალდებულების შესრულების ვადას, მაშინ კრედიტორს მიწის ნაკვეთის ღირებულებიდან მიეცემა ვადის გადაცილების პროცენტები.

§ 1147. დაკმაყოფილება იძულებითი აღსრულების გზით
მიწის ნაკვეთის ღირებულებიდან და იმ საგნებიდან, რომლებზეც ვრცელდება იპოთეკა, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება იძულებითი აღსრულების გზით.

§ 1148. საკუთრების უფლების ფიქცია
იპოთეკიდან გამომდინარე უფლების განხორციელებისას კრედიტორის სასარგებლოდ მესაკუთრედ ითვლება ის პირი, რომელიც ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. არარეგისტრირებული მესაკუთრის მიერ იპოთეკის წინააღმდეგ კუთვნილი შესაგებლის წარდგენის უფლება უცვლელი რჩება.

§ 1149. მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ დაუშვებელი შეთანხმებები
მანამდე, სანამ მესაკუთრის მიმართ მოთხოვნის შესრულების ვადა არ დამდგარა, მას არ შეუძლია კრედიტორს მიანიჭოს უფლება, მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მოითხოვოს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემა, ან მოახდინოს მიწის ნაკვეთის სხვაგვარად გასხვისება, ვიდრე იძულებითი აღსრულების გზისა.

§ 1150. მესამე პირის მიერ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება
თუ კრედიტორი ითხოვს მიწის ნაკვეთის ღირებულებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 268, 1144, 1145-ის ნორმები.

§ 1151. რიგითობის შეცვლა ნაწილობრივი იპოთეკის შემთხვევაში
თუ მოთხოვნა იყოფა, მაშინ ერთმანეთს შორის ნაწილობრივი იპოთეკის რიგითობის შეცვლისათვის მესაკუთრის თანხმობა აუცილებელი არ არის.

§ 1152. ნაწილობრივი იპოთეკის სერტიფიკატი
მოთხოვნის გაყოფის შემთხვევაში თითოეული ნაწილისათვის გაიცემა ნაწილობრივი იპოთეკის სერტიფიკატი, თუ იპოთეკის სერტიფიკატის გაცემა გამორიცხული არ არის; მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა აუცილებელი არ არის. ნაწილობრივი იპოთეკის სერტიფიკატი იკავებს თავდაპირველი სერტიფიკატის ადგილს მოთხოვნის იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც იგი ეხება.

§ 1153. იპოთეკისა და მოთხოვნის გადაცემა
(1) მოთხოვნის გადაცემით იპოთეკა გადადის ახალ კრედიტორზე.
(2) მოთხოვნა არ შეიძლება გადაცემულ იქნეს იპოთეკის გარეშე, ხოლო იპოთეკა არ შეიძლება გადაცემულ იქნეს მოთხოვნის გარეშე.

§ 1154. მოთხოვნის დათმობა
(1) მოთხოვნის დათმობისათვის საჭიროა მოთხოვნის დათმობის შესახებ წერილობითი განცხადება და იპოთეკის სერტიფიკატის გადაცემა; გამოიყენება § 1117-ის ნორმა. თავდაპირველმა კრედიტორმა ახალი კრედიტორის მოთხოვნით საკუთარი

ხარჯით უნდა უზრუნველყოს მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადების ოფიციალურად დამოწმება.
(2) მოთხოვნის დათმობის შესახებ წერილობითი ფორმა შეიძლება შეიცვალოს საჯარო რეესტრში მოთხოვნის დათმობის რეგისტრაციით.
(3) თუ იპოთეკის სერტიფიკატის გაცემა გამორიცხულია, მაშინ მოთხოვნის დათმობის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 873, 878-ის ნორმები.

§ 1155. ოფიციალურად დამოწმებული მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადებისადმი საჯარო ნდობა
თუ იპოთეკის სერტიფიკატის მფლობელის, როგორც კრედიტორის, უფლებები გამომდინარეობს ოფიციალურად დამოწმებული მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადებების რიგიდან, რომელიც უკან მიჰყვება რეგისტრირებული კრედიტორის რიგს, მაშინ §§ 891-899-ის ნორმები გამოიყენება მსგავსად იმისა, თითქოს სერტიფიკატის მფლობელი კრედიტორის სახით ყოფილიყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ოფიციალურად დამოწმებული მოთხოვნის დათმობის შესახებ განცხადებას უთანაბრდება სასამართლოს გადაწყვეტილება მოთხოვნის დათმობის შესახებ და კანონის ძალით განხორციელებული ოფიციალურად დამოწმებული მოთხოვნის გადაცემის აღიარება.

§ 1156. სამართლებრივი ურთიერთობა მესაკუთრესა და ახალ კრედიტორს შორის
მოთხოვნის დათმობის მიმართ მოქმედი §§ 406-408-ის ნორმები არ გამოიყენება იპოთეკასთან დაკავშირებით მესაკუთრესა და ახალ კრედიტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ. თუმცა, მესაკუთრის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ თავდაპირველი კრედიტორის მიმართ გაკეთებული განცხადება მოქმედებს ახალი კრედიტორის მიმართაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მესაკუთრემ იცის მოთხოვნის გადაცემის შესახებ, ან ეს უკანასკნელი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.

§ 1157. იპოთეკის წინააღმდეგ შესაგებლის შენარჩუნება
შესაგებელი, რომელიც მესაკუთრეს იპოთეკის მიმართ ეკუთვნის მასა და თავდაპირველ კრედიტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე ახალი კრედიტორის მიმართაც. §§ 892, 894-899, 1140 მოქმედებს, აგრეთვე, აღნიშნული შესაგებლის მიმართ.

§ 1158. სამომავლო დამატებითი გადახდები
რამდენადაც მოთხოვნა ეხება პროცენტებსა და სხვა დამატებით გადახდებს, რომელთა ვადაც დგება არა უგვიანეს იმ კალენდარული კვარტლისა, რომლის განმავლობაშიც მესაკუთრემ შეიტყო მოთხოვნის გადაცემის შესახებ, ან რომელთა ვადაც დგება შემდეგი კვარტლის განმავლობაში, მესაკუთრესა და ახალ კრედიტორს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ გამოიყენება §§ 406-408-ის ნორმები; კრედიტორს არ შეუძლია მიუთითოს § 892-ის ნორმებზე იმ შესაგებლების მიმართ, რომლებიც ეკუთვნის მესაკუთრეს, §§ 404, 406-408, 1157-ის თანახმად.

§ 1159. შეუსრულებელი დამატებითი გადახდები
(1) რამდენადაც მოთხოვნა ეხება შეუსრულებელ პროცენტებსა და სხვა დამატებით გადახდებს, მოთხოვნის გადაცემის წესი, ასევე მესაკუთრესა და ახალ კრედიტორს

შორის სამართლებრივი ურთიერთობა, განისაზღვრება მოთხოვნის გადაცემის მიმართ მოქმედი ზოგადი ნორმებით. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მიმართ, რომლებიც, § 1118-ის თანახმად, უზრუნველყოფილია მიწის ნაკვეთით.
(2) პირველ ნაწილში მითითებული მოთხოვნის უფლებების მიმართ § 892-ის ნორმა არ გამოიყენება.

§ 1160. საბარათე იპოთეკის რეალიზაცია
(1) რამდენადაც იპოთეკის სერტიფიკატის გაცემა გამორიცხული არ არის, იპოთეკის რეალიზაციის მიმართ შეიძლება წარდგენილ იქნეს პროტესტი, თუ კრედიტორი არ წარადგენს სერტიფიკატს; თუ კრედიტორი საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს § 1155-ში მითითებული დოკუმენტები.
(2) მესაკუთრის მიმართ ხელშეკრულების შეწყვეტა ან გაფრთხილება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ კრედიტორი არ წარადგენს, პირველი ნაწილის თანახმად, სავალდებულო დოკუმენტებს და მესაკუთრე ამ საფუძვლით დაუყოვნებლივ განაცხადებს უარს შეწყვეტაზე ან გაფრთხილებაზე.
(3) აღნიშნული ნორმები არ მოქმედებს § 1159-ში მითითებულ მოთხოვნის უფლებებზე.

§ 1161. მოთხოვნის რეალიზაცია
თუ მესაკუთრე არის პირადი მოვალე, მაშინ გამოიყენება ასევე § 1160-ის ნორმა მოთხოვნის რეალიზაციის შესახებ.

§ 1162. გამოწვევითი წარმოება იპოთეკის სერტიფიკატის მიმართ
თუ იპოთეკის სერტიფიკატი დაიკარგა ან განადგურდა, მაშინ იგი შეიძლება გამოცხადდეს ძალადაკარგულად, გამოწვევითი წარმოების წესების მიხედვით.

§ 1163. მესაკუთრის იპოთეკა
(1) თუ მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც დადგენილია იპოთეკა, არ წარმოიშობა, მაშინ იპოთეკა ეკუთვნის მესაკუთრეს. თუ მოთხოვნა წყდება, მაშინ მესაკუთრე იძენს იპოთეკას.
(2) იპოთეკა, რომლისთვისაც იპოთეკის სერტიფიკატის გაცემა გამორიცხული არ არის, კრედიტორისათვის სერტიფიკატის გადაცემამდე ეკუთვნის მესაკუთრეს.

§ 1164. იპოთეკის გადასვლა მოვალეზე
(1) თუ პირადი მოვალე აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას, მაშინ იპოთეკა მასზე გადადის იმ ოდენობით, რომელშიც მას მესაკუთრისაგან ან მესაკუთრის წინამორბედისაგან ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია. თუ მოვალეს უნდა მიეცეს ანაზღაურება მხოლოდ ნაწილობრივ, მაშინ მესაკუთრეს არ შეუძლია მოვალის იპოთეკის საზიანოდ განახორციელოს იპოთეკა მასზე გადასულ ნაწილში.
(2) კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას უთანაბრდება მოთხოვნისა და ვალის ერთ პირში გაერთიანება.

§ 1165. მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლება
თუ კრედიტორი უარს ამბობს იპოთეკაზე, ან აუქმებს მას, § 1183-ის თანახმად, ანდა უპირატესობას ანიჭებს სხვა უფლებას, მაშინ პირადი მოვალე თავისუფლდება ვალ-

დებულებისაგან იმ ოდენობით, რომელშიც მას აღნიშნული განკარგვის არარსებობისას, § 1164 მიხედვით, იპოთეკიდან ანაზღაურების მიღება შეეძლო.

§ 1166. მოვალის შეტყობინება

თუ პირადი მოვალე უფლებამოსილია მესაკუთრისაგან ანაზღაურების მოთხოვნაზე მის მიერ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, და თუ კრედიტორი მიწის ნაკვეთზე ახორციელებს იძულებით აღსრულებას ისე, რომ ამის თაობაზე დაუყოვნებლივ არ ატყობინებს პირად მოვალეს, ამ უკანასკნელს შეუძლია, უარი თქვას კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იძულებით აღსრულებისას განცდილი დანაკლისისათვის იმ ოდენობით, რომლითაც მას ადგება ზიანი შეტყობინების წარუდგენლობის შედეგად. შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ იგი მიზანშეუწონელია.

§ 1167. შესწორების დოკუმენტების გადაცემა

თუ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირადი მოვალე იძენს იპოთეკას, ან მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში აქვს საჯარო რეესტრის შესწორების სხვა მართლზომიერი ინტერესი, მაშინ მას ეკუთვნის §§ 1144, 1145-ით გათვალისწინებული უფლებები.

§ 1168. იპოთეკაზე უარი

(1) თუ კრედიტორი უარს ამბობს იპოთეკაზე, მაშინ ამ უკანასკნელს იძენს მესაკუთრე.

(2) უარი განცხადებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სამსახურის ან მესაკუთრის წინაშე და ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. შესაბამისად, გამოიყენება § 875-ის მე-2 ნაწილისა და §§ 876, 878-ის ნორმები.

(3) თუ კრედიტორი უარს ამბობს ნაწილობრივი მოთხოვნისათვის დადგენილ იპოთეკაზე, მაშინ მესაკუთრეს ეკუთვნის § 1145-ით გათვალისწინებული უფლებები.

§ 1169. უფლების გამაქარწყლებელი შესაგებელი

თუ მესაკუთრეს ეკუთვნის ისეთი შესაგებელი, რომლითაც იპოთეკის რეალიზაცია ხანგრძლივი ვადით გამოირიცხება, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს, რომ კრედიტორმა უარი თქვას იპოთეკაზე.

§ 1170. უცნობი კრედიტორების ამორიცხვა

(1) თუ კრედიტორი უცნობია და საჯარო რეესტრში იპოთეკასთან დაკავშირებული უკანასკნელი რეგისტრაციის შემდეგ გავიდა ათი წელი, კრედიტორის უფლება კი აღნიშნული ვადის განმავლობაში მესაკუთრის მიერ სათანადო ფორმით არ იქნა აღიარებული ხანდაზმულობის ვადის განახლებისათვის § 212-ის პირველი ნაწილის №1-ის თანახმად დადგენილი წესით, მაშინ იგი თავისი უფლებით შეიძლება ამოირიცხოს გამოწვევითი წარმოების წესების მიხედვით. თუ მოთხოვნის გადახდის მომენტი განისაზღვრება კალენდარული თარიღით, მაშინ ვადა არ იწყება გადახდის დღის დაწყებამდე.

(2) კრედიტორის ამორიცხვის შესახებ სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლასთან ერთად მესაკუთრე იძენს იპოთეკას. კრედიტორზე გაცემული იპოთეკის სერტიფიკატი ძალას კარგავს.

§ 1171. ამორიცხვა დეპონირებით

(1) უცნობი კრედიტორი თავისი უფლებით შეიძლება ამოირიცხოს გამოწვევითი წარმოების წესების მიხედვით ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მესაკუთრე უფლებამოსილია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან ხელშეკრულების შეწყვეტაზე და იგი მოთხოვნის თანხას კრედიტორის სასარგებლოდ ათავსებს დეპოზიტზე, ამ უკანასკნელის გამოთხოვის უფლებაზე უარის პირობით. პროცენტების დეპოზიტზე შეტანა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთი რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში; პროცენტები იმ პერიოდისათვის, რომელიც წინ უსწრებს ამორიცხვის შესახებ სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლას ოთხ კალენდარულ წელზე მეტი ვადით, არ ექვემდებარება დეპონირებას.

(2) ამორიცხვის შესახებ სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლით კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ, დეპონირების ნორმების თანახმად, მოთხოვნის დაკმაყოფილება უფრო ადრე არ მოხდა. კრედიტორზე გაცემული იპოთეკის სერტიფიკატი ძალას კარგავს.

(3) დეპონირებულ თანხაზე კრედიტორის უფლება უქმდება ამორიცხვის შესახებ სასამართლოს განჩინების ძალაში შესვლიდან 30 წლის ვადის გასვლით, თუ კრედიტორი მანამდე არ ატყობინებს უფლების შესახებ შემნახველ დაწესებულებას; მიმბარებელი უფლებამოსილია დეპოზიტის გამოთხოვაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მან გამოთხოვის უფლებაზე უარი განაცხადა.

§ 1172. მესაკუთრის საერთო იპოთეკა

(1) § 1163-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში მესაკუთრის საერთო იპოთეკა დატვირთული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს ერთობლივად ეკუთვნით.

(2) თუ სხვა რაიმე არ არის შეთანხმებული, ნებისმიერ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მის მიწის ნაკვეთზე არსებული იპოთეკა, § 1132-ის მე-2 ნაწილის თანახმად, შეიზღუდოს თანხის იმ ნაწილით, რომელიც შეესაბამება მისი მიწის ნაკვეთის ღირებულების შეფარდებას ყველა მიწის ნაკვეთის ღირებულებასთან და რომ იპოთეკა მას გამოეყოს აღნიშნული შეზღუდვით. ღირებულება გამოითვლება უფლებრივი დატვირთვების გამოკლებით, რომლებსაც ენიჭება უპირატესობა საერთო იპოთეკასთან შედარებით.

§ 1173. მოთხოვნის დაკმაყოფილება ერთ-ერთი მესაკუთრის მიერ

(1) თუ საერთო იპოთეკით დატვირთული ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას, მაშინ ის იძენს იპოთეკას თავის მიწის ნაკვეთზე; იპოთეკა დანარჩენ მიწის ნაკვეთებზე უქმდება. მესაკუთრის მიერ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას უთანაბრდება შემთხვევები, როდესაც კრედიტორის უფლება გადაეცემა მესაკუთრეს, ან როდესაც მოთხოვნა და ვალი მესაკუთრის ხელში აღმოჩნდება.

(2) თუ მესაკუთრეს, რომელიც აკმაყოფილებს კრედიტორის მოთხოვნას, შეუძლია ერთ-ერთი სხვა მიწის ნაკვეთის მესაკუთრისაგან ან ამ მესაკუთრის წინამორბედისაგან ანაზღაურების მოთხოვნა, მაშინ იპოთეკა ამ მიწის ნაკვეთზე ასევე მასზე გადადის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ოდენობით; ეს იპოთეკა თავის მიწის ნაკვეთზე არსებულ იპოთეკასთან ერთად რჩება საერთო იპოთეკის სახით.

§ 1174. მოთხოვნის დაკმაყოფილება პირადი მოვალის მიერ
(1) თუ პირადი მოვალე აკმაყოფილებს იმ კრედიტორის მოთხოვნას, რომელსაც ეკუთვნის საერთო იპოთეკა, ან თუ საერთო იპოთეკის შემთხვევაში მოთხოვნა და ვალი აღმოჩნდება ერთი პირის ხელში, და თუ მოვალეს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება მხოლოდ ერთ-ერთი მიწის ნაკვეთის მესაკუთრისაგან ან ამ მესაკუთრის წინამორბედისაგან, მაშინ მასზე გადადის ამ მიწის ნაკვეთზე არსებული იპოთეკა; იპოთეკა დანარჩენ მიწის ნაკვეთებზე უქმდება.
(2) თუ მოვალეს უნდა მიეცეს ანაზღაურება მხოლოდ ნაწილობრივ, რის გამოც იპოთეკა მასზე მხოლოდ ნაწილობრივ გადადის, მაშინ მესაკუთრემ უნდა დაუშვას ამ ნაწილის მისთვის, § 1172-ის თანახმად, საერთო იპოთეკიდან კუთვნილი დარჩენილი ნაწილის ანგარიშში ჩათვლა.

§ 1175. უარი საერთო იპოთეკაზე
(1) თუ კრედიტორი უარს ამბობს საერთო იპოთეკაზე, მაშინ ეს უკანასკნელი დატვირთული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს ერთობლივად ეკუთვნის; გამოიყენება § 1172 მე-2 ნაწილის ნორმები. თუ კრედიტორი უარს ამბობს ერთ-ერთ მიწის ნაკვეთზე არსებულ იპოთეკაზე, მაშინ მასზე არსებული იპოთეკა უქმდება.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს კრედიტორის უფლების ამორიცხვის შემთხვევაში, § 1170-ის თანახმად.

§ 1176. ნაწილობრივი მესაკუთრის იპოთეკა; კოლიზიური დათქმა
თუ §§ 1163, 1164, 1168, 1172-1175-ის წინაპირობები სახეზეა მხოლოდ იპოთეკის ნაწილის მიმართ, მაშინ ამ ნორმების საფუძველზე მესაკუთრეზე ან ერთ-ერთ მესაკუთრეზე, ანდა პირად მოვალეზე გადასული იპოთეკა არ შეიძლება განხორციელდეს კრედიტორის მიერ შენარჩუნებული იპოთეკის საზიანოდ.

§ 1177. მესაკუთრის მიწის ვალი, მესაკუთრის იპოთეკა
(1) თუ იპოთეკა საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება ისე, რომ მესაკუთრეს არ ეკუთვნის ამავე დროს მოთხოვნაც, მაშინ იპოთეკა გადაიქცევა მიწის ვალად. პროცენტების დარიცხვასთან, საპროცენტო განაკვეთთან, გადახდის ვადასთან, ხელშეკრულების შეწყვეტასა და გადახდის ადგილთან დაკავშირებით განმსაზღვრელია მოთხოვნის მიმართ მიღებული დებულებები.
(2) თუ მესაკუთრეს ეკუთვნის ასევე მოთხოვნაც, მაშინ მანამდე, სანამ იპოთეკა და საკუთრების უფლება გაერთიანებულია, იპოთეკიდან გამომდინარე მესაკუთრის უფლებები განისაზღვრება მესაკუთრის მიწის ვალის მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად.

§ 1178. დამატებითი გადახდებისა და ხარჯების უზრუნველსაყოფად დადგენილი იპოთეკა
(1) პროცენტების დავალიანებისა და სხვა დამატებითი გადახდების, ისევე როგორც კრედიტორისათვის ასანაზღაურებელი ხარჯების უზრუნველსაყოფად დადგენილი იპოთეკა უქმდება, თუ იგი საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება. იპოთეკა არ უქმდება მანამდე, სანამ მესამე პირს ასეთ შესრულებაზე ეკუთვნის მოთხოვნის უფლება.
(2) პირველ ნაწილში მითითებული გადახდების უზრუნველსაყოფად დადგენილ იპოთეკაზე უარისათვის საკმარისია მესაკუთრის მიმართ კრედიტორის განცხადება. მა-

ნამდე, სანამ მესამე პირს ასეთ შესრულებაზე ეკუთვნის მოთხოვნის უფლება, საჭიროა მესამე პირის თანხმობა. თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს იმ პირის წინაშე, რომლის სასარგებლოდაც იგი კეთდება; მისი გამოთხოვა დაუშვებელია.

§ 1179. იპოთეკის გაუქმების შესახებ წინასწარი ჩანაწერი

თუ მესაკუთრე სხვა პირის წინაშე კისრულობს ვალდებულებას, გააუქმოს იპოთეკა, და ეს უკანასკნელი საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება, მაშინ იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად საჯარო რეესტრში შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს წინასწარი ჩანაწერი, თუ იმ პირს, ვის სასარგებლოდაც უნდა განხორციელდეს რეგისტრაცია:

1. მიწის ნაკვეთზე არსებულ იპოთეკაზე, მიწის ვალსა თუ სარენტო ვალთან შედარებით აქვს თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლება, ან
2. აქვს სხვა ასეთი უფლების მინიჭების, ან მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლება; მოთხოვნის უფლება შეიძლება ასევე იყოს სამომავლო ან პირობითი.

§ 1179ა. იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება მესამე პირთა უფლებების შემთხვევაში

(1) იპოთეკურ კრედიტორს შეუძლია, მესაკუთრეს მოსთხოვოს, რომ ამ უკანასკნელმა გააუქმოს უპირატესი ან თანაბარი რიგის მქონე იპოთეკა, თუ ეს იპოთეკა კრედიტორის იპოთეკის რეგისტრაციის მომენტისათვის საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდა, ან საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში შემდგომში აღმოჩნდება. თუ პირველი წინადადების თანახმად, უპირატესი რიგის მქონე იპოთეკის რეგისტრაციის შემდეგ საკუთრების უფლება სამართალმემკვიდრეობის შედეგად სხვა პირზე გადავიდა, თითოეული მესაკუთრე ვალდებულია, გააუქმოს იპოთეკა მისი საკუთრების უფლების ვადაში არსებულ საკუთრების უფლებასთან ერთად, იპოთეკის ერთი პირის ხელში აღმოჩენის გამო. იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლების უზრუნველყოფა ხდება ისე, თითქოს წინასწარი ჩანაწერი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად უპირატესი რიგის მქონე იპოთეკასთან ერთად.

(2) იმ იპოთეკის გაუქმება, რომელიც, § 1163-ის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება, შეიძლება, პირველი ნაწილის თანახმად, მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადია, რომ უზრუნველსაყოფი მოთხოვნა აღარ წარმოიშობა; თუმცა, იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება არსებობს ასევე ამ მომენტიდან ადრე არსებული იპოთეკის საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩენის გამო. § 1163-ის მე-2 ნაწილის თანახმად, საკუთრების უფლებასთან ერთად იპოთეკის ერთი პირის ხელში აღმოჩენით პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა.

(3) თუ უპირატესი რიგის მქონე იპოთეკის შემთხვევაში სახეზეა § 1163-ის მე-2 ნაწილის წინაპირობები ისე, რომ მესაკუთრის ან მისი სამართალმემკვიდრის სასარგებლოდ უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის, მაშინ იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს რეგისტრირებულ კრედიტორს ან მის სამართალმემკვიდრეს.

(4) თუ იპოთეკა ინაცვლებს უკანა რიგში, მაშინ უპირატესი ან თანაბარი რიგის მქონე იპოთეკის რიგითობის ცვლილების შედეგად მისი გაუქმების მიმართ, შესა-

ბამისად, გამოიყენება პირველი-მე-3 ნაწილები იმ პირობით, რომ რიგითობის დამთმობი უფლების რეგისტრაციის მომენტის ადგილს იკავებს რიგითობის ცვლილების დროის მომენტი.
(5) იმ იპოთეკის შინაარსში, რომლის კრედიტორს, ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად, აქვს იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება, შეიძლება ჩაიდოს ამ მოთხოვნის უფლების გამორიცხვა; გამორიცხვა შეიძლება შეიზღუდოს საკუთრების უფლებასთან ერთად იპოთეკის ერთი პირის ხელში აღმოჩენის კონკრეტული შემთხვევით. გამორიცხვის შესახებ უნდა აღინიშნოს საჯარო რეესტრში იმ იპოთეკების ჩამოთვლით, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ექცევა იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლების მოქმედების ქვეშ; თუ გამორიცხვა არ არის შეზღუდული საკუთრების უფლებასთან ერთად იპოთეკის ერთი პირის ხელში აღმოჩენის ყველა შემთხვევით, მაშინ ამ შემთხვევების უფრო დეტალური აღწერისთვის შეიძლება გაკეთდეს მითითება რეგისტრაციის განხორციელების თანხმობაზე. თუ გამორიცხვა უქმდება, მაშინ იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა საკუთრების უფლებასთან ერთად იპოთეკის ერთი პირის ხელში აღმოჩენის ისეთ შემთხვევებში, რომლებიც მხოლოდ გაუქმებამდე იყო.

§ 1179ბ. იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება საკუთარი უფლების შემთხვევაში
(1) პირს, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც იპოთეკური კრედიტორი ან, § 1155-ის თანახმად, იდენტიფიცირებულია როგორც კრედიტორი, შეუძლია, მესაკუთრისაგან მოითხოვოს ამ იპოთეკის გაუქმება, თუ ეს უკანასკნელი მისი რეგისტრაციის მომენტში საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდა, ან საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში შემდგომში აღმოჩნდება.
(2) შესაბამისად, გამოიყენება § 1179ა პირველი ნაწილის მე-2 წინადადება და მე-3 წინადადებები, მე-2 ნაწილი, მე-5 ნაწილი.

§ 1180. მოთხოვნის შეცვლა
(1) მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს იპოთეკა, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით. ცვლილებისათვის საჭიროა კრედიტორისა და მესაკუთრის შეთანხმება, ასევე საჯარო რეესტრში რეგისტრაცია; შესაბამისად, გამოიყენება § 873-ის მე-2 ნაწილისა და §§ 876, 878-ის ნორმები.
(2) თუ მოთხოვნა, რომელმაც უნდა დაიკავოს თავდაპირველი მოთხოვნის ადგილი, თავდაპირველ იპოთეკურ კრედიტორს არ ეკუთვნის, მაშინ საჭიროა ამ უკანასკნელის თანხმობა; თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სამსახურის ან იმ პირის წინაშე, ვის სასარგებლოდაც იგი ხორციელდება. შესაბამისად, გამოიყენება § 875-ის მე-2 ნაწილისა და § 876-ის ნორმები.

§ 1181. იპოთეკის გაუქმება მიწის ნაკვეთზე გადახდევინების მიქცევის შედეგად
(1) მიწის ნაკვეთიდან კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში იპოთეკა უქმდება.
(2) თუ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხდება საერთო იპოთეკით დატვირთული ერთ-ერთი მიწის ნაკვეთიდან, მაშინ თავისუფლდება, აგრეთვე, დანარჩენი მიწის ნაკვეთებიც.
(3) მიწის ნაკვეთიდან კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას უთანაბრდება დაკმაყოფილება სხვა საგნებიდან, რომლებზეც ვრცელდება იპოთეკა.

§ 1182. იპოთეკის გადასვლა საერთო იპოთეკიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში

რამდენადაც საერთო იპოთეკის შემთხვევაში იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომლიდანაც განხორციელდება კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, შეუძლია, სხვა მიწის ნაკვეთების მესაკუთრისაგან ან მისი წინამორბედისაგან მოითხოვოს ანაზღაურება, მასზე გადადის ამ მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე არსებული იპოთეკა. თუმცა, თუ კრედიტორის მოთხოვნა დაკმაყოფილდება მხოლოდ ნაწილობრივ, მაშინ იპოთეკა არ შეიძლება რეალიზებულ იქნეს კრედიტორის მიერ შენარჩუნებული იპოთეკის, ხოლო თუ მიწის ნაკვეთი დატვირთულია თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლებით, – ამ უფლების საზიანოდ.

§ 1183. იპოთეკის გაუქმება

გარიგებით იპოთეკის გაუქმებისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის სამსახურის წინაშე; მისი გამოთხოვა დაუშვებელია.

§ 1184. საგარანტიო იპოთეკა

(1) იპოთეკა შეიძლება დადგენილ იქნეს იმგვარად, რომ იპოთეკიდან გამომდინარე კრედიტორის უფლება განისაზღვრება მხოლოდ მოთხოვნის მიხედვით და კრედიტორს არ შეუძლია მოთხოვნის არსებობის დასტურად მიუთითოს რეგისტრაციაზე (საგარანტიო იპოთეკა).

(2) იპოთეკა საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს როგორც საგარანტიო იპოთეკა.

§ 1185. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკა; ნორმები, რომლებიც არ გამოიყენება

(1) საგარანტიო იპოთეკის შემთხვევაში იპოთეკის სერტიფიკატის გადაცემა გამორიცხულია.

(2) §§ 1138-ის, 1139-ის, 1141-ის, 1156-ის ნორმები არ გამოიყენება.

§ 1186. დასაშვები ცვლილებები

საგარანტიო იპოთეკა შეიძლება შეიცვალოს ჩვეულებრივი იპოთეკით, ჩვეულებრივი იპოთეკა კი საგარანტიო იპოთეკით. თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლებამოსილი პირების თანხმობა სავალდებულო არ არის.

§ 1187. საგარანტიო იპოთეკა საწარმდგენლო და საორდერო ფასიანი ქაღალდებისათვის

საწარმდგენლო სავალო დოკუმენტიდან, თამასუქიდან ან სხვა იმ ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, რომელიც გადაეცემა ინდოსამენტის მეშვეობით, შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ საგარანტიო იპოთეკა. § 1154-ის მე-3 ნაწილის ნორმა არ გამოიყენება. §§ 1179ა-ს, 1179ბ-ს თანახმად, იპოთეკის გაუქმების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა.

§ 1188. საწარმდგენლო სავალო დოკუმენტის შესახებ სპეციალური ნორმა

(1) საწარმდგენლო სავალო დოკუმენტიდან მოთხოვნის უზრუნველსაყოფად იპოთეკის დადგენისათვის საკმარისია საჯარო რეესტრის სამსახურის წინაშე მესაკუთრის

განცხადება იმის თაობაზე, რომ იგი ადგენს იპოთეკას, და რეგისტრაცია საჯარო რეესტრში; გამოიყენება § 878-ის ნორმა.
(2) § 1170-ის თანახმად, კუთვნილი უფლებით კრედიტორის ამორიცხვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავიდა § 801-ში მითითებული დოკუმენტის წარდგენის ვადა. თუ დოკუმენტი წარდგენილ იქნა ვადაში, ან დოკუმენტიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება განხორციელდა სასამართლო წესით, მაშინ ამორიცხვა დასაშვებია მხოლოდ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

§ 1189. საჯარო რეესტრის წარმომადგენლის დანიშვნა
(1) § 1187-ში გათვალისწინებული სახით იპოთეკის შემთხვევაში, შეიძლება დაინიშნოს შესაბამისი კრედიტორის წარმომადგენელი ნებისმიერი შემდგომი კრედიტორის სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ განსაზღვრული განკარგვების განხორციელებისა და იპოთეკის რეალიზაციისას კრედიტორის წარმომადგენლობის უფლებამოსილებით. წარმომადგენლის დანიშვნისათვის საჭიროა საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.
(2) თუ მესაკუთრე უფლებამოსილია, კრედიტორისაგან მოითხოვოს იმ განკარგვის განხორციელება, რაზეც უფლებამოსილია წარმომადგენელი, მაშინ მას შეუძლია, წარმომადგენლისაგან მოითხოვოს განკარგვის განხორციელება.

§ 1190. ზღვრული თანხის იპოთეკა
(1) იპოთეკა შეიძლება დადგინდეს იმგვარად, რომ განისაზღვროს მხოლოდ ის ზღვრული თანხა, რომლის ოდენობამდეც უნდა მოხდეს გადახდევინების მიქცევა მიწის ნაკვეთიდან, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში მოხდება მოთხოვნაში პირობების დათქმა. ზღვრული თანხა უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში.
(2) თუ მოთხოვნას ერიცხება პროცენტები, მაშინ ისინი ჩაითვლება ზღვრულ თანხაში.
(3) იპოთეკა მიიჩნევა საგარანტიო იპოთეკად იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი არ არის ასეთად დასახელებული საჯარო რეესტრში.
(4) მოთხოვნა შეიძლება გადაცემულ იქნეს მოთხოვნების გადაცემის მიმართ მოქმედი ზოგადი ნორმების მიხედვით. თუ იგი გადაეცემა ამ ნორმების მიხედვით, იპოთეკის გადასვლა გამორიცხულია.

კარი 2. მიწის ვალი, სარენტო ვალი

ქვეკარი 1. მიწის ვალი

§ 1191. მიწის ვალის კანონისმიერი შინაარსი
(1) მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება უფლებრივი დატვირთვა, მიწის ნაკვეთიდან მიეცეს განსაზღვრული ფულადი თანხა (მიწის ვალი).
(2) უფლებრივი დატვირთვა შეიძლება ასევე განხორციელდეს იმგვარად, რომ მიწის ნაკვეთიდან გადახდილ იქნეს ფულადი თანხის პროცენტები, ასევე განხორციელდეს სხვა დამატებითი შესრულებები.

§ 1192. გამოსაყენებელი ნორმები
(1) მიწის ნაკვეთის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება იპოთეკის შესახებ ნორმები, თუ სხვა რაიმე არ გამომდინარეობს იმ ფაქტის გამო, რომ მოთხოვნა არ არის მიწის ვალის არსებობის წინაპირობა.
(1ა) თუ მიწის ვალი დადგენილ იქნა მოთხოვნის უფლების უზრუნველსაყოფად (საგარანტიო მიწის ვალი), მაშინ ის შესაგებელი, რომელიც მესაკუთრეს ეკუთვნის თავდაპირველ კრედიტორთან დადებული უზრუნველყოფის ხელშეკრულების საფუძველზე, ან, რომელიც გამომდინარეობს უზრუნველყოფის ხელშეკრულებიდან, შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე მიწის ვალის ნებისმიერი შემძენის მიმართ; § 1157-ის მე-2 წინადადება არ გამოიყენება. დანარჩენ შემთხვევებში § 1157 ხელშეუხებელი რჩება.
(2) მიწის ვალის პროცენტების მიმართ მოქმედებს იპოთეკური მოთხოვნის პროცენტების შესახებ ნორმები.

§ 1193. ხელშეკრულების შეწყვეტა
(1) მიწის ვალის ძირითადი თანხის გადახდის ვადა დგება მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წინასწარი შეტყობინების შემდეგ. ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება ეკუთვნის როგორც მესაკუთრეს, ისე კრედიტორს. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს ექვს თვეს.
(2) დასაშვებია განსხვავებული პირობები. თუ მიწის ვალი დადგენილია ფულადი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად, მაშინ პირველი ნაწილისაგან განსხვავებული პირობები დაუშვებელია.

§ 1194. გადახდის ადგილი
თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, ძირითადი თანხის, ისევე როგორც პროცენტებისა და სხვა დამატებითი შესრულებების გადახდა ხდება იმ ადგილზე, სადაც საჯარო რეესტრის სამსახურს აქვს თავისი ადგილსამყოფელი.

§ 1195. საწარმდგენლო მიწის ვალი
მიწის ვალი შეიძლება დადგინდეს იმგვარად, რომ გაიცეს მიწის ვალის სერტიფიკატი წარმომდგენზე. ასეთი სერტიფიკატის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება საწარმდგენლო სავალო დოკუმენტების შესახებ ნორმები.

§ 1196. მესაკუთრის მიწის ვალი
(1) მიწის ვალი შეიძლება ასევე დადგინდეს მესაკუთრის სასარგებლოდაც.
(2) დასადგენად საჭიროა მესაკუთრის განცხადება საჯარო რეესტრის სამსახურის წინაშე იმის თაობაზე, რომ საჯარო რეესტრში განხორციელდეს მიწის ვალის რეგისტრაცია მის ინტერესებში, და რეგისტრაცია; გამოიყენება § 878-ის ნორმა.
(3) §§ 1179ა, 1179ბ-ს თანახმად, მიწის ვალის მოთხოვნის უფლება არსებობს მხოლოდ საკუთრების უფლებასთან ერთად იპოთეკის ერთი პირის ხელში აღმოჩენის ისეთი შემთხვევის გამო, რომელიც დგება იმის შემდეგ, რაც მიწის ვალი გახდა სხვა პირის საკუთრება, რომელიც არ არის მესაკუთრე.

§ 1197. სხვა პირის სასარგებლოდ დადგენილი მიწის ვალის განსხვავებული წესები
(1) თუ მესაკუთრე არის კრედიტორი, მაშინ მას თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით არ შეუძლია იძულებითი აღსრულება.

(2) პროცენტები ეკუთვნის მესაკუთრეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა პირის განცხადების საფუძველზე იძულებითი მართვის მიზნით მოხდა გადახდევინების მიქცევა და მხოლოდ იძულებითი მართვის ვადით.

§ 1198. დასაშვები ცვლილებები
იპოთეკა შეიძლება შეიცვალოს მიწის ვალით, მიწის ვალი – იპოთეკით. თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლებამოსილი პირების თანხმობა სავალდებულო არ არის.

ქვეკარი 2. სარენტო ვალი

§ 1199. სარენტო ვალის კანონისმიერი შინაარსი
(1) მიწის ნაკვეთი შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ ამ უკანასკნელისაგან გადახდილ იქნეს განსაზღვრული თანხები რეგულარულად განმეორებად დროის პერიოდებში (სარენტო ვალი).
(2) სარენტო ვალის დადგენისას უნდა განისაზღვროს თანხა, რომლის გადახდითაც სარენტო ვალი შეიძლება დაიფაროს. დაფარვის თანხა უნდა აღინიშნოს საჯარო რეესტრში.

§ 1200. გამოსაყენებელი ნორმები
(1) ცალკეული გადახდების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება იპოთეკური პროცენტების, ხოლო დაფარვის თანხის მიმართ – ძირითადი თანხის მიმართ მოქმედი ნორმები.
(2) დაფარვის თანხის კრედიტორის მიმართ გადახდას აქვს იგივე სამართლებრივი შედეგი, როგორიც მიწის ვალის ძირითადი თანხის გადახდას.

§ 1201. კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება
(1) კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება აქვს მესაკუთრეს.
(2) კრედიტორს არ შეიძლება მიენიჭოს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მოთხოვნის უფლება. § 1133-ის მე-2 ნაწილის შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია, მოითხოვოს დაფარვის თანხის გადახდა მიწის ნაკვეთიდან.

§ 1202. ხელშეკრულების შეწყვეტა
(1) მესაკუთრეს შეუძლია კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლების განხორციელება მხოლოდ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წინასწარი შეტყობინების შემდეგ. ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს ექვს თვეს, თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი.
(2) ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც მესაკუთრეს შეუძლია 30 წლის შემდეგ ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის ექვსთვიანი ვადის დაცვით.
(3) თუ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინება წარადგინა მესაკუთრემ, მაშინ კრედიტორს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტის ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვოს მიწის ნაკვეთიდან დაფარვის თანხის გადახდა.

§ 1203. დასაშვები ცვლილებები
სარენტო ვალი შეიძლება შეიცვალოს ჩვეულებრივი მიწის ვალით, ჩვეულებრივი მი-

წის ვალი – სარენტო ვალით. თანაბარი ან შემდგომი რიგის მქონე უფლებამოსილი პირების თანხმობა სავალდებულო არ არის.

ნაწილი 8. გირავნობის უფლება მოძრავ ნივთებსა და უფლებებზე

კარი 1. გირავნობის უფლება მოძრავ ნივთებზე

§ 1204. მოძრავ ნივთებზე გირავნობის უფლების კანონისმიერი შინაარსი

(1) მოძრავი ნივთი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად შეიძლება დაიტვირთოს ისე, რომ კრედიტორი იყოს უფლებამოსილი, მოახდინოს მოთხოვნის დაკმაყოფილება ნივთიდან (გირავნობა).

(2) გირავნობა შეიძლება დადგენილ იქნეს ასევე მომავალი ან პირობითი მოთხოვნისათვის.

§ 1205. უფლების დადგენა

(1) მოძრავ ნივთზე გირავნობის დასადგენად საჭიროა, მესაკუთრემ ნივთი გადასცეს კრედიტორს და ორივე მხარე შეთანხმდეს კრედიტორისათვის გირავნობის უფლების მინიჭების თაობაზე. თუ ნივთს ფლობს კრედიტორი, მაშინ საკმარისია გირავნობის დადგენის შესახებ შეთანხმება.

(2) მესაკუთრის არაპირდაპირ მფლობელობაში არსებული ნივთის გადაცემა შეიძლება შეიცვალოს იმით, რომ იგი მოგირავნეს გადასცემს არაპირდაპირ მფლობელობას და დაგირავების შესახებ შეატყობინებს მფლობელს.

§ 1206. გადაცემის შეცვლა თანამფლობელობის მინიჭებით

ნივთის გადაცემის ნაცვლად საკმარისია თანამფლობელობის მინიჭება, თუ კრედიტორები ნივთს ერთობლივად ინახავენ, ან ეს უკანასკნელი შეიძლება უკან მხოლოდ ერთობლივად დაუბრუნდეს მესაკუთრესა და კრედიტორს, თუ ნივთი იმყოფება მესამე პირის მფლობელობაში.

§ 1207. დაგირავება არაუფლებამოსილი პირის მიერ

თუ ნივთი დამგირავებელს არ ეკუთვნის, მაშინ დაგირავების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება საკუთრების უფლების მიმართ მოქმედი §§ 932, 934, 935-ის ნორმები.

§ 1208. უპირატესი რიგის კეთილსინდისიერი შეძენა

თუ ნივთი დატვირთულია მესამე პირის უფლებით, მაშინ გირავნობის უფლებას ენიჭება უპირატესობა ამ უფლებასთან შედარებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოგირავნე გირავნობის უფლების შეძენის მომენტში უფლების მიმართ არ არის კეთილსინდისიერი. შესაბამისად, გამოიყენება § 932-ის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების, § 935-ისა და §936-ის მე-3 ნაწილის ნორმები.

§ 1209. გირავნობის უფლების რიგი

გირავნობის უფლების რიგისათვის განმსაზღვრელია დადგენის მომენტი იმ შემთხვევაშიც კი, თუ გირავნობის უფლება დადგენილია სამომავლო ან პირობითი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად.

§ 1210. გირავნობის საგნის ხარჯზე უზრუნველყოფის მოცულობა
(1) გირავნობის საგანი უზრუნველყოფს მოთხოვნას ამ უკანასკნელის შესაბამისი მდგომარეობით, მათ შორის, აგრეთვე, პროცენტებისა და პირგასამტეხლოსათვის. თუ პირადი მოვალე არ არის გირავნობის საგნის მესაკუთრე, მაშინ იმ გარიგებით, რომელსაც დებს მოვალე დაგირავების შემდეგ, უზრუნველყოფის მოცულობა არ იზრდება.
(2) გირავნობის საგანი უზრუნველყოფს მოგირავნის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო მოგირავნისათვის ასანაზღაურებელი ხარჯებისა და სასამართლოში საქმისწარმოების, ასევე გირავნობის საგნის რეალიზაციის ხარჯების მოთხოვნის უფლებას.

§ 1211. დამგირავებლის შესაგებელი
(1) დამგირავებელს შეუძლია, მოგირავნის მიმართ წამოაყენოს მოთხოვნისადმი პირადი მოვალის კუთვნილი შესაგებელი, ისევე როგორც §770-ის თანახმად, თავდების კუთვნილი შესაგებელი. თუ პირადი მოვალე გარდაიცვლება, მაშინ დამგირავებელს არ შეუძლია მიუთითოს იმაზე, რომ მემკვიდრე ვალისთვის პასუხს აგებს მხოლოდ შეზღუდულად.
(2) თუ დამგირავებელი არ არის პირადი მოვალე, მაშინ იგი არ კარგავს შესაგებელს იმით, რომ პირადი მოვალე მასზე უარს ამბობს.

§ 1212. გირავნობის გავრცელება გამოცალკევებულ ნაყოფზე
გირავნობის უფლება ვრცელდება ნაყოფზე, რომელიც გამოცალკევებულ იქნა გირავნობის საგნიდან.

§ 1213. გირავნობა სარგებლობის უფლებით
(1) გირავნობის უფლება შეიძლება დადგინდეს ისე, რომ მოგირავნე უფლებამოსილი იყოს, მიიღოს სარგებელი გირავნობის საგნიდან.
(2) თუ მოგირავნის ერთპიროვნულ მფლობელობაში გადაეცემა ისეთი ნივთი, რომელიც თავისი ბუნებით იძლევა ნაყოფს, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ მოგირავნე უფლებამოსილია ნაყოფის მიღებაზე.

§ 1214. სარგებლობის უფლების მქონე გირავნობის ვალდებულებები
(1) თუ მოგირავნეს აქვს ნაყოფის მიღების უფლება, მაშინ იგი ვალდებულია, იზრუნოს მის მიღებაზე და წარადგინოს ანგარიში.
(2) სარგებლობის წმინდა მოგება ჩაითვლება ნაკისრი ვალდებულების შესრულების ანგარიშში, ხოლო თუ უნდა დაიფაროს ხარჯები და პროცენტები, – პირველ რიგში ამ უკანასკნელთა ანგარიშში.
(3) განსხვავებული პირობები დასაშვებია.

§ 1215. შენახვის ვალდებულება
მოგირავნე ვალდებულია, შეინახოს გირავნობის საგანი.

§ 1216. ხარჯების ანაზღაურება
თუ მოგირავნე გირავნობის საგანზე სწევს ხარჯებს, მაშინ დამგირავებლის მიერ მათი ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების თანახმად. მოგირავნე უფლებამოსილია, თან წაიღოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან გირავნობის საგანი აღჭურვა.

§ 1217. მოგირავნის მიერ უფლების დარღვევა

(1) თუ მოგირავნე არსებითად არღვევს დამგირავებლის უფლებებს და დამრღვევი მოქმედება გრძელდება, მიუხედავად დამგირავებლის გაფრთხილებისა, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს, რომ გირავნობის საგანი მოგირავნის ხარჯზე გადაეცეს შესანახად, ან თუ იგი არ ექვემდებარება დეპონირებას, – გადაეცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ შემნახველს.

(2) დეპონირების ან ნივთის შემნახველისათვის გადაცემის ნაცვლად დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის დაბრუნება კრედიტორის მოთხოვნის სანაცვლოდ. თუ მოთხოვნას არ ერიცხება პროცენტი და მისი შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაშინ მოგირავნეს მიეცემა მხოლოდ ის თანხა, რომელიც შეესაბამება მოთხოვნის თანხას, გადახდის მომენტიდან შესრულების ვადის დადგომამდე პერიოდისათვის კანონისმიერი პროცენტების დამატებით.

§ 1218. დამგირავებლის უფლებები განადგურების საფრთხის არსებობისას

(1) თუ არსებობს გირავნობის საგნის განადგურების ან მისი ღირებულების არსებითი შემცირების საფრთხე, მაშინ დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის უკან დაბრუნება სხვაგვარი უზრუნველყოფის წარდგენის სანაცვლოდ; უზრუნველყოფის წარდგენა თავდებთა მიერ გამორიცხულია.

(2) მოგირავნემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დამგირავებელს განადგურების საფრთხის შესახებ, თუ შეტყობინება მიზანშეუწონელი არ არის.

§ 1219. მოგირავნის უფლებები განადგურების საფრთხის არსებობისას

(1) თუ გირავნობის საგნის განადგურების ან მისი ღირებულების არსებითი შემცირების რისკის შედეგად საფრთხე ექმნება მოგირავნის მოთხოვნის საიმედოობას, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია გირავნობის საგნის საჯარო აუქციონზე გაყიდვა.

(2) ამონაგები თანხა იკავებს გირავნობის საგნის ადგილს. დამგირავებლის მოთხოვნით ამონაგები თანხა ექვემდებარება დეპოზიტზე შეტანას.

§ 1220. აუქციონის შესახებ გაფრთხილება

(1) გირავნობის საგნის აუქციონზე გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ ამის თაობაზე დამგირავებლის გაფრთხილების შემდეგ; გაფრთხილება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ გირავნობის საგანს ემუქრება განადგურების საფრთხე და აუქციონის გადადება დაკავშირებულია საფრთხესთან. ღირებულების შემცირების შემთხვევაში, გარდა გაფრთხილებისა, აუცილებელია, მოგირავნემ დამგირავებელს სხვაგვარი უზრუნველყოფის წარდგენისათვის დაუნიშნოს სათანადო ვადა და ეს ვადა გავიდეს.

(2) მოგირავნემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დამგირავებელს აუქციონის შესახებ; ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

(3) გაფრთხილება, ვადის დადაგენა და შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ ისინი მიზანშეუწონელია.

§ 1221. გაყიდვა საკუთარი შეხედულებით

თუ გირავნობის საგანს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მაშინ მოგირავნეს შეუძლია გაყიდოს იგი საკუთარი შეხედულებით, მიმდინარე ფასით, ასეთ ნასყიდობებზე ოფიციალურად უფლებამოსილი სავაჭრო მაკლერის ან საჯარო აუქციონის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

§ 1222. გირავნობის უფლება რამდენიმე ნივთზე
თუ გირავნობის უფლება დადგენილია რამდენიმე ნივთზე, მაშინ თითოეული მათგანი უზრუნველყოფს მოთხოვნას მთელი მოცულობით.

§ 1223. უკან დაბრუნების ვალდებულება; მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება
(1) მოგირავნე ვალდებულია, გირავნობის უფლების გაუქმების შემდეგ გირავნობის საგანი დაუბრუნოს დამგირავებელს.
(2) დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის უკან დაბრუნება მოთხოვნის დაკმაყოფილების სანაცვლოდ, როგორც კი მოვალე უფლებამოსილი გახდება ვალდებულების შესრულებაზე.

§ 1224. მოთხოვნის დაკმაყოფილება დეპონირებით ან გაქვითვის გზით
მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილება დამგირავებლის მიერ შეიძლება განხორციელდეს ასევე დეპონირებით ან გაქვითვის გზით.

§ 1225. მოთხოვნის გადასვლა დამგირავებელზე
თუ დამგირავებელი არ არის პირადი მოვალე, მაშინ მოთხოვნა მასზე გადადის იმდენად, რამდენადაც იგი აკმაყოფილებს მოგირავნის მოთხოვნას. შესაბამისად, გამოიყენება თავდების მიმართ მოქმედი § 774-ის ნორმა.

§ 1226. ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების ხანდაზმულობა
გირავნობის საგნის ცვლილებებისა თუ გაუარესებისათვის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები, ასევე ხარჯების ანაზღაურებისა თუ მოწყობილობის თან წაღების ნებართვის მიცემაზე მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ექვსი თვის ვადაში. შესაბამისად, გამოიყენება § 548-ის პირველი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების, მე-2 ნაწილის ნორმები.

§ 1227. გირავნობის უფლების დაცვა
თუ ირღვევა მოგირავნის უფლება, მაშინ მისი მოთხოვნის უფლებების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება საკუთრების უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებების მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 1228. მოთხოვნის დაკმაყოფილება გირავნობის საგნის გაყიდვით
(1) გირავნობის საგნიდან მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილება ხორციელდება გირავნობის საგნის გაყიდვით.
(2) მოგირავნე უფლებამოსილია გაყიდვაზე მოთხოვნის მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების ვადის დადგომისთანავე. თუ ვალდებულების საგანი არ არის ფული, მაშინ გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა გადაყვანილია ფულად მოთხოვნაში.

§ 1229. უფლების დაკარგვის შესახებ შეთანხმების დაუშვებლობა
ბათილია გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების დადგომამდე დადებული შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ან დროულად დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ნივთზე საკუთრების უფლება უნდა გადავიდეს ან გადაეცეს მოგირავნეს.

§ 1230. არჩევა რამდენიმე გირავნობის საგნიდან
თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, რამდენიმე გირავნობის საგნიდან მოგირავნეს შეუძლია აირჩიოს ის საგნები, რომლებიც უნდა გაიყიდოს. მას შეუძლია გაყიდოს მხოლოდ იმ რაოდენობის გირავნობის საგანი, რამდენიც აუცილებელია მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

§ 1231. გირავნობის საგნის გადაცემა სარეალიზაციოდ
თუ გირავნობის საგანი არ იმყოფება მოგირავნის ერთპიროვნულ მფლობელობაში, მაშინ მას შეუძლია გაყიდვის უფლებამოსილების მიღების შემდეგ მოითხოვოს გირავნობის საგნის მისთვის გადაცემა. დამგირავებლის მოთხოვნით ამ გადაცემის ნაცვლად შეიძლება განხორციელდეს ნივთის ერთობლივად არჩეული შემნახველისათვის გადაცემა; შემნახველმა გირავნობის საგნის მისთვის გადაცემისას იგი უნდა მოამზადოს გასაყიდად.

§ 1232. მომდევნო რიგის მქონე მოგირავნეები
მოგირავნე არ არის ვალდებული, გირავნობის საგანი სარეალიზაციოდ გადასცეს მომდევნო რიგის მქონე მოგირავნეს. თუ იგი არ ფლობს გირავნობის საგანს, მაშინ რამდენადაც იგი თავად არ ახორციელებს გირავნობის საგნის გაყიდვას, მას არ შეუძლია, შეეწინააღმდეგოს მომდევნო რიგის მქონე მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის გაყიდვას.

§ 1233. გაყიდვის განხორციელება
(1) გირავნობის საგნის გაყიდვა ხორციელდება §§ 1234-1240-ის ნორმების მიხედვით.
(2) თუ მოგირავნემ კუთვნილ გაყიდვის უფლებაზე მესაკუთრის წინააღმდეგ მიიღო სააღსრულებო ფურცელი, მაშინ მას შეუძლია განახორციელოს გაყიდვა, ასევე, ყადაღადადებული ნივთების რეალიზაციის მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად.

§ 1234. გაყიდვის შესახებ გაფრთხილება; ლოდინის დრო
(1) მოგირავნემ გაყიდვის შესახებ წინასწარ უნდა გააფრთხილოს მესაკუთრე და მიუთითოს ფულადი თანხა, რისთვისაც უნდა განხორციელდეს გაყიდვა. გაფრთხილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების დადგომის შემდეგ; გაფრთხილება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ იგი მიზანშეუწონელია.
(2) გაყიდვა არ შეიძლება განხორციელდეს გაფრთხილებიდან ერთი თვის ვადის გასვლამდე. თუ გაფრთხილება მიზანშეუწონელია, მაშინ თვე იანგარიშება გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების დადგომის მომენტიდან.

§ 1235. საჯარო აუქციონი
(1) გირავნობის საგნის გაყიდვა ხორციელდება საჯარო აუქციონზე.
(2) თუ გირავნობის საგანს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მაშინ გამოიყენება § 1221-ის ნორმა.

§ 1236. აუქციონის ადგილი
აუქციონი უნდა ჩატარდეს გირავნობის საგნის შენახვის ადგილის მიხედვით. თუ შენახვის ადგილზე ჩატარებული აუქციონიდან სათანადო შედეგი მოსალოდნელი არ არის, მაშინ გირავნობის საგანი შეიძლება აუქციონზე გაიყიდოს სხვა სათანადო ადგილზე.

§ 1237. საჯარო შეტყობინება
გირავნობის საგნის ზოგადი აღწერით აუქციონის დროისა და ადგილის შესახებ განცხადებულ უნდა იქნეს საჯაროდ. მესაკუთრესა და იმ მესამე პირებს, რომლებსაც გირავნობის საგანზე აქვთ უფლებები, უნდა შეატყობინონ სპეციალური შეტყობინებით; შეტყობინება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ იგი მიზანშეუწონელია.

§ 1238. გაყიდვის პირობები
(1) გირავნობის საგანი შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ იმ პირობით, რომ მყიდველი დაუყოვნებლივ ნაღდი ანგარიშსწორების წესით გადაიხდის ნასყიდობის თანხას და დაკარგავს თავის უფლებებს, თუ ეს არ მოხდება.
(2) თუ გაყიდვა ხორციელდება ამ პირობის გარეშე, მაშინ ნასყიდობის ფასი ითვლება მოგირავნის მიერ მიღებულად; აუქციონზე შემძენის მიმართ მოგირავნის უფლებები უცვლელი რჩება. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ნასყიდობის ფასის გადახდა დაუყოვნებლივ არ ხდება და აუქციონის დასრულებამდე უფლების დაკარგვის შესახებ პირობა არ იქნება გამოყენებული.

§ 1239. კრედიტორისა და მესაკუთრის მონაწილეობა აუქციონში
(1) მოგირავნესა და მესაკუთრეს შეუძლიათ აუქციონში მონაწილეობის მიღება. თუ აუქციონზე გამარჯვების შედეგად ნივთი გადაეცემა მოგირავნეს, მაშინ ნასყიდობის ფასი ითვლება მის მიერ მიღებულად.
(2) მესაკუთრის მიერ ფასის შეთავაზებას შეიძლება უარი ეთქვას, თუ თანხა არ იქნა შეტანილი ნაღდი ანგარიშსწორების წესით. ანალოგიური წესი მოქმედებს მოვალის მიერ ფასის შეთავაზების მიმართაც, თუ გირავნობის საგანი უზრუნველყოფს სხვა პირის ვალს.

§ 1240. ოქროსა და ვერცხლის ნივთები
(1) ოქროსა და ვერცხლის ნივთები არ შეიძლება გაიყიდოს ოქროს ან ვერცხლის ღირებულებაზე ნაკლებ ფასად.
(2) თუ საკმარისი ფასის შეთავაზება არ მოხდება, მაშინ გაყიდვა შეიძლება განხორციელდეს საჯარო აუქციონის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით, საკუთარი შეხედულებით, არანაკლებად ოქროს ან ვერცხლის ღირებულებისა.

§ 1241. მესაკუთრის შეტყობინება
მოგირავნემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მესაკუთრეს გირავნობის საგნის გაყიდვისა და მისი შედეგის შესახებ, თუ შეტყობინება მიზანშეუწონელი არ არის.

§ 1242. მართლზომიერი გასხვისების სამართლებრივი შედეგები
(1) გირავნობის საგნის მართლზომიერი გასხვისების შედეგად შემძენი იძენს ისეთ უფლებებს, თითქოს მან ნივთი მესაკუთრისაგან შეიძინა. ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნივთი გადაეცემა მოგირავნეს.
(2) ნივთზე გირავნობის უფლებები უქმდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი მესაკუთრისათვის ცნობილი იყო. ანალოგიური წესი მოქმედებს უზუფრუქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი სარგებლობს უპირატესი რიგით ყველა გირავნობის უფლებასთან შედარებით.

§ 1243. არამართლზომიერი გასხვისება
(1) გირავნობის საგნის გასხვისება არ არის მართლზომიერი, თუ ირღვევა § 1228-ის მე-2 ნაწილის, § 1230-ის მე-2 წინადადების, § 1235-ის, 1237-ის პირველი წინადადების ან § 1240-ის ნორმები.
(2) თუ მოგირავნე არღვევს გაყიდვის მიმართ მოქმედ სხვა ნორმას და მას ამაში მიუძღვის ბრალი, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

§ 1244. კეთილსინდისიერი შეძენა
თუ გირავნობის საგანი გასხვისდება ისე, რომ გამსხვისებელს გირავნობის უფლება არ ეკუთვნის, ან არ სრულდება ის მოთხოვნები, რომლებზეც დამოკიდებულია გასხვისების მართლზომიერება, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება §§ 932-934-ის ნორმები, თუ გასხვისება განხორციელდა § 1233-ის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ან დაცულ იქნა § 1235-ის ან 1240-ის მე-2 ნაწილის ნორმათა მოთხოვნები.

§ 1245. განსხვავებული შეთანხმებები
(1) მესაკუთრესა და მოგირავნეს შეუძლიათ შეთანხმდნენ გირავნობის საგნის რეალიზაციის §§ 1234-1240-ის ნორმებისაგან განსხვავებულ წესზე. თუ მესამე პირს გირავნობის საგანზე აქვს უფლება, რომელიც გასხვისების შედეგად უქმდება, მაშინ საჭიროა მესამე პირის თანხმობა. თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს იმ პირის წინაშე, რომლის სასარგებლოდაც იგი ხორციელდება; მისი გამოთხოვა დაუშვებელია.
(2) გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების დადგომამდე § 1235-ის, § 1237-ის პირველი წინადადებისა და § 1240-ის ნორმათა დაცვაზე უარი დაუშვებელია.

§ 1246. წესებიდან გადახვევა სამართლიანობის საფუძვლით
(1) თუ §§ 1235-1240-ის ნორმებით გათვალისწინებული გირავნობის საგნის რეალიზაციის წესებისაგან განსხვავებული წესები სამართლიანი შეფასებით შეესაბამება მონაწილე პირთა ინტერესებს, მაშინ თითოეული მათგანი უფლებამოსილია, მოითხოვოს რეალიზაცია ამ წესების მიხედვით.
(2) თუ შეთანხმება ვერ მიიღწევა, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

§ 1247. გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა
რამდენადაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა გადაეცემა მოგირავნეს მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ამდენად მოთხოვნა ითვლება მესაკუთრის მიერ გადახდილად. დანარჩენ შემთხვევებში ამონაგები თანხა იკავებს გირავნობის საგნის ადგილს.

§ 1248. საკუთრების უფლების პრეზუმფცია
გირავნობის საგნის რეალიზაციის დროს მოგირავნის სასარგებლოდ დამგირავებელი ითვლება მესაკუთრედ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოგირავნემ იცის, რომ დამგირავებელი არ არის მესაკუთრე.

§ 1249. კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება
პირს, რომელიც გირავნობის საგნის რეაზალიციის შედეგად დაკარგავდა მასზე თავის უფლებას, შეუძლია მოგირავნის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ვიდრე მოვალე უფლებამოსილია ვალდებულების შესრულებაზე. შესაბამისად, გამოიყენება § 268-ის მე-2 და მე-3 ნაწილების ნორმები.

§ 1250. მოთხოვნის გადაცემა
(1) მოთხოვნის გადაცემასთან ერთად გირავნობის უფლება გადადის ახალ კრედიტორზე. დაუშვებელია გირავნობის უფლების მოთხოვნის გარეშე გადაცემა.
(2) თუ მოთხოვნის გადაცემისას გირავნობის უფლების გადასვლა გამორიცხულია, მაშინ ეს უკანასკნელი უქმდება.

§ 1251. გირავნობის უფლების გადასვლის სამართლებრივი შედეგები
(1) ახალ მოგირავნეს შეუძლია, თავდაპირველი მოგირავნისაგან მოითხოვოს გირავნობის საგნის გადაცემა.
(2) მფლობელობის მიღებით ახალი მოგირავნე დამგირავებლის მიმართ იკავებს თავდაპირველი მოგირავნის ადგილს გირავნობის საგანთან დაკავშირებულ ვალდებულებებში. თუ იგი არ ასრულებს ვალდებულებებს, მაშინ თავდაპირველი მოგირავნე პასუხს აგებს მის მიერ ასანაზღაურებელ ზიანზე როგორც თავდები, რომელიც უარს ამბობს კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას. თავდაპირველი მოგირავნის პასუხისმგებლობა არ დგება, თუ მოთხოვნა ახალ მოგირავნეზე გადადის კანონის ძალით, ან ეთმობა მას კანონით გათვალისწინებული ვალდებულების საფუძველზე.

§ 1252. გაუქმება მოთხოვნის გაუქმებასთან ერთად
გირავნობის უფლება უქმდება იმ მოთხოვნის გაუქმებასთან ერთად, რომლის უზრუნველსაყოფადაც იგი არსებობს.

§ 1253. გირავნობის უფლების გაუქმება ნივთის უკან დაბრუნებით
(1) გირავნობის უფლება უქმდება, თუ მოგირავნე გირავნობის საგანს უბრუნებს დამგირავებელს ან მესაკუთრეს. დათქმა გირავნობის უფლების გახანგრძლივების შესახებ სამართლებრივი ძალის არმქონეა.
(2) თუ გირავნობის საგანი იმყოფება დამგირავებლის ან მესაკუთრის მფლობელობაში, მაშინ ივარაუდება, რომ გირავნობის საგანი მოგირავნის მიერ უკან იქნა დაბრუნებული. ეს ვარაუდი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ გირავნობის საგანი იმყოფება მესამე პირის მფლობელობაში, რომელმაც მფლობელობა მიიღო დამგირავებლის ან მესაკუთრისაგან გირავნობის უფლების დადგენის შემდეგ.

§ 1254. გირავნობის საგნის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება
თუ გირავნობის უფლების მიმართ წარდგენილია ისეთი შესაგებელი, რომლითაც გირავნობის უფლების რეალიზაცია ხანგრძლივი ვადით გამოირიცხება, მაშინ დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს გირავნობის საგნის უკან დაბრუნება. ანალოგიური უფლება აქვს მესაკუთრეს.

§ 1255. გირავნობის უფლების გაუქმება
(1) გარიგებით გირავნობის უფლების გაუქმებისთვის საკმარისია მოგირავნის განცხადება დამგირავებლის ან მესაკუთრის წინაშე იმის შესახებ, რომ იგი გირავნობის უფლებას აუქმებს.
(2) თუ გირავნობის უფლება დატვირთულია მესამე პირის უფლებით, მაშინ საჭიროა მესამე პირის თანხმობა. თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს იმ პირის წინაშე, ვის სასარგებლოდაც იგი ხორციელდება; მისი გამოთხოვა დაუშვებელია.

§ 1256. გირავნობის უფლებისა და საკუთრების უფლების თანხვედრა
(1) გირავნობის უფლება უქმდება, თუ იგი საკუთრების უფლებასთან ერთად ერთი პირის ხელში აღმოჩნდება. გირავნობის უფლება არ უქმდება, ვიდრე მოთხოვნა, რომლის უზრუნველსაყოფადაც არსებობს გირავნობა, დატვირთულია მესამე პირის უფლებით.
(2) გირავნობის უფლება არ ითვლება გაუქმებულად, თუ მესაკუთრეს აქვს გირავნობის უფლების შენარჩუნების კანონიერი ინტერესი.

§ 1257. კანონისმიერი გირავნობის უფლება
გარიგებით დადგენილი გირავნობის უფლების შესახებ ნორმები, შესაბამისად, გამოიყენება კანონის ძალით წარმოშობილი გირავნობის უფლების მიმართ.

§ 1258. გირავნობის უფლება თანამესაკუთრის წილზე
(1) თუ გირავნობის უფლება არსებობს თანამესაკუთრის წილზე, მაშინ მოგირავნე სარგებლობს იმ უფლებებით, რომლებიც ნივთის მართვასა და გამოყენებასთან დაკავშირებით გამომდინარეობს თანამესაკუთრეთა საზიარო უფლებიდან.
(2) მოგირავნის მიერ გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების დადგომამდე საზიარო უფლების გაუქმება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს თანამესაკუთრისა და მოგირავნის მიერ მხოლოდ ერთობლივად. გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების დადგომის შემდეგ მოგირავნეს შეუძლია საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა თანამესაკუთრის თანხმობის გარეშე; იგი არ არის შებოჭილი იმ შეთანხმებით, რომლითაც თანამესაკუთრეებმა საზიარო უფლების გაუქმება სამუდამოდ ან დროებით გამორიცხეს, ანდა დაადგინეს ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა.
(3) თუ საზიარო უფლება უქმდება, მაშინ მოგირავნეს გადაეცემა გირავნობის უფლება იმ საგნებზე, რომლებიც ცვლის წილს.
(4) მოგირავნის კუთვნილი გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლება უცვლელი რჩება.

§ 1259. სამეწარმეო მიზნებისთვის გამოყენებული გირავნობის საგნის რეალიზაცია
თუ მესაკუთრე და მოგირავნე არიან მეწარმეები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ან საჯარო სამართლის სპეციალური ფონდები, მათ საბირჟო ან საბაზრო ფასის მქონე გირავნობის საგნის რეალიზაციის მხრივ უკვე დაგირავებისას შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ მოგირავნე პირადად ან მესამე პირის მეშვეობით რეალიზაციას განახორციელებს საკუთარი შეხედულებით მიმდინარე ფასით, ან საკუთრების უფლება მოგირავნეზე გადავა მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომისას. ამ შემთხვევაში მოთხოვნა ითვლება მესაკუთრის მიერ გადახდილად შესრულების ვადის დადგომის დღეს მოქმედი საბირჟო ან საბაზრო ფასის ოდენობით. §§ 1229 და 1233-1239 არ გამოიყენება.

§§ 1260-1272. *(გაუქმებულია)*

კარი 2. გირავნობის უფლება უფლებებზე

§ 1273. უფლებებზე გირავნობის უფლების კანონისმიერი შინაარსი
(1) გირავნობის უფლების საგანი შეიძლება იყოს ასევე უფლებაც.
(2) უფლებებზე გირავნობის უფლების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება მოძრავ ნივთებზე დადგენილი გირავნობის უფლების შესახებ ნორმები, თუ §§ 1274-

1296-იდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს. § 1208-ისა და § 1213-ის მე-2 ნაწილის ნორმების გამოყენება გამორიცხულია.

§ 1274. დადგენა
(1) უფლებაზე გირავნობის უფლების დადგენა ხორციელდება უფლების გადაცემის მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად. თუ უფლების გადასაცემად საჭიროა ნივთის გადაცემა, მაშინ გამოიყენება §§ 1205-ის, 1206-ის ნორმები.
(2) თუ უფლება არ ექვემდებარება გადაცემას, მაშინ გირავნობის უფლების დადგენა მასზე დაუშვებელია.

§ 1275. გირავნობის უფლება ვალდებულების შესრულების მიღებაზე
თუ გირავნობის საგანია უფლება, რომლის ძალითაც შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ვალდებულების შესრულება, მაშინ მოგირავნესა და ვალდებულ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება ნორმები, რომლებიც უფლების გადაცემის შემთხვევაში მოქმედებს შემძენსა და ვალდებულ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ, ხოლო § 1217-ის პირველი ნაწილის თანახმად მიღებული სასამართლოს განკარგულების შემთხვევაში, შესაბამისად, გამოიყენება § 1070-ის მე-2 ნაწილის ნორმა.

§ 1276. დაგირავებული უფლების გაუქმება ან შეცვლა
(1) დაგირავებული უფლება შეიძლება გარიგებით გაუქმდეს მხოლოდ მოგირავნის თანხმობით. თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს იმ პირის წინაშე, რომლის სასარგებლოდაც იგი ხორციელდება; მისი გამოთხოვა დაუშვებელია. § 876-ის მე-3 წინადადების ნორმა არ იცვლება.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს უფლების ცვლილების მიმართ, თუ ეს ცვლილება არღვევს გირავნობის უფლებას.

§ 1277. მოთხოვნის დაკმაყოფილება იძულებითი აღსრულებით
თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, მოგირავნეს შეუძლია მოითხოვოს უფლებიდან თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე იძულებითი აღსრულებისათვის მოქმედი ნორმების თანახმად. § 1229-ისა და § 1245-ის მე-2 ნაწილის ნორმები არ იცვლება.

§ 1278. უფლების გაუქმება ნივთის უკან დაბრუნებით
თუ გირავნობის საგანია უფლება, რომლის დასაგირავებლად საჭიროა ნივთის გადაცემა, მაშინ ნივთის უკან დაბრუნებით გირავნობის უფლების გაუქმების მიმართ, შესაბამისად, გამოიყენება § 1253-ის ნორმა.

§ 1279. გირავნობის უფლება მოთხოვნაზე
მოთხოვნაზე გირავნობის უფლების მიმართ მოქმედებს §§ 1280-1290-ის სპეციალური ნორმები. თუ მოთხოვნას აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მაშინ, შესაბამისად, გამოიყენება § 1259.

§ 1280. შეტყობინების გაგზავნა მოვალისათვის
იმ მოთხოვნის დაგირავება, რომლის გადასაცემად საკმარისია მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულება, სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი დაგირავების შესახებ ატყობინებს მოვალეს.

§ 1281. ვალდებულების შესრულება ვადის დადგომამდე
მოვალეს შეუძლია, მოგირავნესა და კრედიტორს მხოლოდ ერთობლივად შეუსრულოს ვალდებულება. თითოეულ მათგანს ვალდებულების შესრულების ნაცვლად შეუძლია მოითხოვოს, რომ ნივთი, რომელიც ვალდებულების საგანია, გადაეცეს შესანახად, ან თუ იგი არ ექვემდებარება დეპონირებას, გადაეცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ შემნახველს.

§ 1282. ვალდებულების შესრულება ვადის დადგომის შემდეგ
(1) თუ დამდგარია § 1228-ის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული წინაპირობები, მაშინ მოგირავნე უფლებამოსილია მოთხოვნის რეალიზაციაზე, ხოლო მოვალეს შეუძლია შესრულება მხოლოდ მის მიმართ. ფულადი მოთხოვნის რეალიზაციის უფლება მოგირავნეს აქვს მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც ეს აუცილებელია მისი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. რამდენადაც მოგირავნე უფლებამოსილია მოთხოვნის რეალიზაციაზე, მას ასევე შეუძლია მოითხოვოს, რომ გადახდის ნაცვლად მას დაეთმოს ფულადი მოთხოვნა.
(2) მოგირავნე არ არის უფლებამოსილი მოთხოვნის სხვაგვარ განკარგვებზე; § 1277-ის თანახმად, მოთხოვნიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება უცვლელი რჩება.

§ 1283. ხელშეკრულების შეწყვეტა
(1) თუ დაგირავებული მოთხოვნის გადახდის ვადის დადგომა დამოკიდებულია ხელშეკრულების შეწყვეტაზე, მაშინ კრედიტორის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა საჭიროებს მოგირავნის თანხმობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი უფლებამოსილია სარგებლის მიღებაზე.
(2) მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის შესახებ განცხადებულ იქნა მოგირავნისა და კრედიტორის წინაშე.
(3) თუ დამდგარია § 1228-ის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული წინაპირობები, ხელშეკრულების შეწყვეტაზე უფლებამოსილია ასევე მოგირავნეც; მოვალის მიერ ხელშეკრულების შესაწყვეტად საკმარისია განცხადება მოგირავნის წინაშე.

§ 1284. განსხვავებული შეთანხმებები
§§ 1281-1283-ის ნორმები არ გამოიყენება, თუ მოგირავნესა და კრედიტორს შორის შეთანხმებულია სხვა წესი.

§ 1285. თანამონაწილეობა მოთხოვნის რეალიზაციაში
(1) თუ ვალდებულების შესრულება მოგირავნისა და კრედიტორის მიმართ ერთობლივად უნდა განხორციელდეს, მაშინ მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომისას ისინი ვალდებულნი არიან, მოთხოვნის რეალიზაციისას ხელი შეუწყონ ერთმანეთს.
(2) რამდენადაც მოგირავნე უფლებამოსილია მოთხოვნის რეალიზაციაზე, კრედიტორის ხელშეწყობის გარეშე, მან უნდა იზრუნოს სათანადო რეალიზაციაზე, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კრედიტორს მოთხოვნის რეალიზაციის შესახებ, თუ შეტყობინება მიზანშეუწონელი არ არის.

§ 1286. ხელშეკრულების შეწყვეტის ვალდებულება რეალიზაციის რისკის არსებობისას
თუ დაგირავებული მოთხოვნის შესრულების ვადის დადგომა დამოკიდებულია ხელშეკრულების შეწყვეტაზე, მაშინ იმ პირობით, რომ ხელშეკრულების შეწყვეტის უფლე-

ბა ეკუთვნის მოგირავნეს, ამ უკანასკნელს შეუძლია, კრედიტორისაგან მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, თუ მოთხოვნის რეალიზაცია, ქონების სათანადო მართვის წესების თანახმად, აკრძალულია, მისი საიმედოობისადმი არსებული რისკის გამო. ანალოგიური წინაპირობის არსებობისას კრედიტორს შეუძლია, მოსთხოვოს მოგირავნეს ხელშეკრულების შეწყვეტაზე თანხმობა, რამდენადაც ეს თანხმობა აუცილებელია.

§ 1287. ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგები
თუ მოვალე ასრულებს ვალდებულებას, §§ 1281-ისა, 1282-ის შესაბამისად, მაშინ შესრულებისთანავე კრედიტორი იძენს ვალებულების საგანს, ხოლო მოგირავნე – გირავნობის უფლებას ამ საგანზე. თუ ვალდებულების შესრულება გამოიხატება მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემით, მაშინ მოგირავნე იძენს საგარანტიო იპოთეკას; თუ შესრულება რეგისტრირებულ საზღვაო ხომალდსა და მშენებარე საზღვაო ხომალდზე საკუთრების უფლების გადაცემით გამოიხატება, მაშინ მოგირავნე იძენს საზღვაო ხომალდზე არსებულ იპოთეკას.

§ 1288. ამოღებული ფულადი თანხების განთავსება
(1) თუ ფულადი მოთხოვნის რეალიზაცია ხორციელდება § 1281-ის შესაბამისად, მაშინ მოგირავნე და კრედიტორი ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ ერთმანეთს იმაში, რომ ამოღებული თანხა – რამდენადაც ეს მიზანშეწონილია მოგირავნის ინტერესების დარღვევის გარეშე – განთავსდეს პროცენტის დარიცხვის პირობით სამეურვეო პირის კაპიტალის განთავსების მიმართ მოქმედი წესების თანახმად და რომ ერთდროულად მოგირავნისათვის დადგინდეს გირავნობის უფლება. თანხების განთავსების ხერხს განსაზღვრავს მოგირავნე.
(2) თუ მოთხოვნის რეალიზაცია ხორციელდება § 1282-ის შესაბამისად, მაშინ, რამდენადაც ამოღებული თანხა მიემართება მოგირავნის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ამ უკანასკნელის მოთხოვნა ითვლება კრედიტორის მიერ შესრულებულად.

§ 1289. გირავნობის უფლების გავრცელება პროცენტებზე
მოთხოვნაზე გირავნობის უფლება ვრცელდება მოთხოვნის პროცენტებზე. შესაბამისად, გამოიყენება § 1123-ის მე-2 ნაწილისა და §§ 1124, 1125-ის ნორმები; გადახდევინების მიქცევას ცვლის მოგირავნის მიერ მოვალისათვის წარდგენილი შეტყობინება იმის შესახებ, რომ იგი სარგებლობს რეალიზაციის უფლებით.

§ 1290. რეალიზაცია რამდენჯერმე დაგირავებისას
თუ მოთხოვნაზე არსებობს რამდენიმე გირავნობის უფლება, მაშინ რეაზალიციაზე უფლებამოსილია მხოლოდ ის მოგირავნე, რომლის გირავნობის უფლებაც დანარჩენ გირავნობის უფლებებთან შედარებით სარგებლობს უპირატესი რიგით.

§ 1291. გირავნობის უფლება მიწის ვალსა თუ სარენტო ვალზე
მოთხოვნაზე გირავნობის უფლების შესახებ ნორმები მოქმედებს ასევე მიწის ვალსა და სარენტო ვალზე დადგენილი გირავნობის უფლების მიმართაც.

§ 1292. საორდერო ფასიანი ქაღალდების დაგირავება
თამასუქის ან სხვა ისეთი ფასიანი ქაღალდის დასაგირავებლად, რომელიც შეიძლება გადაცემულ იქნეს ინდოსამენტით, საკმარისია კრედიტორსა და მოგირავნეს შორის შეთანხმება და ინდოსირებადი ფასიანი ქაღალდის გადაცემა.

§ 1293. საწარმდგენლო ფასიან ქაღალდებზე დადგენილი გირავნობის უფლება
საწარმდგენლო ფასიან ქაღალდზე გირავნობის უფლების მიმართ მოქმედებს მოძრავ ნივთებზე დადგენილი გირავნობის უფლების მომწესრიგებელი ნორმები.

§ 1294. რეალიზაცია და ხელშეკრულების შეწყვეტა
თუ გირავნობის უფლების საგანია თამასუქი, სხვა ისეთი ფასიანი ქაღალდი, რომელიც შეიძლება გადაცემულ იქნეს ინდოსამენტით, ან საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი, მაშინ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ჯერ არ არის დამდგარი § 1228-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები, მოგირავნე უფლებამოსილია რეალიზაციაზე, ხოლო თუ აუცილებელია ხელშეკრულების შეწყვეტა, იგი უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტაზე; მოვალეს შეუძლია შეასრულოს ვალდებულება მოგირავნის მიმართ.

§ 1295. საორდერო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა საკუთარი შეხედულებით
თუ დაგირავებულ ფასიან ქაღალდს, რომელიც შეიძლება გადაცემულ იქნეს ინდოსამენტით, აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მაშინ კრედიტორი § 1228-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების დადგომის შემდეგ უფლებამოსილია, გაყიდოს იგი § 1221-ის თანახმად. შესაბამისად, გამოიყენება § 1259.

§ 1296. გირავნობის უფლების გავრცელება პროცენტიან კუპონებზე
ფასიან ქაღალდზე დადგენილი გირავნობის უფლება ვრცელდება ფასიან ქაღალდს მიკუთვნებულ პროცენტულ, სარენტო ან დივიდენდების კუპონებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაეცა მოგირავნეს. თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, დამგირავებელს შეუძლია მოითხოვოს კუპონების მისთვის გადაცემა, თუ მათ მიხედვით ვალდებულების შესრულების ვადა დგება § 1228-ის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობების დადგომამდე.

წიგნი 4. საოჯახო სამართალი

ნაწილი 1. სამოქალაქო ქორწინება

კარი 1. ნიშნობა

§ 1297. სარჩელის წარდგენის დაუშვებლობა, პირგასამტეხლოს გადახდის შეპირების ბათილობა

(1) ნიშნობიდან გამომდინარე დაუშვებელია სარჩელის წარდგენა დაქორწინების დაკისრების მოთხოვნით.

(2) ბათილია პირგასამტეხლოს შეპირება იმ შემთხვევისათვის, თუ ქორწინება არ შედგება.

§ 1298. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ნიშნობაზე უარის შემთხვევაში

(1) თუ დანიშნული უარს ამბობს ნიშნობაზე, მაშინ იგი ვალდებულია სხვა დანიშნულს და მის მშობლებს, ისევე როგორც მესამე პირებს, რომლებიც მოქმედებდნენ მშობლების ნაცვლად, აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც წარმოიშობა იმის შედეგად, რომ მათ ქორწინების მოლოდინის გამო გასწიეს ხარჯები ან იკისრეს ვალდებულებები. იგი ვალდებულია ასევე სხვა დანიშნულს აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც მიყენებულ იქნა იმით, რომ ამ უკანასკნელმა ქორწინების მოლოდინის გამო მიიღო სხვა ზომები, რომლებიც ეხება მის ქონებასა თუ შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.

(2) ზიანი უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ იმ ოდენობით, რომლითაც ხარჯები, ნაკისრი ვალდებულებები და სხვა ზომები გარემოებების შესაბამისი იყო.

(3) ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ სახეზეა ნიშნობაზე უარის თქმის მნიშვნელოვანი საფუძველი.

§ 1299. ნიშნობაზე უარის თქმა მეორე მხარის ბრალის გამო

თუ დანიშნულის უარი ნიშნობაზე გამოწვეულია მეორე მხარის ბრალით, რაც ქმნის უარის თქმის მნიშვნელოვან საფუძველს, მაშინ ეს უკანასკნელი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი §1298 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად.

§ 1300. *(გაუქმებულია)*

§ 1301. საჩუქრების დაბრუნება

თუ ქორწინება არ შედგება, მაშინ ნებისმიერ დანიშნულს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად, შეუძლია მეორე მხარისაგან მოითხოვოს ყველა იმ ნივთის უკან დაბრუნება, რაც მან ამ უკანასკნელს აჩუქა ან ნიშნობის ნიშნად გადასცა. საეჭვოობისას ივარაუდება, რომ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ ნიშნობა უქმდება ერთ-ერთი დანიშნულის გარდაცვალებით.

§ 1302. ხანდაზმულობა

§§1298-1301 გათვალისწინებული მოთხოვნის უფლებები ხანდაზმულია ნიშნობის გაუქმებიდან ორ წლის ვადაში.

კარი 2. დაქორწინება

ქვეკარი 1. დაქორწინებაუნარიანობა (Ehefähigkeit)

§ 1303. საქორწინო ასაკი
(1) დაუშვებელია დაქორწინება სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.
(2) საოჯახო საქმეთა სასამართლოს განცხადების საფუძველზე შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული დანაწესისაგან გათავისუფლების შესახებ, თუ განმცხადებელმა მიაღწია 16 წლის ასაკს და მისი მომავალი მეუღლე სრულწლოვანია.
(3) თუ განმცხადებელი პირის კანონიერი წარმომადგენელი ან ბავშვებზე მზრუნველი სხვა პირი ეწინააღმდეგება განცხადებას, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ქორწინების აკრძალვის შესახებ დანაწესისაგან გათავისუფლების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უარი არ ეფუძნება დამაჯერებელ საფუძვლებს.
(4) თუ საოჯახო საქმეთა სასამართლო მე-2 ნაწილის თანახმად იღებს გადაწყვეტილებას ქორწინების აკრძალვის შესახებ დანაწესისაგან გათავისუფლების შესახებ, მაშინ განმცხადებელს აღარ ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენლის ან ბავშვებზე მზრუნველი სხვა პირის თანხმობა.

§ 1304. საქორწინო ასაკი
პირს, ვინც ქმედუუნაროა, არ შეუძლია დაქორწინება.

§ 1305. *(გაუქმებულია)*

ქვეკარი 2. დაქორწინების აკრძალვები

§ 1306. უკვე არსებული ქორწინება ან თანაცხოვრება
დაუშვებელია დაქორწინება იმ პირებს შორის, თუ ქორწინება ან თანაცხოვრება არსებობს დაქორწინების მსურველ ერთ-ერთ პირსა და მესამე პირს შორის.

§ 1307. ნათესაობა
დაუშვებელია დაქორწინება პირდაპირი ხაზით ნათესავებს შორის, ისევე როგორც და-ძმებსა და ნახევარ და-ძმებს შორის. აღნიშნული წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევაშიც, თუ ნათესაური ურთიერთობა შეწყდა შვილად აყვანის შედეგად.

§ 1308. შვილად აყვანა
(1) დაუშვებელია დაქორწინება იმ პირებს შორის, რომელთა შორისაც ნათესაობა §1307 გაგებით წარმოიშვა შვილად აყვანის შედეგად. აღნიშნული წესი არ მოქმედებს, თუ შვილად აყვანის ურთიერთობა შეწყდა.
(2) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია განცხადების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება ქორწინების აკრძალვის შესახებ აღნიშნული დანაწესისაგან გათავისუფლების შესახებ, თუ განმცხადებელსა და მის მომავალ მეუღლეს შორის შვილად აყვანის შედეგად წარმოიშვა გვერდითი ხაზით ნათესაობა. დანაწესისაგან გათავისუფლებაზე უარი უნდა ითქვას იმ შემთხვევაში, თუ დაქორწინებას ხელს უშლის მნიშვნელოვანი საფუძვლები.

ქვეკარი 3. დაქორწინებაუნარიანობის ცნობა

§ 1309. დაქორწინებაუნარიანობის ცნობა უცხოელისათვის

(1) პირი, ვინც "სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის" მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის დაცვის პირობით დაქორწინების წინაპირობებთან დაკავშირებით ვარდება უცხოური სამართლის მოქმედების ქვეშ, ვერ დაქორწინდება, სანამ იგი არ წარადგინეს საკუთარი ქვეყნის ადგილობრივი ორგანოს ცნობას იმის შესახებ, რომ მისი ქვეყნის სამართლის თანახმად დაქორწინების ხელისშემშლელი გარემოებები არ არსებობს. ადგილობრივი ორგანოს მიერ გაცემულ ცნობად ითვლება ასევე სხვა უწყების მიერ დაინტერესებული პირის ქვეყანასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული დასტური. ცნობა კარგავს ძალას, თუ ქორწინება არ ფორმდება მისი გაცემიდან ექვსი თვის განმავლობაში; თუ ცნობაში მითითებულია მოქმედების უფრო ნაკლები ვადა, მაშინ განმსაზღვრელია ეს უკანასკნელი.

(2) 1-ლი ნაწილის 1-ლ წინადადებით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების ვალდებულებისაგან გათავისუფლება შეუძლია ლანდის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლის სამოქმედო რაიონშიც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს აქვს ადგილსამყოფელი და რომელშიც წარდგენილია განცხადება დაქორწინების შესახებ. გათავისუფლება უნდა გადაწყდეს მხოლოდ მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ, რომლებსაც ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი აქვთ უცხოეთში და იმ სახელმწიფოთა მოქალაქეების მიმართ, რომელთა ორგანოები არ გასცემენ 1-ლი ნაწილის გაგებით დაქორწინებაუნარიანობის ცნობებს. გათავისუფლება მოქმედებს მხოლოდ ექვსი თვის ვადით.

ქვეკარი 4. დაქორწინება

§ 1310. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს რეგისტრატორის კომპეტენცია, ნაკლოვანი ქორწინების ნამდვილად ცნობა

(1) ქორწინება ფორმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაქორწინებელი პირები სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს რეგისტრატორის წინაშე განაცხადებენ, რომ მათ სურთ ერთმანეთთან დაქორწინება. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს რეგისტრატორს არ შეუძლია უარის თქმა დაქორწინების ხელშეწყობაზე, თუ სახეზეა დაქორწინებისათვის აუცილებელი წინაპირობები; მან უარი უნდა განაცხადოს ხელშეწყობაზე, თუ ნათელია, რომ ქორწინება §1314 მე-2 ნაწილის თანახმად საცილო იქნებოდა.

(2) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს რეგისტრატორად ითვლება ასევე პირი, ვინც არ წარმოადგენს რა ასეთ პირს, ოფიციალურად ახორციელებს რეგისტრატორის ფუნქციებსა და მან ქორწინება რეგისტრაციაში გაატარა ქორწინებათა რეესტრში.

(3) ქორწინება გაფორმებულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მეუღლეებმა განაცხადეს, რომ მათ სურთ ერთმანეთთან დაქორწინება და

1. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს რეგისტრატორმა ქორწინება გაატარა რეგისტრაციაში ქორწინებათა რეესტრში,
2. მეუღლეთა საერთო შვილის დაბადების რეგისტრაციისას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს რეგისტრატორმა დაბადებათა რეესტრში რეგისტრაციაში გაატარა შენიშვნა დაქორწინების შესახებ ან

3. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს რეგისტრატორმა მეუღლეებისაგან მიიღო საოჯახო-სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული განცხადება, რომელიც თავისი სამართლებრივი ძალისათვის წინაპირობად აყენებს ქორწინების არსებობას და აღნიშნულის თაობაზე მეუღლეებზე გაიცა საკანონმდებლო ნორმებით გათვალისწინებული დასტური, რის შემდეგაც მეუღლეები ერთად ცხოვრობენ ათი წელი ან არანაკლებ ხუთი წლისა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებამდე.

§ 1311. პირადი განცხადება
დასაქორწინებელმა პირებმა §1310 მითითებული განცხადებები უნდა გააკეთონ პირადად და ორივე პირის ერთდროული დასწრებით. განცხადებები არ შეიძლება გაკეთდეს პირობით ან ვადის დადგენით.

§ 1312. ქორწინების ცერემონიალი
ქორწინების გაფორმებისას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს რეგისტრატორმა უნდა ჰკითხოს თითოეულ დასაქორწინებელ პირს, სურთ თუ არა მათ ერთმანეთთან დაქორწინება და დასაქორწინებელი პირებისაგან აღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემის შემდეგ გამოაცხადოს, რომ ამიერიდან კანონის ძალით არიან კანონიერი მეუღლეები. ქორწინების გაფორმება შეიძლება განხორციელდეს ერთი ან ორი მოწმის თანდასწრებით, თუ დასაქორწინებელ პირებს ეს სურთ.

კარი 3. ქორწინების გაუქმება

§ 1313. ქორწინების გაუქმება სასამართლოს გადაწყვეტილებით
ქორწინება შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ განცხადების საფუძველზე მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილებით. ქორწინება ითვლება გაუქმებულად სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან. წინაპირობები, რომელთა არსებობისას გაუქმება შეიძლება იქნეს მოთხოვნილი, გამომდინარეობს ქვემოთ მოცემული ნორმებიდან.

§ 1314. გაუქმების საფუძვლები
(1) ქორწინება შეიძლება გაუქმდეს, თუ ის გაფორმებულია §§1303, 1304, 1306, 1307, 1311 ნორმების დარღვევით.
(2) გარდა ამისა, ქორწინება შეიძლება გაუქმდეს, თუ
1. მეუღლე ქორწინების გაფორმების მომენტში იმყოფებოდა დაკარგული ცნობიერების ან დროებითი ფსიქიური აშლილობის მდგომარეობაში;
2. მეუღლემ ქორწინების გაფორმების მომენტში არ იცოდა, რომ საქმე შეეხებოდა ქორწინების გაფორმებას;
3. მეუღლე დასაქორწინებლად დაიყოლიეს იმ გარემოებების თაობაზე შეცდომაში შეყვანის გზით, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც საქმის ვითარების ცოდნისას და მისი გონივრული შეფასებისას იგი დაქორწინებისაგან თავს შეიკავებდა; აღნიშნული წესი არ მოქმედებს, თუ შეცდომაში შეყვანა ეხება ქონებრივ ურთიერთობებს ან იგი განხორციელდა მესამე პირის მიერ ისე, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა მეორე მეუღლემ;
4. მეუღლე უკანონო მუქარით დაიყოლიეს დასაქორწინებლად;

5. ორივე მეუღლე ქორწინების გაფორმების მომენტში თანახმა იყო იმაზე, რომ მათ არ სურთ §1353 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების კისრება.

§ 1315. გაუქმების გამორიცხვა

(1) ქორწინების გაუქმება გამორიცხულია

1. §1303 დარღვევის შემთხვევაში, თუ ქორწინების გაფორმების მომენტში სახეზე იყო §1303 მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წინაპირობები და მანამდე, სანამ მეუღლე არ არის სრულწლოვანი, საოჯახო საქმეთა სასამართლო იწონებს ქორწინების გაფორმებას ან მეუღლემ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ მიუთითა, რომ მას სურს ქორწინების გაგრძელება (დადასტურება);
2. §1304 დარღვევის შემთხვევაში, თუ მეუღლემ თავისი ქმედუუნარობის დასრულების შემდეგ მიუთითა, რომ მას სურს ქორწინების გაგრძელება (დადასტურება);
3. §1314 მე-2 ნაწილის №1-ის შემთხვევაში, თუ მეუღლემ ცნობიერების დაკარგვისა თუ ფსიქიური აშლილობის დასრულების შემდეგ მიუთითა, რომ მას სურს ქორწინების გაგრძელება (დადასტურება);
4. §1314 მე-2 ნაწილის №№2-4 შემთხვევებში, თუ მეუღლემ შეცდომისა თუ შეცდომაში შეყვანის ფაქტის აღმოჩენის ანდა იძულების შეწყვეტის შემდეგ მიუთითა, რომ მას სურს ქორწინების გაგრძელება (დადასტურება);
5. §1314 მე-2 ნაწილის №5-ის შემთხვევებში, თუ მეუღლეები ქორწინების გაფორმების შემდეგ ერთმანეთთან ცხოვრობდნენ როგორც მეუღლეები.

ქმედუუნარო პირის მიერ დადასტურება სამართლებრივი ძალის არმქონეა. §1304 დარღვევისას და §1314 მე-2 ნაწილის №1-ის შემთხვევაში, არასრულწლოვანის მიერ დადასტურება საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას; თუ კანონიერი წარმომადგენელი უარს ამბობს თანხმობის მიცემაზე დამაჯერებელი საფუძვლის გარეშე, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს არასრულწლოვანის განცხადების საფუძველზე შეუძლია თანხმობა შეცვალოს სასამართლოს გადაწყვეტილებით.

(2) გარდა აღნიშნულისა, ქორწინების გაუქმება გამორიცხულია

1. §1306 დარღვევის შემთხვევაში, თუ ახალი ქორწინების გაფორმებამდე განცხადებულ იქნა განქორწინების ან თავდაპირველი ქორწინების ანდა თანაცხოვრების გაუქმების შესახებ და აღნიშნული განცხადება ძალაში შედის ახალი ქორწინების გაფორმების შემდეგ;
2. §1311 დარღვევის შემთხვევაში, თუ ქორწინების გაფორმების შემდეგ მეუღლეები ხუთი წელი ერთად ცხოვრობდნენ როგორც მეუღლეები ან იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი უფრო ადრე გარდაიცვალა, – არანაკლებ სამი წლისა ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებამდე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხუთი წლის ვადის გასვლისას ან გარდაცვალების მომენტისათვის წარდგენილი იყო განცხადება ქორწინების გაუქმების შესახებ.

§ 1316. ქორწინების გაუქმების განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილება

(1) ქორწინების გაუქმების განცხადების წარდგენაზე

1. §§1303, 1304, 1306, 1307, 1311 დარღვევის შემთხვევაში, ისევე როგორც §1314 მე-2 ნაწილის №№1 და 5-ის შემთხვევებში, უფლებამოსილნი არიან ყოველი მეუღლე, კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო §1306 შემთხვევებში, – ასევე მესამე პირიც. კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანო გა-

ნისაზღვრება ლანდის მთავრობების სახელისუფლო განკარგულებით. ლანდის მთავრობებს შეუძლიათ სახელისუფლო განკარგულებით მე-2 ნაწილში მითითებული უფლებამოსილება გადასცენ ლანდის ზემდგომ კომპეტენტურ ორგანოებს

2. §1314 მე-2 ნაწილის №№2-4-ის შემთხვევებში, – იქვე მითითებული მეუღლე.

(2) ქმედუუნარო მეუღლისათვის განცხადების წარდგენა შეუძლია მხოლოდ მის კანონიერ წარმომადგენელს. დანარჩენ შემთხვევებში არასრულწლოვან მეუღლეს განცხადების წარდგენა შეუძლია მხოლოდ პირადად; მას არ ესაჭიროება თავისი კანონიერი წარმომადგენელის თანხმობა.

(3) §§1304, 1306, 1307 დარღვევის შემთხვევაში, ისევე როგორც §1314 მე-2 ნაწილის №№1 და 5-ის შემთხვევებში, კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა წარადგინოს განცხადება, თუ ქორწინების გაუქმება ერთ-ერთი მეუღლის ან ამ ქორწინებაში შეძენილი ბავშვისათვის არ იქნებოდა ისეთი სირთულეების შემქმნელი, რომ გამონაკლისის სახით ქორწინების შენარჩუნება აუცილებელი იქნებოდა.

§ 1317. განცხადების წარდგენის ვადა

(1) §1314 მე-2 ნაწილის №№2-4-ის შემთხვევებში, განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში. ვადის დენა იწყება შეცდომისა თუ შეცდომაში შეყვანის ფაქტის აღმოჩენის ანდა იძულების შეწყვეტის მომენტიდან; თუმცა, ქმედუუნარო მეუღლის კანონიერი წარმომადგენლისათვის ვადის დენა არ იწყება იმ მომენტამდე, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც შედეგად იწვევს ვადის დენის დაწყებას, ხოლო არასრულწლოვანი მეუღლისათვის კი – სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე. ვადის დენის მიმართ შესაბამისად გამოიყენება §§206, 210 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება.

(2) თუ ქმედუუნარო მეუღლის კანონიერმა წარმომადგენელმა განცხადება დროულად არ წარადგინა, მაშინ მეუღლეს შეუძლია პირადად წარადგინოს განცხადება ქმედუუნარობის დასრულებიდან ექვსი თვის განმავლობაში.

(3) თუ ქორწინება უკვე შეწყვეტილია, მაშინ განცხადების წარდგენა აღარ შეიძლება.

§ 1318. ქორწინების გაუქმების შედეგები

(1) ქორწინების გაუქმების შედეგები განისაზღვრება განქორწინების შესახებ ნორმების მიხედვით მხოლოდ ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში.

(2) შესაბამისად გამოიყენება §§1569-1586ბ:

1. იმ მეუღლის სასარგებლოდ, რომლისათვისაც §§1303, 1304, 1306, 1307 ან 1311 დარღვევისას ან §1314 მე-2 ნაწილის №№1 ან 2-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ქორწინების გაფორმების მომენტში არ იყო ცნობილი ქორწინების საცილოობის შესახებ ანდა რომელიც §1314 მე-2 ნაწილის №№3 ან 4-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეცდომაში იქნა შეყვანილი მეორე მეუღლის მიერ ან რომელსაც ეს უკანასკნელი დაემუქრა ანდა ამის შესახებ მეორე მეუღლემ იცოდა;
2. ორივე მეუღლის სასარგებლოდ §§1306, 1307 ან 1311 დარღვევის შემთხვევაში, თუ ორივე მეუღლემ იცოდა ქორწინების საცილოობის შესახებ; ეს წესი არ მოქმედებს §1306 დარღვევის შემთხვევაში, რამდენადაც მეუღლის რჩენის მოთხოვნის უფლება დაარღვევდა მესამე პირის შესაბამის მოთხოვნის უფლებას.

საერთო ბავშვის მოვლისა თუ აღზრდის გამო რჩენის შესახებ ნორმები შესაბამისად გამოიყენება ასევე იმ ფარგლებში, რომლებშიც რჩენაზე უარის თქმა ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით აშკარად უსამართლო იქნებოდა.
(3) შესაბამისად გამოიყენება §§1363-1390 და §1587, თუ ქორწინების გაფორმების მომენტში არსებული გარემოებების მხედველობაში მიღებით ან §1306 დარღვევისას მესამე პირის ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული აშკარად უსამართლო არ იქნებოდა.
(4) შესაბამისად გამოიყენება §§1568ა და 1568ბ; ამავე დროს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ქორწინების გაფორმების მომენტში არსებული გარემოებები, ხოლო §1306 დარღვევის შემთხვევაში – მესამე პირის ინტერესები.
(5) იმ მეუღლის სასარგებლოდ, რომლისათვისაც §§1304, 1306, 1307 ან 1311 დარღვევისას ან §1314 მე-2 ნაწილის №1-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ქორწინების გაფორმების მომენტში ცნობილი იყო ქორწინების საცილოობის შესახებ, §1931 არ გამოიყენება.

კარი 4. განმეორებითი ქორწინება მეუღლის გარდაცვლილად აღიარების შემდეგ

§ 1319. თავდაპირველი ქორწინების გაუქმება
(1) თუ მეუღლემ ახალი ქორწინება გააფორმა მეორე მეუღლის გარდაცვლილად აღიარების შემდეგ, მაშინ თუ გარდაცვლილად აღიარებული მეუღლე ჯერ კიდევ ცოცხალია, ახალი ქორწინება შეიძლება გაუქმდეს §1306 დარღვევის გამო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქორწინების გაფორმების მომენტში ორივე მეუღლემ იცოდა, რომ გარდაცვლილად აღიარებული მეუღლე გარდაცვლილად აღიარების მომენტში ცოცხალი იყო.
(2) ახალი ქორწინების გაფორმებისას თავდაპირველი ქორწინება უქმდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქორწინების გაფორმების მომენტში ორივე მეუღლემ იცოდა, რომ გარდაცვლილად აღიარებული მეუღლე გარდაცვლილად აღიარების მომენტში ცოცხალი იყო. ქორწინება რჩება გაუქმებული ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც გარდაცვლილად აღიარება უქმდება.

§ 1320. ახალი ქორწინების გაუქმება
(1) თუ გარდაცვლილად აღიარებული მეუღლე ცოცხალია, მაშინ მიუხედავად §1319, თავდაპირველ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს ახალი ქორწინების გაუქმება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქორწინების გაფორმების მომენტში მან იცოდა, რომ გარდაცვლილად აღიარებული მეუღლე გარდაცვლილად აღიარების მომენტში ცოცხალი იყო. გაუქმება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ერთი წლის ვადის განმავლობაში. ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც თავდაპირველი ქორწინებიდან მეუღლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისი გარდაცვლილად აღიარებული მეუღლე ჯერ კიდევ ცოცხალია. შესაბამისად მოქმედებს §1317 1-ლი ნაწილის მე-3 წინადადება, მე-2 ნაწილი.
(2) გაუქმების შედეგების მიმართ შესაბამისად მოქმედებს §1318.

§ 1321-1352. *(გაუქმებულია)*

კარი 5. ქორწინების სამართლებრივი შედეგები ზოგადად

§ 1353. საქორწინო კავშირი (Eheliche Lebensgemeinschaft)

(1) ქორწინება ფორმდება სიცოცხლის ვადით. მეუღლეები ვალდებულნი არიან, ერთმანეთთან ჰქონდეთ საქორწინო კავშირი; ისინი პასუხს აგებენ ერთმანეთისათვის.

(2) მეუღლე არ არის ვალდებული, საქორწინო კავშირის დადგენის შემდეგ შეასრულოს მეორე მეუღლის მოთხოვნა, თუ ეს მოთხოვნა მდგომარეობს მისი უფლების ბოროტად გამოყენებასა თუ ქორწინების დარღვევაში.

§ 1354. *(გაუქმებულია)*

§ 1355. საქორწინო გვარი

(1) მეუღლეებმა უნდა განსაზღვრონ საერთო გვარი (საქორწინო გვარი). მეუღლეებს აქვთ მათ მიერ განსაზღვრული საქორწინო გვარი. თუ მეუღლეები საქორწინო გვარს არ განსაზღვრავენ, მაშინ ქორწინების გაფორმების შემდეგაც მათ ექნებათ თავიანთი ქორწინებამდელი გვარები.

(2) მეუღლეებს შეუძლიათ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს წინაშე გაკეთებული განცხადებით აირჩიონ ქმრის ან ცოლის დაბადების გვარი ან ის გვარი, რომელიც ქმარს ან ცოლს ჰქონდათ საქორწინო გვარის განსაზღვრის შესახებ განცხადების გაკეთების მომენტში.

(3) საქორწინო გვარის განსაზღვრის განცხადება უნდა გაკეთდეს ქორწინების გაფორმების მომენტში. თუ განცხადება მოგვინებით კეთდება, მაშინ იგი ოფიციალურად უნდა დამოწმდეს.

(4) იმ მეუღლეს, რომლის გვარიც არ ხდება საქორწინო გვარი, შეუძლია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს წინაშე გაკეთებული განცხადებით საქორწინო გვარს თავში ან ბოლოში დაუმატოს თავისი დაბადების გვარი ან ის გვარი, რომელიც მას აქვს საქორწინო გვარის განსაზღვრის შესახებ განცხადების გაკეთების მომენტში. აღნიშნული წესი არ მოქმედებს, თუ საქორწინო გვარი რამდენიმე გვარისაგან შედგება. თუ მეუღლის გვარი შედგება რამდენიმე გვარისაგან, მაშინ დასაშვებია მხოლოდ ერთ-ერთის დამატება. განცხადება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსათვის მიმართვით; ამ შემთხვევაში 1-ლი წინადადების თანახმად განახლებული განცხადების წარდგენა დაუშვებელია. განცხადება და მისი გამოთხოვა ოფიციალურად უნდა დამოწმდეს.

(5) დაქვრივებული ან განქორწინებული მეუღლე ინარჩუნებს საქორწინო გვარს. მას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს წინაშე გაკეთებული განცხადებით შეუძლია დაიბრუნოს თავისი დაბადების გვარი ან ის გვარი, რომელიც მას საქორწინო გვარის განსაზღვრამდე ჰქონდა ანდა საქორწინო გვარს თავში ან ბოლოში დაუმატოს თავისი დაბადების გვარი ან ის გვარი, რომელიც მას აქვს საქორწინო გვარის განსაზღვრის შესახებ განცხადების გაკეთების მომენტში. შესაბამისად გამოიყენება მე-4 ნაწილი.

(6) დაბადების გვარს წარმოადგენს გვარი, რომელიც შეიტანება მეუღლის დაბადების მოწმობაში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსათვის განცხადების წარდგენის მომენტისათვის.

§ 1356. საოჯახო მეურნეობის გაძღოლა, ეკონომიკური საქმიანობა
(1) მეუღლეები საოჯახო მეურნეობას უძღვებიან ურთიერთშეთანხმებით. თუ საოჯახო მეურნეობის გაძღოლა ჩაბარებული აქვს ერთ-ერთ მეუღლეს, მაშინ ეს უკანასკნელი მას უძღვება საკუთარი პასუხისმგებლობით.
(2) ორივე მეუღლე უფლებამოსილია, დაკავდეს ეკონომიკური საქმიანობით. ეკონომიკური საქმიანობის არჩევისა და განხორციელებისას მათ ანგარიში უნდა გაუწიონ მეორე მეუღლისა და ოჯახის ინტერესებს.

§ 1357. საცხოვრებელი საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი გარიგებები
(1) თითოეული მეუღლე უფლებამოსილია, დადოს ოჯახის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი გარიგებები, რომელთა სამართლებრივი შედეგებიც დგება ასევე მეორე მეუღლისათვისაც. ასეთი გარიგებებით უფლებამოსილი ან ვალდებული ხდება ორივე მეუღლე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარემოებებიდან სხვა რაიმე გამომდინარეობს.
(2) მეუღლეს შეუძლია შეზღუდოს ან გამორიცხოს მეორე მეუღლის მიერ იმ გარიგებების დადების უფლებამოსილება, რომელთა სამართლებრივი შედეგებიც დგება მის მიმართ; თუ სახეზე არ არის უფლებამოსილების შეზღუდვის ან გამორიცხვის საკმარისი საფუძველი, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლომ განცხადების საფუძველზე უნდა გააუქმოს იგი. მესამე პირების მიმართ უფლებამოსილების შეზღუდვა ან გამორიცხვა მოქმედებს მხოლოდ §1412 შესაბამისად.
(3) 1-ლი ნაწილი არ მოქმედებს, თუ მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ.

§ 1358. *(გაუქმებულია)*

§ 1359. ზრუნვის მოვალეობის ფარგლები
მეუღლეები საქორწინო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისას ერთმანეთის მიმართ პასუხს აგებენ მხოლოდ ისეთი ზრუნვისათვის, რომელსაც ისინი საკუთარ საქმეებში იჩენენ.

§ 1360. ოჯახის რჩენის ვალდებულება
მეუღლეები ვალდებულნი არიან ერთმანეთის მიმართ თავიანთი შრომითა და ქონებით უზრუნველყონ ოჯახის სათანადო რჩენა. თუ საოჯახო მეურნეობის გაძღოლა ჩაბარებული აქვს ერთ მეუღლეს, მაშინ ეს უკანასკნელი თავისი შრომით ოჯახის რჩენაში წვლილის შეტანის ვალდებულებას განახორციელებს, როგორც წესი, საოჯახო მეურნეობის გაძღოლით.

§ 1360ა. რჩენის ვალდებულების მოცულობა
(1) ოჯახის სათანადო რჩენა მოიცავს ყველაფერს იმას, რაც მეუღლეთა შორის ურთიერთობიდან გამომდინარე აუცილებელია იმისათვის, რომ დაიფაროს საოჯახო მეურნეობის ხარჯები და დაკმაყოფილდეს მეუღლეთა პირადი მოთხოვნილებები და რჩენის მიღებაზე უფლებამოსილი საერთო შვილების საცხოვრებელი საჭიროებები.
(2) რჩენა უნდა განხორციელდეს ისე, როგორც ეს საქორწინო კავშირით მოითხოვება. მეუღლეები ერთმანეთის მიმართ ვალდებულნი არიან, წინასწარ სათანადო ვადით საერთო განკარგვისათვის წარადგინონ ოჯახის ერთობლივი რჩენისათვის საჭირო საშუალებები.

(3) შესაბამისად გამოიყენება ნათესავების მიერ რჩენის ვალდებულების მიმართ მოქმედი §§1613-1615 ნორმები.
(4) თუ მეუღლეს არ შეუძლია მის პირად საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო დავის ხარჯების კისრება, მაშინ მეორე მეუღლე ვალდებულია, ეს ხარჯები დაფაროს წინასწარი გადახდით იმ ოდენობით, რამდენადაც ეს შეესაბამება სამართლიანობას. ანალოგიური წესი მოქმედებს დაცვის ხარჯების მიმართ იმ სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც წარმოებს მეუღლის წინააღმდეგ.

§ 1360ბ. გადაჭარბებული გადახდა
თუ მეუღლე ოჯახის რჩენისათვის ახორციელებს გადახდებს მეტი ოდენობით, ვიდრე იგი ამაზე არის ვალდებული, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ მას არა აქვს განზრახული კომპენსაციის მოთხოვნა მეორე მეუღლისაგან.

§ 1361. რჩენა განცალკევებულად ცხოვრების შემთხვევაში
(1) თუ მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ, მაშინ მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლისაგან მოითხოვოს რჩენა, რომელიც შეესაბამება მეუღლეთა ცხოვრების პირობებს, შემოსავლებსა და ქონებრივ მდგომარეობას; სხეულისა თუ ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგად გამოწვეული ხარჯების ანაზღაურების მიმართ მოქმედებს §1610. თუ განცალკევებულად მცხოვრებ მეუღლეებს შორის მიმდინარეობს განქორწინების შესახებ სასამართლო დავა, მაშინ სასამართლო დავის დაწყებიდან რჩენის ხარჯებში შედის ასევე სათანადო დაზღვევის ხარჯები მოხუცებულობისა და დაქვეითებული შრომისუნარიანობისათვის.
(2) დაუსაქმებელ მეუღლეს შეიძლება მიეთითოს საკუთარი რჩენისათვის საჭირო დამოუკიდებლად დასაქმების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მისგან მოსალოდნელია მისი პირადი გარემოებების მიხედვით, კერძოდ კი, მისი წინა შრომითი საქმიანობისა და ქორწინების ხანგრძლივობის, ასევე ორივე მეუღლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.
(3) აშკარა უსამართლობის გამო რჩენის ვალდებულების შეზღუდვის ან მასზე უარის შესახებ შესაბამისად გამოიყენება §1579 №№2-8-ის ნორმა.
(4) მიმდინარე რჩენა შეიძლება განხორციელდეს ფულადი სარჩოს გადახდის გზით. სარჩო გადახდილ უნდა იქნეს ყოველთვიურად ავანსის სახით. ვალდებულ პირს ეკისრება ერთი თვის მთლიანი თანხის გადახდა ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც უფლებამოსილი პირი ამ თვის განმავლობაში გარდაიცვლება. შესაბამისად გამოიყენება §1360ა მე-3, მე-4 ნაწილები და §§1360ბ, 1605.

§ 1361ა. საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთების განაწილება განცალკევებულად ცხოვრების შემთხვევაში
(1) თუ მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ, მაშინ თითოეულ მათგანს შეუძლია მეორეს მოსთხოვოს თავისი საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთების გადმოცემა. თუმცა, იგი ვალდებულია, ეს ნივთები სარგებლობაში გადასცეს მეორე მეუღლეს, რამდენადაც ამ უკანასკნელს ისინი ესაჭიროება გამოყოფილი საოჯახო მეურნეობის გაძღოლისათვის და კონკრეტული გარემოებების მიხედვით ასეთი გადაცემა შეესაბამება სამართლიანობას.
(2) საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ისეთი ნივთები, რომლებიც მეუღლეებს ერთობლივად ეკუთვნით, ნაწილდება მათ შორის სამართლიანობის პრინციპის მიხედვით.

(3) თუ მეუღლეები ვერ თანხმდებიან, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს განსჯადი სასამართლო. ამ უკანასკნელს შეუძლია დაადგინოს სათანადო საზღაური საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთებით სარგებლობისათვის.
(4) ქონებრივი ურთიერთობები უცვლელი რჩება, თუ მეუღლეები სხვაგვარად არ თანხმდებიან.

§ 1361ბ. მეუღლეთა საცხოვრებელი სახლი განცალკევებულად ცხოვრების შემთხვევაში

(1) თუ მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ ან განცალკევებულად ცხოვრება სურს ერთ-ერთ მათგანს, მაშინ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მეორე მეუღლემ გადასცეს მას ერთპიროვნულ სარგებლობაში მეუღლეთა საცხოვრებელი სახლი ან ამ საცხოვრებელი სახლის ნაწილი, რამდენადაც აღნიშნული მეორე მეუღლის ინტერესების გათვალისწინებით აუცილებელია გაუმართლებელი სიძნელის თავიდან ასაცილებლად. გაუმართლებელ სიძნელეს შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც, თუ საფრთხე ექმდება ოჯახში მცხოვრები შვილების კეთილდღეობას. თუ მეუღლეს ერთპიროვნულად ან მესამე პირთან ერთად ეკუთვნის საკუთრების უფლება, აღნაგობა ან უზუფრუქტი იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც განთავსებულია მეუღლეთა საცხოვრებელი სახლი, მაშინ ეს გარემოება სპეციალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული; ანალოგიური წესი მოქმედებს მრავალბინიან სახლში საკუთრების უფლების, საცხოვრებელი ფართით გრძელვადიანი სარგებლობის უფლებისა (Dauerwohnrecht) და საცხოვრებელი ფართით სარგებლობის სანივთო უფლების (dingliche Wohnrecht) მიმართ.
(2) თუ მეუღლემ, ვის მიმართაც წარდგენილია განცხადება, მეორე მეუღლეს კანონსაწინააღმდეგოდ და განზრახ მიაყენა სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება ან შეუზღუდა თავისუფლება ანდა უკანონოდ ემუქრებოდა ასეთი ზიანის მიყენებით ან სიცოცხლის ხელყოფით, მაშინ, როგორც წესი, საცხოვრებელი სახლი მთლიანად უნდა იქნეს გადაცემული ერთპიროვნულ სარგებლობაში. საცხოვრებელი სახლის გადმოცემის მოთხოვნის უფლება გამორიცხულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შემდგომი ზიანის მიყენებისა და უკანონო მუქარის საფრთხე აღარ არსებობს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაზარალებულ მეუღლეს შემდგომში აღარ შეიძლება მოეთხოვოს მეორე მეუღლესთან ერთად ცხოვრება ჩადენილი ქმედების სიმძიმის გამო.
(3) თუ ერთ მეუღლეს გადაეცა საცხოვრებელი სახლი მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მეორე მეუღლემ უნდა შეიკავოს თავი ყველა იმ მოქმედებისაგან, რაც აღნიშნული სარგებლობის უფლების განხორციელებას გაართულებს ან ხელს შეუშლის. მას შეუძლია სარგებლობაზე უფლებამოსილი მეუღლისაგან მოითხოვოს საზღაური სარგებლობისთვის, რამდენადაც ეს შეესაბამება სამართლიანობას.
(4) თუ იმის შემდეგ, რაც მეუღლეებმა დაიწყეს განცალკევებული ცხოვრება §1567 1-ლი ნაწილის გაგებით, ერთ-ერთი მეუღლე ტოვებს მეუღლეთა საცხოვრებელ სახლს და თუ მისი გასვლიდან ექვსი თვის განმავლობაში მან მეორე მეუღლეს არ შეატყობინა უკან დაბრუნების სერიოზული განზრახვის შესახებ, მაშინ უდავოდ ივარაუდება, რომ მან დარჩენილ მეუღლეს გადასცა მეუღლეთა საცხოვრებელ სახლზე ერთპიროვნული სარგებლობის უფლება.

§ 1362. საკუთრების უფლების პრეზუმფცია

(1) ქმრისა და ცოლის კრედიტორების სასარგებლოდ ივარაუდება, რომ ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მეუღლის მფლობელობაში არსებული მოძრავი ნივთები ეკუთვ-

ნის მოვალეს. ეს პრეზუმფცია არ მოქმედებს, თუ მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ და ნივთები იმყოფება იმ მეუღლის მფლობელობაში, რომელიც არ არის მოვალე. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდები ან საორდერო ფასიანი ქაღალდები საბლანკო ინდოსამენტით უთანაბრდება მოძრავ ნივთებს.
(2) მეუღლის ექსკლუზიური სარგებლობისათვის გათვალისწინებული ნივთებისათვის მეუღლეებს ერთმანეთს შორის და კრედიტორების მიმართ ურთიერთობაში ივარაუდება, რომ ისინი ეკუთვნის იმ მეუღლეს, რომლის სარგებლობისათვისაც არის ისინი გათვალისწინებული.

კარი 6. მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი

ქვეკარი 1. კანონისმიერი ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი

§ 1363. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების რეჟიმი (Zugewinngemeinschaft)
(1) მეუღლეები ცხოვრობენ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების რეჟიმში, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რაიმე არ არის შეთანხმებული.
(2) ქმრისა და ცოლის ქონება არ ხდება მეუღლეთა საერთო ქონება; აღნიშნული წესი მოქმედებს ასევე იმ ქონების მიმართ, რომელსაც მეუღლე ქორწინების გაფორმების შემდეგ იძენს. თუმცა, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება (Zugewinn) თანაბრად ნაწილდება მათ შორის, თუ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი წყდება.

§ 1364. ქონების მართვა
თითოეული მეუღლე თავის ქონებას მართავს დამოუკიდებლად; თუმცა, იგი შეზღუდულია თავისი ქონების მართვაში ქვემოთ მოცემული ნორმების თანახმად.

§ 1365. მთლიანი ქონების განკარგვა
(1) მეუღლეს შეუძლია იკისროს მეუღლეთა საერთო ქონების მთლიანად განკარგვის ვალდებულება მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით. თუ მან ვალდებულება იკისრა მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, მაშინ მას ვალდებულების შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე ამაზე თანახმაა.
(2) თუ გარიგება შეესაბამება სათანადო მართვის პრინციპებს, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მეუღლის განცხადების საფუძველზე მეორე მეუღლის თანხმობა შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებით, თუ ეს უკანასკნელი უარს აცხადებს თანხმობაზე საკმარისი საფუძვლის გარეშე ან მას ხელი ეშლება განცხადების გაკეთებაში ავადმყოფობის ან არყოფნის შედეგად, ხოლო დაყოვნებასთან კი დაკავშირებულია რისკი.

§ 1366. ხელშეკრულებების მოწონება
(1) ხელშეკრულება, რომელსაც დებს მეუღლე მეორე მეუღლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, სამართლებრივი ძალის მქონეა, თუ ეს უკანასკნელი მას მოიწონებს.
(2) მოწონებამდე მესამე პირს შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა. თუ მან იცოდა, რომ ქმარი ან ცოლი დაქორწინებულია, მაშინ მას შეუძლია ხელშეკრულებაზე

უარის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმარი ან ცოლი ცრუდ ამტკიცებდნენ, რომ მეორე მეუღლემ განაცხადა თანხმობა; თუმცა, ამ შემთხვევაშიც მესამე პირს არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ მისთვის ხელშეკრულების დადების მომენტში ცნობილი იყო, რომ მეორე მეუღლეს თანხმობა არ განუცხადებია.
(3) თუ მესამე პირი მეუღლისაგან ითხოვს მეორე მეუღლისაგან აუცილებელი მოწონების მიღებას, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოწონების შესახებ განაცხადოს მხოლოდ მესამე პირის წინაშე; თუ მან აღნიშნულ მოთხოვნამდე მოწონების შესახებ თავისი მეუღლის წინაშე უკვე განაცხადა, მაშინ განცხადება კარგავს ძალას. მოწონების შესახებ შეიძლება განცხადებულ იქნეს მოთხოვნის მიღებიდან მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში; თუ იგი არ იქნება განცხადებული, მაშინ ითვლება, რომ მასზე უარი ითქვა. თუ საოჯახო საქმეთა სასამართლო ცვლის მოწონებას თავისი განჩინებით, მაშინ ეს უკანასკნელი ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლე მის შესახებ შეატყობინებს მესამე პირს ორკვირიანი ვადის განმავლობაში; სხვა შემთხვევაში ითვლება, რომ მოწონებაზე უარი ითქვა.
(4) თუ მოწონებაზე უარი ითქვა, მაშინ ხელშეკრულება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 1367. ცალმხრივი გარიგება
მეორე მეუღლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული ცალმხრივი გარიგება სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 1368. უფლების სასამართლო წესით რეალიზაცია სამართლებრივი ძალის არმქონე გარიგებისას
თუ მეუღლე განკარგავს თავის ქონებას მეორე მეუღლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ეს უკანასკნელი ასევე უფლებამოსილია, სამართლებრივი ძალის არმქონე განკარგვიდან გამომდინარე მესამე პირის მიმართ უფლებები განახორციელოს სასამართლო წესით.

§ 1369. საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთების განკარგვა
(1) მეუღლეს შეუძლია განკარგოს საოჯახო მეურნეობაში არსებული მისი კუთვნილი ნივთები და იკისროს ასეთ განკარგვასთან დაკავშირებული ვალდებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე ამაზე თანახმაა.
(2) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მეუღლის განცხადების საფუძველზე მეორე მეუღლის თანხმობა შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებით, თუ ეს უკანასკნელი უარს აცხადებს თანხმობაზე საკმარისი საფუძვლის გარეშე ან მას ხელი ეშლება განცხადების გაკეთებაში ავადმყოფობის ან არყოფნის შედეგად.
(3) შესაბამისად მოქმედებს §§1366-1368 ნორმები.

§ 1370. *(გაუქმებულია)*

§ 1371. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილება გარდაცვალების შემთხვევაში
(1) თუ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი წყდება მეუღლის გარდაცვალებით, მაშინ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილება ხორციელდება იმ სამკვიდრო წილის სამკვიდროს ერთი მეოთხედით გაზრდით, რომელიც ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს კანონით ეკუთვნის; ამავე

დროს მნიშვნელობა არა აქვს, მიიღეს თუ არა მეუღლეებმა ცალკეულ შემთხვევაში ნამეტი.
(2) თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე არ ხდება მემკვიდრე და მას არც საანდერძო დანაკისრი ეკუთვნის, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილება §§1373-1383, 1390 ნორმების თანახმად; ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ან სავალდებულო წილზე უფლებამოსილი სხვა პირის სავალდებულო წილი აღნიშნულ შემთხვევაში განისაზღვრება მეუღლის იმ სამკვიდრო წილის მიხედვით, რომელიც მას კანონით ეკუთვნის, მისი გაზრდილი ოდენობის გათვალისწინების გარეშე.
(3) თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე უარს ამბობს სამკვიდროზე, მაშინ მას შეუძლია მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილებასთან ერთად მოითხოვოს ასევე სავალდებულო წილი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ უკანასკნელს იგი სამემკვიდრეო-სამართლებრივი ნორმების თანახმად არ მიიღებდა; ეს წესი არ მოქმედებს, თუ მან თავის მეუღლესთან დადებული ხელშეკრულებით უარი თქვა თავის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლებაზე ან სავალდებულო წილზე.
(4) თუ გარდაცვლილ მეუღლეს დარჩა სამკვიდროს მიღებაზე უფლებამოსილი შთამომავლები, რომლებიც არ დაბადებულან მეუღლის გარდაცვალების შედეგად შეწყვეტილ ქორწინებაში, მაშინ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე 1-ლი ნაწილის თანახმად დამატებით მიღებული სამკვიდროს ერთი მეოთხედის ხარჯზე ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული შთამომავლები ფულადი სახსრებით, რომლებიც საჭიროა სათანადო განათლების მისაღებად, თუ და რამდენადაც ეს ფულადი სახსრები მათ ესაჭიროებათ.

§ 1372. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილება სხვა შემთხვევებში

თუ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი წყდება სხვა მიზეზით, ვიდრე ეს მეუღლის გარდაცვალებაა, მაშინ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება განაწილდება §§1373-1390 ნორმების თანახმად.

§ 1373. მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება

მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას მიეკუთვნება ის თანხა, რომლითაც მეუღლის საბოლოო ქონება აღემატება მის საწყის ქონებას.

§ 1374. საწყისი ქონება

(1) საწყისი ქონება წარმოადგენს ქონებას, რომელიც მეუღლეს ეკუთვნის მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის მომენტში ვალდებულებების გამოკლებით.
(2) ქონება, რომელსაც მეუღლე მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის შემდეგ ჩუქებით ან გამოყოფილი აქტივის (Ausstattung) სახით იძენს პირის გარდაცვალების შედეგად ან მომავალ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, ვალდებულებების გამოკლების შემდეგ ემატება საწყის ქონებას, თუ გარემოებების გათვალისწინებით იგი არ უნდა იქნეს მიჩნეული შემოსავლად (Einkünfte).
(3) ვალდებულებები გამოკლებულ უნდა იქნეს იმ ოდენობით, რაც აღემატება ქონების ღირებულებას.

§ 1375. საბოლოო ქონება

(1) საბოლოო ქონება წარმოადგენს ქონებას, რომელიც მეუღლეს ეკუთვნის მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის შეწყვეტის მომენტში ვალდებულებების გამოკლებით. ვალდებულებები გამოკლებულ უნდა იქნეს იმ ოდენობით, რაც აღემატება ქონების ღირებულებას.

(2) მეუღლის საბოლოო ქონებაში შედის ის თანხა, რომლითაც ეს ქონება მცირდება იმის შედეგად, რომ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის შემდეგ მეუღლემ

1. განახორციელა უსასყიდლო ქონებრივი გადაცემები, რომლებიც არ შეესაბამებოდა ზნეობრივ მოვალეობას ან მხედველობაში მისაღებ ზრდილობის ნორმებს,
2. გაფლანგა ქონება ან
3. განახორციელა ისეთი მოქმედებები, რომლებიც გამიზნული იყო მეორე მეუღლისათვის ზიანის მისაყენებლად.

თუ მეუღლის საბოლოო ქონება ნაკლებია, ვიდრე ის ქონება, რომელზეც მან განცალკევებულად ცხოვრების დაწყების მომენტში თავის შეტყობინებაში მიუთითა, მაშინ აღნიშნულმა მეუღლემ უნდა განმარტოს და ამტკიცოს, რომ ქონების შემცირება არ უნდა მიეწეროს მოქმედებებს 1-ლი წინადადების №№1-3-ის გაგებით.

(3) ქონების შემცირების თანხა არ შედის საბოლოო ქონებაში, თუ შემცირება მოხდა, სულ ცოტა, ათი წლით ადრე მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დასრულებამდე ან თუ მეორე მეუღლე ეთანხმებოდა უსასყიდლო გადაცემებსა თუ ქონების გაფლანგვას.

§ 1376. საწყისი და საბოლოო ქონების ღირებულების დადგენა

(1) საწყისი ქონების გაანგარიშების საფუძვლად აიღება ის ღირებულება, რომელიც არსებულ ქონებას ჰქონდა მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის დადგენის მომენტში, ხოლო საწყის ქონებაზე მისამატებელ ქონებას – მისი შეძენის მომენტში.

(2) საბოლოო ქონების გაანგარიშების საფუძვლად აიღება ის ღირებულება, რომელიც არსებულ ქონებას ჰქონდა მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის შეწყვეტის მომენტში და ის ღირებულება, რომლითაც შემცირდა საბოლოო ქონებაზე მისამატებელი ქონება – ქონების შემცირების დადგომის მომენტში.

(3) ზემოაღნიშნული ნორმები შესაბამისად მოქმედებს ვალდებულებათა შეფასების მიმართ.

(4) სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო წარმოება, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საწყისი და საბოლოო ქონების გაანგარიშებისას, უნდა შეფასდეს სამომავლო მოგების ღირებულების (Ertragswert) მიხედვით, თუ მესაკუთრეს წარედგინება მოთხოვნა §1378 1-ლი ნაწილის თანახმად და მესაკუთრისაგან ან შთამომავლებისაგან მოსალოდნელია წარმოების შემდგომი გაძღოლა ან განახლება; გამოიყენება §2049 მე-2 ნაწილის ნორმა.

§ 1377. საწყისი ქონების ჩამონათვალი

(1) თუ მეუღლეებმა ჩამონათვალში ერთობლივად განსაზღვრეს თითოეული მათგანის კუთვნილი საწყისი ქონებისა და ამ ქონებაზე დასამატებელი საგნების შემადგენლობა და ღირებულება, მაშინ ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში ივარაუდება, რომ ჩამონათვალი სწორია.

(2) თითოეულ მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლეს მოსთხოვოს თანამონაწილეობა ჩამონათვალის შედგენაში. ჩამონათვალის შედგენის მიმართ გამოიყენება უზუფრუქტის მიმართ მოქმედი §1035 ნორმები. თითოეულ მეუღლეს შეუძლია ქონების შემადგენლობაში შემავალი საგნები და ვალდებულებები საკუთარი ხარჯით შეაფასოს ექსპერტის მეშვეობით.
(3) თუ ჩამონათვალი არ იქნა გაკეთებული, ივარაუდება, რომ მეუღლის საბოლოო ქონებას შეადგენს მის მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება.

§ 1378. ქონების განაწილების მოთხოვნა
(1) თუ ერთ-ერთი მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება აღემატება მეორე მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას, მაშინ ნამეტი ქონების ნახევარი ეკუთვნის მეორე მეუღლეს ქონების განაწილების მოთხოვნის დაკმაყოფილების სახით.
(2) ქონების განაწილების მოთხოვნის ოდენობა შეზღუდულია იმ ქონების ღირებულებით, რომელიც ვალდებულებების გამოკლების შემდეგ რჩება მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის შეწყვეტის მომენტში. 1-ლი წინადადების თანახმად მიღებული ქონების განაწილების მოთხოვნის შეზღუდვა §1375 მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევებში იზრდება საბოლოო ქონებისათვის დასამატებელი თანხით.
(3) ქონების განაწილების მოთხოვნა წარმოიშობა მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის შეწყვეტისთანავე და აღნიშნული მომენტიდან იგი ექვემდებარება გასხვისებას და მემკვიდრეობით გადაცემას. ქონების განაწილების შესახებ შეთანხმება, რომელსაც ქორწინების შეწყვეტის შემთხვევისათვის მეუღლეები დებენ განქორწინების პროცესის დროს, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით; §127ა გამოიყენება ასევე იმ შეთანხმების მიმართ, რომელიც განქორწინების საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ შეიტანება სხდომის ოქმში. დანარჩენ შემთხვევებში არც ერთ მეუღლეს არ შეუძლია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის შეწყვეტამდე იკისროს ვალდებულება ქონების განაწილების მოთხოვნის განკარგვის თაობაზე.
(4) ქონების განაწილების მოთხოვნა ხანდაზმულია სამი წლის ვადის გასვლისთანავე; ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მეუღლე შეიტყობს მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ. თუმცა, მოთხოვნა ყველა შემთხვევაში ხანდაზმულია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ მაქსიმუმ 30 წლის გასვლისთანავე. თუ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი წყდება მეუღლის გარდაცვალებით, მაშინ ასევე გამოიყენება სამკვიდრო ქონების სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის მომწესრიგებელი ნორმები.

§ 1379. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება
(1) თუ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი წყდება ან მეუღლემ წარადგინა განცხადება განქორწინების, ქორწინების გაუქმების, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების რეჟიმის ვადამდე შეწყვეტისას ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ვადამდელი განაწილების ანდა მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების რეჟიმის ვადამდე შეწყვეტის მოთხოვნით, მაშინ თითოეულ მეუღლეს მეორე მეუღლისაგან შეუძლია მოითხოვოს

1. განცალკევებული ცხოვრების დაწყების მომენტისათვის ქონების შესახებ ინფორმაცია;
2. ქონების შესახებ ინფორმაცია, თუ ეს მნიშვნელოვანია საწყისი და საბოლოო ქონების გაანგარიშებისათვის.

მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ თითოეული მეუღლე ვალდებულია, მეორე მეუღლეს მიაწოდოს ინფორმაცია თავისი საბოლოო ქონების მდგომარეობის შესახებ. მოთხოვნის შემთხვევაში წარდგენილ უნდა იქნეს მტკიცებულებები. თითოეულ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს მისი ჩართვა მისთვის §260 მიხედვით წარსადგენი ჩამონათვალის შედგენისას და ქონების შემადგენლობაში შესული საგნებისა და ვალდებულებების ღირებულების დადგენა. მას შეუძლია ასევე მოითხოვოს, რომ ჩამონათვალი მისი ხარჯით შედგენილ იქნეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს ან კომპეტენტური თანამდებობის პირის ანდა ნოტარიუსის მიერ.

(2) თუ მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ, მაშინ თითოეულ მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლისაგან მოითხოვოს ქონების შესახებ ინფორმაცია განცალკევებული ცხოვრების დაწყების მომენტისათვის. შესაბამისად მოქმედებს 1-ლი ნაწილის 2-4 წინადადებები.

§ 1380. წინასწარ მიღებული სუბსიდიების (Vorausempfängen) ანგარიშში ჩათვლა

(1) მეუღლის ქონების განაწილების მოთხოვნის ანგარიშში ჩაითვლება ის ქონება, რაც მას მიეცემა მეორე მეუღლისაგან ცოცხალ პირთა შორის გარიგებით იმ დათქმით, რომ იგი უნდა ჩაითვალოს ქონების განაწილების მოთხოვნის ანგარიშში. საეჭვოობისას ივარაუდება, რომ გადაცემული ქონება უნდა ჩაითვალოს ქონების განაწილების მოთხოვნის ანგარიშში, თუ მისი ღირებულება აღემატება იმ ცალკეული შემთხვევისათვის გათვალისწინებული ნაჩუქარი ნივთების ღირებულებას, რომლებიც მიჩნეულია ჩვეულებრივად მეუღლეთა ცხოვრების პირობების მიხედვით.

(2) ქონების განაწილების მოთხოვნის გაანგარიშებისას გადაცემული ქონების ღირებულება ემატება იმ მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებას, რომელმაც განახორციელა ქონების გადაცემა. ღირებულება განისაზღვრება ქონების გადაცემის მომენტისათვის.

§ 1381. შესრულებაზე უარი აშკარა უსამართლობის გამო

(1) მოვალეს შეუძლია უარი თქვას ქონების განაწილების მოთხოვნის შესრულებაზე, თუ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილება საქმის გარემოებიდან გამომდინარე აშკარად უსამართლო იქნებოდა.

(2) აშკარა უსამართლობას შეიძლება, კერძოდ, ჰქონდეს ადგილი იმ შემთხვევაში, როდესაც მეუღლე, რომელმაც მიიღო უფრო მცირე ნამეტი, ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ბრალეულად არ ასრულებდა საქორწინო ურთიერთობიდან გამომდინარე სამეურნეო ვალდებულებებს.

§ 1382. განაწილების მოთხოვნის შესრულების გადავადება

(1) განცხადების საფუძველზე საოჯახო საქმეთა სასამართლო ახდენს განაწილების მოთხოვნის შესრულების გადავადებას, რამდენადაც მოვალე ამას არ ასაჩივრებს, თუ დაუყოვნებელი გადახდა კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებითაც კი არათავისდროული იქნებოდა. დაუყოვნებელი გადახდა არათავისდროულია ასევე

იმ შემთხვევაშიც, თუ იგი გამოიწვევდა საერთო შვილების საცხოვრებელი პირობებისა თუ სხვა საყოფაცხოვრებო პირობების ხანგრძლივვადიან გაუარესებას.
(2) გადავადებულ მოთხოვნაზე მოვალე იხდის დარიცხულ პროცენტს.
(3) განცხადების საფუძველზე საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მოვალემ გადავადებული მოთხოვნისათვის უნდა წარადგინოს უზრუნველყოფა.
(4) პროცენტების ოდენობისა და გადახდის ვადების, აგრეთვე, უზრუნველყოფის სახისა და მოცულობის შესახებ საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილებას იღებს სამართლიანი შეფასებით.
(5) თუ ქონების განაწილების მოთხოვნის თაობაზე დავა მიმდინარეობს სასამართლოში, მოვალეს შეუძლია გადავადების შესახებ მოთხოვნა წარადგინოს მხოლოდ ამ პროცესზე.
(6) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია განცხადების საფუძველზე გააუქმოს ან შეცვალოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ ამ უკანასკნელის მიღების შემდეგ გარემოებები არსებითად შეიცვალა.

§ 1383. ქონების შემადგენლობაში შემავალი საგნების გადაცემა
(1) კრედიტორის განცხადების საფუძველზე საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მოვალემ მის ქონებაში შემავალი განსაზღვრული საგნები გადასცეს კრედიტორს განაწილების მოთხოვნის ანგარიშში, თუ აღნიშნული აუცილებელია კრედიტორისათვის აშკარა უსამართლობის თავიდან ასაცილებლად და თუ აღნიშნული მოვალისათვის შესაძლებელია; გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს თანხა, რომელიც ჩაითვლება განაწილების მოთხოვნის ანგარიშში.
(2) კრედიტორმა განცხადებაში უნდა მიუთითოს ის საგნები, რომელთა გადაცემასაც იგი ითხოვს.
(3) შესაბამისად მოქმედებს §1382 მე-5 ნაწილი.

§ 1384. ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაანგარიშებისა და ქონების განაწილების მოთხოვნის ოდენობის დადგენის მომენტი განქორწინების შემთხვევაში
თუ ქორწინება წყდება განქორწინებით, მაშინ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაანგარიშებისა და ქონების განაწილების მოთხოვნის ოდენობის დადგენისას მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის შეწყვეტის მომენტს ცვლის სასამართლოს მიერ განქორწინების განცხადების განსახილველად მიღების მომენტი.

§ 1385. ქონების განაწილებაზე უფლებამოსილი მეუღლის მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ვადამდელი განაწილება ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების რეჟიმის ვადამდელი გაუქმების შემთხვევაში
ქონების განაწილებაზე უფლებამოსილ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების ვადამდელი განაწილება ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების რეჟიმის ვადამდელი გაუქმების შემთხვევაში, თუ
1. მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში,
2. არსებობს §1365 ან §1375 მე-2 ნაწილში მითითებული მოქმედებების განხორციელების რისკი და ამის გამო მნიშვნელოვანი საფრთხე ექმნება ქონების განაწილების მოთხოვნის შესრულებას,

3. მეორე მეუღლე ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ბრალეულად არ ასრულებდა საქორწინო ურთიერთობიდან გამომდინარე სამეურნეო ვალდებულებებს და სავარაუდოდ იგი ამ ვალდებულებებს არც მომავალში შეასრულებს ან
4. მეორე მეუღლე საკმარისი საფუძვლის გარეშე მუდმივად უცხადებს მას უარს – ან საკმარისი საფუძვლის გარეშე უცხადებდა მას უარს ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სარჩელის წარდგენამდე – თავისი ქონების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე.

§ 1386. ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების რეჟიმის ვადამდელი გაუქმება

ნებისმიერ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების რეჟიმის ვადამდელი გაუქმება §1385 შესაბამისი გამოყენებით.

§ 1387. ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაანგარიშებისა და ქონების განაწილების მოთხოვნის ოდენობის დადგენის მომენტი ქონების ვადამდელი განაწილების ან ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების რეჟიმის ვადამდელი გაუქმების შემთხვევაში

§§1385 და 1386 გათვალისწინებულ შემთხვევებში მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაანგარიშებისა და ქონების განაწილების მოთხოვნის ოდენობის დადგენისას მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის შეწყვეტის მომენტს ცვლის შესაბამისი სარჩელის შეტანის მომენტი.

§ 1388. მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმის დადგენა

ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების რეჟიმის ვადამდელი გაუქმების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე დგინდება მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმი.

§ 1389. *(გაუქმებულია)*

§ 1390. ქონების განაწილებაზე უფლებამოსილი პირის მოთხოვნის უფლებები მესამე პირების მიმართ

(1) ქონების განაწილებაზე უფლებამოსილ მეუღლეს შეუძლია მესამე პირისაგან მოითხოვოს ქონების განაწილებაზე ვალდებული მეუღლის მიერ მესამე პირზე უსასყიდლო გადაცემის ღირებულების ანაზღაურება, თუ

1. ქონების განაწილებაზე ვალდებულმა მეუღლემ მესამე პირზე უსასყიდლო გადაცემა განახორციელა ქონების განაწილებაზე უფლებამოსილი მეუღლისათვის ზიანის მიყენების განზრახვით და
2. ქონების განაწილების მოთხოვნის ოდენობა აღემატება საერთო ქონების რეჟიმის გაუქმებისას ვალდებულებების გამოკლების შემდეგ დარჩენილი ქონების განაწილებაზე ვალდებული მეუღლის ქონების ღირებულებას.

მიღებული ქონებისათვის საზღაურის ღირებულება განისაზღვრება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად. მესამე პირს შეუძლია თავიდან აიცილოს გადახდა მიღებული ქონების უკან დაბრუნებით. ქონების განაწილებაზე ვალდებული მეუღლე და მესამე პირი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს სხვა იურიდიული მოქმედებების მიმართ, თუ მეუღლისათვის ზიანის მიყენების განზრახვა მესამე პირისათვის ცნობილი იყო.
(3) მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ სამი წლის ვადაში. თუ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი წყდება მეუღლის გარდაცვალებით, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა არ ჩერდება იმის გამო, რომ მოთხოვნის უფლება შეიძლება რეალიზებულ იქნეს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მეუღლემ უარი თქვა მემკვიდრეობასა თუ საანდერძო დანაკისრზე.
(4) გაუქმებულია

§ 1391-1407. *(გაუქმებულია)*

ქვეკარი 2. სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი

თავი 1. ზოგადი დებულებები

§ 1408. საქორწინო ხელშეკრულება, ხელშეკრულების დადებისა და შინაარსის თავისუფლება
(1) მეუღლეებს შეუძლიათ თავიათი ქონებრივი ურთიერთობები მოაწესრიგონ ხელშეკრულებით (საქორწინო ხელშეკრულებით), კერძოდ კი, გააუქმონ ან შეცვალონ ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი ქორწინების გაფორმების შემდეგაც კი.
(2) თუ საქორწინო ხელშეკრულებაში მეუღლეები გამორიცხავენ შეთანხმებებს სოციალური უზრუნველყოფის მიზნით წილების გათანაბრების (Versorgungsausgleich) შესახებ, მაშინ შესაბამისად გამოიყენება "სოციალური უზრუნველყოფის მიზნით წილების გათანაბრების შესახებ" კანონის (Versorgungsausgleichsgesetz) §§6 და 8.

§ 1409. ხელშეკრულების თავისუფლების შეზღუდვა
მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი არ შეიძლება დადგინდეს იმ სამართალზე მითითებით, რომელიც უკვე აღარ მოქმედებს, ან უცხო ქვეყნის სამართალზე.

§ 1410. ფორმა
საქორწინო ხელშეკრულება უნდა დაიდოს სანოტარო წესით ორივე მხარის ერთდროული თანდასწრებით.

§ 1411. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე და ქმედუუნარო პირების საქორწინო ხელშეკრულებები
(1) შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს შეუძლია საქორწინო ხელშეკრულების დადება მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. ეს წესი მოქმედებს სამზრუნველო პირის მიმართაც, თუ სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხისათვის დადგენილია დათქმა თანხმობის აუცილებლობის შესახებ. თუ კანონიერი წარმომადგენელი მეურვეა, მაშინ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარდა საჭიროა საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა, თუ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილება გამორიცხული ან შეზღუდულია ანდა თუ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი შეთანხმებული ან გაუქმებულია; თუ

კანონიერი წარმომადგენელი მზრუნველია, მაშინ საჭიროა მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს (Betreuungsgericht) ნებართვა. კანონიერ წარმომადგენელს არ შეუძლია საქორწინო ხელშეკრულების დადება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მეუღლის ან ქმედუნარიანი სამზრუნველო პირის სასარგებლოდ.
(2) ქმედუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ხელშეკრულებას დებს კანონიერი წარმომადგენელი; მას არ შეუძლია შეათანხმოს ან გააუქმოს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი. თუ კანონიერი წარმომადგენელი მეურვეა, მაშინ მას ხელშეკრულების დადება შეუძლია მხოლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით; თუ კანონიერი წარმომადგენელი მზრუნველია, მაშინ საჭიროა მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს თანხმობა.

§ 1412. სამართლებრივი შედეგი მესამე პირების მიმართ
(1) თუ მეუღლეებმა კანონისმიერი ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი გამორიცხეს ან შეზღუდეს, მაშინ ამის საფუძველზე მათ შეუძლიათ მესამე პირების მიმართ წარადგინონ შესაგებელი იმ გარიგების საწინააღმდეგოდ, რომელიც დაიდო ერთ-ერთ მათგანსა და მესამე პირს შორის, იმ პირობით, რომ საქორწინო ხელშეკრულება რეგისტრირებული იყო კომპეტენტური რაიონული სასამართლოს მიერ წარმოებულ ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის რეესტრში ან მესამე პირმა იცოდა საქორწინო ხელშეკრულების არსებობის შესახებ გარიგების დადების მომენტში; კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს იმ გადაწყვეტილების მიმართ წარდგენილი შესაგებელი, რომელიც მიღებულ იქნა ერთ-ერთ მეუღლესა და მესამე პირს შორის, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქორწინო ხელშეკრულება რეგისტრირებული იყო ან სასამართლო დავის განხილვის მომენტში მესამე პირმა იცოდა საქორწინო ხელშეკრულების არსებობის შესახებ.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მეუღლეები საქორწინო ხელშეკრულებით აუქმებენ ან ცვლიან ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმის რეესტრში რეგისტრირებულ ქონებრივი ურთიერთობების წესებს.

§ 1413. ქონების მართვის მინიჭებული უფლების გაუქმება
თუ მეუღლე თავის ქონებას სამართავად გადასცემს მეორე მეუღლეს, მაშინ ქონების მართვის მინიჭებული უფლების ნებისმიერ დროს გაუქმების უფლება შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს მხოლოდ საქორწინო ხელშეკრულებით; თუმცა, მნიშვნელოვანი საფუძვლით გაუქმების უფლება დასაშვებია.

თავი 2. გაყოფილი ქონების რეჟიმი

§ 1414. გაყოფილი ქონების რეჟიმის დადგენა
თუ მეუღლეები გამორიცხავენ საერთო ქონების რეჟიმს ან აუქმებენ მას, მაშინ დგინდება გაყოფილი ქონების რეჟიმი, თუ საქორწინო ხელშეკრულებიდან სხვა რამე არ გამომდინარეობს. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილება გამორიცხულია ან მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი გაუქმებულია.

თავი 3. მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი

ქვეთავი 1. ზოგადი დებულებები

§ 1415. საქორწინო ხელშეკრულებით დადებული შეთანხმება
თუ მეუღლეები საქორწინო ხელშეკრულებით თანხმდებიან მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმზე, მაშინ მოქმედებს ქვემოთ მოცემული ნორმები.

§ 1416. მეუღლეთა საერთო ქონება (Gesamtgut)
(1) ქმრის ქონება და ცოლის ქონება მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დადგენით ხდება ორივე მეუღლის საერთო ქონება (მეუღლეთა საერთო ქონება). მეუღლეთა საერთო ქონებას მიეკუთვნება ასევე ის ქონება, რომელსაც ქმარი ან ცოლი იძენენ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის პერიოდში.
(2) ცალკეული საგნები ხდება საერთო; ისინი არ საჭიროებს გარიგებით გადაცემას.
(3) თუ უფლება, რომელიც რეგისტრირებულია საადგილმამულო რეესტრში ან რომელიც შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს საადგილმამულო რეესტრში, ხდება საერთო, მაშინ ნებისმიერ მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლეს მოსთხოვოს საადგილმამულო რეესტრის შესწორების ხელშეწყობა. შესაბამისი წესი მოქმედებს, თუ საერთო ხდება საზღვაო ხომალდების ან მშენებარე საზღვაო ხომალდების რეესტრში რეგისტრირებული უფლება.

§ 1417. მეუღლეთა პირადი ქონება (Sondergut)
(1) მეუღლეთა საერთო ქონებიდან გამოირიცხება მეუღლეთა პირადი ქონება.
(2) მეუღლეთა პირად ქონებას მიეკუთვნება საგნები, რომელთა გარიგებით გადაცემა დაუშვებელია.
(3) თითოეული მეუღლე დამოუკიდებლად მართავს თავის პირად ქონებას. იგი მართავს მას მეუღლეთა საერთო ქონების ხარჯზე.

§ 1418. გამოყოფილი ქონება (Vorbehaltsgut)
(1) მეუღლეთა საერთო ქონებიდან გამოირიცხება გამოყოფილი ქონება.
(2) გამოყოფილ ქონებას მიეკუთვნება საგნები,
1. რომლებიც საქორწინო ხელშეკრულებით აღიარებულია როგორც გამოყოფილი ქონება,
2. რომლებსაც მეუღლე იძენს გარდაცვალების შედეგად ან რომლებსაც მას უსასყიდლოდ გადასცემს მესამე პირი, თუ მამკვიდრებელმა საანდერძო განკარგულებაში, ხოლო მესამე პირმა კი – ქონების გადაცემისას განსაზღვრეს, რომ შენაძენი უნდა ჩაითვალოს გამოყოფილ ქონებად,
3. რომლებსაც მეუღლე იძენს თავის გამოყოფილ ქონებას მიკუთვნებული უფლების საფუძველზე ან გამოყოფილ ქონებას მიკუთვნებული საგნის განადგურების, დაზიანებისა თუ ჩამორთმევისათვის საზღაურის სახით ანდა გამოყოფილ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებით.

(3) თითოეული მეუღლე დამოუკიდებლად მართავს თავის გამოყოფილ ქონებას. იგი მართავს მას მეუღლეთა საერთო ქონების ხარჯზე.
(4) თუ ქონებაში შემავალი საგნები მიეკუთვნება გამოყოფილ ქონებას, მაშინ ეს მესამე პირის მიმართ ძალმოსილია მხოლოდ §1412 შემთხვევაში.

§ 1419. თანაზიარი საერთო საკუთრების რეჟიმი (Gesamthandsgemeinschaft)
(1) მეუღლეს არ შეუძლია მეუღლეთა საერთო ქონებაში თავისი წილისა და მასში შემავალი ცალკეული საგნების განკარგვა; იგი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს ქონების გაყოფა.
(2) მეუღლეთა საერთო ქონებაში შემავალი მოთხოვნის მიმართ მოვალეს შეუძლია გაქვითოს მხოლოდ ის მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილების მოთხოვნაც მას შეუძლია მეუღლეთა საერთო ქონების ღირებულებიდან.

§ 1420. რჩენის ხარჯები
ოჯახის რჩენისათვის პირველ რიგში გამოყენებულ უნდა იქნეს ის შემოსავლები, რომლებიც მეუღლეთა საერთო ქონებაზე მოდის, შემდეგში – შემოსავლები, რომლებიც მოდის მეუღლეთა გამოყოფილ ქონებაზე, ხოლო მეუღლეთა საერთო ქონების კაპიტალი კი გამოყენებულ უნდა იქნეს მეუღლეთა გამოყოფილი ქონების ან მეუღლეთა პირადი ქონების კაპიტალზე უპირატესად.

§ 1421. მეუღლეთა საერთო ქონების მართვა
იმ საქორწინო ხელშეკრულებაში, რომლითაც მეუღლეები თანხმდებიან მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმზე, ამ უკანასკნელებმა უნდა განსაზღვრონ, მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს ქმარი თუ ცოლი ან ორივე მეუღლე ერთობლივად. თუ საქორწინო ხელშეკრულება ასეთ დანაწესს არ შეიცავს, მაშინ მეუღლეები საერთო ქონებას მართავენ ერთობლივად.

ქვეთავი 2. მეუღლეთა საერთო ქონების მართვა ქმრის ან ცოლის მიერ

§ 1422. მართვის უფლების შინაარსი
მეუღლე, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, მათ შორის, უფლებამოსილია მფლობელობაში მიიღოს მეუღლეთა საერთო ქონებაში შემავალი ნივთები და განკარგოს მეუღლეთა საერთო ქონება; იგი საკუთარი სახელით უძღვება მეუღლეთა საერთო ქონებასთან დაკავშირებულ სასამართლო დავებს. მეორე მეუღლე არ არის პირადად პასუხისმგებელი მართვასთან დაკავშირებული მოქმედებების შედეგისათვის.

§ 1423. მეუღლეთა საერთო ქონების მთლიანად განკარგვა
მეუღლეს, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, შეუძლია იკისროს მეუღლეთა საერთო ქონების მთლიანად განკარგვის ვალდებულება მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით. თუ მან ვალდებულება იკისრა მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, მაშინ მას ვალდებულების შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე ამაზე თანახმაა.

§ 1424. მიწის ნაკვეთების, საზღვაო ხომალდების ან მშენებარე საზღვაო ხომალდების განკარგვა
მეუღლეს, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, შეუძლია მეუღლეთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთის განკარგვა მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით; მას შეუძლია ასეთი ვალდებულების კისრება ასევე მხოლოდ მეორე მეუღლის

თანხმობით. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მეუღლეთა საერთო ქონებაში შედის რეგისტრირებული საზღვაო ხომალდი ან მშენებარე საზღვაო ხომალდი.

§ 1425. ჩუქება

(1) მეუღლეს, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, შეუძლია მეუღლეთა საერთო ქონებაში შემავალი საგნების გაჩუქება მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით; თუ იგი მეუღლეთა საერთო ქონებაში შემავალი საგნების ჩუქებას შეჰპირდა მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე, მაშინ მას შეპირების შესრულება შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე ამაზე თანახმაა. ანალოგიური წესი მოქმედებს ისეთი ჩუქების შეპირების მიმართ, რომელიც მეუღლეთა საერთო ქონებას არ ეხება.
(2) გამონაკლისს წარმოადგენს ნაჩუქრობები, რომლებიც შეესაბამება მორალურ ვალდებულებას ან გაკეთდა ზრდილობისათვის.

§ 1426. მეორე მეუღლის თანხმობის შეცვლა

თუ მეუღლეთა საერთო ქონების სათანადო მართვისათვის საჭიროა გარიგება, რომელიც §§1423, 1424 თანახმად შეიძლება დაიდოს მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია განცხადების საფუძველზე მეორე მეუღლის თანხმობა შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებით, თუ ეს მეუღლე უარს აცხადებს თანხმობის მიცემაზე საკმარისი საფუძვლის გარეშე ან მას ხელი ეშლება განცხადების გაკეთებაში ავადმყოფობის ან არყოფნის შედეგად, ხოლო დაყოვნებასთან კი დაკავშირებულია რისკი.

§ 1427. თანხმობის არარსებობის სამართლებრივი შედეგები

(1) თუ მეუღლე, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, გარიგებას დებს მეორე მეუღლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ შესაბამისად მოქმედებს §1366 1-ლი, მე-2, მე-4 ნაწილებისა და §1367 ნორმები.
(2) მოწონებამდე მესამე პირს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. თუ მან იცოდა, რომ მეუღლე ცხოვრობს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში, მაშინ მას შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეუღლე ცრუდ ამტკიცებდა, რომ მეორე მეუღლემ განაცხადა თანხმობა; თუმცა, ამ შემთხვევაშიც მას არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ მისთვის ხელშეკრულების დადების მომენტში ცნობილი იყო, რომ მეორე მეუღლეს თანხმობა არ განუცხადებია.

§ 1428. განკარგვები თანხმობის გარეშე

თუ მეუღლე, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, განკარგავს მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებულ უფლებას მეორე მეუღლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მესამე პირის მიმართ უფლება განახორციელოს სასამართლო წესით; ამ შემთხვევაში იმ მეუღლის ხელშეწყობა, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, არ მოითხოვება.

§ 1429. მართვის უფლება გადაუდებელ შემთხვევებში

თუ მეუღლეს, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, ავადმყოფობის ან არყოფნის შედეგად ხელი ეშლება იმ გარიგების დადებაში, რომელიც ეხება მეუღლეთა საერთო ქონებას, მაშინ მეორე მეუღლეს შეუძლია გარიგების დადება, თუ დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხესთან; ამ შემთხვევაში მას შეუძლია მოქმედება როგორც საკუთარი, ისე მმართველი მეუღლის სახელით. ანალოგიური წესი მოქმედებს

მეუღლეთა საერთო ქონებასთან დაკავშირებული სასამართლო დავის წარმართვის მიმართ.

§ 1430. მმართველი მეუღლის თანხმობის შეცვლა
თუ მეუღლე, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, საკმარისი საფუძვლის გარეშე უარს აცხადებს იმ გარიგებაზე, რომელიც მეორე მეუღლემ უნდა დადოს საკუთარი საქმეების მიმართ სათანადო ზრუნვისათვის, თუმცა, მას არ შეუძლია ამის განხორციელება აღნიშნული თანხმობის გარეშე მეუღლეთა საერთო ქონების მიმართ სამართლებრივი შედეგით, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია განცხადების საფუძველზე თანხმობა შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებით.

§ 1431. დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობა
(1) თუ მეუღლემ, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, მეორე მეუღლეს განუცხადა თანხმობა წარმოების დამოუკიდებლად გაძღოლაზე, მაშინ ასეთ გარიგებებსა და სასამართლო დავებზე, რომლებიც ეხება წარმოებას, თანხმობა საჭირო არ არის. ცალმხრივი გარიგებები, რომლებიც დაკავშირებულია სამეწარმეო საქმიანობასთან, უნდა დაიდოს იმ მეუღლის მიმართ, რომელიც ამ წარმოებას უძღვება.
(2) თუ იმ მეუღლემ, ვინც მართავს მეუღლეთა საერთო ქონებას, იცის, რომ მეორე მეუღლე უძღვება წარმოებას და მას ამაზე პროტესტი არ განუცხადებია, მაშინ ეს უთანაბრდება თანხმობას.
(3) მესამე პირის მიმართ პროტესტი და თანხმობაზე უარი სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ §1412 შესაბამისად.

§ 1432. სამკვიდროს მიღება; უარი ოფერტზე ან ჩუქებაზე
(1) თუ მეუღლემ, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას არ მართავს, უნდა მიიღოს სამკვიდრო ან საანდერძო დანაკისრი, მაშინ იგი უფლებამოსილია მხოლოდ სამკვიდრო ან საანდერძო დანაკისრის მიღებაზე ან უარზე; მეორე მეუღლის თანხმობა საჭირო არ არის. ანალოგიური წესი მოქმედებს სავალდებულო წილზე ან მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილებაზე უარის მიმართ, ისევე როგორც ოფერტზე ან ჩუქებაზე უარის მიმართ.
(2) მეუღლეს, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას არ მართავს, შეუძლია მის მიერ მისაღები სამკვიდროს აღწერა მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე.

§ 1433. სასამართლო დავის გაგრძელება
მეუღლეს, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას არ მართავს, შეუძლია მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე გააგრძელოს იმ სასამართლო დავის წარმოება, რომელიც მიმდინარეობდა მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დადგენის მომენტში.

§ 1434. მეუღლეთა საერთო ქონების უსაფუძვლო გამდიდრება
თუ იმ გარიგებით, რომელსაც მეუღლე დებს მეორე მეუღლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მდიდრდება მეუღლეთა საერთო ქონება, მაშინ მეუღლეთა საერთო ქონებას უნდა გამოაკლდეს უსაფუძვლოდ მიმატებული უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად.

§ 1435. მმართველი მეუღლის ვალდებულებები
მეუღლემ უნდა განახორციელოს მეუღლეთა საერთო ქონების სათანადო მართვა. მან მეორე მეუღლეს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მართვის შესახებ და მოთხოვნის საფუძველზე შეატყობინოს მას მართვის მდგომარეობის თაობაზე. თუ მეუღლეთა საერთო ქონების ღირებულება მცირდება, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს ღირებულების შემცირება, თუ მას ზარალის დადგომაში მიუძღვის ბრალი ან მან ზარალი გამოიწვია ისეთი გარიგებით, რომელიც დადო მეორე მეუღლის აუცილებელი თანხმობის გარეშე.

§ 1436. მმართველ მეუღლეზე მეურვეობა ან მზრუნველობა
თუ მეუღლე, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს, იმყოფება მეურვეობის ქვეშ ან მეუღლეთა საერთო ქონების მართვა შედის მისი მზრუნველის მოვალეობათა წრეში, მაშინ მეურვემ ან მზრუნველმა უნდა წარმოადგინონ იგი იმ უფლებებსა და ვალდებულებებში, რომლებიც გამომდინარეობს მეუღლეთა საერთო ქონების მართვიდან. აღნიშნული წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მეურვედ ან მზრუნველად დანიშნულია მეორე მეუღლე.

§ 1437. მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები; პირადი პასუხისმგებლობა
(1) იმ მეუღლის კრედიტორებს, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს, აგრეთვე, მეორე მეუღლის კრედიტორებს შეუძლიათ მოითხოვონ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილება მეუღლეთა საერთო ქონებიდან, თუ §§1438-1440 სხვა რაიმე არ გამომდინარეობს (მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები).
(2) მეუღლე, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს, მეორე მეუღლის იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოადგენს მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებულ ვალდებულებებს, პასუხს აგებს როგორც სოლიდარული მოვალე. პასუხისმგებლობა უქმდება მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის მომენტიდან, თუ მეუღლეთა ვალდებულებები ერთმანეთს შორის ეკისრება მეორე მეუღლეს.

§ 1438. პასუხისმგებლობა მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში
(1) მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობა იმ გარიგებიდან გამომდინარე, რომელიც იდება მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს, დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარიგებას დებს ის მეუღლე, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს, ან იგი ამ გარიგების დადებაზე თანახმაა ანდა თუ გარიგება მეუღლეთა საერთო ქონების მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა მისი თანხმობის გარეშეც.
(2) მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობა სასამართლო დავის ხარჯებისათვის დგება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების მოქმედება არ ვრცელდება მეუღლეთა საერთო ქონებაზე.

§ 1439. პასუხისმგებლობის არარსებობა სამკვიდროს შეძენისას
მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობა არ დგება იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშობა სამკვიდროს შეძენის შედეგად, თუ ის მეუღლე, ვინც წარმოადგენს მემკვიდრეს, მეუღლეთა საერთო ქონებას არ მართავს და სამკვიდროს იძენს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს გამოყოფილი ქო-

ნების ან მეუღლეთა პირადი ქონების სახით; ანალოგიური წესი მოქმედებს საანდერძო დანაკისრის შეძენისას.

§ 1440. პასუხისმგებლობა გამოყოფილი ქონების ან მეუღლეთა პირადი ქონებისათვის
მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობა არ დგება იმ მეუღლის პირადი ვალდებულებისათვის, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას არ მართავს, თუ ეს ვალდებულება წარმოიშვა მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს გამოყოფილ ქონებაში ან მეუღლეთა პირად ქონებაში შემავალი უფლების საფუძველზე ან გამოყოფილ ქონებაში ან მეუღლეთა პირად ქონებაში შემავალი ნივთის ფლობის შედეგად. თუმცა, მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობა მაინც დგება, თუ უფლება ან ნივთი მიეკუთვნება წარმოებას, რომელსაც მეუღლე მეორე მეუღლის თანხმობით დამოუკიდებლად უძღვება ან თუ ვალდებულება წარმოადგენს მეუღლეთა პირადი ქონების უფლებრივ ტვირთს, რომელიც ჩვეულებრივ შემოსავლებიდან იფარება.

§ 1441. პასუხისმგებლობა შიდა ურთიერთობაში
ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული შემდეგი ვალდებულებები ეკისრება მეუღლეს, რომლებიც წარმოიშობა როგორც მისი პირადი ვალდებულებები:

1. იმ დელიქტიდან გამომდინარე, რომელსაც მეუღლე სჩადის მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დადგენის შემდეგ ან იმ სისხლის სამართლის პროცესიდან გამომდინარე, რომელიც მიმდინარეობს მის მიმართ აღნიშნული დელიქტური მოქმედების გამო;
2. მის გამოყოფილ ან პირად ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვალდებულებები წარმოიშვა მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დადგენამდე ან იმ დრომდე, როდესაც ქონება გახდა გამოყოფილი ქონება ან მეუღლეთა პირადი ქონება;
3. №№1 და 2-ში მითითებული ვალდებულებების თაობაზე სასამართლო დავის განხილვის ხარჯები.

§ 1442. მეუღლეთა პირად ქონებას მიკუთვნებული და წარმოების ვალდებულებები
§1441 №2, 3-ის ნორმა არ მოქმედებს, თუ ვალდებულებები წარმოადგენს მეუღლეთა პირადი ქონების უფლებრივ ტვირთს, რომელიც ჩვეულებრივ იფარება შემოსავლებიდან. ნორმა არ მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ვალდებულებები წარმოიშობა მეუღლეთა საერთო ქონების ხარჯზე განხორციელებული წარმოების გაძღოლის შედეგად ან ასეთ წარმოებაში შემავალი უფლების საფუძველზე ან ნივთის ფლობის შედეგად.

§ 1443. პროცესუალური ხარჯები
(1) ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში იმ სასამართლო დავის განხილვის ხარჯები, რომლებსაც ისინი აწარმოებენ ერთმანეთს შორის, ეკისრება იმ მეუღლეს, რომელსაც ზოგადი ნორმების თანახმად ევალება მათი გაღება.
(2) თუ მეუღლე, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას არ მართავს, აწარმოებს სასამართლო დავას მესამე პირთან, მაშინ ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში სასამართლო დავის განხილვის ხარჯები ეკისრება ამ მეუღლეს. თუმცა, ხარჯები ეკისრება მეუღლეთა საერთო ქონებას, თუ სასამართლოს გადაწყვეტილების

მოქმედება ვრცელდება მეუღლეთა საერთო ქონებაზე ან სასამართლო დავა ეხება მეუღლის პირად საქმეს ანდა მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებულ მის ვალდებულებას და გარემოებების მიხედვით მოითხოვება ხარჯების გაწევა; §1441 №3 და §1442 უცვლელი რჩება.

§ 1444. ბავშვისათვის გამოყოფილი აქტივის ხარჯები

(1) თუ მეუღლე, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს, შეჰპირდება ან უზრუნველყოფს საერთო ბავშვს მეუღლეთა საერთო ქონებიდან გამოყოფილი აქტივით, მაშინ ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში გამოყოფის ხარჯები ეკისრება მას, რამდენადაც გამოყოფილი აქტივი აღემატება იმ ოდენობას, რომელიც შეესაბამება მეუღლეთა საერთო ქონების ღირებულებას.

(2) თუ მეუღლე, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს, შეჰპირდება ან უზრუნველყოფს იმ ბავშვს მეუღლეთა საერთო ქონებიდან გამოყოფილი აქტივით, რომელიც არ არის საერთო შვილი, მაშინ ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში გამოყოფის ხარჯები ეკისრებათ მამას ან დედას; იმ მეუღლის მიმართ, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას არ მართავს, აღნიშნული წესი მოქმედებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი განაცხადებს თავის თანხმობას ან გამოყოფილი აქტივი არ აღემატება იმ ოდენობას, რომელიც შეესაბამება მეუღლეთა საერთო ქონების ღირებულებას.

§ 1445. კომპენსაცია (Ausgleichung) გამოყოფილ, მეუღლეთა პირადი ქონებასა და მეუღლეთა საერთო ქონებას შორის

(1) თუ მეუღლე, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს, მეუღლეთა საერთო ქონებას იყენებს საკუთარი გამოყოფილი ან პირადი ქონების სასარგებლოდ, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მეუღლეთა საერთო ქონების სარგებლობის ხარჯების ღირებულება.

(2) თუ მეუღლე საკუთარ გამოყოფილ ან პირად ქონებას იყენებს მეუღლეთა საერთო ქონების სასარგებლოდ, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია მეუღლეთა საერთო ქონებიდან.

§ 1446. კომპენსაციის მოთხოვნის უფლების შესრულების დრო

(1) მეუღლე, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს, ვალდებულია მეუღლეთა საერთო ქონების სასარგებლოდ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ; მეუღლეთა საერთო ქონების მიმართ არსებული მოთხოვნის წარდგენა შეიძლება მხოლოდ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ.

(2) მეუღლე, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას არ მართავს, ვალდებულია მეუღლეთა საერთო ქონების ან მეორე მეუღლის გამოყოფილი ანდა პირადი ქონების სასარგებლოდ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ; თუმცა, მან ვალი უნდა დაფაროს უკვე წინასწარ, თუ მისი გამოყოფილი ან პირადი ქონება ამისათვის საკმარისია.

§ 1447. მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ იმ მეუღლის სარჩელი, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას არ მართავს

მეუღლეს, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას არ მართავს, შეუძლია მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ სარჩელის წარდგენა,

1. თუ მომავალში მის უფლებებს შეიძლება შეექმნას მნიშვნელოვანი საფრთხე იმის შემდეგად, რომ მეორე მეუღლე უუნაროა, მართოს მეუღლეთა საერთო ქონება ან იგი ბოროტად იყენებს მისთვის მინიჭებულ მეუღლეთა საერთო ქონების მართვის უფლებას,
2. თუ მეორე მეუღლემ დაარღვია ოჯახის რჩენაში საკუთარი თანამონაწილეობის ვალდებულება და მომავალშიც რჩენას ექმნება მნიშვნელოვანი საფრთხე,
3. თუ მეუღლეთა საერთო ქონება დატვირთულია მეორე მეუღლის პირადი ვალდებულებებით იმ ოდენობით, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის იმ მეუღლის შემდგომ შენაძენს, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას არ მართავს,
4. თუ მეუღლეთა საერთო ქონების მართვა შედის მეორე მეუღლის მზრუნველის მოვალეობათა წრეში.

§ 1448. მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ საერთო ქონების მმართველი მეუღლის სარჩელი

მეუღლეს, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს, შეუძლია მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ სარჩელის წარდგენა, თუ მეუღლეთა საერთო ქონება დატვირთულია ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში მეორე მეუღლის მიერ ნაკისრი ვალდებულებებით იმ ოდენობით, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის შემდგომ შენაძენს.

§ 1449. მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა

(1) სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი წყდება; მომავლისათვის მოქმედებს გაყოფილი ქონების რეჟიმი.

(2) მესამე პირების მიმართ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტა მოქმედებს მხოლოდ §1412 პირობების გათვალისწინებით.

ქვეთავი 3. მეუღლეთა მიერ საერთო ქონების ერთობლივი მართვა

§ 1450. მეუღლეთა მიერ საერთო ქონების ერთობლივი მართვა

(1) თუ საერთო ქონებას მეუღლეები მართვენ ერთობლივად, მაშინ ისინი უფლებამოსილნი არიან, განკარგონ საერთო ქონება და წარმართონ მეუღლეთა საერთო ქონებასთან დაკავშირებული სასამართლო დავები მხოლოდ ერთობლივად. მეუღლეთა საერთო ქონებაში შემავალ ნივთებზე მფლობელობა მეუღლეებს ერთობლივად ეკუთვნით.

(2) თუ ნების გამოვლენა უნდა განხორციელდეს მეუღლეების მიმართ, მაშინ საკმარისია მისი განხორციელება მხოლოდ ერთი მეუღლის მიმართ.

§ 1451. ორივე მეუღლის მიერ ხელშეწყობის ვალდებულება

თითოეული მეუღლე ვალდებულია მეორე მეუღლის წინაშე, ხელი შეუწყოს იმ ზომების მიღებაში, რომლებიც აუცილებელია მეუღლეთა საერთო ქონების სათანადო მართვისათვის.

§ 1452. თანხმობის შეცვლა

(1) თუ მეუღლეთა საერთო ქონების სათანადო მართვისათვის საჭიროა გარიგების დადება ან სასამართლო დავის წარმოება, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მეუღლის განცხადების საფუძველზე მეორე მეუღლის თანხმობა შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებით, თუ ეს უკანასკნელი უარს აცხადებს თანხმობაზე საკმარისი საფუძვლის გარეშე.

(2) 1-ლი ნაწილის ნორმა მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მეუღლის პირადი საქმეების სათანადო შესრულებისათვის საჭიროა გარიგება, რომლის დადებაც მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე მეუღლეთა საერთო ქონების მიმართ სამართლებრივი შედეგით მეუღლეს არ შეუძლია.

§ 1453. განკარგვა თანხმობის გარეშე

(1) თუ მეუღლე განკარგავს მეუღლეთა საერთო ქონებას მეორე მეუღლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ შესაბამისად მოქმედებს §1366 1-ლი, მე-3, მე-4 ნაწილებისა და §1367 ნორმები.

(2) მოწონებამდე მესამე პირს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. თუ მესამე პირმა იცოდა, რომ მეუღლე ცხოვრობს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში, მაშინ მას შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეუღლე ცრუდ ამტკიცებდა, რომ მეორე მეუღლემ განაცხადა თანხმობა; თუმცა, ამ შემთხვევაშიც მას არ შეუძლია ხელშეკრულებაზე უარის თქმა, თუ მისთვის ხელშეკრულების დადების მომენტში ცნობილი იყო, რომ მეორე მეუღლეს თანხმობა არ განუცხადებია.

§ 1454. მართვის უფლება გადაუდებელ შემთხვევებში

თუ მეუღლეს ავადმყოფობის ან არყოფნის შედეგად ხელი ეშლება იმ გარიგების დადების ხელშეწყობაში, რომელიც მეუღლეთა საერთო ქონებას ეხება, მაშინ მეორე მეუღლეს შეუძლია გარიგების დადება, თუ დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხესთან; ამ შემთხვევაში მას შეუძლია მოქმედება როგორც საკუთარი, ისე ორივე მეუღლის სახელით. ანალოგიური წესი მოქმედებს მეუღლეთა საერთო ქონებასთან დაკავშირებული სასამართლო დავის წარმართვის მიმართ.

§ 1455. მმართველობითი მოქმედებები მეორე მეუღლის ხელშეწყობის გარეშე

თითოეულ მეუღლეს მეორე მეუღლის ხელშეწყობის გარეშე შეუძლია

1. მის მიერ მისაღები სამკვიდროს ან საანდერძო დანაკისრის მიღება ან მათზე უარი,
2. უარი თქვას კუთვნილ სავალდებულო წილზე ან მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილებაზე,
3. განახორციელოს მის მიერ ან მეორე მეუღლის მიერ მისაღები სამკვიდროს აღწერა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მეორე მეუღლის მიერ მისაღები სამკვიდრო მიეკუთვნება ამ უკანასკნელის გამოყოფილ ან პირად ქონებას,
4. უარი თქვას მის მიმართ წარდგენილ ოფერტზე ან განხორციელებულ ჩუქებაზე,
5. მეორე მეუღლის მიმართ დადოს მეუღლეთა საერთო ქონებასთან დაკავშირებული გარიგება,
6. სასამართლო წესით განახორციელოს მეუღლეთა საერთო ქონებაში შემავალი უფლება,

7. გააგრძელოს სასამართლო დავა, რომელიც მიმდინარეობდა მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დადგენის მომენტში,
8. მეუღლეთა საერთო ქონებაში შემავალი უფლება სასამართლო წესით განახორციელოს მესამე პირის მიმართ, თუ მეორე მეუღლემ აუცილებელი თანხმობის გარეშე განკარგა ეს უფლება,
9. სასამართლო წესით განახორციელოს მეუღლეთა საერთო ქონებაზე წარმოებული იძულებითი აღსრულების მიმართ შესაგებელი,
10. მიიღოს მეუღლეთა საერთო ქონების შენარჩუნებისათვის აუცილებელი ზომები, თუ დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხესთან.

§ 1456. დამოუკიდებელი წარმოება

(1) თუ მეუღლემ განაცხადა თანხმობა მეორე მეუღლის მიერ წარმოების დამოუკიდებლად გაძღოლაზე, მაშინ ამ წარმოებასთან დაკავშირებული გარიგებებისა და სასამართლო დავებისათვის მისი თანხმობა საჭირო არ არის. ცალმხრივი გარიგებები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებასთან, უნდა დაიდოს იმ მეუღლის მიმართ, ვინც წარმოებას უძღვება.

(2) თუ მეუღლემ იცის, რომ მეორე მეუღლე უძღვება წარმოებას და მას ამის წინააღმდეგ შესაგებელი არ შეუტანია, მაშინ აღნიშნული უთანაბრდება თანხმობას.

(3) მესამე პირის მიმართ შესაგებელი და თანხმობაზე უარის თქმა ძალმოსილია მხოლოდ §1412 შემთხვევაში.

§ 1457. მეუღლეთა საერთო ქონების უსაფუძვლო გამდიდრება

თუ იმ გარიგებით, რომელსაც მეუღლე დებს მეორე მეუღლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მდიდრდება მეუღლეთა საერთო ქონება, მაშინ უსაფუძვლოდ მიმატებული უნდა გამოაკლდეს მეუღლეთა საერთო ქონებას უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად.

§ 1458. მეუღლეთა საერთო ქონების უსაფუძვლო გამდიდრება

მანამდე, სანამ მეუღლე იმყოფება მშობლის ზრუნვის ან მეურვეობის ქვეშ, მეორე მეუღლე მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს ერთპიროვნულად; გამოიყენება §§1422-1449 ნორმები.

§ 1459. მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები; პირადი პასუხისმგებლობა

(1) თუ §§1460-1462 სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, ქმრისა და ცოლის კრედიტორებს შეუძლიათ მოითხოვონ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილება მეუღლეთა საერთო ქონებიდან (მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები).

(2) მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებებისათვის მეუღლები პასუხს აგებენ ასევე პირადად როგორც სოლიდარული მოვალეები. თუ ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში ვალდებულებები ეკისრება ერთ-ერთ მეუღლეს, მაშინ მეორე მეუღლის ვალდებულება წყდება მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის მომენტიდან.

§ 1460. პასუხისმგებლობა მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში

(1) მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობა იმ გარიგებიდან გამომდინარე, რომელსაც მეუღლე დებს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს,

დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლე ამ გარიგების დადებაზე თანახმაა ან თუ გარიგება მეუღლეთა საერთო ქონების მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა მისი თანხმობის გარეშეც.
(2) მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობა სასამართლო დავის ხარჯებისათვის დგება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილების მოქმედება არ ვრცელდება მეუღლეთა საერთო ქონებაზე.

§ 1461. პასუხისმგებლობის არარსებობა სამკვიდროს შეძენისას
მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობა არ დგება მეუღლის ვალდებულებებისათვის, რომლებიც წარმოიშობა სამკვიდროს ან საანდერძო დანაკისრის შეძენის შედეგად, თუ მეუღლე სამკვიდროს ან საანდერძო დანაკისრს იძენს გამოყოფილი ან პირადი ქონების სახით.

§ 1462. პასუხისმგებლობა გამოყოფილი ქონების ან მეუღლეთა პირადი ქონებისათვის
მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობა არ დგება მეუღლის იმ ვალდებულებისათვის, რომელიც წარმოიშობა მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს გამოყოფილ ან პირად ქონებაში შემავალი უფლების საფუძველზე ან ნივთის ფლობის შედეგად. თუმცა, მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობა მაინც დგება, თუ უფლება ან ნივთი მიეკუთვნება წარმოებას, რომელსაც მეუღლე მეორე მეუღლის თანხმობით დამოუკიდებლად უძღვება ან თუ ვალდებულება წარმოადგენს მეუღლეთა პირადი ქონების უფლებრივ ტვირთს, რომელიც ჩვეულებრივ შემოსავლებიდან იფარება.

§ 1463. პასუხისმგებლობა შიდა ურთიერთობაში
ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული შემდეგი ვალდებულებები ეკისრება მეუღლეს, რომლებიც წარმოიშობა როგორც მისი პირადი ვალდებულებები:
1. იმ დელიქტიდან გამომდინარე, რომელსაც მეუღლე სჩადის მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დადგენის შემდეგ ან იმ სისხლის სამართლის პროცესიდან გამომდინარე, რომელიც მიმდინარეობს მის მიმართ აღნიშნული დელიქტური მოქმედების გამო;
2. მის გამოყოფილ ან პირად ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვალდებულებები წარმოიშვა მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დადგენამდე ან იმ დრომდე, როდესაც ქონება გახდა გამოყოფილი ქონება ან მეუღლეთა პირადი ქონება;
3. №№1 და 2-ში მითითებული ვალდებულებების თაობაზე სასამართლო დავის განხილვის ხარჯები.

§ 1464. მეუღლეთა პირად ქონებას მიკუთვნებული და წარმოების ვალდებულებები
§1463 №2, 3-ის ნორმები არ მოქმედებს, თუ ვალდებულებები წარმოადგენს მეუღლეთა პირადი ქონების უფლებრივ ტვირთს, რომელიც ჩვეულებრივ შემოსავლებიდან იფარება. ნორმები არ მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ვალდებულებები წარმოიშობა მეუღლეთა საერთო ქონების ხარჯზე განხორციელებული წარმოების გაძღოლის შედეგად ან ასეთ წარმოებაში შემავალი უფლების საფუძველზე ან ნივთის ფლობის შედეგად.

§ 1465. პროცესუალური ხარჯები

(1) ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში იმ სასამართლო დავის განხილვის ხარჯები, რომელსაც ისინი აწარმოებენ ერთმანეთს შორის, ეკისრება იმ მეუღლეს, ვისაც ზოგადი ნორმების თანახმად ევალება მათი გაღება.

(2) თუ მეუღლე აწარმოებს სასამართლო დავას მესამე პირთან, მაშინ სასამართლო დავის განხილვის ხარჯები ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში ეკისრება იმ მეუღლეს, ვინც აწარმოებს დავას. თუმცა, ხარჯები ეკისრება მეუღლეთა საერთო ქონებას, თუ სასამართლოს გადაწყვეტილების მოქმედება ვრცელდება მეუღლეთა საერთო ქონებაზე ან სასამართლო დავა ეხება მეუღლის პირად საკითხს ანდა მის ვალდებულებას მეუღლეთა საერთო ქონების მიმართ და გარემოებების მიხედვით მოითხოვება ხარჯების გაწევა; §1463 №3 და §1464 უცვლელი რჩება.

§ 1466. იმ ბავშვისათვის გამოყოფილი აქტივის ხარჯები, რომელიც არ არის მეუღლეთა საერთო შვილი

ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში იმ ბავშვისათვის გამოყოფილი აქტივის ხარჯები, რომელიც არ არის მეუღლეთა საერთო შვილი, ეკისრებათ შვილის მამას ან დედას.

§ 1467. კომპენსაცია გამოყოფილ, მეუღლეთა პირადი ქონებასა და მეუღლეთა საერთო ქონებას შორის

(1) თუ მეუღლე მეუღლეთა საერთო ქონებას იყენებს საკუთარი გამოყოფილი ან პირადი ქონების სასარგებლოდ, მაშინ მან უნდა აანაზღაუროს მეუღლეთა საერთო ქონების სარგებლობის ხარჯების ღირებულება.

(2) თუ მეუღლე საკუთარ გამოყოფილ ან პირად ქონებას იყენებს მეუღლეთა საერთო ქონების სასარგებლოდ, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია მეუღლეთა საერთო ქონებიდან.

§ 1468. კომპენსაციის მოთხოვნის უფლების შესრულების დრო

მეუღლე ვალდებულია მეუღლეთა საერთო ქონების ან მეორე მეუღლის გამოყოფილი ანდა პირადი ქონების სასარგებლოდ შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ; თუმცა, თუ მოვალის გამოყოფილი ან პირადი ქონება აღნიშნულისათვის საკმარისია, მოვალემ ვალი უნდა დაფაროს უკვე წინასწარ.

§ 1469. მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ სარჩელი

თითოეულ მეუღლეს შეუძლია მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ სარჩელის წარდგენა,

1. თუ მომავალში მის უფლებებს შეიძლება შეექმნას მნიშვნელოვანი საფრთხე იმის შედეგად, რომ მეორე მეუღლე მისი თანამონაწილეობის გარეშე ახორციელებს მმართველობით მოქმედებებს, რომელთა განხორციელებაც დასაშვებია მხოლოდ ერთობლივად,
2. თუ მეორე მეუღლე საკმარისი საფუძვლის გარეშე მტკიცედ ამბობს უარს მეუღლეთა საერთო ქონების მართვაში თანამონაწილეობაზე,
3. თუ მეორე მეუღლემ დაარღვია ოჯახის რჩენაში საკუთარი თანამონაწილეობის ვალდებულება და მომავალშიც რჩენას ექმნება მნიშვნელოვანი საფრთხე,

4. თუ მეუღლეთა საერთო ქონება დატვირთულია ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში მეორე მეუღლის მიერ ნაკისრი პირადი ვალდებულებებით იმ ოდენობით, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის მის შემდგომ შენაძენს,
5. თუ მეორე მეუღლის მიერ იმ უფლების განხორციელება, რომელიც გამომდინარეობს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმიდან, შედის მზრუნველის მოვალეობათა წრეში.

§ 1470. მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა

(1) სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალში შესვლის მომენტიდან მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი წყდება; მომავლისათვის მოქმედებს გაყოფილი ქონების რეჟიმი.

(2) მესამე პირების მიმართ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტა მოქმედებს მხოლოდ §1412 პირობების გათვალისწინებით.

ქვეთავი 4. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა

§ 1471. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის დაწყება

(1) მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ მეუღლეები ახორციელებენ საერთო ქონების გაყოფას.

(2) ქონების გაყოფამდე მეუღლეთა საერთო ქონების მიმართ მოქმედებს §1419 ნორმა.

§ 1472. მეუღლეთა საერთო ქონების ერთობლივი მართვა

(1) ქონების გაყოფამდე მეუღლეები საერთო ქონებას მართავენ ერთობლივად.

(2) თითოეულ მეუღლეს შეუძლია იმგვარად მართოს მეუღლეთა საერთო ქონება, როგორც იგი მართავდა მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტამდე მანამდე, სანამ არ შეიტყობს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ ან მას არ უნდა შეეტყო შეწყვეტის თაობაზე. მესამე პირს არ შეუძლია აღნიშნულ წესზე მითითება, თუ მან გარიგების დადებისას იცის ან უნდა იცოდეს იმის შესახებ, რომ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი შეწყვეტილია.

(3) თითოეული მეუღლე მეორე მეუღლის მიმართ ვალდებულია, ხელი შეუწყოს მას იმ ზომების მიღებაში, რომლებიც აუცილებელია მეუღლეთა საერთო ქონების სათანადო მართვისათვის; თითოეულ მეუღლეს შეუძლია დამოუკიდებლად იმ ზომების მიღება, რომლებიც აუცილებელია ქონების შენარჩუნებისათვის.

(4) თუ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი წყდება მეუღლის გარდაცვალებით, მაშინ ცოცხლად დარჩენილმა მეუღლემ უნდა აწარმოოს საქმეები, რომლებიც აუცილებელია მეუღლეთა საერთო ქონების სათანადო მართვისათვის და რომელთა უსაფრთხო გადავადება შეუძლებელია, მანამდე, სანამ მემკვიდრე ვერ შეძლებს დაცვის სხვა ზომების მიღებას. აღნიშნული ვალდებულება არ არსებობს, თუ გარდაცვლილი მეუღლე მეუღლეთა საერთო ქონებას დამოუკიდებლად მართავდა.

§ 1473. პირდაპირი სუროგაცია (unmittelbare Ersetzung)

(1) მეუღლეთა საერთო ქონება ხდება ყველაფერი ის, რისი შეძენაც ხორციელდება მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული უფლების საფუძველზე ან მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული საგნის განადგურების, დაზიანებისა თუ ჩამორთ-

მევისათვის საზღაურის სახით ანდა მეუღლეთა საერთო ქონებასთან დაკავშირებული გარიგებით.
(2) თუ გარიგების საფუძველზე შეძენილი მოთხოვნა მიეკუთვნება მეუღლეთა საერთო ქონებას, მაშინ მოვალეს შეუძლია დაუშვას ამ მოთხოვნის მის მიმართ განხორციელება მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც იგი დარწმუნდება, რომ მოთხოვნა მიეკუთვნება მეუღლეთა საერთო ქონებას; შესაბამისად გამოიყენება §§406-408 ნორმები.

§ 1474. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის განხორციელება
თუ სხვა რაიმე არ არის შეთანხმებული, მეუღლეები საერთო ქონების გაყოფას ახორციელებენ §§1475-1481 თანახმად.

§ 1475. მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებების შესრულება
(1) მეუღლეებმა პირველ რიგში უნდა შეასრულონ მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები. თუ ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ არის დამდგარი ან იგი სადავოა, მაშინ მეუღლეებმა უნდა შეინარჩუნონ ის ქონება, რაც საჭიროა აღნიშნული ვალდებულების შესრულებისათვის.
(2) თუ ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები ეკისრება მხოლოდ ერთ-ერთ მეუღლეს, მაშინ ამ უკანასკნელს არ შეუძლია, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება მეუღლეთა საერთო ქონებიდან.
(3) მეუღლეთა საერთო ქონება უნდა გამოიხატოს ფულად თანხაში, რამდენადაც ეს საჭიროა მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებების შესრულებისათვის.

§ 1476. დარჩენილი ქონების განაწილება
(1) მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებების შესრულების შემდეგ დარჩენილი ქონება მეუღლეებს ეკუთვნით თანაბარწილად.
(2) ის, რაც ერთ-ერთმა მეუღლემ უნდა აუნაზღაუროს მეუღლეთა საერთო ქონებას, მან უნდა ჩათვალოს თავისი წილის ანგარიშში. რამდენადაც ეს მეუღლე აღნიშნული სახით ვერ ანაზღაურებს, იგი რჩება მეორე მეუღლის წინაშე ვალდებული.

§ 1477. განაწილების განხორციელება
(1) დარჩენილი ქონება ნაწილდება საზიარო უფლების მომწესრიგებელი ნორმების თანახმად.
(2) თითოეულ მეუღლეს შეუძლია ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ თან წაიღოს ის ნივთები, რომლებიც გათვალისწინებულია უშუალოდ მისი პირადი სარგებლობისათვის, კერძოდ კი, ტანსაცმელი, სამკაული და შრომის იარაღები. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ საგნების მიმართ, რომლებიც მეუღლემ მეუღლეთა საერთო ქონებაში შეიტანა ან მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს მიიღო მემკვიდრეობით, საანდერძო დანაკისრით ან მომავალი მემკვიდრეობის უფლების გათვალისწინებით, ჩუქებით ან გამოყოფილი აქტივის სახით.

§ 1478. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა განქორწინების შემდეგ
(1) თუ ქორწინება წყდება მანამდე, სანამ დასრულდება მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა, მაშინ ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით თითოეულ მათგანს უნდა აუნაზ-

ღაურდეს იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან შეიტანა მეუღლეთა საერთო ქონებაში; თუ მეუღლეთა საერთო ქონების ღირებულება საკმარისი არ არის, მაშინ ნაკლული თანხა ეკისრებათ მეუღლეებს მათ მიერ შეტანილი ქონების ღირებულების პროპორციულად.

(2) შეტანილად ჩაითვლება:

1. ის საგნები, რომლებიც მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დადგენის მომენტში ეკუთვნოდა ერთ-ერთ მეუღლეს,
2. ის საგნები, რომლებიც მეუღლემ მიიღო პირის გარდაცვალების შედეგად ან მომავალი მემკვიდრეობის უფლების გათვალისწინებით, ჩუქებით ან გამოყოფილი აქტივის სახით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარემოებების მიხედვით მიღებული განხილულ უნდა იქნეს შემოსავლად,
3. ის უფლებები, რომლებიც უქმდება მეუღლის გარდაცვალებით ან რომელთა შეძენა დამოკიდებულია მეუღლის გარდაცვალებაზე.

(3) შეტანილი ქონების ღირებულება განისაზღვრება მისი შეტანის მომენტისათვის.

§ 1479. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ

თუ §§1447, 1448 ან §1469 საფუძველზე მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი სასამართლოს გადაწყვეტილებით წყდება, მაშინ იმ მეუღლეს, ვის სასარგებლოდაც მიღებულია სასამართლოს გადაწყვეტილება, შეუძლია მოითხოვოს, რომ ქონების გაყოფა განხორციელდეს იმგვარად, თითქოს მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფაზე მოთხოვნის უფლება იხილებოდა სასამართლო წესით მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ სარჩელის წარდგენის მომენტში.

§ 1480. პასუხისმგებლობა მესამე პირის წინაშე ქონების გაყოფის შემდეგ

თუ მეუღლეთა საერთო ქონება იყოფა მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულების შესრულებამდე, მაშინ კრედიტორის წინაშე პირადად როგორც სოლიდარული მოვალე პასუხს აგებს ასევე ის მეუღლე, რომლის მიმართაც ასეთი პასუხისმგებლობა ქონების გაყოფის მომენტისათვის არ არსებობს. ამ მეუღლის პასუხისმგებლობა შეზღუდულია გაყოფის შედეგად მასზე გადასული საგნებით; შესაბამისად გამოიყენება მემკვიდრის პასუხისმგებლობის მიმართ მოქმედი §§1990, 1991 ნორმები.

§ 1481. მეუღლეთა პასუხისმგებლობა ერთმანეთს შორის

(1) თუ მეუღლეთა საერთო ქონება იყოფა მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული იმ ვალდებულების შესრულებამდე, რომელიც ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში ეკისრება მეუღლეთა საერთო ქონებას, მაშინ ის მეუღლე, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას ერთპიროვნულად მართავს, პასუხისმგებელია მეორე მეუღლის წინაშე იმაზე, რომ ამ უკანასკნელს ვალდებულების შესრულების მოთხოვნა არ წარედგინოს როგორც იმ მოცულობით, რომელიც აღემატება ვალდებულების ნახევარს, ისე მეუღლეთა საერთო ქონებიდან მიღებულზე მეტი მოცულობით.

(2) თუ მეუღლეები მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს საერთო ქონებას ერთობლივად მართავდნენ, მაშინ თითოეული მეუღლე პასუხისმგებელია მეორე მეუღლის წინაშე იმაზე, რომ ამ უკანასკნელს კრედიტორმა არ წარუდგინოს ვალდებულების შესრულების მოთხოვნა იმ მოცულობით, რომელიც აღემატება ვალდებულების ნახევარს.

(3) თუ ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში ვალდებულება ეკისრება ერთ-ერთ მეუღლეს, მაშინ ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია მეორე მეუღლის წინაშე იმაზე, რომ ამ უკანასკნელს კრედიტორმა არ წარუდგინოს ვალდებულების შესრულების მოთხოვნა.

§ 1482. ქორწინების შეწყვეტა გარდაცვალების შედეგად
თუ ქორწინება წყდება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შედეგად, მაშინ მეუღლეთა საერთო ქონებაში გარდაცვლილი მეუღლის წილი შედის სამკვიდროს შემადგენლობაში. გარდაცვლილი მეუღლის ქონების მემკვიდრეობით გადაცემა ხდება ზოგადი წესების თანახმად.

ქვეთავი 5. მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმი

§ 1483. მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დადგენა
(1) მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო ხელშეკრულებით შეთანხმდნენ, რომ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გაგრძელდება ცოცხლად დარჩენილ მეუღლესა და საერთო შთამომავლებს შორის. თუ მეუღლეები დებენ ასეთ შეთანხმებას, მაშინ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი გაგრძელდება იმ საერთო შთამომავლებთან, რომლებიც კანონით მემკვიდრეობის დროს მოიწვევიან როგორც მემკვიდრეები. მეუღლეთა საერთო ქონებაში გარდაცვლილი მეუღლის წილი არ შედის სამკვიდროს შემადგენლობაში; დანარჩენ შემთხვევებში მეუღლის ქონების მემკვიდრეობით გადაცემა ხდება ზოგადი წესების თანახმად.
(2) თუ საერთო შთამომავლებთან ერთად სახეზე არიან სხვა შთამომავლები, მაშინ მათი მემკვიდრეობის უფლება და წილი მემკვიდრეობაში განისაზღვრება ისე, თითქოს მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმი არ დადგენილა.

§ 1484. მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმზე უარი
(1) ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია უარი თქვას მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის გაგრძელებაზე.
(2) უარის მიმართ შესაბამისად გამოიყენება სამკვიდროზე უარის მომწესრიგებელი §§1943-1947, 1950, 1952, 1954-1957, 1959 ნორმები. თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე იმყოფება მშობლის ზრუნვის ან მეურვეობის ქვეშ, მაშინ უარის განცხადებისათვის საჭიროა საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა. ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მზრუნველის მიერ უარის თქმის შემთხვევაში საჭიროა მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს თანხმობა.
(3) თუ მეუღლე უარს ამბობს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის გაგრძელებაზე, მაშინ მოქმედებს იგივე წესები, რაც გამოიყენება §1482 შემთხვევაში.

§ 1485. საერთო ქონება
(1) მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმში საერთო ქონება შედგება მეუღლეთა საერთო ქონებისაგან იმდენად, რამდენადაც იგი §1483 მე-2 ნაწილის თანახმად არ გადადის შთამომავალზე, რომელიც არ არის უფლებამოსილი წილის მიღებაზე, და იმ ქონებიდან, რომელსაც ცოცხლად დარჩენილი მეუღლე იძენს

გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდროდან ან მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დადგომის შემდეგ.
(2) ის ქონება, რომელიც მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დადგომის მომენტისთვის საერთო შთამომავალს აქვს ან რომელსაც ეს უკანასკნელი მოგვიანებით იძენს, მეუღლეთა საერთო ქონებას არ მიეკუთვნება.
(3) მეუღლეთა საერთო ქონების მიმართ შესაბამისად გამოიყენება მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის მიმართ მოქმედი §1416 მე-2 და მე-3 ნაწილების ნორმა.

§ 1486. გამოყოფილი ქონება; მეუღლეთა პირადი ქონება
(1) ცოცხლად დარჩენილი მეუღლის გამოყოფილ ქონებას წარმოადგენს ის, რაც მას თავდაპირველად ჰქონდა ან რასაც იგი §1418 მე-2 ნაწილის №№2, 3-ის თანახმად იძენს გამოყოფილი ქონების სახით.
(2) ცოცხლად დარჩენილი მეუღლის პირად ქონებას წარმოადგენს ის, რაც მას თავდაპირველად ჰქონდა ან რასაც იგი იძენს პირადი ქონების სახით.

§ 1487. მეუღლისა და შთამომავლების სამართლებრივი მდგომარეობა
(1) ცოცხლად დარჩენილი მეუღლის, ისევე როგორც წილის მიღებაზე უფლებამოსილი შთამომავლების უფლებები და ვალდებულებები მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმში არსებული საერთო ქონების მიმართ განისაზღვრება მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის მიმართ მოქმედი §§1419, 1422-1428, 1434, §1435 1-ლი და მე-3 ნაწილებისა და §§1436, 1445 ნორმებით; ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს აქვს იმ მეუღლის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც მეუღლეთა საერთო ქონებას ერთპიროვნულად მართავს, ხოლო წილის მიღებაზე უფლებამოსილ შთამომავლებს აქვთ მეორე მეუღლის სამართლებრივი მდგომარეობა.
(2) მეუღლეთა საერთო ქონების მიმართ ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ვალები ან მეუღლეთა საერთო ქონებიდან გამომდინარე მოთხოვნები ექვემდებარება დაკმაყოფილებას მხოლოდ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ.

§ 1488. მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები
მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმში არსებულ მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებულ ვალდებულებებს წარმოადგენს ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ვალდებულებები, ისევე როგორც გარდაცვლილი მეუღლის ის ვალდებულებები, რომლებიც წარმოადგენდა მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში არსებულ მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებულ ვალდებულებებს.

§ 1489. პირადი პასუხისმგებლობა მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებებისათვის
(1) მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმში არსებულ მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებებისათვის ცოცხლად დარჩენილი მეუღლე პასუხს აგებს პირადად.
(2) რამდენადაც ცოცხლად დარჩენილი მეუღლის პირადი პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დადგენის შედეგად, შესაბამისად გამოიყენება სამკვიდროს ვალებისათვის მემკვიდრის პასუხისმგებლობის მიმართ მოქმედი ნორმები; სამკვიდროს ადგილს იკავებს იმ

მდგომარეობაში არსებული მეუღლეთა საერთო ქონება, რომელშიც იგი იმყოფება მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დადგენის მომენტში.
(3) მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დროს წილის მიღებაზე უფლებამოსილი შთამომავლები პირადად პასუხს არ აგებენ გარდაცვლილი მეუღლის ან ცოცხლად დარჩენილი მეუღლის ვალდებულებებისათვის.

§ 1490. შთამომავლის გარდაცვალება
თუ გარდაიცვლება წილის მიღებაზე უფლებამოსილი შთამომავალი, მაშინ მეუღლეთა საერთო ქონებაში მისი წილი არ შევა მის სამკვიდროში. თუ მას რჩება შთამომავლები, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებოდნენ წილის მიღებაზე იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იქნებოდა ცოცხალი გარდაცვლილი მეუღლის შემდეგ, მაშინ შთამომავლები იკავებენ მის ადგილს. თუ მას არ რჩება ასეთი შთამომავლები, მაშინ მისი წილი ემატება წილის მიღებაზე უფლებამოსილ დანარჩენ შთამომავლებს, ხოლო ამ უკანასკნელთა არარსებობისას კი, – ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს.

§ 1491. შთამომავლის უარი მეუღლეთა საერთო ქონებაში თავის წილზე
(1) წილის მიღებაზე უფლებამოსილ შთამომავალს შეუძლია უარი თქვას მეუღლეთა საერთო ქონებაში თავის წილზე. უარი ხორციელდება გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდროს მიმართ განსჯადი სასამართლოს წინაშე წარდგენილი განცხადებით; განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს ოფიციალურად დამოწმებული ფორმით. სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველმა სასამართლომ განცხადების შესახებ უნდა შეატყობინოს ცოცხლად დარჩენილ მეუღლესა და წილის მიღებაზე უფლებამოსილ დანარჩენ შთამომავლებს.
(2) უარი შეიძლება განხორციელდეს ასევე ცოცხლად დარჩენილ მეუღლესთან და წილის მიღებაზე უფლებამოსილ დანარჩენ შთამომავლებთან დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.
(3) თუ შთამომავალი იმყოფება მშობლის ზრუნვის ან მეურვეობის ქვეშ, მაშინ უარისათვის აუცილებელია საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა. შთამომავლის მზრუნველის მიერ უარის თქმის შემთხვევაში საჭიროა მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს თანხმობა.
(4) უარს აქვს იგივე სამართლებრივი შედეგები, თითქოს უარის მომენტში უარის განმცხადებელი იყო გარდაცვლილი შთამომავლის დატოვების გარეშე.

§ 1492. მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტა ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მიერ
(1) ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმი. შეწყვეტა ხორციელდება გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდროს მიმართ განსჯადი სასამართლოს წინაშე წარდგენილი განცხადებით; განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს ოფიციალურად დამოწმებული ფორმით. სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველმა სასამართლომ განცხადების შესახებ უნდა შეატყობინოს წილის მიღებაზე უფლებამოსილ დანარჩენ შთამომავლებს, ხოლო თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე წარმოადგენს ერთ-ერთი შთამომავლის კანონიერ წარმომადგენელს, – საოჯახო საქმეთა სასამართლოს, მაგრამ თუ არსებობს სამზრუნველო ურთიერთობა – ასევე მზრუნველობის საქმეთა სასამართლოსაც.

(2) მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტა შეიძლება განხორციელდეს ასევე ცოცხლად დარჩენილ მეუღლესთან და წილის მიღებაზე უფლებამოსილ დანარჩენ შთამომავლებთან დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.
(3) თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე იმყოფება მშობლის ზრუნვის ან მეურვეობის ქვეშ, მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის მაშინ შეწყვეტისათვის აუცილებელია საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა. ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მზრუნველის მიერ შეწყვეტის შემთხვევაში საჭიროა მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს თანხმობა.

§ 1493. ცოცხლად დარჩენილი მეუღლის განმეორებითი ქორწინება ან მის მიერ თანაცხოვრების დადგენა

(1) მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმი წყდება, თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე განმეორებით ქორწინდება ან ადგენს თანაცხოვრებას.
(2) იმ შემთხვევაში, თუ წილის მიღებაზე უფლებამოსილი შთამომავალი არასრულწლოვანია, ცოცხლად დარჩენილმა მეუღლემ უნდა შეატყობინოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს განმეორებითი დაქორწინების განზრახვის შესახებ, წარუდგინოს მეუღლეთა საერთო ქონების ნუსხა, შეწყვიტოს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი და განახორციელოს მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა. საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი არ შეწყდეს დაქორწინებამდე, ხოლო მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა განხორციელდეს მოგვიანებით. 1-ლი და მე-2 წინადადებები მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ წილის მიღებაზე უფლებამოსილი შთამომავლის ქონებაზე ზრუნვა შედის მისი მზრუნველის მოვალეობათა წრეში; ამ შემთხვევაში საოჯახო საქმეთა სასამართლოს ადგილს იკავებს მზრუნველობის საქმეთა სასამართლო.
(3) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო, რომლის წინაშეც განცხადებულ იქნა დაქორწინების შესახებ, რეგისტრაციის თაობაზე ატყობინებს საოჯახო საქმეთა სასამართლოს.

§ 1494. ცოცხლად დარჩენილი მეუღლის გარდაცვალება

(1) მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმი წყდება ცოცხლად დარჩენილი მეუღლის გარდაცვალებით.
(2) თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე აღიარებული იქნება გარდაცვლილად ან მისი გარდაცვალების მომენტი დგინდება "უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ" კანონის (Verschollenheitsgesetz) ნორმების თანახმად, მაშინ მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმი წყდება იმ მომენტში, რომელიც მიიჩნევა გარდაცვალების მომენტად.

§ 1495. მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ შთამომავლის სარჩელი

წილის მიღებაზე უფლებამოსილ შთამომავალს შეუძლია ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მიმართ მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ სარჩელის წარდგენა,

1. თუ მომავალში მის უფლებებს შეიძლება შეექმნას მნიშვნელოვანი საფრთხე იმის შემდეგად, რომ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე უუნაროა, მართოს მეუღ-

ლეთა საერთო ქონება ან იგი ბოროტად იყენებს მისთვის მინიჭებულ მეუღლეთა საერთო ქონების მართვის უფლებას,

2. თუ ცოცხლად დარჩენილმა მეუღლემ დაარღვია ოჯახის რჩენაში საკუთარი თანამონაწილეობის ვალდებულება და მომავალშიც რჩენას ექმნება მნიშვნელოვანი საფრთხე,
3. თუ მეუღლეთა საერთო ქონების მართვა შედის ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მზრუნველის მოვალეობათა წრეში;
4. თუ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ჩამოერთვა შთამომავლის რჩენის უფლება ან მას რჩენის უფლება ჩამოერთმეოდა, ეს უკანასკნელი რომ ჰქონოდა.

§ 1496. მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალა

§1495 გათვალისწინებულ შემთხვევებში მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის გაუქმება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. იგი მოქმედებს ყველა შთამომავლის მიმართ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთ-ერთი შთამომავლის სარჩელის საფუძველზე.

§ 1497. სამართლებრივი ურთიერთობა მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფამდე

(1) მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე და შთამომავალი ახორციელებენ საერთო ქონების გაყოფას.

(2) ქონების გაყოფამდე საერთო ქონებასთან დაკავშირებით მათი ურთიერთობა განისაზღვრება §§1419, 1472, 1473 თანახმად.

§ 1498. მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის განხორციელება

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფის მიმართ გამოიყენება §§1475, 1476, §1477 1-ლი ნაწილის, §§1479, 1480 და §1481 1-ლი და მე-3 ნაწილების ნორმები; იმ მეუღლის ადგილს, ვინც მეუღლეთა საერთო ქონებას ერთპიროვნულად მართავდა, იკავებს ცოცხლად დარჩენილი მეუღლე, ხოლო მეორე მეუღლის ადგილს იკავებენ წილის მიღებაზე უფლებამოსილი შთამომავლები. §1476 მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებაში მითითებული ვალდებულება ეკისრება მხოლოდ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს.

§ 1499. ცოცხლად დარჩენილ მეუღლეზე დაკისრებული ვალდებულებები

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს ეკისრება:

1. მასზე მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დადგენისას დაკისრებული მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები, რომელთათვისაც მეუღლეთა საერთო ქონების ფარგლებში პასუხისმგებლობა არ დგებოდა ან რომლებიც ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში მას ეკისრებოდა;
2. მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დადგენის შემდეგ წარმოშობილი მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები, რომლებიც ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში დაეკისრებოდა მას, თუ ეს ვალდებულებები მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმისას ჩაითვლებოდა მასზე დაკისრებულად;

3. გამოყოფილი აქტივი, რომელსაც იგი შეჰპირდა ან რომელიც მან გადასცა შთამომავალს, რომელიც უფლებამოსილია წილის მიღებაზე საერთო ქონებაზე ნამეტი ოდენობით ან წილის მიღებაზე არაუფლებამოსილ შთამომავალს.

§ 1500. შთამომავლებზე დაკისრებული ვალდებულებები

(1) წილის მიღებაზე უფლებამოსილმა შთამომავლებმა მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას უნდა დაუშვან გარდაცვლილი მეუღლის იმ ვალდებულებების თავიანთი წილების ანგარიშში ჩათვლა, რომლებიც ერთმანეთს შორის მეუღლეთა ურთიერთობაში ეკისრება გარდაცვლილ მეუღლეს, იმდენად, რამდენადაც ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს არ შეეძლო გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრეებისაგან ვალდებულებების შესრულების მიღწევა.

(2) ანალოგიურად წილის მიღებაზე უფლებამოსილმა შთამომავლებმა უნდა დაუშვან ანგარიშში ჩათვლა ყოველივე იმის, რაც გარდაცვლილ მეუღლეს უნდა აენაზღაურებინა მეუღლეთა საერთო ქონებისათვის.

§ 1501. ერთჯერადი კომპენსაციის ანგარიშში ჩათვლა

(1) თუ წილის მიღებაზე უფლებამოსილ შთამომავალს თავის წილზე უარის თქმისათვის მეუღლეთა საერთო ქონებიდან მიეცა ერთჯერადი კომპენსაცია, მაშინ მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას კომპენსაცია შეიტანება მეუღლეთა საერთო ქონებაში და ჩაითვლება შთამომავლის მიერ მისაღები საერთო ქონების ნახევრის ანგარიშში.

(2) ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია წილის მიღებაზე უფლებამოსილ დანარჩენ შთამომავლებთან დადოს განსხვავებული შეთანხმება ჯერ კიდევ მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტამდე. შეთანხმება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით; იგი მოქმედებს ასევე იმ შთამომავლების მიმართ, რომლებიც მოგვიანებით მიუერთდნენ მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმს.

§ 1502. ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მიერ ქონების მიღების უფლება

(1) ცოცხლად დარჩენილი მეუღლე უფლებამოსილია, მიიღოს მეუღლეთა საერთო ქონება ან მის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული საგნები ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ. ეს უფლება მემკვიდრეობით არ გადადის.

(2) თუ მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმი §1495 საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით წყდება, მაშინ ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს 1-ლ ნაწილში გათვალისწინებული უფლება არ ეკუთვნის. ამ შემთხვევაში წილის მიღებაზე უფლებამოსილ შთამომავლებს შეუძლიათ ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ იმ საგნების მიღება, რომლებზეც გარდაცვლილი მეუღლე უფლებამოსილი იქნებოდა §1477 მე-2 ნაწილის თანახმად. ამ უფლების განხორციელება მათ შეუძლიათ მხოლოდ ერთობლივად.

§ 1503. ქონების გაყოფა შთამომავლებს შორის

(1) წილის მიღებაზე უფლებამოსილი რამდენიმე შთამომავალი იყოფს მათ მიერ მისაღებ მეუღლეთა საერთო ქონების ნახევარს იმ წილების შესაბამისად, რომლებიც მათ უნდა მიეღოთ გარდაცვლილი მეუღლის მემკვიდრეების სახით კანონიერი მემკვიდრეობის შემთხვევაში, თუ ეს მეუღლე გარდაცვლილი იქნებოდა მხოლოდ მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის მომენტისათვის.

(2) წინასწარ მიღებული ჩაითვლება ანგარიშში შთამომავალთა შორის წილების კომპენსაციისადმი მოქმედი ნორმების თანახმად, თუ აღნიშნული არ განხორციელებულა უკვე გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდროს გაყოფისას.
(3) თუ შთამომავალს თავის წილზე უარის თქმისათვის მეუღლეთა საერთო ქონებიდან მიეცა ერთჯერადი კომპენსაცია, მაშინ ეს თანხა ეკისრება იმ შთამომავალებს, რომლებმაც ამ უარის შედეგად მიიღეს სარგებელი.

§ 1504. შთამომავლებს შორის პასუხისმგებლობის განაწილება
რამდენადაც წილის მიღებაზე უფლებამოსილი შთამომავლები §1480 თანახმად პასუხისმგებელნი არიან მეუღლეთა საერთო ქონების კრედიტორების წინაშე, ერთმანეთს შორის ურთიერთობაში ისინი ვალდებულნი არიან საერთო ქონებაში მათი წილების შესაბამისად. ვალდებულება შეზღუდულია მათ მიერ მიღებული საგნებით; შესაბამისად გამოიყენება მემკვიდრის პასუხისმგებლობის მიმართ მოქმედი §§1990, 1991 ნორმები.

§ 1505. შთამომავლის წილის დამატება
სავალდებულო წილზე დამატების უფლების მომწესრიგებელი ნორმები შესაბამისად გამოიყენება წილის მიღებაზე უფლებამოსილი შთამომავლის სასარგებლოდ; სამკვიდროს გახსნის ადგილს იკავებს მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტა, კანონიერ სამკვიდრო წილად მიიჩნევა შეწყვეტის მომენტში შთამომავლის მიერ საერთო ქონებიდან მისაღები წილი, ხოლო სავალდებულო წილად კი – აღნიშნული წილის ღირებულების ნახევარი.

§ 1506. წილის მიღებაზე უღირსი შთამომავალი (Anteilsunwürdigkeit)
თუ საერთო შთამომავალი არის უღირსი მემკვიდრე, მაშინ იგი ასევე უღირსია საერთო ქონების წილის მიღებაზე. შესაბამისად გამოიყენება უღირსი მემკვიდრის შესახებ ნორმები.

§ 1507. მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის გახანგრძლივების შესახებ სერტიფიკატი
სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველმა სასამართლომ განცხადების საფუძველზე ცოცხლად დარჩენილ მეუღლეზე უნდა გასცეს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის გახანგრძლივების შესახებ სერტიფიკატი. შესაბამისად გამოიყენება სამკვიდრო მოწმობის შესახებ ნორმები.

§ 1508. *(გაუქმებულია)*

§ 1509. მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის გამორიცხვა საანდერძო განკარგულებით
თითოეულ მეუღლეს შეუძლია მისი გარდაცვალების შედეგად ქორწინების შეწყვეტის შემთხვევისათვის საანდერძო განკარგულებით გამორიცხოს მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმი, თუ იგი უფლებამოსილია, ჩამოართვას მეორე მეუღლეს სავალდებულო წილი ან წარადგინოს სარჩელი მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის მოთხოვნით. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მეუღლე უფლებამოსილია ქორწინების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენაზე და მან განცხადება წარადგინა. მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟი-

მის გამორიცხვის მიმართ შესაბამისად გამოიყენება სავალდებულო წილის ჩამორთმევის შესახებ ნორმები.

§ 1510. მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის გამორიცხვის სამართლებრივი შედეგი

თუ მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმი გამორიცხულია, მაშინ მოქმედებს იგივე წესი, რაც გათვალისწინებულია §1482 შემთხვევაში.

§ 1511. შთამომავლის გამორიცხვა

(1) თითოეულ მეუღლეს შეუძლია მისი გარდაცვალების შედეგად ქორწინების შეწყვეტის შემთხვევისათვის საანდერძო განკარგულებით გამორიცხოს საერთო შთამომავალი მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმში მონაწილეობის მიღებიდან.

(2) საკუთარი მემკვიდრეობის უფლების დარღვევის გარეშე გამორიცხულ შთამომავალს შეუძლია მოითხოვოს მეუღლეთა საერთო ქონებიდან იმ თანხის გადახდა, რომელიც მას უნდა მიეღო სავალდებულო წილის სახით მეუღლეთა საერთო ქონებიდან მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის არსებობისას, მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმი რომ არ ყოფილიყო დადგენილი. შესაბამისად გამოიყენება სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების მიმართ მოქმედი ნორმები.

(3) მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას გამორიცხული შთამომავლისათვის გადახდილი თანხა ჩაითვლება წილის მიღებაზე უფლებამოსილი შთამომავლების ანგარიშში §1501 შესაბამისად. ერთმანეთს შორის შთამომავლების ურთიერთობაში იგი ეკისრება იმ შთამომავლებს, რომლებმაც ამ გამორიცხვის შედეგად მიიღეს სარგებელი.

§ 1512. წილის შემცირება

თითოეულ მეუღლეს შეუძლია მისი გარდაცვალების შედეგად მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დადგომის შემთხვევისათვის საანდერძო განკარგულებით ნახევრამდე შეამციროს წილი, რომელიც მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ მეუღლეთა საერთო ქონებიდან უნდა გადაეცეს წილის მიღებაზე უფლებამოსილ შთამომავალს.

§ 1513. წილის ჩამორთმევა

(1) თითოეულ მეუღლეს შეუძლია მისი გარდაცვალების შედეგად მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დადგომის შემთხვევისათვის საანდერძო განკარგულებით ჩამოართვას წილი ამ უკანასკნელის მიღებაზე უფლებამოსილ შთამომავალს, რომელიც მას მეუღლეთა საერთო ქონებიდან უნდა გადაეცეს მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ, თუ იგი უფლებამოსილია შთამომავლისათვის მემკვიდრეობაში სავალდებულო წილის ჩამორთმევაზე. შესაბამისად გამოიყენება §2338 2-4 ნაწილების ნორმა.

(2) თუ მეუღლე უფლებამოსილია §2338 საფუძველზე, მას შეუძლია შეზღუდოს შთამომავლის უფლება სავალდებულო წილზე, მას შეუძლია ასევე შესაბამისად შეზღუდოს შთამომავლის წილი მეუღლეთა საერთო ქონებაში.

§ 1514. ჩამორთმეული თანხის მესამე პირისათვის გადაცემა
თითოეულ მეუღლეს შეუძლია საანდერძო განკარგულებით ასევე გადასცეს მესამე პირს ის თანხა, რომელსაც იგი §1512 ან §1513 1-ლი ნაწილის თანახმად ართმევს შთამომავალს.

§ 1515. შთამომავლისა და მეუღლის მიერ ქონების მიღების უფლება
(1) თითოეულ მეუღლეს შეუძლია მისი გარდაცვალების შედეგად მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დადგომის შემთხვევისათვის საანდერძო განკარგულებით დაადგინოს, რომ წილის მიღებაზე უფლებამოსილ შთამომავალს ჰქონდეს უფლება, გაყოფისას ღირებულების ანაზღაურების სანაცვლოდ მიიღოს მეუღლეთა საერთო ქონება ან მასში შემავალი ცალკეული საგნები.
(2) თუ მეუღლეთა საერთო ქონებას მიეკუთვნება მამული, მაშინ შეიძლება დადგინდეს, რომ ეს უკანასკნელი უნდა შეფასდეს მოგების მიღების ოდენობის მიხედვით ან, სულ ცოტა, შემოსავლიანობის ფასით. შესაბამისად გამოიყენება §2049 ქონების მემკვიდრეობით გადაცემის მიმართ მოქმედი ნორმები.
(3) მე-2 ნაწილში მითითებული ღირებულებით ან ფასით მამულის მიღების უფლება შეიძლება მიენიჭოს ასევე ცოცხლად დარჩენილ მეუღლესაც.

§ 1516. მეორე მეუღლის თანხმობა
(1) §§1511-1515 მითითებული მეუღლის განკარგვების სამართლებრივი ძალისათვის საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა.
(2) დაუშვებელია თანხმობის განცხადება წარმომადგენლის მეშვეობით. თუ მეუღლე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა, მაშინ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა აუცილებელი არ არის. თანხმობის განცხადება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. თანხმობის გამოთხოვა დაუშვებელია.
(3) მეუღლეებს შეუძლიათ §§1511-1515 მითითებული განკარგვები გააკეთონ ასევე ერთობლივ ანდერძში.

§ 1517. შთამომავლის უარი თავის წილზე
(1) იმ ხელშეკრულების სამართლებრივი ძალისათვის, რომლითაც საერთო შთამომავალი მეუღლის გარდაცვალების შედეგად ქორწინების შეწყვეტის შემთხვევისათვის ამ უკანასკნელის წინაშე უარს ამბობს მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმისას არსებულ მეუღლეთა საერთო ქონებაში თავის წილზე ან რომლითაც ასეთი უარი უქმდება, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა. თანხმობის მიმართ მოქმედებს §1516 მე-2 ნაწილის მე-3 და მე-4 წინადადებები.
(2) შესაბამისად გამოიყენება მემკვიდრეობაზე უარის მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 1518. იმპერატიული კანონი
დაუშვებელია როგორც საანდერძო განკარგულებით, ისე ხელშეკრულებით იმ განკარგულებების მიღება, რომლებიც ეწინააღმდეგება §§1483-1517 ნორმებს. უცვლელი რჩება მეუღლის უფლება საქორწინო ხელშეკრულებით გააუქმოს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის გახანგრძლივების შესახებ ხელშეკრულება.

§ 1519-1557. *(გაუქმებულია)*

ქვეკარი 3. მეუღლეთა საერთო ქონების რეესტრი

§ 1558. კომპეტენტური მარეგისტრირებელი სასამართლო

(1) მეუღლეთა საერთო ქონების რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება ნებისმიერი იმ რაიონული სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც თუნდაც ერთ-ერთ მეუღლეს აქვს თავისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

(2) ლანდის მთავრობები უფლებამოსილნი არიან, სახელისუფლო განკარგულებით რამდენიმე რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე რეესტრის წარმოების კომპეტენცია გადასცენ ერთ რაიონულ სასამართლოს. ლანდის მთავრობებს სახელისუფლო განკარგულებით შეუძლიათ ეს უფლებამოსილება გადასცენ ლანდის იუსტიციის ორგანოებს.

§ 1559. ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის შეცვლა

თუ რეგისტრაციის შემდეგ მეუღლეს თავისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი გადააქვს სხვა რაიონში, მაშინ რეესტრში რეგისტრაცია ამ რაიონში თავიდან უნდა განხორციელდეს. თავდაპირველი რეგისტრაცია ჩაითვლება ხელახლა განხორციელებულად, თუ მეუღლე თავის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს უკან გადმოიტანს თავდაპირველ რაიონში.

§ 1560. რეგისტრაციის შესახებ განცხადება

რეესტრში რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ განცხადების საფუძველზე და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც მას განცხადებით ითხოვენ. განცხადება წარედგინება ოფიციალურად დამოწმებული ფორმით.

§ 1561. მოთხოვნები განცხადების მიმართ

(1) რეგისტრაციისათვის საჭიროა ორივე მეუღლის მიერ წარდგენილი განცხადება; თითოეული მეუღლე მეორის წინაშე ვალდებულია, ხელი შეუწყოს განცხადების წარდგენაში.

(2) ერთი მეუღლის განცხადება საკმარისია

1. საქორწინო ხელშეკრულების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებში ცვლილების რეგისტრაციისათვის, თუ განცხადებასთან ერთად წარედგინება საქორწინო ხელშეკრულება ან გადაწყვეტილება, რომელსაც თან ერთვის კანონიერ ძალაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
2. სხვა რაიონის რეესტრში ხელახალი რეგისტრაციისათვის, თუ განცხადებასთან ერთად წარედგინება თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილის გაუქმების შემდეგ გაცემული წინა რეგისტრაციის შესახებ ოფიციალურად დამოწმებული ასლი;
3. მეორე მეუღლის მიერ დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის წინააღმდეგ შესაგებლისა და თანხმობის გამოთხოვის რეგისტრაციისათვის, თუ მეუღლეები ცხოვრობენ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში და განმცხადებელი მეუღლე მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს ერთპიროვნულად ან ერთობლივად მეორე მეუღლეს ერთად;
4. მეორე მეუღლის მიერ განმცხადებლისათვის შედეგის მქონე უფლებამოსილების შეზღუდვისა თუ გამორიცხვის რეგისტრაციისათვის (§1357 მე-2 ნაწილი).

(3) *(გაუქმებულია)*

§ 1562. საჯარო შეტყობინება
(1) რაიონულმა სასამართლომ რეესტრში ჩანაწერი უნდა გამოაქვეყნოს გაზეთში, რომელიც გათვალისწინებულია მისი გამოქვეყნებისათვის.
(2) თუ რეგისტრაციაში ტარდება მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში ცვლილება, მაშინ შეტყობინება უნდა შემოიფარგლებოდეს საერთო ქონების რეჟიმზე მითითებით, ხოლო თუ აღნიშნული საკანონმდებლო ნორმებისაგან განსხვავებულად წესრიგდება, – განსხვავებების ზოგადი აღწერით.

§ 1563. რეესტრის ჩანაწერების გაცნობა
რეესტრის გაცნობა ნებადართულია ნებისმიერი პირისათვის. რეესტრში ჩანაწერებიდან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ასლი; მოთხოვნის საფუძველზე ასლი უნდა დამოწმდეს.

კარი 7. განქორწინება

ქვეკარი 1. განქორწინების საფუძვლები

§ 1564. განქორწინება სასამართლოს გადაწყვეტილებით
განქორწინება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე. ქორწინება წყდება სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან. წინაპირობები, რომელთა არსებობისას შეიძლება მოთხოვნილ იქნეს განქორწინება, გამომდინარეობს ქვემოთ მოცემული ნორმებიდან.

§ 1565. ქორწინების დარღვევა
(1) განქორწინება შეიძლება განხორციელდეს, თუ ქორწინება დაირღვა. ქორწინება ირღვევა, თუ მეუღლეთა საქორწინო კავშირი აღარ არსებობს და არც არის მოსალოდნელი, რომ მეუღლეები მას აღადგენენ.
(2) თუ მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ ერთ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, მაშინ განქორწინება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლის პიროვნებასთან დაკავშირებული მიზეზებით განმცხადებლისათვის ქორწინების გაგრძელება დაუშვებლად მძიმე იქნებოდა.

§ 1566. ქორწინების დარღვევის პრეზუმფცია
(1) უდავოდ ივარაუდება, რომ ქორწინება დაირღვა, თუ მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ ერთი წლის განმავლობაში და ორივე მეუღლე წარადგენს განქორწინების შესახებ განცხადებას ან განცხადების მოპასუხე თანახმაა განქორწინებაზე.
(2) უდავოდ ივარაუდება, რომ ქორწინება დაირღვა, თუ მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ სამი წლის განმავლობაში.

§ 1567. განცალკევებულად ცხოვრება
(1) მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ, თუ მათ შორის აღარ არსებობს საოჯახო კავშირი და მეუღლეს აშკარად არ სურს მისი აღდგენა, ვინაიდან იგი უარს ამბობს საქორწინო კავშირზე. საოჯახო კავშირს ადგილი აღარ აქვს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მეუღლეები განცალკევებულად ცხოვრობენ თავიანთ საცხოვრებელ სახლში.

(2) მეუღლეთა თანაცხოვრება მოკლე დროის განმავლობაში, რომელიც უნდა ემსახურებოდეს მეუღლეთა შერიგებას, არ წყდება ან ჩერდება §1566 გათვალისწინებულ ვადებში.

§ 1568. მძიმე პირობების არსებობის შესახებ დათქმა (Härteklausel)

(1) მიუხედავად იმისა, რომ ქორწინება დაირღვა, განქორწინება მაინც დაუშვებელია, თუ და სანამ ამ ქორწინების დროს შეძენილი არასრულწლოვანი შვილების ინტერესებში გამონაკლისი სახით ქორწინების შენარჩუნება აუცილებელია განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე ან თუ და სანამ საგანგებო გარემოებების შედეგად განქორწინება იმდენად მძიმე იქნებოდა განცხადების მოპასუხისათვის, ვინც უარს აცხადებს განქორწინების თანხმობის მიცემაზე, რომ ქორწინების შენარჩუნება თუნდაც განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით გამონაკლისი სახით აუცილებლად მიიჩნევა.

(2) *გაუქმებულია*

ქვეკარი 1ა. განქორწინების გამო მეუღლეთა საცხოვრებელი სახლისა და საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთების მიკუთვნება

§ 1568ა. მეუღლეთა საცხოვრებელი სახლი

(1) მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მეორე მეუღლემ მას განქორწინების გამო გადასცეს მეუღლეთა საცხოვრებელი სახლი, თუ ოჯახში მცხოვრები შვილების კეთილდღეობისა და მეუღლეთა ცხოვრების პირობების გათვალისწინებითY საცხოვრებელი სახლი მის მიერ უფრო მეტად გამოიყენება, ვიდრე მეორე მეუღლის მიერ ან საცხოვრებელი სახლის გადაცემა სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე შეესაბამება სამართლიანობას.

(2) თუ მეუღლე ერთპიროვნულად ან მესამე პირთან ერთად არის იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, რომელზეც განთავსებულია მეუღლეთა საცხოვრებელი სახლი ან თუ მეუღლეს ერთპიროვნულად ან მესამე პირთან ერთად მიწის ნაკვეთზე ეკუთვნის უზუფრუქტი, აღნაგობა ან საცხოვრებელი ფართით სარგებლობის სანივთო უფლება, მაშინ მეორე მეუღლეს შეუძლია საცხოვრებელი სახლის გადაცემის მოთხოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია გაუმართლებელი სიძნელის თავიდან ასაცილებლად. შესაბამისი წესი მოქმედებს მრავალბინიან სახლში საკუთრების უფლებისა და საცხოვრებელი ფართით გრძელვადიანი სარგებლობის უფლების მიმართ.

(3) მეუღლე, რომელსაც გადაეცემა საცხოვრებელი სახლი,

1. გამქირავებლისათვის ქონების დათმობის შესახებ მეუღლეთა შეტყობინების ჩაბარების ან
2. საცხოვრებელი სახლის გადაცემის შესახებ პროცესში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტში იკავებს საცხოვრებელი სახლის გადაცემაზე ვალდებული მეუღლის ადგილს ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში ან დამოუკიდებლად აგრძელებს ორივე მეუღლის მიერ დადგენილ ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობას. შესაბამისად მოქმედებს §563 მე-4 ნაწილი.

(4) მეუღლეებს შეუძლიათ იმ საცხოვრებელ სახლზე, რომელსაც ისინი მათსა და მესამე პირს შორის არსებული სამსახურეობრივი ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე ფლობენ, მოითხოვონ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დადგენა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი ამაზე თანახმაა ან ეს აუცილებელია სირთულეების თავიდან ასაცილებლად.
(5) თუ საცხოვრებელ სახლზე ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობა არ არის დადგენილი, მაშინ როგორც იმ მეუღლეს, რომელსაც აქვს საცხოვრებელი სახლის გადაცემის მოთხოვნის უფლება, ისე გაქირავებაზე უფლებამოსილ პირსაც შეუძლიათ მოითხოვონ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დადგენა მოცემულ ადგილზე მიღებული ჩვეულებრივი პირობებით. §575 1-ლი ნაწილის წინაპირობების არსებობისას ან თუ უვადო ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დადგენა არ არის მისაღები თუნდაც გამქირავებლის გამართლებული ინტერესების გათვალისწინებით, გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობისათვის სათანადო ვადის დადგენა. თუ ქირის თანხის ოდენობაზე შეთანხმება ვერ მიიღწევა, საეჭვოობისას გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს ქირის თანხის გაზრდა მოცემულ ადგილზე მიღებულ სათანადო ოდენობამდე.
(6) მე-3 და მე-5 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქირავნობის სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლის ან განქორწინების საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის დადგენის მოთხოვნის უფლება უქმდება, თუ იგი უფრო ადრე არ იყო სასამართლო განხილვის საგანი.

§ 1568ბ. საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთები
(1) ნებისმიერ მეუღლეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მეორე მეუღლემ მას განქორწინების გამო საკუთრებაში გადასცეს საერთო საკუთრებაში არსებული საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთები, თუ ოჯახში მცხოვრები შვილების კეთილდღეობისა და მეუღლეთა ცხოვრების პირობების გათვალისწინებითY საცხოვრებელი სახლი მის მიერ უფრო მეტად გამოიყენება, ვიდრე მეორე მეუღლის მიერ ან საცხოვრებელი სახლის გადაცემა სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე შეესაბამება სამართლიანობას.
(2) საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთები, რომლებიც შეძენილ იქნა ქორწინების განმავლობაში საოჯახო მეურნეობისათვის, ქონების განაწილების მიზნით ჩაითვლება მეუღლეთა საერთო საკურთრებად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დადგენილია მეუღლის ერთპიროვნული საკუთრება.
(3) მეუღლეს, რომელიც 1-ლი ნაწილის თანახმად გადასცემს თავის საკუთრების უფლებას, შეუძლია მოითხოვოს სათანადო კომპენსაციის გადახდა.

ქვეკარი 2. განქორწინებული მეუღლის რჩენა

თავი 1. პრინციპი

§ 1569. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი
განქორწინების შემდეგ თითოეული მეუღლე ვალდებულია, თავად ირჩინოს თავი. თუ მას არ შეუძლია თავისი თავის რჩენა, მაშინ მას მეორე მეუღლის მიმართ აქვს რჩენის მოთხოვნის უფლება მხოლოდ ქვემოთ მოცემული ნორმების მიხედვით.

თავი 2. რჩენის მიღების უფლება

§ 1570. რჩენა ბავშვზე ზრუნვის გამო

(1) განქორწინებულ მეუღლეს შეუძლია საერთო შვილის მოვლის ან აღზრდის გამო მეორე მეუღლისაგან მოითხოვოს რჩენა დაბადებიდან, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში. რჩენის მოთხოვნის უფლების არსებობა გაგრძელდება მანამდე, სანამ და რამდენადაც აღნიშნული შეესაბამება სამართლიანობას. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ბავშვის ინტერესები და ბავშვზე ზრუნვის არსებული შესაძლებლობები.
(2) გარდა ამისა, რჩენის მოთხოვნის უფლების არსებობა გაგრძელდება, თუ ეს შეესაბამება სამართლიანობას ბავშვზე ზრუნვის წესისა და ქორწინებაში შრომითი საქმიანობის, ასევე ქორწინების ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

§ 1571. რჩენა მოხუცებულობის გამო

განქორწინებულ მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლისაგან რჩენის მოთხოვნა, რამდენადაც

1. განქორწინების,
2. საერთო შვილის მოვლისა თუ აღზრდის შეწყვეტის ან
3. §§1572 და 1573 გათვალისწინებული რჩენის მოთხოვნის უფლების წინაპირობების აღმოფხვრის მომენტში მისი მოხუცებულობის გამო მისგან შრომითი საქმიანობის განხორციელება მოსალოდნელი არ არის.

§ 1572. რჩენა ავადმყოფობისა თუ ფიზიკური ნაკლის გამო

განქორწინებულ მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლისაგან რჩენის მოთხოვნა, რამდენადაც

1. განქორწინების,
2. საერთო შვილის მოვლისა თუ აღზრდის შეწყვეტის,
3. ზოგადი განათლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა თუ გადამზადების ანდა
4. §1573 გათვალისწინებული რჩენის მოთხოვნის უფლების წინაპირობების აღმოფხვრის მომენტში ავადმყოფობისა ან სხვა ნაკლოვანების ანდა ფიზიკური თუ სულიერი უძლურობის გამო მისგან შრომითი საქმიანობის განხორციელება მოსალოდნელი არ არის.

§ 1573. რჩენა უმუშევრობის გამო და რჩენა შემოსავლებსა და სრულ სარჩოს შორის სხვაობის სახით (Aufstockungsunterhalt)

(1) რამდენადაც განქორწინებულ მეუღლეს არა აქვს რჩენის უფლება §§1570-1572 თანახმად, მას მაინც შეუძლია რჩენის მოთხოვნა, სანამ და რამდენადაც მას განქორწინების შემდეგ არ შეუძლია იპოვოს სათანადო სამუშაო.
(2) თუ სათანადო სამუშაოდან მიღებული შემოსავლები საკმარისი არ არის სრული რჩენისათვის (§1578), მაშინ მეუღლეს – რამდენადაც მას არა აქვს უკვე რჩენის მოთხოვნის უფლება §§1570-1572 თანახმად, – შეუძლია მოითხოვოს იმ თანხის გადახდა, რომელიც შეადგენს სხვაობას შემოსავლებსა და სრულ სარჩოს შორის.
(3) შესაბამისად გამოიყენება 1-ლი და მე-2 ნაწილები, თუ რჩენა უნდა განხორციელდეს §§1570-1572, 1575 თანახმად, თუმცა, აღნიშნული ნორმების წინაპირობები არ დგება.
(4) განქორწინებულ მეუღლეს შეუძლია ასევე რჩენის მოთხოვნა იმ შემთხვევაშიც, თუ მას არა აქვს სათანადო სამუშაოდან მიღებული შემოსავლები, ვინაიდან მან,

მიუხედავად მისი მცდელობებისა, განქორწინების შემდეგ ვერ შეძლო სამუშაოთი თავისი თავის მყარი რჩენის უზრუნველყოფა. თუ მან შეძლო რჩენის ნაწილობრივ უზრუნველყოფა, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს იმ თანხის გადახდა, რომელიც შეადგენს სხვაობას მყარად უზრუნველყოფილსა და სრულ სარჩოს შორის.
(5) *(გაუქმებულია)*

§ 1574. სათანადო სამუშაო
(1) განქორწინებულმა მეუღლემ უნდა შეასრულოს მხოლოდ მისთვის შესაბამისი სათანადო სამუშაო.
(2) სათანადო სამუშაოდ მიიჩნევა ისეთი სამუშაო, რომელიც შეესაბამება განქორწინებული მეუღლის განათლებას, უნარებს, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობას, რამდენადაც ასეთი სამუშაო მეუღლეთა ცხოვრების პირობების თანახმად არ იქნებოდა უსამართლო. მეუღლეთა ცხოვრების პირობების დადგენისას, კერძოდ, გასათვალისწინებელია ქორწინების და საერთო ბავშვის მოვლისა თუ აღზრდის ხანგრძლივობა.
(3) რამდენადაც ეს აუცილებელია სათანადო სამუშაოს მისაღებად, განქორწინებული მეუღლე ვალდებულია, დაკავდეს ზოგადი განათლებით, კვალიფიკაციის ამაღლებით ან გადამზადებით, თუ მოსალოდნელია საგანმანათლებლო კურსის წარმატებით დასრულება.

§ 1575. ზოგადი განათლება, კვალიფიკაციის ამაღლება ან გადამზადება
(1) განქორწინებულ მეუღლეს, რომელმაც დაქორწინების მოლოდინში ან ქორწინების დროს ვერ მიიღო ზოგადი ან პროფესიული განათლება ანდა შეწყვიტა მისი მიღება, შეუძლია მეორე მეუღლისაგან რჩენის მოთხოვნა, თუ იგი რაც შეიძლება სწრაფად იღებს აღნიშნულ ან შესაბამის განათლებას, რათა შეეძლოს სათანადო სამუშაოს მიღება, რაც უზრუნველყოფს მის მყარ რჩენას და ასევე მოსალოდნელია საგანმანათლებლო კურსის წარმატებით დასრულება. მოთხოვნის უფლება არსებობს მაქსიმუმ იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც ზოგადად სრულდება საგანმანათლებლო კურსი; ამავე დროს გასათვალისწინებელია საგანმანათლებლო კურსის დროს წარმოშობილი ქორწინებასთან დაკავშირებული შეფერხებები.
(2) შესაბამისი წესი მოქმედებს, თუ განქორწინებული მეუღლე ახორციელებს კვალიფიკაციის ამაღლებასა თუ გადამზადებას, რათა აღმოიფხვრას ქორწინების შედეგად წარმოშობილი განათლების ხარვეზები.
(3) თუ განქორწინებული მეუღლე ზოგადი განათლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა თუ გადამზადების დასრულების შემდეგ ითხოვს რჩენას §1573 თანახმად, მაშინ მისთვის შესაბამისი სათანადო სამუშაოს განსაზღვრისას (§1574 მე-2 ნაწილი) მის მიერ მიღწეული უფრო მაღალი საგანმანათლებლო საფეხური მხედველობაში არ მიიღება.

§ 1576. რჩენა სამართლიანობიდან გამომდინარე
განქორწინებულ მეუღლეს შეუძლია მეორე მეუღლისაგან რჩენის მოთხოვნა, რამდენადაც და სანამ მისგან სხვა არსებითი მიზეზებიდან გამომდინარე შრომითი საქმიანობის განხორციელება მოსალოდნელი არ არის და უარი რჩენაზე ორივე მეუღლის ინტერესებიდან გამომდინარე უკიდურესად უსამართლო იქნებოდა. არსებითი საფუძვლები არ უნდა იქნეს გათვალისწინებული მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ ისინი გახდა ქორწინების დარღვევის მიზეზი.

§ 1577. მძიმე მდგომარეობა

(1) განქორწინებულ მეუღლეს არ შეუძლია რჩენის მოთხოვნა §§1570-1573, 1575 და 1576 თანახმად, სანამ და რამდენადაც მას თავისი შემოსავლებითა და ქონებით შეუძლია თავისი თავის რჩენა.

(2) შემოსავლები არ ექვემდებარება ანგარიშში ჩათვლას, თუ ვალდებული პირი არ ახორციელებს სრულ რჩენას (§§1578 და §1578ბ). შემოსავლები, რომლებიც აღემატება სრულ რჩენას, ექვემდებარება ანგარიშში ჩათვლას იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ორივე მხარის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შეესაბამება სამართლიანობას.

(3) უფლებამოსილ პირს შეუძლია არ გამოიყენოს ძირითადი აქტივი, რამდენადაც ეს ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელი ან ორივე მხარის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით უსამართლო იქნებოდა.

(4) თუ განქორწინების მომენტისათვის მოსალოდნელი იყო, რომ უფლებამოსილი პირის რჩენა მყარად იქნებოდა უზრუნველყოფილი თავისი ქონების ხარჯზე, თუმცა, მოგვიანებით აქტივი აღარ არსებობს, მაშინ რჩენის მოთხოვნის უფლებაც გამორიცხულია. აღნიშნული წესი არ მოქმედებს, თუ აქტივის დაკარგვის მომენტში საერთო შვილის მოვლისა თუ აღზრდის გამო მეუღლისაგან შრომითი საქმიანობის განხორციელება მოსალოდნელი არ არის.

§ 1578. სარჩოს ოდენობა

(1) სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მეუღლეთა ცხოვრების პირობების მიხედვით. რჩენა მოიცავს ზოგად ცხოვრებისეულ საჭიროებებს.

(2) ცხოვრებისეულ საჭიროებებს მიეკუთვნება ასევე ხარჯები ავადმყოფობისა და მოვლა-პატრონობის საჭიროების შემთხვევისათვის სათანადო დაზღვევაზე, ისევე როგორც ხარჯები ზოგად ან პროფესიულ განათლებაზე, კვალიფიკაციის ამაღლებასა თუ გადამზადებაზე §§1574, 1575 თანახმად.

(3) თუ განქორწინებულ მეუღლეს აქვს რჩენის მოთხოვნის უფლება §§1570-1573 ან 1576 თანახმად, მაშინ ცხოვრებისეულ საჭიროებებს მიეკუთვნება ასევე სათანადო დაზღვევის ხარჯები მოხუცებულობისა და დაქვეითებული შრომისუნარიანობისათვის.

§ 1578ა. გადახდის პრეზუმფცია ზიანის მიყენების შედეგად გამოწვეული დამატებითი ხარჯების შემთხვევაში

სხეულისა თუ ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი ხარჯების მიმართ მოქმედებს §1610ა.

§ 1578ბ. სარჩოს თანხის შემცირება ან ვადით შეზღუდვა უსამართლობის გამო

(1) განქორწინებული მეუღლის რჩენის მოთხოვნის უფლება მცირდება შესაბამისი ცხოვრებისეული საჭიროებებით, თუ მეუღლეთა ცხოვრების პირობებზე ორიენტირებული რჩენის მოთხოვნის უფლების ოდენობის შეფასება უსამართლო იქნებოდა თუნდაც იმ უფლებამოსილი პირის ინტერესების გათვალისწინებით, რომელსაც დაეკისრა საერთო შვილზე ზრუნვა ან აღზრდა. აქვე განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ის, თუ ქორწინების შედეგად რამდენად დგება უარყოფითი შედეგები პირის მიერ საკუთარი თავის რჩენის შესაძლებლობის მხრივ. ასეთი უარყოფითი შედეგები, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს საერთო შვილზე ზრუნვისა თუ აღზრდის ხანგრძლივობიდან, საოჯახო მეურნეობის მოწყობის ფორმიდან და ქორწინების

განმავლობაში განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობიდან, ისევე როგორც ქორწინების ხანგრძლივობიდან.
(2) განქორწინებული მეუღლის რჩენის მოთხოვნის უფლება იზღუდება ვადით, თუ ვადით შეუზღუდავი რჩენის მოთხოვნის უფლება უსამართლო იქნებოდა თუნდაც იმ უფლებამოსილი პირის ინტერესების გათვალისწინებით, რომელსაც დაეკისრა საერთო შვილზე ზრუნვა ან აღზრდა. შესაბამისად მოქმედებს 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები.
(3) სარჩოს თანხის შემცირება ან ვადით შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს ურთიერთდაკავშირებულად.

§ 1579. რჩენის თანხის შეზღუდვა ან მასზე უარი აშკარა უსამართლობის გამო
რჩენის მოთხოვნის უფლებაზე უნდა ითქვას უარი, იგი უნდა შემცირდეს ან შეიზღუდოს ვადით, რამდენადაც ვალდებული პირისათვის სარჩოს გადახდის დაკისრება თუნდაც ზრუნვისა თუ აღზრდისათვის მიბარებული საერთო შვილის ინტერესების გათვალისწინებით აშკარად უსამართლო იქნებოდა, ვინაიდან

1. ქორწინების ვადა მცირე იყო; ქორწინების ვადას უთანაბრდება ის დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს §1570 თანახმად შეეძლო მოეთხოვა რჩენა საერთო შვილზე ზრუნვისა თუ მისი აღზრდისათვის,
2. უფლებამოსილი პირი ცხოვრობს მყარ საქორწინო კავშირში,
3. უფლებამოსილმა პირმა ვალდებული პირის ან ამ უკანასკნელის ახლო ნათესავის მიმართ ბრალეულად ჩაიდინა დანაშაული ან სხვა განზრახი მძიმე გადაცდომა,
4. უფლებამოსილმა პირმა შეგნებულად ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში,
5. უფლებამოსილი პირი შეგნებულად არ უწევდა ანგარიშს ვალდებული პირის არსებით ქონებრივ ინტერესებს,
6. უფლებამოსილი პირი დაშორებამდე ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უხეშად არღვევდა თავის ვალდებულებას, საკუთარი წვლილი შეეტანა ოჯახის რჩენაში,
7. უფლებამოსილ პირს შეერაცხება მისი მხრიდან აშკარად არსებითად არასწორი ქმედება ვალდებული პირის მიმართ ან
8. არსებობს სხვა საფუძველი, რომელიც ისეთივე მძიმეა, როგორც №№1-7-ში მოცემული საფუძვლები.

§ 1580. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება
განქორწინებული მეუღლეები ერთმანეთის მიმართ ვალდებულნი არიან, მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინონ ერთმანეთს ინფორმაცია თავიანთი შემოსავლებისა და ქონების შესახებ. შესაბამისად გამოიყენება §1605.

თავი 3. სარჩოს გადახდის უნარი და უფლებათა რიგითობა

§ 1581. სარჩოს გადახდის უნარი
თუ ვალდებული პირი, მისი სხვა ვალდებულებების გათვალისწინებით, შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით უუნაროა, საკუთარი თავის სათანადო შენახვისათვის საფრთხის შექმნის გარეშე უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ სარჩოს გადახდა, მაშინ მან უნდა უზრუნველყოს სარჩოს გადახდა იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება სამართლიანობას განქორწინებული მეუღ-

ლეების საჭიროებების, შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. მას შეუძლია არ გამოიყენოს ძირითადი აქტივი, რამდენადაც ეს ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელი ან უსამართლო იქნებოდა ორივე მხარის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

§ 1582. განქორწინებული მეუღლის უფლებათა რიგითობა რჩენაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირის არსებობისას

თუ სახეზეა რჩენაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი, უფლებათა რიგითობა განისაზღვრება §1609 თანახმად.

§ 1583. მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის გავლენა

თუ ხელახალი დაქორწინების შემთხვევაში ვალდებული პირი თავის ახალ მეუღლესთან ცხოვრობს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში, მაშინ შესაბამისად გამოიყენება §1604.

§ 1584. უფლებათა რიგითობა რამდენიმე ვალდებული პირის არსებობისას

განქორწინებული მეუღლე, ვინც ვალდებულია სარჩოს გადახდაზე, პასუხს აგებს აღნიშნულზე უფლებამოსილი პირის ნათესავების უპირატესად. თუმცა, რამდენადაც ვალდებული პირი უუნაროა, უზრუნველყოს სარჩოს გადახდა, ნათესავები პასუხისმგებლები არიან განქორწინებული მეუღლის უპირატესად. შესაბამისად გამოიყენება §1607 მე-2 და მე-4 ნაწილები.

თავი 4. რჩენის მოთხოვნის უფლების რეალიზაციის წესი

§ 1585. სარჩოს გადახდის უზრუნველყოფის ხერხი

(1) მიმდინარე რჩენა ხორციელდება ფულადი სარჩოს გადახდით. ფულადი სარჩო გადახდილ უნდა იქნეს ყოველთვიურად წინასწარ. ვალდებულ პირს ეკისრება ერთი თვის მთლიანი თანხის გადახდა მაშინაც კი, თუ რჩენის მოთხოვნის უფლება ამ თვის განმავლობაში უქმდება უფლებამოსილი პირის ხელახალი დაქორწინების ან გარდაცვალების შედეგად.

(2) ფულადი სარჩოს გადახდის ნაცვლად უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი კომპენსაციის გადახდა, თუ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი და ამით ვალდებულ პირს ვალდებულებები უსამართლოდ არ დაეკისრება.

§ 1585ა. უზრუნველყოფის წარდგენა

(1) ვალდებულმა პირმა მოთხოვნის საფუძველზე უნდა წარადგინოს უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულება წყდება, თუ არ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ სარჩოს გადახდას შეექმნება საფრთხე ან თუ ვალდებული პირი უსამართლოდ დაიტვირთებოდა ვალდებულებით. თანხა, რომლისათვისაც უნდა იქნეს წარდგენილი უზრუნველყოფა, არ უნდა აღემატებოდეს რჩენის სარჩოს ერთი წლის თანხას, თუ კონკრეტული შემთხვევის განსაკუთრებული გარემოებებიდან გამომდინარე უფრო მეტი თანხის უზრუნველყოფა არ ჩაითვლება სათანადოდ.

(2) უზრუნველყოფის წარდგენის ხერხი განისაზღვრება გარემოებების მიხედვით; §232 გათვალისწინებული შეზღუდვა არ მოქმედებს.

§ 1585ბ. წარსული დროისათვის რჩენა

(1) განსაკუთრებულ საჭიროებასთან დაკავშირებით (§1613 მე-2 ნაწილი) უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს წარსული დროისათვის რჩენა.

(2) დანარჩენ შემთხვევებში უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს წარსული დროისათვის ვალდებულების შესრულება ან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურება მხოლოდ §1613 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

(3) იმ ვადისათვის, რომელიც აღემატება ერთ წელს სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებამდე, ვალდებულების შესრულება ან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ ვალდებულმა პირმა განზრახ აარიდა თავი სარჩოს გადახდას.

§ 1585გ. რჩენის შესახებ შეთანხმებები

მეუღლეებს შეუძლიათ რჩენის ვალდებულების შესახებ დადონ შეთანხმებები განქორწინების შემდგომი დროის პერიოდისათვის. განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დადებული შეთანხმება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. §127ა გამოიყენება ასევე იმ შეთანხმების მიმართ, რომელიც განქორწინების საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ შეიტანება სხდომის ოქმში.

თავი 5. რჩენის მოთხოვნის უფლების გაუქმება

§ 1586. უფლებამოსილი პირის ხელახალი დაქორწინება, თანაცხოვრების დადგენა ან გარდაცვალება

(1) რჩენის მოთხოვნის უფლება უქმდება უფლებამოსილი პირის ხელახალი დაქორწინებით, თანაცხოვრების დადგენით ან გარდაცვალებით.

(2) წარსული დროისათვის ვალდებულების შესრულების ან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები ძალაში რჩება. ანალოგიური წესი მოქმედებს ერთი თვის სარჩოს გადახდის მოთხოვნის უფლების მიმართ, რომლის გადახდის ვადაც დგება ხელახალი დაქორწინების, თანაცხოვრების დადგენის ან გარდაცვალების მომენტში.

§ 1586ა. სარჩოს გადახდის მოთხოვნის აღდგენა

(1) თუ განქორწინებული მეუღლე ხელახლა ქორწინდება ან ადგენს თანაცხოვრებას და ქორწინება ან თანაცხოვრება კვლავ წყდება, მაშინ მას შეუძლია თავდაპირველი მეუღლისაგან რჩენის მოთხოვნა §1570 საფუძველზე, თუ იგი ვალდებულია მოუაროს ან აღზარდოს წინა ქორწინებიდან ან თანაცხოვრებიდან დარჩენილი შვილი.

(2) მოგვიანებით შეწყვეტილი ქორწინებიდან მეუღლე პასუხისმგებელია უფრო ადრე შეწყვეტილი ქორწინებიდან მეუღლის წინაშე. 1-ლი წინადადება შესაბამისად გამოიყენება თანაცხოვრების შემთხვევაში.

§ 1586ბ. სარჩოს გადახდის მოთხოვნის უფლება არ უქმდება ვალდებული პირის გარდაცვალებით

(1) ვალდებული პირის გარდაცვალებით რჩენის ვალდებულება გადადის მემკვიდრეებზე როგორც სამკვიდროს ვალები. §1581 გათვალისწინებული შეზღუდვები უქმდება. თუმცა, მემკვიდრეები პასუხს აგებენ იმ თანხის ოდენობით, რაც შეესაბამება

სავალდებულო წილს, რომელიც უნდა მიეღო უფლებამოსილ პირს განქორწინების არარსებობისას.
(2) სავალდებულო წილის გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება იმ საერთო ქონების რეჟიმის თავისებურებები, რომელშიც განქორწინებული მეუღლეები ცხოვრობდნენ.

ქვეკარი 3. წილების გათანაბრება სოციალური უზრუნველყოფის მიზნით

§ 1587. მითითება სოციალური უზრუნველყოფის მიზნით წილების გათანაბრების შესახებ კანონზე
"სოციალური უზრუნველყოფის მიზნით წილების გათანაბრების შესახებ" კანონის თანახმად, განქორწინებულ მეუღლეებს შორის წილების გათანაბრებას ადგილი აქვს ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის გარეთ არსებული მოთხოვნის უფლებიდან გამომდინარე, მათ შორის, კანონისმიერი საპენსიო დაზღვევის, სხვა საუზრუნველყოფო სისტემებიდან, როგორიცაა მოსამსახურეთა ან პროფესიული უზრუნველყოფა, სწარმოო საპენსიო უზრუნველყოფიდან ან კერძო საპენსიო უზრუნველყოფიდან და ინვალიდობასთან დაკავშირებული უზრუნველყოფიდან.

კარი 8. საეკლესიო ვალდებულებები

§ 1588. (უსათაუროდ)
ქორწინებასთან დაკავშირებული საეკლესიო ვალდებულებები წინამდებარე განყოფილების ნორმებით არ იცვლება.

ნაწილი 2. ნათესაობა

კარი 1. ზოგადი დებულებები

§ 1589. ნათესაობა
(1) პირები, რომელთაგან ერთ-ერთი მეორის შთამომავალია, ენათესავებიან ერთმანეთს პირდაპირი ხაზით. პირები, რომლებიც არ ენათესავებიან ერთმანეთს პირდაპირი ხაზით, თუმცა, წარმოადგენენ ერთიდაიგივე მესამე პირის შთამომავლებს, ენათესავებიან ერთმანეთს გვერდითი ხაზით. ნათესაობის ხარისხი განისაზღვრება იმ დაბადებების რაოდებით, რომლებიც ერთმანეთისაგან აცილებს ნათესავებს.
(2) (*გაუქმებულია)*

§ 1590. ქორწინებით ნათესაობა (Schwägerschaft)
(1) მეუღლეების ნათესავები ენათესავებიან ერთმანეთს ქორწინებით. ქორწინებით ნათესაობის ხაზი და ხარისხი განისაზღვრება ქორწინებით ნათესაობის მიხედვით, რომელშიც მეუღლეების ნათესავები იმყოფებიან მეუღლესთან.
(2) ქორწინებით ნათესაობა გრძელდება ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ქორწინება, რომლის შედეგადაც დადგინდა ნათესაობა, შეწყდა.

კარი 2. წარმომავლობა

§ 1591. დედობა
ბავშვის დედას წარმოადგენს ქალი, რომელმაც იგი დაბადა.

§ 1592. მამობა
ბავშვის მამას წარმოადგენს მამაკაცი,
1. ვინც დაბადების მომენტში დაქორწინებულია ბავშვის დედასთან,
2. რომელმაც აღიარა მამობა ან
3. ვისი მამობაც სასამართლო წესით დადგენილია §1600დ ან "საოჯახო და ნებაყოფლობითი იურისდიქციის საქმეთა წარმოების შესახებ" კანონის (Gesetz über das Verfahren in Familiensachen und in den Angelegenheiten der freiwilligen Gerichtsbarkeit) §182 1-ლი ნაწილის თანახმად.

§ 1593. მამობა გარდაცვალების შედეგად ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში
§1592 №1 შესაბამისად მოქმედებს, თუ ქორწინება შეწყდა გარდაცვალების შედეგად და ბავშვი დაიბადა მისი შეწყვეტიდან 300 დღის განმავლობაში. თუ დადგენილია, რომ ბავშვი ჩაისახა დაბადებამდე 300 დღის ვადაზე ადრე, მაშინ განმსაზღვრელია აღნიშნული ვადა. თუ იმ ქალს, რომელიც თავიდან დაქორწინდა, გაუჩნდა ბავშვი, რომელიც 1-ლი და მე-2 წინადადებების თანახმად შეიძლება იყოს როგორც წინა ქმრის შვილი, ისე, აგრეთვე, ახალი ქმრის შვილი §1592 №1-ის თანახმად, მაშინ იგი განიხილება მხოლოდ როგორც ახალი ქმრის შვილი. თუ მამობა გახდა საცილო და სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ახალი ქმარი არ წარმოადგენს ბავშვის მამას, მაშინ ბავშვი წარმოადგენს წინა ქმრის შვილს.

§ 1594. მამობის აღიარება
(1) თუ კანონიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, აღიარების სამართლებრივი შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ძალაში შედის აღიარების შესახებ განცხადება.
(2) მამობის აღიარება სამართლებრივი ძალის არმქონეა მანამდე, სანამ არსებობს სხვა მამაკაცის მამობა.
(3) აღიარება პირობით ან ვადის დადგენით სამართლებრივი ძალის არმქონეა.
(4) აღიარება დასაშვებია ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე.

§ 1595. მამობის აღიარებისათვის თანხმობის აუცილებელობა
(1) მამობის აღიარება საჭიროებს დედის თანხმობას.
(2) მამობის აღიარება საჭიროებს ასევე ბავშვის თანხმობასაც, რამდენადაც დედას მშობლის ზრუნვა არ ეკისრება.
(3) თანხმობისათვის შესაბამისად მოქმედებს §1594 მე-3 და მე-4 ნაწილები.

§ 1596. მამობის აღიარება და თანხმობის განცხადება ქმედუუნარობის ან შეზღუდული ქმედუნარიანობის შემთხვევაში
(1) შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს შეუძლია მამობის აღიარება მხოლოდ პირადად. ამისათვის აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ქმედუუნარო პირის სახელით კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია აღიარება მხო-

ლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით; თუ კანონიერი წარმომადგენელი მზრუნველია, მაშინ საჭიროა მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს თანხმობა. დედის თანხმობის მიმართ შესაბამისად მოქმედებს 1-3 წინადადებები.
(2) იმ ბავშვის სახელით, ვინც ქმედუუნაროა ან არ მიუღწევია 14 წლის ასაკისათვის, აღიარებაზე თანხმობის განცხადება შეუძლია მხოლოდ კანონიერ წარმომადგენელს. დანარჩენ შემთხვევებში შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე ბავშვს აღიარება შეუძლია მხოლოდ პირადად; ამავე დროს საჭიროა კანონიერი წარმომადგენელის თანხმობა.
(3) ქმედუნარიან სამზრუნველო პირს შეუძლია აღიარება ან თანხმობის განცხადება მხოლოდ პირადად; §1903 არ იცვლება.
(4) მამობის აღიარება და თანხმობის განცხადება რწმუნებულის მეშვეობით დაუშვებელია.

§ 1597. ფორმის დაცვის მოთხოვნა; უარი მამობის აღიარებაზე
(1) მამობის აღიარება და თანხმობის განცხადება უნდა დამოწმდეს ოფიციალურად.
(2) აღიარებისა და ყველა იმ განცხადების დამოწმებული ასლები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს მამობის აღიარებისათვის, უნდა გადაეგზავნოს მამას, დედასა და ბავშვს, ისევე როგორც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს.
(3) მამაკაცს შეუძლია უარი თქვას მამობის აღიარებაზე, თუ აღიარება დამოწმებიდან ერთი წლის შემდეგაც ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული. უარის მიმართ შესაბამისად მოქმედებს 1-ლი და მე-2 ნაწილები, ისევე როგორც §1594 მე-3 ნაწილი და §1596 1-ლი, მე-3 და მე-4 ნაწილები.

§ 1598. სამართლებრივი ძალის არმქონე მამობის აღიარება, მასზე თანხმობა და უარი
(1) მამობის აღიარება, მასზე თანხმობა და უარი სამართლებრივი ძალის არმქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს.
(2) თუ გერმანული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის რეესტრში (deutsches Personenstandsregister) რეგისტრაციის შემდეგ გავიდა ხუთი წელი, მაშინ აღიარება სამართლებრივი ძალის მქონეა იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს.

§ 1598ა. ბიოლოგიური წარმომავლობის დადგენის მიზნით გენეტიკური კვლევის ჩატარებაზე თანხმობის მიღებაზე მოთხოვნის უფლება
(1) ბავშვის ბიოლოგიური წარმომავლობის დადგენისათვის
1. მამას შესაბამისი დედისა და ბავშვისაგან,
2. დედას შესაბამისი მამისა და ბავშვისაგან და
3. ბავშვს ორივე მშობლისაგან შეუძლიათ მოითხოვონ, რომ მათ განაცხადონ თანხმობა წარმომავლობის გენეტიკური კვლევის ჩატარებაზე და ითმინონ კვლევისათვის საჭირო სინჯის აღება. სინჯი აღებულ უნდა იქნეს აღიარებული სამეცნიერო პრინციპების დაცვით.

(2) წარმომავლობის დადგენის მიზნით კვლევის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირის განცხადების საფუძველზე მიუცემელი თანხმობა უნდა შეიცვალოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილებით და დადგინდეს სინჯის აღების თმენის ვალდებულება.

(3) სასამართლო აჩერებს წარმოებას, თუ და სანამ ბიოლოგიური წარმომავლობის დადგენას შეუძლია არასრულწლოვანი ბავშვის კეთილდღეობისათვის არსებითი ზიანის მიყენება, რაც ამ უკანასკნელის მიმართ დაუშვებელი იქნებოდა თუნდაც კვლევაზე უფლებამოსილი პირის ინტერესების მხედველობაში მიღებით.
(4) პირს, რომელმაც განაცხადა თანხმობა გენეტიკური კვლევის ჩატარებაზე და გაიღო გენეტიკური სინჯი, შეუძლია კვლევის ჩატარებაზე იმ უფლებამოსილი პირისაგან, რომელმაც დართო ნება ბიოლოგიური წარმომავლობის დადგენაზე, მოითხოვოს ბიოლოგიური წარმომავლობის შესახებ დასკვნის გაცნობა ან ასლის გადაცემა. 1-ლი წინადადების თანახმად მოთხოვნის უფლებიდან გამომდინარე დავებზე გადაწყვეტილებებს იღებს საოჯახო საქმეთა სასამართლო.

§ 1599. მამობის არარსებობა
(1) §1592 №№1 და 2 და §1593 არ მოქმედებს, თუ შეცილების შედეგად მიღებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დადგენილია, რომ მამაკაცი ბავშვის მამა არ არის.
(2) §1592 №1 და §1593 არ მოქმედებს ასევე, თუ ბავშვი დაიბადა განქორწინების შესახებ სასამართლო დავის განხილვის შემდეგ და მესამე პირი განქორწინების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადის გასვლამდე აღიარებს მამობას; §1594 მე-2 ნაწილი არ გამოიყენება. §§1595 და 1596 თანახმად აუცილებელ განცხადებებთან ერთად, მამობის აღიარება საჭიროებს იმ მამაკაცის თანხმობას, ვინც ბავშვის დაბადების მომენტში ქორწინებაში იმყოფება ბავშვის დედასთან; აღნიშნული თანხმობისათვის შესაბამისად მოქმედებს §1594 მე-3 და მე-4 ნაწილები, §1596 1-ლი ნაწილის 1-3 წინადადებები, მე-3 და მე-4 ნაწილები, §1597 1-ლი და მე-2 ნაწილები და §1598 1-ლი ნაწილი. მამობის აღიარება სამართლებრივი ძალის მქონეა არაუადრეს განქორწინების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისა.

§ 1600. შეცილებაზე უფლებამოსილი პირები
(1) შემდეგი პირები არიან უფლებამოსილნი შეცილებაზე:
1. მამაკაცი, ვისი მამობაც არსებობს §1592 №№1-2-ისა და §1593 თანახმად,
2. მამაკაცი, ვინც ფიცის ტოლფასი განცხადებით ადასტურებს, რომ მას ჩასახვის მომენტში სქესობრივი ურთიერთობა ჰქონდა ბავშვის დედასთან,
3. დედა და ბავშვი.

(2) 1-ლი ნაწილის №2-ის თანახმად შეცილება წინაპირობად აყენებს იმას, რომ ბავშვსა და მის მამას შორის არ არსებობს სოციალური და ოჯახური ურთიერთობა 1-ლი ნაწილის №1-ის გაგებით და იგი არ არსებობდა მამის გარდაცვალების მომენტში და რომ შეცილების განმახორციელებელი პირი წარმოადგენს ბავშვის ბიოლოგიურ მამას.
(3) 1-ლი ნაწილის №5-ის თანახმად შეცილება წინაპირობად აყენებს იმას, რომ ბავშვსა და მამობის ამღიარებელ პირს შორის არ არსებობს სოციალური და ოჯახური ურთიერთობა ან აღიარების ან პირის გარდაცვალების მომენტში იგი არ არსებობდა და აღიარების შედეგად კმაყოფილდება სამართლებრივი წინაპირობები ქვეყანაში ბავშვის ან ერთ-ერთი მშობლის ნებადართული შესვლის ან ნებადართული ცხოვრებისათვის.
(4) მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად სოციალური და ოჯახური ურთიერთობა არსებობს, როდესაც 1-ლი ნაწილის №1-ის გაგებით მამას შესაბამის მომენტში ფაქტობ-

რივად ეკისრება ან ეკისრებოდა ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობა. ფაქტობრივი პასუხისმგებლობის კისრება სახეზეა, როგორც წესი, იმ შემთხვევაში, როდესაც მამა 1-ლი ნაწილის №1-ის გაგებით დაქორწინებულია ბავშვის დედასთან ან ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ცხოვრობდა ბავშვთან ერთად საოჯახო კავშირში.
(5) თუ მამისა და დედის თანხმობით ბავშვი ჩაისახა ხელოვნური განაყოფიერების გზით მესამე პირის მხრიდან შემოწირული სპერმის მეშვეობით, მაშინ მამობის საკითხზე მამაკაცის ან დედის მხრიდან შეცილება გამორიცხულია.
(6) ლანდის მთავრობები უფლებამოსილნი არიან, სახელისუფლო განკარგულებით 1-ლი ნაწილის №5-ის თანახმად განსაზღვრონ ადმინისტრაციული ორგანოები. ლანდის მთავრობებს შეუძლიათ სახელისუფლო განკარგულებით აღნიშნული უფლებამოსილება გადასცენ კომპეტენტურ ზემდგომ ლანდის ადმინისტრაციულ ორგანოებს. თუ აღნიშნული ნორმების თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს ტერიტორიული განსჯადობა, მაშინ ეს უკანასკნელი დგინდება იმ სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით, რომელიც განსჯადია სარჩელის განხილვაზე.

§ 1600ა. პირადი შეცილება; შეცილება ქმედუუნარობის ან შეზღუდული ქმედუნარიანობის შემთხვევაში

(1) შეცილება უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით დაუშვებელია.
(2) §1600 1-ლი ნაწილის №№1-3-ის გაგებით შეცილებაზე უფლებამოსილ პირებს მამობის საკითხზე შეცილება შეუძლიათ მხოლოდ პირადად. აღნიშნული წესი მოქმედებს ასევე, თუ ისინი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები არიან; მათ არ ესაჭიროებათ მათი კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა. თუ შეცილებაზე უფლებამოსილი პირები წარმოადგენენ ქმედუუნარო პირებს, მაშინ მამობის საკითხზე შეცილება შეუძლია მხოლოდ მათ კანონიერ წარმომადგენელს.
(3) ქმედუუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე ბავშვის სასარგებლოდ შეცილება შეუძლია მხოლოდ კანონიერ წარმომადგენელს.
(4) შეცილება კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემსახურება მარწმუნებლის კეთილდღეობას.
(5) სამზრუნველო პირს შეცილება შეუძლია მხოლოდ პირადად.

§ 1600ბ. შეცილების ვადები

(1) მამობა შეიძლება შეცილებულ იქნეს სასამართლო წესით ორი წლის განმავლობაში. ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც უფლებამოსილი პირი შეიტყობს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც იუწყება მისი მამობის საწინააღმდეგოდ; §1600 მე-2 ნაწილის 1-ლი ალტერნატივის გაგებით სოციალური და ოჯახური ურთიერთობის არსებობა ხელს არ უშლის ვადის დენას.
(1ა) §1600 1-ლი ნაწილის №5-ის შემთხვევაში, მამობა შეიძლება შეცილებულ იქნეს სასამართლო წესით ერთი წლის განმავლობაში. ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილებაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო შეიტყობს იმ ფაქტების თაობაზე, რომლებიც ამართლებს ვარაუდს, რომ სახეზეა მისი შეცილების უფლებისათვის საჭირო წინაპირობები. შეცილება გამორიცხულია ფედერალურ ტერიტორიაზე დაბადებული ბავშვის მიმართ მამობის აღიარების ძალაში შესვლის შემდეგ არაუგვიანეს ხუთი წლის ვადის გასვლისა; საწინააღმდეგო შემთხვევაში – ქვეყანაში ბავშვის შესვლის შემდეგ არაუგვიანეს ხუთი წლის ვადის გასვლისა.
(2) ვადის დენა არ იწყება ბავშვის დაბადებამდე ან მანამდე, სანამ მამობის აღიარება არ შევა ძალაში. §1593 მე-4 წინადადებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ვადის

დენა არ იწყება სასამართლოს იმ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, რომლითაც დგინდება, რომ დედის ახალი ქმარი არ წარმოადგენს ბავშვის მამას.
(3) თუ არასრულწლოვანი ბავშვის კანონიერმა წარმომადგენელმა დროულად არ განახორციელა შეცილება, მაშინ ბავშვს სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ თავად შეუძლია შეცილება. ამ შემთხვევაში ვადის დენა არ იწყება სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე და იმ მომენტამდე, როდესაც ბავშვი შეეიტყობს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც იუწყება მამობის საწინააღმდეგოდ.
(4) თუ ქმედუუნარო პირის კანონიერმა წარმომადგენელმა დროულად არ განახორციელა შეცილება, მაშინ შეცილებაზე უფლებამოსილ პირს ქმედუუნარობის გაქარწყლების შემდეგ თავად შეუძლია შეცილება. შესაბამისად მოქმედებს მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება.
(5) ვადის დენა ჩერდება §1598ა მე-2 ნაწილის თანახმად პროცესის ინიციირებით; შესაბამისად მოქმედებს §204 მე-2 ნაწილი. ვადის დენა ჩერდება ასევე მანამდე, სანამ უფლებამოსილ პირს მუქარით უკანონოდ ეშლება ხელი შეცილებაში. დანარჩენ შემთხვევებში შესაბამისად მოქმედებს §§206 და 210.
(6) თუ ბავშვი შეიტყობს იმ ფაქტების თაობაზე, რომელთა საფუძველზეც მამობის შედეგები მისთვის მიუღებელია, მაშინ ამ მომენტიდან 1-ლი ნაწილის 1-ლ წინადადებაში მითითებული ვადის ათვლა თავიდან იწყება.

§ 1600გ. მამობის პრეზუმფცია შეცილების პროცესში
(1) მამობის შეცილების პროცესში ივარაუდება, რომ ბავშვი წარმოადგენს იმ მამაკაცის შთამომავალს, რომლის მამობაც არსებობს §1592 №№1 და 2-ის თანახმად.
(2) 1-ლი ნაწილის თანახმად პრეზუმფცია არ მოქმედებს, თუ მამაკაცი, რომელმაც აღიარა მამობა, ახორციელებს მამობის შეცილებას ან მის აღიარებას აქვს ნების ნაკლი §119 1-ლი ნაწილის, §123 თანახმად; ამ შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება §1600დ მე-2 და მე-3 ნაწილები.

§ 1600დ. მამობის დადგენა სასამართლო წესით
(1) თუ ადგილი არა აქვს მამობის დადგენას §1592 №№1 და 2-ის, §1593 თანახმად, მაშინ მამობა უნდა დადგინდეს სასამართლო წესით.
(2) მამობის სასამართლო წესით დადგენის პროცესში მამად ივარაუდება პირი, რომელსაც ჩასახვის მომენტში სქესობრივი ურთიერთობა ჰქონდა ბავშვის დედასთან. პრეზუმფცია არ მოქმედებს, თუ მამობის მიმართ სერიოზული ეჭვი არსებობს.
(3) ჩასახვის მომენტად ითვლება დროის პერიოდი ბავშვის დაბადებამდე მე-300 დღიდან 181-ე დღემდე როგორც მე-300, ისე 181-ე დღის ჩათვლით. თუ დგინდება, რომ ბავშვი ჩაისახა დროის სხვა პერიოდში, ვიდრე ეს მითითებულია 1-ლ წინადადებაში, მაშინ ჩასახვის მომენტად ითვლება ეს სხვა პერიოდი.
(4) თუ კანონიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს, მამობის სამართლებრივი შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მამობის დადგენის მომენტიდან.

კარი 3. რჩენის ვალდებულება

ქვეკარი 1. ზოგადი ვალდებულებები

§ 1601. რჩენაზე ვალდებული პირები
პირდაპირი ხაზით ნათესავები ვალდებული არიან, არჩინონ ერთმანეთი.

§ 1602. მძიმე მდგომარეობა
(1) რჩენაზე უფლებამოსილია მხოლოდ ის პირი, ვინც უუნაროა, თავად ირჩინოს თავი.
(2) არასრულწლოვან დაუქორწინებელ ბავშვს – იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას აქვს ქონება – შეუძლია თავის მშობლებს მოსთხოვოს სარჩოს გადახდა იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მისი ქონებისა და შრომითი შემოსავალი რჩენისათვის საკმარისი არ არის.

§ 1603. სარჩოს გადახდის უნარი
(1) რჩენის ვალდებულება არ ეკისრება პირს, რომელიც მისი სხვა ვალდებულებების გათვალისწინებით უუნაროა, რისკის გარეშე იხადოს სარჩო თავისი თავის სათანადო რჩენისათვის.
(2) თუ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან მშობლები, მაშინ ისინი თავიანთი არასრულწლოვანი დაუქორწინებელი შვილების მიმართ ვალდებულნი არიან, გამოიყენონ ყველა მათ ხელთ არსებული ფულადი რესურსი თავიანთი თავისა და შვილების თანაბარწილად რჩენისათვის. არასრულწლოვან დაუქორწინებელ შვილებს უთანაბრდებიან 21 წლის ასაკს მიუღწეველი სრულწლოვანი დაუქორწინებელი შვილები, სანამ ისინი ცხოვრობენ მშობლების ან ერთ-ერთი მშობლის ოჯახში და იღებენ საშუალო განათლებას. აღნიშნული ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ არსებობს რჩენაზე ვალდებული სხვა ნათესავი; ვალდებულება არ წარმოიშობა ასევე იმ ბავშვის მიმართ, რომლის რჩენაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მისი ქონებიდან.

§ 1604. მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის გავლენა
თუ რჩენაზე ვალდებული პირი ცხოვრობს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში, მაშინ ნათესავების მიმართ მისი რჩენის ვალდებულება განისაზღვრება იმგვარად, თითქოს მეუღლეთა საერთო ქონება ეკუთვნის მას. თუ მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში მცხოვრებ ორივე პირს ჰყავს მძიმე მდგომარეობაში მყოფი ნათესავები, მაშინ მეუღლეთა საერთო ქონებიდან სარჩოს გადახდა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ისე, თითქოს მძიმე მდგომარეობაში მყოფი პირები რჩენაზე ვალდებულ ორივე პირთან ისეთ ნათესაურ კავშირში იქნებოდნენ, რომელიც საფუძველი იქნებოდა ვალდებული პირისათვის რჩენის ვალდებულების დაკისრებისათვის.

§ 1605. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება
(1) პირდაპირი ხაზით ნათესავები ერთმანეთის მიმართ ვალდებულნი არიან, მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინონ ერთმანეთს ინფორმაცია თავიანთი შემოსავლებისა და ქონების შესახებ, რამდენადაც ეს აუცილებელია რჩენის მოთხოვნის უფლებისა თუ რჩენის ვალდებულების დადგენისათვის. მოთხოვნის საფუძველზე წარდგენილ უნდა იქნეს შემოსავლების დამადასტურებელი დოკუმენტები, მათ შორის, დამსაქმებლის ცნობები. შესაბამისად გამოიყენება §§260, 261.

(2) ორი წლის ვადის გასვლამდე ინფორმაციის განახლება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება იმის ალბათობა, რომ ვალდებულმა პირმა შემდგომში შემოსავალი მიიღო გაცილებით მეტი ოდენობით ან დამატებით შეიძინა ქონება.

§ 1606. რჩენაზე ვალდებულ პირთა უფლებათა რიგითობა

(1) შთამომავლები ვალდებულნი არიან რჩენაზე აღმავალი ხაზით ნათესავების უპირატესად.

(2) შთამომავლებსა და აღმავალი ხაზით ნათესავებს შორის უფრო ახლო ნათესავები პასუხს აგებენ შორეულ ნათესავებზე უპირატესად.

(3) რამდენიმე თანაბრად ახლო ნათესავი პასუხს აგებს თავისი შემოსავლებისა და ქონებრივი მდგომარეობის პროპორციულად. მშობელი, ვინც ახორციელებს არასრულწლოვანი დაუქორწინებელი შვილის მიმართ მზრუნველობას, ბავშვის რჩენაში თანამონაწილეობის ვალდებულებას ასრულებს, როგორც წესი, ბავშვის მოვლისა და აღზრდის გზით.

§ 1607. სუბსიდიალური პასუხისმგებლობა და მოთხოვნის გადასვლა კანონის ძალით

(1) რამდენადაც §1603 საფუძველზე ნათესავს არ ეკისრება რჩენის ვალდებულება, ეს უკანასკნელი ეკისრება შემდეგი რიგის ნათესავს.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ ქვეყნის ტერიტორიაზე ნათესავის წინააღმდეგ სასამართლოში საქმის წარმოება გამორიცხული ან მნიშვნელოვნად გაძნელებულია. ასეთი ნათესავის მიმართ მოთხოვნის უფლება გადადის 1-ლი ნაწილის თანახმად ვალდებულ ნათესავზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი ახორციელებს სარჩოს გადახდას.

(3) მშობლების მიმართ შვილის რჩენის მოთხოვნის უფლება გადადის სხვა ნათესავზე, რომელსაც არ ეკისრება რჩენის ვალდებულება, ან მშობლის მეუღლეზე, რამდენადაც ისინი ახორციელებენ სარჩოს გადახდას მშობლის ნაცვლად მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებული წინაპირობების დაცვისას.

(4) რჩენის მოთხოვნის უფლების გადასვლა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს რჩენაზე უფლებამოსილი პირის საზიანოდ.

§ 1608. მეუღლის ან თანაცხოვრების პარტნიორის პასუხისმგებლობა

(1) მძიმე მდგომარეობაში არსებული პირის მეუღლე ვალდებულია ამ პირის ნათესავების უპირატესად. თუმცა, რამდენადაც მეუღლე მისი სხვა ვალდებულებების გათვალისწინებით უუნაროა, რისკის გარეშე იხადოს სარჩო თავისი თავის სათანადო რჩენისათვის, ნათესავები ვალდებულნი არიან მეუღლის უპირატესად. შესაბამისად მოქმედებს §1607 მე-2 და მე-4 ნაწილები. მძიმე მდგომარეობაში არსებული თანაცხოვრების პარტნიორი ვალდებულია იგივე წესით, როგორც მეუღლე.

(2) *(გაუქმებულია)*

§ 1609. რჩენაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირის უფლებათა რიგითობა

(1) თუ სახეზეა რჩენაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი და რჩენაზე ვალდებულ პირს არ შეუძლია ყველა მათგანისათვის სარჩოს გადახდა, მოქმედებს შემდეგი რიგითობა:

1. არასრულწლოვანი დაუქორწინებელი შვილები და შვილები §1603 მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების გაგებით,

2. მშობლები, რომლებიც შვილის მიმართ მზრუნველობის გამო უფლებამოსილნი არიან რჩენაზე ან უფლებამოსილნი იქნებოდნენ აღნიშნულზე განქორწინების შემთხვევაში, ასევე მეუღლეები და განქორწინებული მეუღლეები ხანგრძლივვადიანი ქორწინების შემთხვევაში; თუ დგინდება, რომ ქორწინება იყო ხანგრძლივვადიანი, გასათვალისწინებელია ასევე უარყოფითი შედეგები §1578ბ 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების გაგებით,
3. მეუღლეები და განქორწინებული მეუღლეები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან №2-ში მითითებულ პირებს,
4. შვილები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან №1-ში მითითებულ პირებს,
5. შვილიშვილები და შორეული შთამომავლები,
6. მშობლები,
7. აღმავალი ხაზის შორეული ნათესავები; ამ უკანასკნელთა შორის უახლოესი ნათესავები ვალდებულნი არიან შორეულების უპირატესად.

§ 1610. სარჩოს ოდენობა

(1) გადასახდელი სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მძიმე მდგომარეობაში არსებული პირის საცხოვრებელი მდგომარეობის მიხედვით (სათანადო რჩენა).

(2) რჩენა მოიცავს ცხოვრებისეული საჭიროებების ერთობლიობას სათანადო პროფესიული სწავლების ხარჯების ჩათვლით, ხოლო მძიმე მდგომარეობაში არსებული პირის აღზრდის შემთხვევაში კი, – ასევე აღზრდის ხარჯების ჩათვლით.

§ 1610ა. ხარჯების დაფარვის პრეზუმფცია ზიანის მიყენების შედეგად წარმოშობილი დამატებითი ხარჯების შემთხვევაში

თუ სხეულის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის გამოიყენება სოციალური გადახდები, რჩენის მოთხოვნის უფლების დადგენისათვის ივარაუდება, რომ ხარჯების ოდენობა არ არის აღნიშნულ სოციალურ გადახდებზე ნაკლები.

§ 1611. ვალდებულის შეზღუდვა ან მისგან გათავისუფლება

(1) თუ რჩენაზე უფლებამოსილი პირი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება თავისი მორალურად გასაკიცხი მოქმედების შედეგად, მან უხეშად უგულებელყო რჩენაზე ვალდებული პირის მიმართ დაკისრებული რჩენის ვალდებულება ან რჩენაზე ვალდებული პირის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ განზრახ ჩაიდინა მძიმე გადაცდომა, მაშინ ვალდებულმა პირმა უნდა შეიტანოს თავისი წვლილი რჩენაში იმ ოდენობით, რაც შეესაბამება სამართლიანობას. ვალდებულება წყდება მთლიანად, თუ ვალდებული პირისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნა უკიდურესად უსამართლო იქნებოდა.

(2) 1-ლი ნაწილის ნორმები არ გამოიყენება არასრულწლოვანი დაუქორწინებელი შვილების მიმართ მშობლების რჩენის ვალდებულების მიმართ.

(3) მძიმე მდგომარეობაში არსებულ პირს ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად დამდგარი თავისი მოთხოვნის უფლების შეზღუდვის გამო არ შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა რჩენაზე ვალდებული სხვა პირების მიმართ.

§ 1612. სარჩოს გადახდის ფორმა

(1) რჩენა ხორციელდება ფულადი სარჩოს გადახდით. ვალდებულ პირს შეუძლია მოითხოვოს, რომ მას დაერთოს სარჩოს სხვა ფორმით გადახდის ნება, თუ ეს გამართლებულია განსაკუთრებული საფუძვლებით.

(2) თუ მშობლებმა სარჩო უნდა უხადონ არასრულწლოვან დაუქორწინებელ შვილს, მათ შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რა ფორმითა და რა ვადებში უნდა იქნეს წინასწარ გადახდილი სარჩო, რამდენადაც სათანადო ყურადღება მიექცა ბავშვის ინტერესებს. თუ ბავშვი არასრულწლოვანია, მაშინ იმ მშობელს, რომელსაც არ ეკისრება ბავშვზე ზრუნვა, შეუძლია დაადგინოს სარჩოს გადახდის წესი მხოლოდ იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც ბავშვი იმყოფება მის ოჯახში.
(3) ფულადი სარჩო გადახდილ უნდა იქნეს ყოველთვიურად წინასწარ. ვალდებულ პირს ეკისრება ერთი თვის მთლიანი თანხის გადახდა მაშინაც კი, თუ ამ თვის განმავლობაში უფლებამოსილი პირი გარდაიცვლება.

§ 1612ა. სარჩოს მინიმალური ოდენობა არასრულწლოვანი შვილებისათვის
(1) არასრულწლოვან შვილს შეუძლია იმ მშობლისაგან, ვისთანაც ოჯახში იგი არ ცხოვრობს, მოითხოვოს რჩენა შესაბამისი მინიმალური სარჩოს თანხიდან საპროცენტო განაკვეთის სახით. მინიმალური სარჩო გამოითვლება როგორც ბავშვის მატერიალური საარსებო მინიმუმის ორმაგი დაუბეგრავი თანხის ოდენობით "საშემოსავლო გადახადის შესახებ" კანონის (Einkommensteuergesetz) §32 მე-6 ნაწილის 1-ლი წინადადების თანახმად. ბავშვს ასაკის მიხედვით იგი
1. ბავშვის მიერ ექვსი წლის ასაკამდე პერიოდისათვის (პირველი ასაკობრივი ჯგუფი) ყოველთვიურად შეადგენს 87 პროცენტს,
2. შვიდიდან თორმეტი წლის ასაკამდე პერიოდისათვის (მეორე ასაკობრივი ჯგუფი) – 100 პროცენტსა და
3. 13 წლის ასაკიდან (მესამე ასაკობრივი ჯგუფი) – 117 პროცენტს ბავშვის ორმაგი დაუბეგრავი თანხის მეთორმეტედი ნაწილისა.

(2) საპროცენტო განაკვეთი გამოითვლება ერთი მეათედის სიზუსტით; მეასედები და მეათასედები მხედველობაში არ მიიღება. სარჩოს გამოანგარიშებისას მიღებული თანხა მრგვალდება მთლიან ევრომდე.
(3) ზედა ასაკობრივი ჯგუფის სარჩო გადაიხდება იმ თვის დასაწყისიდან, რომელშიც ბავშვი აღწევს შესაბამის ასაკს.
(4) და (5) *(გაუქმებულია)*

§ 1612ბ. ნაღდი ფულის საჭიროების დაკმაყოფილება ბავშვის შემწეობის მეშვეობით
(1) ბავშვის მიერ მისაღები შემწეობის თანხა გამოიყენება მისი ნაღდი ფულის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის შემდეგი წესით:
1. გამოიყენება შემწეობის თანხის ნახევარი, თუ მშობელი ნაკისრ რჩენის ვალდებულებას ახორციელებს შვილის მიმართ მზრუნველობის მეშვეობით (§1606 მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება);
2. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება მთლიანი თანხა.

ბავშვის ნაღდი ფულის საჭიროება მცირდება ზემოაღნიშნული ოდენობით.
(2) თუ ბავშვის შემწეობის თანხა იზრდება იმ ბავშვის ინტერესების გათვალისწინების გამო, ვინც არ არის ორივე მეუღლის საერთო შვილი, მაშინ ის თანხა, რომლითაც განხორციელდა გაზრდა, მხედველობაში არ მიიღება.

§ 1612გ. ბავშვთან დაკავშირებული სხვა გადახდების ანგარიშში ჩათვლა
§1612ბ შესაბამისად მოქმედებს ბავშვთან დაკავშირებული პერიოდულად განსახორციელებელი გადახდების მიმართ, თუ ეს გადახდები გამორიცხავს ბავშვის შემწეობის მოთხოვნის უფლებას.

§ 1613. რჩენა განვლილი პერიოდისათვის

(1) განვლილი პერიოდისათვის უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება ან ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ვალდებულ პირს რჩენის მოთხოვნის უფლების რეალიზაციის მიზნით მოეთხოვა თავისი შემოსავლებისა და ქონების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ან ვალდებული პირის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების ანდა რჩენის მოთხოვნის უფლების სასამართლო წესით განხილვის დაწყების მომენტიდან. რჩენის ვალდებულება წარმოიშობა იმ თვის პირველი რიცხვიდან, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ზემოთ მითითებულ მოვლენებს, თუ რჩენის მოთხოვნის უფლება აღნიშნული მომენტისათვის არსებითად არსებობდა.

(2) უფლებამოსილ პირს შეუძლია განვლილი პერიოდისათვის მოითხოვოს ვალდებულების შესრულება 1-ლ ნაწილში მითითებული შეზღუდვების გარეშე

1. შემთხვევითი განსაკურთებული საჭიროების შედეგად (განსაკურთებული საჭიროება); საჭიროების წარმოშობიდან ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული მოთხოვნის უფლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მანამდე ადგილი ჰქონდა ვალდებული პირის მხრიდან ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებას ან დაიწყო რჩენის მოთხოვნის უფლების სასამართლო წესით განხილვა;
2. იმ პერიოდისათვის, რომლის განმავლობაშიც მას
   ა) სამართლებრივი საფუძვლებით ან
   ბ) ფაქტობრივი საფუძვლებით, რომლებიც განეკუთვნება რჩენაზე ვალდებული პირის პასუხისმგებლობის სფეროს, ხელი ეშლებოდა რჩენის მოთხოვნის უფლების რეალიზაციაში.

(3) მე-2 ნაწილის №2-ით გათვალისწინებულ შემთხვევებში ვალდებულების შესრულება არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ნაწილობრივ ან უფრო გვიანი ვადისათვის, თუ სრული ან დაუყოვნებელი შესრულება ვალდებული პირის მიმართ უკიდურესად უსამართლო იქნებოდა. აღნიშნული წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი ვალდებული პირისაგან ითხოვს საზღაურს იმის გამო, რომ ვალდებული პირის ნაცვლად სარჩო მან გადაიხადა.

§ 1614. რჩენის მოთხოვნის უფლებაზე უარი; საავანსო გადახდა

(1) მომავლისათვის რჩენაზე უარის თქმა დაუშვებელია.

(2) საავანსო გადახდის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მძიმე მდგომარეობის განახლებისას ვალდებული პირი თავისუფლდება რჩენის ვალდებულებისაგან მხოლოდ §760 მე-2 ნაწილში დადგენილი დროის პერიოდისათვის ან თუ მან თავად უნდა დაადგინოს დროის პერიოდი, – გარემოებებიდან გამომდინარე დადგენილი პერიოდი.

§ 1615. რჩენის მოთხოვნის უფლების გაუქმება

(1) რჩენის მოთხოვნის უფლება უქმდება უფლებამოსილი პირის ან ვალდებული პირის გარდაცვალებით, თუ იგი არ არის მიმართული განვლილი პერიოდისათვის ვალდებულების შესრულებაზე ან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურებაზე ანდა ისეთ საავანსო გადახდებზე, რომელთა განხორციელების ვადაც დგება უფლებამოსილი პირის ან ვალდებული პირის გარდაცვალების მომენტში.

(2) უფლებამოსილი პირის გარდაცვალების შემთხვევაში ვალდებულ პირს ეკისრება დასაფლავების ხარჯები, თუ ამ ხარჯებისათვის გადახდის მიღება ვერ ხერხდება მემკვიდრისაგან.

ქვეკარი 2. შვილისა და მისი იმ მშობლების შესახებ სპეციალური ნორმები, რომლებიც არ იმყოფებიან ერთმანეთთან ქორწინებაში

§ 1615ა. გამოსაყენებელი ნორმები

თუ შვილის მიმართ მამობა არ არის დადგენილი §1592 №1-ის, §1593 თანახმად და მშობლების მიერ შვილის ჩასახვა მოხდა ასევე იმ პერიოდში, როდესაც ისინი არ იმყოფებოდნენ ერთმანეთთან ქორწინებაში ან ისინი დაქორწინდნენ შვილის დაბადების შემდეგ, მოქმედებს ზოგადი ნორმები, თუ ქვემოთ მოცემული ნორმებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§§ 1615ბ-1615კ. *(გაუქმებულია)*

§ 1615ლ. დედის ან მამის რჩენის მოთხოვნის უფლება შვილის დაბადების გამო

(1) მამამ უნდა უხდოს დედას სარჩო ბავშვის დაბადებამდე ექვსი, ხოლო დაბადების შემდეგ კი რვა კვირის ვადის განმავლობაში. ეს წესი მოქმედებს ასევე იმ ხარჯების მიმართაც, რომლებიც აღნიშნული პერიოდის მიღმა წარმოიშობა ორსულობის ან მშობიარობის შედეგად.

(2) რამდენადაც დედა უუნაროა, დაკავდეს ეკონომიკური საქმიანობით ორსულობის ან მშობიარობით გამოწვეული ავადმყოფობის შედეგად, მამა ვალდებულია, უხდოს მას სარჩო იმ ვადის განმავლობაში, რომელიც აღემატება 1-ლი ნაწილის 1-ლ წინადადებაში მითითებულ პერიოდს. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ დედისგან არ არის მოსალოდნელი ეკონომიკური საქმიანობით დაკავება ბავშვის მოვლისა თუ აღზრდის გამო. რჩენის ვალდებულება წარმოიშობა არაუადრეს ოთხი თვისა ბავშვის დაბადებამდე და არსებობს, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში დაბადების შემდეგ. რჩენის ვალდებულება შენარჩუნდება, სანამ და რამდენადაც იგი შეესაბამება სამართლიანობას. ამავე დროს განსაკუთრებით მხედველობაშია მისაღები ბავშვის ინტერესები და ბავშვზე ზრუნვის არსებული შესაძლებლობები.

(3) შესაბამისად გამოიყენება ნათესავებს შორის რჩენის ვალდებულების შესახებ ნორმები. მამის ვალდებულებას ენიჭება უპირატესობა დედის ნათესავების ვალდებულებასთან შედარებით. შესაბამისად მოქმედებს §1613 მე-2 ნაწილი. მოთხოვნის უფლება არ უქმდება მამის გარდაცვალებით.

(4) თუ ბავშვზე ზრუნვას ახორციელებს მამა, მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად მას მოთხოვნის უფლება აქვს დედის მიმართ. ამ შემთხვევაში შესაბამისად მოქმედებს მე-3 ნაწილი.

§ 1615მ. დედის დასაფლავების ხარჯები

თუ ორსულობის ან მშობიარობის გამო გარდაიცვლება დედა, მაშინ დასაფლავების ხარჯები ეკისრება მამას, რამდენადაც ამ ხარჯებისათვის გადახდის მიღება ვერ ხერხდება დედის მემკვიდრისაგან.

§ 1615ნ. მოთხოვნის უფლებები არ უქმდება მამის გარდაცვალების ან მკვდრადშობილი ბავშვის შემთხვევაში
მოთხოვნის უფლებები §§1615ლ, 1615მ თანახმად არსებობს ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მამა გარდაიცვლება ბავშვის დაბადებამდე ან მკვდარი ბავშვის დაბადებამდე. მუცლის მოშლის შემთხვევაში აზრობრივად მოქმედებს §§1615ლ, 1615მ.

კარი 4. სამართლებრივი ურთიერთობა მშობლებსა და შვილს შორის ზოგადად

§ 1616. დაბადების გვარი მშობლების საქორწინო გვარის შემთხვევაში
შვილი დაბადების გვარის სახით იღებს თავისი მშობლების საქორწინო გვარს.

§ 1617. დაბადების გვარი იმ მშობლების მიერ საქორწინო გვარის არქონის შემთხვევაში, რომლებიც ერთობლივად ახორციელებენ ბავშვზე ზრუნვას
(1) თუ მშობლებს არა აქვთ საქორწინო გვარი და ისინი ბავშვზე ზრუნვას ახორციელებენ ერთობლივად, მაშინ ისინი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს წინაშე გაკეთებული განცხადებით შვილის დაბადების გვარის სახით ადგენენ გვარს, რომელიც მამას ან დედას აქვთ განცხადების წარდგენის მომენტში. დაბადების რეგისტრაციის შემდეგ წარდგენილი განცხადება უნდა დამოწმდეს ოფიციალურად. მშობლების გადაწყვეტილება გამოიყენება ასევე მათი შემდგომი შვილების მიმართ.
(2) თუ მშობლები ბავშვის დაბადებიდან ერთი თვის განმავლობაში არ იღებენ გადაწყვეტილებას, საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების უფლებას ანიჭებს ერთ-ერთ მშობელს. შესაბამისად მოქმედებს 1-ლი ნაწილი. სასამართლოს შეუძლია მშობელს გადაწყვეტილების მიღების უფლების გამოყენებისათვის დაუდგინოს ვადა. თუ ვადის გასვლამდე გადაწყვეტილების მიღების უფლება არ იქნება განხორციელებული, მაშინ ბავშვი იღებს იმ მშობლის გვარს, რომელსაც მიენიჭა გადაწყვეტილების მიღების უფლება.
(3) თუ ბავშვი არ დაიბადა ქვეყნის ტერიტორიაზე, მაშინ სასამართლო მე-2 ნაწილის თანახმად გადაწყვეტილების მიღების უფლებას ერთ-ერთ მშობელს ანიჭებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამის შესახებ განცხადებას წარადგენს ერთ-ერთ მშობელი ან ბავშვი ან ბავშვის გვარის გერმანული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის რეესტრში ან გერმანულ პირადობის დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტში რეგისტრაცია სავალდებულოა.

§ 1617ა. დაბადების გვარი მშობლების მიერ საქორწინო გვარის არქონის შემთხვევაში, თუ ბავშვზე ზრუნვას ახორციელებს ერთ-ერთი მშობელი
(1) თუ მშობლებს არა აქვთ საქორწინო გვარი და ბავშვზე ზრუნვას ახორციელებს მხოლოდ ერთ-ერთი მშობელი, მაშინ ბავშვი იღებს იმ გვარს, რომელიც ამ მშობელს ბავშვის დაბადების მომენტში აქვს.
(2) მშობელს, რომელიც ერთპიროვნულად ახორციელებს დაუქორწინებელ შვილზე ზრუნვას, შეუძლია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს წინაშე გაკეთებული განცხადებით მიანიჭოს ბავშვს მეორე მშობლის გვარი. გვარის მინიჭება საჭიროებს მეორე მშობლის თანხმობას, ხოლო თუ ბავშვმა მიაღწია ხუთი წლის ასაკს, – ასევე ბავშვის თანხმობას. განცხადებები უნდა დამოწმდეს ოფიციალურად. ბავშვის თანხმობის მიმართ შესაბამისად მოქმედებს §1617გ 1-ლი ნაწილი.

§ 1617ბ. გვარი მშობლების მიერ ბავშვზე შემდგომში განხორციელებული ზრუნვის ან მოჩვენებითი მამობის შემთხვევაში

(1) თუ ბავშვზე მშობლების ერთობლივი ზრუნვა დგინდება მხოლოდ იმის შემდეგ, რაც შვილს უკვე მიღებული აქვს გვარი, მაშინ ერთობლივი ზრუნვის დადგენის შემდეგ სამი თვის განმავლობაში ბავშვის გვარი შეიძლება თავიდან განისაზღვროს. თუ ერთობლივი ზრუნვის დადგენისას ერთ-ერთ მშობელს არა აქვს თავისი ადგილსამყოფელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ვადა იწურება არაუადრეს ერთი თვის გასვლისა ქვეყანაში მისი დაბრუნების შემდეგ. თუ ბავშვს შეუსრულდა ხუთი წელი, მაშინ გვარის განსაზღვრა სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი გვარის განსაზღვრას ეთანხმება. შესაბამისად მოქმედებს §1617 1-ლი ნაწილი და §1617გ 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები.

(2) თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ის მამაკაცი, ვისი გვარიც გახდა ბავშვის დაბადების გვარი, არ არის ბაშვის მამა, მაშინ ბავშვს თავისი შუამდგომლობით ან თუ ბავშვს ჯერ კიდევ არ შესრულებია ხუთი წელი, – ასევე მამაკაცის შუამდგომლობითაც, დაბადების გვარის სახით მიეცემა დედის გვარი, რომელიც ამ უკანასკნელს აქვს ბავშვის დაბადების მომენტში. შუამდგომლობა ხორციელდება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს წინაშე წარდგენილი განცხადებით, რომელიც უნდა დამოწმდეს ოფიციალურად. ბავშვის მიერ განცხადების წარდგენის მიმართ შესაბამისად მოქმედებს §1617გ 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები.

§ 1617გ. ბავშვის გვარი მშობლების მიერ გვარის შეცვლის შემთხვევაში

(1) თუ მშობლები განსაზღვრავენ საქორწინო გვარს ბავშვის მიერ ხუთი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, მაშინ საქორწინო გვარის ეს განსაზღვრა ეხება ბავშვის დაბადების გვარს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი გვარის მინიჭებას ეთანხმება. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე ბავშვს, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი, შეუძლია განცხადების წარდგენა მხოლოდ პირადად; ამისათვის ბავშვს ესაჭიროება მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს წინაშე; იგი უნდა დამოწმდეს ოფიციალურად.

(2) 1-ლი ნაწილი შესაბამისად მოქმედებს,

1. თუ საქორწინო გვარი, რომელიც ბავშვის დაბადების გვარი გახდა, იცვლება ან
2. თუ §§1617, 1617ა და 1617ბ შემთხვევებში მშობლის საქორწინო გვარი, რომელიც ბავშვის დაბადების გვარი გახდა, იცვლება სხვაგვარად, ვიდრე ქორწინების რეგისტრაციით ან თანაცხოვრების დადგენით.

(3) დაბადების გვარის შეცვლა ვრცელდება ბავშვის საქორწინო ან თანაცხოვრების გვარზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვარის შეცვლას ეთანხმება ასევე მეუღლე ან თანაცხოვრების პარტნიორი; შესაბამისად მოქმედებს 1-ლი ნაწილის მე-3 წინადადება.

§ 1618. გვარის მინიჭება

მშობელს, რომელიც მარტო ან ერთობლივად მეორე მშობელთან ერთად ახორციელებს დაუქორწინებელ შვილზე ზრუნვას, და მის მეუღლეს, ვინც არ წარმოადგენს ბავშვის მშობელს, შეუძლიათ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს წინაშე გაკეთებული განცხადებით თავიანთი საქორწინო გვარი მიანიჭონ იმ ბავშვს, რომელიც მათ აღსაზრდელად აიყვანეს საერთო ოჯახში. მათ ასევე შეუძლიათ ეს გვარი

თავში ან ბოლოში დაუმატონ ასევე იმ გვარს, რომელიც ბავშვს აქვს განცხადების წარდგენის მომენტში; 1-ლი წინადადების 1-ლი ნაწილის თანახმად უფრო ადრე დამატებული საქორწინო გვარი უქმდება. გვარის მინიჭება ან დამატება საჭიროებს მეორე მშობლის თანხმობას, თუ იგი მშობლის ზრუნვას ახორციელებს ერთობლივად იმ მშობელთან ერთად, რომელმაც ბავშვს მიანიჭა გვარი ან ბავშვს აქვს მისი გვარი, ხოლო თუ ბავშვმა მიაღწია ხუთი წლის ასაკს, – ასევე ბავშვის თანხმობა. საოჯახო საქმეთა სასამართლოს თავისი გადაწყვეტილებით შეუძლია შეცვალოს სხვა მშობლის თანხმობა, თუ გვარის მინიჭება ან დამატება აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის. განცხადებები უნდა დამოწმდეს ოფიციალურად. შესაბამისად მოქმედებს §1617გ.

§ 1618ა. დახმარებისა და პატივისცემის ვალდებულება
მშობლები და შვილები ვალდებულნი არიან, დაეხმარონ და პატივი სცენ ერთმანეთს.

§ 1619. ბავშვის მიერ გაწეული მომსახურება საოჯახო მეურნეობასა და სამეწარმეო საქმიანობაში
მანამდე, სანამ ბავშვი ცხოვრობს მშობლების ოჯახში და მშობლები მას ზრდიან ან არჩენენ, იგი ვალდებულია, თავისი შესაძლებლობებისა და საცხოვრებელი მდგომარეობის შესაბამისად გაუწიოს მშობლებს მომსახურება მათ საოჯახო მეურნეობასა და სამეწარმეო საქმიანობაში.

§ 1620. ბავშვის მიერ მშობლების საოჯახო მეურნეობაზე გაწეული ხარჯები
თუ მშობლების ოჯახში მცხოვრები სრულწლოვანი შვილი საოჯახო მეურნეობის დანახარჯების დაფარვისათვის თავისი ქონებიდან სწევს ხარჯებს ან აღნიშნული მიზნით თავისი ქონებიდან რაიმეს გადასცემს მშობლებს, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ არ არსებობს საზღაურის მოთხოვნის განზრახვა.

§§ 1621-1623. *(გაუქმებულია)*

§ 1624. მშობლების ქონებიდან გამოყოფილი აქტივი
(1) ის ქონება, რასაც მამა ან დედა გადასცემენ შვილს ამ უკანასკნელის დაქორწინების ან საზოგადოებაში დამოუკიდებელი მდგომარეობის მიღწევის გათვალისწინებით საოჯახო მეურნეობის დაფუძნების ან საზოგადოებრივი მდგომარეობის შენარჩუნებისათვის (გამოყოფილი აქტივი), ჩაითვლება ჩუქებად ვალდებულების არარსებობის შემთხვევაშიც კი მხოლოდ იმ ოდენობით, რომლითაც გამოყოფილი აქტივი გარემოებების, კერძოდ კი, მამისა თუ დედის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით აღემატება შესაბამის ოდენობას.
(2) აქტივის გამომყოფის მიერ უფლებრივი ან ნივთის ნაკლის არარსებობისათვის გარანტიის წარდგენის ვალდებულება განისაზღვრება მჩუქებლის მიერ გარანტიის წარდგენის ვალდებულების მიმარ მოქმედი ნორმების თანახმად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გამოყოფილი აქტივი ჩუქებად არ მიიჩნევა.

§ 1625. შვილის ქონებიდან გამოყოფილი აქტივი
თუ მამა ახორციელებს აქტივის გამოყოფას იმ შვილისათვის, ვის ქონებასაც იგი მართვას მშობლის ზრუნვის, მეურვეობისა თუ მზრუნველობის ძალით, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ იგი აქტივის გამოყოფას ახორციელებს აღნიშნული ქონებიდან. ეს ნორმა შესაბამისად გამოიყენება დედის მიმართ.

კარი 4. მშობლის ზრუნვა

§ 1626. მშობლის ზრუნვა, პრინციპები

(1) მშობლებს ეკისრებათ ვალდებულება და აქვთ უფლება, იზრუნონ არასრულწლოვან შვილზე (მშობლის ზრუნვა). მშობლის ზრუნვა მოიცავს ზრუნვას შვილის პიროვნებასა (ზრუნვა პიროვნებაზე) და მის ქონებაზე (ზრუნვა ქონებაზე).

(2) ბავშვის მოვლისა და აღზრდისას მშობლები ითვალისწინებენ ბავშვის დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის გამთავისებელი მოქმედებებისათვის მზარდ უნარსა და მოთხოვნას. რამდენადაც ეს შეესაბამება ბავშვის განვითარების დონეს, მშობლები მასთან ერთად იხილავენ ზრუნვის საკითხებს და ცდილობენ კონსენსუსის მიღწევას.

(3) ბავშვის კეთილდღეობისათვის საჭიროა, როგორც წესი, ურთიერთობა ორივე მშობელთან. ანალოგიური წესი მოქმედებს სხვა პირებთან ურთიერთობისათვის, რომლებთანაც ბავშვს აქვს კავშირი, თუ ასეთი კავშირების შენარჩუნება ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას.

§ 1626ა. იმ მშობლების ზრუნვა, რომლებიც არ იმყოფებიან ერთმანეთთან ქორწინებაში; ზრუნვის კისრების შესახებ განცხადებები

(1) თუ მშობლები ბავშვის დაბადებისას არ იმყოფებიან ერთმანეთთან ქორწინებაში, მაშინ ისინი მშობლის ზრუნვას ახორციელებენ ერთობლივად ისე, რომ

1. აცხადებენ, რომ მათ სურთ ზრუნვის განხორციელება ერთობლივად (ზრუნვის კისრების შესახებ განცხადებები) ან
2. ერთმანეთთან დაქორწინდებიან.

(2) დანარჩენ შემთხვევებში მშობლის ზრუნვას ახორციელებს დედა.

§ 1626ბ. ზრუნვის კისრების შესახებ განცხადებების ძალმოსილების სპეციალური წინაპირობები

(1) ზრუნვის კისრების შესახებ განცხადებების გაკეთება პირობით ან ვადის დადგენით სამართლებრივი ძალის არმქონეა.

(2) ზრუნვის კისრების შესახებ განცხადებები შეიძლება გაკეთდეს ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე.

(3) ზრუნვის კისრების შესახებ განცხადებები სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ მშობლის ზრუნვის შესახებ მიღებულ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილება §§1671, 1672 შესაბამისად ან ასეთი გადაწყვეტილება შეიცვალა §1696 1-ლი ნაწილის თანახმად.

§ 1626გ. პირადი განცხადება; შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მშობელი

(1) მშობლებს ზრუნვის კისრების შესახებ განცხადებების წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ პირადად.

(2) შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მშობლის მიერ გაკეთებული მშობლის ზრუნვის კისრების შესახებ განცხადება საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას. ამ უკანასკნელის მიერ თანხმობა შეიძლება განცხადებულ იქნეს მხოლოდ პირადად; შესაბამისად მოქმედებს §1626ბ 1-ლი და მე-2 ნაწილები. საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მშობლის განცხადების საფუძველზე თანხმობა შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებით, თუ ზრუნვის კისრების შესახებ განცხადება ამ მშობლის კეთილდღეობასათვის საზიანო არ არის.

§ 1626დ. ფორმა; შეტყობინების ვალდებულება

(1) ზრუნვის კისრების შესახებ განცხადებები და თანხმობები უნდა დამოწმდეს ოფიციალურად.

(2) დამმოწმებელი დაწესებულება სოციალური დახმარების კოდექსის (Sozialgesetzbuch) მერვე წიგნის §58ა თანახმად, დაუყოვნებლივ ატყობინებს სოციალური დახმარების კოდექსის მერვე წიგნის §87გ მე-6 ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად კომპეტენტურ ახალგაზრდობის საქმეთა უწყებას (Jugendamt) ზრუნვის კისრების შესახებ განცხადებებსა და თანხმობებს ბავშვის დაბადების თარიღისა და ადგილის, ისევე როგორც იმ გვარის მითითებით, რომელიც ბავშვს ჰქონდა მისი დაბადების ფაქტის რეგისტრაციის მომენტში.

§ 1626ე. სამართლებრივი ძალის არმქონე ზრუნვის კისრების შესახებ განცხადებები და თანხმობები

ზრუნვის კისრების შესახებ განცხადებები და თანხმობები სამართლებრივი ძალის არმქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს.

§ 1627. მშობლის ზრუნვის განხორციელება

მშობლებმა მშობლის ზრუნვა უნდა განახორციელონ ბავშვის კეთილდღეობისათვის პირადი პასუხისმგებლობითა და ურთიერთშეთანხმებით. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში ისინი უნდა ეცადონ შეთანხმების მიღწევას.

§ 1628. სასამართლოს გადაწყვეტილება მშობლებს შორის აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში

თუ მშობლები მშობლის ზრუნვასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე ან საკითხების განსაზღვრულ წრეზე, რომელთა გადაწყვეტასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვისათვის, ვერ აღწევენ შეთანხმებას, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს მშობლის განცხადების საფუძველზე შეუძლია მიანიჭოს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ერთ-ერთ მშობელს. უფლებამოსილების მინიჭება შეიძლება დაკავშირებული იყოს შეზღუდვებთან ან ვალდებულებების დაკისრებასთან.

§ 1629. ბავშვის წარმომადგენლობა

(1) მშობლის ზრუნვა მოიცავს ბავშვის წარმომადგენლობას. მშობლები ბავშვს წარმოადგენენ ერთობლივად; თუ ნების გამოვლენა უნდა განხორციელდეს ბავშვის მიმართ, მაშინ საკმარისია მისი განხორციელება ერთ-ერთი მშობლის მიმართ. მშობელი წარმოადგენს ბავშვს ერთპიროვნულად, თუ იგი მშობლის ზრუნვას ახორციელებს ერთპიროვნულად ან მას მიენიჭა გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება §1628 თანახმად. დაგვიანების საფრთხის შემთხვევაში თითოეული მშობელი უფლებამოსილია, განახორციელოს ყველა იურიდიული მოქმედება, რომელიც აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისთვის; მეორე მშობელს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ იურიდიული მოქმედების განხორციელების შესახებ.

(2) მამას და დედას არ შეუძლიათ ბავშვის წარმომადგენლობა იმდენად, რამდენადაც §1795 თანახმად მეურვის მიერ ბავშვის წარმომადგენლობის უფლება გამორიცხულია. თუ ბავშვზე მშობლის ზრუნვას მშობლები ახორციელებენ ერთობლივად, მაშინ იმ მშობელს, რომელიც უვლის ბავშვს, შეუძლია მეორე მშობელს წარუდგინოს ბავშვის რჩენის მოთხოვნის უფლებები. საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია

ჩამოართვას მამას და დედას წარმომადგენლობის უფლება §1796 თანახმად; ეს წესი არ მოქმედებს მამობის დადგენის მიმართ.
(2ა) მამას და დედას არ შეუძლიათ ბავშვის წარმომადგენლობა §1598ა მე-2 ნაწილის თანახმად წარმოებულ სასამართლო პროცესში.
(3) თუ ბავშვის მშობლები ერთმანეთთან იმყოფებიან ქორწინებაში, მაშინ დროის იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც მშობლები განცალკევებულად ცხოვრობენ ან სასამართლოს წარმოებაშია მათ შორის საქორწინო ურთიერთობასთან დაკავშირებული საქმე, მეორე მშობლის მიმართ ბავშვის რჩენის მოთხოვნის უფლებების წარდგენა ხდება მხოლოდ საკუთარი სახელით. ერთ-ერთი მშობლის მიერ მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილება და მშობლებს შორის სასამართლო წესით გაფორმებული მორიგების აქტი მოქმედებს ასევე ბავშვის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

§ 1629ა. არასრულწლოვანი ბავშვების პასუხისმგებლობის შეზღუდვა
(1) პასუხისმგებლობა იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც მშობლებმა გარიგების ან სხვა მოქმედების საფუძველზე ბავშვის მიმართ დაადგინეს მათი კანონისმიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში ან რომლებიც წარმოიშვა ბავშვის არასრულწლოვანების პერიოდში პირის გარდაცვალების შედეგად გაკეთებული შენაძენების საფუძველზე, შეზღუდულია სრულწლოვანების ასაკის მიღწევის მომენტისათვის არსებული ბავშვის ქონებით; ანალოგიური წესი მოქმედებს იმ გარიგებებიდან გამომდინარე ვალდებულებების მიმართ, რომლებიც არასრულწლოვანმა პირმა დადო §§107, 108 ან 111 საფუძველზე მისი მშობლების თანხმობით ან იმ გარიგებებიდან გამომდინარე ვალდებულებების მიმართ, რომლებისათვისაც მშობლებმა მიიღეს საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა. თუ სრულწლოვანების ასაკს მიღწეული პირი უთითებს პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე, მაშინ შესაბამისად გამოიყენება მემკვიდრის პასუხისმგებლობის მიმართ მოქმედი §§1990, 1991 ნორმები.
(2) 1-ლი ნაწილი არ მოქმედებს დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების მიმართ, რამდენადაც არასრულწლოვანი პირი ასეთი საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილი იყო §112 თანახმად და იმ გარიგებებიდან გამომდინარე ვალდებულებების მიმართ, რომლებიც ემსახურებოდა მხოლოდ მის პირად საჭიროებებს.
(3) 1-ლი ნაწილი არ ეხება კრედიტორების უფლებებს თანამოვალეებისა და სოლიდარული მოვალეების მიმართ, ისევე როგორც კრედიტორების უფლებებს, რომლებიც დაკავშირებულია მოთხოვნისათვის დადგენილ უზრუნველყოფასთან ან ამ უფლებების დადგენის უზრუნველსაყოფად არსებულ წინასწარ ჩანაწერთან.
(4) თუ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ თანამემკვიდრეთა გაერთიანების ან ამხანაგობის სრულწლოვანების ასაკს მიღწეული წევრი სამი თვის განმავლობაში არ მოითხოვს სამკვიდროს გაყოფას ან არ განაცხადებს ამხანაგობის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ასეთ ურთიერთობაზე დაფუძნებული ვალდებულება წარმოიშვა სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ; შესაბამისი წესი მოქმედებს სრულწლოვანების ასაკს მიღწეული საწარმოს მფლობელის მიმართ, ვინც სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ სამი თვის განმავლობაში არ შეწყვეტს წარმოებას. გარდა ამისა, 1-ლ წინადადებაში გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას ივარაუდება, რომ სრულწლოვანების ასაკს მიღწეული პირის ამჟამინდელი ქონება უკვე არსებობდა სრულწლოვანების ასაკის მიღწევის მომენტში.

§ 1630. მშობლის ზრუნვა მზრუნველის დანიშვნის ან საოჯახო მზრუნველობის შემთხვევაში

(1) მშობლის ზრუნვა არ ვრცელდება ბავშვის იმ საქმეებზე, რომელთათვისაც დანიშნულია მზრუნველი.

(2) თუ პირადად ბავშვზე ან მის ქონებაზე ზრუნვას ახორციელებს მზრუნველი, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს საოჯახო საქმეთა სასამართლო იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები და მზრუნველი ვერ აღწევენ შეთანხმებას იმ საკითხზე, რომელიც ეხება როგორც ბავშვის პიროვნებას, ისე მის ქონებას.

(3) თუ მშობლები ბავშვს ხანგრძლივი ვადით გადასცემენ საოჯახო მზრუნველობისათვის, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მშობლების ან მომვლელი პირის (Pflegeperson) განცხადების საფუძველზე მშობლის ზრუნვა დააკისროს ამ უკანასკნელს. მომვლელი პირის განცხადების საფუძველზე მშობლის ზრუნვის დაკისრებისათვის საჭიროა მშობლების თანხმობა. დაკისრებული მშობლის ზრუნვის ფარგლებში მომვლელ პირს აქვს მზრუნველის უფლებები და ვალდებულებები.

§ 1631. ბავშვის პიროვნებაზე ზრუნვის შინაარსი და ფარგლები

(1) ბავშვის პიროვნებაზე ზრუნვა, კერძოდ, მოიცავს მასზე ზრუნვის, მისი აღზრდის, მასზე მეთვალყურეობის გაწევისა და მისი ადგილსამყოფელის დადგენის ვალდებულებასა და უფლებას.

(2) ბავშვებს უფლება აქვთ ძალადობისაგან თავისუფალ აღზრდაზე. ფიზიკური სასჯელები, ფსიქიური ტრამვები და სხვა დამამცირებელი ღონისძიებები დაუშვებელია.

(3) საოჯახო საქმეთა სასამართლომ განცხადების საფუძველზე შესაბამის შემთხვევებში უნდა გაუწიოს დახმარება მშობლებს ბავშვის პიროვნებაზე ზრუნვის განხორციელებისას.

§ 1631ა. განათლება და პროფესია

განათლებისა და პროფესიის საკითხების გადაწყვეტისას მშობლები მხედველობაში იღებენ, კერძოდ, ბავშვის პროფესიულ უნარებსა და მიდრეკილებებს. თუ არსებობს ეჭვები, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მასწავლებლის ან სხვა სათანადო პირის რჩევა.

§ 1631ბ. ბავშვის სამკურნალო დაწესებულებაში განთავსება, რაც დაკავშირებულია თავისუფლების შეზღუდვასთან

ბავშვის სამკურნალო დაწესებულებაში განთავსება, რაც დაკავშირებულია თავისუფლების შეზღუდვასთან, საჭიროებს საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობას. განთავსება დასაშვებია, თუ იგი აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის, კერძოდ კი, აუცილებელია თავისი ან სხვა პირის მიმართ არსებული მნიშვნელოვანი საფრთხის ასაცილებლად და საფრთხე არ შეიძლება აცილებულ იქნეს სხვაგვარად, სხვა ოფიციალური დახმარების გაწევის შემთხვევაშიც კი. თანხმობის გარეშე სამკურნალო დაწესებულებაში განთავსება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხესთან; თანხმობა მიღებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ.

§ 1631გ. სტერილიზაციის აკრძალვა

მშობლებს არ შეუძლიათ თანხმობის განცხადება ბავშვის სტერილიზაციაზე. ასევე თავად ბავშვსაც არ შეუძლია სტერილიზაციაზე თანხმობის განცხადება. §1909 არ გამოიყენება.

§ 1632. ბავშვის გადმოცემა; ბავშვთან კონტაქტის განსაზღვრა; განკარგულება საოჯახო მზრუნველობის შენარჩუნების შესახებ
(1) ბავშვის პიროვნებაზე ზრუნვა მოიცავს ბავშვის გადმოცემის მოთხოვნის უფლებას ნებისმიერი იმ პირისაგან, ვინც ბავშვს უკანონოდ ამყოფებს თავისთან და არ უბრუნებს მშობლებს ან ერთ-ერთ მშობელს.
(2) გარდა ამისა, ბავშვის პიროვნებაზე ზრუნვა მოიცავს ბავშვთან კონტაქტის განსაზღვრას მესამე პირის სასარგებლო ან საწინააღმდეგო შედეგით.
(3) იმ დავებზე, რომლებიც ეხება 1-ლ ან მე-2 ნაწილებში გათვალისწინებულ საკითხებს, გადაწყვეტილებებს მშობლის განცხადების საფუძველზე იღებს საოჯახო საქმეთა სასამართლო.
(4) თუ ბავშვი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში იმყოფება საოჯახო მზრუნველობის ქვეშ და მშობლებს სურთ ჩამოართვან იგი მომვლელ პირს, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს საკუთარი ინიციატივით ან მომვლელი პირის განცხადების საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ ბავშვი დარჩება მომვლელ პირთან, თუ და სანამ მისი ჩამორთმევა საფრთხეს შეუქმნიდა ბავშვის კეთილდღეობას.

§ 1633. დაქორწინებული არასწრულწლოვანი ბავშვის პიროვნებაზე ზრუნვა
იმ არასწრულწლოვანი ბავშვის პიროვნებაზე ზრუნვა, ვინც დაქორწინებულია ან იყო დაქორწინებული, შემოიფარგლება მის პირად საქმეებში წარმომადგენლობით.

§§ 1634-1637. *(გაუქმებულია)*

§ 1638. ბავშვის ქონებაზე ზრუნვის შეზღუდვა
(1) ბავშვის ქონებაზე ზრუნვა არ ვრცელდება იმ ქონებაზე, რომელსაც ბავშვი იძენს პირის გარდაცვალების შედეგად ან რაც მას უსასყიდლოდ გადაეცემა ცოცხალ პირთა შორის დადებული გარიგებით, თუ მოანდერძემ საანდერძო განკარგულებით ან ქონების გადამცემმა პირმა ქონების გადაცემისას დაადგინეს, რომ მშობლებმა ეს ქონება არ უნდა მართონ.
(2) მშობლებს არა აქვთ ასევე უფლება, მართონ ის, რასაც ბავშვი იძენს აღნიშნულ ქონებას მიკუთვნებული უფლების საფუძველზე ან ქონებას მიკუთვნებული საგნის განადგურების, დაზიანებისა თუ ჩამორთმევისათვის საზღაურის სახით ანდა ქონებასთან დაკავშირებული გარიგებით.
(3) თუ საანდერძო განკარგულებაში ან ქონების გადაცემისას დადგინდა, რომ ერთერთმა მშობელმა ქონება არ უნდა მართოს, მაშინ ამ უკანასკნელს მართავს მეორე მშობელი. ამ შემთხვევაში ეს მშობელი წარმოადგენს ბავშვს.

§ 1639. მოანდერძის ან ქონების გადამცემის მითითებები
(1) ის ქონება, რომელსაც ბავშვი იძენს პირის გარდაცვალების შედეგად ან რაც მას უსასყიდლოდ გადაეცემა ცოცხალ პირთა შორის დადებული გარიგებით, მშობლებმა უნდა მართონ იმ მითითებების მიხედვით, რომლებიც გაკეთდა საანდერძო განკარგულებით ან ქონების გადაცემისას.
(2) მშობლებს შეუძლიათ გადაუხვიონ მითითებებს იმდენად, რამდენადაც ეს დაშვებულია მეურვისათვის §1803 მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად.

§ 1640. ქონების აღწერა
(1) მშობლებმა უნდა შეადგინონ იმ ქონების ჩამონათვალი, რომელსაც ისინი მართავენ და რომელსაც ბავშვი იძენს პირის გარდაცვალების შედეგად, ჩამონათვალს

დაურთონ დასტური მისი სისწორისა და სისრულის გარანტიის შესახებ და წარუდგინონ იგი საოჯახო საქმეთა სასამართლოს. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ ქონების მიმართ, რომელსაც ბავშვი იძენს სხვა გზით, ვიდრე პირის გარდაცვალება, ასევე სარჩოს ნაცვლად გადახდილი ერთჯერადი თანხებისა და ქონების უსასყიდლო გადაცემების მიმართ. საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთების შემთხვევაში, საკმარისია მთლიანი ღირებულების მითითება.

(2) 1-ლი ნაწილი არ მოქმედებს,

1. თუ ქონებრივი შენაძენის ღირებულება არ აღემატება 15 000 ევროს ან
2. რამდენადაც მოანდერძემ საანდერძო განკარგულებით ან ქონების გადამცემმა პირმა ქონების გადაცემისას განსხვავებული წესი მიუთითეს.

(3) თუ 1-ლი ან მე-2 ნაწილების საწინააღმდეგოდ მშობლები არ წარადგენენ ჩამონათვალს ან თუ წარმოდგენილი ჩამონათვალი არ არის დამაკმაყოფილებელი, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ჩამონათვალი გაკეთდეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის ანდა ნოტარიუსის მიერ.

§ 1641. ჩუქების აკრძალვა

მშობლებს ბავშვის წარმომადგენლობისას არ შეუძლიათ ჩუქების განხორციელება. გამონაკლისს წარმოადგენს ნაჩუქრობები, რომლებიც შეესაბამება მორალურ ვალდებულებას ან გაკეთდა ზრდილობისათვის.

§ 1642. ფულადი თანხების განთავსება

მშობლებმა უნდა განათავსონ ბავშვის ის ფულადი თანხები, რომლებსაც ისინი მართავენ, ქონების სათანადო მართვის პრინციპების თანახმად, თუ ისინი არ უნდა იყოს გამზადებული სასწრაფო ხარჯების დასაფარავად.

§ 1643. თანხმობასავალდებულო გარიგებები

(1) ბავშვის სასარგებლოდ გარიგებების დადებისათვის მშობლებს ესაჭიროებათ საოჯახო საქმეთა სასამართლოს მოწონება იმ შემთხვევებში, როდესაც §1821 და §1822 №№1, 3, 5, 8-11-ის თანახმად მეურვეს ესაჭიროება მოწონება.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს როგორც სამკვიდროს ან საანდერძო დანაკისრის, ისე სავალდებულო წილზე უარის თქმის მიმართაც. თუ ბავშვზე ქონების მემკვიდრეობით გადასვლა ხდება იმ მშობლის მიერ სამკვიდროზე უარის თქმის შედეგად, ვინც წარმოადგენს ბავშვს ერთპიროვნულად ან მეორე მშობელთან ერთად, მაშინ მოწონება სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული მშობელი მოწვეულ იქნა სამკვიდროს მისაღებად ბავშვთან ერთად.

(3) შესაბამისად გამოიყენება §§1825, 1828-1831 ნორმები.

§ 1644. ბავშვისათვის ქონებაში შემავალი საგნების გადაცემა

საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობის გარეშე მშობლებს არ შეუძლიათ გადასცენ ბავშვს ამ უკანასკნელის მიერ დადებული ხელშეკრულების შესრულების მიზნით ან თავისუფალი განკარგვისათვის ის საგნები, რომელთა გასხვისება დაიშვება მხოლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით.

§ 1645. ახალი სამეწარმეო საქმიანობა

მშობლებმა საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობის გარეშე ბავშვის სახელით არ უნდა დაიწყონ ახალი სამეწარმეო საქმიანობა.

§ 1646. ნივთების შეძენა ბავშვის კუთვნილი ფულადი სახსრებით
(1) თუ მშობლები მოძრავ ნივთებს იძენენ ბავშვის კუთვნილი ფულადი სახსრებით, მაშინ შეძენისთანავე საკუთრების უფლება გადადის ბავშვზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მშობლებს არა აქვთ განზრახული ნივთების შეძენა ბავშვის ხარჯზე. აღნიშნული წესი, კერძოდ, მოქმედებს ასევე საწარმდგენლო და საბლანკო ინდოსამენტით აღჭურვილი საორდერო ფასიანი ქაღალდების მიმართ.
(2) 1-ლი ნაწილის ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ბავშვის კუთვნილი ფულადი სახსრებით იძენენ მითითებული სახის ნივთბეზე უფლებას ან სხვა უფლებას, რომლის გადაცემისათვის საკმარისია მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება.

§ 1647. *(გაუქმებულია)*

§ 1648. ხარჯების ანაზღაურება
თუ მშობლებმა ბავშვის პიროვნებაზე ან ქონებაზე ზრუნვის განხორციელებისას გასწიეს ხარჯები, რომლებიც გარემოებების თანახმად უნდა ჩაითვალოს აუცილებლად, მაშინ მათ შეუძლიათ ბავშვისაგან მოითხოვონ ანაზღაურება, რამდენადაც ეს ხარჯები არ უნდა ეკისრებოდეთ პირადად მათ.

§ 1649. ბავშვის ქონებიდან მიღებული შემოსავლების გამოყენება
(1) ბავშვის ქონებიდან მიღებული ის შემოსავლები, რომლებიც არ არის აუცილებელი ქონების სათანადო მართვისათვის, გამოყენებულ უნდა იქნეს ბავშვის რჩენისათვის. იმდენად, რამდენადაც ქონებიდან მიღებული შემოსავლები საკმარისი არ არის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ის შემოსავლები, რომლებსაც ბავშვი იღებს მის მიერ გაწეული სამუშაოს ან §112 თანახმად ნებადართული დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შედეგად.
(2) მშობლებს შეუძლიათ ბავშვის ქონებიდან მიღებული ის შემოსავლები, რომლებიც არ არის აუცილებელი ქონების სათანადო მართვისა და ბავშვის რჩენისათვის, გამოიყენონ თავიანთი თავისა და ბავშვის არასრულწლოვანი დაუქორწინებელი დაძმების რჩენისათვის, რამდენადაც აღნიშნული შეესაბამება სამართლიანობას დაინტერესებული პირის ქონებრივი მდგომარეობისა და შემოსავლების გათვალისწინებით. აღნიშნული უფლებამოსილება უქმდება ბავშვის დაქორწინებით.

§§ 1650-1663. *(გაუქმებულია)*

§ 1664. მშობლების შეზღუდული პასუხისმგებლობა
(1) მშობლის ზრუნვის განხორციელებისას მშობლებმა პასუხი უნდა აგონ მხოლოდ იმ ზრუნვისათვის, რასაც ისინი ჩვეულებრივ საკუთარი საქმეების მიმართ იჩენენ.
(2) თუ ზიანისათვის პასუხისმგებელია ორივე მშობელი, მაშინ ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

§ 1665. *(გაუქმებულია)*

§ 1666. სასამართლოს ზომები ბავშვის კეთილდღეობისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში
(1) თუ საფრთხე ექმნება ბავშვის ფიზიკურ, ფსიქიურ ან სულიერ კეთილდღეობას ან მის ქონებას და მშობლებს არ სურთ საფრთხის თავიდან აცილება ან არ შეუძლიათ

ეს, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა მიიღოს ის ზომები, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.
(2) როგორც წესი, ივარაუდება, რომ ბავშვის ქონებას ექმნება საფრთხე, თუ პირი, ვისაც ეკისრება ბავშვის ქონებაზე ზრუნვა, არღვევს ბავშვის მიმართ დაკისრებულ რჩენისა თუ ქონებაზე ზრუნვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს ანდა არ ასრულებს სასამართლოს განკარგულებებს, რომლებიც ეხება ქონებაზე ზრუნვას.
(3) 1-ლი ნაწილის თანახმად სასამართლოს ზომებს, კერძოდ, მიეკუთვნება:
1. სასამართლოს ბრძანებები, ოფიციალური დახმარება, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის დახმარების გაწევისა და ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნის წარდგენა,
2. სავალდებულო სასკოლო განათლების მიღების ვალდებულების დაცვის შესახებ სასამართლოს ბრძანებები,
3. ოჯახის საცხოვრებელი სახლის ან სხვა საცხოვრებელი სახლის დროებით ან განუსაზღვრელი ვადით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლის განსაზღვრულ მიდამოში ყოფნის ან დასადგენი სხვა იმ ადგილების მონახულების აკრძალვები, სადაც ბავშვი რეგულარულად იმყოფება,
4. ბავშვთან კონტაქტის ან მასთან შეხვედრის უფლების მიღების აკრძალვები,
5. მშობლის ზრუნვის განმახორციელებელი მშობლის ნების გამოვლენათა შეცვლა,
6. მშობლის ზრუნვის ნაწილობრივი ან სრული ჩამორთმევა.

(4) ბავშვის პიროვნებაზე ზრუნვის საკითხებში სასამართლოს შეუძლია ასევე ისეთი ზომების მიღება, რომლებსაც აქვს სამართლებრივი შედეგები მესამე პირის მიმართ.

§ 1666ა. პროპორციულობის პრინციპი; ოფიციალური დახმარების უპირატესობა

(1) ის ზომები, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვის მშობლების ოჯახისაგან დაშორებასთან, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვაგვარად შეუძლებელია საფრთხის თავიდან აცილება თუნდაც ოფიციალური დახმარების მიღების შემთხვევაში. ეს წესი მოქმედებს ასევე, თუ ერთ-ერთ მშობელს დროებით ან განუსაზღვრელი ვადით უნდა აეკრძალოს ოჯახის საცხოვრებელი სახლით სარგებლობა. თუ ერთ-ერთ მშობელს ან მესამე პირს აეკრძალებათ იმ საცხოვრებელი სახლით სარგებლობა, რომელშიც ისინი ბავშვთან ერთად ცხოვრობენ, ან სხვა საცხოვრებელი სახლით სარგებლობა, მაშინ ზომების მიღების ხანგრძლივობის განსაზღვრისას მხედველობაში ასევე მისაღებია ის, მიეკუთვნება თუ არა აღნიშნულ შემთხვევას იმ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება, აღნაგობა ან უზუფრუქტი, რომელზეც მდებარეობს საცხოვრებელი სახლი; შესაბამისი წესი მოქმედებს მრავალბინიან სახლში საკუთრების უფლების, საცხოვრებელი ფართით გრძელვადიანი სარგებლობის უფლების, საცხოვრებელი ფართით სარგებლობის სანივთო უფლების მიმართ ან თუ მშობელი ან მესამე პირი წარმოადგენენ საცხოვრებელი სახლის დამქირავებელს.
(2) ბავშვის პიროვნებაზე ერთობლივი ზრუნვა შეიძლება ჩამორთმეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ზომები უშედეგო აღმოჩნდა ან თუ სავარაუდოა, რომ ისინი საკმარისი არ იქნება საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

§ 1667. სასამართლოს ზომები ბავშვის ქონებისათვის საფრთხის შემთხვევაში

(1) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მშობლებმა წარადგინონ ბავშვის ქონების ჩამონათვალი და მისი მართვის შესახებ ანგარიში. მშობლებმა ჩამონათვალს უნდა დაურთონ დასტური მისი სისწორისა და სისრულის გა-

რანტიის შესახებ. თუ წარმოდგენილი ჩამონათვალი არ არის დამაკმაყოფილებელი, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ჩამონათვალი გაკეთდეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის ანდა ნოტარიუსის მიერ.

(2) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ბავშვის ფულადი თანხები განთავსებულ იქნეს განსაზღვრული პირობით, ხოლო თანხის ანგარიშიდან გატანისათვის საჭირო იყოს სასამართლოს თანხმობა. თუ ბავშვის ქონების შემადგენლობაში შედის ფასიანი ქაღალდები, ძვირფასეულობა ან ფედერაციის ან ლანდის მიმართ არსებული სავალო რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნები, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია იმ მშობელს, რომელიც წარმოადგენს ბავშვს, დააკისროს იმ მოვალეობები, რომლებიც §§ 1814-1816 და 1818 თანახმად ეკისრება მეურვეს; შესაბამისად გამოიყენება §§ 1819 და 1820.

(3) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს ის მშობელი, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის ქონებას, წარადგინოს მის მართვაში არსებული ქონების უზრუნველყოფა. წარდგენილი უზრუნველყოფის სახესა და მოცულობას საოჯახო საქმეთა სასამართლო განსაზღვრავს საკუთარი შეხედულებით. უზრუნველყოფის დადგენისა და გაუქმებისას ბავშვის თანამონაწილეობას ცვლის საოჯახო საქმეთა სასამართლოს განკარგულება. უზრუნველყოფის წარდგენის იძულება შეიძლება მხოლოდ § 1666 1-ლი ნაწილის თანახმად ქონებაზე ზრუნვის უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამორთმევის შედეგად.

(4) დაკისრებული ზომების ხარჯები ეკისრება იმ მშობელს, ვის გამოც გახდა საჭირო მათი მიღება.

§§ 1668-1670. *(გაუქმებულია)*

§ 1671. განცალკევებული ცხოვრება მშობლის ზრუნვის ერთობლივად განხორციელების შემთხვევაში

(1) თუ ის მშობლები, რომლებიც მშობლის ზრუნვას ახორციელებენ ერთობლივად, მუდმივად ცხოვრობენ განცალკევებულად, მაშინ ნებისმიერ მშობელს შეუძლია განცხადების წარდგენა იმის შესახებ, რომ საოჯახო საქმეთა სასამართლომ მიანიჭოს მას მშობლის ერთპიროვნული ზრუნვის სრული ან ნაწილობრივი უფლება.

(2) განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას, რამდენადაც

1. მეორე მშობელი უფლების მინიჭებაზე აცხადებს თანხმობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვმა მიაღწია 14 წლის ასაკს და იგი უფლების მინიჭებას აპროტესტებს ან
2. მოსალოდნელია, რომ ერთობლივი ზრუნვის შეწყვეტა და მისი მინიჭება განმცხადებლისათვის ყველაზე მეტად ემსახურება ბავშვის კეთილდღეობას.

(3) განცხადება არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას, რამდენადაც სხვა ნორმების საფუძველზე მშობლის ზრუნვის საკითხი განსხვავებულად უნდა მოწესრიგდეს.

§ 1672. განცალკევებული ცხოვრება დედის მხრიდან მშობლის ზრუნვის განხორციელების შემთხვევაში

(1) თუ მშობლები მუდმივად ცხოვრობენ განცალკევებულად და მშობლის ზრუნვის უფლება §1626ა მე-2 ნაწილის თანახმად ენიჭება დედას, მაშინ მამას დედის თანხმობით შეუძლია განცხადების წარდგენა იმის შესახებ, რომ საოჯახო საქმეთა სასამართლომ მიანიჭოს მას მშობლის ერთპიროვნული ზრუნვის სრული ან ნაწილობრი-

ვი უფლება. განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას, თუ უფლების მინიჭება ემსახურება ბავშვის კეთილდღეობას.
(2) რამდენადაც 1-ლი ნაწილის თანახმად უფლების მინიჭება შედგა, საოჯახო საქმეთა სასამართლოს ერთ-ერთი მშობლის განცხადების საფუძველზე და მეორე მშობლის თანხმობით შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მშობლის ზრუნვა მშობლების მიერ განხორციელდეს ერთობლივად, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის კეთილდღეობას. აღნიშნული წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მოგვიანებით მშობლის ზრუნვის უფლება 1-ლი ნაწილის თანახმად გაუქმდა.

§ 1673. მშობლის ზრუნვის განხორციელების შეჩერება სამართლებრივი ხასიათის ხელის შეშლის შემთხვევაში
(1) ერთ-ერთი მშობლის მიერ მშობლის ზრუნვის განხორციელება შეჩერდება, თუ იგი ქმედუუნაროა.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მშობელს აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა. ბავშვის პიროვნებაზე ზრუნვა მას ეკისრება ბავშვის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად; იგი არ არის უფლებამოსილი ბავშვის წარმომადგენლობაზე. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება არასრულწლოვანი მშობლის შეხედულებას, თუ ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი მეურვე ან მზრუნველია; სხვა შემთხვევაში მოქმედებს §1627 მე-2 წინადადება და §1628.

§ 1674. მშობლის ზრუნვის განხორციელების შეჩერება ფაქტობრივი ხასიათის ხელის შეშლის შემთხვევაში
(1) ერთ-ერთი მშობლის მიერ მშობლის ზრუნვის განხორციელება შეჩერდება, თუ საოჯახო საქმეთა სასამართლო ადგენს, რომ მას ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ფაქტობრივად არ შეუძლია მშობლის ზრუნვის განხორციელება.
(2) მშობლის ზრუნვის განხორციელება განახლდება, თუ საოჯახო საქმეთა სასამართლო ადგენს, რომ შეჩერების საფუძველი აღარ არსებობს.

§ 1675. მშობლის ზრუნვის განხორციელების შეჩერების სამართლებრივი შედეგი
იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მშობლის ზრუნვის განხორციელება შეჩერებულია, მშობელი არ არის უფლებამოსილი მის განხორციელებაზე.

§ 1676. *(გაუქმებულია)*

§ 1677. მშობლის ზრუნვის განხორციელების შეწყვეტა პირის გარდაცვლილად აღიარების შედეგად
თუ ერთ-ერთი მშობელი აღიარებული იქნება გარდაცვლილად ან გარდაცვალების მომენტი დგინდება "უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ" კანონის ნორმების თანახმად, მისი მხრიდან განხორციელებული მშობლის ზრუნვა წყდება იმ მომენტიდან, რომელიც მიიჩნევა მის გარდაცვალების მომენტად.

§ 1678. ფაქტობრივი ხასიათის მშობლის ზრუნვის განხორციელების ხელის შეშლის ან შეჩერების შედეგები მეორე მშობლის მიმართ
(1) თუ ერთ-ერთ მშობელს ფაქტობრივი მიზეზით ხელი შეეშლება მშობლის ზრუნვის განხორციელებაში ან თუ მის მიერ ზრუნვის განხორციელება შეჩერდება, მაშინ მეორე მხარე მშობლის ზრუნვას ახორციელებს ერთპიროვნულად; აღნიშნული წესი

არ მოქმედებს, თუ მშობელს მშობლის ზრუნვის უფლება ერთპიროვნულად ეკუთვნოდა §1626ა მე-2 ნაწილის, §1671 ან §1672 1-ლი ნაწილის თანახმად.
(2) თუ ერთ-ერთი მშობლის მიერ მშობლის ზრუნვის განხორციელება ჩერდება, ამ მშობელს §1626ა მე-2 ნაწილის თანახმად ერთპიროვნულად ეკისრებოდა, და სავარაუდოდ შეჩერების საფუძველი არ მოისპობა, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლომ მშობლის ზრუნვის განხორციელება უნდა დააკისროს მეორე მშობელს, თუ აღნიშნული ემსახურება ბავშვის კეთილდღეობას.

§ 1679. *(გაუქმებულია)*

§ 1680. მშობლის გარდაცვალება ან მშობლის ზრუნვის უფლების ჩამორთმევა
(1) თუ მშობლის ზრუნვის განხორციელება მშობლებს ერთობლივად ეკისრებოდათ და ერთ-ერთი მშობელი გარდაიცვალა, მაშინ მშობლის ზრუნვას ახორციელებს ცოცხლად დარჩენილი მშობელი.
(2) თუ გარდაიცვლება მშობელი, რომელიც მშობლის ზრუნვას ახორციელებდა ერთპიროვნულად §1671 ან §1672 1-ლი ნაწილის თანახმად, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლომ მშობლის ზრუნვის განხორციელება უნდა დააკისროს ცოცხლად დარჩენილ მშობელს, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ბავშვის კეთილდღეობას. თუ მშობლის ზრუნვას §1626ა მე-2 ნაწილის თანახმად ერთპიროვნულად ახორციელებდა დედა, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლომ მშობლის ზრუნვის განხორციელება უნდა დააკისროს მამას, თუ აღნიშნული ემსახურება ბავშვის კეთილდღეობას.
(3) შესაბამისად მოქმედებს 1-ლი ნაწილი და მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება, რამდენადაც ერთ-ერთ მშობელს, რომელიც მშობლის ზრუნვას ახორციელებდა ერთობლივად მეორე მშობელთან ერთად ან ერთპიროვნულად §1626ა მე-2 ნაწილის თანახმად, ჩამოერთვა მშობლის ზრუნვის უფლება.

§ 1681. ერთ-ერთი მშობლის გარდაცვალების შესახებ განცხადება
(1) შესაბამისად მოქმედებს §1680 1-ლი და მე-2 ნაწილები, თუ ერთ-ერთი მშობლის ზრუნვა წყდება იმის გამო, რომ იგი აღიარებული იქნება გარდაცვლილად ან გარდაცვალების მომენტი დგინდება "უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ" კანონის ნორმების თანახმად.
(2) თუ აღნიშნული მშობელი ჯერ კიდევ ცოცხალია, მაშინ განცხადების საფუძველზე საოჯახო საქმეთა სასამართლომ მას მშობლის ზრუნვა უნდა დააკისროს იმ მოცულობით, რომელიც მას ევალებოდა §1677 გათვალისწინებულ შესაბამის მომენტამდე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის კეთილდღეობას.

§ 1682. განკარგულება ბავშვის ახლო ნათესავებთან დარჩენის შესახებ
თუ ბავშვი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ოჯახში ცხოვრობდა ერთ-ერთ მშობელთან და ამ უკანასკნელის მეუღლესთან ერთად, ხოლო მეორე მშობელს, რომელსაც ამიერიდან §§1678, 1680, 1681 თანახმად დამოუკიდებლად შეუძლია ბავშვის ადგილსამყოფელის განსაზღვრა, სურს მეუღლეებს ჩამოართვას ბავშვი, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს საკუთარი ინიციატივით ან მეუღლის განცხადების საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რომ ბავშვი დარჩება მეუღლესთან, თუ და სანამ მისი ჩამორთმევა საფრთხეს შეუქმნიდა ბავშვის კეთილდღეობას. 1-ლი წინადადება შესაბამისად მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი ხანგრძლივი ვადის გან-

მავლობაში ოჯახში ცხოვრობდა ერთ-ერთ მშობელთან და ამ უკანასკნელის თანაცხოვრების პარტნიორთან ან §1685 1-ლი ნაწილის თანახმად ბავშვთან კონტაქტზე უფლებამოსილ სრულწლოვან პირთან ერთად.

§ 1683. *(გაუქმებულია)*

§ 1684. ბავშვის კონტაქტი მშობლებთან

(1) ბავშვს აქვს ნებისმიერ მშობელთან კონტაქტის უფლება; თითოეული მშობელი ვალდებულია და უფლებამოსილია ბავშვთან კონტაქტზე.

(2) მშობლებმა თავი უნდა შეიკავონ ყველაფერი იმისაგან, რაც გააუარესებს ბავშვის ურთიერთობას მეორე მშობელთან ან გაართულებს მის აღზრდას. შესაბამისი წესი მოქმედებს, თუ ბავშვს უვლის სხვა პირი.

(3) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვთან კონტაქტის უფლების ფარგლების შესახებ და დეტალურად მოაწესრიგოს ამ უფლების გამოყენება მესამე პირის მიმართაც. მას შეუძლია განკარგულებებით დაინტერესებულ პირებს დააკისროს მე-2 ნაწილში გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება. თუ მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულება ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ან არაერთჯერადად ირღვევა, საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია ბავშვთან კონტაქტის განხორციელებისათვის დაადგინოს ასევე სპეციალური მზრუნველობა (ბავშვთან კონტაქტის განხორციელებისათვის დადგენილი სპეციალური მზრუნველობა). ბავშვთან კონტაქტის განხორციელებისათვის დადგენილი სპეციალური მზრუნველობა მოიცავს უფლებას, ბავშვთან კონტაქტის განხორციელებისათვის მოთხოვნილ იქნეს ბავშვის გადმოცემა და ბავშვთან კონტაქტის განმავლობაში განისაზღვროს მისი ადგილსამყოფელი. განკარგულება უნდა შეიზღუდოს ვადით. ხარჯების ანაზღაურებისა და ბავშვთან კონტაქტის განხორციელებისათვის დადგენილი მზრუნველის საზღაურის მიმართ შესაბამისად მოქმედებს "საოჯახო საქმეთა წარმოებისა და ნებაყოფლობითი იურისდიქციის საქმეთა შესახებ" კანონის §277.

(4) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს ან გამორიცხოს ბავშვთან კონტაქტის უფლება ან ამ უფლებასთან დაკავშირებით ადრე მიღებული გადაწყვეტილებები, რამდენადაც აღნიშნული აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის. გადაწყვეტილება, რომელიც ხანგრძლივი ვადით ან საბოლოოდ ზღუდავს ან გამორიცხავს ბავშვთან კონტაქტის უფლებას, შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა შემთხვევაში საფრთხე შეექმნებოდა ბავშვის კეთილდღეობას. საოჯახო საქმეთა სასამართლოს, კერძოდ, შეუძლია დაადგინოს, რომ ბავშვთან კონტაქტი დაიშვებოდეს მხოლოდ იმ მესამე პირის თანდასწრებით, ვინც მზად არის ხელის შეწყობისათვის. მესამე პირი შეიძლება ასევე იყოს ახალგაზრდობის დახმარების ორგანიზაცია ან კავშირი; ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ადგენს, თუ რომელი ცალკეული პირი განახორციელებს დავალებას.

§ 1685. ბავშვის კონტაქტი სხვა ახლო ნათესავებთან

(1) ბებიებს, პაპებს, დებსა და ძმებს აქვთ ბავშვთან კონტაქტის უფლება, თუ აღნიშნული ემსახურება ბავშვის კეთილდღეობას.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს ბავშვის უფრო ახლო ნათესავების მიმართ, თუ ამ უკანასკნელებს ბავშვის მიმართ აქვთ ან ჰქონდათ დაკისრებული ფაქტიური პასუხისმგებლობა (სოციალური და საოჯახო ურთიერთობა). როგორც წესი, ფაქტიური

პასუხისმგებლობის კისრება ივარაუდება, თუ პირი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ცხოვრობდა ბავშვთან ერთად საოჯახო კავშირში.
(3) შესაბამისად მოქმედებს §1684 2-4 ნაწილები. §1684 მე-3 ნაწილის 3-5 წინადადებების თანახმად საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ბავშვთან კონტაქტის განხორციელებისათვის დადგენილი სპეციალური მზრუნველობის შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია §1666 1-ლი ნაწილის წინაპირობები.

§ 1686. ბავშვის პირადული ხასიათის გარემოებების შესახებ ინფორმაცია
გამართლებული ინტერესის არსებობისას თითოეულ მშობელს შეუძლია მეორე მშობლისაგან მოითხოვოს ბავშვის პირადული ხასიათის გარემოებების შესახებ ინფორმაციის წარდგენა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის კეთილდღეობას. დავების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს საოჯახო საქმეთა სასამართლო.

§ 1687. მშობლის ზრუნვის ერთობლივად განხორციელება განცალკევებული ცხოვრების შემთხვევაში
(1) თუ მშობლები, რომლებიც მშობლის ზრუნვას ახორციელებენ ერთობლივად, მუდმივად ცხოვრობენ განცალკევებულად, მაშინ იმ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვისათვის, საჭიროა მათი კონსენსუსი. მშობელი, რომელთანაც ბავშვი მეორე მშობლის თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩვეულებრივ იმყოფება, უფლებამოსილია, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილებები ყოველდღიური ცხოვრების საკითხებზე. ყოველდღიური ცხოვრების საკითხებზე გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, მიეკუთვნება ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიიღება ხშირად და არა აქვს რთულად გამოსწორებადი გავლენა ბავშვის განვითარებაზე. მანამდე, სანამ ბავშვი აღნიშნული მშობლის თანხმობით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე იმყოფება მეორე მშობელთან, ამ უკანასკნელს აქვს უფლება, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილებები ბავშვზე ფაქტიური ზრუნვის საკითხებზე. შესაბამისად მოქმედებს §1629 1-ლი ნაწილის მე-4 წინადადება და §1684 მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება.
(2) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს ან გამორიცხოს 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-4 წინადადებებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, რამდენადაც ეს აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის.

§ 1687ა. ბავშვზე ზრუნვის უფლების არმქონე მშობლის მიერ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება
ნებისმიერი იმ მშობლის მიმართ, რომელსაც არა აქვს ბავშვზე ზრუნვის უფლება და რომელთანაც ბავშვი იმყოფება მეორე მშობლის ან ბავშვის ზრუნვაზე უფლებამოსილი სხვა პირის თანხმობით ანდა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამისად მოქმედებს §1687 1-ლი ნაწილის მე-4 და მე-5 წინადადებები და მე-2 ნაწილი.

§ 1687ბ. მეუღლის უფლებამოსილება მშობლის ზრუნვის განხორციელებაზე
(1) მშობლის ზრუნვის ერთპიროვნულად განმახორციელებელი მეუღლე, ვინც არ წარმოადგენს ბავშვის მშობელს, უფლებამოსილია ბავშვის ყოველდღიური ცხოვრების საკითხებზე ერთობლივ გადაწყვეტილებებზე იმ მშობელთან შეთანხმებით, ვინც ახორციელებს მშობლის ზრუნვას. შესაბამისად მოქმედებს §1629 მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება.

(2) დაგვიანების საფრთხის შემთხვევაში თითოეული მშობელი უფლებამოსილია, განახორციელოს ყველა იურიდიული მოქმედება, რომლებიც აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისთვის; მეორე მშობელს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ იურიდიული მოქმედების განხორციელების შესახებ.
(3) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს ან გამორიცხოს 1-ლ ნაწილში გათვალისწინებული უფლებამოსილებები, თუ ეს აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის.
(4) 1-ლ ნაწილში გათვალისწინებული უფლებამოსილებები არ არსებობს, თუ მშობლები მუდმივად ცხოვრობენ განცალკევებულად.

§ 1688. მომვლელი პირის მიერ გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება
(1) თუ ბავშვი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში იმყოფება საოჯახო მზრუნველობის ქვეშ, მაშინ მომვლელი პირი უფლებამოსილია ბავშვის ყოველდღიური ცხოვრების საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებაზე, ისევე როგორც ასეთ საკითხებში მშობლის ზრუნვის უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის წარმომადგენლობაზე. იგი უფლებამოსილია, განკარგოს ბავშვის შრომითი შემოსავალი, ისევე როგორც ბავშვის სასარგებლოდ წარადგინოს სარჩოს, სადაზღვევო, საპენსიო და სხვა სოციალური გადახდების მოთხოვნები და მართოს ეს გადახდები. შესაბამისად მოქმედებს §1629 1-ლი ნაწილის მე-4 წინადადება.
(2) მომვლელ პირს უთანაბრდება პირი, რომელმაც სოციალური დახმარების კოდექსის მერვე წიგნის §§34, 35 და 35ა 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების №№3 და 4-ის თანახმად დახმარების ფარგლებში იკისრა ბავშვის აღზრდა და მასზე ზრუნვა.
(3) 1-ლი და მე-2 ნაწილები არ მოქმედებს, თუ მშობლის ზრუნვის უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი აცხადებს სხვაგვარი წესის შესახებ. საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს ან გამორიცხოს 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, თუ ეს აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის.
(4) იმ პირის მიმართ, რომელთანაც ბავშვი §1632 მე-4 ნაწილის ან §1682 თანახმად იმყოფება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მოქმედებს 1-ლი და მე-3 ნაწილები იმ პირობით, რომ დასახელებული უფლებამოსილებების შეზღუდვა ან გამორიცხვა შეუძლია მხოლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოს.

§§ 1689-1692. *(გაუქმებულია)*

§ 1693. სასამართლოს ზომები იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლებს ხელი ეშლებათ მშობლის ზრუნვის განხორციელებაში
თუ მშობლებს ხელი ეშლებათ მშობლის ზრუნვის განხორციელებაში, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ბავშვის ინტერესების დასაცავად.

§§ 1694, 1695. *(გაუქმებულია)*

§ 1696. სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების აქტების შეცვლა
(1) ზრუნვისა თუ ბავშვთან კონტაქტის უფლების მინიჭების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებები ან სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების აქტები ექვემდებარება შეცვლას, თუ ამაზე არსებობს მნიშვნელოვანი საფუძვლები, რომლე-

ბიც ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ეხება ბავშვის კეთილდღეობას. §1672 მე-2 ნაწილი, §1680 მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება, ისევე როგორც §1681 1-ლი და მე-2 ნაწილები უცვლელი რჩება.
(2) §§1666-1667 ან სამოქალაქო კოდექსის სხვა იმ ნორმებით გათვალისწინებული ზომები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ბავშვის კეთილდღეობის მიმართ არსებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად ან რომლებიც აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის (ბავშვის ინტერესების დაცვის ზომები), უნდა გაუქმდეს, თუ ბავშვის კეთილდღეობას საფრთხე აღარ ემუქრება ან ზომების მიღების აუცილებლობა აღარ არსებობს.

§ 1697. *(გაუქმებულია)*

§ 1697ა. ბავშვის კეთილდღეობის პრინციპი
თუ სხვა რაიმე არ არის დადგენილი, წინამდებარე ტიტულში მოწესრიგებული საკითხების შესახებ სასამართლო იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ფაქტიური პირობებისა და შესაძლებლობების, ისევე როგორც დაინტერესებული პირის გამართლებული ინტერესის გათვალისწინებით ყველაზე მეტად შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობას.

§ 1698. ბავშვის ქონების დაბრუნება; ანგარიშის წარდგენა
(1) თუ მშობლების მიერ მშობლის ზრუნვის განხორციელება წყდება ან შეჩერდება ანდა მათ მიერ ბავშვის ქონებაზე ზრუნვა უქმდება სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე, მაშინ მშობლებმა ქონება უნდა დაუბრუნონ ბავშვს, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, – წარუდგინონ მას ქონების მართვის შესახებ ანგარიში.
(2) ბავშვის ქონების სარგებლის შესახებ მშობლებმა უნდა წარადგინონ ანგარიში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფუძველი იმის ვარაუდისა, რომ მათ სარგებელი გამოიყენეს §1649 ნორმის საწინააღმდეგოდ.

§ 1698ა. საქმეების წარმოების გაგრძელება მშობლის ზრუნვის შეწყვეტის შესახებ არცოდნის შემთხვევაში
(1) მშობლებს შეუძლიათ ბავშვის პიროვნებასა და ქონებაზე ზრუნვასთან დაკავშირებული საქმეების წარმოების გაგრძელება იმ მომენტამდე, სანამ ისინი არ შეიტყობენ მშობლის ზრუნვის შეწყვეტის შესახებ ან იმ მომენტამდე, სანამ მათ უნდა შეეტყოთ ამის შესახებ. მესამე პირს არ შეუძლია აღნიშნულ უფლებამოსილებაზე მითითება, თუ გარიგების დადებისას მან იცის მშობლის ზრუნვის შეწყვეტის შესახებ ან მას უნდა სცოდნოდა ამის შესახებ.
(2) აღნიშნული ნორმები შესაბამისად გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ მშობლის ზრუნვის განხორციელება შეჩერდება.

§ 1698ბ. გადაუდებელი საქმეების წარმოების გაგრძელება ბავშვის გარდაცვალების შემდეგ
თუ მშობლის ზრუნვა წყდება ბავშვის გარდაცვალების შედეგად, მაშინ მშობლებმა უნდა გააგრძელონ იმ საქმეების წარმოება, რომელთა გადადება რისკის გარეშე შეუძლებელია, მანამდე, სანამ მემკვიდრე არ შეძლებს სხვა ზომების მიღებას ინტერესების დასაცავად.

§§ 1699-1711. *(გაუქმებულია)*

კარი 6. პატრონაჟი

§ 1712. ახალგაზრდობის საქმეთა უწყების მიერ განხორციელებული პატრონაჟი; ამოცანები

(1) ერთ-ერთი მშობლის წერილობითი განცხადების საფუძველზე ახალგაზრდობის საქმეთა უწყება ახორციელებს ბავშვზე პატრონაჟს შემდეგი ამოცანების შესასრულებლად:

1. მამობის დადგენა,
2. რჩენის მოთხოვნის უფლებების წარდგენა, ისევე როგორც აღნიშნული მოთხოვნის უფლებების განკარგვა; თუ ბავშვის მოვლა ხორციელდება სასყიდლით, მაშინ პატრონაჟის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია, დააკმაყოფილოს მესამე პირის მოთხოვნა სარჩოს გადახდაზე ვალდებული პირის გადახდების ხარჯზე.

(2) განცხადება შეიძლება შეიზღუდოს 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ცალკეული ამოცანებით.

§ 1713. განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილი პირები

(1) განცხადების წარდგენა შეუძლია იმ მშობელს, ვინც ნაკისრ პატრონაჟთან დაკავშირებულ ამოცანათა ფარგლებში მშობლის ზრუნვას ახორიელებს ერთპიროვნულად ან იგი აღნიშნულ ზრუნვას განახორციელებდა, ბავშვი უკვე რომ ყოფილიყო დაბადებული. თუ ბავშვზე მშობლის ზრუნვა მშობლებს ერთობლივად ეკისრებათ, განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ მშობლის მიერ, ვინც ბავშვს უვლის. განცხადება შეიძლება ასევე წარდგენილ იქნეს §1776 თანახმად მოწვეული მეურვის მიერ. იგი არ შეიძლება წარდგენილ იქნეს წარმომადგენლის მიერ.

(2) ბავშვის დაბადებამდე მომავალ დედას შეუძლია განცხადების წარდგენა ასევე იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი დაბადების შემთხვევაში იქნებოდა მეურვეობის ქვეშ. თუ მომავალ დედას შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, მას განცხადების წარდგენა შეუძლია მხოლოდ პირადად; მას არ ესაჭიროება თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ქმედუუნარო მომავალი დედის სახელით განცხადების წარდგენა შეუძლია მხოლოდ მის კანონიერ წარმომადგენელს.

§ 1714. პატრონაჟის განხორციელების დაწყება

პატრონაჟის განხორციელება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც ახალგაზრდობის საქმეთა უწყება მიიღებს განცხადებას. აღნიშნული წესი მოქმედებს, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ განცხადება წარდგენილ იქნა ბავშვის დაბადებამდე.

§ 1715. პატრონაჟის შეწყვეტა

(1) პატრონაჟის განხორციელება წყდება, თუ მას განმცხადებელი ითხოვს წერილობით. შესაბამისად მოქმედებს §1712 მე-2 ნაწილი და §1714.

(2) პატრონაჟის განხორციელება წყდება, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი აღარ ასრულებს §1713 მითითებულ წინაპირობებს.

§ 1716. პატრონაჟის დადგენის სამართლებრივი შედეგები

პატრონაჟით მშობლის ზრუნვის უფლება არ იზღუდება. სხვა შემთხვევებში აზრობრივად მოქმედებს სპეციალური მზრუნველობის შესახებ ნორმები იმ წესების გამოკლებით, რომლებიც ეხება საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ ზედამხედველობის განხორციელებასა და ანგარიშის წარდგენას; §§1791, 1791გ მე-3 ნაწილი არ გამოიყენება.

§ 1717. ქვეყნის შიგნით ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის არსებობის მოთხოვნა
პატრონაჟის განხორციელება იწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი მდებარეობს ქვეყნის შიგნით; პატრონაჟის განხორციელება წყდება, თუ ბავშვი თავის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელს აფუძნებს საზღვარგარეთ. აღნიშნული წესი შესაბამისად მოქმედებს ბავშვის დაბადებამდე განხორციელებული პატრონაჟის მიმართ.

§§ 1718-1740. *(გაუქმებულია)*

კარი 7. შვილად აყვანა

ქვეკარი 1. არასრულწლოვანის შვილად აყვანა

§ 1741. შვილად აყვანის დასაშვებობა
(1) ბავშვის შვილად აყვანა დასაშვებია, თუ იგი ემსახურება ბავშვის კეთილდღეობას და მოსალოდნელია, რომ მშვილებელსა და ბავშვს შორის წარმოიშობა ისეთივე ურთიერთობა, როგორიც არსებობს მშობელსა და შვილს შორის. პირს, რომელიც ხელს უწყობდა ბავშვის შვილად აყვანის კანონის ან ზნეობის საწინააღმდეგო შუამავლობას ან შვილად აყვანის მიზნით ბავშვის გადაცემას ანდა აღნიშნულზე მესამე პირს მისცა დავალება ან გადაუხადა საზღაური, შეუძლია ბავშვის შვილად აყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის.
(2) დაუქორწინებელ პირს შეუძლია ბავშვის შვილად აყვანა მხოლოდ ერთპიროვნულად. დაქორწინებულ წყვილს შეუძლია ბავშვის შვილად აყვანა მხოლოდ ერთობლივად. მეუღლეს ერთპიროვნულად შეუძლია თავისი მეუღლის შვილის შვილად აყვანა. მას შეუძლია ბავშვის შვილად აყვანა ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე მეუღლეს არ შეუძლია ბავშვის შვილად აყვანა იმის გამო, რომ იგი ქმედუუნაროა ან ჯერ არ მიუღწევია 21 წლის ასაკისათვის.

§ 1742. შვილად აყვანა მხოლოდ საერთო შვილის სახით
იმ დროის განმავლობაში, სანამ არსებობს შვილად აყვანის ურთიერთობა, შვილად აყვანილი ბავშვი მშვილებლის სიცოცხლის განმავლობაში შეიძლება აყვანილ იქნეს შვილად მხოლოდ ამ უკანასკნელის მეუღლის მიერ.

§ 1743. მინიმალური ასაკი
მშვილებელი უნდა იყოს მიღწეული 25 წლის ასაკს, ხოლო §1741 მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების შემთხვევებში, – 21 წლის ასაკს. §1741 მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების შემთხვევებში მეუღლე უნდა იყოს მიღწეული 25 წლის ასაკს, ხოლო მეორე მეუღლისა – 25 წლის ასაკს.

§ 1744. გამოსაცდელი ვადა
როგორც წესი, შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშვილებელი ბავშვზე ზრუნვას ახორციელებს სათანადო ვადის განმავლობაში.

§ 1745. შვილად აყვანის აკრძალვა

შვილად აყვანის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია, თუ ეს ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანი ბავშვების არსებით ინტერესებს ანდა თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ შვილად ასაყვანი ბავშვის ინტერესებს შეექმნება საფრთხე მშვილებლის შვილების მხრიდან. ქონებრივ-სამართლებრივი ინტერესები არ უნდა იყოს გადამწყვეტი.

§ 1746. ბავშვის თანხმობა

(1) შვილად აყვანისათვის საჭიროა ბავშვის თანხმობა. ქმედუუნარო ბავშვისათვის ან იმ ბავშვისათვის, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია 14 წლის ასაკისათვის, თანხმობას აცხადებს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენელი. დანარჩენ შემთხვევებში ბავშვს თანხმობის განცხადება შეუძლია მხოლოდ პირადად; აღნიშნული საჭიროებს მისი კანონიერი წარმომადგენლის მოწონებას. მშვილებლისა და შვილად ასაყვანი ბავშვის მიერ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში თანხმობა საჭიროებს საოჯახო საქმეთა სასამართლოს მოწონებას; აღნიშნული წესი არ მოქმედებს, თუ შვილად აყვანის მიმართ მოქმედებს გერმანული სამართალი.

(2) თუ ბავშვმა მიაღწია 14 წლის ასაკს და იგი არ არის ქმედუუნარო, მაშინ მას შეუძლია შვილად აყვანის თანხმობის გამოთხოვა შვილად აყვანის შესახებ საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა აუცილებელი არ არის.

(3) თუ მეურვე ან მზრუნველი უარს აცხადებენ თანხმობის განცხადებაზე მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია ამ უკანასკნელის შეცვლა თავისი გადაწყვეტილებით; 1-ლი ნაწილის თანახმად მშობლების განცხადება საჭირო არ არის, თუ მათ შვილად აყვანაზე წარადგინეს გამოუთხოვადი თანხმობა ან მათი თანხმობა §1748 თანახმად შეიცვალა საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

§ 1747. ბავშვის მშობლების თანხმობა

(1) ბავშვის შვილად აყვანისათვის საჭიროა ბავშვის მშობლების თანხმობა. რამდენადაც §1592 თანახმად მამად სხვა მამაკაცი არ უნდა იქნეს მიჩნეული, 1-ლი წინადადებისა და §1748 მე-4 ნაწილის გაგებით მამად ჩაითვლება პირი, ვინც წარადგენს საკმარის მტკიცებულებებს §1600დ მე-2 ნაწილის 1-ლ წინადადებაში მითითებული წინაპირობის დასადასტურებლად.

(2) თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს მხოლოდ მანამდე, სანამ ბავშვს შეუსრულდება რვა კვირა. იგი ძალმოსილია ასევე იმ შემთხვევაში, თუ თანხმობის მიმცემი პირი ჯერ არ იცნობს შერჩეულ მშვილებელს.

(3) თუ მშობლები ერთმანეთთან არ იმყოფებიან ქორწინებაში და მათ არ განუცხადებიათ მშობლის ზრუნვის კისრების შესახებ,

1. შვილად აყვანაზე მამის თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე;
2. იმ შემთხვევაში, თუ მამამ წარადგინა განცხადება მასზე მშობლის ზრუნვის დაკისრების შესახებ §1672 1-ლი ნაწილის თანახმად, – სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ მამის განცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ;
3. მამას შეუძლია უარი თქვას §1672 1-ლი ნაწილის თანახმად ზრუნვის დაკისრებაზე. უარის თქმის შესახებ განცხადება ოფიციალურად უნდა დამოწმდეს.

§1750 მოქმედებს აზრობრივად მე-4 ნაწილის 1-ლი წინადადების გამოკლებით.

(4) მშობლის თანხმობა საჭირო არ არის, თუ მშობელი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უუნაროა, გააკეთოს შესაბამისი განცხადება ან მისი ადგილსამყოფელი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უცნობია.

§ 1748. მშობლების თანხმობის შეცვლა

(1) საოჯახო საქმეთა სასამართლომ ბავშვის განცხადების საფუძველზე მშობლების თანხმობა უნდა შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებით, თუ ეს უკანასკნელი ბავშვის წინაშე თავის მოვალეობებს ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უხეშად არღვევდა ან საკუთარი მოქმედებით ბავშვის მიმართ გამოამჟღავნა გულგრილობა ანდა იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდებოდა შვილად აყვანა, ბავშვს მიადგებოდა შეუსაბამო ზიანი. თანხმობა შეიძლება შეიცვალოს ასევე იმ შემთხვევაში, თუ, მართალია, მოვალეობების დარღვევას არ ჰქონდა ადგილი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში, მაგრამ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევა და სავარაუდოდ ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ბავშვის გაჩერება ამ მშობლის მეთვალყურეობის ქვეშ აღარ შეიძლება.

(2) გულგრილობის გამო, რომელიც ამავე დროს არ წარმოადგენს მოვალეობების უხეშ დარღვევას, თანხმობა არ შეიძლება შეცვალოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილებით, სანამ ახალგაზრდობის საქმეთა უწყება არ განუმარტავს მშობელს ასეთი შეცვლის შესაძლებლობის შესახებ და მისცემს მას რჩევებს სოციალური დახმარების კოდექსის მერვე წიგნის §51 მე-2 ნაწლის თანახმად და განმარტების მიცემის შემდეგ გავა არანაკლებ სამი თვე; განმარტებაში უნდა მიეთითოს ვადა. განმარტება აუცილებელი არ არის, თუ მშობელმა შეიცვალა ადგილსამყოფელი თავისი ახალი მისამართის დატოვების გარეშე და ახალგაზრდობის საქმეთა უწყების მიერ, მიუხედავად სამი თვის განმავლობაში სათანადო ძებნისა, ვერ მოხერხდა ადგილსამყოფელის დადგენა; ამ შემთხვევაში ვადის დენა იწყება ახალგაზრდობის საქმეთა უწყების მიერ რჩევისა და განმარტების მიცემის ან ადგილსამყოფელის დადგენის მიზნით გაკეთებული პირველი მოქმედების განხორციელების მომენტიდან. ვადები იწურება არაუადრეს ხუთი თვისა ბავშვის დაბადების შემდეგ.

(3) გარდა აღნიშნულისა, მშობლის თანხმობა შეიძლება შეიცვალოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ განსაკუთრებით მძიმე ფსიქიური ავადმყოფობის ან განსაკუთრებით მძიმე გონებრივი ან სულიერი დარღვევის გამო მშობელი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უუნაროა, მოუაროს და აღზრდოს ბავშვი, ხოლო ბავშვი მისი შვილად აუყვანებლობის შემთხვევაში ვერ გაიზრდებოდა ოჯახში, რითაც მის განვითარებას სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა.

(4) §1626ა მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში საოჯახო საქმეთა სასამართლომ მამის თანხმობა უნდა შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებით, თუ არშემდგარი შვილად აყვანის შემთხვევაში ბავშვს მიადგებოდა შეუსაბამო ზიანი.

§ 1749. მეუღლის თანხმობა

(1) ერთ-ერთი მეუღლის მიერ ბავშვის ერთპიროვნულად შვილად აყვანისათვის საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა. მშვილებლის განცხადების საფუძველზე საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია თანხმობის შეცვლა თავისი გადაწყვეტილებით. თანხმობის შეცვლა დაუშვებელია, თუ შვილად აყვანა ეწინააღმდეგება მეორე მეუღლისა და ოჯახის გამართლებულ ინტერესებს.

(2) დაქორწინებული პირის შვილად აყვანისათვის საჭიროა მისი მეუღლის თანხმობა.

(3) მეუღლის თანხმობა აუცილებელი არ არის, თუ მეუღლე ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უუნაროა, გააკეთოს შესაბამისი განცხადება ან მისი ადგილსამყოფელი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უცნობია.

§ 1750. თანხმობის განცხადება

(1) §§1746, 1747 და 1749 თანახმად თანხმობა განცხადებულ უნდა იქნეს საოჯახო საქმეთა სასამართლოს წინაშე. განცხადება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. თანხმობა ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც იგი მიუვა საოჯახო საქმეთა სასამართლოს.

(2) თანხმობა არ შეიძლება გაკეთდეს პირობით ან ვადის დადგენით. მისი გამოთხოვა დაუშვებელია; §1746 მე-2 ნაწილის ნორმა უცვლელი რჩება.

(3) თანხმობის განცხადება წარმომადგენლის მეშვეობით დაუშვებელია. თუ თანხმობის მიმცემს შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, მაშინ მისი თანხმობა არ საჭიროებს მისი კანონიერი წარმომადგენლის მოწონებას. §1746 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებების ნორმები უცვლელი რჩება.

(4) თანხმობა ძალას კარგავს განცხადების უკან წაღების ან შვილად აყვანაზე უარის შემთხვევაში. გარდა ამისა, მშობლის თანხმობა ძალას კარგავს ასევე იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი არ იქნება შვილად აყვანილი თანხმობის ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში.

§ 1751. მშობლის თანხმობის სამართლებრივი შედეგი, რჩენის ვალდებულება

(1) შვილად აყვანაზე მშობლის თანხმობის განცხადებით ამ მშობლის მიერ მშობლის ზრუნვის განხორციელება შეჩერდება; დაუშვებელია ბავშვთან პირადი კონტაქტის უფლებამოსილების განხორციელება. ახალგაზრდობის საქმეთა უწყება ხდება მეურვე; ეს წესი არ მოქმედებს, თუ მეორე მეუღლე მშობლის ზრუნვას ერთპიროვნულად განახორციელებს ან თუ მეურვეობა უკვე დადგენილია. არსებული სპეციალური მზრუნველობა უცვლელი რჩება. მშვილებლის მიმართ შვილად აყვანის პროცედურის პერიოდისათვის შესაბამისად მოქმედებს §1688 1-ლი და მე-3 ნაწილები. თუ დედა დაეთანხმა შვილად აყვანას, მაშინ §1672 1-ლი ნაწილის თანახმად მამის განცხადება არ საჭიროებს დედის თანხმობას.

(2) 1-ლი ნაწილი არ გამოიყენება იმ მეუღლის მიმართ, რომლის შვილის შვილად აყვანაც ხდება მეორე მეუღლის მიერ.

(3) თუ ერთ-ერთი მშობლის თანხმობამ დაკარგა თავისი ძალა, მაშინ სამეურვეო საქმეთა სასამართლომ (Vormundschaftsgericht) მშობლის ზრუნვა უნდა დააკისროს მეორე მშობელს, თუ და რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის კეთილდღეობას.

(4) მშვილებელი ვალდებულია, ბავშვს უხადოს სარჩო ბავშვის ნათესავების უპირატესად იმ მომენტიდან, როდესაც ბავშვის მშობლებმა მისცეს სავალდებულო თანხმობა და ბავშვი შვილად აყვანის მიზნით მშვილებლის მიერ მიღებულ იქნა სამზრუნველოდ. თუ მეუღლეს სურს, შვილად აიყვანოს თავისი მეუღლის შვილი, მაშინ მეუღლეები ვალდებულნი არიან, ბავშვს უხადონ სარჩო ბავშვის ნათესავების უპირატესად იმ მომენტიდან, როდესაც მიცემულ იქნა ბავშვის მშობლების სავალდებულო თანხმობა და ბავშვი მეუღლეების მიერ შვილად აყვანის მიზნით მიღებულ იქნა სამზრუნველოდ.

§ 1752. საოჯახო საქმეთა სასამართლოს განჩინება, განცხადება

(1) შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება მშვილებლის განცხადების საფუძველზე მიიღება საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ.

(2) დაუშვებელია განცხადების წარდგენა პირობით ან ვადის დადგენით. იგი უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

§ 1753. შვილად აყვანა გარდაცვალების შემდეგ

(1) შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ბავშვის გარდაცვალების შემდეგ დაუშვებელია.

(2) მშვილებლის გარდაცვალების შემდეგ გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშვილებელმა განცხადება წარუდგინა საოჯახო საქმეთა სასამართლოს ან განცხადების სანოტარო წესით დამოწმების მომენტში ან დამოწმების შემდეგ ნოტარიუსს დაავალა განცხადების სასამართლოში წარდგენა.

(3) თუ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მშვილებლის გარდაცვალების შემდეგ, მაშინ მას აქვს ისეთი სამართლებრივი შედეგი, თითქოს იგი შედგა მის გარდაცვალებამდე.

§ 1754. შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგი

(1) თუ ბავშვის შვილად აყვანას ახდენს დაქორწინებული წყვილი ან ერთ-ერთი მეუღლე შვილად აიყვანს მეორე მეუღლის შვილს, მაშინ ბავშვი იძენს მეუღლეთა საერთო შვილის სამართლებრივ მდგომარეობას.

(2) სხვა შემთხვევებში ბავშვი იძენს მშვილებლის შვილის სამართლებრივ მდგომარეობას.

(3) 1-ლ ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევებში მშობლის ზრუნვა მეუღლეებს ერთობლივად ეკისრებათ, ხოლო მე-2 ნაწილში გათვალისწინებულ შემთხვევებში კი, მშობლის ზრუნვა ეკისრება მშვილებელს.

§ 1755. ნათესაური ურთიერთობების შეწყვეტა

(1) შვილად აყვანით წყდება ბავშვისა და მისი შთამომავლების ნათესაური ურთიერთობა თავდაპირველ ნათესავებთან და ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები. შვილად აყვანამდე ბავშვის მოთხოვნის უფლებები, მათ შორის, პენსიის, ობლობის შემწეობისა და სხვა შესაბამისი პერიოდული გადახდები შვილად აყვანის შედეგად უცვლელი რჩება; ეს წესი არ მოქმედებს რჩენის მოთხოვნის უფლებების მიმართ.

(2) თუ მეუღლე შვილად აიყვანს თავისი მეუღლის შვილს, მაშინ ნათესაური ურთიერთობების შეწყვეტას ადგილი აქვს მხოლოდ მეორე მშობლისა და მისი ნათესავების მიმართ.

§ 1756. ნათესაური ურთიერთობების შენარჩუნება

(1) თუ მშვილებლები ბავშვთან იმყოფებიან მეორე ან მესამე ხარისხის სისხლით ან ქორწინებით ნათესაურ კავშირში, მაშინ წყდება ბავშვისა და მისი შთამომავლების ნათესაური ურთიერთობა მხოლოდ ბავშვის მშობლებთან და ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები.

(2) თუ მეუღლე შვილად იყვანს თავისი მეუღლის შვილს, მაშინ ნათესაური ურთიერთობები არ წყდება მეორე მშობლის ნათესავებთან, თუ ეს მშობელი ახორციელებდა მშობლის ზრუნვას და გარდაიცვალა.

§ 1757. ბავშვის გვარი

(1) ბავშვი დაბადების გვარის სახით იღებს მშვილებლის გვარს. მშვილებლის გვარად არ მიიჩნევა საქორწინო ან თანაცხოვრების პარტნიორების გვარისათვის დამატებული გვარი (§1355 მე-4 ნაწილი; "თანაცხოვრების პარტნიორობის შესახებ" კანონის (Lebenspartnerschaftsgesetz) §3 მე-2 ნაწილი).

(2) თუ ბავშვის შვილად აყვანას ახდენს დაქორწინებული წყვილი ან ერთ-ერთი მეუღლე შვილად აიყვანს მეორე მეუღლის შვილს და მეუღლებს არა აქვთ საქორწინო გვარი, მაშინ ბავშვის დაბადების გვარს ისინი განსაზღვრავენ საოჯახო საქმეთა სასამართლოსათვის განცხადების წარდგენის გზით შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე; შესაბამისად მოქმედებს §1617 1-ლი ნაწილი. თუ ბავშვმა მიაღწია ხუთი წლის ასაკს, მაშინ გვარის განსაზღვრა ძალმოსილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საოჯახო საქმეთა სასამართლოსათვის განცხადების წარდგენის გზით შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ბავშვი ეთანხმება გვარის განსაზღვრას; შესაბამისად მოქმედებს §1617გ 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადება.

(3) დაბადების გვარის შეცვლა ვრცელდება ბავშვის საქორწინო გვარზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადების წარდგენის გზით შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე გვარის შეცვლას ეთანხმება მეუღლეც; განცხადება ოფიციალურად უნდა დამოწმდეს.

(4) საოჯახო საქმეთა სასამართლოს მშვილებლის განცხადების საფუძველზე და ბავშვის თანხმობით შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად შეუძლია

1. შეცვალოს ბავშვის სახელი ან დაუმატოს მას ერთი ან რამდენიმე ახალი სახელი, თუ ეს შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობას;
2. თავდაპირველ გვარს თავში ან ბოლოში დაუმატოს ბავშვის ახალი გვარი, თუ ეს სერიოზული საფუძვლებიდან გამომდინარე აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის. შესაბამისად გამოიყენება §1746 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები, მე-3 ნაწილის პირველი ნაწილი.

§ 1758. ინფორმაციის გამჟღავნებისა და გამოკვლევის აკრძალვა

(1) დაუშვებელია მშვილებლისა და ბავშვის თანხმობის გარეშე შვილად აყვანისა და მისი გარემოებების გამოვლინებისათვის ხელშემწყობი ფაქტების გამჟღავნება ან გამოკვლევა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე ამას ითხოვს საჯარო ინტერესები.

(2) 1-ლი ნაწილი აზრობრივად მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მიცემულ იქნა §1747 გათვალისწინებული თანხმობა. საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დადგეს იმ შემთხვევაშიც, თუ წარედგინება განცხადება ერთ-ერთი მშობლის თანხმობის შეცვლის შესახებ.

§ 1759. შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობის გაუქმება

შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობა შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ §§1760, 1763 გათვალისწინებულ შემთხვევებში.

§ 1760. შვილად აყვანის გაუქმება განცხადებების არარსებობის გამო

(1) განცხადების საფუძველზე შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობა საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ შეიძლება გაუქმდეს, თუ იგი დადგენილ იქნა

მშვილებლის განცხადების, ბავშვის თანხმობისა თუ მშობლის აუცილებელი თანხმობის გარეშე.

(2) განცხადება ან თანხმობა სამართლებრივი ძალის არმქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) განმცხადებელი განცხადების გაკეთების მომენტში იმყოფებოდა დაკარგული ცნობიერების ან დროებითი ფსიქიური აშლილობის მდგომარეობაში, თუ განმცხადებელი იყო ქმედუუნარო ანდა ბავშვმა, რომელიც იყო ქმედუუნარო ან რომელსაც არ მიუღწევია 14 წლის ასაკისათვის, თავად განაცხადა თანხმობა,

ბ) განმცხადებელმა არ იცოდა, რომ საქმე ეხებოდა შვილად აყვანას ან, მართალია, იცოდა ამის შესახებ, მაგრამ მას არ სურდა შვილად აყვანის შესახებ განცხადების წარდგენა ან შვილად აყვანაზე თანხმობის მიცემა ანდა მშვილებელი ცდებოდა შვილად ასაყვანი ბავშვის პიროვნებასთან დაკავშირებით ან შვილად ასაყვანი ბავშვი ცდებოდა მშვილებლის პიროვნებასთან დაკავშირებით,

გ) განმცხადებელი დაიყოლიეს განცხადების გაკეთებაზე არსებითი გარემოებების თაობაზე განზრახ შეცდომაში შეყვანით,

დ) განმცხადებელი განცხადების გაკეთებაზე დაიყოლიეს მართლსაწინააღმდეგო იძულებით,

ე) განმცხადებელმა თანხმობა განაცხადა §1747 მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადებაში გათვალისწინებული ვადის გასვლამდე.

(3) შვილად აყვანის გაუქმება გამორიცხულია, თუ ქმედუუნარობის, დაკარგული ცნობიერების, ფსიქიური აშლილობის, იძულების შედეგად შექმნილი მაიძულებელი მდგომარების შეწყვეტის, შეცდომის აღმოჩენის ან §1747 მე-2 ნაწილის 1-ლ წინადადებაში გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ განმცხადებელმა დაადასტურა თავისი განცხადება ან თანხმობა ან სხვაგვარად გახადა ცნობილი ის, რომ შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობა უნდა შენარჩუნდეს. შესაბამისად გამოიყენება §1746 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებებისა და §1750 მე-3 ნაწილის 1-ლი და მე-2 წინადადებების ნორმები.

(4) გარდა ამისა, არსებითი გარემოებების თაობაზე განზრახ შეცდომაში შეყვანის გამო შვილად აყვანის გაუქმება გამორიცხულია, თუ შეცდომა ეხებოდა მშვილებლის ან ბავშვის ქონებრივ მდგომარეობას ან თუ შეცდომაში შეყვანა განცხადების წარდგენასა თუ თანხმობის მიცემაზე უფლებამოსილი პირის მხრიდან ამ ფაქტის შეტყობის გარეშე მოხდა იმ პირის მიერ, ვინც არ იყო უფლებამოსილი როგორც განცხადების წარდგენასა თუ თანხმობის მიცემაზე, ისე – შვილად აყვანის შუამავლობაზე.

(5) თუ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ივარაუდება, რომ ერთ-ერთი მშობელი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უუნაროა, გააკეთოს შესაბამისი განცხადება ან მისი ადგილსამყოფელი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უცნობია, მაშინ შვილად აყვანის გაუქმება გამორიცხულია, თუ მშობელმა დაადასტურა თავისი თანხმობა ან სხვაგვარად გახადა ცნობილი ის, რომ შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობა უნდა შენარჩუნდეს. შესაბამისად გამოიყენება §1750 მე-3 ნაწილის 1-ლი და მე-2 წინადადებების ნორმები.

§ 1761. შვილად აყვანის დროს არსებული ურთიერთობების გაუქმების ხელისშემშლელი გარემოებები

(1) შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობა არ შეიძლება გაუქმდეს იმის გამო, რომ აუცილებელი თანხმობის მიღება შეუძლებელია ან იგი §1760 მე-2 ნაწი-

ლის თანახმად სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სახეზე იყო თანხმობის შეცვლის წინაპირობები ან ისინი არსებობს განცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტში; ამავე დროს ზიანის მიმყენებელი შედეგი არ ექნება იმას, რომ რჩევის ან განმარტების მიცემა არ მოხდება §1748 მე-2 ნაწილის თანახმად.
(2) შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობა არ უნდა გაუქმდეს, თუ ამით შეიძლება საფრთხე შეექმნას ბავშვის კეთილდღეობას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გაუქმებას ითხოვს მშვილებლის არსებითი ინტერესები.

§ 1762. განცხადების წარდგენის უფლებამოსილება; განცხადების წარდგენის ვადა, ფორმა

(1) განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილია მხოლოდ ის პირი, რომლის განცხადებისა თუ თანხმობის გარეშეც ბავშვი იქნა შვილად აყვანილი. ქმედუუნარო ბავშვისათვის ან იმ ბავშვისათვის, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია 14 წლის ასაკისათვის, თანხმობას აცხადებენ მისი კანონიერი წარმომადგენლები. დანარჩენ შემთხვევებში განცხადება არ შეიძლება წარედგინოს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. თუ განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილ პირს შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, მაშინ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ მოითხოვება.
(2) განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, თუ შვილად აყვანიდან ჯერ არ გასულა სამი წელი. ვადის დენა იწყება
ა) §1760 მე-2 ნაწილის "ა" პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევებში, იმ მომენტში, როდესაც განმცხადებელი, სულ ცოტა, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე გახდა ან ქმედუუნარო მშვილებლის კანონიერი წარმომადგენლის ან იმ ბავშვისათვის, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია 14 წლის ასაკისათვის, ანდა ქმედუუნარო ბავშვისათვის ცნობილი გახდა განცხადების შესახებ;
ბ) §1760 მე-2 ნაწილის "ბ" და "გ" პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევებში, იმ მომენტში, როდესაც განმცხადებელი აღმოაჩენს შეცდომას ან შეცდომაში შეყვანის ფაქტს;
გ) §1760 მე-2 ნაწილის "დ" პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევებში, იძულების შეწყვეტის მომენტში;
დ) §1760 მე-2 ნაწილის "ე" პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევებში, §1747 მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ;
ე) §1760 მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იმ მომენტში, როდესაც მშობლისათვის ცნობილი გახდა იმის შესახებ, რომ შვილად აყვანა მოხდა მისი თანხმობის გარეშე.
შესაბამისად გამოიყენება ხანდაზმულობის მიმართ მოქმედი §§206, 210 ნორმები.
(3) განცხადება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

§ 1763. შვილად აყვანის გაუქმება სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით

(1) ბავშვის არასრულწლოვნების განმავლობაში საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია შვილად აყვანის დროს არსებული ურთიერთობების საკუთარი ინიციატივით გაუქმება, თუ ეს მნიშვნელოვანი საფუძვლებიდან გამომდინარე აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისათვის.
(2) თუ ბავშვი აყვანილ იქნა შვილად დაქორწინებული წყვილის მიერ, მაშინ შეიძლება ასევე გაუქმდეს ბავშვსა და ერთ-ერთ მშობელს შორის არსებული შვილად აყვანის დროს არსებული ურთიერთობა.

(3) შვილად აყვანის დროს არსებული ურთიერთობა შეიძლება ასევე გაუქმდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში,

ა) თუ მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მეორე მეუღლე ან ბიოლოგიური მშობელი მზად არიან, იკისრონ ბავშვის მოვლა და აღზრდა იმ პირობით, რომ მათ მიერ მშობლის ზრუნვის განხორციელება არ იქნებოდა შეუსაბამო ბავშვის კეთილდღეობისათვის ან

ბ) თუ შვილად აყვანის გაუქმებამ უნდა გაამარტივოს ბავშვის თავიდან შვილად აყვანა.

§ 1764. შვილად აყვანის გაუქმების სამართლებრივი შედეგები

(1) შვილად აყვანის გაუქმების სამართლებრივი შედეგები დგება მხოლოდ მომავლისათვის. თუ საოჯახო საქმეთა სასამართლო მშვილებლის განცხადების საფუძველზე ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ აუქმებს შვილად აყვანის დროს არსებულ ურთიერთობას ან ბავშვის განცხადების საფუძველზე ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, მაშინ აღნიშნულს აქვს ისეთი სამართლებრივი შედეგები, თითქოს შვილად აყვანის დროს არსებული ურთიერთობები გაუქმდა გარდაცვალებამდე.

(2) შვილად აყვანის გაუქმებით წყდება ბავშვისა და მისი შთამომავლების ნათესაური ურთიერთობა თავდაპირველ ნათესავებთან და უქმდება ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები.

(3) ამავე დროს განახლდება ბავშვისა და მისი შთამომავლების ნათესაური ურთიერთობა ბავშვის ბიოლოგიურ ნათესავებთან და ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები მშობლის ზრუნვის გამოკლებით.

(4) საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა აღადგინოს ბიოლოგიური მშობლების მშობლის ზრუნვის უფლებამოსილება, თუ და რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის კეთილდღეობას; სხვა შემთხვევებში ინიშნება მეურვე ან მზრუნველი.

(5) თუ შვილად აყვანის დროს არსებული ურთიერთობები ეხება დაქორწინებულ წყვილს და შვილად აყვანის გაუქმება ხორციელდება მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის მიმართ, მაშინ მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება მხოლოდ, ერთი მხრივ, ბავშვსა და მის შთამომავლებსა და, მეორე მხრივ, აღნიშნულ მეუღლესა და მის ნათესავებს შორის ურთიერთობის მიმართ; მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები არ დგება.

§ 1765. ბავშვის გვარი შვილად აყვანის გაუქმების შემდეგ

(1) შვილად აყვანის გაუქმებით ბავშვი კარგავს უფლებას, თავისი დაბადების გვარის სახით ატაროს მშვილებლის გვარი. §1754 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში 1-ლი წინადადება არ გამოიყენება, თუ ბავშვი დაბადების გვარს ატარებს §1757 1-ლი ნაწილის თანახმად და შვილად აყვანის დროს არსებული ურთიერთობების გაუქმება ეხება მხოლოდ ერთ-ერთ მეუღლეს. თუ დაბადების გვარი გახდა ბავშვის საქორწინო ან თანაცხოვრების გვარი, მაშინ ეს უკანასკნელი არ იცვლება.

(2) ბავშვის განცხადების საფუძველზე შვილად აყვანის გაუქმებასთან ერთად საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ბავშვი ინარჩუნებს შვილად აყვანის შედეგად მიღებულ გვარს, თუ მას აქვს გვარის ტარების გამართლებული ინტერესი. შესაბამისად მოქმედებს §1746 1-ლი ნაწილის მე-2 და მე-3 წინადადებები.

(3) თუ შვილად აყვანის შედეგად მიღებული გვარი გახდა ბავშვის საქორწინო ან თანაცხოვრების გვარი, მაშინ მეუღლეების ან თანაცხოვრების პარტნიორების ერთობლივი განცხადების საფუძველზე საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ მეუღლეები ან თანაცხოვრების პარტნიორები საქორწინო ან თანაცხოვრების გვარის სახით ატარებენ იმ დაბადების გვარს, რომელსაც ატარებდა ბავშვი შვილად აყვანამდე.

§ 1766. ქორწინება მშვილებელსა და ბავშვს შორის

თუ მშვილებელი საოჯახო-სამართლებრივი ნორმების საწინააღმდეგოდ ქორწინდება შვილად აყვანილთან ან მის ერთ-ერთ შთამომავალთან, მაშინ დაქორწინების მომენტიდან წყდება მათ შორის შვილად აყვანით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობა. §§1764, 1765 არ გამოიყენება.

ქვეკარი 2. სრულწლოვანი პირის შვილად აყვანა

§ 1767. შვილად აყვანის დასაშვებობა, გამოსაყენებელი ნორმები

(1) სრულწლოვანი პირის შვილად აყვანა დასაშვებია, თუ შვილად აყვანა მორალურად გამართლებულია; აღნიშნული, კერძოდ, ივარაუდება, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე წარმოიშვა ისეთივე ურთიერთობა, როგორიც არსებობს მშობელსა და შვილს შორის.

(2) სრულწლოვანი პირის შვილად აყვანის მიმართ აზრობრივად მოქმედებს არასრულწლოვანი პირების შვილად აყვანის შესახებ ნორმები, რამდენადაც ქვემოთ მოცემული ნორმებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს. შესაბამისად გამოიყენება §1757 მე-3 ნაწილი, თუ შვილად აყვანილმა დაადგინა თანაცხოვრება და თანაცხოვრების პარტნიორთა გვარის სახით განსაზღვრა თავისი დაბადების გვარი. თანაცხოვრებაში მყოფი პირის შვილად აყვანისათვის საჭიროა თანაცხოვრების პარტნიორის თანხმობა.

§ 1768. განცხადება

(1) სრულწლოვანი პირის შვილად აყვანის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ მშვილებლისა და შვილად ასაყვანის განცხადების საფუძველზე. §§1742, 1744, 1745, 1746 1-ლი და მე-2 ნაწილები, §1747 არ გამოიყენება.

(2) ქმედუუნარო შვილად ასაყვანი პირის სახელით განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

§ 1769. შვილად აყვანის აკრძალვა

სრულწლოვანი პირის შვილად აყვანის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება დაუშვებელია, თუ ეს ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანი პირის შვილების არსებით ინტერესებს.

§ 1770. შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები

(1) სრულწლოვანი პირის შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები არ ვრცელდება მშვილებლის ნათესავებზე. მშვილებლის მეუღლე ან თანაცხოვრების პარტნიორი არ ხდებიან შვილად აყვანილი პირის, მისი მეუღლის ან თანაცხოვრების პარტნიორის ქორწინებით ნათესავები.

(2) შვილად აყვანა არ ეხება შვილად აყვანილი პირისა და მისი შთამომავლების მათ ნათესავებთან არსებული ნათესაური ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებს, თუ კანონი სხვა წესს არ ადგენს.
(3) მშვილებელი ვალდებულია, შვილად აყვანილსა და მის შთამომავლებს უხადოს სარჩო ბიოლოგიური ნათესავების უპირატესად.

§ 1771. შვილად აყვანის დროს არსებული ურთიერთობის გაუქმება
საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მშვილებლისა და შვილად აყვანილი პირის განცხადების საფუძველზე გააუქმოს სრულწლოვანი პირის შვილად აყვანის დროს დადგენილი ურთიერთობა, თუ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი. დანარჩენ შემთხვევებში შვილად აყვანის დროს დადგენილი ურთიერთობა შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ §1760 1-5 ნაწილების აზრობრივი გამოყენებით. ბავშვის განცხადებას ცვლის შვილად ასაყვანი პირის განცხადება.

§ 1772. შვილად აყვანა არასრულწლოვანის შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგებით
(1) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია სრულწლოვანი პირის შვილად აყვანის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მშვილებლისა და შვილად აყვანილი პირის განცხადების საფუძველზე დაადგინოს, რომ შვილად აყვანის სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება არასრულწლოვანის ან არასრულწლოვანი ნათესავის შვილად აყვანის მომწესრიგებელი ნორმებით (§§1754-1756), თუ
ა) შვილად ასაყვანი პირის არასრულწლოვანი ძმა ან და მანამდე იქნენ აყვანილნი შვილად მშვილებლის მიერ ან მათი შვილად აყვანა ერთდროულად ხდება ან
ბ) შვილად ასაყვანი პირი ჯერ კიდევ არასრულწლოვანების პერიოდში იყო მიღებული მშვილებლის ოჯახში ან
გ) მშვილებელი შვილად იყვანს თავისი მეუღლის შვილს ან
დ) შვილად ასაყვანი პირი არ გამხდარა სრულწლოვანი იმ მომენტისათვის, როდესაც შვილად აყვანის შესახებ განცხადება წარედგინება საოჯახო საქმეთა სასამართლოს.
აღნიშნული დებულების შეთანხმება დაუშვებელია, თუ იგი ეწინააღმდეგება შვილად ასაყვანი პირის მშობლების უპირატეს ინტერესებს.
(2) 1-ლ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შვილად აყვანის დროს დადგენილი ურთიერთობა შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ §1760 1-5 ნაწილების აზრობრივი გამოყენებით. ბავშვის განცხადებას ცვლის შვილად ასაყვანი პირის განცხადება.

ნაწილი 3. მეურვეობა, იურიდიული მზრუნველობა (Rechtliche Betreuung), სპეციალური მზრუნველობა

კარი 1. მეურვეობა

ქვეკარი 1. მეურვეობის დადგენა

§ 1773. წინაპირობები

(1) არასრულწლოვანს უნიშნავენ მეურვეს, თუ მის მიმართ არ ხორციელდება მშობლის ზრუნვა ან მშობლებს არა აქვთ უფლება, წარმოადგინონ არასრულწლოვანი როგორც პირად, ისე ქონებრივ საკითხებში.

(2) არასრულწლოვანს უნიშნავენ მეურვეს ასევე იმ შემთხვევაში, თუ მისი ოჯახური მდგომარეობა ვერ დგინდება.

§ 1774. სასამართლოს მიერ მეურვის დანიშვნის შესახებ განკარგულების მიღება საკუთარი ინიციატივით

საოჯახო საქმეთა სასამართლო მეურვეს ნიშნავს საკუთარი ინიციატივით. თუ ივარაუდება, რომ ბავშვი მეურვეს საჭიროებს მისი დაბადების მომენტიდან, მაშინ მეურვე შეიძლება დაინიშნოს ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე; დანიშვნა ძალაში შედის ბავშვის დაბადების მომენტიდან.

§ 1775. რამდენიმე მეურვე

საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაქორწინებული წყვილი დანიშნოს ერთობლივ მეურვედ. დანარჩენ შემთხვევებში რამდენიმე მეურვის დანიშვნისათვის განსაკუთრებული საფუძვლების არარსებობისას საოჯახო საქმეთა სასამართლომ სამეურვეო პირს, – ხოლო თუ მეურვეობას საჭიროებენ და-ძმები, – ასევე ყველა სამეურვეო პირს უნდა დაუნიშნოს მხოლოდ ერთი მეურვე.

§ 1776. მშობლების მიერ მეურვის დასახელების უფლება

(1) მეურვის სახით მოიწვევა პირი, რომელსაც მეურვის კანდიდატად დაასახელებენ სამეურვეო პირის მშობლები.

(2) თუ მამამ და დედამ დაასახელეს სხვადასხვა პირები, მაშინ გამოიყენება იმ მშობლის მიერ მეურვის დასახელება, ვინც უფრო გვიან გარდაიცვალა.

§ 1777. მეურვის დასახელების უფლების გამოყენების წინაპირობები

(1) მშობლებს შეუძლიათ დაასახელონ მეურვე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ბავშვის პიროვნებასა და ქონებაზე ზრუნვა ეკისრებათ გარდაცვალების მომენტში.

(2) მამას შეუძლია დაასახელოს მეურვე იმ ბავშვისათვის, რომელიც დაიბადება მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, თუ იგი ამაზე უფლებამოსილი იქნებოდა მის გარდაცვალებამდე ბავშვის დაბადების შემთხვევაში.

(3) მეურვის დასახელება ხდება საანდერძო განკარგულებით.

§ 1778. დასახელებული მეურვის შეცვლა

(1) პირი, ვინც §1776 თანახმად დასახელებულ იქნა როგორც მეურვე, შეიძლება მისი თანხმობის გარეშე შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში,

1. თუ იგი §§1780-1784 თანახმად არ შეიძლება ან არ უნდა დაინიშნოს მეურვედ,

2. თუ მას არ შეუძლია მეურვეობის კისრება,
3. თუ იგი აყოვნებს მეურვეობის კისრებას,
4. თუ მისი დანიშვნა საფრთხეს შეუქმნიდა სამეურვეო პირის კეთილდღეობას,
5. თუ სამეურვეო პირი, რომელმაც მიაღწია 14 წლის ასაკს, ეწინააღმდეგება დანიშვნას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამეურვეო პირი ქმედუუნაროა.

(2) თუ მეურვის კანდიდატად დასახელებულ პირს მეურვეობის კისრება არ შეუძლია მხოლოდ დროებით, მაშინ ხელისშემშლელი გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ საოჯახო საქმეთა სასამართლომ მისი განცხადების საფუძველზე იგი უნდა დანიშნოს მეურვედ თავდაპირველი მეურვის ნაცვლად.

(3) არასრულწლოვანი მეუღლისათვის მეორე მეუღლე შეიძლება დაინიშნოს მეურვედ §1776 თანახმად მეურვედ დასახელებულ პირის უპირატესად.

(4) მეურვედ დასახელებულ პირთან ერთად თანამეურვე (Mitvormund) შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ამ უკანასკნელის თანხმობით.

§ 1779. საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ მეურვის კანდიდატის შერჩევა

(1) თუ არ ხდება მეურვეობის დაკისრება §1776 თანახმად, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლომ მეურვის კანდიდატი უნდა შეარჩიოს ახალგაზრდობის საქმეთა უწყების მოსმენის შემდეგ.

(2) საოჯახო საქმეთა სასამართლომ მეურვედ უნდა შეარჩიოს ის პირი, ვისაც თავისი პირადი თვისებებისა და ქონებრივი მდგომარეობის, ისევე როგორც სხვა გარემოებების მიხედვით შესწევს უნარი, განახორციელოს მეურვის ფუნქციები. რამდენიმე სათანადო კანდიდატურიდან შერჩევისას მხედველობაში მისაღებია მშობლების სავარაუდო სურვილი, სამეურვეო პირის პირადი კავშირები, სამეურვეო პირთან სისხლით ან ქორწინებით ნათესაობა, ისევე როგორც მისი სარწმუნოება.

(3) მეურვის შერჩევისას საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა მოუსმინოს სამეურვეო პირის სისხლით ან ქორწინებით ნათესავებს, თუ ეს შეიძლება მოხდეს არსებითი დაყოვნების ან შეუსაბამო ხარჯების გარეშე. სისხლით ან ქორწინებით ნათესავებს შეუძლიათ სამეურვეო პირისაგან მოითხოვონ მათ მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება; ხარჯების თანხა დგინდება საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ.

§ 1780. მეურვეობის განხორციელებისათვის უუნარო პირი

მეურვედ არ შეიძლება დაინიშნოს პირი, ვინც ქმედუუნაროა.

§ 1781. მეურვეობის განხორციელებისათვის შეუსაბამო პირი

მეურვედ არ უნდა დაინიშნოს:

1. პირი, ვინც არასრულწლოვანია,
2. ის პირი, ვისაც დაენიშნა მზრუნველი.

§ 1782. მეურვის დანიშვნის გამორიცხვა მშობლების მიერ

(1) მეურვედ არ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც გამოირიცხა მეურვედ დანიშვნისაგან სამეურვეო პირის მშობლების განკარგულებით. თუ მშობლებმა გასცეს ერთმანეთის გამომრიცხავი განკარგულებები, მაშინ გამოიყენება იმ მშობლის განკარგულება, ვინც უფრო გვიან გარდაიცვალა.

(2) გამორიცხვის მიმართ გამოიყენება §1777 ნორმები.

§ 1783. *(გაუქმებულია)*

§ 1784. თანამდებობის პირის ან რელიგიური მსახურის მეურვის სახით დანიშვნა

(1) თანამდებობის პირი ან რელიგიური მსახური, ვინც ლანდის კანონმდებლობის თანახმად მეურვეობის კისრებისათვის საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, არ შეიძლება დაინიშნოს მეურვედ შესაბამისი ნებართვის გარეშე.

(2) აღნიშნულ ნებართვაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა სამსახურთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფუძველი.

§ 1785. მეურვეობის კისრების მოვალეობა

ნებისმიერმა გერმანელმა უნდა იკისროს მეურვეობა, რისთვისაც იგი შერჩეულ იქნა საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ, თუ მის მეურვედ დანიშვნას ხელს არ უშლის §§1780-1784 გათვალისწინებული არც ერთი საფუძველი.

§ 1786. უარის უფლება

(1) მეურვეობის კისრებაზე უარის თქმა შეუძლია:

1. მშობელს, ვინც ძირითადად ახორციელებს ორ ან მეტ სკოლის ასაკს მიუღწეველ ბავშვზე ზრუნვას ან ადასტურებს, რომ მასზე დაკისრებული ოჯახზე ზრუნვა ხანგრძლივი დროით გაართულებს დაკისრებული მოვალეობის განხორციელებას,
2. პირს, რომელმაც მიაღწია 60 წლის ასაკს,
3. პირს, ვინც ახორციელებს სამზე მეტი არასრულწლოვანი ბავშვის პიროვნებასა და ქონებაზე ზრუნვას,
4. პირს, რომელსაც ავადმყოფობისა თუ ფიზიკური ნაკლის გამო არ შეუძლია მეურვის მოვალეობათა სათანადო შესრულება,
5. პირს, რომელსაც საოჯახო საქმეთა სასამართლოს ადგილსამყოფელიდან მისი საცხოვრებელი ადგილის სიშორის გამო განსაკუთრებული სირთულეების გარეშე არ შეუძლია მეურვის მოვალეობათა განხორციელება,
6. *(გაუქმებულია)*
7. პირს, რომელიც მეურვის მოვალეობათა განხორციელებისათვის უნდა დაინიშნოს სხვა პირთან ერთად,
8. პირს, რომელიც ახორციელებს მეურვეობას, იურიდიულ მზრუნველობას ან სპეციალურ მზრუნველობას ერთზე მეტ შემთხვევაში; რამდენიმე და-ძმის მეურვეობა ან მათზე მზრუნველობა ითვლება როგორც მეურვეობის ან სპეციალური მზრუნველობის მხოლოდ ერთი შემთხვევა; ორზე მეტი საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის (Gegenvormundschaften) განხორციელება უთანაბრდება მეურვის მოვალეობათა განხორციელებას.

(2) უარის თქმის უფლება უქმდება, თუ მის თაობაზე განცხადება მეურვის დანიშვნამდე არ წარედგინება საოჯახო საქმეთა სასამართლოს.

§ 1787. უსაფუძვლოდ უარის თქმის შედეგები

(1) პირი, ვინც უსაფუძვლოდ უარს აცხადებს მეურვეობის კისრებაზე, ბრალეულად მოქმედების შემთხვევაში პასუხისმგებელია იმ ზიანისათვის, რომელიც მიეყენება სამეურვეო პირს მეურვის დანიშვნის დაყოვნების შედეგად.

(2) თუ საოჯახო საქმეთა სასამართლო მეურვეობის კისრებაზე უარს უსაფუძვლოდ მიიჩნევს, მაშინ გასაჩივრების უფლების შეზღუდვის გარეშე საოჯახო საქმეთა სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე უარის განცხადებელმა დროებით უნდა იკისროს მეურვეობა.

§ 1788. ჯარიმა
(1) საოჯახო საქმეთა სასამართლოს ჯარმის დაკისრებით შეუძლია მეურვედ შერჩეული პირი აიძულოს, იკისროს მეურვეობა.
(2) ჯარიმის დაკისრება დაიშვება მხოლოდ არანაკლებ ერთკვირიანი შუალედების დაცვით.

§ 1789. მეურვედ დანიშვნა საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ
მეურვე ინიშნება საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ მეურვეობის კეთილსინდისიერად და შეგნებულად გაძღოლის ვალდებულების კისრებით. ვალდებულების კისრება უნდა განხორციელდეს ხელის ჩამორთმევით ფიცის ტოლფასი განცხადების მეშვეობით.

§ 1790. მეურვედ დანიშვნა პირობის დათქმით
მეურვის დანიშვნისას შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პირობა, რომ მეურვე გათავისუფლდება დაკისრებული მოვალეობისაგან განსაზღვრული მოვლენის დადგომის ან დაუდგომლობის შემთხვევაში.

§ 1791. დანიშვნის დოკუმენტი (Bestallungsurkunde)
(1) მეურვე იღებს დანიშვნის დოკუმენტს.
(2) დანიშვნის დოკუმენტი უნდა შეიცავდეს სამეურვეო პირის გვარსა და დაბადების თარიღს, მეურვის, საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვისა და თანამეურვეების გვარებს, ხოლო მეურვეობის მოვალეობის დაყოფის შემთხვევაში კი, – ასევე მისი დაყოფის წესი.

§ 1791ა. კავშირის მიერ განხორციელებული მეურვეობა (Vereinsvormundschaft)
(1) უფლებაუნარიანობის მქონე კავშირი შეიძლება დაინიშნოს მეურვედ, თუ იგი ლანდის ახალგაზრდობის საქმეთა უწყების მიერ მიიჩნევა ამისათვის მისაღებად. კავშირი შეიძლება დაინიშნოს მეურვედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის მისაღები პირი, რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივ საწყისებზე ერთპიროვნულად განახორციელოს მეურვის მოვალეობები ან თუ კავშირი დასახელებულ იქნა მეურვედ §1776 თანახმად; მეურვედ დანიშვნისათვის საჭიროა კავშირის თანხმობა.
(2) მეურვედ დანიშვნა ხორციელდება საოჯახო საქმეთა სასამართლოს განჩინებით; §§1789, 1791 არ გამოიყენება.
(3) კავშირი მეურვეობის განხორციელებისათვის მიმართავს თავის ცალკეულ წევრებსა თუ თანამშრომლებს; იმ პირს, ვინც კავშირის თავშესაფარში აღმზრდელის სახით ზრუნავს სამეურვეო პირზე, არ შეუძლია მეურვის მოვალეობების განხორციელება. წევრებისა თუ თანამშრომლების ბრალისათვის კავშირი სამეურვეო პირის წინაშე პასუხისმგებელია ისე, როგორც კავშირის წესდების შესაბამისად დასახელებული მეურვის ბრალისათვის.
(4) თუ საოჯახო საქმეთა სასამართლოს სურს კავშირთან ერთად დანიშნოს თანამეურვე ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე, მაშინ მან გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მოუსმინოს კავშირს.

§ 1791ბ. ახალგაზრდობის საქმეთა უწყების თანამდებობრივი მეურვეობა დანიშვნით
(1) თუ სახეზე არ არის მისაღები პირი, რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივ საწყისებზე ერთპიროვნულად განახორციელოს მეურვის მოვალეობები, მაშინ მეურვედ

შეიძლება დაინიშნოს ასევე ახალგაზრდობის საქმეთა უწყებაც. ახალგაზრდობის საქმეთა უწყება სამეურვეო პირის მშობლებლის მიერ არ შეიძლება მეურვის კანდიდატად არც დასახელდეს და არც გამოირიცხოს.
(2) მეურვედ დანიშვნა ხორციელდება საოჯახო საქმეთა სასამართლოს განჩინებით; §§1789, 1791 არ გამოიყენება.

§ 1791გ. ახალგაზრდობის საქმეთა უწყების თანამდებობრივი მეურვეობა კანონის ძალით
(1) იმ ბავშვის დაბადების მომენტიდან, რომლის მშობლებიც არ იმყოფებიან ერთმანეთთან ქორწინებაში და რომელსაც ესაჭიროება მეურვე, ბავშვის მეურვე ხდება ახალგაზრდობის საქმეთა უწყება, თუ მისი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი განთავსებულია წინამდებარე კანონის მოქმედების ტერიტორიაზე; ეს წესი არ მოქმედებს, თუ მეურვე დაინიშნა ჯერ კიდევ ბავშვის დაბადებამდე. თუ §1592 №№1 ან 2-ის თანახმად დადგენილი მამობა შეცილების შედეგად გაუქმდა და ბავშვს ესაჭიროება მეურვე, მაშინ ახალგაზრდობის საქმეთა უწყება ხდება მეურვე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.
(2) თუ ახალგაზრდობის საქმეთა უწყება იმ ბავშვის მზრუნველი იყო, რომლის მშობლებიც არ იმყოფებიან ერთმანეთთან ქორწინებაში, ხოლო სპეციალური მზრუნველობა წყდება კანონის ძალით და ბავშვს ესაჭიროება მეურვე, მაშინ მეურვე ხდება ის ახალგაზრდობის საქმეთა უწყება, რომელიც თავდაპირველად იყო მზრუნველი.
(3) საოჯახო საქმეთა სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს ახალგაზრდობის საქმეთა უწყებას ცნობა მეურვეობის დადგენის შესახებ; §1791 არ გამოიყენება.

§ 1792. საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე
(1) მეურვესთან ერთად შეიძლება დაინიშნოს საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე. თუ მეურვეა ახალგაზრდობის საქმეთა უწყება, მაშინ საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე შეიძლება არ დაინიშნოს; ახალგაზრდობის საქმეთა უწყება შეიძლება იყოს საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე.
(2) საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე უნდა დაინიშნოს, თუ მეურვეობის განხორციელებასთან დაკავშირებულია ქონების მართვა გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მართვას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ან მეურვეობა უნდა განხორციელდეს რამდენიმე მეურვის მიერ ერთობლივად.
(3) თუ მეურვეობა არ უნდა განხორციელდეს ერთობლივად რამდენიმე მეურვის მიერ, მაშინ ერთი მეურვე შეიძლება დაინიშნოს მეორე მეურვის საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელ მეურვედ.
(4) საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის დასახელებისა და დანიშვნის მიმართ გამოიყენება მეურვეობის მიმართ მოქმედი ნორმები.

ქვეკარი 2. მეურვეობის განხორციელება

§ 1793. მეურვის მოვალეობები, სამეურვეო პირის პასუხისმგებლობა
(1) მეურვეს აქვს უფლება და ეკისრება მოვალეობა, იზრუნოს სამეურვეო პირის პიროვნებასა და ქონებაზე, მათ შორის, განახორციელოს სამეურვეო პირის წარმო-

მადგენლობა. შესაბამისად მოქმედებს §1626 მე-2 ნაწილი. თუ სამეურვეო პირი ხანგრძლივი ვადით მიღებულია მშვილებლის ოჯახში, მაშინ შესაბამისად მოქმედებს ასევე §§1618ა, 1619, 1664.
(2) იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც სამეურვეო პირს 1-ლი ნაწილის თანახმად წარმოიშობა მეურვის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში, სამეურვეო პირი პასუხს აგებს §1629ა შესაბამისად.

§ 1794. მეურვეობის შეზღუდვა სპეციალური მზრუნველობის შედეგად
სამეურვეო პირის პიროვნებასა და ქონებაზე ზრუნვაზე მეურვის უფლება და მოვალეობა არ ვრცელდება სამეურვეო პირის იმ საქმეებზე, რომელთათვისაც დანიშნულია მზრუნველი.

§ 1795. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამორიცხვა
(1) მეურვეს არ შეუძლია სამეურვეო პირის წარმომადგენლობა:
1. ერთი მხრივ, თავის მეუღლესთან, თანაცხოვრების პარტნიორთან ან თავის პირდაპირი ხაზით ნათესავთან და, მეორე მხრივ, სამეურვეო პირს შორის გარიგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგება მდგომარეობს მხოლოდ ვალდებულების შესრულებაში,
2. იმ გარიგებაში, რომლის საგანია გირავნობით, იპოთეკით, საზღვაო ხომალდზე დადგენილი იპოთეკით ან თავდებობით უზრუნველყოფილი მეურვის მიმართ სამეურვეო პირის კუთვნილი მოთხოვნა ან ამ უზრუნველყოფის გაუქმება ან შემცირება ანდა რომელიც ადგენს სამეურვეო პირის ვალდებულებას, განახორციელოს ასეთი გადაცემა, უფლებრივი დატვირთვა ან შემცირება,
3. №1-ში მითითებულ პირებს შორის სასამართლო დავაში, ისევე როგორც №2-ში მითითებული სახის საქმეებზე სასამართლო დავაში.

(2) §181 ნორმა უცვლელი რჩება.

§ 1796. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ჩამორთმევა
(1) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია ცალკეულ საკითხებში ან ცალკეულ საკითხთა წრეში ჩამოართვას მეურვეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.
(2) უფლებამოსილების ჩამორთმევა უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამეურვეო პირის ინტერესები არსებითად ეწინააღმდეგება მეურვის, ერთ-ერთი წარმოდგენილი მესამე პირის ან §1795 №1-ში მითითებული ერთ-ერთი პირის ინტერესებს.

§ 1797. რამდენიმე მეურვე
(1) რამდენიმე მეურვე მეურვეობას ახორციელებს ერთობლივად. აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს საოჯახო საქმეთა სასამართლო, თუ მეურვეთა დანიშვნისას სხვა რაიმე არ არის დადგენილი.
(2) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია რამდენიმე მეურვეს შორის მეურვეობის მოვალეობები გაანაწილოს განსაზღვრული მოქმედების სფეროების მიხედვით.
(3) საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა შეასრულოს ის შეთანხმებები, რომლებიც მამამ ან დედამ დადეს მათ მიერ დასახელებულ მეურვეთა შორის აზრთა სხვადასხვაობის მოგვარებისა და §1777 თანახმად მათ შორის საქმეთა განაწილების მიზნით, თუ აღნიშნული შეთანხმებების შესრულება სამეურვეო პირის ინტერესებს საფრთხეს არ შეუქმნიდა.

§ 1798. აზრთა სხვადასხვაობა

თუ სამეურვეო პირის პიროვნებასა და ქონებაზე ზრუნვა ეკისრებათ სხვადასხვა მეურვეებს, მაშინ როგორც სამეურვეო პირის პიროვნებასთან, ისე მის ქონებასთან დაკავშირებული მოქმედებების შესახებ გადაწვეტილებებს იღებს საოჯახო საქმეთა სასამართლო.

§ 1799. საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის მოვალეობები და უფლებები

(1) საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელმა მეურვემ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მეურვემ მეურვეობა სათანადოდ განახორციელოს. მან საოჯახო საქმეთა სასამართლოს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეურვის მიერ მოვალეობების დარღვევის შესახებ, ისევე როგორც ნებისმიერი ისეთი შემთხვევის თაობაზე, რომლებშიც საოჯახო საქმეთა სასამართლო უნდა ჩაერიოს, კერძოდ, მეურვის გარდაცვალება ან სხვა ისეთი მოვლენის დადგომა, რომლის შედეგადაც მეურვის მოვალეობის განხორციელება წყდება ანდა აუცილებელი ხდება მეურვის დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება.

(2) მოთხოვნის საფუძველზე მეურვემ საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელ მეურვეს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მეურვის მოვალეობის განხორციელების შესახებ და მისცეს შესაძლებლობა, გაეცნოს მეურვეობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

§ 1800. პირზე ზრუნვის ფარგლები

სამეურვეო პირის ზრუნვაზე მეურვის უფლება და მოვალეობა განისაზღვრება §§1631-1633 თანახმად.

§ 1801. რელიგიური აღზრდა

(1) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია ერთპიროვნული მეურვეობის განმახორციელებელ მეურვეს ჩამოართვას სამეურვეო პირის რელიგიურ აღზრდაზე ზრუნვის უფლება, თუ მეურვე არ მიეკუთვნება იმ სარწმუნოებას, რომლითაც უნდა აღიზარდოს სამეურვეო პირი.

(2) თუ ახალგაზრდობის საქმეთა უწყებამ ან კავშირმა როგორც მეურვემ უნდა მიიღონ გადწყვეტილება ბავშვის სამკურნალო დაწესებულებაში განთავსების შესახებ, მაშინ ამ დროს მხედველობაშია მისაღები სამეურვეო პირის ან მისი ოჯახის სარწმუნოება ან მსოფლმხედველობა.

§ 1802. ქონების აღწერა

(1) მეურვემ უნდა შეადგინოს იმ ქონების ჩამონათვალი, რომელიც სახეზეა მეურვეობის დადგენისას ან სამეურვეო პირს მოგვიანებით გადაეცემა, და იმის შემდეგ, რაც ჩამონათვალს დაერთვება დასტური მისი სისწორისა და სისრულის გარანტიის შესახებ, წარუდგინოს იგი საოჯახო საქმეთა სასამართლოს. თუ არსებობს საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე, მაშინ მეურვემ უნდა ჩართოს იგი ჩამონათვალის შედგენისას; ჩამონათვალს უნდა დაერთოს დასტური მისი სისწორისა და სისრულის გარანტიის შესახებ ასევე საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის მხრიდანაც.

(2) ჩამონათვალის შედგენისას მეურვეს შეუძლია ისარგებლოს თანამდებობის პირის, ნოტარიუსის ან სხვა ექსპერტის დახმარებით.

(3) თუ წარმოდგენილი ჩამონათვალი არ არის დამაკმაყოფილებელი, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ჩამონათვალი გაკეთდეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის ანდა ნოტარიუსის მიერ.

§ 1803. ქონების მართვა მემკვიდრეობის მიღებისა თუ ჩუქების შემთხვევაში

(1) ის ქონება, რომელსაც სამეურვეო პირი იძენს რომელიმე პირის გარდაცვალების შემთხვევაში ან მესამე პირისაგან უსასყიდლოდ იღებს ცოცხალ პირთა შორის დადებული გარიგებით, მეურვემ უნდა მართოს მამკვიდრებლისა თუ მესამე პირის მითითებების მიხედვით, თუ მითითებები მამკვიდრებლის მიერ მიცემულია საანდერძო განკარგულებაში, ხოლო მესამე პირის მიერ კი – ქონების გადაცემისას.

(2) მეურვეს საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით შეუძლია გადაუხვიოს მითითებებს, თუ მათი შესრულება საფრთხეს შეუქმნიდა სამეურვეო პირის ინტერესებს.

(3) იმ მითითებებისაგან გადახვევისათვის, რომლებსაც იძლევა მესამე პირი ცოცხალ პირთა შორის დადებული გარიგებით ქონების გადაცემისას, ამ უკანასკნელის სიცოცხლის მანძილზე საჭიროა და საკმარისია მისი თანხმობა. მესამე პირის თანხმობა შეიძლება შეიცვალოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ მესამე პირი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უუნაროა, გააკეთოს შესაბამისი განცხადება ან მისი ადგილსამყოფელი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უცნობია.

§ 1804. მეურვის მიერ განხორციელებული ნაჩუქრობები

მეურვეს სამეურვეო პირის წარმომადგენლობისას არ შეუძლია ჩუქების განხორციელება. გამონაკლისს წარმოადგენს ნაჩუქრობები, რომლებიც შეესაბამება მორალურ ვალდებულებას ან გაკეთდა ზრდილობისათვის.

§ 1805. სამეურვეო პირის ქონების გამოყენება მეურვის სასარგებლოდ

მეურვეს არ შეუძლია სამეურვეო პირის ქონების გამოყენება როგორც თავისთვის, ისე საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის სასარგებლოდ. თუ მეურვე ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე ახალგაზრდობის საქმეთა უწყებაა, მაშინ სამეურვეო პირის კაპიტალის განთავსება §1807 თანახმად დასაშვებია ასევე იმ კორპორაციაში, რომელშიც არის შექმნილი ახალგაზრდობის საქმეთა უწყება.

§ 1806. სამეურვეო პირის კაპიტალის განთავსება

მეურვემ უნდა განათავსოს სამეურვეო პირის ქონებაში შემავალი ფულადი თანხები პროცენტის დარიცხვის პირობით, რამდენადაც ისინი არ უნდა იყოს მობილიზირებული სასწრაფო ხარჯების დასაფარავად.

§ 1807. კაპიტალის განთავსების წესი

(1) §1806 თანახმად სამეურვეო პირის კაპიტალი უნდა განთავსდეს მხოლოდ:

1. იმ მოთხოვნებში, რომელთა საუზრუნველყოფოდაც არსებობს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე დადგენილი საიმედო იპოთეკა ან საიმედო მიწის ვალები ან ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე დადგენილი სარენტო ვალები;

2. ფედერაციის ან ლანდის მიმართ არსებულ დოკუმენტალურად დადასტურებულ მოთხოვნებში, ისევე როგორც იმ მოთხოვნებში, რომლებიც რეგისტრირებულია ვალების ფედერალურ რეესტრში ან ლანდის ვალების რეესტრში;
3. დოკუმენტალურად დადასტურებულ მოთხოვნებში, რომელთა მიხედვითაც პროცენტების გადახდა გარანტირებულია ფედერაციის ან ლანდის მიერ;
4. ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, გირავნობის სერტიფიკატებში, ისევე როგორც ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კომუნალური კორპორაციისა თუ ასეთი კორპორაციის საკრედიტო დაწესებულების მიმართ ნებისმიერი სახის დოკუმენტალურად დადასტურებულ მოთხოვნებში, თუ ფასიანი ქაღალდები ან მოთხოვნები ფედერალური მთავრობის მიერ ფედერაციის საბჭოს თანხმობით გამოცხადებულია სამეურვეო პირის კაპიტალის განთავსებისათვის ვარგისად;
5. ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებულ საჯარო შემნახველ სალაროებში, თუ ისინი გამოცხადებულია სამეურვეო პირის კაპიტალის განთავსებისათვის ვარგისად იმ ლანდის კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომლის ტერიტორიაზეც არსებობს შემნახველი სალაროები, ან სხვა საკრედიტო დაწესებულებაში, რომელიც წარმოადგენს საკმარისად სანდო დაწესებულებას თანხის განსათავსებლად.

(2) ლანდის კანონებს შეუძლია მათი მოქმედების ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების მიმართ იმ პრინციპების განსაზღვრა, რომელთა მიხედვითაც უნდა დადგინდეს იპოთეკის, მიწის ვალისა თუ სარენტო ვალის საიმედოობა.

§ 1808. *(გაუქმებულია)*

§ 1809. კაპიტალის განთავსება ბლოკირების აღნიშვნით (Sperrvermerk)

მეურვემ სამეურვეო პირის კაპიტალი უნდა განათავსოს §1807 1-ლი ნაწილის №5-ის თანახმად მხოლოდ იმ პირობით, რომ ანგარიშიდან თანხის გატანისათვის აუცილებელი იყოს საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის ან საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა.

§ 1810. ხელშეწყობა საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის ან საოჯახო საქმეთა სასამართლოს მხრიდან

მეურვემ §§1806, 1807 თანახმად სამეურვეო პირის კაპიტალი უნდა განათავსოს მხოლოდ საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის თანხმობით; საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის თანხმობა იცვლება საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილებით. თუ საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე სახეზე არ არის, მაშინ სამეურვეო პირის კაპიტალის განთავსება უნდა განხორციელდეს მხოლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით, თუ მეურვეობა რამდენიმე მეურვის მიერ ერთობლივად არ ხორციელდება.

§ 1811. კაპიტალის სხვაგვარი განთავსება

საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დართოს ნება მეურვეს, განახორციელოს კაპიტალის სხვაგვარი განთავსება, ვიდრე ეს გათვალისწინებულია §1807. ნებართვის მიცემაზე უარი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალის განთავსების განზრახული ფორმა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე დაარღვევდა ქონების სათანადო მართვის პრინციპებს.

§ 1812. მოთხოვნებისა და ფასიანი ქაღალდების განკარგვა

(1) მეურვეს შეუძლია განკარგოს მოთხოვნები ან სხვა უფლებები, რომელთა ძალითაც სამეურვეო პირს შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შესრულება, ისევე როგორც სამეურვეო პირის ფასიანი ქაღალდები მხოლოდ საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის თანხმობით, თუ §§1819-1822 თანახმად აუცილებელი არ არის საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა.

(2) საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის თანხმობა იცვლება საოჯახო საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

(3) თუ საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე სახეზე არ არის, მაშინ ამ უკანასკნელის თანხმობის ადგილს იკავებს საოჯახო საქმეთა სასამართლოს მოწონება, თუ მეურვეობა რამდენიმე მეურვის მიერ ერთობლივად არ ხორციელდება.

§ 1813. საქმეები, რომლებიც არ საჭიროებს თანხმობას

(1) მეურვეს არ ესაჭიროება საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის თანხმობა ვალდებულების შესრულების კისრებისათვის:

1. თუ ვალდებულების შესრულების საგანს არ წარმოადგენს ფული ან ფასიანი ქაღალდები,
2. თუ მოთხოვნის უფლების ოდენობა არ აღემატება 3000 ევროს,
3. თუ მოთხოვნის უფლების საგანს წარმოადგენს ანგარიშსწორების ან კონტოკორენტულ ანგარიშზე არსებული დადებითი სალდო ან ხდება მეურვის მიერ განთავსებული ფულადი თანხების დაბრუნება,
4. თუ მოთხოვნის უფლება მიეკუთვნება სამეურვეო პირის ქონების სარგებელს,
5. თუ მოთხოვნის უფლება მიმართულია ხელშეკრულების შეწყვეტისა თუ სასამართლოში საქმის წარმოებისათვის აუცილებელი ხარჯების ან სხვა დამატებითი ვალდებულებების ანაზღაურებისაკენ.

(2) 1-ლი ნაწილის №№2, 3-ის თანახმად თანხმობის მიღების აუცილებლობისაგან გათავისუფლება არ ვრცელდება ანგარიშიდან იმ ფულადი თანხების გატანაზე, რომელთა განთავსებისას დადგენილ იქნა სხვა წესი. 1-ლი ნაწილის №3-ის თანახმად თანხმობის მიღების აუცილებლობისაგან გათავისუფლება არ მოქმედებს ასევე იმ ფულადი თანხების გატანის მიმართაც, რომლებიც განთავსებულ იქნა §1807 1-ლი ნაწილის №№1-4-ის თანახმად.

§ 1814. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების დეპონირება

მეურვემ სამეურვეო პირის ქონებას მიკუთვნებული საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდები განახლებულ კუპონთან ერთად უნდა შეინახოს შემნახველ დაწესებულებაში ან §1807 1-ლი ნაწილის №5-ში დასახელებული საკრედიტო დაწესებულებაში იმ პირობით, რომ ფასიანი ქაღალდების უკან დაბრუნება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით. აუცილებელი არ არის შესანახად გადაცემა იმ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც §92 თანახმად მიეკუთვნება მოხმარებად ნივთებს, ისევე როგორც – პროცენტული, სარენტო ან დივიდენდების კუპონებისა. საწარმდგენლო ფასიან ქაღალდებს უთანაბრდება საორდერო და საბლანკო ინდოსირებადი ფასიანი ქაღალდები.

§ 1815. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების ხელახალი რეგისტრაცია და შეცვლა

(1) ნაცვლად §1814 მიხედვით დეპონირებისა, მეურვეს შეუძლია განახორციელოს საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების სამეურვეო პირის სახელზე ხელახალი რეგისტრაცია იმ პირობით, რომ მას შეეძლოს მათი განკარგვა მხოლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით. თუ ფასიანი ქაღალდები გამოშვებულია ფედერაციის ან ლანდის მიერ, მაშინ მას ანალოგიური პირობით შეუძლია მათი შეცვლა ფედერაციის ან ლანდის მიმართ არსებული სავალო რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნებით.

(2) თუ შესანახად გადაეცემა ისეთი საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს ფედერაციის ან ლანდის მიმართ არსებული სავალო რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნებით, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ასეთი ფასიანი ქაღალდები 1-ლი ნაწილის თანახმად შეიცვალოს სავალო რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნებით.

§ 1816. რეგისტრირებული მოთხოვნების ბლოკირება

თუ მეურვეობის დადგენისას ფედერაციის ან ლანდის მიმართ არსებული სავალო რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნები მიეკუთვნება სამეურვეო პირის ქონებას ან სამეურვეო პირი აღნიშნულ მოთხოვნებს იძენს მოგვიანებით, მაშინ მეურვემ სავალო რეესტრში უნდა გააკეთოს აღნიშვნა იმის შესახებ, რომ მას შეუძლია მოთხოვნების განკარგვა მხოლოდ საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობით.

§ 1817. თანხმობის მიღების აუცილებლობისაგან გათავისუფლება

(1) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მეურვის განცხადების საფუძველზე გაათავისუფლოს ეს უკანასკნელი §§1806-1816 თანახმად მასზე დაკისრებული ვალდებულებებისაგან, თუ

1. აღნიშნული გამართლებულია ქონების მართვის მოცულობის გამო და
2. ქონებას არ ემუქრება საფრთხე.

№1-ით გათვალისწინებული წინაპირობები, როგორც წესი, სახეზეა იმ შემთხვევაში, თუ ქონების ღირებულება მიწათმფლობელობის ჩაუთვლელად არ აღემატება 6000 ევროს.

(2) განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია §§1806-1816 თანახმად გაათავისუფლოს მეურვე მასზე დაკისრებული ვალდებულებებისაგან ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ №1-ით გათვალისწინებული წინაპირობები სახეზე არ არის.

§ 1818. შესანახად გადაცემის შესახებ დადგენილება

განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ მეურვემ §1814 გათვალისწინებული წესით შესანახად გადასცეს ასევე სამეურვეო პირის ქონებას მიკუთვნებული ის ფასიანი ქაღალდები, რომელთა შენახვაც მას §1814 თანახმად არ ევალება და ასევე – სამეურვეო პირის ძვირფასეულობა; მეურვის განცხადების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს პროცენტული, სარენტო ან დივიდენდების კუპონების შესანახად გადაცემა ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ განსაკუთრებული საფუძველი სახეზე არ არის.

§ 1819. თანხმობა შესანახად გადაცემის შემთხვევაში

მანამდე, სანამ §1814 ან §1818 თანახმად შესანახად გადაცემული ფასიანი ქაღალდები ან ძვირფასეულობა არ იქნა უკან მიღებული, მეურვეს ესაჭიროება საოჯახო

საქმეთა სასამართლოს თანხმობა მათი განკარგვისათვის, ხოლო თუ შესანახად გადაცემულია იპოთეკის, მიწის ვალისა თუ სარენტო ვალის სერტიფიკატები, – ასევე იპოთეკური მოთხოვნების, მიწის ვალებისა თუ სარენტო ვალის განკარგვისათვის. ანალოგიური წესი მოქმედებს ასეთი განკარგვის განხორციელების ვალდებულების კისრებისათვის.

§ 1820. თანხმობა ფასიანი ქაღალდების ხელახალი რეგისტრაციისა და შეცვლის შემდეგ

(1) თუ §1815 თანახმად საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდები ხელახალა იქნა რეგისტრირებული სამეურვეო პირის სახელზე ან შეიცვალა სავალო რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნებით, მაშინ მეურვეს ესაჭიროება საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა ასევე იმ ძირითადი მოთხოვნების განკარგვის განხორციელების ვალდებულების კისრებისათვის, რომლებიც გამომდინარეობს ფასიანი ქაღალდების ხელახალი რეგისტრაციიდან და შეცვლიდან.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ სამეურვეო პირის კუთვნილი სავალო რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნების შემთხვევაში რეგისტრირებულია §1816 მითითებული აღნიშვნა.

§ 1821. თანხმობა მიწის ნაკვეთებთან, საზღვაო ხომალდებთან ან მშენებარე საზღვაო ხომალდებთან დაკავშირებული გარიგებების დასადებად

(1) მეურვეს ესაჭიროება საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა:

1. მიწის ნაკვეთის ან მიწის ნაკვეთზე არსებული უფლების განკარგვისათვის;
2. იმ მოთხოვნის განკარგვისათვის, რომელიც მიმართულია მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების გადაცემისაკენ ან მიწის ნაკვეთზე უფლების დადგენისა თუ გადაცემისაკენ ანდა მიწის ნაკვეთის ასეთი უფლებისაგან გათავისუფლებისაკენ;
3. რეგისტრირებული საზღვაო ხომალდის ან მშენებარე საზღვაო ხომალდის ან იმ მოთხოვნის განკარგვისათვის, რომელიც მიმართულია რეგისტრირებულ საზღვაო ხომალდზე ან მშენებარე საზღვაო ხომალდზე საკუთრების უფლების გადაცემისაკენ;
4. №№ 1-3-ში მითითებული ერთ-ერთი განკარგვის განხორციელების ვალდებულების კისრებისათვის;
5. იმ ხელშეკრულების დადებისათვის, რომელიც მიმართულია მიწის ნაკვეთის, რეგისტრირებული საზღვაო ხომალდის ან მშენებარე საზღვაო ხომალდის ანდა მიწის ნაკვეთზე უფლების სასყიდლიანი შეძენისაკენ.

(2) აღნიშნული ნორმების გაგებით მიწის ნაკვეთზე უფლებებს არ მიეკუთვნება იპოთეკები, მიწის ვალები და სარენტო ვალები.

§ 1822. თანხმობა სხვა გარიგებების დასადებად

მეურვეს ესაჭიროება საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა:

1. იმ გარიგების დადებისათვის, რომლითაც სამეურვეო პირი ვალდებულია, განკარგოს მთელი თავისი ქონება ან მის მიერ მისაღები სამკვიდრო ან სამკვიდროში თავისი მომავალი წილი ანდა მომავალი სავალდებულო წილი, ისევე როგორც სამკვიდროში სამეურვეო პირის წილის განკარგვისათვის,
2. სამკვიდროზე ან საანდერძო დანაკისრზე უარის თქმისათვის, სავალდებულო წილზე უარისა და სამკვიდროს გაყოფაზე ხელშეკრულების დადებისათვის,

3. იმ ხელშეკრულების დადებისათვის, რომელიც მიმართულია საწარმოს სასყიდლიანი შეძენისა თუ გასხვისებისაკენ, ისევე როგორც იმ ამხანაგობის ხელშეკრულებისათვის, რომელიც დადებულია სამეწარმეო საქმიანობის წარმართვისათვის,
4. მამულის ან საწარმოს იჯარის ხელშეკრულებისათვის,
5. იმ ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულებისათვის ან სხვა ხელშეკრულებისათვის, რომლითაც სამეურვეო პირი ვალდებულია, განახორციელოს პერიოდული გადახდები, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობა უნდა გაგრძელდეს ერთ წელზე მეტი ვადით სამეურვეო პირის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ,
6. ერთ წელზე მეტი ვადით დადებულ საწარმოში სწავლების ხელშეკრულებისათვის;
7. მომსახურებისა თუ შრომითი ურთიერთობის დადგენისაკენ მიმართული ხელშეკრულებისათვის, თუ სამეურვეო პირი პირადად მომსახურების გაწევაზე ვალდებული იქნება ერთ წელზე მეტი ვადით,
8. სამეურვეო პირის კრედიტის სანაცვლოდ ფულადი თანხების მიღებისათვის,
9. საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდის გაცემისათვის ან თამასუქიდან ან სხვა იმ ფასიანი ქაღალდიდან გამომდინარე ვალდებულების კისრებისათვის, რომელიც შეიძლება გადაეცეს ინდოსამენტით,
10. სხვა პირის ვალდებულების კისრებისათვის, მათ შორის, თავდებობის კისრებისათვის,
11. პროკურის გაცემისათვის,
12. მორიგების აქტისა თუ საარბიტრაჟო ხელშეკრულების დადებისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დავა შეიძლება შეფასდეს ფულადი სახით და მისი ღირებულება არ აღემატება 3000 ევროს ანდა მორიგების აქტი შეესაბამება წერილობით ან სასამართლოს სხდომის ოქმით დადასტურებულ მორიგების შეთავაზებას,
13. იმ გარიგების დადებისათვის, რომლითაც უქმდება ან მცირდება სამეურვეო პირის მოთხოვნისათვის დადგენილი უზრუნველყოფა ან რომლითაც წარმოიშობა უზრუნველყოფის გაუქმების ან შემცირების ვალდებულება.

§ 1823. თანხმობა სამეურვეო პირის სასარგებლოდ სამეწარმეო საქმიანობის წარმართვის შემთხვევაში

მეურვემ საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობის გარეშე სამეურვეო პირის სახელით არ უნდა დაიწყოს ახალი სამეწარმეო საქმიანობა ან შეწყვიტოს სამეურვეო პირის სასარგებლოდ უკვე არსებული სამეწარმეო საქმიანობა.

§ 1824. თანხმობა სამეურვეო პირისათვის საგნების სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში

მეურვეს არ შეუძლია სამეურვეო პირის მიერ დადებული ხელშეკრულების შესრულების მიზნით ან თავისუფალი განკარგვისათვის სამეურვეო პირს სარგებლობაში გადასცეს ის საგნები, რომელთა გასხვისებისათვის საჭიროა საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის ან საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა.

§ 1825. ზოგადი უფლებამოსილება

(1) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მეურვეს მისცეს ზოგადი უფლებამოსილება იმ გარიგებების დასადებად, რომლებისათვისაც §1812 თანახმად საჭიროა

საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის თანხმობა, ისევე როგორც §1822 №№8-10-ში მითითებული გარიგებების დასადებად.
(2) უფლებამოსილება უნდა გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აუცილებელია ქონების მართვის მიზნებისათვის, მათ შორის, სამეწარმეო საქმიანობის წარმართვისათვის.

§ 1826. თანხმობის მიცემამდე საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის მოსმენა
მეურვისათვის განსაზღვრული მოქმედების განხორციელებაზე თანხმობის მიღების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა მოუსმინოს საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელ მეურვეს, თუ ეს უკანასკნელი სახეზეა და მოსმენა მიზანშეწონილია.

§ 1827. *(გაუქმებულია)*

§ 1828. თანხმობის განცხადება
საოჯახო საქმეთა სასამართლოს გარიგების დადებაზე თანხმობა შეუძლია გამოაცხადოს მხოლოდ მეურვის წინაშე.

§ 1829. შემდგომი მოწონება
(1) თუ მეურვე ხელშეკრულებას დებს საოჯახო საქმეთა სასამართლოს აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების სამართლებრივი ძალა დამოკიდებულია საოჯახო საქმეთა სასამართლოს მხრიდან შემდგომ მოწონებაზე. მოწონება, ისევე როგორც მასზე უარი ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ ძალმოსილია მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც მის შესახებ ამ უკანასკნელს მეურვის მეშვეობით შეატყობინებენ.
(2) თუ ხელშეკრულების მეორე მხარე მეურვეს სთხოვს, რომ ამ უკანასკნელმა შეატყობინოს მას იმის შესახებ, მიცემულია თუ არა თანხმობა, მაშინ შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოთხოვნის მიღებიდან ოთხი კვირის გასვლამდე; თუ შეტყობინება არ კეთდება, მაშინ ითვლება, რომ მოწონებაზე ითქვა უარი.
(3) თუ სამეურვეო პირი ხდება სრულწლოვანი, მაშინ მისი თანხმობა ცვლის საოჯახო საქმეთა სასამართლოს მოწონებას.

§ 1830. კონტრაგენტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება
თუ მეურვე ხელშეკრულების მეორე მხარეს ცრუდ უმტკიცებდა საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობის არსებობის შესახებ, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შემდგომი მოწონების შესახებ შეტყობინების მიღებამდე ხელშეკრულების მეორე მხარე უფლებამოსილია, უარის თქვას ხელშეკრულებაზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების დადებისას მისთვის ცნობილი იყო თანხმობის არარსებობის შესახებ.

§ 1831. ცალმხრივი გარიგება თანხმობის გარეშე
ცალმხრივი გარიგება, რომელსაც მეურვე დებს საოჯახო საქმეთა სასამართლოს აუცილებელი თანხმობის გარეშე, სამართლებრივი ძალის არმქონეა. თუ აღნიშნული თანხმობის არსებობისას მეურვე დებს ასეთ გარიგებას სხვა პირის მიმართ, მაშინ გარიგება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ მეურვე არ წარადგენს თანხმობას,

ხოლო მეორე მხარე კი აღნიშნული საფუძვლით გარიგებაზე დაუყოვნებლივ განაცხადებს უარს.

§1832. საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის თანხმობა

რამდენადაც მეურვეს გარიგების დადებისათვის ესაჭიროება საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის თანხმობა, შესაბამისად გამოიყენება §§1828-1831 ნორმები; §1829 მე-2 ნაწილისაგან განსხვავებით, საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის თანხმობის შეტყობინების ვადა შეადგენს ორ კვირას.

§ 1833. მეურვის პასუხისმგებლობა

(1) მეურვე პასუხისმგებელია სამეურვეო პირის წინაშე მოვალეობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანისათვის, თუ იგი მოქმედებდა ბრალეულად. ანალოგიური წესი მოქმედებს საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის მიმართ.

(2) თუ ზიანისათვის ერთდროულად პასუხისმგებელია რამდენიმე პირი, მაშინ ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები. თუ მეურვესთან ერთად ამ უკანასკნელის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე ან თანამეურვე მხოლოდ მათზე დაკისრებული ზედამხედველობის მოვალეობის დარღვევის გამო, მაშინ მათ შორის ურთიერთობაში ვალდებულია მხოლოდ მეურვე.

§ 1834. პროცენტების გადახდის ვალდებულება

თუ მეურვე სამეურვეო პირის ფულად თანხებს გამოიყენებს თავისთვის, მაშინ მან უნდა იხადოს პროცენტები ფულადი თანხების გამოიყენების მომენტიდან.

§ 1835. ხარჯების ანაზღაურება

(1) თუ მეურვე მეურვეობის განხორციელების მიზნისათვის სწევს ხარჯებს, მაშინ დავალების მიმართ მოქმედი §§669 და 670 ნორმების თანახმად მას შეუძლია სამეურვეო პირს მოსთხოვოს ავანსის ან კომპენსაციის გადახდა; სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურების მიმართ შესაბამისად მოქმედებს “სასამართლო ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის შესახებ“ კანონის (Justizvergütungs- und -entschädigungsgesetz) §5 ექსპერტისათვის დადგენილი წესები. ანალოგიური უფლება აქვს საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელ მეურვეს. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებები უქმდება, თუ ისინი არ იქნა წარდგენილი სასამართლოში მათი წარმოშობიდან 15 თვის განმავლობაში; მოთხოვნის უფლების საოჯახო საქმეთა სასამართლოში წარდგენა ერთდროულად ითვლება ასევე მის წარდგენად სამეურვეო პირის მიმართ.

(1ა) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია 1-ლი ნაწილის მე-3 წინადადებისაგან განსხვავებით დაადგინოს, სულ ცოტა, ორთვიანი ვადა. ვადის დადგენაში უნდა მიეთითოს ვადის გაშვების შედეგები. განცხადების საფუძველზე საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ ვადა შეიძლება გაგრძელდეს. მოთხოვნის უფლება უქმდება, რამდენადაც ვადის განმავლობაში იგი ვერ იქნება გამოხატული ციფრებში.

(2) ხარჯები მოიცავს ასევე იმ ზიანის დადგომისათვის დაზღვევის დანახარჯებს, რომლებიც შეიძლება მეურვემ ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმა-

ხორციელებელმა მეურვემ მიაყენონ სამეურვეო პირს ანდა ის ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეთ მეურვეს ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვეს იმის შედეგად, რომ ისინი ვალდებულნი არიან, აუნაზღაურონ ზიანი მესამე პირს მეურვეობის განხორციელების შედეგად მიყენებული ზიანისათვის; ეს წესი არ მოქმედებს ავტომობილის მფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევის ხარჯების მიმართ. 1-ლი წინადადება არ გამოიყენება, თუ მეურვე ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე იღებენ საზღაურს §1836 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადებისა და "მეურვეებისა და მზრუნველებისათვის საზღაურის გადახდის შესახებ" კანონის (Vormünder- und Betreuervergütungsgesetz) თანახმად.

(3) ხარჯებად ჩაითვლება ასევე მეურვის ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის მიერ გაწეული ისეთი მომსახურება, რომელიც მიეკუთვნება მის სამეწარმეო ან პროფესიულ საქმიანობას.

(4) თუ სამეურვეო პირს არა აქვს საკმარისი სახსრები, მაშინ მეურვეს შეუძლია ავანსის ან კომპენსაციის გადახდა მოითხოვოს სახელმწიფო ხაზინიდან. შესაბამისად მოქმედებს 1-ლი ნაწილის მე-3 წინადადება და 1ა ნაწილი.

(5) მეურვის ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის სახით მოქმედ ახალგაზრდობის საქმეთა უწყებას ან კავშირს არ შეუძლიათ ხარჯებისათვის ავანსის მოთხოვნა, ხოლო კომპენსაციის გადახდის მოთხოვნა შეუძლიათ მხოლოდ იმ ოდენობით, რომლითაც სამეურვეო პირის შემოსავალი და ქონება ამისათვის საკმარისია. ზოგადი მართვის ხარჯები მე-2 ნაწილში მითითებული ხარჯების ჩათვლით არ ანაზღაურდება.

§ 1835ა. საზღაური დახარჯული დროისათვის (Aufwandsentschädigung)

(1) ხარჯების ანაზღაურებაზე კუთვნილი მოთხოვნის უფლების ანაზღაურებისათვის მეურვეს დახარჯული დროისათვის საზღაურის სახით იმ თითოეული მეურვეობის განხორციელებისათვის, რომლისთვისაც მას საზღაური არ ეკუთვნის, შეუძლია მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია, რომელიც ერთი წლის გაანგარიშებით შეესაბამება იმ თანხის ცხრამეტმაგ ოდენობას, რომელიც შეიძლება მიეცეს მოწმეს გაცდენილი სამუშაო დროის ("მეურვეებისა და მზრუნველებისათვის საზღაურის გადახდის შესახებ" კანონის §22) ერთი საათის საზღაურის მაქსიმალური ოდენობის სახით (საზღაური დახარჯული დროისათვის). თუ მეურვემ უკვე მიიღო აღნიშნული ხარჯებისათვის ავანსი ან კომპენსაცია, მაშინ დახარჯული დროისათვის საზღაური შესაბამისად მცირდება.

(2) დახარჯული დროისათვის საზღაური გადახდილ უნდა იქნეს ყოველწლიურად; პირველი გადახდა უნდა განხორციელდეს მეურვეობის დადგენიდან ერთი წლის შემდეგ.

(3) თუ სამეურვეო პირს არა აქვს საკმარისი სახსრები, მაშინ მეურვეს შეუძლია დახარჯული დროისათვის საზღაურის გადახდა მოითხოვოს სახელმწიფო ხაზინიდან; §1836გ №1-ის თანახმად შემოსავლების განსაზღვრისას მეურვის მიმართ სამეურვეო პირის რჩენის მოთხოვნის უფლებები მხედველობაში არ მიიღება.

(4) დახარჯული დროისათვის საზღაურის მოთხოვნის უფლება უქმდება, თუ იგი არ წარედგინება სამი თვის განმავლობაში იმ წლის გასვლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც წარმოიშვა მოთხოვნის უფლება; მოთხოვნის უფლების საოჯახო საქმეთა სასამართლოში წარდგენა ერთდროულად ითვლება ასევე მის წარდგენად სამეურვეო პირის მიმართ.

(5) დახარჯული დროისათვის საზღაური არ შეიძლება მიეცეს ახალგაზრდობის საქმეთა უწყებას ან კავშირს.

§ 1836. მეურვისათვის საზღაურის გადახდა

(1) მეურვეობა ხორციელდება უსასყიდლოდ. გამონაკლისის სახით იგი შეიძლება განხორციელდეს სასყიდლით, თუ სასამართლო მეურვის დანიშვნისას ადგენს, რომ ეს უკანასკნელი მეურვეობას ახორციელებს პროფესიულ საწყისებზე. დეტალური საკითხები წესრიგდება "მეურვეებისა და მზრუნველებისათვის საზღაურის გადახდის შესახებ" კანონით.

(2) თუ სასამართლო არ იღებს დადგენილებას 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, მაშინ მას შეუძლია მეურვეს – ხოლო განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას კი, ასევე საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელ მეურვეს – მისცეს სათანადო საზღაური იმდენად, რამდენადაც ეს გამართლებულია სამეურვეო საქმეების მოცულობისა თუ სირთულეების გათვალისწინებით; აღნიშნული წესი არ მოქმედებს, თუ სამეურვეო პირს არა აქვს საკმარისი სახსრები.

(3) საზღაური არ შეიძლება მიეცეს ახალგაზრდობის საქმეთა უწყებას ან კავშირს.

§§ 1836ა და 1836ბ. *(გაუქმებულია)*

§ 1836გ. გამოყენებას დაქვემდებარებული სამეურვეო პირის სახსრები

სამეურვეო პირმა უნდა გამოიყენოს

1. თავისი შემოსავალი სოციალური დახმარების კოდექსის მეთორმეტე წიგნის §87 თანახმად იმ ოდენობით, რომლითაც მის იმ მეუღლის ან თანაცხოვრების პარტნიორის შემოსავალთან ერთად, რომლებიც მისგან განცალკევებულად არ ცხოვრობენ, იგი სოციალური დახმარების კოდექსის მეთორმეტე წიგნის §§82, 85 1-ლი ნაწილისა და §86 თანახმად აღემატება შემოსავლის ზღვარს, რომელიც დადგენილია სოციალური დახმარების კოდექსის მეთორმეტე წიგნის V-IX თავებით გათვალისწინებული დახმარებისათვის. თუ ცალკეულ შემთხვევაში მოსალოდნელია ან მოითხოვება შემოსავლის ნაწილის გამოყენება სოციალური დახმარების კოდექსის მეთორმეტე წიგნის V-IX თავებით გათვალისწინებული დახმარების ფარგლებში განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, მაშინ მეურვეობის ხარჯების დაფარვისათვის შესავლის გამოყენების შემოწმებისას შემოსავლის აღნიშნული ნაწილი არ უნდა იქნეს გათვალისწინებული. შემოსავლად ითვლება ასევე რჩენის მოთხოვნის უფლებები, ისევე როგორც ასეთი მოთხოვნის ჩამორთმევის გამო გადასახდელი პენსია;
2. თავისი ქონება სოციალური დახმარების კოდექსის მეთორმეტე წიგნის §90 შესაბამისად.

§ 1836დ. სამეურვეო პირის მხრიდან სახსრების უქონლობა

ითვლება, რომ სამეურვეო პირს არა აქვს საკმარისი სახსრები, თუ მას კუთვნილი გამოყენებას დაქვემდებარებული შემოსავლიდან ან ქონებიდან ხარჯების დაფარვა ან კომპენსაციის გადახდა

1. არ შეუძლია ან შეუძლია მხოლოდ ნაწილობრივ ანდა მხოლოდ ნაწილ-ნაწილ ან
2. შეუძლია მხოლოდ რჩენის მოთხოვნის უფლებების სასამართლოში მოთხოვნის წარდგენით.

§ 1836ე. მოთხოვნის კანონისმიერი გადაცემა

(1) რამდენადაც სახელმწიფო ხაზინა აკმაყოფილებს მეურვეს ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელ მეურვეს, სამეურვეო პირის მიმართ ამ უკანასკნელების მოთხოვნის უფლებები გადადის სახელმწიფო ხაზინაზე. გადაცემული მოთხოვნის უფლება უქმდება ათი წლის შემდეგ იმ წლის გასვლისთანავე, როდესაც სახელმწიფო ხაზინამ გადაიხადა ხარჯები ან კომპენსაცია. სამეურვეო პირის გარდაცვალების შემდეგ მისი მემკვიდრე პასუხს აგებს მხოლოდ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის არსებული სამკვიდრო ქონების ღირებულების ფარგლებში; შესაბამისად მოქმედებს სოციალური დახმარების კოდექსის მეთორმეტე წიგნის §102 მე-3 და მე-4 ნაწილები, §1836გ მემკვიდრის მიმართ არ გამოიყენება.

(2) რამდენადაც მოთხოვნის უფლებები უნდა დადგინდეს §1836გ №1-ის მე-2 წინადადების თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §850ბ სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ არ გამოიყენება.

ქვეკარი 3 ზრუნვისა და ზედამხედველობის მოვალეობათა განხორციელება საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ

§ 1837. კონსულტაცია და ზედამხედველობა

(1) საოჯახო საქმეთა სასამართლო მეურვეებს უწევს კონსულტაციას. იგი ხელს უწყობს მათ საქმის კურსში ჩაყენებას.

(2) საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა განახორციელოს ზედამხედველობა მეურვის ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის საქმიანობაზე ზოგადად და დარღვევების საწინააღმდეგოდ მიიღოს ზომები სათანადო ბრძანებებისა და აკრძალვების მიღების მეშვეობით. მას შეუძლია მეურვეს ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელ მეურვეს დაავალოს იმ ზიანის შემთხვევისათვის დაზღვევის გაფორმება, რომელიც მათ შეიძლება მიაყენონ სამეურვეო პირს.

(3) საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია ჯარიმის დადგენით აიძულოს მეურვე ან საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელ მეურვე, შეასრულონ მისი დადგენილებები. ახალგაზრდობის საქმეთა უწყების ან კავშირის მიმართ ჯარიმა არ დგინდება.

(4) შესაბამისად მოქმედებს §§1666, 1666ა და 1696.

§ 1838. *(გაუქმებულია)*

§ 1839. მეურვის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

მეურვემ, ისევე როგორც საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელმა მეურვემ მოთხოვნის საფუძველზე საოჯახო საქმეთა სასამართლოს ნებისმიერ დროს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მეურვეობის განხორციელებისა და სამეურვეო პირთან პირადი ურთიერთობის შესახებ.

§ 1840. ანგარიში და ანგრიშგება

(1) მეურვემ სამეურვეო პირთან პირადი ურთიერთობის შესახებ საოჯახო საქმეთა სასამართლოს უნდა შეატყობინოს, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ.

(2) მეურვემ საოჯახო საქმეთა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ანგარიში მის მიერ წარმოებული ქონების მართვის შესახებ.
(3) ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს ყოველწლიურად. ანგრიშგების წელი დგინდება საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ.
(4) თუ მართვის მოცულობა მცირეა, პირველი წლის შესახებ ანგარიშის წარდგენის შემდეგ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ ანგარიშის წარდგენა მოხდეს დროის უფრო მეტი, მაქსიმუმ სამწლიანი, პერიოდებისათვის.

§ 1841. ანგარიშის შინაარსი
(1) ანგარიში უნდა შეიცავდეს შემოსავლებისა და ხარჯების სათანადო შედარებას, ქონების შემცირებისა და მომატების შესახებ ინფორმაციასა და ანგარიშს უნდა ერთვოდეს ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტები, რამდენადაც მათი წარდგენა ჩვეულებრივ ხდება.
(2) თუ სამეწარმეო საქმიანობა ხორციელდება საბუღალტრო აღრიცხვით, მაშინ ანგრიშგებისათვის საკმარისია საბუღალტრო წიგნებიდან ამოღებული წლიური ბალანსი. თუმცა, საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს საბუღალტრო წიგნებისა და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა.

§ 1842. საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის ხელშეწყობა
თუ სახეზეა საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე ან იგი უნდა დაინიშნოს, მაშინ მეურვემ მას უნდა წარუდგინოს ანგარიში ქონების ფაქტიური შემადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტების დართვით. საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელმა მეურვემ ანგარიშს უნდა დაურთოს შენიშვნები, რომელთათვისაც საფუძველს წარმოადგენს ანგარიშის შემოწმება.

§ 1843. ანგარიშის შემოწმება საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ
(1) საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა შეამოწმოს გამოთვლებისა და ანგარიშის ობიექტური სისწორე და, რამდენადაც ეს აუცილებელია, უზრუნველყოს მისი შესწორება და შევსება.
(2) მოთხოვნის უფლებები, რომლებიც სადავოდ რჩება მეურვესა და სამეურვეო პირს შორის, შეიძლება წარდგენილ იქნეს სასამართლოში ჯერ კიდევ მეურვეობის ურთიერთობის დასრულებამდე.

§ 1844. *(გაუქმებულია)*

§ 1845. *(გაუქმებულია)*

§ 1846. საოჯახო საქმეთა სასამართლოს დროებითი ზომები
თუ მეურვე ჯერ არ არის დანიშნული ან მეურვეს ხელი ეშლება თავისი მოვალეობების განხორციელებაში, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები დაინტერესებული პირის ინტერესებში.

§ 1847. ნათესავების მოსმენა
საოჯახო საქმეთა სასამართლომ მნიშვნელოვან საკითხებზე უნდა მოუსმინოს სამეურვეო პირის სისხლით ან ქორწინებით ნათესავებს, თუ ეს შესაძლებელია მნიშ-

ვნელოვანი დაყოვნებისა და შეუსაბამოდ მაღალი ხარჯების გარეშე. შესაბამისად მოქმედებს §1779 მე-3 ნაწილის მე-2 წინადადება.

§ 1848. *(გაუქმებულია)*

ქვეკარი 4. ახალგაზრდობის საქმეთა უწყების ხელშეწყობა

§ 1849, 1850. *(გაუქმებულია)*

§ 1851. შეტყობინების მოვალეობა
(1) საოჯახო საქმეთა სასამართლომ ახალგაზრდობის საქმეთა უწყებას უნდა შეატყობინოს მეურვეობის შესახებ დადგენილების თაობაზე მეურვისა და საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის მითითებით, ისევე როგორც პირის შეცვლისა და მეურვეობის შეწყვეტის შესახებ.
(2) თუ სამეურვეო პირის ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი გადადის ახალგაზრდობის საქმეთა სხვა უწყების სამოქმედო რაიონში, მაშინ მეურვემ შეტყობინება უნდა გააგზავნოს ახალგაზრდობის საქმეთა უწყებაში თავდაპირევლი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო ამ უკანასკნელმა კი შეტყობინება უნდა გადააგზავნოს ახალგაზრდობის საქმეთა უწყებაში ახალი ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის მიხედვით.
(3) თუ მეურვეა კავშირი, 1-ლი და მე-2 ნაწილები არ გამოიყენება.

ქვეკარი 5. გათავისუფლებული მეურვეობა (Befreite Vormundschaft)

§ 1852. გათავისუფლება მამის მხრიდან
(1) მამას შეუძლია მეურვის დასახელებისას გამორიცხოს საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის დანიშვნა.
(2) მამას შეუძლია მიიღოს განკარგულებები, რომ მის მიერ დასახელებულ მეურვის მიერ ფულადი თანხების განთავსებისას არ მოქმედებდეს §§1809, 1810 გათვალისწინებული შეზღუდვები და §1812 მითითებული გარიგებები არ საჭიროებდეს საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის ან საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობას. აღნიშნული განკარგულებები ჩაითვლება მიღებულად, თუ მამამ გამორიცხა საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის დანიშვნა.

§ 1853. შესანახად გადაცემისა და ბლოკირებისაგან გათავისუფლება
მამას შეუძლია მის მიერ დასახელებული მეურვე გაათავისუფლოს საწარმდგენლო ფასიანი ქარალდების შესანახად გადაცემისა და §1816 მითითებული ფედერაციის ან ლანდის მიმართ არსებული სავალო რეესტრში აღნიშვნის რეგისტრაციის ვალდებულებისაგან.

§ 1854. ანგარიშის წარდგენის ვალდებულებისაგან გათავისუფლება
(1) მამას შეუძლია მის მიერ დასახელებული მეურვე დაკისრებული მოვალეობის ვადის განმავლობაში გაათავისუფლოს ანგარიშის წარდგენის ვალდებულებისაგან.

(2) მეურვემ ყოველი ორი წლის ვადის გასვლის შემდეგ თითოეულ ასეთ შემთხვევაში საოჯახო საქმეთა სასამართლოს უნდა წარუდგინოს მისთვის სამართავად გადაცემული ქონების საერთო ანგარიში. საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ საერთო ანგარიშის წარდგენა მოხდეს დროის უფრო მეტი, მაქსიმუმ ხუთწლიანი, პერიოდებისათვის.
(3) თუ სახეზეა საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე ან იგი უნდა დაინიშნოს, მაშინ მეურვემ მას უნდა წარუდგინოს საერთო ანგარიში ქონების ფაქტიური შემადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტების დართვით. საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელმა მეურვემ ანგარიშს უნდა დაურთოს შენიშვნები, რომელთათვისაც საფუძველს წარმოადგენს ანგარიშის შემოწმება.

§ 1855. გათავისუფლება დედის მხრიდან
თუ მეურვეს ასახელებს დედა, მაშინ მას შეუძლია მიიღოს იგივე განკარგულებები, რაც მიიღება მამის მიერ §§1852-1854 თანახმად.

§ 1856. გათავისუფლების წინაპირობები
§§1852-1855 დაშვებული განკარგულებების მიმართ გამოიყენება §1777 ნორმები. თუ მშობლებმა დაასახელეს ერთიდაიგივე მეურვე, მაგრამ მიიღეს ურთიერთსაწინააღმდეგო განკარგულებები, მაშინ გამოიყენება იმ მშობლის განკარგულება, ვინც უფრო გვიან გარდაიცვალა.

§ 1857. გათავისუფლების გაუქმება საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ
დედის ან მამის განკარგულებები შეიძლება გაუქმდეს საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ, თუ მათი შესრულება საფრთხეს შეუქმნიდა სამეურვეო პირის ინტერესებს.

§ 1857ა. ახალგაზრდობის საქმეთა უწყებისა და კავშირის გათავისუფლება
ახალგაზრდობის საქმეთა უწყებასა და კავშირს როგორც მეურვეს აქვთ §1852 მე-2 ნაწილის, §§1853, 1854 თანახმად დასაშვები გათავისუფლების უფლება.

§§ 1858 და 1881. *(გაუქმებულია)*

ქვეკარი 6. მეურვეობის შეწყვეტა

§ 1882. წინაპირობების მოსპობა
მეურვეობა წყდება მეურვეობის დადგენისათვის §1773 გათვალისწინებული წინაპირობების მოსპობით.

§ 1883. *(გაუქმებულია)*

§ 1884. სამეურვეო პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვა და გარდაცვლილად აღიარება
(1) თუ სამეურვეო პირი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, მაშინ მეურვეობა წყდება მხოლოდ მისი საოჯახო საქმეთა სასამართლოს მიერ გაუქმებით. საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა გააუქმოს მეურვეობა, თუ მისთვის ცნობილი გახდება სამეურვეო პირის გარდაცვალების შესახებ.

(2) თუ სამეურვეო პირი აღიარებული იქნება გარდაცვლილად ან მისი გარდაცვალების მომენტი დგინდება "უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ" კანონის ნორმების თანახმად, მაშინ მეურვეობა წყდება გარდაცვლილად აღიარების ან გარდაცვალების მომენტის დადგენის შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

§ 1885. *(გაუქმებულია)*

§ 1886. ერთპიროვნული მეურვის დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება
საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს ერთპიროვნული მეურვე დაკისრებული მოვალეობებისაგან, თუ ამ მოვალეობების შესრულების გაგრძელება – განსაკუთრებით კი, მეურვეზე დაკისრებული მოვალეობებისათვის შეუსაბამო მოქმედების შედეგად – საფრთხეს შეუქმნიდა სამეურვეო პირის ინტერესებს ან თუ სახეზეა მეურვის პიროვნებასთან დაკავშირებული §1781 მითითებული ერთ-ერთი საფუძველი.

§ 1887. ახალგაზრდობის საქმეთა უწყებისა და კავშირის მოვალეობებისაგან გათავისუფლება
(1) საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს ახალგაზრდობის საქმეთა უწყება და კავშირი როგორც მეურვე მათზე დაკისრებული მოვალეობებისაგან და დანიშნოს სხვა მეურვე, თუ ეს ემსახურება სამეურვეო პირის კეთილდღეობასა და სახეზეა სხვა პირი, რომელსაც შეუძლია მეურვის მოვალეობების განხორციელება.
(2) გადაწყვეტილება მიიღება სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით ან განცხადების საფუძველზე. განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილია სამეურვეო პირი, რომელსაც შეუსრულდა 14 წელი, ისევე როგორც ნებისმიერი პირი, ვინც ახდენს სამეურვეო პირის გამართლებული ინტერესის რეალიზაციას. ახალგაზრდობის საქმეთა უწყებამ ან კავშირმა უნდა განაცხადოს იმ მომენტში, როდესაც ისინი შეიტყობენ 1-ლი ნაწილში მითითებული წინაპირობების არსებობის შესახებ.
(3) საოჯახო საქმეთა სასამართლომ გადაწყვეტილების მიიღებამდე უნდა მოუსმინოს ასევე ახალგაზრდობის საქმეთა უწყებას ან კავშირს.

§ 1888. თანამდებობის პირის ან რელიგიური მსახურის დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება
თუ მეურვედ დანიშნულია თანამდებობის პირი ან რელიგიური მსახური, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს ისინი დაკისრებული მოვალეობებისაგან, თუ უქმდება ნებართვა, რომელიც ლანდის კანონმდებლობის თანახმად საჭიროა მეურვეობის კისრებისათვის ან თანამდებობაზე ანდა სამსახურში მიღებამდე ნაკისრი მოვალეობების შესრულების გაგრძელებისათვის, ან ხდება ნებართვის გამოთხოვა ანდა ადგილი აქვს მეურვეობის მოვალეობების შესრულების გაგრძელების ლანდის კანონმდებლობით დაშვებულ აკრძალვას.

§ 1889. მეურვის დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება საკუთარი განცხადებით
(1) საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს ერთპიროვნული მეურვე ამ უკანასკნელის განცხადების საფუძველზე, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძ-

ველი; მნიშვნელოვან საფუძველს, კერძოდ, წარმოადგენს იმ გარემოების დადგომა, რომელიც მეურვეს მიანიჭებდა უფლებამოსილებას, უარი ეთქვა მეურვეობის კისრებაზე §1786 1-ლი ნაწილის №№2-7-ის თანახმად.
(2) საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს ახალგაზრდობის საქმეთა უწყება და კავშირი როგორც მეურვე მათზე დაკისრებული მოვალეობებისაგან, თუ სახეზეა სხვა პირი, რომელსაც შეუძლია მეურვის მოვალეობების განხორციელება და აღნიშნული ზომების მიღება არ ეწინააღმდეგება სამეურვეო პირის კეთილდღეობას. გარდა ამისა, კავშირი უნდა გათავისუფლდეს დაკისრებული მოვალეობებისაგან საკუთარი განცხადებით, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი.

§ 1890. ქონების გადაცემა და ანგარიშის წარდგენა
თავისი მოვალეობების შეწყვეტის შემდეგ მეურვემ სამეურვეო პირს უნდა გადასცეს მისთვის სამართავად გადაცემული ქონება და მართვის შესახებ წარადგინოს ანგარიში. თუ მან ანგარიში წარუდგინა საოჯახო საქმეთა სასამართლოს, საკმარისია ამ ანგარიშზე მითითება.

§ 1891. საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის ხელშეწყობა
(1) თუ სახეზეა საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე, მაშინ მეურვემ ანგარიში უნდა წარუდგინოს მას. საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელმა მეურვემ ანგარიშს უნდა დაურთოს შენიშვნები, რომელთათვისაც საფუძველს წარმოადგენს ანგარიშის შემოწმება.
(2) მოთხოვნის საფუძველზე საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელმა მეურვემ უნდა წარადგინოს ინფორმაცია საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განხორციელებისა და, რამდენადაც ეს მისთვის შესაძლებელია, – მეურვის მიერ ამ უკანასკნელისათვის სამართავად გადაცემული ქონების შესახებ.

§ 1892. ანგარიშის შემოწმება და მიღება
(1) მეურვემ საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვისათვის ანგარიშის წარდგენის შემდეგ ეს უკანასკნელი უნდა წარუდგინოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს.
(2) საოჯახო საქმეთა სასამართლომ უნდა შეამოწმოს გამოთვლებისა და ანგარიშის ობიექტური სისწორე და ხელი შეუწყოს მის მიღებას დაინტერესებულ პირთან მოლაპარაკებების წარმოების გზით საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის მონაწილეობით. თუ ანგარიში მიიჩნევა სწორად, საოჯახო საქმეთა სასამართლომ იგი უნდა დაამოწმოს.

§ 1893. საქმეთა წარმოების გაგრძელება მეურვეობის შეწყვეტის შემდეგ, დოკუმენტების დაბრუნება
(1) მეურვეობის ან მეურვეობის მოვალეობების განხორციელების შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამისად გამოიყენება §§1698ა, 1698ბ ნორმები.
(2) თავისი მოვალეობების განხორციელების შეწყვეტის შემდეგ მეურვემ საოჯახო საქმეთა სასამართლოს უნდა დაუბრუნოს დანიშვნის დოკუმენტი. §§1791ა, 1791ბ შემთხვევებში, დაბრუნებას ექვემდებარება საოჯახო საქმეთა სასამართლოს განჩინება, ხოლო §1791გ შემთხვევაში კი, – ცნობა მეურვეობის დადგენის შესახებ.

§ 1894. მეურვის გარდაცვალების შესახებ შეტყობინება
(1) მეურვის მემკვიდრემ საოჯახო საქმეთა სასამართლოს დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მეურვის გარდაცვალების შესახებ.
(2) მეურვემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის ან თანამეურვის გარდაცვალების შესახებ.

§ 1895. საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის მოვალეობების შეწყვეტა
§§1886-1889, 1893, 1894 ნორმები შესაბამისად გამოიყენება საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის მიმართ.

კარი 2. იურიდიული მზრუნველობა

§ 1896. წინაპირობები
(1) თუ სრულწლოვანი პირი ფსიქიური ავადმყოფობის ან მძიმე გონებრივი ან სულიერი დარღვევის გამო უუნაროა, მთლიანად ან ნაწილობრივ წარმართოს საკუთარი საქმეები, მაშინ მზრუნველობის საქმეთა სასამართლო პირის განცხადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით უნიშნავს მას მზრუნველს. განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს ასევე ქმედუუნარო პირის მიერ. რამდენადაც სრულწლოვან პირს ფიზიკური უუნარობის გამო არ შეუძლია საკუთარი საქმეების წარმართვა, მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ სრულწლოვანი პირის განცხადების საფუძველზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას არ შეუძლია თავისი ნების გამოვლენა.
(1ა) მზრუნველის დანიშვნა სრულწლოვანი პირის თავისუფალი ნების საწინააღმდეგოდ დაუშვებელია.
(2) მზრუნველი შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ საკითხთა წრეში, რომელთა გადაწყვეტისათვისაც აუცილებელია მზრუნველობა. მზრუნველობა არ არის აუცილებელი, თუ სრულწლოვანი პირის საქმეების წარმართვა იგივე წარმატებით, როგორც მზრუნველის მეშვეობით, შესაძლებელია იმ უფლებამოსილი პირის მეშვეობით, რომელიც არ მიეკუთვნება §1897 მე-3 ნაწილში მითითებულ რომელიმე პირს ან სხვა დამხმარე პირს, რომელთა არსებობისას კანონიერი წარმომადგენელი არ ინიშნება.
(3) საკითხთა წრის სახით შეიძლება განისაზღვროს ასევე რწმუნებულის მიმართ სამზრუნველო პირის უფლებების რეალიზაცია.
(4) სამზრუნველო პირის სატელეფონო კომუნიკაციის შესახებ გადაწყვეტილება, სამზრუნველო პირის კორესპონდენციის მიღება, გახსნა და დაკავება შევა მზრუნველის საკითხთა წრეში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სასამართლომ პირდაპირ დაადგინა.

§ 1897. ფიზიკური პირის დანიშვნა
(1) მზრუნველობის საქმეთა სასამართლო მზრუნველად ნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელსაც შეუძლია სასამართლოს მიერ განსაზღვრული მოვალეობათა წრის ფარგლებში სამზრუნველო პირის საქმეების კანონიერად მართვა და ამ უკანასნელზე პირადად ზრუნვა ამისათვის საჭირო ფარგლებში.
(2) §1908ვ თანახმად აღიარებული სამზრუნველო კავშირის (anerkannte Betreuungsverein) თანამშრომელი, ვინც კავშირში სრული ან ნაწილობრივი დასაქმებით

მუშაობს როგორც მზრუნველი (კავშირისაგან დანიშნული მზრუნველი), შეიძლება დაინიშნოს მზრუნველად მხოლოდ კავშირის თანხმობით. შესაბამისი წესი მოქმედებს სამზრუნველო საკითხებში კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლის მიმართ, ვინც ადმინისტრაციულ ორგანოში სრული ან ნაწილობრივი დასაქმებით მუშაობს როგორც მზრუნველი (ადმინისტრაციული ორგანოსაგან დანიშნული მზრუნველი).

(3) მზრუნველად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, ვინც იმყოფება დამოკიდებულ მდგომარეობაში ან სხვა მჭიდრო კავშირში დაწესებულებასთან, თავშესაფართან ან სხვა იმ ორგანიზაციასთან, რომელშიც განთავსებულ იქნა სრულწლოვანი პირი, ან სადაც ეს უკანასკნელი ცხოვრობს.

(4) თუ სრულწლოვანი პირი წარადგენს იმ პირს, ვინც შეიძლება დაინიშნოს მზრუნველად, მაშინ მისი წინადადება უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სრულწლოვანი პირის კეთილდღეობას. თუ იგი იძლევა წინადადებას, რომ განსაზღვრული პირი მზრუნველად არ დაინიშნოს, მაშინ ეს შეთავაზებაც ასევე უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. 1-ლი და მე-2 წინადადებები მოქმედებს, აგრეთვე, იმ შეთავაზებების მიმართ, რომლებიც სრულწლოვანმა პირმა გააკეთა მზრუნველის დანიშვნის პროცედურის დაწყებამდე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას აშკარად არ სურს აღნიშნული შეთავაზებების შესრულება.

(5) თუ სრულწლოვანი პირი მზრუნველის სახით არ წარადგენს იმ პირს, ვინც შეიძლება დაინიშნოს მზრუნველად, მაშინ მზრუნველის შერჩევისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს სრულწლოვანი პირის ნათესაური და სხვა პირადი კავშირები, კერძოდ კი, კავშირები მშობლებთან, შვილებთან, მეუღლესა და თანაცხოვრების პარტნიორთან, ისევე როგორც ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე.

(6) პირი, ვინც ახორციელებს მზრუნველობას თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, უნდა დაინიშნოს მზრუნველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის სხვა მისაღები პირი, რომელიც მზადაა საზოგადოებრივ საწყისებზე მზრუნველის მოვალეობების განსახორციელებლად. თუ მზრუნველისათვის ცნობილი გახდება ის გარემოებები, რომელთაგანაც გამომდინარეობს, რომ სრულწლოვანი პირი შეიძლება იმყოფებოდეს ერთი ან რამდენიმე მისაღები პირის მზრუნველობის ქვეშ და ეს არ იყოს დაკავშირებული ამ პირების პროფესიულ საქმიანობასთან, მაშინ მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს სასამართლოს.

(7) თუ პირი მე-6 ნაწილის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას პირველად ინიშნება მზრუნველად მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს სამოქმედო რაიონში, სასამართლომ ჯერ უნდა მოუსმინოს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს შერჩეული მზრუნველის შესაფერისობის საკითხზე და იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია "მეურვეებისა და მზრუნველებისათვის საზღაურის გადახდის შესახებ" კანონის §1 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებულ მეორე ალტერნატივასთან. კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ პირს უნდა მოსთხოვოს ნასამართლობის არქონის შესახებ ცნობისა (Führungszeugnis) და მოვალეთა სიიდან შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა.

(8) თუ პირი მზრუნველად ინიშნება მე-6 ნაწილის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, მან უნდა განაცხადოს მის მიერ პროფესიული საქმიანობის ფარგლებში განხორციელებელი მზრუნველობის შემთხვევების რაოდენობისა და მოცულობის შესახებ.

§ 1898. მზრუნველობის კისრების მოვალეობა

(1) მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მიერ შერჩეული პირი ვალდებულია, იკისროს მზრუნველობა, თუ იგი მზრუნველობის განსახორციელებლად სათანადო პიროვნებაა და მას შეუძლია მზრუნველობის კისრება თავისი ოჯახური, პროფესიული და სხვა მდგომარეობის გათვალისწინებით.

(2) შერჩეული პირი შეიძლება დაინიშნოს მზრუნველად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან განაცხადა, რომ იგი მზადაა, იკისროს მზრუნველობა.

§ 1899. რამდენიმე მზრუნველი

(1) მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს შეუძლია დანიშნოს რამდენიმე მზრუნველი, თუ სამზრუნველო პირის საქმეთა წარმოება ამით უკეთესად შეიძლება. ამ შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელ მზრუნველს რა მოვალეობათა წრის ფარგლებში დაევალება მზრუნველობა. რამდენიმე მზრუნველი, რომლებიც იღებენ საზღაურს, არ ინიშნება ერთად გარდა §1792 მე-2 და მე-4 ნაწილებითა და §1908i 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

(2) სამზრუნველო პირის სტერილიზაციაზე თანხმობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ყოველთვის უნდა დაინიშნოს სპეციალური მზრუნველი.

(3) თუ რამდენიმე მზრუნველს განესაზღვრება მოვალეობათა ერთიდაიგივე წრე, მათ შეუძლიათ სამზრუნველო პირის საქმეების წარმოება მხოლოდ ერთობლივად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლო სხვა წესს ადგენს ან მოვალეობის შესრულების დაყოვნებასთან დაკავშირებულია საფრთხე.

(4) სასამართლოს შეუძლია რამდენიმე მზრუნველის იმგვარად დანიშვნა, რომ ერთმა აწარმოოს სამზრუნველო პირის საქმეები მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც მეორე მზრუნველს არ შეუძლია ამის განხორციელება.

§ 1900. ადმინისტრაციული ორგანოს ან კავშირის მიერ განხორციელებული მზრუნველობა

(1) თუ სრულწლოვან პირზე მზრუნველობის სათანადოდ განხორციელება ერთი არ რამდენიმე ფიზიკური პირის მეშვეობით შეუძლებელია, მაშინ მზრუნველობის საქმეთა სასამართლო მზრუნველად ნიშნავს აღიარებულ სამზრუნველო კავშირს. დანიშვნა მოითხოვს კავშირის თანხმობას.

(2) კავშირი მზრუნველობის განხორციელების მოვალეობას აკისრებს ცალკეულ პირებს. მან უნდა გაითვალისწინოს სრულწლოვანი პირის წარდგინებები, თუ ამის საწინააღმდეგოდ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძვლები. კავშირი დაუყოვნებლივ ატყობინებს მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს იმის შესახებ, თუ ვის დააკისრა მან მზრუნველობის განხორციელების მოვალეობა.

(3) თუ კავშირისათვის ცნობილი გახდა ის გარემოებები, რომელთაგანაც გამომდინარეობს, რომ სრულწლოვან პირზე მზრუნველობის სათანადოდ განხორციელება შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე ფიზიკური პირის მეშვეობით, მაშინ მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს.

(4) თუ სრულწლოვან პირზე მზრუნველობის სათანადოდ განხორციელება ერთი ან რამდენიმე ფიზიკური პირის მეშვეობით შეუძლებელია, მაშინ მზრუნველობის საქმეთა სასამართლო მზრუნველად ნიშნავს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს. შესაბამისად მოქმედებს მე-2 და მე-3 ნაწილები.

(5) სამზრუნველო პირის სტერილიზაციაზე თანხმობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ შეიძლება დაეკისროთ კავშირებს ან ადმინისტრაციულ ორგანოებს.

§ 1901. მზრუნველობის ფარგლები, მზრუნველის მოვალეობები

(1) მზრუნველობა მოიცავს ყველა სახის საქმიანობას, რომლებიც საჭიროა სამზრუნველო პირის საქმეების კანონიერად მართვისათვის ქვემოთ მოცემული ნორმების შესაბამისად.

(2) მზრუნველმა სამზრუნველო პირის საქმეები უნდა აწარმოოს ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს ამ უკანასკნელის კეთილდღეობას. სამზრუნველო პირის კეთილდღეობას მიეკუთვნება ასევე შესაძლებლობა, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მოიწყოს ცხოვრება საკუთარი სურვილებისა და წარმოდგენების შესაბამისად.

(3) მზრუნველმა უნდა გაითვალისწინოს სამზრუნველო პირის სურვილები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელის კეთილდღეობას და შესაძლებელია შესასრულებლად მზრუნველისათვის. ეს წესი მოქმედებს ასევე იმ სურვილების მიმართაც, რომლებიც სამზრუნველო პირმა გამოხატა მზრუნველის დანიშვნამდე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას აშკარად არ სურს აღნიშნული სურვილების განხორციელება. მნიშვნელოვანი საქმეების შესრულებამდე მზრუნველი იხილავს მათ სამზრუნველო პირთან, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ამ უკანასკნელის კეთილდღეობას.

(4) თავის მოვალეობათა წრის ფარგლებში მზრუნველმა ხელი უნდა შეუწყოს იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რომელთა მეშვეობითაც თავიდან იქნება აცილებული სამზრუნველო პირის ავადმყოფობა ან ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, ან სამზრუნველო პირის გამოჯანმრთელებას, ასევე ხელი უნდა შეუწყოს იმ შესაძლებლობების გამოყენებას, რომელთა მეშვეობითაც თავიდან იქნება აცილებული სამზრუნველო პირის ავადმყოფობისა თუ ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გართულებები ან შემსუბუქდება მათი შედეგები. თუ მზრუნველობა ხორციელდება პირის პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, მაშინ მზრუნველმა სასამართლოს განკარგულების საფუძველზე სათანადო შემთხვევებში მზრუნველობის დაწყებისას უნდა მოამზადოს სამზრუნველო გეგმა. სამზრუნველო გეგმაში ასახულ უნდა იქნეს მზრუნველობის მიზანი და მისი მიღწევისათვის მისაღები ზომები.

(5) თუ მზრუნველისათვის ცნობილი გახდება იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც იძლევა მზრუნველობის შეწყვეტის შესაძლებლობას, მაშინ მან ამის შესახებ უნდა შეატყობინოს მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ გარემოებების მიმართ, რომლებიც იძლევა მზრუნველობის მოვალეობათა შეზღუდვის შესაძლებლობას ან ითხოვს მათ გაფართოებას, დამატებითი მზრუნველის დანიშვნასა თუ თანხმობის აუცილებლობის შესახებ დათქმის შესახებ განკარგულების მიღებას (§1903).

§ 1901ა. პაციენტის განკარგულება

(1) თუ იმ სრულწლოვანმა პირმა, რომელსაც შესწევს თანხმობის განცხადების უნარი, იმ შემთხვევისათვის, როდესაც მას აღარ შეეძლება თანხმობის განცხადება, წერილობით დაადგინა, იძლევა თუ არა იგი თანხმობას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრულ, დადგენის მომენტში ჯერ კიდევ უშუალოდ არაპროგნოზირებად გამოკვლევაზე, სამკურნალო პროცედურებსა თუ სამედიცინო ჩარევებზე ან კრძალავს მათ (პაციენტის განკარგულება), მზრუნველი ამოწმებს, შეესაბამება თუ არა პირობების ასეთი დადგენა ფაქტიურ საცხოვრებელ და სამკურნალო მდგომარეობას. თუ სახეზეა აღნიშნული შემთხვევა, მზრუნველმა უნდა უზრუნველყოს სამზრუნველო პირის ნების გამოხატვა და მისი რეალიზაცია. პაციენტის განკარგულებაზე უარი დაიშვება ნებისმიერ დროს სპეციალური ფორმის დაცვის გარეშე.

(2) თუ პაციენტის განკარგულება არ არსებობს ან მისი პირობები არ შეესაბამება საცხოვრებელ და სამკურნალო მდგომარეობას, მზრუნველმა უნდა დაადგინოს მკურნალობის მეთოდების მიმართ სამზრუნველო პირის სურვილები ან სავარაუდო ნება და ამ საფუძვლებით მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, იძლევა თუ არა იგი თანხმობას 1-ლი ნაწილის თანახმად სამედიცინო ხასიათის ზომების მიღებაზე ან კრძალავს მათ. სავარაუდო ნება უნდა დადგინდეს კონკრეტული საწყისი მონაცემების საფუძველზე. კერძოდ, გასათვალისწინებელია სამზრუნველო პირის ადრინდელი ზეპირი ან წერილობითი გამოხმაურებები, ეთიკური ან რელიგიური მრწამსი და ღირებულებებზე სხვა პირადი წარმოდგენები.
(3) 1-ლი და მე-2 ნაწილები მოქმედებს დამოუკიდებლად იმისა, თუ რა სახის ავადმყოფობითაა სამზრუნველო პირი დაავადებული ან რომელ სტადიაზეა ეს ავადმყოფობა.
(4) არავის არ შეუძლია პაციენტის განკარგულების დადგენის ვალდებულების კისრება. პაციენტის განკარგულების დადგენა ან შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს ხელშეკრულების დადების პირობით.
(5) 1-3 ნაწილები შესაბამისად მოქმედებს რწმუნებულების მიმართ.

§ 1901ბ. გასაუბრება პაციენტის ნების დადგენის მიზნით
(1) მკურნალი ექიმი ამოწმებს, თუ რომელი სამედიცინო ხასიათის ზომებია რეკომენდირებული პაციენტის საერთო მდგომარეობისა და მისი სამომავლო მდგომარეობის პროგნოზის გათვალისწინებით. მკურნალი ექიმი და მზრუნველი იხილავენ აღნიშნულ სამედიცინო ხასიათის ზომებს პაციენტის ნების, როგორც §1901ა თანახმად მისაღები გადაწყვეტილების საფუძვლის, გათვალისწინებით.
(2) §1901ა 1-ლი ნაწილის თანახმად პაციენტის ნების ან §1901ა მე-2 ნაწილის თანახმად სამზრუნველო პირის სურვილების ან სავარაუდო ნების დადგენისას საშუალება უნდა მიეცეთ სამზრუნველო პირის ახლო ნათესავებსა და სხვა ნდობით აღჭურვილ პირებს, გამოთქვან თავიანთი პოზიციები, თუ აღნიშნული შესაძლებელია მნიშვნელოვანი დაყოვნების გარეშე.
(3) 1-ლი და მე-2 ნაწილები შესაბამისად მოქმედებს რწმუნებულების მიმართ.

§ 1901გ. მზრუნველობასთან დაკავშირებით წერილობითი სურვილები; მინდობილობა აუცილებელი შემთხვევებისათვის (Vorsorgevollmacht)
პირმა, რომელიც ფლობს დოკუმენტს, რომელშიც სხვა პირმა მის მიმართ მზრუნველობის დადგენის შემთხვევისათვის წარადგინა წინადადებები მზრუნველის შერჩევასთან დაკავშირებით ან გამოხატა სურვილები მზრუნველობის განხორციელების წესის მიმართ, დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ეს დოკუმენტი მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს იმის შემდეგ, როდესაც მან შეიტყო მზრუნველის დანიშვნის პროცედურის დაწყების შესახებ. ასევე მფლობელმა მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს უნდა შეატყობინოს იმ დოკუმენტების შესახებ, რომელთა საფუძველზეც დაინტერესებულმა პირმა სხვა პირს მიანიჭა თავისი საქმეების მართვის უფლებამოსილება. მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს მისთვის ასლის წარდგენა.

§ 1902. მზრუნველის წარმომადგენლობა
თავის მოვალეობათა წრის ფარგლებში მზრუნველი წარმოადგენს სამზრუნველო პირს სასამართლოს წინაშე და სასამართლოსგარეთა ურთიერთობებში.

§ 1903. თანხმობის აუცილებლობის შესახებ დათქმა

(1) რამდენადაც ეს აუცილებელია სამზრუნველო პირის პიროვნებისა თუ ქონების მიმართ არსებული მნიშვნელოვანი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მზრუნველობის საქმეთა სასამართლო ადგენს, რომ სამზრუნველო პირს იმ ნების გამოვლენისათვის, რომელიც ეხება მზრუნველის მოვალეობათა წრეს, ესაჭიროება ამ უკანასკნელის თანხმობა (თანხმობის აუცილებლობის შესახებ დათქმა). შესაბამისად მოქმედებს §§108-113, 131 მე-2 ნაწილი და §210.

(2) თანხმობის აუცილებლობის შესახებ დათქმა ვერ გავრცელდება იმ ნების გამოვლინებებზე, რომლებიც მიმართულია დაქორწინებისა თუ თანაცხოვრების დაფუძნებისაკენ, საანდერძო განკარგულებებსა და იმ ნების გამოვლინებებზე, რომელთათვისაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს IV და V წიგნების ნორმების თანახმად ესაჭიროება თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

(3) თანხმობის აუცილებლობის შესახებ დათქმის დადგენისას სამზრუნველო პირს მაინც არ ესაჭიროება თავისი მზრუნველის თანხმობა, თუ ნების გამოვლენა მას აძლევს მხოლოდ სამართლებრივ სარგებელს. რამდენადაც სასამართლო სხვაგვარად არ ადგენს, აღნიშნული წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ნების გამოვლენა ეხება ყოველდღიური ცხოვრების ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებს.

(4) შესაბამისად მოქმედებს §1901 მე-5 ნაწილი.

§ 1904. სამედიცინო ხასიათის ზომებზე მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მოწონება

(1) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევისას, სამკურნალო პროცედურებისა თუ სამედიცინო ჩარევისას მზრუნველის თანხმობა საჭიროებს მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მოწონებას, თუ არსებობს საფუძვლიანი რისკი, რომ სამედიცინო ხასიათის ზომების მიღების შედეგად სამზრუნველო პირი გარდაიცვლება ან მის ჯანმრთელობას მიადგება ისეთი მძიმე ზიანი, რისთვისაც აუცილებელი გახდება გრძელვადიანი მკურნალობა. მოწონების გარეშე აღნიშნული ზომები შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაყოვნებასთან დაკავშირებულია რისკი.

(2) ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევისას, სამკურნალო პროცედურებისა თუ სამედიცინო ჩარევისას მზრუნველის თანხმობის მიცემაზე უარის თქმა ან მისი გამოთხოვა საჭიროებს მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მოწონებას, თუ ზომები მითითებულია სამედიცინო თვალსაზრისით და არსებობს საფუძვლიანი რისკი, სამედიცინო ხასიათის ზომების მიუღებლობის ან უეცარი შეწყვეტის შედეგად სამზრუნველო პირი გარდაიცვლება ან მის ჯანმრთელობას მიადგება ისეთი მძიმე ზიანი, რისთვისაც აუცილებელი გახდება გრძელვადიანი მკურნალობა.

(3) მოწონება უნდა განხორციელდეს 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ თანხმობა, თანხმობის მიცემაზე უარი ან მისი გამოთხოვა შეესაბამება სამზრუნველო პირის ნებას.

(4) 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად მოწონება აუცილებელი არ არის, თუ მზრუნველსა და მკურნალ ექიმს შორის არსებობს ერთიანი აზრი იმის თაობაზე, რომ თანხმობის მიცემა, თანხმობის მიცემაზე უარი ან მისი გამოთხოვა შეესაბამება §1901ა თანახმად დადგენილ სამზრუნველო პირის ნებას.

(5) 1-4 ნაწილები შესაბამისად მოქმედებს ასევე რწმუნებულის მიმართ. ამ უკანასკნელს შეუძლია 1-ლი ნაწილის 1-ლ წინადადებაში ან მე-2 ნაწილში მითითებული ზომების მიღებაზე თანხმობის განცხადება, თანხმობაზე უარის თქმა ან მისი გა-

მოთხოვა, თუ მინდობილობა აღნიშნულ ზომებს პირდაპირ მოიცავს და იგი გაიცემა წერილობით.

§ 1905. სტერილიზაცია

(1) თუ სამედიცინო ჩარევა მდგომარეობს სამზრუნველო პირის სტერილიზაციაში, რაზეც ამ უკანასკნელს არ შეუძლია თანხმობის მიცემა, მაშინ მზრუნველს შეუძლია თანხმობის განცხადება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ

1. სტერილიზაცია სამზრუნველო პირის ნებას არ ეწინააღმდეგება,
2. სამზრუნველო პირი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უუნაროა, გამოხატოს თავისი თანხმობა,
3. სავარაუდოა, რომ სტერილიზაციის ჩაუტარებლობას შეიძლება მოჰყვეს დაორსულება,
4. დაორსულების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ ორსულის სიცოცხლეს დაემუქროს საფრთხე ან სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე დაემუქროს ორსულის ფიზიკურ ან ფსიქიურ ჯანმრთელობას, რომლის თავიდან აცილებაც შეუძლებელი იქნებოდა სხვა მისაღები ხერხით, და
5. შეუძლებელია დაორსულების პრევენცია სხვა მისაღები საშუალებით.

ორსულის ფსიქიური ჯანმრთელობისათვის მიყენებულ სერიოზულ ზიანს მიეკუთვნება ასევე მძიმე და ხანგრძლივი განცდები, რომელიც ორსულ ქალს დაემუქრებოდა, მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მის მიმართ რომ მიეღო ბავშვის ჩამორთმევასთან დაკავშირებული ზომები (§§1666, 1666ა).

(2) თანხმობა საჭიროებს მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მოწონებას. სტერილიზაცია შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ორი კვირის ვადაში მოწონების ძალაში შესვლის შემდეგ. სტერილიზაციისას ყოველთვის უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ მეთოდს, რომელიც იძლევა რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენის შესაძლებლობას.

§ 1906. მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მოწონება სამზრუნველო პირის სამკურნალო დაწესებულებაში განთავსებასთან დაკავშირებით

(1) მზრუნველის მიერ სამზრუნველო პირის სამკურნალო დაწესებულებაში ისეთი განთავსება, რაც დაკავშირებულია თავისუფლების შეზღუდვასთან, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია სამზრუნველო პირის კეთილდღეობისათვის, ვინაიდან

1. სამზრუნველო პირის ფსიქიური ავადმყოფობის ან მძიმე გონებრივი ან სულიერი დარღვევის გამო არსებობს მის მიერ თვითმკვლელობის ჩადენის ან თავისი ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საფრთხე ან
2. აუცილებელია ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა, სამკურნალო პროცედურები ან სამედიცინო ჩარევა, რომელთა გარეშეც სამზრუნველო პირის სამკურნალო დაწესებულებაში განთავსება შეუძლებელია, ხოლო სამზრუნველო პირს ფსიქიური ავადმყოფობის ან მძიმე გონებრივი ან სულიერი დარღვევის გამო არ შეუძლია სამკურნალო დაწესებულებაში განთავსების აუცილებლობის გათვიცნობიერება ანდა აღნიშნული გათვიცნობიერებით მოქმედება.

(2) სამკურნალო დაწესებულებაში განთავსება დასაშვებია მხოლოდ მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მოწონებით. მოწონების გარეშე სამკურნალო დაწესებულებაში განთავსება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაყოვნებასთან დაკავშირებულია რისკი; მოწონება მიღებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ.

(3) მზრუნველმა უნდა შეწყვიტოს სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობა, თუ აღარ არსებობს ამ უკანასკნელის წინაპირობები. სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობის შეწყვეტის შესახებ მან უნდა შეატყობინოს მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს.
(4) 1-3 ნაწილები შესაბამისად მოქმედებს, თუ სამზრუნველო პირი, ვინც იმყოფება დაწესებულებაში, თავშესაფარსა თუ სხვა ორგანიზაციაში ისე, რომ არ არის მასში სამკურნალოდ განთავსებული, – ხანგრძლივი ვადით ან პერიოდულად უნდა შეეზღუდოს თავისუფლება მექანიკური საშუალებებით, მედიკამენტებითა თუ სხვაგვარად.
(5) სამკურნალო დაწესებულებაში განთავსება რწმუნებულის მიერ და მე-4 ნაწილში მითითებული ზომების გამოყენებაზე რწმუნებულის თანხმობა მოითხოვს მინდობილობის წერილობით გაცემას და უფლებამოსილების უშუალოდ გავრცელებას 1-ლ და მე-4 ნაწილებში დასახელებულ ზომებზე. დანარჩენ შემთხვევებში შესაბამისად მოქმედებს 1-4 ნაწილები.

§ 1907. მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მოწონება დაქირავებულ საცხოვრებელ სახლზე უარის შემთხვევაში

(1) იმ საცხოვრებელ ფართზე ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისათვის, რომელიც დაქირავებული ჰქონდა მზრუნველს, საჭიროა მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მოწონება. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ ნების გამოვლენის მიმართ, რომელიც მიმართულია აღნიშნული ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტისაკენ.
(2) თუ დგება სხვა გარემოებები, რომელთა საფუძველზეც მხედველობაში მიიღება ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, მზრუნველმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს, თუ მისი მოვალეობათა წრე მოიცავს ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობისა თუ სამზრუნველო პირის ადგილსამყოფელის განსაზღვრის საკითხებს. თუ მზრუნველს სურს, უარი თქვას საცხოვრებელ ფართზე სხვაგვარად, ვიდრე ხელშეკრულების ან ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა, მაშინ მან ამის შესახებ ასევე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს.
(3) ქირავნობის, იჯარის ან სხვა იმ ხელშეკრულების დადებისათვის, რომლის თანახმადაც სამზრუნველო პირი ვალდებული ხდება პერიოდულ გადახდებზე, მზრუნველს ესაჭიროება მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მოწონება, თუ სახელშეკრულებო ურთიერთობა უნდა გაგრძელდეს ოთხ წელზე მეტი ვადით ან საცხოვრებელი ფართი მზრუნველის მიერ უნდა გაქირავდეს.

§ 1908. მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მოწონება აქტივის გამოყოფის შემთხვევაში

მზრუნველს შეუძლია შეპირდეს აქტივის გამოყოფას ან მოახდინოს იგი მხოლოდ მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მოწონებით.

§ 1908ა. მზრუნველის პრევენციული დანიშვნა და არასრულწლოვანის მიმართ თანხმობის აუცილებლობის შესახებ დათქმა

§§1896, 1903 გათვალისწინებული ზომები შეიძლება ასევე მიღებულ იქნეს იმ არასრულწლოვანის მიმართ, რომელმაც მიაღწია 17 წლის ასაკს, თუ სავარაუდოა, რომ ეს ზომები მის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევისას აუცილებელი გახდება.

მიღებული ზომები ძალაში შედის მხოლოდ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემთხვევაში.

§ 1908ბ. მზრუნველის დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება

(1) მზრუნველობის საქმეთა სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს მზრუნველი მასზე დაკისრებული მოვალეობებისაგან, თუ მას აღარ აქვს სამზრუნველო პირის საქმეების წარმოების უნარი გარანტირებული არის ან არსებობს დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლების სხვა მნიშვნელოვანი საფუძველი. მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა ასევე, თუ მზრუნველმა განზრახ წარადგინა ხარჯების შესახებ ყალბი ანგარიში. სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს §1897 მე-6 ნაწილის თანახმად დანიშნული მზრუნველი დაკისრებული მოვალეობებისაგან, თუ სამზრუნველო პირი შეიძლება იმყოფებოდეს ერთი ან რამდენიმე სხვა პირის მზრუნველობის ქვეშ და ეს არ იყოს დაკავშირებული ამ პირების პროფესიულ საქმიანობასთან.

(2) მზრუნველს შეუძლია მოითხოვოს დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება, თუ მისი დანიშვნის შემდეგ დგება ისეთი გარემოებები, რომელთა შედეგადაც მას აღარ შეეძლება მზრუნველობის განხორციელება.

(3) მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს შეუძლია მზრუნველის დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება, თუ სამზრუნველო პირი ახალი მზრუნველის სახით წარადგენს მისაღებ პირს, რომელიც მზადაა, იკისროს მზრუნველობა.

(4) კავშირისაგან დანიშნული მზრუნველი უნდა გათავისუფლდეს ასევე დაკისრებული მოვალეობებისაგან, თუ კავშირი ამის მოთხოვნით წარადგენს განცხადებას. თუ მოვალეობებისაგან გათავისუფლება აუცილებელი არ არის სამზრუნველო პირის კეთილდღეობისათვის, მაშინ მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს აღნიშნულის ნაცვლად შეუძლია მზრუნველის თანხმობით დაადგინოს, რომ ეს უკანასკნელი მზრუნველობას გააგრძელებს როგორც კერძო პირი. 1-ლი და მე-2 წინადადებები შესაბამისად მოქმედებს ადმინისტრაციული ორგანოსაგან დანიშნული მზრუნველის მიმართ.

(5) კავშირი ან ადმინისტრაციული ორგანო უნდა გათავისუფლდნენ დაკისრებული მოვალეობებისაგან, როგორც კი სამზრუნველო პირის მიმართ სათანადო მზრუნველობა შეიძლება განხორციელდეს ერთი ან რამდენიმე ფიზიკური პირის მიერ.

§ 1908გ. ახალი მზრუნველის დანიშვნა

თუ მზრუნველი გარდაიცვლება ან იგი გათავისუფლდება დაკისრებული მოვალეობებისაგან, მაშინ უნდა დაინიშნოს ახალი მზრუნველი.

§ 1908დ. მზრუნველობის შეწყვეტა და თანხმობის აუცილებლობის შესახებ დათქმის გაუქმება ან შეცვლა

(1) მზრუნველობა უნდა შეწყდეს, თუ აღარ არსებობს მისი წინაპირობები. თუ აღნიშნული წინაპირობები აღარ არსებობს მხოლოდ მზრუნველის მოვალეობათა ნაწილის მიმართ, მაშინ მისი მოვალეობების წრე უნდა შეიზღუდოს.

(2) თუ მზრუნველი დანიშნულია სამზრუნველო პირის განცხადებით, მაშინ მზრუნველობა შეიძლება შეწყდეს მისი განცხადებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აუცილებელია მზრუნველობის უზრუნველყოფა სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით. განცხადების წარდგენა შეუძლია ასევე ქმედუუნარო პირსაც. 1-ლი და მე-2 წინადადებები შესაბამისად მოქმედებს მოვალეობების წრის შეზღუდვის მიმართ.

(3) მზრუნველის მოვალეობათა წრე უნდა გაფართოვდეს, თუ ეს ხდება აუცილებელი. შესაბამისად მოქმედებს მზრუნველის დანიშვნის შესახებ ნორმები.
(4) თანხმობის აუცილებლობის შესახებ დათქმის მიმართ შესაბამისად მოქმედებს 1-ლი და მე-3 ნაწილები.

§ 1908ე. *(გაუქმებულია)*

§ 1908ვ. სამზრუნველო კავშირად აღიარება
(1) უფლებაუნარიანობის მქონე კავშირი შეიძლება აღიარებულ იქნეს სამზრუნველო კავშირად, თუ იგი ადასტურებს, რომ
1. მას ჰყავს საკმარისი რაოდენობის მისაღები თანამშრომლები და იგი მათ გაუწევს ზედამხედველობას, უზრუნველყოფს მათ მიერ შემდგომი განათლების მიღებასა და დაზღვევას იმ ზიანის შემთხვევისათვის, რომელიც მათ შეიძლება მიაყენონ სხვა პირს თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას,
2. იგი გეგმაზომიერად ცდილობს საზოგადოებრივ საწყისებზე მზრუნველების მოყვანას, აცნობს მათ თავიანთ მოვალეობებს, უზრუნველყოფს მათი მიერ შემდგომი განათლების მიღებასა და უწევს კონსულტაციებს როგორც მათ, ისე რწმუნებულს,

2ა. იგი გეგმაზომიერად იძლევა ინფორმაციას აუცილებელი შემთხვევებისათვის მინდობილობისა და მზრუნველობასთან დაკავშირებული განკარგვების შესახებ,

3. ის ხელს უწყობს თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარებას.

(2) სამზრუნველო კავშირად აღიარება მოქმედებს შესაბამისი ლანდის ფარგლებში; ის შეიძლება შეიზღუდოს ლანდის ტერიტორიის ცალკეული ნაწილებით. აღიარება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს და იგი შეიძლება განხორციელდეს ვალდებულების დაკისრებით.
(3) დეტალურ საკითხებს აწესრიგებს ლანდის კანონმდებლობა. კანონმდებლობა შეიძლება ითვალისწინებდეს ასევე სამზრუნველო კავშირად აღიარების დამატებით წინაპირობებს.
(4) ცალკეულ შემთხვევებში აუცილებელი შემთხვევებისათვის მინდობილობის გაცემისას აღიარებულ სამზრუნველო კავშირებს შეუძლიათ პირებისათვის კონსულტაციების გაწევა.

§ 1908ზ. ადმინისტრაციული ორგანოსაგან დანიშნული მზრუნველი
(1) ადმინისტრაციული ორგანოსაგან დანიშნული მზრუნველის მიმართ §1837 მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადებით დადგენილი ჯარიმის დაკისრება არ ხდება.
(2) ადმინისტრაციული ორგანოსაგან დანიშნულ მზრუნველს შეუძლია §1807 თანახმად განათავსოს სამზრუნველო პირის ფულადი თანხები იმ კორპორაციაში, რომელშიც იგი არის დასაქმებული.

§ 1908თ. *(გაუქმებულია)*

§ 1908ი. შესაბამისად გამოსაყენებელი ნორმები
(1) დანარჩენ შემთხვევებში მზრუნველობის მიმართ აზრობრივად გამოიყენება §1632 1-3 ნაწილები, §§1784, 1787 1-ლი ნაწილი, §1791ა მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების მეორე ნაწილი და მე-2 წინადადება, §§1792, 1795-1797 1-ლი ნაწილის მე-2 წი-

ნადადება, §§1798, 1799, 1802, 1803, 1805-1821, 1822 №№1-4, 6-13, §§1823-1826, 1828-1836, 1836გ-1836ე, 1837 1-3 ნაწილები, §§1839-1843, 1846, 1857ა, 1888, 1890-1895. ლანდის კანონმდებლობით შეიძლება დადგინდეს, რომ ის ნორმები, რომლებიც ეხება ქონებრივ-სამართლებრივ სფეროში მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მიერ განხორციელებულ ზედამხედველობას, ისევე როგორც ზედამხედველობას სწავლებისა და შრომითი ხელშეკრულებების დადებისას, კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ არ გამოიყენება.
(2) აზრობრივად გამოიყენება §1804, თუმცა, მზრუნველს სამზრუნველო პირის წარმომადგენლობისას შეუძლია ცალკეული შემთხვევისათვის გათვალისწინებული საჩუქრის მიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეესაბამება სამზრუნველო პირის სურვილს და მეუღლეთა ცხოვრების პირობების მიხედვით წარმოადგენს ჩვეულებრივ შემთხვევას. სამზრუნველო პირის მამის, დედის, მეუღლის, თანაცხოვრების პარტნიორის ან შთამომავლის მიერ განხორციელებული მზრუნველობის, ისევე როგორც კავშირისაგან ან ადმინისტრაციული ორგანოსაგან დანიშნული მზრუნველის მიმართ აზრობრივად გამოიყენება §1857ა, თუ მზრუნველობის საქმეთა სასამართლო სხვა წესს არ ადგენს.

§ 1908კ. *(გაუქმებულია)*

კარი 3. სპეციალური მზრუნველობა

§ 1909. დამატებითი მზრუნველობა
(1) პირს, ვინც იმყოფება მშობლის ზრუნვის ან მეურვეობის ქვეშ, ენიშნება სპეციალური მზრუნველი იმ საქმეებისათვის, რომელთა წარმართვაც არ შეუძლიათ მშობლებს ან მეურვეს. კერძოდ, მას სპეციალური მზრუნველი ენიშნება იმ ქონების მართვისათვის, რომელსაც იგი იძენს პირის გარდაცვალების შედეგად ან რაც მას უსასყიდლოდ გადაეცემა ცოცხალ პირთა შორის დადებული გარიგებით, თუ მოანდერძემ საანდერძო განკარგულებით ან ქონების გადამცემმა პირმა ქონების გადაცემისას დაადგინეს, რომ მშობლებმა ეს ქონება არ უნდა მართონ.
(2) თუ სპეციალური მზრუნველობა აუცილებელია, მაშინ მშობლებმა ან მეურვემ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ საოჯახო საქმეთა სასამართლოს.
(3) სპეციალური მზრუნველობა უნდა დადგინდეს ასევე იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა მეურვეობის დადგენის წინაპირობები, თუმცა, მეურვე ჯერ არ არის დანიშნული.

§ 1910. *(გაუქმებულია)*

§ 1911. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონების მიმართ დადგენილი სპეციალური მზრუნველობა
(1) სრულწლოვან პირს, რომლის ადგილსამყოფელიც უცნობია, აუცილებლობის შემთხვევაში მისი ქონებრივი საქმეების წარმოებისათვის ენიშნება სპეციალური მზრუნველი. კერძოდ, ასეთი სპეციალური მზრუნველი უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მიერ უნდა დაინიშნოს ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უკანასკნელმა იზრუნა თავის საქმეებზე დავალების მიცემით ან მინდობილობის გაცემით, თუმცა, წარმოიშვა გარემოებები, რომლებიც გახდა დავალებისა თუ მინდობილობის გაუქმების საფუძველი.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს იმ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მიმართ, რომლის ადგილსამყოფელიც ცნობილია, თუმცა, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, დაბრუნდეს და იზრუნოს თავის ქონებრივ საქმეებზე.

§ 1912. სპეციალური მზრუნველობა ჩასახული ბავშვის სასარგებლოდ
(1) ჩასახულ ბავშვს ენიშნება სპეციალური მზრუნველი თავისი მომავალი უფლებების დასაცავად იმდენად, რამდენადაც ეს უფლებები საჭიროებს დაცვას.
(2) თუმცა, უფლებების დაცვა წარმოადგენს მშობლების მოვალეობას იმ ფარგლებში, რომლებშიც მათ დაეკისრებოდათ მშობლის ზრუნვა, ბავშვი უკვე რომ ყოფილიყო დაბადებული.

§ 1913. სპეციალური მზრუნველობა უცნობი დაინტერესებული პირის სასარგებლოდ
თუ უცნობია ან გაურკვეველია, თუ ვინ წარმოადგენს საქმეების წარმოებაში დაინტერესებულ პირს, მაშინ აღნიშნული საქმეების წარმართვისათვის დაინტერესებულ პირს შეიძლება დაენიშნოს სპეციალური მზრუნველი, რამდენადაც საქმეებზე ზრუნვა აუცილებელია. კერძოდ, სუბსტიტუციის (Nacherbfolge) დადგომამდე პერიოდისათვის სპეციალური მზრუნველი შეიძლება დაენიშნოს სუბსტიტუტს (Nacherbe), რომელიც ჯერ არ იქნა ჩასახული ან რომლის პიროვნებაც დადგინდება მხოლოდ მომავალში დამდგარი გარემოების მეშვეობით.

§ 1914. სპეციალური მზრუნველობა ქონებრივი ერთობლიობისათვის
თუ ფულადი სახსრების საჯარო შეგროვების შედეგად დროებითი მიზნისათვის შეგროვდა ქონება, მაშინ ქონების მართვისა და გამოყენების მიზნით შეიძლება დაინიშნოს სპეციალური მზრუნველი იმ პირობით, რომ სახეზე აღარ არიან ქონების მართვისა და გამოყენებისათვის მოწვეული პირები.

§ 1915. მეურვეობის შესახებ ნორმების გამოყენება
(1) სპეციალური მზრუნველობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება მეურვეობის მომწესრიგებელი ნორმები, თუ კანონიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს. "მეურვეებისა და მზრუნველებისათვის საზღაურის გადახდის შესახებ" კანონის §3 1-3 ნაწილებისაგან განსხვავებით, §1836 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მისაცემი საზღაურის ოდენობა განისაზღვრება მზრუნველობის საქმეთა განხორციელებისათვის სასარგებლო სპეციალური ცოდნით, ისევე როგორც სპეციალური მზრუნველობის საქმეთა მოცულობისა და სირთულის მიხედვით, თუ სამზრუნველო პირს აქვს საკმარისი სახსრები. საოჯახო საქმეთა სასამართლოს ადგილს იკავებს მზრუნველობის საქმეთა სასამართლო; ეს წესი არ მოქმედებს არასრულწლოვანი პირის ან ჩასახული ბავშვის სასარგებლოდ დადგენილი სპეციალური მზრუნველობის მიმართ.
(2) საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვის დანიშვნა აუცილებელი არ არის.
(3) §1793 მე-2 ნაწილი არ გამოიყენება სრულწლოვანი პირის სასარგებლოდ დადგენილი სპეციალური მზრუნველობის მიმართ.

§ 1916. დასახელება დამატებითი მზრუნველის სახით
§1909 თანახმად დასადგენი სპეციალური მზრუნველობის მიმართ მეურვის დასახელების მომწესრიგებელი ნორმები არ მოქმედებს.

§ 1917. დამატებითი მზრუნველის დასახელება მამკვიდრებლისა და მესამე პირის მიერ

(1) თუ აუცილებელია სპეციალური მზრუნველობის დადგენა §1909 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად, მაშინ სპეციალურ მზრუნველად დასახელებულ უნდა იქნეს პირი, ვინც მითითებულია საანდერძო განკარგულებაში ან ქონების გადაცემის მომენტში; შესაბამისად გამოიყენება §1778 ნორმები.

(2) საანდერძო განკარგულებაში ან ქონების გადაცემის მომენტში დასახელებული სპეციალური მზრუნველისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს §§1852-1854 თანახმად დაკისრებული მოვალეობისაგან გათავისუფლება. საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია ძალადაკარგულად ცნოს აღნიშნული განკარგულებები, თუ ისინი საფრთხეს უქმნის სამზრუნველო პირის ინტერესებს.

(3) ქონების გადამცემი პირის განკარგულებებიდან გადახვევისათვის მისი სოცოცხლის განმავლობაში საჭიროა და საკმარისია ამ პირის თანხმობა. თუ იგი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უუნაროა, გააკეთოს განცხადება ან მისი ადგილსამყოფელი ხანგრძლივი ვადის განმავლობაში უცნობია, მაშინ საოჯახო საქმეთა სასამართლოს შეუძლია მისი თანხმობა შეცვალოს თავისი გადაწყვეტილებით.

§ 1918. სპეციალური მზრუნველობის შეწყვეტა კანონის ძალით

(1) მშობლის ზრუნვის ან მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ დადგენილი სპეციალური მზრუნველობა წყდება მშობლის ზრუნვის ან მეურვეობის შეწყვეტით.

(2) ჩასახული ბავშვის მიმართ დადგენილი სპეციალური მზრუნველობა წყდება ბავშვის დაბადებით.

(3) ცალკეული საქმეების წარმართვისათვის დადგენილი სპეციალური მზრუნველობა წყდება ამ საქმეების შესრულებით.

§ 1919. სპეციალური მზრუნველობის გაუქმება საფუძვლების მოსპობის შემთხვევაში

სპეციალური მზრუნველობა უნდა გაუქმდეს, თუ მისი დადგენის საფუძველი ისპობა.

§ 1920. *(გაუქმებულია)*

§ 1921. უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონების მიმართ დადგენილი სპეციალური მზრუნველობის გაუქმება

(1) უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონების მიმართ დადგენილი სპეციალური მზრუნველობა უნდა გაუქმდეს, თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი აღარ არის მოკლებული შესაძლებლობას, აწარმოოს თავისი ქონებრივი საქმეები.

(2) თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი გარდაიცვლება, მაშინ სპეციალური მზრუნველობა წყდება მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს მიერ მისი გაუქმებით. მზრუნველობის საქმეთა სასამართლომ უნდა გააუქმოს სპეციალური მზრუნველობა, თუ მისთვის ცნობილი გახდა უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის გარდაცვალების შესახებ.

(3) თუ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირი აღიარებულ იქნება გარდაცვლილად ან მისი გარდაცვალების მომენტი დადგინდება "უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ" კანონის ნორმების თანახმად, მაშინ სპეციალური მზრუნველობა წყდება გარდაცვლილად აღიარების ან გარდაცვალების მომენტის დადგენის შესახებ სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

წიგნი 5. მემკვიდრეობის სამართალი

ნაწილი 1. მემკვიდრეობის მიღების წესი

§ 1922. უნივერსალური სამართალმემკვიდრეობა
(1) პირის გარდაცვალებით (სამკვიდროს გახსნა) მისი ქონება (სამკვიდრო), როგორც ერთიანი ობიექტი, გადადის ერთ ან რამდენიმე სხვა პირზე (მემკვიდრეები).
(2) თანამემკვიდრის წილის მიმართ (სამკვიდრო წილი) გამოიყენება ნორმები, რომლებიც ეხება სამკვიდროს.

§ 1923. მემკვიდრეობის მიღების უნარი
(1) მემკვიდრე შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, ვინც ცოცხალია სამკვიდროს გახსნის მომენტში.
(2) პირი, ვინც სამკვიდროს გახსნის მომენტში ჯერ არ დაბადებულა, თუმცა, იყო ჩასახული, ითვლება დაბადებულად სამკვიდროს გახსნამდე.

§ 1924. პირველი რიგის კანონით მემკვიდრეები
(1) პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის შთამომავლები.
(2) სამკვიდროს გახსნის მომენტში ცოცხლად მყოფი შთამომავალი გამორიცხავს იმ შთამომავლების მემკვიდრეობას, რომლებიც მამკვიდრებელთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან მისი მეშვეობით.
(3) იმ შთამომავლის ადგილს, ვინც სამკვიდროს გახსნის მომენტში აღარ არის ცოცხალი, იკავებენ შთამომავლები, რომლებიც მამკვიდრებელთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან მისი მეშვეობით (მემკვიდრეობა ნათესაური ხაზით (nach Stämmen)).
(4) შვილები მემკვიდრეობას იღებენ თანაბაწილად.

§ 1925. მეორე რიგის კანონით მემკვიდრეები
(1) მეორე რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის მშობლები და მათი შთამომავლები.
(2) თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში მშობლები ცოცხლები არიან, მაშინ მემკვიდრეობას იღებენ მხოლოდ ისინი და, ამასთან, – თანაბარწილად.
(3) თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში მამა ან დედა აღარ არიან ცოცხლები, მაშინ გარდაცვლილის ადგილს იკავებენ მისი შთამომავლები პირველი რიგის კანონით მემკვიდრეობის მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად. თუ შთამომავლები სახეზე არ არიან, მაშინ მემკვიდრეობას იღებს მხოლოდ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე.
(4) §1756 გათვალისწინებულ შემთხვევებში შვილად აყვანილი ბავშვი და ბიოლოგიური მშობლების შთამომავლები ან ბავშვის სხვა მშობლები ერთმანეთის მიმართ არ მიეკუთვნებიან მეორე რიგის კანონით მემკვიდრეებს.

§ 1926. მესამე რიგის კანონით მემკვიდრეები
(1) მესამე რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის პაპები და ბებიები და მათი შთამომავლები.
(2) თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში პაპები და ბებიები ცოცხლები არიან, მაშინ მემკვიდრეობას იღებენ მხოლოდ ისინი და, ამასთან, – თანაბარწილად.

(3) თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში აღარ არიან ცოცხლები პაპები და ბებიები, რომლებიც წარმოადგენენ საქორწინო წყვილს, მაშინ გარდაცვლილის ადგილს იკავებენ მისი შთამომავლები. თუ შთამომავლები სახეზე არ არიან, მაშინ გარდაცვლილის წილი გადადის ამ საქორწინო წყვილის მეუღლეზე, ხოლო თუ ეს უკანასკნელი აღარ არის ცოცხალი, – მის შთამომავლებზე.
(4) თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში პაპები და ბებიები, რომლებიც წარმოადგენენ საქორწინო წყვილს, აღარ არიან ცოცხლები, ხოლო გარდაცვლილის შთამომავლები სახეზე არ არიან, მაშინ მემკვიდრეობას იღებენ მხოლოდ სხვა პაპები და ბებიები ან მათი შთამომავლები.
(5) რამდენადაც შთამომავლები იკავებენ მათი მშობლების ან ამ უკანასკნელების მშობლების ადგილს, გამოიყენება პირველი რიგის კანონით მემკვიდრეობის მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 1927. რამდენიმე სამკვიდრო წილი მრავალსაფეხურიანი ნათესაობის შემთხვევაში

პირი, ვინც სხვადასხვა ნათესაური ხაზით მიეკუთვნება პირველ, მეორე ან მესამე რიგის მემკვიდრეს, თითოეულ აღნიშნულ ნათესაურ ხაზში იღებს თავის კუთვნილ წილს. თითოეული წილი ითვლება დამოუკიდებელ სამკვიდრო წილად.

§ 1928. მეოთხე რიგის კანონით მემკვიდრეები

(1) მეოთხე რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის დიდი პაპები და ბებიები და მათი შთამომავლები.
(2) თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში დიდი პაპები და ბებიები ცოცხლები არიან, მაშინ მემკვიდრეობას იღებენ მხოლოდ ისინი; რამდენიმე დიდი პაპა და ბებია მემკვიდრეობას იღებს თანაბარწილად მიუხედავად იმისა, მიეკუთვნებიან ისინი ერთიდაიგივე თუ სხვადასხვა ნათესაურ ხაზს.
(3) თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში დიდი პაპები და ბებიები აღარ არიან ცოცხლები, მაშინ მათი შთამომავლებიდან მემკვიდრეობას იღებს ის პირი, ვინც ნათესაური ხარისხის მიხედვით ყველაზე ახლო კავშირში იმყოფება მამკვიდრებელთან; რამდენიმე თანაბრად ახლო კავშირში მყოფი ნათესავი მემკვიდრეობას იღებს თანაბარწილად.

§ 1929. შემდგომი რიგები

(1) მეხუთე და შემდგომი რიგის კანონით მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან მამკვიდრებლის შორეული წინაპრები და მათი შთამომავლები.
(2) შესაბამისად გამოიყენება §1928 მე-2 და მე-3 ნაწილების ნორმები.

§ 1930. რიგების რიგითობა

ნათესავი არ მოიწვევა სამკვიდროს მისაღებად, სანამ სახეზეა წინა რიგის ნათესავი.

§ 1931. მეუღლის კანონით მემკვიდრეობის უფლება

(1) მამკვიდრებლის ცოცხლად დარჩენილი მეუღლე კანონით მემკვიდრის სახით მოიწვევა პირველი რიგის კანონით მემკვიდრეებთან ერთად სამკვიდროს მეოთხედი ნაწილის მისაღებად, მეორე რიგის კანონით მემკვიდრეებთან ან პაპებთან და ბებიებთან ერთად – სამკვიდროს ნახევრის მისაღებად. თუ ერთდროულად სახეზე არიან როგორც პაპები და ბებიები, ისე პაპებისა და ბებიების შთამომავლები, მაშინ

მეუღლე ასევე იღებს წილს იმ მეორე ნახევრიდან, რომელიც §1926 თანახმად უნდა გადასულიყო შთამომავლებზე.
(2) თუ სახეზე არ არიან არც პირველი ან მეორე რიგის მემკვიდრეები და არც პაპები და ბებიები, მაშინ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე იღებს მთლიან სამკვიდროს.
(3) §1371 ნორმა უცვლელი რჩება.
(4) თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში არსებობდა მეუღლეთა გაყოფილი ქონების რეჟიმი და ცოცხლად დარჩენილ მეუღლესთან ერთად კანონით მემკვიდრეების სახით მოიწვევა მამკვიდრებლის ერთი ან ორი შვილი, მაშინ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე და თითოეული შვილი მემკვიდრეობას იღებენ თანაბარწილად; აღნიშნულ შემთხვევაში ასევე მოქმედებს §1924 მე-2 ნაწილი.

§ 1932. მეუღლის სასარგებლოდ სამკვიდროდან გამოყოფილი ქონებრივი წილი (Voraus)

(1) თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე მეორე რიგის ნათესავებთან ან პაპებთან და ბებიებთან ერთად წარმოადგენს კანონით მემკვიდრეს, მაშინ მას სამკვიდრო წილის გარდა სამკვიდროდან გამოყოფილი ქონებრივი წილის სახით ეკუთვნის საოჯახო მეურნეობაში შემავალი საგნები, თუ ისინი არ წარმოდგენს მიწის ნაკვეთის საკუთვნებელსა და საქორწინო საჩუქრებს. თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე პირველი რიგის ნათესავებთან ერთად წარმოადგენს კანონით მემკვიდრეს, მაშინ აღნიშნული საგნები გადაეცემა მას, რამდენადაც ისინი აუცილებელია მისთვის საოჯახო მეურნეობის სათანადო წარმართვისათვის.
(2) სამკვიდროდან გამოყოფილი ქონებრივი წილის მიმართ გამოიყენება საანდერძო დანაკისრის მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 1933. მეუღლის მემკვიდრეობის უფლების გამორიცხვა

ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მემკვიდრეობის უფლება, ისევე როგორც სამკვიდროდან გამოყოფილ ქონებრივ წილზე უფლება გამორიცხულია, თუ მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში არსებობდა განქორწინების წინაპირობები და მამკვიდრებლმა წარადგინა განცხადება განქორწინების მოთხოვნით ან ამ უკანასკნელზე განაცხადა თავისი თანხმობა. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მამკვიდრებელი უფლებამოსილი იყო, წარედგინა განცხადება ქორწინების გაუქმების მოთხოვნით და მან განცხადება წარადგინა. აღნიშნულ შემთხვევაში §§1569-1586ბ თანახმად მეუღლეს აქვს რჩენის მიღების უფლება.

§ 1934. იმ მეუღლის მემკვიდრეობის უფლება, რომელიც იმყოფება ნათესაურ კავშირში მამკვიდრებელთან

თუ ცოცხლად დარჩენილი მეუღლე მიეკუთვნება მემკვიდრეობის მიღებაზე უფლებამოსილი ნათესავების რიცხვს, მაშინ იგი მემკვიდრეობას ერთდროულად იღებს როგორც ნათესავი. სამკვიდრო წილი, რომელიც გადადის ნათესაური ურთიერთობის საფუძველზე, ითვლება დამოუკიდებელ სამკვიდრო წილად.

§ 1935. სამკვიდრო წილის გაზრდის შედეგები

თუ სამკვიდროს გახსნამდე ან მისი გახსნის შემდეგ სახეზე აღარ არის კანონით მემკვიდრე და თუ აღნიშნულის შედეგად იზრდება სხვა კანონით მემკვიდრის სამკვიდრო წილი, მაშინ ის წილი, რომლითაც იზრდება სხვა კანონით მემკვიდრის სამკვიდრო წილი, ითვლება დამოუკიდებელ სამკვიდრო წილად საანდერძო დანაკისრებისა

და დაკისრებული ვალდებულებების მიმართ, რომელთა შესრულებაც ეკისრებათ აღნიშნულ მემკვიდრეს ან იმ მემკვიდრეს, რომელიც აღარ არის სახეზე, ისევე როგორც წილთა გათანაბრების ვალდებულების მიმართ.

§ 1936. ხაზინის კანონით მემკვიდრეობის უფლება

(1) თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში სახეზე არ არიან როგორც მამკვიდრებლის ნათესავი, თანაცხოვრების პარტნიორი, ისე მისი მეუღლე, მაშინ კანონით მემკვიდრეა ფედერაციის იმ წევრის ხაზინა, რომლის მოქალაქეც იყო მამკვიდრებელი გარდაცვალების მომენტში. თუ მამკვიდრებელი იყო ფედერაციის რამდენიმე წევრის მოქალაქე, მაშინ სამკვიდროს თანაბარწილად მისაღებად მოიწვევა აღნიშნული ფედერაციის თითოეული წევრი.

(2) თუ გარდაცვლილი იყო გერმანელი, რომელიც არ იყო ფედერაციის არც ერთი წევრის მოქალაქე, მაშინ კანონით მემკვიდრეა ფედერაციის ხაზინა.

§ 1937. მემკვიდრის დანიშვნა საანდერძო განკარგულებით

მამკვიდრებელს შეუძლა მემკვიდრის დანიშვნა ცალმხრივი საანდერძო განკარგულებით (ანდერძი, საანდერძო განკარგულება).

§ 1938. მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა მემკვიდრის დანიშვნის გარეშე

მამკვიდრებელს შეუძლა ანდერძით გამორიცხოს ნათესავის, მეუღლის ან თანაცხოვრების პარტნიორის კანონით მემკვიდრეობა მემკვიდრის დანიშვნის გარეშე.

§ 1939. საანდერძო დანაკისრი

მამკვიდრებელს შეუძლა ანდერძით გადასცეს ქონებრივი სარგებელი სხვა პირს ამ უკანასკნელის მემკვიდრედ დანიშვნის გარეშე (საანდერძო დანაკისრი).

§ 1940. ვალდებულების დაკისრება

მამკვიდრებელს შეუძლა ანდერძით დააკისროს მემკვიდრეს ან ლეგატარს (Vermächtnisnehmer) ვალდებულების შესრულება სხვა პირისათვის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლების მინიჭების გარეშე (ვალდებულების დაკისრება).

§ 1941. მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება (Erbvertrag)

(1) მამკვიდრებელს შეუძლია ხელშეკრულებით დანიშნოს მემკვიდრე, ისევე როგორც დაადგინოს საანდერძო დანაკისრი და ვალდებულება.

(2) მემკვიდრედ (მემკვიდრე ხელშეკრულებით) ან ლეგატარად შეიძლება დაინიშნოს როგორც ხელშეკრულების მეორე მხარე, ისე – მესამე პირი.

ნაწილი 2. მემკვიდრის სამართლებრივი მდგომარეობა

კარი 1. სამკვიდროს მიღება და მასზე უარი; სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს მიერ სამკვიდროზე ზრუნვის განხორციელება

§ 1942. სამკვიდროს გადაცემა და მასზე უარი

(1) სამკვიდრო გადადის მოწვეულ მემკვიდრეზე მასზე უარის უფლების შეზღუდვის გარეშე (სამკვიდროს გადაცემა).

(2) ხაზინას არ შეუძლია განაცხადოს უარი მასზე როგორც კანონით მემკვიდრეზე გადაცემულ სამკვიდროზე.

§ 1943. სამკვიდროს მიღება და მასზე უარი

მემკვიდრეს აღარ შეუძლია სამკვიდროზე უარის თქმა, თუ მან იგი მიიღო ან გავიდა უარის თქმისათვის დადგენილი ვადა; ვადის გასვლით სამკვიდრო ითვლება მიღებულად.

§ 1944. სამკვიდროზე უარის ვადა

(1) სამკვიდროზე უარი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ექვსი კვირის განმავლობაში.

(2) ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მემკვიდრე შეიტყობს სამკვიდროს გადაცემისა და მისი მოწვევის საფუძვლის შესახებ. თუ მემკვიდრე მოწვეულია საანდერძო განკარგულებით, ვადის დენა არ იწყება სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს მიერ საანდერძო განკარგულების გამოქვეყნებამდე. ვადის დენის მიმართ შესაბამისად გამოიყენება ხანდაზმულობის მიმართ მოქმედი §§206, 210 ნორმები.

(3) ვადა შეადგენს ექვს თვეს, თუ მამკვიდრებელს თავისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა მხოლოდ საზღვარგარეთ ან ვადის დენის დაწყებისას მემკვიდრე იმყოფება საზღვარგარეთ.

§ 1945. სამკვიდროზე უარის ფორმა

(1) სამკვიდროზე უარი ხორციელდება სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს წინაშე განცხადებით; განცხადება შეტანილ უნდა იქნეს სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს ოქმში ან წარდგენილ უნდა იქნეს ოფიციალურად დამოწმებული ფორმით.

(2) სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს ოქმი უნდა შედგეს „სანოტარო აქტების შესრულების შესახებ“ კანონის ნორმების შესაბამისად.

(3) რწმუნებულმა უნდა წარადგინოს ოფიციალურად დამოწმებული მინდობილობა. მინდობილობა უნდა დაერთოს განცხადებას ან წარდგენილ იქნეს მოგვიანებით სამკვიდროზე უარის თქმის ვადის განმავლობაში.

§ 1946. სამკვიდროს მიღების ან მასზე უარის მომენტი

მემკვიდრეს შეუძლია მიიღოს ან უარი თქვას სამკვიდროზე სამკვიდროს გახსნის მომენტიდან.

§ 1947. პირობა და ვადის განსაზღვრა
სამკვიდროს მიღება ან მასზე უარი პირობით ან ვადის განსაზღვრით დაუშვებელია.

§ 1948. სამკვიდროს მიღებაზე მოწვევის რამდენიმე საფუძველი
(1) პირს, ვინც საანდერძო განკარგულებით მემკვიდრის სახით არის მოწვეული, შეუძლია უარი თქვას სამკვიდროზე როგორც დანიშნულმა მემკვიდრემ და მიიღოს ეს უკანასკნელი როგორც კანონით მემკვიდრემ, თუ იგი განკარგვის გარეშეც იქნებოდა მოწვეული სამკვიდროს მისაღებად კანონით მემკვიდრის სახით.
(2) პირი, ვინც მოწვეულია სამკვიდროს მისაღებად ანდერძით ან მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებით, შეუძლია მიიღოს სამკვიდრო მემკვიდრედ მოწვევის ერთერთი საფუძვლით და უარი თქვას მასზე სხვა საფუძვლით.

§ 1949. შეცდომა მოწვევის საფუძველში
(1) სამკვიდროს მიღება არ მიიჩნევა განხორციელებულად, თუ მემკვიდრე ცდებოდა მემკვიდრედ მოწვევის საფუძველში.
(2) საეჭვოობისას სამკვიდროზე უარის თქმა ვრცელდება მემკვიდრედ მოწვევის ყველა იმ საფუძველზე, რომლებიც ცნობილია მემკვიდრისათვის განცხადების წარდგენის მომენტში.

§ 1950. ნაწილობრივი მიღება; ნაწილობრივი უარი
სამკვიდროს მიღება ან მასზე უარი არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მისი ნაწილით. ნაწილის მიღება ან მასზე უარი სამართლებრივი ძალის არმქონეა.

§ 1951. რამდენიმე სამკვიდრო წილი
(1) პირს, ვინც მემკვიდრის სახით მოწვეულია რამდენიმე სამკვიდრო წილის მიღებაზე, შეუძლია მიიღოს ერთი სამკვიდრო წილი და უარი თქვას მეორეზე, თუ მემკვიდრის სახით მოწვევა ეფუძნება სხვადასხვა საფუძველს.
(2) თუ მემკვიდრის სახით მოწვევა ეფუძნება ერთიდაიგივე საფუძველს, მაშინ ერთი სამკვიდრო წილის მიღება ან მასზე უარი მოქმედებს ასევე სხვა სამკვიდრო წილების მიმართაც, თუნდაც ეს უკანასკნელი მემკვიდრეზე მოგვიანებით გადადის. მემკვიდრის სახით მოწვევა ეფუძნება იგივე საფუძველს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ იგი მიეთითება სხვადასხვა ანდერძში ან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ერთიდაიგივე პირებს შორის დადებულ მემკვიდრეობის შესახებ სხვადასხვა ხელშეკრულებაში.
(3) თუ მამკვიდრებელი პირს მემკვიდრედ ნიშნავს რამდენიმე სამკვიდრო წილზე, მაშინ მას შეუძლია ამ უკანასკნელს საანდერძო განკარგულებით დართოს ნება, მიიღოს ერთი სამკვიდრო წილი და უარი თქვას მეორეზე.

§ 1952. სამკვიდროს მიღებაზე უარის გადასვლა მემკვიდრეობით
(1) მემკვიდრის უფლება, უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე, გადადის მემკვიდრეობით.
(2) თუ მემკვიდრე გარდაიცვლება სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის ვადის გასვლამდე, მაშინ ვადის დენა არ წყდება მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისათვის დადგენილი ვადის გასვლამდე.
(3) თუ მემკვიდრეს ჰყავს რამდენიმე მემკვიდრე, თითოეულ მათგანს შეუძლია უარის თქვას სამკვიდროს იმ ნაწილის მიღებაზე, რომელიც შეესაბამება მის სამკვიდრო წილს.

§ 1953. სამკვიდროს მიღებაზე უარის სამართლებრივი შედეგები
(1) თუ სამკვიდროს მიღებაზე გაცხადდება უარი, მაშინ სამკვიდრო არ ჩაითვლება გადასულად იმ პირზე, ვინც აცხადებს უარს სამკვიდროს მიღებაზე.
(2) სამკვიდროს გადადის იმ პირზე, ვინც იქნებოდა მემკვიდრის სახით მოწვეული, სამკვიდროს მიღებაზე უარის განმცხადებელი ცოცხალი რომ არ ყოფილიყო სამკვიდროს გახსნის მომენტში; სამკვიდროს გადასვლა ითვლება შემდგარად სამკვიდროს გახსნის მომენტში.
(3) სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ სამკვიდროს მიღებაზე უარის შესახებ უნდა შეატყობინოს იმ პირს, რომელზეც გადავიდა სამკვიდრო მასზე უარის შედეგად. სასამართლომ უნდა დართოს განცხადების გაცნობის ნება ნებისმიერ იმ პირს, ვინც წარადგენს საკმარის მტკიცებულებებს თავისი კანონიერი ინტერესის დასადასტურებლად.

§ 1954. შეცილების ვადა
(1) თუ სამკვიდროს მიღება ან მასზე უარი საცილოა, მაშინ შეცილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ექვსი კვირის განმავლობაში.
(2) იძულების გამო საცილოობის შემთხვევაში ვადის დენა იწყება იძულების შეწყვეტის მომენტიდან, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში – იმ მომენტიდან, როდესაც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი შეიტყობს შეცილების საფუძვლის შესახებ. ვადის დენის მიმართ შესაბამისად გამოიყენება ხანდაზმულობის მიმართ მოქმედი §§206, 210, 211 ნორმები.
(3) ვადა შეადგენს ექვს თვეს, თუ მამკვიდრებელს თავისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა მხოლოდ საზღვარგარეთ ან ვადის დენის დაწყებისას მემკვიდრე იმყოფება საზღვარგარეთ.
(4) შეცილება გამორიცხულია, თუ სამკვიდროს მიღების ან მასზე უარის შემდეგ გავიდა 30 წელი.

§ 1955. შეცილების ფორმა
სამკვიდროს მიღებასა ან ამ უკანასკნელზე უარის შეცილება ხორციელდება სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს წინაშე განცხადებით. განცხადების მიმართ მოქმედებს §1945 ნორმები.

§ 1956. ვადის გადაცილებაზე შეცილება
სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმისათვის დადგენილი ვადის გადაცილება შეიძლება შეცილებულ იქნეს იგივე წესით, როგორც სამკვიდროს მიღება.

§ 1957. შეცილების შედეგები
(1) სამკვიდროს მიღების შეცილება ითვლება სამკვიდროს მიღებაზე უარად, ხოლო სამკვიდროს მიღებაზე უარის შეცილება კი – სამკვიდროს მიღებად.
(2) სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ სამკვიდროს მიღებაზე უარის შესახებ უნდა შეატყობინოს იმ პირს, რომელზეც გადავიდა სამკვიდრო მასზე უარის შედეგად. გამოიყენება §1953 მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა.

§ 1958. მემკვიდრის მიმართ მოთხოვნის უფლებების სასამართლო წესით რეალიზაცია
სამკვიდროს მიღებამდე სამკვიდრო ქონების მიმართ არსებული მოთხოვნის უფლების სასამართლო წესით რეალიზაცია მემკვიდრის მიმართ დაუშვებელია.

§ 1959. საქმეების წარმოება სამკვიდროს მიღებაზე უარის განცხადებამდე

(1) თუ მემკვიდრე აწარმოებს სამემკვიდრეო საქმეებს სამკვიდროს მიღებაზე უარის განცხადებამდე, მაშინ იმ პირის მიმართ, ვინც გახდება მემკვიდრე, იგი უფლებამოსილი და ვალდებულია როგორც დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებელი.

(2) თუ მემკვიდრე სამკვიდროს მიღებაზე უარის განცხადებამდე განკარგავს სამკვიდრო ქონებაში შემავალ საგანს, მაშინ სამკვიდროს მიღებაზე უარი არ მოქმედებს განკარგვის სამართლებრივ ძალაზე, თუ განკარგვის გადადება შეუძლებელი იყო სამკვიდრო ქონებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

(3) გარიგება, რომელიც უნდა დაიდოს მემკვიდრის, როგორც ასეთის, მიმართ, რჩება სამართლებრივი ძალის მქონედ ასევე სამკვიდროს მიღებაზე უარის განცხადების შემდეგაც, თუ იგი უარის განმცხადებლის მიმართ დაიდო სამკვიდროს მიღებაზე უარის განცხადებამდე.

§ 1960. სამკვიდრო ქონების დაცვის უზრუნველყოფა; სამკვიდრო ქონების მეურვე

(1) სამკვიდროს მიღებამდე სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ უნდა მიიღოს ზომები სამკვიდრო ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად, რამდენადაც არსებობს ამის საჭიროება. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მემკვიდრე უცნობია ან უცნობია ის ფაქტი, მიიღო თუ არა მან სამკვიდრო.

(2) სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს, კერძოდ, შეუძლია დაადგინოს ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორიცაა დალუქვა, ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და ძვირფასეულობის დეპოზიტზე შეტანა, ისევე როგორც სამკვიდრო ქონების საინვენტარიზაციო აღწერა და მას შეუძლია დაუნიშნოს მეურვე იმ პირს, ვინც გახდება მემკვიდრე (სამკვიდრო ქონების მეურვე).

(3) §1958 ნორმა სამკვიდრო ქონების მეურვის მიმართ არ გამოიყენება.

§ 1961. სამკვიდრო ქონებაზე მეურვეობა განცხადების საფუძველზე

§1960 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ უნდა დანიშნოს სამკვიდრო ქონების მეურვე, თუ დანიშვნის შესახებ განცხადება წარდგენილ იქნა უფლებამოსილი პირის მიერ სამკვიდრო ქონების მიმართ წარდგენილი მოთხოვნის უფლების სასამართლო წესით რეალიზაციის მიზნით.

§ 1962. სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს განსჯადობა

სამკვიდრო ქონების მეურვეობის მიმართ სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლო იკავებს საოჯახო საქმეთა სასამართლოს ან მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს ადგილს.

§ 1963. მემკვიდრის მომავალი დედის რჩენა

თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში ელოდებიან მემკვიდრის დაბადებას, მაშინ დედას იმ შემთხვევაში, თუ იგი უუნაროა, თავად ირჩინოს თავი, შეუძლია მშობიარობამდე მოითხოვოს სათანდო რჩენა სამკვიდრო ქონების ან, თუ ადგილი აქვს სხვა პირების მემკვიდრედ მოწვევას, – ბავშვის სამკვიდრო წილის ხარჯზე. სამკვიდრო წილის შეფასებისას ივარაუდება, რომ დაიბადება მხოლოდ ერთი ბავშვი.

§ 1964. ხაზინის მემკვიდრეობის უფლების პრეზუმფცია სასამართლოს დადგენილებით

(1) თუ მემკვიდრე არ იქნება გამოვლენილი იმ ვადაში, რომელიც განსაზღვრულია გარემოებებიდან გამომდინარე, მაშინ სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ ხაზინის გარდა სხვა მემკვიდრე სახეზე არ არის.
(2) სასამართლოს დადგენილება ეფუძნება ვარაუდს, რომ კანონით მემკვიდრე უნდა იყოს ხაზინა.

§ 1965. საჯარო შეთავაზება მემკვიდრეობის უფლების შესახებ განცხადების თაობაზე

(1) სასამართლოს დადგენილებას წინ უნდა უძღვოდეს მემკვიდრეობის უფლების განცხადების შესახებ საჯარო შეთავაზება განცხადების წარდგენისათვის შეტყობინების ვადის დადგენით; საჯარო შეთავაზების წესი და შეტყობინების ვადის ხანგრძლივობა დგინდება გამოწვევითი წარმოების მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად. შეთავაზება შეიძლება არ გაკეთდეს, თუ მასთან დაკავშირებული ხარჯები შეუსაბამოდ დიდია არსებულ სამკვიდრო ქონებასთან შედარებით.
(2) მემკვიდრეობის უფლება მხედველობაში არ მიიღება, თუ შეტყობინების ვადის გასვლის შემდეგ სამი თვის განმავლობაში სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს არ წარედგინა მტკიცებულებები მემკვიდრეობის უფლების არსებობის ან ამ უკანასკნელის ხაზინის მიმართ სასარჩელო წესით რეალიზაციის შესახებ. თუ საჯარო შეთავაზება არ განხორციელდა, მაშინ სამთვიანი ვადის დენა იწყება მემკვიდრეობის უფლების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებების ან სარჩელის წარდგენის თაობაზე სასამართლოს შეთავაზების მომენტიდან.

§ 1966. სასამართლოს დადგენილებამდე ხაზინის სამართლებრივი მდგომარეობა

ხაზინის როგორც კანონით მემკვიდრის მიერ და ხაზინის როგორც კანონით მემკვიდრის მიმართ უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმის შემდეგ, რაც სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლო დაადგენს, რომ სხვა მემკვიდრე სახეზე არ არის.

კარი 2. სამკვიდრო ქონების ვალებისათვის მემკვიდრის პასუხისმგებლობა

ქვეკარი 1. სამკვიდრო ქონების ვალები

§ 1967. მემკვიდრის პასუხისმგებლობა, სამკვიდრო ქონების ვალები

(1) მემკვიდრე პასუხს აგებს სამკვიდრო ქონების ვალებისათვის.
(2) გარდა მამკვიდრებლის უშუალო ვალებისა, სამკვიდრო ქონების ვალებს მიეკუთვნება ის ვალდებულებები, რომლებიც ეხება მემკვიდრეს, როგორც ასეთს, მათ შორის, სავალდებულო წილთან დაკავშირებული უფლებიდან, საანდერძო დანაკისრიდან და ვალდებულების დაკისრებიდან გამომდინარე ვალდებულებები.

§ 1968. დაკრძალვის ხარჯები

მემკვიდრეს ეკისრება მამკვიდრებლის დაკრძალვის ხარჯები.

§ 1969. ოცდაათდღიანი ვადა
(1) მემკვიდრე ვალდებულია, სამკვიდროს გახსნიდან პირველი 30 დღის განმავლობაში უზრუნველყოს მამკვიდრებლის ოჯახის იმ წევრების რჩენა, რომლებიც მისი გარდაცვალების მომენტამდე შედიოდნენ მამკვიდრებლის ოჯახში და იღებდნენ მისგან სარჩოს, იმ ოდენობით, რასაც მამკვიდრებელი იხდიდა და მისცეს საცხოვრებელი სახლითა და საოჯახო მეურნეობას მიკუთვნებული ნივთებით სარგებლობის შესაძლებლობა. საანდერძო განკარგულებით მამკვიდრებელს შეუძლია დაადგინოს განსხვავებული პირობები.
(2) შესაბამისად გამოიყენება საანდერძო დანაკისრის მომწესრიგებელი ნორმები.

ქვეკარი 2. სამკვიდრო ქონების კრედიტორების მოწვევა

§ 1970. მოთხოვნების შესახებ განცხადების გაკეთება
სამკვიდრო ქონების კრედიტორებს შეიძლება შესთავაზონ თავიანთი მოთხოვნების შესახებ განცხადების გაკეთება გამოწვევითი წარმოების გზით.

§ 1971. კრედიტორები, რომლებსაც არ ეხება მოწვევა
მოწვევა არ ეხება მოგირავნეებსა და იმ კრედიტორებს, რომლებიც უთანაბრდებიან მოგირავნეებს გაკოტრების საქმის წარმოებაში, ისევე როგორც კრედიტორებს, რომლებსაც უძრავ ქონებაზე იძულებითი აღსრულების შემთხვევაში აქვს ამ ქონებიდან დაკმაყოფილების მიღების უფლება, რამდენადაც საქმე ეხება დაკმაყოფილებას იმ საგნების ხარჯზე, რომლებიც უზრუნველყოფს კრედიტორების მოთხოვნის უფლებებს. ანალოგიური წესი მოქმედებს იმ კრედიტორების მიმართ, რომელთა მოთხოვნის უფლებები უზრუნველყოფილია წინასწარი ჩანაწერით ან იმ პირის მიმართ, რომელსაც გაკოტრების საქმის წარმოებაში აქვს გაკოტრების მასიდან ქონების გამოყოფის უფლება (Aussonderungsrecht) მათი უფლების საგნის გათვალისწინებით.

§ 1972. უფლებები, რომლებსაც არ ეხება მოწვევა
მოწვევა არ ეხება სავალდებულო წილთან დაკავშირებულ უფლებებს, საანდერძო დანაკისრებსა და ვალდებულების დაკისრებებს ისე, რომ არ ირღვევა §2060 №1-ის ნორმა.

§ 1973. სამკვიდრო ქონების კრედიტორების გამორიცხვა
(1) მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას გამოწვევით წარმოებაში გამორიცხული სამკვიდრო ქონების კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რამდენადაც სამკვიდრო ქონება ამოიწურება იმ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად, ვინც არ არის გამორიცხული. თუმცა, მემკვიდრემ უნდა დააკმაყოფილოს გამორიცხული კრედიტორის მოთხოვნა სავალდებულო წილთან დაკავშირებული უფლებებიდან, საანდერძო დანაკისრებიდან და ვალდებულების დაკისრებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებამდე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კრედიტორი წარადგენს თავის მოთხოვნას მხოლოდ აღნიშნული ვალდებულებების შესრულების შემდეგ.
(2) მემკვიდრემ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით იძულებითი აღსრულების პროცესში უნდა დააბრუნოს ნამეტი უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ

ნორმების თანახმად. მას შეუძლია თავიდან აიცილოს სახეზე არსებული სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შემავალი საგნების დაბრუნება მათი ღირებულების გადახდით. კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც მემკვიდრეს ეკისრება გამორიცხული კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, აქვს იგივე ძალა, როგორიც სხვა კრედიტორის მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

§ 1974. შესაგებელი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის გამო (Verschweigungseinrede)
(1) სამკვიდრო ქონების კრედიტორი, ვინც თავის მოთხოვნას ახორციელებს სამკვიდროს გახსნის მომენტიდან ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ, უთანაბრდება გამორიცხულ კრედიტორს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნა მემკვიდრისათვის ცნობილი გახდა ხუთი წლის ვადის გასვლამდე ან განცხადებულ იქნა გამოწვევით წარმოებაში. თუ მამკვიდრებელი გამოცხადდება გარდაცვლილად ან მისი გარდაცვალების მომენტი დგინდება "უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ" კანონის ნორმების თანახმად, მაშინ ვადის დენა იწყება გარდაცვლილად აღიარების ან გარდაცვალების მომენტის დადგენის შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.
(2) მემკვიდრეზე §1973 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად დაკისრებული ვალდებულება წარმოიშობა სავალდებულო წილიდან გამომდინარე უფლებებთან, საანდერძო დანაკისრებთან და ვალდებულების დაკისრებებთან დაკავშირებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც კრედიტორს სამკვიდრო ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების შემთხვევაში ექნებოდა უპირატესი უფლება.
(3) რამდენადაც §1971 თანახმად მოწვევა არ ეხება კრედიტორს, 1-ლი ნაწილის ნორმები მის მიმართ არ გამოიყენება.

ქვეკარი 3. მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვა

§ 1975. სამკვიდრო ქონების მართვა; სამკვიდრო ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოება
სამკვიდრო ქონების ვალებისათვის მემკვიდრის პასუხისმგებლობა შეზღუდულია სამკვიდრო ქონებით, თუ სამკვიდრო ქონების კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით (სამკვიდრო ქონების მართვა) დადგინდა სამკვიდრო ქონების მეურვეობა ან სამკვიდრო ქონებაზე გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება.

§ 1976. იმ სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ სამართლებრივი შედეგები, რომლებიც შეწყდა უფლებისა და ვალის ერთი პირის ხელში აღმოჩენის გამო
თუ დადგენილია სამკვიდრო ქონების მართვა ან სამკვიდრო ქონებაზე გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება, მაშინ სამკვიდროს გახსნის შედეგად უფლებისა და ვალის ან უფლებისა და უფლებრივი ტვირთის ერთი პირის ხელში აღმოჩენის გამო შეწყვეტილი სამართლებრივი ურთიერთობები არ მიიჩნევა შეწყვეტილად.

§ 1977. სამართლებრივი შედეგები გაქვითვის მიმართ
(1) თუ სამკვიდრო ქონების კრედიტორმა სამკვიდრო ქონების მართვის დადგენამდე ან სამკვიდრო ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე თავისი მოთხოვნა მემკვიდრის თანხმობის გარეშე გაქვითა ამ უკანასკნელის იმ მოთხოვნის მიმართ,

რომელიც არ მიეკუთვნება სამკვიდრო ქონებას, მაშინ სამკვიდრო ქონების მართვის დადგენის ან სამკვიდრო ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შემდეგ გაქვითვა მიიჩნევა განუხორციელებლად.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ კრედიტორმა, რომელიც არ წარმოადგენს სამკვიდრო ქონების კრედიტორს, მემკვიდრის მიმართ თავისი მოთხოვნა გაქვითა სამკვიდრო ქონებაში შემავალი მოთხოვნის მიმართ.

§ 1978. მემკვიდრის პასუხისმგებლობა თავდაპირველი მართვისათვის, ხარჯების ანაზღაურება
(1) თუ დადგენილია სამკვიდრო ქონების მართვა ან სამკვიდრო ქონებაზე გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება, მაშინ მემკვიდრე პასუხისმგებელია სამკვიდრო ქონების კრედიტორების წინაშე სამკვიდრო ქონების თავდაპირველი მართვისათვის ისე, თითქოს მას სამკვიდროს მიღების მომენტიდან უნდა განეხორციელებინა მართვა კრედიტორების სასარგებლოდ როგორც რწმუნებულს. სამკვიდროს მიღებამდე მემკვიდრის მიერ სამკვიდროს საქმეების წარმოების მიმართ შესაბამისად გამოიყენება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმები.
(2) 1-ლი ნაწილის თანახმად სამკვიდრო ქონების კრედიტორების კუთვნილი მოთხოვნის უფლებები ითვლება სამკვიდრო ქონებაში შესულად.
(3) ხარჯები მემკვიდრეს უნდა აუნაზღაურდეს სამკვიდრო ქონებიდან, რამდენადაც იგი შეძლებდა ანაზღაურების გადახდის მოთხოვნას დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების თანახმად.

§ 1979. სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვა
მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვა სამკვიდრო ქონების კრედიტორების მიმართ ითვლება განხორციელებულად სამკვიდრო ქონების ხარჯზე, თუ გარემოებებიდან გამომდინარე მემკვიდრეს შეეძლო ევარაუდა, რომ სამკვიდრო ქონება საკმარისია სამკვიდრო ქონების ყველა ვალდებულების შესრულებისათვის.

§ 1980. სამკვიდრო ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განცხადება
(1) თუ მემკვიდრემ შეიტყო სამკვიდრო ქონების გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების შესახებ, მაშინ მან დაუყოვნებლივ უნდა წარადგინოს სამკვიდრო ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის განცხადება. თუ იგი არღვევს ამ მოვალეობას, მაშინ იგი პასუხისმგებელია კრედიტორების წინაშე ამის შედეგად მიყენებული ზიანისათვის. სამკვიდრო ქონების საკმარისობის შეფასებისას საანდერძო დანაკისრებიდან და ვალდებულების დაკისრებებიდან გამომდინარე ვალდებულებები მხედველობაში არ მიიღება.
(2) გადახდისუუნარობის ან ზედავალიანების შესახებ ინფორმაციის მიღებას უთანაბრდება ინფორმაციის არქონა გაუფრთხილებლობის შედეგად. გაუფრთხილებლობად, კერძოდ, მიიჩნევა ისეთი შემთხვევები, როდესაც მემკვიდრე არ წარადგენს განცხადებას სამკვიდრო ქონების კრედიტორების მოწვევის შესახებ, თუმცა, მას აქვს საფუძველი, ივარაუდოს სამკვიდრო ქონების მისთვის უცნობი ვალდებულებების არსებობის შესახებ; მოწვევა აუცილებელი არ არის, თუ პროცესუალური ხარჯები შეუსაბამოდ დიდია არსებულ სამკვიდრო ქონებასთან შედარებით.

§ 1981. სამკვიდრო ქონების მართვის დადგენა

(1) სამკვიდრო ქონების მართვა დგინდება სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს მიერ, თუ მემკვიდრე წარადგენს განცხადებას მართვის დადგენის მოთხოვნით.

(2) სამკვიდრო ქონების მართვა დგინდება სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს მიერ სამკვიდრო ქონების კრედიტორების განცხადების საფუძველზე, თუ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ მემკვიდრის მოქმედების ან მისი ქონებრივი მდგომარეობის გამო ექმნება საფრთხე სამკვიდრო ქონებიდან ამ უკანასკნელის კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებას. განცხადების წარდგენა აღარ შეიძლება, თუ სამკვიდროს მიღებიდან გასულია ორი წელი.

(3) §1785 ნორმა არ გამოიყენება.

§ 1982. სამკვიდრო ქონების მართვის დადგენაზე უარი სამკვიდრო მასის არარსებობის გამო

სამკვიდრო ქონების მართვის დადგენაზე შეიძლება ითქვას უარი, თუ სახეზე არ არის ხარჯების დაფარვისათვის საკმარისი სამკვიდრო მასა.

§ 1983. საჯარო შეტყობინება

სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ სამკვიდრო ქონების მართვის შესახებ დადგენილება უნდა გამოაქვეყნოს გაზეთში, რომელიც გათვალისწინებულია დადგენილების გამოქვეყნებისათვის.

§ 1984. სასამართლოს დადგენილების სამართლებრივი ძალა

(1) სამკვიდრო ქონების მართვის დადგენით მემკვიდრე კარგავს სამკვიდრო ქონების მართვისა და განკარგვის უფლებას. შესაბამისად გამოიყენება "გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ" კანონის (Insolvenzordnung) §§81 და 82. სამკვიდრო ქონების მიმართ მოთხოვნის უფლება შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ სამკვიდრო ქონების მმართველის მიერ.

(2) გამორიცხულია სამკვიდრო ქონების მიმართ იძულებითი აღსრულების და ყადაღის დადების განხორციელება იმ კრედიტორის სასარგებლოდ, რომელიც არ წარმოადგენს სამკვიდრო ქონების კრედიტორს.

§ 1985. სამკვიდრო ქონების მმართველის მოვალეობები და პასუხისმგებლობა

(1) სამკვიდრო ქონების მმართველმა უნდა მართოს სამკვიდრო ქონება და ამ უკანასკნელიდან განახორციელოს სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვა.

(2) სამკვიდრო ქონების მმართველი პასუხისმგებელია ასევე სამკვიდრო ქონების კრედიტორების წინაშე სამკვიდრო ქონების მართვისათვის. შესაბამისად გამოიყენება §1978 მე-2 ნაწილისა და §§1979, 1980 ნორმები.

§ 1986. სამკვიდრო ქონების გადაცემა

(1) სამკვიდრო ქონების მმართველს შეუძლია სამკვიდრო ქონების მემკვიდრისათვის გადაცემა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც შესრულდება სამკვიდრო ქონების ცნობილი ვალდებულებები.

(2) თუ ვალდებულების შესრულება მოცემულ მომენტში შეუძლებელია ან თუ ვალდებულება სადავოა, მაშინ სამკვიდრო ქონების გადაცემა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორს წარედგინება უზრუნველყოფა. პი-

რობითი მოთხოვნისათვის უზრუნველყოფის წარდგენა აუცილებელი არ არის, თუ პირობის დადგომის შესაძლებლობა იმდენად შორია, რომ მოცემულ მომენტში მოთხოვნას არა აქვს ქონებრივი ღირებულება.

§ 1987. სამკვიდრო ქონების მმართველისათვის საზღაურის გადახდა
დაკისრებული მოვალეობების განხორციელებისათვის სამკვიდრო ქონების მმართველს შეუძლია მოითხოვოს სათანადო საზღაურის გადახდა.

§ 1988. სამკვიდრო ქონების მართვის შეწყვეტა და გაუქმება
(1) სამკვიდრო ქონების მართვა წყდება სამკვიდრო ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნით.
(2) სამკვიდრო ქონების მართვა შეიძლება გაუქმდეს, თუ სახეზე არ არის ხარჯების დაფარვისათვის საკმარისი სამკვიდრო მასა.

§ 1989. მემკვიდრის შესაგებელი სამკვიდრო ქონების ამოწურვის გამო (Erschöpfungseinrede)
თუ სამკვიდრო ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოება წყდება სამკვიდრო მასის განაწილების ან გაკოტრების გეგმის დამტკიცების შედეგად, მაშინ მემკვიდრის პასუხისმგებლობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება §1973 ნორმა.

§ 1990. მემკვიდრის შესაგებელი სამკვიდრო ქონების უკმარისობის გამო (Dürftigkeitseinrede)
(1) თუ სამკვიდრო ქონების მართვის დადგენა ან სამკვიდრო ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა მიზანშეწონილი არ არის ხარჯების დაფარვისათვის საკმარისი სამკვიდრო მასის არარსებობის გამო ანდა თუ აღნიშნული საფუძვლით სამკვიდრო ქონების მართვა გაუქმდა ან გაკოტრების საქმის წარმოება შეწყდა, მაშინ მემკვიდრეს შეუძლა უარი თქვას სამკვიდრო ქონების კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რამდენადაც სამკვიდრო ქონება საკმარისი არ არის. ამ შემთხვევაში მემკვიდრე ვალდებულია, იძულებითი აღსრულების პროცესში სამკვიდრო ქონება გადასცეს კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით.
(2) მემკვიდრის უფლება არ გამოირიცხება იმის გამო, რომ სამკვიდროს გახსნის შემდეგ კრედიტორმა იძულებითი აღსრულების ან ყადაღის დადების პროცესში შეიძინა გირავნობის უფლება ან იპოთეკა ანდა მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინებით მიაღწია საადგილმამულო რეესტრში წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაციას.

§ 1991. სამკვიდრო ქონების უკმარისობის გამო შესაგებლის შედეგები
(1) თუ მემკვიდრე განახორციელებს §1900 თანახმად თავის კუთვნილ უფლებას, მაშინ მისი პასუხისმგებლობისა და მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიმართ გამოიყენება §§1978, 1979 ნორმები.
(2) სამკვიდროს გახსნის შედეგად უფლებისა და ვალის ან უფლებისა და უფლებრივი ტვირთის ერთი პირის ხელში აღმოჩენის გამო შეწყვეტილი სამართლებრივი ურთიერთობები კრედიტორსა და მემკვიდრეს შორის არ მიიჩნევა შეწყვეტილად.
(3) კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც მემკვიდრეს ეკისრება გამორიცხული კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, აქვს იგივე ძალა, როგორც სხვა კრედიტორის მიმართ მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

(4) სავალდებულო წილიდან გამომდინარე უფლებებიდან, საანდერძო დანაკისრებებიდან და ვალდებულების დაკისრებებიდან გამომდინარე ვალდებულებები მემკვიდრემ უნდა შეასრულოს იმგვარად, თითქოს ისინი უნდა გადახდილიყო გაკოტრების საქმის წარმოების შემთხვევაში.

§ 1992. ზედავალიანება საანდერძო დანაკისრებებისა და ვალდებულების დაკისრებების შედეგად

თუ სამკვიდრო ქონების ზედავალიანება წარმოიშვა საანდერძო დანაკისრებებისა და ვალდებულების დაკისრებების შედეგად, მაშინ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სახეზე არ არის §1990 გათვალისწინებული წინაპირობები, მემკვიდრე უფლებამოსილია, განახორციელოს აღნიშნული ვალდებულებების შესრულება §§1990, 1991 ნორმების თანახმად. მას შეუძლია თავიდან აიცილოს სახეზე არსებული სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შემავალი საგნების დაბრუნება მათი ღირებულების გადახდით.

ქვეკარი 4. საინვენტარიზაციო აღწერის შედგენა, მემკვიდრის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა

§ 1993. საინვენტარიზაციო აღწერის შედგენა

მემკვიდრე უფლებამოსილია, სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს წარუდგინოს სამკვიდრო ქონების აღწერა (საინვენტარიზაციო აღწერა) (საინვენტარიზაციო აღწერის შედგენა).

§ 1994. საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადა

(1) სამკვიდრო ქონების კრედიტორის განცხადების საფუძველზე სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ მემკვიდრეს უნდა განუსაზღვროს ვადა საინვენტარიზაციო აღწერის შედგენისათვის (საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადა). ვადის გასვლის შემდეგ მემკვიდრე სამკვიდრო ქონების ვალებისათვის პასუხს აგებს შეუზღუდავად, თუ საინვენტარიზაციო აღწერა არ არის შედგენილი ამ მომენტამდე.

(2) განმცხადებელმა თავისი მოთხოვნის დადასტურებისათვის უნდა წარადგინოს საკმარისი მტკიცებულებები. ვადის განსაზღვრის ძალმოსილებისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ მოთხოვნა არ არსებობს.

§ 1995. ვადის ხანგრძლივობა

(1) საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადა უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, ერთ თვეს და მაქსიმუმ სამ თვეს.

(2) თუ ვადა დგინდება სამკვიდროს მიღებამდე, მაშინ ვადის დენა იწყება მხოლოდ სამკვიდროს მიღების მომენტიდან.

(3) მემკვიდრის განცხადების საფუძველზე სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს შეუძლია თავისი შეხედულებით გაზარდოს საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადა.

§ 1996. ახალი ვადის დადგენა

(1) თუ მემკვიდრეს ბრალის გარეშე ხელი შეეშალა საინვენტარიზაციო აღწერის დროულ შედგენაში, გარემოებებიდან გამომდინარე გამართლებული საინვენტარი-

ზაციო აღწერის შედგენის ვადის გახანგრძლივების შესახებ განცხადების წარდგენაში ან მე-2 ნაწილში გათვალისწინებული ორკვირიანი ვადის დაცვაში, მაშინ სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ მისი განცხადების საფუძველზე მას უნდა განუსაზღვროს საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ახალი ვადა.
(2) განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს ხელისშემშლელი გარემოების აღმოფხვრის შემდეგ ორი კვირის განმავლობაში და თავდაპირველად დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ არაუგვიანეს ერთი წლის გასვლისა.
(3) გადაწყვეტილების მიღებამდე შეძლებისდაგვარად უნდა მოუსმინონ სამკვიდრო ქონების იმ კრედიტორს, რომლის განცხადების საფუძველზეც დადგენილ იქნა თავდაპირველი ვადა.

§ 1997. ვადის დენის შეჩერება
საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადისა და §1996 მე-2 ნაწილში გათვალისწინებული ორკვირიანი ვადის დენის მიმართ შესაბამისად გამოიყენება §210 გათვალისწინებული ხანდაზმულობის შესახებ ნორმები.

§ 1998. მემკვიდრის გარდაცვალება ვადის გასვლამდე
თუ მემკვიდრე გარდაიცვლება საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადის ან §1996 მე-2 ნაწილში გათვალისწინებული ორკვირიანი ვადის გასვლამდე, მაშინ ვადის დენა არ წყდება მემკვიდრის კუთვნილ სამკვიდროზე უარის თქმისათვის გათვალისწინებული ვადის გასვლამდე.

§ 1999. სასამართლოსათვის წარდგენილი შეტყობინება
თუ მემკვიდრე იმყოფება მშობლის ზრუნვის ან მეურვეობის ქვეშ, მაშინ სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ უნდა შეატყობინოს საოჯახო საქმეთა სასამართლოს საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადის დადგენის შესახებ. თუ სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული საკითხი შედის მემკვიდრის მზრუნველის მოვალეობათა წრეში, საოჯახო საქმეთა სასამართლოს ადგილს იკავებს მზრუნველობის საქმეთა სასამართლო.

§ 2000. სამართლებრივი ძალის არმქონე ვადის დადგენა
საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადის დადგენა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ დგინდება სამკვიდრო ქონების მართვა ან სამკვიდრო ქონებაზე იხსნება გაკოტრების საქმის წარმოება. სამკვიდრო ქონების მართვის ან სამკვიდრო ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების განმავლობაში საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადის დადგენა დაუშვებელია. თუ სამკვიდრო ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოება წყდება სამკვიდრო მასის განაწილების ან გაკოტრების გეგმის დამტკიცების შედეგად, მაშინ შეუზღუდავი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისათვის საინვენტარიზაციო აღწერის შედგენა აუცილებელი არ არის.

§ 2001. საინვენტარიზაციო აღწერის შინაარსი
(1) საინვენტარიზაციო აღწერაში სრულად უნდა მიეთითოს სამკვიდროს გახსნის მომენტში არსებული სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შემავალი საგნები და ვალდებულებები.
(2) გარდა ამისა, საინვენტარიზაციო აღწერა უნდა შეიცავდეს სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შემავალი საგნების ჩამონათვალს, რამდენადაც აღნიშნული აუცი-

ლებელია მათი ღირებულების განსაზღვრისათვის, და ასევე – მითითებას საგნების ღირებულების შესახებ.

§ 2002. საინვენტარიზაციო აღწერის შედგენა მემკვიდრის მიერ
საინვენტარიზაციო აღწერის შედგენაში მემკვიდრემ უნდა ჩართოს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანო ან თანამდებობის პირი ანდა ნოტარიუსი.

§ 2003. საინვენტარიზაციო აღწერის ოფიციალურად შედგენა
(1) მემკვიდრის განცხადების საფუძველზე სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ თავად უნდა შეადგინოს საინვენტარიზაციო აღწერა ან მისი შედგენა დაავალოს კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანდა ნოტარიუსს. განცხადების წარდგენით შენარჩუნდება საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადა.
(2) მემკვიდრე ვალდებულია, წარადგინოს საინვენტარიზაციო აღწერისათვის აუცილებელი ინფორმაცია.
(3) კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის ანდა ნოტარიუსის მიერ საინვენტარიზაციო აღწერა უნდა წარედგინოს სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს.

§ 2004. მითითება არსებულ საინვენტარიზაციო აღწერაზე
თუ §§2002, 2003 ნორმების შესაბამისი საინვენტარიზაციო აღწერა უკვე არსებობს სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოში, მაშინ საკმარისია მემკვიდრემ საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადის გასვლამდე განუცხადოს სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს იმის შესახებ, რომ საინვენტარიზაციო აღწერა უნდა ჩაითვალოს მის მიერ წარდგენილად.

§ 2005. მემკვიდრის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა საინვენტარიზაციო აღწერის უსწორობის შემთხვევაში
(1) თუ მემკვიდრე საინვენტარიზაციო აღწერაში განზრახ უშვებს სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შემავალი საგნების შესახებ ინფორმაციის მნიშვნელოვანად არასრულად შეტანას ან სამკვიდრო ქონების კრედიტორებისათვის ზიანის მიყენების განზრახვით საინვენტარიზაციო აღწერაში შეაქვს სამკვიდრო ქონების არარსებული ვალდებულებები, მაშინ იგი სამკვიდრო ქონების ვალებისათვის პასუხს აგებს შეუზღუდავად.
(2) თუ სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შემავალი საგნების შესახებ ინფორმაცია არასრულია სხვა მიზეზით, ვიდრე ეს გათვალისწინებულია 1-ლ ნაწილში, მაშინ მემკვიდრეს საინვენტარიზაციო აღწერის შედგენისათვის შეიძლება განესაზღვროს ახალი ვადა.

§ 2006. ფიცის ტოლფასი დადასტურება
(1) სამკვიდრო ქონების კრედიტორების მოთხოვნის საფუძველზე მემკვიდრემ სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს ოქმში შეტანილი ფიცის ტოლფასი განცხადებით უნდა დაადასტუროს, რომ მან სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შემავალი საგნების შესახებ ინფორმაცია კეთილსინდისიერად მიუთითა იმდენად სრულყოფილად, რამდენადაც მას ეს შეეძლო.
(2) ფიცის ტოლფასი განცხადებით დადასტურებამდე მემკვიდრეს შეუძლია საინვენტარიზაციო აღწერა შეავსოს დამატებითი ინფორმაციით.

(3) თუ მემკვიდრე უარს აცხადებს ფიცის ტოლფასი განცხადებით დადასტურებაზე, მაშინ იგი პასუხს აგებს შეუზღუდავად იმ კრედიტორის წინაშე, ვინც წარადგენს განცხადებას. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მემკვიდრე არ გამოცხადდება როგორც ძირითად სასამართლოს სხდომაზე, ისე კრედიტორის განცხადების საფუძველზე დანიშნულ ახალ სასამართლოს სხდომაზე გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საფუძველი, რის გამოც მემკვიდრის აღნიშნულ სასამართლოს სხდომაზე არგამოცხადება საკმარისად საპატიოდ მიიჩნევა.
(4) ფიცის ტოლფასი განცხადებით იმავე ან სხვა კრედიტორს განმეორებითი დადასტურება შეუძლიათ მოითხოვონ მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ ფიცის ტოლფასი განცხადებით დადასტურების შემდეგ მემკვიდრისათვის ცნობილი გახდა სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შემავალი სხვა საგნების არსებობის შესახებ.

§ 2007. მემკვიდრის პასუხისმგებლობა რამდენიმე სამკვიდრო წილის შემთხვევაში
თუ მემკვიდრე მოიწვევა რამდენიმე სამკვიდრო წილის მიღებაზე, მაშინ სამკვიდრო ქონების ვალებისათვის მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება თითოეული მათგანის მიმართ ისე, თითქოს სამკვიდრო წილები ეკუთვნოდეს სხვადასხვა მემკვიდრეს. სამკვიდრო წილების მიმატებისა (Anwachsung) და §1935 გათვალისწინებულ შემთხვევებში, აღნიშნული წესი მოქმედებს მხოლოდ იმ პირობით, რომ სამკვიდრო წილები განსხვავებულად არის დატვირთული.

§ 2008. იმ სამკვიდროს საინვენტარიზაციო აღწერა, რომელიც განეკუთვნება მეუღლეთა საერთო ქონებას
(1) თუ მემკვიდრეს წარმოადგენს მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმში მცხოვრები მეუღლე და სამკვიდრო მიეკუთვნება მეუღლეთა საერთო ქონებას, მაშინ საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადის დადგენა სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვადის დადგენა ხდება ასევე მეორე მეუღლის მიმართაც, რამდენადაც ეს უკანასკნელი მეუღლეთა საერთო ქონებას მართავს ერთპიროვნულად ან თავის მეუღლესთან ერთად. სანამ მეორე მეუღლის მიმართ ვადა არ არის გასული, იგი არ წყდება ასევე იმ მეუღლის მიმართ, რომელიც წარმოადგენს მემკვიდრეს. მეორე მეუღლის მიერ შედგენილი საინვენტარიზაციო აღწერის გამოყენება შეუძლია იმ მეუღლესაც, რომელიც წარმოადგენს მემკვიდრეს.
(2) 1-ლი ნაწილის ნორმები მოქმედებს ასევე მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შემდეგ.

§ 2009. საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის შედეგები
თუ საინვენტარიზაციო აღწერა შედგენილ იქნა დროულად, მაშინ მემკვიდრესა და სამკვიდრო ქონების კრედიტორებს შორის ურთიერთობის მიმართ ივარაუდება, რომ სამკვიდროს გახსნის მომენტში არ არსებობს სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შემავალი სხვა საგნები, გარდა მითითებულისა.

§ 2010. საინვენტარიზაციო აღწერის შემოწმება
სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ უნდა დართოს განცხადების საინვენტარიზაციო აღწერის გაცნობის ნება ნებისმიერ იმ პირს, ვინც წარადგენს საკმარის მტკიცებულებებს თავისი კანონიერი ინტერესის დასადასტურებლად.

§ 2011. საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადის არარსებობა ხაზინის როგორც მემკვიდრის მიმართ

ხაზინის როგორც მემკვიდრის მიმართ საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადის დადგენა დაუშვებელია. ხაზინა ვალდებულია, სამკვიდრო ქონების კრედიტორებს მიაწოდოს ინფორმაცია სამკვიდრო ქონების შემადგენლობის შესახებ.

§ 2012. საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადის არარსებობა სამკვიდრო ქონების მეურვისა და სამკვიდრო ქონების მმართველის მიმართ

(1) §§1960, 1961 თანახმად დანიშნული სამკვიდრო ქონების მეურვის მიმართ საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადის დადგენა დაუშვებელია. სამკვიდრო ქონების მეურვე ვალდებულია, სამკვიდრო ქონების კრედიტორებს მიაწოდოს ინფორმაცია სამკვიდრო ქონების შემადგენლობის შესახებ. სამკვიდრო ქონების მეურვეს არ შეუძლია მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე უარის განცხადება.
(2) აღნიშნული ნორმები მოქმედებს ასევე სამკვიდრო ქონების მმართველის მიმართ.

§ 2013. მემკვიდრის შეუზღუდავი პასუხისმგებლობის შედეგები

(1) თუ მემკვიდრე სამკვიდრო ქონების ვალებისათვის პასუხს აგებს შეუზღუდავად, მაშინ §§1973-1975, 1977-1980, 1989-1992 ნორმები არ გამოიყენება; მემკვიდრე არ არის უფლებამოსილი, წარადგინოს განცხადება სამკვიდრო ქონების მართვის დადგენის მოთხოვნით. თუმცა, მემკვიდრეს შეუძლია მიუთითოს §1973 ან §1974 თანახმად დამდგარი პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე, თუ მოგვიანებით დგება §1994 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადებით ან §2005 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა.
(2) §§1977-1980 ნორმები და მემკვიდრის უფლება, წარადგინოს განცხადება სამკვიდრო ქონების მართვის დადგენის მოთხოვნით არ გამოირიცხება იმის გამო, რომ მემკვიდრე სამკვიდრო ქონების ცალკეული კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს შეუზღუდავად.

ქვეკარი 5. შესაგებელი, რომელსაც შედეგად მოყვება ვალის დაფარვის გადავადება (Aufschiebende Einreden)

§ 2014. ვალების დაფარვაზე უარის უფლება პირველი სამი თვის ვადის გასვლამდე (Dreimonatseinrede)

მემკვიდრე უფლებამოსილია, უარი თქვას სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვაზე სამკვიდროს მიღებიდან პირველი სამი თვის ვადის გასვლამდე, მაგრამ არაუგვიანეს საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის მომენტისა.

§ 2015. ვალების დაფარვაზე უარის უფლება გამოწვევითი წარმოების დასრულებამდე (Einrede des Aufgebotsverfahrens)

(1) თუ მემკვიდრემ სამკვიდროს მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში წარადგინა განცხადება გამოწვევითი წარმოების აღძვრის შესახებ და ეს განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში, მაშინ მემკვიდრე უფლებამოსილია, უარი თქვას სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვაზე გამოწვევითი წარმოების დასრულებამდე.
(2) *(გაუქმებულია)*
(3) თუ გამოწვევითი წარმოების საქმეზე მიიღება განჩინება ან გამოწვევითი წარმოების საქმეზე განჩინების მიღების შესახებ მემკვიდრის განცხადებაზე ითქვა უარი,

მაშინ გამოწვევითი წარმოება ჩაითვლება შეწყვეტილად მხოლოდ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

§ 2016. შესაგებლის წარდგენის გამორიცხვა მემკვიდრის შეუზღუდავი პასუხისმგებლობის შემთხვევაში
(1) §§2014, 2015 ნორმები არ გამოიყენება, თუ მემკვიდრე პასუხს აგებს შეუზღუდავად.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ §1971 თანახმად სამკვიდრო ქონების კრედიტორების მოწვევა არ ეხება ასეთ კრედიტორს იმ პირობით, რომ მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ იძულებითი აღსრულების ან ყადაღის დადების პროცესში შეძენილი უფლება, ისევე როგორც აღნიშნული მომენტის შემდეგ მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინებით საადგილმამულო რეესტრში განხორციელებული წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაცია მხედველობაში არ მიიღება.

§ 2017. ვადის დენის დაწყება სამკვიდრო ქონებაზე მეურვეობის შემთხვევაში
თუ სამკვიდროს მიღებამდე სამკვიდრო ქონების მართვისათვის ინიშნება სამკვიდრო ქონებაზე მეურვე, მაშინ §2014 და §2015 1-ლ ნაწილში გათვალისწინებული ვადების დენა იწყება მეურვის დანიშვნის მომენტიდან.

კარი 3. სამკვიდროსთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლება (Erbschaftsanspruch)

§ 2018. სამკვიდროს მფლობელის მიერ სამკვიდრო ქონებაში შემავალი საგნების უკან დაბრუნების ვალდებულება
მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს მიღებულის უკან დაბრუნება ნებისმიერი იმ პირისაგან, რომელმაც სამკვიდროდან რაიმე მიიღო იმ უფლების საფუძველზე, რომელიც სინამდვილეში მას არ ეკუთვნის (სამკვიდროს მფლობელი).

§ 2019. პირდაპირი სუროგაცია
(1) სამკვიდროდან მიღებულად ითვლება ასევე ის საგანი, რომელსაც სამკვიდროს მფლობელი სამკვიდრო ქონების ხარჯზე გარიგებით იძენს.
(2) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე შეიტყობს, რომ აღნიშნული ხერხით შეძენილი მოთხოვნა ხდება სამკვიდროს ნაწილი, ეს მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს მოვალის მიმართ; შესაბამისად გამოიყენება §§406-408 ნორმები.

§ 2020. ნივთით სარგებლობის შედეგად მიღებული სარგებელი და ნაყოფი
სამკვიდროს მფლობელმა უნდა დაუბრუნოს მემკვიდრეს ნივთის გამოყენების შედეგად მიღებული სარგებელი; უკან დაბრუნების ვალდებულება ვრცელდება ასევე იმ ნაყოფზე, რომელზეც მან მოიპოვა საკუთრების უფლება.

§ 2021. სამკვიდრო ქონებაში შემავალი საგნების უკან დაბრუნების ვალდებულება უსაფუძვლო გამდიდრების წესების თანახმად
რამდენადაც სამკვიდროს მფლობელი უუნაროა, დააბრუნოს ნივთით სარგებლობის შედეგად მიღებული სარგებელი, მისი ვალდებულება განისაზღვრება უსაფუძვლო გამდიდრების წესების შესაბამისად.

§ 2022. გაწეული ხარჯების ანაზღაურება

(1) სამკვიდროს მფლობელმა უნდა დააბრუნოს სამკვიდროს მიკუთვნებული ნივთები მხოლოდ ყველა გაწეული ხარჯის ანაზღაურების სანაცვლოდ, რამდენადაც ეს ხარჯები არ იფარება §2021 თანახმად გადასაცემი უსაფუძვლოდ მიღებულის გათვალისწინებით. გამოიყენება სავიდიკაციო სარჩელის მიმართ მოქმედი §§1000-1003 ნორმები.

(2) გაწეულ ხარჯებს მიეკუთვნება ასევე ხარჯები, რომლებსაც სამკვიდროს მფლობელი სწევს სამკვიდროს ვალების დაფარვისა თუ სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვისათვის.

(3) რამდენადაც მემკვიდრემ ზოგადი წესების თანახმად ხარჯები უნდა აანაზღაუროს უფრო მეტი მოცულობით, ვიდრე უბრალოდ ცალკეულ ნივთებთან დაკავშირებით, – კერძოდ კი, მე-2 ნაწილში მითითებული ხარჯები, – სამკვიდროს მფლობელის მოთხოვნის უფლება უცვლელი რჩება.

§ 2023. პასუხისმგებლობა სასამართლოში საქმის დაწყებისას, ნივთით სარგებლობის შედეგად მიღებული სარგებელი და ხარჯები

(1) თუ სამკვიდროს მფლობელმა უნდა დააბრუნოს სამკვიდროს მიკუთვნებული ნივთები, მაშინ სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების მომენტიდან კრედიტორის მოთხოვნის უფლება იმ ზარალის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც გამოწვეულია საგნის გაუარესებით, განადგურებით ან სხვა მიზეზით გამოწვეული საგნის დაბრუნების შეუძლებლობით, – წესრიგდება მესაკუთრესა და მფლობელს შორის ურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმებით სავიდიკაციო სარჩელით აღძრული სასამართლოში საქმის განხილვის დაწყების მომენტიდან.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს ნივთის უკან დაბრუნების ან ნივთით სარგებლობის შედეგად მიღებული სარგებლის ანაზღაურების თაობაზე მემკვიდრის მოთხოვნის უფლებისა და გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მოვალის მოთხოვნის უფლების მიმართაც.

§ 2024. პასუხისმგებლობა იმ ფაქტის შესახებ ცნობის შემთხვევაში, რომ სამკვიდროს მფლობელი არ არის მემკვიდრე

თუ სამკვიდროს მფლობელი არ არის კეთილსინდისიერი სამკვიდროს ფლობის დაწყების მომენტში, მაშინ იგი პასუხს აგებს ისე, თითქოს მემკვიდრის მოთხოვნის უფლება ამ მომენტში სასამართლო წესით იხილებოდა. თუ სამკვიდროს მფლობელი მოგვიანებით აღმოაჩენს, რომ იგი არ არის მემკვიდრე, მაშინ იგი ანალოგიურად პასუხს აგებს იმ მომენტიდან, როდესაც მან ამის შესახებ შეიტყო. ვადის გადაცილების გამო მფლობელის უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა უცვლელი რჩება.

§ 2025. პასუხისმგებლობა დელიქტის შემთხვევაში

თუ სამკვიდროს მფლობელმა სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი საგანი შეიძინა დანაშაულის ჩადენის, ხოლო სამკვიდროს მიკუთვნებული ნივთი კი – აკრძალული თვითნებობის გზით, მაშინ იგი პასუხს აგებს დელიქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ ნორმების შესაბამისად. თუმცა, კეთილსინდისიერი სამკვიდროს მფლობელი აკრძალული თვითნებობისათვის პასუხს აგებს აღნიშნული ნორმების შესაბამისად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრემ უკვე მოიპოვა ნივთზე ფაქტობრივი მფლობელობა.

§ 2026. შეძენით ხანდაზმულობაზე მითითების შეუძლებლობა
მანამდე, სანამ სამკვიდროსთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლება არ გახდება ხანდაზმული, სამკვიდროს მფლობელს მემკვიდრის მიმართ არ შეუძლია იმ ნივთის ხანდაზმულობით შეძენაზე მითითება, რომელსაც იგი ფლობს როგორც სამკვიდროს მიკუთვნებულს.

§ 2027. სამკვიდროს მფლობელზე დაკისრებული შეტყობინების ვალდებულება
(1) სამკვიდროს მფლობელი ვალდებულია, მიაწოდოს მემკვიდრეს ინფორმაცია სამკვიდროს შემადგენლობისა და სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი საგნების ადგილმდებარეობის შესახებ.
(2) ანალოგიური ვალდებულება ეკისრება იმ პირს, რომელიც არ წარმოადგენს რა სამკვიდროს მფლობელს, მფლობელობაში იღებს ნივთს სამკვიდროს შემადგენლობიდან მანამდე, სანამ მემკვიდრემ მოიპოვა ნივთზე ფაქტობრივი მფლობელობა.

§ 2028. ოჯახში მაცხოვრებელზე დაკისრებული შეტყობინების ვალდებულება
(1) პირი, ვინც სამკვიდროს გახსნის მომენტში მემკვიდრესთან ერთად ცხოვრობდა საოჯახო კავშირში, ვალდებულია მოთხოვნის საფუძველზე მემკვიდრეს მიაწოდოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ სამემკვიდრეო საქმეებს აწარმოებდა იგი და რა არის მისთვის ცნობილი სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი საგნების ადგილმდებარეობის შესახებ.
(2) თუ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ ინფორმაცია არ იქნა მიწოდებული საჭირო გულისხმიერებით, მაშინ ვალდებულმა პირმა მემკვიდრის მოთხოვნის საფუძველზე ფიცის ტოლფასი განცხადებით ოქმში შეტანით უნდა დაადასტუროს, რომ მან თავისი მონაცემები კეთილსინდისიერად მიუთითა იმდენად სრულყოფილად, რამდენადაც მას ეს შეეძლო.
(3) გამოიყენება §259 მე-3 ნაწილისა და §261 ნორმები.

§ 2029. პასუხისმგებლობა მემკვიდრის ცალკეული მოთხოვნის უფლებების შემთხვევაში
სამკვიდროს მფლობელის პასუხისმგებლობა ასევე იმ მოთხოვნის უფლებების მიმართაც, რომლებიც სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალ საგნებთან დაკავშირებით ეკუთვნის მემკვიდრეს, განისაზღვრება სამკვიდროსთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლების მომწესრიგებელი ნორმებით.

§ 2030. სამკვიდროს შემძენის სამართლებრივი მდგომარეობა
პირი, ვინც სამკვიდროს მფლობელისაგან ხელშეკრულებით იძენს სამკვიდროს, მემკვიდრესთან მიმართებაში უთანაბრდება სამკვიდროს მფლობელს.

§ 2031. გარდაცვლილად აღიარებული პირის კუთვნილი ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება
(1) თუ პირი, ვინც აღიარებულია გარდაცვლილად ან რომლის გარდაცვალების მომენტი დგინდება "უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ" კანონის ნორმების თანახმად, ცოცხალი იქნება იმ მომენტში, რომელიც მიიჩნევა მისი გარდაცვალების მომენტად, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს თავისი ქონების უკან დაბრუნება სამკვიდროსთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლების მიმართ მოქმედი ნორმების შესაბამისად. მანამდე, სანამ იგი ჯერ კიდევ ცოცხალია, მისი მოთხოვნის უფლება არ ხდება

ხანდაზმული ერთი წლის ვადის გასვლამდე იმ მომენტიდან, როდესაც ეს პირი შეიტყობს გარდაცვლილად აღიარებისა თუ გარდაცვალების მომენტის დადგენის შესახებ.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ პირის გარდაცვალება არამართლზომიერად ივარაუდება გარდაცვლილად აღიარებისა თუ გარდაცვალების მომენტის დადგენის გარეშე.

კარი 4. მემკვიდრეთა სიმრავლე

ქვეკარი 1. სამართლებრივი ურთიერთობა მემკვიდრეებს შორის

§ 2032. მემკვიდრეთა გაერთიანება
(1) თუ მამკვიდრებელს რჩება რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ სამკვიდრო ქონება ხდება მემკვიდრეთა საერთო ქონება.
(2) სამკვიდრო ქონების გაყოფამდე მოქმედებს §§2033-2041 ნორმები.

§ 2033. თანამემკვიდრის მიერ წილის განკარგვის უფლება
(1) თითოეულ თანამემკვიდრეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი სამკვიდრო ქონებაში. ხელშეკრულება, რომლითაც თანამემკვიდრე განკარგავს თავის წილს, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.
(2) თანამემკვიდრეს არ შეუძლია განკარგოს თავისი წილი სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ საგნებში.

§ 2034. უპირატესი შესყიდვის უფლება გამყიდველის მიმართ
(1) თუ თანამემკვიდრე თავის წილს ყიდის მესამე პირზე, მაშინ დანარჩენ თანამემკვიდრეებს აქვთ ამ წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.
(2) უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებისათვის ვადა შეადგენს ორ თვეს. უპირატესი შესყიდვის უფლება ექვემდებარება მემკვიდრეობით გადაცემას.

§ 2035. უპირატესი შესყიდვის უფლება მყიდველის მიმართ
(1) თუ გაყიდული წილი გადაეცა მყიდველს, მაშინ თანამემკვიდრეებს შეუძლიათ §2034 თანახმად გამყიდველის მიმართ კუთვნილი უპირატესი შესყიდვის უფლება განახორციელონ მყიდველის მიმართ.
(2) გამყიდველმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს თანამემკვიდრეებს წილის გადაცემის შესახებ.

§ 2036. სამკვიდრო ქონებაში წილის მყიდველის პასუხისმგებლობა
თანამემკვიდრეებისათვის წილის გადაცემით მყიდველი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან სამკვიდრო ქონების ვალების გადაუხდელობისათვის. თუმცა, მისი პასუხისმგებლობა შენარჩუნდება, თუ იგი პასუხისმგებელია სამკვიდრო ქონების კრედიტორების წინაშე §§1978-1980 თანახმად; შესაბამისად გამოიყენება §§1990, 1991 ნორმები.

§ 2037. სამკვიდრო ქონებაში წილის შემდგომი გასხვისება
თუ მყიდველი წილს გადასცემს სხვა პირს, მაშინ შესაბამისად გამოიყენება §§2033, 2035, 2036 ნორმები.

§ 2038. სამკვიდრო ქონების ერთობლივი მართვა
(1) მემკვიდრეებს აქვთ სამკვიდრო ქონების ერთობლივი მართვის უფლება. თითოეული თანამემკვიდრე დანარჩენი თანამემკვიდრეების წინაშე ვალდებულია, ხელი შეუწყოს იმ ზომების მიღებას, რომლებიც აუცილებელია სათანადო მართვისათვის; ქონების შენარჩუნებისათვის აუცილებელი ზომების მიღება შეუძლია ნებისმიერ თანამემკვიდრეს დანარჩენი თანამემკვიდრეების ხელშეწყობის გარეშე.
(2) გამოიყენება §§743, 745, 746, 748 ნორმები. ნაყოფის განაწილება ხორციელდება მხოლოდ სამკვიდრო ქონების გაყოფისას. თუ სამკვიდრო ქონების გაყოფა გამორიცხულია ერთ წელზე მეტი ვადით, მაშინ ყოველი წლის გასვლის შემდეგ ნებისმიერ თანამემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს წმინდა მოგების განაწილება.

§ 2039. სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი მოთხოვნები
თუ მოთხოვნის უფლება მიეკუთვნება სამკვიდრო ქონებას, მაშინ ვალდებულ პირს შეუძლია ვალდებულების შესრულება მხოლოდ ერთობლივად ყველა მემკვიდრის მიმართ, ხოლო თითოეულ თანამემკვიდრეს შეუძლია ვალდებულების შესრულების მოთხოვნა მხოლოდ ყველა მემკვიდრის მიმართ. თითოეულ თანამემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს, რომ ნივთი, რომელიც წარმოადგენს ვალდებულების საგანს, გადაცემულ იქნეს შესანახად, ხოლო თუ იგი არ ექვემდებარება დეპონირებას, – გადაეცეს სასამართლოს მიერ დანიშნულ შემნახველს.

§ 2040. სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი საგნების განკარგვა, გაქვითვა
(1) მემკვიდრეებს შეუძლიათ სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი საგნების განკარგვა მხოლოდ ერთობლივად.
(2) მოვალეს არ შეუძლია სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული მოთხოვნის მიმართ კუთვნილი ცალკეული თანამემკვიდრის მიმართ არსებული მოთხოვნის გაქვითვა.

§ 2041. პირდაპირი სუროგაცია
სამკვიდრო ქონებას მიეკუთვნება ის, რაც შეძენილ იქნა სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული უფლების საფუძველზე ან სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის საზღაურის სახით ანდა სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული გარიგებით. აღნიშნული გარიგებით შეძენილი მოთხოვნის მიმართ გამოიყენება §2019 მე-2 ნაწილის ნორმა.

§ 2042. სამკვიდრო ქონების გაყოფა
(1) თითოეულ თანამემკვიდრეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს სამკვიდრო ქონების გაყოფა, თუ §§2043-2045 სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.
(2) გამოიყენება §749 მე-2 და მე-3 ნაწილებისა და §§750-758 ნორმები.

§ 2043. სამკვიდრო ქონების გაყოფის გადავადება
(1) თუ სამკვიდრო წილები ჯერ კიდევ დაუდგენელია თანამემკვიდრის მოსალოდნელი დაბადების გამო, სამკვიდრო ქონების გაყოფა გაურკვევლობის თავიდან აცილებამდე გამორიცხულია.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ სამკვიდრო წილები ჯერ კიდევ დაუდგენელია იმის გამო, რომ ჯერ არ არის მიღებული გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით, შვილად აყვანასთან დაკავშირებული ურთიერთობის გაუქმების ან მამკვიდრებლის მიერ დაფუძნებული ფონდის უფლებაუნარიანად აღიარების თაობაზე.

§ 2044. სამკვიდრო ქონების გაყოფის გამორიცხვა

(1) მამკვიდრებელს შეუძლია საანდერძო განკარგულებით გამორიცხოს სამკვიდრო ქონების გაყოფა მთლიან ქონებასთან ან ამ უკანასკნელში შემავალ ცალკეულ საგნებთან დაკავშირებით ანდა სამკვიდრო ქონების გაყოფა დამოკიდებული გახადოს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების ვადის დაცვაზე. შესაბამისად გამოიყენება §749 მე-2 და მე-3 ნაწილების, §§750, 751 და §1010 1-ლი ნაწილის ნორმები.

(2) განკარგულება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ სამკვიდროს გახსნიდან გასულია 30 წელი. თუმცა, მამკვიდრებელს შეუძლია განსაზღვროს, რომ განკარგულება მოქმედებს თანამემკვიდრის პიროვნებასთან დაკავშირებული განსაზღვრული შემთხვევის დადგომამდე ან იმ შემთხვევაში, თუ იგი ადგენს სუბსტიტუციას ან საანდერძო დანაკისრს, – სუბსტიტუციის დადგომამდე ან საანდერძო დანაკისრის გადაცემამდე. თუ თანამემკვიდრე, რომლის პიროვნებასთან დაკავშირებითაც უნდა დადგეს შედეგი, იურიდიული პირია, მაშინ გამოიყენება ოცდაათწლიანი ვადის შესახებ წესები.

§ 2045. სამკვიდრო ქონების გაყოფის გადავადება

თითოეულ თანამემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს სამკვიდრო ქონების გაყოფის გადავადება §1970 მიხედვით დაშვებული გამოწვევითი წარმოების დასრულებამდე ან §2061 განსაზღვრული შეტყობინების ვადის გასვლამდე. თუ გამოწვევითი წარმოების დაწყების შესახებ განცხადება ჯერ არ იქნა წარდგენილი ან §2061 თანახმად საჯარო შეთავაზება ჯერ არ გაკეთებულა, მაშინ გაყოფის გადავადება შეიძლება დაუყოვნებლივ იქნეს მოთხოვნილი მხოლოდ განცხადების წარდგენის ან საჯარო შეთავაზების გაკეთების შემთხვევაში.

§ 2046. სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვა

(1) სამკვიდრო ქონებიდან პირველ რიგში იფარება სამკვიდრო ქონების ვალები. თუ სამკვიდრო ქონების ვალების გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა ან ისინი სადავოა, მაშინ ვალის დაფარვისათვის აუცილებელი თანხა უნდა შენარჩუნდეს.

(2) თუ სამკვიდრო ქონების ვალები ეკისრებათ მხოლოდ ცალკეულ თანამემკვიდრეებს, მაშინ ამ უკანასკნელებს შეუძლიათ მოითხოვონ ვალების დაფარვა მხოლოდ სამკვიდრო ქონების იმ ნაწილის ფარგლებში, რომელსაც ისინი მიიღებენ სამკვიდრო ქონების გაყოფისას.

(3) რამდენადაც ეს საჭიროა, სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვისათვის სამკვიდრო ქონება ექვემდებარება ფულად თანხაში გამოხატვას.

§ 2047. დარჩენილი ქონების განაწილება

(1) სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვის შემდეგ დარჩენილი ქონება ეკუთვნის მემკვიდრეებს სამკვიდრო წილების პროპორციულად.

(2) მამკვიდრებლის პირად გარემოებებთან, მის ოჯახთან ან მთლიანად სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული დოკუმენტები რჩება საერთო საკუთრებად.

§ 2048. მამკვიდრებლის განკარგულებები სამკვიდრო ქონების გაყოფასთან დაკავშირებით

მამკვიდრებელს საანდერძო განკარგულებით შეუძლია მიიღოს განკარგულებები სამკვიდრო ქონების გაყოფასთან დაკავშირებით. კერძოდ, მას შეუძლია დაადგინოს, რომ სამკვიდრო ქონების გაყოფა განხორციელდეს მესამე პირის სამართლიანი შეხედულებით. მესამე პირის მიერ აღნიშნული განკარგულების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება მემკვიდრისათვის სავალდებულო არ არის, თუ იგი აშ-

კარად უსამართლოა; ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება სასამართლოს მიერ.

§ 2049. მამულის მიღება

(1) თუ მამკვიდრებელმა დაადგინა, რომ ერთ-ერთ თანამემკვიდრეს უნდა ჰქონდეს სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული მამულის მიღების უფლება, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ მამული უნდა შეფასდეს სამომავლო მოგების ღირებულების მიხედვით.

(2) სამომავლო მოგების ღირებულება განისაზღვრება იმ წმინდა მოგების მიხედვით, რომლის მიღება თავდაპირველი სამეურნეო დანიშნულების შესაბამისად მამულს შეუძლია ხანგრძლივი დროის განმავლობაში სათანადო მართვის შემთხვევაში.

§ 2050. შთამომავლების როგორც კანონით მემკვიდრეების წილთა გათანაბრების ვალდებულება

(1) შთამომავლები, რომლებიც სამკვიდროს მისაღებად მოიწვევიან კანონით მემკვიდრეების სახით, ვალდებულნი არიან, ერთმანეთს შორის სამკვიდრო ქონების გაყოფისას გათვალისწინონ ის, რაც მათ მამკვიდრებლის სიცოცხლეში ამ უკანასკნელისაგან მიიღეს გამოყოფილი აქტივის სახით, თუ მამკვიდრებელმა ქონების გადაცემისას სხვა წესი არ დაადგინა.

(2) სუბსიდიები, რომლებიც გაიცა მათი შემოსავლების სახით გამოყენების მიზნით, ისევე როგორც პროფესიული განათლების მიღებაზე გაწეული ხარჯები ექვემდებარება გათანაბრებას იმ შემთხვევაში, თუ ისინი აღემატებოდა იმ ოდენობას, რაც შეესაბამებოდა მამკვიდრებლის ქონებრივ მდგომარეობას.

(3) ცოცხალ პირთა შორის სხვა ქონებრივი გადაცემები ექვემდებარება გათანაბრებას, თუ მამკვიდრებელმა ქონების გადაცემისას დაადგინა წილთა გათანაბრების წესი.

§ 2051. წილთა გათანაბრების ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე აღარ არის შთამომავალი

(1) თუ სამკვიდროს გახსნამდე ან გახსნის შემდეგ სახეზე აღარ არის შთამომავალი, რომელიც მემკვიდრის მსგავსად ვალდებული იქნებოდა წილთა გათანაბრებაზე, მაშინ მისთვის განხორციელებული ქონებრივი გადაცემების შედეგად წილთა გათანაბრებაზე ვალდებულია ის შთამომავალი, რომელიც იკავებს მის ადგილს.

(2) თუ მამკვიდრებელმა იმ შთამომავალს, რომელიც სახეზე აღარ არის, დაუნიშნა სათადარიგო მემკვიდრე (Ersatzerbe), მაშინ საეჭვობისას ივარაუდება, რომ ეს უკანასკნელი არ მიიღებს იმაზე მეტს, ვიდრე მიიღებდა შთამომავალი წილთა გათანაბრების ვალდებულების გათვალისწინებით.

§ 2052. ანდერძით მემკვიდრე შთამომავლებზე დაკისრებული წილთა გათანაბრების ვალდებულება

თუ მამკვიდრებელმა შთამომავლები დანიშნა მემკვიდრეებად იმ ქონების მისაღებად, რასაც ისინი მიიღებდნენ როგორც კანონით მემკვიდრეები ან მან მათი სამკვიდრო წილები განსაზღვრა ისე, რომ შთამომავლებს ერთმანეთის მიმართ წილების იგივე შეფარდება აქვთ, როგორც კანონით მემკვიდრეობისას, მაშინ საეჭვობისას ივარაუდება, რომ შთამომავლები ვალდებულნი არიან წილთა გათანაბრებაზე §§2050, 2051 თანახმად.

§ 2053. ქონების გადაცემა შორეული ან შვილად აყვანილი შთამომავლისათვის

(1) ქონების გადაცემა, რომელიც მამკვიდრებლისგან მიიღო შორეულმა შთამომავალმა მისი მემკვიდრეობის გამომრიცხავი უახლოესი შთამომავლის გამორიცხვის ფაქტის დადგომამდე ან რომელიც მიიღო იმ შთამომავალმა, რომელიც იკავებს შთამომავლის ადგილს სუბსტიტუტის სახით, არ ექვემდებარება გათანაბრებას გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მამკვიდრებელმა ქონების გადაცემისას დაადგინა წილთა გათანაბრების წესი.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ შთამომავლმა მამკვიდრებლისგან ქონება მიიღო შთამომავლის სამართლებრივი მდგომარეობის მიღწევამდე.

§ 2054. ქონების გადაცემა მეუღლეთა საერთო ქონებიდან

(1) ქონების გადაცემა, რომელიც მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს ხორციელდება მეუღლეთა საერთო ქონებიდან, ჩაითვლება განხორციელებულად ყოველი მეუღლის მიერ თანაბარწილად. თუმცა, ქონების გადაცემა, რომელიც ხორციელდება მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის შთამომავლის მიმართ ან რის გამოც ერთერთმა მეუღლემ საერთო ქონების სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს კომპენსაცია, ითვლება ამ მეუღლის მიერ განხორციელებულად.

(2) აღნიშნული ნორმები შესაბამისად გამოიყენება მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დროს მეუღლეთა საერთო ქონებიდან განხორციელებული ქონებრივი გადაცემის მიმართ.

§ 2055. წილთა გათანაბრების განხორციელება

(1) სამკვიდრო ქონების გაყოფისას თითოეული თანამემკვიდრის წილის ანგარიშში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომლის წილთა გათანაბრებისათვის გადაცემა ევალება თანამემკვიდრეს. გადაცემული ქონების საერთო ღირებულება, რომელიც უნდა გადაეცეს წილთა გათანაბრებისათვის, ემატება სამკვიდრო ქონებას, რამდენადაც ეს უკანასკნელი გადადის იმ თანამემკვიდრეებზე, რომელთა შორისაც ადგილი აქვს წილთა გათანაბრებას.

(2) ღირებულება განისაზღვრება ქონების გადაცემის განხორციელების მომენტის მიხედვით.

§ 2056. ზედმეტად მიღებული ქონება

თუ ქონების გადაცემის შედეგად თანამემკვიდრემ მიიღო უფრო მეტი ქონება, ვიდრე იგი მიიღებდა სამკვიდრო ქონების გაყოფისას, მაშინ იგი ვალდებული არ არის, აანაზღაუროს ნამეტი თანხა. ამ შემთხვევაში სამკვიდრო ქონება დანარჩენ მემკვიდრეთა შორის ნაწილდება გადაცემული ქონებისა და თანამემკვიდრის სამკვიდრო წილის ღირებულების გათვალისწინების გარეშე.

§ 2057. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

თითოეული თანამემკვიდრე ვალდებულია, მოთხოვნის საფუძველზე დანარჩენ მემკვიდრეებს მიაწოდოს ინფორმაცია იმ ქონებრივი გადაცემების შესახებ, რომლებიც §§2050-2053 უნდა განხორციელდეს წილთა გათანაბრებისათვის. შესაბამისად გამოიყენება ფიცის ტოლფასი განცხადებით დადასტურების ვალდებულების შესახებ §§260, 261 ნორმები.

§ 2057ა. წილთა გათანაბრების ვალდებულება შთამომავლის მიერ განხორციელებული განსაკუთრებული ხასიათის მომსახურების გაწევის შემთხვევაში

(1) შთამომავალს, ვინც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მამკვიდრებლის ოჯახში, პროფესიულ ან სამეწარმეო საქმიანობაში თანამშრომლობის, მნიშვნელოვანი ფულადი გადახდებისა თუ სხვაგვარად მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობდა სამკვიდრო ქონების შენარჩუნებას ან გაზრდას, სამკვიდრო ქონების გაყოფისას შეუძლია მოითხოვოს წილთა გათანაბრება იმ შთამომავლებს შორის, რომლებიც მასთან ერთად სამკვიდროს მისაღებად მოიწვევიან კანონით მემკვიდრეების სახით. შესაბამისად მოქმედებს §2052. აღნიშნული წესი მოქმედებს ასევე იმ შთამომავლის მიმართ, ვინც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ზრუნავდა მამკვიდრებელზე ამ უკანასკნელის პროფესიული საქმიანობის შემოსავალზე უარის თქმის პირობით.

(2) წილთა გათანაბრების მოთხოვნა დაუშვებელია, თუ გაწეული მომსახურებისათვის უზრუნველყოფილ ან შეთანხმებულ იქნა სათანადო საზღაურის გადახდა ან რამდენადაც შთამომავალს მის მიერ გაწეული მომსახურებისათვის მოთხოვნის უფლება ეკუთვნის სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე. წილთა გათანაბრების ვალდებულებას ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ მომსახურების გაწევა ხდებოდა §§1619, 1620 მიხედვით.

(3) წილთა გათანაბრება უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ იგი შეესაბამებოდეს სამართლიანობას გაწეული მომსახურების ხანგრძლივობისა და მოცულობის და სამკვიდრო ქონების ღირებულების გათვალისწინებით.

(4) სამკვიდრო ქონების გაყოფის შემთხვევაში წილთა გათანაბრებისას გადასახდელი თანხა ემატება წილთა გათანაბრებაზე უფლებამოსილი თანამემკვიდრის სამკვიდრო წილს. წილთა გათანაბრებისას გადასახდელი საერთო თანხები გამოაკლდება სამკვიდრო ქონების ღირებულებას, რამდენადაც ეს უკანასკნელი გადადის იმ თანამემკვიდრეებზე, რომელთა შორისაც ადგილი აქვს წილთა გათანაბრებას.

ქვეკარი 2. სამართლებრივი ურთიერთობა მემკვიდრეებსა და სამკვიდრო ქონების კრედიტორებს შორის

§ 2058. სოლიდარული პასუხისმგებლობა

სამკვიდრო ქონების საერთო ვალებისათვის მემკვიდრეები პასუხს აგებენ სოლიდარულად.

§ 2059. პასუხისმგებლობა სამკვიდრო ქონების გაყოფამდე

(1) სამკვიდრო ქონების გაყოფამდე თითოეულ თანამემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვაზე იმ ქონებიდან, რომელიც მას აქვს გარდა სამკვიდრო წილისა. თუ იგი სამკვიდრო ქონების ვალებისათვის პასუხს აგებს შეუზღუდავად, მაშინ მას აღნიშნული უფლება არ ეკუთვნის ვალდებულების იმ ნაწილში, რომელიც შეესაბამება მის სამკვიდრო წილს.

(2) სამკვიდრო ქონების კრედიტორების უფლება, მოითხოვონ მოთხოვნის დაკმაყოფილება ყველა თანამემკვიდრის გაუნაწილებელი სამკვიდრო ქონებიდან, უცვლელი რჩება.

§ 2060. პასუხისმგებლობა სამკვიდრო ქონების გაყოფის შემდეგ

სამკვიდრო ქონების გაყოფის შემდეგ თითოეული თანამემკვიდრე პასუხს აგებს მხოლოდ მისი წილის შესაბამისი სამკვიდრო ქონების ვალის ნაწილისათვის:

1. თუ გამოწვევით წარმოებაში კრედიტორი გამოირიცხა; კრედიტორის მოწვევის მოქმედება ვრცელდება ასევე §1972 მითითებულ კრედიტორებზე, ისევე როგორც იმ კრედიტორებზე, რომელთა წინაშე თანამემკვიდრე პასუხს აგებს შეუზღუდავად;
2. თუ კრედიტორი თავის მოთხოვნას ახორციელებს §1974 1-ლი ნაწილში დადგენილი მომენტიდან ხუთი წლის ვადის გასვლის შემდეგ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოთხოვნა თანამემკვიდრისათვის ცნობილი გახდა ხუთი წლის ვადის გასვლამდე ან განცხადებულ იქნა გამოწვევით წარმოებაში; ეს წესი არ გამოიყენება, რამდენადაც §1971 თანახმად მოწვევა არ ეხება კრედიტორს;
3. თუ სამკვიდრო ქონებაზე გაიხსნა გაკოტრების საქმის წარმოება და იგი შეწყდა სამკვიდრო მასის განაწილების ან გაკოტრების გეგმის დამტკიცების შედეგად.

§ 2061. სამკვიდრო ქონების კრედიტორების მოწვევა

(1) თითოეულ თანამემკვიდრეს შეუძლია სამკვიდრო ქონების კრედიტორებს საჯაროდ შესთავაზოს, რომ მათ თავიანთი მოთხოვნების შესახებ ექვსი თვის განმავლობაში განუცხადონ მას ან სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს. თუ საჯარო შეთავაზება გაკეთდა, მაშინ სამკვიდრო ქონების გაყოფის შემდეგ თითოეული თანამემკვიდრე პასუხს აგებს მხოლოდ მისი წილის შესაბამისი მოთხოვნის ნაწილისათვის, რამდენადაც ვადის გასვლამდე შეთავაზება არ გაკეთდა ან სამკვიდრო ქონების გაყოფის მომენტისათვის თანამემკვიდრისათვის ცნობილია მოთხოვნის არსებობის შესახებ.

(2) საჯარო შეთავაზება უნდა გამოქვეყნდეს ფედერალურ გაზეთში და სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოსათვის შეტყობინებებისათვის გათვლისწინებულ გაზეთში. ვადის დენა იწყება ბოლო გამოქვეყნებიდან. ხარჯები ეკისრება იმ მემკვიდრეს, ვინც აკეთებს საჯარო შეთავაზებას.

§ 2062. განცხადება სამკვიდრო ქონების მართვის თაობაზე

მემკვიდრეების მიერ სამკვიდრო ქონების მართვის შესახებ განკარგულების მიღებაზე განცხადების შეტანა დაიშვება მხოლოდ ერთობლივად; განცხადების წარდგენა გამორიცხულია, თუ სამკვიდრო ქონება უკვე გაიყო.

§ 2063. საინვენტარიზაციო აღწერის შედგენა, პასუხისმგებლობის შეზღუდვა

(1) ერთ-ერთი თანამემკვიდრის მიერ საინვენტარიზაციო აღწერის გამოყენება შეუძლიათ ასევე დანარჩენ მემკვიდრეებსაც, რამდენადაც სამკვიდრო ქონების ვალებისათვის მათი პასუხისმგებლობა შეუზღუდავი არ არის.

(2) თანამემკვიდრეს შეუძლია დანარჩენი მემკვიდრების მიმართ მიუთითოს თავისი პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი სამკვიდრო ქონების სხვა კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს შეუზღუდავად.

ნაწილი 3. ანდერძი

კარი 1. ზოგადი დებულებები

§ 2064. ანდერძის შედგენა პირადად
მამკვიდრებელს ანდერძის შედგენა შეუძლია მხოლოდ პირადად.

§ 2065. მესამე პირის მიერ ანდერძის ნამდვილობის ან ბათილობის განსაზღვრის დაუშვებლობა
(1) მამკვიდრებელს არ შეუძლია საანდერძო განკარგულების განხორციელება იმგვარად, რომ სხვა პირმა განსაზღვროს, არის თუ არა საანდერძო განკარგულება ნამდვილი ან ბათილი.
(2) მამკვიდრებელს არ შეუძლია დაავალოს სხვას იმ პირის განსაზღვრა, რომელმაც უნდა მიიღოს ქონება, ისევე როგორც – ქონებრივი გადაცემის საგნის განსაზღვრა.

§ 2066. მამკვიდრებლის კანონით მემკვიდრეები
თუ მამკვიდრებელმა თავის კანონით მემკვიდრეებს უანდერძა ქონება დეტალური ინდენტიფიცირების გარეშე, მაშინ ის პირები, რომლებიც სამკვიდროს გახსნის მომენტში უნდა ყოფილიყვნენ მამკვიდრებლის კანონით მემკვიდრეები, მემკვიდრეობით იღებენ ქონებას მათი როგორც კანონით მემკვიდრეების კუთვნილი სამკვიდრო წილების შესაბამისად. თუ ქონების გადაცემა განხორციელდა გადადების პირობით ან საწყისი ვადის დადგენით, ხოლო პირობა ან ვადა დგება სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაშინ საეჭვოობისას მემკვიდრეებად დანიშნულად მიიჩნევიან ის პირები, რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ მამკვიდრებლის კანონით მემკვიდრეები, მამკვიდრებელი რომ გარდაცვლილიყო პირობის ან ვადის დადგომის მომენტში.

§ 2067. მამკვიდრებლის ნათესავები
თუ მამკვიდრებელმა თავის ნათესავებს ან ახლო ნათესავებს უანდერძა ქონება დეტალური ინდენტიფიცირების გარეშე, მაშინ საეჭვოობისას მემკვიდრეებად დანიშნულად მიიჩნევიან ის ნათესავები, რომლებიც სამკვიდროს გახსნის მომენტში უნდა ყოფილიყვნენ მამკვიდრებლის კანონით მემკვიდრეები მათი როგორც კანონით მემკვიდრეების კუთვნილი სამკვიდრო წილების შესაბამისად. გამოიყენება §2066 მე-2 ნაწილის ნორმა.

§ 2068. მამკვიდრებლის შვილები
თუ მამკვიდრებელმა თავის შვილებს უანდერძა ქონება დეტალური ინდენტიფიცირების გარეშე, ხოლო შვილი ანდერძის შედგენამდე გარდაიცვალა ისე, რომ თავის შემდეგ დატოვა შთამომავლები, მაშინ საეჭვოობისას მემკვიდრეებად დანიშნულად მიიჩნევიან ეს შთამომავლები ისე, როგორც ისინი დაიკავებდნენ შვილის ადგილს კანონით მემკვიდრეობისას.

§ 2069. მამკვიდრებლის შთამომავლები
თუ მამკვიდრებელმა ქონება უანდერძა თავის შთამომავალს, ხოლო ეს უკანასკნელი ანდერძის შედგენის შემდეგ სახეზე აღარ არის, მაშინ საეჭვოობისას მემკვიდრეებად დანიშნულად მიიჩნევიან შთამომავლის შთამომავლები ისე, როგორც ისინი დაიკავებდნენ შთამომავლის ადგილს კანონით მემკვიდრეობისას.

§ 2070. მესამე პირის შთამომავლები
თუ მამკვიდრებელმა მესამე პირის შთამომავლებს უანდერძა ქონება დეტალური ინდენტიფიცირების გარეშე, მაშინ საეჭვოობისას მემკვიდრეებად დანიშნულად არ მიიჩნევიან ის შთამომავლები, რომლებიც ჯერ არ არიან ჩასახულნი სამკვიდროს გახსნის მომენტში, ან თუ ქონების გადაცემა განხორციელდა გადადების პირობით ან საწყისი ვადის დადგენით, ხოლო პირობა ან ვადა დგება სამკვიდროს გახსნის შემდეგ, – რომლებიც ჯერ არ არიან ჩასახულნი პირობის ან ვადის დადგომის მომენტში.

§ 2071. პირთა ჯგუფები
თუ მამკვიდრებელმა დეტალური ინდენტიფიცირების გარეშე ქონება უანდერძა პირთა განსაზღვრულ კატეგორიას ან იმ პირებს, რომლებიც მასთან იმყოფებიან სამსახურეობრივ ან საქმიან ურთიერთობაში, მაშინ საეჭვოობისას მემკვიდრეებად დანიშნულად მიიჩნევიან ის პირები, რომლებიც სამკვიდროს გახსნის მომენტში მიეკუთვნებიან აღნიშნულ კატეგორიას ან იმყოფებიან აღნიშნულ ურთიერთობაში.

§ 2072. ხელმოკლე პირები
თუ მამკვიდრებელმა დეტალური ინდენტიფიცირების გარეშე ქონება უანდერძა ხელმოკლე პირებს, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ხელმოკლე პირებს შორის მიღებული ქონების განაწილების პირობით მემკვიდრედ დანიშნულია მუნიციპალიტეტის ხელმოკლე პირების დახმარების საჯარო საქველმოქმედო სალარო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მამკვიდრებელს ჰქონდა თავისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი.

§ 2073. ორაზროვანი აღწერა
თუ მამკვიდრებელმა მემკვიდრედ დანიშნული პირი აღწერა ისეთი ნიშნებით, რომლებიც შეესაბამება რამდენიმე პირის მონაცემებს, და შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი მათგანი უნდა დაინიშნოს მემკვიდრედ, მაშინ ჩაითვლება, რომ ისინი მემკვიდრეობას იღებენ თანაბარწილად.

§ 2074. გადადების პირობა
თუ მამკვიდრებელმა ანდერძში ქონების გადაცემა გაითვალისწინა გადადების პირობით, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ქონების გადაცემა ძალმოსილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირობის დადგომის მომენტში ქონების მიმღები ცოცხალია.

§ 2075. გაუქმების პირობა
თუ მამკვიდრებელმა ანდერძში ქონების გადაცემა გაითვალისწინა იმ პირობით, რომ ქონების მიმღებმა განუსაზღვრელი ვადის განმავლობაში თავი უნდა შეიკავოს რაიმე მოქმედების შესრულებისაგან ან გააგრძელოს მოქმედების შესრულება, მაშინ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავება ან მოქმედების შესრულება დამოკიდებულია მხოლოდ ქონების მიმღების ნებაზე, – საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ქონების გადაცემა დამოკიდებულია გაუქმების პირობაზე ისე, რომ ქონების მიმღები ასრულებს მოქმედებას ან მოქმედების შესრულებისაგან თავს იკავებს.

§ 2076. პირობა მესამე პირის სასარგებლოდ
თუ პირობა, რაზეც დამოკიდებულია ანდერძის საფუძველზე ქონების გადაცემა, მიმართულია მესამე პირის სასარგებლოდ, მაშინ საეჭვოობისას იგი ითვლება დამდგარად, თუ მესამე პირი პირობის დადგომამდე უარს იტყვის ამ უკანასკნელის დადგომისათვის აუცილებელ ხელშეწყობაზე.

§ 2077. სამართლებრივი ძალის არმქონე საანდერძო განკარგულებები ქორწინების ან ნიშნობის შეწყვეტისას
(1) საანდერძო განკარგულება, რომლითაც მამკვიდრებელმა მემკვიდრედ დანიშნა თავისი მეუღლე, სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ქორწინება შეწყდა მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე. ქორწინების შეწყვეტას უთანაბრდება შემთხვევები, როდესაც მამკვიდრებლის გარდაცვალების მომენტში სახეზე იყო განქორწინების წინაპირობები და მამკვიდრებელმა წარადგინა განცხადება განქორწინების მოთხოვნით ან განაცხადა მასზე თავისი თანხმობა. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მამკვიდრებელი თავისი გარდაცვალების მომენტამდე უფლებამოსილი იყო ქორწინების შეწყვეტის შესახებ განცხადების წარდგენაზე და მან წარადგინა განცხადება.
(2) საანდერძო განკარგულება, რომლითაც მამკვიდრებელმა მემკვიდრედ დანიშნა მასზე დანიშნული, სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ ნიშნობა შეწყდა მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე.
(3) განკარგულება არ არის სამართლებრივი ძალის არმქონე, თუ სავარაუდოა, რომ მამკვიდრებელი ასეთ შემთხვევაშიც კი განახორციელებდა მას.

§ 2078. შეცილება შეცდომის ან იძულების გამო
(1) საანდერძო განკარგულება შეიძლება შეცილებულ იქნეს, თუ მამკვიდრებელი ცდებოდა ნების გამოვლენის შინაარსის მხრივ ან მას საერთოდ არ ჰქონდა განზრახვა აღნიშნული შინაარსის ნების გამოვლენისა და სავარაუდოა, რომ საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში იგი ნებას არ გამოავლენდა.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, რამდენადაც მამკვიდრებელი საანდერძო განკარგულების განხორციელებაზე დაიყოლიეს არასწორი წარმოდგენის ან გარემოების დადგომის ან დაუდგომობის ლოდინის შედეგად ანდა იგი აღნიშნულზე დაიყოლიეს მართლსაწინააღმდეგო იძულებით.
(3) §122 ნორმა არ გამოიყენება.

§ 2079. შეცილება სავალდებულო წილზე უფლებამოსილი პირის გვერდის ავლის გამო (wegen Übergehung)
საანდერძო განკარგულება შეიძლება შეცილებულ იქნეს, თუ მამკვიდრებელმა გვერდი აუარა სამკვიდროს გახსნის მომენტში არსებულ სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირს, რომლის არსებობის შესახებ განკარგულების განხორციელებისას ცნობილი არ იყო ან რომელიც დაიბადა ან უფლებამოსილი გახდა მხოლოდ განკარგულების განხორციელების შემდეგ. შეცილება გამორიცხულია, თუ სავარაუდოა, რომ მამკვიდრებელი განკარგულებას განახორციელებდა ასევე საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაშიც.

§ 2080. შეცილებაზე უფლებამოსილი პირი
(1) შეცილებაზე უფლებამოსილია პირი, ვისთვისაც უშუალოდ სასარგებლო იქნებოდა საანდერძო განკარგულების გაუქმება.

(2) თუ §2078 გათვალისწინებულ შემთხვევებში შეცდომა ეხება განსაზღვრულ პირს და ეს უკანასკნელი უფლებამოსილია შეცილებაზე ან შეცილებაზე იქნებოდა უფლებამოსილი, ცოცხალი რომ ყოფილიყო სამკვიდროს გახსნის მომენტში, მაშინ სხვა პირი არ არის უფლებამოსილი შეცილებაზე.
(3) §2079 გათვალისწინებულ შემთხვევაში შეცილების უფლება ეკუთვნის მხოლოდ სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირს.

§ 2081. შეცილების შესახებ განცხადება
(1) საანდერძო განკარგულების შეცილება, რომლითაც ინიშნება მემკვიდრე, მემკვიდრეობიდან გამოირიცხება კანონით მემკვიდრე, დასახელდება ანდერძის აღმსრულებელი ან ასეთი სახის განკარგვა გაუქმდა, ხორციელდება სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს წინაშე გაკეთებული განცხადებით.
(2) სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ შეცილების შესახებ განცხადება უნდა შეატყობინოს იმ პირს, ვისთვისაც უშუალოდ სასარგებლოა შეცილებული საანდერძო განკარგულება. სასამართლომ უნდა დართოს განცხადების გაცნობის ნება ნებისმიერ იმ პირს, ვინც წარადგენს საკმარის მტკიცებულებებს თავისი კანონიერი ინტერესის დასადასტურებლად.
(3) 1-ლი ნაწილის ნორმა მოქმედებს ასევე იმ საანდერძო განკარგულების შეცილების მიმართ, რომლითაც სხვა პირის კუთვნილი უფლება არ დგინდება, მათ შორის, – ვალდებულების დაკისრების შეცილების უფლების მიმართ.

§ 2082. შეცილების ვადა
(1) შეცილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში.
(2) ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი შეიტყობს შეცილების საფუძვლის შესახებ. ვადის დენის მიმართ შესაბამისად გამოიყენება ხანდაზმულობის მიმართ მოქმედი §§206, 210, 211 ნორმები.
(3) შეცილება გამორიცხულია, თუ სამკვიდროს მიღების შემდეგ გავიდა 30 წელი.

§ 2083. შესაგებელი შეცილების შესაძლებლობის თაობაზე
თუ საანდერძო განკარგულება, რომლითაც დგინდება შესრულების ვალდებულება, საცილოა, მაშინ საანდერძო დანაკისრით ვალდებულ პირს (Beschwerte) შეუძლია ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შეცილება §2082 თანახმად გამორიცხულია.

§ 2084. განმარტება საანდერძო განკარგულების ძალმოსილების სასარგებლოდ
თუ საანდერძო განკარგულების შინაარსი იძლევა განსხვავებული განმარტების შესაძლებლობას, მაშინ საეჭვოობისას უპირატესობა ენიჭება იმ განმარტებას, რომლითაც განკარგულებას შეიძლება ჰქონდეს შედეგი.

§ 2085. ნაწილობრივად სამართლებრივი ძალის არმქონე საანდერძო განკარგულება
ანდერძში შემავალი რამდენიმე საანდერძო განკარგულებიდან ერთ-ერთი საანდერძო განკარგულების სამართლებრივი ძალმოსილების არარსებობა შედეგად იწვევს დანარჩენი განკარგვების სამართლებრივი ძალმოსილების არარსებობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ მამკვიდრებელი ამ უკანასკნელებს არ განახორციელებდა სამართლებრივი ძალის არმქონე განკარგულების გარეშე.

§ 2086. დათქმა საანდერძო განკარგულების დამატების შესახებ
თუ საანდერძო განკარგულება შეიცავს დათქმას მასში დამატების შეტანის შესახებ, მაგრამ ეს უკანასკნელი არ განხორციელდა, მაშინ განკარგულება სამართლებრივი ძალის მქონეა, რამდენადაც არ ივარაუდება, რომ მისი სამართლებრივი ძალა დამოკიდებული უნდა ყოფილიყო დამატებაზე.

კარი 2. მემკვიდრის დანიშვნა

§ 2087. ქონების, ქონების ნაწილის ან ცალკეული საგნების გადაცემა
(1) თუ მამკვიდრებელმა უნდერძა თავისი ქონება ან თავისი ქონების ნაწილი მემკვიდრედ დანიშნულ პირს, მაშინ საანდერძო განკარგულება განიხილება როგორც მემკვიდრის დანიშვნა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მემკვიდრედ დანიშნული პირი არ არის დასახელებული როგორც მემკვიდრე.
(2) თუ მემკვიდრედ დანიშნულ პირს გადაეცა მხოლოდ ცალკეული საგნები, მაშინ საეჭვოობისას არ ივარაუდება, რომ იგი უნდა იყოს მემკვიდრე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის დასახელებულია როგორც მემკვიდრე.

§ 2088. მემკვიდრედ დანიშვნა ქონების ნაწილში
(1) თუ მამკვიდრებელმა დანიშნა მხოლოდ ერთი მემკვიდრე და მემკვიდრედ დანიშვნა შემოიფარგლება მხოლოდ ქონების ნაწილით, მაშინ ქონების დარჩენილი ნაწილის მიმართ მოქმედებს კანონით მემკვიდრეობის წესები.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მამკვიდრებელმა დანიშნა რამდენიმე მემკვიდრე თითოეულის ქონების ცალკეული ნაწილით შეზღუდვით და ნაწილები ერთობლივად არ ამოწურავს მთლიან სამკვიდროს.

§ 2089. ქონების ნაწილების გაზრდა
თუ დანიშნული მემკვიდრეები მამკვიდრებლის ნების თანახმად უნდა იყვნენ ერთპიროვნული მემკვიდრეები, მაშინ მათ მიერ მისაღები ნაწილები პროპორციულად იზრდება, თუ თითოეული მათგანი დანიშნულია მემკვიდრედ ქონების ნაწილში და ნაწილები ერთობლივად არ ამოწურავს მთლიან სამკვიდროს.

§ 2090. ქონების ნაწილების შემცირება
თუ თითოეული მემკვიდრე დანიშნულია სამკვიდროს ნაწილში და ნაწილები ერთობლივად აღემატება მთლიან სამკვიდროს, მაშინ მემკვიდრეების მიერ მისაღები ნაწილები პროპორციულად მცირდება.

§ 2091. სამკვიდროს განუსაზღვრელი ნაწილები
თუ დანიშნულია რამდენიმე მემკვიდრე სამკვიდრო წილების განსაზღვრის გარეშე, მაშინ მემკვიდრეები ითვლებიან დანიშნულად სამკვიდროს თანაბარ ნაწილებში, რამდენადაც §§2066-2069 სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 2092. სამკვიდროს ნაწილში მემკვიდრედ ნაწილობრივი დანიშვნა
(1) თუ რამდენიმე მემკვიდრიდან მემკვიდრეები დანიშნულნი არიან სამკვიდროს ნაწილებში, ხოლო სხვა მემკვიდრეები დანიშნულნი არიან სამკვიდრო წილების განსაზღვრის გარეშე, მაშინ ეს უკანასკნელები იღებენ თავისუფლად დარჩენილ სამკვიდროს ნაწილს.

(2) თუ სამკვიდროს განსაზღვრული ნაწილები ამოწურავს მთლიან სამკვიდროს, მაშინ მემკვიდრეების მიერ მისაღები ნაწილები პროპორციულად მცირდება იმგვარად, რომ თითოეულმა წილების განსაზღვრის გარეშე დანიშნულმა მემკვიდრემ მიიღოს იმდენი, რამდენსაც იღებს ყველაზე მცირე ნაწილში დანიშნული მემკვიდრე.

§ 2093. საერთო სამკვიდრო წილი
თუ რამდენიმე მემკვიდრიდან სამკვიდროს ერთიდაიგივე ნაწილში დანიშნულნი არიან ცალკეული მემკვიდრეები (საერთო სამკვიდრო წილი), მაშინ საერთო სამკვიდრო წილის მიმართ შესაბამისად გამოიყენება §§2089-2092 ნორმები.

§ 2094. სამკვიდრო წილების მიმატება
(1) თუ რამდენიმე მემკვიდრე დანიშნულია იმგვარად, რომ ისინი გამორიცხავენ კანონით მემკვიდრეობას, ხოლო ერთ-ერთი მემკვიდრეთაგანი სამკვიდროს გახსნამდე ან გახსნის შემდეგ სახეზე აღარ არის, მაშინ მისი სამკვიდრო წილი ემატება დანარჩენი მემკვიდრეების წილებს მათი სამკვიდრო წილების შესაბამისად. თუ ცალკეული მემკვიდრეები დანიშნულნი არიან საერთო სამკვიდრო წილის მისაღებად, მაშინ სამკვიდრო წილების მიმატებას პირველ რიგში ადგილი აქვს მათ შორის.
(2) თუ ანდერძით მემკვიდრედ დანიშვნა ეხება მხოლოდ სამკვიდრო წილს, ხოლო დანარჩენი ნაწილი გადადის კანონით მემკვიდრეობით, მაშინ სამკვიდრო წილების მიმატებას ადგილი აქვს დანიშნულ მემკვიდრეებს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელები მემკვიდრეებად დანიშნულნი არიან საერთო სამკვიდრო წილზე.
(3) მამკვიდრებელს შეუძლია სამკვიდრო წილების მიმატების გამორიცხვა.

§ 2095. მიმატებული სამკვიდრო წილი
მიმატების შედეგად მემკვიდრეზე გადასული სამკვიდრო წილი განიხილება როგორც ცალკე სამკვიდრო წილი საანდერძო დანაკისრისა და ვალდებულების დაკისრებების მიმართ, რომელთა შესრულებაც ეკისრებათ აღნიშნულ მემკვიდრეს ან იმ მემკვიდრეს, რომელიც სახეზე აღარ არის, ისევე როგორც – წილთა გათანაბრების ვალდებულების მიმართ.

§ 2096. სათადარიგო მემკვიდრე
მამკვიდრებელს შეუძლია იმ შემთხვევისათვის, როდესაც სამკვიდროს გახსნამდე ან გახსნის შემდეგ მემკვიდრე აღარ იქნება სახეზე, მემკვიდრედ დანიშნოს სხვა პირი (სათადარიგო მემკვიდრე).

§ 2097. განმარტების წესი სათადარიგო მემკვიდრის შემთხვევაში
თუ პირი დანიშნულია სათადარიგო მემკვიდრედ იმ შემთხვევისათვის, როდესაც პირველად მოწვეულ მემკვიდრეს არ შეუძლია ან არ სურს იყოს მემკვიდრე, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ იგი მემკვიდრედ დანიშნულია ორივე შემთხვევაში.

§ 2098. სათადარიგო მემკვიდრის სახით ორმხრივი დანიშვნა
(1) თუ მემკვიდრეები არიან ორმხრივად დანიშნულები როგორც სათადარიგო მემკვიდრეები ან თუ ერთ-ერთი მათგანი სათადარიგო მემკვიდრის სახით დანიშნულია დანარჩენი მემკვიდრეების მიმართ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ისინი დანიშნულები არიან მემკვიდრეებად მათი სამკვიდრო წილების შესაბამისად.

(2) თუ მემკვიდრეები არიან ორმხრივად დანიშნულები როგორც სათადარიგო მემკვიდრეები, მაშინ საეჭვოობისას საერთო სამკვიდრო წილის მიღებაზე დანიშნული მემკვიდრეები სათადარიგო მემკვიდრის სახით ამ წილს მემკვდრეობით იღებენ სხვა პირების უპირატესად.

§ 2099. სათადარიგო მემკვიდრე და მიმატებული სამკვიდრო წილი
სათადარიგო მემკვიდრის უფლება სარგებლობს უპირატესობით სამკვიდრო წილის მიმატების უფლებასთან შედარებით.

კარი 3. სუბსტიტუტის დანიშვნა

§ 2100. სუბსტიტუტი
მამკვიდრებელს შეუძლია მემკვიდრის დანიშვნა იმგვარად, რომ ეს უკანასკნელი გახდება მემკვიდრე მხოლოდ იმის შემდეგ, რაც თავდაპირველად სხვა პირი იყო მემკვიდრე (სუბსტიტუტი).

§ 2101. სუბსტიტუტი, რომელიც ჯერ არ არის ჩასახული
(1) თუ მემკვიდრედ დაინიშნა პირი, რომელიც სამკვიდროს გახსნის მომენტში ჯერ არ არის ჩასახული, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ იგი დანიშნულია სუბსტიტუტის სახით. სუბსტიტუტის დანიშვნა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ იგი არ შეესაბამება მამკვიდრებლის ნებას, რომლის თანახმადაც მემკვიდრედ დანიშნული პირი უნდა იყოს სუბსტიტუტი.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს იმ იურიდიული პირის მემკვიდრედ დანიშვნის მიმართ, რომელიც ფუძნდება მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ; §84 ნორმა უცვლელი რჩება.

§ 2102. სუბსტიტუტი და სათადარიგო მემკვიდრე
(1) საეჭვოობისას სუბსტიტუტის სახით მემკვიდრედ დანიშვნა გულისხმობს ასევე დანიშვნას სათადარიგო მემკვიდრის სახით.
(2) თუ საეჭვოა, არის თუ არა პირი დანიშნული სათადარიგო მემკვიდრის ან სუბსტიტუტის სახით, მაშინ იგი ჩაითვლება სათადარიგო მემკვიდრედ.

§ 2103. განკარგულება სამკვიდროს გადაცემის შესახებ
თუ მამკვიდრებელმა დაადგინა, რომ მემკვიდრემ სამკვიდრო სხვა პირს უნდა გადასცეს განსაზღვრული მომენტის ან მოვლენის დადგომისთანავე, მაშინ ივარაუდება, რომ ეს პირი დანიშნულია სუბსტიტუტად.

§ 2104. კანონით მემკვიდრეები როგორც სუბსტიტუტები
თუ მამკვიდრებელმა დაადგინა, რომ მემკვიდრე უნდა დარჩეს ასეთად მხოლოდ განსაზღვრული მომენტის ან მოვლენის დადგომამდე, მაგრამ არ განსაზღვრა, თუ შემდგომში ვინ უნდა მიიღოს სამკვიდრო, მაშინ ივარაუდება, რომ სუბსტიტუტად დანიშნულნი არიან ის პირები, რომლებიც უნდა ყოფილიყვნენ მამკვიდრებლის კანონით მემკვიდრეები, მამკვიდრებელი გარდაცვლილი რომ ყოფილიყო აღნიშნული მომენტის ან მოვლენის დადგომისთანავე. ხაზინა აღნიშნული ნორმის გაგებით არ მიეკუთვნება კანონით მემკვიდრეების რიცხვს.

§ 2105. კანონით მემკვიდრეები როგორც თავდაპირველი მემკვიდრეები (Vorerben)
(1) თუ მამკვიდრებელმა დაადგინა, რომ მემკვიდრედ დანიშნულმა პირმა სამკვიდრო უნდა მიიღოს მხოლოდ განსაზღვრული მომენტის ან მოვლენის დადგომისთანავე, მაგრამ არ განსაზღვრა, თუ აღნიშნულ მომენტამდე ვინ უნდა იყოს მემკვიდრე, მაშინ მამკვიდრებლის კანონით მემკვიდრეები წარმოადგენენ თავდაპირველ მემკვიდრეებს.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ მემკვიდრის პიროვნება უნდა დადგინდეს მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ დამდგარი მოვლენის შედეგად ან თუ მემკვიდრედ დანიშვნა პირისა, რომელიც სამკვიდროს გახსნის მომენტში ჯერ არ არის ჩასახული, ანდა იურიდიული პირისა, რომელიც აღნიშნული მომენტისათვის ჯერ არ არის დაფუძნებული, – §2101 თანახმად ჩაითვლება სუბსტიტუტის სახით დანიშვნად.

§ 2106. სუბსტიტუციის დადგომა
(1) თუ მამკვიდრებელმა სუბსტიტუტი დანიშნა დროის იმ მომენტის ან მოვლენის განსაზღვრის გარეშე, რომლის დადგომისას ადგილი უნდა ჰქონდეს სუბსტიტუციას, მაშინ სამკვიდრო გადადის სუბსტიტუტზე თავდაპირველი მემკვიდრის გარდაცვალებისთანავე.
(2) თუ მემკვიდრედ დანიშვნა იმ პირისა, რომელიც ჯერ არ არის ჩასახული, §2101 1-ლი ნაწილის თანახმად ჩაითვლება სუბსტიტუტის სახით დანიშვნად, მაშინ სამკვიდრო გადადის სუბსტიტუტზე ამ უკანასკნელის დაბადებისთანავე. §2101 მე-2 ნაწილის შემთხვევაში სამკვიდროს გადასვლა ხდება იურიდიული პირის დაფუძნების მომენტში.

§ 2107. უშვილო თავდაპირველი მემკვიდრე
თუ იმ შთამომავალს, რომელსაც საანდერძო განკარგულების განხორციელების მომენტში არ ჰყავს შთამომავალი ან რომლის შთამომავლის არსებობის შესახებ მამკვიდრებელმა აღნიშნულ მომენტში არ იცის, შთამომავლის გარდაცვალების შემდგომი პერიოდისათვის მამკვიდრებელმა დაუნიშნა სუბსტიტუტი, მაშინ ივარაუდება, რომ ეს უკანასკნელი დანიშნულია მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც შთამომავალი გარდაიცვლება შთამომავლობის დატოვების გარეშე.

§ 2108. მემკვიდრეობის მიღების უნარი; სუბსტიტუციის უფლების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა
(1) §1923 ნორმა შესაბამისად გამოიყენება სუბსტიტუციის მიმართ.
(2) თუ დანიშნული სუბსტიტუტი გარდაიცვლება სუბსტიტუციის ფაქტის დადგომამდე, მაგრამ სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაშინ მისი უფლება გადადის მის მემკვიდრეებზე, თუ სავარაუდო არ არის მამკვიდრებლის სხვაგვარი ნება. თუ სუბსტიტუტი დანიშნულია გადადების პირობით, მაშინ გამოიყენება §2074 ნორმა.

§ 2109. სამართლებრივი ძალის არმქონე სუბსტიტუცია
(1) სუბსტიტუტის დანიშვნა სამართლებრივი ძალის არმქონე ხდება სამკვიდროს გახსნის შემდეგ 30 წლის ვადის გასვლისთანავე, თუ სუბსტიტუციის ფაქტს ადგილი არა აქვს უფრო ადრე. იგი აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ რჩება ასევე ძალმოსილი,
1. თუ სუბსტიტუცია დადგენილ იქნა თავდაპირველი მემკვიდრის ან სუბსტიტუტის პიროვნებასთან დაკავშირებული განსაზღვრული მოვლენის დადგომის შემ-

თხვევისათვის, ხოლო ის პირი, რომლის პიროვნებასთან დაკავშირებითაც უნდა დადგეს მოვლენა, – სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხალია;

2. თუ იმ შემთხვევისათვის, როდესაც თავდაპირველ მემკვიდრეს ან სუბსტიტუტს გაუჩნდება ძმა ან და, ეს უკანასკნელები განისაზღვრებიან სუბსტიტუტების სახით.

(2) თუ თავდაპირველი მემკვიდრე ან სუბსტიტუტი, რომლის პიროვნებასთან დაკავშირებითაც უნდა დადგეს მოვლენა, წარმოადგენს იურიდიულ პირს, მაშინ გამოიყენება ოცდაათწლიანი ვადა.

§ 2110. სუბსტიტუტის უფლების მოცულობა

(1) საეჭვოობისას სუბსტიტუტის უფლება ვრცელდება იმ სამკვიდრო წილზე, რომელიც გადადის თავდაპირველ მემკვიდრეზე იმის შედეგად, რომ სახეზე აღარ არის თანამემკვიდრე.

(2) საეჭვოობისას სუბსტიტუტის უფლება არ ვრცელდება თავდაპირველი მემკვიდრისათვის მინიჭებულ პირველი რიგის საანდერძო დანაკისრზე (Vorausvermächtnis).

§ 2111. პირდაპირი სუროგაცია

(1) სამკვიდრო ქონებას მიეკუთვნება ის, რასაც თავდაპირველი მემკვიდრე იძენს სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული უფლების საფუძველზე ან სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის საზღაურის სახით ანდა იძენს გარიგებით სამკვიდრო ქონების ხარჯზე, თუ შეძენილი ქონება მას არ ეკუთვნის სარგებლის სახით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე შეიტყობს, რომ გარიგების საფუძველზე შეძენილი მოთხოვნა ხდება სამკვიდროს ნაწილი, ეს მოთხოვნა შეიძლება განხორციელდეს მოვალის მიმართ; შესაბამისად გამოიყენება §§406-408 ნორმები.

(2) სამკვიდროს მიეკუთვნება ასევე ის, რასაც თავდაპირველი მემკვიდრე შეიტანს მემკვიდრეობით გადასაცემი მიწის ნაკვეთის საინვენტარიზაციო აღწერაში.

§ 2112. თავდაპირველი მემკვიდრის კუთვნილი განკარგვის უფლება

თავდაპირველ მემკვიდრეს შეუძლია განკარგოს სამკვიდროში შემავალი საგნები, თუ §§2113-2115 ნორმებიდან სხვა რაიმე არ გამომდინარეობს.

§ 2113. მიწის ნაკვეთების, საზღვაო ხომალდების და მშენებარე საზღვაო ხომალდების განკარგვა; ნაჩუქრობები

(1) თავდაპირველი მემკვიდრის მიერ სამკვიდროში შემავალი მიწის ნაკვეთის ან მიწის ნაკვეთზე არსებული უფლების ანდა სამკვიდროში შემავალი რეგისტრირებული საზღვაო ხომალდის და მშენებარე საზღვაო ხომალდის განკარგვა სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემთხვევაში სამართლებრივი ძალის არმქონეა იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი ხელს შეუშლიდა სუბსტიტუტის უფლების განხორციელებას ან უარყოფითად იმოქმედებდა მასზე.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნის განკარგვის მიმართ, რომელიც ხორციელდება უსასყიდლოდ ან თავდაპირველი მემკვიდრის მიერ შეპირებული ჩუქების შესრულების მიზნით. გამონაკლისს წარმოადგენს ნაჩუქრობები, რომლებიც შეესაბამება მორალურ ვალდებულებას ან გაკეთდა ზრდილობისათვის.

(3) შესაბამისად გამოიყენება იმ პირების სასარგებლოდ დადგენილი ნორმები, რომელთა უფლებებიც მიღებულია არაუფლებამოსილი პირისაგან.

§ 2114. იპოთეკური მოთხოვნების, მიწის ვალებისა და სარენტო ვალების განკარგვა
თუ სამკვიდროს შემდგენლობაში შედის იპოთეკური მოთხოვნა, მიწის ვალი, სარენტო ვალი ან საზღვაო ხომალდზე დადგენილი იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა, მაშინ ხელშეკრულების შეწყვეტისა და საგნის ჩამორთმევის უფლება ეკუთვნის თავდაპირველ მემკვიდრეს. თუმცა, თავდაპირველ მემკვიდრეს შეუძლია მხოლოდ მოითხოვოს, რომ ფულადი თანხა მისთვის გადახდილ იქნეს თავდაპირველი მემკვიდრის თანხმობის მიღების შემდეგ ან რომ იგი შეტანილ იქნეს დეპოზიტზე მის ან თავდაპირველი მემკვიდრის სახელზე. სხვა იპოთეკური მოთხოვნის, მიწის ვალის, სარენტო ვალისა თუ საზღვაო ხომალდზე დადგენილი იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის განკარგვის სხვა შემთხვევების მიმართ გამოიყენება §2113 ნორმები.

§ 2115. განკარგვები თავდაპირველი მემკვიდრის მიმართ წარმოებული იძულებითი აღსრულების პროცესში
იძულებითი აღსრულების ან ყადაღის დადების გზით ანდა გაკოტრების მმართველის მიერ განხორციელებული სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნის განკარგვა სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემთხვევაში სამართლებრივი ძალის არმქონეა იმ ფარგლებში, რომლებშიც იგი ხელს შეუშლიდა სუბსტიტუტის უფლების განხორციელებას ან უარყოფითად იმოქმედებდა მასზე. განკარგვა სამართლებრივი ძალის მქონეა შეუზღუდავად, თუ ხორციელდება სამკვიდრო ქონების კრედიტორის მოთხოვნის უფლების ან სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებულ საგანზე არსებული უფლების რეალიზაცია, რომელიც სამართლებრივი ძალის მქონეა სუბსტიტუტის მიმართ სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემთხვევაში.

§ 2116. ფასიანი ქაღალდების დეპონირება
(1) სუბსტიტუტის მოთხოვნის საფუძველზე თავდაპირველმა მემკვიდრემ უნდა მოახდინოს სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების განახლებულ კუპონთან ერთად დეპონირება შემნახველ დაწესებულებაში ან გერმანიის ფედერალურ ბანკში, გერმანიის ცენტრალურ კოოპერაციულ სალაროში ან გერმანიის საანგარიშსწორებო პალატაში (გერმანიის კომუნალურ ბანკში) იმ პირობით, რომ ფასიანი ქაღალდების უკან დაბრუნება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ სუბსტიტუტის თანხმობით. დაუშვებელია იმ საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების შესანახად გადაცემის მოთხოვნა, რომლებიც §92 თანახმად განეკუთვნება მოხმარებად ნივთებს, ისევე როგორც პროცენტული, სარენტო ან დივიდენდების კუპონების შესანახად გადაცემის მოთხოვნა. საწარმდგენლო ფასიან ქაღალდებს უთანაბრდება საორდერო და საბლანკო ინდოსირებადი ფასიანი ქაღალდები.
(2) თავდაპირველ მემკვიდრეს დეპონრებული ფასიანი ქაღალდების განკარგვა შეუძლია მხოლოდ სუბსტიტუტის თანხმობით.

§ 2117. ფასიანი ქაღალდების ხელახალი რეგისტრაცია; ფასიანი ქაღალდების შეცვლა
§2116 თანახმად დეპონირების ნაცვლად, თავდაპირველ მემკვიდრეს შეუძლია განახორციელოს საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდების თავის სახელზე ხელახალი რეგისტრაცია იმ პირობით, რომ მას შეეძლოს ფასიანი ქაღალდების განკარგვა მხოლოდ სუბსტიტუტის თანხმობით. თუ ფასიანი ქაღალდები გამოშვებულია ფედერაციის ან ლანდის მიერ, მაშინ მას ანალოგიური პირობით შეუძლია მათი შეცვლა

ფედერაციის ან ლანდის მიმართ არსებული მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნებით.

§ 2118. ბლოკირების აღნიშვნა სავალო რეესტრში
თუ ფედერაციის ან ლანდის მიმართ არსებული სავალო რეესტრში რეგისტრირებული მოთხოვნები მიეკუთვნება სამკვიდრო ქონებას, მაშინ თავდაპირველი მემკვიდრე სუბსტიტუტის მოთხოვნის საფუძველზე ვალდებულია, სავალო რეესტრში გააკეთოს აღნიშვნა იმის შესახებ, რომ მას შეუძლია მოთხოვნების განკარგვა მხოლოდ სუბსტიტუტის თანხმობით.

§ 2119. ფულადი თანხების განთავსება
თავდაპირველ მემკვიდრეს შეუძლია სამეურვეო პირის კაპიტალის განთავსების მიმართ მოქმედი წესების თანახმად განათავსოს ფულადი თანხები, რომლებიც ექვემდებარება ხანგრძლივი ვადით განთავსებას მეურნეობის სათანადო წარმოების წესების თანახმად.

§ 2120. სუბსტიტუტის მიერ თანხმობის მიცემის ვალდებულება
თუ სათანადო მართვისათვის, კერძოდ კი, სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვისათვის, აუცილებელია განკარგვა, რომლის განხორციელებაც თავდაპირველ მემკვიდრეს არ შეუძლია მესამე პირების მიმართ სამართლებრივი შედეგით, მაშინ სუბსტიტუტი თავდაპირველი მემკვიდრის წინაშე ვალდებულია, მისცეს განკარგვაზე თავისი თანხმობა. მოთხოვნის საფუძველზე თანხმობა უნდა გაცხადდეს ოფიციალურად დამოწმებული ფორმით. დამოწმების ხარჯები ეკისრება თავდაპირველ მემკვიდრეს.

§ 2121. სამკვიდროში შემავალი საგნების ჩამონათვალი
(1) მოთხოვნის საფუძველზე თავდაპირველმა მემკვიდრემ სუბსტიტუტს უნდა წარუდგინოს სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნების ჩამონათვალი. ჩამონათვალს უნდა დაერთოს მისი შედგენის თარიღი და იგი ხელმოწერილ უნდა იქნეს თავდაპირველი მემკვიდრის მიერ; მოთხოვნის საფუძველზე თავდაპირველმა მემკვიდრემ ხელმოწერა ოფიციალურად უნდა დაამოწმოს.
(2) სუბსტიტუტს შეუძლია მოითხოვოს, რომ იგი ჩართონ ჩამონათვალის შედგენაში.
(3) თავდაპირველი მემკვიდრე უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის საფუძველზე სუბსტიტუტი ვალდებულია, უზრუნველყოს ჩამონათვალის შედგენა კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს ან კომპეტენტური თანამდებობის პირის ანდა ნოტარიუსის მიერ.
(4) ჩამონათვალის შედგენისა და დამოწმების ხარჯები იფარება სამკვიდრო ქონებიდან.

§ 2122. სამკვიდროს არსებული მდგომარეობის დაფიქსირება
თავდაპირველ მემკვიდრეს შეუძლია საკუთარი ხარჯით ექსპერტის მეშვეობით სამკვიდროს არსებული მდგომარეობის დაფიქსირება. ანალოგიური უფლება ეკუთვნის სუბსტიტუტს.

§ 2123. სამეურნეო გეგმა
(1) თუ სამკვიდროს მიეკუთვნება ტყე, მაშინ როგორც თავდაპირველ მემკვიდრეს, ისე სუბსტიტუტს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ სარგებლობის მოცულობა და სა-

მეურნეო ექსპლუატაციის სახე დადგინდეს სამეურნეო გეგმით. თუ ადგილი აქვს გარემოებათა მნიშვნელოვან ცვლილებას, მაშინ თითოეულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს სამეურნეო გეგმის შესაბამისი ცვლილება. ხარჯები იფარება სამკვიდრო ქონებიდან.
(2) ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ სამკვიდროს მიეკუთვნება საბადო ან ნიადაგის შემადგენელი ნაწილების მოპოვებისათვის გათვალისწინებული სხვა ნაგებობები.

§ 2124. ქონების მოვლა-პატრონობის ხარჯები
(1) თავდაპირველ მემკვიდრეს სუბსტიტუტის მიმართ ეკისრება ქონების მოვლა-პატრონობის ჩვეულებრივი ხარჯები.
(2) თავდაპირველ მემკვიდრეს შეუძლია სამკვიდროდან სხვა დანახარჯების დაფარვა, რომლებიც გარემოებებიდან გამომდინარე თავდაპირველ მემკვიდრეს შეუძლია მიიჩნიოს აუცილებლად სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნების მოვლა-პატრონობისათვის. თუ იგი აღნიშნულ დანახარჯებს ფარავს თავისი ქონებიდან, მაშინ სუბსტიტუტი ვალდებულია, აანაზღაუროს ისინი სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემთხვევაში.

§ 2125. ხარჯები; ნივთის თან წაღების უფლება
(1) თუ თავდაპირველი მემკვიდრე სამკვიდროდან სწევს ხარჯებს, რომლებიც არ არის გათვალისწინებული §2124 ნორმით, მაშინ სუბსტიტუტი სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემთხვევაში ვალდებულია, აანაზღაუროს ისინი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების თანახმად.
(2) სუბსტიტუტი უფლებამოსილია, თან წაიღოს ის მოწყობილობა, რომლითაც მან სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული ნივთი აღჭურვა.

§ 2126. გაუთვალისწინებელი ხარჯები
თავდაპირველ მემკვიდრეს სუბსტიტუტთან ურთიერთობაში არ ეკისრება გაუთვალისწინებელი ხარჯები, რომლებიც განიხილება როგორც სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნების ძირითადი ღირებულების მტვირთავი. აღნიშნული ხარჯების მიმართ გამოიყენება §2124 მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნორმა.

§ 2127. სუბსტიტუტის კუთვნილი ინფორმაციის მიღების უფლება
სუბსტიტუტი უფლებამოსილია, თავდაპირველი მემკვიდრისაგან მოითხოვოს ინფორმაცია სამკვიდროს მდგომარეობის შესახებ, თუ არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ თავდაპირველი მემკვიდრე სამკვიდრო ქონების მართვის შედეგად მნიშვნელოვნად დაარღვევს სუბსტიტუტის უფლებებს.

§ 2128. უზრუნველყოფის წარდგენა
(1) თუ თავდაპირველი მემკვიდრის მოქმედება ან მისი არასახარბიელო ქონებრივი მდგომარეობა იძლევა სუბსტიტუტის უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევის საფრთხის საფუძველს, მაშინ ამ უკანასკნელს შეუძლია მოითხოვოს უზრუნველყოფის წარდგენა.
(2) შესაბამისად გამოიყენება უზუფრუქტუარის მიერ უზრუნველყოფის წარდგენის ვალდებულების მიმართ მოქმედი §1052 ნორმები.

§ 2129. მართვის უფლების ჩამორთმევის სამართლებრივი შედეგები
(1) თუ თავდაპირველ მემკვიდრეს ჩამოერთმევა §1052 ნორმით მინიჭებული მართვის უფლება, მაშინ იგი კარგავს სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნების განკარგვის უფლებას.
(2) შესაბამისად გამოიყენება იმ პირების სასარგებლოდ დადგენილი ნორმები, რომელთა უფლებებიც მიღებულია არაუფლებამოსილი პირისაგან. სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული მოთხოვნის მიმართ მართვის უფლების ჩამორთმევა მოვალის მიმართ სამართლებრივი ძალის მქონეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი შეიტყობს მიღებული განკარგულების შესახებ ან იგი მიიღებს აღნიშნული განკარგულების შესახებ შეტყობინებას. ანალოგიური წესი მოქმედებს უფლების ჩამორთმევის გაუქმების მიმართ.

§ 2130. სამკვიდროს უკან დაბრუნების ვალდებულება სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემდეგ; ანგარიშის წარდგენის ვალდებულება
(1) თავდაპირველი მემკვიდრე სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემდეგ ვალდებულია, სუბსტიტუტს სამკვიდრო უკან დაუბრუნოს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება დაბრუნების მომენტისათვის სათანადო მართვას. სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის უკან დაბრუნების შემთხვევაში, შესაბამისად გამოიყენება §596ა ნორმა, ხოლო მამულის უკან დაბრუნების შემთხვევაში, – §§596ა, 596ბ ნორმები.
(2) მოთხოვნის საფუძველზე თავდაპირველმა მემკვიდრემ უნდა წარადგინოს ანგარიში.

§ 2131. ზრუნვის მოვალეობის ფარგლები
სამკვიდრო ქონების მართვასთან დაკავშირებით თავდაპირველი მემკვიდრე პასუხისმგებელია სუბსტიტუტის მიმართ მხოლოდ ისეთი ზრუნვისათვის, რომელსაც იგი საკუთარ საქმეებში იჩენს.

§ 2132. პასუხისმგებლობის გამორიცხვა ჩვეულებრივი ცვეთისათვის
თავდაპირველი მემკვიდრე პასუხს არ აგებს სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული ნივთების ცვლილებების ან გაუარესებისათვის, რაც გამოწვეულია სათანადო სარგებლობით.

§ 2133. ნაყოფის არასათანადო ან გადამეტებით მიღება
თუ თავდაპირველი მემკვიდრე ნაყოფს იღებს მეურნეობის სათანადო გაძღოლის წესების საწინააღმდეგოდ ან იგი ნაყოფს იღებს გადამეტებით იმის გამო, რომ ეს აუცილებელი გახდა განსაკუთრებული გარემოების შედეგად, მაშინ მას ეკუთვნის ნაყოფის ღირებულება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ნაყოფის არასათანადო ან გადამეტებით მიღება უარყოფითად იმოქმედებს მის მიერ სარგებლის მიღებაზე, ხოლო ნაყოფის ღირებულება მეურნეობის სათანადო გაძღოლის წესების თანახმად არ უნდა იქნეს გამოყენებული ნივთის აღდგენისათვის.

§ 2134. ნივთის გამოყენება საკუთარ ინტერესებში
თუ თავდაპირველმა მემკვიდრემ სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგანი გამოიყენა საკუთარ ინტერესებში, მაშინ სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემდეგ იგი სუბსტიტუტის მიმართ ვალდებულია, აანაზღაუროს ნივთის ღირებულება. ბრალის არსებობისას უფრო მკაცრი პასუხისმგებლობა უცვლელი რჩება.

§ 2135. ქირავნობისა და იჯარის ურთიერთობები სუბსტიტუციის შემთხვევაში
თუ თავდაპირველმა მემკვიდრემ სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული მიწის ნაკვეთი ან რეგისტრირებული საზღვაო ხომალდი გააქირავა ან გასცა იჯარით, მაშინ იმ პირობით, რომ ქირავნობისა და იჯარის ურთიერთობები სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემთხვევაში ჯერ კიდევ არსებობს, – შესაბამისად გამოიყენება §1056 ნორმა.

§ 2136. თავდაპირველი მემკვიდრის გათავისუფლება შეზღუდვებისა და ვალდებულებებისაგან
მამკვიდრებელს შეუძლია გაათავისუფლოს თავდაპირველი მემკვიდრე §2113 1-ლი ნაწილითა და §§2114, 2116-2119, 2123, 2127-2131, 2133, 2134 გათვალისწინებული შეზღუდვებისა და ვალდებულებებისაგან.

§ 2137. განმარტების წესი შეზღუდვებისა და ვალდებულებებისაგან გათავისუფლების სასარგებლოდ
(1) თუ მამკვიდრებელმა სუბსტიტუტი დანიშნა იმ ქონების მიღებაზე, რომელიც რჩება სამკვიდროში სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემდეგ, მაშინ §2136 მითითებული შეზღუდვებისა და ვალდებულებებისაგან გათავისუფლება დადგენილად ითვლება.
(2) საეჭვოობისას ანალოგიური წესი ივარაუდება, თუ მამკვიდრებელმა დაადგინა, რომ თავდაპირველი მემკვიდრე უფლებამოსილი უნდა იყოს სამკვიდროს თავისუფალ განკარგვაზე.

§ 2138. სამკვიდროს უკან დაბრუნების ვალდებულების შეზღუდვა
(1) §2137 გათვალისწინებულ შემთხვევებში თავდაპირველ მემკვიდრეზე დაკისრებული სამკვიდროს უკან დაბრუნების ვალდებულება შეზღუდულია უკვე სახეზე არსებული სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნებით. თავდაპირველ მემკვიდრეს არ შეუძლია იმ საგნებზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომელთა უკან დაბრუნებაც აღნიშნული შეზღუდვის შედეგად მას არ ევალება.
(2) თუ თავდაპირველმა მემკვიდრემ §2113 მე-2 ნაწილის ნორმის საწინააღმდეგოდ განკარგა სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგანი ან თუ მან შეამცირა სამკვიდრო ქონება სუბსტიტუტისათვის ზიანის მიყენების განზრახვით, მაშინ იგი ვალდებულია, ამ უკანასკნელს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი.

§ 2139. სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის სამართლებრივი შედეგები
სუბსტიტუციის ფაქტის დადგომისთანავე თავდაპირველი მემკვიდრე კარგავს მემკვიდრის სტატუსს და სამკვიდრო გადადის სუბსტიტუტზე.

§ 2140. თავდაპირველი მემკვიდრის განკარგვები სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემდეგ
თავდაპირველი მემკვიდრე სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნების განკარგვაზე უფლებამოსილია ასევე სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემდეგაც იგივე მოცულობით, როგორც თავდაპირველად იმ მომენტამდე, სანამ იგი შეიტყობს ან მან უნდა შეიტყოს სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შესახებ. მესამე პირს არ შეუძლია აღნიშნულ უფლებამოსილებაზე მითითება, თუ მან გარიგების დადებისას იცის ან უნდა იცოდეს სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შესახებ.

§ 2141. სუბსტიტუტის მომავალი დედის რჩენა
თუ სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის მომენტში ელოდებიან სუბსტიტუტის დაბადებას, მაშინ დედის რჩენის მოთხოვნის უფლების მიმართ შესაბამისად გამოიყენება §1963 ნორმა.

§ 2142. სუბსტიტუციაზე უარი
(1) სუბსტიტუტს შეუძლია უარი თქვას სამკვიდროზე, როგორც კი გაიხსნა სამკვიდრო.
(2) თუ სუბსტიტუტმა უარი თქვა სამკვიდროზე, ეს უკანასკნელი რჩება თავდაპირველ მემკვიდრეს, თუ მამკვიდრებელმა სხვა წესი არ განსაზღვრა.

§ 2143. შეწყვეტილი სამართლებრივი ურთიერთობების აღდგენა
სუბსტიტუციის ფაქტის დადგომისას სამკვიდროს გახსნის შედეგად უფლებისა და ვალის ან უფლებისა და უფლებრივი ტვირთის ერთი პირის ხელში აღმოჩენის გამო შეწყვეტილი სამართლებრივი ურთიერთობები არ მიიჩნევა შეწყვეტილად.

§ 2144. სუბსტიტუტის პასუხისმგებლობა სამკვიდრო ქონების ვალებისათვის
(1) სამკვიდრო ქონების ვალებისათვის მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ ნორმები მოქმედებს ასევე სუბსტიტუტის მიმართ; სამკვიდრო ქონების ადგილს იკავებს ის, რასაც სუბსტიტუტი იღებს სამკვიდროდან იმ მოთხოვნის უფლებების ჩათვლით, რომლებიც მას აქვს თავდაპირველი მემკვიდრის როგორც ასეთის მიმართ.
(2) თავდაპირველი მემკვიდრის მიერ შედგენილი საინვენტარიზაციო აღწერა გამოიყენება ასევე სუბსტიტუტის მიერ.
(3) სუბსტიტუტს შეუძლია მიუთითოს თავდაპირველი მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი სამკვიდრო ქონების სხვა კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს შეუზღუდავად.

§ 2145. თავდაპირველი მემკვიდრის პასუხისმგებლობა სამკვიდრო ქონების ვალებისათვის
(1) სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემდეგ თავდაპირველი მემკვიდრე ჯერ კიდევ პასუხისმგებელია სამკვიდრო ქონების ვალებისათვის იმ ფარგლებში, რომლებშიც პასუხს არ აგებს სუბსტიტუტი. პასუხისმგებლობა შენარჩუნდება ასევე სამკვიდრო ქონების იმ ვალებისათვის, რომლებიც თავდაპირველ მემკვიდრესა და სუბსტიტუტს შორის ურთიერთობაში ეკისრება თავდაპირველ მემკვიდრეს.
(2) სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შემდეგ თავდაპირველ მემკვიდრეს შეუძლია, – რამდენადაც იგი შეუზღუდავად არ აგებს პასუხს, – უარი თქვას სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვაზე იმ ფარგლებში, რომლებშიც სამკვიდროდან მის მიერ მისაღები ქონება ვალების დაფარვისათვის საკმარისი არ არის. შესაბამისად გამოიყენება §§1990, 1991 ნორმები.

§ 2146. თავდაპირველი მემკვიდრის მიერ სამკვიდრო ქონების კრედიტორებისათვის შეტყობინების წარდგენის ვალდებულება
(1) თავდაპირველი მემკვიდრე სამკვიდრო ქონების კრედიტორების წინაშე ვალდებულია, სუბსტიტუციის ფაქტის დადგომის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს. თავდაპირველი მემკვიდრის მიერ შეტყობინება იცვლება სუბსტიტუტის შეტყობინებით.

(2) სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ უნდა დართოს შეტყობინების გაცნობის ნება ნებისმიერ იმ პირს, ვინც წარადგენს საკმარის მტკიცებულებებს თავისი კანონიერი ინტერესის დასადასტურებლად.

კარი 4. საანდერძო დანაკისრი

§ 2147. საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირი
საანდერძო დანაკისრი შეიძლება დაეკისროთ მემკვიდრეს ან ლეგატარს. თუ მამკვიდრებელმა სხვა წესი არ განსაზღვრა, საანდერძო დანაკისრი ეკისრება მემკვიდრეს.

§ 2148. საანდერძო დანაკისრით ვალდებული რამდენიმე პირი
თუ ერთიდაიგივე საანდერძო დანაკისრი დაეკისრა რამდენიმე მემკვიდრეს ან რამდენიმე ლეგატარს, მაშინ საეჭვოობისას მემკვიდრეებს საანდერძო დანაკისრი ეკისრებათ სამკვიდრო წილების შესაბამისად, ხოლო ლეგატარებს – საანდერძო დანაკისრის ღირებულების შესაბამისად.

§ 2149. საანდერძო დანაკისრი კანონით მემკვიდრეების სასარგებლოდ
თუ მამკვიდრებელმა განსაზღვრა, რომ სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგანი არ უნდა გადავიდეს დანიშნულ მემკვიდრეზე, მაშინ ეს საგანი ჩაითვლება ანდერძით გადაცემულად კანონით მემკვიდრეებზე. ხაზინა აღნიშნული ნორმის გაგებით არ მიეკუთვნება კანონით მემკვიდრეთა რიცხვს.

§ 2150. პირველი რიგის საანდერძო დანაკისრი
მემკვიდრის სასარგებლოდ დადგენილი პირველი რიგის საანდერძო დანაკისრი (პირველი რიგის საანდერძო დანაკისრი) განიხილება როგორც საანდერძო დანაკისრი ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც თავად ამ მემკვიდრეს ეკისრება საანდერძო დანაკისრი.

§ 2151. საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირის ან მესამე პირის უფლება, განსაზღვრონ ლეგატარი რამდენიმე საანდერძო დანაკისრის მიმღების (Bedachten) შემთხვევაში
(1) მამკვიდრებელს შეუძლია დაადგინოს საანდერძო დანაკისრი რამდენიმე პირის სასარგებლოდ იმგვარად, რომ საანდერძო დანაკისრით ვალდებულმა პირმა ან მესამე პირმა განსაზღვრონ, თუ რამდენიმე პირიდან რომელმა უნდა მიიღოს საანდერძო დანაკისრი.
(2) საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირი ლეგატარის განსაზღვრას ახორციელებს იმ პირის წინაშე გაკეთებული განცხადებით, რომელმაც უნდა მიიღოს საანდერძო დანაკისრი; მესამე პირის მიერ ლეგატარის განსაზღვრა ხორციელდება საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირის მიმართ წარდგენილი განცხადებით.
(3) თუ საანდერძო დანაკისრით ვალდებულ პირს ან მესამე პირს არ შეუძლიათ ლეგატარის განსაზღვრა, მაშინ საანდერძო დანაკისრის მიმღები პირები წარმოადგენენ სოლიდარულ კრედიტორებს. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ საანდერძო დანაკისრით ვალდებულ პირს ან მესამე პირს განუსაზღ-

ვრა ვადა განცხადების წარდგენისათვის და ვადა გავიდა, თუ განცხადება არ იქნა წარდგენილი უფრო ადრე. საეჭვოობისას საანდერძო დანაკისრის მიმღები არ არის ვალდებული საანდერძო დანაკისრის გაყოფაზე.

§ 2152. საანდერძო დანაკისრის მიმღები პირები შერჩევით

თუ მამკვიდრებელმა ერთი საანდერძო დანაკისრი დაადგინა რამდენიმე პირის სასარგებლოდ იმგვარად, რომ მხოლოდ ერთმა ან მეორემ უნდა მიიღონ საანდერძო დანაკისრი, მაშინ ივარაუდება, რომ საანდერძო დანაკისრით ვალდებულმა პირმა უნდა განსაზღვროს, თუ რომელი მათგანი იღებს საანდერძო დანაკისრს.

§ 2153. წილების განსაზღვრა

(1) მამკვიდრებელს შეუძლია დაადგინოს საანდერძო დანაკისრი რამდენიმე პირის სასარგებლოდ იმგვარად, რომ საანდერძო დანაკისრით ვალდებულმა პირმა ან მესამე პირმა განსაზღვრონ, თუ ანდერძით გადაცემული რომელი საგანი უნდა მიიღოს თითოეულმა. განსაზღვრა ხორციელდება §2151 მე-2 ნაწილის თანახმად.

(2) თუ საანდერძო დანაკისრით ვალდებულ პირს ან მესამე პირს არ შეუძლიათ ლეგატარის განსაზღვრა, მაშინ საანდერძო დანაკისრის მიმღებ პირებს უფლება აქვთ, მიიღონ თანაბარი წილები. შესაბამისად გამოიყენება §2151 მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა.

§ 2154. საანდერძო დანაკისრი არჩევით

(1) მამკვიდრებელს შეუძლია დაადგინოს საანდერძო დანაკისრი იმგვარად, რომ საანდერძო დანაკისრის მიმღებმა რამდენიმე საგნიდან მიიღოს მხოლოდ ერთ-ერთი. თუ აღნიშნულ შემთხვევაში არჩევის უფლება გადაეცემა მესამე პირს, მაშინ იგი ხორციელდება საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირის მიმართ წარდგენილი განცხადებით.

(2) თუ მესამე პირს არჩევანის გაკეთება არ შეუძლია, მაშინ არჩევანის უფლება გადადის საანდერძო დანაკისრით ვალდებულ პირზე. შესაბამისად გამოიყენება §2151 მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა.

§ 2155. გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის მიმართ დადგენილი საანდერძო დანაკისრი

(1) თუ მამკვიდრებელმა ანდერძით გადასაცემი ნივთი განსაზღვრა მხოლოდ გვაროვნული ნიშნით, მაშინ გადაცემულ უნდა იქნეს საანდერძო დანაკისრის მიმღების მდგომარეობის შესაბამისი ნივთი.

(2) თუ ნივთის განსაზღვრის უფლება მინიჭებული აქვთ საანდერძო დანაკისრის მიმღებს ან მესამე პირს, მაშინ გამოიყენება §2154 გათვალისწინებული მესამე პირისათვის არჩევის მიმართ მოქმედი ნორმები.

(3) თუ საანდერძო დანაკისრის მიმღების ან მესამე პირის მიერ ნივთის განსაზღვრა აშკარად არ შეესაბამება საანდერძო დანაკისრის მიმღების მდგომარეობას, მაშინ საანდერძო დანაკისრით ვალდებულმა პირმა უნდა შეასრულოს საანდერძო დანაკისრი ისე, თითქოს მამკვიდრებელს არ მიეღოს განკარგულება ნივთის განსაზღვრის თაობაზე.

§ 2156. მიზნობრივი საანდერძო დანაკისრი

მამკვიდრებელს შეუძლია იმ საანდერძო დანაკისრის დადგენის შესახებ განკარგულებით, რომლის მიზანიც მან განსაზღვრა, ვალდებულების შესრულების საგნის

განსაზღვრა მიანდოს საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირის ან მესამე პირის სამართლიან შეხედულებას. ასეთი საანდერძო დანაკისრის მიმართ შესაბამისად გამოიყენება §§315-319 ნორმები.

§ 2157. საერთო საანდერძო დანაკისრი
თუ ერთიდაიგივე საგანი ანდერძით უნდა გადაეცეს რამდენიმე პირს, მაშინ შესაბამისად გამოიყენება §§2089-2093 ნორმები.

§ 2158. სამკვიდრო წილების მიმატება
(1) თუ ერთიდაიგივე საგანი ანდერძით უნდა გადაეცეს რამდენიმე პირს, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მათგანი სამკვიდროს გახსნამდე ან გახსნის შემდეგ სახეზე აღარ არის, მისი წილი გადადის დანარჩენ საანდერძო დანაკისრის მიმღებ პირებზე მათი წილების შესაბამისად. ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ მამკვიდრებელმა განსაზღვრა საანდერძო დანაკისრის მიმღები პირების წილები.
(2) მამკვიდრებელს შეუძლია სამკვიდრო წილების მიმატების გამორიცხვა.

§ 2159. სამკვიდრო წილების მიმატების დამოუკიდებლობა
სამკვიდრო წილების მიმატების შედეგად ლეგატარის მიერ მისაღები წილი ითვლება დამოუკიდებელ საანდერძო დანაკისრად საანდერძო დანაკისრებისა და დაკისრებული ვალდებულებების მიმართ, რომელთა შესრულებაც ეკისრებათ აღნიშნულ ლეგატარს ან იმ ლეგატარს, რომელიც აღარ არის სახეზე.

§ 2160. საანდერძო დანაკისრის მიმღების გარდაცვალება სამკვიდროს გახსნამდე
საანდერძო დანაკისრი სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ სამკვიდროს გახსნის მომენეტში საანდერძო დანაკისრის მიმღები ცოცხალი აღარ არის.

§ 2161. შემთხვევა, როდესაც საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირი არ ხდება მემკვიდრე (Wegfall des Beschwerten)
თუ სავარაუდო არ არის მამკვიდრებლის სხვაგვარი ნება, საანდერძო დანაკისრი ინარჩუნებს სამართლებრივ ძალას იმ შემთხვევაში, როდესაც საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირი არ ხდება მემკვიდრე ან ლეგატარი. ამ შემთხვევაში საანდერძო დანაკისრით ვალდებულად ჩაითვლება პირი, რომელიც უშუალო სარგებელს იღებს იმ ფაქტით, რომ საანდერძო დანაკისრით თავდაპირველად ვალდებული პირი არ ხდება მემკვიდრე.

§ 2162. ოცდაათწლიანი ვადა გადავადებული საანდერძო დანაკისრისათვის
(1) საანდერძო დანაკისრი, რომელიც დადგენილია გადადების პირობით ან საწყისი ვადის დადგენით, ძალას კარგავს სამკვიდროს გახსნიდან 30 წლის ვადის გასვლისთანავე, თუ პირობა ან ვადა უფრო ადრე არ დადგა.
(2) თუ საანდერძო დანაკისრის მიმღები სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ჯერ არ არის ჩასახული ან მისი პიროვნება დგინდება მხოლოდ სამკვიდროს გახსნის მომენტის შემდეგ დამდგარი მოვლენის შედეგად, მაშინ საანდერძო დანაკისრი ძალას კარგავს სამკვიდროს გახსნიდან 30 წლის ვადის გასვლისთანავე, თუ საანდერძო დანაკისრის მიმღები უფრო ადრე არ იქნა ჩასახული ან უფრო ადრე არ დგება მოვლენა, რომლითაც დგინდება მისი პიროვნება.

§ 2163. გამონაკლისები ოცდაათწლიანი ვადის წესიდან

(1) §2162 შემთხვევებში საანდერძო დანაკისრი ინარჩუნებს სამართლებრივ ძალას ასევე 30 წლის ვადის გასვლის შემდეგაც:

1. თუ იგი დადგენილ იქნა საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირის ან საანდერძო დანაკისრის მიმღების მიმართ განსაზღვრული მოვლენის დადგომის შემთხვევისათვის, ხოლო ის პირი, ვის მიმართაც უნდა დადგეს მოვლენა, სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ცოცხალია,
2. თუ მემკვიდრეს, სუბსტიტუტს ან ლეგატარს ეკისრებათ საანდერძო დანაკისრი მათი ძმის ან დის სასარგებლოდ ამ უკანასკნელთა დაბადების შემთხვევაში.

(2) თუ საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირი ან საანდერძო დანაკისრის მიმღები, რომელთა მიმართ უნდა დადგეს განსაზღვრული მოვლენა, წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მაშინ გამოიყენება ოცდაათწლიანი ვადის შესახებ წესები.

§ 2164. საანდერძო დანაკისრის გავრცელება საკუთვნებელსა და ანაზღაურების მოთხოვნის უფლებებზე

(1) საეჭვოობისას ნივთის მიმართ დადგენილი საანდერძო დანაკისრი ვრცელდება სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის არსებულ საკუთვნებელზე.

(2) თუ მამკვიდრებელს აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ნივთის დაზიანების შედეგად გამოწვეული მისი ღირებულების შემცირებისათვის, რასაც ადგილი აქვს საანდერძო დანაკისრის დადგენის შემდეგ, მაშინ საეჭვოობისას საანდერძო დანაკისრი ვრცელდება აღნიშნულ მოთხოვნის უფლებაზე.

§ 2165. უფლებრივი დატვირთვები

(1) თუ ანდერძით გადაეცა სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგანი, მაშინ საეჭვოობისას ლეგატარს არ შეუძლია მოითხოვოს იმ უფლებების გაუქმება, რომლითაც დატვირთულია საგანი. თუ მამკვიდრებელს ეკუთვნის უფლების გაუქმების მოთხოვნის უფლება, მაშინ საეჭვოობისას საანდერძო დანაკისრი ვრცელდება აღნიშნულ მოთხოვნის უფლებაზე.

(2) თუ ანდერძით გადაცემული მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით, მიწის ვალით ან სარენტო ვალით, რომლებიც თავად მამკვიდრებელს ეკუთვნის, მაშინ გარემოებებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს, ჩაითვლება თუ არა იპოთეკა, მიწის ვალი ან სარენტო ვალი მიწის ნაკვეთთან ერთად გადაცემულად.

§ 2166. იპოთეკით დატვირთვა

(1) თუ ანდერძით გადაცემული მიწის ნაკვეთი, რომელიც შედის სამკვიდრო ქონებაში, დატვირთულია იპოთეკით მამკვიდრებლის წინაშე არსებული ან იმ ვალის საუზრუნველყოფოდ, რომლის დაფარვაც მამკვიდრებელს ეკისრება მოვალის მიმართ, – მაშინ საეჭვოობისას ლეგატარი მემკვიდრის წინაშე ვალდებულია, დროულად დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები იმ ოდენობით, რომელშიც ვალი იფარება მიწის ნაკვეთის ღირებულებიდან. ღირებულება განისაზღვრება იმ მომენტით, როდესაც საკუთრების უფლება გადადის ლეგატარზე; ღირებულება გამოითვლება იმ უფლებრივი დატვირთვების გამოკლებით, რომლებსაც ენიჭება უპირატესობა იპოთეკასთან შედარებით.

(2) თუ მამკვიდრებლის წინაშე ვალის დაფარვა ეკისრება მესამე პირს, მაშინ საეჭვოობისას ლეგატარის ვალდებულება არსებობს მხოლოდ იმ ოდენობით, რომელშიც მემკვიდრეს არ შეუძლია მესამე პირისაგან ვალის დაფარვის მოთხოვნა.

(3) §1190 აღნიშნული სახის იპოთეკის მიმართ აღნიშნული ნორმები არ გამოიყენება.

§ 2167. საერთო იპოთეკით დატვირთვა
თუ ანდერძით გადაცემულ მიწის ნაკვეთთან ერთად იპოთეკით დატვირთულია სამკვიდრო ქონებაში შემავალი სხვა მიწის ნაკვეთები, მაშინ საეჭვოობისას §2166 გათვალისწინებული ლეგატარის ვალდებულება შეზღუდულია ვალის იმ ნაწილით, რომელიც შეესაბამება ანდერძით გადაცემული მიწის ნაკვეთის ღირებულების შეფარდებას ყველა მიწის ნაკვეთის მთლიან ღირებულებასთან. ღირებულება გამოითვლება §2166 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად.

§ 2168. საერთო მიწის ვალით დატვირთვა
(1) თუ რამდენიმე მიწის ნაკვეთი, რომელიც შედის სამკვიდრო ქონებაში, დატვირთულია საერთო მიწის ვალით ან საერთო სარენტო ვალით და ანდერძით გადაეცემა ერთ-ერთი აღნიშნული მიწის ნაკვეთთაგანი, მაშინ საეჭვოობისას ლეგატარი მემკვიდრის წინაშე ვალდებულია კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე მიწის ვალის ან სარენტო ვალის იმ ნაწილით, რომელიც შეესაბამება ანდერძით გადაცემული მიწის ნაკვეთის ღირებულების შეფარდებას ყველა მიწის ნაკვეთის მთლიან ღირებულებასთან. ღირებულება გამოითვლება §2166 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად.
(2) თუ ანდერძით გადაცემულ მიწის ნაკვეთთან ერთად საერთო მიწის ვალით ან საერთო სარენტო ვალით დატვირთულია მიწის ნაკვეთები, რომლებიც არ შედის სამკვიდრო ქონებაში, მაშინ იმ შემთხვევაში, როდესაც მამკვიდრებელი სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ვალდებულია კრედიტორების მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე სხვა მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების ან ამ უკანასკნელთა წინამორბედების წინაშე, – შესაბამისად გამოიყენება §2166 1-ლი ნაწილისა და §2167 ნორმები.

§ 2168ა. ნორმების გამოყენება საზღვაო ხომალდების, მშენებარე საზღვაო ხომალდებისა და საზღვაო ხომალდზე დადგენილი იპოთეკების მიმართ
§2165 მე-2 ნაწილი, §§2166, 2167 აზრობრივად მოქმედებს რეგისტრირებული საზღვაო ხომალდების, მშენებარე საზღვაო ხომალდებისა და საზღვაო ხომალდზე დადგენილი იპოთეკების მიმართ.

§ 2169. უცხო საგნების მიმართ დადგენილი საანდერძო დანაკისრი
(1) განსაზღვრული საგნის მიმართ დადგენილი საანდერძო დანაკისრი სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის საგანი სამკვიდრო ქონებას არ მიეკუთვნება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საგანი უნდა გადაეცეს საანდერძო დანაკისრის მიმღებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი სამკვიდრო ქონებას არ მიეკუთვნება.
(2) თუ მამკვიდრებელი მხოლოდ ფლობს ანდერძით გადაცემულ ნივთს, მაშინ საეჭვოობისას მფლობელობა ითვლება ანდერძით გადაცემულად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მფლობელობა საანდერძო დანაკისრის მიმღებს არ ანიჭებს სამართლებრივ სარგებელს.
(3) თუ მამკვიდრებელს აქვს ანდერძით გადაცემული საგნის გადაცემის მოთხოვნის უფლება ან ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევებში, როდესაც საანდერძო დანაკისრის დადგენის შემდეგ საგანი განადგურდა ან მამკ-

ვიდრებელს ჩამოერთვა, მაშინ საეჭვოობისას მოთხოვნის უფლება ითვლება ანდერძით გადაცემულად.
(4) საგანი 1-ლი ნაწილის გაგებით არ მიეკუთვნება სამკვიდრო ქონებას, თუ მამკვიდრებელს ეკისრება მისი გასხვისება.

§ 2170. მომავალში შესაძენი ნივთის მიმართ დადგენილი საანდერძო დანაკისრი (Verschaffungsvermächtnis)
(1) თუ იმ საგანის მიმართ დადგენილი საანდერძო დანაკისრი, რომელიც სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის არ მიეკუთვნება სამკვიდრო ქონებას, §2169 1-ლი ნაწილის თანახმად სამართლებრივი ძალის მქონეა, მაშინ საანდერძო დანაკისრით ვალდებულმა პირმა საგანი უნდა შეიძინოს საანდერძო დანაკისრის მიმღებისათვის.
(2) თუ საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირი უუნაროა, შეიძინოს საგანი, მაშინ მან უნდა გადაიხადოს მისი ღირებულება. თუ საგნის შეძენა შესაძლებელია მხოლოდ შეუსაბამო დანახარჯებით, მაშინ საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირი თავისუფლდება შეძენის ვალდებულებისაგან ღირებულების გადახდით.

§ 2171. საანდერძო დანაკისრის შესრულების შეუძლებლობა, კანონით დადგენილი აკრძალვა
(1) საანდერძო დანაკისრი, რომლის შესრულებაც სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის შეუძლებელია ნებისმიერი პირისათვის ან რომელიც არღვევს აღნიშნული მომენტისათვის არსებულ კანონით დადგენილ აკრძალვას, სამართლებრივი ძალის არმქონეა.
(2) ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა ხელს არ უშლის საანდერძო დანაკისრის ნამდვილობას, თუ იგი შეიძლება დაძლეულ იქნეს და საანდერძო დანაკისრი დადგენილია იმ შემთხვევისათვის, როდესაც ვალდებულების შესრულება შესაძლებელი გახდება.
(3) თუ საანდერძო დანაკისრი, რომელიც დაკავშირებულია შეუძლებელ შესრულებასთან, დადგენილია სხვა გადადების პირობით ან შესრულების საწყისი ვადის განსაზღვრით, მაშინ იგი ნამდვილია, თუ შესრულების შეუძლებლობა დაიძლევა პირობის ან ვადის დადგომამდე.

§ 2172. ანდერძით გადაცემული ნივთის შეერთება, შერევა, შერწყმა (Vermengung)
(1) ანდერძით გადაცემული ნივთის გადაცემა ჩაითვლება შეუძლებლად ასევე მაშინაც, როდესაც ნივთი შეუერთდება, შეერევა ანდა შეერწყმება სხვა ნივთს იმგვარად, რომ §§946-948 თანახმად ამ უკანასკნელზე საკუთრების უფლება გავრცელდება მასზე ან წარმოიქმნება საერთო საკუთრება ანდა ანდერძით გადაცემული ნივთი გადამუშავდა ან გადაკეთდა იმგვარად, რომ §950 თანახმად ის პირი, რომელმაც შექმნა ახალი ნივთი, გახდა მისი მესაკუთრე.
(2) თუ შეერთება, შერევა ან შერწყმა ხორციელდება სხვა პირის და არა მამკვიდრებლის მიერ, რის შედეგადაც ამ უკანასკნელმა შეიძინა საერთო საკუთრება, მაშინ საეჭვოობისას ანდერძით გადაცემულად ჩაითვლება საერთო საკუთრება; თუ მამკვიდრებელს აქვს მიერთებული ნივთის თან წაღების უფლება, მაშინ საეჭვოობისას აღნიშნული უფლება ჩაითვლება ანდერძით გადაცემულად. სხვა პირის, ვიდრე მამკვიდრებლის მიერ, გადამუშავების ან გადაკეთების შემთხვევაში გამოიყენება §2169 მე-3 ნაწილის ნორმა.

§ 2173. მოთხოვნის მიმართ დადგენილი საანდერძო დანაკისრი
თუ მამკვიდრებელმა ანდერძით გადასცა კუთვნილი მოთხოვნა, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულება განხორციელდა სამკვიდროს გახსნამდე და შესრულების საგანი ჯერ კიდევ შედიოდა სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში, საეჭვოობისას ივარაუდება, რომ აღნიშნული საგანი ანდერძით უნდა გადაეცეს საანდერძო დანაკისრის მიმღებს. თუ მოთხოვნა მიმართულია ფულადი თანხის გადახდაზე, მაშინ საეჭვოობისას ანდერძით გადაცემულად ჩაითვლება შესაბამისი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს თანხა სამკვიდრო ქონებაში არ აღმოჩნდება.

§ 2174. საანდერძო დანაკისრიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება
საანდერძო დანაკისრით დგინდება საანდერძო დანაკისრის მიმღების უფლება, საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირისაგან მოითხოვოს ანდერძით გადაცემული საგნის გადაცემა.

§ 2175. შეწყვეტილი სამართლებრივი ურთიერთობების აღდგენა
თუ მამკვიდრებელმა ანდერძით გადასცა მემკვიდრის მიმართ კუთვნილი მოთხოვნა ან უფლება, რომლითაც დატვირთულია მემკვიდრის ნივთი ან უფლება, მაშინ სამკვიდროს გახსნის შედეგად უფლებისა და ვალის ან უფლებისა და უფლებრივი ტვირთის ერთი პირის ხელში აღმოჩენის გამო შეწყვეტილი სამართლებრივი ურთიერთობები საანდერძო დანაკისრის მიმართ არ მიიჩნევა შეწყვეტილად.

§ 2176. საანდერძო დანაკისრის გადასვლა
საანდერძო დანაკისრზე უარის თქმის უფლების შეზღუდვის გარეშე ლეგარატის მოთხოვნა წარმოიშობა (საანდერძო დანაკისრის გადასვლა) სამკვიდროს გახსნისთანავე.

§ 2177. საანდერძო დანაკისრის გადასვლა პირობის ან ვადის დადგომისას
თუ საანდერძო დანაკისრი დადგენილია გადადების პირობით ან საწყისი ვადის დადგენით და პირობა ან ვადა დგება მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ, მაშინ საანდერძო დანაკისრის გადასვლა ხორციელდება პირობის ან ვადის დადგომისთანავე.

§ 2178. საანდერძო დანაკისრის გადასვლა იმ შემთხვევაში, როდესაც საანდერძო დანაკისრის მიმღები ჯერ არ არის ჩასახული ან მისი პიროვნება არ არის დადგენილი
თუ საანდერძო დანაკისრის მიმღები სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ჯერ არ არის ჩასახული ან მისი პიროვნება დგინდება მხოლოდ სამკვიდროს გახსნის მომენტის შემდეგ დამდგარი მოვლენის შედეგად, მაშინ საანდერძო დანაკისრის გადასვლა პირველ შემთხვევაში ხორციელდება დაბადებით, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – მოვლენის დადგომისთანავე.

§ 2179. მერყევი მდგომარეობის პერიოდი
§§2177, 2178 შემთხვევებში სამკვიდროს გახსნასა და საანდერძო დანაკისრის გადასვლამდე დროის პერიოდის მიმართ გამოიყენება გადადების პირობით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 2180. საანდერძო დანაკისრის მიღება და მასზე უარი

(1) ლეგატარს საანდერძო დანაკისრზე უარის თქმა აღარ შეუძლია, თუ მან იგი მიიღო.
(2) საანდერძო დანაკისრის მიღება, ისევე როგორც მასზე უარი ხორციელდება საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირის მიმართ წარდგენილი განცხადებით. განცხადება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ; ის სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ იგი წარედგინება პირობით ან ვადის დადგენით.
(3) შესაბამისად გამოიყენება სამკვიდროს მიღებისა და მასზე უარის მიმართ მოქმედი §1950, §1952 1-ლი და მე-3 ნაწილებისა და §1953 1-ლი და მე-2 ნაწილების ნორმები.

§ 2181. საანდერძო დანაკისრის შესრულების ვადის დადგომა საკუთარი შეხედულებით

თუ საანდერძო დანაკისრის შესრულების მომენტის განსაზღვრა გადაეცა საანდერძო დანაკისრით ვალდებულ პირს თავისუფალი შეხედულებისათვის, მაშინ საეჭვოობისას ვალდებულების შესრულების ვადა დგება საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირის გარდაცვალებისთანავე.

§ 2182. უფლებრივი ნაკლის არარსებობის გარანტია

(1) თუ ანდერძით გადაეცა მხოლოდ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მაშინ საანდერძო დანაკისრით ვალდებულ პირს ეკისრება იგივე ვალდებულებები, რაც გამყიდველს §433 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების, §§436, 452 და 453 ნორმების თანახმად. მან ლეგატარისათვის უნდა შეიძინოს §435 გაგებით უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. შესაბამისად გამოიყენება §444.
(2) §2170 გამომდინარე პასუხისმგებლობის შეზღუდვის შენარჩუნებით საეჭვოობისას ზემოაღნიშნული წესი მოქმედებს, თუ ანდერძით გადაცემულია განსაზღვრული საგანი, რომელიც არ მიეკუთვნება სამკვიდრო ქონებას.
(3) თუ საანდერძო დანაკისრის საგანია მიწის ნაკვეთი, მაშინ საეჭვოობისას საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირი პასუხს არ აგებს მიწის ნაკვეთზე მიწის სერვიტუტების, შეზღუდული პირადი სერვიტუტებისა და სანივთო ტვირთის არარსებობისათვის.

§ 2183. ნივთობრივი ნაკლის არარსებობის გარანტია

თუ ანდერძით გადაეცა მხოლოდ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი, მაშინ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცემული ნივთი ნაკლის მქონეა, ლეგატარს შეუძლია მოითხოვოს, რომ მას ნაკლის მქონე ნივთის ნაცვლად მიეწოდოს უნაკლო ნივთი. თუ საანდერძო დანაკისრით ვალდებულმა პირმა ნივთობრივი ნაკლი განზრახ დამალა, მაშინ ლეგატარს უნაკლო ნივთის გადაცემის ნაცვლად შეუძლია მოითხოვოს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული მოთხოვნის უფლებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება გაყიდული ნივთის ნაკლის არარსებობის გარანტიის მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 2184. ნაყოფი; ნივთით სარგებლობის შედეგად მიღებული სარგებელი

თუ ანდერძით გადაეცა განსაზღვრული სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგანი, მაშინ საანდერძო დანაკისრით ვალდებულმა პირმა საანდერძო დანაკისრის მიმღებს უნდა გადასცეს ასევე საანდერძო დანაკისრის გადასვლის შემდეგ მიღებული ნაყოფი, ისევე როგორც სხვა ყველაფერი ის, რისი მიღებაც ხდება ანდერძით გადაცემუ-

ლი უფლების საფუძველზე. საანდერძო დანაკისრით ვალდებულ პირს არ ეკისრება იმ სარგებლის ანაზღაურება, რომელიც არ მიეკუთვნება ნაყოფს.

§ 2185. გაწეული ხარჯების ანაზღაურება
თუ ანდერძით გადაეცა განსაზღვრული სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგანი, მაშინ საანდერძო დანაკისრით ვალდებულ პირს შეუძლია მოითხოვოს სამკვიდროს გახსნის შემდეგ ნივთზე გაწეული ხარჯების, ისევე როგორც იმ დანახარჯების ანაზღაურება, რომლებიც მან სამკვიდროს გახსნის შემდეგ გასწია ნივთის ვალების დაფარვისათვის, მფლობელსა და მესაკუთრეს შორის ურთიერთობის მიმართ მოქმედი ნორმების თანახმად.

§2186. მეორადი საანდერძო დანაკისრის (Untervermächtnis) ან ვალდებულების დაკისრების შესრულების ვადის დადგომა
თუ ლეგატარს ეკისრება საანდერძო დანაკისრი ან ვალდებულება, მაშინ იგი ვალდებულია მათ შესრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის თავად იქნება უფლებამოსილი მის სასარგებლოდ დადგენილი საანდერძო დანაკისრის შესრულებაზე.

§ 2187. ძირითადი ლეგატარის (Hauptvermächtnisnehmer) პასუხისმგებლობა
(1) ლეგატარს, რომელსაც ეკისრება საანდერძო დანაკისრი ან ვალდებულება, შეუძლია უარი თქვას შესრულებაზე მის სასარგებლოდ დადგენილი საანდერძო დანაკისრის მიღების შემდეგაც იმდენად, რამდენადაც ყველაფერი ის, რაც მიიღება საანდერძო დანაკისრიდან, საკმარისი არ არის შესრულებისათვის.
(2) თუ §2161 თანახმად იმ ლეგატარის ადგილს, რომელსაც ეკისრება საანდერძო დანაკისრი, იკავებს სხვა პირი, მაშინ ამ უკანასკნელს არ ეკისრება იმაზე მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე აღნიშნული დაეკისრებოდა ლეგატარს.
(3) შესაბამისად გამოიყენება მემკვიდრის პასუხისმგებლობის მიმართ მოქმედი §1992 ნორმები.

§ 2188. უფლებრივი ტვირთის შემცირება
თუ ლეგატარზე დაკისრებული შესრულება შემცირდება მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვის საფუძველზე სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების არსებობის გამო ან §2187 შესაბამისად, მაშინ ლეგატარს შეუძლია პროპორციულად შეამციროს მასზე დაკისრებული უფლებრივი ტვირთი, თუ სავარაუდო არ არის მამკვიდრებლის სხვაგვარი ნება.

§ 2189. უპირატესი რიგის დადგენა
მამკვიდრებელს საანდერძო განკარგულებით შეუძლია დაადგინოს, რომ საანდერძო დანაკისრს ან ვალდებულების დაკისრებას ჰქონდეს უპირატესი რიგი დანარჩენ უფლებრივ ტვირთთან შედარებით, თუ მემკვიდრესა თუ ლეგატარზე დაკისრებული საანდერძო დანაკისრები და ვალდებულებები შემცირდება მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვის საფუძველზე სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების არსებობის გამო ან §§2187, 2188 შესაბამისად.

§ 2190. სათადარიგო ლეგატარი (Ersatzvermächtnisnehmer)
თუ იმ შემთხვევისათვის, როდესაც თავდაპირველად მითითებული საანდერძო დანაკისრის მიმღები არ იძენს საანდერძო დანაკისრს, მამკვიდრებელმა საანდერძო

დანაკისრის საგანი გადასცა სხვა პირს, მაშინ შესაბამისად გამოიყენება სათადარიგო მემკვიდრის დანიშვნის მიმართ მოქმედი §§2097-2099 ნორმები.

§ 2191. სუბსტიტუციური ლეგატარი (Nachvermächtnisnehmer)
(1) თუ მამკვიდრებელმა ანდერძით გადაცემული საგანი გადასცა მესამე პირს იმ განსაზღვრულ საანდერძო დანაკისრის გადასვლის შემდეგ დამდგარ მომენტში ან მოვლენის შემდეგ, მაშინ პირველი ლეგატარი ჩაითვლება ვალდებულ პირად.
(2) საანდერძო დანაკისრის მიმართ შესაბამისად გამოიყენება სუბსტიტუტის დანიშვნის მიმართ მოქმედი §2102, §2106 1-ლი ნაწილის, §2107 და §2110 1-ლი ნაწილის ნორმები.

კარი 5. დაკისრებული ვალდებულება

§ 2192. გამოსაყენებელი ნორმები
დაკისრებული ვალდებულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ანდერძით ქონების გადაცემის მიმართ მოქმედი §§2065, 2147, 2148, 2154-2156, 2161, 2171, 2181 ნორმები.

§ 2193. ბენეფიციარის განსაზღვრა, შესრულების ვადა
(1) მამკვიდრებელს შეუძლია დაკისრებული ვალდებულების შესახებ იმ განკარგულების მიღებისას, რომლის მიზანიც მან დაადგინა, მესამე პირს ან ვალდებულ პირს (Beschwerte) მიანიჭოს იმ პირის განსაზღვრის უფლება, ვის მიმართაც უნდა განხორციელდეს ვალდებულების შესრულება.
(2) თუ ბენეფიციარის განსაზღვრის უფლება ეკუთვნის ვალდებულ პირს, მაშინ იმ შემთხვევაში, თუ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით ვალდებულების შესრულება დაეკისრა მას, – მოსარჩელეს შეუძლია ამ პირს განუსაზღვროს სათანადო ვადა ვალდებულების შესრულებისათვის; ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელე უფლებამოსილია, განსაზღვროს ბენეფიციარი, თუ ვალდებულების შესრულება დროულად არ ხორციელდება.
(3) თუ ბენეფიციარის განსაზღვრის უფლება ეკუთვნის მესამე პირს, მაშინ იგი ხორციელდება ვალდებული პირის მიმართ წარდგენილი განცხადებით. თუ მესამე პირს არ შეუძლია ბენეფიციარის განსაზღვრა, მაშინ ამ უკანასკნელის განსაზღვრის უფლება გადადის ვალდებულ პირზე. შესაბამისად გამოიყენება §2151 მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების ნორმა; აღნიშნული ნორმის გაგებით დაინტერესებულ პირებს მიეკუთვნებიან ვალდებული პირი და ის პირები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ დაკისრებული ვალდებულების შესრულება.

§ 2194. ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება
დაკისრებული ვალდებულების შესრულების მოთხოვნა შეუძლიათ მემკვიდრეს, თანამემკვიდრესა და იმ პირს, ვისთვისაც უშუალოდ სასარგებლო იქნებოდა ის ფაქტი, რომ სახეზე აღარ არის თავდაპირველად ვალდებული პირი. თუ ვალდებულების შესრულება საჯარო ინტერესშია, მაშინ ვალდებულების შესრულების მოითხოვნა შეუძლია ასევე კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოსაც.

§ 2195. ურთიერთმიმართება დაკისრებულ ვალდებულებასა და გადაცემულ ქონებას შორის

დაკისრებული ვალდებულების სამართლებრივი ძალის არქონა შედეგად იწვევს დაკისრებული ვალდებულების ფარგლებში განხორციელებული ქონებრივი გადაცემის სამართლებრივი ძალის არქონას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდოა, რომ მამკვიდრებელი ქონებრივ გადაცემას დაკისრებული ვალდებულების გარეშე არ განახორციელებდა.

§ 2196. დაკისრებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა

(1) თუ დაკისრებული ვალდებულების შესრულება შეუძლებელია იმ გარემოებების გამო, რომელთათვისაც პასუხისმგებელია ვალდებული პირი, მაშინ იმ პირს, ვისთვისაც უშუალოდ სასარგებლო იქნებოდა ის ფაქტი, რომ სახეზე აღარ არის თავდაპირველად ვალდებული პირი, შეუძლია მოითხოვოს გადაცემული ქონების მისთვის გადაცემა უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად იმ ფარგლებში, რომლებშიც გადაცემული ქონება უნდა გამოყენებულიყო დაკისრებული ვალდებულების შესრულებისათვის.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით ვალდებულ პირს დაეკისრა ვალდებულების შესრულება, რომელიც არ შეიძლება შესრულდეს მესამე პირის მიერ, ხოლო ვალდებული პირის მიმართ უშედეგოდ იქნა გამოყენებული ყველა დასაშვები იძულების საშუალება.

კარი 6. ანდერძის აღმსრულებელი

§ 2197. ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა

(1) მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძით დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ანდერძის აღმსრულებელი.

(2) მამკვიდრებელს შეუძლია დანიშნოს სხვა ანდერძის აღმსრულებელი იმ შემთხვევისათვის, თუ მოვალეობათა კისრებამდე ან მათი კისრების შემდეგ დანიშნული ანდერძის აღმსრულებელი სახეზე აღარ არის.

§ 2198. ანდერძის აღმსრულებლის პიროვნების განსაზღვრა მესამე პირის მიერ

(1) მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძის აღმსრულებლის პიროვნების განსაზღვრის უფლებამოსილება მიანიჭოს მესამე პირს. პიროვნების განსაზღვრა ხორციელდება სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს მიმართ წარდგენილი განცხადებით; განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს ოფიციალურად დამოწმებული ფორმით.

(2) მესამე პირისათვის მინიჭებული ანდერძის აღმსრულებლის პიროვნების განსაზღვრის უფლება უქმდება იმ ვადის გასვლით, რომელიც დგინდება სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს მიერ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

§ 2199. ანდერძის თანააღმსრულებლის ან უფლებამონაცვლის დანიშვნა

(1) მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძის აღმსრულებელს მიანიჭოს უფლებამოსილება, დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ანდერძის თანააღმსრულებელი.

(2) მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძის აღმსრულებელს მიანიჭოს უფლებამოსილება, დანიშნოს უფლებამონაცვლე.
(3) დანიშვნა ხორციელდება §2198 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად.

§ 2200. ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს მიერ
(1) თუ მამკვიდრებელმა ანდერძში სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს მიმართა ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნის მოთხოვნით, მაშინ სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს შეუძლია განახორციელოს დანიშვნა.
(2) ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნამდე სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ უნდა მოუსმინოს დაინტერესებულ პირს, თუ ეს შესაძლებელია მნიშვნელოვანი დაყოვნებისა და შეუსაბამოდ მაღალი ხარჯების გარეშე.

§ 2201. სამართლებრივი ძალის არმქონე დანიშვნა
ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ იგი მოვალეობათა კისრების მომენტში ქმედუუნაროა ან მას შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა ანდა თავისი ქონებრივი საქმეების წარმოებისათვის მას §1896 თანახმად დაენიშნა მზრუნველი.

§ 2202. მოვალეობათა კისრება და მათ კისრებაზე უარი
(1) ანდერძის აღმსრულებლის მოვალეობათა შესრულება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც დანიშნული პირი კისრულობს ამ მოვალეობებს.
(2) მოვალეობათა კისრება, ისევე როგორც მათ კისრებაზე უარი ხორციელდება სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს მიმართ წარდგენილი განცხადებით. განცხადება შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ სამკვიდროს გახსნის შემდეგ; განცხადება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ იგი წარედგინება პირობით ან ვადის დადგენით.
(3) სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს შეუძლია ერთ-ერთი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე დაადგინოს მოვალეობათა კისრების შესახებ განცხადების წარდგენის ვადა. ვადის გასვლით ჩაითვლება, რომ მოვალეობათა კისრებაზე ითქვა უარი, თუ მათ მიღებაზე უფრო ადრე არ იქნა განცხადებული.

§ 2203. ანდერძის აღმსრულებლის ამოცანა
ანდერძის აღმსრულებელმა უნდა აღასრულოს მამკვიდრებლის საანდერძო განკარგულებები.

§ 2204. სამკვიდრო ქონების გაყოფა თანამემკვიდრეებს შორის
(1) თუ სახეზეა რამდენიმე მემკვიდრე, ანდერძის აღმსრულებელმა უნდა განახორციელოს მათ შორის სამკვიდრო ქონების გაყოფა §§2042-2056 შესაბამისად.
(2) ანდერძის აღმსრულებელმა უნდა მოისმინოს მემკვიდრეების შეხედულებები სამკვიდრო ქონების გაყოფის გეგმის შესახებ გაყოფის განხორციელებამდე.

§ 2205. სამკვიდრო ქონების მართვა, განკარგვის უფლებამოსილება
ანდერძის აღმსრულებელმა უნდა მართოს სამკვიდრო ქონება. კერძოდ, იგი უფლებამოსილია, მფლობელობაში მიიღოს სამკვიდრო ქონება და განკარგოს სამკვიდროს

შემადგენლობაში შემავალი საგნები. იგი უფლებამოსილია, განახორციელოს უსასყიდლო განკარგვები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეესაბამება მორალურ ვალდებულებას ან კეთდება ზრდილობისათვის.

§ 2206. ვალდებულებების კისრება

(1) ანდერძის აღმსრულებელი უფლებამოსილია, იკისროს ვალდებულებები სამკვიდრო ქონების სასარგებლოდ, თუ ვალდებულებების კისრება აუცილებელია სათანადო მართვისათვის. სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი საგნების განკარგვის ვალდებულების კისრება ანდერძის აღმსრულებელს შეუძლია ასევე იმ შემთხვევაში, თუ იგი უფლებამოსილია განკარგვაზე.

(2) მემკვიდრე ვალდებულია, გასცეს თავისი თანხმობა აღნიშნული ვალდებულებების კისრებაზე სამკვიდრო ქონების ვალებისათვის მისი პასუხისმგებლობის შეზღუდვის უფლების შენარჩუნებით.

§ 2207. ვალდებულების კისრების გაფართოებული უფლებამოსილება

მამკვიდრებელს შეუძლია დაადგინოს, რომ ანდერძის აღმსრულებელმა შეუზღუდავად იკისროს ვალდებულებები სამკვიდრო ქონების სასარგებლოდ. თუმცა, თუნდაც ასეთ შემთხვევაში ანდერძის აღმსრულებელი უფლებამოსილია ჩუქების შეპირებაზე მხოლოდ §2205 მე-3 წინადადების შესაბამისად.

§ 2208. ანდერძის აღმსრულებლის უფლებების შეზღუდვა, საანდერძო განკარგულებების აღასრულება მემკვიდრის მიერ

(1) ანდერძის აღმსრულებელს არა აქვს §§2203-2206 განსაზღვრული უფლებები, თუ სავარაუდოა, რომ მამკვიდრებლის ნების თანახმად ისინი მას არ უნდა ეკუთვნოდეს. თუ ანდერძის აღმსრულებლის მართვას ექვემდებარება სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი მხოლოდ ცალკეული საგნები, მაშინ მას §2205 მე-2 წინადადებაში აღნიშნული უფლებამოსილებები აქვს მხოლოდ აღნიშნული საგნების მიმართ.

(2) თუ ანდერძის აღმსრულებელმა პირადად არ უნდა აღასრულოს მამკვიდრებლის საანდერძო განკარგულებები, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს მათი აღსრულება მემკვიდრისაგან, თუ სავარაუდო არ არის მამკვიდრებლის სხვაგვარი ნება.

§ 2209. განგრძობადი აღსრულება

მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძის აღმსრულებელს მიანიჭოს სამკვიდრო ქონების მართვის უფლებამოსილება ამ უკანასკნელის გარდა სხვა დავალებების დაკისრების გარეშე; მას შეუძლია ასევე დაადგინოს, რომ ანდერძის აღმსრულებელმა გააგრძელოს სამკვიდრო ქონების მართვა მასზე დაკისრებული სხვა ამოცანების შესრულების შემდეგ. საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ასეთ ანდერძის აღმსრულებელს მიენიჭა §2207 აღნიშნული უფლებამოსილება.

§ 2210. ოცდაათწლიანი ვადა განგრძობადი აღსრულებისათვის

§2209 თანახმად მიღებული განკარგულება სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ სამკვიდროს მიღების შემდეგ გავიდა 30 წელი. თუმცა, მამკვიდრებელს შეუძლია დაადგინოს, რომ სამკვიდრო ქონების მართვა გაგრძელდეს მემკვიდრის ან ანდერძის აღმსრულებლის გარდაცვალებამდე ანდა ერთის ან მეორის მიმართ სხვა მოვლენის დადგომამდე. შესაბამისად გამოიყენება §2163 მე-2 ნაწილის ნორმა.

§ 2211. მემკვიდრის განკარგვის უფლებამოსილების შეზღუდვა
(1) მემკვიდრეს არ შეუძლია სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი იმ საგნის განკარგვა, რომელიც ექვემდებარება ანდერძის აღმსრულებლის მიერ მართვას.
(2) შესაბამისად გამოიყენება იმ პირების სასარგებლოდ დადგენილი ნორმები, რომელთა უფლებებიც მიღებულია არაუფლებამოსილი პირისაგან.

§ 2212. სამკვიდრო ქონების მიმართ მოთხოვნის უფლებების სასამართლო წესით რეალიზაცია
უფლება, რომელიც ექვემდებარება ანდერძის აღმსრულებლის მიერ მართვას, შეიძლება სასამართლო წესით განხორციელდეს მხოლოდ ანდერძის აღმსრულებლის მიერ.

§ 2213. მემკვიდრის განკარგვის უფლებამოსილების შეზღუდვა
(1) დაუშვებელია სამკვიდრო ქონების მიმართ არსებული მოთხოვნის უფლების სასამართლო წესით რეალიზაცია როგორც მემკვიდრის, ისე ანდერძის აღმსრულებლის მიმართ. თუ ანდერძის აღმსრულებელს არა აქვს სამკვიდრო ქონების მართვის უფლება, მაშინ მოთხოვნის უფლების სასამართლო წესით რეალიზაცია დასაშვებია მხოლოდ მემკვიდრის მიმართ. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ მემკვიდრის მიმართ ასევე იმ შემთხვევაში, თუ ანდერძის აღმსრულებელს აქვს სამკვიდრო ქონების მართვის უფლება.
(2) §1958 ნორმა ანდერძის აღმსრულებლის მიმართ არ გამოიყენება.
(3) სამკვიდრო ქონების კრედიტორს, ვინც თავის მოთხოვნის უფლებას წარადგენს მემკვიდრის მიმართ, შეუძლია მოთხოვნის უფლების წარდგენა ასევე ანდერძის აღმსრულებლის მიმართაც იმ მიზნით, რომ ამ უკანასკნელმა ითმინოს მის მართვას დაქვემდებარებული სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალ საგნებზე იძულებითი აღსრულების განხორციელება.

§ 2214. მემკვიდრის კრედიტორები
მემკვიდრის კრედიტორებს, რომლებიც არ წარმოადგენენ სამკვიდრო ქონების კრედიტორებს, არ შეუძლიათ მიაქციონ აღსრულება ანდერძის აღმსრულებლის მართვას დაქვემდებარებული სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალ საგნებზე.

§ 2215. სამკვიდრო ქონების საინვენტარიზაციო აღწერა
(1) ვალდებულების კისრების შემდეგ ანდერძის აღმსრულებელმა დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მემკვიდრეს მის მართვას დაქვემდებარებული სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი საგნების საინვენტარიზაციო აღწერა და შეატყობინოს მისთვის ცნობილი სამკვიდრო ქონების ვალების შესახებ, ასევე გაუწიოს მას სხვაგვარი აუცილებელი დახმარება საინვენტარიზაციო აღწერის შედგენისათვის.
(2) საინვენტარიზაციო აღწერაში უნდა მიეთითოს შედგენის თარიღი და იგი ხელმოწერილ უნდა იქნეს ანდერძის აღმსრულებლის მიერ; მოთხოვნის საფუძველზე ანდერძის აღმსრულებელმა ხელმოწერა უნდა დამოწმდეს ოფიციალურად.
(3) მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს მისი ჩართვა საინვენტარიზაციო აღწერის შედგენისას.
(4) ანდერძის აღმსრულებელი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო მოთხოვნის საფუძველზე მემკვიდრე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ საინვენტარიზაციო აღწერა შედგენილ იქნეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს ან კომპეტენტური თანამდებობის პირის ანდა ნოტარიუსის მიერ.

(5) საინვენტარიზაციო აღწერის შედგენისა და დამოწმების ხარჯები იფარება სამკვიდრო ქონებიდან.

§ 2216. სამკვიდრო ქონების სათანადო მართვა, მამკვიდრებლის მითითებების შესრულება

(1) ანდერძის აღმსრულებელს ეკისრება სამკვიდრო ქონების სათანადო მართვის ვალდებულება.

(2) ანდერძის აღმსრულებელმა უნდა შეასრულოს მითითებები, რომლებიც მამკვიდრებელმა გააკეთა საანდერძო განკარგულებაში. თუმცა, ანდერძის აღმსრულებლის ან სხვა დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ისინი შეიძლება გაუქმდეს სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს მიერ, თუ მათი შესრულება არსებით საფრთხეს შეუქმნიდა სამკვიდრო ქონებას. რამდენადაც ეს შესაძლებელია, სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მოუსმინოს დაინტერესებულ პირებს.

§ 2217. სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნების გადაცემა

(1) მოთხოვნის საფუძველზე ანდერძის აღმსრულებელმა სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული ის საგნები, რომლებიც მას აშკარად არ ესაჭიროება თავისი მოვალეობების განხორციელებისათვის, უნდა გადასცეს მემკვიდრეს ამ უკანასკნელის თავისუფალი განკარგვისათვის. საგნების გადაცემით მისი მართვის უფლებამოსილება ამ საგნების მიმართ წყდება.

(2) ანდერძის აღმსრულებელს არ შეუძლია უარი თქვას სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნების გადაცემაზე სამკვიდრო ქონების იმ ვალების არსებობის საფუძვლით, რომლებიც არ გამომდინარეობს საანდერძო დანაკისრიდან ან დაკისრებული ვალდებულებიდან, ისევე როგორც პირობითი ან ვადიანი საანდერძო დანაკისრის ან დაკისრებული ვალდებულების არსებობის საფუძვლით, თუ მემკვიდრე წარადგენს უზრუნველყოფას ვალების დაფარვის ან საანდერძო დანაკისრის ან დაკისრებული ვალდებულების შესრულებისათვის.

§ 2218. სამართლებრივი ურთიერთობა მემკვიდრის მიმართ; ანგარიშის წარდგენა

(1) ანდერძის აღმსრულებელსა და მემკვიდრეს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ შესაბამისად გამოიყენება დავალების მიმართ მოქმედი §§664, 666-668, 670, §673 მე-2 წინადადებისა და §674 ნორმები.

(2) ქონების მართვის უფრო ხანგრძლივი ვადის შემთხვევაში მემკვიდრეს შეუძლია მოითხოვოს ყოველწლიური ანგარიშის წარდგენა.

§ 2219. ანდერძის აღმსრულებლის პასუხისმგებლობა

(1) თუ ანდერძის აღმსრულებელი არღვევს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, მაშინ იგი პასუხისმგებელია მემკვიდრის წინაშე ამის შედეგად მიყენებულ ზიანზე, თუ მას ამაში მიუძღვის ბრალი, ხოლო თუ შესრულებას ექვემდებარება საანდერძო დანაკისრი, ანდერძის აღმსრულებელი პასუხისმგებელია ასევე ლეგატარის მიმართ.

(2) ბრალის არსებობისას რამდენიმე ანდერძის აღმსრულებელი პასუხს აგებს როგორც სოლიდარული მოვალე.

§ 2220. იმპერატიული კანონი

მამკვიდრებელს არ შეუძლია ანდერძის აღმსრულებლის გათავისუფლება ამ უკანასკნელზე §§2215, 2216, 2218, 2219 დაკისრებული მოვალეობებისაგან.

§ 2221. ანდერძის აღმსრულებლის საზღაური
ანდერძის აღმსრულებელს შეუძლია მის მიერ ნაკისრი მოვალეობების შესრულებისათვის მოითხოვოს სათანადო საზღაური, თუ მამკვიდრებელმა სხვა წესი არ განსაზღვრა.

§ 2222. ანდერძის აღმსრულებელი სუბსტიტუტისათვის (Nacherbenvollstrecker)
მამკვიდრებელს შეუძლია დანიშნოს ანდერძის აღმსრულებელი ასევე იმ მიზნისათვის, რომ ამ უკანასკნელმა განახორციელოს სუბსტიტუტის უფლებები და შეასრულოს მისი ვალდებულებები სუბსტიტუციის ფაქტის დადგომამდე.

§ 2223. საანდერძო დანაკისრის აღმსრულებელი
მამკვიდრებელს შეუძლია დანიშნოს ანდერძის აღმსრულებელი ასევე იმ მიზნისათვის, რომ ამ უკანასკნელმა იზრუნოს ლეგატარზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისათვის.

§ 2224. რამდენიმე ანდერძის აღმსრულებელი
(1) რამდენიმე ანდერძის აღმსრულებელი ახორციელებს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს ერთობლივად; აზრთა სხვადასხვაობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლო. თუ ერთ-ერთი მათგანი სახეზე აღარ არის, მაშინ დანარჩენები დაკისრებულ მოვალეობებს ახორციელებენ დამოუკიდებლად. მამკვიდრებელს შეუძლია მიიღოს განსხვავებული განკარგულებები.
(2) ნებისმიერი ანდერძის აღმსრულებელი უფლებამოსილია, სხვა ანდერძის აღმსრულებლების თანხმობის გარეშე მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც აუცილებელია სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული იმ საგნის შენარუნებისათვის, რომელიც ექვემდებარება ერთობლივ მართვას.

§ 2225. ანდერძის აღმსრულებელზე დაკისრებული მოვალეობების შეწყვეტა
ანდერძის აღმსრულებელზე დაკისრებული მოვალეობები წყდება, თუ იგი გარდაიცვლება ან დგება შემთხვევა, რომლის არსებობისას მისი დანიშვნა §2201 თანახმად სამართლებრივი ძალის არმქონე იქნებოდა.

§ 2226. ანდერძის აღმსრულებლის მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობებზე უარი
ანდერძის აღმსრულებელს შეუძლია, ნებისმიერ დროს უარი თქვას დაკისრებულ მოვალეობებზე. უარი ხორციელდება სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოს წინაშე განცხადებით. შესაბამისად გამოიყენება §671 მე-2 და მე-3 ნაწილების ნორმა.

§ 2227. ანდერძის აღმსრულებლის დაკისრებული მოვალეობებისაგან გათავისუფლება
დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს ანდერძის აღმსრულებელი დაკისრებული მოვალეობებისაგან, თუ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი; ასეთ საფუძველს, კერძოდ, წარმოადგენს მოვალეობების უხეში დარღვევა ან საქმის სათანადო წარმართვის უუნარობა.

§ 2228. დოკუმენტების გაცნობა
სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ §2198 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების, §2199 მე-3 ნაწილის, §2202 მე-2 ნაწილის, §2226 მე-2 წინადადების თანახმად განცხადებების გაცნობის ნება უნდა დართოს ნებისმიერ იმ პირს, ვინც წარადგენს საკმარის მტკიცებულებებს თავისი კანონიერი ინტერესის დასადასტურებლად.

კარი 7. ანდერძის შედგენა და გაუქმება

§ 2229. არასრულწლოვანის მიერ ანდერძის შედგენის უნარი, ანდერძის შედგენის უუნარობა
(1) არასრულწლოვანს შეუძლია ანდერძის შედგენა მხოლოდ 16 წლის ასაკის მიღწევისთანავე.
(2) არასრულწლოვანს ანდერძის შედგენისათვის არ ესაჭიროება თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.
(3) *(გაუქმებულია)*
(4) ანდერძის შედგენა არ შეუძლია პირს, ვინც ავადმყოფური ფსიქიური აშლილობის, ჭკუასუსტობის ან ცნობიერების დაკარგვის გამო უუნაროა, გააცნობიეროს მის მიერ გაკეთებული ნების გამოვლენის მნიშვნელობა და იმოქმედოს აღნიშნული შეგნებით.

§ 2230. *(გაუქმებულია)*

§ 2231. ჩვეულებრივი ანდერძი
ანდერძი ჩვეულებრივი ფორმით შეიძლება შედგეს
1. ნოტარიუსის მიერ გაკეთებული ჩანაწერის სახით,
2. მამკვიდრებლის მიერ §2247 მიხედვით წარდგენილი განცხადებით.

§ 2232. საჯარო ანდერძი
ნოტარიუსის მიერ გაკეთებული ჩანაწერის სახით ანდერძის შედგენისას მამკვიდრებელი უცხადებს ნოტარიუსს თავის უკანასკნელ ნებას ან გადასცემს მას წერილობით ტექსტს იმ განცხადებით, რომ ტექსტი შეიცავს მის უკანასკნელ ნებას. მამკვიდრებელს შეუძლია გადასცეს ტექსტი ღია ან დახურული სახით; არ არის აუცილებელი, რომ მან ტექსტი დაწეროს თავისი ხელით.

§ 2233. განსაკუთრებული შემთხვევები
(1) თუ მამკვიდრებელი არასრულწლოვანია, მას შეუძლია ანდერძის შედგენა მხოლოდ ნოტარიუსის წინაშე წარდგენილი განცხადებით ან ღია სახით ტექსტის გადაცემით.
(2) თუ მამკვიდრებელი საკუთარი აღიარების თანახმად ან ნოტარიუსის რწმენით უუნაროა, წაიკითხოს დაწერილი ტექსტი, მაშინ მას შეუძლია შეადგინოს ანდერძი მხოლოდ ნოტარიუსის წინაშე წარდგენილი განცხადებით.

§§ 2234-2246. *(გაუქმებულია)*

§ 2247. საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძი

(1) მამკვიდრებელს შეუძლია ანდერძის შედგენა საკუთარი ხელით დაწერილი და ხელმოწერილი ფორმით.

(2) მამკვიდრებელმა განცხადებაში უნდა მიუთითოს, თუ როდის (დღე, თვე და წელი) და რომელ ადგილას შეადგინა მან ჩანაწერი.

(3) ხელმოწერა უნდა შეიცავდეს მამკვიდრებლის სახელსა და გვარს. თუ მამკვიდრებელი ხელს აწერს სხვაგვარად და აღნიშნული ხელმოწერა საკმარისი იქნება მამკვიდრებლის ავტორობის დადასტურებისა და მისი განცხადების სერიოზულობისათვის, მაშინ ასეთი ხელმოწერა ხელს არ უშლის ანდერძის ნამდვილად აღიარებას.

(4) არასრულწლოვანს ან იმ პირს, რომელსაც არ შეუძლია დაწერილი ტექსტის წაკითხვა, არ შეუძლიათ ანდერძის შედგენა ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად.

(5) თუ 1-ლი ნაწილის თანახმად შედგენილი ანდერძი არ შეიცავს მისი შედგენის თარიღს და ამის გამო მის ნამდვილობაში შეიტანება ეჭვი, მაშინ ანდერძი ჩაითვლება ნამდვილად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შედგენის თარიღი შეიძლება დადგინდეს სხვა ხერხით. იგივე წესი შესაბამისად მოქმედებს იმ ანდერძის მიმართ, რომელიც არ შეიცავს შედგენის ადგილის შესახებ მითითებას.

§ 2248. საკუთარი ხელით დაწერილი ანდერძის შენახვა

§2247 თანახმად შედგენილი ანდერძი მამკვიდრებლის მოთხოვნის საფუძველზე უნდა გადაეცეს სპეციალური ოფიციალური შენახვისათვის.

§ 2249. გადაუდებელ გარემოებებში მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის წინაშე შედგენილი ანდერძი (Nottestament vor dem Bürgermeister)

(1) თუ არსებობს საფრთხე იმისა, რომ მამკვიდრებელი გარდაიცვლება უფრო ადრე, ვიდრე შესაძლებელი გახდება ანდერძის შედგენა ნოტარიუსის წინაშე, მაშინ მას შეუძლია ანდერძის შედგენა თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მიერ გაკეთებული ჩანაწერის სახით. მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ ანდერძის დამოწმებაში უნდა ჩართოს ორი მოწმე. მოწმის სახით არ შეიძლება ჩართულ იქნეს პირი, ვინც მითითებულია დასამოწმებელ ანდერძში ან დასახელდა ანდერძის აღმსრულებლად; შესაბამისად მოქმედებს „სანოტარო აქტების შესრულების შესახებ“ კანონის §§7, 27. ანდერძის შედგენის მიმართ მოქმედებს §§2232, 2233 ნორმები, ისევე როგორც „სანოტარო აქტების შესრულების შესახებ“ კანონის §§2, 4, 5 1-ლი ნაწილის, §§6-10, 11 1-ლი ნაწილის, მე-2 წინადადების, მე-2 ნაწილის, §13 1-ლი და მე-3 ნაწილების, §§16, 17, 23, 24, 26 1-ლი ნაწილის №№3, 4, მე-2 ნაწილის, §§27, 28, 30, 32, 34, 35 ნორმები; მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე იკავებს ნოტარიუსის ადგილს. ჩანაწერის ტექსტი ხელმოწერილ უნდა იქნეს ასევე მოწმეების მიერ. თუ მამკვიდრებელი საკუთარი აღიარების თანახმად ან მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის რწმენით უუნაროა, დაწეროს საკუთარი სახელი, მაშინ ჩანაწერის ტექსტში მამკვიდრებლის ხელმოწერას ცვლის მისი აღიარებისა თუ მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის რწმენის შესახებ დამადასტურებელი მინაწერი.

(2) იმ საფრთხის შესახებ, რომ ნოტარიუსის წინაშე ანდერძის შედგენა აღარ იქნება შესაძლებელი, უნდა მიეთითოს ჩანაწერში. ანდერძის ნამდვილობას ხელს არ უშლის ის ფაქტი, რომ შიში უსაფუძვლო იყო.

(3) მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ მამკვიდრებელს უნდა მიუთითოს იმაზე, რომ ანდერძი აღარ იქნება ნამდვილი, თუ მამკვიდრებელი იქნება ცოცხალი §2252

1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ. მან უნდა დაადასტუროს, რომ აღნიშნული მითითება გაკეთდა.
(4) *(გაუქმებულია)*
(5) ანდერძი შეიძლება შედგენილ იქნეს ასევე იმ პირის წინაშე, ვინც საკანონმდებლო ნორმების თანახმად უფლებამოსილია, წარმოადგინოს მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე. წარმომადგენელმა ჩანაწერის ტექსტში უნდა მიუთითოს თავისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძვლის შესახებ.
(6) თუ ზემოაღნიშნულ ნაწილებში გათვალისწინებული ანდერძის ჩანაწერის გაფორმებისას დაშვებულ იქნა ფორმალური შეცდომები, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც დარწმუნებით სავარაუდოა, რომ ანდერძი შეიცავს მამკვიდრებლის მკაფიოდ გამოხატულ განცხადებას, მაშინ გაფორმების პროცედურული დარღვევა ხელს არ უშლის დოკუმენტის დამოწმების სამართლებრივ ძალას.

§ 2250. გადაუდებელ გარემოებებში სამი მოწმის წინაშე შედგენილი ანდერძი
(1) პირს, ვინც იმყოფება გაუთვალისწინებელი გარემოებების შედეგად გარესამყაროსაგან მოწყვეტილ ადგილზე ისე, რომ ნოტარიუსის წინაშე ანდერძის შედგენა შეუძლებელი ან მნიშვნელოვნად გაძნელებულია, შეუძლია ანდერძის შედგენა §2249 დადგენილი ფორმით ან სამი მოწმის წინაშე გაკეთებული ზეპირი განცხადებით.
(2) პირს, რომელსაც უშუალოდ ემუქრება სიცოცხლისათვის საშიში საფრთხე ისე, რომ სავარაუდოდ §2249 შესაბამისად ანდერძის შედგენა აღარ იქნება შესაძლებელი, შეუძლია ანდერძის შედგენა სამი მოწმის წინაშე გაკეთებული ზეპირი განცხადებით.
(3) თუ ანდერძის შედგენა ხორციელდება სამი მოწმის წინაშე გაკეთებული ზეპირი განცხადებით, მაშინ ამის შესახებ უნდა გაკეთდეს ჩანაწერი. მოწმების მიმართ შესაბამისად გამოიყენება „სანოტარო აქტების შესრულების შესახებ“ კანონის §6 1-ლი ნაწილის №№1-3, §§7, 26 მე-2 ნაწილის №№2-5, §27 ნორმები; ჩანაწერის მიმართ შესაბამისად გამოიყენება „სანოტარო აქტების შესრულების შესახებ“ კანონის §§8-10, 11 1-ლი მე-2 წინადადების, მე-2 ნაწილის, §13 1-ლი ნაწილის, მე-3 ნაწილის 1-ლი წინადადების, §§23, 28 ნორმები, ისევე როგორც §2249 1-ლი ნაწილის მე-5 და მე-6 წინადადებები, მე-2 და მე-6 ნაწილები. გარდა გერმანული ენისა, ჩანაწერი შეიძლება გაკეთდეს ასევე სხვა ენაზეც. მამკვიდრებელი და მოწმეები საკმარისად კარგად უნდა ფლობდნენ იმ ენას, რომელზეც შედგენილია ჩანაწერი; აღნიშნული უნდა მიეთითოს ჩანაწერში, თუ ეს უკანასკნელი შედგენილია სხვა ენაზე, ვიდრე გერმანული ენა.

§ 2251. გადაუდებელ გარემოებებში ზღვაში შედგენილი ანდერძი
პირს, ვინც ზღვაში ცურვის დროს იმყოფება გერმანული გემის ბორტზე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული პორტის მიღმა, შეუძლია ანდერძის შედგენა §2250 მე-3 ნაწილის შესაბამისად სამი მოწმის წინაშე გაკეთებული ზეპირი განცხადებით.

§ 2252. გადაუდებელ გარემოებებში შედგენილი ანდერძების მოქმედების ვადა
(1) §2249, §2250 ან §2251 თანახმად შედგენილი ანდერძი არ ითვლება შედგენილად, თუ შედგენის შემდეგ გავიდა სამი თვე და მამკვიდრებელი ჯერ კიდევ ცოცხალია.
(2) ვადის ათვლა და დენა ჩერდება მანამდე, სანამ მამკვიდრებელი უუნაროა, შეადგინოს ანდერძი ნოტარიუსის წინაშე.

(3) თუ §2251 გათვალისწინებულ შემთხვევაში მამკვიდრებელი მოაწყობს ზღვაში ახალ ცურვას ზემოაღნიშნული ვადის გასვლამდე, მაშინ ვადის დენა წყდება, რის შედეგადაც ახალი მოგზაურობის დასრულების შემდეგ მთლიანი ვადა აითვლება თავიდან.
(4) თუ ვადის გასვლის შემდეგ მამკვიდრებელი აღიარებული იქნება გარდაცვლილად ან მისი გარდაცვალების მომენტი დგინდება "უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ" კანონის ნორმების თანახმად, მაშინ ანდერძი ინარჩუნებს თავის ძალას, თუ აღნიშნული ვადა ჯერ არ იყო გასული იმ მომენტისათვის, როდესაც არსებული ინფორმაციით მამკვიდრებელი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

§ 2253. ანდერძის გაუქმება
მამკვიდრებელს შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს ანდერძი, ისევე როგორც მასში შემავალი ცალკეული განკარგვები.

§ 2254. გაუქმება ანდერძის მეშვეობით
ანდერძის გაუქმება ხორციელდება ანდერძის მეშვეობით.

§ 2255. ანდერძის გაუქმება დოკუმენტის განადგურებით ან ცვლილებების შეტანით
ანდერძის შეიძლება ასევე გაუქმდეს, თუ მამკვიდრებელი გაუქმების განზრახვით გაანადგურებს დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ანდერძს, ან განახორციელებს მასში ისეთ ცვლილებებს, რომლებიც ნათლად გამოხატავს წერილობითი ნების გამოვლენის გაუქმების განზრახვას. თუ მამკვიდრებელმა გაანადგურა დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ანდერძს, ან შეცვალა იგი ზემოაღნიშნული ხერხით, მაშინ ივარაუდება, რომ მას ჰქონდა ანდერძის გაუქმების განზრახვა.

§ 2256. ანდერძის გაუქმება ოფიციალური შენახვიდან მისი გამოთხოვის შედეგად
(1) ნოტარიუსის წინაშე ან §2249 თანახმად შედგენილი ანდერძი ითვლება გაუქმებულად, თუ ოფიციალური შენახვისათვის მიღებული დოკუმენტი უბრუნდება მამკვიდრებელს. დაწესებულებამ, რომელიც აბრუნებს დოკუმენტს, უნდა განუმარტოს მამკვიდრებელს 1-ლი წინადადებით გათვალისწინებული დოკუმენტის უკან დაბრუნების შედეგი, ამის შესახებ გააკეთოს დოკუმენტში შესაბამისი წარწერა და დოკუმენტალურად დაადასტუროს, რომ ორივე მოთხოვნა შესრულებულია.
(2) მამკვიდრებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დოკუმენტის უკან დაბრუნება. ანდერძი შეიძლება დაუბრუნდეს მხოლოდ პირადად მამკვიდრებელს.
(3) მე-2 ნაწილის ნორმები მოქმედებს ასევე §2248 თანახმად შესანახად გადაცემული ანდერძის მიმართ; დოკუმენტის უკან დაბრუნება არ მოქმედებს ანდერძის სამართლებრივ ძალაზე.

§ 2257. ანდერძის გაუქმების გაუქმება
თუ ანდერძის მეშვეობით განხორციელებული საანდერძო განკარგულების გაუქმება თავის მხრივ უქმდება, მაშინ საეჭვოობისას განკარგვა სამართლებრივი ძალის მქონედ ჩაითვლება, თითქოს იგი არც ყოფილიყო გაუქმებული.

§ 2258. ანდერძის გაუქმება მოგვიანებით შედგენილი ანდერძით
(1) ანდერძის შედგენით უქმდება უფრო ადრე შედგენილი ანდერძი იმდენად, რამდენადაც მოგვიანებით შედგენილი ანდერძი ეწინააღმდეგება ადრე შედგენილ ანდერძს.
(2) მოგვიანებით შედგენილი ანდერძის გაუქმების შემთხვევაში, საეჭვოობისას ადრე შედგენილი ანდერძი სამართლებრივი ძალის მქონედ ჩაითვლება, თითქოს იგი არც ყოფილიყო გაუქმებული.

§§ 2258ა და 2258ბ. *(გაუქმებულია)*

§ 2259. ანდერძის გადაცემის ვალდებულება
(1) პირი, ვინც ფლობს ანდერძს, რომელიც არ გადაეცა სპეციალური ოფიციალური შენახვისათვის, ვალდებულია, დაუყოვნებლივ იმის შემდეგ, როდესაც მან შეიტყო მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ, გადასცეს ანდერძი სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს.
(2) თუ ანდერძი ოფიციალური შენახვისათვის გადაცემულია არა სამემკვიდრეო საქმეების განმხილველი სასამართლოსათვის, არამედ სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის, მაშინ იგი მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ უნდა გადაეცეს სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს. სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ უნდა მოითხოვოს ანდერძის გადაცემა იმის შემდეგ, როდესაც იგი შეიტყობს მამკვიდრებლის გარდაცვალების შესახებ.

§ 2260. *(გაუქმებულია)*

§ 2261. *(გაუქმებულია)*

§ 2262. *(გაუქმებულია)*

§ 2263. ანდერძის გახსნის აკრძალვის ბათილობა
ბათილია მამკვიდრებლის განკარგულება, რომლითაც იგი კრძალავს ანდერძის გახსნას დაუყოვნებლივ მისი გარდაცვალებისთანავე.

§ 2264. *(გაუქმებულია)*

კარი 8. ერთობლივი ანდერძი

§ 2265. ანდერძის შედგენა მეუღლეების მიერ
ერთობლივი ანდერძი შეიძლება შედგენილ იქნეს მხოლოდ მეუღლეების მიერ.

§ 2266. გადაუდებელ გარემოებებში შედგენილი ერთობლივი ანდერძი
ერთობლივი ანდერძი შეიძლება §§2249, 2250 თანახმად შედგენილ იქნეს ასევე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ პარაგრაფებში გათვალისწინებული წინაპირობები სახეზეა მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის მიმართ.

§ 2267. საკუთარი ხელით დაწერილი ერთობლივი ანდერძი
§2247 თანახმად ანდერძის შედგენისათვის საკმარისია, როდესაც ერთ-ერთი მეუღლე მას ადგენს აღნიშნულ პარაგრაფში გათვალისწინებული ფორმით, ხოლო მეორე მეუღლე ერთობლივ განცხადებას პირადად აწერს ხელს. ხელმომწერმა მეუღლემ განცხადებაში უნდა მიუთითოს, თუ როდის (დღე, თვე და წელი) და რომელ ადგილას შეასრულა მან ხელმოწერა.

§ 2268. ქორწინების ბათილობისა თუ შეწყვეტის სამართლებრივი შედეგი
(1) §2077 გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთობლივი ანდერძი სამართლებრივი ძალის არმქონეა მთელი თავისი შინაარსით.
(2) თუ ქორწინება წყდება მეუღლის გარდაცვალებამდე ან სახეზეა §2077 1-ლი ნაწილის მე-2 ან მე-3 წინადადებით გათვალისწინებული წინაპირობები, მაშინ განკარგულებები ძალაში რჩება იმდენად, რამდენადაც ისინი აღნიშნულ შემთხვევაშიც გაკეთდებოდა.

§ 2269. მემკვიდრეთა მიერ ორმხრივი დანიშვნა
(1) თუ მეუღლეებმა ერთობლივ ანდერძში, რომლითაც ისინი ერთმანეთს ნიშნავენ მემკვიდრეებად, დაადგინეს, რომ ცოცხლად დარჩენილი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მათი საერთო სამკვიდრო ქონება უნდა გადაეცეს მესამე პირს, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ მესამე პირი ინიშნება მემკვიდრედ ბოლოს გარდაცვლილი მეუღლის მთლიან სამკვიდრო ქონებაზე.
(2) თუ მეუღლეებმა აღნიშნულ ანდერძში დაადგინეს საანდერძო დანაკისრი, რომელიც უნდა შესრულდეს ცოცხლად დარჩენილი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ საანდერძო დანაკისრი უნდა გადავიდეს საანდერძო დანაკისრის მიმღებზე მხოლოდ ცოცხლად დარჩენილი მეუღლის გარდაცვალებისთანავე.

§ 2270. ურთიერთდაკავშირებული განკარგვები
(1) თუ მეუღლეებმა ერთობლივ ანდერძში განახორციელეს განკარგვები, რომელთა მიმართაც სავარაუდოა, რომ ერთ-ერთი მეუღლის განკარგვა არ განხორციელდებოდა მეორე მეუღლის განკარგვის გარეშე, მაშინ ერთი განკარგვის ბათილობა ან გაუქმება შედეგად იწვევს მეორე განკარგვის სამართლებრივი ძალის არქონას.
(2) საეჭვოობისას განკარგვების ასეთი ურთიერთკავშირი ივარაუდება, თუ მეუღლეები ერთმანეთს უანდერძებენ ქონებას ან თუ ერთ-ერთი მეუღლე მეორე მეუღლის მიმართ ახორციელებს ქონების გადაცემას და ქონების მიმღების ცოცხლად დარჩენის შემთხვევაში ხორციელდება განკარგვა იმ პირის სასარგებლოდ, ვინც ენათესავება მეუღლეს ან ამ უკანასკნელთან აქვს ახლო ურთიერთობა.
(3) სხვაგვარი განკარგვების მიმართ, გარდა მემკვიდრის დანიშვნის, საანდერძო დანაკისრისა თუ ვალდებულების დაკისრებისა, 1-ლი ნაწილის ნორმა არ გამოიყენება.

§ 2271. ურთიერთდაკავშირებული განკარგვების გაუქმება
(1) იმ განკარგვის გაუქმება, რომელიც §2270 თანახმად დაკავშირებულია მეორე მეუღლის განკარგვასთან, ხორციელდება მეუღლეთა სიცოცხლის განმავლობაში მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებაზე უარის მიმართ მოქმედი §2296 ნორმის შესაბამისად. მეუღლეს მეორე მეუღლის სიცოცხლის განმავლობაში არ შეუძლია თავისი განკარგვის ახალი საანდერძო განკარგულების ცალმხრივად გაუქმება.

(2) გაუქმების უფლება უქმდება მეორე მეუღლის გარდაცვალებისთანავე; თუმცა, ცოცხლად დარჩენილ მეუღლეს შეუძლია თავისი განკარგვის გაუქმება, თუ იგი უარს განაცხადებს მისთვის გადაცემულ ქონებაზე. გადაცემული ქონების მიღების შემდეგაც ცოცხლად დარჩენილი მეუღლე უფლებამოსილია განკარგვების გაუქმებაზე §2294 და §2336 შესაბამისად.
(3) თუ ქონება ანდერძით გადაეცემა მეუღლეთა ან ერთ-ერთი მეუღლის შთამომავალს, რომელიც უფლებამოსილია სავალდებულო წილის მიღებაზე, მაშინ შესაბამისად გამოიყენება §2289 მე-2 ნაწილის ნორმა.

§ 2272. ანდერძის გამოთხოვა ოფიციალური შენახვიდან
§2256 თანახმად ერთობლივი ანდერძი შეიძლება უკან იქნეს მიღებული მხოლოდ ორივე მეუღლის მიერ.

§ 2273. *(გაუქმებულია)*

ნაწილი 4. მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება

§ 2274. ხელშეკრულების დადება პირადად
მამკვიდრებელს მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების დადება შეუძლია მხოლოდ პირადად.

§ 2275. წინაპირობები
(1) მამკვიდრებლის სახით მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ შეუზღუდავად ქმედუნარიანი პირის მიერ.
(2) მეუღლეს მამკვიდრებლის სახით მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების დადება შეუძლია იმ შემთხვევაშიც, თუ იგი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა. აღნიშნულ შემთხვევაში იგი საჭიროებს მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას; თუ კანონიერი წარმომადგენელი მეურვეა, მაშინ საჭიროა ასევე საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა.
(3) მე-2 ნაწილის ნორმები შესაბამისად მოქმედებს დანიშნულების მიმართ "თანაცხოვრების პარტნიორობის შესახებ" კანონის გაგებით დანიშნულების ჩათვლით.

§ 2276. ხელშეკრულების ფორმა
(1) მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს სანოტარო მოქმედების ჩანაწერის მეშვეობით ორივე მხარის ერთდროული თანდასწრებით. შესაბამისად გამოიყენება §2231 №1-ისა და §§2232, 2233 ნორმები; აღნიშნული ნორმების თანახმად მამკვიდრებლის მიმართ მოქმედი წესები მოქმედებს ასევე ხელშეკრულების თითოეული მხარის მიმართ.
(2) მეუღლეებს ან დანიშნულებს შორის მემკვიდრეობის შესახებ იმ ხელშეკრულების დადებისათვის, რომელიც საქორწინო ხელშეკრულებასთან გაერთიანებულია ერთ დოკუმენტად, საკმარისია საქორწინო ხელშეკრულებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა.

§ 2277. *(გაუქმებულია)*

§ 2278. ხელშეკრულებით დაშვებული განკარგვები
(1) მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებაში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს შეუძლია ხელშეკრულების შესაბამისი საანდერძო განკარგულებების გაკეთება.
(2) დაუშვებელია ხელშეკრულების მიხედვით სხვაგვარი განკარგვების გაკეთება, გარდა მემკვიდრის დანიშვნის, საანდერძო დანაკისრისა თუ ვალდებულების დაკისრებისა.

§ 2279. ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელებული ქონებრივი გადაცემები და ვალდებულების დაკისრებები, § 2077 გამოყენება
(1) ხელშეკრულების შესაბამისად განხორციელებული ქონებრივი გადაცემებისა და ვალდებულების დაკისრებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება ანდერძით ქონების გადაცემისა და ვალდებულების დაკისრებების მიმართ მოქმედი ნორმები.
(2) მეუღლეებს, თანაცხოვრების პარტნიორებს ან დანიშნულებს (ასევე "თანაცხოვრების პარტნიორობის შესახებ" კანონის გაგებით) შორის მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების მიმართ §2077 ნორმა მოქმედებს ასევე იმდენად, რამდენადაც ქონება ანდერძით გადაეცემა მესამე პირს.

§ 2280. § 2269 გამოყენება
თუ მეუღლეებმა ან თანაცხოვრების პარტნიორებმა მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებაში, რომლითაც ისინი ერთმანეთს ნიშნავენ მემკვიდრეებად, დაადგინეს, რომ ცოცხლად დარჩენილი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მათი საერთო სამკვიდრო ქონება უნდა გადაეცეს მესამე პირს ან მათ დაადგინდეს საანდერძო დანაკისრი, რომელიც უნდა შესრულდეს ცოცხლად დარჩენილი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, – მაშინ შესაბამისად გამოიყენება §2269 ნორმა.

§ 2281. მამკვიდრებლის მიერ შეცილება
(1) მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება §§2078, 2079 საფუძველზე შეცილებულ იქნეს ასევე მამკვიდრებლის მიერ; §2079 საფუძველზე შეცილებისათვის აუცილებელია, შეცილების მომენტში სახეზე იყოს სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი.
(2) თუ ხელშეკრულების მეორე მხარის გარდაცვალების შემდეგ მესამე პირის სასარგებლოდ მიღებული განკარგვა შეცილებულ უნდა იქნეს მამკვიდრებლის მიერ, მაშინ შეცილების განცხადება უნდა წარედგინოს სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს. სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველმა სასამართლომ განცხადების შესახებ უნდა შეატყობინოს მესამე პირს.

§ 2282. წარმომადგენლობა, შეცილების ფორმა
(1) შეცილების განხორციელება მამკვიდრებლის წარმომადგენლის მეშვეობით დაუშვებელია. თუ მამკვიდრებელს შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, მაშინ იგი შეცილების განხორციელებისათვის არ საჭიროებს მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.
(2) ქმედუუნარო მამკვიდრებლისათვის მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებაზე შეცილება შეუძლია მის კანონიერ წარმომადგენელს; თუ მამკვიდრებელი იმყოფება მშობლის ზრუნვის ან მეურვეობის ქვეშ, მაშინ აუცილებელია საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა, ხოლო თუ კანონიერი წარმომადგენელი მზრუნველია, მაშინ – მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს თანხმობა.
(3) შეცილების განცხადება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

§ 2283. შეცილების ვადა
(1) მამკვიდრებლის მიერ შეცილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთი წლის ვადის განმავლობაში.
(2) იძულების გამო საცილოობის შემთხვევაში ვადის დენა იწყება იძულების შეწყვეტის მომენტიდან, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში – იმ მომენტიდან, როდესაც მამკვიდრებელი შეიტყობს შეცილების საფუძვლის შესახებ. ვადის დენის მიმართ შესაბამისად გამოიყენება ხანდაზმულობის მიმართ მოქმედი §§206, 210, 211 ნორმები.
(3) თუ §2282 მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კანონიერმა წარმომადგენელმა დროულად არ განახორციელა მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებაზე შეცილება, მაშინ იმის შემდეგ, როდესაც მამკვიდრებელი აღარ არის ქმედუუნარო, მას თავად შეუძლია მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებაზე შეცილება ისე, თითქოს მას არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი.

§ 2284. დადასტურება
მამკვიდრებელს საცილო მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების დადასტურება შეუძლია მხოლოდ პირადად. თუ მამკვიდრებელს შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, მაშინ დადასტურება გამორიცხულია.

§ 2285. დადასტურება მესამე პირების მიერ
§2080 მითითებულ პირებს §§2078, 2079 საფუძველზე მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებაზე შეცილება აღარ შეუძლიათ, თუ მამკვიდრებლის შეცილების უფლება სამკვიდროს გახსნის მომენტში გაუქმებულია.

§ 2286. განკარგვები ცოცხალ პირთა შორის
მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებით არ იზღუდება მამკვიდრებლის უფლება, განკარგოს თავისი ქონება ცოცხალ პირთა შორის გარიგებით.

§ 2287. ხელშეკრულებით მემკვიდრისათვის ზიანის მიმყენებელი ნაჩუქრობები
(1) თუ მამკვიდრებელმა ხელშეკრულებით მემკვიდრისათვის ზიანის მიყენების მიზნით განახორციელა ჩუქება, მაშინ ხელშეკრულებით მემკვიდრეს იმის შემდეგ, რაც სამკვიდრო მასზე გადავა, შეუძლია დასაჩუქრებულისაგან მოითხოვოს საჩუქრის უკან დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად.
(2) მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია სამკვიდროს გადასვლის მომენტიდან სამი წლის ვადაში.

§ 2288. ზიანის მიყენება ლეგატარისათვის
(1) თუ მამკვიდრებელმა საანდერძო დანაკისრის მიმღებისათვის ზიანის მიყენების მიზნით ხელშეკრულების მიხედვით დადგენილი საანდერძო დანაკისრის საგანი გაანადგურა, გადამალა ან დააზიანა, მაშინ საგნის ნაცვლად უნდა ანაზღაურდეს მისი ღირებულება, რამდენადაც მემკვიდრე აღნიშნულის შედეგად უუნაროა, შეასრულოს საანდერძო დანაკისრი.
(2) თუ მამკვიდრებელმა საანდერძო დანაკისრის მიმღებისათვის ზიანის მიყენების მიზნით გაასხვისა ან უფლებრივად დატვირთა საგანი, მაშინ მემკვიდრე უფლებამოსილია, შეიძინოს საგანი საანდერძო დანაკისრის მიმღების სასარგებლოდ ან მოხსნას უფლებრივი ტვირთი; აღნიშნული ვალდებულების მიმართ შესაბამისად გამოიყენება §2170 მე-2 ნაწილი. თუ გასხვისება ან უფლებრივად დატვირთვა განხორ-

ციელდა ჩუქების სახით, მაშინ საანდერძო დანაკისრის მიმღებს ეკუთვნის §2287 განსაზღვრული მოთხოვნის უფლება დასაჩუქრებულის მიმართ, რამდენადაც მას არ შეუძლია ანაზღაურების მიღება მემკვიდრისაგან.

§ 2289. მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების მოქმედება საანდერძო განკარგულების მიმართ; § 2338 გამოყენება

(1) მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებით უქმდება მამკვიდრებლის თავდაპირველი საანდერძო განკარგულება, რამდენადაც ეს უკანასკნელი დაარღვევდა ხელშეკრულებით მემკვიდრის უფლებას. §2297 ნორმის დარღვევის გარეშე, ანალოგიურად სამართლებრივი ძალის არმქონეა მოგვიანებით განხორციელებული საანდერძო განკარგულება.

(2) თუ მემკვიდრე წარმოადგენს მამკვიდრებლის შთამომავალს, რომელიც უფლებამოსილია სავალდებულო წილის მიღებაზე, მაშინ მამკვიდრებელს შეუძლია მოგვიანებით განხორციელებული საანდერძო განკარგულებით მიიღოს §2338 თანახმად დასაშვები განკარგულებები.

§ 2290. მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების გაუქმება ხელშეკრულებით

(1) მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება, ისევე როგორც ხელშეკრულების შესაბამისად გაკეთებული ცალკეული განკარგვა შეიძლება გაუქმდეს იმ პირებს შორის დადებული ხელშეკრულებით, რომლებმაც გააფორმეს მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება. აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთის გარდაცვალების შემდეგ ხელშეკრულების გაუქმება დაუშვებელია.

(2) მამკვიდრებელს ხელშეკრულების დადება შეუძლია მხოლოდ პირადად. თუ მას შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, მაშინ იგი არ საჭიროებს მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.

(3) თუ ხელშეკრულების მეორე მხარე იმყოფება მეურვეობის ქვეშ, მაშინ საჭიროა საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ იგი იმყოფება მშობლის ზრუნვის ქვეშ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულება იდება მეუღლეებს ან დანიშნულებს შორის ასევე "თანაცხოვრების პარტნიორობის შესახებ" კანონის გაგებით. თუ ხელშეკრულების გაუქმება შედის მემკვიდრის მზრუნველის მოვალეობათა წრეში, მაშინ საჭიროა მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს თანხმობა.

(4) ხელშეკრულება საჭიროებს §2276 მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმის დაცვას.

§ 2291. მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების გაუქმება ანდერძით

(1) ხელშეკრულების შესაბამისად გაკეთებული განკარგვა, რომლითაც დგინდება საანდერძო დანაკისრი ან ვალდებულება, შეიძლება მამკვიდრებლის მიერ გაუქმდეს ანდერძით. გაუქმების სამართლებრივი ძალისათვის საჭიროა ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობა; გამოიყენება §2290 მე-3 ნაწილის ნორმა.

(2) თანხმობის განცხადება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით; თანხმობის გამოთხოვა დაუშვებელია.

§ 2292. მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების გაუქმება ერთობლივი ანდერძით

მეუღლეებსა თუ თანაცხოვრების პარტნიორებს შორის დადებული მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება ასევე გაუქმდეს მეუღლეების ან თანაც-

ხოვრების პარტნიორების ერთობლივი ანდერძით; გამოიყენება §2290 მე-3 ნაწილის ნორმა.

§ 2293. ხელშეკრულებიდან გასვლა ამის შესახებ დათქმის არსებობისას
მამკვიდრებელს შეუძლია გავიდეს მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებიდან, თუ მან ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ დათქმა გააკეთა ხელშეკრულებაში.

§ 2294. ხელშეკრულებიდან გასვლა მემკვიდრის გადაცდომის შემთხვევაში
მამკვიდრებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულების შესაბამისად გაკეთებულ განკარგვაზე, თუ მემკვიდრე ბრალეულად ჩაიდენს გადაცდომას, რაც მამკვიდრებელს მიანიჭებს სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლებას ან იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე არ წარმოადგენს სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირს, – მიანიჭებდა სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლებას, მემკვიდრე მამკვიდრებლის შთამომავალი რომ ყოფილიყო.

§ 2295. ხელშეკრულებიდან გასვლა საპასუხო ვალდებულების შეწყვეტის შემთხვევაში
მამკვიდრებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულების შესაბამისად გაკეთებულ განკარგვაზე, თუ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია მემკვიდრის მიერ გარიგების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებასთან, მამკვიდრებლის მიმართ ამ უკანასკნელის სიცოცხლის განმავლობაში განახორციელოს პერიოდული გადახდები, კერძოდ კი, უხადოს სარჩო და ეს ვალდებულება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე შეწყდა.

§ 2296. წარმომადგენლობა, ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმა
(1) დაუშვებელია ხელშეკრულებიდან გასვლა წარმომადგენლის მეშვეობით. თუ მამკვიდრებელს შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, მაშინ იგი არ საჭიროებს მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.
(2) ხელშეკრულებიდან გასვლა ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარისათვის წარდგენილი განცხადებით. განცხადება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

§ 2297. ხელშეკრულებიდან გასვლა ანდერძით
თუ მამკვიდრებელი უფლებამოსილია ხელშეკრულებიდან გასვლაზე, მას შეუძლია ხელშეკრულების მეორე მხარის გარდაცვალების შემდეგ ანდერძით გააუქმოს ხელშეკრულების შესაბამისად გაკეთებული განკარგვა. §2294 შემთხვევებში შესაბამისად გამოიყენება §2336 2-4 ნაწილები.

§ 2298. ორმხრივი მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება
(1) თუ მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებაში ხელშეკრულების ორივე მხარემ გააკეთა ხელშეკრულების შესაბამისი განკარგვები, მაშინ აღნიშნულ განკარგვათაგან ერთ-ერთის ბათილობა შედეგად იწვევს მთლიანი ხელშეკრულების სამართლებრივი ძალის არქონას.
(2) თუ ასეთ ხელშეკრულებაში დათქმულია ხელშეკრულებიდან გასვლა, მაშინ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლისას უქმდება მთლიანი ხელშეკრულება. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება უქმდება ხელშეკრულების მეორე მხარის გარდაცვალებისთანავე. თუმცა, ცოცხლად დარჩენილ მხა-

რეს შეუძლია თავისი განკარგვების გაუქმება ანდერძით, თუ იგი უარს განაცხადებს ხელშეკრულებით მისთვის გადაცემულ ქონებაზე.
(3) 1-ლი ნაწილისა და მე-2 ნაწილის 1-ლი და მე-2 წინადადებები არ გამოიყენება, თუ სავარაუდოა ხელშეკრულების მეორე მხარის სხვაგვარი ნება.

§ 2299. ცალმხრივი განკარგვები
(1) ხელშეკრულების ნებისმიერ მხარეს შეუძლია მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებაში ცალმხრივად გააკეთოს ნებისმიერი განკარგვა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს ანდერძით.
(2) ასეთი სახის განკარგვის მიმართ მოქმედებს ისეთივე წესები, თითქოს განკარგვა გაკეთდა ანდერძით. განკარგვა შეიძლება ასევე გაუქმდეს ხელშეკრულებაში, რომლითაც გაუქმდა ხელშეკრულების შესაბამისად გაკეთებული განკარგვა.
(3) თუ მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება უქმდება ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განხორციელების შედეგად ან იგი უქმდება ხელშეკრულებით, მაშინ განკარგვა კარგავს ძალას, თუ სავარაუდო არ არის ხელშეკრულების მეორე მხარის სხვაგვარი ნება.

§ 2300. §§ 2259 და 2263 გამოყენება; ხელშეკრულების გამოთხოვა ოფიციალური შენახვიდან ან ნოტარიუსიდან
(1) §§2259 და 2263 შესაბამისად გამოიყენება მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულების მიმართ.
(2) მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს მხოლოდ საანდერძო განკარგულებებს, შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ოფიციალური შენახვიდან ან ნოტარიუსიდან და დაუბრუნდეს ხელშეკრულების მხარეებს. ხელშეკრულების დაბრუნება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ხელშეკრულების ყველა მხარის მიერ ერთობლივად; გამოიყენება §2290 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების, მე-2 და მე-3 ნაწილების ნორმები. თუ მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება ბრუნდება 1-ლი და მე-2 წინადადებების თანახმად, შესაბამისად მოქმედებს §2256 1-ლი ნაწილი.

§ 2301. ჩუქების შეპირება საანდერძო განკარგულებით
(1) იმ ჩუქების შეპირების მიმართ, რომელსაც პირი იძლევა იმ პირობით, რომ დასაჩუქრებული ცოცხალი იქნება მჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ, გამოიყენება საანდერძო განკარგულებების მიმართ მოქმედი ნორმები. ანალოგიური წესი მოქმედებს ვალის შეპირების ან ვალის აღიარების მიმართ, რომლებიც ჩუქების სახით ხორციელდება ზემოაღნიშნული პირობით §§780, 781 მოცემული წესით.
(2) თუ მჩუქებელი ჩუქებას ახორციელებს გადასაცემი საგნის მიწოდებით, მაშინ გამოიყენება ცოცხალ პირთა შორის განხორციელებული ნაჩუქრობების მიმართ მოქმედი ნორმები.

§ 2302. ქონების ანდერძით გადაცემის შეუზღუდავი თავისუფლება
ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც პირი კისრულობს ვალდებულებას, განახორციელოს ან არ განახორციელოს საანდერძო განკარგულება, ასევე გააუქმოს ან არ გააუქმოს იგი.

ნაწილი 5. სავალდებულო წილი

§ 2303. სავალდებულო წილზე უფლებამოსილი პირი; სავალდებულო წილის ოდენობა
(1) თუ მამკვიდრებლის შთამომავალი საანდერძო განკარგულებით გამოირიცხება მემკვიდრეობიდან, მაშინ მას შეუძლია მემკვიდრისაგან მოითხოვოს სავალდებულო წილი. სავალდებულო წილი შეადგენს კანონით მისაღები სამკვიდრო წილის ღირებულების ნახევარს.
(2) ანალოგიური უფლება ეკუთვნის მამკვიდრებლის მშობლებსა და მეუღლეს, თუ ისინი საანდერძო განკარგულებით გამოირიცხებიან მემკვიდრეობიდან. §1371 ნორმა უცვლელი რჩება.

§ 2304. განმარტების წესი
საეჭვოობისას სავალდებულო წილის გადაცემა არ განიხილება როგორც მემკვიდრის დანიშვნა.

§ 2305. დამატებითი სავალდებულო წილი
თუ სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირს უანდერძეს სამკვიდრო წილი, რომელიც კანონით მისაღებ სამკვიდრო წილზე ნაკლებია, მაშინ სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირს შეუძლია თანამემკვიდრეებისაგან სავალდებულო წილის სახით მოითხოვოს იმ ნაწილის ღირებულება, რომლითაც მისთვის გადასაცემი წილი ნაკლებია კანონით მისაღებ სამკვიდრო წილის ნახევარზე.

§ 2306. შეზღუდვები და უფლებრივი ტვირთი
(1) თუ მემკვიდრის სახით მოწვეული სავალდებულო წილზე უფლებამოსილი პირი შეზღუდულია უფლებებში სუბსტიტუტის ან ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნით ან სამკვიდრო ქონების გაყოფასთან დაკავშირებული განკარგულებებით ანდა მას ეკისრება საანდერძო დანაკისრი ან ვალდებულება, მაშინ შეზღუდვა ან უფლებრივი ტვირთი არ ითვლება დადგენილად, თუ მისთვის ანდერძით გადასაცემი სამკვიდრო წილი არ აღემატება კანონით მისაღებ სამკვიდრო წილის ნახევარს. თუ ანდერძით გადასაცემი სამკვიდრო წილი უფრო მეტია, მაშინ სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი, თუ იგი უარს განაცხადებს სამკვიდრო წილზე; სამკვიდროზე უარის ვადის დენა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც სავალდებულო წილზე უფლებამოსილი პირი შეიტყობს შეზღუდვის ან უფლებრივი ტვირთის შესახებ.
(2) მემკვიდრედ დანიშვნის შეზღუდვას უთანაბრდება სავალდებულო წილზე უფლებამოსილი პირის სუბსტიტუტად დანიშვნა.

§ 2307. საანდერძო დანაკისრის დადგენა
(1) თუ სავალდებულო წილზე უფლებამოსილი პირის სასარგებლოდ დადგენილია საანდერძო დანაკისრი, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი იმ პირობით, რომ იგი უარს აცხადებს საანდერძო დანაკისრზე. თუ იგი უარს არ აცხადებს საანდერძო დანაკისრზე, მაშინ მას სავალდებულო წილზე უფლება აღარ ეკუთვნის, თუ საანდერძო დანაკისრის ღირებულება საკმარისია; ღირებულების გაანგარიშებისას §2306 მოცემული სახის შეზღუდვები და უფლებრივი ტვირთი მხედველობაში არ მიიღება.

(2) მემკვიდრეს, რომელსაც ეკისრება საანდერძო დანაკისრი, შეუძლია სავალდებულო წილზე უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს, სათანადო ვადის განსაზღვრით განაცხადოს საანდერძო დანაკისრის მიღების შესახებ. ვადის გასვლით ჩაითვლება, რომ აღნიშნულმა პირმა უარი თქვა საანდერძო დანაკისრზე, თუ მისი მიღების შესახებ არ იქნა გაცხადებული უფრო ადრე.

§ 2308. სამკვიდროზე ან საანდერძო დანაკისრზე უარის შეცილება

(1) თუ სავალდებულო წილზე უფლებამოსილმა პირმა, ვინც §2306 მოცემული სახით მემკვიდრის ან ლეგატარის სახით შეზღუდულია უფლებებში ან რომელსაც ეკისრება უფლებრივი ტვირთი, უარი განაცხადა სამკვიდროზე ან საანდერძო დანაკისრზე, მაშინ მას შეუძლია საცილო გახადოს უარი, თუ შეზღუდვები და უფლებრივი ტვირთი უარის თქმის მომენტისათვის სახეზე აღარ არის და ეს ფაქტი მისთვის ცნობილი არ იყო.

(2) საანდერძო დანაკისრზე უარის შეცილების მიმართ შესაბამისად გამოიყენება სამკვიდროზე უარის შეცილების მიმართ მოქმედი ნორმები. შეცილება ხორციელდება საანდერძო დანაკისრით ვალდებული პირის მიმართ წარდგენილი განცხადებით.

§ 2309. მშობლებისა და შორეული შთამომავლების სავალდებულო წილზე უფლება

მამკვიდრებლის შორეული შთამომავლები და მშობლები არ არიან უფლებამოსილნი სავალდებულო წილზე, რამდენადაც შთამომავალს, ვინც გამორიცხავდა შორეულ შთამომავლებსა და მშობლებს მემკვიდრეობიდან კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში, შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილი ან მიიღოს მისთვის ანდერძით გადასაცემი ქონება.

§ 2310. სამკვიდრო წილის განსაზღვრა სავალდებულო წილის გამოანგარიშებისათვის

სამკვიდრო წილის განსაზღვრისას, რომლის თანახმადაც გამოითვლება სავალდებულო წილის ოდენობა, მხედველობაში მიიღებიან პირები, რომლებიც საანდერძო განკარგულებით გამოირიცხნენ მემკვიდრეობიდან ან რომლებმაც უარი განაცხადეს სამკვიდროს მიღებაზე ანდა რომლებიც ცნობილ იქნენ უღირს მემკვიდრეებად. პირები, რომლებიც გამოირიცხნენ კანონით მემკვიდრეობიდან მემკვიდრეობაზე უარის თქმის შედეგად, მხედველობაში არ მიიღებიან.

§ 2311. სამკვიდრო ქონების ღირებულება

(1) სავალდებულო წილის გამოანგარიშების საფუძვლად აიღება სამკვიდროს გახსნის მომენტში სამკვიდრო ქონების მდგომარეობა და მისი ღირებულება. მამკვიდრებლის შთამომავლისა და მშობლების სავალდებულო წილის გამოანგარიშებისას ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მიერ მისაღები სამკვიდროდან გამოყოფილ ქონებრივ წილზე უფლება მხედველობაში არ მიიღება.

(2) ღირებულება, რამდენადაც ეს საჭიროა, უნდა დადგინდეს შეფასების გზით. მამკვიდრებლის მიერ ღირებულების დადგენასთან დაკავშირებით გაკეთებული მითითებები განმსაზღვრელი არ არის.

§ 2312. მამულის ღირებულება

(1) თუ მამკვიდრებელმა დაადგინა ან თუ §2049 თანახმად სავარაუდოა, რომ ერთერთ მემკვიდრეს უნდა ჰქონდეს სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული მამულის მი-

ღების უფლება, მაშინ ამ უფლების რეალიზაციის შემთხვევაში მამულის სამომავლო მოგების ღირებულება განმსაზღვრელი იქნება ასევე სავალდებულო წილის გამოანგარიშებისათვის. თუ მამკვიდრებელმა დაადგინა განსხვავებული ფასი, მაშინ განმსაზღვრელია ეს უკანასკნელი იმ პირობით, რომ იგი უტოლდება სამომავლო მოგების ღირებულებას და არ აღემატება შეფასებით ღირებულებას.
(2) თუ მამკვიდრებელს ჰყავს მხოლოდ ერთი მემკვიდრე, მაშინ მას შეუძლია დაადგინოს, რომ სავალდებულო წილის გამოანგარიშების საფუძვლად აიღება სამომავლო მოგების ღირებულება ან 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმად განსაზღვრული ღირებულება.
(3) აღნიშნული ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მემკვიდრე, ვინც იძენს მამულს, მიეკუთვნება §2303 მითითებული სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს.

§ 2313. პირობითი, დაუდგენელი ან საეჭვო უფლებების გათვალისწინება; მემკვიდრის მიერ უფლებების დადგენის ვალდებულება
(1) სამკვიდრო ქონების ღირებულების დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ის უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც დამოკიდებულია გადადების პირობაზე. უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც დამოკიდებულია გაუქმების პირობაზე, მხედველობაში მიიღება როგორც პირობის გარეშე არსებული. პირობის დადგომის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს შეცვლილი უფლებრივი მდგომარეობის შესაბამისი წილების გათანაბრება.
(2) დაუდგენელი ან საეჭვო უფლებების, ისევე როგორც საეჭვო ვალდებულებების მიმართ მოქმედებს იგივე წესები, რომლებიც არსებობს გადადების პირობაზე დამოკიდებული უფლებებისა და ვალდებულებების მიმართ. მემკვიდრე სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირის წინაშე ვალდებულია, უზრუნველყოს დაუდგენელი უფლების განსაზღვრა და საეჭვო უფლების რეალიზაცია, რამდენადაც აღნიშნული შეესაბამება ქონების სათანადო მართვას.

§ 2314. მემკვიდრეზე დაკისრებული შეტყობინების ვალდებულება
(1) თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი არ წარმოადგენს მემკვიდრეს, მაშინ მოთხოვნის საფუძველზე მემკვიდრემ მას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სამკვიდრო ქონების შემადგენლობის შესახებ. სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს მისი ჩართვა მისთვის §260 მიხედვით წარსადგენი ჩამონათვალის შედგენისას და ქონების შემადგენლობაში შესული საგნებისა და ვალდებულებების ღირებულების დადგენისას. მას შეუძლია ასევე მოითხოვოს, რომ ჩამონათვალი მისი ხარჯით შედგენილ იქნეს კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოს ან კომპეტენტური თანამდებობის პირის ანდა ნოტარიუსის მიერ.
(2) ხარჯები იფარება სამკვიდრო ქონებიდან.

§ 2315. ქონებრივი გადაცემების სავალდებულო წილის ანგარიშში ჩათვლა
(1) სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა ანგარიშში უნდა ჩათვალოს ის ქონება, რაც მას მიეცემა მამკვიდრებლისაგან ცოცხალ პირთა შორის გარიგებით იმ დათქმით, რომ იგი უნდა ჩაითვალოს სავალდებულო წილის ანგარიშში. სავალდებულო წილის გაანგარიშებისას გადაცემული ქონების ღირებულება ემატება სამკვიდრო ქონებას. ღირებულება განისაზღვრება ქონების გადაცემის მომენტისათვის.

(3) თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი წარმოადგენს მამკვიდრებლის შთამომავალს, მაშინ შესაბამისად გამოიყენება §2051 1-ლი ნაწილის ნორმა.

§ 2316. წილთა გათანაბრების ვალდებულება

(1) თუ სახეზეა რამდენიმე შთამომავალი და კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში მამკვიდრებლის ქონებრივი გადაცემა და §2057ა მოცემული სახის მომსახურების გაწევა მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული წილთა გათანაბრებისათვის, მაშინ შთამომავლის სავალდებულო წილი განისაზღვრება სამკვიდროში მისი წილის მიხედვით, რომელსაც იგი კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში მიიღება სამკვიდროს გაყოფის შემთხვევაში წილთა გათანაბრების ვალდებულების გათვალისწინებით. შთამომავალი, რომელიც კანონით მემკვიდრეობიდან გამოირიცხება მის მიერ მემკვიდრეობაზე უარის თქმის შედეგად, გამოანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება.

(2) თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მემკვიდრე და 1-ლი ნაწილის თანახმად სავალდებულო წილის ღირებულება აღემატება მისთვის ანდერძით გადაცემული სამკვიდრო წილის ღირებულებას, მაშინ მას სავალდებულო წილის სახით თანამემკვიდრეებისაგან შეუძლია მოითხოვოს ნამეტი თანხა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ანდერძით გადაცემული სამკვიდრო უტოლდება მისი წილის ნახევარს კანონით მემკვიდრეობისას ან იგი აღემატება ამ უკანასკნელს.

(3) მამკვიდრებელს არ შეუძლია სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირის საზიანოდ §2050 1-ლ ნაწილში მოცემული სახის ქონებრივი გადაცემის ანგარიშში ჩათვლის გამორიცხვა.

(4) თუ 1-ლი ნაწილის თანახმად გასათვალისწინებელი ქონებრივი გადაცემა ერთდროულად გათვალისწინებულ უნდა იქნეს სავალდებულო წილში §2315 შესაბამისად, მაშინ ამ უკანასკნელის ანგარიშში ჩაითვლება მხოლოდ ქონებრივი გადაცემის ღირებულების ნახევარი.

§ 2317. სავალდებულო წილზე მოთხოვნის უფლების წარმოშობა და გადაცემაუნარიანობა

(1) სავალდებულო წილზე მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტში.

(2) მოთხოვნის უფლება ექვემდებარება მემკვიდრეობით გადაცემასა და გასხვისებას.

§ 2318. სავალდებულო წილის უფლებრივი ტვირთი საანდერძო დანაკისრებისა და ვალდებულების დაკისრებების შემთხვევაში

(1) მემკვიდრეს შეუძლია უარი თქვას მასზე დაკისრებული საანდერძო დანაკისრის შესრულებაზე იმდენად, რამდენადაც სავალდებულო წილის უფლებრივი ტვირთი მასსა და ლეგატარს პროპორციულად ეკისრებათ. იგივე წესი მოქმედებს ვალდებულების დაკისრების მიმართაც.

(2) სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი ლეგატარის მიმართ განხორციელებული შესრულების შემცირება დასაშვებია მხოლოდ ისე, რომ სავალდებულო წილი მას დარჩეს.

(3) თუ მემკვიდრე თავად არის უფლებამოსილი სავალდებულო წილის მიღებაზე, მაშინ მას სავალდებულო წილის უფლებრივი ტვირთის გამო შეუძლია საანდერძო დანაკისრისა და ვალდებულების დაკისრების მოცულობის შემცირება ისე, რომ მას დარჩეს საკუთარი სავალდებულო წილი.

§ 2319. სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი თანამემკვიდრე
თუ რამდენიმე მემკვიდრიდან სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილია ერთ-ერთი, მაშინ მას სამკვიდრო ქონების გაყოფის შემდეგ შეუძლია უარი თქვას სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი სხვა პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმდენად, რამდენადაც მას რჩება საკუთარი სავალდებულო წილი. ნაკლული თანხის შევსებისათვის პასუხს აგებენ დანარჩენი მემკვიდრეები.

§ 2320. იმ მემკვიდრეზე დაკისრებული სავალდებულო წილის უფლებრივი ტვირთი, რომელიც იკავებს სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირის ადგილს
(1) პირს, რომელიც სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირის ნაცვლად ხდება კანონით მემკვიდრე, თანამემკვიდრეების მიმართ ეკისრება სავალდებულო წილის უფლებრივი ტვირთი და მან უნდა შეასრულოს საანდერძო დანაკისრი მიღებული სარგებლის ოდენობით, თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი იღებს მის სასარგებლოდ დადგენილ საანდერძო დანაკისრს.
(2) საეჭვოობისას ანალოგიური წესი მოქმედებს იმ პირის მიმართ, რომელსაც მამკვიდრებელმა საანდერძო განკარგულებით გადასცა სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირის კუთვნილი სამკვიდრო წილი.

§ 2321. სავალდებულო წილის უფლებრივი ტვირთი საანდერძო დანაკისრზე უარის თქმის შემთხვევაში
თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი უარს ამბობს მისთვის გადასაცემ საანდერძო დანაკისრზე, მაშინ მემკვიდრესა და ლეგატარს შორის ურთიერთობაში სავალდებულო წილის უფლებრივი ტვირთი მიღებული სარგებლის ოდენობით ეკისრება იმ პირს, ვინც უარის შედეგად იღებს სარგებელს.

§ 2322. საანდერძო დანაკისრებისა და ვალდებულების დაკისრებების მოცულობის შემცირება
თუ სამკვიდრო ან საანდერძო დანაკისრი, რომლებზეც უარი თქვა სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა, დატვირთულია საანდერძო დანაკისრით ან დაკისრებული ვალდებულებით, მაშინ იმ პირს, ვინც უარის შედეგად იღებს სარგებელს, შეუძლია შეამციროს საანდერძო დანაკისრისა და ვალდებულების დაკისრების მოცულობა ისე, რომ მას დარჩეს სავალდებულო წილის უფლებრივი ტვირთის დაფარვისათვის საჭირო თანხა.

§ 2323. მემკვიდრე, რომელსაც არ ეკისრება სავალდებულო წილის უფლებრივი ტვირთი
მემკვიდრეს არ შეუძლია §2318 1-ლი ნაწილის თანახმად საანდერძო დანაკისრის ან ვალდებულების დაკისრების შესრულებაზე უარის თქმა, რამდენადაც მან არ უნდა იკისროს სავალდებულო წილის გადაცემა §§2320-2322 თანახმად.

§ 2324. მამკვიდრებლის განსხვავებული განკარგულებები სავალდებულო წილის უფლებრივ ტვირთთან დაკავშირებით
მამკვიდრებელს საანდერძო განკარგულებით შეუძლია სავალდებულო წილის უფლებრივი ტვირთი დააკისროს ცალკეულ მემკვიდრეებს ამ უკანასკნელთა შორის არსებული წილების პროპორციულად და დაადგინოს §2318 1-ლი ნაწილისა და §§2320-2323 ნორმებისაგან განსხვავებული განკარგულებები.

§ 2325. სავალდებულო წილზე დამატების მოთხოვნის უფლება ნაჩუქრობების შემთხვევაში

(1) თუ მამკვიდრებელმა მესამე პირის მიმართ განახორციელა ჩუქება, მაშინ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია სავალდებულო წილზე დამატების სახით მოითხოვოს თანხის ის ოდენობა, რომლითაც სავალდებულო წილი იზრდება ნაჩუქარი საგნის სამკვიდრო ქონებისათვის დამატებით.

(2) მოხმარებადი ნივთი ფასდება იმ ღირებულებით, რომელიც მას ჰქონდა ჩუქების მომენტში. სხვა საგანი ფასდება იმ ღირებულებით, რომელიც მას აქვს სამკვიდროს გახსნის მომენტში; თუ მას ჩუქების მომენტში ჰქონდა უფრო ნაკლები ღირებულება, მაშინ მხედველობაში მიიღება მხოლოდ ეს უკანასკნელი.

(3) ჩუქება მხედველობაში არ მიიღება, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ნაჩუქარის საგნის გადაცემის შემდეგ გასულია ათი წელი; თუ ადგილი აქვს ჩუქებას მამკვიდრებლის მეუღლის მიმართ, მაშინ ვადის დენა არ იწყება ქორწინების შეწყვეტამდე.

§ 2326. სავალდებულო წილზე დამატება, რომელიც აღემატება კანონით მემკვიდრეობისას მისაღები წილის ნახევარს

სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილზე დამატება ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მას ანდერძით გადაეცემა კანონით მემკვიდრეობისას მისაღები წილის ნახევარი. თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს ანდერძით გადაეცემა კანონით მემკვიდრეობისას მისაღები წილის ნახევარზე მეტი, მაშინ ასეთი მოთხოვნის უფლება ნამეტი ქონების ღირებულების ფარგლებში გამორიცხულია.

§ 2327. დასაჩუქრებული სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი

(1) თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა მამკვიდრებლისაგან მიიღო საჩუქარი, მაშინ ეს უკანასკნელი – ისევე როგორც მესამე პირისათვის გადაცემული საჩუქარი – უნდა დაემატოს სამკვიდრო ქონებას და ერთდროულად ჩაითვალოს მისი სავალდებულო წილის დამატების ანგარიშში. §2315 თანახმად ანგარიშში ჩასათვლელი საჩუქარი ჩაითვლება სავალდებულო წილისა და დამატების საერთო თანხის ანგარიშში.

(2) თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი მამკვიდრებლის შთამომავალია, მაშინ შესაბამისად გამოიყენება §2051 1-ლი ნაწილის ნორმა.

§ 2328. სავალდებულო წილზე უფლებამოსილი მემკვიდრე

თუ მემკვიდრე თავად არის უფლებამოსილი სავალდებულო წილზე, მაშინ მას შეუძლია უარი თქვას სავალდებულო წილის დამატებაზე ისე, რომ მას დარჩეს საკუთარი სავალდებულო წილი იმ ქონების ჩათვლით, რაც მას უნდა მიეღო კუთვნილი სავალდებულო წილის დამატებისათვის.

§ 2329. დასაჩუქრებულის მიმართ მოთხოვნის უფლება

(1) რამდენადაც მემკვიდრეს არ ევალება სავალდებულო წილის დამატება, სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს ნაკლული თანხის ანაზღაურების მიზნით შეუძლია უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად დასაჩუქრებულისაგან მოითხოვოს საჩუქრის დაბრუნება. თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი წარმოადგენს ერთადერთ მემკვიდრეს, მაშინ ანალოგიური უფლება ეკუთვნის მას.

(2) დასაჩუქრებულს შეუძლია თავიდან აიცილოს საჩუქრის დაბრუნება ნაკლული თანხის გადახდით.
(3) რამდენიმე დასაჩუქრებულიდან უფრო ადრე დასაჩუქრებული პასუხს აგებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მოგვიანებით დასაჩუქრებული არ არის გადახდაზე ვალდებული.

§ 2330. ნაჩუქრობები ზრდილობისათვის
§§2325-2329 ნორმები არ გამოიყენება იმ ნაჩუქრობების მიმართ, რომლებიც შეესაბამება მორალურ ვალდებულებას ან გაკეთდა ზრდილობისათვის.

§ 2331. მეუღლეთა საერთო ქონებიდან განხორციელებული ქონებრივი გადაცემები
(1) ქონების გადაცემა, რომელიც მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის დროს ხორციელდება მეუღლეთა საერთო ქონებიდან, ჩაითვლება განხორციელებულად ყოველი მეუღლის მიერ თანაბარწილად. თუმცა, ქონების გადაცემა, რომელიც ხორციელდება მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლის შთამომავლის მიმართ ან იმ პირის მიმართ, რომლის შთამომავალსაც წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლე ანდა რის გამოც ერთ-ერთმა მეუღლემ საერთო ქონების სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს კომპენსაცია, – ითვლება ამ მეუღლის მიერ განხორციელებულად.
(2) აღნიშნული ნორმები შესაბამისად გამოიყენება მეუღლეთა გახანგრძლივებული საერთო ქონების რეჟიმის დროს მეუღლეთა საერთო ქონებიდან განხორციელებული ქონების გადაცემის მიმართ.

§ 2331ა. სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების შესრულების გადავადება
(1) თუ მემკვიდრე თავად არის უფლებამოსილი სავალდებულო წილზე, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების შესრულების გადავადება, თუ მემკვიდრეების საერთო მოთხოვნის უფლების დაუყოვნებელი შესრულება სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნების თვისებების გათვალისწინებით ჩააყენებდა მას მძიმე მდგომარეობაში, კერძოდ კი, აიძულებდა მას, უარი ეთქვა კუთვნილ ოჯახის საცხოვრებელ სახლზე ან გაესხვისებინა მატერიალური სიკეთე, რომელიც წარმოადგენს მემკვიდრისა და მისი ოჯახის ცხოვრების ეკონომიკურ საფუძველს. გადავადება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გამართლებულია სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიმართ ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით.
(2) რამდენადაც მოთხოვნის უფლება არ საჩივრდება, სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლების შესრულების გადავადების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაზე განსჯადია სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველი სასამართლო. შესაბამისად მოქმედებს §1382 2-6 ნაწილები; საოჯახო საქმეთა სასამართლოს ადგილს იკავებს სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველი სასამართლო.

§ 2332. ხანდაზმულობა
(1) სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია სამი წლის ვადის გასვლისთანავე იმ მომენტიდან, როდესაც სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირი შეიტყობს სამკვიდროს გახსნისა და მისთვის ზიანის მიმყენებელი განკარგულების შესახებ ან, მიუხედავად აღნიშნულის შესახებ ცოდნისა, – 30 წლის შემდეგ სამკვიდროს გახსნის მომენტიდან.

(2) §2329 თანხმად დასაჩუქრებულის მიმართ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილი პირის კუთვნილი მოთხოვნის უფლება ხანდაზმულია სამი წლის ვადის გასვლისთანავე სამკვიდროს გახსნის მომენტიდან.
(3) ხანდაზმულობის ვადის დენა არ ჩერდება იმის გამო, რომ მოთხოვნის უფლებები შეიძლება რეალიზებულ იქნეს მხოლოდ მემკვიდრეობასა თუ საანდერძო დანაკისრზე უარი თქმის შემდეგ.

§ 2333. შთამომავლისათვის სავალდებულო წილის ჩამორთმევა
მამკვიდრებელს შეუძლია ჩამოართვას შთამომავალს სავალდებულო წილი:
1. თუ ეს უკანასკნელი ხელყოფს მამკვიდრებლის, მისი მეუღლის ან სხვა შთამომავლის სიცოცხლეს,
2. თუ შთამომავალს შეერაცხება მამკვიდრებლისადმი ან მისი მეუღლისადმი განზრახი ფიზიკური სასტიკი მოპყრობა (Misshandlung), თუმცა, მეუღლისადმი სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში, – მხოლოდ იმ პირობით, რომ შთამომავალი წარმოადგენს მეუღლის შთამომავალს,
3. თუ შთამომავალი მამკვიდრებლის ან მისი მეუღლის მიმართ ბრალეულად სჩადის დანაშაულს ან სხვა მძიმე განზრახ გადაცდომას,
4. თუ შთამომავალი ბოროტად არღვევს მასზე მამკვიდრებლის წინაშე არსებულ კანონით დაკისრებულ რჩენის ვალდებულებას,
5. თუ შთამომავალი მამკვიდრებლის ნების საწინააღმდეგოდ ეწევა უღირს ან ამორალურ ცხოვრებას.

§ 2334. მშობლის სავალდებულო წილის ჩამორთმევა
მამკვიდრებელს შეუძლია ჩამოართვას მამას სავალდებულო წილი, თუ ეს უკანასკნელი ბრალეულად სჩადის §2333 №№1, 3, 4-ში გათვალისწინებულ გადაცდომათაგან ერთ-ერთს. ანალოგიური უფლება აქვს მამკვიდრებელს დედის მიმართაც, თუ ეს უკანასკნელი ბრალეულად სჩადის ასეთ გადაცდომას.

§ 2335. მეუღლის სავალდებულო წილის ჩამორთმევა
მამკვიდრებელს შეუძლია ჩამოართვას მეუღლეს სავალდებულო წილი:
1. თუ ეს უკანასკნელი ხელყოფს მამკვიდრებლის ან მისი შთამომავლის სიცოცხლეს,
2. თუ მეუღლეს შეერაცხება მამკვიდრებლისადმი განზრახი ფიზიკური სასტიკი მოპყრობა,
3. თუ მეუღლე მამკვიდრებლის მიმართ ბრალეულად სჩადის დანაშაულს ან განზრახ მძიმე გადაცდომას,
4. თუ მეუღლე ბოროტად არღვევს მასზე მამკვიდრებლის წინაშე არსებულ კანონით დაკისრებულ რჩენის ვალდებულებას.

§ 2336. ფორმა, მტკიცების ტვირთი, სამართლებრივი ძალის არმქონე ჩამორთმევა
(1) სავალდებულო წილის ჩამორთმევა ხორციელდება საანდერძო განკარგულებით.
(2) ჩამორთმევის საფუძველი უნდა არსებობდეს საანდერძო განკარგულების გაკეთების მომენტში და უნდა მიეთითოს ამ უკანასკნელში.
(3) საფუძველის არსებობის მტკიცება ეკისრება იმ პირს, ვინც ახორციელებს სავალდებულო წილის ჩამორთმევას.

(4) §2333 №5-ში გათვალისწინებულ შემთხვევაში ჩამორთმევა სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში შთამომავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღარ ეწეოდა უღირს ან ამორალურ ცხოვრებას.

§ 2337. პატიება

სავალდებულო წილის ჩამორთმევის უფლება უქმდება პატიებით. განკარგულება, რომლითაც მამკვიდრებელმა დაადგინა სავალდებულო წილის ჩამორთმევა, პატიების შედეგად კარგავს ძალას.

§ 2338. სავალდებულო წილის შეზღუდვა

(1) თუ შთამომავალი იმ ოდენობით ფლანგავს თავის ქონებას ან მას აქვს ზედავალიანება იმ მოცულობით, რომ საფრთხის ქვეშ დადგება მისი შემდგომი შენაძენი, მაშინ მამკვიდრებელს შეუძლია შეზღუდოს განკარგულებით მისი სავალდებულო წილი ისე, რომ შთამომავლის გარდაცვალების შემდეგ ამ უკანასკნელის კანონით მემკვიდრეებმა როგორც სუბსტიტუტებმა ან სუბსტიტუციურმა ლეგატარებმა მიიღონ შთამომავლისათვის ანდერძით გადაცემული ქონება ან მისი სავალდებულო წილი კანონით მემკვიდრეობის შემთხვევაში მათი წილების პროპორციულად. მამკვიდრებელს შეუძლია ასევე შთამომავლის სიცოცხლეში სამკვიდროს მართვა დააკისროს ანდერძის აღმსრულებელს; ასეთ შემთხვევაში შთამომავალს აქვს მოთხოვნის უფლება ყოველწლიურ წმინდა მოგებაზე.

(2) აღნიშნული სახის განკარგულებების მიმართ შესაბამისად გამოიყენება §2336 1-3 ნაწილების ნორმები. განკარგულებები სამართლებრივი ძალის არმქონეა, თუ სამკვიდროს გახსნის მომენტში შთამომავალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღარ ფლანგავდა თავის ქონებას ან აღარ არსებობს ზედავალიანება, რაც გახდა განკარგულების მიღების საფუძველი.

ნაწილი 6. უღირსი მემკვიდრე

§ 2339. უღირს მემკვიდრედ ცნობის საფუძვლები

(1) უღირს მემკვიდრედ ჩაითვლება პირი:

1. რომელმაც განზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ მოკლა მამკვიდრებელი ან ჩაიდინა მისი მკვლელობის მცდელობა ანდა მიიყვანა იგი იმ მდგომარეობამდე, რომ მამკვიდრებელი თავის გარდაცვალებამდე უუნარო იყო, მიეღო ან გაეუქმებინა საანდერძო განკარგულება,
2. რომელმაც მამკვიდრებელს განზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ ხელი შეუშალა საანდერძო განკარგულების მიღებასა თუ გაუქმებას,
3. რომელმაც განზრახ შეცდომაში შეყვანით ან მართლსაწინააღმდეგო მუქარით დაიყოლია მამკვიდრებელი საანდერძო განკარგულების მიღებასა თუ გაუქმებაზე,
4. რომელიც მამკვიდრებლის საანდერძო განკარგულებასთან დაკავშირებით ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის (Strafgesetzbuch) §§267, 271-274 გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

(2) 1-ლი ნაწილის №№3, 4-ში მითითებულ შემთხვევებში მემკვიდრე არ ჩაითვლება უღირსად, თუ სამკვიდროს გახსნამდე საანდერძო განკარგულებამ, რომლის მიღე-

ბაზეც დაიყოლიეს მამკვიდრებელი ან რასთან დაკავშირებითაც ჩადენილ იქნა დანაშაული, დაკარგა ძალა ან ძალას დაკარგავდა ის საანდერძო განკარგულება, რომლის გაუქმებაზეც იგი დაიყოლიეს.

§ 2340. უღირს მემკვიდრედ აღიარება შეცილებით

(1) უღირს მემკვიდრედ აღიარება ხორციელდება მის მიერ სამკვიდროს შეძენის ფაქტზე შეცილებით.

(2) შეცილება დასაშვებია მხოლოდ სამკვიდროს გადაცემის შემდეგ. სუბსტიტუტის მიმართ შეცილება შეიძლება განხორციელდეს სამკვიდროს თავდაპირველ მემკვიდრეებზე გადასვლის შემდეგ.

(3) შეცილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ §2082 დადგენილ ვადებში.

§ 2341. შეცილებაზე უფლებამოსილი პირები

შეცილებაზე უფლებამოსილია ნებისმიერი პირი, ვისთვისაც უშუალოდ სასარგებლო იქნება უღირსი მემკვიდრის გამორიცხვა იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული ხდება მხოლოდ სხვა პირის გამორიცხვის შემთხვევაში.

§ 2342. სარჩელი შეცილების მოთხოვნით

(1) შეცილება ხორციელდება შეცილების მოთხოვნით სარჩელის წარდგენით. სარჩელი მიმართული უნდა იყოს მემკვიდრის უღირსად აღიარებაზე.

(2) შეცილება ძალაში შედის მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

§ 2343. პატიება

შეცილება გამორიცხულია, თუ მამკვიდრებელმა აპატია უღირს მემკვიდრეს.

§ 2344. უღირს მემკვიდრედ აღიარების სამართლებრივი შედეგი

(1) თუ მემკვიდრე აღიარებულ იქნა უღირსად, მაშინ სამკვიდრო არ ჩაითვლება მასზე გადასულად.

(2) სამკვიდრო გადადის იმ პირზე, ვინც მოიწვეოდა მემკვიდრედ, უღირსი მემკვიდრე რომ არ ყოფილიყო ცოცხალი სამკვიდროს გახსნის მომენტში; სამკვიდროს გადასვლა ჩაითვლება განხორციელებულად სამკვიდროს გახსნის მომენტში.

§ 2345. საანდერძო დანაკისრის მიღებაზე უღირსი პირი; სავალდებულო წილის მიღებაზე უღირსი პირი

(1) თუ ლეგატარმა ბრალეულად ჩაიდინა §2339 1-ლ ნაწილში გათვალისწინებულ გადაცდომათაგან ერთ-ერთი, მაშინ საანდერძო დანაკისრიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება საცილოა. შესაბამისად გამოიყენება §§2082, 2083, §2339 მე-2 ნაწილისა და §§2341, 2343 ნორმები.

(2) ანალოგიური წესი მოქმედებს სავალდებულო წილის მიღებაზე მოთხოვნის უფლების მიმართაც, თუ სავალდებულო წილის მიღებაზე უფლებამოსილმა პირმა ბრალეულად ჩაიდინა ასეთი გადაცდომა.

ნაწილი 7. მემკვიდრეობაზე უარი

§ 2346. მემკვიდრეობაზე უარის სამართლებრივი შედეგი, შეზღუდვის შესაძლებლობა
(1) მამკვიდრებლის ნათესავებსა და მეუღლეს შეუძლიათ მამკვიდრებელთან ხელშეკრულებით უარი თქვან თავიანთ კანონით მემკვიდრეობის უფლებაზე. უარის განმცხადებელი გამოირიცხება კანონით მემკვიდრეობიდან, თითქოს სამკვიდროს გახსნის მომენტში იგი აღარ იყო ცოცხალი; მას არა აქვს სავალდებულო წილზე უფლება.
(2) კანონით მემკვიდრეობის უფლებაზე უარი შეიძლება შეიზღუდოს სავალდებულო წილზე უფლებით.

§ 2347. მოთხოვნები უარის თქმისათვის, წარმომადგენლობა
(1) თუ უარის განმცხადებელი იმყოფება მეურვეობის ქვეშ, მემკვიდრეობაზე უარისათვის საჭიროა საოჯახო საქმეთა სასამართლოს თანხმობა; ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ უარის განმცხადებელი იმყოფება მშობლის ზრუნვის ქვეშ, რამდენადაც მეუღლეებს ან დანიშნულებს შორის ხელშეკრულება არ იდება. მზრუნველის მეშვეობით უარისათვის საჭიროა მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს თანხმობა.
(2) მამკვიდრებელს ხელშეკრულების დადება შეუძლია მხოლოდ პირადად; თუ მას შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, მაშინ იგი არ საჭიროებს მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას. თუ მამკვიდრებელი ქმედუუნაროა, მაშინ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით; საოჯახო საქმეთა სასამართლოს ან მზრუნველობის საქმეთა სასამართლოს თანხმობა საჭიროა იმ მოცულობით, რაც მითითებულია 1-ლ ნაწილში.

§ 2348. ფორმა
კანონით მემკვიდრეობაზე უარის ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

§ 2349. მემკვიდრეობაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგი შთამომავლების მიმართ
თუ მამკვიდრებლის შთამომავალმა ან გვერდითა ხაზით ნათესავმა უარი თქვა კანონით მემკვიდრეობის უფლებაზე, მაშინ უარის სამართლებრივი შედეგი ვრცელდება მის შთამომავლებზე, თუ სხვა წესი არ არის დადგენილი.

§ 2350. მემკვიდრეობაზე უარის თქმა სხვა პირის სასარგებლოდ
(1) თუ პირი უარს აცხადებს კანონით მემკვიდრეობის უფლებაზე სხვა პირის სასარგებლოდ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ უარი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირი გახდება მემკვიდრე.
(2) თუ მამკვიდრებლის შთამომავალი უარს აცხადებს კანონით მემკვიდრეობის უფლებაზე, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ უარი მოქმედებს მხოლოდ მამკვიდრებლის სხვა შთამომავლებისა და მეუღლის სასარგებლოდ.

§ 2351. მემკვიდრეობაზე უარის თქმის გაუქმება
იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლითაც უქმდება მემკვიდრეობაზე უარი, გამოიყენება §2348 ნორმა, ხოლო მამკვიდრებლის მიმართ კი, აგრეთვე, – §2347 მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადების პირველი ნაწილის, მე-2 წინადადების ნორმები.

§ 2352. უარი ქონებრივ გადაცემებზე
პირს, ვინც ანდერძით დანიშნულია მემკვიდრედ ან ვის სასარგებლოდაც დადგენილია საანდერძო დანაკისრი, შეუძლია მამკვიდრებელთან ხელშეკრულებით უარი თქვას ქონებრივ გადაცემაზე. ანალოგიური წესი მოქმედებს მესამე პირის სასარგებლოდ მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულებაში განხორციელებული ქონებრივი გადაცემის მიმართ. გამოიყენება §§2347, 2348 ნორმები.

ნაწილი 8. სამკვიდრო მოწმობა

§ 2353. სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველი სასამართლოს განსჯადობა, განცხადება
განცხადების საფუძველზე სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველმა სასამართლომ მემკვიდრეზე უნდა გასცეს სერტიფიკატი მისი მემკვიდრეობის უფლების შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი მოიწვევა სამკვიდროს მხოლოდ ნაწილის მისაღებად, – სამკვიდრო წილის ოდენობის შესახებ (სამკვიდრო მოწმობა).

§ 2354. კანონით მემკვიდრის მიერ განცხადებაში შესატანი მონაცემები
(1) პირმა, რომელიც კანონით მემკვიდრის სახით წარადგენს განცხადებას სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ, უნდა მიუთითოს:
1. მამკვიდრებლის გარდაცვალების დრო,
2. ურთიერთობა, რასაც ეფუძნება მისი მემკვიდრეობის უფლება,
3. ინფორმაცია იმის შესახებ, არიან თუ არა სახეზე ან იყვნენ თუ არა სახეზე პირები, – ხოლო თუ სახეზე არიან ან იყვნენ, – კონკრეტულად ვინ, – რომლებსაც შეეძლოთ მის მიერ მემკვიდრეობის მიღების გამორიცხვა ან მისი სამკვიდრო წილის შემცირება,
4. ინფორმაცია იმის შესახებ, არის თუ არა სახეზე მამკვიდრებლის საანდერძო განკარგულებები და, ხოლო თუ არის, – კონკრეტულად როგორი შინაარსის,
5. მიმდინარეობს თუ არა მისი მემკვიდრეობის უფლების შესახებ სასამართლო დავა.

(2) თუ სახეზე აღარ არის პირი, რომელსაც შეეძლო განმცხადებლის მიერ მემკვიდრეობის მიღების გამორიცხვა ან მისი სამკვიდრო წილის შემცირება, მაშინ განმცხადებელმა უნდა მიუთითოს, თუ რა საფუძვლებით აღარ არის პირი სახეზე.

§ 2355. ანდერძით მემკვიდრის მიერ განცხადებაში შესატანი მონაცემები
პირმა, რომელიც სამკვიდრო მოწმობის გაცემის შესახებ განცხადებას წარადგენს საანდერძო განკარგულების საფუძველზე, უნდა მიუთითოს ის საანდერძო განკარგულება, რომელსაც ეფუძნება მისი მემკვიდრეობის უფლება, და მიუთითოს ასევე იმის შესახებ, არის თუ არა სახეზე მამკვიდრებლის სხვა საანდერძო განკარგულებები, ხოლო თუ არის, – კონკრეტულად როგორი შინაარსის, და მიუთითოს §2354 1-ლი ნაწილის №№1, 5-ით, მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია.

§ 2356. მონაცემთა სისწორის დასტური
(1) განმცხადებელმა მის მიერ §2354 1-ლი ნაწილის №№1, 2-ისა და მე-2 ნაწილის თანხმად წარდგენილი მონაცემები უნდა დაადასტუროს ოფიციალური დოკუმენტე-

ბით, ხოლო §2355 გათვალისწინებულ შემთხვევაში, წარადგინოს დოკუმენტი, რომელსაც ეფუძნება მისი მემკვიდრეობის უფლება. თუ დოკუმენტების მიღება შეუძლებელია ან მათი მიღება შესაძლებელია მხოლოდ შეუსაბამო სირთულეებით, მაშინ საკმარისია სხვა მტკიცებულებების წარდგენა.
(2) იმის დასადასტურებლად, რომ მამკვიდრებელი მისი გარდაცვალების მომენტში ცხოვრობდა მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი საერთო ქონების რეჟიმში, ისევე როგორც სხვა §§2354, 2355 თანახმად საჭირო მონაცემების სისწორის დასადასტურებლად, – განმცხადებელმა სასამართლოს ან ნოტარიუსის წინაშე ფიცის ტოლფასი განცხადებით უნდა დაადასტუროს, რომ მისთვის არ არის ცნობილი არანაირი ისეთი ფაქტი, რაც უარყოფდა მისი ცნობების სისწორეს. სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს პირი დადასტურების ვალდებულებისაგან, თუ იგი მას არ მიიჩნევს აუცილებლად.
(3) აღნიშნული ნორმები არ გამოიყენება, რამდენადაც ფაქტები სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველი სასამართლოსათვის ნათელია.

§ 2357. ერთობლივი სამკვიდრო მოწმობა
(1) თუ სახეზეა რამდენიმე მემკვიდრე, მაშინ განცხადების საფუძველზე გაიცემა ერთობლივი სამკვიდრო მოწმობა. განცხადება შეიძლება წარდგენილ იქნეს ნებისმიერი მემკვიდრის მიერ.
(2) განცხადებაში მითითებულ უნდა იქნენ მემკვიდრეები და მათი სამკვიდრო წილები.
(3) თუ განცხადება არ წარედგინება ყველა მემკვიდრის სახელით, მაშინ იგი უნდა შეიცავდეს მონაცემებს იმის შესახებ, რომ დანარჩენმა მემკვიდრეებმა მიიღეს სამკვიდრო. §2356 ნორმა მოქმედებს ასევე დანარჩენი მემკვიდრეების შესახებ განმცხადებლის მონაცემების მიმართაც.
(4) ფიცის ტოლფასი განცხადებით დადასტურება მოითხოვება ყველა მემკვიდრისაგან, რამდენადაც ერთი ან რამდენიმე მემკვიდრის მიერ დადასტურებას სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველი სასამართლო არ მიიჩნევს საკმარისად.

§ 2358. სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველი სასამართლოს მიერ ჩატარებული მოკვლევა
(1) სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველმა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით განმცხადებლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების გამოყენებით უნდა ჩაატაროს ფაქტების დადგენისათვის საჭირო მოკვლევა და მიიღოს მტკიცებულებები, რომლებსაც იგი მიიჩნევს სათანადოდ.
(2) სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს შეუძლია გამოაქვეყნოს სხვა პირებისათვის წარდგენილი შეთავაზება, სადაც მიეთითება ამ უკანასკნელების მიერ კუთვნილი მემკვიდრეობის უფლებების განცხადების შესახებ; გამოქვეყნების სახე და განცხადების წარდგენის ვადის ხანგრძლივობა განისაზღვრება გამოწვევითი წარმოების მომწესრიგებელი ნორმებით.

§ 2359. სამკვიდრო მოწმობის გაცემის წინაპირობები
სამკვიდრო მოწმობა შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველი სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ფაქტებს, რომლებიც აუცილებელია განცხადების დასაბუთებისათვის.

§ 2360. *(გაუქმებულია)*

§ 2361. უსწორო სამკვიდრო მოწმობის ჩამორთმევა ან მისი ძალადაკარგულად გამოცხადება

(1) თუ სამკვიდრო მოწმობა უსწორო აღმოჩნდება, მაშინ სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველმა სასამართლომ ის უნდა ჩამოართვას მის მფლობელს. სამკვიდრო მოწმობის ჩამორთმევით ეს უკანასკნელი კარგავს ძალას.

(2) თუ სამკვიდრო მოწმობა არ შეიძლება დაუყოვნებლივ დაბრუნდეს, მაშინ სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველმა სასამართლომ განჩინებით უნდა გამოაცხადოს იგი ძალადაკარგულად. განჩინება უნდა გამოქვეყნდეს სასამართლო უწყების საჯარო გამოქვეყნების მომწესრიგებელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსისეული ნორმების მიხედვით. ძალადაკარგულად გამოცხადება ძალაშია ოფიციალურ გაზეთებში მისი ბოლო გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადის გასვლისთანავე.

(3) სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველ სასამართლოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ჩაატაროს მოკვლევა გაცემული სამკვიდრო მოწმობის სისწორის დასადგენად.

§ 2362. ნამდვილი მემკვიდრის მიერ უსწორო სამკვიდრო მოწმობის გადაცემისა და ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნის უფლებები

(1) ნამდვილ მემკვიდრეს შეუძლია უსწორო სამკვიდრო მოწმობის მფლობელს მოსთხოვოს სამკვიდრო მოწმობის სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველი სასამართლოსათვის გადაცემა.

(2) პირმა, რომელზეც გაცემულია უსწორო სამკვიდრო მოწმობა, ნამდვილ მემკვიდრეს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია სამკვიდროს შემადგენლობისა და სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი საგნების ადგილმდებარეობის შესახებ.

§ 2363. თავდაპირველი მემკვიდრისათვის გაცემული სამკვიდრო მოწმობის შინაარსი

(1) თავდაპირველი მემკვიდრისათვის გაცემულ სამკვიდრო მოწმობაში უნდა მიეთითოს, რომ დადგენილია სუბსტიტუცია, ასევე თუ რა წინაპირობების არსებობისას დგინდება იგი და ვინ არის სუბსტიტუტი. თუ მამკვიდრებელმა პირი სუბსტიტუტად დანიშნა იმ ქონების მიმართ, რაც დარჩება სამკვიდროდან სუბსტიტუციის დადგომისას, ან დაადგინა, რომ თავდაპირველი მემკვიდრე იყოს უფლებამოსილი სამკვიდროს თავისუფალ განკარგვაზე, მაშინ აღნიშნული ასევე უნდა მიეთითოს.

(2) სუბსტიტუტს აქვს §2362 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული უფლება.

§ 2364. სამკვიდრო მოწმობაში მითითება ანდერძის აღმსრულებელზე, ანდერძის აღმსრულებლის კუთვნილი სამკვიდრო მოწმობის გადაცემის მოთხოვნის უფლება

(1) თუ მამკვიდრებელმა დაასახელა ანდერძის აღმსრულებელი, მაშინ დასახელების შესახებ უნდა მიეთითოს სამკვიდრო მოწმობაში.

(2) ანდერძის აღმსრულებელს აქვს §2362 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული უფლება.

§ 2365. სამკვიდრო მოწმობის სისწორის პრეზუმფცია

ივარაუდება, რომ პირს, ვინც სამკვიდრო მოწმობაში მითითებულია როგორც მემკვიდრე, ეკუთვნის სამკვიდრო მოწმობაში აღნიშნული მემკვიდრეობის უფლება და იგი არ არის შეზღუდული რაიმე სხვა განკარგულებებით, გარდა სამკვიდრო მოწმობაში მითითებულისა.

§ 2366. სამკვიდრო მოწმობის საჯარო ნდობა

თუ ვინმე იმ პირისგან, ვინც სამკვიდრო მოწმობაში მითითებულია როგორც მემკვიდრე, გარიგებით იძენს სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებულ საგანს, ასეთ საგანზე უფლებას ან თავისუფლდება სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული უფლებისაგან, მაშინ §2365 დადგენილი პრეზუმფციის თანახმად, სამკვიდრო მოწმობის შინაარსი ჩაითვლება სწორად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პირველმა იცის უსწორობის შესახებ ან იცის იმის შესახებ, რომ სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველი სასამართლომ მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის დაბრუნება ამ უკანასკნელის უსწორობის გამო.

§ 2367. სამკვიდრო მოწმობაში მემკვიდრედ მითითებული პირის მიმართ ვალდებულების შესრულება

§2366 ნორმები შესაბამისად გამოიყენება, თუ იმ პირის მიმართ, ვინც სამკვიდრო მოწმობაში მითითებულია როგორც მემკვიდრე, განხორციელდება ვალდებულების შესრულება სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული უფლების საფუძველზე ან თუ მასსა და სხვა პირს შორის ამ უფლებასთან დაკავშირებით დაიდო გარიგება, რომელიც შეიცავს ამ უფლების განკარგვას და რომლის მიმართაც არ მოქმედებს §2366 ნორმა.

§ 2368. ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნის სერტიფიკატი

(1) განცხადების საფუძველზე სამემკვიდრეო საქმეთა განმხილველმა სასამართლომ ანდერძის აღმსრულებელზე უნდა გასცეს მისი დანიშვნის შესახებ სერტიფიკატი. თუ ანდერძის აღმსრულებელი შეზღუდულია სამკვიდრო ქონების მართვაში ან თუ მამკვიდრებელმა დაადგინა, რომ ანდერძის აღმსრულებელი არ უნდა იყოს შეზღუდული სამკვიდრო ქონების სასარგებლოდ ვალდებულებების კისრებისას, მაშინ აღნიშნული უნდა მიეთითოს სერტიფიკატში.

(2) *(გაუქმებულია)*

(3) სამკვიდრო მოწმობის შესახებ ნორმები შესაბამისად გამოიყენება სერტიფიკატის მიმართ; ანდერძის აღმსრულებლის უფლებამოსილების შეწყვეტისთანავე სერტიფიკატი კარგავს ძალას.

§ 2369. ცალკეული საგნებით შეზღუდული სამკვიდრო მოწმობა

(1) თუ სამკვიდროს მიეკუთვნება ასევე ის საგნები, რომლებიც იმყოფება საზღვარგარეთ, განცხადება შეიძლება შეიზღუდოს ქვეყნის შიგნით არსებული საგნების მიმართ სამკვიდრო მოწმობის გაცემით.

(2) საგანი ითვლება ქვეყნის შიგნით არსებულად, თუ გერმანული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ საგანზე უფლებამოსილი პირების რეგისტრაციისათვის იწარმოება წიგნი ან რეესტრი. მოთხოვნის უფლება ჩაითვლება ქვეყნის შიგნით არსებულად, თუ მისი სარჩლისათვის განსჯადია გერმანული სასამართლო.

§ 2370. საჯარო ნდობა პირის გარდაცვლილად აღიარების შემთხვევაში

(1) თუ პირი, ვინც აღიარებულია გარდაცვლილად ან მისი გარდაცვალების მომენტი დგინდება "უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ" კანონის ნორმების თანახმად, ცოცხალი იქნება იმ მომენტში, რომელიც მიიჩნევა მისი გარდაცვალების მომენტად, მაშინ ის პირი, ვინც გარდაცვლილად აღიარების ან გარდაცვალების მომენტის დადგენის საფუძველზე უნდა გამხდარიყო მემკვიდრე, §§2366, 2367 გათვალისწინებული გარიგებების მიმართ მესამე პირის სასარგებლოდ ჩაითვლება მემკვიდრედ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მესამე პირმა იცის გარდაცვლილად

აღიარების ან გარდაცვალების მომენტის დადგენის უსწორობის შესახებ ან იცის იმის შესახებ, რომ აღნიშნული აქტები გაუქმდა.
(2) თუ სამკვიდრო მოწმობა გაიცა, მაშინ იმ პირს, ვინც აღიარებულია გარდაცვლილად ან რომლის გარდაცვალების მომენტი დგინდება "უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ" კანონის ნორმების თანახმად, ეკუთვნის §2362 დადგენილი უფლებები, თუ იგი ჯერ კიდევ ცოცხალია. ანალოგიური უფლებები აქვს პირს, რომლის გარდაცვალება არამართლზომიერად ივარაუდება გარდაცვლილად აღიარებისა თუ გარდაცვალების მომენტის დადგენის გარეშე.

ნაწილი 9. სამკვიდროს ნასყიდობის ხელშეკრულება

§ 2371. ფორმა
ხელშეკრულება, რომლითაც მემკვიდრე ყიდის მასზე გადასულ სამკვიდროს, უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

§ 2372. მყიდველის კუთვნილი სარგებელი
სარგებელი, რომელიც წარმოიქმნება საანდერძო დანაკისრის ან ვალდებულების დაკისრების გამორიცხვის შედეგად ან გამომდინარეობს თანამემკვიდრეზე დაკისრებული წილთა გათანაბრების ვალდებულებიდან, ეკუთვნის მყიდველს.

§ 2373. გამყიდველისათვის დატოვებული სამკვიდრო წილები
სამკვიდრო წილი, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ სუბსტიტუციის ან თანამემკვიდრის გამორიცხვის შედეგად გადადის გამყიდველზე, ისევე როგორც გამყიდველზე გადასული პირველი რიგის საანდერძო დანაკისრი საეჭვოობისას არ განიხილება როგორც გაყიდულად სამკვიდროსთან ერთად. ანალოგიური წესი მოქმედებს საოჯახო დოკუმენტებისა და სურათების მიმართ.

§ 2374. სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნების გადაცემის ვალდებულება
გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს გადასცეს ნასყიდობის მომენტში არსებული სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნები იმ საგნების ჩათვლით, რაც მან ნასყიდობამდე მიიღო სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული უფლების საფუძველზე ან სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნის განადგურების, დაზიანების ან ჩამორთმევის საზღაურის სახით ანდა სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული გარიგების შედეგად.

§ 2375. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება
(1) თუ გამყიდველმა ნასყიდობამდე სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგანი მოიხმარა, უსასყიდლოდ გაასხვისა ან უსასყიდლოდ უფლებრივად დატვირთა, მაშინ იგი ვალდებულია, მყიდველს აუნაზღაუროს მოხმარებული ან გასხვისებული საგნის ღირებულება, ხოლო უფლებრივად დატვირთვის შემთხვევაში, – აანაზღაუროს ის თანხა, რომლითაც შემცირდა ღირებულება. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ მყიდველმა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას იცის საგნის მოხმარების ან უსასყიდლო განკარგვის შესახებ.
(2) დანარჩენ შემთხვევებში მყიდველს არ შეუძლია მოითხოვოს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნის გა-

უარესებით, განადგურებით ან სხვა მიზეზით გამოწვეული სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნის გადაცემის შეუძლებლობით.

§ 2376. გამყიდველის პასუხისმგებლობა

(1) გამყიდველის მიერ უფლებრივი ნაკლის არარსებობისათვის გარანტიის წარდგენის ვალდებულება შეზღუდულია მისი პასუხისმგებლობით იმაზე, რომ მას ეკუთვნის მემკვიდრეობის უფლება, რომ ეს უფლება არ არის შეზღუდული სუბსტიტუტის უფლებით ან ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნით, რომ არ არსებობს საანდერძო დანაკისრები, ვალდებულების დაკისრებები, სავალდებულო წილის უფლებრივი ტვირთი, წილთა გათანაბრების ვალდებულებები ან სამკვიდრო ქონების გაყოფასთან დაკავშირებით მამკვიდრებლის განკარგულებები და რომ სამკვიდრო ქონების კრედიტორების ან ცალკეული მათგანის მიმართ შეუზღუდავი პასუხისმგებლობა არ დადგა.

(2) გამყიდველი პასუხს არ აგებს სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული ნივთის ნივთობრივი ნაკლისათვის.

§ 2377. შეწყვეტილი სამართლებრივი ურთიერთობების აღდგენა

სამკვიდროს გახსნის შედეგად უფლებისა და ვალის ან უფლებისა და უფლებრივი ტვირთის ერთი პირის ხელში აღმოჩენის გამო შეწყვეტილი სამართლებრივი ურთიერთობები მყიდველსა და გამყიდველს შორის არ მიიჩნევა შეწყვეტილად. საჭიროების შემთხვევაში ასეთი სამართლებრივი ურთიერთობა აღდგენილ უნდა იქნეს.

§ 2378. სამკვიდრო ქონების ვალები

(1) მყიდველი გამყიდველის მიმართ პასუხისმგებელია სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვაზე, რამდენადაც გამყიდველი §2376 თანახმად პასუხს არ აგებს იმაზე, რომ აღნიშნული ვალები არ არსებობს.

(2) თუ გამყიდველმა სამკვიდრო ქონების ვალი ნასყიდობამდე დაფარა, მაშინ მას შეუძლია მყიდველისაგან მოითხოვოს კომპენსაციის გადახდა.

§ 2379. ნასყიდობამდე არსებული სარგებელი და უფლებრივი ტვირთი

გამყიდველს რჩება ის სარგებელი, რომელიც მიღებულ იქნა ნასყიდობამდე დროის პერიოდში. აღნიშნული პერიოდისათვის მას ეკისრება უფლებრივი ტვირთი სამკვიდრო ქონების ვალების პროცენტების ჩათვლით. თუმცა, მყიდველი ვალდებულია, განახორციელოს სამკვიდრო ქონებასთან დაკავშირებული აუცილებელი გადახდები, ისევე როგორც სპეციალური გადახდები, რომლებიც განიხილება როგორც სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნების ძირითადი ღირებულების მტვირთავი.

§ 2380. რისკის გადასვლა, სარგებელი და უფლებრივი ტვირთი ნასყიდობის შემდეგ

ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტიდან მყიდველზე გადადის სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნის შემთხვევით დაღუპვისა და შემთხვევით გაუარესების რისკი. აღნიშნული მომენტიდან მყიდველს ეკუთვნის ნივთის სარგებელი და მას ეკისრება ნივთის უფლებრივი ტვირთი.

§ 2381. გაწეული ხარჯების ანაზღაურება

(1) მყიდველმა გამყიდველს უნდა აუნაზღაუროს აუცილებელი ხარჯები, რომლებიც ნასყიდობამდე გამყიდველმა გასწია სამკვიდრო ქონების მიმართ.

(2) ნასყიდობამდე გაწეული სხვა დანახარჯები მყიდველმა უნდა აანაზღაუროს მხოლოდ იმ ოდენობით, რომლითაც ამ დანახარჯების შედეგად ნასყიდობის მომენტისათვის გაიზარდა სამკვიდრო ქონების ღირებულება.

§ 2382. მყიდველის პასუხისმგებლობა სამკვიდრო ქონების კრედიტორების წინაშე

(1) ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტიდან მყიდველი პასუხს აგებს სამკვიდრო ქონების კრედიტორების წინაშე გამყიდველის პასუხისმგებლობის შენარჩუნებით. აღნიშნული წესი მოქმედებს ასევე იმ ვალების მიმართ, რომელთა დაფარვაც §§2378, 2379 თანახმად მყიდველს გამყიდველის მიმართ არ ეკისრება.

(2) კრედიტორების წინაშე მყიდველის პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს მასსა და გამყიდველს შორის შეთანხმებით.

§ 2383. მყიდველის პასუხისმგებლობის მოცულობა

(1) მყიდველის პასუხისმგებლობის მიმართ მოქმედებს მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვის შესახებ ნორმები. მყიდველი პასუხს აგებს შეუზღუდავად, რამდენადაც გამყიდველი გაყიდვის მომენტში შეუზღუდავად აგებს პასუხს. თუ მყიდველის პასუხისმგებლობა შეზღუდულია სამკვიდრო ქონებით, მაშინ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მისი მოთხოვნის უფლებები სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებულად ჩაითვლება.

(2) გამყიდველის ან მყიდველის მიერ შედგენილი საინვენტარიზაციო აღწერა გამოიყენება ასევე ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უკანასკნელი პასუხს აგებს შეუზღუდავად.

§ 2384. გამყიდველის მიერ სამკვიდრო ქონების კრედიტორებისათვის შეტყობინების წარდგენის ვალდებულება, შეტყობინების გაცნობის უფლება

(1) გამყიდველი სამკვიდრო ქონების კრედიტორების წინაშე ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს სამემკვიდრეო საქმეების განმხილველ სასამართლოს სამკვიდრო ქონების გაყიდვის შესახებ და აცნობოს მას მყიდველის სახელი. გამყიდველის მიერ შეტყობინება იცვლება მყიდველის შეტყობინებით.

(2) სამემკვიდრეო საქმეების განმხილველმა სასამართლომ უნდა დართოს შეტყობინების გაცნობის ნება ნებისმიერ იმ პირს, ვინც წარადგენს საკმარის მტკიცებულებებს თავისი კანონიერი ინტერესის დასადასტურებლად.

§ 2385. მსგავსი ხელშეკრულებების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება

(1) სამკვიდროს ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ ნორმები შესაბამისად გამოიყენება გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით შეძენილი სამკვიდროს ნასყიდობის მიმართ, ისევე როგორც სხვა ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც მიმართულია გამსხვისებელზე გადასული ან მის მიერ სხვაგვარად შეძენილი სამკვიდროს გასხვისებისაკენ.

(2) ჩუქების შემთხვევაში მჩუქებელი არ არის ვალდებული, აანაზღაუროს ჩუქებამდე მოხმარებული ან უსასყიდლოდ გასხვისებული სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნების ღირებულება ანდა აანაზღაუროს ჩუქებამდე უსასყიდლოდ დადგენილი უფლებრივი ტვირთი. §2376 გათვალისწინებული უფლებრივი ნაკლის არარსებობისათვის გარანტიის წარდგენის ვალდებულება მჩუქებელს არ ეკისრება; თუ მჩუქებელმა ნაკლი განზრახ დამალა, მაშინ მან დასაჩუქრებულს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

ანბანურ-საგნობრივი საძიებელი

ა

ადგილსამყოფელი §§132, 772, 775, 1631
ადმინისტრაციულ ორგანო §§130, 136, 143, 204, 525, 965 და შემდ., 978-983, 1035, 1802, 2002 და შემდ., 2194
ადმინისტრაციული ორგანოსაგან დანიშნული მზრუნველი §§1897, 1908ბ, 1908ზ, 1908ი
ავადმყოფობა §§617, 1429, 1786
ავანსის გადახდის აკრძალვა ტაიმშერის ხელშეკრულებების შემთხვევაში §486
აკრძალვა §§134, 226, 309, 817, 819, 1769, 2171, 2263
აკრძალული თვითნებობა §§858, 859-864, 992, 2025
ალტერნატიული ვალდებულება §§262-265
ამონაგები თანხა §§383, 753, 966, 975, 1219, 1247
ამხანაგობა §§705-740
ამხანაგობის გაუქმება მიზნის მიღწევისა თუ მისი მიუღწევლობის გამო §726
ამხანაგობის ქონების განაწილება §730
ანაზღაურება/კომპენსაცია §§127ა, 256 და შემდ., 302, 459 და შემდ., 536ა, 539, 548, 606, 670, 683, 693, 850, 1049, 1467, 1648
ანგარიშგების მოვალეობა §§259, 666, 681, 713, 740, 1214, 1840 და შემდ., 1890, 1978
ანდერძი §§2064-2273
ანდერძის აღმსრულებელი §§2197-2228
ანდერძის შედგენის უუნარობა §2229
არათანმყოფი პირი §§121, 130, 147
არაკეთილსინდისიერება §§932, 990 და შემდ., 1007, 1207 და შემდ., 2024 და შემდ.
არაპირდაპირი მფლობელობა §§868 და შემდ., 930, 933, 936, 986, 991, 1006, 1205
არაუფლებამოსილი პირი §§135 და შემდ., 161, 185, 816, 892 და შემდ., 932
არაუფლებაუნარიანი კავშირი §54
არაქონებრივი ზიანი §§253, 825, 847
არჩევის უფლება §§215 და შემდ., 262, 265
არცოდნა §§122, 132, 166, 372, 407, 1980, 2073, 2140, 2313
ასლი §§79, 1563
აუქციონი §§156, 312დ, 383-386, 445
აუცილებელი მოგერიება §227
აქცეპტი/ოფერტის მიღება §§146-150
აღნაგობა §§1012-1017
აღნაგობის ან სერვიტუტის დარღვევა §916
აშკარა უსამართლობა §1381

ბ

ბავშვი/შვილი §§104, 207, 470, 828 და შემდ., 1371, 1444, 1466, 1483 და შემდ., 1511 და შემდ., 1601 და შემდ., 1606, 1610, 1612ა, 1615ა-1615ნ, 1616-1625, 1629ა, 1630, 1631ა, 1631ბ, 1632, 1644, 1666, 1666ა, 1682, 1684 და შემდ., 1688, 1696, 1741-1772, 1773 და შემდ., 1791გ, 2068
ბავშვის მიერ გაწეული მომსახურება საოჯახო მეურნეობასა და სამეწარმეო საქმიანობაში §1619
ბავშვის პირადული ხასიათის გარემოებების შესახებ ინფორმაცია §1686
ბაზისური საპროცენტო განაკვეთი §247
ბათილი გარიგების დადასტურება §141
ბათილობა §§105, 116 და შემდ., 122, 125, 134, 138 და შემდ., 140, 311ა, 311ბ, 639, 723, 749, 1136, 1229, 2263, 2270, 2298
ბე §§336 და შემდ.
ბეს ჩათვლა გადასახადის ანგარიშში §337
ბლოკირების აღნიშვნა §§1809, 2118
ბრალი §§254, 276, 278, 309, 425, 540, 664, 691, 831, 927, 1243, 1611

გ

გადადების პირობა §§308, 2074
გადაკეთება §§346, 950, 1037, 2172
გადამუშავება §§346, 950, 2172
გადასახდელები/გადახდები/გადახდა §§244 და შემდ., 436, 504, 1200 და შემდ., 2379
გადახდის ადგილი §§270, 1119, 1194
გადახდის აკრძალვა §§799, 802

გადახდის გადავადება §499
გათავისუფლებული მეურვეობა §1852-1857°
გაკოტრება/გაკოტრების საქმის წარმოება §§42, 74 და შემდ., 89, 197, 201, 204, 377, 401, 418, 450, 471, 728, 736, 773, 883, 1975 და შემდ., 1988 და შემდ.
გაკოტრების მმართველი §§161, 184, 458, 1098
„გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ“ კანონი §1984
გამდიდრება §§346, 516, 628, 682, 684, 812-822, 951, 977, 993, 2021, 2196, 2329, 2387
გამოსყიდვა §§456-462
გამოქვეყნება §§50, 66, 171, 176, 383, 657, 980 და შემდ., 1237, 1562, 2061
გამოყოფილი ქონება §§1418, 1440, 1461, 1467
გამოწვევითი წარმოება §2015 და შემდ., 2045
გამქირავებელი §§535 და შემდ., 543, 546ა, 547, 552, 553, 554ა, 562-562დ, 566ე, 569, 571, 573
განადგურება §§292, 346, 446, 457, 460, 644 და შემდ., 848, 989, 2023, 2375
განვადებით გადახდის პირობით დადებული გარიგებები §§501-504
განზრახვა §§276, 300, 521, 529, 618, 680, 826, 839, 968
განკარგვა §§25, 137, 161, 214, 235, 332, 458, 719, 747, 883, 1124, 1422, 1423, 1427 და შემდ., 1450, 1937, 2033, 2140, 2229, 2231, 2299
განკარგვის აკრძალვა §137
განკარგვის კანონისმიერი აკრძალვა §135
განკარგვის უფლება §§1984, 2205, 2208, 2286
განკარგვის უფლების შეზღუდვა გარიგებით §1136
განკარგვის შეზღუდვები §§135 და შემდ., 168, 878, 892 და შემდ., 899, 1984, 2211 და შემდ.
განკარგულების მიღება §784
განმარტება §§133, 157, 311გ
განმარტების წესი ვალდებულების შესრულების კისრებისას §329
განმეორებითი ქორწინება §1493
განსაზღვრულ ფულად ნიშნებში შესასრულებელი ვალდებულება §245
განსჯადობა §§44, 1558, 1807
განქორწინება §§1564 და შემდ.
განცალკევებულად ცხოვრება §§1361, 1385, 1566, 1567
განცხადება §§116, 131 და შემდ., 143, 315, 318, 349, 353, 380, 388
განცხადება კავშირის სარეგისტრაციოდ §59
განძი §§984, 1040
გარანტია/უზრუნველყოფა §§365, 434, 435, 442, 443, 477, 523, და შემდ., 526, 536დ, 600, 633 და შემდ., 757, 2376, 2385
გარდაცვალება §§130, 153, 331, 530, 532, 563-564, 594დ, 672, 673, 727, 736, 750, 768, 794, 1061, 1301, 1371, 1472, 1482, 1490, 1494, 1586ბ, 1615, 1677, 1680, 1698ბ, 1753, 1799, 1884, 1894, 1921, 1922, 1998, 2106, 2225, 2290, 2297
გარდაცვლილად აღიარება §§1319 და შემდ., 1677, 1681, 1921, 1974, 1884, 2031, 2370
გარიგება §§104-185, 305-310
გარიგებით დადგენილი განკარგვის აკრძალვა §137
გარიგების კონვერსია §140
გარიგების საფუძველზე დადგენილი ვალდებულებები §311
გარიგების საფუძვლის დარღვევა §313
გასამრჯელო/საზღაური §§611 და შემდ., 614-616, 631 და შემდ., 641, 655გ, 689, 699, 951
გასხვისება §§311გ, 566, 567ა, 593ბ, 932-935, 936, 1136, 1243, 2288, 2375
გასხვისების აკრძალვა §§135 და შემდ., 888, 1136
გაუფრთხილებლობა §§276, 277, 287, 300, 521, 523 და შემდ., 529, 536ბ, 680, 823, 839, 1980
გაუქმების პირობა §2075
გაფრთხილება §§281, 286, 309, 323, 410, 1160 და შემდ.
გაფრთხილება აუქციონზე გაყიდვის თაობაზე §384
გაფრთხილება გაყიდვის შესახებ §1234
გაქვითვა §§387-396

გაყიდვა საკუთარი შეხედულებით §385
გაყოფა §§752 და შემდ., 890, 1010, 1025 და შემდ., 1108 და შემდ., 1151, 1476 და შემდ., 1480 და შემდ., 1503, 2048 და შემდ., 2306, 2376
გაყოფილი ქონების რეჟიმი §§1388, 1414, 1449, 1470
გაცვლა §480
გენეტიკური კვლევა §§194, 1598ა
გერმანიის კომუნალური ბანკი §§1082, 1814, 2116
გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთები §§91, 700, 706, 783
გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულება §§243, 300, 524, 2155, 2182 და შემდ.
გირავნობის კრედიტორი §§868, 1205, 1208, 1210 და შემდ., 1217, 1233, 1971
გირავნობის საგანი §§1210, 1212 და შემდ., 1221, 1222, 1223, 1230, 1233, 1253, 1231
გირავნობის საგნის გაყიდვა/რეალიზაცია §§450, 1003, 1228 და შემდ., 1238 და შემდ., 1245, 1246
გირავნობის უფლება §§212, 216, 233, 418, 562-562დ, 583, 592, 647, 704, 1204-1259, 1273-1296
გირავნობის უფლების გაუქმება §1255
გირავნობის უფლების დაცვა §1227
გირავნობის უფლების თავიდან აცილება უზრუნველყოფის წარდგენით §562გ
გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა §§309, 312 და შემდ., 314

დ

დაბადება §§1, 187, 1963, 2043, 2101, 2106, 2141, 2178
დაბადების გვარი §§1355, 1616-1618
დაგირავება §§232, 1207, 1232, 1248
დადევნების უფლება §§962, 1005
დავალება §§662-676
დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება §§677-687
დავალების შემსრულებელი §831
დაზღვევა §§330, 1045 და შემდ., 1127 და შემდ.
დათქმა გამყიდველის მიერ საკუთრების უფლების შენარჩუნების შესახებ §449
დათქმა რიგითობის შესახებ §881
დაკარგული ნივთები §§794, 935, 1006 და შემდ.
დაკარგული ცნობიერება §§105, 827, 829
დაკრძალვის ხარჯები §1968
დამალვა ბოროტი განზრახვით §§523, 438, 444, 536დ, 600, 639, 2183
დამატებითი გასამრჯელო §655დ
დამატებითი ვალდებულებების შესრულება §§217, 466, 1158 და შემდ.
დამოკიდებული მდგომარეობა §825
დამოუკიდებელი მტკიცების პროცესი §204
დამოწმება §§81, 126, 127ა, 128 და შემდ., 152, 154, 311ბ, 403, 448, 518, 873, 1410, 1492, 2033, 2276, 2282, 2291, 2296, 2348, 2351 და შემდ., 2371
დამქირავებელი (დამსაქმებელი) §§612ა, 613ა, 622, 626
დანახარჯებზე პროცენტის დარიცხვა §256
დარჩენილი ქონება §§734, 1378, 1476, 1973, 2047
დასაქმებული §§576 და შემდ., 613ა, 618, 619ა, 622, 626
დაქირავებული პირებისათვის განკუთვნილი გაქირავებული საცხოვრებელი ფართები §§576-576ბ
დაქორწინება §§1307, 1310 და შემდ., 1493
დაქორწინებაუნარიანობა §1303
დაქორწინების აკრძალვები §§1306-1308
დაქორწინების მიზნით შუამავლობის ხელშეკრულება §656
დელიქტები §§823-853
დელიქტუნარიანობა §§827 და შემდ.
დელიქტში თანამონაწილეები §§830, 840
დეპონირება §§372-386
დიდი უმადურობა/უმადურობა §530
დისტანციური ხელშეკრულებები §312ბ-312ზ
დოკუმენტები §§126 და შემდ., 197, 372, 402 და შემდ., 410, 807, 810, 925ა, 952, 1150, 1791, 2339
დროებითი აკრძალვა §§204, 885, 899, 1990, 2016
დროებითი განკარგულება §204

ე

ეკონომიკური ერთიანობა §358
ელექტრონული ფორმა §§126, 126ა, 127
ერთდროული თანდასწრება §2276
ერთობლივი ანდერძი §§2265-2273, 2292
ერთობლივი სახელშეკრულებო ვალდებულება §427
ერთჯერადი კომპენსაცია, ვალების დაფარვა §§330, 843, 1501, 1503, 1585
ექსპერტი §§585ბ, 839ა, 1034, 1067, 1377, 2122
ექსპლუატაცია §§836, 838, 922, 1041

ვ

ვადები §§121, 124, 148, 186, 186-193, 197, 250, 308, 350, 355, 415, 455, 462, 469, 516, 558, 558ბ, 559ბ, 573გ, 573დ, 575ა, 576, 1385, 1748, 1829, 1943 და შემდ., 1954, 2082 და შემდ., 2283, 2306, 2340
ვადის გადაცილება §§264, 274, 286-288, 293-304, 322, 326, 339, 372, 383 და შემდ., 424, 425, 429, 446, 522, 536ა, 543, 615, 642 და შემდ., 990, 1613, 2024
ვადის განსაზღვრა §163
ვალდებულებების ერთდროულად შესრულება §§274, 322, 348
ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა §§241-853
ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის აღიარება §812
ვალდებულების დაკისრება §1940
ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება §§266, 281, 311ა, 320, 323, 326, 389, 420, 427, 497, 1145
ვალდებულების საწინააღმდეგოდ მოქმედება §339
ვალდებულების შესრულება §§193, 216, 241, 242, 265, 266, 267 და შემდ., 271 და შემდ., 275, 280-283, 298, 299, 308 და შემდ., 311ა, 315, 317 და შემდ., 322, 326, 328-335, 362, 363 და შემდ., 370, 420, 421 და შემდ., 422, 427, 787 და შემდ., 797, 893, 1075, 1275, 1813, 2039, 2169, 2367
ვალდებულების შესრულება კრედიტორის ადგილსამყოფელის მიხედვით §270
ვალდებულების შესრულებაზე უარის უფლება §§175, 205, 215, 273 და შემდ., 556ბ, 772 და შემდ., 972, 1000, 2022
ვალდებულების შესრულების ადგილი §§269, 374, 383, 391, 447 და შემდ., 697, 700, 811, 1194
ვალდებულების შესრულების ანგარიშში ჩათვლა §§366, 367
ვალდებულების შესრულების განსაზღვრა ერთი მხარის მიერ §315
ვალდებულების შესრულების განსაზღვრა მესამე პირის მიერ §§317 და შემდ.
ვალდებულების შესრულების ვადა §§271, 299
ვალდებულების შესრულების შეპირება მესამე პირის სასარგებლოდ §§328-335
ვალდებულების შეუსრულებლობა §§338, 340 და შემდ., 1381, 1386
ვალდებულების შეწყვეტის აღიარება §371
ვალდებულების შინაარსი §§241-304
ვალდებული პირის წინასწარი რეგისტრაცია §895
ვალები §§733 და შემდ., 1437, 1468, 1475
ვალების დაფარვა, ერთჯერადი კომპენსაცია §§330, 843, 1501, 1503, 1585
ვალის არარსებობა §§812 და შემდ.
ვალის არარსებობის აღიარება §397
ვალის აღიარება §§518, 656, 781 და შემდ., 2301
ვალის გადაკისრება §§414-419, 426
ვალის პატიება §§397, 423
ვალის შეპირება §§518, 762, 780, 782, 2301
ვალუტა §244

ზ

ზედავალიანება §§42, 86, 89, 1447 და შემდ., 1980, 1990 და შემდ., 2338
ზიანის ანაზღაურება §§249 და შემდ., 280-283, 285, 325, 338, 340 და შემდ., 437, 440, 447, 546ა, 636, 642, 652, 823, 839ა, 852, 1059გ
ზიანის ანაზღაურების ვალდებულება §§31, 42, 122, 160, 179, 228, 231, 249-255, 280 და შემდ., 288 და შემდ., 292, 311ა, 347, 374, 391, 457, 523 და შემდ., 536ა, 548, 601, 606, 671, 678, 694, 701-703, 723,

823 და შემდ., 839, 841, 842 და შემდ., 848, 904, 1243, 1298, 1613, 1615, 1833, 2138
ზიანის მიყენება §§228 და შემდ, 718, 798, 818, 1042, 2164, 2288, 2374
ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ განზრახ ზიანის მიყენება §826
ზნეობრივი მოვალეობა §§814, 1804, 2113
ზნეობრივი ნორმები §§138, 817, 819, 826
ზრუნვა ქონებაზე §§1626, 1629ა, 1638 და შემდ., 1648, 1666 და შემდ., 1667, 1698
ზრუნვისა და ზედამხედველობის მოვალეობათა განხორციელება §§1837-1847
ზღვაში შედგენილი ანდერძი §2251
ზღვრული თანხები §§702 და შემდ.
ზღვრული თანხის იპოთეკა §1190

თ

თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა §249
თავდაპირველი მემკვიდრეები §§2105 და შემდ., 2111, 2112 და შემდ., 2120, 2124 და შემდ., 2138, 2363
თავდების თავდებობისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება §775
თავდებობა §§232, 239, 273, 401, 418, 765-778, 1137, 1211, 1251, 1822
თავის თავთან დადებული გარიგება §181
თავისუფლება §§823, 845 და შემდ.
თამაშობა §§762 და შემდ.
თანაბრალეულობა §§254, 846
თანათავდები §§744, 769, 776
თანამემკვიდრე §§1922, 2032-2063, 2094 და შემდ., 2204, 2319 და შემდ.
თანამეურვე §§1791ა, 1797 და შემდ., 1810, 1833, 1894
თანამფლობელობა §§866, 1081, 1206
თანაცხოვრების პარტნიორი §§563, 1586, 1608, 1685, 1938, 2292
თანმყოფი პირი §147
თანხების განთავსება §1079
თანხმობა §§107, 111, 113, 182 და შემდ., 267, 558, 558ბ, 574, 574ა, 574გ, 576ა, 593, 876, 880, 1423 და შემდ., 1456, 1746 და შემდ., 1365 და შემდ., 1424 და შემდ., 1598ა, 2206, 2275
თანხმობა რეგისტრაციის განხორციელებაზე §§873 და შემდ., 885, 899, 1115
თევზები §960
თვითდახმარება §§229 და შემდ., 562ბ, 859 და შემდ.
თმენა §§554, 912
თხოვება §§598-606

ი

ინტერესი §§122, 179, 343, 679, 810, 1081, 2010, 2146, 2228, 2384
ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება §§260, 402, 666, 681, 713, 740, 799, 1386, 1379, 1580, 1605, 1799, 1839, 1891, 2011, 2012, 2028, 2027, 2127, 2314, 2362
იპოთეკა §§1113-1190
იპოთეკაზე უარი §1165
იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალის კისრება §416
იპოთეკის აქცესორულობა §1153
იპოთეკის გადასვლა საერთო იპოთეკიდან მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში §1182
იპოთეკის გაუქმება §1165
იპოთეკის გაუქმება მიწის ნაკვეთზე გადახდევინების მიქცევის შედეგად §1181
იპოთეკის გაუქმების შესახებ წინასწარი ჩანაწერი §1179
იპოთეკის სერტიფიკატის განადგურება §1162
იურიდიული მზრუნველობა §§1896-1908ი
იურიდიული პირები §§21-89, 1059ა და შემდ., 1061, 1092, 1098, 2044, 2101, 2105 და შემდ., 2163
იძულება §§123 და შემდ., 318, 1954, 2078, 2283, 2339
იძულებითი აუქციონი §§450 და შემდ., 753, 882, 1166
იძულებითი აღსრულება §§135 და შემდ., 161, 184, 264, 268, 274, 322, 450, 458, 772, 1147, 1277, 1455, 1984, 1990, 2016, 2115, 2213

იძულებითი მართვა §§1052, 1054, 1197
იჯარა §§581-597

კ

კავშირები §§21-54
კავშირების რეესტრის გაცნობა §79
კავშირის ქონების გადაცემა §§45, 47
კავშირის წევრთა საერთო კრება §32
კავშირისაგან დანიშნული მზრუნველი §1897
კანონი §§268, 344, 408, 412, 1143, 1225, 1249, 1251
კანონიერი წარმომადგენელი §§8, 107 და შემდ., 131, 278, 1626, 1629, 1793, 2229, 2275, 2282
კანონით დადგენილი აკრძალვა §§134, 309, 819, 2171
კანონით მემკვიდრეები §§2066, 2104 და შემდ.
კანონით მემკვიდრეობა §§1924-1936
კანონისა თუ ზნეობის ნორმების დარღვევა §817
კანონისმიერი ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი §§1412, 1414
კეთილსინდისიერება §§720, 851, 926, 932, 933, 934, 937, 945, 955, 957, 990 და შემდ., 1007, 1058, 1207 და შემდ., 1244, 1698ა, 2024 და შემდ.
კეთილსინდისიერების პრინციპი §§157, 162, 242, 320, 815
კომპენსაცია/ანაზღაურება §§127ა, 256 და შემდ., 302, 459 და შემდ., 536ა, 539, 548, 606, 670, 683, 693, 850, 1049, 1467, 1648
კრედიტის გაცემის დავალება §778
კრედიტორი §§52, 241-292, 326, 420 და შემდ., 725, 799, 1086 და შემდ., 1437, 2214

ლ

ლანდის კანონები §§907, 919
ლატარიისა და გათამაშების ხელშეკრულებები §763
ლიკვიდაცია §§47 და შემდ.

მ

მაკლერი §§652-655
მამა §§1592, 1776 და შემდ., 1852, 1925
მამკვიდრებელი §§1922 და შემდ., 1944, 1954, 1968, 2045, 2057ა, 2247, 2253 და შემდ., 2263, 2274, 2316
მამობა §§1592, 1593, 1594, 1595, 1596, 1597, 1598, 1599, 1600, 1600ა, 1600ბ, 1600დ
მართვა §§86, 259, 744 და შემდ., 1052, 1054, 1070, 1417, 1418, 1421 და შემდ., 1435, 1445, 1447, 1451, 1458, 1472, 1638, 1640, 1802 და შემდ., 1978 და შემდ., 1984 და შემდ., 2038 და შემდ., 2130, 2205, 2206 და შემდ., 2216
მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა §227
მემკვიდრე §§81, 83, 470, 594დ, 673, 857, 1472, 1483 და შემდ., 1922 და შემდ., 1942-1960, 1963, 1964, 1966, 1973 და შემდ., 1989 და შემდ., 1991, 1993 და შემდ., 2003, 2005, 2006, 2012, 2014 და შემდ., 2018-2031, 2096-2099, 2192-2196, 2214, 2328, 2339-2345
მემკვიდრე ხელშეკრულებით §1941
მემკვიდრეობაზე უარი §§2310, 2316, 2346-2352
მემკვიდრეობის მიღების უნარი §§1923, 2108
მემკვიდრეობის მიღების წესი §§593ა, 1922-1941, 1938, 2088
მემკვიდრეობის სამართალი §§1922-2385
მემკვიდრეობის შესახებ ხელშეკრულება §§1941, 1948, 1951, 2229, 2274-2302
მემკვიდრის დანიშვნა §§1937, 1941, 1951, 2087-2099, 2269 და შემდ., 2278 და შემდ., 2304, 2352
მესაკუთრე §§900, 903 და შემდ., 962, 985, 1004, 1005, 1142, 1051, 1137, 1239
მესაკუთრის იპოთეკა §§1143, 1163, 1168 და შემდ., 1172 და შემდ., 1182
მესაკუთრის მიწის ვალი §§1177, 1196 და შემდ.
მესამე პირთა ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნის უფლებები მკვლელობის შემთხვევაში §844
მესამე პირი §§267 და შემდ., 317 და შემდ., 328 და შემდ., 332, 822, 844, 936, 945, 949, 2065, 2151 და შემდ., 2193, 2198, 2076, 2285

მესამე პირის მიერ კრედიტორის დაკმაყოფილების უფლება §§268, 1142, 1150, 1199, 1249
მესამე პირის მიერ ნივთით სარგებლობის დაშვება §553
მესამე პირისათვის სარგებლობის უფლების მინიჭება §540
მეურვეობა §§1773-1895
მეურვის გათავისუფლება დაკისრებული მოვალეობისაგან §1790
მეუღლე §§207, 563, 1353, 1355, 1357, 1359, 1360, 1361, 1363 და შემდ., 1368, 1385, 1390, 1411, 1417, 1418, 1435, 1567, 1570, 1571, 1576, 1580, 1581, 1582, 1584, 1585, 1590, 1604, 1608, 1609, 1778, 1931-1934, 1938, 2008, 2077, 2265 და შემდ., 2275, 2276, 2279 და შემდ., 2290, 2292, 2303, 2346 და შემდ.
მეუღლეთა მიერ საერთო ქონების ერთობლივი მართვა §§1450 და შემდ.
მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება §§1371, 1372 და შემდ., 1384, 1385 და შემდ.
მეუღლეთა პირადი ქონება §§1417, 1440, 1442, 1461, 1464, 1467, 1486
მეუღლეთა საერთო ქონება §§1416, 1417, 1418, 1419, 1420, 1421, 1423 და შემდ., 1427 და შემდ., 1437, 1438 და შემდ., 1446, 1447, და შემდ., 1450 და შემდ., 1454, 1455, 1457, 1458, 1462, 1465, 1467, 1468, 1471 და შემდ., 1480 და შემდ., 1497 და შემდ., 1604, 2008, 2054, 2331
მეუღლეთა საერთო ქონებას მიკუთვნებული ვალდებულებები §§1437, 1441 და შემდ., 1459 და შემდ., 1463, 1475, 1488, 1499
მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმი §§1415-1518
მეუღლეთა საერთო ქონების რეჟიმის შეწყვეტის შესახებ სარჩელი §§1447 და შემდ.
მეუღლეთა საცხოვრებელი სახლი §1568ა
მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი §§1363-1563
მეუღლის სასარგებლოდ სამკვიდროდან გამოყოფილი ქონებრივი წილი §§1932 და შემდ., 2311
მზრუნველი §§1411, 1484, 1835 და შემდ., 1896, 1897, 1899, 1900, 1901, 1901ა, 1901ბ, 1901გ, 1902, 1903, 1904
მზრუნველობა §§1495, 1469, 1896, 1898, 1899, 1900, 1901, 1901დ
მზრუნველობის საქმეთა სასამართლო §§1491, 1492, 1921, 1896, 1901გ, 1904, 1906, 1907, 1908, 1915, 2347
მზღვეველი §§1128, 1130
მიბარება (შენახვა) §§688-700
მინდობილობა §§166-176, 312 და შემდ., 710 და შემდ., 1596, 1945
მისაკუთრება §§928, 954, 958-964
მიუღებელი შემოსავალი §252
მიღებასავალდებულო გარიგება §§107, 180, 182, 263, 388
მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა §§130, 132, 145
მიწის ვალი §§1191-1198
მიწის ნაკვეთზე უფლების გაუქმება §875
მიწის ნაკვეთი §§94 და შემდ., 859, 867, 873-902, 905-924, 1043 და შემდ., 1009, 1090, 1123
მიწის სერვიტუტები §§1018-1029
მკვლელობა §§530, 823, 833, 836 და შემდ., 844 და შემდ., 2339
მმართველი პარტნიორი §169
მოგება §§252, 661ა, 721 და შემდ., 740
მოვალე §§262 და შემდ., 266, 275, 276, 292, 380, 420 და შემდ., 720, 1075
მოვალეობების უხეში დარღვევა §§27, 712, 715
მოვალის პასუხისმგებლობა §276
მოთხოვნა §§232, 236, 238, 268, 387-396, 398-413, 411, 426, 754, 756, 1070, 1074 და შემდ., 1077 და შემდ., 1153 და შემდ., 1180, 1279 და შემდ., 1807, 1812, 2111, 2173, 2175
მოთხოვნების შესახებ განცხადების გაკეთება §§1970 და შემდ.
მოთხოვნის გადასვლა §§774, 1143, 1225, 1249, 1251, 1607
მოთხოვნის დათმობა §§398 და შემდ.
მოთხოვნის დაკმაყოფილება პირადი მოვალის მიერ §1174
მოთხოვნის უფლება §§179, 194, 197, 214,

285, 437, 888, 898, 924, 985-1007, 1011, 1958, 1961, 1973 და შემდ., 1984
მომსახურების (შრომითი) ხელშეკრულება §§309, 611-630, 655, 1822
მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილი პირი §§615 და შემდ., 619
მომხმარებელი §§312ა, 474, 475, 495
მომხმარებლის დაცვა §§312ზ, 355-358, 506
მონაწილის გასვლა/გარიცხვა ამხანაგობიდან §§736 და შემდ.
მონაწილის კონტროლის უფლება §716
მორალური ვალდებულების შესაბამისი ნაჩუქრობები და ნაჩუქრობები ზრდილობისათვის §§534, 814, 1375, 1425, 1641, 1804, 2287, 2325, 2330
მორიგება §§127ა, 197, 779, 782, 1822
მოტყუება §§123 და შემდ., 318, 2339, 2385
მოჩვენებითი გარიგება §§117, 405
მოძრავ ნივთზე დადგენილი უზუფრუქტის გარიგებით გაუქმება §1064
მოძრავი ნივთები §§232, 235, 237, 440, 449, 578 და შემდ., 647, 929 და შემდ., 937 და შემდ., 946 და შემდ., 953 და შემდ., 958 და შემდ., 1006, 1032 და შემდ., 1204-1258
მოწონება §§108 და შემდ., 184, 451, 684, 1001 და შემდ., 1366, 1643, 1803, 2347
მოხმარებადი ნივთები §§92, 700, 706, 1067, 1075, 1084, 1085, 1087, 2325
მპყრობელი §§855, 860
მრავალჯერადი მოთხოვნის დათმობა §408
მსუბუქი ნივთიერებების შეღწევა §906
მტკიცების ტვირთი §§283, 309, 345, 355-358, 363, 543, 619ა, 2336
მუნიციპალიტეტი §§395, 976, 979, 981
მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე §2249
მფლობელი §§268, 836 და შემდ., 851, 867, 929, 986, 989 და შემდ., 994 და შემდ., 999 და შემდ., 1000, 1003, 1007, 1155
მფლობელი თავისთვის §§872, 940 და შემდ.
მფლობელის მოთხოვნების დაკმაყოფილების უფლება §1003
მფლობელისათვის ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება §§994-1003
მფლობელობა §§303, 854-872, 959, 990, 1004, 1006, 1007, 1029, 1036 და შემდ., 1090, 1205, 1422, 2025, 2169, 2259
მფლობელობა თავისთვის §§872, 900, 927, 937 და შემდ., 955
მფლობელობითი სარჩელი §§861 და შემდ.
მფლობელობის დაკარგვა §§42, 73, 721 და შემდ., 735, 736 და შემდ., 856
მფლობელობის დაცვა §§1007, 1029
მფლობელობის მიტოვება §§303, 856, 959
მფლობელობის შეძენა §854
მყიდველი §§433, 437-441, 442, 448, 450 და შემდ., 1100
მყიდველის უფლებები ნაკლის არსებობისას §437
მშობლების ქონებიდან გამოყოფილი აქტივი §1624
მშობლის ზრუნვა §§1495, 1626-1698ბ, 1716, 1777, 2290, 2347
მძიმე მდგომარეობა §§528 და შემდ., 1603 და შემდ., 1611

ნ

ნაგებობები §§907, 1020 და შემდ., 1028, 1037
ნათესავები §§1601-1615, 1755, 1779, 1795, 1847, 1924 და შემდ., 1934, 1938, 2067, 2346 და შემდ.
ნათესაობა §§1589-1772
ნაკისრი ვალდებულების ნაცვლად შესრულებად სხვა შესრულების მიღება §364
ნაკლის გამო ხელშეკრულებით დამქირავებლის უფლებების გამორიცხვა §536დ
ნაპოვარი §§965 და შემდ., 973 და შემდ.
ნარდობის ხელშეკრულება §§631-651
ნასყიდობა §§433-479
ნაყიდი ნივთის მიღება §§433, 448
ნაყოფი §§99, 101, 102, 217, 596ა, 743, 911, 923 და შემდ., 953-957, 993, 998, 1039, 1120 და შემდ., 2020, 2038, 2133, 2184
ნაყოფის განაწილება §101
ნაწილები §§865, 1023
ნაწილ-ნაწილ გადასახდელი სესხის ხელშეკრულება §498
ნაწილობრივი ბათილობა §139

ნაწილობრივი გადახდა, საავანსო გადახდა §§212, 632ა
ნაწილობრივი იპოთეკა §§1145, 1151 და შემდ.
ნაწილობრივი მფლობელობა §865
ნების გამოვლენა §§116-144
ნების ნაკლი §§116-124
ნეგატიური სახელშეკრულებო ინტერესი §§122, 179
ნეგატორული სარჩელი §1004
ნივთები §§90-103, 243, 474, 701-704, 809 და შემდ., 953-957, 1030-1067
ნივთების დაკარგვა §§799, 935, 1006
ნივთების ერთობლიობა §§92, 1035
ნივთების მოცილება §562ბ
ნივთების სესხის ხელშეკრულება §§607-609
ნივთების შეტანა სასტუმროში §§701-704
ნივთიერებების შეღწევა §906
ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილები §§93 და შემდ., 946 და შემდ.
ნივთის თან წაღების უფლება §§258, 539
ნივთის თვისებებისა და სამსახურის გარანტია §443
ნივთის მოწონება §454
ნივთის უკან დაბრუნების ვალდებულება §§175, 357, 371, 546, 546ა, 596 და შემდ., 604, 695, 1055, 1223, 1253 და შემდ., 1278
ნივთობრივი ნაკლი §§309, 433 და შემდ., 524, 633, 1624, 2183
ნიშნობა §§1297-1302
ნოტარიუსი §§129, 925, 1035, 1750, 2002 და შემდ., 2121, 2215, 2231 და შემდ., 2276, 2314, 2356 და შემდ.

ო

ოვერდრაფტი §493
ორდერი §§783-792
ორმხრივი ხელშეკრულება §§320-326
ოფერტი §§128, 146, 147 და შემდ., 153, 873, 1115, 1139, 1157, 1168, 1189, 1672, 1712, 1768, 1980, 2062
ოქროსა და ვერცხლის ნივთები §1240
ოჯახის წევრები §§563, 573, 577, 1969

პ

პასუხისმგებლობა §§31, 31ა, 42, 53, 54, 89, 179, 276 და შემდ., 278, 287, 300, 435 და შემდ., 457, 521, 523, 536, 586, 599, 613ა, 618, 619ა, 675 და შემდ., 677-680, 690 და შემდ., 701-703, 708, 736, 778, 818 და შემდ., 823-853, 836 და შემდ., 839, 841, 968, 987-993, 1088, 1108, 1118, 1210, 1251, 1359, 1438 და შემდ., 1459 და შემდ., 1489, 1504, 1584, 1586ა, 1586ბ, 1606, 1629ა, 1664, 1787, 1833, 1967-2017, 2029, 2032 და შემდ., 2036 და შემდ., 2058 და შემდ., 2063, 2131, 2144, 2145, 2182 და შემდ., 2188 და შემდ., 2206, 2376
პასუხისმგებლობა იმ პირისა, ვისაც ევალება ზედამხედველობის განხორციელება §832
პასუხისმგებლობა ცხოველის მფლობელისა §833
პასუხისმგებლობის შეზღუდვა §§276, 1629ა
პატრონაჟი §§1712-1717
პერიოდული გადახდები §§197, 216, 520, 902, 1088, 1105 და შემდ., 1126, 1822, 1907
პირადი მოვალე §§1142 და შემდ., 1161, 1164 და შემდ., 1174
პირი §§1-12, 21-89, 229 და შემდ., 249
პირობა §§158-163, 308, 388, 449, 454, 652, 925, 1947, 2066, 2070, 2074 და შემდ., 2108, 2162, 2177, 2179, 2180, 2202, 2313
პირობითი მოთხოვნები §§1113, 1204, 1209
პიროვნებაზე ზრუნვა §§1626, 1630, 1631, 1632, 1633, 1648, 1666ა, 1800
პროკურა §1822
პროტესტი §§574, 576ა, 594დ, 613ა, 711, 899, 912, 927, 1139, 1140, 1160
პროცენტები §§101, 212, 216, 248, 256, 288 და შემდ., 291, 301, 358, 367, 379, 396, 488, 641, 668, 675, 698, 820, 849, 1047, 1076 და შემდ., 1107, 1115, 1118 და შემდ., 1145, 1158 და შემდ., 1178, 1191 და შემდ., 1210, 1289, 1382, 1806, 1834, 2379
პროცენტიანი კუპონები §§234, 799, 801, 803 და შემდ., 1081, 1083, 1296, 1814, 1818

რ

რაიონული სასამართლო §§21, 29, 37, 55, 60, 66, 69, 72, 78, 132, 176, 1141, 1558

რამდენიმე მემკვიდრე §§1952, 2032 და შემდ., 2058

რეალური შეთავაზება §294

რეგისტრაცია §§21, 55 და შემდ., 59, 64, 67 და შემდ., 74, 311ბ, 448, 873, 879-882, 885, 891-894, 899, 914, 928, 1154, 1168, 1189, 1558 და შემდ., 1562

რეგისტრირებული კავშირები §§55-79

რეკომენდაცია §675

რთული პროცენტები §§248, 289

რიგითობა §§914, 1060, 1151, 1232, 1582, 1584, 1609

რიგითობის შეცვლა §880

რჩენა §§519, 528, 685, 829, 1360ა, 1361, 1420, 1569 და შემდ., 1571, 1572, 1576, 1578, 1581 და შემდ., 1585 და შემდ., 1603, 1608, 1610, 1610ა, 1611, 1612, 1612ა, 1612ბ, 1612გ, 1613, 1615ა-1615ნ, 1649, 1666

რჩენის მოვალეობა/რჩენის ვალდებულება §§333 და შემდ., 519, 528, 679, 844, 846, 1360 და შემდ., 1584, 1585ა, 1586ბ, 1601-1615, 1751, 2295

რჩენის მოთხოვნის უფლება §§204, 1361, 1573, 1578ა, 1578ბ, 1579, 1582, 1586 და შემდ., 1610, 1629, 1712, 1963, 1969, 2141

რჩენის მოთხოვნის უფლებაზე უარი §1614

ს

საადგილმამულო რეესტრი §§311ბ, 416, 883-888, 891, 892 და შემდ., 894-899, 1010, 1138 და შემდ., 1144, 1155, 1157, 1167, 1416

საადგილმამულო რეესტრის სამსახური §§873, 875 და შემდ., 878

საადგილმამულო რეესტრის საჯარო ნდობა §892

საადგილმამულო რეესტრის ჩანაწერის შესწორება §§894-899, 1144 და შემდ., 1167, 1416

საავანსო გადახდა, ნაწილობრივი გადახდა §§212, 632ა

საანდერძო განკარგულება §§332, 1777, 1782, 1856, 1937, 2064-2273, 2077, 2078 და შემდ., 2080, 2081, 2082, 2085, 2086, 2203 და შემდ., 2253 და შემდ., 2268, 2278, 2279, 2284, 2289, 2336

საანდერძო დანაკისრი §§2147-2191

საანდერძო დანაკისრით ვალდებული რამდენიმე პირი §2148

საანდერძო დანაკისრის მიმღები პირები შერჩევით §2152

საანდერძო დანაკისრის შესრულების ვადის დადგომა საკუთარი შეხედულებით §2181

სააღსრულებო მოქმედება §212

საბაზრო ფასი §§385, 1221, 1235, 1295

საბარათე იპოთეკა §§1116 და შემდ., 1117, 1154, 1160, 1163

საბოლოო ვადა §163

საბოლოო ქონება §§1373 და შემდ.

საბრუნავი იპოთეკა §§1113-1183

საგარანტიო იპოთეკა §§238, 648, 1184-1190, 1287, 2166

საგარანტიო მიწის ვალი §1192

საგნები §§90, 260

საგუბრები §960

საერთო მიწის ვალი §2168

საერთო საანდერძო დანაკისრი §§2157 და შემდ.

საერთო საკუთრება §§947 და შემდ., 1008-1011, 1066, 1095, 1106, 1114, 1258, 2172

საექსპლუატაციო ხარჯები §§556, 556ა, 560

სავალდებულო წილი §§2303-2338

სავალო დოკუმენტი §§371, 952

საზედამხედველო-სამეურვეო მოვალეობის განმახორციელებელი მეურვე §§1791ა, 1792, 1799, 1802, 1809 და შემდ., 1810დ შემდ., 1812, 1824, 1826, 1832, 1833, 1835, 1836, 1837, 1839, 1842, 1852, 1854, 1891, 1894, 1895, 1915

საზიარო უფლება §§741-758

საზიარო უფლების გაუქმება §§749 და შემდ., 1010, 1066, 1258

საზღვაო ხომალდები §§303, 383, 452, 468, 578ა, 648, 932ა, 1287, 1821, 2113, 2135, 2168ა

საზღვაო ხომალდის ნასყიდობა §452
საზღვარზე მდგარი ხე §923
საზღვარი §§912, 919, 920
საზღვრის გადაცდენა შენობის აღმართვისას §§912-916
სათანადო დონეზე არსებობა §§519, 829
საინვენტარიზაციო აღწერის შედგენის ვადა §§1994-2000, 2003 და შემდ., 2011, 2012
საკრედიტო დაწესებულება §§248, 1115, 1807
საკუთარი ხელით დაწერილი ერთობლივი ანდერძი §2267
საკუთვნებელი §§97, 311გ, 457, 926, 1031, 1062, 1096, 1120 და შემდ., 1135, 2164
საკუთრების უფლება §§197, 311ბ, 823, 873 და შემდ., 900, 903-924, 925-928, 932-934, 937 და შემდ., 952, 953 და შემდ., 985-1007, 903-1011, 929-984, 1004, 1006, 1008-1011, 1229, 1244, 1248
საკუთრების უფლების გადაცემა §§700, 873, 566ე, 915, 999
საკუთრების უფლების მიტოვება მიწის ნაკვეთზე §928
საკუთრების უფლების პრეზუმფცია §§891, 1006, 1148, 1362
საკუთრების უფლების შეძენა §§926, 929 და შემდ., 973, 1039, 1242
სამართლებრივი საფუძველი §§812, 819, 821
სამართლებრივი ძალის არმქონე ვალდებულების შესრულების განსაზღვრა §319
სამართლებრივი ძალის არმქონე მამობის აღიარება §1598
სამართლიანი შეფასება §§660, 745, 1246, 2048, 2156
სამეზობლო სამართალი §§906-924
სამეურვეო პირი §§207, 1778, 1800, 1801, 1836გ, 1836დ, 1836ე
სამეურვეო პირის კაპიტალი §§1806-1811, 1852
სამეწარმეო და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი §98
სამეწარმეო კავშირი §§22, 43 და შემდ.
სამეწარმეო საქმიანობა §§112, 1431, 1440, 1442, 1456, 1464, 1645, 1822 და შემდ.
სამზრუნველო კავშირი §§1897, 1900
სამისდღეშიო რჩენა §§330, 759-761, 1073
სამკვიდრო §§517, 1089, 1371, 1418, 1432, 1439, 1455, 1461, 1640, 1803, 1822, 1909, 1922, 1942-1960, 1960-1966, 1973, 2030, 2124, 2142, 2322, 2385
სამკვიდრო მოწმობა §§2353-2370
სამკვიდრო ქონება §§311ბ, 944, 1482, 1483 და შემდ., 1960, 1975, 1980, 1982, 1984, 1990 და შემდ., 1999, 2032, 2042 და შემდ., 2060, 2215, 2310 და შემდ.
სამკვიდრო ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოება §1975
სამკვიდრო ქონებას მიკუთვნებული საგნების გადაცემა §2217
სამკვიდრო ქონების გაყოფის გადავადება §§2043, 2045
სამკვიდრო ქონების გაყოფის გამორიცხვა §2044
სამკვიდრო ქონების ვალების დაფარვა §2046
სამკვიდრო ქონების კრედიტორები §§1958, 1961, 1966, 1970-1974, 1977, 1979, 1980, 1981, 1990, 2015 და შემდ., 2058-2063
სამკვიდრო ქონების მართვა §§1975 და შემდ., 1982, 1984 და შემდ., 1988, 1990, 2000, 2012 და შემდ., 2062, 2205
სამკვიდრო ქონების მეურვე §§1960 და შემდ., 2012, 2017
სამკვიდრო ქონების მმართველი §§1985 და შემდ., 1987
სამკვიდრო ქონების შემადგენლობაში შემავალი ვალდებულებები §§1586ბ, 1958, 1961, 1967 და შემდ., 1973 და შემდ., 1980, 1994, 2000, 2001, 2005 და შემდ., 2014, 2036, 2046, 2378
სამკვიდრო წილების მიმატება §§2094 და შემდ.
სამკვიდრო წილი §§1371, 1922, 1927, 1934 და შემდ., 1951, 1952, 2007, 2033-2036, 2067, 2093 და შემდ., 2098
სამკვიდროს გახსნა §§1922, 2160, 2317
სამკვიდროს მიღება და მასზე უარი §§1943 და შემდ.
სამკვიდროს მფლობელი §§2018-2031
სამკვიდროს ნასყიდობის ხელშეკრულება §§2371-2385
სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი მოთხოვნები §§2039 და შემდ.

სამკვიდროს შემადგენლობაში შემავალი საგნები §§1959, 1960, 1973, 1992, 2001, 2025, 2029, 2040, 2111, 2120, 2217, 2385
სამკვიდროსთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლება §§2018-2031
სამკვიდროში შემავალი საგნების ჩამონათვალი §§2121, 2123, 2215
სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობა §§474-479
სამომხმარებლო სესხის ხელშეკრულება §§312ა, 358, 491, 492, 494, 496, 497, 498
სამომხმარებლო ხელშეკრულებები §§310, 355-359
სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს რეგისტრატორი §1310
სამოქალაქო ბრუნვის პრაქტიკა §§151, 157, 242
სანივთო სამართალი §§854-1296
სანივთო ტვირთი §§1105-1112, 2182
სანოტარო წესით დამოწმება §§128, 1378
საოჯახო მეურნეობა §§855, 1356, 1620
საოჯახო სამართალი §§1297-1921
საპასუხო დაკმაყოფილება §§316, 320, 326, 373
სარგებელი §§100, 217, 292, 302, 346, 446, 745 818, 820, 987 და შემდ., 1213 და შემდ., 1698, 2020, 2023, 2184, 2379 და შემდ.
სარგებლობა §§535, 537, 538, 540 და შემდ., 553, 603, 743, 746
სარგებლობის უფლებები §§955, 1024, 1060
სარენტო ვალი §§232, 238, 880, 1047, 1080, 1199-1203, 1291, 1807, 1819, 1821, 2114, 2165 და შემდ.
სარჩელი §§204, 322, 862, 1004, 1134, 1147 და შემდ., 1385 და შემდ., 1469, 2342
სარჩელი შეცილების მოთხოვნით §2342
სარჩო §§760, 843 და შემდ., 912-916, 917, 1361, 1585, 1612
სარჩოს მინიმალური ოდენობა §1612ა
სასაზღვრო ნიშნულების დასმა §919
სასამართლო აღმასრულებელი §§132, 383
სასამართლო დავა §§1360ა, 1422, 1433, 1438, 1441, 1443, 1454, 1465, 1795, 2354
სასამართლო წესით დამტკიცებული მორიგება §127°
სასამართლო ხარჯები §§1438, 1441, 1443, 1460, 1463, 1465
სასამართლოს გადაწყვეტილება §§319, 376, 425, 917
სასამსახურო ურთიერთობის გაგრძელდება §625
სასაქონლო საწყობი §92
სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა §§585-597
სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი §§585 და შემდ., 998, 1055, 2130
სასოფლო-სამეურნეო საქმეთა განმხილველი სასამართლო §591
სასტუმროს მფლობელის გირავნობის უფლება §704
საფრთხე §§228-231, 300, 379, 447, 453, 618, 644 დ შემდ., 680, 811, 848, 904, 2380
საფრთხის თავიდან ასაცილება §227
საქმის მართვა §§27, 686, 687, 709-713, 1978
საქორწინო ასაკი §1303
საქორწინო გვარი §1355
საქორწინო კავშირი §1353
საქორწინო ხელშეკრულება §§1408 და შემდ., 1415 და შემდ., 1483 და შემდ., 1518, 2276
საშუამავლო გასამრჯელო §653
საჩუქრები §§1301, 1380, 1418
საცილო გარიგების დადასტურება §144
საცხოვრებელი ადგილი §7
საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდი §§793-808
საწარმოს გადაცემა §593ა
საწყისი ან საბოლოო ვადა §163
საწყისი ვადის დადგენა §2070
საწყისი ქონება §§1373, 1374, 1377
სახელი/სახელწოდება §§65, 806, 808, 1355
სახელის უფლება §§12, 1355, 1757, 1765
სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობების რეჟიმი §§1408-1518
საჯარიმო თანხა §§336, 353
საჯარო აუქციონი §§383-386, 445, 450, 753, 935, 966, 979 და შემდ., 1219 და შემდ., 1235 და შემდ.
საჯარო დამოწმება §129
საჯარო ვალდებულებები §§436, 1047
საჯარო სამართლის კორპორაცია §§89
საჯარო შეთავაზება მემკვიდრეობის უფლების შესახებ განცხადების თაობაზე §1965

სესხი §§488, 1115, 1139
სესხის მიღებაზე შუამავლობის ხელშეკრულება §§665ა-655ე
სესხის საუზრუნველყოფოდ დადგენილი საადგილმამულო რეესტრში რეგისტრირებული იპოთეკა §1139
სესხის ხელშეკრულება §§488-498
სისხლის სამართლის პროცესი §1463
სიტყვიერი შეთავაზება §295
სოლიდარული კრედიტორები §§428 და შემდ.
სოლიდარული მოვალეები §§42, 421-427, 431, 769, 840, 2058
სპეციალური მზრუნველობა §§207, 1716, 1791გ, 1794, 1909-1921, 1960 და შემდ., 2201
სრულწლოვანება§§2, 1829
სრულწლოვანი პირი §§1767 და შემდ., 1772, 1896-1908ი
სტერილიზაცია §§617, 1631გ, 1899, 1900, 1905
სუბსტიტუტი §§2100-2146, 2222, 2340, 2363, 2373
სუბსტიტუცია §§2106, 2111, 2108, 2139, 2142
სქესობრივი ხასიათის მოქმედებებზე დაყოლიება §825
სხვისი საქმეების შესრულების ხელშეკრულება §§675-676ზ, 1357, 1698ა, 1698ბ

ტ

ტაიმშერის ხელშეკრულებები §§358, 481-487
ტექსტუალური სახე/ტექსტუალური ფორმა §§126ბ, 355 და შემდ., 556ა, 557ბ, 559ბ, 560, 613ა
ტურისტული მომსახურების ხელშეკრულება §§651ა-651ნ
ტყისა და საბადოს სამეურნეო გეგმა §1038

უ

უარის განცხადების უფლება §§312დ, 312ვ, 355, 358, 485, 495, 497
უბედური შემთხვევის კანონისმიერი სავალდებულო დაზღვევა §§616 და შემდ., 1045 და შემდ.
უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონების მიმართ დადგენილი სპეციალური მზრუნველობა §1911
უზრუნველყოფა/გარანტია §§365, 434, 435, 442, 443, 477, 523 და შემდ., 526, 536დ, 600, 633 და შემდ., 757, 2376, 2385
უზრუნველყოფის წარდგენა §§232-240
უზუფრუქტი §§1030-1089
უზუფრუქტით დატვირთული უფლების გაუქმება გარიგებით §1071
უზუფრუქტის უფლების გამოყენება §1036
უზუფრუქტის უფლების დარღვევა §1065
უკიდურესი აუცილებლობა §§228, 519
უმადურობა/დიდი უმადურობა §530
უმრავლესობა §§7, 60, 366, 396, 420-432, 461, 472, 712, 745, 840, 866, 890, 1290, 2032-2063, 2088 და შემდ., 2148, 2151, 2157 და შემდ., 2199, 2204, 2319 და შემდ., 2355
უპატრონო ნივთები §§958 და შემდ.
უპირატესი უფლებები §§401, 418, 776
უპირატესი შესყიდვის უფლება §§463-473
უსაფუძვლო გამდიდრება §§812-822, 977, 1301, 1390, 1434, 1457
უსწორობა §894
უფლება §§96, 99, 100, 103, 226 და შემდ., 333, 413, 437, 453, 536გ, 877, 901, 1068-1084, 1273-1296, 1646, 1821, 2041, 2111, 2113, 2175
უფლებამონაცვლეობა §§198, 565
უფლებამოსილი პირი §§174, 1901ა, 1901ბ, 1904, 1945
უფლებაუნარიანობა §§1, 21 და შემდ., 42 და შემდ., 73
უფლებაუნარიანობის მქონე ამხანაგობა §1059ა
უფლებები და ვალდებულებები საწარმოს გადაცემისას §613°
უფლების აღიარება §1170
უფლების დაკარგვა §§354, 951
უფლების დაკარგვის შესახებ შეთანხმება §1229
უფლების ნასყიდობა §453
უფლებრივი დატვირთვა §§311გ, 567 და შემდ., 593ბ, 873, 876, 882, 1105, 1136, 1199, 2288, 2375

უფლებრივი ნაკლი §§433-435, 523, 526, 536, 633, 2182
უშედეგო შეთავაზება §304
უშედეგო ხარჯების ანაზღაურება §284
უხეში გაუფრთხილებლობა §§277, 300, 599, 617

ფ

ფარული დათქმა §116
ფასიანი ქაღალდები §§232 და შემდ., 372, 700, 702 და შემდ., 783, 1081 და შემდ., 1292 და შემდ., 1646, 1807, 1814, 1818, 1853
ფასის გადახდის განვადებით საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები §505
ფასის შეთავაზება §156
ფასის შემცირება §§285, 437, 441, 457, 536, 634, 638, 651დ, 842 და შემდ.
ფინანსური დახმარება §499
ფიცის ტოლფასი დადასტურება §§259 და შემდ., 261, 2006, 2057, 2028, 2356 და შემდ.
ფონდები §§80-88
ფონდის გაუქმება §87
ფონდის უფლებაუნარიანად აღიარება §80
ფონდის უფლებაუნარიანად აღიარება დამფუძნელის გარდაცვალების შემდეგ §84
ფონდის ქონების გადაცემა §88
ფორმის ნაკლი §§125, 311ბ, 494, 518
ფულადი თანხა §488
ფულადი მოთხოვნები §§286, 1074 და შემდ., 1288, 2173
ფული §§232 და შემდ., 270, 372, 668, 698, 702 და შემდ., 783, 935, 981, 1006 და შემდ., 1960, 2119
ფუტკრების გუნდი §§961-964

ქ

ქირავნობა §§535-580ა
ქირავნობის ობიექტის მოვლისა და განახლების ღონისძიებების თმენა §554
ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის უსიტყვო გახანგრძლივება §545
ქირის შემცირება ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლის გამო §536
ქმედუნარიანობა §§104-115, 165, 179, 1411, 1596, 1673, 2275, 2290, 2292, 2296
ქმედუნარიანობის შეზღუდვა §§131, 165, 210, 682, 2282, 2284, 2296, 2347
ქმედუუნარო პირი §§8, 105, 130, 131, 210, 939, 1411, 1673, 1778, 1780, 1896, 2201, 2282, 2283, 2347, 2351 და შემდ.
ქმედუუნარობა §§104 და შემდ., 153, 672, 794, 1304, 1458
ქონება §§45-53, 311ბ, 330, 1363, 1416, 1605, 1642, 1821 და შემდ., 1914, 1985-1089
ქონების ანდერძით გადაცემის შეუზღუდავი თავისუფლება §2302
ქონების გადაცემა §§330, 516, 822, 1380, 1638, 1909, 1939 და შემდ., 2050, 2053 და შემდ., 2056, 2352
ქონების მართვა §§1364, 1413, 1626, 1802 და შემდ., 1840 და შემდ., 1852 და შემდ.
ქონების უსასყიდლო გადაცემა §330
ქონებრივი მდგომარეობა §§321, 1981, 2128
ქორწინება §§656, 1297 და შემდ., 1303, 1312, 1313-1318, 1319 და შემდ., 1353-1362, 1363-1390, 1588, 1766, 1931 და შემდ., 2268, 2279
ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების გაანგარიშებისა და ქონების განაწილების მოთხოვნის ოდენობის დადგენის მომენტი განქორწინების შემთხვევაში §1384
ქორწინების გაუქმება §§1313-1318
ქორწინების ცერემონიალი §§1312, 1588
ქურდობა §§794, 823, 935, 992, 1006, 1007

ღ

ღირებულება §§290, 1034, 1039, 1067, 1973, 2313
ღირებულების ანაზღაურება §596ბ
ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება §§346 და შემდ.

ყ

ყადაღა §§204, 230, 1984, 2115
ყადაღის დადება §§135 და შემდ., 161, 184, 458, 883, 1984, 1990, 2016

შ

შეერთება §§946 და შემდ., 949, 951, 997, 2172

შეზღუდული პირადი სერვიტუტი §§1090-1093, 2182

შეზღუდული ქმედუნარიანობა §§8, 1411, 1746, 2275

შეთავაზების მიღების ვადის გადაცილება §§293, 297, 298, 300, 301 და შემდ., 322 და შემდ., 372, 383 და შემდ., 615

შეთანხმება უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ §925

შეკვეთის შეუსაბამო შესრულებები §241ა

შემადგენელი ნაწილი §§93-96, 94 და შემდ., 890, 946, 947, 953-957, 997, 1043 და შემდ., 1120 და შემდ.

შემთხვევა §§287, 346, 848

შემკვეთის უფლებები ნაკლის არსებობისას §634

შემოსავლები §99

შენატანები §§58, 705 და შემდ.

შენობა-ნაგებობა §§94 და შემდ., 836 და შემდ., 908, 912 და შემდ., 1093, 1128

შეპყრობა §§229 და შემდ.

შერწყმა §§948 და შემდ., 951, 2172

შესაგებელი §§214, 239, 273, 320, 334, 363, 390, 404, 417, 519, 768, 770 და შემდ., 784, 792, 821, 853, 886, 986, 1137, 1157, 1169, 1211, 1254, 1958, 1989 და შემდ., 1990, 2014 და შემდ., 2083

შესაგებელი გარიგების საცილოობასა და ვალდებულების გაქვითვაზე მითითებით §770

შესაგებელი უსაფრთხოების მიზეზით §321

შესაგებელი, რომელსაც შედეგად მოყვება ვალის დაფარვის გადავადება §§2014-2017

შესრულება §§214, 274, 294, 322, 337, 348, 362-371, 372-386, 422, 813, 2181

შესრულების ნაცვლად ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისას §281

შეტყობინება §§171 და შემდ., 374, 409, 469, 663, 665, 673, 681, 789, 1042, 1280, 1799, 2146, 2384

შეტყობინების ვალდებულება §§374, 727, 965, 536გ

შეუზღუდავი პასუხისმგებლობა §§185, 2000, 2016

შეუძლებლობა §§87, 217 და შემდ., 265, 275, 280-282, 286 და შემდ., 292, 308, 311ა, 326, 338, 346 და შემდ., 425, 457, 460, 466, 815, 820, 848, 2021, 2023, 2196

შეფასება §§738, 1048

შეცდომა §§119 და შემდ., 231, 318, 686, 779, 1949, 2078, 2080

შეცილება §§119-124, 142, 143, 318, 770, 1137, 1600, 1600ა, 1954-1957, 2078-2083, 2281-2285, 2308, 2340-2345

შეცილების ვადა §1600ბ

შეცილების შესაძლებლობა ნების გამოვლენის შეტყობინებაში შეცდომის გამო §120

შეძენითი ხანდაზმულობა §§900, 937-945, 1033, 2026,

შვილად აყვანა §§1741-1772

შვილად აყვანის გაუქმება §§1759 და შემდ.

შვილი/ბავშვი §§104, 207, 470, 828 და შემდ., 1371, 1444, 1466, 1483 და შემდ., 1511 და შემდ., 1601 და შემდ., 1606, 1610, 1612ა, 1615ა-1615ნ, 1616-1625, 1629ა, 1630, 1631ა, 1631ბ, 1632, 1644, 1666, 1666ა, 1682, 1684 და შემდ., 1688, 1696, 1741-1772, 1773 და შემდ., 1791გ, 2068

შვილის ქონება §§1603, 1620, 1625, 1626, 1649, 1698

შთამომავლები §§1483, 1606, 1924, 2057ა, 2069, 2070, 2107, 2303, 2309, 2316

შთამომავლების როგორც კანონით მემკვიდრეების წილთა გათანაბრების ვალდებულება §2050

შრომითი ურთიერთობება §§113, 613ა, 620 და შემდ., 626, 1822

შუალედური პროცენტები §§272, 813, 1133, 1217

შუამავლობის ხელშეკრულება §§652-656

ჩ

ჩუქება §§516-534, 1301, 1375, 1386, 1390, 1418, 1425, 1620, 1624, 1641, 1803, 1804, 1909, 2113, 2205, 2207, 2287, 2288, 2325, 2327, 2330, 2385

ჩუქება ვალდებულების დაკისრებით §§525 და შემდ.
ჩუქების შეპირება §§519, 520, 1425, 2301

ც

ცალმხრივი გარიგება §§107, 111, 143, 174, 180, 182, 1367
ცვეთა §§538, 602, 1050, 1057, 2132
ცვლილება §§67, 150, 311, 593, 692, 880, 1408
ცვლილებები კავშირის წესდებაში §71
ცნობა §§69, 630, 1309, 1507, 2353, 2368
ცოცხლად დარჩენილი მეუღლის მიერ ქონების მიღების უფლება §1502
ცხოველები §§90ა, 833 და შემდ., 960 და შემდ.
ცხოველის მფლობელი §833
ცხოვრების უფლება §§1093, 1361ბ

წ

წამქეზებლები §830
წარმომადგენელი §§30, 86, 164 და შემდ., 166, 177 და შემდ., 179, 181, 278, 465, 1189, 2229, 2275, 2282, 2347
წარმომადგენლობა §§164-181
წარმომავლობა §§1591-1600დ
წერილობითი ფორმა §§81, 111, 126, 127, 416, 484, 492, 494, 623, 655ბ, 1154,
წესდება §§33, 36, 39 და შემდ., 45, 57 და შემდ., 66, 71
წილადი საზიარო უფლება §741
წილები §§719, 722, 725, 738, 742 და შემდ., 947 და შემდ., 1008, 1066, 1095, 1106, 1114, 1258, 1511 და შემდ., 1922, 2033 და შემდ.
წინასწარის ჩანაწერი §§883-888, 1179, 1098, 1971, 1990, 2016

ხ

ხაზინა §§45 და შემდ., 88, 89, 233, 928, 981, 1931, 1942, 1964 და შემდ., 2011
ხანდაზმულობა §§194-216
ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება §§203-213
ხანდაზმულობის ვადის ხელახალი დენა §§203-213
ხარვეზების აღმოფხვრა §651გ
ხარჯები §§102, 217, 270, 358, 367, 381, 386, 396, 403, 448, 453, 601, 650, 748, 767, 798, 811, 897, 919, 981, 1045, 1035, 1038, 1118, 1210, 1610, 1615, 1667, 1988, 2061
ხეები §§122, 124, 907, 910, 911, 923
ხელმოკლე პირები §2072
ხელფასის გადახდის მოთხოვნის დათმობა §411
ხელშეკრულება §§145-157
ხელშეკრულებაზე უარი თქმა ვალდებულების შეუსრულებლობის ან ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ შესრულების გამო §323
ხელშეკრულებიდან გასვლა §§218, 280, 323 და შემდ., 346-354, 437, 440, 465, 503, 636
ხელშეკრულების გადაცემა §651ბ
ხელშეკრულების დადება §151
ხელშეკრულების დადება არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით §177
ხელშეკრულების სტანდარტული პირობები §§305-310
ხელშეკრულების შეწყვეტა შეწყვეტის არასტანდარტული უფლების გამოყენებით კანონისმიერი ვადის დაცვით §§573დ, 575°
ხმათა უმრავლესობა §§712, 745
ხმის უფლება §34

ჯ

ჯანმრთელობა §§569, 823, 833, 836, 843, 845 და შემდ.
ჯილდოს საჯაროდ დაპირება §§657-661

ISBN 978-9941-8-1890-5